ვიარეთ იგი დღე. მიმწუხრდა. თქუა უსიბ: აჟა ტალა გუინდაო. დადგა თუით უსიბ და დიდი ომი გარდიკადა. მადლი უბრძანა [ბადრი]. და ელეთ სამი დღე და მოაკსენა უსიბ: აჟა კარგი ტალა გუინდაო. უბრძანა ინდოსა ქაბუკსა: ამას ღამე შენდა არის ტალაო. დადგა ინდო და ორი ეგზომი ლაშქარი მოვიდა და განაღამცა დაეოცნა.

და ელეთ დღე მეოთხე და ხენი იყენეს შუენიერნი და წყარო გამოდიოდა პირსა მათსა. მეფემან ბრძანა: ამას ღამე ჩუენი საღგომი აჟა არისო, და დაედეგით. მუნ ლეონოსა ვსუემდით. აივსო ტიკა ლენითა და უსიბ მოაკსენა მეფესა: ლომო ლომთო, ესე ბრძანე და ამას ღამე ტალა შენდა არისო.

გამოულო მეფემან, შესუა და ეგრე უბრძანა: დია თურე საჰირო არისო; ჩემსა მზესა, გულოვნად დაიძინეთო. ვითა შეღამდა, გაჯდა თეთრსა ტაიქსა და წავიდა. შეხედნა ინდომან ქაბუკმან და ეგრე თქუა: ვის მისსა ამხანაგსა ემინიან, ფუ იმასო დადგა ტალასა მას ღამესა. არცა გუესმა კმა და არცა ელაველი. ოდეს დილასა ვნახეთ, რომელ ჩუენ ყუელასა გუეოცო, სამი ეგზომი მარტოსა დაეოცა. უსიბ თქუა: ალარა არის გზა საჰირო, მივსწურელივართ ქალაქსა.

ელეთ სამი დღე სხუა და მივედით ქალაქისა კართა და ვნახეთ ქალაქი დიდი და შუენიერი. დაედექით ქალაქისა კართა. მოეგზავნენს ზღუათა მეფესა კაცი და შემოეთუალა: ფაშად მოხუედ ბადრი იამანის-ძეო, ქაბუკობა შენი მესმის და მიხარისა.

გამოეცა კარავი და დაგუიღვეს. და გამოეგზავნა სანუკუარი და გაეისუენეთ მას დღესა. მეორესა დღესა და მესამესა მოვიდეს მოქალაქენი, ნახეს და მოეწონა პატრონი ჩუენი, რომელ არა იყო სწორი მისი სიშუენიერითა და ქაბუკობითა. გუეგონა — ალარა არის [გზა] საჰირო ჩუენიო.

გამოეგზავნა კაცი ზღუათა მეფესა და შემოეთუალა: აშვილო ბადრი, დიდი ჰირი გინახავს ზღუათა ზედა, გზათა შიგან და დიდნი ომნი გარდაგილიან, რომელ არავის უქმნია ნაქმარნი ეგეთნი. მე სიძე ეგეთი ქაბუკი მინდა. აწ გაასრულე ქაბუკობა შენი. კაცი არიან სამნი ჩემნი და შეები, და თუ დააჯერნე იგინი, მაშინლა ხარ სიძე ჩემი. მოაკსენა პასუხი ბადრი იამანის-ძემან: აჟე ქაბუკობისა ძებნად წამოსული ვარ სახლით ჩემით. აწ თუ ათასიცა გყავს, ვირე არ შეებმით, თუცა შენ შემრთვიდე, მე არცა ეგრე შევირთაუ.

წავიდა უსიბ ქალაქსა. მივიდა და ეგრე თქუა: მიცნიან რანი კაცი არიან — ერთსა აბაში ჰქუიან და ერთსა მოკლე ქაბუკი სიდიდისათუის და ერთისა არა ვიცი, მაგრა აქებენ და იტყუიან: მათ სამთა ომი არ ეგების კაცისაგანო.

გამოეცა ზღუათა მეფესა შესამოსელი და შემოეთუალა: ხვალე შენი და აბაშისა ომი არისო. ვახიარნა ბადრი იამანის-ძემან. და ქალაქსა ზედან ციხე იყო მაღალი. დილას გამოვიდა მეფე და დაჯდა. დაისუა გუერდით ასული მისი და ცოლი და დაისხნა დიდებულნი მისნი. წამოღდა ყოველი კაცი ხელდად რომელნიმე ზღუდეთა, რომელნიმე უბანთა, რომელთამე კარნი გამოახუნეს და დადგეს ხელეად. გამოვიდა აბაში და წამოადგეს ზედა მებუკე-მელაბდაბენი. ელნეს, სცემდეს და იყო ზმა. შეეკაზმა ბადრი იამანის-ძე და გამოვიდა. შეუტევეს ერთმანერთსა, გარდაკდა ომი დიდი დილითგან ვიდრე ცხრა ტამა[დ]მდე. მერმე უყვილა ინდომან ქაბუკმან, პირველად შეხედენ შესა მზესა და, შენმან მზემან, არა შენებურად გხედლაო.

მაშინ გაიყვანა ცხენი ბადრი იამანის-ძემან, შემოიქცა და შეუტევა. ჰკრა ჩაბ-
ლახსა ზედან კრმალი და გულმდის ჩაჰკეთა და მოკლა. იზრიალა ყოველმან დიბი-
დებულმან და ქება შეასხეს ბადრი იამანის-ძესა:

მეფემან რა ნახა [აბაში] მოკლული, ადგა, მუელსა კელნი დაიკრა და შევიდა
სახლსა [მისსა და] გამოსცა შესამოსელი და მოულოცა ომი და თქვა ყოველმან პირ-
მან: არა არს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა; ჰაბუეი ბადრი იამანის-ძისებრიო.

გამოედეს ღღინი და მიწუხრდა. ნადიმად ჯდა ზღუათა მეფე, გამოეცა შესამო-
სელი, ღღინო და ხილი, და შემოეთალა: კარგა იყავ, მომეწონე და აწ შენი და მოკ-
ლისა ჰაბუეისა ომი არსო. გაეხარნეს ბადრი იამანის-ძესა და პასუხი შესთალა: მე
დიდად ვისწრაფი და ორნივე ერთვან შემაბიო.

დილასა გამოვიდა მეფე და დაჯდა მასზე ადგილსა. დაისხნა დიდებულნი და
დაიდვა ნადიმი და ეგრევე ზღუათა ზედა წამოდგეს ყოველნი კაცნი და სცემდეს
ბუქსა და დაბდაბა. და ეგრევე ზარი იყო ქალაქსა შინა. გამოვიდა მოკლე ჰაბუეი.
ეგზომ დიდი იყო, რომელ ნიშანი არა მიეცემის. გაჯდა იამანის-ძე ცხენსა და გავიდა.
მუუზახნეს. და გავიდეს ყოველი ერი ჰურეტად, და შეიბნეს. ესე არა ჰგვანდა პირველი
ომი, ვითამცა ცოტანი ყმანი ყოფილიყვნეს. იყო ომი დილითვან მწუხრამდე. გაჰირდა
ომი. ბადრი იამანის-ძემან მოკლე ჰაბუქსა შემოუტევა ცხენი. მოკლეს ჰაბუეის ყმა-
მან ბადრი იამანის-ძესა ჰკრა. ნახა ინდომან ჰაბუქმან, შემოუტევა მას ყმასა, ჩაბა-
ლახსა ზედა კრმალი ჰკრა, მოკლა; ეგრე უთხრა: მიეშუი, ძმაო, იმათ გარდა-
იწუიტირმო. ვითა ნახა მოქნული ინდოსა ჰაბუქისა ბადრი იამანის-ძემან, ფიცხლავ
ცხენი გაიყვანა, შემოაქცა და შემოუტევა და იყილა: აწ მნახე ინდო ჰაბუქო! ჰკრა
კრმალი ჩაბალახსა ზედა და წინას ტახტსა უნაგირისასა დასუხა. მაშინ იყილეს მოქა-
ლაქეთა და თქუეს: კურთხეულ არსმცა მარჯუენე შენი და ჰაბუქობა შენიო. გარდაიყ-
რიდეს თავსა დრამასა, დრაჰანასა და თულ-მარგალიტსა. გარდაეცა უსიბ და დაიწყო
უბეთა ჩაყრა და ეგრე თქუა: ისი ცოლსა შეირთავს, ჩუენ დრამასა და თულსა რად
არ აუჰკრეფთო?!

მაშინ დაიკა მეფემან მუელსა კელი და შედმართ წავიდა და ეგრე თქუა: ვინ მო-
ვიდა, რომელმან ამომიწყუილნა ლაშქარნი და ამომიკოცნა ბუმბერაზნიო. მერმე გამო-
ევ ზაენა კაცი და გამოეცა შესამოსელი და მოელოცა ომი. მოიყვანა მეფემან ზღუათა-
მან დიდებულნი და დაჯდა. ჰოუგზაენა ასულსა მისსა კაცნი: აწვილო, მე დაბერებულ-
ვარ და შენ ხარ შვილი ჩემი მკუილარი, და ესეთსა ქმარსა ვეძებდი. შენთუის, რომელმცა
არავეინ იყო დამართებითი მისი. აწ, შვილო, აღარ ევარძელოთ, იმას კაცსა კმაა, რო-
მელ ომნი გარდაუდიან და ნაქმარნი უქმნიან. ამისი ერთისა * ჩუენისა ყმისა ომი არა
ევების კაცისაგან და შეირთე ისი კაცი ქმრად.

მაშინ გამოსცა პასუხი მოკლე, ვითა: მე ვგეთი ქმარი არ მინდა, [რომელ] ეგრე
ვგონებდე, თუ მისი დამართებითი კაცი არისო და ანუ უკეთესი ქუეყანასა ზედაო. აწ
შეაბით ისი მესამეცა და თუ აჯობოსლა, დავმორჩილდე ბრძანებასა თქუენსა.

დაუძმინდა მეფესა და დიდებულთა, განა ღონე არ იყო. გამოეგზაენა კაცი ზღუ-
ათა მეფესა და გამოეცა შესამოსელი და შემოეთალა, ვითა: ღმერთმან იცის, არა ჩემგან
არის, განა თუთი გაოჯანე ვისგან არის. აწ თუთი შენი და აზარმანიკისა ომი არისო,
აჯობო — სიძე ხარ ჩემო.

ბადრი იამანის-ძემან გასცა პასუხი, ვითა: ფიცო, მეფეო, რომელ ეგე კაცნი მოგ-
წყინებოდეს და დამაკოცინენ და ეგე კაცი უფრო მოგწყინებოდეს და მართალ ხარ —
უსარგებლონი კაცნი იყვნეს. აწ გობრძანებია, დია, ღმერთო, შევიბნეთო. თუცა არ
გებრძანა, მე უმრად არცა ეგრე გაუშუებდია.

* აქედან ავლა. A ხელნაწერს.

დილასა გამოვიდა მუნე ზღუათა მეფე და დაჯდა. მასვე ადგილსა გუერცა და-
 უჯდა დედოფალი და დაისუეს შუა ასული და მით დაისხნეს დიდებულნი. და ემოსა
 ქალსა ძოწეული ოქრო-ქსოვილი და ვთქუი: თუცა არა კორციელია, მზე არისო. წა-
 მოდგა ზედა ყოველი ქალაქი და დიდი და მცირე ტიროდეს ბაღრი იამანის-ძისათვის.
 შეეკაზმა ბაღრი იამანის-ძე და გავიდა. აზარმანიე გუიანად გამოვიდა. მაშინ ვითა გა-
 მოვიდა აზარმანიე, ექენეს დიდებულნი ზღუათა მეფესა და მისსა ასულსა, ვითა: ნუ
 ვაბრძოლებთ, თუარა მოვაკვლევინებთ იმას კაცსა სასიძოსა თქუენსა, და ვერა პირი
 უპოეს. მოვიდეს დიდებულნი, დაექენეს აზარმანიეს, ვითა: ნუ გახუალო. მან გაიწყრო
 გული, იკრა მათრახი, წამოაძგერა დიდებულთა ცხენი და დასცნა.

გამოვიდა. ოდეს ვნახეთ, არათ გვაზღეს იგი წინანი და მოეგზავნა ათი წყრთა
 რკინის არგანი და [ეთქუა]: ესეთსავე მე ავიღებ და დღეს ამითი შევიბნეთო. აილო
 ბაღრი იამანის-ძემან და კელს იმარჯუებდა. შემოუღეს ნავარდი ერთმანერთსა და
 შეიბნეს. დილითგან ვიდრე მწუხარამდის ომი იყო და ვერა აჯობა ერთმანცა. შეიქცა
 აზარმანიე და შევიდა ქალაქად. ბაღრი იამანის-ძე თავისსა სადგომსა ჩამოვდა, მერმე
 მოაკსენეს დიდებულთა ყოველთა ზღუათა მეფესა, ვითა: არავენ არის დამართებითი
 მის კაცისა და გიბრძოლებია აზარმანიე და ისი, და ვერა გადაუწყუებტია, ნუღარა
 აბრძოლებთო. სწაღდა მეფესაცა, განა ვერა ქმნა რა თავისსა ასულსა თანა.

მას ღამესა ნადიმად ესხედით. იყილა ვინმე, უკმო უსიბს და გავიდა, და იყო
 დიდი ხანი და შემოვიდა. ეგრე მოაკსენა, თუ არას მიბოძებ, არ ვიტყუიო. უბრძანა:
 ჩემსა შვისა, თქუიო. მოაკსენა: შენ თანს საცოლესა შენსა ცხენი გამოუგზავნია. ეგზომ
 გაეხარნეს, ვითამცა ყოველი ქუეყანა მისცემოდა. აწუიეს იგი კაცი და შემოვიდა შინა.
 ცხენი შემოიყვანეს. საკრამანგისა ფლასი ზედა ეხურა. თულასა კაცისასა ეგეთი არა
 უნახავს და ეგრე შემოეთალა, ვითა: თეთრი ტაიქი შენი მაშურალი არის და ნაო-
 მარი, ამითი შეეძი აზარმანიესა. მადლი გარდაიკადა და შეუთულა, ვითა: ეგრე გი-
 ბრძანებია თუ, გუშინ ავად გაბეჩუნა და დღეს ამით უკეთ გამეჩუნეთო. სიკუდილი
 გინდა შენ და შენსა მამასა აზარმანიისა და მო-ცა-კვლა, სხუა რალა გინდა?

დილასა* მიუგზავნა კაცი ზღუათა მეფესა ბაღრი იამანის-ძემან და ესე შეუთულა,
 ვითა: გამოგზავნე აზარმანიე, გუშინდელი ომი ლაღობა იყო. სატკივართა ადგილთა
 პოლოტრინი რკინანი დაიციდნეს და მეცა აგრე ეიქ და გარდავიწყუებოთო. გაუკუიღრდა
 მეფესა და ყოველსა კაცსა სისწრათე ბაღრი იამანის-ძისა ომისათვის და გამოსცა პა-
 სუბი ხეალისად, ვითა: მზამცა ხარ?

მას ღამესა ნადიმად ესხედით. მოვიდა იგივე კაცი. გაიყვანა უსიბ. შემოვიდა და
 ეგრე მოაკსენა, ვითა: თგივე კაცი არისო. საცოლესა შენსა კრმალი გამოუგზავნია და
 შემოუთულია, ხვალე შენი და აზარმანიის ომი არის და გარდავიწყუებტა ეთქუამსო. აწ
 ესე კრმალი წელთა შენი და ამით შეებია. მაშ, ღმერთო, კრმალად კმა იყო. მადლი
 მოაკსენა და ეგრე შეუთულა, ვითა: თუ ავი ქმარი გესთა, ხვალე მნახეთო.

დილა რა გათენდა, გამოვიდა ზღუათა მეფე, დაჯდეს და შუაში დაისუეს ასული
 და ეცუა მას მზესა ელვარე რამე. ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა, რომელ მზე მისდა არა
 ჯობნილა. ეგრევე დასხდეს დიდებულნი და წამოდგა ყოველი ქალაქი ხელდად. სცემ-
 დეს ბუქსა და დაბდაბსა და ტიროდეს ყოველნი მით, რომელ ეგონა ყულასა ჯობნა
 აზარმანიისა. როგორადაც გამოვიდა აზარმანიე შეკაზმული და გვიდნეს რკინანი სატკი-
 ვართა ადგილთა და ცხენსაცა, თავმან თქუენმან, საზაროდ კმა იყო. ეგრევე გავიდა ბაღრი
 იამანის-ძე. ესე იყო წესი მისი, რომელ სამნი კრამლი დაიციდნის** და მასცა სამნი
 ეციდნის. შემოუღეს ნავარდი ერთმანერთსა და შეიბნეს. თავმან თქუენმან, არცა პირ-
 ველი ომი გვანდა და არც არვის სხუა ეგეთი ომი უნახავს. იყო დილითგან ვიდრე:

* აქამდის აკლა D ხელნაწერს.

** აქამდის აკლა A ხელნაწერს.

მწუხრამდის ომი და მათისა ომისაგან და ბუკისა და დაბდაბის ცემისგან ყურთა კმა არ ჩაუარდებოდან. გარდალევს ოროლი კრმალი ერთმანერთსა და უყივლა უსიმ ბაღრი იამანის-ძესა, ვითა: პირველად შეხედენ შენსა შვესა და მერმე მისეული კრმალი რად დაგაიწყლაო.

ამაზედან გაიყვანა ცხენი ბაღრი იამანის-ძემან, იყივლა ფიცხლად და თქვა: აწ ნახე ბაღრი იამანის-ძისა კრმლისა ნაკუთიანებაო, და შემოურტევა და შე-თურე-შინდა ახარპანის და გაექცა. და შეეწია ბაღრი იამანის-ძე, კრმალი ზურგსა გადაჰკრა და შეუ-ლისა ტყავებან დაიჭრა და მოკლა ახარპანისი.

ნაშინ ახლტა მეფე, კელნი შეიტყუელნა, ვაიციანა და შეიქმნა სიხარული დიდი ქა-ლაქთა შინა და ყოველნი ქებასა შეასმიდეს ბაღრი იამანის-ძესა. ყოველზან ქალაქმან ძღუე-ნი მორათუეს მეფესა და დედოფალსა და სიხარული დიდი შეიქმნა. გამოვიდეს და თაყუ-ნისცეს ბაღრი იამანის-ძესა, გუიქმეს და წავედით. ჩამოგებნეს მეფე და დედოფალი წინა და მასვე დღესა კორწილი კმენს და დასხდეს ცოლი და ქმარი ერთგან და ამას იტყოდეს, ვითა: ერთი ხუბ და ერთი ქალი ამათადა, ღმერთო, არა ჯობნილაო. და მისცა ყოველი ქა-ლაქი და საქურჭლე ასი და ერთი თვით დაიჭირა.

დაეჯეთთ სამი თუე მის ეგეთსა სიხარულსა შინა და განსუენებასა. მერმე ვაგზავნა ზღუათა მეფემან კაცი და უკნო ყოველსა ლაშქარსა და საბრძანებელსა თუისსა და მო-ვიდა ლაშქარი ურიცხუი, ორი ათასი მკედარი შეკაზმული და მოიღო ყოველმან ძღუენი, ომელ ცუფოდა მეფესა ერთსა საქურჭლედ, და მოიკადა გურიგუენი და დაადგა ბაღრი იამანის-ძესა. და ყოველმან კაცმან ძღუენი მორათუეს მეფეს და დედოფალს. და მიუთუ-აღნა ყოველნი საქურჭლენი და დალოცეს მეფედ ბაღრი. მოიკადა გურიგუენი ბაღრი იამანის-ძემან და დაადგა გურიგუენი თავსა მეფესავე და მოაკსენა. ვითა: ღმერთმან ათას წელს ვაცოცხლოს ნებასა თქუენსა ზედა. მეფობა თქუენი თქუენვე დაიდგით; სიცოცხლე და სიხარული ჩემი მანამდის არის, ვირე თქუენ ნებასა თქუენსა ზედა ხართ. დამაღლა ზღუათა მეფემან. მერმე თქუა ბაღრი იამანის-ძემან, ვითა: მეფე ვარ დიდი და კაბუკო-ბისა მძებნელი ვიყავ და ესცან ძალი კაბუკობისა ჩემისა და სახლმან ჩემმან და მაშულმან ჩემმან არა იცას. ამისთუის შექმნა დაღრეჯა.

სხდეს ნადიმად ზღუათა მეფე და ბაღრი იამანის-ძე. და ჰკითხა ზღუათა მეფემან იამანის-ძესა, ვითა: რად დაგიღრეჯიანო. მან არა უთხრა. კულავე კითხა, ვითა: ნუთუ მაშულსა და სახლსა წისლეა გწადდეს?! აწ წადი, ოდეს გწადდეს მუნ იყავ, ოდეს გწად-დეს, აქა იყავ. აწ მეფე ხარ ყოველთა მეფეთაო.

ბაღრისა გაეხარნეს და თქუა უსიბ, ვითა: ამ სახლისა დაგდება და ნავისი წისლეა არს, ღმერთო, საქურიველიო. ვაიციანა მეფემან და თქუა, ვითა: ჩემსა მშვესა, ავი სახლი არს ბაღრისაო. უსიბ მოაკსენა, ვითა: უბადო, ღმერთო, არსო. ბაღრი იამანის-ძემან მოაკ-სენა, ვითა: არას ზრახებ, პარტიმობისაგან გამოვიყვანე, ყოლ-ყოლ არა იცის, რას ზრახავსა. მერმე რქუა ზღუათა მეფემან, ვითა: შეეკაზმე, წადი და წაიტანე შენი ცოლი შენ თანა, და საქურჭლეთა ნუ მიჰყოფ კელსა, მე ჩემითა კაცითა გამოვგზავნიო.

მოსცა ზღუათა მეფემან კერული და უკერავი; დრაჰკანი, თუალი და მარგალიტი ასი აქულე და ათასი ჯორო და წამოიტანა თანა ლაშქარი ასი ათასი მკედარი და წა-მოვედით და გაბოიარეთ ზღუა და მისსა პირსა იყო ქალაქი შუენიერი და ვდექით მუნ. არქუა უსიბ ინდომა კაბუკისა, ვითა: აქა ღღომა არა კარგი არისო; ვანა ვერა ჰკადრებდეს თუ — ნიზი არისო და ნუ დასდგებიო.

ლაშქარნი დაყარნა. დადგა კიდე ინდო კაბუკი. უსიბ, მე * და დედოფალი ერთსა მილიონსა კიდე დაედევთ ლაშქართაგან. არქუა უსიბ ინდოსა კაბუკისა, ვითა: აქა დევ-თა უტყუანა არისო, დიდი სიფრთხილე გუენიაო. ჩუენ ბაღრის ვერა მოვაკსენეთ.

შუაღამისა ეამსა მოვიდა ბაბუყ დევი. მძინარე ბაღრი იამანის-ძე შეიყარა, წარყ-ევანა და ცოლი მისი დედოფალი დაეყარეთ. დილასა შეიქმნა ლაშქართა შიგან ძებნა.

* აქამდის აკლავს C ხელნაწერს.

გზა და კუალი ვერა გავივით. წავიდა კუალსა ინდო ჰაბუკი და იგიცა წაქდა. შევიქცით გარე და დედოფალი წაიყუანეთ და ზღუათა მეფესა შინა მივჭუარეთ. შეიქმნა ტირილი და თქუა, ვითა: ნეტარ რა არის ღონე, რომელმცა ვიკსენით იგი? გავზავნა ლაშქარნი, განა ვერა შევიდიან, დაკოცნიან და 'გამოაქცივიან. მათ ქუეყანათა ლაშქართაგან შესლვა უღონო იყო. თქუა მეფემან, ვითა: ამომიგონებია ღონე. ჰკითხეს დიდებულთა, ვითა: გუიბრძანეო. ბრძანა, ვითა: ავაგზავნოთ კაცი ნოსარსა ნისრელსა თანა, რომელსა მოეწერა, ვითა: მოვალ და ასულსა შენსა შევირთავო; ნუთუცა იგი იყოს ღონე ჩუენია. მაშინ თქუეს ყოველთა და აწუიეს. და გუიბრძანა უსიბსა და მე და გამოგუზავნა ნოსარ ნისრელსა თანა, და შეუთუალა ყოველი ყოფილი.

მივედით ნოსარისა, და ნოსარ ჯდა წალკოტსა შიგან ნადიმად. და სხდეს დიდებულნი, იმღერდეს მგოსანნი. მივედით, თაყუანიხევიით და გუკითხა მიზეზი ჩუენისა შაონობისა. მოვაკსენეთ ყოველი. მოიქცა და უთხრა ყმასა მისსა ალი დილამსა, ვითა: გესმისო? მოაკსენა, ვითა: გესმისო. — ლომო, გუალე, ვიკსნათ ისი კაციო.

თავმან თქუენმან! მეორესვე დღესა წამოვედით, ყმა მისი ალი დილამი თან წამოიტანა და წამოვედით.

ქარი მისამი

ნოსარ ნისრელისა ამაჰვი

წავედით და ვლეთ სამი დღე. ქალაქი იყო მისი უზღუდო. ცოტანი თათარნი მოსარულიყენეს და ქალაქი მისი დაეწუა და წაეტყუენა. დიაცი ვინმე შემოტროდა გზაგზა და იტყოდა, ვითა: ჰოჲ, სადა ხარ, ნოსარ ნისრელო, რომელ ბილწთა კაცთა ქალაქი შენი ტყუედ ქმნესო. ესმა ნოსარს და ჰკითხა, ვითა: ოდესო? უთხრა, აწღაო. ოდეს ჩაეხედენით, მიწორსა შიგან ჩაეიღოდა ლაშქარი. მიბრძანა, თუალი დამივეთო, თუ პატრონისა თქუენისა ესნა შემქლოსო, თუთი ნახოთო.

გაჯდა შავსა ტაიქსა და მიეწოვა მარტო უკანა. თავმან თქუენმან, ეგეთი ომი არ ვის უნახავს. დაკოცნა და გააქციენა, რომელ რისხვა ღმრთისა მოაწივა. უსიბ ეგრე მარქუა, ვითა: გულ-მხიარულად იყავ; ისი კაცი ჩუენსა პატრონსა აღვილად იქსნისო. შევასხით ქება და წამოვედით.

და გუთხრა ნოსარ: იცით გზაო? უსიბ მოაკსენა: ვიცითო, ერთი გზა უფრო შორი და მშუიდობისა არის, ერთი ახლო არის და საქირო, სითაც ბრძანოთ, მუნით წავიდეთო. ბრძანა — უახლოესსა წავიდეთო. და ვლეთ ოცისა დღისა საეალი. თუ მუეცი გარდაგუევიდა და თუ ლაშქარი — დაეკოდით. მივიდოდით და ლაშქარნი გარდაგუევიდნეს დიდნი. მოაკსენა ალი დილამმან: მე ენახენ ისი ლაშქარნიო. უბრძანა, ნახეო. მივიდოდა. შემლუტევეს ლაშქართა. თავმან თქუენმან, თუცა უნახა, მოგვეწონებოდა. ჩუენ მოვაკსენეთ ნოსარსა — უშუელოთო. გუიბრძანა: არად ვნდა შეელა, თუ იგილა ალი დილამი არსო. დაკოცნა და გააქარუნა, რომელ მისსა პატრონსა მის მეტი არა უქმნიარა. მოვიდა და მადლი გარდაიკადა ნოსარ.

წავედით და ვლეთ სამი დღე. სხუა ქედი იყო არა დიდი. წამოდგეს ზედა სამნი კაცი, ლომთა ზედა სხდეს. ერთმან უთხრა მეორესა: ზედაც უსიბსა ვინმე მოუტუნებია და მოჰყვანანო. გუიყვილეს ორპირვე: წაველარ-გუიხუალთ, წამოსწარაფეთო. გაჯდა ნოსარ ნისრელი შავსა ტაიქსა და წავიდა. ჩუენ გუიბრძანა: აქა იყენითო. წავიდა, გარდაიარა ქედი იგი. დიდი ხანი გამოჰდა და თქუა ალი დილამმან: წავიდეთ და ენახოთო, თუ რა ქმნა ნოსარო. ოდეს ზე გავედიო, ცხენი იდვა და კაცი ურიცხუი დაკოცილი და იგი სამნი კაცი, რომელ ლომთა ზედა სხდენ, მკუდარნი ისხნეს. ოდეს ენახეთ, გზა და კუალი ნოსარისა ველარა გავიდეთ. ჩავსცივიდით შექირუებასა შინა ძნელსა. გამოვიდა პატარა ხანი, მოვიდა ნოსარ და კაცი ჰყვა შეპყრობილი. ოდეს მოიყვანა, საკუირველი კაცი იყო: ორი პირი ჰქონდა, ერთი პირი შავი და ერთი — ვითა სისხლი.

მით შავითა პირითა სპარსულად უბნობდა და წითლისა — ვერა გავიგონეთ — რა და ამას ახეუწებოდა: ნუ მომკლავთო; ყოველსა რჯულსა ღმერთი სწამს, ღმერთი შუამდგომლად მოგცა, რომელ დიდი გამსახურო. უთხრა უსიბ: დასტურად მოგკლავთ, იცოდეთ. შეშინდა იგი კაცი. ნოსარ ნისრელმან ეგრე უბრძანა: ნუ გეშინის ძმავო, ისი კაცი ხუმარია არისო. აწ მომეც შუამდგომლად ღმერთი, რომელ არა მიტყუო, თუარ მიზამ ვერასო. ფიცა მან კაცმან სახელი ღმერთისა და თქუა: აპა ორნი ფრინველნი არიან დიდნი უზომოდ და ღონე მათისა ომისა არა არისო.

უბრძანა ნოსარ, გუალე, წაეიდეთ მათის ომისა ადვილი არისო. წავედით და მინდორსა გავედოდიოთ მე და უსიბ და ალი დილაში ერთგან. მარტო ნოსარ კიდე მოვიდოდა. მოფრინდა იგი ფრინველი და ჩუენ სამთავე ზედა მოვიდა. იყიელა უსიბ: გუიშუელე, ნოსარო. მან ცხენი შემუშურევა და ეირე გაესწრებოდა, კრმალი ჰკრა და მოკლა, ვითა კატა. იყო საზომი მის ფრინველისა პილოს ოდენა. გაუყუიროდა მას კაცსა ორპარსა და ეგრე თქუა: ნეტარ ქაბუკი ამისებრი არის კაციო?

იგი ერთი ფრინველი შინა* არ იყო. წავედით მუნითა და თქუა მან ორპირმან კაცმან: აქათგან ტალა გუინდაო. დამაყენეს მე. მოვიდეს ლაშქარნი და მარტომან დავკოცნ. წავედით მუნითაცა. მეორესა დღესა დააყენეს ტალად თუით უსიბ და კარგად იყო უსიბისა ესე მოგაკენო, უსუსერიო იყო, თუარა გული კაცისა უკეთესი არ ეგებოდა. მესამესა დღესა თქუა მანვე კაცმან: აქა ტალა გუინდა კარგო და დადგა ალი დილაში. და მოვიდა ორი მიწოდენი ლაშქარი და იყო კიცა, ვითა ხუდებოდა ქაბუკობასა მისსა, დაკოცნა და გააქაზენა, რომელ რისხვა ღმერთისა დასცა. წავედით მუნით და ვლეთ სამი დღე. სხუა აგუიზნდა ციხე. იქითხა ნოსარ: ვისი არის ციხეო. მან კაცმან ორპირმან მოაკსენა: ისი დევთა არისო და იგი ღომთა ღომი ბადრი იქი შიგან არისო. ლამოდა ნოსარ ნისრელი, რომელმცა გამოვიყვანეთ; ვირე მე ისი არა გამოვიყვანო, მანამდისი სხუასა საქმესა არა დავებაო.

ერთსა ადვილსა თქუა მან ორპირმან კაცმან, ვითა: აქა თუით შენ დადექ ტალასაო დადგა ნოსარ ნისრელი. არქუა მან ორპირმან კაცმან, ვითა: დაძინებასა გერძალეო. და იყო მას ღამესა, რომელ გუესობოდა კმა ომისა ვიღრე ქათმისა ყვილამდის. მერმე დასწყენარდა ომი და თურე ეძინა ნოსარ ნისრელსა. და მოვიდეს დევნი ორნი ძმანი ბაყბაყ და ხაზარან, მოკუეთეს კალოსა ოდენი მიწა და წაიყვანეს ნოსარ ნისრელი და წავიდეს. ზედა გათენდა. ვნახეთ კოცილი იყო ლაშქარი ურიცხუი და ველარა ეპოეთ ნოსარ ნისრელი. ჩუეკუივდით ურეასა ძნელსა შინა და წაუდგა კუალსა ალი დილაში და იგიცა წაქდა მასვე გზასა. თქუა უსიბ, ვითა: თუცა იგი ორპირი კაცი მოგუკლა, აწმცა მშვიდობით ვარაო. თქუა მან ორპირმან კაცმან: რა ექენ, ბალს ქმარო. ავინა უსიბს და წავიდა.

ქსლავ თქუა, ვითა: არა ვთქუიო, თუ მან გუიყო ყუელაო და ჩუენ წავედით და მივედით იამინსა კაბუკსა თანა და მან გამოგუგზავნა წინაშე შენსა და მოგაკსენა: ამირან დარეჯანის-ძეო, სახელთა ყოველთა უფროსო, მე ბერი კაცი ვარ და აღარა შემძლია, თუარა ვიმოწმებ ღმერთსა, რომელ კაბუკობისათვის არა ვისი მინდოდის ქენება, აწ კელთა ჩემთა აღარა არის. ძე ჩემი ბადრი შეუპყრია დევთა და მისთა ძებნად წავიდა იგი ღომი ნოსარ ნისრელი და იგიცა ცოდუთა ჩემთა დააპყრეს და ფათერაკად იგიცა შეპყრეს. აწ შენლა ხარ მათი ღონე, რა დააჯეროს ღმერთმან კაბუკობასა შენსა, იგი ქმენითო.

მაშინ ბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან: პირველად ესე იცოდეთ, რომელ წავალ დასტურად, განა მოვილოდინოთ აბან ქამანის-ძე და მათ სხუთა მოკლა ვყოთ ანუ ჩუენ წავიდეთო. მე ეგრე მოვაკსენე, ვითა: ცხოვნი უკუნისამდე, ამირან დარეჯანის-ძეო ვინათგან წახულ, სისწრაფე გუინდა, ნუთუ დაკოცნენ და ველარა მიუსწრათა.

* აქედან აქლია A ხუნაწერს.

ქარი მოთხე

ამირანდარეჯანის-ძისა ამბავი

ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე! აღიდნეს ღმერთმან მოყუარენი თქუენნი და არცხუენის ორგულთა თქუენთა!

მასე დღესა წავედით თუით ამირან დარეჯანის-ძე, მე — სავარსიმის-ძე — და შო-სანი კაცი. მივედით იამანსა კაბუქსა თანა. გამოგუეგება წინა იამანი კაბუქი, კაცი ბერი და შუენიერი, შეეტყობოდა, რომელ ყოფილიყო ღოთი კაბუქი. ატირდა ძნელად და თქუა, ვითა: მეტსა ვერას მოგაკსენებ, რალა გინდა, ქმენ ღონე შენ ხარ ჩუენიო.

მოაკსენა ამირან დარეჯანის-ძემან: მეტსა ვერას გიქადებ, ანუ მოგუელები მათა-ნავე, და ანუ ვიკსნენ იგინცა.

დაეყავით მუნ დღე ერთი და ვითხოვეთ ყოლაუზი კაცი და მოგუგუარეს უსიბვე. და წავედით და ვლეთ თორმეტი დღე და მივედით მას აღგილსა, სადა ბადრი იამანის. ძე შეეპყრა. და მოაკსენა უსიბ: აჰა იგი აღგილი, სადა ძმა შენი ბადრი შეიპყრესო-გარდაკდა ამირან დარეჯანის-ძე და ატირდა.

წავედით მუნითაცა და ვლეთ სამი დღე და მოგუეგება წინა იგივე ორ-პირი კაცი. თაყუანისცა ამირან დარეჯანის-ძესა და მოაკსენა, ვითა: ფიცებული ვიყავ ნოსარ ნის-რელისა და არა გაუტებ ვიცსა. თუ მას ვერა ვმსახურე, აწ, რადგან თქუენ მისდა ძებ-ნად მიხუალთ, დამიც გული თქუენთანა. რომელი შემეძლოს აწ, გმსახურო. უსიბ იგრე უთხრა მას ორ-პირსა კაცსა: კულავ მოხუელ, ჩუენო კუროვ და მკვლელოო?

უსიბს გაუწყრა ამირან და მას კაცსა უბრძანა: ყურთხუელმცა ხარ, ძმაო. წაგუე-ძლუა იგი კაცი და წავედით.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო! აგუიჩნდა ციხე მალალი. ჰკითხა ამირან დარეჯანის-ძემან: ვისი არის ისი ციხეო. მოაკსენეს: დევთა არისო და იგი ღოთნი აღი დილაში და ინდო კაბუქი იქი შიგან არიანო. ოდეს მათნი პატრონი შეიპყრნეს დევთა, იგინი უკან მი-წვივნეს, შეებნეს ფიცხლად და იგინიცა შეიპყრნეს გრძნებთა რათმე და ამას ციხესა შიგან ხსენანა.

დადევით მას ღამესა მის ციხისა ძირსა. დილასა შეეკაზმა ამირან საქუეთითოთა აბჯრითო. აილო ფარი და შეუდა ციხისა ძირსა. წამოდგეს ზედან ლაშქარნი და ესრო-დეს ქვითა. შეუდა ზედა და შელეწნა ციხისა კარნი. შევიდა და დაეკონა და წაულო ციხე და პოენა მას ციხესა შიგან ორნივე, აღი დილაში და ინდო კაბუქი და არა შე-ეძლო, თუცა თანა წამოეტანნეს, მეტად შავებულ იყვნეს. და დაყარა მუნვე და და-ავდო მათ ზედა შოსანი კაცი, დაბეჭდნა კარნი საქურქლისანი და წავედით სამნი ჩუენ და მეოთხე იგი ორ-პირი კაცი. მივედით მას აღგილსა, სადა შეეპყრა ნოსარ ნისრელი და მუნ აჩნდა მოკუეთილი მიწა. გუიჩუენა აღგილი მან კაცმან და ეგრე თქუა: აჰა იგი აღგილი, სადა შეიპყრეს-ნოსარ ნისრელიო. წავედით მუნით და გუარქუა მან ორ-პირმან კაცმან: მე აღარა წამოვალ და არცა-რა ვიციო. ესე ოდენ ვიცი, რომელ ამა სამისა დლისა სავალსა ტყე მოგხულებსი, რომელ ყოველი საყოფელი არის მკეცთა და რა იგი გაიაროთ, თქუენ თუით გაუფრთხილდით, მე აღარა ვიცი რაო.

უსიბს რქუა მას კაცსა: აჰა, თუ ეტიკი ხარ, ეგეთი კამსო. იქცა იგი კაცი. წავე-დით ჩუენ და მოგუხუდა ტყე იგი. ზენაარმან ღმრთისამან და თაემან თქუენმან, ხუთასი ღოთი და ვეფხი მოკვალით, და გაეიარეთ ტყე იგი და მოგუხუდა წყალი დიდი. იყო ნავი და იყვნეს მენაენი. რა გუნახეს, თაყუანის გუცეს და გუკითხეს: მოდარბაზენი ხართო? ვთქვით თუ — მოდარბაზენიო. აჰა, ბრძანეთ და ჩამოსხედითო. ჩავსხედით და ვითა შუა შევედით, წაგუიადეს მენაენი და ნავი და ჩუენ დაერჩით წყალთა შიგან. მერმე ერთსა დღისა მე შემომივლო, ერთსა უსიბ და ცურვით იმიერით გაგუტრანა და ეგრე გუიბრძანა: ღმერთო, დილისა ფათერაკისაგან დავრჩითო.

წავედით მუნით და იყო დიდი კლდე. გამოვიდა მის კლდისაგან კაცი დიდი წით-
ლოსანი და თქვა: ვაშად მოხუელ ამირან დარეჯანის-ძეო. აიყვანა ამირან და ნებსა
ზედა დაისუა და უბრძანა: ვაგლახ, რა ცოტა ხარო, განა ვინ ხარო.

უსიბ მოაკსენა: ეგე, ღმერთო, არავეინ არაო, კაცისა ყუელასი უარესი არისო. მან
დიდრმან ეგრე თქვა, ვითა: ყოველი რიალი შენ ჰქმენ უსიბ და შეაპყრობინენ იგი
ლომში და აწ ესე მიაგავსო. უსიბ უთხრა: ლებელღორო, რა საწყალი და ავი კაცი ხარო,
თუარა მე რა უნდა ვიყო უბრძანა დარეჯანის-ძემან: მითხარ, ძმაო, რა ხარო. მან
მოაკსენა, ვითა: დიდოთ მეფე ვიყავ, დევთა გამომამქეს და ლაშქარნი დამიკოცნეს და
მე მარტო დავრჩომილვარა. უსიბ უთხრა: რადგან აზომ საწყალი და მეფობისა მაციუნე-
ბელი იყავ, ნეტამც არც შენ დარჩომილიყავო.

მოაკსენა დიდომან: აწ სად წახულა, სარგებელი შემძლია, თუ კარგი კაბუჯი
ხარო, და თუ რა გამსახურო, აღმითქუე, რომელ მამული ჩემი მომცე. უბრძანა ამირან:
ზენაარმან ღმრთისამან, მოგცეო.

წავიდა დიდოთ მეფე და წავედით ჩუენ. და იყო კლდოვანი ადგილი და კვი ღრმა,
და ყო მას კვესა შინა მალაღი მოხუეწილი კლდე. გამოვიდა მის კლდისა თავსა გუელი
საშინელი და იწყო კაჭრობად. და მუნ მოვიდოდა ყოვლისა ქუეყანისა გუელი. ვკოც-
ლით და მოგუეწინა კოცა და არა მოჰქდა ღვეა მათი. მერმე ამირან დარეჯანის-ძემან
ამოიღო მშვილიდი, გარდაუტეა და შესტყორცა ისარი — ბოძალი და წარჰკუეთა ოთაგი
მას გუელსა, რომელი ჯდა კლდისა თავსა და გარდასწყდა გუელისა მოდენა. და გამო-
ვიდა მას ადგილსა კაცი და ეგრე იყილა, ვითა: თუ ამა გუელისა მოკლეა კარგა გეჰ-
ნას, აწ სცანთო.

გამოვიდა სხუა კაცი და ჰკითხა: იმა კაცთა მოკლეს ჩუენი გუელიო? ჩამოკდეს
ორნივე, გაახუნეს კარნი მის კლდისანი და გამოვიდეს სამნი ეშაპნი საშინელნი — ერთი
შავი, ერთი თეთრი და ერთი წითელი. თქუა ამირან დარეჯანის-ძემან: ოთაგი მე, თეთ-
რი შენ, საეარსიმის-ძეო და წითელი უსიბსა. მოაკსენა უსიბ: ჩემი წითელიც შენდავე
მომიკსენებიაო. შემოუტრევს ეშაპთა და ჩუენცა მათ შუტივეთ. წითელი მოვიდა, ჰკრა
კრძალი ამირან და მოკლა. მე და იგი თეთრი ვიბრძოდით. ჰკრა და იგოცა მოკლა.
შავმან შემოუტრევა უსიბა და ჩინთქა ამირან დარეჯანის-ძე და გაიქცა. მე მივეწვივე,
კრძალი ვკარ და კული მოკუეეთე. შემეხუეწა მას სახლსა და ვეღარა შევიგენით გზა და
კუალი მისი.

დავიწყეთ ტირილი. და კელი იყვის დარეჯანის-ძისა, რომელ ორნი დაშინანი იქით
და აქით მოგუევიგან ესხნიან. ამოილო და შიგან მუცელი დაუქრა, გუერდი გაუპო და
გამოვიდა სისხლითა შესვრილი და გუიბრძანა: ავად მიშუელითო! და იყვნეს მას სახლსა
შინა საქურკლენი, დაბეჭდა და წავედით მუნით და ვლეთ ორი დღე. კიდის-კიდე ვი-
არუბოდით. მე გარდამევიდა კაცი ვინმე დიდი. შუბლსა თუალი ედგა და მარქუა: საწყ-
ყალნო, უსიბ მოვალორანო. მომეკიდა წასაყვანებლად. შევიბენით და ვიბრძოდით დიდი
ხანი. მოვკალ და მოველ დარეჯანის-ძესთანა. უსიბმე და უჩუენე კაცი იგი. გაუკუიროდა
და დამიხადლა: ევლენ დიდისა კაცისა მოკლეა ჩემგან. წავედით.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე! ვიარეთ სამი დღე. დიაცი ვინმე
ჯდა და ტიროდა, და ვკითხეთ: რა გჭირსო. მან გუთხრა: ვითა: ჩუენი რჯულნი ხართო?
[უთხარიო: იგი ვართო]. ამაზედა თქუა: ამომეგონა ბადრი იამანის-ძე, იგი ლომი და
მესთუს ეტრი, შაშინ, ოდეს გრძნელთა შეიპყრეს, მე ტყუედ წამომიყვანეს და მაშინ-
დლითგან აქა ვარ, ამა ეშაპთა შინაო, აწ ბრძანეთ და სადელი მოგაკსენოთ.

ჩუენ მათ დღეთა ნადირი არ შეგუეპყრა და მოგუეშეოდა. წავედით. წინა წაგუეძ-
ლუა იგი დიაცი. მის კლდისა ძირსა მივედით. კარი უკუალა, შევიდა და რა ამირან
დარეჯანის-ძე შეიყვანა, დიდი ლოდი კარსა მოაგორვა. ეს თურე დევი იყო და ჩუენ

გარე დაერჩით. რა შინა შევიდა, კაცი ვინმე ჯდა, შუბლსა თუალი ედგა და უთხრა: ვაშად მოხუელ, ამირან დარეჯანის-ძეო, განა რა გლახ მოიგონე აქა მოსლიყო.

ესი იყვის წესი დარეჯანის-ძისა, რამცა მისქირდის — აბა, ლომო ლომთაო, იყიელა და უთხრა: ვაშად გნახეო, მაგრამ შენთვის, ღმერთო, დია სჯობდა, თუცა არა გენახეო.

ცოტა ყმა გამოვიდა. შუბლსა თუალი ედგა მასცა და ეგრე უთხრა: მამაო, ვიცო, რომელ იმა ყმასა მოჰქლავ, ქუეღამიდე და მე მოვეკლავო. ჩუენ ედგევიართ კართა ზედა და არა გუაქუს ღონე შესლვისა. ამირან დარეჯანის-ძემან ავინა მას ყმასა ცოტასა. ფერკნი დაუქირნა და მისსა მამასა პირსა შესტყორცა, და მოკლა იგი ცოტა ყმა. მაშინ ახლტა იგი ბერი კაცი, შეიბნეს კელის-კელ და იბრძოლეს დიდი ხანი. და მოვრია ამირან, დასცა და ამოიღო დაშნა, ჩასცა თუალსა, თუალი წამოუვდო. იყიელა დეგმან, ვითა: ნულარ მომქლავ, ქაბუკობასა შენსა, იქ ჩემშემ ნესტო*.

და დაავდო დევი და შეიპყრა იგი დიაცი, რომელმან მიგუტიყუნა და უბრძანა: შენ სხუასაცა ვისმე მოაცთუნებო, და მოკლა. გაგუიღო კარი და შევედით. იდეა დევი და ცოტალა სული ედგა და აღარა ლამოდა სიკუდილსა დარეჯანის-ძე. ამოიღო კრძალი უსიბ და მოკლა. გაუწყრა დარეჯანის-ძე უსიბს. მან ეგრე მოაქენა: ნუ სწყრები, პატრონო, სხუასაცა ვისმე მოაცთუნებსო. და ეპოეთ მუნცა დიდი საქურჭლე, დავბეჭდეთ და წავედით, აღარა მოგუხუდა გზასა ზედა ეგეთი.

უსიბ მოაქენა: აქათგანცა ტალად დგომა გუინდაო, და მას ღამესა დადგა უსიბ. მოვიდა ლაშქარი და კარგად იყო იქიცა. მუნით წავედით. დავედგ ტალასა თუით მე და დავკოცნ ლაშქარნი. წავედით მუნით და ვიართ ერთი დღე. მოგვხუდა უბადო აღვილი. ტალასა დადგა თუით ამირან დარეჯანის-ძე. მოვიდა დიდი ლაშქარი, და ეკოცა და ამოეწყურტა. ამაზედა მოვიდეს დევი ორნივე ძმანი ბაყბაყ და ხაზარან. დევიძინა ამირანს და ვითა ნოსარ ნისრელი, მოჰქუეთეს ქუეყანა. და განკრთა ამირან და „ოპო“ თქუა. შეუტევა ცხენი. გაესწორა ბაყბაყ, ჰკრა ხაზარანს და მოკლა. წავედით და მივედით მას ციხესა, სადა სხდეს პატიმრად ბადრი იამანის-ძე და ნოსარ ნისრელი. იყო ციხე მალალი და ქალაქი შეუვალი, არა ეგებოდა კაცისაგან შესლვა და ვითარ ღონე ვერა ავიგეთ, მუნ დავყავით კუირა ერთი და ამას ვლამოდი, თუცა გამოსულყო იგი ბაყბაყ დევი და შეგუეპყრა, და არა გამოვიდა.

და ვითა ულონო ვიქმენით, თქუა უსიბ: არა იქმნა იგი ბილწი ღიღო? ამაზედა მოვიდა დიღო იგი და გუითხრა: განალა ვერასა ხართ ღონესაო? უბრძანა: ვერასაო. — აბა, მომიდქვით უქანაო.

ჩაგუიძლუა დიღო ციხესა. იმიერით იყენეს ხენი შუენიერნი და გამოდიოდა წყარო ძირსა მათსა ხეთასა. ჩამოვიდის ფრინველი ყოველთა დღეთა, სუის წყალი და ციხეს შევიდის. თქუა დიღომან, ვითა: მე მაშინვე მითქუამს — თუ კარგი ქაბუცი ხარ, ღონე ვიცო მითქი — თუით იმა ფრინველსა ფერკთა მოკვიდეო, აღფრინდების და მას ციხესა ჩაგსლუამს, აწ ღონე ესოლენ არისო.

უსიბ ეგრე უთხრა: აბა, ვაგლახ, შენ რა თურე სრულად ავი ხარ! ვითარი შენსა კაცობასა შეჰგავს, აგეთიცა ღონე გუასწაველიო.

შეიქმნა მათ ხეთა ქუეშე სამალავი ამირან დარეჯანის-ძემან და ჯდა მას სამალავსა შიგან. ვითა ჩამოვიდა ფრინველი, შეხლტა და ფერკთა მოკვიდა. აღფრინდა ფრინველი იგი და ციხესა გაემართა. წამოდგეს ზედა და ყიოდეს: მოვიდა, მოვიდაო. ვითა დაეპწორა, ჩადა ციხესა დარეჯანის-ძე, და გამოიწოდა კრძალი და იწყო კოცად. მიჰკოცდა და მივიღოდა. და იწყეს მათ პატიმართა შიგნით ყვილი, ვითა: კარი გაგუიდეო. დაკოცნა დარეჯანის-ძემან მრავალნი კაცნი და მოვიდა საპატიმროსა კარსა, ჰკრა კრძალი და გატეხა კარი იგი და გამოახსნა პატიმარნი. გამოვიდეს ბადრი იამანის-ძე და ნოსარ ხის-

* სპარსული წინადადება, ნიშნავს: ერთი თვალი არ მაქვსო. ზღუნაწერებში ეს ადგილი წარყენილია, ტექსტი აღდგენილია აქად. ნ შ ა რ ი ს მ ი რ.

რელი. მაშინ უფროსნი დაკოცნეს და ასწუილდნეს. ბაბაყ დღეი ლამოდა წასლვასა. მიეწია ნოსარ ნისრელი და მოკლა. შევედით ციხესა და არა იყო რიცხუი განძისა. დავეყავით კურია ერთი და ავიკდეთ ხუთასსა აქლემსა განძი და სხუა ყოველი ციხე-ქალაქი და საპურკლენი მას, დიდოთ მეფესა, მიუთოლნა, ნუთოცა გარდაეკადა მსახურებისა მისისა ნაკვალში. წამოვიღეთ განძი ურიცხუი მუნითცა, სადა იგი დიაცი მოკლა. მუნითცა გამოვიღეთ, სადა იგი ვეშანი დავეკოცნით. და მოვედით მას ციხესა, სადა სხდეს ალი დინაზი და ინდო კაბუკი, და მუნითცა გამოვიღეთ ურიცხუი განძი.

მეგზსა ესე ამავეი ყოველსა არაბეთსა, ვითა: კაცთა ვისმე ვეშანი და ღვენი და ლეკონიან და მოაქუს ურიცხუი განძიო. შეკრბა ყოველი არაბეთი და უკანა მოგუეწიენეს, რომელ სიმრავლისა რიცხუი არა ეგებოდა. იგივე სამნი ლომნი და ჩუენ მათნი წვანი შევეგებენით. თავნან თქუენმან, მათ სამთავე უტეთესა ვერ გამოარჩევი, ერთმანერთათა სჯობდეს. ვიბრძოლეთ საპი დღე. გაეკაცვიენით და დავეკოცნით, რომელ რისხვა ღმრთისა მიეაწიეთ მათ ზედა. მაშინ ააგეს მას აღგილსა ზედა სახლი ქვითკირისა და დაწურეს სამნივე და ჩუენცა მათნი ყმანი დაგუწირეს. წამოვედით და მოვედით იამანსა კაბუკსა თანა. დაუყავით კურია ერთი და შეიყუარეს ერთმანერთი და ძმად იფიცნეს სამნივე. თავმან თქუენმან, სამთა მათ ვერაეინ მოკრეოდეს. გაიყვეს განძი სამად და წავიდეს თავთავისსა აღგილსა.

აქა დასრულდა კარი ინდოთა მეფისა, ბადრი იამანის-ძისა, ნოსარ ნისრელისა და ამირან დარეჯანის-ძისა, და თქუენცა ნებასა ზედა სუფევთ უკუნისამდე, ამინ.

ქარი მხსუთი

ამბრი არაბისა ამავეი

ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვრდი უკუნისამდე! აღიღნეს ღმერთმან მოყუარენი თქუენნი და არცხუნოს ორგულთა თქუენთა!

ამა კაცისა ამავეი დიდად იამებოდა ამირან დარეჯანის-ძესა და აწ მოვაკსენებ მეფობასაცა თქუენსა:

შუკათსა შიგან შემოვიღოდი ბაღდადსა და სამნი კაცი ბანთა ზედა სხდეს და ლეონოსა სმიდეს. ერთმან ჩამოიხედა და თქუა, ვითა: ამა ამირან დარეჯანის-ძეო, რომლისა მსგავსი კაბუკი არა არს ქუეყანასა ზედაო. ჰკითხა მოყუასსა: არსცა ამისებრი კაციო? და თქუა: არა არის ბირსა ქუეყანისასაო. მან მესამემან ეგრე თქუა: [არაბეთს] ამბრი არაბის მეტი არაეინ არისო. ესმა ამირან დარეჯანის-ძესა და ეგრე მიბრძანა, ვითა: გესმისო? მე მოვაკსენე: მესმის-მეთქი. ეგრე მიბრძანა, ვითა: იგი კაცი თან წამოიტანე და გუითბრას მის კაცისა ამბავიო. უკვე მასკაცსა, ვითა: თქუი, ძმო, ამბრი არაბის ანბავიო უარყო მან კაცმან: არა ვიციო უბრძანა [დარეჯანის-ძემან]: ვითა არა იციო? ოდეს შენ და შენნი მოყუასნი სმად სხედით, იკითხა ერთმან თქუენმან ყმამან: არსცა დარეჯანის-ძისებრი კაბუკიო? სხუთ თქუეს: არა არის მისებრიო. შენ ეგრე უთხარ: არს არაბეთს ამბრი არაბიო და თუ მას უნდა, სჯობსცაო.

შეჰინდა კაცი იგი და ეგრე თქუა, ვითა: მოვრალი ვიყო. მაშინ აფიცა კაცი იგი და ჰკითხა ამირან დარეჯანის-ძემან. მოაკსენა მან კაცმან, ვითა: ფიცე, რომელ აეი არა მიყო რა და მოვაკსენო. ეგრე არქუა ამირან: არა თურე აეი გიყო, დიდად დავიბადლო.

დაიწყო მან კაცმან ანბრი* არაბისა ანბავისა თქმა და ეგრე თქუა: მოვაკსენო ყუელა, რომელი თულთა ჩემთა უნაბავს, თუარა წამენისა რიცხუი არა არისო. ორნი მეფენი იყენეს არანეთსა და ვიკრებოდეს ერთმანერთსა და იყვის ყოველთა დღეთა და ყოველთა ჟამთა ონი სამინელი, რომელ არა გაიგონების ენითა. და იცით თქუენცა, რომელ არა ამირან კაბუკი იამბთაებრი ბირსა ყოველისა ქუეყანისასა. ყოველი არაბეთი შუა გაყო-

* მ ხელნაწერში წმირია ამბრის ნაცვლად აბრი.

ფილი იყო და იბრძოდეს ერთი ხანთა მეფისა მძახალი და ერთი იამანთა მეფისა მძახალი, და ხანნიცა და იამანნიცა შუელად მოვიდინან. და ამისობაშიგა გამოკედეს მრავალნი წელიწადნი, რომელ ერთმანერთისა ბრძოლასა შინა იყენეს; და მოერჩენეს ხანნი იამანთა მით, რომელ, ოდეს თურქნი და არაბნი ერთგან იყენეს, მათი ბრძოლა ძნელი არის. და გააძის ერთი იგი მეფე და წავიდა იამანა და გაჰყვა ერთი დიდებულთა მნსთავანი, რომელსა ერქუა სახელად ომარ, ლომი კაბუჯი და დიდი კაცი. და სხუა არაეინ გაჰყვა მისგან კიდე დიდი კაცი.

მოვიდეს იამანსა და მუნ იყო არაბთა მეფე და ეცადნეს იამანნი ლაშქარნი არაბეთსა შესულასა და ვერა შევიდეს. დაყენეს მრავალნი ტანი იამანსა შინა. და ესუა ძე იამანთა ქალაქსა შიგან არაბთა მეფესა და მასვე დღესა მიეცა ძე ომარს, დიდებულსა მისსა, და დასდვა სახელი ომარ ძესა მისსა ომარ. და მისცა ხუთისა წლისასა ომარ ამარს დედამძუძედ აბუტარ, ლომი კაბუჯი, და ეგრე უთხრა ომარ მას აბუტარს, ვითა: ესე შეილი ჩემი ამარ შენდა მომიციეშია, ასწავლე ომი და აბჯართა კაზმა, და ვითა სჯობდეს კაბუჯსა ყუელასა არაბეთსა შიგან, ეგრე გაასწავლე შეილი ჩემიო.

მან დიდად უქადა, ვითა: ეკაობრივი საქმე ყუელა კარგად მოვაგლინო და გული კულა ღმერთმან მისცეს. და თუ გული არა უც, არას ერგებისა. ამისაუჟას მისცეს აბუტარს საზრდელად, რომელ ოდეს იშობა, მაშინვე იყო გამარჯუებული კაცი და ლომი კაბუჯი და ვერაეინ დაუდგის წინა ნტერი დღეთა მისთა შინა. და ვითა შეიქმნა ამარ წლისა შუილისა, ასწავლიდა აბუტარ ოროლითა მღერასა და მშვილდოსნობასა და რაცა საკაბუჯო საქმე იყო. ნადირობდის და ასპარეზსა სცემდის და სადაცა მინდორსა შიგან ლომი დახუდის, მან, ცოტამან ყმაძან, ვითა კატა მოკლის.

ერთსა დღესა მინდორსა შიგან იმღერდა ოროლითა. მოვიწმევიდა ღარიბი კაცი, შეხედნა მას ყმასა და ეგრე თქუა, ვითა: ავიპყრა სტროლოპიო. აიპყრა სტროლოპი და ეგრე თქუა, ვითა: არა იყოს მის ყმისა დამართებითი კაბუჯი ქუეყანასა ზედაო. და შეიქმნა თხოუმტრისა წლისა და არა იპოებოდა იამანთა სამეფოსა შიგან ცხენი, რომელმცა მას რგებოდა. ეძებდა მამა მისი ცხენსა და ვერა ჰპოებდა ეგეთსა, ვითარი კამდა. ამაზედა მოვიწმევიდეს კაცნი ინდონი და მათ კაცთა ჰყვა ზერდაგი ოთხრისი, რომელ არა იყო მისებრი ქუეყანასა ზედა, და დადად გაეხარნეს იამანთა მეფესა და იყიდა ზერდაგი იგი ოთხრისისა სამასი ათას დრაქანად, და უწოდა ამარს სახელი ამბრი არაბი და უბრძანა — შეჯყო. და შეჯდა ამბრი არაბი და იახოვნა კინენი, გავიდა და მოეღანსა შიგან იმღერდა. და ხედვიდა იამანთა მეფე და ყოველი იამანეთი და თქუეს, ვითა: ყოველსა ქუეყანასა ზედა ერთი ცხენი და ერთი კაცი ამათებრი არა არიანა.

ამაზედა კაცი ვინმე ცხენსა ჯდა და მოარბევდა. ჰკითხა ამბრი არაბმან: ძმაო, რა არს, რომელ ასრე ფიცხლად მხოულაო? მან ეგრე უთხრა, ვითა: იმეკობრნი გარდაგუეკიდნეს მე და მოყუასთა ჩემთა და მექარაენენი ვიყუენით დიდნი და მე ოდენ გარდმოვიხუეწე, მაშინ უთხრა ამბრი მას კაცსა: წანიძელ წინა და მიიუენენო.

წაუძლუა იგი კაცი და წავიდა ამბრი არაბი და ყმა მისი გამზრდელი აბუტარ და ნახეს, რომელ მინდორსა შიგან გამოვიდოდეს დიდნი ლაშქარნი მეკობრენი, სამი ათასი შედარი. მოაკუნა აბუტარ: დადღე, შენ ჯერ ცოტა ყმა ხარ და ნახო შენისა მოწისა და გამზრდელისა ომიო. გაიწყო გული ამბრი აბუტარისათვის და ეგრე უბრძანა, ვითა: ვიყო არა გამოცადლო, მაგას ნო იტყუიო. მერმე შეუტრევის ორთავე და, თავმან მეფობისა თქუენისამან, ორთავე პატრონ-ყმითა მოკლეს ათას-ათასი კაცი და სხუანი ძლივ გარდა ეხუეწნეს. განა თუცა ლომი იყო აბუტარ და მრავალგან დანხდურაყო და ნაომარი, მაგრა, თავმან მეფობისა თქუენისამან, ეგრე არა გვანდა ამბრის ლომი იგი აბუტარ, ვითა: ბედითი ვინმე ყმა ყოფილიყო.

ესე იყო პირველი ომი ამბრისა. ესე ამბავი ამირან დარეჯანის-ძეა დიდად იამა და თქუა, ვითა: თავი, ღმერთო, კარგად აულო და ბოლოსი აღარა ვიციო. მოაკუნა მან

კაცმან, რომელი ამბავსა გუიოხრობდა: ცხოვრდი უკუნისამდე, ამირან დარეჯანის-ძეო! ასეთი, ღმერთო, მოგაკსენო მათი ნაქმარსა, რომელ ესე მასთანა არა იყოს-რა.

დაიწყო შობა და თქუა, ვითა: ხანთა მეფესა ვითა მისსა მათ მეკობრეთა თურქთა დაკოცისა ამბავი, მტერი იყო ხანთა მეფე, გამოყარა იამანთათუის და ვაგზაენი იამანთათუის ორასი ათასი მკვლარი. წამოვიდეს და ააოკრეს, რომელი დარჩომილიყო იამანთა ქუეყანა და მოადგეს იამანსა ქალაქსა, რომელ რიცხუი არა იყო სიპრავლისა მათისა. და ჩავარდა იამანთა მეფე და იამანეთისა ქუეყანა შექირებებსა დიდსა. დღესა ერთსა ჯდა იამანთა მეფე ბანთა ზედა. ხელვდა ლაშქართა და გუერდით უჯდა არაბთა მეფე. მაშინ შეიკაზმა ზერდაგი მისი ამბრო არაბზან და ვავიდა. ვაპყუა ყმა მისი აბუტარ. დაიწყო ომი, რომელ, თავმან თქუნემან, არა ნახულა ეგეთი ომი კაცისა თუალითა. შევიდა ლაშქარი შიგან და ვთქუით: დაკოცნესო. კულაე გამოჩნდიან და მას დღესა შინა მოკლეს ათასი ხუთასი კაცი — ათასი ამბრომ და ხუთასი აბუტარ, ყმამან მისმან, და შემოვიდეს მშვიდობით. მაშინ ჩამოეგება მეფე იამანთა, შეასხა ქება და უბრძანა: ყურთხეულმცა არს მარჯუენა შენი და კურთხეულმცა არის იგი ღმერთი, რომელმან დაგაბა ეგეთი ქაბუეა. და უბრძა საბოძარი დიდი არა თუ მეფემან, განა ყოველმან ქალაქმან. და შეასხეს ქება და მისცეს ურიცხუი და შეშინდეს გარეგანნი ლაშქარნი და დაუწყეს ომი ყოველთა დღეთა უფროსი, და უფროსი მოკლეს. ათი დღე დაყვეს მათ ლაშქართა და ათსა დღესა შინა დააკლეს თხუთმეტი ათასი კაცი. მაშინ ველარა დაუდგეს, აიყარნეს და წავიდეს.

დილასა, ოდეს ნახეს წასლვა, შეჯდა ზერდაგსა ამბრო და მიეწია უკანა და მოსწყუდა ათასი ხუთასი კაცი. სხუანი ძლეს წავიდეს. წამოვიდა შინა ამბრო არაბი და აბუტარ ლაშქართაე სდგდა. მოკლა სამოცი ოდენი კაცი და ბოლოსა ეამსა ცხენი მოუკლეს აბუტარს და თუთა შეიპყრეს და წაიყვანეს. ძებნა ამბრო არაბზან აბუტარ და ვერ პოვა. დაიწყო შექირებება და კითხვა და ვერაიენ-რა უთხრა.

წამოდგა კაცი ვინმე და თქუა, ვითა: რალა სამალავი არის, შეიპყრეს და წაიყვანეს აბუტარო. მაშინ თქუა ამბრომ: გამზრდელო, დიდი თურე მიეჭირა, რომელ ვაზრდილი შენი არა ვიახლაო. მისთუის მოხდა საკუირველი შენი შეპყრობაო, ანუ მოვიკლა თავი ჩემი, ანუ ეიქსნა ჩემი ლომი აბუტარო.

წავიდა მარტო და უკანა მოეწია თურქეთს. თუცა გენახა, ამას იტყოდი, თუ: ამისებრი კაცი არა ნახულაო. მიეგებნეს წინა და შეგებნეს. და იყო მწუხრამდისი დიდი ომი. შეებნეს დიდნი ლაშქარნი და ვითა ნახეს ბრძოლა ფიცხელი, ველარა დაუდგეს, გაიქცეს და იქსნა აბუტარ და ეგრე უთხრა: აბა, ლომო ჩემო, ოდეს მიმჭირდეს, ასრე შენ მიშულეო. აბუტარ შეასხა ქება და ეგრე უთხრა: არა ნახულ-არს ქაბუეი შენებრიო.

წამოვიდით და მოგუესმა ამბავი, რომელ მას ომსა, როდეს უკან მოეწია ამბრო არაბი აბუტარისათუის, მაშინ დაკოცილ-იყო სამასი კაცი. და მოეგება დღისა ერთისა საჯალსა იამანთა მეფე და ყოველი დიდებული და ქალაქი. შეასხეს ქება და უბრძანეს საბოძარი მეფემან და ყოველმან ქალაქმან. ესრეთ სწიოუარეს, ვითამცა ყოველთა შვილი ყოფილიყო. განოკლეს დღენი მრავალნი და მოაკსენა ამბრო არაბზან იამანთა მეფესა: ცხოვრდი მეფეო, ღმერთსა ძლევა მოუცემია მეფობისა შენისად და ამათ ეამთა მოოკრებულ არს სამეფო შენა თურქთათან. აჲ მიბომენ ლაშქარნი და წავალ თურქეთს ზღევეად აზღენისა სისხლისა, რომელ დაბრუნდა მათისა კელისაგან სამეფოსა მას შინაო.

გაეხარნეს მეფესა და უბრძანა წუევა ლაშქრისა. ვავიდეს სპასალარნი და შეყარნეს ლაშქარნი სამოცი ათასი მკვლარი. შეჯდა მეფე იამანთა, ვავიდა, ნახა ლაშქარი ყოველი. და მიათუალი ამბრო * არაბსა. და თურე შეშინებულ იყვნეს იამანნი ლაშქარნი თურქთაგან. მოაკსენეს მეფესა: ცხოვრდი მეფეთ-მეფეო, არა გუასმია შამათა ჩუნთაგან და არცა გუინახავს ჩუენ, თუცა იამანნი თურქეთსა შესულნიყვნეს, და თუთ ყოველი არაბეთი მათი მშულელი არის. უბრძანა მეფემან, ვითა: აფსავ-ღმერთსა ჩემსა, რომელ ძლევა

* აქამდის ავლია A ზღანაწერს.

ჩუენდა მოუცემია და მერე ესე კაცი, რომელ გამოჩენილა სამეფოსა ჩუენსა, რომელთა ლაშქართა წინამძღუარი ესე იყოს, არა ეყების მათ ლაშქართა ძლევა მტრისაგანა.

მოაკსენა ამბრი არაბმან: «ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე! ჩემდა სამტეროლ არა უყოლია თურქთა, თუცა მათ უზემლი. მე ამისთვის ვიტყუი, რომელ მათათა კელითა აწ უყუდილა სამეფო შენი და მოაკრებულა ქალაქი. ვიცნობ თურქთა, არის დიდი სიმეფო, მათი და დიდი ლაშქარნი, მაგრა გოლაღებულნი არიანი. და მრავლითა ღონითა ეგებეს დაკოცა მათი. შევიწიო ღმერთო, თუ მარტოცა წავიდე, ვიძიო შური მათზედა».

დაიმაღლა მეფემან და მისცა ლაშქარი და უჩინნა სპასალარნი და უბრძანა ამბრი არაბმან: მოსუილოდეთ ჩუენსა კუალსაო. და წავიდა წინა ამბრი არაბი ათასითა მექდრითა და ცალკერძ წავიდა ათასითა მექდრითა აბუტარ და, საღამუსი მივსწუდით, ვაოკრეთ ქუეყანა მათი. მაშინ სცნა ხანთა მეფემან შესლვაჲ იამანთაგან. შეკრიბნა დიდენულნი მისნი და თქუა, ვითა: საპიძმარი და აუფი საქმე მოკდა—თურქეთსა შემოსლვა იამანთაგან, და კამს ესე ჩუენგან, რომელ შევანანოთ. აჲ შეუყარნეთ და წინა მიღებნეთ, ვირე შემოსლვამდის ქუეყანასა ჩუენსა».

მაშინ მოაკსენეს დიდებულთა, ვითა: ცხოვნი, მეფეთ-მეფეო! არაოდეს ყოფილ არს თურქეთისა დამარაუბითა იამანეთი. ვანა ისი კაცო, რომელი წინამძღუარი არის მთი, მისგან არის ყულდა, თუარა ვითამცა იკადრეს იამანთა თურქეთსა მოსლვა? აჲ შეეყარნეთ და წინა მიეგებნეთ და რა ღმერთმან გამოგუიჩიოს, იგი იქმნასა.

შეიყარნეს თურქნი და გამოგზავნა მეფემან ოთხი ათასი მექდარი. მოეგებნეს და შეიბნეს და ასწუდილნი ლაშქარი იამანისა, რომელ მტოყარნილა დარჩეს. და ჩუენ დარჩით თურქეთსა შინა ათას ხუთასი ცხენოსანი. მოგუესმა ანბავი და დაუმძიმდა ამბრი არაბსა და თქუა: აპირნო იამანისანო! ძნელი საქმე მოვიდა ჩუენ ზედა, აჲ ღმერთო არის და კაბუკობა ჩუენი დამარჩენელი!»

და ვთქუით ყოველთა ერთითა ვითა: რაცა ბრძანოს, იგიცა ვქმნათო.

წავედით ზუნიო. იყო ქალაქი მცირე. შეეგებნით და წაელეთ და დაეღეკით მას ქალაქსა შინა. მოვიდეს თურქნი და გარე მოუღადგეს, რომელ არა იყო რაცხუი ლაშქრისა სიპრავლისა. და პირველსა მისლვასა თუთი გავიდა მარტო და ჩუენ შინა დაუყარანა, და შეება ანბარი არაბი მას ურაცხუსა ლაშქარსა, რომელ ვგეთი ომი არა მინახავს. და დაკოცა მრავლი კაცი, რომელ ვთქუით—მასა დღესა შინა მოკუდა ორი ათასი კაცი. და შექოვიდა მშუილობითა, შეიჭირვებდა აბუტარისაჲუის და არა იყოდა აბუტარ, თუ სადა იყო ამბრი.

უამბეს აბუტარს თუ—ქალაქი არის მცირე და მუენ შინა არის ამბრი არაბიო. წამოვიდა აბუტარ. დალასა შემოურტევა ცხენა, და აქუდა კმა ლაშქართა შინა ომისა და თქუა ამბრი არაბმან: ნეტარ რად ისი კმა არსო! გაგრკელდა მას აღილსა ომი და ვერა ვიცანათ. ვამოვიდა ქალაქით კერკო. ოდეს ენახეთ, აბუტარ იყო; შემოვიდა და ხუთასისა კაცისაგან შემოკვეა თანა სამასი კაცი. და ვითა ნახა ამბრი არაბმან დაკოცა ლაშქართა, ითხოვა ცხენი და გაჰოვიდა, შეიბნეს, შეიქმნა ომი ფიცხელი. ესე იყო წესი ამბრი არაბისა: რა გაგრძელდის ომი, დაიწყის სრაოა კინენითა კაცისა. მოკლა მას დღესა შინა არა მცირედი და შემოვიდა მშუილობით. და გაიხარნა აბუტარ შემოსლვა მისი და შეიქმნა გარეგანთა ლაშქართა შიში. და გაგზავნეს ხანსა მეფესა თანა კაცი და მოაკსენეს, ვითა: ესე კაცი, ქალაქსა შინა რომელ არის, დაღად მარცხი არის მტერთათუის და მოუძღურებთან ლაშქარნი ჩუენნი და ბოლოსა ეამსა ძლევა მისკენ დარჩების. აჲ ბრძანეთ და თუით თავითა თქუენითა მოდით, ნუ ზედიოთ საქმე გგონია».

მოვიდეს დიდებულნი და მოაკსენეს ხანთა მეფესა. მაშინ ბრძანა მეფემან წუევა ლაშქრისა. და იყენეს სამნი ბუმბერაზნი ხანთა მეფისანი, რომელთა დამარტოებითი არა იყო. უბრძანა ბუმბერაზთა მისთა, ვითა: მოსულა ქუეყანასა ჩუენსა ამბრი არაბი, კაცი ერთი, რომელ არა არს დამარტოებითი მისებრი კაბუკი, ყოიელსა ქუეყანასა უსწორო, გამარჯუებული და ღონიანი. აწუყუდილა ლაშქარი; თუცა დაიკოცა იამანთა ლაშქარნი ჩუენთა ლაშქართაგან, ვანა ვინათგან იგი მართლად ქუეყანასა ზედა ჩუენსა არის, პირველად

აუცი არის, და მერმე საენებელი ჩუენი. და კულაე უმრავლესი დაუკოცინ კელითა მისითა ლაშქარნი ჩუენნი, და არა ეგების მცირედითა ლაშქართა გასლვა სამეფოსა ჩუენისაგან და. თუ წავალ, მოუნახავს ქუეყანა ჩუენი და შეუტრევი ლაშქართა ჩუენთა ძალი. თუცა ფათერაკი წაეკიდა და დაეკოცეთ ლაშქარი ამით, რომელ იგი კაბუკი არა იახლა. და თუ აწ წაიდეს, შეკრბეს და კულაე მოვიდეს, არა დარჩეს ქუეყანასა ჩუენსა სულიერს ანით, რომელ შემობტრეებულა ქუეყანასა ჩუენსა.

მოაკსენეს ბენებრახთა: «ცხოვნი, მეფეო, უქუნისამდე! თუცა ვკადრებდით, ვსწყრებთ მეფობისა თქუენისათუის, ამისთუის, რომელ ერთი კაცი ღარიბი ვინმე მოსულა და მისთუის შეკირვებულა მეფობა თქუენი. აწ გუიბრძანე ერთი წაეიდეთ და, თუ ბრძანოთ, ცოცხალი მოვიყვანოთ თქუენსა წინაშე და, თუ ბრძანოთ, თავი მოვიღოთ მისი. და რად გინდა ეგზომი შეკირვება მისთუისა.

მეფენან ძალი უბრძანა და თქუა: «მე თუითა თავითა ჩემითა მივალ და ლაშქარი ჩემი ყულადი, და თქუენ სამთავე გინდა წამოსლვა, და დიდსა ურვასა შინა ვარ მის კაცისა ჩუენისა ქუეყანასა შინა ყოფისათუისა.

და ბრძანა გასლვა სპასალართა და წუევა ლაშქრისა. შეკრბა ურიცხუი ლაშქარი, რომელ თუით იგინივე იტყოდეს, ვიყვიერთ რვაასი ათასი მკედარი. წამოიტანა თანა სამნივე ბუმბერაზნი მისნი.

დღესა ერთსა იგი ლაშქარნი, რომელ გარე გულადგეს, დასხდეს ცხენთა და დაეკაზმეს გაგებებად. შეიქმნა ბუკთა და დაბდაბთა ცუმა მოსლვისათუის ხანთა მეფისა. და გამოჩნდეს ხანთა მეფისა ლაშქარნი, რომლისა არა იყო რიცხუი და არცა შეგება, ყოველნი შეაზბულნი საომრად, რომელ სიშუენვარე ლაშქართა მათებრი არა ნახულა. დაეპყრა ქუეყანა, რომელ იყო რიცხუი ასისა უფროსი ბევრისა, და ვიყვიერთ ჩუენ ათას სამასი კაცი, შეკირვებასა და ურვასა ჩავსტვივდით. და თქუა ამბრი არაბმან: «ღმერთო არის და კაბუკობა ჩუენი დამრჩენელი». და უბრძანა აბუტარს: კამს, რომელ ახალ მოსულთა ზედა კარგი ნაქმნარიო?

მოაკსენა აბუტარ: «ღია ღმერთო!» და ბრძანა დაეკაზმა და დაეკაზმენით. გაჯდა ზურდაგსა და აიხუნა კინენი და ეგრე თქუა: აწ ნახოთ, პირხო იამანისანო, კაბუკობა ჩემო, და შეუტრევა. პირველსა მისლვისა აილო კაცი უნაგრისაგან, კინენითა გასტყორცა და დასცა ლაშქართა ზარი. წინანი გაიქცნეს ვიდრე დიდთამდე და მოგუეგებნეს წინა და შეიქმნა ომი, მაგრა არა მიწახავს ერთი ომი ეგეთი, და გამრავლდა მკუდარი ცხენი და კაცი. შეღამდა ზედა. შემოვედით შინა და დაქლებულ იყო ჩუენთა ლაშქართაგან მცირედნი კაცი. გარეჯანთა დაკოცილისა რიცხუი არა იყო. მოვიდა ხანთა მეფე და დადგა პალათთა. და მოიყვანა გარე დიდებულნი და ლაშქარნი, რომელ არა გარდასწულდებოდა თუალი და წამოსწყდეს ლაშქართა წინა იგი სამნი ბუმბერაზნი და დადგეს კარვითა. და ეშინოდა გარეჯანთა ლაშქართა სიკეთისათუის ამბრი არაბისა. გამოგზავნა კაცი ხანთა მეფემან ამბრი არაბსა თანა და ეგრე შემოუთუალა, ვითა: შენ კაცი ხარ კარგი და კარგი კაბუკი და არა ხარ იამანისა ქუეყანისა. არაბი ხარ და რა სამეფოსა ჩემისა გიყოფიდა, იგეწყუელია და მოგიოკრებია ქუეყანა და სდექ ჩუენსა ქალაქსა შიგან, ამისთუის რა პატრივი გხუდების, არა გარდაგაყდეთ მით, რომელ მოკთუნებულხარ იამანთაგან. აწ მოდი ჩემსა წინაშე და შეგროო ქალი დიდებულთა ჩემთა და გაგიქარეო ყოველი შეკოდეება. და თუ არა დამორჩილდე ბრძანებასა ჩემსა, ზოგეყუეთოს თავი და შეკამენ კორცნი შენი ძალთა».

ეგრე უთხრა ამბრი არაბმან მოციქულთა: «რა პასუხი კამს, მე ვერასა ვიტყუი მით, რომელ იგი დიდი კელმწიფე არის. აწ ამის მერსა ვერას მოგაკსენებ, რომელ თუცა არ მოსრულიყო კარსა ზედა ჩემსა და მუნით-მცა ებრძანა, ამას ვიქმოდი, რომელ წაეიდოდი მისისა სამეფოსაგან და აღარასა შეესტოდებდი, რადგან თუით მობრძანდა. აწ თუ დავეზო, ისი ჩემი სთავე არისო, მაგრა მე შათ არასა ვკადრებ».

გავიდეს მოციქულნი და მოაკენეს ესე მეფესა. რა მოციქულთაგან ნეფემონ ესე პასუხი მოისმინა, გაწურა და კულა მოგზავნა და ეგრე შემოეთულა, ვითა: ფინათგან ეგრეთი კაბუკი ხარ, ესე ქმენ: არიან ჩემნი ბუმბერაზნი სამნი და თუ მათ შეება და დააჯერნე, თუით ნახო, და თუ მათ შენ დაგაჯერონ, მაშინ კულა ნახო კაბუკობისა შენისა ძალია.

მაშინ გამოგზავნეს სამთავე ბუმბერაზთა ესე პირი, ვითა: შენ კაცი ხარ მარჯუე და გაამარჯუებია მცირე ომი უბაღოთა კაცთა ზედა და მათისა დაკოცისათვის გალაღებულხარ. ეგე არა კაბუკისა* კელი არის. აწ ქმენ ესე, რომელ გამოდი ჩუენთანა და ჩუენ ექნათ ესე, რომელ გინუაინოთ მეფეთა მეფისა წინაშე და გაგიშუს მშვიდობით. თუცა,¹ შეგეცოდებია შრავალი, გავაქარკოთ შეცოდება შენი ყოველი და თუ არა იქმ ამას, მაშა, ომი არის შენი და ჩუენი, და რა გინდა, იგი გამოირჩიეთ.

შეთულა პასუხი ამბრი არაბმან, ვითა: მეფესა მე არას მოაკენებ, ამიტომ რომელ თქუენ არა იცით და მოსწყინებინათ მეფესა და სიკუდილი უნდა თქუენი. აწ გაიგონეთ და დაიჩინეთ თავნი, ჩემისა სიტყუისა ბოლო ესე არის და თუ სამნივე ერთად არ გამოხუალთ, არ იქმნებისო. გამოვიდეს მოციქულნი და დაასკუნეს ხელისად ომი, და გამოგზავნეს მათ ბუმბერაზთა მოციქულნი და შემოეთულნეს, ვითა: მარტო გამოდიო და ჩუენცა მარტო გამოვალთო.

ვითა გათენდა, ვაღლებინა მეფემან კარავი და დაჯდა და დაისხნა ხუთასი დიდე, ბულნი და დაიდვა ნადიმი და იმღერდეს მგოსანნი. მოდგა ყოველი ლაშქარი ხეღვალდა და დაჯდა ამბრი არაბი ზერდაცა და გაეიდა. გაჰყვა გამზრდელი მისი აბუტარ თანა. და გაშოვიდა იმა სამთა ბუმბერაზთაგან ერთი და გამოგზავნა ლახტი მისი და ეგრე შემოეთულა, ვითა: დღესა ამით შევიბნეთო. აილო და ეგრე არქუა, ვითა: ახედავ, რომელ არა გავა სიკუდილი შენი პატრონსა შენსა. იგი ნადიმად ზის და იცის დასტურად; რომელ შენ მოჰკუდებია.

ამაზედა შეუტივეს და სცეს ერთმანერთსა, და ამბრი არაბმან კამალად ეგრე თქუა, ვითა: აწ ნახოთ ყოფა ხანთა მეფისა ბუმბერაზისაო. ჰქრა ლახტი მის ბუმბერაზსა და ზურგი მოსტება და მუნეე მოკულა. შეიქმნა იმიერთა შიგან ზრუნვა დიდი და თქუეს: არა ნახულა კაბუკი ამისებრიო. უთხრა ამბრი არაბმან მათ ბუმბერაზთა: თუ თქუენცა გამოხუალთ, მზად ვდგავარო. დაუმძიმდა ხანთა მეფესა და ეგრე შეუთულა, ვითა: დღეს წაედ და ხუალე გამოედო. შემოიქცა ამბრი არაბი და შემოვიდა მასვე ქალაქსა შინა. შევასხით ქება და ჩუენცა გავგულოვანდით ყოველი კაცი.

რა გათენდა, დაჯდა მეფე, დაისხნა დიდებულნი და კულა დაიდვა ნადიმი, მაგრა მგოსანნი აღარა იმღერდეს, და გამოვიდეს ყოველი ლაშქარი ხეღვალდა. და დაჯდა ამბრი არაბი და გაიტანა თანა აბუტარ. განა არ მეშუელად უნდოდა აბუტარ, მაგრა სიმკროდგან ომისა საქმეზედა მისგან იყო გასწავლული და რაჟა დააკლის ამბრი არაბმან საქმე ომისა, კულა აბუტარე ასწავლიდის და მით გაჰყვებოდის თანა. და მან ბუმბერაზმან რქუა: დღესა კრმლითა შევიბნეთო. არქუა ამბრი არაბმან: დია, ღმერთო, უმაღე მოგკლაო.

შეუზახნეს და შეუტევეს ერთმანერთსა და, თავმან შენმან, ომად კმა იყო. გარდაღეწეს თუითო კრმალი ერთმანერთსა და მეორე გამოიწოდეს, და იყო ზმა დიდი ლაშქართა შიგან. მაშინ გაიყვანა ამბრი არაბმან ზერდაგი მისი და ეგრე შეჰყვილა, ვითა: დაიდგენ და ნახონ ნაკუთიანობა კრმლისა ჩემისაო. რა გაიგონა, გაიქცა კაცი იგი შეშინდა და თურე ღონესა რასმე ეძებდა. წაეწია ამბრი არაბი. ჰქრა წელთა ზედა კრმალი და ზედათი კერძო სრულად მოჰკუეთა და ბარკალი თურე დაკრულნი იყენეს და ცხენსა ზედავე შერჩეს. წავიდა ბუმბერაზისა ცხენი ლაშქართავე და შეჰყვილა. ამბრი არაბმან, ვითა: ნახევარი ჩუენ გუინდა, ნუ სწყრებიოთო. დაუმძიმდა ხანთა მეფესა მის ბუმბერაზისა სიკუდილი. შემოვიდა ამბრი არაბი. მუნეე შევასხით ქება ყოველთა და

* აქ წყდება A ხელნაწერი. † ხელნაწერებში ზოგჯერ გვხვდება: თუმცა.

გულმატა ძალსა და ვიქუით, ვითა: ვინათგან ამბრი არაბი ჩუენი პატრონი არის, ჩუენი ვნება არავეისგან ევების ერთისა ღმრთისა გარდაა.

გამოკლდეს დღენი და ისწრაფდა ამბრი არაბი მის მესამისა შებმასაჲცა. გაუგზავნა კაცი ხანთა მეფესა ამბრი არაბმან და ეგრე შეუთუალა, ვითა: აქა ომისათვის მოსულხარ და ომი კამსო. გამოგზავნე ბუმბერაზი შენი, ვიცი, რომელ ყოველთა სჯობსო, განა ომისაგან კიდე არა გუწყვიეს, ხეაღე ომი არის ჩემი და მისიო. მერმე მეფემან შეჭირვებითა ამისგან კიდე პასუხი არა გამოსცა, ვითა: ნუ ისწრაფი, უმბრად არ გამოიშუებს ჩუენი ბუმბერაზიო. ხელისად დაემზადე და გამოდი დილასაო.

დილასა შეჯდა თუით მეფე, დიდებულნი და ლაშქარნი დაკაზმნა და გამოვიდა. და მოვიდა მესამეცა ბუმბერაზი და გვიდნეს კინენი ცხენისად სატიეართა ადგილთა და თუითცა ჩამოეკიდნეს კინენი და ვიქუით: ერთი ქაბუცი ამას ვერა სჯობსო. გამოგზავნა მან ბუმბერაზმან კაცი და ეგრე შემოეთუალა, ვითა: დღეს სიკუდილი არის ანუ შენი და ანუ ჩემიო. თუ მომერიდა, ნუ დამარჩენ, და თუ მოგერევი, არ დაგარჩენ მით, რომელ რაზომი სისხლს დათხეულა კელითა შენითა თურქეთსა შინაო. ეგრე თქუა ამბრი არაბმან, ვითა: მოვიდა აღსასრული შენიო. მერმე გაიყვანა აბუტარ ცხენი და უყვილა, ვითა: შემომებოო მით, რომელ პატრონისა ჩემისა დამართებითი არა ხარო.

რა ესე გაიგონა მან ბუმბერაზმან, კელი აუხარა და დაუწუნა, და აგინა. მერმე რა ესეთი ქყირტი სიტყუა გაიგონა ამბრი არაბმან მის ბუმბერაზისაგან, გაუწყრა გამზრდელსა მისსა აბუტარს და თუით გავიდა კინენითა. შემოუვლეს ნავარდი ერთმანერფსა და შეიბნეს ცოტასა ხანსა. მერმე გაიყვანა ცხენი ამბრი არაბმან და შეჰყიელა მეფესა, ვითა: აწ ნახო გაგება შენისა ბუმბერაზისაო.

შემოუტევა და შუჴარნა კინენი, აილო უნაგირთაგან, გასტყორცა მას კერძოსა, სადა თუით მეფე და ა შეჰყიელა მეფესა, ვითა: გაიკითხე ბუმბერაზი შენი, ვითარი ქაბუცი ვარო. დასცა მეფესა წინა და მოკლა ბუმბერაზი იგიცა.

რა ესე მოინახა, მაშინ იყიელა მეფემან: აჰა, ვისცა შეგიძლია, შეუტევით ყოველთა მით, რომელ ასწყუიდა ლაშქარი ჩემი და დაკოცნა სამნი ბუმბერაზნი ჩემნიო. და შემოგოტევა სპამან ყუელამან და წინა მოვიდა ამბრი არაბისაგანცა აბუტარ და თქუეს, ვითა: მას დღესა ყოველთა აბუტარ სჯობდაო. და გარდაკდა ომი დიდი და დაკოცა ურიცხუი სიმრავლე ლაშქართა და შემოვიდა შშუილობით. დაჰკლებოდა ჩუენთა ლაშქართა ასი კაცი და დავა ზარი მათ გარეგანთა ლაშქართა. გარდაკდა იგი დღე და მეორე. მესამესა დღესა ბრძანა ამბრი არაბმან, ვითა: ხვალე ცისკრისა ქამსა კამს, რომელ ზედან დაუესხათო მით, რომელ თუცა ლაშქარა დიდი არის, განა შეშინებულანო. რა ცისკრისა ქამი შეიქმნა, გავედით და თავს დაუესხენიო. შეიქმნა ომი დიდი ცისკრითგან ვიდრე სამარამდი. მერმე რა ჩუენგან ეგზომი ფიცხელი ომი მოინახეს, ველარ ღაგულიდგეს: გაგუქცენეს, მივეწიყენით, დაეკოცეთ და ამოუწყურტეთ. მიეწივა ამბრი არაბი ხანთა მეფესა და შეიპყრა. ვითა ცნა, რომელ ესე ხანთა მეფე არისო, გარდაკდა და თაყუანისცა ამბრი არაბმან და თქუა: მე მონა ვარ და შენ დიდი კელმწიფე და არა ეგების ჩემგან შენი არცა სიკუდილი და არცა პატიმრად წაყუანაო. გაუშუა მეფე და წავიდა. და არცა ლაშქარსა კოცდა. ავიღვეით ალაფი, რომლისა არა იყო რიცხუი და მოყვლით გამარჯუებულნი.

მეცმა ესე ამბავი იამანთა მეფესა ჩუენისა გამარჯუებისა და სიხარულითა მოევებნეს წინა სამისა დილსა საეალსა იგი ყოველი სამეფო და ყოველი დიდებული მისნი და შეასხეს ქება ჰერელ მეფემან და მერმე ყოველმან კაცმან. მისცა მეფემან ურიცხუი და ყოველმან დიდებულმან, და წავედით იამანსა. და შეიყუარა უზომოდ მეფემან და სხუამან ყოველმან ვითა შვილი მეფისა. და აშენდა იამანეთი, და ამას იტყოდეს ყოველნივე: გუესნა ტყუუობისაგან ამბრი არაბმან ქაბულობითა მისითაო. და იყო მეფე და ყოველი იამანეთი დიდსა სიხარულსა შინა.

ქარი მიეჭუსე

ინდო ბაბუქისა ამბავი

მაშინ, ოდეს იამანთა ქუეყანა შეაგებულ იყო და წაებუნეს ქუეყანანი შორიელთათვისცა და მახლობელთათვისცა, იყო ვინმე ინდო კაბუქი, რომლისა არა იყო დამართებითი მისი ქუეყანასა ზედა. დიდად კარგი კაცი იყო და წაებუნეს ქუეყანანი იამანთა მეფენი მრავალნი. შუიღისა ღღისა სავალსა და მის კერძსა ქუეყანასა ვერავინ შევიდოდა, ვერცა ქარაევანი და ვერცა მგზავრი. დიდსა ურევასა შინა იყო იამანისა ქუეყანა და არა იყო დონე ომისა მისისა. მრავალჯერ მიჰკლდომოდეს ლაშქარნი და მასვე დაეკონეს. და გასცა ბრძანება იამანთა მეფემან, ვითა: ნურცა დიდისა და ნურცა მცირედისაგან ნუშცა იხსენების ამბრი არაბთანა ამბავი ინდოსა კაბუქისა, თუარა იგი წავა ომად მისად და მოკუდების კელითა მისითაო. ამისთვის თქუა, რომელ უყუარდა იგი ამბრი არაბი და ეშინოდა ინდო კაბუქისაგან სიკუდილისა მისისა.

ერთსა დღესა იზღერდა ოროლითა ამბრი არაბი და ხელვიდეს ყოველნივე მისისა სიშუენეარისათვის და მღერისა მისისათვის. ამაზედა კაცი ვინმე მოდგა და ტიროდა. უბრძანა ამბრი არაბმან: რა გვირს, ძეო, რად აგრე არბევ ცხენსა ესდენ ფიცხლად, ანუ რად სტირიო. მან მოაკენა, ვითა: ქარაევანი ვიყვენით დიდნი ბასრედისა და იამანისაგან მოვდიოდით. გარდაგუეკიდა მსმელი იგი სისხლისა და ნაოკრებელი ყოელისა ქუეყანისა, რომელსა აუწყუეტია ყოველი იამანისა სამეფო და მრავალნი ქალაქნი წაუბმან და არის ყოველი ქუეყანა ბოროტსა შინა მისისა კელისაგან. დგას მათა ზედა და არის მინდორიცა და მუნ არის სამეფო მისიო.

მაშინ დაუმძიმა ამბრი არაბსა და რქუა აბუტარს, ვითა: ზედავე, რომელ დაგუიმალეს საქმე ზის კაცისაო. ფიცხლა დააგდო მღერა ოროლითა. წამოვიდა და მწყარალი შემოვიდა იამანთა მეფესა წინაშე, და უბრძანა მეფემან: ბრძანე, ამბრი არაბო. და მოაკენა, ვითა: ცხოვნი, მეფეო, უქუნისამდე! ვწყრები მეფობისა შენისათვის. უბრძანა: რადო? მოაკენა ამბრი: ამირიმე იყო თუ თუთ ვინმე მოსულეიყოს *, სამეფო შენი აუწყუეტოს და ქალაქნი წაებუნენ და ბოროტსა შინა იყოს სამეფო შენი ყოველი და ჩემად არ გიბრძანებიაო. მაშინ დაუმძიმა მეფესა და იკითხა: ესე ამბავი ვინ უთხროო. მოაკენეს, ვითა: ბრალი არავისი ყოფილა, ცთომითა უთხრა კაცმან ვინმეო. მაშინ მოაკენა ამბრი არაბმან, ვითა: მე, ღმერთო, წავალ ომად მისდა და შეწყენითა ღმრთისათა ვერა წავიდე მშუიღობით კელისა ჩემისაგანო. რა ესე ესმა, დაუმძიმა მეფესა და უბრძანა: ფაუშვი ეგე, ამბრი არაბო, მე არა გავიშვებ მისდა ომად, დაეკენ მისსა საქმესაო. მოაკენა ამბრი არაბმან: ხვალე ულონიოდ წავალ, იცოდო.

შეკაზმა და დაასკუნა წასლვა. ველარ დაუშალა მეფემან, შეკაზმა და წავიდე. იტყოდეს რომელნიმე: ესე აჯობებსო, და რომელნიმე იტყოდეს: იგი აჯობებსო. და ვითა გაიარნა კარნი ქალაქისანი, იკითხა, ვითა: ისინი რით უფრო იბრძვიანო. მოაკენეს: ოროლითაო. ბრძანა: არა ვარგია ჩემთვის და მისთვის, თუცა არა იყენეს ცხენი მრავალად. შეიქცა კაცი გარე და დაარჩიე ორასი ტაიკი. წაიყვანა თანა და წავიდა. ვითა წავედით და შევედით ქალაქსა და ქუეყანასა მისისა, მოაკენეს ამბრი არაბსა: ამონადირე არის კშირად და ყოველგან, სადაცა იყოს, ოცდაათი ტაიკი ჰყავს თანაო.

დაარჩიე ოცდაათი ტაიკი ამბრი არაბმაცა და გამოვიდოდა მინდორსა შიგან ძებნად ინდოს კაბუქსა. და ცალკერძ სძებნიდა ამბრი არაბი და ცალკერძ სძებნიდა აბუტარს, და ნადირობასა შიგან ზედა გარდაეკიდა ინდოსა კაბუქსა აბუტარს. შეუხაზნა ინდომან კაბუქმა: ვინა ხარო. მან რქუა: აბუტარ ვარ, ყმა ამბრი არაბისაო.

რა ესე ესმა ინდოსა კაბუქსა, ფიცხლად შეუტევა ინდომან კაბუქმან და პირველსა მისლვასა ჰკრა კინენი, აილო უნაგირითგან, დაჰკრა ქუეყანასა ზედა და არ მოკლა. გა-

* აქამდის აკლია A ხელნაწერს.

მოაბა სარტყელსა მისივე ცხენი და თუით ნაღირობადვე დაიწყო. ვებნინდით ინდოსა კაბუკსა და არა ვიყოფდით, თუ რა ექმნა აბუტარისათუის. დღა ნისლი. ამას ნისლსა მო-ახლებულ იყო რიგ ინდო კაბუკი და ჩუენ მას ვერა ვხედდელით და იგი ჩუენა. იმაზედან არუარა ნისლია. შემოგუხუნდა და იყოლა: ეინ ხართო. თქუა ამბრი არაბმა: მე ვარო, არაბი და ვემბ ინდოსა კაბუკსაო. მან არქუა: თუ ეძებ, აბა გიპოვინო, მე ვარო და ვი ბედსა შენსა, რომელ მოხუელო.

და შეუტყვეს ერთმანერთსა. თავმან შენმან, ეგეთი ომი და ეგზომ შეუნიერი არა მინახავს. მოუკლეს ერთმანერთსა ოც-ოცი ცხენი. თქუა ინდომან კაბუკმან: ფინა არის ესე კაცი, რომელ ესდენ კარგად შემებარო, განა ესე ლაღობა არს. არქუა, თუ ჩემად მოსრულ ხარ ომად, იგი ზრძანე და ერთგან განეისუენოთო და ომნი, ღმერთო, კარგნი გიჩუენნეო. არქუა ამბრი არაბმან ინდო კაბუკსა: ინდო კაბუკო, კარგი კაბუკი და კარგი კაცი განახეო, და წავიდენ. გზა-გზა მიმავალთა ეგრე გუარქუა ინდომან კაბუკმან, ვითა: კაცი ვინმე ზედა გარდაგუევიდა, შემება და ჩამოვადე, და დაბნელილი დამიგლიაო, ნუთუ თქუენგანი ვინმე იყოსო, ათუალეთო. ესე პასუხი ჩუენ ამბრის კაცებსა გუესმოდა და ამბრი მიღმა მოვიდოდა და ჩუენ უკან უკუედელით და ვთქუით: აბუტარ ყოფილაო, ისინი წავიდეს და ჩუენ ვეძებდით. მივედით მას ადგილსა, აბუტარ ზე წამოჯდომილიყო და ჯერეთ უბადოდ იყო. ვკითხეთ: რა გვიჩისო, ვითამცა უმცარა ვიქმენით, მან გუითხრა, ვითა: ინდო კაბუკი გარდამევიდა, ამილო კინენითა და ქუეყანისა დამქრა და შეებნდი. წაბოვიყვანეთ და მოვიყვანეთ, სადა იყო სამყოფი ინდო კაბუკისა. დღა კარავი შეუნიერი და მოკაბუელი, რომლისა არა ეგებოდა უკეთესობა. შეკაზმეს პური და დასხდეს ერთგან. შეიქირვებდა ამბრი არაბი აბუტარისათუის და ვითა მივედით, გაეხარნეს ამბრისა და ინდოსა კაბუკსა. ჭნდომან კაბუკმან არქუა აბუტარს: შემინდე, ჩემსა მხესა, არა გიკნობდი და მერმე შენ კვირტად რასმე მეუბნებოდნი. ოდეს არა მოვკალ, მაღლი ღმერთსაო.

გავიყარენით მას დღესა და შერგესა დღესა უკმა ამბრა არაბმან ინდო კაბუკი და განისლენეს ერთგან. შეიქმნა საუბარი. კითხა: ინდომან კაბუკმან: აქა ჩემად ომად მოსრულ ხარო? ამბრი ეგრე არქუა: ომად შენდა, თუარა მე სხუა საქმე არა მდებია: მან გაიციენა და ეგრე თქუა, ვითა: ამბრი არაბო, შენმან მხემან, მოცთუნებულხარო. ამაზედან დაასკუნეს ომი და გაიყარნეს. ვითა გათენდა; შეეკაზმნეს, მაშინ ორნივე გავიდეს და განიტანეს თანა ორმოც-ორმოცი ცხენი. არავის უნახვან კაბუკნი ეგეთნი და არცა ომი ეგეთი ფიცხელი და შეუნიერი. და მოკლა ამბრი არაბმან ორმოცივე ცხენი და ინდომან კაბუკმან ოცდაათი. ამაზედა გაიყარნეს. და დაუმიძიდა ინდოსა კაბუკსა დამეტება ამბრისაგან. კულავ მოუგზავნა ინდომან კაბუკმან კაცი ამბრი არაბსა თანა და ეგრე შემოეთულა, ვითა: ხვალეცა კამს ომიო. და მან გამოსცა პასუხი: დეი, ღმერთო.

და გავიდეს მესამესა დღესა და სამოცი ცხენი მან გამოიტანა და სამოცი მან და შეიბნეს. თავმან შენმან, ესრე არა ჰგვანდა პირველი ომი, ვითამცა კრატათა ყმათა ომი ყოფილიყო. გაფიცდა ინდო კაბუკი და მოუკლა ამბრი არაბსა სამოცივე ცხენი. მან მოუკლა ორმოცდაათი. დაუმიძიდა ამბრა არაბსა დამეტება ინდო კაბუკისაგან. მიუგზავნა კაცი ამბრი არაბმან, ვითა: ხვალეცა ომი კამსო. გამოსცა პასუხი: დეი, ღმერთო.

გამოვიდა ესე მხუთესა დღესა. რასლა ვაგარძელბდე. ზოგჯერ ზან უფროსი მოკლის და ზოგჯერ მან. ვერა შევიგნით, თუ რომელი სჯობდა. იყო ეგზომი შავა, რომელ არა უნახავს კაცისა თუასსა ეგზომ შეუნიერი, და ამისი გუეშინოდა, ვი თუ რომელიმე მოკლდესო. გამოკლდეს დღენი მრავალნი და იყვნეს ნაღირობასა შინა და განსუნებასა.

დღესა ერთსა გამოუგზავნა კაცი ამბრი არაბმან და ეგრე შეუთულა ინდოსა კაბუკსა, ვითა: ჰუენ აქა ნაღირობასა და განსუნებასა შიგან ვართ და სამეფო პატრონისა ჩემსისა იოკრებული არს კელთა შენთა. აწ ამისთვის გამოგზავნილი ვარ, რომელ შენმცა მიგვიყინ წინაშე იამანთა მფდისა. აწ კამს, რომელ გავსწყუდლოთ. თუ მომერო, რას

გინდა, უზემდი იამანთა მეღესა. აწ ხვალე ბრძანე და გაჯედ ჴენსა ცხენსა. დაჰკიდნე პოლოტიკინ რკინისანი სატკივართა ადგილთა და შეცა ეგრე ვიქ.

მან ჰასუხი ეგრე გამოსცა, ვითა: ნუთუ არ იყოლდე, რომელ სიკუდილი შენი სწადღებია იამანთა მეღესა და შენ ჩემად ომად მით გამოუგზავნიხარ. აწ ხვალე გაწუყუდა კამს შენი და ჩემიო.

ვითა გათენდა, შეჯდა იგი ინლო კაბუკი შავსა ტაიქსა და დაიკიდნა პოლოტიკინ რკინისანი და აიხუნა კინენი, და გამოვიდა და ვთქუითმეცა თუ: არა არის კაბუკი მისებრიო, და ვთქუით თუ: დღეს არს სიკუდილი რომლისამეო და თუცა ღონესა რასმე ყოფილ ვიყუენით, არა გუწადდა მას ღღესა მათი ომი.

შემოუღღეს ერთმანერთსა ნაეარდი, შეუტევეს და შეიბნეს. თავმან თქუენმან და ზენაარმან ღმრთისამან, ეგზოტ კელოვნად ეცადნეს ერთმანერთსა ჴედა, დილითგან ვილრე მწუზრამდი უჯრიდეს ოროლითა და ერთმანდა ვერა სცნა ჯობნა. მერმე დაიწვეს ომი. რაზომ ფიცხლად იბრძოდეს, ზახილი იყო და აბჯართა ჴედა ცემისა ჴეხა, რომელ აღარა ისმოდა ყურთა კაცისათა ემა. და იბროდა ქუეყანა. ვითა მიიყარა დღე, ვერა შეჯატყვეით ერთსაცა მათგანსა დაშრომა და ვერცა ცხენთა მათთა დაკლვბა. მერმე ივიღლა ინდომან კაბუკმან ფიცხლად და თქუა: ამბრი არაბო, აწ ნახე კაბუკობა ჩემი და სიმტკიცე მკლავისა ჩემისა. ვაფუენა ცხენი და შემოუტევა. ჰკრა ოროლი და გატენბა იგი პოლოტიკინ რკინისანი, აბჯარი და რაცა იყო ტანსა მისსა უუელა. დაყოდა ცოტად და მისისა ნაკრავისა ემა რომელ გაკადა, ჴეხასა გვიანდა. და გაუქვირდა მისისა ეგეთისა კმისა გამოსლავ ყოველსა დაბადებულსა.

მერმე უყიღლა ამბრი არაბმან და თქუა: მოვიდა ამბრი არაბიო და აწ არს სიკუდილი შენიო. გაიგდო ცხენი და შემოუტევა, შეუყარნა კინენი, აზიდნა კბილ-ღრქენითა, აილო ცხენითურთ და ქუეყანასა დაჰკრა. მოუკულა ცხენი და დარჩა იგი ინლო კაბუკი და ეგრე თქუა, ვითა: მაღლი ღმერთსა, რომელ ვნახე კაბუკი ჩემს უკეთესი ჩემითა თუალითაო, თუარა ნასმენსა არა ეჯერვიყო.

გარდადა იგი ამბრი არაბი და მოეხუია ყელსა და აკოცეს ერთმანერთსა. წამოვიდეს ორნივე კარაგსა ამბრი არაბისასა და შეიქმნა სიხარული დიდი ამისთუის, რომელ დარჩეს ერთმანერთისა კელისაგან მშუილობით. და არქუა ამბრი ინლო კაბუკსა: მე ძმა და მონა ვარ შენი დღეისითგან წალმა. აწ თუ გმარჯვია, ბრძანე და წავიდეთ იამანთა მეღესა წინაშე და თუარა ბრძანება შენი არს.

არქუა ინდომან კაბუკმან, ვითა: ფინათგან ღმერთსა ძლევა შენდა მოუცემია, მე არა გავედი საქმესა ეგრე. აწ მიბრძანე და წავიდეთ იამანსა. და წავედით მუნით იამანსა, და მიესმა ამბავი იამანსა მეუფსა ჯობნა ამბრი არაბისაგან მის ინლოსა კაბუკისა. გაიხარნა დიდად და გამოვიდა წინა მელდ იამანთა და ყოველნი დიდებულნი სამხრამლის საეალსა და შეასხეს ჴეხბა ორთავე სწორად ამბრისა და ინლოსა კაბუკსა. მივედით იამანსა და იყო ყოველსა ქუეყანასა იამანთასა სიხარული დიდი. დაყო ინდომან კაბუკმან იამანსა შინა კუირე ერთი და იფიცნეს ძმად და თაყუანისცა ინდომან კაბუკმან იამანთა მეფესა და მოაკსენა, ვითა: ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე! მე არა ნებთა ჩემითა მოსრულ ვარ აქა. არა უარ ვიქმ, განა კაცმან ამან მაჯობა და აქა თქუენსა წინაშე მომიყენა და თქუენცა მისგან იყვივით მაღრიელნიო. უბრძანა. იამანთა მეფემან: ღმრთისა მიერ იქმნა ძლევა შენი, თუარა კაცობრივი ძალი შენ ვერა მოგეროდლო. მისცა საბოძერი დიდი იამანთა მეფემან მას ინდოსა კაბუკსა. მოაკსენა ინდომან კაბუკმან: წაეალ მე და როსცა სამსახური იყოს, წინაშე ვდგევარა. წავიდა იგი ინლო კაბუკი და გაჰყვა თანა ამბრი არაბი. შეიქვირებდა ერთმანერთისა მოშორებებისათუის და დადევს შუა ფიცი, ვითა: რომელსაცა-რა გაუქვირდეს, ერთმანერთსა უშველდეთო. ამა სიტყუასა ჴედა გაიყარნეს და წავიდა იგი ინლო კაბუკი და ჩუენცა* წამოვედით იამანსა

* აქედან აკლია A ხელნაწერს.

და იყო ყოველი სამეფო იამანთა სიბარულსა შინა დიდსა და იტყოდეს ყოველნი უკეთესად ამბრისა.

მამინ დაჯდა იგი არაბთა მეფე და იამანთა მეფე და ყოველი დიდებულნი და დაისუეს დამართებით ამბრი არაბი. და უბრძანა მან არაბთა მეფემან: *შვილო ამბრი, მე დაბერებულვარ და შენ და შვილი ჩემი ერთსა დღესა შობილხართ და მე სიკუდილად მიხალბებულ ვარ და თუთა შენცა იცი თუ ვითა გუძლო მან არაბთა მეფემან და გამოგუჯანსა შეფობისა ჩემისაგან. აწ მოგცემ შვილსა ჩემსა კელთა შენთა და რაცა გინდა იგი ოდენ უყავ.*

დაუქირა კელი მას ძესა თუისსა მეფემან და მისცა. ამბრი ზე ადგა და მოაკენა: *ეცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე! გრძლად საუბარი საწყინო არის და მოკსენება ჩემი ესოდენ არის. დღედ სიკუდილამდის ჩემამდე არა შევიწყალო თავი ჩემი და სისხლნი ჩემნი მსახურებისათვის შენისა. და მას ეამსა მოკულა იგი არაბთა მეფე და დაუმძიმდა ძნელად იამანთა მეფესა ამისთვის, რომელ სამეფოსა მისისაგან კიდევან იქმნა სიკუდილი მისი და შემდგომად მკირვლთა დღეთა მოაკენა მას იამანთა მეფესა ამბრი არაბმან: *ეცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე! პატრონი ჩემი მეფე არაბთა მისისა სამეფოსაგან კიდევანად მოკულა და ესე შვილი მისი დარჩომილა და არა აკლია წინაშე თქუენსა, მაგრა სულსაცა დაღება ჩემგან შეძლებულ არს. აწ აქა იყოს პატრონისა ჩემისა არაბთა მეფისა ძე წინაშე თქუენსა და მე ოდენ შარტო წავიდე. არიან ლომნი კაბუქნი არაბნი და ძნელი არის მათსა ზედა ომი, მაგრა შევიწიო ღმერთი და არა შერჩენ სისხლნი პატრონისა ჩემისანთა.**

დამადლა იამანთა მეფემან ამბრი არაბისაგან ესე სიტყუა და ეგრე უბრძანა, ვითა: *კაბუკობისა შენისაგან იმედი გაქუს. ეგეთი სიტყუა სთქუი და მე არა მშურან ლაშქარნი ჩემნი ძებნისათვის მამულისა მისისა. დაუმძიმდა არაბთა მეფისა ძესა იმისი თქმა, ვითა: იყოს არაბთა მეფისა ძე და მე შარტო წავიდეო. ღამოდა იამანთა მეფე, თუცა არა წასულიყო არაბთა მეფისა ძე და იგივე ამბრი არაბი წასულიყო შარტო თუთა ლაშქრითა იამანურითა. ესე არა ინება მან არაბთა მეფისა ძემან და დაასკუნეს წასლვა და დაეკამნეს.*

არაბთა მეფისა ძე იყო შუენიერი ნაყოფი და ერთობ კარგი კაბუკი. დაარჩიეს იამანთა მეფისა ლაშქართაგან სამი ათასი კაცი და წავიდეს არაბეთს. და ცნა მან სხუამან არაბთა მეფემან, რომელ ესე მიუკდეს. შეკრბა იგიცა ურიცხუითა ლაშქრითა და წინა მოეგება და დადგა იგი არაბთა მეფე დიდსა მინდორსა შინა. დასცნეს კარაენი და ამაზედა ჩუენცა თავსა წავადექით და გუედინდეს იგი ლაშქარნი და ვარჩევდით ომსა და ზოგმან ვინმე თქუა: *დავესხნეთ ღამით და რა ღმერთმან გამოგურიჩიოს, იგი იქმნასო. ზოგმა ზოგი თქუის და ზოგმან ზოგი.*

ადგა იგი გამზიდელი ამბრი არაბისა აბუტარ და ეგრე თქუა: *დადევით თქუენ ერთსა გამორჩელსა ადგილსა და მე მივიდე, ვიბეზნე, მოგუარნე სიმარჯუესა და რა ღმერთმან გამოარჩიოს, იგი იქმნასო. იამა ესე სიტყუა აბუტარისგან ამბრი არაბსა და ფიცხლა გამოვარჩიეთ ადგილი საომარი და დავდექით. ხვალისა დღე წავიდა იგი აბუტარ ასითა გამოარჩულთა მკედრითა. არქუა აბუტარს ამბრი არაბმან: *აბა, ლომო ჩემო, ვითა შენგან იმედი მაქუს, ეგრე ჰქმენო.**

და მივიდა აბუტარ ლაშქართა პირსა. დაუწყო ომი ფიცხელი, ვითა ხუდებოდა კაბუკობისა მისსა, რომელ არა ეგებოდა უკეთესობა. აპკდა ემა მათი ლაშქართა შიგან და გაჯდა ყოველი ლაშქარი და გამოვიდა იგი მეფე არაბთა და გამოუძლუა წინა ლაშქართა მისთა და მას გამოუძლუა აბუტარ ომითა და რაეამცა დასწყდის ლაშქარი მის მეფისა, შეიქცის აბუტარ და შეების. არა მიუშუა ლაშქარი დაწყუეტად კიდისკიდე და მოასხნა, სადა ჩუენ ვიყუენით. ფიცხლად შეჯდა ამბრი არაბი ზერდაგსა მისსა და იყიელა ფიცხლად და ეგრე თქუა, ვითა: *აბუტარ, შენ ღმერთო, შენი გიქმნია და რაცა სთქუი, გავისრულებია და აწ კულა მე მნახე შენი გაზრდილიო.*

შეუტრევა ცხენი და პირველსა მისლგასა ზედან აიღო კაცი კინებითა ცხენითურთ და დასცა. ფიცხლად შეუტრევეთ ყუელამან და შვიქმნა ომი. რაზომ სჯობან ქაბუქსა ყველასა არაბნი. ეგზომ ფიცხელი ომი იყო და იქმნა კოცა ცხენისა და კაცისა ურიცხუი. ვის მიაშინ, ღმერთო, ამბრო არაბი არა უნახავს, იგი ქაბუქთა უნახავი არის. გაფიცლდა მისებრად და მას ომსა შიგან კაცი ცხენითურთ აიღოს და ქუეყანასა დაჰქარის. იყო ასი ათასი მკედარი სხუა. მერმე გამოიწოდა კრმალი და უფროსი დაუკოცა. ამბრო არაბისაგან კიდე სხუათა ყოველთა სჯობდა იგი არაბთა მეფისა ძე და ველარა დაგუიღგეს და გაგუქქნეს. და ვითარცა მიესწვდით, ეკოცდით. და წავიდა იგი არაბთა მეფე მეორად გარეს-გარე ხანთა მეფესა თანა თურქეთს და ზუენ წავიდეთ ყოველი ქალაქი და ციხენი.

მივიდა იგი არაბთა მეფე ხანთა მეფესა თანა. დაუშმიძდა ხანთა მეფესა მეორება არაბთა მეფისა. ეგონა ვითა — ისინი* დაუკოცინაო და აწ ჩემ ზედა მოსულა ამბრო არაბიო და არქუა: ნუ გეშინიანო, მე ვსძებნე სისხლი შენიო. და ვასცა ხანთა მეფემან ყოველთა ბრძანება სამეფოსა მისთა, ვითა: ზვისცა გეწყალევი, აჰა ჟამი შეუღისა ჩემისა. მოვიდა ხანთა ლაშქარი ურიცხუი და სხუათა სამეფოთაგანცა. წამოეშართა იგი ხანთა მეფე.

ვითა ცნეს ხანთა მეფისა მოსლგა, მიეგება ყოველი ლაშქარი არაბეთისა და ჩუენ მოგუიღგეს. ესე მით იქმნეს, რომელ მგეკთილე იყვნეს იგი არაბთა მეფე მით ზედა და ხჩუენ დაერჩით მცირედნი ლაშქარნი და ჩაეარდა იგი ამბრო არაბი დიდსა შექირეებასა მაგრა თაესა არ შეიღდა. ესე იყო კელი ამბრო არაბისა, რომელ მტერმან რა დამართის, ფიცხლა მიეგების წინა შვიდისა დღისა სავალსა და ვითა მიეახლნეს, იწყეს თურქთა კითხვად, რომელ მო-თურე-კელა იგი ამბრო არაბი, რომელ აღარსად გამოჩნდაო.

აჰა სიტყუასა ზედან მიმდორსა შიგან გამოჩნდა ცხენოსანი ერთი. ვითა ნა-ეს, თქუეს: აჰა, ღმერთო, მოვიდა ამბრო არაბიო. შვიქმნა ზმა ლაშქართა შიგან. მო-, ვიდა და დაუწყო ომი მისებრი და იამანისა მეფისა საომრად აღარა მოაძალა, ფიცხლად გააქცივნა და ვიარე არაბეთს მივიღოდეს, გზა-გზა მოკლა შვიდსა დღესა შიგან სამი ათასი კაცი მათ ორთავე პატრონ-ყმათა ამბრო და აბურარ და მიართუეს ხანთა მეფესა ამბაეი ამბრო არაბის მოკლულისა კაცისა, და დაეცა ზარი მათ ლაშქართა. მოვიდეს და ერთიდა ქალაქი დაგურჩომოდა და მოგუიღგეს ლაშქარნი გარე ეგზომნი, რომელ დღისა ერთისა სავალსა არა ეტეოდა და იყვის ყოველთა დღეთა ომი ამბრო არაბისა და აბურარისა. არა საკუირეელი იყო ოში, განა ეგრე იყო იგი არაბთა მეფისა ძე, რომელ უკეთესობა არა ეგებოდა, უფრო ვა და უფრო გამოიჩინებოდა.

მაშინ მიესმა ამბრო არაბისა ინდოსა ქაბუქსა, ვითა: მოდგომოდ არიან გარე ძმად-ფიცისა შენისა თურქნი და არაბნი და ძნელსა საქმესა შინა არსო. წამოვიდა შეუელად ინდო ქაბუქი ამბრო არაბისათვის.

დღესა ერთსა ესხედით ბანთა ზედა და გაღმართ უქურტდით. ლაშქართა შიგან შეიქმნა ომი ერთსა ადგილსა და ჟღივილი. დაიწყო ლაშქარმან მისლგა და ვერა ვცანით, თუ რა იყო. ადგა ზე ამბრო არაბი, ჩახედნა და თქუა: მო-თურე-ვიდა ძმა ჩემი იგი ინდო ქაბუქიო. ითხოვა ცხენი და გავიდა. შეიქმნა ომი ეგეთი მათ დღეთა შინა, რომელ არაოდეს არ მინახავს ეგზომი ფიცხელი ომი. შეიყარნეს ამბრო არაბი და ინდო ქაბუქი ერთგან და დაუკოცეს ურიცხუი სიმრავლე თურქთა და შემოვიდეს მშუიღობით. გაიხარნა ამბრო არაბმან მოსლგა ინდოსა ქაბუქისა და ეგრე თქუა, ვითა: თუცა მოხარულ იყო ყოველი ქუეყანა ჩუენდა შეუელად, მაშინცა მე ესე მერჩივნა. და გაეხარნეს მათ ორთავე ერთმანერთისა ნახვა და მუნითგან გავიდოდნიან ზოგჯერ იგი და ზოგჯერ იგი და, თავმან შენმან, არა შეეტყობოდა, თუ რომელი სჯობდა. ერთსა დღესა გავიდა ინდო ქაბუქი, ერთსა დღესა ამბრო არაბი, ერთსა აბურარ და ერთსა დღესა იგი არაბთა მეფისა ძე.

* აქედან B ხელნაწერი რესტავრირებულია.

ამაზე ღღესა ერთსა შეკრიბნა დიდებულნი ხანთა მეფემან და უბრძანა: «ისი კაცი კაცობრივითა ძალითა არა იჯობნებინან; აწ გუინდა ღონე გამორჩევისა». ასი კაცი შეკაზმეს და თქუა მეფემან: «ასი ესე კაცი მალულად დადგეს და სხუათა შეუტეონ და რა იგი მათ შეებნეს, იგი ასი კაცი ზედა გარდაესხას და რა ღმერთმან გამაარჩიოს, იგი იქმნას».

და მას ღღესა იყო გასლვა ინდო კაბუკისა. გავიდა და მოეგებნეს წინა ლაშქარნი და რა ნახეს ინდო კაბუკი, ფრცხლად გაიქცნეს. მიუდგა უკან და გამოუკდეს იგი და მალულნი კაცნი. უყიელა ამბრი არაბმან: ხედავთა, რომელ ღონე უცდია ძმისა ჩემისად, ვანა აწ ნახეთ კაბუკობა მისი, დარჩეული იყო თურე იგი ასი კაცი. თავმან თქუენმან, ესეთი ომი შეიქმნა, რომელ ენითა, ვიცო, არა ითქმის. მის ასისა კაცისაგან სამოცი კაცი მოკლა და ორმოცი ძლიე გარდაეხუეწნეს. შემოვიდა იგი ინდო კაბუკი გამარჯუებული, ქება შეასხა ამბრა არაბმან და ეგრე არქუა: არა ნახულა კაბუკი შენებრი ქუეყანასა ზედაო.

მეორესა ღღესა გავიდა ამბრი არაბი. ვითა ხუდებოდა კაბუკობასა მისსა, ეგრე იყო. მოკლა სამოცი კაცი და სხუანი გარდაეხუეწნეს. შემოვიდა შინა მშუილობით. მესამესა ღღესა გამოვიდა იგი არაბთა მეფისა ძე და ესრე იყო, რომელ უკეთესობა არა ეგებოდა. და მეოთხესა ღღესა აბუტარ გავიდა და კარგა შეება იგიცა. მაშინ შოიგონეს მათ სხუა ღონე. გარკანთა ლაშქართა დაიყენეს საგდებლოსანნი კაცი და მას ომსა შინა გარდაეყარნეს კაცთა იმთ სავდებლნი და ვითა ნახეს ამბრი არაბმან და ინდო კაბუკმან, ითხოვეს ცხენი, გავიდა და ჩუენცა გუიბრძანეს გასლვა, და გავედით და ენახეთ, რომელ დაკაზმული იყო ყოველი კაცი საომრად. შევიბენით და შეიქინა ომი, რომელ არა ითქმის კაცისა ენისაგან სიდიდე ომისა და სიფიცხე ეგეთი. და შეიპყრეს მით სავდებელითა ძე არაბთა მეფისა. რა დაინახა ინდომან კაბუკმან, წაეწია მათ კაცთა, რომელთა ჰვეა იგი ძე არაბეთისა მეფისა შეპყრობილი მით სავდებელითა. აიყვანა იგი კაცი, დაჰკრა ქუეყანასა და მოკლა და იესნა იგი არაბთა მეფისა ძე. გაგრძელდა ომი და ბოლოსა ეამსა გაიქცა არაბთა და ხან[თა] მეფე და სპა მათი და ვითა მიეწეოდით, ვუცოდით. მიეწია ამბრი არაბი მას ხანთა მეფესა და იცნა, არქუა: «მეფეო, მოგწევი, ერთხელ შევიპყარ და გაგიშვი, აწ კულაე მოხუედ პატრონისა ჩემისა სიკუდილად, აწ რაღა გიქსნისჲ ჰკრა კრმალი და მოკლა იგი მეფე ხანთა. მოეწია ინდო კაბუკი და მან არაბთა მეფე მოკლა».

დაუვაით მუნ სამი დღე. აეწუთიტეთ ლაშქარი და შემოვიქეცით მშუილობით. შეიქმნა დიდი სიხარული და დაიწყუიდრა ყოველი არაბეთი მან, არაბთა მეფისა ძემან, და დაყვნა დიდნი შრაკლნი არაბეთსა ინდო კაბუკმან და უძლუნა დიად ამბრი არაბმან და გაგზავნა ინდო კაბუკი და იამნთა ლაშქართაცა მისცა დიადი და იგინიცა წარვიდეს იამანსა. და ესე რაცა მოგაკსენე, დარეჯანის-ძეო, ყუელაი თუალითა მონახული მომიკსენებია, რომელსა თუით დამხდურ ვარ.

უბრძანა ამირან დირეჯანის-ძემან: აღრე წამოსულხარ არაბეთითაო? მოაკსენა მან კაცმან: არს წელიწადი ერთ-ნახევარიო. უბრძანა: რა ღღეთა კაცი არისო. მოაკსენა: მოყმე არს ოცდაათხუთმეტისა წლისაო. უბრძანა: შენ რომელ წამოხუედ, იგი არაბეთს დაავდეო? მოაკსენა, ვითა: არაბეთსაო. მაშინ მალღი უბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან და მე მიბრძანა და გამოეჯრთუი შესამოსელი და შემოსა კაცი იგი და უბრძანა, ვითა: ზენაარმან ღმრთისამან და ძემან პატრონისა ჩემისა ამირ-მუმლისა ბაღდადელისამან, კარგი ამბავი მითხარ და კარგისა კაბუკისა და ჩემგან ესე მიუვალნი არის, რომელ თუცა მე იგი არა ენახო, აწ წინა გაგუიძელე და წავიდეთ არაბეთსო.

ჩუენ ესე დიდად დაგუიძიმდა. ცოტა ხანი დაგუეყო შინა. არაბეთი ძნელი და საკირო გზა იყო. მაშინ უბრძანა კაზმა საქურველთა და აბჯართა თანა* აღება ცხენთა,

* აქ თავდება B ხელნაწერთს რუსტაფორიგბული ნაწილი.

ტაკიკთა მრავალთა, კარავთა ტურფათო და შესამოსელთა მრავლად, წუევა ლაშქრისა ათი ათასისა დარჩეულისა და ეგრე უბრძანა, ვითა: ვინათგან ესრეთ კარგი კაბუჯი არის, დღეთა მრავალთა გუინდა მათ თანა ყოფა, ამხანაგობა, პატივი, ძღუნობა და სასახელოდ წავიდეთო. გამოეთხოვა მას ბაღდადეღსა ამირ-მუმლსა. დაეკაზმენით და წავედით ამირან დარეჯანის-ძე, აბან ქაშანის-ძე, ალი მოაზადის-ძე, ასან ბადრის-ძე, ყამარ ყამრელი და ქაოზ ქოსის-ძე და სხუა ლაშქარი ათი ათასი კაცი. და ელეთ დღისა ერთისა სავალი და შეგუემბთხიენეს კაცი ვინმე შემოსილი შავითა. ჩუენ გკითხეთ მიზეზი შავოსნობისა მათისა და მათ გუითხრეს, ვითა: იგი ლომთა ლომი უსწორო კაბუჯი ამბრი არაბი მოკუდაო და მით შავითა არის ყოველი არაბეთი და იამანეთითო. მაშინ დაუმძიმდა ძნელად ამბრი არაბისა სიკუდილი ამირან დარეჯანის-ძესა, შემოვიქეცით და ბაღდადსვე მოვედით.

აქა დასრულდა კარი ამბრი არაბისა და მის ინდოსა კაბუჯისა და არაბეთსა შესღვისა, და დაუსრულებელ ყენეს ღმერთმან სუფევა და გამარჯვება მეფობისა თქუენისა უკუნისამდე, ამინ.

კარი მეშუიჯი

მნათობათა ამაჟამ

ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე! აღიდნეს ღმერთმან მოყუარენი თქუენნი და არცხუინოს ორჯულთა თქუენთა!

ბაღდადეღი ამირ-მუმლი ნაღიმად ჯდა და გუერდით უსხდეს აბრამ ვაზირთა უხუცესი და აჯერ ეჯობთა უხუცესი. მას ეამსა შემოიარნეს მათ სანთა ძეთა ამირ-მუმლისათა, მათ შუენიერთა ნაყოფთა მოწიფულთა და არა ესუა ერთსაცა მათგანსა ცოლი. შეხედნეს მათ კაცთა, რომელნი მას ნადიმსა სხდეს და თქუეს, ვითა: არა შეილობითა მეფისათა ვთქუნეთ, განა სამართალი სიტყუა ვთქუათ და ნაყოფნი ამათებრნი ბაღდადისა ქალაქსა შიგან არაოდეს ყოფილან და არცა მამათა ჩუენთაგან გუასმიო. შემოვიდეს და დასხდეს ნადიმად.

მაშინ ადგნეს აბრამ ვაზირთა უხუცესი და აჯერ ეჯობთა უხუცესი და მოაკენეს ბაღდადეღსა ამირ-მუმლსა: ცხოვნი, მეფეთ-მეფეო, ვიცით, რომელ დიდსა ვიკადრებთ წინაშე თქუენსა, განა რომელიზე ბაღდადისა ქალაქისა მეფობისა თქუენისა დასაკლისი იყოს, ვითა არა მოაკესნოთ?

უბრძანა ამირ-მუმლმან: თქუი აბრამ ვაზირთა უხუცესო და აჯერ ეჯობთა უხუცესო, ვიცი, რომელ თქუენ ავსა არას იტყუითო.

მათ მოაკენეს, ვითა: მეფეთ-მეფეო, შვილნი თქუენნი ესეთნი ნაყოფნი არიან, რომელ მათებრი არავის უნახვან, მოწიფულნი არიან და ერთსაცა მათგანსა ცოლი არა უფის და ესე დიდად სამძიმარი არის სამეფოსა თქუენთა შიგანა.

რა ესე მოისმინა ბაღდადეღმან ამირ-მუმლმან, უბრძანა: დამომადლებია თქუენისა ერთგულობისაგან, რომელ ყოველი საქმე ჩუენი შეგპირდების და ესე მეცა ვიცი, რომელ დიდად სამძიმარი არის ამა ჩუენისა სამეფოსათუის და შემპირდების მეცა. იცის ღმერთმან, განა ვერ მიპოვნინ სიკეთისა ამათისა შესატყუისნი ცოლნი. ვიცი, რომელ შექენბიან ბერძენთა მეფისა ასული, ინლოთ მეფისა ასული და ბაზართა მეფისა ასული და არა არიან შესატყუისნი შეილთა ჩემთანიო. მაშინ მოაკენა აბრამ ვაზირთა უხუცესმან და აჯერ ეჯობთა უხუცესმან: ცხოვნი, მეფეთ-მეფეო! ამის საქმისათუის ჩუენი ღონე ამირან დარეჯანის-ძე არის, გულთა ქეელი და გონებითა ბრძენი და მეცნიერი, და მას უფლიან ყოველნი ქუეყანანი და კარგად იცის ამბავნი უცხოთა ქუეყანათანი და ანუ თუ მან იცოდეს, და ანუ ასმიოდეს თუ ქუეყანასა ზედა სადა არიან ქალნი შუენიერნი გუითხრას ვითა. თუ თხოვნითა მოიყვანებოდეს, მოიყვანოთ და თუ შორს ქუეყანასა ომი-თა მოსაყვანებნი იყენენ, მაშა, მოყვანება მასვე უნდა. მაშინ ბრძანა მან ბაღდადეღმან

ამირ-მუმლმან: წინადადებთ სახლსა შინ ამირან დარეჯანის-ძისასა და მუნ ვიურვით საქმე ესე. მაშინ უბრძანა სამთა ძეთა მისთა აბრამს და აჯერს და წამოგზარტენს ჩუენ კერძ.

მას ეამსა ამირან დარეჯანის-ძე ნადიმად ჯდა და კმანი მისნი გუერდით უსხედით. მაშინ შემოვიდა კაცი და ეგრე მოაკენა, ვითა: ბაღდადელი ამირ-მუმლი, სამნი ძენი მისნი, აბრამ ვაზირთა უხუცესი და აჯერ ეჯობთა უხუცესი მოვლენო. გაუკუირდა ესე ამირან დარეჯანის-ძესა და ეგრე თქუა: ნეტარ რად მოვლენო, ნუთუ დაუშარტებია ბტერთა ჩუენად და ესე არის მიზეზი მათისა მოსლვისაო.

ფიცხლად გაეგება წინა, თაყუანისცა და მოაკენა: ცხოვნი, ამირთა ამირაო, მადლისა გარდაუდა კამს ჩემგან თქუენისა აქა ბრძანებისა და მოსლვისათუის, ვერა გარგებ, მაგრამ ვინათგან სახელიცა ეგეთი არის, მაღალი თაყსა დაიმდაბლებს, ეს მისთუის გიკადრებიათო. ამაზედამ ამირ-მუმლმან¹ ეგრე უბრძანა, ვითა: შენსა ასრე მოვალ, ვითამცა ამისა ჩემისათა და შევიდა შინა. მოაკენა ამირან დარეჯანის-ძემან: ცინათგან დარეჯანდობითა თაყი და მოსრულ ხართ მონისა კარაყსა, კამს ესე, რომელ ნადიმი გარდაიკადროთო და, თაქმან მეფობისა თქუენისამან*, ერთი ტურჟა ესეთი რამ გიძლუნა, რომელ კაცისა თულისაგან ეგეთი არა ნახულიყოსა.

დაუშადა ამირ-მუმლმა და დავიდევით ნადიმი, რომელ თაქმან თქუენმან, ნადიმად კმა იყო და განუსუენა ამირან დარეჯანის-ძემან და შემდგომად ნადიმისა გაყარისა უძლუნა დიადი, რომლისა არა ეგების მოთულა. რაცა სტაერა არს, ყუელასაგან ოცი ოცი უძლუნა და რაცა ფერი ცხენი არის, ყუელასაგან ას-ასი და თუალ-მარგალიტი ზრცხენი. და შემდგომად ამისსა წაედა თუთ ამირან დარეჯანის-ძე და მოიხუნა მოხენი თუალთა და მარგალიტთა შეკაზმულნი და კლტენი იყენეს ზედა ოქროსანი. გაახუნა და ამოიხუნა გურიგუინი და უძლუნა იგიცა. ამას გურიგუინსა ზედა, რომელ სხდეს თუალნი, მას არა ვაკენებ. ამას გარეთად სამნი თუალნი იყენეს მას გურიგუინსა ზედა — ერთი თეთრა, ერთი მწუანე და ერთი წითელი. და მათ სამთა თუალთაგან რომელიცა უქუნსა ღანესა დასდვი, ესრე ნათობდის, რომელ წიგნი დიწერებოდის და კულთ-საქმარი იქმნებოდის. და ვინცა ნახა, გაჰკუირდა ყოველი ქუეყანა მას ეგეთსა ტურჟასა ზედა. და უძლუნა მრავლად აურაცხელი შვილთაცა და დიდებულთაცა ამირ-მუმლისათა ძლენი ურიცხუნი.

დაიმაღლა ამირ-მუმლმან და ეგრე უბრძანა, ვითა: ამირან დარეჯანის-ძეო, კმა, მაჯობე კაცობითა, განა სახლსა შენსა მიზეზი მოსლვისა ჩემისა ესე იყო, შენ ვითამცა ძმა ხარ ჩემი და მეორე ესე არის, რომელ ხედავ ამა შეილთა ჩემთა. მე არა შეილობითა ჩემითა ვაქებ, განა კაცისა თუალისაგან ნაყოფნი ამათებრნი არა ნახულან და მე ესე მიწა, რომელ მათისა სიკეთისა შესაბამი ცოლნი შეერთო. ესე არის აჯა ჩემი შენთანა და მერმე, რომელ მიძლუნ ძლენი დიდი და საკუირველი, მე მისთუის მადლსა არა გარდავიკდი მით, რომელ თუ კელმწიფე ვიყო, ნაცვალა გარდავიკადო შენთანაო**.

თაყუანისცა ამირან დარეჯანის-ძემან და მოაკენა: ცხოვნი, მეფეო, უქუენისამდე! ბირკულ შეილთა შენთა ცოლისა შერთვა გითქუამს და პასუხი ესე იცოდე, რომელ ყოველი ქუეყანა ზომიელია და მათისა სიკეთისა შესატყუისნი ქალნი არცა მე მიწნახეს. ვიცი, რომელ გექნებთან ბერძენთა მეფისა ასული, ინდოთა მეფისა ასული და ხაზართა მეფისა ასული, განა ვითარცა ლაშით, ეგეთნი არა არიან. აწ ამასა ვიტყუი და მოვაქსენებ მეუობასა თქუენსა: რომელსაცა ქუეყანასა შემოიხინოთ, თაყი ჩემი არა შევიწყულო, ანუ აღვისრულო საწადელი თქუენი და ანუ მოვიკლა თაყი. ძლუნისა კულა მადლი არ გინდა ამად, რომელ ყულა თქუენი ნაბოძვარია და თქუენითა ბედითა მოგებული არის.

დაიმაღლა ამირ-მუმლმან და წავიდა. თქუა აბან კამანის-ძემან: ისი კაცი ეგეთსა გზასა გიჩუენებენ, რომელ ჩუენ ჰიროთა ავიესნეთა.

* აქედან D ხელნაწერი რესტავირებულია. † D ხელნაწერში ყველგან: ამირ-მუმლი.

** აქ თავდება D-ს რესტავირებული ნაწილი.

მეორესა დღესა უკმო ბაღდადელმან ამირ-მუმლმან ამირან დარეჯანის-ძესა ნადი-მად. ოდეს მივდით, დაესხნეს საჯდომნი მკარსა მარჯუენესა. რა მივიდა ამირან დარეჯანის-ძე, ადგა ზე, აწუია. გუბრძანა და ჩუენცა დაესხედით და დიდად გაგუესვენა და ვითა გარდაცა ნადიმი, უბოძა საბოძვარი ურიცხუი და მის გუირგუინისათუის ოდეს მისცა ხუთასი სოფელი. გუბრძოძა ჩუენცა საბოძვარი ურიცხუი და წავედით.

ეტებლა ამირ-მუმლი კაცსა ეგეთსა, რომელმცა ესწავლა საცოლე შეილთა მისთათუის და ვერა ჰოვა. მაშინ უბრძანა აბრამ ვაზირთა უხუცესსა და აჯერ ეჯიბთა უხუცესსა, ვითა: თქუენ ხართ ორნი დიდებულნი ჩემნი და ვითა კეთილი უფროსი არს თქუენ ზედა, წადით და ძებნეთ ძეთა ჩემთათუის ცოლნი შესატყუისნი სიკეთისა მათისანი, დამიკ დროდ თუე ერთი, ზენაარმან ღმრთისამან, თუ არ მოიძიოთ კაცი ვინცა იცოდეს, თავებსა დაჯკრიოთ.

მაშინ გამოვიდეს დაღრეჯილნი და მოვიდეს თავისსა სახლსა და დასაკუნეს ესე პირი, ვითა: ერთი აღმოსავლეთით წავიდეთ და ერთი დასავლეთით და მეოცდაათესა დღესა შევიყარნეთ აქა მოედანსა შინა, ნუთუ კელა ღმერთმან გაგუიმარჯოს.

წავიდეს და იკითხვიდეს და ვერაჲნი გასცა გზა ამბეისა, რომელ უნდოდა მათ. და მეოცდაათესა დღესა შეკრბეს მასვე მოედანსა შინა და უთხრეს ყოველი ყოფილი ერთმანერთსა, და დაუძმძდათ და ეგრე თქუეს, ვითა: ახრა გუეწევის სხუა, მივიდეთ და გაკავოთ საქმე თავისა სახლისა და შეილთა, და მერმე მივიდეთ მას პატრონსა ჩუენსა აზირ-მუმლისა წინაშე და რა უნდა, იგი გუიყოს. ამაზედან წავიდეს, ვითა შეპირებულთა კაცთა მართებს, გაშორდეს მას ქალაქსა. მიხედნეს, მინდორსა შინა საილო ნახეს* თეთრი, ზედა კუბო დგა შეკაზმული და შეუნიერი. და მას კუბოსა შიგან კაცი ვინმე ადამა შეუნიერი მცვერეული, და მას გუერდით ქალი უჯდა, ვითა მზე ეგვით და წინა ღუინო ედგა და ცალკერძ პური ეგო შეკაზმული და ძოწეული საჯდომნი ესხნეს. და თუით იგი ორნივე ძოწეულითა მოსილნი იყვნეს. და ტაიქოსანნი ორნი ეგრე შეკაზმულნი მონანი უკანა მოუდგეს: ორნი იმიერ და ამიერ და ესრე მოვიდოდა კაცი იგი. თქუეს ორთავე, ვითა: ისი კაცი საკუირველი ვინმე არის და ჰგავს შორით მომავალსა. აწ წავიყვანოთ შინა და მუნ ვეუბნეთ, ნუთუ რა გაგუცეს გზა.

მივიდეს და სალამი ზისცეს და მან მათ მისცა. მოიკითხეს მშუილობა ერთმანერთისა, იუბნეს და წამოვიდეს შინა მითსა. სახლსა მათსა დააყენეს და პატრიისცეს და არა გამოუცხადეს მას დღესა. ვითა შედამდა, ნადიმად დასხდეს. თქუა მან კაცმან უცხოსა: უცხო დია ჰქმენით ჩემ ზედა, აწ მიბრძანეთ, თუ რა არს აჯა თქუენი ჩემთანა. მათ შოაკუნეს: ახრა არს აჯა ჩუენი თქუენთანა. გნახეთ კარგი კაცი, მოგუეწონე და მით წამოგაყვანეთ, და უთხრეს ყოველი ყოფილი, მაგრა ესე ვერა უთხრეს, თუ გზა ვერა გაესცეთ, თაეებსა დაგუკრისო. მან არქუა: მბავს ყოლ ნუ შეიპირებთ, რადგან ასე არა დაუმართებია, ვითა თქუენ მამგუარეთო, თხრობისათუის ნუ შეიპირებთ, მე პირველ ჩემი ამბავი მოგაკესნო: მე აბუ-ტალიმ ვარ ლარბი, და ეგეთსა ეტლსა ზედა შობილ ვარ მშუილდობისასა, რომელ არა ეინ მავნებს დაბადებულ კაცი. დიდებული ვიყავ და დიდებულთა შეილი, დავაგდე ყოველი და ვიარები ქუეყანასა ზედა, და მომიღლია ყოელი ქუეყანა, სადა ოდენ კემლი არის და** მრავალი დღე ზღუათა შინა მივლია და თუ კაცი ვინმე ჰყვეს პატრონსა შენსა, რომელ მოყვანება შექძლოს, ეგეთნი დია, ღმერთო, ვასწავლენ, რომელ არ იყენენ პირსა ყოელისა ქუეყანისასა ქალნი ეგეთნი. მაგრა აწვე გითხრობ, რომელ მოყვანება არა ეგებისა.

მათ ჰკითხეს: ესად არს ქუეყანა აგეთი? მან არქუა: არს ქუეყანა მეტად დიდი და მას ქუეყანასა მნათობთა ქუეყანა ჰქუიან. მუნ არს ასფან მეფე დიდი და არიან შუილნი ასულნი მისნი შუილთა მნათობთა სახელსა ზედა, რომელ არა გაიგონების მათი სიკეთე

* აქამდის აკლია A ხელნაწერს.

** აქედან B ხელნაწერი რესტავრირებულია.

კაცისა ენითა, ვინ თუით არა ნახნეს და კაცსა ყულასა მის ქუეყანისა კაცი სჯობს. მიჩუყანეთ მე ბალდადელის ამირ-მუმლისთანა და მოვაქსენოა.

მ. შინ გ. ეხარნეს მათ ვაზირთა უხუცესსა აბრამს და ეჯობთა უხუცესსა აჯერს და სწრაფად წავიდეს და ვითა დარბაზს მივიდეს, უბრძანა ამირ-მუმლმან: მოხვედითო? მოაქსენეს: წინაშე ვართო! — აწ განაღამცა გეცნა ამბავი ყულაო. მათ მოაქსენეს: ცხოვნი, ამირთ-ამირაო! გუიბოვნია კაცი რომელსა ჰქუიან სახელად აბუ-ტალიბ დარიბი და თუ ბრძანებ, მოვიყვანთ წინაშე თქუენსა და მან მოვაქსენოს ყოველივე, და ბრძანა მოყვანება აბუ-ტალიბისა. მოიყვანეს და სწრაფად ჰკითხა მან ბალდადელმან ამირ-მუმლმან: მითხარ, აბუ-ტალიბ დარიბო, ამბავი მნათობთა თემისაო და ასტან შეუის ქუეყანისაო. მან მოაქსენა სიკეთე და სიდიდე მის მნათობთა ქუეყანისა, სიმრავლე არა წლი მის მეუფისა ლაშქარისა და სიმუენიერე მათ ქალაქთა და ბოლოსა ეამსა ესე მოაქსენა, ვითა: კაცისაგან მუნ წასლვა არა ეგების და ნუმცა ვინ გუაქლებს მოყვანებასა მათსა, და თუ არს ვინმე ორგული თქუენი, იგი გაგზავნე და დასტურად მოკულებდისა.

მაშინ უბოძა საბოძეარი აბუ-ტალიბს და ითხოვა ცხენი ამირ-მუმლმან და ფიც-ხლადვე წავიდა ამირან დარეჯანის-ძესთანა. და იგი ამბეისა მცოდნე, აბუ-ტალიბ დარიბი, თანა წაწოტანა, გაეგება წინა ამირან დარეჯანის-ძე, თაყუანისცა და შემოვიდა ამირ-მუმლი ბალდადელი და დავსხედით. უბრძანა ამირ-მუმლმან: ააბა დღე გაბჭობისა შენისა, რომელ მიქადე შეილთა ჩემთათუის მოყვანება ცოლთა, გაკითხე ესე კაცი. ჰკითხა ამირან დარეჯანის-ძემან. და უამბო ყოველივე აბუ-ტალიბ და ესეცა უთხრა, ვითა: ყოლა ნუ ეგების მუნ მისლვას ამათ, რომელ არა ეგების კაცისაგან მუნ შესლვა. უბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან, ვითა: შენ ამბავი მითხარ და ვაზირობა აღარ გინდა, მე თუ უნდა წავიდე და თუ უნდა ნუ. მოაქსენა აბუ-ტალიბ: მე ამბავი მათი ამის მეტი აღარ ვიცი და თუ ვით გამოიყვან მათ ქალთა, კაცისა თულისაგან ეგეთნი, ღმერთო, არ ნახულ არაიანა. მოაქსენა ამირან დარეჯანის-ძემან ბალდადელსა ამირ-მუმლსა: ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე! ვითა მიქადებია ანუ გმსახურო, ანუ მოვიკლა კულავ თავი ჩემი. მადლი უბრძანა ამირ-მუმლმან და უძღუნა კულაცა ამირან დარეჯანის-ძემან ძლუენი დიდი და წავიდა ამირ-მუმლი.

და დაიწყო კახმა ამირან დარეჯანის-ძემან და ჰკითხა მას აბუ-ტალიბ დარიბსა, ვითა: ლაშქარნი მინდანო? მან მოაქსენა: აარა, მცირედნი კაცნი გამოცდილნი წაიტანენ, მაგრა კულაცა მოვაქსენებ: თუ ვით ეგების, დაეკენ მაგა საქმესა.

უბრძანა, თუ: ყულაცა დამიმოწმებია, შენ ნუ მიეზიარებ, ესე მითხარ, თუ გზა როგორი არის. მოაქსენა აბუ-ტალიბ: გზა კარგი არისო, და არცა მტერი მივიხულებდის, მას გზასა ზედა, მაგრა რა მათსა ქუეყანასა მიხულო, მაშინ ომნი დიდი გინდაო. და ენუჯა [ამირან] მას კაცსა, ვითა: წამომყეო და მიმიყვანე მუნაო. მოაქსენა მან კაცმან, ვითა: მე არ წამოგყვებიო, მაგრა მონა მოგცე ჩემიო და მან იცის გზა კარგადო. და რასლა ვაგრძელებდე, დავეკახშენით და წავედით თუით ამირან დარეჯანის-ძე, მე—სავარსიშის-ძე, აბან ჭაწანის-ძე, ალი მოჰამადის-ძე, ასან ბადრის-ძე, ყამარ ყამრელი, ქაოზ ქოსის-ძე და იგი მონა აბუ-ტალიბისა წინ წავიძღუნათ, დაუტევეთ მშუიღობა ამირ-მუმლსა, და სასელსა ზედა ღმრთისასა წავედით.

ჩემნდო, მეფეთ-მეფეო! ვიარეთ დიდი ხანი და მოგუხუდეს მინდორსა შიგან მრავალგან ლაშქარნი მგეობრენი არა მის ქუეყანისანი, რომელ მივიდოდით, განა თუით გამოსრულნი ბეკობრედ. ღმერთმან ორგულთა თქუენთა დააპყრას ეგეთი ყოფა და სადაცა შევიგენით. თქუის მან აბუ-ტალიბისა მონამან: მე ვითარი ომი მინახავს თქუენი და ბაბუქობისა რა გინდა ეგებისო. მივიდოდით და თუ სადა მკეცი გარდაგუეკიდის, განაღამცა მოვკლეთ. ვიარეთ ორი თუე და ზუნე ესე არა ვეცოდით, თუ სადა ვიარებოდით, და გზა-გზა რომელი ომნი გარდავიკადენით, თუ მოვსთუალავთ, ამბავი დია გავრძელებდის. გაგუებარა იგი აბუ-ტალიბისა მონა. და ორი თუე ვიარეთ, ვითა მონა იგი წასულყო, დაგუმძიმდა დიდად და არ ვიცოდით თუ სითმცა წასულვიყენით.

თქუა აბან ქამანის-ძემან; ვითა: მე მაშინვე ვთქუი, ოდეს-იგი წურ-ლიდი კაცი ვნახეთ, რომელ გზათა და ქუალთა მოგუპოტუნებდა. და ყოველთა ვთქუით უბედური სიტყუა. და ვითა ვლამოლით გარე შექცევას, მაშინ გასწყრა დარეჯანის-ძე და ეგრე თქუა, ვითა: არასაქა თქუენ იტყუით, იგი, ღმერთო, კარგთა კნაბუკთა კელი დასტურ არ არისო. ზენაირმან ღმრთისმან და მზემან პატრონისა ჩემისა ბაღდადელის ამირ-მუმლისმან, არ დავბრუნდები, ვირე გზა არა გავიღო.

წავადლოთ. იყო მინდორსა შიგან ხე შუენიერი და გამოდროდა ძირსა ზისსა წყარო და ბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან მუნ კამა სადილისა. დაესხედით და ოდეს ვნახეთ— მინდორსა შიგან კაცი ვინმე მოვიდოდა, ჯამას აქლემსა ზედა ჯდა თოხარიკსა, თეთრი შესამოსელნი ტანსა ეცუნეს და თეთრი რიდე თავსა ეხუია! არა გუენახა მას მრავალთა დღეთა კაცი და გა-ცა-გუენახარეს მის კაცისა ნახუა. უკმეთ მას კაცსა. მოვიდა, გარდაკა და თაყუანისცა ამირან დარეჯანის-ძესა, უბრძანა დაჯდომა და დაჯდა. ვითა ეკამეთ სადილი, უბრძანა დარეჯანის-ძემან: ვინ ხარო, ძმარო, ანუ სით მიხულაო? მან მოაკენა: პატრონო, თქუენ სადა წახულთ, მიკუირს თქუენი მცირეთა კაცთა ამა ქუეყანასა მოსლუა, თუარა მე რასა მკითხავთ, ვიარები ქუეყანასა ზედა. გუბრძანა დარეჯანის-ძემან: თუ უნდა უთხარით ამას კაცსა ჩუენი ამბავი, ნუთუ კულა რამე ეცოდესო? მოვაკსენებ: თქუენ უბრძანეთო! მაშინ უბრძანა ყოველივე. მან კაცმან გაიცივნა და მოაკენა, ვითა: წყლანვე შევიგენ, რომელ ჩემისა ძმისა აბუ-ტალიბისაგან წამოსარული ხართ თქუენ, თუარა ამის ქუეყანისა საქმე ბაღდადსა იმისგან კიდე სხუემან ვილა იყოდა. მე ძმა ვარ აბუ-ტალიბისა და მეცა მისებურად ვიარები ქუეყანასა შინა. აწ შენ მხიარულითა პირითა მკითხე და რადგან მე არა დამიმაღე, აწ გაგცადო მის ქუეყანისა საქმე და მუნებურთა კნაბუკთა, რომელ ვითამცა შენ თუალად გენახნეს, მე თუით თავითა ჩემითა წავიძლუე წინა და მიიყუარნე მას ქუეყანასა.*

უბრძანა მადლი ამირან დარეჯანის-ძემან და გავუბარნეს მის ეგეთისა კაცისა პოენა და თქუა მან კაცმან, ვითა: აგბედე კაცთა კარგთა და კნაბუკთა ღმრთა, რომელ ვინ თქუენ მოგერთოს, თავსა, ღმერთო, ევლარა ევროს. ვინდოდა, ღმერთო, მოსლუა არა ამა ქუეყანასა. აწ ვინათგან მოსულხართ, გარე შექცევა აღარა კამს და არცა ეგების, არს, ღმერთო, გზა ძნელი და საჭირო. განა მიანდევნით თავნი თქუენნი ღმერთსა და იყენენით თქუენნი გულნი თქუენთანა. გუალე და წავიდეთ, და გაგცადო მის ქუეყანისა საქმე და სიმრავლე კნაბუკთა ქუეყანისათა. და იწყო მბობად და თქუა: არს დაკაზმული ცხენოსანნი ოთხი ათასი, რომელ არა დააკლდები. და არიან ზედა მათ ღმერთსა სპასალარნი გაჩენილნი ღმრთი კნაბუკნი და ათნი სხუანი ბუმბერაზნი არიან თუით მას ქალაქსა შინა, რომელ არა ეგების მათი დამართებითი კაცი და იგი ბუმბერაზნი ეგეთნი არიან, რომელ თუ უცხო ღმერთნი ქალაქისა კართა არა მოვიდეს, გარე არა გამოგზავნის ომად. და არიან სხუა მათგანნი ოთხნი, რომელთა აქუს გაჩენილი დღესა შინა ათას-ათასი დრაჰმანი და მათ ექუსთა აქუს ხუთას-ხუთასი დრაჰმანი და იტყუიან მის ქუეყანისა კაცნი, ვითა: არა ეგების მათი შეგმა მტერისაგან, მაგრა ქალაქი იგი, რომელსა შიგან დგანან, დიდსა პირსა შინა არის მათგან და ყუელსა მოსწყინებია * და იტყუიან, ვითა: მოვლენ სიმან სინდთა მეფისა ძე და ლასურ დელამთა მეფისა ძე, ხუას-რო ხაზართა მეფისა ძე და იამან კნაბუკი იამანთა მეფისა ძე ძებნად მათვე ქალთა მნათობ-თათოსო. და თქუა ასფან მეფემან: სამძიმარი მოკმა და დღეთა ჩემთა, რომელ არა დაე-ტყებნა მტერთა სამეფო ჩემიო. აწ მოვლენ მტერნი ჩემნი, განა შევიწყო ღმერთო, რომელ შევეანო მათ, რომელთა მოუმართებია სამეფოსა ჩემისა და ღამიან წაყვანებასა ქალთა მნათობთასა. და ბრძანა მეფემან ასფან წუევა ღმერთისა. გაგზავნა სპასალარნი და შეკრბა ყოველი სამეფო მისი და უბრძანა ორთა ერისთავთა მისთა, რომელთა სახე-ლები ესე იყო: ერთისა ლოსარ ლოსიმანის-ძე და მეორისა ქაბარ ქავის-ძე, ღმრთა ქა-

* აქედან D ხელნაწერი რესტავირებულია.

ბუკთა და გამოცდილთა ბრძოლასა შინა და მისცა ერთსა ორასი ათასი ჰექტარი და უბრძანა სიძან სინდთა მეფისა ძისა და ხუასრო ხაზართა მეფისა-ძისა დამართებად. წავიდეს და მოეგებნეს წინა და მოვიდეს ივინი, მუნითი შეიბნეს და, თავუნ თქუენმან, საშსა დღესა უწუებულად და დაუდგომლად ომი იყო. ბოლოსა ფაშსა გამოაქციენეს ლაშქარნი ასფან მეფისანი და მოკლეს ლოსარ ლოსიძანის-ძე და დაკოცეს ლაშქარი და გუითხრეს: ესე ყუელასა სჯობდესო, თუით სიძან და ხუასრო და ლოსარ ლოსიძანის-ძე მოკლა. მიეგება წინა ქაბარ ქაეის-ძე იაშანსა კაბუქსა იაშანთა მეფისა-ძესა და ლასურსა დელამთა მეფისა ძესა. და შებმული იყენეს და გამოექციენეს ივინიცა და დაეკოცნეს ლაშქარნი. ქაბარ ქაეის-ძე მოკლა თუით ლასურსა. და მოგუენსა ამბაეი ესე, დაღუმძიდა უზომოდ ასფან მეფესა და მოარბიეს ყოველი სამეფო, და დადგომილი არიან ქალაქისა კარსა ზედა ცალკერძ სიძან და ხუასრო და ცალკერძ იაშან კაბუქი და დელამთა მეფისა ძე, და არა არს რიცხუი სიმრავლისა ლაშქართა მათსა, და სიხოვენი ასფანსა ქალთა მნათობთა და ამათ დღეთა მათი და ბუმბერაზთა ომი არის. თუ რალა იქმნებინს, იგი ღმერთმან იცის. სიძან სინდთა მეფისა ძე და ლასურ დელამთა მეფისა ძე, ხუასრო ხაზართა მეფისა-ძე და იაშანი კაბუქი, ესე ოთხნი კელმწიფენი კაბუქნი და კულაე სხუანი მივიდეს აზნაურნი კაბუქნი და აქებდეს დიდად ჯაზღან ფარსადანის-ძეს, ქაბარ ქერდი, ბოლოსო ბასანელი, პარსადან რაბიშინის-ძე, ამრად რაბაგის-ძე და ჯოპარ ქანიძანის-ძე — ესენი წამოსრულან და ცალკერძ ივინი დგანან. ივინიცა მათვე ქალთა მნათობთათუის მოსრულ არიან, და აწ თქუენ მიხუელთ და ომი, ღმერთო, დიდი და ფიცხელი შეიქმნებინსო შიგნით მათგან და გარეგნით თქუენგან, და რალა მოხდებინს, იგი ღმერთმან იცის.

ესე გუიამზო მან კაცმან და თქუა ამირან დარეჯანის-ძემან, ვითა: ამან კაცმან გუითხრა ყუელა კარგად და ესეცა გუიბრძანა, ვითა: კაბუქნი მრავლად არიან, ომნი დიდნი და ფიცხელნი მგონიანო.

წავედით მუნით და წავიდა იგი კაცი წინათ და აცნობა მისლვა ამირან დარეჯანის-ძისა. ამირან დარეჯანის-ძე სახელოვანი კაცი იყო ყოველსა ქუეყანასა შინა და ჰკითხეს მათ კელმწიფეთა და კაბუქთა უსენ, აბუ-ტალიბის ძმასა, ვითა: იგი ამირან დარეჯანის-ძე არის მობალდადე კაბუქი, რომლისა სახელი გუასშია კაბუქობისა მისისაო. შოაკსენა უსენ: იგი არსო. მაშინ შეეკაზმნეს და წინა მოეგებნეს და მოიკითხეს ერთმანერთი, და ვითა იგი ლაშქარნი მოკაზმულნი იყენეს, რომელ თავმან თქუენმან უკეთესობა აღარა ეგებოდა. და გაეხარნეს მათ კელმწიფეთა ნახუა ამირან დარეჯანის-ძისა და მოეგებნეს წინა იგი აზნაურნიცა და გაეხარნეს მათცა უზომოდ ნახეთა ჩუენითა. წავედით და მივედით კართა მის ქალაქისათა და დავედით ცალკერძ ჩუენ. და ცნა მან ასფან მეფემან მისლვა ჩუენი. მოეგზაუნა კაცი და ესე შემოეთუალა, ვითა: ამირან დარეჯანის-ძეო, მესმოდა სიყვით და კაბუქობა შენი შორით, და მიყურადი ვითა ძმა, და აწ ვაშად მოხუდ და ბრძანე ომი და ლუინო წინაო. და შეუთუალა პასუხი ამირან: მეფეო, მე ომი მრაველი მინახავს, მაგრა ესე მიმძიმს, რომელ ვითარი გასმივარ, ეგეთსა ვერა მნახავო.

წავიდა მოციქული იგი და კულა შეროდ გამოვიდა. ებოძა შესამოსელი და სხუა დიადი საბოძვარი. შეროესა დღესა გუიქმნა სიძან სინდთა მეფისა ძემან, დედღა ძოწუელი კარავი და დაესხნეს იგი საჯდომნი და დასხდეს იგი სიძან და ხუასრო, და იაშანი კაბუქი და ლასურ, კელმწიფეთა შეილინი. დამართებთ დაისხნეს ჯაზღან ფარსადანის-ძე, ქაბარ ქერდი, ბოლოსო ბასანელი, პარსადან რაბიშინის-ძე, ამრად რაბაგის-ძე, ჯოპარ ქანიძანის-ძე. და ჩუენ მივედით: ამირან დარეჯანის-ძე, მე — სავარსიმის-ძე, აბან ქაშანის-ძე, ალი ნოჰამადის-ძე, ასან ბადრის-ძე, ყაშარ ყაზრელი, ქაოზ ქოსის-ძე. ადგეს ოთხნივე კელმწიფენი და გამოეგებნეს წინა და აწუიეს. ამირან დარეჯანის-ძე დაისუეს თანა საჯდომთა. დავიდევით ნადიმი და იყო მღერა და განსუენება. და მოეგზაუნა კაცი ასფან მეფესა სიძან სინდთა მეფისა ძესათანა და ხუასრო ხაზართა მეფისა ძესათანა [და შემოეთუალა], ვითა: და-

გიოკცია ლაშქარი ჩუენი, აგიწყუეტია სამეფო ჩემი და ლამით ქალთა მნათობთა წაყვანებასა მკლავითა. და გამოვგზავნი ბუმბერაზთა ჩემთა და რომელსა გწალიან, შეეხიო. დაასწრა სიძან ხუასროსა და ეგრე უთხრა მოციქულსა, ვითა: მე გამოვალ ხელე და შენცა გამოვხვენი ბუმბერაზი შენი და ნახე, თუ რაქი ქაბუკი იყუო, და ამასცა გათხრობ: აქა რომელ ქაბუკნი მრავლად არიან, თავმან შენმან, დასტურად მაგა ქალთა მნათობთა წაყიყვანებთო. და წავიდა მოციქული და ჩუენ გარდავიკადეთ ნადიმი და სიძან. სინდთა მეფისა ძემან გასცა ყოველთა ზედა ღიდი და გაიყარენით მას ღღესა, და ვითა გათენდა, წამოდგეს ზედა მებუკე-მედაბდაბენი და ყოველი ქალაქი ხელეად და თუით მეფე ასფან დაჯდა მალალთა ბანთა ზედა და დაისხნა გუერდით მნათობნი ქალნი მისნი და ღიდებულნი მისნი და დაიღღა ნადიმი. ოღეს შევხედენით მათ მნათობთა ქალთა, ეგრე ვთქუეთ, ვითა: ძმათბერი არა ნახულან ქუეყანასა ზედა. და გამოვიდა მუენით ბუმბერაზი ერთი შეკაზმული საომრად. გავიდა მუედანასა შიგან, და დაიხედით ჩუენცა. შეეკაზმა ოგი სიძან სინდთა მეფისა ძე და გავიდა, მაგრა კაცისა თუალსა ზედა, ღმერთო, კაცად კმა იყო. შემოუღღეს ნაეარდი ერთმანერთსა და შეიბნეს. თავმან თქუენმან, ომად კმა იყო, და იბრძოლეს სამხრამდის. მერმე იყივლა წან სიძან სინდთა მეფისა ძემან, ვითა: ასფან მეფეო, აწ ნახო ბუმბერაზი შენო. შემოუტევა, ჰკრა კრმალი ჩაბლახსა ზედა, ყელადმისი ჩაქუეთა და ფიცხლად მოკლა. ჩუენ გაგუეხარენს ღიდად და შეეახბით ქება და დაუმიძღდა ა:ასანს, მაგრა მოქალაქეთა ერთობ გავტარენს.

გავიყარენით და წაუღლით თავის-თავისა კარავსა. და მეორესა ღღესა გუიკო ხუასრო ხაზართა მეფისა ძემან და აგრევე სღღეს ოგი კელწიფენი ნადიმად და ოგი სხუანი ქაბუკნიცა. ეგრევე საჯღომთა დასუეს ამირან დარეჯანის-ძე. დაიღღეთ ნადიმი და ეგრევე დაიწყეს მგოსანთა მღერა. მოეგზავნა ოგივე კაცი ასფანს და შემოეთუალა ოგივე პირი ხუასრო ხაზართა მეფე'ა ძესა თანა, ვითა ხელე შენი და ჩემისა ბუმბერაზისა ომი არისო. გავიციდა ხუასრო და ეგრე თქუა, ვითა: მასა ერთსაცა კარგად გაემარჯულო, განა თუკე გალადებული ხარ, რომელ კულავე მოღმა მუქარა გეთხოვნიო. დაასკუენს ხეალისა ომი და გავიყარენით. დაიღი ვასცა ხუასრო ხაზართა მეფისა ძემან საბოძვარი ყოველთა ზედა და ვითა გათენდა, დაჯდა ასფან მეფე მათეე ბანთა ზედა და დაისხნა გუერდით მნათობნი ქალნი და ღიდებულნი თუისნი. და ეგრევე წამოდგეს ზედა მებუკე-მედაბდაბენი და წამოდგა ყოველი ქალაქი ხელეად. ხუასრო მშუილდოსანთა იყო, რომელ მისებრივე არა უნახავს კაცისა თუალსა. შეირტყა მშუილდ-კაბარკი და გავიდა. და ოგი ბუმბერაზი ერთი სახე შემოსილიყო, ცხენი და კაცი რკინითა. გამოვიდა ხუასრო. მისლვასავე შესტყორცა ისარი, ჰკრა მკერდსა, გაჭყუეთნა რკინიანი და გაავლო ვითა სამოსელსა და მოკლა. და ეგრევე გაეხარენს გარეგანთა მათ ლაშქართა და შეასხეს ქება. მაგრა აუგად დაუღღეს მშუილდითა შებმა მას ხუასროსა ხაზართა მეფისა ძესა. ამაზედა ერთობ დაუმიძღდა ასფან მეფესა და იტყოდა თუისსა უსუოდ. გავიყარენით მას ღღესა.

მესამესა ღღესა გუიკო იამანმან ქაბუკმან და ეგრევე სღღეს ოგი ყოველნი და დაისხნეს საჯღომნი ამირან დარეჯანის-ძისათუის. მივედით ჩუენცა. ადგეს, მოუგებნეს წინა, დაესხედით ნადიმად და ოგივე კაცი მოვიდა და უთხრა იამანსა ქაბუკსა შეთულილობა ასფან მეფისა, ვითა: ვინათგან ღმერთსა ძღვეა თქუენდა მოუცემია, ჩაშ თუ ეგრე კამდო. აწ გამოვალს მესამე ბუმბერაზი ჩემი და ხელე შენი და მისი ომი არისო. ჰრქუა იამანმან ქაბუკმან, ვითა: გავუფრონა, მეფეო, რომელ ეგე კაცი მოგწყინებოდეს და გუაყოცინებ, მე ვარ ხეალსადო.

გარდავიკადეთ ნადიმი და გასცა მანცა ყოველთა ზედა საბოძვარი, მერმე გავიყარენით, და ვითა ზედა გათენდა, კულავე დაჯდა ოგი მეფე ასფან და დაისხნა ღიდებულნი, და წამოდგეს ზედა მებუკე-მედაბდაბენი და წამოდგეს ზედა ხელეად ყოველი ქალაქი-გამოვიდა ბუმბერაზი ოგი ასფან მეფისა და ჰკვანდა, რომელ წემინეპულრეა და არა სწადდა ომი. გავიდა იამანი ქაბუკი. შეიბნეს ფიცხლად, იბრძოლეს ღიდი და თურკი იწუნა იამანმან ქაბუკმან, კრმალი გასტყორცა, შეუტევა და აიღო უნაგირთაგან და

დაპქრა ქუეყანასა და მოკლა. გაგუიკუირდა ესდენი სიავე მით ბუმბერაზთა და გაეყა-
რენით მას დღესაცა.

მეოთხესა დღესა გუიკმნა ლასურ და ეგრევე დაესხნეს საჯდომნი. გამოეგება წინა
ამირან დარეჯანის-ძესა და დავსხედით და დავიდევით ნადიმი. მოკაზმულობა სახლისა
ერთისაცა არა ჰკენდა მისისა. თამან თქუენმან, რაცა კაცი ვიყვენით, თუითო ლასტი
ოქროსა წინა გუედლა. ვიყვენით ხუთასი კაცი. გამოვიდა იგივე კაცი და ლასურს მოაკ-
ენსა შეთულილობა ასფან მეფისა, ვითა: ხვალე შენი და მეოთხისა ბუმბერაზისა ომი
არისსო და შენცა გაგუეჩუენეო. გაიცინა მან ლასურ და თქუა, ვითა: ვეიცო, რა გიყო-
ულია შენთა ბუმბერაზთაგან.

დაასკუნეს ომი და ჩუენ დავიდევით ნადიმი და ვასცა ლასურ დხდი ყოლე ზედა.
და გაეყარენით და წავედით თავის-თავისად კარავსა. და ვითა გათენდა, დაჯდა ასფან
მეფე მათვე ბანთა ზედან და დაისხნა დიდებულნი მისნი და დაიდვა ნადიმი. წამოდგეს
ზედა მებუეყ-მედამბენი და წამოდგა ყოველი ქალაქი ხელვად. გამოვიდა ბუმბერაზი
და ფიცხლად რასმე უბნობდა. და გავიდა ლასურ, ფიცხელი მეომარი იყო. აიხუნა
ოროლნი და ჰრქუა ამირან დარეჯანის-ძესა, ვითა: აწვე მისლვასა ნახო კაბუკობა ჩემიო
და ვითა შეუტევა*, მისლვასავე ჰკრნა ოროლნი მკერდსა და აილო უნაგირთაგან, ეგზომ
ფიცხლად აზიდნა, დაკრული თურე იყო ცხენსა ზედა, ასწყუიდა და დაპქრა ქუეყანასა
და მოკლა, და შეასხეს ქება ლასურს დელამთა მეფისა ძესა.

და დაუმძიდა ასფან მეფეს ესრე აწყუედა მისთა ბუმბერაზთა და გაეყარენით.
გუიმძიდა ჩუენ და ვთქუით თუ, ნეტარ რასთუის არვიენ შეება ამირან დარეჯანის-ძესა?
თურე არა ლამის მოცემასა ქალთა მნათობთასა. თქუა ამირან დარეჯანის-ძემან: ზენაარ-
მან ღმრთისამან და მზემან პატრონისა ჩემისა ბაღდადელის ამირ-მუმლისამან, სამთა
უკეთესთა მე წავასხამ პატრონისა ჩემისა შვილთათუისო. გამოკდეს დღენი მრავალნი
და აღარავინ გამოგზავნა ასფან მეფემან. მერმე შეკრბეს ერთგან იგი ოთხნივე კელმწი-
ფენი და მიუგზავნეს კაცი მას ასფან მეფესა ამა პირსა ზედან, ვითა: ნუ იჭირვი და
ნერკალა ჩუენ გუაქირვებ, მოგუკენ ასულნი შენი ცოლად. აგუიწყუედია სამეფო შენი,
რომელ წავიდეთ და იყავ მშუილობით. და თულა ვინ შემსგავსებული გყავს, გამოგზავნი
და შეეცხნეთო.

მან გამოსცა პასუხი, ვითა: ჯერეთ დიდნი ჰირნი გისხენ და ბოროტნი თავისა
თქუენისანი და დიდად ისწრაფითო. ექუსნი ბუმბერაზნი სხუანი დამარჩომიან და მათ
აზნაურთა კაბუკთათუის გამოგზავნი, შეეცხნენ და გამოვსციდი მათცა, თუ რაძი კაბუკნი
არაიანა. ხვალისა დღე დაასკუნეს ომი.

ვითა ზედა გათენდა, დაჯდა მეფე ასფან მუნვე და გამოვიდეს ექუსნი ბუმბერაზნი
ქალაქთა და აქათაც გავიდეს ჯაზდან ფარსადანის-ძე, ქამარ ქერდი, ბოლოსორ ბასა-
ნელი, პარსან რაბრმინის-ძე, ამრად რაბაგის-ძე და ჯოპარ ქანიმანის-ძე. ჩაშ თუ თორ-
მეტთა კაცთა ომი უფრო დიდი აჩნდებისო.

და უფიცხეს შეიბნეს პირველისა და იბრძოლეს დიდი ხანი. შეშინდეს ბუმბერაზნი
ასფან მეფისანი და გაიქცნეს, და წაეწივნეს კართა მის ქალაქისათა და დაკოცნეს ბუმ-
ბერაზნი იგი. თქუა ამირან დარეჯანის-ძემან, ვითა: ერთისა ადგილისა ესდენი ბუმბერაზ-
ნი ავნი არავის უნახავსა. შეუგზავნა ამირან დარეჯანის-ძემან კაცი ასფან მეფესა და მო-
აკენსა, ვითა: მეფეო, ომისა აჯება კამს, ღმერთო, განა რად არვიენ შემადიო. მან ეგრე
შემოუთუალა, ვითა: ენუ ისწრაფვი, ამირან დარეჯანის-ძეო, შენიცა მყავს შემბმელიო,
მაგრა ავად რასმე უმარჯულების ჩემთა ბუმბერაზთა და მე ესე მიხარიან, რომელ
როკიქსა ეგზომ დიდსა ვეღარა სკამენა.

* აქ თავდება D-ს რესტავრირებული ნაწილი.

გამოკლეს დღენი მრავალნი და ბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან, ვითა: „კამს ესე, რომელ მოვიდეს ჩუენსაცა ისი კელმწიფენი და აზნაურნი კიბუქნიო. მე ეგრე მოვაკსენე: დიო, ღმერთო, კამსო. გაგზავნა ქაოზ ქოსის-ძე და შუუთულა, ვითა: დაიძაბლეთ თავი და განისუენეთ მონისა კარავსო. მათ შემოუთულა, ვითა: კარავსა მამისა ჩუენისასა ეგრე მოვალთო. და უკმეთ მათცა აზნაურთა კიბუქთა. მოვიდეს, ქამეს პური და გარდაიხადეს ნაღიმი. ამაზელა გამოგზავნა კაცი მას ასთან მეფესა და შემოეთულა, ვითა: ამოსულ ხართ კარსა ჩემსა ზელა დიდნი კელმწიფენი და გარდაგიკლიათ დიდნი ომნი და გამარჯუებულნი ხართ. თუცა არა მოსულიყვენით აქა და სახლით თქუენით გეთხოვენეს, ღმერთმან იცის, გამეხარდებოდეს და მოგცემდი ასულთა ჩემთა ცოლად. აწ ეინათჳან მოსულ ხართ აქა და მკლავითა ლამით წყაყანებასა პატრონისა შვილთათუის, ასე არის, აწ გამოცდა კელთა კამსო, ვინ დააჯეროთ ერთმანერთი და აიღოთ სახელი. აწ შენ, სიმიან სინდთა მეფისა ძეო, შეები ამირან დარეჯანის-ძესა.

მაშინ ესწრა ამირან დარეჯანის-ძემან და თქუა, ვითა: მე ყოველთა მეფეთა ყმა და მონა ვარ, არავეს ვკადრებ ომსა, და თუ შენ ჯავს ვინმე, გამოგზავნე და შევემბიო. ამისა შეთულისობისათუის ეგონა სინდთა მეფისა ძესა შეშინება ამირან დარეჯანის-ძისა. არქუა ამირან: სიმიან, ბრძანება თქუენი არსო. დაასკუნეს ომი ხვალისად. და არქუა მას ასთან მეფემან: ამირან ჩემი არის და მე გამოგზავნიო. და ვითა გათენდა, მოგზავნა კაცი ამირან დარეჯანის-ძესათანა და გამოეცა შესამოსელი და საბოძეარი, ვითა: შენ ჩემთუის დიო ჩემ კერძ. გამოხულა, აწ გაედ და შეები, ვითა გაქუს კიბუქობისა შენისაგან იმედლო.

დაჯდა ასთან მეფე მუნეე და დაისხნა გუერდით მნათობნი ქალნი და დაიდვა ნაღიმი, დაისხნა დიდებულნი. შეეკაზმა ამირან დარეჯანის-ძე და გაეიდა და თქუა ყოველმან კაცმან, ვითა: არვის უნდა ომი მის კაცისაო. და გამოვიდა სიმიან სინდთა მეფისა ძე და ხედვიდა ყოვლი ქალაქი ზედან. შემოუვლეს ნაეარდი და ერთმანერთსა შეუზახნეს და შეიბნეს. სიმიან დიდად იბრძოდა და ფიცხლად. ამირან ეკრძალოდა. სიმიანს არ ეგონა ევლენი შეძლება ამირან დარეჯანის-ძისა და დაუწყო ფიცხლად ომი. მაშინ გაიყვანა ცხენი ამირან და შეუზახნა: მეფეო, გამიფრთხილდი, მოვალ და აღარ გეკრძალვი ჩამოვდებისათუის, მაგრა მოვკლავ არაო. ფიცხლად შემოუტევა ცხენი და ჰკრა ცხენისა თავსა კრმალი და მოჰკუეთა თავი, და ვითა ჩამოიჭრებოდა, მიჰყო კელი და, ვითა ცოტაი ყმა, კელთა აიყვანა და თქუა: შემინდევ, მეფეო სიმიან, არა გინდა ჩემი ომიო. ვაიციან ასთან მეფემან და თქუა: სიმიან, ჩემი თურე ბუმბერაზი გეგონა ამირან დარეჯანის-ძეო.

დაუმძიმდა დიდად სიმიანს და მას დღესა გაიყვარენით თავის-თავისად. და მეორესა დღესა კულავ მოგზავნა კაცი ასთან მეფესა, ხუასრო ხაზართა მეფისა ძესა თანა და შემოეთულა, ვითა: თუ გწადიან, შენცა შეები და უშუელე ამხანაგთა შენსაო. მას დაუმძიმდა და თქუა: მე ორპირვე შევებში, შენ წუევა რად გინდაო. და თქუა კულავ ამირან დარეჯანის-ძემან, ვითა: ღმერთმან იცის, მე ნებითა ჩემითა არ ვებრძვი კელმწიფეთა მით, რომელ არამცა ფათერაკი წამეკიდოს და მკაცლეს რომელიმე კელთა ჩემთაგან. არა კარგი არის აზნაურთაგან კელმწიფეთა სიყუდილო.

დაჰპატრეა ხუასრო ხაზართა მეფისა ძემან ომი. ესე იყო წესი ხუასროსი, რომელ რასაც ღმრთისაგან დაბადებულსა შეპკრის ისარი, მოკლის. მოგზავნა კაცი დარეჯანის-ძემან [და შეუთულა], ვითა: რითა შევიბნეთო, ისარსა და მშუილდსა აიღებ ანუ არაო? მან ეგრე არქუა: არა აეიღებო.

და ვითა გათენდა, დაჯდა ასთან მეფე მასეე ადგილსა და გამოგზავნა ერთი დიდებულთაგანი. შემოეთულა: თავსა ჩემსა, კარგად და გულისად შეებიო. შეეკაზმა ამირან და თქუა: ნუთუ ჩუენ არა ვიცოდეთ, კაცი მუხთალი არისო. ითხოვნა პოლოტიკინ

* D ხელნაწერი ამის შემდეგ რესტავრირებულია.

ჯაჭუი და აბჯარისა ქვეშე დაიპყრნა უჩინრად. გამოვიდა ხუასრო და არა ჰქონდა მშვილდი. დაუმოწყა ყმასა, ვითა: მშვილდი ჩემი ფარულად დაიქირე და რა ეამი იყოს შებმისა, ფიცხლად [მომართუიო. გავედეს და შემოუელეს ნაფარდი ერთმანერთსა და მიართუა ყმამან უცნაურად მშვილდი. შესტყორცა ისარი ხუასრო, დაჰკრა მკერდსა, გაჰკუთენა პოლოტიკნი რკინისანი, ჯავშანი და ჯაჭუი, და მკერდსა დიდი შეჰკუთეთა. მაშინ დაუშვიდა დარეჯანის-ძესა და ეგრე არქუა, ვითა: მუხთლად ლამოდი ჩემსა სიკლდილსაო, წყეულმცა ხარ. არა არს კარგისა ჰაბუისა კელი ეგე მუხთლობა. სით წახულ აწ კელისა ჩემისაგან უსიკუდილოო.

გამოიგლოჯა ისარი მკერდიდამ [და] შეუტევა გულმწყარალად; რომელმცა მოეკლა. გაექცა ხუასრო და მოვაქსენე: ნუ, ამირან, ნუ გამწყარალ ხარ, ვერ წაუფა ნაკრავსა შენსა და მოჰკლაო. მან ჩემსა სიტყუასა ზედა გასტყორცა კრმალი, მიეწია, აილო უნაგირთაგან და დასცა ქუეყანასა ზედა, და შებნიდა და არქუა: ზენაარმან ღმრთისამან და მზემან პატრონისა ჩემისა ამირ-მშულისამან, თუცა ეელმწიფე არ ყოფილიყავე, მო-მცა-მკუდარ იყავ კელითა ჩემითა. შეაქცია ზურგი და წამოვიდა. მივიდეს ყმანი მისნი და წაიფიანეს ხუასრო. და დანიმადლა მეფემან ასფან არ მოკლვა ხუასროსა და ებოძა საბოძუარი. და თქუა ყოველმან კაცმან: ახა არს ჰაბუი დარეჯანის-ძისებრი ყოველსა პირსა ქუეყანისასა.

გამოკლა იგი დღე და მესამესა დღესა გამოსთხოვა მუქარა იამანმან ჰაბუემან, და არქუა დარეჯანის-ძემან: უფლისწულო ჩემო, ნუ ვინ დაგარწმუნებს ომსა ჩემსა. ღმერთმან იცის, შიძომს ომი თქუენო. მან არქუა, ვითა: ახა არს წამალი ომისაგან კიდევ. ასფან მეფემან უბრძანა: გაუშუი ეგე, ამირან დარეჯანის-ძეო. ვირე ყოველთა არა შეებმი, სხუა ღონე არა არისო. მერე გამოვიდა იამანი ჰაბუი და აქეთა გავიდა ამირან დარეჯანის-ძე. შეუტრეეს ერთმანერთსა და დიდი ხანი ბრძოლეს, მერმე გაიფიანა ცხენი იამან ჰაბუემან, შემოტრევა ფიცხლად და დაჰკრა ცხენისა თავსა დარეჯანის-ძისასა და მოჰკუთენა თავი და ჩამოაგდო. ამირან დარეჯანის-ძემან მიჰყო კელი გულმწყარალმან და უკანასა ფერკსა მოვიდა ცხენისასა. უკუზიდნა და ქუეყანასა დაჰკრა ცხენი და კაცი და ჩამოჰყვილა ასფან მეფემან: არასლა იკლებ ჩამოგდებულისა კაცისაგან, იამანო ჰაბუეო? გაგუიქვირდა, თავმან თქუენმან, ომად ფიცხლად კმა იყო.

მეორესა დღესა ლასურ დელამთ მეფისა ძესა კაცი გამოეგზავნა მეფეთა შეილთა თანა და ამირან დარეჯანის-ძისათუის [და შემოეთულა], ვითა: დღესა ჩემსა ბრძანეთო. მივედით და დაგუიდევა ნადიმი, რომელ, თავმან თქუენმან, ნადიმად კმა იყო. მერმე თქუა ლასურ დელამო მეფისა ძემან: ამირან დარეჯანის-ძეო, მრცხენიან, ღმერთმან იცის, ამა სიტყუსა თქნაო, განა ესე კელმწიფენი შეგბიან და შენ და მეცა შევიბნეთო. გასცა პასუხსა ამირან, ვითა: ღმერთმან იცის, განა ძოლანცა ვთქუი: არა მწადიან კელმწიფეთა ომი, და რადგან თქუენ გიბრძანებიათ, მის მეტი ჩემგან რა ღონეაო.

დაასკუნეს ოძი. გაიყარა ნადიმი. დილა გათენდა. წამოდგეს ზედა მებუეკ-მეღამ-დაბენი, შეეკაზმა ლასურ და გავიდა. თქუენმან მზემან, კაცად კმა იყო. აქეთ გავიდა დარეჯანის-ძე, შეიბნეს, ფიცხლნი ომი გარდაიკადეს დილითგან ვიდრე მწუხრამდი. ფიცხლა გაიფიანა ცხენი ლასურ და თქუა: ასფან მეფეო, აწ-ნახე გავება დარეჯანის-ძისაო. თავმან თქუენმან, გუფგონა გასწორება. კრმალი ჰკრა ჩაბალახსა ზედა და, თავმან თქუენმან, თავსა დიდი შეჰკუთეთა. მერმე გაიფიანა ცხენი დარეჯანის-ძემან და უყვილა: ლასურ დელამთა მეფისა ძეო, აწ ჩემგან ნახე სიფიტე შენ ზედა, თუ რა მოვაწიო. აჩქარა ცხენსა და ცხენი და კაცი ესეთი გამოიგორვა, რომელ თავსა გზა და კუალი ველარა შეიგნა. მაშინ გაიცივნა ასფან მეფემან და თქუა, ვითა: დამიყვიენენ მეფენი სიძენი, დარეჯანის-ძეო! მის დღესა თავის თავისად წავიდეს. რა დილა გათენდა, კაცი გამოეგზავნა ასფან მეფესა და შემოეთულა, ვითა: დარეჯანის-ძეო, ვიცი რომელ არა არს პირსა ქუეყანისასა ჰაბუი შენებრიო. აწ პირი არს, რომელ ეგე აზნაურნი და

თქვენნი ყმანი შეაბნეო. მაშინ მოაკსენა ამირან, ვითა: რაცა გიბრძანებია, განალამცა* მართალ ხარო.

რა დილა გათენდა, წამოდგეს მეფე, დიდებულნი მისნი და ყოველი ქალაქი მათვე წესითა. გამოვიდეს აზნაურნი ქაბუენი ექუსნივე დაკაზმულნი და აქეთ ჩუენ დავკაზმენით. გავედით და შევიბენით. კარგნი ქაბუენი იყენეს ისინიცა. ბინდამდის ომი იყო. დასჯარდეს მოქალაქენიცა და გარეგნით ყოველი ლაშქარი. გაგრძელდა ომი. იყიფო ასფან მეფემან: თუ ჰგავთ პატრონსა თქუენსა ამირანს, ყმანო მისნო, აწ რამი არის ჯობნისაო. ამა სიტყუასა ზედა თქუა ალი მოჰამადის-ძემან: კამს კარგი ნაქმარიო. გავფიცდით ესრე, რომელ ვითამცა ახლა დაუწყო ომი. ვიბრძოლეთ ცოტალა ხანი და ჩამოვყარენით ექუსნივე და ესე კარგად მოკდა, რომე არა რომელი მოკლდა. შევედით და დაესხედით პატრონსა ჩუენსა ამირან დარეჯანის-ძესა თანა გუერდით ნადიმსა. მათ კელმწიფეთა გუიბოძეს ღიადი და გავიხარენით. მერმე გაიყარა ნადიმი და მეორესა დღესა მიღგზავნეს კაცი მათ ოთხთავე კელმწიფეთა ასფან მეფესა, ვითა — აიწ კულა მიზეჯი აღარა არს, მოგუკუნ ასულნი შენნი ცოლად და ამირან დარეჯანის-ძესაცა მოსცენ პატრონისა მისისა შეილთათუის, და თულა არს ვინმე მეომარი სხუა, გამოგზავნე და მასცა შეეებნეთ. მან გამოსცა პასუხი, ვითა: გაგიხუამ კართა ქალაქისათა და თუით გამოიყვანეთო.

იყენეს შუიღნი ქორნი შუიღთავე ქალთანო და უდგა კართა ზედა სამათას-სამათასი მეომარი კაცი მცველად ამა სამათა ქალთა უკეთოსთა, და ოთხითას-ოთხითასი კაცი უდგა; უფრო ძნელი და უფიცხელი ყოველთა ომთასა იგი იყო. გაუიხუნეს კარნი და შევედით მას ქალაქსა შინა, დაკაზმულყენეს იგი კელმწიფენი და ამირან საქუეითოთა აბჯრითა** შექურდილყო. ყოველნივე იგი მცველნი საომრად მოკაზმულიყენეს. მაშინ დაგუიქირნა ამირან დარეჯანის-ძემან თუისსა თანა მე, სავარსიმის-ძე, აბან ქამანის-ძე და ალი მოჰამადის-ძე. გაგზავნა სიმან სინდთა მეფისა ძესა თანა ყამარ ყამრელი, გაგზავნა იამანსა ქაბუესა თანა ქაო ჰოსის-ძე, გაგზავნა ლასურ დელამთა მეფისა ძესა თანა ასან ბადრის-ძე [და შეუთულა], ვითა: იახლენით და კარგად დადგეთო. დაეკაზმენით და შეეებნით. მას დღესა გარდაცა ომი და ვერა შევედით. იგი ქალთა მცველნი კაცნი ყუელა დარჩეული იყო.

მეორესა დღესა კულა შევიბენით და დაიკოცა მას დღესა შინა ღიადი ლაშქარნი. მოვერივენით და ვირე იგინი ოთხნი თუითოსა გამოიყვანებდეს, მანამდისი ჩუენ, რომელნი სჯობდეს, სამნი ქალნი გამოიყვანენით, რომელთა უდგა ოთხითას-ოთხითასი კაცი მცველად. და გამოიყვანეს მათცა და მივედით ასფან მეფესა წინაშე. და გამოგუეგება ასფან მეფე წინა და თქუა: კურთხეულმცა არს ქაბუეობა თქუენი, რომელ არა არს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა ქაბუეი თქუენებრიო. მას დღესა აღარა ეგებოდა. და მეორესა დღესა დაჯდა ასფან მეფე და შემოიკრიბნა დიდებულნი მისნი და ყოველი ქალაქი. და ქმნეს ქორწილი და შერთნა ოთხთავე კელმწიფეთა ოთხნივე ქალნი, რომელნი მათ გამოეყვანნეს და მისცა ზითევი, რომელ არა იყო რიცხუი და შეგება. დავეყენით მრავალნი დღენი მუნ და მერმე წავიდეს იგი ოთხნივე კელმწიფენი თავის თავისად და წაიყვანნეს ცოლნი მათნი დიდითა მოკაზმულობითა და ჩუენ ვიყვენით მუნვე. ვერე გუიბრძანა ასფან მეფემან, ვითა: თქუენ ჯერეთ ვერ გავიშუებო და რა რამი იყოს, თუით გაგზავნეო. მოაკსენა ამირან, ვითა: მმეფეო, ისი კარგნი ქაბუენი მოსრულ არიან აზნაურნი კარსა შენსა ზედა და არა კამს მათი უბოროდ გაგზავნა მით რომელ ემსა შინა უდგამებთან. აწ უბრძანე შენთა დიდებულთა და მათნი ასულნი შერთნეს ცოლად. უბრძანა მეფემან დიდებულთა მისთა და მათნი ასულნი შერთნეს ცოლად. და უბოძა ღიადი მათცა და გაგზავნა მომადლებულნი. მაშინ მოაკსენა ამირან დარეჯანის-ძემან:

* აქ თავდება D-ს რესტავრირებული ნაწილი.

** აქედან აკლია A ხელნაწარი.

ეცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! მე * თქვენსა წინაშე ყოფნა დიდად სიხარულად მიჩანს. დამიყოფა დიდი ხანი და ისწრაფის პატრონი ჩემი, ეამი არს წასლვისა ჩემისა. უბრძანა: ვითა: დია გაგზავნიო. გაახუნა კარნი საგურქვლეთანი და შევაზმა ზითევი, სხვისა უფელასაგან კიდე ოქრო, მარგალიტი, თული და სტავრა ორი ათასი აქლემი და ათასი ჯორი კიდებული მოსცა, ათასი საჯინიბო ცხენი და სამი ათასი საკედარი მისი თავე აკაზმულობითა ესე ზითელი წამოატანა. ამას გაართად უბოძა ამირან დარეჯანის-ძესა ურიცხუი ოქრო, მარგალიტი, სტავრა კერული და უყერავი, ასი ჯორი კიდებული. და ჩუენ, ყმათა მისთა, ექუსთავე, გუიბოძა დიადი. გამოგუევა თანა თუთი მეფე და დიდებულნი მისნი.

წამოვედით და მოვედით ბაღდადს და მოპკუარნა პატრონისა შვილთათუის ცოლნი ნაყოფნი ეგეთნი, რომელ არა ნახულიყენეს კაცისა თულითა. გაეხარნეს უზომოდ ბაღდადელსა ამირ-მუმლასა და კმნა ქორწილი მეორესავე დღესა. მერმე უბოძა ამირან დარეჯანის-ძესა საბოძარი ურიცხუი და ჩუენ ექუსნივე დაგუმოსნეს ტანსა და გუიბოძეს დიადი.

აქა დასრულდა კარი მნათობთა. დაუსრულებელმცა არს დიდება მეფობისა თქუენისა უკუნისამდე, ყამთა მრავალთა.

ბარბი მერამი

ბილიხმათა ამაჰამი

ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხონდი უკუნისამდე! აღიდნეს ღმერთმან მოყუარენი თქუენნი და არცხუინოს ორგულთა თქუენთა!

ყმა მოვიდა მესაწოლე დილასა და ეგრე შითხრა, ვითა: გიბრძანებს ამირან დარეჯანის-ძე, ჩემსა მზესა, აღრე მოდიო. ავღეგ და წაველ, მეგონა, ვითა: ამაჰამი რამე ასმიო. ოდეს მიველ, საგებელსა ზედან ჯდა. დაეღრიჯნეს და შუბლსა კელი მოედგა. დამიძიძა მისი ეგრე დარეჯით ყოფა და ვითა შევედ, ეგრე მიბრძანა: მოხუედ სა-ეპრისიმი-ძეო? მე მოვაკსენე: წინაშე ვარ მეთქი. მიბრძანა: მიღმართ მიხედენო. ოდეს მიხედენ, ეტრატითა დაკრული ქალისა სახე კედელსა ზედა ეწერა, რომლისა უშუე-ნიერესი არა ინახოდა. მიბრძანა: მოგეწონაო? მოვაკსენე: მო-მეთქი. კულად მიბრძანა: აქა მოელ და დაჯედ. ვიცი, ღმერთო, არცა მე, განა რომელი ვიცი, გითხრაო. წამო-ვიდგენ ოქროსა სელნი და დავჯედ. ეგრე მიბრძანა, ვითა: ძოღანვე დიაცი ვინმე მომადგა ზედა მძინარესა და ეგრე მითხრა: ამირან დარეჯანის-ძეო, შენისა ჰაბუკობისაგან პირი არ არის, თუ შუე ქუეყანასა ზედა იყოს და შენ იგი არა ნახო.

მე ვამეღლიძნეს და გამიკურდა. ვთქუი გულსა შინა, ეშმაური რამე არის და ყური არა მიუჰარ. ღამე მრავალჯერ მოვიდის და მითხრის და მე ეშმაური მეგონის. აწ კულა წუხელის მოვიდა და ეგრე მარქუა მანვე დიაცმან: ამირან, ჩემი სიტყუა არა მოისმინე, აწ მის ქალისა სახე, რომელსა ეიტყოდი, კედელსა ზედა დამიწერია, გაიღლიძენ და ნახენ. თუ მეტყუენოს სიკეულუე, იცოდი, ყუელასა ეიტყოდი. ოდეს ვამეღლიძნეს, ისი კედელსა ზედა ეკრა, ამის მეტი სხუა არა ვიციო. მე ეგრე მოვაკსენე, ვითა: ესე არა ჰკითხე, თუ რომელსა ქუეყანასა არისო. კულავ მიბრძანა: ამის მეტი, რომელ შენდა მითხრობი, მის მეტი არა ვიციო და არცა-რა მიკითხავსო.

ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! დამიძიძა დიდად და ვთქუი გულსა შინა, ვითა: ეშმაური რამე არს და ფათერაკსა დაეიპყრობით. მე ეგრე მოვაკსენე, თუ: რა მოგაკსენო, დაგამძიმდებისო. მან ეგრე მარქუა: თქუი, რაცა გწადიანო. მოვაკსენე: ბედითი რამე ეშმაური საქმე მგონია და ბედითსა ჰირსა ჩაცესუივით და ბოლოსა ეამსა კელთა იღარა დაგურჩების-რა მეთქი. ეგრე მიბრძანა: გაუშუი ეგი, სავარსიშის-ძეო¹, დასტურ

* აქამდე აკლავს A-ს. ¹ D ხელნაწერში კვლავან: საარსიშისძე.

ანუ გავიღებ გზასა და ანუ კულა მისსა ძებნასა შიგან მოვიკლავ თავსათ. მე ეგრე მოვაკსენე: არცა ქუეყანა ვიცი და არცა გზა, ღონე არა არის ამისი, თუარა მე წასლვისა არ გიშლი მეთქი. ამაზედა შეიკირებდა და მქმუნებოდ შეექმნა. გარდაცვლეს ღონი მრავალნი. ასპარეზითა გუემდერა და შინა წამოვიდოდით და ეგრე მიბრძანა: გულუე ვიარებოდეთო, რომელ სიგრავლ მეცესო. წამოვედით შინათ კერძო და ზედა შელამდა და კაცი ეინმე რახსსა ცხენსა ჯდა, წითელი შესამოსელი ეცუა. და ჩაჩი ზარქაში თავსა ებურა. მოვიდა და ეგრე არქუდა: ამირან დარეჯანის-ძეო, ვიცი, რომელ შეკირებება შეგქმნია მის ქალისა სახისათუის. აწ ინდოეთით კერძო დამართე, რომელ დიდი მინდორი არის და მუნ გვიღებ გზასო. იქრა მათრაკი და წაივია. გზა-კუალი ველარა გავიდეთ. მე ეგრე მიბრძანა, ვითა: გესმის მის კაცისა, საეარსიმის-ძეო? მოუკსენე: მესმის მეთქი, მაგრა გზა, ღმერთო, არცა-რა ამას გაუცემია. ეგრე მიბრძანა: თუ გული არ გაკლებს, წასღვ-საგან კიდე სხუასა ნურასა იგონებო.

ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე! დამიმძიმა, ღმერთო, დიდად განა არა შევიდევ თავსა. მივედით შინა. მერედა აღესა გააგო ყოველი საქმე ციხეთა და ქალაქთა და უჩინნა ერთგულნი კაცნი და რაცა კამდა, უბრძანა. ალი-მოჰამადის-ძე, ასან ბადრის-ძე და ყამარ ყამრელი შინა არა იყენეს. მე საეარსიმის-ძე, აბან ქამანის-ძე და ქაოზ ქოსის-ძე მიგუასხნა და გუიბრძანა: აბა, მითხარით, — ლაშქრითა სჯობს წასღვა ანუ ჩუენით ოდენ? აბან ქამანის-ძემან მოაკსენა: ცხოვნი უკუნისამდე, ამირან დარეჯანის-ძეო! თუცა უკეთესსა ვიქმოდეთ, მაშინცა ყუელასა ესე სჯობს, რომელ თუცა ყოლე არა წავიდოდით ამით, რომელ ემშაურა და ბედითი გზა არს და თუ წაველთ, ლაშქარი არა მოგუინდების. მოვილოდინნეთ ალი მოჰამადის-ძე, ასან ბადრის-ძე და ყამარ ყამრელი, თუარა ჩუენ წავიდეთ ოთხნივეა.

გაციონა ამირან და ეგრე არქუა, რომელ წასულასა მიშლი, ავლე თურქო? მან ეგრე მოაკსენა, ვითა: თუ მევლოს, ამას გზასა გაჩნდებისო. ამაზედა დავეკაზმენით და წავედით ამირან დარეჯანის-ძე, ქაოზ ქოსის-ძე, აბან ქამანის-ძე და მე, საეარსიმის-ძე. ალი მოჰამადის-ძე, ასან ბადრის-ძე და ყამარ ყამრელი შინ არა იყენეს. ამათ სამთა მოლოდინება ვაწუიეთ ამით, რომელ ეგეთსა გზასა საიმედოდ კმა იყენეს.

ვაკსენეთ სახელი ღმრთისა და წავედით. დავმართეთ მას მინდორსა, რომელ მან კაცმან გუაწუია. მოგუხუდეს მრავალნი მკეცი. დავკოცენით და მივედიოდით. კაცი ვინმე ქედსა ზედა წამოდგა და იყიელა: ვინ ხართ ცხენოსანო, მანდ წინ ლაშქარნი დგანან მეკობრენი, მაგას გზასა ნუ წახუალთო თუარა დავკოცენო. ქაოზ ქოსის-ძემან ეგრე მოაკსენა: წავიდე და ენახნე ისი ლაშქარნიო. წავიდა ქაოზ ქოსის-ძე და ხუთასსა ცხენოსანსა ზედა შეჰკდა და, თემან თქუენმან, ესრეთ მოგრია, ვითამცა იგი ხუთასი ყოფილიყო და მეკობრენი ერთი. დამიდალა ამირან დარეჯანის-ძემან და ეგრე უბრძანა: ვითა ჩემსა გაზრდილსა მართებდა, ეგრე იყო. წავედით მუნით. მოაკსენა აბან ქამანის-ძემან: წინარე ვიარებოდეთო. კამს, რომელ საქმე ზე არა შემოგუხუდესა. უბრძანა: დია, ღმერთო, წადით. წავიდა და წინა იარებოდა. სამთა კაცთა ზედა შეხ[უ]და და ეგრე ჰკითხა: «რა წაგვიღებია?» მათ ეგრე არქუეს: მეკობრენი ქარავანსა ზედა გარდაგუესხნეს და ჩუენგან კიდე ყუელა დაკოცეს. ჩუენ შეგუიპურნეს და თანა წაგუიტანნეს და გზასა ზედან შეკრულნი დაგუყარნეს და აგერა თქუენსა წინა მიდიანო. ჩუენ აღარა გუაცნობა აბან ქამანის-ძემან. წავიდა და ათასსა კაცსა უკანა მოეწია მეკობრეთა და ღაღოცა და რისხვა ღმრთისა დასცა მათ ზედა. ოდეს ჩუენცა მივედით, იგი კაცნი ჩუენ შეკრულნი ენახნით. ვკითხეთ და იგივე გუიამბეს. კულა ვკითხეთ: ერთი ცხენოსანი არა ნახეთ? მათ თქუეს: ვნახეთო, და მათ მეკობრეთა ომად წავიდაო. წავედით ჩუენცა შუელად აბან ქამანის-ძისად. ველი რამე ყო და ზედან წავედეთ. ცხენი და კაცი დაკოცილი აურაცხელი ვნახეთ და აბან ქამანის-ძე იქი არ იყო. დაუშიმდა დარეჯანის-ძესა და ბრძანა: მოვაკვლევინეთ ვითარი კაცი ბედითთაო.

ცოტა ხანი გამოკვდა. მოვიდა აბან ქამანის-ძე და მრავალი კაცი შეპყრობილი თანა მოიყვანა და მას არა სჭირდა-რა მის მეტი, რომელ ცოტად დაკოდოდი იყო. მათ მოსხმულთა კაცთა ეპითხეთ: ვინ იყვენითო. მათ გუითხრეს: ბედითნი მეკობრენი შეყრილნი იყვენითო. მერმე ბრძანა მათ კაცთა ვაშუება და მე ეგრე მიბრძანა, ვითა: მე და შენ უოშრაღ ვართ და იმთ დიდი ომი გარდაიკადესო. მე მოაკესენე, სადა შენ მიხუდა, იქი, ღმერთო, ომი არა დაგუელვისო. წავედით და მივედით მას მინდორსა, სადა სულიერი არა იყო სიციხითა და უსაქმელობითა. მივედიოდით, ვითა უმეტართა კაცთა ხუდეების და ვერა ენახეთ სულიერი და ვერცა ფრინველი და ვერცა კაცი. დაღრევილნი მივიდიოდით. ამირან დარეჯანის-ძე წინა მივიდიოდა და უკანა ჩუენ მივიდიოდით. შემოიქცა და ეგრე გუითხრა: ცხენისა კუიელი ვითარიმე მესმაო. ჩუენ არა დაუჯერეთ და უკან ზრახვად დაუდეგით და ვთქუით: ახედავ, ვითა გამოუკრეფიან ეშმაკსა ცნობანი და არა იცის თუ რასა ზრახავს, თუ არა ამა მინდორსა შინა ყოფა სულიერისა ვითა ეგებინო. მივიდიოდით და კულა ბრძანა იგივე სიტყუა: დასტურ ცხენისა კუიელი მესმისო.

ოდეს ენახეთ, კაცი ვინმე პარმაგსა ცხენსა ჯდა და მოვიდიოდა. ვითა მოეწურა, გარდაკვდა და თაყუანისცა ამირან დარეჯანის-ძესა სახელდებით, ვითა: ვაშად მოხუედ ამირან დარეჯანის-ძეო. მინდოდა თქუენი ნახვა და კარგსა ადგილსა ზედა გნახეო. ვაჯდა და წაივდა სწრაფლ და უჩინარ ექმნა. ჩუენ თავსა ბრალობა დაუწყეთ გაშუები-სათუის. მერმე თქუა ამირან დარეჯანის-ძემან: ანუ გომძიმს იმა კაცისა წასლვა მით, რომელ, თუ მტერი იყო, გაქცევა ავი ქენა, და თუ ეშმაური იყო, მაშა ჩუენ ეშმაური ვერას გუაენებს. დაუდეგით მუნ და იგი პარმაგოსანი კაცი და სხუანი ბევრნი კაცი პარმაგთა ჯორთა სხდეს ყუფითითა აკაზმულობითა და თავსა მათსა პიროქრო რიდე ეხუთა. მოვიდეს და გარდაკვდეს. თაყუანისცეს და ქება შეასხეს ამირან დარეჯანის-ძესა და ეგრე მოაკესენეს, ვითა: გუესმოდა ქება კაბუკობისა შენისა და გუინდოდა ნახვა შენი, და აქა უფრო გუინდოდა, სადა გნახეთო. მერმე ჰქითბა ამირან დარეჯანის-ძემან: ძმანო, ამა უკაცურთა ადგილსა ვითა ხართო? მათ მოაკესენეს: ბრძანეთ ჩუენსა ლარსა და მერმე მუნ მოაკესენოთ ჩუენი ამბავიო.

წაგუიძლეს წინა ესე კაცი და წავედით ჩუენცა. კევი იყო მეტად დიდი. ოდეს ზედა წავედგით, მას კევისა შინა პარავანი დგა ურიცხუი, რომლისა უფროსი არა ეგებოდა. მივედით მას პარავანსა თანა. მოგუეგებნეს იგი მოქარავენნი წინა, თაყუანის-გუცეს და ქება შეგუასხეს და გაეხარნეს ჩუენი მისლვა და ყუელამან მოილეს დიდი ძლენი და სანუკვარი და განვისუენეთ დია. მათ მოქარავენთა უხუცესსა კაცსა აბრამ ერქუა. ჰქითბა ამირან დარეჯანის-ძემან: ვინ ხარ შენ, აბრამ, ანუ ვისი არის ეს პარავანიო. მან მოაკესნა, ვითა: ჩუენ ბასრელი * პარავანი ვართ, ინდოეთს ვიყვენით და მუნით მომავალნი ვართ. მერმე უჩუენა კაცი ვინმე და ეგრე არქუა: ისი მუნეჯიბი არის ბასრელი, რომელ პარა არს მუნეჯიბი მისებრი პირსა ყოვლისა ქუეყანისასა. ვაქრობა ინდოეთს დიდად სასარგებლო არის და გუეშინოდა მეკობრეთაგან და მისთუის ვერ წამოვიდიოდით და ვიყვენით მუნ მრავალთა ეამთა. მერმე ამან, მუნეჯიბმან, თქუა, ვითა: აგაგიმარჯულების. ჩუენ დავიჯერეთ მისი სიტყუა და შეკრბა იგი პარავანი არა ბასრელი ოდენ, განა სხუათაცა ქალაქთა. წავედით ინდოეთს. ვივაქრეთ ურიცხუი და წამოვედით და აქა მოვედით. და ცნეს მათ სამთა ძმთა აშტრბის-ძეთა მეკობრეთა ლომთა კაბუკთა და წინა გუიშვირიან სამათასითა კაცითა. აწ ამას კევისა შინა ჩამოწყუდეულ ვართ. ჩუენ დაუწყეთ ამას მუნეჯიბსა ბრალობა. ამან დღეს სტროლაბსა ჩახედნა და ეგრე თქუა: ანუ გეშინიანთ! კაცნი ვინმე მოვლენ სპარსნი ოთხნი და მათითა კუ-ლითა ეიკსნებითო. ჩუენ არა დაუჯერეთ. გამოკვდა ცოტა ხანი და კულავე ჩახედნა მასვე სტროლაბსა. გაიხარნა და ეგრე თქუა, ვითა: დღეს იგი მობაღდადე კაბუკი, რომელ არის ლომი ლომთა ამირან დარეჯანის-ძე, იგი დასტურად დღესა აქა ჩუენ თანა მო-

* A-ში ყუულან: ბასრელი

ვალს და სამნი ყმანი მისნი მისთანა სხუისა რასმე საქმისათუის, მაგრა ჩუენ მისითა კელითა ვიკსნებითო. ამაზედა შეგუეჟმნა სიხარული და ისი კაცი ქარმაგოსანი რომელ თქუენ წინა მოგეგება, ამისთუის გამოგზავნენით — ნუთუ მოვიდოდეს, ნახნო. რა თქუენ გნახათ, ფიცხლავ ჩუენ გუაქნობა და წინა მოგეგებენით. აჟ რა დააჯეროს ღმერთმან კაბუკობასა შენსა, იგი ქქენ ჩუენზედა და ესთენი, ღმერთო, გიძლუნათ, რომელ კაცისა თუალისაგან არღარა ნახულიყოს მისგან უფროსია.

უბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან: ვინათგან ჩუენი მოსლვა თქუენ ეგრე გაგებარნეს, ესე იცოდით, რომელ ვირემდის ჩუენ არ დავიკოცნეთ, თქუენ მანამდის არა გევენოს რაო. ადგას ყოველნი და თაყუანისგუეცს და ძღუენი მოიღეს აურაცხელი. ამაზედა ადგა კაცი ვინმე და ეგრე თქუა: აშტრაბის-ძეთა უფრო ადვილი არის, მაგრა ესე უძნელესი გუქირს, რომელ იგი წითლოსანი კაბუკი წინა გუითქსო. რა ესე მან კაცმან თქუა, შეიქნა მას ქარავენსა შიგან ტირილი ეგზომ, რომელ რისხუა ღმრთისა იქნებოდა მათ მოქარავენთა კაცთა ზედა. ეგზომ მედგრად შეშინდეს, რომელ ეელარცა ჩუენ გუითბრეს. მერმე ქაოზ ქოსის-ძემან თქუა: მე წითლოსნისა კაბუკისა სიკეთე და არცა სიამე არა ვიცი-რა, მაგრა ამა ბასრელთა ეგრე ეშინიან, რომელ უფროსი შიში არა ეგებოსო. ჰკითხა ამირან დარეჯანის-ძემან: ძმო აბრამ, რა წაგეკიდათ ეგზომი ბოროტი, რომელ ავი და კარგი ყულა სტირითო. მოაკუნა აბრამ: წითლოსანი კაბუკი ესეთი არის, რომელ კაცისაგან ომი არა ეგების მისი და დღესამდის ვერცაყენ შებშია და მერმე ყოვლისა ბასრელისა კაცისა მესისხლე არის ამისთუის, რომელ ცოცა ყმა ძმა მისი ბასრელსა ვისმე მოუკლავს და მას აქათ მამაცსა მოიმწყუდევს თუ ღიაცსა, ყულასა მოკლავსო. აჟ ჩუენი აქა მოსლვა უცნია და მოელს* დაკოცად ჩუენად. აჟ პირველ მისისა კაბუკობისაგან, მერმე მათ სამთა ძმათა აშტრაბის-ძეთაგან¹ ეშინიან ყულასა და მით ტირიანო.

რას ხე მისიმინა, უბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან: თქუენ, ბასრელნი, კარგნი კაბუკნი ხართ, მაგრა კაბუკთა, ღმერთო, უნახავნი ხართ და მით მოგწონებიათ იგი წითლოსანი კაბუკი. აჟ ნუთუ სსუა ვინმე გეგონო, მე ვარ ამირან დარეჯანის-ძე, მობაღდადე კაბუკი. ვინათგან აჟ თქუენთანა მოსრულვარ, თქუენ უენებელად გაგზავნენ თქუენსა ქუეყანასაო.

დაყავით იგი დღე მუნ. მეორესა დღესა წავედით. ჩუენ წინათ მივიდოდით და უკანით იგი ქარაენი მოგუდევდეს. ესმა სამთა ძმათა აშტრაბის-ძეთა. მოგუეგებნეს წინა სამნივე და ეგრე თქუა ამირან დარეჯანის-ძემან: იგი სამნივე მე, და თუითო სსუანთ თქუენა. შეუტევეთ, კარგნი კაბუკნი იყენეს ისინიცა. კარგად შეიბნეს და, თავმან მეფობისა შენისამან, ვირემდის ჩუენ თუითოსა მოვკლევდით, მანამდის მან სამნი ძმანი იგი აშტრაბის-ძენი დაკოცნა. გუხედვოდა იგი ქარაენი. მოვიდეს იგი მკედარნიცა სამი ათასი კაცი ცხენოსანი. შეეებენით მათცა და დავეკოცნით, რომელ რისხუა ღმრთისა დავეცით მათ ზედა. მცირედნი ვინმე გარდაგუეხუეწნეს. შეიქმნა სიხარული მას ქარაენსა შინა და ეგრე თქუეს, ვითა: რომლისა მეშუელი ამირან დარეჯანის-ძე და ყმანი მისნი არიან, მათ კაცობრივი, ღმერთო, არა წაეციდების-რაო, მაგრა შიში მის წითლოსანისა კაბუკისა გულსა შინა არცა ეგრე გაუქარდათ. დაყავით იგი დღე მუნ და გუიძლუნეს ღიადეს. რა ომი გაიყარა, მოვიდეს ქქესნი კაცი მწუთლოსანნი და ექუსნი წითლოსანნი მებუკე-მეღაბდაბენი. ჰქრეს ბუქსა და დაბდაბსა. რა ომი გაგუემარგულის, ჰკრიან ბუქსა და დაბდაბსა და ჩუენთანა აღარა მოვიდიან. და რა ომი გაიყარის, წავიდიან და უჩინო იქნიან. ესე აშტრაბის-ძენი, რომელნი დავეკოცნით, მის წითლოსანისა კაბუკისა დისწულნი თურმე იყენეს და რომელნი წაგუივიდეს, მოვიდეს და მას წითლოსანსა კაბუკსა მოაკუნეს ყოველი ყოფილი და უამბეს კაბუკობა ამირან დარეჯანის-ძისა. მას მოგზავნა კაცი და შემოეთულა, ვითა: დარეჯანის-ძე ხარ, თუ სახელი

* ამის შემდეგ აკლია A ხელნაწერს. ¹ D ხელნაწერში ყულგან: აშტრაბისძე.

ვისიმე დაგიც, მის ბედითსა და თავისა შენისა საკლავსა საქმესა დაბმულ ხარ. ეგე კაცნი მესისხლენი არიან ჩემნი და აწ კულა მავათთა ბედითა შენ დაგიკოცინა სამნი ძმანი აშტარაბის-ძენი, ღისწულნი ჩემნი. და აგიწყუეტინა ლაშქარნი მათნი და აწ დაეცენ მაგა ქარავენისა საქმესა და შემინდვია ეგე, თუარა შენცა მავათვე თანა მოკლავო.

რა ესე მოისმინა ამირან დარეჯანის-ძემან, შეუთულა, ვითა: ღისწულთა შენთა თუთ მოიკლეს თავი თუისი, რომელ ომად მოვიდეს. აწ სხუა ესე არს საქმე ჩემი, რომელ რადგან მივხუდი ამა ქარავენსა, ჩემგან არცა ამათი დაყრა ეგების. კარგი ჰაბუკი ხარ და შენ მე პარტივეც და გაუშვი ესე ქარავენია. ამა შეთულილობასა ზედა გაწყრა იგი წითლოსანი ჰაბუკი და ფიცხელი პასუხი გამოსცა, ვითა: რადგან შენ მაგას მეტყუი, შენ ხარ მესისხლე ჩემი და დღესითგან შენზედა ეძებ სისხლსა ღისწულთა ჩემთასაო.

ამაზედა დაიკუნეს ხელისა ომი. რა გათენდა, ღილასა მოვიდა იგი წითლოსანი ჰაბუკი ჟრიცხითა ლაშქრითა, მივიდენ აქათ ჩუენცა და შევიყვანეთ ქარავენი უკანა, და დაღვეს იგიინცა და ჩუენცა. მოღუზუნა მან წითლოსანმან ჰაბუკემან კაცი ამირან და რუჯანის-ძესა მის ქარავენისა დაყრისათუის და არა ისმინა დარეჯანის-ძემან შემოთუ-ლილობა იგი ამაზედა. ოდესცა ენახეთ იგი წითლოსანი ჰაბუკი ცხენსა ზედა მჯდომი, აჰას იტყუდი, ვითა: ერთი კაცი ამის უკეთესი არა ეგებისო. რა ნახეს, შეიქმნა შიში დიდი მას ქარავენსა შიგან. დაიწყეს ტირილი და ზრუნვა. და იყო მის წითლოსნისა ჰაბუკისა ლაშქარი ყველა წითლოსანი და ყველასა კარავე წითელი ედგა. მოვიდა სპა მის ყველა შეკაზმული. გავიდა სახელსა ზედა ღმრთისასა ამირან დარეჯანის-ძე და გავედით ჩუენცა. და იყო ლაშქრად ჩუენად იგი ქარავენი, მაგრა ჩუენ ოთხთა ზედა მო-ყარეს. ოდესმცა შეგუხედნეს ამირან დარეჯანის-ძისათუის და მის წითლოსნისა ჰაბუკი-სათუის, ამას ბრძანებდით, თუ: ჰაბუკად ერთად, ღმერთო, კმა არიანო.

შემოვლეს ნაეარდი ერთმანერთსა, შეუზახნეს და შეუტყვეს. შეიქმნა ომი დიდი, ძვერება მათი ჰვეანდა ორთა გორათა ძვერებასა და აბჯართა ცემა ჰვეანდა კეხასა. ყვილი იყო ლაშქართა და უკანის ქარავენისა ზრუნვა, რომელ არა ისმოდა ყურთა კმა. გავრძელდა ომი და ეერა შევიგენით ერთისადაცა ჯობნა. ამაზედა იყივლა ამირან დარეჯანის-ძემან და გაიყვანა ცხენი, შემოუტევა ილო კრმალი საკრავად. ჩაშ თუ შეშინდა იგი წითლოსანი ჰაბუკი, კრმალი აიფარა, დაჰკრა კრმალსა აფარულსა, გააკუეთნა კრმალი, და ჩაბალახი ყიამდისინ ჩაქუეთა და ფიცხლად მოკლა წითლო-სანი ჰაბუკი. მოვიდეს იგი მეზუკე-მედაბდაბენი, კება შეასხეს ამირან დარეჯანის-ძესა და მოაკუნეს, ვითა: აქითგან მოჰანნი ვართ შენი, რასაცა გუიბრძანებთ, წინაშე ვართ, დავემონებით კრმლითა წითლოსანსა ჰაბუკსა. უბრძანა დარეჯანის-ძემან: თქუენ, ძმა-ნო, არას ვაგნებო. მე არცა წითლოსნისა ჰაბუკისა სიკუდილსა ვლამოდი, განა ფათე-რაკად მოხდა. აწ თუ გინდეს, ჩემ თანა წამოდით და თუარა, რა გინდა, იგი ქენითო. მათ თაყუანისგულცეს და წავიღეს.

შეიქმნა მას ქარავენსა შინა სიხარული დიდი, შეასხეს კება ამირან დარეჯანის-ძესა და თქუეს: კურთხეულმცა არს ჰაბუკობა შენიო, რომელ არა არს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა ჰაბუკი შენებრი და არცა ვინ ყოფილ არსო. უძლუნეს ძლუნენი ღიადი, რომელ არა იყო რიცხუი მისი. დაეღვეით მას ღამესა მუნ. ჰკითხა აბრამ ქარავენთუხუ-ცესმან ამირან დარეჯანის-ძესა: ვითა შეუნოდა ჰაბუკობასა შენსა, ეგრე შეჰკაზმე საქმე ჩუენიო. აწ შე ვიკითხავ საქმესა შენსა — სად წაბულ ანუ რად იარები ამა უკაცურსა მინდორსა შიგანო. ვაიციანა ამირან დარეჯანის-ძემან და არქუა: ძმარ აბრამ, შენ ვაქ-რობისა რამე ზურვე, მაგა საქმესა რად იურვიო. მან მოაკუნა: ენუთუ რა ვიკოდე მის გზისა საქმე და ამბავი, რომელსა გზასა აწ თქუენ მიხუალთ. გაეხარნეს ამირან დარე-ჯანის-ძესა და თქუა გულსა მისსა შინა: ნუთუ რა იცოდესო. შერმე უბრძანა ყველაი. აბრამ მოაკუნა: შე კაცი მყავს იგეთი, რომელმან იცის ეგე თქუენი გზაო. მოიყვანა იგი კაცი აბრამ ქარავენთა უხუცესმან და ჰკითხა ამირან: იცია, ძმარ, მის გზისა საქმეო?

მან კაცმან მოაკენა: ცოტა ვიციო და სადამდის ვიცი, გიახლები და მერმე ნულარ დამპატიებთო. მის კაცისა სიტყუასა ზედა შეგუეყმნა სიხარული დიადი.

ისმენდი მეფეთ-მეფეო! წავედით და იგი აბრამის ყმა თანა წაიყვანეთ. მოგუე-წვივა აბრამ უკანა და ოთხი ძოწუელი და ოთხი მარგალიტი კულა უძღუნა და ეგრე მოაკენა: სადა თქვენ მიზულათ, ნუთუ ესე მუნ გეკმარებოდესო. დაუმაღლა ამირან დარეჯანის-ძემან და აბრამ გარე შეიქცა. ჩუენ წავედით და მას სახლსა მივედით, რომელ თქვენ გინახავს. ოდეს შევედით, ქალისა სახე იყო დაწერილი აგეთივე, რომელ კედელსა ზედა ეკრა. ამოიღო იგი ეტრატსა ზედა დაწერილი ამირან დარეჯანის-ძემან. ოდესცა ერთგან გენახნეს, ამას ბრძანებდი, თუ: ერთნი არიანო. ზედა ეგრე ეწერა: ესე არს სახე მის ბუარაშან ქალისაო. კვითხეთ მას კაცსა წინამძღუარსა ჩუენსა: სადამდის იცი გზაო. გუარქუა: აქა წინა არს კლდე დიდი და მას ქედსა შინა არს კაცი სპილენძისა, ტილისმითა შექმნილი. ქუაბსა შიგან გზა გავალს ქუეშე, რომელ მისგან კიდე სხუა გზა არა არს და რა კაცი მას ქუეშე გაუვლიდეს, დასტურად მოკუდებისო, რომელ მის სპილენძისა კაცისა მოკულისა ღონე არა არსო და არცა მისისა ომისაო. ამას ვარეათ წაღმართ კულა სხუენი ტილისმანი არიან. ამისგან კიდე მე სხუა აღარა ვიცი და რაძღა გზა ვიციოდი, მომიკსენებია:.

ისმენდი მეფეთ-მეფეო! წავედით და მას ადგილსა მივედით, სადა იგი კლდე და ტილისმა იყო. ქუაბი იყო დიდი და მას ქუაბსა შინა იყო ტილისმა. კულა მოაკენა მან კაცმან წინამძღუარმან, ვითა: თუ კამდეს, ესე ქმენით, 'რომელ აქლემი მყავს, მიუდევნეთ და გამოსცადეთ. რაცა მას აქლემსა უყოს, ისი თქუენცა ნახათა. უსმინეთ მას კაცსა და აქლემი მიუდევნეთ. გამოვიდა კაცი იგი სპილენძისა. კელთა კრმალი ჰქონდა. ჰკრა მას აქლემსა ზურგსა ზედა და წმოდად გაკუეთა. შეიქცა და მუნვე შევიდა ქუაბსა შინა. გაგუიკუირდა ჩუენ და შე-ცა-გუეშინა. გზობრძანა ამირან დარეჯანის-ძემან: თუნდა შევებნით იმა კაცსა სპილენძისასა და თუნდა თქუით, თუ: შენებრნი არა ვართო. ქაოზ ქოსის-ძემან ეგრე თქუა: თუ დლით ათი ათასსამცა კაცსა მოვკლავ, მაგას, ღმერთო, არცა მაშინ ვიტყუი ეგრე. აწ გაუშუი ეგე, შენდა მოვარდნილ არს ომი და, რა უნდა, ქმენო. გაიცივნა ამირან დარეჯანის-ძემან და ეგრე თქუა: ოკერსა რაცა მიგვირდეს, რასა ხოლმე მაგასა იტყუიო, მაგრა აწ მითხარით, თუ ვითა ექმნათო. ქაოზ ქოსის-ძემან მოაკენა: თუ მე მომისმენით, გარე შევიქცევიო, მაგრა იგიცა ლაღობდა. მე მოვაკსენე: რადგან ომი შენი არის, რა უნდა, ქმენო.

ისმენდი მეფეთ-მეფეო! ცხენსა შეჯდა და კრმალი არა აიღო, კრმალი აიღო. ერთი კულა სხუა აქლემი წინა-წარიქცია და ვითა მივიდა მასვე ადგილსა, ახლოს მიედევნა აქლემსა. გამოვიდა იგივე კაცი სპილენძისა, ჰკრა კრმალი და გაუკუეთა აქლემი იგი მეორეცა და შინათ კერძო წავიდა. მაშინ შეუტევა ამირან დარეჯანის-ძემან, ჰკრა კრმალი და ფიცხლად დაღწა ესრე, რომელ ვითა კრილი ეგეთი შეიქმნა. მოდგეს იგი მეტუკე-მეღადბდებნი, შეახხეს ქება და წავიდეს. შევედით მას ქუაბსა შინა. ოდეს შევებდენით, ეწერა კედელსა ზედა კაცი შუენიერი ჰაბუკი ვინმე და ზედა ეგრე ეწერა, ვითა: მე ბაქაჯარ ქველმან, ოდეს ომითა როდენ¹ ქალი გამოიყვანე, მაშინ აქა მუნეჯობმან ჩემმან ჯამასარ შექმნა ტილისმანი ამისთუის, რომელ სხუამან კაცმან გარეგანმან აქათ ქლი ვერაიენ გაიყვანო. ოდეს გარე მოვიხედებით, სხუა დაწერილი ვპაოვეთ ბერი კაცი და ეწერა მას კაცსა ზედა: მე ვარ მუნეჯობი ჯამასარ და მე შემიქმნიან ტილისმანი ესე. აწ ვინ იყოს ჰაბუკი კარგი, მოვიდეს აქა და თუ დიდად ლომი არა იყოს, აქაცა ვერა მოვიდეს მით, რომელ მინდორი ძნელი არს, და თუ აქ მოვიდეს და ამა ტილისმასა აჯობოს, აქათგან წაღმართ ნულარა ეცდების, თუარა მოიკულის თავსა და შე-ვერა-ვაქსა.

დავაავით იგი ღამე მუნ და იგი წინამძღუარი ჩუენი შეგუექცა და წავიდა. რა გათენდა, დილასა წავედით ჩუენცა. ვლეთ იგი დღე. მეორესა დღესა ლომისა ყურილი შემოგუესმა და თუალითა ვერა ვნახეთ. და რა მივეახლენით, იყო ლომი სპილენძისა და

¹ D: რაოდენ, BC: რაოდენი. «რაოდენ» ქალი მოკმედი პირი ამირანდარეჯანიანის დახატვაში ნახ. გვ. 115.

ყურიოდა. რა ჩუენ დაგუინახა, უფრო დაიწყო ყურიილი და ჩუენკერძ მოსლვა მანცა და ბეერმან ლომმან სხუამანცა, რომელ არა იყო რიცხუი მათი. ვეოცლით და არა იყო ლევა. მერმე ქაოზ ქოსის-ქემან შეუტრევა მას ლომსა სპილენძისასა და დალევწა. რა იგი დალევწა, გარდასწყდა მოსლვა ლომთა. მას ომსა შიგან მოსრულ იყენეს იგინივე მეტუჟე-მედამბაბენი. უკუმდეს ბუქსა და დაბდაბსა და რა ომი გარდასწყდა, წავიდეს იგინიცა. ბრძანა ამირან დარეჯანის-ქემან: ყოველთა გუჯობდა ქაოზ ქოსის-ქეო. დაყავით იგი ლამე მუნ. დილასა წავედით და კლდენი იყენეს იმიერ და ამიერ, რომელ თუალნი არსით შესწუდებოდეს. მუნ გზა წავიდოდა. მას გზასა ზედა შექმნილი ტილისმა იყო. ოდეს ენახეთ, იყო სპილენძისა შექმნილი მართ ვითა კალო, ვითა ხარისხი კიბედ-კიბედ. მას გზასა ზედა დგა კაცი სპილენძისა დიდი, რომელ არა მინახავს სხუა კაცი ეგზომ დიდი. და მას სხუევე კაცი უდგა გუერდასა სპილენძისავე და ბუი ქონდა კელთა და, რა ჩუენ დაგუინახა, დაუწყო მას ბუქსა ცემა. და დაიწყო ლაშქარმან მოდენა, რომლისასა არა იყო რიცხუი. შევიბნით და იყო დიდი ომი, რომელ არაუის უნახავს ეგეთი ფიცხელი ომი, მოვიდოდა ლაშქარი და გუებრძოდა. უკემდა ბუქსა იგი კაცი მეტუჟე, და იგი დიდი კაცი კმა-მადლად ყოიდა კმითა რათმე საშინელითა და არა დასწყდა მოსლვა ლაშქრისა და გაგრძელდა ომი. სიდიდემან ლაშქრისამან გაგუჯარნა კიდის-კიდე. უფროსნი და უკეთესნი დარეჯანის-ძისად მიხუეულ იყენეს და ჩუენ სამთავე თავის-თავისად გუებრძოდეს. დაუწყებით ომითა და ღონე ვერა ავიგეთ, რომელცა მორეულ ვიყვენით. ესე ჩუენკერძნი მეტუჟე-მედამბაბენი უკემდეს და ცალკერძ იგი სპილენძისა კაცი უკემდა. კულა მოვიდა ლაშქარი ურცხუი და ჩუენი მეშუელი აღარაიენ იყო. შეუტრევა აბან ქამანის-ქემან, მივიდა მას კალოდ შექმნილსა სპილენძისასა, ქუეშე დააგლო ცხენი, შეუქდა და ჰკრა კობალი ფარსა ზედა მას სპილენძისა კაცსა. მერმე მან კაცმან ჰკრა კობალი მას და ჩამოაგორვა იგი აბან ქამანის-ქე. მერმე იყიელა ქაოზ ქოსის-ქემან: აწ მე მნახე, აბან ქამანის-ქეო. დააგლო ცხენი მანცა. შეუქდა და ჰკრა კობალი ფარსა ზედა კაცსა მას სპილენძისასა. მერმე მან ჰკრა მას და ჩამოაგორვა იგიცა. მერმე მიყიელა ამირან დარეჯანის-ქემან: მიედ შენცა, სავარსიშის-ქეო! მივედ მეცა. დაავადე ცხენი და შეუჟე-მომეგება იგივე კაცი, მკრა და მე მას ვჰკარ. მკრა სხუაცა და ჩამოაგორვა. ველარა შევმართე შესლვა.

მაშინ იყიელა ამირან დარეჯანის-ქემან: აბა, აწ ნახოთ სიმაგრე მკლავისა ჩემისაო. გარდაკდა ცხენსა და გამოიღო კობალი. კულა ჩამოეგება იგივე კაცი, ჰკრა და მან მას ჰკრა. შეუქდა ზედა და შეიბნეს. თაემან მეფობისა შენისამან, ეგზომი ფიცხელი ომი არა მინახავს და არა მოკდა ღონე დალევისა. და იგი სპილენძისა კაცი უკემს ბუქსა და მოდის ლაშქარი და მივუქირდა ომი. იყიელა ქაოზ ქოსის-ქემან, თუ არასა იქმ, ეამია, დარეჯანის-ქეო, თუ არა სიდიდემან ლაშქრისამან და ჰიქმან მერად შეგუაქირეო. იყიელა ამირან დარეჯანის-ქემან: აბა, ქაოზ ქოსის-ქეო! იგი რეუბნა ფეკრე და ორივე კულითა ჰკრა კობალი და ფიცხლად დალევწა კაცი დიდი სპილენძისა. და რა იგი დალევწა, დეცა იგი მეტუჟეცა და გარდასწყდა მოსლვა ლაშქართა და იგიცა უჩინარ იქმნა, რომელიცა გუეკოცა. მაშინლა მოვიდეს კიგი მეტუჟე-მედამბაბენი, თაყუანისცეს და ქება შეასხეს ამირან დარეჯანის-ქესა და მოასენეს, ვითა: გუესმოდა ქება კობაბობისა შენისა, განა ვითარო განახეთ, ეგეთი არვისგან გუასმია. კურთხეულმცა არს ღმერთი, რომელ განახეთ, აქითგან წაღმართ გზა საქირო აღარა არს. დაყავით იგი დღე. მუნ გუი-ბრძანა ამირან დარეჯანის-ქემან: მე არაოდეს მინახავს ეგზომ დიდი ომი და ფიცხელი და არც ოდეს მამხლამიაო.

წავედით. მეორესა დღესა, ვითა გათენდა, მოვიდა ურიცხუი სიმრავლე ლაშქრისა მწვანოსანი და წითლოსანი. თაყუანისცეს და შეასხეს ქება ამირან დარეჯანის-ქესა და არქუეს: ცხოვნი, მეფეო, უპუნისამდგე, პატრონო ყოვლისა ქუეყანისაო, რომელ კობაბობითა შენითა წაგიღია ყოველი სამეფო. ესე არავის ჰქონებია სხუასა ამის მემამულეთაგან კიდე და არცაივის დაუტკბენია გარეგანსა კაცსა ქუეყანა ესე ერთისა ბაჰაჯარ ქვე-

ლსაგან კიდე და განა არცა მას უქმნია ეზღენ დიდი ნაქმარიო. უძღუნეს ღიადი ძღუენი. წავედით მუნით და დაიწყოა წინა მოგებებდ ერმან, ცალკერძ წითლოსანმან და ცალკერძ მწუანოსანმან. მწუანოსანი ყუელა ღედოფლისა იყო და წითლოსანი მის ხუარაშან ქალისა. შეასხიან ქება და მარათუიან ძღუენი ამირან დარეჯანის-ძესა. მოვიდიან მეზუჯ-მედობაზენი და მგოსანნიცა და იყო სახიობა.

გვიხებთ მუნ კაცსა ვისმე: «რა არს ისი, რომელ ნახევარი მწუანოსანი და ნახევარი წითლოსანი არის, ბერნი მწუანითა და ყმანი წითლითა? ეგრე მარქუა მან კაცმან, ვითა: ამა სამეფოსა ორნიდა დარჩომილ არიან: ღედოფალი და ასული მისი იგი ხუარაშან ქალი, საცოლე ამის პატრონისა შენისა. აღარავინ არს სხუა მემამულე ამის ქუეყანისა. მის ხუარაშან ქალისა მამა ზეფე იყო ღიადი ამის ქუეყანისა. სახელი მისი იყო ოსტარას. აწ მოუტემია ყოველი ესე სამეფო პატრონისა შენისათვის ღებრთსა. რაღას გიამბობ? ამის ქუეყანისა სიყეთე არა თქმის კაცისა ენისაგან. აწ ნახეთ ქალაქი ღიდი და სახლი ყუელა წითლითა და მწუანითა ქებითა ნაგები. მწუანისა ყუელა ღედოფლისა არის და წითლითა ნაგები ხუარაშან ქალისა. რაღას გიამბობ, ყუელასა თუით თუალითა შენითა ნახეთო.

მივედით და ღიაცი ვინმე მოვიდოდა. ორნი წვილნი ჰყეეს. გამოუტდეს ორნი ლომნი და ერთმან ერთი ყმა მოსტაცა და მეორემან — მორე. იყიელა მან ღიაციმან და ატირდა. ნახა ამირან დარეჯანის-ძემან, შეუტევა ცხენი. მათ ლმობა რა ნახეს შეტევება, ფიტლად ყმანი იგი დაყარნეს და შემოუტევეს ამირან დარეჯანის-ძესა. მაშინ შიპყენა კელნი ამირან დარეჯანის-ძემან: ერთითა კელითა ერთი აილო და მეორითა მეორე, თავი თავსა შეუტაკა და ტუინი მკლავთა გარდაცხსა. ხედვიდა ყოველი კაცი. მაშინ კაცმან ვინმე ეგრე თქუა: ღმერთო, კარგსა ქმარსა შეირთავს პატრონისა ჩემისა ქალიო. წავედით მუნით და გუფგონა — ამის სამეფოსა კაცი ყუელა წინ მოგუეგებოსო. მივედით და ენახეთ ქალაქი და ციხეები ყოველი, რომლისა სიშუენიერესა ჩუენცა გაეკუთარდით. მოვიდიან მოქალაქენი, ქება შეასხიან და უძღუნიან ძღუენი ღიადი ამირან დარეჯანის-ძესა. და კულა ვიარეთ ოცი ღდე და სხუა მათ ეგეთთა ქუეყანათა შივან, რომელ არა საღაურნი მგუანან სიშუენიერითა.

მივეახლენით მას ქალაქსა. და იყო ღედოფალი და ხუარაშან ქალი ღღისა ერთისა საეალსა. რა მივეწურენით, მოვიდა სიმრავლე ერისა და ღიდებულთა, რომელ ეგეთნი მოკაზმულნი და შუენიერნი კაცნი არა მინახიან. გარდაკდიან, თაყუანისცეან და შეასხიან ქება ამირან დარეჯანის-ძესა. ეგრეთვე წითლოსან-მწუანოსანნი, ბერნი, კეკლუენი თაყუანისცემდეს და არა ითქმის მათისა ზარისა და ღიდებისა საზომი*. უბრძანა ქაოზ ქოსის-ძესა ამირან დარეჯანის-ძემან, ვითა: რომელ გარე შექცევასა მარუევიდ, შექცევა სჯობდომო? ეგრე მოაკუნა: მაშინ შექცევა სჯობდა და აწ, ღმერთო, არაო.

მივედით და ენახეთ ქალაქი. და მოგუეგება წინა კაცი, რომელი ეგრე გუფგონა, უწინ ნაოცალიცა კაცი არა გამოგებებულაო**. ენახეთ ქალაქი ღიდი, რომელ კაცისა თუალსა ეგზომ ღიდი არა უნახეს-რა. ზღუდე და სახლი ყუელაი მწუანითა და წითლითა ქებითა ნაგები იყო, რომელ არა გაიგონებდის სიყეთე და სიშუენიერე კაცისა ენითა. ეგზომ ღიდი იყო ქალაქი იგი, რომელ ცისკრად შევედით და სამეფოსა სახლამდის შუადლე მივედით. იყენეს სამეფონი სახლნი მეტად ღიდნი. პალატითა მოვილიდა იგაცა ერთობ ღიდი და მალანი, ნაგები მწუანითა ქებითა შუენიერითა. ეგრევე კარნი მისნი იგაცა მწუანისა ქვისანი. ვთქუიმცა თუ ზურმუხტისანი არიანო. და მას კართა ზედა ქალაქისათა დგა ათასი კაცი, შემოსილი საკარმანჯითა, პიროქროთა რიდითა და ოქროსა სარტყლითა. თაყუანისცეს მათცა დარეჯანის-ძესა, შეასხეს ქება და შევედით შინა. გარდაკდა ამირან დარეჯანის-ძე ოქროთა მოკედილსა სახლსა შინა. მუნ იყო კუბო თუა-

* აქედან აკლია D ხელნაწერს.

** აქამდის აკლია A ხელნაწერს.

ლითა და მარგალიტითა შეკაზმული მწუანისა ზურმუხტისა და საჯდომნი ისხნენ ოქრო-ქსოვილნი, რომელ ვითა მზე ელვიდის. მივიდა დარეჯანის-მე და ჩაჯდა. მას კუბოსა შინა დგას ოქროს სელები. მივედით და ჩუენცა დავსხედით. გამოვიდოდა კარი მას სახლსა შინა. გააღეს იგი კარი და იჩქითად სინათლე გამოვიდა ასეთი, ვითა მზე აძროსულიყო. გუეგონა, ვითა იგი სინათლე იყო ხუარაშან ქალისაო. იყო ორთა ტრამაკთა ზედა ოქროთა ორნი თუალნი — ერთი ძოწეული და ერთი თეთრი და მათგან თურე გამოვიდოდა სინათლე იგი. გამოიხუნეს საჯდომნი და გამოვიდეს დედანი მრავალნი და გემოდგა ლან დედოფალი — დედა ხუარაშან ქალისა. მწუანე ოქრო-ქსოვილი ეკუთვნისა, რომელ არა მინახავს ეგზომ შუენიერი, რომელ მცირედ სიბერე შეეტყუბოდა. აღდა ამირან დარეჯანის-მე, თაყუანისცეს ერთმანერთსა და მოეშვიდობნეს.

პირვე დედოფალნი: კურთხეულ არს ღმერთი, რომელ თულათა ჩემთა განახეს შეიღისა ჩემისა ქმარი და შენცა დიდად გიხაროდეს. დასაბამითგან არავის გამარჯუებია, რომელ შენ კმირველად მოგცა ღმერთმან ქუეყანა ესე და მერვე კაბუკობამან შენმან. გარდაიკადა მადლი ამირან დარეჯანის-მემან, დასხდეს და ზოილეს შესასოსელი ორი — ერთი მწუანე, თუალ-მარგალიტითა შეკაზმული და ერთი თეთრი იგიცა ეგრევე შეკაზმული. მათ ორთავე ფასი არავინ ცოდა. შემოსეს იგი შესამოსელი ორივე ამირან დარეჯანის-მესა და შეგუმოსეს ჩუენცა. შენ დაყო დედოფალმან ცოტალა ხანი და ეგრე თქუა, ვითა: ნაოზარნი ხართ და დამაშუალანი, განისუენეთ, პური ბრძანეთო.

წაიდა დედოფალი და დავეყნით წრავალნი დღენი. განსუენებისა რიცხუთ არა იყო. გაცსა დედოფალმან ბრძანება და დაწუდა წიგნი ყოველსა საბრძანებელსა მისსა, ვითა: ზოიდა დარეჯანის-მე კაბუკი, რომელმან თავისა კაბუკობითა შემოვლნა ძნელნი გზანი, რომელ არავის უქმნია კაცთაგანსა ეგეთი საქმე და ნაქმარი. აწ მოდით, თაყუანისცეით ყოველთა და ნახეთ. უთქუენოდ არა შემიტავს ასული ჩემი. აწ თუ თქუენ მიწუიოთ და არა ძალი გიყოსთ თქუენ ზედა წყფედ, სიტყუითა ჩემითა შევერთო ასული ჩემი ცოლად და თუ არა, გამო-ვინ-იჩჩიეთ კაბუკი სხუა ამისგან უკეთესი. მე ბერი დიაცი ვარ და ველარა ვიქმ ამას, თუცა უქმროდ დავარჩინე ასული ჩემი. მამინ შემოაკრებს დიდებულნი და მცირებულნი და თაყუანისცეს ამირან დარეჯანის-მესა. მოართუეს ძლუენი დიადი და თქუეს ყოველთა ერთპირად: «ცხოუნდი უკუნისამდე დღეგამელობითა, მეფეო! მოაკსენეს დიდებულთა მის ქუეყანისათა დედოფალსა, ვითა: აწუენ არსად გუინახავს ეგეთი კაცი და არცა ვისგან გუასმია, დაბადებთგან ღმერთსა ესე სამეფო სუიანი დაეებადა და იმედგარდაწყვეტილთა უმეფოთა კაცთა, გამოგუიჩინა ღმერთმან ერთი მეფე, რომელ არა ნახულ არს კაცი მისებრიო. აწ, დედოფალო, ღირს არს ჩუენზედა მეფედ და ჩუენ ყოველნი ემორჩილებთ და თაყუანსა ვცემთ ბრძანებასა მისსა».

ამა სიტყუასა ზედა გაიხარან დედოფალმან და მადლი მისცა ღმერთსა და დაასკუნეს ხვალისად ქორისად და არა გუენება ჯერეთ იგი ხუარაშან ქალი. დილასა გამოიყუანეს ხუარაშან ქალი და, თავმან მეფობისა შენისამან, მისებრი კაცისა თულასა არა უნახავს. უკურთხეს გუირგუინი, რომელ არა იყო ფასი მისი. დალოცეს მეფედ ამირან დარეჯანის-მე და ქება შეასხეს და გამოედიით. იყო სიმრავლე ერისა ურიცხუი. არა მინახავს მოკაზმულონა ეგეთი დიდთა და მცირეთა. იყო სიხარული დიდი და შეგუეყუანეს სხუასა სახლსა, რომელსა შინა დაეგო პური და ეგზომ სჯობდა იგი სახლი, რომელ პირველი ვითა ბედიითა შეშისა ყოფილიყო. ორი კუბო დგა, ერთი ძოწეულისა. იცყოდეს, იგი ძოწეულისა იავუნდისა არისო, შეკაზმული მარგალიტითა. ისხნეს მას კუბოსა შინა საჯდომნი ძოწეულნი ოქროქსოვილნი. იყო მეორე კუბო მწუანისა ზურმუხტისა შეკაზმული მარგალიტითა, საჯდომნი იყვნეს მწუანისა ოქროქსოვილისანი, სხუათა საჯდომნი დიდებულთა იყო ოქროსა სელები.

დასხდეს პურად მას ძოწეულსა კუბოსა შინა იგი ამირან დარეჯანის-მე და ხუარაშან ქალი. ორნივე შემოსილნი ძოწეულთა და ოქროქსოვილთა. ოდესმცა ნახე, ამას იტყოდნი, ვითა: ერთი ყმა და ერთი ქალი ამათად არა ჯობნილანო. მეორესა კუბოსა

მწუანესა დაჯდა დედოფალი მარტო და მუნ სამეფოთა ტაბლათა თუალისა კიქათა და ჯამთა მეტი არა იმსახურებოდა. რომელიმე იყო კიქა ძოწველისა და იაგუნდისა, და რომელიმე მწუანისა ზურმუხტისა, და რომელიმე იაგუნდისა ყუითლისა და რომელიმე ბალახშისა. და რასალა ეთულიდე! გაგუეიქირდა სიმარაველ ტურფათა და აზნაურთა. ტაბლათა ზედა ყუელა ჯამი ოქროსა და კიქები ბროლისა ბლდადური. და იყო განსუენება, რომელ არაოდენ მინახვან ეგეთი. გამოვიდოდა კარი მის სახლისა სახლსავე შინა. გამოვიდა დიაცი ბერი შემოსილი სამოსლითა შუენიერიოთა და კულა გამოვიდა ქალი ეგრევე. ბერსა აქუნდა მწუანე და ქალსა ძოწვეული იგი. მწუანე შესამოსელი სადა იგი იყო და ძოწვეული შეკაზმული თუალითა და მარგალიტითა. სანნი თუალნი იყენის მას ზედა: ორნი მკართა და ერთი მკერდსა, მნათობნი ეგზომ, ვითა სანთელი. გააღეს კულა სხუა კარი და გამოვიდა მონა და გამოიღო გურიგუინი ყუითლისა იაგუნდისა. ბრწყინვალემა მისი ეგეთი იყო, რომელ დაფარა ბრწყინვალემა მზისა და იგი, რომელ მას შესამოსელსა ზედა თულემა იყო, ესრე დაფარა მან გურიგუინმან, ვითამეცა ქვანი ბედიონი ყოფილ იყენეს. შემოსეს შეფესა შესამოსელი და დაადგეს თავსა იგი გურიგუინი, და შემოსეს ზურაშან ქალსაცა და დაადგეს მასცა გურიგუინი და შემოსეს დედოფალსაცა. გამოვიდეს მექურქლენი და გამოიღეს შესამოსელნი. მის დიდებულთათუის და ჩუენთუისაცა შესამოსელი დიდ ფასისა, და განსუენებისა არა იყო საზომი. სამეგრ გამოიღეს შესამოსელი მეფისათუის და დედოფლისათუის. თავმან თქუენმან, უკანანი სჯობდიან.

გაიყარა პურობა და გამოკდა ცოტა ხანი. ნადიმად გუაწუეეს. არცა სახლი სახლსა გუანდა და არცა * საჯლომი საჯლომსა. თავმან თქუენმან, მის პურობისა კიქა აღარა მოიღეს. ყუელა უკეთესი იყო და გასცეს ურიცხუი დიდებულთა და მცირედთა ზედა და ნადიმობასა შინა ახლად დაგუმონეს ტანსა ექუს-ექუსუჯერ და გუინბომეს საბომქარი და თუით სამეფოთა შესამოსელთა ნულარა იკითხავ. იძღერდეს შგოსანნი და მოშაითნი აჯაბთა იქმოდეს, რომელ ეგეთნი არავის უნახვან. ერთი სახლი იყო ცოტა და კედელნი მოვედილითა თუალითა და მარგალიტითა და იატაკად იყო ფიცარი ოქროსა და იყო ნადიმი ხანანდისი. მერმე აწუეეს გარე ერსა და გაიყარა ნადიმი და აღმი გარდავიკადეთ. მაშინ მოაკსენა ამირან დარეჯანის-ძესა დედოფალმან, ვითა: ბრძანეთ და საწოლსა ნადიმი გარდავიკადოთ, დიდებულნი თანა შემორტანენო. შევედით სახლსა მას ცოტასა. თავმან თქუენმან, ეგრე ვთქუით, ვითა: ამას გუერდით იგი ვარეჯანნი სახლნი აღარა არიანო. ესრე სჯობდა იგი საწოლი. ბრძანა დედოფალმან, ვითა: თუით მწუენი აღარას კელისანი არიანო, დიდებულთა, რა უნდა, ბრძანონა. ჩუენ გაგუიქირდა მისსა სიტყუასა ზედა და დაზიდნეს გარეგნითა ჭაბრაკთა. ოდეს გაიხუნეს ფიცარი იგი ჭაბრაკთა, ცაეხედენით, — ყოველთა დიდებულთა ოქროსა დასტი წინა ედგა. ჩუენ გაგუიქირდა დიდად და გარდავიკადეთ ნადიმი. გუიბომეს ყოველთავე საბომქარი და გაევიარენით და დაეყავით ქორწილსა შინა ათი დღე ნადიმი. და გაცენა დღისა და დღისა სჯობდა, და უძღუნა დედოფალმან ამირან დარეჯანის-ძესა დიადი.

მეთესა დღესა დედოფალმან მოაკსენა დარეჯანის-ძესა, ვითა: ძღუნესა მეტსა აღარას შევევიდებო. ჭბრძანა მექურქლეთა და ზოილეს სიმოცისა საქურქლისა კლიტე და ეგრე მოაკსენა, ვითა: საქურქლენი ყუელა შენდა მიძღუნეაო. ვარდიკადა ნადლი დარეჯანის-ძემან და ვიწყეთ მონახუად საქურქლეთა და გარდავხახეთ. თავმან თქუენმან, მე არსადა მინახავს ეგზომი სიმარაველ ტურფათა, სიკეთე და შუენიერება. მერმე მოაკსენა დედოფალმან: ბრძანეთ და ნადირობასა გადითო. ჩუენ გუეიქირდა — ესე დედანი არიან და სანადირო არა უთქსო. ოდეს გივედით, მოსრულეიყენეს შეევაზენი და ბაზიარნი. იყო ავაზა სამოცი, თეთრი ქორი სამოცი და მწყაზარი ქორი ასი, შავარდნისა, ძალლისა და სხუისა სანადიროსა რიცხუი არა იყო. გივედით და ვინადირეთ, მაგრა არა მინახავს ქუენანასა ეგეთი სანადირო. მუნ დაეყავით დიდი ხანი და შემოვიდით. გარდაკდა პურობა.

* აქამდის აკლია D ხელნაწერს.

ნადიმსა ზედა თქუა დედოფალმან: ამირან დარეჯანის-ძეო, ნუთუ შენი ცოლი გამდლობდეს რასმე, თუ კარგა გავისუენებია თუ უბადლოდ, ჩემგან ნადრიელყოყუ. მაშინ ხუარაშან ქალმან მე მიბრძანა: საფარსიმის-ძეო, გესმის ბრძანება დედოფლისა? ესე ამისთუის ბრძანა, რომელ ჩუენი ანა ყოფნა მოსწყინებია. აწ ჩუენ წასლვისაგან კიდე არა გუეწევის, მოაკუნე დედოფალსა და წავიდეთ ქალაქსა ჩუენსაო.

მოაკუნა დარეჯანის-ძემან დედოფალსა, ვითა: ვინათგან წავალთ, წავიდეთო. დედოფალმან მოაკუნა: მე ბერი დიაცი ვარ და ვლა აღარა შემძლია. თქუენ ყრმანი ხართ და ლმერთმან ათას წელს აცოცხლნეს მეფობა თქუენა, წადით და განისუენეთო. დაჰპატრეა დედოფალსა, ვითა: თუ შენ არ წამოხუალ, აღარცა ჩუენ წავალთო. წამოვიდა დედოფალიცა და ვიარეთ ათი დღე. გავიარეთ ზღუარი დედოფლისა. მუნითგან ხუარაშან ქალმან იყო. თავმან თქუენმან, ქალაქი ქალაქსა სჯობდა და ციხენი ყუელა წითლითა ქვითა ნაგები იყო და ზღუდე შეუნიერო, და მაღალი სახლები დიდი და შუენიერად ნაგები და, ნუ გვიურის, წითელი ქვა დიახი იღუა მას ქუეყანასა.

ვიარეთ ათი დღე სხუა და მივედით მას ქალაქსა. გამოეგება ყოველი კაცი, თაყუანისცანი და ქება შეასხიან. ჩუენ გაგუიკუირდა ეგ ზომი მოკაზმულობა ქუეყანისა და კაცისა. შევედით და ვნახეთ ქალაქი იგი, რომლისა დარი არა გუენახა და დაგუვიწყუდა სიკეთე მის დედოფლისა ქალაქისა. ზაგრა უფრო დედოფლისა იყო სახლები და ყუელა ჰგევანდა სამეფოთა სახლთა და იყო ფოლორკი დასხმული წითლითა ქვითა ძოწეულითა იმიერ და ამაერ. ეგრევე სამეფოთა სახლამდის ზღუდე შექმნილი იყო: საღრამი მებუკეთა და მელაბდაბეთა და მოწაითთა. ოდეს შევიდოდეს, წამოდგაან ზედა მებუკე-მელაბდაბენი და უცემდინან ბუქსა და დაბდაბსა. მას ადგილსა ერქუა გზა შეფისა. შევიარეთ და შივედით. კარითა პალატისაიხა სხუა ზღუდე იყო ძოწეულისა ქვისა, შუენიერი და მაღალი. კარნი იყენეს ძოწეულისანი დიდნი. გაახუნეს კარნი პალატისანი. იყო შუენიერი სიმრავლე ერისა. ყუელა ნოსილი იყო ძოწეულითა, ოქროქსოვილითა და თავსა პიროქრო რიდე ეხუია. თაყუანისცენ და შეასხეს ქება. მოეგებნეს დიდებულნი, აწუივეს მეფესა და შევედით. დედოფალი და რვი ხუარაშან ქალი სხუასა სახლსა დასხდეს და ჩუენ სხუასა სახლსა ვიყუენით შუენიერად მოკაზმულსა, რომელ, თავმან თქუენმან, სხუათა სახლთა სიკეთე დაგუვიწყუდა, რომელ უწინა გუენახნეს. ეერა შევიგენით, თუ ვითა გებულთ იყო. ესე ვიცი, რომელ ძოწეულნი იყენეს კედელნი და ზედაცა თეთრი და ცისაგან თეთრი ეღუა გამოჰკრთებოდა, ვითა ბრწყინულება მზისა. ჩუენ დავიწყეთ ცილება, ვითა: ამისგან უკეთესი სახლი სხუა აღარა უთქსო, და ზოგთა ვთქუით: არა ეგების, თუცა პირველ უკეთესსა სახლსა შემოგუიყუანებდეს. ქაო ჰოსისძემან ეგრე თქუა, ვითა: თქუენმან ნუმან, თუ ცად არა აგუიყანებენ, ქუეყანასა ზედა ამის უკეთესი სახლი აღარა ღდასო.

ამაზედა მოვიდეს მექურჭლეთა უხუცესი და თითი მექურჭლენი. მოიღეს მეფისათვის შესამოსელი გუირგუინი და ძმუნეი, და ჩუენთვის საბოძუარი, რომლისა არა იყო რიცხუი. და გუეგურდა სიმდიდრე ესეთი და მოკაზმულობა. ჩაიკუა შესამოსელი მეფემან, რომელი მოარჯუეს, ძოწეული ოქროქსოვილი, თუალი ყუელა მნათობი სხდა და მარგალიტი ყუელა დიდროვანი. დაიდგა თავსა გუირგუინი. არავის უნახავს სამი ეგეთი შესამოსელი და გუირგუინი.

მო-რა-ვიდეს ეჯიბნი და აწუივეს პურად. წავედით მას სახლსა, სადა პური ეგო. სიდიდე და სიმუენიერე ეგეთი არა მინახავს. კუბონი ეგრევე ძოწეულნი და ერთი ნწუნე-ეგრევე საჯღომი სახლი ტურფად აგებული იყო. სუეტი ყუელა ბრწყინული შეკაზმული თუალითა, და მარგალიტითა შემქულნი. სუეტისა თავნი ცუცხლისა ფერნი. ამას იტყოდნი, რომელ — ლამითა იმასა სანთელი არად უნდაო. კედელნი მოჭედლინი, ოქროთა მყარითა შეკაზმული. იმღერდეს მგოსანნი. ჩუენ ვერა ვხედვედით, მაგრა კმა ესრე გუესპოდა, ვითაჰცა იხლოს დგომილიყუნეს. კედელთა გარეთ საჯღომი იყო და მგოსანნი მუნ იმღერდეს. საჯღომნი დიდებულთა, ეგრევე სელები — ოქროსი. ასი დიდებული იყო. დავსხედით პურად. არა იმსახურებოდა საპურობოდ თუალისა ჯამთა და კიქათაგან კიდე. იყო სიხა-

რული დიდი. ნეკურქელთა გამოიღიან შესამოსელი და ძლუნეი ყოველთათვის. თავმან თქვენმან, უკანის სჯობდა ყუელა და ყუელასა შესამოსელსა ზეთისასა თანა — გურგუნინი ფერად-ფერადი. მის ბურობასა ზედა ათი შესამოსელი და ათი გურიგუნინი გამოიღეს. ეგრევე დედოფალთათვის და დიდებულთათვის და ჩუენთუსი ხუთ-ხუთი გამოიღეს. გაიყარა ნადიმი. მოკადეს პურობა და მასუე სახლსა შინა მოხუნეს სხუანი კიკანი. მოშინთინი მოვიდეს და გაავრძელეს ნადიმი. გამოიღიან შესამოსლები და შემოსიან მეფესა, რომელ არა იყო რიცხუი მის ჯავაჩირთა თულათა ნათობთა. და უძლუნა ხუარაშან ქალმან მეფესა ძლუნეი, რომელ არა იყო რიცხუი. და უბოძა დიდებულთა ყოველთა უთულავი და ჩუენ ყოველთა დავუმოსეს ათუე ტანსა, გუიბოძეს დიდი და გავიყარენით.

მეორესა დღესა სხუასა სახლსა შევედით ნადიმიად. კულა დავს აგრევე კუბონი ორნი და კედელნი მის სახლისანი, ვითა თოელი. მგრგულიე მგოსანნი ღვეს და იმღერდეს. დავსხვდით ნადიმიად. მეფესა წინა დასტი ეღვა წითლისა იაგუნდისა, იგრევე საწულე იაგუნდისა. ჩუენ ყუელასა დასტი ოქროსა გუედვა. დავიწყეთ სმა და იმღერდეს მგოსანნი შუენიერად. მე ეგრე ვთქუეთ, ვითა: ისი მგოსანნი წინარემცა მოღვენ მეთქი. მეტად რამე შუენიერად იმღერდეს. გაიცინნა მეუფემან და ეგრე მიბრძანა: ემაშ, თუ გააშების, ადევ და თუთ წამოაყენენა, მე ავდეგ, ვითა წამოაყენენ მეთქი. ვითა კელისა მოვიღებასა ვლამოდი, კელი კედელსა შევკარა. ოღეს ენახენ, ეს თურე კედელსა გარეთა დავს, გაგუიჯორდა, რომელ ზარი დავუეცა. ჩუენ ეთქუეთ, ვითა: ეშმაური რამე არის. განა არა ეგრე იყო. ეგ ზომ რამე წინდა გვა იყო, რომელ ვითა სარკესა შინა ჩნდა და გაგუიჯორდა სოკეთე მის ქეისა და გავიყარეთ მის დღესა. მესამესა დღესა სხუასა სახლსა შევედით ნადიმიად ცოტასა. იგი სახლი ქადურისა იყო არა ერთობით შექმნილი, განა რუკად შექმნილი, მულრაბარად თულათა და მარგალიტითა შეკაზმული. გამოვიდოდა მის ქათურისაგან სურნელემა შუენიერი. ორნი კუბონი იყენეს ქაფურითა შექმნილნი. ეგი სახლი საზაფხულოდ შექმნილი იყო ხუარაშან ქალისა. გუიბოძეს ურცხუი და კულა დავუმოსნეს ტანსა. შელამდა ზედა და არა გაიყარეს ნადიმი. მოიხუნეს ოთხნი სანთელნი და ოთხთავე ყურევა დაანთეს — ორნი ძაწუელნი და ორნი თეთრნი. ჩუენ გუეგონა ცულიი შეღებული. გამოკდა დიდი ხანი და არა იწოდეს. ჩუენ გაგუიჯორდა და ვერა შევიგენით, თუ რანი იყენეს. ზოგმან ზოგი თქუსი და ზოგმან ზოგი. ზე ადვა აბან ქამანის-ქე და ეგრე თქუთ: ნუ იცილებით, ზე თუთ ენახაო. ოღეს მივიდა და ნახა იაგუნდისა და ძაწუელისანი და ორნი ზურმუხტისანი და იგი, რომელ ზედით ნათობდეს, იყენეს ოთხნივე თულანი ყუითლისა იაგუნდისანი, და იგი ნათობდეს ვითა სანთელი, და იგი უფრო გაგუიჯორდა ყუელასგან და გავიყარენით.

და მეოთხესა დღესა გუაწუიენეს ნადიმიად სხუასა სახლსა ცოტასა. იყო იგი სახლი ალივისა. თულათა და მარგალიტითა შეკაზმული. და იყენეს ორნი კუბონი ალივისანი ეგრევე შეკაზმულნი. იყო იგი სახლი საზამთრო ხუარაშან ქალისა. დავსხვდით და გარდავიკადეთ ნადიმი იქიცა და უძლუნეს უფროსი ყოელისა ეამისასა და გავიყარენით. ბრძანა მეფემან, ნადირობასა გავიდეთო. წავედით და ვინადირეთ. არა ყოფილა ქუიყანა ევითი სანადიროდ. მივედით შიგანა სანადირობოდ, და განსუენებისა რიცხუი არა იყო. მოიყვანეს სანადირო ასი ავაზა, ასი თეთრი ქორი და სხუისა სანადიროსა რიცხუი არა იყო. ჩუენ შეგუიჯორდა ქუიყანა იგი სანადიროდ და ყოველთა დღეთა ვინადირობდით. და უმძიმდა ამირან დარეჯანის-ქესა მუენ არა ყოფნა ასან ბადრის-ძისა, ალი მოკამადის-ძისა და ყამარ ყამარელისა. გუკითხა დედოფალმან: ერა უმძიმს ამირან დარეჯანის-ქესა? ჩუენ მოვაკსენეთ: არ ყოფნა მათ სიმთა ყმათა უმძიმსა. გუიბრძანა დედოფალმან: კარგნი თურე კაცნი არიან, რომელ ასრე უმძიმსო. ჩუენ მოვაკსენეთ: ლონი კაბუქნი და კარგნი კაცნი არიანო. ბრძანა დედოფალმან: რადგან აქ არ არიან, კამს, რომელ მათთვისა დავდვითო. მანცა და ხუარაშან ქალმანცა მუენითგან წადმართ რაცა გუიბოძიან, ყუელასა სწორი მათთვისაცა დადვიან. ემღურვოდა დედოფალი მათ კაცთა არ მოყვანისათვის ამირან დარეჯანის-ქესა. მან ეგრე ბრძანა, ვითა: მეცა დია მწადდა ჩემთანა მათი ყოფნა.

განა ოდეს მე წამოვიდოდი, ნაშინ იგინი შინა არ იყენეს, ამირ-მუმლისა სამსახურად იყენეს და დღით-დღე ძლუნე უფროსი იყვისა. მოვიდა მეპურკლეთა უხუცესი, მოიხუნა საპურკლისა კლიტენი და მოაკსენა: ასისა საპურკლინა არსო. უბრძანეთ, ვისაცა გეპრი-ანების, მან აიხუნასა. და მე მიბრძანა და ავიხუნე. დავიწყეთ ნახვა საპურკლეთა და გარდავინახენით მრავალთა დღეთა. ყუელასა ნახუა არა ეგებოდა, რომელ ტურფანი ოდენ გარდავინახენით და არა იყო რიცხუი ტურფათა სიმრავლისა. გუითხრეს, ვითა: ასი სა-პურკლეთა თავისთვის დაუჭირავს ხუარაშან ქალსაო და ეს იყო სიმრავლე საპურკლეთა მის ხუარაშან ქალსაო.

ისმინდი, მეფეთ-მეფეო! ნადიმად ესხედით და უცხო რამე ხილი მოიღეს, რომელ არსად გუენახა ეგეთი ხილი. ვითხეთ თუ სადაური არის ესე ხილი? დედოფალმან ბრძა-ნა: ამის ქუეყნისა არისო; ესე შეეტყობოდა რომელ ნაღები იყო. თქუა მეფემან: მწვადიან ნახვა მის წალკოტისაო, რომელ ესე ხილი არის. დაუძმობდა ესე სიტყუა დედოფალსა და მას, ხუარაშან ქალსა, და თქუა დედოფალმან: არა არს ხილი ესე ამა ქუეყანისაო, ვიტყუეთო. ვაჭარნი მოვიდეს ინდოეთით და მათ მოიტანესო. არ დაიჯუზა მეფემან, თქუა: ზინაჲ ვაჭარნი ბაღდადელნი, რომელთა ყოველი ინდოეთი შიგან დაუარებია, მაჯრა ესე ხილი მათ არა უნახავს და არცა სად მე მინახავს. აწ ზითხარით მარათლიო. ამა სიტყუასა ზედა ოდეს შეეხედენით ხუარაშან ქალსა, თულთა ცრემლი გარდმოედინა. შეტენდა მეფემან და დაუწყუო ფიცებჲ და კითხვა დედოფალსა და არქუა: რა არს, რომელ ყუელასა დავიღრეჯიან და ხუარაშან ქალი ტირისო, მიაშბეთ მარათლიო. ლამოდეს ტყუელსა, განა დაჰპატრია ფიცითა და ველარა უარყვეს: უბრძანა დედოფალმან დიდე-ბულთა მისთა: მოაკსენეთო.

ალი ვისმე ცრეჲ, დიდებული მათი იყო. ადგა ზე და ეგრე მოაკსენა: ცხოვნი, მეფეთ-მეფეო, უკნისამდე! პირველ ეამთა, ოდეს-იგი ბაქაჯარ ქველი აქა შემოსულა, თანა ჰყოლია მუნეჯობი მისი ჯამასარ. რომელ თქუენ გზასა ზედა ტილისმანი გინახავან, მისი შექმნილი არიან. ამას ქუეყანასა წალკოტი იყო, რომელ არა ყოფილა მისებრიო ქუეყანასა ზედა განსასუენებელი მეფეთა, რომელთა შინა არიან ხილნი ესენი, რომელ თქუენ გინახავან. ნახა ხილი იგი მან ბაქაჯარ ქველმან და შეშურდა იგი სხუათა კაცთა-თვის და უბრძანა ჯამასარსა და შექმნა ტილისმანი და მუნითგან იქი აღდრავინ შესრულ არს და ვერცა ღინ შევალს. იგი ხილი, რომელ შენ გინახავს, მუნით წყალი გამოიტანს და ესრეთ ჰპოებენ. ჩუენ ესრე გუასმია მამათა ჩუენთაგან, არცა ვის წალკოტი უნახავს და ვერცა ვინ ნახავსო.

ჰკითხა ამირან დარეჯანის-ძემან, ვითა: ბოლოდ რა გასმია, როგორი ტილისმი არისო. მან ეგრე მოაკსენა, ვითა: ვეშაპი გუასმია დიდად დიდო. შეიქმნა შეპირებუა ყოველსა სამეფოსა შინა ამისთვის, რომელ არ დასთმობს დარეჯანის-ძე, წავალს ბრძო-ლად მის ვეშაპსად და მოჰქაივს იგი ევეშაპო. გაიყარა ნადიმი და მისაჲ ამირანი და-რეჯანის-ძემან: ესე ჩემგან მოუვალი არის, რომელმცა არა წავიდეთ ბრძანისა ნახ-ვადო. ამისთვის გულმხიარულად იყენით, რომელ ღმერთსა უბრძანებია კელთა ჩემითა მის წალკოტისა კსნაჲ. დაასუენეს ხუალისად წასულა და გავიდა კმა ყოველსა ქუეყანასა და სამეფოსა მათსა აშბავი, ვითა: ამირან დარეჯანის-ძე წავალს მის ვეშაპისა ბრძოლადო. შეკრბა ურიცხუი სიმრავლე დედათა და მამათა და თქუსს, თუ: წავიდეთ და ვნახითო, მაშ მათ წინა დავიკონეთო. მოვიდა დედოფალი და ტირილითა არქუა, ვითა: აპატრე-ეც სიბერესა ჩემსა და ნუ წახულო. მან არა უსმინა და ვითა ვერა დაუშალა, აღარა დადგა არცა დედოფალი შინა და აღარცა ხუარაშან ქალი, და წაჰყვეს თანა მის ქუე-ყანისა კაცნი ყუელანი, ზოგნი ომად და ზოგნი ნახვად.

წავედით და ვითა დღისა ერთისა სავალსა მივეწყურენით, მუნ არა იპოებოდა სუ-ლიერი შიშითა მის ვეშაპისათა. მივედით და ვნახეთ შორით ზღუდე წალკოტისა მალალი ნილიონისა ერთსა. შორს გუეცა სული სურნელი მის წალკოტისაგან გამოშავალი. ვერა ვნახეთ-რა, ვერცა ვეშაპნი და ვერცა-რა სხუა. ორნი კარნი იყენეს მის წალკოტისანი,

ერთსა კაცსა მცველი იყო იგი საშინელი ვეშაბი და მეორესა იყო სხუა მისგან უმცროსი ვეშაბი და ორნივე კარნი სპილენძისანი იყენეს და ისროდეს ქეასა დიდროვანსა ესეთსა, რომელ, რასაცა სულერსა მათი ნასროლი ქვა ეცის, წაშსავე მოკლის. ვითა მიევახლენოთ, წამოდდა კაცი ზედა და შემოგუხებდა და, რა ჩუენ გუნახა, იცეღა ფიცხლად და გამოვიდა იგი ვეშაბი საშინელი, რომელ მის ოდენი არა მინახავს. დაეშემო პირი და ცეტელი გამოვიდოდა პირისა მისისაგან და კმა ჰქონდა საზარო, ვითა გრგუნივა ზღუისა. მეორესა კაცსა გამოვიდა იგი უმცროსი ვეშაბი. წამოდგეს ზედა კაცნი სპილენძისანი და მათ კაცთაგან გამოვიდოდა კმა რამე უცხო და საუფრაველი.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო! თქუენმან მზემან, საზაროდ კმა იყო. აღარა ვისთანა იყო სრული მის ქუეყანისა კაცნი, რომელ ოწად ზოსრულიყვნეს. დგეს მკმუნეარენი. ომი, თავმან თქუენმან, ყოველთა დააიწყდა. მაშინ მოაკუნეს ამირან დარეჯანის-ძესა, ვითა: იმა უმცროსსა ვეშაბსა შეებოდი. თუა: არა კარგი განზრახვა არის, ვირე ისი დიდი ვეშაბი არა მოუტეების, უმცროსისა არა სარგებელი არისო. და უბრძანა მის სამეფოსა კაცთა, ვითა: ყულანნი იმა უმცროსსა ვეშაბსა შეებნითო. და მათ არა გამოსცეს პასუხი.

მაშინ ითხოვა ცხენი ლკეთისი ამირან დარეჯანის-ძემან და შეიკურვა ტანსა და ტირორდა ყოველი კაცი, ზოგი შიშითა მის ვეშაბისათა და ზოგთა უბრძმდა ომი მის ვეშაბისა დარეჯანის-ძისგან. მაშინ მიუდგა წინა ამირან დარეჯანის-ძე ხუარაშან ქალსა და ეგრე არქუა: ნუ სტირ, ნხოო ჩემო, აწ ნახო ქაბუკობა ჩემიო. მან ტირილისაგან პასუხი ვეღარა გამოსცა და მოყვიდა კალთასა, თუცა არა გაეშუა. გაიცინა ამირან დარეჯანის-ძემან და ეგრე არქუა, ვითა: თუ შენ დამიქირაუ, მაშა ვეშაბისა შებმა ვით შემძლიაო. ჩუენ გუობრძანა, ვითა: თქუენ მიღით სამნივე იმა უმცროსსა ვეშაბსა ზედაო. მე იმა კაცთა ვხედავ, რომელ არ ზივლენო. ზე ეგრე მოუაკუნე: თქუენსა წინაშე ვიყო მეთქი. კულა მიბრძანა: მე არა მინდა შეშუელი, წადი შენცაო. მე მას არა უსძინე. დაუდგე მასთან და წავიდეს აბან ქამანის-ძე და ქაოზ ქოსის-ძე.

მაშინ ამირან დარეჯანის-ძემან შეიზნა ორნი კრმალი და აიხუნა ხიშტი და შეუტევა. ხედვენ დიდოფალი და ყოელი ერი. წამოდგეს ზედა იგი კაცნი სპილენძისანი. ისროდეს ქეასა და უცეს ცხენისა თავსა დარეჯანის-ძისასა და მოუტლეს, შავრა მას ვერა აენეს. დაავდო ცხენი და ქეითა მოუტდა, ვითა ვეფხი. დასცეს ქვა მრავალი, განა ვერა აენეს. მოეგება წინა ვეშაბი, დაეშემო პირი ჩასანთქმელად. ჰკრა აშკომობისა პირსა ხიშტი და შეაღწეა ზედა, გამოიწყადა კრმალი და იგიცა დააღწეა. მერმე მეორე ჰკრა და ტუინამდისი შეჰყუთა. მოვიდა ვეშაბი იგი, შემოდლულარქენა, შემოუტევა და ორნივე ფერკნი ჩაუნთქნა. ამაზედა მივე, მეცა დაეჰკარ და ზურგსა ეჰყუეთე დიდი და ვერა ვაენე. იბრძოდეს ვეშაბი და ამირან დარეჯანის-ძე და ვეღარა ჩანთქა. ეცემდი და ეყუეთდი დიდროვანსა, განა ვერა დაევაღებინე იგი ამირან დარეჯანის-ძე. იყო ზრუნვა და ტირილი დიდი. მაშინ ამოდოდა დამნა მოგუისაგან, ჰკრა აშკომობისა ყუასა, ჩაშ თუ იწვედ ეტრია და წამსავე პირიდალმან წაწოავდო და რა-გაუშეა, კულაცა ეჰკარ კრმალი, შემომობრევა, ჩამთქა და გაიქცა. მოეწივა ამირან დარეჯანის-ძე, ჰკრა ზურგსა კრმალი და წმინდად გაყუთა. ეგზო დიდი იყო იგი ვეშაბი და საშინელი, რომელ მე და ჩემი ცხენი კორკსა მისა შიგან თავისუფლად ედგეთი და კიდე გამოგუიყუანა ცხენი და კაცნი ორნივე მრთელნი.

მივიდენ აბან ქამანის-ძე და ქაოზ ქოსის-ძე მას მეორესა ვეშაბსა ზედა და აბან ქამანის-ძე შეიპერა ცხენითურთ. ეგზომ დიდი არა იყო, ვითა პირველი, რომელმცა ჩაენთქა. აიხუნა ცხენი და კაცი ორნივე და გაიქცა. მიეწივა ქაოზ ქოსის-ძე, ჰკრა კრმალი და მოკლა იგიცა. რა იგი ვეშაბნი ორნივე დაიკონეს, ფიცხლა იგი კაცნი სპილენძისანი დაიღენწეს. შეიქმნა სიხარული მეტად დიდი მას სამეფოსა შინა და ამას იტყოდეს, ვითა: არავინ ყოფილა კაცთა ნათესავე სწორი ამირან დარეჯანის-ძისა და არცა ვის ვგეთნი ყმანი ჰყოლიანო. მერმე დიდოფალსა შეასხმიდეს ქებასა, ამისთუის, რომელ გამოაჩინე ესეთი კაცი მეფედ ჩუენზედაო. შევედით წალკოტსა შინა ეგეთსა, რომელ არა დგა ქუე-

ყანასა ზედა წალკოტი სწორი მისი და ვნახენით ხენი საკუთრეველნი და სურნელნი და მას შინა წყალნი შუენიერნი, ჩონელ რაცა ღმრთისა დაბადებული სურნელი იყო, იგი და ყოველი ფერა ხილი შიგან იყო. ხენი ვნახენით ერთნი, შუენიერნი, გარე შემზოლულდვილნი და ამას იტყოდეს, ვითა: ზეთი გაძოვალს მათ ხეთაგან ესეთი, რომელ სნეულსა შეასუან, გამართლდებიან. თუ ბრძანა თუალთა უწოთ, აეხილიან და ყოველსა სენსა ჰკურნებსო. და არა ითქმის სიკეთე მის წალკოტისა კაცისა ვნისაგან. დაჟუჟენით მუნ ნჩაჟალნი დღენი. განუისუნეთ და ვინადირეთ. გარშემოსა მის წალკოტისასა იყო სანადირო გამორჩეული და წამოვედით მუნით სიხარულითა დიდითა.

ცხოვნი, მეფეთ-მეფეო, უკუნისამდე! ცოლსა მისსა ვითა გაეჩუენა, უკეთ აღარ ევებოდა და მოვედით ქალაქად სიხარულითა. მაშინ ამირან დარეჯანის-ძესა სიკეთისა მისისათვის ეგზომისა მოართუნეს მის სამეფოთა ციხეთა და ქალაქთა კლიტენი ყოველნი და ჟუჟენით სიხარულსა შინა ეამთა მრავალთა. მერმე წამოვედით ბაღდადსა განაჩარებულნი აზნაურნი. შევიდა პატრონი ჩემი და კულმეფე წამოვიდა. მაშინ მიესმა ამბავი მის წითლოსნისა კაბუქისა მოკულა ამირან დარეჯანის-ძისაგან საბურ რაბაგის-ძესა, ძმასა მის წითლოსნისა კაბუქისასა. მაგრა კაბუქობითა დიდად უკეთესსა, მოვიდა ძმისა მისისა მის წითლოსნისა კაბუქისა სისხლისა ძებნად და დადგა გზასა ზედა ჩუენსა.

მაშენდი, მეფეთ-მეფეო! მოსრულიყვენს შინა აღი მოჰამადის-ძე, ასან ბადრის-ძე და ყამარ ყანრელი და ეკითხათ, თუ სად არის პატრონი ჩუენი ამირან დარეჯანის-ძეო. უთხარს წამოსლვა ჩუენი და წამოსულიყვენს იგინიკა კულა ჩუენსა ძებნად ჩუენად და საბურ რაბაგის-ძე და იგინი ერთგან შეყრილიყვენს. კულა საბურსა ლაშქარი ილი და ჰკითხა, თუ ღინ ხართ, ძმანო. მათ უთხარეს, ვითა: ყმანი ვართ ამირან დარეჯანის-ძისაო. რა ესე თქუეს, შეუზახნა ლაშქართა და უბრძანა დაკოცენითო. მათ გამოიწუადეს კრპალნი და შეებნეს მას ყოვლისა ქუეყანისა ლაშქარსა იგი სანნი კაცი. კლდე იყო დიდი და მათ სამთავე ბუქნი მას კლდესა მიჰუდნეს. გამოვიდის და ერთი მეორესა ეცვალდებოდეს. იბრძოლეს სამთავე ამა წესითა კუირა ერთი და კოცეს კაცი ურიცხუი, რომელ თუთი იგინივე იტყოდეს: სამი ათასი კაცი მოკლესო. იამპარტავანა საბურ რაბაგის-ძემან და თუთი არა მივიდა მათად ომად და ჩუენ მივედით ომსა ზედა.

შეხელნა ამირან დარეჯანის-ძემან და ეგრე თქუა, ვითა: ომსა ფიცხელსა ეხედარო, განა ვინ არიან, არ ვიციო. კულა ცოტალა წაელეთ და ბრძანა: ისინი ყმანი ჩენნი არიან, სითცა მოდიან აღი მოჰამადის-ძე, ასან ბადრის-ძე და ყამარ ყანრელიო. ჩუენად თურე ძებნად წამოსულიყვენს, წარვისწრაფეთ და ომსა ზედა მივედით. იყვილა ამირან დარეჯანის-ძეჟან: მო-ღმერთო-ვედითო! შემოგუხედნეს და გუიცნეს, გაგულოყანდეს და სამთავე შეუტევეს და მრავალი ცხენი და კაცი მოკლეს. მივედით ჩუენცა და შეეებენით, მრავალი მოყალით. მიესმა საბურ რაბაგის-ძესა, ვითა: ნო-ვინმე-ვიდეს მშუელნიო: მათთანა ერთი კაცი არის ვეთო, რომელ თუალთა ჩუენთა არა უნახავს კაცი მისებრიო. მან ცნა, ვითა: ისი კაცი ამირან დარეჯანის-ძე არისო. უკუყარა ლაშქარი თუისი და ეგრე თქუა, ვითა: აქა ომი კამსო. მოგზავნა კაცი [და შემოეთუალა], ვითა: შენ მოგიკლავს ძმა ჩემი იგი წითლოსანი კაბუქი და აწ მე შენად ომად მოსრულვარ, მე შენი ყმანი არა დავეკოცენ, შენ ჩემნი რად დავეკოცნო. აწ ესე მტკიცედ იცოდეთ, რომელ ანუ სიკუდილი შენი მოსრულ არს და ანუ ჩემიო. ხელე არს ომი შენი და ჩემიო. არქუა ამირან დარეჯანის-ძემან, ვითა: ძმამან შენმან სიამპარტავენითა მოიკლა თავი თუისი და ფათერაკად მოკულა და აწ კულა შენ მეწყალვი, რომელ შენცა მოჰუდლები კელითა ჩემითა. ლაშქარნი შენნი ამისთვის დავეკოცენ, რომელ სამთა კაცთა ზედა ლაშქარი დახვეულიყვენ, ვითამცა არა უშუელნი? აწ ისინი მოკსენება ჩემი და ნუ დაიდგამ დღეთა ძმისა შენისათა და წადი მშუიღობითა. ამა სიტყუასა ზედა გაწყრა საბურ და ლოგზავნა მოციქული ფიცხელი და დაასკუნეს ხელისად ომი.

ვითა გათენდა, შეეკაზმა საბურ რაბაგის-ძე და შეჯდა შავსა ცხენსა შავითა ტანი-სამოსით და იყო იგი ლაშქარი მისი ყულა შავითა, ძმისა მისისათვის. გამოვიდა იგი

საბურ რაბაგის-ძე და აქათ გავიდა ამირან დარეჯანის-ძე და ფიცხლად შეუტრევეს ერთ-მანერთსა და შეიბნეს. გარდაედა ომი დიდი წწუნხრამდის და ვერა რომელმან აჯობეს. აბჯართა ცემისაგან არა ისმოდა უერთა კვა. მოსულეს ერთმანერთთა ნრავალი ცხენი და გარდალუწეს ერთმანერთთა ნრავალი კრმალი და ვერა აჯობა ერთმანცა. გაიყარნეს და რა ვითენდა, კულა შეიბნეს. სამი დღე იბრძოლეს და ვერა გარდასწყუიტეს. უფიცხ-ესი და უფიცხესი იყო ომი და ერთობ დაღუბმძიდა ვასწორებდა ამირან დარეჯანის-ძესა და ესე დაასვენა, ვითა: თუ მოვერიო, მოვცლაო. მას ღამესა ლაშქარსა ყუელასა მოეგ-ზაუნა კაცი ამირან დარეჯანის-ძესა თანა, ვითა: პატიე-ეც კაბუჯობასა შენსა, თუ მოერიო, ნუ მოჰქლავე შიო: რომელ ესე ზარტო დარჩომილა თავისა სახლსა შინაო. უქადა ამირან დარეჯანის-ძემან მათ ლაშქართა არ მოკლვა საბურ რაბაგის-ძისა. კულაე მოეგზაუნა კაცი საბურსა და ესე შემოეთუ: ღა, ვითა: ხვალე გარდაწყუელდა არს შენი და ჩემიო. მაშინ ბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან, ვითა: თუ მამერღვის საბურ რაბაგის-ძე, მომკლავს, შიო რომელ ძმისა მისისა მის წითლოსნესა კაბუჯის სისხლსა ეძებსა. და უჯუარ-და ეგზომი სიკეთე რაბაგის-ძისა. არქუა თუ: ზენაარმან ღმრთისამან. რადგან ეგრე კარ-გი კაბუჯი არის, თუ მოვერიო, არა მოვცლაო. ხვალისად დღე შეეკაზმა საბურ რაბაგის-ძე და გამოვიდა. ეკიდნეს პოლოტიკნი რკინანი სატკივართა ადგილთა და ეგრე იყილთ: გამოედ, დარეჯანის-ძეო. ფიცხლა გავიდა დარეჯანის-ძე. შემოუღვეს ნაეარდი ერთმან-ერთსა და გაფიცხდა ომი უფრო ყოველთა ომთასა. ზოლოსა ეამსა იყივლა დარეჯანის-ძემან, და გაიყვანა ცხენი და არქუა: გაფრთხილდი, საბურ! რაბაგის-ძეო, მოვალე შენზე-დაო. გაიყვანა ცხენი მანცა და უყივლა: აწ მოვიდა სიყვლილი წენიო. წამსავე შეუტრევეს ერთმანერთთა და ჩაშ თუ შემინდეს საბურ რაბაგის-ძისა ლაშქარნი მოკლვასა საბურისასა და იყივლეს ერთპირად და არქუეს: ამირან დარეჯანის-ძეო, ზენაარსა ღმრთისასა, რა გიქადებია, გავისრულეო. შიო ლაშქართა სიტყუასა: ზედა გასტყორცა კრმალი, შეუტრევა, მიჰყო კელი, მოჰკადა უნაგირთიგან და დასცა ქეცყანასა ზედა და აღარა მოკლა.

გარდაედა ყოელი ლაშქარი საბურისა, თაყუანისცეს და ქება შეასხეს ამირან დარე-ჯანის-ძესა და თქუეს: კურთხეულმცა არს კაბუჯობა შენი, რომელ არავინ ნახულ არს კაბუჯი კაცთა ნათესავი შენებრიო. და დადგეს ერთგან საბურ რაბაგის-ძე და ამირან დარეჯანის-ძე. მას დღესა განისუენეს და დაიშოყურნეს. დილას წავიდა საბურ და ჩუენ-ცა წავედით. მოვედით ბაღდადსა ნხიარულნი და გამარჯუებულნი.

აქა დასრულდა კარი ტილისძათა. მეფეო, იგი სახლი. რომელ თქუენ გინახავს, მუნ მოვედით. მაშინ მოიყვანა მხატვარი და დაწერა თავი თუისი და ჩუენცა. დაუსრულე-ბელ ყენეს ღმერთმან დიდება და გამარჯუება მეფობისა თქუენისა უკუნიითი უკუნი-სამდე, ამინ.

ქარი მცხრა

საწადავლი დარეჯანის-ძისა ამაზამი

ესმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნი უკუნიამდე! აღიდნეს ღმერთმან მოყუარენი თქუენნი და არცხუნიოს ორგულთა თქუენთა!

მინდორსა შიგან სახლნი იყენეს სანადიროდ აგებულნი ბაღდადელისა ამირ-მუშლი-სანი. ესე რა მოძიელია ყოველი ინდოეთი და სპარსეთსა შინა გაზრდილვარ, თუაღითა ჩემითა ეგეთნი სახლნი არა შინახვან: სამნი ქუეყანანი დიდ-დიდნი მოკიდებულნი იყენეს მათ სასლთანი. სამი თუე მუნ დაყვის და ნაეროზო მუნ გარდაეკადის. კაცისა თუალსა არცა ეგეთნი სახლნი უნახვან და არცა ეგეთნი სანადირონი. რჩეულნი დიდებულნი თანა წაიტანის და ვის არა უბრძანის, ვერა წავიდის ამით, რომელ ვინცა მუნ იყენიან, მდი-დარნი წამოვიდიან საბოძერთა, იცოდის. ყოველმან კაცმან იგი ეამი. ვისცა კარგი ავაზა ჰყვის ანუ კარგი ქორი და ანუ რაცა ვის კარგი სანადირო, მის ეამსათუის შეინახიან. სადაცა კარგი მგოსანი იყო და ანუ მოშაითნი და რაცა კელის უფალი, ყუელა მუნ მო-ვოდის. ვანსუენება და სიხარული იყვის და ნადირობა, რომელ კაცისა ენისაგან არა თიქ-

ბის და არცა გაოგონების. ბრძანა ბაღდადეღმან* ამირ-მუმლმან და წავიდა ამირან დარე-ჯანის-ძე. განაღამეა უბრძანა სხუთა დიდებულთა, ჩუენ ამირან დარეჯანის-ძის ყზანი ვიყვენთ, ზენ წავედით. და იყო დიდი სიხარული და გამოსუენება. ზოგნი ნადირობდიან მწოლ დითა. ზოგნი ქორითა, ზოგნი ავაზითა, ზოგნი ძაღლითა და ვისცა ეს სწადდის, შეექცევილიან. სახლნი იყენის სანალიმონი, შეენიერნი, მოკაშმულნი ოქროთა და ვერცხლითა. მუნ დაიდვის ნადიმი და იმერადიან მოშაითნი და იქმოდან აჯაბთა, ჰკედნე-დიან ჩაინდნი ცხენთა, ზოგნი ჰადრაკთა იმერადიან, ზოგნი-ლუინოსა სმდიან.

აჰყარის გარეთ ნადიმი და საწოლსა შევიდის, დიდებულნი თან შეიტანნის. უკეთესი და უშუენიერესი ნადიმი მუნ გარდაიკადის. უბოძის ყოველთა** საბოძეარი და გაიყარან. მას დიდებასა და განსუენებასა შინა ვიყვენით, რომელ თავმან თქუენმან, ნაბეგარი ვერ მოთქჳამს, ვითარი სიხარული და შუება იყის. დღესა ერთსა ამირან კელი გაიყსნა. არცა ნადირობასა გავიდა, არცა სერიქსი ნადიმი გარდაიკადა. დიდებულნი იყმნა და ნადიმი საწოლს გარდაიკადა. ამირან დარეჯანის-ძესა საკრამანგისა სასთაული დაუდვიან ახლოს და დაისუის, რომელ კელი მისწუდებოდის. სხუანი დიდებულნი, ვითა კაპს, ვერე დასხნის. ნადირობა იყო. ვერე ბრძანა ამირ-მუმლმან—შე-რასმე-მქირდების, ჩემსა მზესა, ვინცა რა ამბავი იყო, მითხარითო. დარეჯანის-ძემან მოაკუნა, ვითა: რომელი მიქმნია და მას-მიან ზომიკსენებია და ახალი არა ვიციო. ვერე უბრძანა, ვითა: შენ აღარ გტანჯავ, სხუამან ვინმე თქუასო.

ომად ვისმე ერქუა მადის-ძესა, დიდებული კაცი იყო, მობაღდადე, ზე ადგა და ვერე მოაკუნა: ცხოვნი, ანირთა ამირო! ამბავი გწადიან და თუალითა ჩემითა მონახული მოგაკუნეო, რომელ ესე ბრძანო: ამის უკეთესი არა მასშიაო. რომელი კარგი მიქნია, იგი მოგაკუნეო და რომელი უბაღო, რგი, ოდეს-იგი კარგი ნაქმარი მოგაკუნეო, გაგვიკურადებს და სიქადულად შეზინანავ და ტყუილი ანად არა, რომელ ყოველსა მართალსა მოგაკუნებო. გაეხარნეს ამირ-მუმლმან. ბრძანა გაყრა ნადიმისა დიდებულთაგან კიდე. ყუელა ვაღმა აწუიეს, დიდებულნი სიახლესა სასთაულთასა და დასხნა. უბრძანა ომად მადის-ძესა: ჩემსა მზესა, ყუელა უკლებლად მითხარო.

მოაკუნა: ცხოვნი, ამირთა ამირო! ამბავი ჩემი ყუელა სრულობით მოგაკუნეო. ოდეს ცოტა ყმა ვიყავ, სწორსა ჩემსა ყუელასა მოვეკრეოდი და მღერასი შინა უბაღოდ ვიქციოდი. ბაღდადი ქალაქი აძიოვოდა. მამა ჩემი და მამის ძმა ჩემი ერთგან სხდეს. ვერე უთხრა მამის ძმამან ჩემმან მამასა ჩემსა: იმა შენსა შეილსა ერთი პირი არ დასუდებს, ის რომელ ჰქირტად და უბაღოდ მაქცე არის. ანუ შეიქმნების კარგი ქაბუკი. რომელ მისებრი არ იყოს და ანუ ხელი და არას კელისა.

მან ვერე არქუა: მეცა კულა აგრე მგონიაო. ოდეს მე ესე მესმა, გულსა ჩამიკდა და ვთქუი: კარკიმო ქაბუკი ვიყავ. რა მოვიწიფე, ნადირობა დავიწყე. ნადირობა მიყუარდა ზომისაგან, და ზომისაგან კიდე შეტად. სადაცა მკეცი ანუ ლომი გარდამეკიდის, ვითა კატა მოჰკლი. დავსჯერდი თავსა ჩემსა და ვთქუი: დღეს ჩემებრივ ქაბუკი არა არს პირსა ყოვლისა ქუყანისასა. მერმე ვერე ვთქუი: კაცი გარევიცადო, თუარა მკეცთა სიქუდილი ცოტა უნდა.

მისრული ქარავენი ბაღდადს იყო და წავიდოდა. უთხრეს: მეგობრენი წინა გიმზირანო. შიშითა ვეღარ გავიდეს. მე ვერე უთხარ: მომეცით საბაღრაგო და თქუენს ქუეყანასა მშუილობით მივიყვანო. მით მომეცა დიადი, შევეკაშმენით და წავედით. მონახული იყო ქარავენი ხუთისთა მკედართაგან. ერთგან წინა გუიმზირდეს, გამოგუიკდეს, ცხენი შეუტევი, შეუძახენ და შეეგობ. თავმან მეფობისა შენისამან, გაეპქიუენ და დავპოკენ, რომელ მცირედნი ვინმე გარდამებუენეს. გაეგზაენ მშუილობით ქარავენი და შემოვი-

* A ხელნაწერში ცვლადი: ბაღდადურმან.

** აქედან აკლავ B ხელნაწერს.

ქეც სახლსა ჩემსა. ესე იყო ომი ჩემი პირველი *. დავსჯერიდი თავსა ჩემსა და ეგრე ვთქუი, ვითა: ჟუჟუოდ დღეს კაბუცი ჩემებრი არა არს პირსა ყოვლისა ქუყუანისასა.

ისმენდი, მუფეთ-მუფეთო! ეგრე ვთქუი ვითა: შევება ამირანი დარეჯანის-ძისაო, რომელი ხუთასსა კაცსა შეებმის, მას, ღმერთო, ეგეთისა კაცისა ომი შეუძლია. შეეკაზუე და მოვ-მართე, მუქარა გამოვთხორო მეთქი. შემრცხუნდა და უთხარ თავსა ჩემსა: არა გრცხუე-ნიან, ომად მდის-ძეო, უერეთ დარეჯანის-ძისა საომრად მიხულა, მცირედნი ნაქმარნი გიქნია! სხუაგან წავიდე და კულა თავი ჩემი გამოვსცადო, და თუ კარგი ნაქმარი ექმნა, უკანის მას შევებაო.

ცხოვნიდით, ამირთა ამირო! გაეაგე სახლისა საქმე. დაეაჩინე კარგნი კაცნი. წაველ და ბასრას მივმართე. მივიღოდი. ზხასა ლაშქარი თუ შეეცი გარდამეციდის, მოვირიგი უფელასა, მივედ ბასრასა და ჩემსა მისლვასა ზედა შეიქმნა ზელი ბასრეთსა. მოვიდა არაბთა მეფე და გარეგანნი უფელა წაიღო, ქალაქი მრავალი და ციხენი. მოვიდეს კართა ქალაქისათა. გავიდეს მოქალაქენი და შეიბნეს ფიცხლად და შემოღეწნეს შინა მით, რომელ გარეგანთა ლაშქართა რიცხუი არა იყო. მოვიდა მეფე არაბთა. მის ქალაქისა კართა ზედა სამნი ბუმბერაზნი იყვნეს ბასრელის ამირასანი, ლომნი კაბუენი. გავიდეს და შე-ებნეს. ომი დიდი და კარგი გარდაიკადეს ესეთი, რომელ ფიცხლად ომად კმა იყო. თუითომინ ასი კაცი მოკლა და შემოვიდეს გამარჯუებულნი. მიეგება ამირა და ყოველი ქალაქი და დიადი საბოძვარი უბოძა ამირამან და ყოველმან ქალაქმან.

მეორესა დღესა გამოვიდეს იგივე კაცი და კულა უფროსნი და უკეთენი ომნი გარდაიკადეს. ზემოვიდეს, ქება შეასხეს და დიადი საბოძვარი უბოძეს. არაბთა მეფისა ბუმბერაზი იყო ლომი კაბუცი და იქი არა იყო. გაგზავნა კაცი მოსასწრაფელი. მოჰყვან-და მათ კაცთა საომედ. მას დღესა მოვიდა იგი ბუმბერაზი, დილასა შეიკურა იგი არაბთა მეფე და ყოველი ლაშქარი მისი, შესხდეს ცხენთა და წამოვიდეს. კაცი ვინმე ტაიქსა ჯდა, წინა მოვიდოდა და ზღუდეთა ქუეშეთ მოდგა. კინენი კელთა ჰქონდეს. ეგრე შემოგუყვილა, ვითა: გამოდით ერთი ერთისანთუისო, თუ ვინ ბუმბერაზნი იყვნეთ, და თუ ერთი არ გამოხულოთ, მრავალნი გამოდითო. ამა სიტყუასა ზედა შეეკაზმნეს სამ-ნივე და ერთკადეს ერთმანერთსა, ვითა: მე გაეაო, არა, მე გაეალო. დაჯდა მალალთა ბანთა ზედა იგი ამირა ბასრელი და მებუე-მედაბდაბენი ზედა წარმოდგეს და ეგრევე გარეგანთანი მოდგეს, და სცემდეს გარეგანნი და შინაგანნი და ზმა იყო მერად დიდი. გავიდა იგი კაცი და შემოუვლეს ნაეარდი ერთმანერთსა. მერმე არაბთა მეფემან შემოჰყიე-ლა მის შინასა ბუმბერაზსა, ვითა: გულმაგრად შეები, არავინ მოვილს აქა მესულეო. ფიცხლა შეუტრეს ერთმანერთსა, შეუყარნა კინენი მან 'გარეგანმან კაცმან: აილო უნა-გირთავან და ქუეყანასა დაჰქარა და მოკლა, შეიქცა და წაიდა. მოეგება წინა იგი არაბ-თა მეფე, მისცეს საბოძვარი დიადი და შეასხეს ქება და წაივიდეს სადღომისავე. დაუმ-ძიმდა მას ბასრელსა ამირასა და ყოველსა ქალაქსა და თქუეს, ვითა: გაუწირავართ ღმერთსა, თუარა ესდენ კარგი კაბუცი ვითა იჯაბანა ესრეო.

მეორესა დღესა გაჯდა თუით იგი არაბთა მეფე და ყოველი ლაშქარი მისი დაკაზ-მულნი მოდგეს. გამოსწყდა იგივე კაცი, შემოდგა ზღუდისა ძირსა და იგივე სიტყუა თქუა. კინენი დაეყარნეს და კრმალი ერტყა. გაიდა იგი მეორე კაციცა და ჩუენ წაიადე-გით ზედა ხედვად. შეუტრეს ერთმანერთსა. ამა შინაგანმან კაცმან ჰქარა მარცხენასა მკარსა კრმალი და შეჰკეთუა ცოტა. ჰქარა მანცა მარცხენასა მკარსა და მარჯუენასა თე-ძოსა თავსა დაასუდა და მოკლა იგიცა და წაიდა. მოაგებეს შესამოსელი მრავალი და აკაზმულობთა ტაიქსა. შეასხეს ქება და უბოძეს საბოძვარი დიდი. დაუმძიმდა მას ბას-რელსა ამირასა და ყოველსა ქალაქსა და გაწირეს ყოფა თავისა მათისა.

მესამესა დღესა მოვიდა იგი არაბთა მეფე, მებუე-მედაბდაბენი გამოვიდეს. გამო-ვიდა იგივე კაცი და გამოსთხოვა მუქარ[ა]. ესე მიკურის, ამირთა ამირო! იგი კაცი ეგ-

* აქამდის აკლია B ხელნაწერს.

ზომ ადვილად დაკოცნა და მას მესამესა კაცსა არა შეეწინა. შეეკაზმა ჩუენი ბუმბერაზი და ეგრე უბრძანა აზირა ბასრელმან: ძმავო, ნულარა გახუალთ. იმა კაცთათუის ღმერთსა ძლევა მოუცემია, შენ აღარა მოგკლასო. მან ეგრე მოაკესნა: მემ თქუენი საკარგავი და ოქრო მრავანია, ჩემი კელი ომი არის. აწ გაუალ ომად მისად. ნუთუ ძმათა ჩემთა სისხლი ვაზღვევინო.

გავიდა იგი კაცი და წაადგა ყოველი ერი ხედვად და თქუეს ყოველთა, ვითა: სიკუდილი და ცხოვრება ჩუენი დღესა არისო და თუ იმასაც ეფათეარაკებისლა, წაყდა ჩუენი ქალაქიო. მას გარგვანსა კაცსა მშუილდ-კაპარკი შემოერტყა. შემოუვლეს ნაეარდი ერთმანერთსა. შენოუტეეა მან კაცმან, ჰკრა ისარი მკერდსა და შიგა გაავლო და ფრთამლისინ მიწასა შიგან ჩაასო. შეიქცა გარევე და წავიდა. მოაგებეს შესამოსელი და აკაზ-მულობითა ტაინენ მრავალნი. შეასხეს ქება და წავიდეს. შეიქმნა ქალაქსა შიგან ტირილი და თქუეს, ვითა: ამა ორთა პირთაგანსა ქანა გუინდა: ანუ გავიდეთ ყოველნი—დიდი და მცირე, შევუბნეთ და დავიკოცნეთ, ანუ კულა ვთხოოთ ზენაარი და მივსცეთ ქალაქთა. მაგრა ომსა ზენაარისა თხოვნა ამურობინეს. დაასკუნეს მის ქალაქისა მიცემა.

მე გულსა შინა ეგრე ვთქუთ, ვითა: ავაბუკობისა ძალისა ცნობად წამოსულეარ და პაბუცი, ღმერთო, არს. გავიდე და შევებო.

მოველ ამირასა თანა. აბრავ ვისმე ერქუა, ვაზირთა უხუცესი იყო ბასრელისა ამირანისი. მას ეგრე მოაკესნენ, ვითა: მიდი, ამირას მოაკესნენ, მე მობაღდადე კაბუცი ვარ და კაბუკობისა ძალისა ცნობად მოსულეარ და იმა კაცსავე შევებმო. მან გაიხარნა, ნივიდა და ამირას მოაკესნა. გაეხარნეს ამირასა და ეგრე მკითხა: ამირან ხარ, დარეჯანის-ძეო? მე მოაკესნენ: არა ამირან ვარო, ომად ვარ მადის-ძე მეთუი. დაუშძიმდა ამირასა. შეიქცა და დაჯდა ქუე, ჩაშ თუ იმედი არა ჰქონდა ჩემგან. ეგრე მარქუა: ძმავო, მე იმას კაცსა არა ვაბრძოლებო მით, რომელ ჩემგან წყალობა არა გინახავს-რა და არა მოგაკლეო. ეგრე მოაკესნენ: მე მობაღდადე კაბუცი ვარ, გაუალ და შევემში. თუ გამემარჯოს, ხომ კეთილი, და თუ მოგკლას, სიკუდილსა მაშინცა ვერსად წაუვალ.

ეგრე მოეგზავნა არაბთა მეფესა ამირას ბასრელსა თანა, ვითა: ღმერთსა ძლევა ჩემდა მოუცემია, აწ შენ ველარა დამიპირავ მაგა ქალაქსა, მომეც და მოგცე ზენაარი, რომელ მშუილობით გაგიშუა. მე მიკმო ამირან და ეგრე მარქუა, ვითა: მქონდეს იმედი შენგანო? მე მოვაკესნენ, ვითა: მშევიწიო ღმერთი ჩემი და ვაზღვევინო სისხლინი ბუმბერაზთა შენთანო.

გავხარნეს ამირასა და ეგრე გასცა პასუხი: არს ჩემი ერთი ბუმბერაზი, ხვალე იგი და ეგე შეიბნენ და თუ აჯობოსლა, აღარა გიპირავ. ქალაქსა, კელთა მოგცემო. გავიდა მოციქული და უთხრა. გავხარნეს არაბთა მეფესა და თქუა: მაგას პირსა ვეკრვარო.

ზმა იყო ქალაქსა შინა, ლოცვა და ტირილი ჩემთუის*. იტყოდეს მოქალაქენი: თუ ხვალე ისი იძლევისლა, სრულად თურგ გაუწირავართ ღმერთსა. მოვიდა ყოველი ქალაქი და მნახვიდანი.

დოლსა გამოვლიდა ამირა და დაჯდა ბანთა ზედა. წამოდგეს მებუკე-მედაბდაბენი. ზმა იყო ქალაქსა შინა**, ეგრევე არაბთა მეფე მოვიდა და ზედა წამოდგეს მისი მებუკე-მედაბდაბენი, სცემდეს ბუკსა და დაბდაბსა და ზმა იყო. მუნითუა მოვიდა იგი კაცი, ზღუდისა ძირსა მოდგა და გუიყილა, ვითა: ვინ გამოხუალ, ნულარა ჰყოენითო. ოდეს იგი ომად მადის-ძე ამა ამბავსა ამბობდა, მეტად იამებოდა მას ბაღდადეღსა ამირამულსა. ადგი და ქუე ჩამოსხნა სასთაულნი. ნოსხა ზედა ჩამოჯდა და უბრძანა: ომად მაღის-ძეო, ჩემსა მზესა, ყულია მართლად მამებო და წურიალად მითხარო.

მან მოაკესნა: ისმენდი, მეფეთ-მეფეო! გაველ მე და ვნახე იგი კაცი. მშუილდი არა ჰქონდა, გამეხარნეს ამით, რომელ ამასა ბუმბერაზსა ფიცხელი ჰკრა. კინენი ჰქონდეს.

* აქედან აქლია A ხელნაწერს -

** აქამდე აქლია A-ს

გაველ მე და მოვედა მუნით იგი. შემოუღღებთ ნავარდი ერთმანერთსა და შეუტყვეთ. შემოიყარნა კინენი ქუეშე და ეერა ამძრა. ფიცხელი თურე ამზინდა, კინენი გაუტყდეს, შეუტყვე, შეუზახენ*, ჩაბალასა ზედა კრმალი ვეარ და, თავმან მეფობისა შენისამან, მყარდამდის ჩაკუეთე და მოვკალ. შინა აღარა შეველ, ფიცხლად შეუტყვე ლაშქართა არაბთა მეფისათა. მას დღესა ხუთასი კაცი მოვკალ, შემოვიტყე და მოველ ქალაქად** გამარჯუებული.

მოვიდა ამირა და ყოველი ქალაქი, მომცეს აურაცხელი ყოველმან, ზოგნი კელსა მემთხუენეს, ზოგნი მაკოცებდეს.

ჩემსა მაშინდელსა გამარჯუებასა არა სკირდა-რა! დამით უთხარ მოქალაქეთა: შეეკანშენით მეთქი. დილასა გაეიტანენ თანა, დავესხენით, დაეკოცნით, გაეპატივენით, და ეიონაერენით, რომელ ცოტანილა გარდაგუზუენეს და შემოველ შინავე. მომცა ამირამან ურიცხუი და ყოველმან ქალაქმან, შესნელად მათად მიკომბდეს. თუ ესე ტუჟილი გეგონოს ჩემგან, ბაღდადეგი ქარავანი მაშინ მუნ იყო და მათ ჰკითხე.

მომიგზავნა კაცი ამირამან, ვითა: დადგე ჩემთანა და საქურკლეთა სამად გაგიყოფ და მესამედსა შენ მოგცემო. მე მოვაკსენე, ვითა: აარა დავდგები, წავალ პატრონისა ჩემსა წინაშე. მაშინ დიადი მომცა და წამოველ. ბაღდადსავე მოვედ და ეთქუე, ვითა: არა არს კაბუჯი ჩემებრი პირისა ყოვლისა ქუეყანისასა. აწ დასტურად შევებში ამირან დარეჯანის-ძესა მეთქი.

შევეკაზმე და მიველ კარსა ამირან დარეჯანის-ძისასა. შემრცხუნდა და ვთქუე: მას დიდნი და სახელოვანი საქმენი უქმნიან, აწ კულა წავიდე და გქმნა კარგი რამე ნაქმარნი და მერმე დავესწრები მისსა ომსა მეთქი. ამირან დარეჯანის-ძემან გაიცინა და ეგრე არქუა: ძმავო, რადა გრცხუნეიან, კარგი ყმა და კარგი კაბუჯი ხარ, ამირა-შუმლისა შვემან! მერმე თქუა ომად მადის-ძემანვე: დაეაყენენ კარგნი კაცნი სახლსა ჩემსა ზედა და რაცაღა კამდა, ყუელა უთხარ და ვთქუე: ანუ მოვიკლა თავი, და ანუ ვცნა კაბუჯობისა ჩემისა ძალი.

გავიარე ქუეყანა ჩუნენი და მივხუდი მინდორსა ეგეთსა, რომელ სამისა დღისა სავალსა არცა კაცი მინახავს და არცა სხუა სულიერი. მომეწყინა და ელამოდი გარე შექცევასა, წაველ ცოტალა ხანი. ოდეს დავეხედენ, მინდორსა შინა დგა კარავი და ცხენი ება ერთი კარსა ზედა და კინენიცა ესუნეს. ვთქუე: აბა კაბუჯი, რომელ იცნობის კაბუჯობისა ჩემისა ძალი მეთქი. მიველ და შევედგე კარსა და ოდეს ენახე, პერანგითა კაცი წვა ტაბტსა ზედა და გუერდით ქალი უჯდა ეგეთი, ვითა ნზე. მე ეგრე ვარქუე: შეუნიერო კაბუჯო მეთქი. მან ეგრე მარქუა: 'ეინ ხარ, ძმავო!' მე ვარქუე: ამოხალდადე კაბუჯი ვარ, ძალსა კაბუჯობისასა ვეძებ, რომელმცა ვის შევება. მან თქუა: ზე უქუდეგ, რომელ შევეკაზმო. მე ვამეხარნეს, ამირთა ამირაო! შორს უქუდედე და მეცა შევეკაზმე. გამოვიდა შექურვილი, ცხენსა შეჯდა, შემომიტევა, შიშითა შუბი ველარ შემომცა, შეამალნა და გარდმომკრა კინენი და ზედა დამალეწა და გამექცა ეგზომ ფიცხლა, რომელ გზა და კულაი ვერა შევიგენი. დამიძმინდა და გამიკუირდა ეგზომი სიჯახნე მისი, შემოვიტყე და მას ქალსა, თუალად ტურფასა, კარსა მივადდე და ეგრე უთხარ: დავო ჩემო, ღმერთმან იცის, ჯაბანი ქმარი გვიის მეთქი. სხუა არა დაეაკლე და არცა რა წავიდე. პური ავიღე და წაველ.

ვიარე ორი დღე სხუა ეგეთსა უკაცურსა ადგილსა, შემპირდებოდა და ელამოდი გარე შექცევასა. ვიგონებდი გულსა შინა, ოდეს ენახე — კაცი ვინმე მოვიღოდა. შავსა ცხენსა ჯდა დილსა და იყო დიდი კაცი, შავი, და ეგრე ვთქუე: აბა, ისი კაცი მაცნობინებს ძალსა კაბუჯობისასა მეთქი. შევეყილე: კაბუჯო, მე ვარ მოხალდადე ომად მადის-ძე, კაბუჯობისა ჩემისა ძალისა ცნობად ეიარები მეთქი. და რაცა მექმნა, ყუელა უთხარ, სიტყუითა შეშინებასა ელამოდი. მან ეგრე მითხრა: შენი და ჩემი საბრძოლველსა რა

* აქედან აკლია A ხელნაწერს. ** აქამდის აკლია A ხელნაწერს.

არისო? მე ვგრე უთხარ, ვითა: კარგი ვინმე კაბუკი ხარ, მე და შენ ომისაგან კიდე სხუა არა გუეწევის-რა ზეთი. მან ვგრე მითხრა: გულისაღ ხარო? მე ცხენი გავაფიცებ და ვგრე უთხარ: ამისგან უფრო გულისობა აღარა ეგებინ მეთი.

ვითა შეუტყვე. მოგუსა შიგან დაშნა ეპყრა, ამოიღო და გულსა დაიწა და ვგრე მითხრა: შენ ამისგან უფროსსა ველარას მიზამო. გარდაიქრა ცხენისაგან და ფიცხლად მოკულა. მე დანიშმიძა. ამირთა ამირო, წაველ მუნით და ვიარე დაღრეჯილმან კულა დლე ვრთი. კაცი ვინმე მოვიდოდა, ცხენსა ჯდა, მე მათ კაცთათუის ვსწყრებოდი და მით არა უთხარ, ცხენი ვაძგრე და ცხენითურთ ქუე დავედე და ზედა ცხენი გარდავახტუნვე. ვაგინე და ვგრე უთხარ: რა ღმერთი გრისხავსთ, ზოგნი გაიქცევით და ზოგნი თავსა მოიკლავთ. რა ჯაბანთა ქუეყანასა მოველ მეთი.

მან ქუე მწოლმან კაცმან ვგრე მარქუა: ძმარ, რა შეგცოდე, რად მიყავო, რა იყო შენი და ჩემიო. მე ვგრე ვარქუე, ვითა: კაბუკობისა ძალისა ცნობად ვიარებე და თქვენ ულლანი ჯაბანნი ხართ და აწნი დამხულებით, ვგრე მისთუის ვიყავ მეთი. მან ვგრე მარქუა: მუნ არა არიან კაბუკნი, სით შენ მოხუალ, რომელ შებმადიო? მე ვგრე უთხარ, ვითა: ჩემი შემბმელი კაცი ქუეყანასა ზედა არა არისო. მან ვგრე მითხრა: ძმაშა, ვლამოდი არა თხრობასა მით, რომელ უკაცრავად შემირივე. განა გითხრა, ნუთუ მან გამომართუას სამართალი შენგან! წაველ ცოტალა და სეფედაველ არს დარისპანის-ძე და მის შეები და კაბუკობისა შენისა ძალსა უღონიოღ გაეცნობინებს. რა ესე მითხრა, გამეხარ. ნეს, გარდაეკვედ ცხენისაგან, მივედ მას კაცსა თანა და ვგრე უთხარ: ძმარ, შემინდედ და მითხარ სეფედავლესა ამბავი ყულა. მან ვგრე თქუა, რომელ მის მეტი რალა გიამბო. ესე რა მისსა სამეფოსა მიწურვილხარ და მიედ. ორჯელვე კაბუკობისათუის იარებე და კაბუკი, ღმერთო, გამოენიარო. გაჯდა იგი და წავიდა.

წავიარე ცოტა ხანი და კარავთა მივხუდი მრავალთა. მეგონა, რომელ მუნ არს იგი სეფედაველ დარისპანის-ძე და ლუინოსა სმიდეს მრავალგან და ყუელანი სეფედაველესა მზესა ფიცვედეს და ლოკვიდეს. მე ვკითხე მათ კაცთა, თუ: ვინ ხართ მეთი. მათ ვგრე მითხარეს, ვითა: ძმარ, არა თურე იცი მით, რომელ ღარიბი და შორიელი კაცი ხარ; ჩუენ სეფედავლეს მეცხოვრენი ვარა და ასი თუადი მეცხოვრეთა უხუტესი არის. ლუინო ესუი მათთანა და ვიწონე, რომელ იყო სამასი ოდენ კარავი. წაველ მუნით და მივხუდი სხუათა კარავთა დიდთა, მუნცა ვგრე იმღერდეს და სმიდეს ლუინოსა და ლოკვიდეს მზესა სეფედავლესასა. მე კულა ეკითხე თუ: ძმანო, ვინ ხართ? მათ თქუეს: მერემეთა უხუტესი არის და თუით მერემენიო.

მოვიდოდი და მომხუდიან კელისად და კელისად კარავნი. ორისა დლისა სავალი მეცხოვრეთა და მეხუასტავთა შიგან ვიარე და მეტად გამიკუირდა სეფედავლესა იგი დიდებ. წაველ მუნითა და კაცნი ვინმე ორნი ერთგან სხდეს და ლუინოსა სმიდეს და მე ღარბად კაცად ამიარეს. მიკმეს, მივედ და პური ევაშეთ და ლუინო ესუით. მაშინ აავსო კიქა ერთმან, ზე აღდა და ვგრე თქუა: აღიდნეს ღმერთმან სეფედაველ იგი დარისპანის-ძე, რომელ არა არს პირსა ყოელისა ქუეყანისასა კაბუკი ეგეთიო. შესუა ლუინო და მუნვე დაჯდა. კულა აავსო იგივე კიქა და მომცა მე და ვგრე მითხრა: დალოცე შენცა სეფედაველ დარისპანის-ძე და მაშინ შესუთო. მე ვგრე უთხარ, ვითა: მე ომად მისად მოსულვარ და ვიარე არა მაჯობებს და ანუ მე არა ვაჯობებ, მანამდისი არა დაელოცე მისსა მზესა მეთი.

ამა სიტყუასა ზედა გაიციენეს მათ კაცთა და გამეიცხეს. ერთმან მათ კაცთაგანმან ვგრე მითხრა: ოდეს ერთგან ვინ განახნეს შენ და სეფედაველ, ამას, ღმერთო, ვერ იტყუის, თუ ისი მისი მეომარი არისო. დანიშმიძა მათგან ესე სიტყუა და ვლამოდი დაკოცასა მათ კაცთასა, განა აღარა უყავ-რა. წაველ მწყრალი და ვლე იგი დლე. კულა სხუანი ვინმე მოდიოდეს. და რა მე მნახეს, მიკმეს. მივედ და მკითხეს: ზვინ ხარ, ძმარ? მე უთხარ: მომბაღადე ვარ. კულა მითხრა: მაშა, რას იარები აქარო. მე უთხარ ჩემი ამბავი ყულა და ვითა ამა სიტყუასა ზედა მიველ, თუ სეფედავლეს ომად მოსულვარ

მისსა: დედოფალს, ესე ქალაქი დიდი და კარგი არის და ამას გარეთნი სხუა რად არა გუაქუსო. იგი ატირდა და ეგრე უთხრა: შეილო, დიადი ქალაქი და ქუეყანანი იყენეს ჩუენნი, განა მამისა შენისა სიკუდილისა ზედა ყუელა წაგუილეს მტერთათო. მაშინ დედოფალსა ეგრე აცნობეს, ვითა: ძეგას ყმასა შეილსა შენსა უმზირან ანუ მუხთლად მოგიკლენ ომითა და ანუ წამლითა. რა ესე ესმა დედოფალსა, იზიერითგან საქმელსა თუისთა კვლითა უქმოდის დედოფალი და კარნი მის ქალაქისანი თუით დაკლიტნის და კლიტნი თუით დაიჭირნის.

ადრამურის-მე გისმე ერქუა და პარსან რაბინის-მე. იგინი იყენეს უფროსნი მტერნი ლომნი კაბუკნი. ამით ვითა ცნეს თუ: სეფედავლეს სიარული დაუწყიაო, ფიცხლად შეიყარნეს სამი ათასითა კურვილითა კაციითა და წამოვიდნეს და მალულსა ჩაუდგეს. ასი ცხენოსანი კაცი ქალაქისა კართა გამოგზავნეს. ვითა ხუასტაგი გაუშუეს, წაილეს ყუელა და კმა დავარდა. დედოფალი მივიდა და კარნი ქალაქისანი დაკლიტნა. მაშინ შეეკაზმა სეფედავლე და კართა ზედა მის ქალაქისათა მივიდა, კლიტნი გატეხნა და გავედა მარტო, ასთა მკედართაგან ცოტანილა წაუვიდეს. მიიყვანეს და მას დიდთა ლაშქართა ზედა შეკდა. გამოუკდეს, ჩაიგდეს მარტო შუა. ზენაარმან ღმრთისამან, მის ყუელასაგან ნცირგდნილა გარდაეხუეწნეს, გააქარენა და დაკუნა. ესე იყო პირველი ომი მისი. წაილო ყოველი ქალაქი მათი და ციხენი, რომელ ერთი ქალაქი იყო მაგარი. გარეშეშო ერთისა ადგილისაგან კიდე კლდე იყო და მუნ შეიხუეწნეს იგი კაბუკნი, სეფედავლეს მტერნი, და გამოღმართ არბეუდეს სოფელსა და ქუეყანასა.

მერმე წავედით და გარე მოვადგეთ. ომისა ღონე არა იყო. ქალაქისა კართა ზედა, სადა საქუეთო გზა შევიოლდა, გამოიყვანიან პილო, დაუყენიან წინა და არა ეგებოდა მის პილოსა შეპმა, ღონე ვერა მოვავლინეთ. ერთსა დღესა შეეკაზმა იგი სეფედავლე დარისპანის-მე საქუეთითთა აბჯრითა. აილო ფარი და მიმართა პილოსა და მივიდა ომად და მოაგებეს პილო წინა. ფიცხლად კელი სტაცა ხორთუმსა. პილოსა ზედა თორმეტი კაცი დგა. აილო იგი პილო, კაცებითურთ, ქუეყანასა დაჭრა და მოკლა. მერმე მის ქალაქისა კართა მიუკდა, კარნი შელეწნა და შინა შევიდა. მოგებნეს იგი ორნი კაბუკნი და მოქალაქენი და მუნცა დიდი ომი გარდაიკადა და მოკლნა იგი ორნი კაბუკნიცა და წაულო ქალაქი.

ნადირობასა ვიყვენით და კაცნი ვინმე მოვიდოდეს ინდოეთისა ნაპირისანი. თაყუანისცეს, ქება შეასხეს. ჩუენ გვითხეთ: ვინ ხართო. მათ გუითხრეს: ინდოეთისა პირისანი ვართო, სეფედავლეს სიკეთე გუესმა და მისად ნახვად მოსრულვართო. წამოვედით შინა და ნადიმსა ზედა ესე კაცნი მივიყვანენით და ჭკითხა მათისა ქუეყანისა ამბავი. მათ უთხრეს სიკეთე ქუეყანისა მათისა. ეგრე მოაკსენეს: ცხოვნიდი, მეფეთ-მეფეთ, უკუნისამდე! ჩუენ ამისთვის მოსრულვართ თქუენსა წინაშე, რომელ სიკეთე და კაბუკობა გუასძია შენი. ქუეყანასა ჩუენსა მარტორქა მოსრულა და ქუეყანა ჩუენი აუოკრებია ეგრე, რომელ კართა ქალაქისათა ევლარა გამოვალთ. ამისთვის მოსრულვართ და ესე არის აჯა ჩუენი შენსა წინაშე, რომელმეცა ენახეთ კაბუკობა შენიო. ეგრე უბრძანა სეფედავლემ: ღმერთმან კეთილად მოავლინოს. ველარა მოუწალეთ. წავედით და მათ ქუეყანამდის საში თუე ვიარეთ. გაისმა ყოველგან, ვითა: მოვიდა სეფედავლეთ. ყოველი ქუეყანა წინა მოგებმა და ქებასა შესახმიდეს. მივედით მას ქალაქსა დიღსა და შეუენიერსა შინა, გუიძღუნეს დიადი, დაკყევენათ მუნ მცირენი დღენი.

ეგრე უბრძანა სეფედავლემ: მ.ჩუენეთ იგი მკეცი, რომლისათვის მოსრულვართ. ფიცხლად წაგუიძღუნეს წინა და წავედით. წამოგუყენეს თანა ყოველი ქალაქი, მამაცი და დიადი, ნახვად. ქედი იყო დიდი მუნ და მას ჭელსა ზედა გარდავდევით. ოდეს ჩაესედენით, მარტორქა იყო ესეთი, რომელ სამისა პილოსა ოდენი იყო. ჩუენ რა იგი ენახეთ, მეტად დაგუიმძიძა და ვეცადენით წასლვას, განა არა ეგებოდა. შეეკაზმა სეფედავლემ, გაჯდა ცხენსა და ხიშტნი აიხუნა და ეგრე თქუა, ვითა: ისრითა მოკვლა მარტორქისა არა კაბუკთა კელი არისო.

მივიდა და რა ნახა მან მარტორქამან, წამსავე მომართა და შეუტრევა სეფედავლე-მანცა ცხენი, ჰკრა ხიშტი მკერდსა და ნახევრამდის დაასუნა. მერმე ამოიღო კრმალი, ჰკრა ზურგსა და, ვითა კატა, ეგრე შუაზედან გაწყვიდა. მოგება წინა ყოველი ქუეყანა, შეასხენ ქება და უძღუნეს ზურისცხვი. დაყავით მუნ თუე ერთი. ქუეყანა იგი ერთობ მოგუეწონს. ვინადირეთ, გავისუენეთ და წამოვედით.

აჲ, ძმაო, ესე საშინი ნაქმარნი მითხრობიან მისნი. აწ შენნი ნაქმარნი და მისნი შეაწონენ ერთმანერთსა და თუ ომი შეგიძლია, წამოდი და შეები. და ესე ნაქმარნი ნუთუ გაგიკუთრდენ და რა თულად ნახავ, ამას იტყუი თუ: აჲ კაცსა რა გინდა, შე-უძლიაო და ამბავსა კაცი სჯობსო. ესე დავიშადლე მის კაცისაგან და ეგრე უთხარ: თუტა წელიწადისა საეალსა იყოს, ეგრეცა ნახვა მინდა.

წავედით მუნით, დარისპან შაპარს მივედით. მუნ ვნახეთ ქალაქი დიდი და შუენიერი ესეთი, რომელ მეტი აღარა ეგებოდა. კაცითა და საეაქროთა, ტურფითა ყოვლისა ფერითა სასენ იყო. მერმე მან კაცმან თავისსა სახლსა მიმიყვანა, პატივმცა დიდად და მომტა დიადი მოსაკემელი და ეგრე მითხრა, ვითა: ემე შენი მასპინძელი ვარ და ესე ჩემი საქონელი შენთვის ნუ გშურს, უშურველი იყოსა. და თუთი დარბაზს წავიდა და შოაკსენა ჩემი ამბავი ყუელაი სეფედავლეს და მას ეგრე ებრძანა, ვითა: ჰკითხე, ამირან არს დარეჯანის-ძეო? მოვიდა და მკითხა: შენი სახელი რა არსო? მე ეგრე უთხარ, ვითა: ომად ვარ, მადის-ძე მეტქი.

ისწენდი, მეფეთ-მეფეო იგი დამე მუნ დაყავით და რა გათენდა, იგი ჩემი მოყუარე კაცი მოვიდა და დარბაზს მიკმო. წაველ და ოდეს მის პალატისა კართა ზედა მიველ, შესაეალსა მისსა დგა კაცი ხუთასი, ყუელანი შემოსილნი სარკრითა და სარტყლითა ვერცხლისათა. შევიარეთ და დარბაზისა კართა მივედით და ათასი მონა მუნ დგა, საკარმანგითა მოსილნი და ოქროსა სარტყლითა წელშემორტყმულნი. ჩუენ კელმოქლობითა შევედით, სახლი იყო შუენიერი, ყურენი სახლისანი და სუენი მოკედლინი ვერცხლითა და მგრავლიე დიდებულნი სხდეს. ყუელანი აღგეს და მე თაყუანისეეც და მათცა თაყუანისმცეს.

შევიარეთ. სხუა სახლი იყო კულა უკეთესი. მუნცა ეგრევე დიდებულნი სხდეს და გავიარეთ და მოგუხუდეს კულა სხუა სახლი შეღმართ და შეღმართ უკეთესნი და უკეთესნი სხუანი კაცნი. შევედით, სახლი იყო სრულ გარდაკედლი ოქროთა და კუბო იყო თუალითა და მარგალიტითა მოკედლი. საჯღოშნი ისხნეს კუბოთა შინა ოქრო-ქსოვილისანი და სეფედავლეს ოქრო-ქსოვილი ტანსა ეცუა, პიროქრო ორედ თავსა ეხუია. კაცისა თულსა ეგზომ შეუენიერი კაცი არა უნახავს: დასტურად ამბავსა კაცი სჯობდა. სანნი დიდებულნი დამართებით გუერცა უსხდეს ქუეშე ოქროსა სელებითა. თაყუანისეეც და მიკმო: მოდი, მაკოცო.

მე ეგრე უთხარ: არ გჯალრებ მეტქი. მან გაიციანა და ეგრე მითხრა: ძმაო, ომსა იჯალრებ და მშუილობასა არაო? მიველ და კელსა ვაკოცე და არ გამიშუა. მან პირსა მაკოცა. მოიხუენეს ოქროსა სელნი, ქუეშე დამიდგეს. დაეჯედ და მკითხვიდა ამბავსა ბაღდადისასა და ბაღდადელისა ამირ-მუმლისასა და ყმისა მისისა ამირან დარეჯანის-ძისასა. უამბე ამბავი ყუელა მათ პატრონ-ყმათა. მერმე ჩემი ამბავი მკითხა და მე მოვაკსენე ამბავი ჩემიცა ყუელა უკლებლად. მერმე ეგრე მკითხა, ვითა: აქა რასა იარე-ბოდი, რად არა შეგები ამირან დარეჯანის-ძესაო?

მე ეგრე მოვაკსენე: მას ომსა არა ევადრებდი მეტქი. მან გაიციანა და ეგრე თქუა: მე თურე დაგიწუნებიარო. ამაზედა კულაცა ეგრე მიბრძანა: წუხელისა ავად გაგისუენებიაო. ბრძანა პურისა დაგება, მგერა თულსა ჩემსა არა უნახუან ეგეთნი ჯამ-კიქანი, რომელ მის ტაბლასა ზედან ვნახენ. ევამეთ პური და მიბოძეს საბოძეარი ურისცხვი და შემოსეს შესამოსლითა მრავლითა და ფერად-ფერადითა. ნადიმი კარგი გარდაეიადეთ, განუისუენეთ და თუე ერთი მუნ დაყავით. ყოველთა პურობასა მას წინაშე ვიყავ. ზე-

ნაარმან ღმრთისამან, ერთისა პურობისა ქიქანი და ჯამნი კულადისა პურობასა შინა არა შინახვან. მმოსდის და მიბოძედის დიადსა.

ერთსა დილასა კაცი გამოეგზავნა და ვეკმე. ოდეს შეველ, ტახტსა ზედა პერანგითა ჯდა. ორთა შიკრიკითა ზელები მოგვღო და ეუბნებოდეს. რა შევედგე, ეგრე მიბრძანა: ომად მადის-ტეო, კაბუკობისა ძებნად და ძალისა ცნობად წამოსულხარ; ამა შიკრიკითა ხედავ? ესე რა ეპობად მოსულხარაიან, წა-სადმე-ვალ და თანა წამომეყრ და მუნ გამოიცი-ლები დასტურად, და თუ გამარჯუთა, შევიბნეთო. მე ეგრე მოვაკენე: თავმან შენმან, თანა წამოჯუები მეთქი, განა უწინ შებმა მწადიან. გაიცინა და ეგრე თქუა: წადი და შეეკაზმეო. მე გამიხარნეს და ვიცილი, რომელ არა მომკელიდა. წაველ, შევეკაზმე და გამოველ და გამოვიდა იგიცა კაბითა. ცხენსა ჯდა, ორნი მონანი თანა ჰყვეს და გამო-კუირდა აბჯარისა ტანსა არ ჩაქმა. წაველით უჩინარსა ალაგსა მიწოდოსა შინა. ეგრე მიბრძანა: მოდი, შევიბნეთო. მე ეგრე მოვაკენე: აბჯარი ტანს ჩაიცილი მეთქი. მან ეგრე მითხრა: რა გავგა შენოა ჩემისა ტანსა აბჯარისა უცმელობისაო!

რა მისგან ესე გავიგონე, დამიძმომდა მეტად და კიცხვად შევირაცხე. ვთქუი გულ-სა ჩემსა შინა: მოველა ანუ ჩამოვადლო, სახელი დამრჩების მეთქი. შეუტევე ცხენი და თავსა კრმალი ვკარ და კულა მოვიქნიე. მაშინ მომყო კელი და კრმლიანი კელი შემტაცა. აილო უნაგირთაგან და ქუეყანასა დამკრა და მკარი მომტეხა. მაგინა და ეგრე მითხ-რა: თავსა შიშულსა კრმალსა რად მკვრიდიო. მერმე მკითხა: გკირს რამეო? მე მოვა-კსენე ვითა: მგონია, მკარი მომტეხე მეთქი.

ღაუმძიმდა და ეგრე თქუა: ღმერთო, ავი კაცი ვარ, აბა, რად გიყო. წამიყვანა, მკურნალი და მამაყენა ზედა და გამამთვლეს. მერმე დარბაზსა მიველ და ეგრე მიბრძანა: ძმარო, დიდად მრტუენიან შენგანარო. დიადი საბოძიარი მიბოძა და ეგრე მიბრძანა: წა-მომყუები თანაო? მე ეგრე მოვაკენე, ვითა: დასტურ წამოგყუები მეთქი. კულავე მიბრ-ძანა: დამიშადლებია, ღმერთმან იცის, კარგი და გულოვანი კაბუკი ხარო, მაგრა დია საჭირო გზა არის და ნუ წამოხვალო, მომელოდი აქაო. მე ეგრე მოვაკსენე, რომელ მას დღესაცა ვინმე მო-ცა-მკლას, არა მგამა, შეცა წამოვალ უღონოდ მეთქი. დამიშადლა დიდად და გავაგო სამეფო საქმე. უჩინა კარგნი კაცი და რაცა კამდა, ყუელა უბრძანა. წაუედლო და შიკრიკნი იგი წინა წავიძლუანენით—სეფედაველ და ომარ ამრამის-მე, ემა მისი ღმონი კაბუკი და მე.

ცხოვნი, მეფეთ-მეფეო, უკუნისამდე! კარგი ამბავი აწყა დიწყების. (ამირ-მუმლი, იგი მობაღდადე, წადიერად ისმენდა ამა ამბავსა და ამირან დარეჯანის-ძესა ეგეთნი ქება სეფედაველსა არა უხაროდა). წაველით და გავიარეთ ქუეყანა მისი და იგი შიკრიკნი წინა წავიძლუანეთ. ერთსა მიწოდოსა შიგან გავიდიოდით და ქარავანსა მეკობრენი ძარტუვიდეს. რა მათი ეგრე უბადლოდ ქეევა ნახა, ეგრე ბრძანა: ძმარო, არა კამს, თუცა ჩუნთა თუალთა წინა უბადლოთა მეკობრეთა ქარავანი გატეხონ და ჩუნმცა არა უშველოთ.

თავმან შენმან! ცხენი შეუტევა სეფედაველმ და კრმალი არა ამოულთა. სამნი მკე-ღარნი მართაკითა ჩამოყარა და გააკციენა. და მის ქარავნისა უფროსი კენთა მეფისა იყო და ცნა. ვითა: სეფედაველ არისო. მოვიდა, თაყუანისცა, ქება შეისხა და თქუა: კურთხეულმცა არს კაბუკობა შენი და მამა იგი, რომელსა შენ შეუქმნიხარ. შენითა ბე-დითა დავრჩითო. დაედგით მას ლაშქსა მუნ და იგი ქარავანიცა ჩუნ თანა დადგა. დი-ადი ძლუნნი უძლუნეს მას ქარავანისა უხუცესმან და ეგრე მოაკსენა: ვიცი, სადა წახულა, მე ნუ დამიძლავ, ნუთუ რამე ვიციოდო.

რა დაუმალა სეფედაველმ. უთხრა, ვითა: საცოლისა ჩემისა კენთა მეფისა ასუ-ლისა გამოსაყენებლად წაჯალო. მან ეგრე მოაკსენა, ვითა: ამე მავა გზისა მეცნიერი ვარ, და ევე საქმე გავაცადო და თქუენ გამოარჩივთ და ვითა სჯობდეს, ეგრეცა ექმნა-თო. ორნი გზანი არიან შესავალნი. ერთსა გზასა ზედა დგანან კაბუკნი, მკველნი მის გზისანი, კენნი, კარგნი კაბუკნი. ერთსა დორაბ ქუიან სახელი და ამას იტყუის თუით, ჩემი დამართებთა კაცი არა არს ქუეყანასა ზედაო. სამნი ლაშქარნი დგანან ერთგან

ათას-ათასი კაცი, მაგრა ზენ რომელ კიბუცსა გხედავ, მას გზასა შესლვა და მათი დი-
კოცა აღვილად შეგიძლიათ. მაგრა ამითა არა კარგი გვიქნია, მას გზასა შესლვა, რო-
მელ გამელაენდები და იგი ასული მისი ციხესა წაჰყავს, ზღუასა შიგან კუნძული არის
და მას კუნძულსა ზედა კლდე არს და კლდესა ზედა ციხე, რომელსა კაცობრივი ძალი
ვერა ებრძვის. ერთსა ადგილსა გზასა შორისა ქუეყანა ჰქუიან და არს, ლმერთო,
იგიცა კლდე მაღალი. თუ ვით შეხვალ, არა გამელაენდები.

ამა რჩევასა შინა ვიყენით. მანვე კაცმან კულავე ეგრე თქუა თუ: მას საგრძნე-
ლოსა გზასა წახულ, უცილოდ დიაცი იგი მოგხუდების ერთი, რომელი არს შოასანი
და მან იცის ყუელა მის გზისა ამბავი, თუ ვით გიხროხროსო.

დავსკუენით მას ძნელსა გზასა წასულა და იგი მოჭარავენნი შინათ წავიდეს და
იგი შიკრიკნი ქარაენითურთ გავგზავნენით პენტა მეფისა ასულსა თანა და შუთვალა
ვითა: ჩუენცა ასერა მოვალთო. წავედით ჩუენ და დავმარათო მას ძნელსა გზასა. ვლეთ
ათისა დლისა სავალი მას ზბადლოთა ქუეყანათა, რომელ არა აშოვებოდა რმრთისაგან
დაბადებული, მიგუჭირდა დიდად. შეთერთმეტესა დღესა მიხუდით შეუნიერსა ქუეყანასა
ყოელითა კეთილითა სავესსა, ვენაკიან-ხილიანსა, წყაროებსა და გრილსა. გაგუენარენს.
განალამცა წალკოტი იყო შეუნიერი და მუნ შიგან დავდეგით და იგი დღე მწუხრამდე
მუნ დავუავით. ოდეს მივიხუდენით, დიაცი დავინახეთ, რომელ მოვიდოდა შავოსანი,
შუენიერი. მოვიდა, თაყუანისცა სეფედაულესა და დაჯდა გუერიდოთა და ეგრე მოაკუნა:
კეთილად მოხუელ კაბუკო, მჯობო ყოველთა კაბუკოთო. მერმე სეფედაულემ უბრძანა:
შენცა კეთილად დაძუდე, დედაო. გუკითხა მან დიაცმან: რად მოსულხართ ამა საჭი-
როსა გზასა და ქუეყანასაო?

ეგრე უთხრა სეფედაულემ: საცოლისა ჩემისა პენტა მეფისა ასულისა გამოსაყვანად
მივალო და გამეხარენს, რომელ ზენ გნახუო. მან ეგრე არქუა, ვითა: ძნელსა და საწი-
როსა გზასა დავმარათებოთ მით, რომელ ვინცა აქა მოსრულა, მშუიდობითა ვერა
წასულა: სეფედაულემ ეგრე არქუა, ვითა: ჩუენი სიკუდილი კაცობრივისა ძალისაგან
მიუვალი არის და ჩემებრივი კაბუკო აქა არავინ მოსრულ არსო. მან დიაცმან ეგრე
არქუა: ამბავი მესმოდა შენი, მაგრა ამბავისაგან ზენ უკეთესი გნახუო. აწ აჯა არს ჩემი
შენთანა, იგი მიქმენ და დია გამსახურო ამა გზობასა შინაო.

არქუა სეფედაულემ: მითხარ, დედაო, და რაჲცა მითხრა, განალამცა ვქმნაო. მან
ეგრე არქუა, ვითა: აქმარი ჩენი და ძმა ჩემი რაზიმან დევმან დაკოცა. აწ ამაზედა მი-
შუელე და ნახე, თუ ვითა გმსახურო. უთხრა სეფედაულემ: მიჩუენენ და ნახო კაბუკობა
ჩემიო. ამა სიტყუასა ზედა წაგვიძლუა დიაცი იგი და მიგუიყვანა ქუეყანასა შუენიერსა.
და ციხე იდგა მაგარი მისსა ძირსა. რა მივედით, კაცი წამოდგეს მას ციხესა ზედა და
გუკითხეს, თუ: ვინ ხართო. ჩუენ არა უთხარით რა. ზერზე იგი დიაცი იცნეს, რომელი
ჩუენ წინა გუიძლოდა. შევიდეს და უთხრეს. ვითა ცოტა ხანი გამოკლა, გაახუნეს კარნი
მის ციხისანი და გამოვიდა შეჭურილი იგი რაზიმან დევი, ფიცხლად მოიგინებოდა და
ეგრე არქუა მას დიაცსა წინამძღუარსა ჩუენსა: როსკიპო, ვითა ვერ გაძებ სისხლითა
უცოტათა კაცთა? მერმე მან დიაცმან ეგრე უყილა, ვითა: ლეკანისი შენი მწყემსი აწყა
მომიყვანია.

შუტრევა ცხენი სეფედაულემ, ფიცხლად შეიბნეს, ოძი გარდაკდა დიდი და ვერა
რომელმან აჯობა. მერმე ცხენი გაიყვანა სეფედაულემ და ეგრე შეჰყოილა, ვითა: ამით
კაბუკობითა ვლამი პენტა მეფისა ქუეყანასა შესლვასა.

კრმალი ჰკრა თავსა ზედა და შუა ორად გაჰქუეთა ეგრე, რომელ ნახევარი აქათ
დაეცა და ნახევარი იქით და განალამცა მოკლა იგი რაზიმან დევი. მერმე რა ეგეთი
ნაქმარი დინახა მან დიაცმან, ფიცხლნი გაიციან და ეგრე თქუა: კურთხულმცა არს
მარჯუენა სეფედაულემ დარისპანის-ძისაო. შევედით მას ციხესა შინა და იყო განძი, რომ-
ლისა არა იყო რიცხუი. დაეკავით მუნ ორი დღე. მერმე წავიდა იგი დიაცი და მისნი

შვილნი მოასხნა. იგი ციხე მას დიაცსა ნივეციით ყოვლითა საქონლითა საცხე მისგან კიდე, რომელ ცოლსათვის მისატანლად ტურფანი რამე გამოარჩინა.

მერმე ამან დიაცმან ეგრე მოაკსენა, ვითა: ასეფედავლე, რასაცა აქათგან ჩემნი შვილნი ცოცხალან, შენითა ბელითა არიანა. მაღლი რამე დიდი წარმოთქვა.

კულავე ეგრე მოაკსენა მანვე დიაცმან: აშენ ძნელისა გზისად დაედიმართებია და კარგად ჯიკო მომიპყარ, რომელ მოვაკსენო და ესე ქმენ, რომელ: რა აქადღამან წახუილედ და სამი დღე იაროთ, ადგილი რამე მოგხულებს ასეთი, რომელ ამას იტყუი — ძუელად წყალი დენილო. დღისა ერთისა სავალსა რა შეხუილეთ, ორნი კაცნი მოვლენ, ორნივე ფრთოსანნი და ფიცხელსა იყიელენენ. მერმე მათსა ყივილსა ზედა ანაზად წყალი მოვა ეგეთი, ვითა ზღუა და მას წყალსა ცურვითა გასულა არ ეგების. მე წამალი მოგცე ეგეთი, რომელ ფერკთა მოისუით და უცილოდ გახუალთ იდგილილო. მაგრა წამლის ცოტა მაქუს და ერთსა კაცსა ეყოფის. რა იგი წყალი გაიაროთ, ქუყყანა მოგხულებს კარგე და დღისა ერთისა სავალსე. მერმე ბნელსა ადგილსა მხხულებთ ეგეთსა, რომელ თავისა გზასა ველარასა შეიგებთ. მოგცე წამალი მისთვისცა, ანჭირივით იგი და განთლდებისო. კაცი მოგხულებს მას ბნელსა შინა და თუ ვით იგი მოკლათ, ბნელი აღარა შეგექმნებისო, მაგრა მისი სიკუდილი ძნელი არის. კაცისაგან. მერმე კულა სხუა რამე მოგხულებს გრძნებთა შექმნილი, მაგრა მისი არა ვიცი რა, თუ რა არისო. ესე წამალი, მე რომელი შენ მოგცე, კელთა დაიჭირე, ამით ნუ მისცემ, რომელ შენ დარჩე, ამით უფრო არა ერგების-რა. იგიცა გაიაროთ, აღარა არს წინათ გზა საქარო ამისგან კიდე, რომელ ამირისა ქუყყანასა შეხუალთ. ჭალაქსა შესლავსა არაიენ გაყენებს. ციხე არს, რომელსა შიგან იგი ჰენთა მეფისა ასული ზის და კართა ზედა ციხისასა ხუთასი აბაბი დგას და რა იგინიცა ნახო, აღარა არს საჭირო. კელი მიჰყავ და ცოლი შენი წაიოყვანე.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო! მან დიაცმან მოგუცა იგი წამალი და წავედით. ეგრე შემოგუყვილა მან დიაცმან, ვითა: იგი მესამე რომელ მისი მე არა ვიცი რა, იმას კარგად გაუჯრთხილდით, დიდად საძნელო საქმე არისო. თუ ვით ერთხელ დაურჩეთ, წლამდის ველარა შეიქმენ მის იდგილსა, სადა იგი ნადინები წყალი იყო. ეგრე გუიბრძანა: შეიქმეცით და იმას ციხესა შიგან მულოდენითო. ჩუენ ეგრე მოვაკსენეთ, ვითა: შენთანა სიკუდილი სჯობს, ვიზე აწ გარე შექცევა. იგი წამალი, რომელ ფერკთა მოსასმელად მოსცა მან დიაცმან, იგი წამალი მეცა მიბოძა და ეგრე მიბრძანა: მოიცხე ესე წამალი შენცაო.

მოვიცხე ფერკთა და, რა შუა მივედით, მოვიდეს იგი კაცნი ფრთოსანნი და ფიცხლად იყიელეს და მათსა ყივილსა ზედა ანაზად მოვიდა წყალი ეგეთი, ვითა ზღუა. კელი მამო სეფედავლემ და ყმა მისი ომარ ლლიასა შემოიგლო. დაუწყო ცურვა და მე მის წამლისაგან ქუე ვერ დამიგებდა. სამხრამდისინ სავალსა ცურვითა გავიდა და კაცი იგი ომარ თანა გაიტანა. მე გამიჭყორდა ზომისაგან მეტად ეგზომი მოჭირვება მისი, რომელ კაცისაგან ნაქმარად დაუჯარებელი იყო. კულა ვიარეთ და მივხუდით ქუყყანასა ნუნნიერსა და იგი დღე მუნ გავისუენეთ. წავედით მუნითაცა და მივხუდით ქუყყანასა ეგეთსა, რომელ სიბნელისაგან თავისა გზა ველარა გავილეთ. კულავე ვანჭირეთ იგივე წამალი და ზედა გათენდა. ოდეს დაეხედენით, კაცი ჯდა, დიდი კრმალი ჰქონდა კელთა. ეგზომ საზარო იყო, რომელ შეხედვა მისი ჰირად კმა იყო. ფიცხელნი დაიზახნა, ზედედა შემოგუიტია. ეგრე გუითხრა: მო-ვისმე-უტოუნებინართ თქუენად საქლადავო.

რა ეგრე ჰყირტად და საკლავად და ამაყად მოუბარი ნახა, აქათ შეუტრევა სეფედავლე დარისპანის-ძემან და ეგრე უთხრა, ვითა: შენ ვისმე მოუტოუნებინარ, ღმერთო, რომელ ეგრე გაუჯრახებინარ — სეფედავლეს წინა უმზირეო; აბა, აწყა მოვიდა აღსასრული შენო. და ჩუენ გუიბრძანა: აწ ნახოთ კახუკობა და ძალი ჩემო. ფიცხლად შეუტრევა და შეიბნეს. ღმერთო, ძნელი და ფიცხელი ომი გარდაკდა. მაშინ გაიყვანა ცხენი მან სეფედავლე დარისპანის-ძემან და ეგრე შეჰყვილა, ვითა: მე გაუანათლო შენგან დაბნელებული ქუყყანაო. ჰკრა კრმალი და ფიცხლად თავი და ბეჭი-

თურ მკარი გააგდებინა. ჩუენ მეტად გაგუხხარნეს მისი მოკვლა და კიდეცა გაგუიკური-
და ეგზომი სიკეთე სეფედავლესა. წავედით მუნით, გავიარენით ქუეყანანი შუენიერნი,
რომელ არა ითქმის კაცისა ენისაგან მის ქუეყანისა სიკეთე და სიჭურფე. მივედით
წალკოტსა ერთსა შუენიერსა და შუენიერად მოზღუდეილსა, შუენიერთა მეთა ნა-
გებსა. ხილნარნი იყენეს შუენიერნი ეგეთნი, რომელ ყოველი ფერი მუნ აზო-
ბოდა. იყენეს წყალნი შუენიერნი და გრიდნი. გამოგუეგებნეს კაცნი მუნებური წინა,
თაყუანისგუესს და ქება შეგუასხეს. მოვიდიან კაცნი მრავალნი. ჩუენ ეგრე ეთქუით:
გა-თურე-ვედით კაცთა სამყოფოსაო.

შევედით წალკოტსა მას. მო-ვინმე-ვიდა კაცი შესამოსლითა კარგითა. პირ-ოქრო
რიდე თაქსა ეხუია და მონანი მრავალნი მოჰყუენოდეს. რა გუნახნა, თაყუანისცა სეფე-
დავლეს და ქება შეასხა. აწუთა იგი კაცი სეფედავლემ და დაჯდა. იგი წამალი, რომელ
მას ღიაცა მიეტა, სეუდავლესა კელთა ჰქონდა. მერმე მან კაცმან უბრძანა. მონათა
მისთა: მოვიდით ხილი ამ წალკოტისაო. წამსეე წაიფეს მონანი მის კაცისანი და მო-
იღეს ხილი მრავლითა ვერცხლისა ფარჩითა. ეკამეთ ხილი იგი, რომელ არა უნახავს
თულსა კაცისასა, ეგზომ ამო რამე იყო. კული უქანის მოიღეს ოქროსა ტაბაკსა ზედა,
მანდილი პირ-ოქრო ეხურა, თუთი კლდითა თუისითა მოართუა და ეგრე მოაკუნა: ეგეთი
ხილი სადაცა გენახოს, არა თურე მონა ვარ შენიო. თულად კეკლუი იყო. ნესუსა
ჰგანდა, მაგრა ცოტა იყო. ერთი სეფედავლემ აალო და სხუა ჩუენ გუიბოძა. ეკამეთ,
სამგრა ამის მეტი ვერა შევიგენით რა, რომელ ძალი წაგუილო ესრე, რომელ ჩუენთანა
სამგუიერნიგელისაგან კიდე სხუა ღონე არა აყო, და სეფედავლეს ვერა წაულო ძალი მის
წაქლისაგან, რომელ მას ღიაცა მოეტა, კელთა ჰქონდა და მით ვერა წაულო ძალი.
მერმე ანახლად იყილა მან კაცმან და დაიწყო ლაშქარმან ფიცხლად მოღენა. მე და
ომარ ქუე დავეცინეთ. რა ჩუენ დაცემული გუნახნა, მოვიდა სეფედავლე და ორთავე ზედა
დაგუადგა. კოვლისა ქუეყანისა ლაშქარი მოვიდოდა. სამსა დღესა ოში იყო და სრული
ქუეყანა მას სეფედავლესა მარტოსა ებრძოდა და ჩუენთანა ძალი არა იყო. სამსა
დღესა და ღამესა დაკოცნა ურიცხუნი ლაშქარნი და განქარდეს ყოველნი. და მოიედით
ჩუენ სულადვე და სეფედავლეს რომელ კაცი მოკლა, ეიწონეთ და იყო ათასი კაცი.

ისმენდი, მეფეა-მეფეო! მუნ დედავით სამი დღე, დია განვისუნეეთ მას წალ-
კოტსა შინა. მაგრა ერთობ გუიკუირდა მის ხილისა საქმე. ვებნეთ მის ხილისთანა
ხილი და ვერა ეპოვეთ. ჩაშ თუ გძნებთა შექანილი იყო. თუცა არა გუქონებოდა შე-
წევნა ღმრთისა და იგი წამალი, მაშა, იგი ღომთა ღომი სეფედავლე დარისპანის-ძე
უბალოდ მოკუდებოდა. წავედით მუნითაცა და აღარა მოგუხხულა მას გზას ზედა პირი.
მივედით ქენთა მეფისა ქუეყანისა შინა. ოდეს შევხედდით, ქალაქი იყო დიდი და შუა
მის ქალაქისასა ციხე იყო. შევედით მას ქალაქსა შინა და მოვხახეთ აღვილი გამოსა-
ყუანელი მის ქალისა. მაგრა პარკითა გამოყვანა არა ეგებოდა.

იგივე შიკრიკნი მოვიდეს და ეგრე უთხრეს სეფედავლეს, ვითა: ამა ქენთა მეფისა
ხვალე იგი ასული მისი, რომლისა მიზნესა მოუყუანისხარ, ამა ძნელსა და სასიკუდილოსა
გზასა და აღვილსა წაჰყავს და არაბთა მეფისა შეიღსა ცოლად შერთავსო. ეგრე შეუგ-
ზუნა იგი შიკრიკნი, ვითა: ამის ღამე გამოგუყვანო და მზასა დამხუდილო, კუბო და
აქლემნი დაჰკაზმენითო ქალისა შესასმელიო. ვითა შეღამდა, აღვილი გუიჩუენა: იქი
მელოდენითო შუალანმედისო და თუ მომკლან, თქუენ წადით და თუ დაერჩე, ქალითურთ
შუალანმედის მეცა თქუენთანა მოვლო.

მეიკურა და შეუკა. შეუზახნა მათ არაბთა სასიძოთა და შეიბნეს. თავმან მეფე-
ბისა შენისამან, ეგზომ აღვილად დაკოცნა ივინი, რომელ მოქალაქეთაცა ვერა შეიგნეს
და რომელნი მორჩეს, იქით და აქით წაძურეს. შევლნა კიბენი და ზედა არაბთა გაუკდა.
მოეგებნეს, მაგრა, ღმერთო, საჭირო ომი გარდაკდა და მანვე დაკოცნა ივინიცა და
მათგანცა ზოგნი დაიშალნეს. მერმე მოეგება ქალი მნათობი იგი წინა და ეგრე უთხრა:
პირველსა ნახვასა ზედა, ღმერთო, კარვად გამეჩუენეო.

წამოიყვანა ქალი და შეაღამემდის ჩუენთანავე მოვიდა და მოიყვანა ქალი. კუბოსა შვესულით და წამოიყვანეთ. კმა შეიქმნა, ოდეს ნახეს მოქალაქეთა იგი ლაშქარი დაკოცლი. შიშითა ერთი კაციცა კმასა არა ამოიღებდა მით, რომელ არამცა დაგუიბრუნდა და დაუყოცნა ჩუენცო. წაშოვედით და ეგრე მოვაკსენეთ: გულე, იგივე გზა უქუევიაროთო. მან ეგრე გუიბრძანა: არა, ძმანო, სიყაბნე რამე არის ზეგა საქმესა შინაო. წამოვედით. შეორესა დღესა, სადა ლაშქარნი და ჰაბუქნი დგეს და სადა იგი სამნი კაცინი დგეს, მუნ მოვედით და მათ ჩუენი ზისლვა უწინე ეცნა და შეკაზმულუყენეს და სეფედავლეს წინა ნოეგებნეს. ჩუენ ეგრე გუიბრძანა: აბა, თუალილა დამიგეთ, თუ ვითა გაგაჩუენოო*.

შეუტევა ცხენი და მისლვასავე გააქციენა, მიეწიენა და დაკოცნა. თავმან მეფობისა შენისანან, სიმაშურალე ყოლე არ შეეტყობოდა. მუნით წამოვედით და სადა იგი ორასი კაცი დგა, მუნ მოვედით. ეგრე მოვაკსენე: შე მიბოძენ ისი კაცინი მეთქი. მიბრძანა: მივედ და შეებიო.

ფიცხლად ცხენი შეუტევე, გავაქციენ და დაკოცენ, რომელ მცირედნილა ვინმე გარდამეტუენეს. დიანაღლა დიდად სეფედავლემ ჩემგან ნაქმარნი იგი. წავედით მუნითცა და მივედით მუნ, სადა ათასი კაცი დგა. ომარ ეგრე მოაკსენა: ღმერთო, ომისა რიგი აწ ჩემგან არისო. ცხენი შეუტევა და ეგრე იყო იგიცა, ვითა მისსა ჰაბუქობასა ხუდებოდა, დაკოცნა და განაქარენა.

მადლი უბრძანა სეფედავლემ მასცა. წამოვედით** მუნითცა და მოვედით ზუნ, სადა იყო იგი დორაზ ჰაბუქი, რომელი მან დიაცმან წინამძღუარმან გუიამბო, იგი ეგრე იტყულის, ვითა: შე ერთი ჰაბუქი ვერაგინ შეეგებმისო. მოვიდოდა დორაზ და ამას ეტყოდა თუ: ვის გიკადრებია ჰენთა მეფისა ასულისა გამოყვანება, სისხლნი თქუენნი თავსავე თქუენსაო. შე რა ეგრე ბედითად მოუბარი ენახე, ეგრე მოვაკსენე სეფედავლეს: შე მიმიშუი ინა კაცსა ზედაო და ნახო ნაქმარი ჩემიო. მან ეგრე მიბრძანა: ნუთუ საჩემო იყოს და მოგაკლვიენოო, განა გომუელი, თუ ვერა მოერევიო.

შეუტევე და შევიბენით. დიდი ომი გარდაეკადეთ, მერმე ცხენი გაიყვანე და ვიყოლე და ვთქუი: ცხოენდი მეფეო, სეფედავლე, აბა, აწ ნახო მონაქნევი მომისა შენისა ომად მადის-ძისაო*. კულა შეუტევე, ვეარ ჩაბალახსა ზედა კრმალი და ტუენამდისი ჩავტუეთ და მოკვალ, ფიტხელი გაიცინა სეფედავლემ და ეგრე თქუა: ზენაარმან ღმერთისამან, არა ავიდ იყოო. დამაღლა ღია.

წავედით მუნით და იგი ჰაბუქნი, რომელ დგეს, გაგუექცენეს, შიშითა. მაშინ მივიდა კმა ჰენთა მეფესა თანა, ვიკა: ასული შენი სეფედავლემ წაიყვანა, მან დარისპანის-ძემანო, ლაშქარნი დაკოცნა და აბაშნი ასწყუიტნაო. გამოუზახა ლაშქარსა და მოვიდოდა ვითა ვის ძალედუა. მოგუეწიენიან ოდეს, დიდნი და მრავალნი იყენიან. თუით სეფედავლე შეექცის ომად მათად** და ოდეს უმცროსნი მოგუეწიენიან, შე და ომარ შეექცეოდით და დაკოცდით. ათსა დღესა ომი იყო და თავი, ღმერთო, მოვაწონე სეფედავლეს, თუცა, ღმერთო, კულა უფრო მან მოგუაწონა თავი თუისი.

მერმე მოვიდა იგი ჰენთა მეფე ლაშქრითა საშინელითა, რომლისა არა იყო რიცხუი. რა ეგეთი სინარავე ლაშქრისა გაიკადა, ეგრე გუიბრძანა სეფედავლემ: ღმერთო, არა სალადობელი ომი არსო. აქათგან თქუენ ამა ჩემსა ცოლსა გუერდით დაღეგეთ, აწ ჩემსა ზედა მოყრილა ომიო. ჩუენ დავედით ერთსა ადგილსა გუერდით ცოლისა მისისა და კულავე ამა წესითა ვიბრძოლეთ, რომელ რა ლაშქარნი დიდნი მოვილიან, თუით სეფედავლე გავიდის, შეგებს, დაკოცნის და გააქციენის. და რა ცოტახი მოვილიან, შე და ომარს გუიბრძანის და ცოლსა მისსა გუერდით თუით დადგის და ეპატრონის.

* აქედან აქლია A ხელნაწერს.

** აქამდის აქლია A ხელნაწერს.

ამასობაში აყვის ყოველთა დღეთა ომი ფიცხელი. დაყვავით ამაშიგან დღე თხუთნეტი და, თავმან წენმან, ჩუენ სეფედავლეს კლება ვერა წევატყვევით რა, უფიცხე და უფიცხე იბრძოდა. მაშინ კენთა მეფემან უბრძანა უკუყრა ლაშქრისა. ვითა უკუყარანს ლაშქარნი, მოდგა იგი კენთა მეფე და ეგრე უთხრა, ვითა: სეფედავლე, რად დამიკოცნენ ლაშქარნი და რად გამიტეხენ ქუეყანანი და ცხენქალაქნი დამიფორაქენ, ესე არა იცოდი, რომელ ასულისა ჩემისა მულავითა წაყვანა არა ეგების და მიუვალიცა არის კაცთაგან. მაშინ სეფედავლემ ეგრე უთხრა, ვითა: ვეფეო, ასული შენი ცოლი არის ჩემი და მე შეილი ვიყავ შენი, და ცოლისა ჩემისა განშორებასა ლამოდი და სხუისა შერთვასა. ესე ვითა არ იცოდი, რომელ შენ ცოლსა ვერ წამგურიდი და თუ ძალი გიცი, ზოღუშენ ომად ჩემად ლაშქარნი შენნი და ანუ ეგე ახალი სიძე შენი და წამგუაროს ცოლი ჩემი. ამა სიტყუასა ზედა არაბთა მეფისა ძემან ცხენი გამოიგდო, რომელ სიძელ მოეყვანა. ეგრე იყივლა, ვითა: ვამოელ, სეფედავლე, რომელ მე ვაგაჩუენო მაგა ცოლსა შენსა, რომელი გამოეყვა და ჩემსას შენ გირჩევა. ამაზღად კენთა მეფემან უბრძანა ლაშქართა: აბა, მიუშუენითო.

ვერმე სეფედავლემ ეგრე უთხრა ცოლსა მისსა: კენთა მეფისა ასული, მოიქეც და ნახე საქმრო შენიო. ფიცხლად შეუტევა სეფედავლემ, კრძალი არა ამოუწუადა. რა სიძულესა მივიდა, მან არაბთა მეფისა ძემან კრძალი ამოიღო, ჰკრა სეფედავლეს და ვერა აყუეთინა. მიჰყო კელი სეფედავლემ, მოჰკადა უნაგირთაგან და ქუეყანასა დაჰკრა კენთა მეფისა კერძად და მოკლა, მაშინ ეგრე თქუა, ვითა: რომელსა კაცსა ისი ჩემსა ურჩენია, იგი ეკლმწიფე არა არსო.

ლაუმძიმდა მას კენთა მეფესა და შეუზახნა ლაშქარნი თუისნი. შეიქმნა ომი დიდი და უფიცხესი ყოველთა ომთასა. მიეგშუელენით ჩუენცა სეფედავლეს მით, რომელ მას ლაშქარსა შიგან დაიკარგა, თუარა განაღამეცა არა გუეგონა უხადლო ჰქცევა მისი. და როსაბ ერქუა ერთსა მას კენთა მეფისა ბუმბერაზსა და იგი მუნ არა იყო. კაცი გაეგზავნა და სწორაფით ეგყო, თურე როსაბს მარტორქა გაეზარდა და მასთანავე მოეწუართა მომარად და ნიადაგ თანა ჰყვის ომსა შიგან. კმა აკდა, ბუესა ჰკრეს. მოვიდა როსაბ და მოჰყვა მას იგი მარტორქა და ლაშქარი შიგან ვამოაქეს. რა მოვიდა, ფიცხლად დაცივლა მეფემან, ვითა: მიუშუენით და მათ გარდაიწყუიტონო.

ამირთა-ამირო! ოდესმცა გენახა სეფედავლე, ამას იტყოდი, კაცი ამას ვეღარა სჯობსო. მაგრა შეგუეშინა ჩუენცა ამით, რომელ სეფედავლე მაშურალი იყო და ნომარი მრავალთა დღეთა. ეგრე უყვილა სეფედავლეს როსაბ, ვითა: რად გამოიპარე ვითა მპარავი და ლაშქარნი დაკოცენ; აწ სითლა წახულ კელისა ჩემისაგანო. ამა სიტყუასა ზედა მომართა მარტორქამან სეფედავლეს ცოლსა, და როსაბ ცხენი შეუტევა სეფედავლეს. და სეფედავლემ ცოლსა უშუელა, როსაბს ზურგი შეაქცია და მარტორქასა ზედა მივიდა და ეგრე უყვილა როსაბს, ვითა: მოვიცალა მარტორქისაგან და მერმე გიშუელი შენცაო და მაშინ ნახო მონაქნევი მკლავისა ჩემისა შენცაო მარტორქამან თავი ქუე ამოიღო, თუცა იგი აქლემი, რომელ ქალი კუბოსა მას ზედა კიდებულსა ჯდა, იგი კუბოთურთ რქასა ზედან აეცუა. გაფიცხებულმან და როსაბზედა მისლვისა მოსწრაფემან ჰკრა კრძალი მარტორქასა ზურგსა ზედა და, თავმან შეფობისა შენისამან, შუა ვაკუეთა, ნახევარი იქით დაეცა და ნახევარი აქათ. და რა სეფედავლე პირველადვე მარტორქასა მიუქდა, მე და ომარ როსაბს შეუტევეთ. მანცა შენოგუიზახნა და ცხენი შემოგუიტევა.

ამირთა-ამირო! ტყუილის თქმა და უბადლო ქუება არა ქაბუთა კელი არის. შეგუეშინა და ვაევექცენით. მომეწია. მე კრძალი არა მკრა, ამიღო უნაგირთაგან და ომარს შემტყორცა, მკრა და ორნივე ჩამოგუყარა. რა ჩუენი უბადლო ყოფა ნახა, გაღანამცა შევეწყალენით და ეგრე უყვილა როსაბს: ძმავო, მავთი არა ბრალია. თუ კაცი ხარ, ჩემზედ წამოდიო. მოვიცალე ამა შენისა ვაზრადლისა და საომრად ვაწურთუენილისა მარტორქისაგანცაო. ამაზედა შეუზახნეს ერთმანერთსა, შეუტევეს, შეიქმნა ომი ეგზომ საკურიველი, რომელ აბჯართა ზედა ცემა კეხასა ჰგანდა. იბრძოლეს დიდი ხანი. ყოველი

ქენთა შეყვისა ლაშქარი და თუთ მეთეცა უყოდა, ვითა: აზღვევინე სისხლი ეგზონისა კაციანთო. იყო ზმა დიდი მას ლაშქართა შიგან და ომი იყო მეთად დიდი და ფიცხელი, უჯვლა მას როსაბს ქენთა მეფემან, ვითა: თუ შენ სეფედავლეს აჯობო. შენ ზოგე იგი ჰირწე ასული ჩემი ცოლადო. მერმე სეფედავლემ უყვილა მას ქენთა ზეუსა, ვითა: თუ ჩემსა ნაკრავსა და-ლა-ურჩეს, თუნდა, ღმერთო, შენი ცოლიც მემეცო. ამაზედა დედოფალმან უბრძანა აღება კარისა. ვითა აიღეს კარი მის კუბოსი, ნახა დედოფალი, ცოლი მისი სეფედავლემ და გაიყვანა ცხენი და უყვილა მას ცოლსა მისსა: ქენთა მეფისა ასული, აწ ნაპო ბუმბერაზი მამისა შენისაო.

ფიცხლად შეუტევა ცხენი და ჰკრა ჩაბალახსა მისსა ზედა კრმალი და, თაემან მცფობისა შენისაზან, ჩეკრამდის ჩაქუთთა და მოკლა. რა იგი მოინახა ქენთა მეფემან, უბრძანა ლაშქართა მისთა: უქმარიდენითო, ნულარაინ რას ჰკადრებთო და ეგრე არქუა სეფედავლეს: შენ დღესითგან შეილი ხარ ჩემი და მე მშობელი შენიო, მით რომელ, ვინათგან ესეთი ჰაბუტუბა მოგცა ღმერთმან, შენ ხარ დღესითგან მკუთარი სამეფოსა ჩემისაო. ვარდავდა ყოველი ლაშქარი და თაყუანისცეს სეფედავლემ დარისპანის-ძესა და ქება შეასხეს. მერმე სეფედავლემ ეგრე არქუა მას ქენთა მეფესა, ვითა: მეფეო, თუ ავიცა რა გიქმნია შენ ჩენზედა, მე აღარა ვაკენებ. აწ აქადგან მე მონა ვარ შენი, მაგრამე ამასა გკითხავ, რომელ შენ ჩემსა უჯეთესსა სიძესა სით შეიყვანებდრო. ამაზედან აწუთა ქენთა მეფემან სეფედავლემ სამეფოსა მასსა, მაგრა სეფედავლემ არა დამორჩალა და ეგრე არქუა, ვითა: უჯრეთ სახლსა ჩემსა მიმყავს ცოლი ჩენო. მან ეგრე უბძანა, ვითა: იგიცა და ესეცა ორავე სამეფო შენი არს და სადაცა გიჯობდეს, ნუნცა იყავ.

ღაინადლა სიტყუა იგი სეფედავლემ და გაისუენეს იგი დღე მუნ. ქენთა მეფემან სეფედავლეს უძღუნა ურიცხუი და მე და ომარს ორთავე დაგუმონსა ტანსა. მერმე წამოვედით მხიარულნი და გამარჯუებულნი გზასა და იგი ზაოსანი დიაცი მოგუფეგება წინა, რომელ უწინავე მოაკესნენ და ორნი ძენი თანა ჰყვეს შუენიერნი. მაშინ ვითა გუნახა, აღარა ეგრე იყო, ოქრო-ქსოვილი ეცუა ტანსა. მოვიდა და ეგრე მოაკესნა, ვითა: მე არა ამას გზასა მოგელოდი, მუნვე მგონა ამოვლა შენიო, აწ მე შევეალი ვარ შენი და შენგან დარჩენილიო. ქება დიდი შეასხა და იგი დღე მუნ დავეყვით და მეორესა დღესა წამოვედით. მან დიაცმან უძღუნა ერთი შესამოსელი ეგეთი, რომლისა მსგავსი მისი კაცისა თულისაგან არა ნახულა-რა. ერთი თუალი მკერდსა ზედა ჯდა და ერთი ბეჭთა ზედა ეგეთი, რომელ ღამით ნათობდეს, ვითა სანთელი. და სრულად თუალითა და მარგალიტით შემკობილი იყო და ერთი გუარგუინი უძღუნა, რომელ ეგეთინე თუალნა სხდეს ზედა და ერთი ცხენი უძღუნა, რომელ არა ნახულა კაცისა თუალითა ცხენი მისებრი. მაღლი უბრძანა სეფედავლემ და ერთი შესამოსელი დედოფალსა უძღუნა ეგეთი, რომელ მას სეფედავლის შესამოსელსა ათისა ზომით სჯობდა და უკეთესნი თუალნი სხდეს. ფარლულნი უძღუნა თუალისა და მარგალიტისანი, ვინცა ნახა, ეგრე თქუა: არავინ იცის ფასი ამათიო. მაღლი უბრძანეს დიდი და თანა წამოიტანეს იგი დიაცი და წამოვედით, დარისპან შაპარს მოვედით. ზოგება ყოველი ქუეყანა და სამეფო მისი—დიდებულნი და მკირებულნი. სიხარული იყო, მღერა და განსუენება. მეორესა დღესა იგი დიაცისა ძღუნობილი შესამოსელი ჩიიკუა სეფედავლემ და გუირგუინი თავსა დაიდგა. დედოფალმანცა მისივე დიაცისა ძღუნობილი კუბასტი ჩაიკუა და ორნივე ერთგან დასხდეს. ოდესმეა გენახა, ამას იტყვი: არა ნახულან ნაყოფნი ამათებრნიო. იგი დიაცი ღობილად დაისუეს საჯდომთა და ეგრე უბრძანა: დედა, ესე ყოველი ყეთილი შენგან იქმნაო.

ამირთა-ამირო! განსუენებისა და სიხარულისა რიცხუი არა იყო და ვასცა საბოძვარი დიადი დედთა და მკირედთა ზედა ყოველთა. დავეყენით ამას შინა დღენი მრავალნი. მაშინ მე გამოვეთხოვე და ეგრე მიბრძანა: დადგე ჩემთანაო. დიადი მიქადა, განა არა დაეღვტე და ეგრე მოაკესნენ: ჩემი თქუენსა წინაშე ყოფა ყოველთა სიხარულთა უფროსი არის, მაგრა არა დავედებო, წავალ პატრონსა ჩემსა თანა მეთქი. და იგი დიაცი წავიდა და უბრძანა მას საბოძვარი საქუირველი და დიადი და ეგრე უბრძანა: იგი ქუეყანა შენდა

მომიტყმითა და შენთა შვილთათუის და თუ სადმე ლაშქრად მიხდეს, მილაშქრებდენ და შენ ვითა დედა დაგივიბრაო. ამაზედა მეცა წამოვედ, მიბოძა ურაცხევი სამოძვარი და ტურფანი, ვითა მისსა კელმწიფობასა ჰყურობდა. მიბოძა მრავალნი აქლემნი, ჯორნი და მონანი. ავიკიდენ ლარნი ყოვლისა ქუეყანისანი და წამოვედ. აწ ესე-რა მოსრულვარ და წინაშე ვარ მეფეობისა თუქვენისასა.

მაღლი უბრძანა ამირ-მუმლმან ომად მადის-ძესა ანგვისა თბრობისათუის. და ამირან დარეჯანის-ძესა დაუჰმძინდა ეგზომი ქება სეფედავლესი, მაგრა არა თქუა-რა. ამაზედა გვიყარენით. მერწე გუიბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან: ვინათგან ესეთი კაცი ქუეყანასა ზედა არის, რომელმცა მე არა ვნახე, არა ეგებისო. ჩუენ უშლიდით და ეგრე ნოვაქსენეთ, ვითა: ჰშენ კანბუკი ხარ ეგეთი, რომელ პირსა ყოვლისა ქუეყანისასა არა არს კანბუკი შენებრი, რადად ვინდა წასლვაო მან ეგრე ბრძანა: არა, ძმო, ოდეს კაცნი ორნი ერთად შეიყარენენ, ვინ ჩენნი მოყუარენი არიან, მე მაჯობინებენ და მეტრენი ჩემნი მას აჯობინებენ და ესე საქმე საცოლობლად გაეაა. და ბოლოდ შებმვე ევლარა. დაუშაღეთ და პატრონი მისი ამირ-მუმლიცა უშლიდა, განა ვერცა მან დაუშადა. გაავგო სახლისა რაგი და საქმე, კაცნი უჩინნა და, რაცა კამდა, ყუელა დივეჯრა და ალი მოჰამადის-ძესა და ჩუენ ყუელასა გუიბრძანა ძმობა, და უბრძანა ომად მადის-ძესა — წაიძიელ წინა და წავიდეთო.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო! წავედით იგი ამირან დარეჯანის-ძე, მე—სავარსემის-ძე, აბან ქამანის-ძე, ალი მოჰამადის-ძე, ასან ბადრის-ძე, ქაოზ ქოსის-ძე და ყამარ ყაძრელი, და ომად მადის-ძეცა წამოვიდა. წავედით და ვლეთ თუისა ერთასა სავალი და მივეწურენით მისსა სამეფოსა. წაიედა წინა ომად მადის-ძე და მოაკენა სეფედავლეს ჩუენი მისლვა. და გაეხარნეს მას ზომისაგან მეტად. დღისა ერთისა სავალსა წინ მოგუეგება და დიდებულნი მისნი თანა მოჰყვეს, დიდითა ზარითა და ზეიძითა მოვიდეს. ოდეს ენახეთ, ეგზომ მოგუეწონა, რომელ ამბავსა კაცი სჯობდა. ვახარანა უზომოდ მან ჩუენი მისლვა. ამირან ზეგარდასულითა ლამოდა მოკითხესა და იგი არა მოეშუა, ცხენზედავე მოემშვიდობნეს. ჩუენ ყოველნი მოგუიკითხან მდაბლად, ვითა მისსა სიკეთესა შეუნიდა. წავედით და ჩავედით ღარიანან შაჰარს და ონად მადის-ძე რომ ამბობდა პალატისა და დიდებულთა ნოკანმულობასა, რაჯომ და-რეჯანის-ძე სჯობდა ომად მადის-ძესა, ეგზომ უკეთ მოეკახმა ყოველი ჩუენსა მისლვასა ზედა ქალაქნი, მონანი და დიდებულნი, რომელ არა ნახულა კაცისა თულისაგან მოკახმულობისა სიკეთე ეგეთი და სიმდიდრე. გავუიკურდა. პალატა შეეკახმა ჩუენთუის და ეგრევე გამგენი და მზარეულნი გამოეგზავნა ჩუენთუის და ეჯიბნიცა. ეგრე ებრძანა: ვითარსა პურსა ჩუენთუისა პაკაზმიდეთ, ევეთსა—დარეჯანის-ძისათუისო. და საჭურქელნი ორად გაუყვენა და ნახევარი მისცა დარეჯანის-ძესა და ნახევარი თუთი დაიჭირა. ეგრევე დიდოფალმან მიუგზავნა კელის-ლუთლანი და იგინი კიდე უკაზმდლიან პურსა. ეგრე მოეგზავნა კაცი, ვითა: ჩემსა საჭურქულესა და ჩემსა წასაგებელსა ნუ სწყალობო. ერთსა დღესა შენსა პურად ვიყენეთ და მეორესა დღესა ჩემსაო.

გაყენა ორად მგოსანნი, მოშაითნი და მეტუკე-მედაბადებენი და ბახტნი. ნახევარნი ჩუენთანა იყენეს და ნახევარნი მათთანა. ვიყენით ერთსა დღესა ჩუენსა და მეორესა მათსა. და მისციან ერთმანერთსა მისაკემელი. ნადიმი გარდავიკიდით. მღერა იყო და განსუენება და სიხარული ეგეთი, რომელ არა ითქმის კაცისა ენისაგან. მესამესა დღესა დედოფლისაჲ ვიყენით და მანცა დიადი გუიბოძის. ამა განსუენებასა შიგან ვიყენით, დღისასა ხეალისა სჯობისა.

ცოცნდი, მეფეთ-მეფეო, რომე ტაბლასა ზედა საკმარნი ჯამნი და ქიკანი მიხანებან თტალისანი: ანუ შენ, ინროთა მეფესა, და ანუ ბაღდადელსა ამირ-მუმლსა თუარა, სხუასა კელმწიფესა, ამა ორისაგან კიდე, არავის შეეძლო ამა განსუენებასა შინა ვიყენით ორსა თუესა. სწადდა მისცა და ამასცა ომი ერთმანერთისა. ამირან დარეჯანის-ძემან ეგრე თქუა, ვითა: ჩემგან არა ეგებმის პირველად შეზრახვა მით, რომელ ეგზომი განსუენებია, ჩემდა მოგებულა და წასაგებელი წაუგია. მერმე სეფედავლემ ეგრე თქუა: ომი, ლმერთო, მწა-

დიან ამირან დარეჯანის-ძისაო, მაგრა თუ შებმა ვთქუა, ნუთუ ეგრე თქუას: წასაგებელი გასიღლებიაო. არცარა მან თქუას და არცარა მან. კულა დავყავით ამაშიგან თუე ერთი და სხუა უკეთესი და უკეთესი ვანსუნენბა იყვის. მერმე ეგრე თქუა ქაოზ ქოსის-ძემან: „მე შევანდე ესე კაცი და ერთმანერობა აღარა ვრიღებოდენა. ამა სიტყუასა ზედა ჰრძანა ამირან დარეჯანის-ძემან: ქაოზ ქოსის-ძეო, ჩემსა მზესა, უთხარ რაო!

ნადიმობა იყო და მღერა. „იგი ქაოზ ქოსის-ძე მლაღობელი კაცი იყო და სეფედავლეს დიდად უყუარდა. ერთგან სხდეს ამირან დარეჯანის-ძე და სეფედავლე დარისპანის-ძე. ადგა ქაოზ ქოსის-ძე და ორნი ვაჟანი ააესნა, ერთი მას მისცა და ერთი მას და ეგრე მოაკუნა, ვითა: ესე ლუირო შესუთი და რადგან ორთავე გწაღიან, ომი თქუენი არსო. გაიციონა სეფედავლემ და ეგრე უთხრა: შენ თურე სპასალარი ხარო, და გაიციონა დარეჯანის-ძემანცა. სეფედავლემ ეგრე თქუა: დარეჯანის-ძეო, განაღა ისი კაცი შენ მოგიბირებიაო. მან თქუა: არა, შენმან მზემანო, თუთი მომზარახი კაცი არსო. ამაზედა დასკუნეს ომი. სეფედავლემ ეგრე უთხრა: ვითა მე მოგაკუნო, ეგრე შევიბნეთო. მოაკუნა ამირან: დია, ვითაცა თქუენ ბრძანოთო. რა ესმა, დაუმძიმდა დედოფალსა მათი ომი და გაუწყრა ქაოზ ქოსის-ძესა. ამაზედა დასკუნეს ომი. რი გათენდა, დიდასა გამოიხუნეს საკარბანგნი კარავნი ოთხნი, — ორნი დიდ-დიდნი და ორნი შედეგნი. ორნი ერთკერძ დადგეს, და ორნი ერთკერძ, ერთი საპურობოდ და სანადიმოდ და ერთი საწოლად. დადგნეს ტურფასა რასმე ველსა შინა. გაყვენი დიდებულნი და ნახეყარი ჩუენთანა დააყენა და ჩუენცა გაგუჯენა. აღი მოპამდის-ძე, ყამარ ხამრელი და ქაოზ ქოსის-ძე მან წაიყვანნა. მე—სანარსის-ძე, აბან კამახის-ძე და ასან ბადრის-ძე—ესენი დარეჯანის-ძესთან დავუყარანა. ომაღ მადის-ძეცა მან წაიყვანა და ომარ—იგი კარგი კაბუჯი, ყმა მისი—ჩუენთანა მოიყვანა. მებუკენი და შედაბდაბენი პირველადე გაყოფილნი იყენეს. ესე დაღუა წესიდ სეფედავლემ, რომელ თუ მაჯობო, ჩემსა მოგიყვანო პურად და ნადიმსაცა მუნვე გარდავაკდო, და ძლუენსა გიძლუნიო. და თუ მე გაჯობო, ამასევე შენ იქმოდო. წავედით და დედოფალი თანა ვერ წავეტანეთ, მით რომელ უმძიმდა მათი ომი და ჩუენცა ყოველთა გუიძიმდა, მაგრა ამისთვის ოდენ გუიხაროდა, რომელ მათ უსწოროთა ორთა კაბუჯთა ომსა ენახედით.

ამაზედა დაარჩია ასი ტაიკი და მოსცა დარეჯანის-ძესა და ასი თუთი დიპირა და ეგრე შეუთულა: ხეაღე ოროლითა შევიბნეთო. შეიკაზმეს ოც-ოცი ტაიკი, გავიდეს და შეიბნეს. რა სეფედავლემ ჩამოაგდის და მოუკლის ცხენი, მისჯა კერძთა კაცთა დაუწყინ ცემა ზარსა, და დაუწყინ ცემა ბუკსა და დაბდაბსა. რა დარეჯანის-ძემან ჩამოაგდის და ცხენი მოუკლის, ეგრევე ჩუენ დავსციით ზარი და ვპკრით ბუკსა და დაბდაბსა. მას დღესა ოცივე ცხენი მოუკლა სეფედავლემ ამირან დარეჯანის-ძესა და თხუთმეტი ცხენი დარეჯანის-ძემან მოუკლა სეფედავლეს. დარჩომოდა ჯობნა მის დღესა სეფედავლეს. იცოდა ომი, დმერთო, კარგად ოროლითა ამირან, მაგრა სეფედავლე თურე უკეთ იცოდა.

მას დღესა პურად ჩუენსა მოვიდა. ნადიმი ჩუენსა გარდავიკადეთ. უძლუენით დიადი და გავიყარენით. მეორესა დღესა შეიკაზმა ორმოცი ცხენი მან და ორმოცი მან. და მას დღესა მოუკლა ამირან სეფედავლეს ორმოცივე ცხენი და ოცდაათი სეფედავლემ. დარჩა მას დღესა ჯობნა ამირან დარეჯანის-ძისა კერძ. მერმე მივედით საპურობოდ სეფედავლესასა და ნადიმიცა მუნვე გარდავიკადეთ. გუიძლუნა ურიცხუი. ჩასდა ვარძელედენი! ვერ ას-ასი ტაიკი დაღლიდა; მანამდის ზოგჯერ მან აჯობის და ზოგჯერ მან. წიბასავე თქუეს მშუიღღისა არა აღემა, ყუელასა კრმლითა, ლახტითა და ხიშტითა იძროდეს. ვერა შევატუეით ერთსაცა ჯობნა.

მეფეთ-მეფეო, ნახეთ მოწურთნილობა დიდებულთა მისთა! თაემან მეფობისა შენისამან, ოდესცა დარეჯანის-ძემან აჯობის, გულსა შინა განაღამცა უმძიმდა და ზეპირ სიხარულე უგვანდის. ჩამოგზავნის კაცი დედოფალმან, ვითა: კმარის, დაუშალეთ ომიო. ჩუენცა ელაშობით გაყრისა, განა ვითა მით ხულებოდა, ეგრე ფიცხლად არა შებმულ იყენენ. იბრძოდიან და განი ესე უნღოდა, თუცა ერთმანერთი დაეჯერა.

ისმინდა, მეფეთ-მეფეო! შეიქმნა ცილობა: ზოგმან იგი აჯობინა და ზოგმან იგი. შეიქმნა ერთმანერთისა მედგრობა და გაგულისდეს. ბოლოსა ეამსა ნაღმსა ზედა სასიტყუეო შეიქმნა და ეგრე თქუა დარეჯანის-ძემან: მე შენსა სახლსა დიდი ხანი დამიყოფთა და წინა წასლვა მინდაო. ესე აქამდის ჩუენი ომი ყმაწუილობა იყო და ბედითი ცხენთა კუცა. აწ კამს, რომელ ვარდადიწუთადოაო. სეფედავლემ ეგრე უთხრა: ძმაო, შენ ჩემსა სახლსა ყოფილხარ და ვაგისუენებია და ეგრეთვან, თუცა შენ არა ვეთქუა, მე არა ვიტყუადი ამად, რომელ ეგრე იტყოდო, ვითა: მოვსწყინებიაო. აწ ნ: თქუამი შენი ვქმნათ, რომელ ვაწყუთდა კამს. და რომელიმეცა დავლბებით, არა კაბუკთა კელი არსო.

ამაზედა დაასკუნეს ომი უიცხელი ხელისად და გაიყარნეს. შეგუექმნა ჩუენ შეჰირევა ანესთუის, რომელ ანუ მოკუდების რომელიმე და ანუ ერთი რომელიმე იჯობინების და გულ-კლებულ იქმნების. და ესე ჩუენი სიხარული, რაცა აქამდისი მოგუინახავს, ყუელა გაგუთმწარდებნაო, მაგრა დაწლისა ორენ არა იყო. დღოსასა ბადისა ჰკრეს ზუქსა და დაბდაბსა სეფედავლეს კარსა. და გამოვიდა სეფედავლე, თეთოსა ტაქსა ზედა ჯდა. პოლოტიკინი რკინანი დაეკიდნეს სატივიართა ადგილთა ცხენისათუისცა და თუითცა. ჩაბალხნი ვარდადიკიდნეს, ეგრევე ცხენისა მკერდსა, თავსა და ფერდა. და სახნი კრმალნი დაეკიდნეს: ერთი ალპედად, ერთი წელთა* შენორტყა და მესაზე ტახტსა ჩამოვიდა. ოდესმცა ნახე, აზას იტყოდო, თუ: არა ნახულა ამისებრი კაციო. შეგუეშინა ჩუენ ჯობნისაგან მისისა. ვითა ვამოვიდა და აულო მეტყუეთა სული, ბრძანა: მოაკუნეთ დარეჯანის-ქსაო, კაბუკთათუის სჯობს, რასსა ადრე შეიბმინაო, და ნებასა მოაჩინა. მაშინ ჰკრეს ზუქსა დარეჯანის-ძისასა კარსა. გამოვიდა ეგრევე შეკაზმული ივრცა, ვითა სეფედავლე. ოდესმცა ნახე, ზრძანებდი ანაჲ, თუ: ღმერთსა ორნი კაცნი ამათებრი არა დაუბადებიაო. და: თავჲან მეფობისა შენისამან, ვერა შევტყუეთ რა, თუ რომელი სჯობდა.

შემოუღუეს ნავარდი ერთმანერთისა, შეუტრეეს და შეიბნეს. დიდთა კლდეთა ჯაკებასა ჰვეანდა მათი ომი და ჯაკება. კრმალთა ცენა ჰხეხასა ჰვეანდა. იბრძოლეს დიდი ხანი და ორთავე გაუტყდეს კრმალნი. და მეორენი გამოიწუადნეს და კულავე შეუტრეეს ერთმანერთისა და ვერა შევტყუეთ დალბობა ერთსაცა.

მეფეთ-მეფეო! მე მრავალჯერ მინახვან მრავალნი ომნი დარეჯანის-ძისანი, მაგრა ეგეთი ომი დღეთა ჩემთა შიგან არა ზინახავს და არცა ოდეს ეგრე მედგრად გაფიცებული დარეჯანის-ძე! და რგი სეფედავლეს ყმა ომარ იტყოდ: არცა მე მინახავსო**. გაგრძელდა ომი და გაუტყდეს მეორენი კრმალნიცა და მესამენი გამოიწუადნეს, თავმან შენმან, უფიცხე შეიბნეს და ჩუენ ერთობ ვაგუიკუთრდა ეგზომი სიკეთე ცხენთა და კაცთა, რომელ არა დაღბეს. გაიყვანა ცხენი სეფედავლემ და ეგრე იყიელა: აპირან დარეჯანის-ძეო, აწ გამოგუადო, თუ რამი კაბუკი ხარო. შემოიქცა ფიცხლად, შეუზახნა, ჰკრა მკარსა მარცხენასა კრმალნი, გააკუეთინა პოლოტიკინი რკინანი, ჯავშანი და ჯავუთი და მკარსა დიდი შეკუეთა და სისხლი ზე ამოიქრა. მერჲე კმა-მალლად უყიელა, ვითა: ჩამოიქრო. მაგრა ჩუენ ესეთი კმა გუესმა ნაკრავისა მისისა, რომელ ვითა ჰხეხა, და არა თქუა-რა დარეჯანის-ძემან. დაგუემძიმდა ჩუენ და გუეგონა ჯობნა სეფედავლესი. ამაზედან ანაზდად გაიყვანა ცხენი დარეჯანის-ძემან, შემოიქცა და შემოუტრევა სასტიკითა შემოტუეებითა. აიდგნა ფერკნი ავეანდათა ზედა, დაჰკრა კრმალი ჩაბალახსა ზედა, გააკუეთინა ორნი პოლოტიკინი რკინისანი, გაკუეთა ჩაბალახი და თავსა დიდი შეკუეთა, და ეგრევე ამოიქრა მისგანცა სისხლი და დაღუესა კრმალი ზედა მედგრად.

მეფეთ-მეფეო! ესე ავი ქმნა სეფედავლემ, რომელ, რა დარეჯანის ძესა კრმალნი გაუტყდა, მან კრმალი არა დაავდო და არცაღა სხუისა კრმლისა აღება აცალა. ცხენი გაიყვანა და შემოუტრევა კულავეცა ფიცხლად. და ვითა სიხლესა ზოვიდა და კელი აილო საკრავად, მიჰყო კელი დარეჯანის-ძემან და კრმლიანი კელი შესტაცა. მაგრად დაუქრა,

* აქედან აკლია A ხელნაწერს.

** აქედან აკლია D ხელნაწერს.

მოზიდა და კრძალი გააგდებინა. გაიზიდნეს ცხენზედა და ვერა რომელმან ჩამოაგდო მერმე მივედით და ეგრე მოვაესენეთ, ვითა: რა გიცო* ეგზომი საზრძოლველი ერთმანერთსა თანა და, თურქ ღმერთსა ორნაე კარგნი ქაბუენი დაუბადებინართ, ამისთვის ერთმანერთსა რად დასწულებოთ. გუისძინეს, გაიყარნეს. და ჩუენ გაგუეხარნეს მშუილობით დარჩომა ორთაღესი და ზერზე ვერქ ერთისაგან მორევენა, თუცა ჯობნა დარეჯანის-ძისა ღრძ დარჩა, მით რომელ, მოქრეული კრნალი** დააგდებინა. თუცა სეფედავლე იტყოდა: კრნალი თუით. დაგადგეო, თუარა ოღესცა უკანის მოვიზიდენთ, მაშინ რად არ ჩამომაგდოო? მაგრა ტყუოდა: კრძალი დაქირვითა გააგდებინა.

გაიყარნეს და შენივოდეს ქალაქსა. სიხარული იყო დიდი. გარდაიკადეს პურობა და ნაღამი. შეიყუარეს ერთმანერთი ზომისაგან მეტად. ამას იტყოდა დარეჯანის-ძე: არა მინაზეს ქაბუქა სეფედავლესგებოო. და სეფედავლე მას აქებდა და ამას იტყოდა, ვითა: მადლი ღმერთსა, რომელ ქაბუქისა უნახავი არა მომგლოო. და ივინი ძმად იფიცუნეს და დელოფალმან მადლი შესწირა ღმერთსა მათისა მშუილობითა დარჩომისათვის. დიდი გასაცემელი ვასცა და დიადი შესწირა მიზიკათა და გლახათაცა გაუყო დიადი.

ისმენდი, გეფეთ-მეფეო! ჩუენ არა გაგუიშუა სეფედავლემ. თუე ერთი სხუა დაგყავით. მაგრა განსუენება, ნადილობა და ნადირობა მაშინაღა იყო, ოღეს ომსა აღარა მოგლოდეს. და ენა ვერა იტყუის მაშინდელსა განსუენებასა. წელიწდამდის ლამოდა დაქირვასა და ჩუენ არა. დადგეით. მოგუტყეს დიადი. მოსაცემელი მანცა და დედოფალმანცა. და იგი შესამოსელი, რომელსა ომად მიდის-ძე აქებდა, მის დიაცისაგან მოცემული იყო, ამარან დარეჯანის-ძესა მოსცა, რომელ არა ნახულა ეგეთი შესამოსელი. და რომელი მასეე დიაცსა დედოფლისად ეძღუნა, იგი დედოფალმან მოსცა ზუარაშან ქალისათვის და ეგრე შეუთუა. ვითა: ჩუენნი პატრონნი ძმანი არიან ერთმანერთისანი და ჩუენ დანი ვიყუეთო. გუიბოძეს ჩუენცა ურიცხუი საბოძვარი მეფემან და დედოფალმან. მოგუტნა აქლემნი, ჯორნი და ნონანი. აჰიდეს იგი ყუელი და წამოგუტანეს თანა.

ისმენდი, გეფეთ-მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე! წამოყედით დარისპან შაჰრით და გა-მოგუყუა სეფედავლე დღისა ერთისა საუელსა. მისცეს ფიცი ერთმანერთსა ეგეთი, რომელ: თუ ეგებოდეს, ერთმანერთსა ზედა-ზედა ენახვიდეთ, და თუ რა გუიქირდეს, ერთმანერთსა ზედა უშუელდეთო. შექცა სეფედავლე ჩუენისა წამოსულისათვის მომძიმარი. დაგუიმძიმდა ჩუენცა გაყრა სეფედავლესი. არა იყო ჩუენთანა საზუბარი სეფედავლეს ქებისაგან კიდე. ვიერმდის. გამოვიარდით სამეფოსა მისსა, გუყეეს თანა დიდებულნი სეფედავლესანი, სადაცა დაედგეთ, ვითა პატრონსა მათსა, ეგრე მოგუეგებოდეს. განსუენებისა რიცხუო არა იყო, ეგრევე ძღუნისა. გამოვიარეთ სამეფო მისი. შეიქცეს დიდებულნი სეფედავლესანი და ზუბობა მათ ამირან საბოძვარი დედი და წამოყედით.

მორი იყო ბაღდადი დარისპან შაჰრით. ვითა მოყედით მას მინდორსა დიდსა შიკნ ოღენ, ენახეთ კაცი ვინმე მოვიდოდა ფიცხლად და მკრთლად. მოვიდა ჩუენთანა და ეგრე უხარა დარეჯანის-ძესა: ვხედლე თქუენ მცირედთა კაცოა, სიყეთისა მინდობილნი ხართ, მაგრა მაგა გზასა ნუ წახუალთ, თუარე დაგუოცენ. ენერა აქა წინა დვას ანთარქაეის-ძე ლომი ქაბუქი ეგზომ დიდითა ლაშქრითა, რომელ რიცხუი არა არის და თუით ანთარქაეის-ძე ეგზომ ლონი ქაბუქი არის, რომელ ჯერეთ მისად ვერაეინ შებოულა და ფიქხლადრე წავლა ვინდაო. ჩუენ ვაკითხეთ ამბავი მისი, თუ ვინ არის და ანუ სადაური არის. მან ეგრე თქუა, ვითა: ანბად მასმია მისი სიკეთე და ლაშქართა სიმრავლე, თუალად არ მინახეს და არცა ამის მეტი ვიციოო. მაგა გზასა ნუ წახუალთ, სხუა გზა არის მშუილობისა, ნას გზასა წადითო. წავიდა იგი კაცი და ჩუენ დაგუიმძიმდა. სხუასა გზასა წასლვა სიჯაბნე იყო და მათზედა მისლვა საშიში იყო, ლაშქართა სიდიდისა და მათ კაცთა სიყუეთისაგან ლონე არა იყო, მიემართეთ. რა წავიარეთ ცოტა ხანი, ქარაენსა დატყუილსა ზედა შეე-


* აქაზდის აკლია A ზღანაწერს.

** აქაზდის აკლია D ხელნაწერს.

პკედით დაკოცილსა, რომელ რისხეა ღმრთისა ეწეოდა. რა ჩუენ მიმავალი გუნახეს მოქ-
 რავენთა, ყვიილი დაიწყეს, ვითა: ვინ ხართ მინდა? წინა ანთარქავეის-ძე დგას და მისნი
 ლაშქარნი. თუ მათგანნი არა ხართ, დაგუკენო. მაშინ ქაოზ ქოსის-ძემან ეგრე უთხრა:
 თქუენებრი, ღმერთო, ვერა დაგუკოცნო, თუ არა, უკანა მოგუიდეგით და ჩუენ ასერა
 მათად ომად მივილთ და ნახეთო, თუ ვითა დაგუკოცნო. რა ქაოზ ქოსის-ძემან ესე
 თქუა, იხრილნა ერთობით მან ქარავანმან და უკანა წამოგუიდეგა. ოღეს ზედა წაეადეგით,
 იდეგა ლაშქარი, რომლისა რიცხუი არა იყო. რა ჩუენ მიმავალნი გუნახეს, ჩუენ და იგი
 მოქარავენენი, ლაშქარი ვეგონენით ომად მოსრული. მერმე აჰკდა კმა მათ ლაშქართა შვიან
 და გამოვიდეგს. ჩუენცა შევიმოსენით აბჯარნი და შეუტრევეთ ცხენები. სიდიდითა მათითა
 და სიკეთითა ჩუენითა ესეთი ომი შეიქმნა, რომელ თიცხლად ომად კმა იყო.

ჩუენთ-მეთეო! თუცა გენახა დარეჯანის-ძე, ანას ბრძანებლი: ერთი კაცი ამას,
 ღმერთო, ვერა სჯობსო. ვითა გაძლიერდა ომი და ლაშქარმან მეოტმან წასლვა დაიწყო,
 მრავსენეს მას ლოშსა კაბუქსა ანთარქავეის-ძესა, ვითა: ძეცირენლი ვინმე კაბუქნი არიანა.

გაჟდა ცხენსა და მოვიდა ფიც-
 ლად, არგანი კელთა ქქონდა.
 ლაშქართა გაუწყრა, ჩე უქუარა
 და ეგრე უთხრა: ძეცირელთა კაცი
 ია ზედა მისლვა ეზღუნსა ლაშ-
 ქარსა არა გრცხუენიან? გაწოდგა
 და გუიყვილა: ვინ ხართ, ძმანო,
 რომლისა ქუეყანისანი ხართო.
 ჩუენ უთხარიით: მოხალდადენი
 ვართო და ომად ეზღენ ცოტანი
 აზ მოვიდოდითო. ამაზედა უბრძანა
 ანთარქავეის-ძემან ლაშქართა მისთა
 შნა წასლვა და თფეთ მცარედო-
 თა კოცითა ჩუენთანა უბნოზდა და
 ქარგსა კაბუქსა ჰგევანდა. და მას
 ომსა შინა ლაშქარი დაგვეკოცა
 დაა და ეგრე თქუა: ჩემი ლაშქარი
 დაგეკოციაო, განა არა ვაბრალებ,
 მგზავრნი მოხუილოდით და ჩემთა
 ლაშქართა არ გაგვიტხებს, ომი დაგვიყვს და თქუენმცა
 განა დაჰკოცენით. აწ გამიზუიხართ,
 წადითო. ამაზედა შეხედნა დარეჯანის-ძესა,
 თულად თურე შეუქუარდა და ეგრე
 უთხრა: აშენ, დიდო კაცი, თულად რასზე
 კარგი ხარ და მე ომისა მძებნელი
 ვარ. ინდოთა მეფისა ასული წამოიყვანია
 და ჩემთვის ომი ვერავეს გაუს-
 წორებია. აწ მინდა ესე. რომელმცა
 ვინმე შემგება და ომი განისწორა.
 აწ, თუ შეგძლია, შექმბი,
 თუ არა, წადი. ხარ, ღმერთო, დიდი
 და საკაბუკოდ შექმნილი, განა სიდიდე
 სიჯაბნესა არას აყენებსა.



ამირანდარეჯანიანი (XVII საუკუნის ხელნაწერი A-441)

ამირანდარეჯანის-ძემან გაიცივნა და ეგრე თქუა: ესე რა მრავალნი ეამნი დამიყო-
 ფიან და აწისგან კიდე ომი თუალითა არა მინახეს. განა ვინათგან თქუენ გწადიან, გამო-
 ვიცადო მეცა თავი ჩემიო, ნუთუშეცა კარგი ვიყო და უსახელოდ არ მოვეკუდეო. მან ეგრე
 თქუა: მაშა, ულონიოდ ჯაბანი ხარ, თუ ჯერ ომი არა გარდაგივდიო. თუცა გულოვანი
 იყავ, მრავალნიცა ომი გარდაგივდიო. ამაზედა ზურგი შემოაქცა და წაყიდა. ეგრე უთხრა
 დარეჯანის-ძემან: რად წახუედ, რად არ შემებო? რაზომცა ჯაბანი ვარ, შებმასა, დაკო-
 დასა და ჩამოგდებასა აღარა ღირს ვარო? ანთარქავეის-ძემან ეგრე უთხრა სიცილითა:
 უბადლო, ნუ თუ ვასწიბლდე და ვერა შეგეძლოს ნაკრავასა ჩემისა დადგომა და მოგკლა,
 მებრალეგბიო. ეგრე უთხრა ამირან: აზე ესე და იგი არა ვიცი, ესე ქარავანი ჩემი არის და
 გაგძრკულია და თუ ყულასა კელთა არა მომცემ, ზენაარმან ღმრთისამან და მებმან პარ-

რონისა ჩემისამან, რაცა ქარავენისათვის შენ და შენთა ლაშქართა გიყოფია, მასვე თქუნენ გიზამი. ამა სიტყუასა ზედა ვაწყრა იგი ანთარქავის-ძე და, გუერდით კაცნი ვინმე უღღეს კაბუენი, მათ უბრძანა: ეგერა ცხენისაგან ჩამოყარენითო და ქუეთინი მოპისხენითო. მათ ცაცთა ცხენი შემოვლიტივეს. მერმე ამირან ჩუენ გუიბრძანა: ჩემსა მზესა, ნულარც ეროსასა ნუ დაარჩენითო. ჩუენ განალაშკა შეუტრეეთ და მისლუასავე ჩამოყარენით და დავეოცენით. ამაზედა კელა უფრო ვაწყრა იგი ანთარქაის-ძე, ცხენი გამოიყვანა და წბილად აგინა დარეჯანის-ძესა: გამოედ, შეეცხნეთო. ვავიდა დარეჯანის ძე. ამაზედა მოვიდა ლაშქარი და კმა გაისმა: შეიბმინათო. მოდგა ლაშქარი ურცხუი. მერმე უბრძანა ლაშქართა ანთარქაის-ძემან: ზე უკუდევით, მე და ისი კაცი ოდენ შეეცხნეთო, თუალად რამე კარგსა ჰგავსო ცხენი შეუტრევეს ერთმანერთსა და იბრძოდეს დიდი ხანი. მერმე ალი მოჰამადის-ძემან მოაკსენა დარეჯანის-ძისა: მართლად დაგიწუნა მავა კაცმან, ვერა რაიმე შენებურად გხედაო.

ამა სიტყუასა ზედა გაიყვანა ცხენი და ეგრე უთხრა: აჰა, ალი მოჰამადის-ძეო, ამისი სისხლი შენსა თავსაო. ჰკრა კრმალი ჩაბალახსა ზედა და, თავმან მეფობისა შენისამან, წელთამდის ჩაჰკეთეთა და მოკლა. მისნი ლაშქარნი გაიქცეს. ჩუენ დევნად მათად აღარა გაგუიშუნეს. ეგრე გუიბრძანა: ამათი არა ბრალიაო. ვითა ჩუენ უკანა აღარა გაუდევით, ზოგნი დაიდანჩნეს და წავიდეს, ზოგნი მოვიდეს და თავუენისცეს. მივედით კარავთა მათთა და ლარქა სიმოელისა რიცხუი არა იყო. ვნახეთ იგი ინლოთა მეფისა ასულთი ეგეთი, ვითა მზე. გაეხარნეს დარეჯანის-ძესა და მუნვე მაჰრი გაუტეთა და ცოლად შეეროთ.

დაეყავით იგი დღე მათ კარავთა შოგან. ზოგნი ყმად შემოგუეწყნარნეს და უფროსნი გამოგუეთხოვნეს და ლარითა გაუშუენით. მერმე მოქარავენთი მოვიდეს, ქება შეასხეს და ეგრე თქუეს, ვითა: ბედმან ჩუენმან მოგიყვანა და, რომელი ჩუენი წაულია, გუიბოძეთო. რაცა მათი იყო, უკლებლად მისცა მიტრეფთა ტურფათაგან კიდე, თუალი და მარგალიტი დაევიჭირეთ და სხუა ყუელა კელთა მივეცათ. წავიდეს და ჩუენცა წამოვედით ბაღდადსა. ცნა ბაღდადელმან ამირ-მუშლმან და წინა მოგუეგება და დიად გაიხარა ჩუენი მისლვა. მერმე ამირან დარეჯანის-ძემან უძღუნა მუნებურნი ტურფანი და მათ უბოძეს დიდი საბოძეარი.

აქა დასრულდა კარი სეფედალე დარისპანის-ძისა. დაუსრულებელ ყენეს ღმერთმ: დიდება შეუობისა თქუენისა, აჰინ.

ქარი მებათე

მზინსა ზაბაშქისა აშხაპი

ისენედ, მეფეთ-მეფეო, ცხოვნი უკუნისაზედ! აღიღნეს ღმერთმან მოყუარენი თქუნენ-და და არცხუინოს ორგულთა თქუნეთა!

ბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან და ნადრობად გავიდა, თეარი ქორი მკლავსა უჯდა. კოკობი ამოფრანდა და მან ქორი მოუტევა, და ქორმან იგი კოკობი ჩამოილო და იგი ქორი მეტად უყუარდა. ზე გარდაბდა და მას ქორსა თუით უშუელა. ქუე დგა ჯერეთ მანბისა პარსა. და ორნი ლომნი გამოვიდეს შანბითა და შემოუტევეს. ერთი წინარე მოვიდოდა, ჰკრა კრმალი და მოკლა. კელა მეორემან შემოუტევეა, კელი მიყო მასცა და ყია შეუბყრა და იგიცა მოკლა. თავმან მეფობისა შენისამან, ეგზონ უჭირველად დაკოცა იგი ლომნი, ვითამცა კატანი ყოფილიყენეს. ჩუენ მოგუეწონა დიდად. ამაზედა კაცი ვინმე მოვიდოდა ეგეთი, ვითა კუპრი. არა თურე შოსანი იყო, განა თუით კორციმაცა შოსანი იყო. ძვი ლომნი მომჭუდარნი ნახა მან კაცმან, ფიცხლად ცხენისაგან ჩამოიჭრა და ტირილი დაიწყო. იგლეჯდა თმისა და წუერსა და ნაცარსა თავსა ზედა იყრიდა, რომელ რასხვა ღმრთისა ეწეოდა. ჩუენ, რა ეგეთი ბედითი საქციელი მოეინახეთ მის კაცისგან, გაგუეჟიბრდა. ხელი ვინმე გუეკონა. მიუდევით და ვკითხეთ, ვითა: ეჲინ ხარ, ძმაო, ანუ ისი ლომნი რას გეყოდეს, რომელ მათისა სიკუდილისათვის სტირია მან კაცმან ეგრე

თქუა: «არა ლომთა დაკოცისათუის ვტირ, განა ასეთი კაცი მინახავს და მისი ყმობა გარდამიყლია, რომელმან ესრევე ლომნი დაკოცა ნადირობასა შინაო. სიყეთე მისი მომეგონა და სიყმე, ამისთუის ვტირა. მაგრა ტირილისაგან ძლივ სიტყუასა გამოავებდა. შეგაუწყალა და ცხენსა მისსა გაესუთ. გუმიმიშა ჩუენ ტირილი მისი. წავედით შინა და ესე კაცი თანა წავეტანეთ.

ვითა ნადინი გაიყარა, ამირან დარეჯანის-ძემან ბრძანა მის კაცისა მოყვანა. რა მოვიყვანეთ, ვგრე უბრძანა: დაჯედ ქუე და მის კაცისა ამბავი შიამშეო, თუ ვინ იყოანუ რა ნაქმარნი გარდაუყლიაო და ანუ რა წაეკიდაო. ვგრე მოაკუნა: ამბავი მისი გრძელი არის და ნაქმარნი ზისნი ღიღინი, და თუ არა გეწყინების და მოისმენ ამბავსა მისსა და ნაქმარსა, ურელასა მოგაკუნებო, თუარა და ნუ მათქმეო. ვგრე უბრძანა: ჩემსა მზესა, თავითგან ბოლომდე ყუელა უკლებლად თქუიო. დასხდომა გუიბრძანა. ჩუენ დაესხედით. ესე კაცი დაჯდა და მშობა დაიწყო.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო! პირველად ესე მოგაკუნეო. მე სახელად რაიმე მქუიანი და ნობა ვარ. ცოტა ყმა ტყუიდ წამომიყვანეს არაბთა და მუნ არაბეთს გაზრდილი ვარ. რა მოვიწიფე და შულლი შემეძლო, მეკობრობა დავიწყე. ჩემ გუარნი კაცი მე ვაბჟუად ვერა ნჯობდა. სანნი ვინმე კაცი გამოჩნდეს სამი ათასითა კაცითა, არაბნი ლომნი ვაბჟენი. თუცა ძმანი არ იყვნენ, ვგზომ მოყუარულნი იყვნეს, რომელ არცა ძმანი და არცა სხუანი მოყუარენი არა ყოფილან ვგზომ მოყუარულნი, ვითა ივინი იყვნეს. აოკრებდეს ქუეყანასა და მრავალნი სოფელნი წაეხუნეს არა არაბეთსა შინა ოდენ, განა სადაცა მივი-

დღესა ესე მოგაკუნეო. მე სახელად რაიმე მქუიანი და ნობა ვარ. ცოტა ყმა ტყუიდ წამომიყვანეს არაბთა და მუნ არაბეთს გაზრდილი ვარ. რა მოვიწიფე და შულლი შემეძლო, მეკობრობა დავიწყე. ჩემ გუარნი კაცი მე ვაბჟუად ვერა ნჯობდა. სანნი ვინმე კაცი გამოჩნდეს სამი ათასითა კაცითა, არაბნი ლომნი ვაბჟენი. თუცა ძმანი არ იყვნენ, ვგზომ მოყუარულნი იყვნეს, რომელ არცა ძმანი და არცა სხუანი მოყუარენი არა ყოფილან ვგზომ მოყუარულნი, ვითა ივინი იყვნეს. აოკრებდეს ქუეყანასა და მრავალნი სოფელნი წაეხუნეს არა არაბეთსა შინა ოდენ, განა სადაცა მივი-

«ამირანდარეჯანიანი»
(XVII საუკუნის ხელნაწერი S-393)

ლიან, აოკრებდიან. მეცა მათთანა მიველ, ყმად შეეწყნარე. ვმეკობრობდით და სადაცა ლაშქარნი შეკუებდოდნიან, დავკოცინით და გაეაქცივით. დიდად ლომნი და კარგნი ვაბჟენი იყვნეს. მე ესე მეგონა, რომელ ამათებრი ქაბჟენი ქუეყანასა ზედა არა არიან ნეთქი. მოეწყინა ქუეყანასა ჩუენი ქირი. შეკრბა თურქი თორმეტი ათასი კაცი და ზედა მოგუიყდა. ესე მინახავს, რომელ მათ ჩემთა პატრონთა სამთავე ას-ასი კაცი მოკლეს და მო-ესრე-კლიან, რომელ უნაგირთაგან აღილიან, ქუეყანასა დასციან და მოკლიან. ომი გარდაკდა დიდი და ბოლოსა ეამსა გაეაქციენით. დავკოცინით ესრე, რომელ რისხუა ლმრთისა დავეცით მათ ზედა. ქუეყანასა შინა მათი ომი გაისმა და სიყეთე ქაბჟეობისა მათისა. ეგზომ დიდთა ლაშქართა გააქცივედიან, ვერაინ იკადრა ომი მათი და არცაინ შემომვირათა. ამაზედა გაემდირღით ეგზომ, რომელ არცა რიცხუი იყო, და არცა შეგება. ვინადირებდით და განხუთუენებდით. მათთა ზედა ედგით ზაფხულ და ზამთრის ბარსა ჩავიდით და ვინცა შეგუებიან, ყოველთა ეაჯობით.

დღესა ერთსა კაცი ვინმე მოვიდა და ვგრე გუარქუა: ამოვა ქარავანი დიდო, ინდოეთსა და სპარსეთს შიდიან. მალეით მოვლენ. თქუენგან ემინიან და თუ ვითა ვასკრსუთ, რა დაბადებულ იყვნეთ, ეგზომი არა აგელოსთ, მაგრა აწვე გითხრობ: ბაღრაჯა ჰყავს ოთხასი ცხენსანი. წავედით. ესე კაცი თანა წავეყვანეთ. რა მის ქარავნისა სიახლესა მივედით, დავესხენით ზედა. იგრძნეს ბაღრაჯათა და წინა მოგუეგებნეს, შევე-

ბენით. გაჯაქცივებით, დაჯკოცებით და ქარავენი და ვიონავერებით და ავიღეთ, რომლის-
 არა იყო რიცხუი და შვეგება. ზენაარმან ღმრთისამან, ეგზომი იყო, რომელ თულაშან,
 მარგალიტმან და სტავრამან დააძლო იგი ლაშქარი. სხუა არა აიღეს. სამნი ვინმე კაცი
 მის ქარავენისანი გაგუეჭუნეს. მეტად კარგათა ტაიკთა სხდეს, რომელ ეგეთნი არა მინახა
 ვან და არცა ნახულან. თუით სამნივე პატრონი და მათთანა ასი კაცი მათ კაცთა
 უკანა შერჩეს. არა თუ იგი კაცი გუინდეს, განა იგი ცხენი გუინდეს, მაგრა ვერ მივე-
 წივით. ამაზედა იმა სამთა კაცთაგან ორთა კრმალი გამოიწუადეს, შემოიჭკეს და ერთი
 მოუუასთ მათი შუა ჩაიგდეს და ცემა დაუწყეს კრმლითა და ისი კაცი, რომელსა სცემ-
 დეს, ჩუენ კრმ გამოიქცა—მიშველეთო. ჩუენ რა შეგუეძლო ცხენი შეუტყვეთ. რა მო-
 გუუწურნეს, იგივე კაცი, კრმლითა ნაცემი, ცხენისაგან ჩამოიჭრა და მათ ორთა მისთა
 მოუუასთა კაცთა მისი ცხენი შეიპყრეს და გაგუეჭუნეს. გზა და კუალი ველარა გავი-
 ლეთ მისი. მას კაცსა დაკოდილსა ზედა მივაღეგით და გაგუიყურიდა, ეთქუით თუ, რად
 უყენს ამა კაცსა. ზოგმან ზოგი თქუის და ზოგმან ზოგი: ვითა მტერნი იყენეს, მარტო
 დარჩა და მით უყვესო.

იგი კაცი დაბნედილი იყო და მით ვერა გუითხრა. ცხენსა გავსუით, იმიერ და
 ამიერ კაცნი დაუყენებით და თანა წამოვიტანეთ. გუიხაროდა ეგზომ დიდისა ქარავენისა
 გარტება და ეგზომისა ალება. ვერე ბრძანეს პატრონთა ჩუენთა, ვითა: ზედა დადგით და
 ეგე კაცი გაამთელეთო. დაკოდილი იყო, მაგრა სასიკუდილო არა სჭირდა-რა. ჩუენ
 გუიმიძიდა. მათ კაცთა წასლვა და ცხენთა უფრო, რომელ ეგეთნი ცხენნი არავის უნახვან.
 ამა კაცსა ენა მოედგა და ჩუენ კითხვა დაუწყევით: რად გიყვეს მოუუასთა შენთა, რომელ
 დაგაადეს და დაგადეს. მან * ეგრე თქუა, ვითა: ვირე მე სრულად არა გამამრთელებთ,
 არა ვირტუიო. ზედა დაეადგეთ და გამრთელდა, იგი კაცი მოიუწუნეს და ჰკითხეს. მან
 ეგრე მოაკუნეს: ამისგან კიდე არა ვიცი, რომელ მე მის ქარავენისა ეტრევი ვიყავ და ეგრე
 ეთქუი: ოდეს ინდოეთით წამოვიდოდით, ესეთსა გზასა წაგყევანენ მეთქი, რომელ ვერა-
 ვინ რა გავნოს. რომელთა დამკოდეს, ისინი მის ქარავენისა უფროსნი და თავადნი იყენეს
 და ისი ცხენი, რომელ წამგუარეს, მათივე იყო და ნათხობად მყევა. რა თქუენ მოხუე-
 დით და დაგუიონავერებით, ჩუენ გაეიქციეთ. ღმერთი შემრისხდა და იმათ მეოტთა თანა
 გაეიქცე და ეგრე მარქუეს: საქონელი საქონლად აღარა გუაქქეს და ლაშქარნი დაგუი-
 კოცნეს, ესე ყუელა განზრახვით შენ გუიყავო და აწ მრთელსა აღარა გაგამრთებთო, რომ-
 მელმცა წახლიდენ შინა, წამოუძლე და რემა ჩუენი წამოასხმევირო. კრმლები გამოიწუა-
 დეს და, ვითა მხედავთ, ესრე გამკადეს. რემისა მათისა ესე იცოდენ, რომელ ესეთი ცხე-
 ნები გამოვა, ვითა გინახავს, და თუით ისინი არა კარგნი იყენეს და არს ასი ათასი
 კრდალი. ესე მის კაცისაგან დაეიჯრეთ და ეგრე ვარქუით: უბადლო, ვერა წამოგუას-
 ხმევა. მან ევრე გუარქუა, ვითა: ამაჲ კაცთა ჩემი სიეუღული ჰგონია და მით აღარ გა-
 უფროთხილდებთან, დასტურად წამოგასხმევე, თუ არ გეშორებდით. მაგრა ორმოცისა დღი-
 სა საუალი არისა.

ჩუენ მათ ცხენთა სიყთომან და რემთა სიდიდემან ეგრე შეგუახარბნა, რომელ სხუა
 ველარა გავიგეთო. ამა კაცსა კარგად ქცევა დაუწყეთ, მოუგობდა და დაეგმზადენით.
 ჩუენცა წინა წაგუიძლე იგი კაცი. ციხე იყო მაგარი და ჩუენ ლარი მუნ დავეჭრიბეთ.
 წაყედით და ვლეთ ორმოცი დღე. ქედი იყო დიდი და ზედა წაყადგეთ. სძოვდა რემა,
 რომელ არა იყო რიცხუი და არცა შვეგება. ეგრე თქუა მან კაცმან წინამძღუარმან: ამა,
 რემა მისიო. და წამოსხმი მით ძნელი იყო, რომელ გზა შორი იყო, თუარა არცა ვინ
 ნეკრებულ გამოვალს და ვერცა ვინ იკადრებსო. გაიცინა მანვე კაცმან და ეგრე თქუა:
 ვერამცე შევსკოდენ ჩემისა დაკოდისა თასი და ნაცვლიო. ჩაგზახენთათასი კაცი და მოექცა
 რემისა უკანა. უკაცურსა აღაგსა სძოვდა. წამოასხეს იგი რემა და წამოყედით. არავინ
 გუინახავს კაცი, მაგრა რემისა სიდიდისაგან გუიანად ვიარებოდით. გუიხაროდა მის რე-

* აქედან აკლია A ზელნაწერს.

მისა სიკეთე, რომელ ვიწონეთ, იყო ოცი ათასი ცხენი. ამა ჩუენსა ეტეკსა უხაროდის და იცინოდის, გადგის ქედსა ზელა* და უკულმართ იხედვიდის და ეგრე თქუის: მდევარი არავინ მოვა და ვირემდის სცნობდენ რემისა წასხმასა, ჩუენ, სადაც გუინდა, მოვალთო, და ხშირად იხედვიდის უკულმართ.

ერთი ბერეკაცი ვინმე იყო ჩუენთანა ლაშქართა შინა და ეგრე გუითხრა, ვითა: მე ბერეკაცი ვარ, მეკობრობათა და ომთა შოგან გაზრდილი. თუ ისი კაცი, ჩუენი ეტეკი, არა ჩუენსა მუხთლობასა შინა იყოს, მაშა, მე თურე არა ვიციო. ზოგთა გაჰქიცხეს და ზოგთა არა უსმინეს. სამი დღე ვიარეთ. იხედვიდის იგი ეტეკი უკულმართ. ამაზედან ოთხნი ცხენოსანნი ნახა და ეგრე თქუა, ვითა: აგერა შორს ოთხნი ცხენოსანი მოვლენო. განა სხუა არა მგონია-რა, ამბეისა მცნობელნი არიანო. გაეხარნეს მას ჩუენსა ეტეკსა მეტად და მოგუწუენეს. ერთი დიდი კაცი დიდსა ტაიქსა ზელა ჯდა, დიდად შუენიერი და ყუელასაგან უფრო წინათ იგი მოვიდოდა და იგი სამნი კაცი ჯუან მზოიოდეს. ამა ეტეკმან ჩუენმან იცნა და ფიცხელნი გაიციინა და ეგრე თქუა: გამო-ღმერთო-გცდის, თუ რაძა ქაბუქნი იყენეთო.

ჩუენ დაგუიმძიდა მეტად ესე სიტყუა მისგან, მაგრა არად გავიკუირენით. ჩუენ სამი ათასი ცხენოსანი ვიყენით და იგინი ოთხნი. წამოელო მან კაცმან წინა და გარდა-გულიდა მუნ, სადა ჩუენი გზა იყო და ეგრე გუითხრა: ივინ ხართ, ძმანო, ეგე რემა ჩემი არის. მე ვარ ნზექაბუქო. მაგა ჩემისა რემისა წამოსხმა უბადოდ გიქმნიათ. აწ თუ მოს-მენთ ნათქუამსა ჩემსა, დაყარეთ ეგე რემა ჩემი და მშუილობით წადით, მით რომელ მოც-თუნებულ ხართ და ამას გზასა წამოსულხართა. ჩუენ პასუხი არა გავეციით და კულა იგივე სიტყუა გუითხრა. ვაგინეთ ჩუენ. მერმე მას, ჩუენსა ეტეკსა, ჰკითხა, ვითა: არაბნი არიანო? მან ეტეკმან ეგრე უთხრა: არაბნიო. კელი მიჰყო და ყმასა ოროლნი გამოუხუნა და ეგრე უთხრა: რადგან არა ისინიეთ, თქუენი სისხლნი თქუენსავე თაქსა იყენნო.

ფიცხლად შემოუტრევა, გამოეგებნეს სანნივე. წინა პირველად რომელი მივიდოდა სახლესა, აიღო, ოროლითა დასცა და მოკლა. მერმე ოროლნი დაყარნა. კრმალი გამოი-იღო, ჰქრა მეორესა და მოკლა იგივე. მას მესამესა კრმალი არა ჰქრა და ეგრე თქუა: ზედაე, ვითართა კაცთა აბჯრითა ვებრძვიო. ფიცხლა კრმალი ჩაიგო, კელი მიჰყო, უნა-გირთაგან მოჰკადა და ქუეყანასა ზელა დაჰქრა და მოკლა. ამაზედა გავიქციენით. მოგუე-წიენეს და აგუწუიდნეს, რომელ რისხვა ღმრთისა დაგუცეს. მე დაკოდილი ვიყავ და ცხენიცა დაკოდილი მყუა. ზელა მომადგა მზეკაბუქი და ეგრე მიბრძანა: ზედეშაო, რამ მოვავონათ ამა ჩემისა რემისა წამოსხმაზე მე ეგრე მოვახსენე: აამან ჩუენმან ეტეკმან მოგუაცთუნა. იგი ეტეკი დგა და იცინოდა და ეგრე თქუა: ნეტარ ნზისა ქაბუქისა რემა ქარაიანი გეგონათო?

ოდეს ეცანით უჯანის, მის ეტეკისა დაკოდა ყუელა ხრიკი ყოფილიყო, და მოგუა-ლორნეს და რემა წამოგუალეზინეს მის მზის ქაბუქისა და დაგუაკოცინეს. ჰკითხა მზემან-ქაბუქმან მას ეტეკსა: ვითა იყო, მითხარო. მან თავითგან ყუელა მოაკსენა და კულავე ეგრე თქუა: თუცა ესე ხრიკი არა გუევემნა, იგინი აქა არა წამოვიდოდეს და სხუაებრ ვერავინ მოერეოდა თქუენგან კიდე. ამით მოვაცთუნენით და თქუენი რემა წამოვასხმე-ვინეთ და თქუენ, ვითა შეჰგვანდა, სისხლნი ჩუენნი სძებნენითო. ამა სიტყუასა ზელა გაიციინა მზემან ქაბუქმან და ეგრე ბრძანა: დიჭალ, ღმერთო, კარგი ხრიკი მოგიგო-ნებიათო.

წავედით და მე თანა წამიტანა. ესე იყო პირველი ომი მზისა ქაბუქისა, რომელ მე ვნახე, თურა ომნი მრავალნი და საკუირველნი გარდაეკადნეს. მე გავმრთელი წულუ-ლებისაგან და მიბოძა საბოძვარი დიადი და ეგრე მიბრძანა: წაედ შენსა სახლსაო. მე ეგრე მოვასენე: სახლი ჩემი არსად არის, მე იმათი ყმა ვიყავ. აწ რადგან იგინი იღარა არიან, ვირემდის ცოცხალ ვარ, თქუენი ყმა ვიქმნები, მე თქუენებრივ პატრონდ სადა

* აკამდის აკლია A ხელნაწერს.

ეპოეოთა საუბარი შეიქმნა და ეგრე ბრძანა: ამიმიმს ნეცა იმა კაცთა დაკოცა. რბილად ვეუბნებოდი და ოგინი გაფიცხდეს. განა არაბნი დიდად ამპარტაყანი არიან და რბილად მბობა ყოლა არა მოუკლებს. ენახე სახლი და დიდება, რომელ არა ითქმის კაცისა ენი-საგან. ენის წიხისა ჰაბუქისა ესე მოგაქსენო, რომელ რა მე დაგებადებულვარ, ჩემითა თუა-ლითა მე იმისი უშუენიერისა არა მინახეს-რა და ჰაბუქობასა თუთი მოისმენ.

მონადირე იყო და ხშირად ნადირობდის და ყოლ მტერად არაეინ უჩნდა და ევრცა ეინ რას ჰადრებდის. დღეცა ერთსა ნადირობას ვიყვენით. მშუილდოსანი იყო ეგეთი, რომელ არა ნახულა მისებრი. ინადირა დიადი, კაცი ვინე მოვიდა მას ნადირობასა შინა და ეგრე მოაკსენა, ვითა: ჟინთაგან ნადირობა ესრე გიყუარს, მე წაგყავან სა-ნადიროსა ეგეთსა, რონელ მისებრი არა გენახოს. მაგრა შორი არის. თუ სიშორესა არა ეთიღებო. სანადირო მისებრი არა ნახულა. გაეხარნეს მზესა ჰაბუქსა და წამოედიოთ შინა. იგი კაცი თანა წამოვიტანეთ. ეგრე უბრძანა: ეინ ხარ და ანუ სადაური ხარო. მან ეგრე მოაკსენა: ღარიბი ვინმე კაცი ვარო, არცა მე მიცნობ და არცა ჩემსა ქუეყანასაო. კუ-ლავე უბრძანა: რაზომ გუშორავს იგი სანადიროო. მან ეგრე მოაკსენა: არს თხუთმეტისა დღისა საუალო. მერმე ეგრე ბრძანა, ვითა: ზენაარმან ღმერთისმან, თუ ორმოცისა დღისა საეალოც არის. მაშინცა წავალო. შეეკახშენით და წავედით. წაუვიძლუა იგი კაცი წინა და ვიარეთ თორმეტისა დღისა საეალო, ადვილი ძნელნი და უბადონი. ჩუენ გუიმიმიდა პირველ სიშორე გზათა და მერმე სიძნელე. მზესა ჰაბუქსა არა გაოდის. მივედით მას ად-გილსა. დაგუხუდა ქუეყანა დიდად შუენიერი და სანადირო დიდად კარგი. ეინადირეთ დიადი. ამისაგან კიდე არა იყო აუჯი მის სანადიროსი, რომელ მკეცთა სიმრავლე დიდად იყო. განა მზესა ჰაბუქსა არა გაოდის, ვითა კაცთა, ეგრე ჰკოცდა ღომსა. თამან მეფო-ბისა შენისამან: მრავალჯერ მათრავითაცა მოკლული ღომი მინახეს მე მისგან, თუარა კრმლითა არა საეურველია.

დღეცა ერთსა ნადირობას ვიყვენით და ქორი ასკატასა მოუტევა. ფიცხლა ჩამო-ილო. ვარდადა ცხენისაგან და თუთი უშუელა. ამბუდა ორნი ღონნი გამოვიდეს შამბი-დღმან და შეუტივეს. ფიცხლად კელი მიპყო, ყია შეუპყრა, შესტყორცა მას მეორესა და ორნივე დაკოცა. აწ თქუნებან ოდეს ღომთა მოკვლა ენახე. ამნსთუის აუტირიდი, რომელ მაშინდელი მისი ნაქმარი მომეგონა, ეგრევე ადვილად დაკოცა ღომთა. დაგუყავით მუნ ხანი რამე და დიადი ვინადირეთ და დიდად მოეწონა იგი ადგილი მზესა ჰაბუქსა, მაგრა ესე გაუკვირდა, რომელ ეგრე კარგსა ქუეყანასა სამისა დღისა საეალსა არცა სო-ფელი და არცა ქალაქი არა იახლა. განა ამას ეაგონებდით, რომელ ეგზომისა მკეცისა სიმრავლესაგან ვერა მივიდოდა კაცი. უბრძანა მადლი წინამძღუარსა მას კაცსა, რომელ ევზომ კარგსა სანადიროსა მომიყვანეო. მან კება შეასხა და ეგრე მოაკსენა, ვითა: ამა ქუეყანასა, ღმერთო, შენგან კიდე ნადირობად ვერაეინ მოსრულაო. განა შენ რაზომ ღონი ხარ და ჰაბუქობისა შენისაგან ყლელა ადგილი არსო. მაგრა ეინთაგან ეგეთი ჰა-ბუქი ხარ და აქა სიახლესა სხუა ვიცი ქუეყანა და სანადირო ეგეთი, რომელ ესე არათი გაეს მას, ვითა თქუნენ ერთსა უბადოსა კაცსა არა ჰგავთ, მაგრა აწვე მოგაქსენებ, რომელ მკეცთა სიმრავლე საშინელი არის. და ამას გარეთად სხუა ადგილი არის დღისა ერთის საეალსა ეგეთი, რომელ სულიერი ვერა ეიებალემის. მკეცი არის ესეთი საეურიველი: ნეს სახელი არაეინ იცის. ევრცა ეის გაუტლია. დიდი არის უზომოდი, პი-ლოს ოდენი. მსგავსი ღონისა და პირი კაცისა ათქს. მაგრა შებმა მისი მოუეალი არის კაცისაგან ამაღ, რომელ მარტორქა იყო მას ქუეყანასა უზომოდ დიდი. აილო იგი, დას-ცა ქუეყანასა ზედა და მოკლა. მას მკეცსა ღონ-კაცი ჰქუიან. კაცთაგან გუასნია ამბად, თუ ესეთი არისო, თუარა იცის არაეინო. ჩუენ დაგუიმიმიდა მის ამბისა თარობა და მის კაცისათლის გული გავიწყრეთ და მზეკაბუცი ჩუენ გავიწყრა, ვითა: თუ ამბაეცა გუთხ-რობს, რად უწყებითო. უბრძანა მას კაცსა: წინა წაგუიძელო და მიგუიყენენო მას სანადიროსა. მან კაცმან ეგრე მოაკსენა: საფიცი მომეც, რომელ მუნ აღარა წამიტანო,

სადა იგი მკეცი არისო. ნერმე ვგრე უბრძანა მტკიცედ: იყოღე. რომელ შენ დასტურად არა წავიტანო. მაგრა გუიჩუენე შოროთო.

წავედით წას ქუეყანასა სანადიროდ დიდად უკეთესსა მის პირველისასა. დაედგეთ მუნ და ვნადირობდით. მკეცისა სიმრავლე დიადი იყო. მართლად თქუა მან კაცმან. ეგეთთა მკეცთა სიმრავლე ჩუენ ვერას გუაგენებდა. ვეოკლით ჩუენცა, რომელნი მუნ იყუენით. მაგრა მზეკაბუეი ვითა კატთა ჰეოკლა ლობთა. გუჭონდა შიშად მას მკეცსა ზედა მისულა მზისა კაბუეისაგან. ვითა ვინადირეთ და დაეყავით მუნ დაადი ღლე: ეგრე უბრძანა მას კაცსა: გუალე და მიჩუენე იგი ადგილი, სადა იგი მკეცი არისო. ატირდა იგი კაცი და ეგრე მოაკსენა: შვიწყალე კაბუეობა შენი და ნუ წაბუალ მის მკეცისათვისა. ეგრე უბრძანა მას კაცსა, ვითა: ვინათგან აქა მოსრულეარ, წასლვისგან კიდე სხუა ღონე არა არისო. უძმიმდა მას კაცსა: განა ღონე არა იყო. ჩუენ ვერას ევაზებუდა. წაუედით და ზედა წვაიდგეთ. ქუეყანა იყო შვენიერი. თქუა მან კაცმან: თუა იგი ადგილი და ქუეყანა. სადა იგი მკეცი არსო. წაუედით და ნადირობა დაეწყეთ. მას თუქუ არუა არ იყო. უბრძანა მას კაცსა წინამძღუარსა: სტყუევე, სად არას იგი მკეციო. მან მოაკსენა: იყო დასტურად, არა მიმტყუენიო, მაგრა წა-თერესადა-ვიდაო.

ამა საუბარსა ზედა სული თურე იცა კაცთა და მოვიდოდა იგი მკეცი, შაბხსა გამოღეწდა, ეგრეთა მისთა კმა კლდეთა რღლევისა ჰგანდა. იყუელა მან კაცმან და გაიქცა. მზემან კაბუემან აბჯარი ჩაიციუა, ცხენსა შეჯდა და ხიშტინ კელა აიხუნა. გენახა—ამას ბრძანებდი თუ — ერთი კაცი ამისებრი არუეთ უნახავსო. გამოვიდა იგი მკეცი მამბით და მიხედუიდა მზისა კაბუეისაკენ. იბრღლუინენა და შემოუტეგნა. მზემან კაბუემან ცხენი გაათიქსა და მანცა შეუტევა. პირველსავე მისლვისა ზედა ხიშტინი ჰქრანა პირსა მისსა და ყიამდისინ ჩაქუეთა და შიგან ჩაასუნა და შეუღნი დაუნა ცხენსა მზისა კაბუეისასა. მზეკაბუეი ქუე ჩამოიქრა, ზე ადგა და კრმალი გამოაწუადა, ქუეითად შეუტევა, მაგრა არა ნახულა კაცისა თუალითა ომი მისი მსგავსი. მზეკაბუეი კრმალითა სცემდა და იგი მკეცა თაოთთა. ოდესცა აბჯართა ზედა თათი ჰქრის, კმა გამოჰდის ეგეთი, ვითა ქება. და ოდესცა მზემან კაბუემან ჰქრის ძუალთა მისთა, ეგეთივე მას გამოჰდის. იბრძოლეს დიდი ხანი, მაგრა იგი მკეცი პირველსავე ნაკრავსა ზედა შეაუებულყო. თავმან თქუენმან, ესრე არა დამაშურალიყო, ვითამცა ნადიმად ჯდომილიყო. იყიელა მზეკაბუემან და თქუა, ვითა: აწ ნაბოთ კაბუეობა და მკლავიანა ძალი და ნაკრავისა ნაკუეთი ამა მზისა კაბუეისაო. შეუნახნა და ზურგსა კრმალი ჰქრა, და შუაზღდა ორად გაკუეთა და დაეცა იგი მკეცი და მისსა დაცემასა ზედა ქუეყანა შეიძრა. ოდეს დავებდენით, ყოვლისა ქუეყანისა კაცი ზედა მოაღვა. რა იგი მკეცი მკლდარი ნახეს, მოვიდეს და ყოველთა ქება შეასხეს და თქუეს: არა ნახულა კაბუეი შენებრი პირსა ყოვლისა ქუეყანისასა. ვაგებარნეს მის ქუეყანისა კაცთა ამისთვის, რომელ იგი კველა ქუეყანა მას მკეცსა აეოკრა. უძღუნეს ურიცხუი და ჩუენ შეგუეჭნა სიხარული.

დაეყავით მუნ დღენი მრავალნი. ოდეს უკანის ვცანით, იგი ეტივი მის ქუეყანისა იყო და თუით განზრახუით მზისა კაბუეისა წასაყვანად მოსრულყო. ასწიოდა ქება კაბუეობისა მისისა, ვინადირებდით და განვიხუენებდით, სიხარული იყვის დიდი. მათ უკაცურთა ადგილთა მას ქუეყანისათა შენება დაიწყეს. მოუინმე-ვიდა დადებული კაცი მის ქუეყანისა მზისა კაბუეისა ნახვად. ქება შეასხა და ეგრე მოაკსენა, ვითა: ყურთხელმცა არს იგი, რომელსა შეუქმნიხარ, და მიწა იგი, რომელსა გაუბრძინხარ. რომელ არა არს შენებრი კაცი პირსა ყოვლისა ქუეყანისასა და დიდი ძლუენი უძღუნა. დაყენა მან კაცმან ჩუენთანა დღენი მრავალნი, ინადირა და განისუენა და ეგრე არქუა მზესა ჰაბუქსა: საუბარი მიც შენთანაო. უბრძანა: მითხარო.

იგი ქუეყანა და იგი კაცი ხაზართა მეფისა იყო. ეგრე მოაკსენა მან კაცმან: იღუმალ, რაცა ვიცო, მოგაკსენებო და თქუენ. რა უნდა, რე ვქენით. თუალად და კაბუელად დღეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა შენებრი არა არს და შე ამა საქმესა შენთანა არა დავმაღავე. ხაზართა მეფე არის ყოვლისა ქუეყანისა პატრონი და თუითმპყრობელი. ძე

არა უვის, ასული უვის, ქალი ეგეთი, რომელ მისებრი ჯერეთ დღესამდის არავის უნახავს და ზენაართა მამისა მისსა ხაზართა მეფესა უთქუამს, ვითა: სანამდის ეგეთი ქაბუკი არა ვპაოვო, რომელ მისებრი ყოველსა ქუეყანასა ზედა არა იყოს, მანამდის ამა ასულსა ჩემსა არავის მივსცემ ცოლადო. აწ შენ მინახაგზარ და ქება შენი* მასშიოდა, მაგრა ვითარი შენ ხარ**, ვერავის ეგო ქება შენი. ხაზართა მეფესაც ასშია ქება და სიკეთე შენი და ისი კაცი მას გამოეგზავნა, რომელმან მის მკეცისათვის მოგყვანა და შენ გავიმარჯუა ღმერთმან და მოკალ მევეცი იგი, რომელი მოუგონებელი იყო კაცისაგან, რაცა შენ ჰქმენ. აწ ასშია სიკეთე და სიშუენიერე პატრონისა. ჩემისა ასულისა და მოსრულან წაყენებად მისად ქველნი და გოლიათნი იგი ღამარ ღაზნელი და ორდავარელი და მოსორ ნადირის-ძე. ესე სამნი მოსულან და ქალაქისა კართა ზედა დგანან და იმარინდოს მოელოდეს, მაგრა იმარინდოს ეგრე იტყუიან, ვითა: მისებრი ქაბუკი არა არს პირსა მიწისაჲაო. აწ მათგან რომელიცა სჯობდეს, ასულსა მისსა ცოლად შერთავს იგი ხაზართა მეფე და სამეფოსა მისსა მისცემსო. ესე მე ვიცოდი და შენდა მომეცნენებია და შენ, ვითამცა გვადიან, იგოცა ქმენო.

ღამადლა მზემან ქაბუკმან და ეგრე არქუა, ვითა: შენ კარგი კაცი ხარ და ჩემთვის კარგსა იტყუი ყუელასაო, აწ წამიძელ წინა და წავიდეთო. მან ეგრე მოაკენა, ვითა: შენ აქა ნადირობად მოსულხარ, მაგა ცოტათა ლაშქრითა, გაგზავნე კაცი და შენი ლაშქარი მოასმეგინეო. ამა სიტუასა ზედა მზემან ქაბუკმან ეგრე არქუა: მე ლაშქარი არად მინდა, ჩუენცა კმა ვართო და აწ შენ წავუძიელ წინაო.

წავუძიელა წინა იგი კაცი და სადაცა მივიდოდით, მან კაცმან, ვითა პატრონი. ეგრეთ დაგუავენის. ქალაქნი და ქალაქნი წინა მოგუეგებოდიან, ქებასა შეგუასხმდილი. ეგრე დიდებითა მოვიდოდით. მას კაცსა, რომელი ჩუენთანა იყო, აბრამ ერქუა: დიდებული კაცი იყო და იტყუადეს ამასა, რომელ ესე ხაზართა მეფისა გამზრდელი არისო. ვიარეთ ოციასა დღისა სავალი და მივეწურენით ხაზართისა თავადისა ქალაქამდის. სამისა დღისა სავალი სხუა გუედვა. კაცი ვინმე მოვიდოდა და აბრამს რამე უთხრა იდუმალ. მზემან ქაბუკმან ეგრე უბრძანა მას აბრამს: ვინ არს ეგე კაცი და ანუ რა ამბავი მოილოო. აბრამ ეგრე რქუა: მშუადობა არის და თუთ გაიკითხოო. ჰკითხა მას კაცსა მზემან ქაბუკმან, რა იციო. მან ეგრე მოაკენა, ვითა: მოვიდა იგი იმარინდო მეტად დიდითა ძალითა და დიადითა მოკაჭმულნი სტავრისა კარაენი უდგან ძოწეულისანი და ლაშქარი ახლავს დიად დიდი. ღამარ ღაზნელი, და ორდავარელი და მოსორ ნადირის-ძე ესენი აღრიტგან დგანან და კარგნი ქაბუკნი დიდითა ლაშქრითა და ესერა დორათ დილამი და ამირ იამანელი მოვლენ დიდითა ლაშქრითა.

წავედით ჩუენცა და უკანა მივეწივენით მას დორათ დილამსა და ამირ იამანელსა და ცალკერა ჩუენ დაედეგით. იგინი ამპარტავანნი კაცნი იყვნეს და არცარა შემოლუხანგნესხესა ქაბუკსა და არცარა ნახვად მოვიდეს. მერმე მზემან ქაბუკმან ეგრე არქუა აბრამს, ვითა: აბრამ, ვინათგან იმა კაცთა ჩუენ არა გუნახეს, ჩუენ მივიდეთ და იგინი ვნახნეთ, მაგით ჩუენ არა დაგუალდებდისო. წავედით ნახვად და ვითა მიმავალნი გუნახეს, წინა მოგუეგებნეს, ერთმანერთი მოიკითხეს. მივედით კარავსა მათსა და ზომისაგან მეტად მოეწონა მზეკაბუკი და თქუეს: არა არს ქაბუკი ამისებრი ქუეყანასა ზედაო. პური მუნ ვკამეთ და ნადიმცა მენეე გარდავიადეთ და წამოვედით ჩუენსავე კარავსა.

მეორესა დღესა დარბაზობად იგინი ჩუენსა მოვიდეს. პური ჩუენსავე*** კამეს და ნადიმცა ჩუენსა გარდავიადეს და წავიდეს მათსა კარავსა. აბრამ ეგრე მოაკენა: ვხვდაე, რომელ ამა ქუეყანისა პატრონი შენა ხარ და მინახავს ქაბუკობა შენი. აწ თქუენ ნადირობით წამოსრულნი ხართ და არა გაქუსთ-რა და აქა, ამთა ქაბუკთა მიცემ ნუთუ რა კამდეს. მიბრძანეთ, მოგართუამ და უბოძეთო. დიუმადლა დილად მზემან ქაბუკმან და

* აქედან B ხელნაწერი რესტავირებულა.
 ** აქედან ალია D ხელნაწერს. *** აქ თავდება B-ს რესტავირებული ნაწილი.

ეგრე უბრძანა: მიცემა კამს, განა შენ რად იჭირავო. გაგზავნა კაცი და მოაღებინა შესა-
ნოსლები და სტავრები მეტად ტურფანი. ქალაქი იყო დიდი და მისისა პირსა ვლდევით
და იგი კაცი მისსა ყუელასა სამეფოსა უხუცესად და თავად აღჩენილყო ხაზართა მეფე-
საგან. და უბოძა საბოძვარი დიდი მზემან კაბუქმან დოჩათ დილაშსა და ამირ იამანელსა
და წავიდეს შინა.

მეორესა დღესა ავიყარნით და წავედით. დორათ დილაში და იგი ამირ იამანელი
მოვიდეს და ეგრე მოაკსენეს: ჩუენ შენი მონანი ვართ; ვინათგან ესეთი კაცი ვნახეთ,
დღესითგან წაღმა ვითამცა შენი ვართო და სადა ჩუენ მივალთ, მუნ სხუანიცა დგანან.
კაბუქნი იგინი ერთგან დგანან და ჩუენ თუ გუიბრძანოთ, შენსა წინაზე ვიყუენეთო. მაღლი
უბრძანა მზემან კაბუქმან: თქუენ ვითამცა ჩემნი ძმანი ხართ, დია, ღმერთო, ერთგან დაუ-
ღგეთ და ეს დასტურ ვერავინ შეგუაბუცოს, თუ არა ძმანი საწინივეო. თაყუანისცეს და
წამოვედით, მივედით ერთა ქალაქისათა. დგეს იგი ოთხნი კაბუქნი იმირინლო და ღამარ
ლაზნელი, ორდავარელი და მოსორ ნადირის-ძე. იმარინდოს ელვა წითელი პალატი და
შიგან ძოწუელნი კარაენი და ლაშქარნი დიადი. და იგი სამხივე კაბუქნი მას გუერდით
დგეს. მზეკაბუქი ნადირობით წამოსრული იყო და ლარი არა ჰქონდა. წინათ წავიდა აბ-
რამ, და ვირე ჩუენ მივიდოდით, ჩამოიხუნა საკრამანგნი კარაენი და პალატი დაჯგა
მზისა კაბუქისათვის და ლარი, ვითა ხუდების საგებელითა, ნოხითა და ტაშტაბრაგითა და
ყოვლითა ფერითა შეკაზმული იყო. წივედით და გადავედით მათ კარაეთა შინა, და დადგეს
ჩუენსა გუერდით დორათ დილაში და რგი ამირ იამანელი. დაეყავით იგი დღე მუნ და ესე
გაითქუა ყოველსა კუეყანასა შინა, ვითა: მოვიდა მზეკაბუქიო. ვამოვიდა ყოველი კაცი
ნახვად მზისა კაბუქისად. თქუა ყოველმან კაცმან: არა გუინახავს ერთი კაცი ამისებრიო.

მეორესა დღესა კულა მოვიდეს დარბაზობად იმარინდო, ღამარ ლაზნელი, ორდავარ-
ელი და მოსორ ნადირის-ძე. თულად უკეთესნი კაბუქნი არა ეგებოდეს. იმარინდო კარ-
გი და საუფლო კაცი იყო, განა ეგვით ვერა იყო ვითა მზეკაბუქი, თუარა სხუდ კაცად
კმა იყო, მხიარული, ამხანაგი და შდაბალი, მზესა კაბუქსა მოეწონა. და ღამარ ლაზნელი
იყო დიდი კაცი, საქაბუქოდ შექმნილი და უებარი, მაგრა თულად იგიცა კმა იყო, და
ეგვით ვერა იყო, ვითა იმარინდო. გვანდა, რომელ მესისხლე იყო. და იგი მოსორ ნადი-
რის-ძე და ორდავარელი იგინიცა კარგნი კაბუქნი იყვნეს, მაგრა ყოველთა უკეთესი იმა-
რინდო იყო.

მას დღესა აღარა გაუშუა მზემან კაბუქმან, პური მუნ კამეს და ნადიმი მუნ გადა-
იკადეს. მისცა მისაცემელი ყოველთა დიდად. მას პურობასა ზედა მო-ვინმე-ვიდა დიდებუ-
ლი ხუასრო ხაზართა მეფისა კიდის-კიდე. ყოველთათვის საბოძვარი ჰქონდა, მაგრა მზისა
კაბუქისად დიდად ებოძა და ცოტად, უმცროსი იმარინდოსათვის და სხუათათვის სწორად
ებოძა. ეგრე ებრძანა: ვაშად რომელ ბრძანეთ და მოხუდით, დიდად ვამეხარნეს მე თქუე-
ნითა მოსვლითა. ადგეს და ყოველთა თაყუანისცეს და იგი დღე დაჰყვნეს მუნვე.

მეორესა დღესა მივედით იმარინდოსასა და ყოველნი მუნ შემოკრბეს. ეგრევე გ. რ-
დავიკადეთ ნადიმი და ყუელასა კიდის-კიდე უძღუნა იმარინდომან. ეგრევე მოვიდა იგი
კაცი მეფისა, მოილო შესამოსლები და საბოძვარები კულა კიდის-კიდე ყოველთათვის. იგი
დღე მუნ დაეყავით. იყო დიდი სიხარული, ბახტანი და მოშითინი იმურდეს და განცხრე-
ბოდეს და გაეისუენით.

რალასა ვაგრძელებდი, შუიდნი კაბუქნი იყვნეს: მზეკაბუქი. იმარინდო, ორდავარე-
ლი, დორათ დილაში, ამირ იამანელი, ღამარ ლაზნელი და მოსორ ნადირის-ძე და ყო-
ველთასა კიდის-კიდე მივედით და ნადიმი გადავიკადეთ. ეგრევე ერთმანერთსა უძღუნი-
დეს დიდასა. ყოველთა მეფემან საძოვარი უბოძის. და დაეყვნით შრავალნი დღენი და
ეასპარეზობდით, ვიმღერდით, ენადირობდით და სიხარული იყვის დიდი. მშვიდდოსანსა
ყუელასა მზეკაბუქი სჯობდა, მოასპარეზესა ყუელასა იმარინდო სჯობდა, ოროლითა მომ-
ღერალსა ყუელასა ორდავარელე სჯობდა. ცხენოსანსა ყუელასა დორათ დილაში სჯობდა.
მონადირესა ყუელასა მოსორ ნადირის-ძე სჯობდა. მოქადრაკესა ყუელასა ამირ იამანელი

სჯობდა. ნეტრავსა ყუელასა ღამარ ღაზნელი სჯობდა. ესე მე თუიკ მინხავს ღამარ ღაზნელისაგან, რომელ რაზომცა დიდი წყალი იყვის, შუკაზმული კაცი ღლიასა შემოიგდის და ინიორით გაიტანის და კაბუქად რომელი სჯობდის, აწ სცანით.

ოღეს გუენძას, მეფეთ-მეფეთ, ესე აშბაუი მის კაცისაგან, ჩუენ მეტად გუიამებოდა, თქუნს, არა ვიცი, გონავს თუ არა. და დაეყუით ამის განსუენებასა შინა დღენი შრავლნი. დღესა ვიხსია მზისა კაბუქისასა ნადიმი იყო. ადგა აბრაჰ იგი, რომელი ჩუენთან იყო და ევრო თქუა: ესე განსუენება, სმა და ნადირობა თავ-თავისა სახლსაცა გქონებით და აქა რისთვისაცა მოსრულხართ, იგი დაიურვეთ. ვირემდის ერთმანერთსა არა შეებმით და უკეთესობასა არა აიღებთ, რომლისათუის აქა მოსრულ ხართ, ცუდად წაგოცდებისო. ადგა იმარინდო და ეგრე არქუა: ანუ შენ იტყუი მავას, ანუ მეფესა მოუბირებხარო. მან ეგრე რქუა: მე მეფისაგან არა ვიცი, ჩუენ ვიტყუით ყუელანი და ყოველთა სწადიან თქუენი ომიო. ჩუენ კაბუქობნათუის გუიყუართ, თუარა ნადირობა, მღერა, სმა და ღზინი ჩუენგანაცა ეგებისო. ამა სიტყუასა ზედა ვაიციან მზემან კაბუქმან და ეგრე ბრძანა: მე და იმარინდო არა შევიბმითო და სხუასა, ვისაცა უნდა, იბრძოდესო. ღამარ ღაზნელმან ეგრე თქუა: აქაუგან, ღმერთო, ომისა ეამი არისო. ორდაეარელმან ეგრე თქუა: ანუ, ღმერთო, ომი გუინდა და ანუ თავისა თავისად წასვლაო.

ანიო იამანელმან ეგრე თქუა: ხელე უთუოდ გეალ მე და ვისცა გმარჯვია, გამოდით იმარინდოსა და მზეკაბუქისაგან კიდუო. მოსორო ნადირისქემან გამოსთხოვა მუქარა. დაასკუნეს ზეალისად ონი. გაიყარა ნადიმი. დილასა ჰქრეს ბუქსა და დაბაბასა. გამოვიდა იგი ხუასრო ხაზართა მეფე. დაჯდა ხედვად და დაისხნა დიდებულნი მისნი და დაიდვა ნადიმი. წამოდგა ყოველი ქალაქი ხედვად. ეგრევე შემოკარბეს ყოველნი მზისა კაბუქისასა და მუნცა დაიდვეს ნადიმი. გამოვიდეს ამირ იამანელი და მოსორო ნადირის-ძე შუკაზმულნი. და შეუხანეს ერთმანერთსა და შეიბნეს. ზენაარმან ღმერთისამან, ომად ფიცხლად კმა იყო, სამჯერ მან იგი ჩამოავდო და სამჯერ მან იგი. იბრძოლეს შუღლამემდის და ვერა აჯობეს ერთმანერთსა და ვერცა შევიტყუეთ, თუ რომელი სჯობდა. იმარინდომან ეგრე თქუა: აუარა ებრძოლებ იმა კაცთაო. გაიყარნეს და მოეწონა ომი მათი მას ხაზართა მეფესა და გამოეცა დიადი შესანოსელი და საბოძვარი.

მეორესა დღესა იმარინდოსასა ვიყვენით და ნადიმსა ზედა დორათ დილამმან და ორდაეარელმან გამოსთხოვეს მუქარა ერთმანერთსა და დაასკუნეს ომი ზეალისად. აცნობეს ხაზართა მეფესა. დაჯდა მეფე და დაისხნა დიდებულნი მისნი. კულავ დაიდვა ნადიმი და წამოდგეს ყოველნივე ქალაქნი ზედა ხედვად და ჩუენ შეეცყარენით იმარინდოსასა. მეფემან კაცი მოუგზაუნა, ვითა: მიუშუენით, გარდაიწყუიტონო. გაეიდეს და შეიბნეს. თავმან თქუენმან, ფიცხლად ომად კმა იყო. იბრძოლეს დიდი. ხანი წინასა ოროლითა და უკანისა კრმლითა იბრძოლეს დილითგან ვიდრე სამხრამდის. აჯობა დორათ დილამმან აზომ, რომელ ეგრე თქუა ორდაეარელმან, ვითა: იღარა ვიბრძვიო. გაეხარნეს მზუნესა კაბუქსა ჯობნა დორათ დილამისაგან, გამოსცა მეფემან საბოძვარი ორთათვისვე.

მესამესა დღესა ნადიმსავე ზედა ღამარ ღაზნელმან ეგრე თქუა, ვითა: ზეალ ომი ჩემი და, ვისცა გმარჯუა, გამოდითო. თქუეს ყოველთა, ვითა: ისი კაცი მზისა კაბუქისა ანუ იმარინდოსა ომსა ღამისო. ვირე იგი რას იტყოდა, ისწრა ამირ იამანელმან და მუქარა გამოსთხოვა და დაასკუნეს ომი ზეალისად, აცნობეს მეფესა. ეგრევე დაჯდა მეფე და დაისხნა დიდებულნი მისნი, დაიდვა კულავე ნადიმი. შემოკარბეს ყოველნი მზისა კაბუქისასა. გავიდა იგი ღამარ ღაზნელი, მავრა კაცისა თუალსა ზედა ერთკაცად კმა იყო. ისწრაფდა იგი მეფე ხაზართა ომსა იმარინდოსასა და მზისა კაბუქისასა. შემოუქუნს ნაუარდი და შეიბნეს, ომი ფიცხელი და დიდი გარდიკადეს. იმარინდომან ეგრე თქუა წინასავე, ვითა: იგი ღამარ ღაზნელი მუხთობი არის და თუ რასა დარსა დიდებებს, იმასა კაცსა მშუიღობთ არა ვაუშუებსო.

ოში იყო ფიცხელი. შემოუტევა ამირ იამანელმან; კერა კრმალი ჩაბალახსა ზედა, ჩაბალახი ვააკუეთინა და თავსა დიდი შიჭუეთა. ამირ იამანელსა ჩაბალახი მოეშალი.

წარე დაირქეებდა, თავსა შიშუელსა კრმალო ჭკრა ღაზარ ღაზნელზან და მოკლა იგი ამირ იაშანელი. დაუძმინდა მეფესა, მზესა კაბუქსა და იმარინდოსა სიკუდილი ამირ იაზანელისა, მაგრა მზესა კაბუქსა დიდიდრე დაუძმინდა. გაიყარა ერი და მეფემან საბოძვარი აღარა გამოსცა. და არცა შესამოსელი შეუზახნა მზესა კაბუქსა და იმარინდოსა. ეგრე ზოუჯავენა კაცი, ვითა: სამესისბლო რა ელვა ამას კაცსა, რომელ იგი ამირ იაშანელი მოკლა, განა ავი ვინმე და უბადო კაცი არსო.

გამოვიდა დღენი ნრაველნი, არცა ინადირეს და არცა იასპარეზეს და არცა ნადინი დაიდევს. უძმინდა ყუელასა. მერმე მეფემან გამოსცა შესამოსლები კარგნი და საბოძვარი დიდი ყუელასა თანა და ეგრე ებრძანა, ვითა: აჲ აღარა ეგვბის და ჩემოდნად ერთსაცა არა გინძივს ნუხთლად ამირ იაშანელიას სიკუდილიო; ბრძანეთ და ნადირობასა წადით, იასპარეზეთ და გაიხარეთ. უსძინეს მეფესა და გავიდეს. თქუეს ყოველთა კაცთა ესრე, ვითა: ღაშის მეფე, რომელმცა მუქაბუქი და იმარინდო შეიბნისო. შემოკრებულნიყვენს ნადიმსა ზედა და დორათ დილაშვან ღაშარ ღაზნელსა მუქარა სთხოვა. მზემან კაბუქმან ეგრე არქუა: რასა ებრძუი, უბადო ვინმე და მუხთალი ვინმე კაცი არისო. თუ შეგები, კაცურად და კარგად შევბიო, რომელ არა გეფათერაკოსო. ეგრე არქუა ღაშარ ღაზნელმან მზესა კაბუქსა, ვითა: მაგას რად ასწავლი, გამოედ და შენ შეგებო. მზემან კაბუქმან ეგრე არქუა: მაგას ელაპოდი. ეპრძანა თურე ღმერთსა შენი სიკუდილიო. დასკუნეს ოში სჯალისად და მოაკუნეს მეფესა. ვითა: მუქაბუქი და ღაშარ ღაზნელი ხუალე შეიბმინაო. მეფემან კაცი ზოუჯავენა მზესა კაბუქსა და ეგრე შემოუთუალა, ვითა: ეკრძალე, ეგე კაცი მუხთალი არისო. ეგრე მოაკუნა მზემან კაბუქმან: ნუ დაუშლით მას კაცსა მუხთალსა, თუარა ნე თუით არა დავიშლიო.

გამოვიდა მეფე და ღაჯად მასე აღვილსა და ეგრევე ქალაქსა შიგან გავიდა კმა, ვითა: მუქაბუქი და ღაშარ ღაზნელი შეიბმინაო. გაეხარნეს ყოველთა და სწადდა ნახეა მზისა კაბუქისა. გავიდა მუქაბუქი შეკანშული და თქუეს ყოველთა: არა არს კაცი მზისა კაბუქისებრი პირსა ყოვლისა ქუეყანისასაო. გამოვიდა იგი ღაშარ ღაზნელი, და ვითა ცნა ასულმან მეფისმან მზისა კაბუქისა ომაღ ვასლვა, სარკმელსა ჴოდგა და, თავმან შენმან, ვითა მზისა სინათლე. ეგეთი გამოდგა. შეხედნა მზემან კაბუქმან მას სინათლესა. რომელ სარკმელსა მოსდგომოდა და დანახა იგი მეფისა ასული და ცნა, ვითა: ნახვად ჩემდა მოდგომილაო. ეგრე არქუა ღაშარ ღაზნელსა: კარგად გამიფრთხილდი; ზენაარმან ღმრთისამან, დასტურად მოგკლავო ამისთვის, რომელ იგი ამირ იაშანელი მუხთლად მოჰკალო. შეუზახნა და მედგრად შეუტევა. პირველსავე მისლვასა ზედა შეშინდა იგი ღაშარ ღაზნელი და კრმალი ველარა მოიჭნია. ჰკრა მზემან კაბუქმან მას ღაშარ ღაზნელსა ჩაბალახსა ზედა კრმალი და, თავმან თქუენმან, წინასა ტახტსა უნაგრეთსა ზედა კრპალი დაამო და მოკლა. გაეხარნეს მეფესა და ყოველსა დიდებულსა ეგზომ, რომელ მეფე ზე ახლტა და ფიცხლნი გაიცივნა, და ჰება შესახა მზესა კაბუქსა ყოველმან კაცმან და გამოსცა მეფემან შესამოსელი და ეგრეთვე დედოფალმან, მეფისა ცოლმან, გამოსცა შესამოსელი და სხუა კეკელა საბოძვარი მზესა კაბუქსა და ეგრე შემოუთუალა: კურთხეულმცა არს მარჯუენა ჴენი, რომელ სძებნე სისხლნი ამირ იაშანელისანიო. და ეგრევე ნადირობა დაეწიწეთ და ასპარეზობა.

დაჰყენს დღენი მრავალნი ამა განსუენებასა შინა. ზოგჯერ ჩუენსა იყენიან და ზოგჯერ ჩუენ შათსა ვიყვენით. განსუენება და სიხარული არა გუაქლდა. მერმე აღვა კულა იგი აბრამ და ეგრე მოაკუნა, ვითა: მეფე დია ისწრაფის შენსა და იმარინდოს ომსაო. მზემან კაბუქმან ეგრე უბრძანა მას აბრამს, ვითა: მე მცხუენიან და ვერა ვიტყუი. ოდეს ერთგან ნადიმად ვსხდეთ ორთავე, მაშინ შენვე გუითხარო.

ნადიმად ვსხდით იმარინდოსასა. აღვა აბრამ. აიხუნა ორნი კიქანი, ერთი იმარინდოს მიართუა და ერთი მზესა კაბუქსა და ეგრე არქუა: ეგე ლუნიო შესუით, ლომიო, და თქუენცა შეიბენითო, და ყოველთა თქუეს: ეამი არს თქუენისა შებმისაო.

ეგრე თქუა იმარინდომან: შესუი ლუინო, ყუელა გუერტყუის-კამს თურგო. აკოცეს ვრთ-
 მანეროსა და შესუეს ლუინო და დაასკუნეს ომი, გაიყარა ნადიმი და მოაკსენეს მეფესა:
 ხვილისად მზისა ჰაბუქისა და იმარინდოსა ომი არისო. ეგრე მოგზუნეა კაცი, ვითა: ვირკ
 ნე არა ჩამოვიდე, მანამდე ნუ შეიბმითო.

დილსა ჩამოახუნეს ოქსინოსა კარაენი და დადგეს. დასხნეს საჯდომნი ოქრო-ქსოვი-
 ლისანი და დიდებულნიცა დასხნეს. გამოვიდა იგი ხუასრო ხაზართა მეფე და დაჯდა
 საჯდომთა მისთა ზელა, მოვიდეს მებუკე-მედაბდაბენი და წამოდგეს ყოველი ქალაქი. და-
 იღეა ნადიმი მეფემან და მივედით ყოველნი მეფისასა. გამოვიდა დედოფალი და დასხდეს
 მათე ბანთა ზელა. მოვიდა იგი ასული მეფისა და დაჯდა დედასა გუერდით. შმა იყო
 დიდი და სიხარული. შეეკაზმა მუხუბუკი და გავიდა. თქუეს ყოველთა: მისი ომი კაცისა-
 გან არა ეგებოს. გამოვიდა იმარინდოა შეკაზმული. მოეწონა იგიცა ყოველსა კაცსა, თუცა
 გენახნეს, ამას ბრძანებლი, ვითა: ორნი კაცნი უკეთესნი ქუეყანასა ზედჯარა არიანო. ია-
 რბოდეს მოედანსა შინა. მეფემან მიუგზუნა კაცი და ეგრე შემოვთვალა, ვითა: ჩემგან
 ამისი მოწმობა არა გინდათ, მაგრა ერთმანერთსა მუხთლად ნურას უზამთო. მზემან ქა-
 ბუქმან ეგრე მოაკსენა: ჩუენგან მუხთლობა არა ეგებისო.

შემოუღეს ნავარდი ერთმანერთსა, შეუტყვეს და შეიბნეს, რომელ ეგეთი ომი არა
 მინახავს. თუით მუნ გუოფმან ყუელამან თქუეს: არა ნახულა კაცისა თუალითა ეგეთი
 ომიო, ეგ ზომ მედგარი და ფიცხელიო. იბრძოლეს მწუხრამდის და სილაშემან გაჰყარნა
 და ვერა რომელმან აჯობა. გაეხარნეს მეფესა და ყოველსა კაცსა მათი მშუდიდობით დარ-
 ჩომბა. და მოსცა მეფემან და დედოფალმანცა შესამოსელი. წავიდა მეფე და ჩუენ ნაესა-
 ვით ნადიმი. მეორესა დღესა კულა გამოვიდეს და შეიბნეს. თავმან შენმან, წინასსა
 უფიცხე შეიბნეს. ეგრევე გაყარნა სილაშემან და ვერა რომელმან აჯობა. დაუშმძმა
 მხესა ჰაბუქსა გასწორება ომისა. კულა შემოსნა მეფემან, ქება შეისხა და ეგრე უბრძანა:
 აღარა გაბრძოლებო. ვიცო, რომელ თქუენებრი ჰაბუკი არა არს პირსა ყოვლისა ქუეყანი-
 სასო. იმარინდომან არა თქუა-რა მით, რომელ ერჩია, თუცა არა შემბულ იყვნეს. მზემან-
 ჰაბუქმან ეგრე მოაკსენა მეფესა, ვითა: ხვალე კულა შევიბნეთ და თუ კულაღა გაუსწო-
 როთ ერთმანერთსა, აღარა შევიბნეთ. დაასკუნეს ხვილისად უფიცხესი ომი და დიდგა
 მეფე და ჩუენ შინა წამოვიდით. მზემან ჰაბუქმან ეგრე თქუა: იმან კაცმან ამით გამოსწო-
 რა ომი, რომელ მე მისინა სიკუდილისგან მეწინიან, კარგი კაცი არის და გულისად
 ეერა ვუკრავო.

შეიქმნა ქალაქსა შიგან ცილობა. ზოგნი მას ამჯობინებდეს და ზოგნი მას და ზოგნი
 სწორად იტყოდეს. ვითა ზედა გათენდა, დაჯდა მეფე და დაისხნა დიდებულნი მისნი.
 გამოვიდეს დედოფალიცა და დასხდეს მას ბანთა ზელა. კულა გავიდა ყოველი კაცი ხელ-
 ვად. და ეგრე არქუა მზემან ჰაბუქმან იმარინდოსა, ვითა: დღესა გარდაწყუეუტა კამსო. მან
 ეგრე არქუა: დასტურად, თუ მალადობლენი არა ვართო. შეიბნეს. თავმან თქუემან და
 ზენარამან ღმრთისამან, პირველისა დღისა ომი ერთამცა ლაღობა ყოფილიყო, შუალა-
 მემდისინ იბრძოლეს. მერევე მზემან ჰაბუქმან ფიცხლა გაიყვანა ცხენი, შემოიქცა და შე-
 მოუტევა, და შემოჰყვილა: კარგად გამიკაცრდი მით, რომელ რა შემიძლია, ვმალავ
 აღარაო.

ჰერა კრმალი იმარინდომან, პოლოტიკინი რკინისანი გააყუეთინა და ჩაბალახი გაუ-
 კუეთა და თავსა დიდი შეჰკუეთა. მზემან ჰაბუქმან კრმალი აღარა ჰერა, სიკუდილისა
 თურე შეეშინდა, კრმალი გასტყორცა და კელი მიჰყო და კრმლიანი კელი შესტაცა,
 ილო უნაგირთაგან და ქუეყანასა ზელა დასცა და დაბნდა. აღდა მეფე საჯდომთაგან
 და უვიღა, ვითა: ღმერთმან ნუ ყოს სიკუდილიო. მზემან ჰაბუქმან ეგრე თქუა: მე ჯობნა
 მხდომბა და მიჯობნა, სიკუდილი რასა ჰქუიანო. ეგრე უბრძანა მეფემან: კურთხეულმცა
 არს იგი ღმერთი, რომელმან ეგეთი გული და ჰაბუკობა მოგცაო. გაეხარნეს ყოველთა
 ჯობნი მზისა ჰაბუქისაგან და შეასხეს ქება. დიდი ხანი დაბნედილმან დაყო იმარინდომა.
 მერევე მოვიდა სულადეე იგი იმარინდო და წაასხნა მეფემან ორნივე თავისა კარაგსა და

შემოსნა ტანსა და უბოძა დიადი მეფემან და დედოფალმანცა. და წაივია შეფე ქალაქსა.

მეორესა დღესა მოვიდა იმარინდო სახლსა მზისა ჰაბუქისასა და ეგრე თქუა: მერო ჩივა ესე, ღმერთო, თუცა მეჯობანა. ვინათგან შენ გაგიმარჯუა ღმერთმან, მე მისთვის ჩად გემდღურვი. დიდად მადრიოდ ვარ მით, რომელ სიკუდილი შეგებლო ჩემი და არა მომკალა. დაიმოყურნეს და ძმად იფიცნეს და მოველოდით ყოველთა დღეთა ქორწილსა. რა მიმწუხრდა, მზეჰაბუქი და დორათ დილამი და ორდავარელი და მოსორ ნადირის-ძე, ესენი ერთგან სხდეს. მოვიდა იგი აბრამ და დაჯდა დაღრეჯილი. ჰკითხა მზემან ჰაბუქმან მას აბრამს: რად დაგიღრეჯიანო?

მან ეგრე თქუა: არა ვიცი, მეფისა სიტყუა არს თუ არა. დია უძიმს მასცა, განა დედა-მშემძისა მის ქალისასა უძიმოდა გათხოვდა. მოიპარეს წუხელის და მას გრძნულთა ქუეყანასა წაიყვანეს, რომელ არცა მისლვა ეგების და არცა გამოყვანა, თუ ყოველნი გმირნი და გოლიათნიცა ერთგან შეკრბენო. აწ ვინცა წახულთ გამოსაყვანებლად, ნება თქუენიაო.

დაგუიმძიმდა ჩუენ ყუელასა. იმარინდომან ეგრე თქუა: აარცა, ღმერთო, ვიარებთ და არცა შუელად დავდგებო. მზემან ჰაბუქმან ეგრე თქუა: ვინათგან აქა მოვსულვარ, ვირე არა გამოვიყვან, უსიკუდილოდ დასტურად არა შემოვიქცევიო. მერმე ეგრე მოაკენა აბრამ: მზეო ჰაბუქო, მე სიყმე და სიშუენიერე შენი მეწყალვის და ჰაბუქობა შენი მოუვალ არს. მუნ ნუ წახულად. ვინცა შესლვას ცდილა, მთელი ვერ გამოსულაო.

მან ეგრე თქუა: ჩემებრი, ღმერთო, არაეინ ცდილა. წინამძღუარი მომეც. სხუად ნურა გაგვაა. მან ეგრე თქუა: წინამძღუარი სადამდის ეგებოდეს, მოგცე და რა აღარა ეგებოდეს, მიღმა გიჩუნონ და, რა უნდა, ქმენო.

დაასკუნეს წასლვა. მზემან ჰაბუქმან, და დორათ დილამმან ეგრე მოაკენა: მეც თან წამოგყვებიო. მადლი უბრძანა [მზემან ჰაბუქმან] და მოვიდა მოსორ ნადირის-ძეცა. მოაკენა: მივთის არა მიც საქმე, მაგრა შენთვის თავს არა ეწყალობო. დავასკუენით წასლვა. მოვიდა იმარინდო და ეგრე თქუა, ვითა: მე ესე უწინაცა მითქუამს ჩემთვის, ამასა გზასა არ წაველ, მაგრა თუ წენ გინდა, წამოგყვებიო. უთხრა მზემან ჰაბუქმან: ნუ იჭირვი, ჩუენცა ეკმარვართო. დავასკუენით წამოსლვა. კულავ მოაკენა აბრამ: ისმინე, ნუ წახულად, ნუ მოიკლავ თავსო, მოუალი არის მუნ წასლვა. ეგრე უბრძანა მას აბრამსა: წინამძღუარი მომცენ და ეაზირობა არა გინა. მან ეგრე მოაკენა: წინამძღუარი, ღმერთო, დია მოგცეო.

მოიყვანა ოთხნი კაცი გზისა მეციხერნი და იგი კაცი ფიცვიდეს: არა წავევებით არათ ღონითა არაო. აჰა, თავნი ჩუენნი, აქავე დაგუოკენითო. ვირემდისი ამაზედა სიმტკიცე არა მივეციო, ვითა სადამდისი ეგებოდეს, წაგუიმძელთო, მერმე გააპირეს წამოსლვა და ეგრე თქუეს: ესხუაგან ნულთ ეგებოდეს, სამი ადგილი არს, ყოლა წასლვისა ღონე არა ეგების. თუ იგიცა წაივართ, სადა იგი მეფისა ასული არის, მუნ შესლვა არა ეგებისა. მზემან ჰაბუქმან ეგრე უთხრა: ფაუშუთი, ეგრე თქუენი კელი ეტიკობა არს! ვითა ვეღარა დაუშლეთ წასლვა, დიად იტირა აბრამ. რა ზედა გათენდა, წავედით იგი მზეჰაბუქი, დორათ დილამი, მოსორ ნადირის-ძე, მე და ორნი ყმანი მზისა ჰაბუქისანი. ისმენდი, მეფეთ-მეფეო! აწყა დაიწყების ამბავი მზისა ჰაბუქისანი.

წაგუიმძელეს იგი კაცი და წავედით. ვიარენით მრავალნი დღენი და გავიარენით სამეფო ხაზართა მეფისი. მივხუდით ქუეყანასა და კარგსა, დიდსა, მაგრა უკაცური იყო. ეგრე თქუეს ეტიკთა: მივსრულ ვართ ქუეყანასა გრძნულთასა: ამასა აწვე მოგაკენებთ, დიდად გაფთხილებთ გინდათ, რომელ მუხთლად არა წაგეკიდოსო; თუთი რომელი საცხადლო არის, ნახოთ, ჰირად ისიცა გვეყოფისო. არა გუარი კაცი არა გამოჩნდა, ოდეს ენახეთ, ექუსნი ვინმე ტაიკოსანნი მოდიოდეს და კელთა ოროლები ჰქონდათ, ფიცხლად მოდიოდეს. მათ ეტიკთა ეგრე თქუეს: ომად მოვლენ ისი კაცნიო. ჩუენ აღარა კახმა გუინდოდა. ვითა მოგუთახლნეს ცხენისა შესატეებლად, ერთი კაცი უკანა მოეწია და

ეგრე უთხრა: მაგათი ადვილიაო. გუბორძანებს—იბადაბაშსა წაუვლია და იმასხნდა წადითო. რა ზან კაცნან ესე თქუა, მათ ექუსთა კაცთა თქუეს: ოტიო. შეიქცეს და ფიცხლად წავიდეს. მზემან კაბუქმან ეგრე თქუა: დამიძმიდა, რომელ ზან იბადაბაშმან წინა წაუვლიაწროო. ზათ ეტიკთა ეგრე მოაკსენეს: ნუ გიძმის, ვერცა, ღმერთო, იგი იბადაბაში მივიღას, სადა მეფისა ასული არის და ვერცა ღამე ჩუენაო. წავედით და მივიღოდიო. ყოველის ქუეყნისა ლაშქარი მოვიდოდა და მას იბადაბაშსა აკსენებდა ყუელი და ჩუენ არა გუარქუეს. დორათ დილაშმან ეგრე თქუა: არს ეინმე კარგი კაბუქი იბადაბაშიო. ვლეთ იგი დღე და არაეინ გამოჩნდა. მეორესა დღესა ცოტასა სისხლისა წყალსა გარდვეკოდენით. გაუტიკუირდა და ეგრე თქუეს ეტიკთა: ესე წყალი ჩუენ აროდეს არა გუინახავსო. ნუთუ მას იბადაბაშსა ზედა ომი არისო და ესე სისხლი მუენით მოდისო.

შევევით ამა სისხლსა. ოდეს ვნახეთ, კაცი ვინმე გამოქცეულიყო, ფიცხლად მოვიდოდა და ტირიდა. მზემან კაბუქმან ჰკითხა მას კაცსა: ვინ ხარ, ანუ რა გკირსო. მან ესოდენ თქუა: მე იბადაბაშისა ყმა ვიყავ და ასერ იმაზედა ომი არსო და ესე სისხლი მუენით მოდისო და მეონია მოკლესო. გარე იქცა და წავიდა.

ფიცხლად ჩუენ წაეისწრაფეთ და ომსა ზედა მივედით. იგი იბადაბაში ჩამოგდოთ და დაეკოდათ სასიკუდილოდ. რა დავბადებულეარ, ეგ ზომი დიდი კაცი არა მინახავს. იგი სისხლი მისი ჩამოდიოდა და კრძალი სისხლიანი კელთა ჰქონდა და ცხენი კელთა ჰყუანდა. აღარავინ იყო, დაეგდოთ და წასულიყენეს. ჩუენ ზედა წავადევით და ენა აღარა ერჩოდა. შეზოგუხენდა. თუცა გენახა, საზაროდ კმა იყო. დაუძმიდა მზესა კაბუქსა ვერ მისწრება მისი. მათ ეტიკთა ეგრე თქუეს, ვითა: რადგან იბადაბაშსა ესე წაჰკიდებია, კაბუქობისაგან იმედი ნულარავის გაქუსო.

დაგუიძმიდა და შეგუეზარა. ეგრე თქუა მოსორ ნადირის-ძემან: იმა ცხენსა გამოუღებო და თანა წამოვიტანო. ეგ ზომ დიდი ცხენი არავის უნახავს. კელი მიჰყო, თუცა გამოელო. ეგრე უთხრა იბადაბაშმან: რადგან მომკუდარეარ, ჩემსა ცხენსა არავის მივსკუმო. მან მკუდარმან, დაკოდლიზან თავისა ცხენსა უნაგირსა ზედა კრძალი ჰქრა და, თავმან შენმან, იგი ცხენი შუა გაჰყუეთა და კრძალი მიწასა გამოავლო. ცხენიცა მოკლა და უკუიქრა და თუთცა მოკუდა. გაუტიკუირდა ეგეთისა კუეთიანება. მზემან კაბუქმან ეგრე თქუა: ავი ვინმე ყოული არს ესე კაცი, თუარა ეგეთისა კუეთიანება შეეძლო, ვითა ვინ მოკლაო. მათ ეტიკთა ეგრე თქუეს: უკუეთესნი თურე დაბუდესო. მზემან კაბუქმან ეგრე თქუა: ღმერთო, აესა გზასა ვართო. ჩუენ, ღმერთო, არა გუეწადა წასლვა. შეეშინდით დედად, განა ვინ გუისმენდა. ეგრე თქუა მზემან კაბუქმან: გულათ, რასა უპვრეტო, მკუდარი ვინმე ყოფილ არსა.

წავედით მუენით და ვიარეთ ცოტა ხანი ეგრეთ და დაღამდა, და დავედით. ეგრე თქუეს ეტიკთა: ამას ღამეს ტალა გუინაო. ეგრე თქუა დორათ დილაშმან: მე ვარ ამას ღამე ტალაო. დადგა ტალასა. მოვიდეს ლაშქარინი მეომარნი. დიდნი ომნი გარდაიკადა. მაღლი უბრძანა მზემან კაბუქმან. წავედით მუენით და ვლეთ იგი დღე. კულა თქუეს მათვე ეტიკთა: აქა ტალა გუინაო. მუნ დადგა იგი მოსორ ნადირის-ძე და მან კულა უფროსი ომი გარდაიკადა. მასცა უბრძანა მაღლი მზემან კაბუქმან. რასალა ევგრძელებდე, ყოველთა კიდის კიდე ტალაობა გარდაიკავდეთ. მერმე მათ ეტიკთა მოაკსენეს მზესა კაბუქსა: ანას ღამესა სადაცა დავედებთ, თუთ დამიდაბლეთ თავი და ტალასა დავეგითო. ეგრე ბრძანა: გულმაგრაღ დაიძინეთ, გეშინიან ნურავისაო.

დადგა თუთ ნუკაბუქი ტალასა, მაგრა ყოლე არა გამოუჩნდა და არცა მოვიდა. მისგან თურე ეშინოდა. ეგრე ბრძანა: იდვილსა სატალოსა დამაყენეთო. მათ ეგრე მოაკსენეს: იდვილო, ღმერთო, არა იყო. განა ამას ღამე მოველენ თურეო. წავედით მუენითცა. ვითა ვლეთ ცოტა ხანი, იგივე კაცნი ტაიქოსანნი მოვიდოდეს, რომელნი წინასავე გუენახნეს. ოროლები კელთა ჰქონდათ, უკანა ლაშქარი მეტად დიდი მოუდგა. თქუეს ეტიკთა: იმათ ლაშქართა მოველოდითო. შემოუტევეს ორთა მათგანთა ცხენოსანთა. ჩუენნი ეტიკნი კიდე მოვიდოდეს. ზათ დამართეს, იგი ეტიკნი გაიქცნეს. ჩუენ ვიერე უშუელდით, ოროლთა

ორნი აიხუნეს და წაიხუნეს და ორნი ჩუენ შემოგუეხიზნეს და მათ ორთა გზა და კუალთ ველარა გავიღეთ.

დაუმძილა ნებსა კაბუქსა და ეგრე თქუა: აეად ვიყუენიხო. მით ორთა ტირილი და-
იწყეს და ეგრე თქუეს: აზისთუის არა წამოვიდო-ლითო. ამაზედან მან ცხენოსანმან ყუე-
ომან ზარსა დასცეს, შემოგუთრტევის და შევიბენით. მაშინცა გენახა მზეკაბუქი, ღმერთო,
მოგეწონებოდა. მწუხრამდის ეიბრძოლეთ და ვითა ომი გაგრძობდა, ჩუენ აღარა შე-
გუეძლო. მზეკაბუქი მარტო იბრძოდა. ცოტასალა დორათ დილაში და მოსორა ნადირის-ქე
შესწეედეს. თაემან თქუენმან, ვითამცა ნადიჲად ჯდომილიყო მზეკაბუქი, ესრე არა შეეცყო-
ბოდა სიმაშურალე. ამაზედა შელაშდა და ლაშქარნი გაგუექცნეს და წაიედეს. ჩუენ მუნ
დაედევით, დაიყოცა დიადი ლაშქარი.

მეორესა დღესა წაყედით, დაგურჩნეს იგი ორნი ეტიყნი. ეიარეთ დიდი ხანი და არა
გამოგუიჩნდა-რა. ჩუენსა საჩინოსა ტზა იყო ცოტა. მოვიდეს ხუთნი კაცნი, იბანეს და
ლომად შეიქნეს და წაიედეს მას გზასა, სითა ჩუენ მოვიდოდით. მერმე მოვიდეს ხუთნი
ვეშაპნი. მათცა იბანეს და კაცად შეიქმნეს და წაიედეს იგინიცა. მოვიდეს კელა ხუთნი
კაცნი. იბანეს, ფრინულად შეიქმნეს და წაიედეს. ჩუენ ვთქუით: თუ რანი ვინ იყვნეს,
რომელ ჩუენ არა შემოგუეზრახნეს. შეგუეშინა და ზარჲან აგუიხუნა. ნზემან კაბუქმან ეგრე
თქუა: ისი ყუელა ეშაიურიაო. დაედევით ნას ღანესა ნუნ და არა განდგუიჩნდა, მათ
ჩუენთა ეტაცა ეგრე თქუეს: ერთი საპარო და საძნელო ღღეანდელი დღე არსო. ჩუენ
ეკითხეთ, თუ რა არს. მათ ეგრე გუარქუეს, ვეცა: ვისაცა გულსა შიში არს, გრძნებითა
რამე შექმნილი არის. რა მას ნახავს, დასტურად გაიქცევის და ვისაცა გულსა შინა შიში
რა იყოს, მას ზედა ოღი შეიქმნების და რა ღმერთმან გაუმარჯულოს, იგი იქმნების.

დორათ დილაშმან ეგრე თქუა: მე ვეე არა ვიცი. ვეზომ, ღმერთო, შიში არს
ჯულსა ჩემსა შინა, რომელ რიცხუი და შეეგბა არა ვეგნისა. მერმე ნზემან კაბუქმან ეგრე
უთხრა: დორათ, გეშინიან, ჩემსა ნებსაო? მან ეგრე არქუა: ნეშინიან, შენმან ნზემანო.
ნზემან კაბუქმან გაიცივნა და ეგრე თქუა: მე და მოსორს, ღმერთო, არა გუეშინიანო. მო-
სორ ეგრე მოაკუნა: მე ნუ მათულო. ესდენ, ღმერთო, მეშინიან, რომელ სული ცოტასდა
მიოქსო. ამას ვიციოდით, მაგრა შიში გულსა ყოველთასა იყო მის ერთისაგან კიდე-
ვითხეთ მათ ეტიყთა: არა არს იგი გრძნებითა შექმნილი? მათ ეგრე გუარქუეს: არა ეი-
ციითა აზისგან კიდე, რომელ რაზომცა ეშინიან, გაიქცევისო.

ზედა გათენდა და წაყედით. ოდეს დაეხედნით, მათ ლომთა ზედა ხუთნი კაცნი
სხდეს და იგი კაცნი, რომელ ვეშად შეიქმნეს. და შორს თულისა საჩინოსა ლაშქარი
შოდოდეს შრიცხუი. მოვიდეს იგი კაცნი და შევიბენით ფიცხლად და ომსა შინა ჩუენ
გული მოგუაკლდებოდა და შიში შეგუექმნებოდა. მაშ, რალა ვთქუა? მზეკაბუქი მარტო
დავაგდეთ ომსა შინა. ანაზდად კაცი მოვიდა, ვეშაპსა ზედა ჯდა, კელთა მშუილი
ჰქონდა. ფიცხელნი შემოგუზახნა და ისარი შემოგუტყორცნა, მაგრამ კმა მისი ჯერაც
ყურთა ჩემთა არსო. მათ ყუელანან ზარსა დასცეს და შემოგუიტივეს. მათ ჩუენთა ეტიყ-
თა ეგრე თქუეს: ამას ეიტყოდითო და ფიცხლად გაიქცნეს და ჩუენცა ფიცხლად გაი-
ქცეთ და მარტო დავაგდეთ მზეკაბუქი. მოვიდა იგი ყოვლისა ქუეყანისა ლაშქარა და
მარტოსა ომი დაუწყეს. იგი დღე და ღამე იბრძოდეს. ჩუენ არა ვიციოდით. იგი დღე და
ღამე უკულმა ეიბრძინეთ. მეორესა დღესა მათ ჩუენთა/ეტიყთა. ეგრე თქუეს: აწ გარდა-
წყუეტლია, რალა? ქმნილი. შეეიქცეთ. ოდეს მივედით, მზეკაბუქი დგა და აწ ლაშ-
ქარნი გაექცივნეს და დაეკონეს. ჩუენ მიმავალნი გუნახნა, გაიცივნა და ეგრე გუარქუა:
კაბუქნო, გულსა შიში თურე გაქუსთ, რომელ გაიქცეთო.

არა თუ სიჯაბნითა გაეიქცეთ. იგი ორნი კაცნი ლომნი კაბუქნი იყვნეს დორათ
და მოსორ: განა აგრე რამე შექმნილი იყო იგი გრძნებითა: თუცა რაზომცა შიში გულსა
ჰქონებოდა, უღონოდ გაიქცოდა. მზეკაბუქისაგან კიდე კორციელისა კაცისაგან არა
ეგებოდა, თუცა ეგზომისა ძნელისა გზისა შიში გულსა არა ჰქონებოდა. მე ეგრე მიბრძანა

ამირან დარეჯანის-ძემან: ასეარსიმიის-ძეო, დიდი არის იგი კაცი, რომელ ესეთსა გზასა შიში არა ჰქონებია. მე ეგრე მოვაკსენე: დიდი არის ზომისაგან მეტად და კაცთაგან დაუჯერებელი. მან კაცმან მოაკსენა და დაიწყო მბობად: იგი კაცი რომელ მას ვეშაპსა ზედა ჯდა, ჩუენ გაგუაქცივნა, და იგი კაცი, რომელი ლომთა ზედა სხდეს, იგი ყუელანი დაეკოცეს მხესა ვაბუსასა. ჩუენ გუიბრძანა, ვითა: რა ესენი დაეკოცენ, მაშინლა გაიქცა ლაშქარიო. გაუკუიდა მათ ჩუენთა ეტკეთა და ქება შეასხეს და ეგრე მოაკსენეს: კაცი-საგან, რომელსა კორცნი ასხენ, შეუძლებელი არის აწ, რომელ შენ ქმენო, და აწ ვიცით, რომელ შიში არა არს გულსა შინა შენსა, კურთხულმცა არს გული შენიო.

დაჯავიეთ იგი დღე მუნ. მეროესა დღესა წავედით და ვიარეთ იგი დღე და ციხე მოგუხულა და მის ციხისა ძირსა წალკოტი იყო შეუნიერი და წყარო გამოდიოდა. კაცი ვინმე ჩუენებურად მოსილი წყალსა ავსებდა. რა ჩუენ გუნახა და თაყუანისგუცა, ეგრე ვკითხეთ: ვინ ხარ, რომელ ჩუენებური სამოსელი გაცუია? მან ეგრე გუთხრა: აპატრონი, მე იბადებაშისა ყმა ვიყავ. იგი მოკლეს და ჩუენ ტუუედ წამოგუიყვანეს ყმანი მისნი და მე მარტო აქა ვარ და ჩემთა მოყუასთა არა ვიციო. ეგრე ვკითხეთ: ვისი არის იგი ციხე და ანუ შიგან ვინ არისო. მან ეგრე თქუა: ციხე ამით ვისიმე არის. მე ახლად მოყვანებული ვარ. შინა არავინ არის. ერთი დიაცი არის ბერი. რაცა ლაშქარი არის, ყუელა თქუენსა მოსლვასა იტყოდეს და ჩაღმა წაუიღესო. მოსორ ნადირის-ძემან ჰკითხა: ყოლა წინა გზა საკირო გუიციო? მან ეგრე არქუა: მე არა ვიცი და იგინი ღია ძნელსა იტყუიანო.

წავედით და მან ყმამან ეგრე გუთხრა: შორით მოსულხართ, დადგით ამას ღამე ამასა ციხესა შინა და განისუენეთ. რაცა გინდათ, ცხენთა და კაცთათვის, გუეშოებისო. უსმინეთ და ციხესა დაედეგით. შინა კაცი არავინ იყო. ციხე იყო და სახლები კარგი. შევედით. სახლი იყო დიდი, შეკაზმული. ერთი ბერი დიაცი ჯდა. ზე ადგა და გუაწუივნა. დავსხედით, და ეგრე თქუა მან დიაცმან: მაშურალნი ხართ და პური ბრძანეთო.

ორნი მონანი ჰყვეს მას დიაცსა. ტაბლა მოიღეს და სანუკვარი ყოველი ფერი. მზეკაბუკი მარტო ჯდა. ჩუენ კიდე დაესხედით. პურსა * ვკამდით. მას სახლსა შინა სანნი კარნი იყუნეს. ანაზღად იჩქითად ორნი კაცი მოვიდოდეს კრმალამოწუილინი. მზეკაბუკი ვერა ხედვიდა და ზურგიით კერძო იყუნეს დორათ დილამი და მოსორ ნადირის-ძე. ახლტეს და შეუტევეს. ვირე მზეკაბუკთანა მოვიდოდეს, წინა მოეგებნეს და მოკლნეს. თუცა დორათ და მოსორ არა ყოფილიყვნეს, მზეკაბუკი, მაშ, მუხთლად მოკუდე-ბოდა. რა თვი კაცი მოკლნეს, მას დიაცსა დაუშძიმდა, ზე ავარდა და იყილა და მათ სამთა კართაგან შემოდენა დაიწყო ლაშქარმან. ერთსა კარსა მზეკაბუკი დადგა და მეორესა დორათ და მესამესა კარსა მოსორ ნადირის-ძე. ომი შეიქმნა დიდი. თავმან თქუენ-ძან, დილითგან ვიდრე მწუხრამდე ომი იყო. ყიოდა იგი დიაცი და მოდიოდა ლაშქარი. შეუტევა დორათ და მოკლა იგი დიაცი. რა იგი დიაცი მოკუდა, ლაშქარი გაიქცა, გზა და კულა ვერა გავიდეთ. მადლი უბრძანა მზემან ვაბუკმან დორათსა: ძმაო, კურთხულ-მცა ხარ, რომელ იმა დიაცისაგან გუიკსენო.

სულიერი კაცი მას ციხესა შინა ვერა ვპოეთ და ვერცა იგი, რომელ ეგრე თქუა, ვითა: მე იბადებაშისა ყმა ვიყავო. მათ ეტიკთა ეგრე თქუეს: თუცა იგი დიაცი არა მოეკლა, ჩუენისა კსნისა ღონე არა იყოო, თუ წელიწადიცა ერთი გებრძოლა. და კულა დაეყავით თვი დღე წუნ. დილასა წავედით. მათ ეტიკთა ეგრე გუარქუეს: აწ უფრო საგრძნეულსა ქუეყანასა შეესრულვართ და გაუფრთხილდითო.

ვიარეთ იბი ბანი და მოგუხულა შეუნიერი სახლი. შინა შევედით და კაცი არავინ იყო. პური დაგებული იყო, მზემან ჰაბუკმან ეგრე თქუა: ამა პურსა ყოლა არა ვკამ, საგრძნეულო არსო. ანაზღად იგი ფრინველნი მოფრინვიდეს, რომელ მას ტბასა შიგან კაცი იბანნეს და ფრინველად შეიქმნეს, მოვიდეს და სარკმელი შემოვლნეს. დასხდეს და

* აქამდის აკლია D ხელნაწერს.

კაცად-კაცად შეიქმნეს ამად, რომელ დაკოცისა ვიგონებდით და ვერა დავკოცეთ. თუცა დაგუეკოცნეს, პირველ რომელ შემოვიდეს, ჩუენ მშვილობით დაერჩებოდით. არც არა მათ ჩუენ უთხარათ და არც არა მათ ჩუენ გუითხარეს. გუიკუირდა. დიდი ხანი დაყვეს. მერმე ეგრე გუარქუეს: რად არა ბრძანებთ პურსათ. თუ თქუენ არა სჯამთ, ჩუენ ეკამთო. მზემან ჰაბუქმან ეგრე არქუა: ჩუენ არა გუინდა, თქუენ ჰამეთო.

დასხდეს, ჰამდეს და იცინოდეს. ჩუენ გაგუეკუირდა. კაცი ვინმე მოვიდა და ეგრე გუითხრა, ვითა: ისი პური თქუენთლის შეკახმული იყო. იმათ ეშმათა რად შეაკამეთო. ამათ, რომელ პურსა ჰამდეს, აგინეს მას კაცსა და მათ იმან აგინა. შეუტრევეს და იგი კაცი მოკლეს და ჩუენ დაგუიმძიმდა ჩუენითა გზითა მოკულა მის კაცისა. ჩუენ შეუტრევეთ და მათ ფრთები პირსა გუკარეს და ჩუენ ცნობა წაგუიკადა. ოდესცა მოვიტეცით, ხაზარეთსავე კართა ქალაქისასა ვიყუენით. დამცა ვანა-გუიამძიმდა. დორათ დიამამან ეგრე თქუა: ღმერთმან იცის, მგონია სიხმარსა შინა ვიყუენეთო, თუარე ესე ვითა მოკლადო. მოვიდა აბრამ და ეგრე თქუა: არა მოგაკსენე, რომელ ვერა შეხუიდოდითო?

დაუშძიმდა მზესა ჰაბუქსა ძნელად. აბრამ ეგრე ჰკითხა: სადამდის იყუენითო. ჩუენ ყუელა უთხარით. მან ეგრე თქუა: საჭირო ყუელა ჩაგეღლით და მოკეთომით წაგვიღებათო. თუცა წინასა იგი ფრინველნი დაგეკოცნეს, მშვილობით დარჩებოდითო. მზემან ჰაბუქმან ეგრე თქუა: მე უღონიოდ წაჯალ, იყოდითო. მოსორ ნადირის-ძემან მოაკსენა: მე ვერა ვკადრე, თუარა უღონიოდ წასლვა სჯობსო; არა ოძისა შიშითა წაგუიკიდებია, საეშმომო საქმე გარდაგუადებიაო. გუიშლდა აბრამ და არა ეისმინეთ. რალასა ვაგრძელებდე, წავედით და მასვე სახლსა მივედით, სითაც წამოსრულ ვიყუენით. სულიერი მუნ ვერა ვპოვეთ-რა. ანაზღად ვნახეთ, იგი ფრინველნი მოვიდეს. დორათ ეგრე თქუა: აჰა, იგი ფრინველნიო. ვითა დაგუენწორნეს, ქუე ჩამოკუივდეს და მოკუდეს. გაგუიკუირდა, თუ რამ დაკოცნაო. ღმერთმან იცის, ეშმაური საქმე არს, დაგკსენითო. დორათ ეგრე თქუა: ვნახე, რა სკირსო. მოსორ ეგრე არქუა: კელსა ნუ მიკყოფო. ორთავე ოროლესა ტარე-მას მიჰყვეს. ცეცხლი გამოვიდა და ოროლები დაწუა. ესე იყო ღლადი მათი. თუცა კელი მიგუეყო, დავიწუებოდითო, განა გუიქსნა ღმერთმან ამათისა გარძნებისაგან.

მათ ეტოკთა ეგრე თქუეს: ღმერთო, დიდსა ფათერაკისაგან დავრჩითო; აჷ იმა ფრინველთაგან ნულარას გეშინიანო. წავედით მუნით და მივებდით სამაროვანსა. ყოველისა ქუეყანისასა მკუდარი მუნ იყო და ყუელა ზე წამოჯდა და კელსა გუიხრდა, ვითა: მოდით ჩუენთანა, ესე რა მოსლვავე გინდათო. ჩუენ არა დავებდენით და არც-არა პასუხი გავეცით. მაშა საზაროდ და საშიზრად კმა იყო. მზემან ჰაბუქმან ეგრე თქუა: ნუ თუ შე-შინდეთ, ყოველი საეშმომო საქმე არსო. მათ მკუდართა ეგრე თქუეს, ვითა: რა ცოტა ხანი ჩაიაროთ, ორპირვე მოსლვა გინდათო. არა დავებდენით და არც არა პასუხი გავეცით. ვითა ცოტა ჩაივარეთ, კლდენი იყენეს ამიერ და იმიერ და შუა გზა გავიდოდა და ვეშაბი იყო მეტად დიდი უმაგალითო და გზასა ზედა დადგომილიყო. პირი აეშკმო და ცეცხლი გამოვიდოდა პირისა მისისაგან. ამას ბრძანებდი: საზაროდ კმა არისო. ეგზომ დიდი სულიერი არა მინახავს. მათ ეტოკთა ეგრე უთხრა მოსორ ნადირის-ძემან: სხუაგინთ გზა არსად არისო?

მათ ეგრე თქუეს, თუ: ვით ვაიარებთ, გზა ეს არისო. მზემან ჰაბუქმან ეგრე თქუა: იქით გზა, ღმერთო, მე შეგიქმნაო. შეეკაზმა და ხომტნი აიხუნა. მიმართა მას ვეშაპსა. იგი კვი ლაშქრითა აივსნეს, კიოდეს და ისრითა გუენსროდეს, ზოგან ოროლითა, ზოგნი ქვითა. საზაროდ კმა იყო. მზემან ჰაბუქმან ეგრე ბრძანა: თქუენ ლაშქართა ებრძოდეთ, ვირემდის ვეშპისაგან მოვიცლიდეთ და, თუ უნდა, ვეშაპთა ზედა მოდითო და ლაშქარნი მე შეგიკაზმნე, ვითა კამს. ისი რომელ ისურვიან ქვითა, ისრითა, ცეცხლითა და ოროლითა, ნუ გეშინიან, ყუელა გარძნებითა არსო. მათ ეგრე მოაკსენეს: მიედ შენ ვეშაპსა ზედა და ჩუენ ლაშქარსა ზედა მივიდეთო.

ფიცხლად შეექცნეს. დორათ და მოსორ ლაშქართა შეებნეს ესრე ფიცხლად, რომელ კაცთაგან ნასმარად კმარ იყო და მეტი აღარა ეგებოდა. მზეჰაბუქი ვეშაპსა ზედა მივიდა.

წინა მოგება იგი ვეშაპი. მზემან ქაბუქმან ჰყრა ხიშტნი პირსა. ზერმე შეურტევა ვეშაპმან, ცხენი შეიპურა და კაცი ზე გარდაესწრა, ცხენი მოუკლა. ჰყრა კრმალი მზემან ქაბუქმან და ვეშაპი ვაესწრა. მიეწია და ზურგსა კულა ჰყრა კრმალი და მოკლა ვეშაპი. შემოიქცა ფიცხლად და შუელად ჩუენდა მოვიდა ქუეთითი, ვითა ვეფხი. მოვიდეს ორნი კაცი ფრთოსანნი, ცხენთა ზედა სხდეს. მოვიდა იგი ფრთოსანი დორათ დილაშსა, აილო უნაგირისაგან. მანან მიესწრა მზექაბუქი და მოკლა იგი ფრთოსანი. მერჟე იგი მეორე მზესა ქაბუქსა მოვიდა და ვირე მზექაბუქი კრმალსა ჰკვირდა, ნახა მოსორი ნაღირის-ძემან და ფიცხლად შეურტევა და მან იგი მოკლა. ამაზედა გაიქნეს იგი ლაშქარნი. და მათ ეტრეთა ქება შეასხეს, ვითა: არა ნახულა ქაბუქი შენებრი და ქებისაგან უმეტესი ხარო. არცა ვის შენებრი ყმანი ყვანანო. მოუვლი იყო კაცისაგან იმა ვეშაპისა მოკვლა, ლომურად იყენეს დორათ და მოსორი, თუარა მზექაბუქსა ოძი გაუმარცხდებოდა. თუცა მოერეოდა ყუელასა. განა ამით დიდი უშუელეს.

დავდევით მას ლამესა მუნ და მათ ეტრეთა მოაკსენეს, ვითა: ჩუენდა ვიცი გებრძანა, ვითა სადა არა გწადდეს. არა წაგიტანნო, აწ მიწურვილხართ, სადა იგი მიფისა ასული არს. ხალეუ გიჩუენებ მას ადგილსა და ჩუენ აღარა წამოვალთო. მზემან ქაბუქმან ფიცით უთხრა, ვითა: ნიჩუენებ და აღარა მიგიტანო.

დილასა წავედით და მივედით ადვილსა ძნელსა და საკუირველსა. კლდე იყო დიდი და ძირსა მისსა ქუაბი იყო და მის ქუაბისაგან კმა გამოვიდოდა საკუირველი. მათ ეტრეთა ვერე თქუეს: იგი შიგან არის მიფისა ასული და ჩუენ აღარა წამოვალთო. დადგეს იგინი და ჩუენ წავედით მის ქუაბისაკენ. და ვითა მივეწურენით, ჩუენ გული შეგუჯანბნებოდა და მზექაბუქსა არა შეეტყობოდა. შეეკაზმა საქუეთითთა აბჯართა და ვერე გუითხრა: ვერა შევიძლიათ წამოსლვაო? წავედით და ქუაბისა ძირსა მივედევით. გამოვიდეს კაცი აბჯაროსანნი. მივიდა მზექაბუქი და არა მიჰქენეს დორათ და მოსორი. დარჩა მზექაბუქი მარტო. იგი დლე ქუაბისა კარსა იბრძოლა, შეუკლა შინა. ჩუენ გუესმოდოდა კმა მათი და მხისა ქაბუქისა გუეგონა სიკუდილი. გამოვიდა კაცი და მხისა ქაბუქისა თავი კელთა ჰქონდა და ვერე თქუა: ასრემცა მინახავს ყოელისა აქა მოსრულისა კაცისა თავეო. ჩუენ ვერე გუითხრა, ვითა: თქუენ არას გაბრალებთ და არცა დაგყოთო, მშუიღობით წადითო.

ჩუენ ტირილი დავიწყეთ, გულისად სიკუდილი გუეგონა მზას ქაბუქისა. წამოვედით და სადა იგი ვეშაპი მოკვლა, მუნ მოვედით. ვტიროდით მზისა ქაბუქისათუის და ამას ვიტყოდით, ვითა: მოუაკსენეთ და არა გუისმინა, ვითარი ქაბუქი ვითა მოკვლა, არა ეგებოდა თუთი აქამდისცა მოსლვაო, დავყავით მუნ სამი დლე. ანაზღად მოვიდა მზექაბუქი და იგი ხაზართა შეთისა. ასული თანა მოიყვანა. ჩუენ ფიცხლად წინა მივეგებენით და შეგუქმანა სიხარული. მზემან ქაბუქმან ვერე ბრძანა, ვითა: ეაი, რომელ ვერა მხედველით, თუარა ქაბუქობისა ნაქმარად კმა იყო, რომელ მე ვყავო. ზენაარმან ღმრთისამან, ხუთი დლე და ლაქე ომსა შიგან დამიყოფია, რომელ დლეთა ჩემთა შიგან ეგეთი ოძი არა გარდამივდაო, განა ესე ჩემი ოძი ამად, ლმერთო, ღირსო. მიჰყო პირსა კელს და აყოცა. აწ ყუელა მოაკსენო.

იგი რომელ მზისა ქაბუქისა თავისა მსგავსი მან კაცმან გამოილო, გრძნებითა ექნა ჩუენად საშიშრად და იგი იბადამაცა გრძნებითა შექმნილი იყო და იგი ჩუენი ეტრეთისცა გრძნელნი იყენეს, თუარა ყუელა იოლდეს. იგი ორნი ეტრეთნი რომელ შეიპურნეს, თავი თუთი შეპყრობინეს. იგი კაცი რომელ წყაროსა ზედა დაგუხუდა, და იგი პირცხელი ვეშაპი და ფრინველისცა გრძნებითა შექმნილი იყენეს, რომელმცა შეშინდეს და გაიქნესო. ხუსრო ხაზართა მეფესა საფიცო დაედო, ვითა: ვირე ეგეთი ქაბუქი არა ვიპოო, რომელ მისებრი ქუეყანასა ზედა არა იყოს, მანამდის ასული ჩემი არაყავს შეერთო და სიმეფო ჩემი არაყავს ნიესცყო. გამოსცადა დასტურად, რომელ არა იპოვებოდა მისებრი კაცი და ქაბუქი ქუეყანისა ზედა.

წამოვედით მზიარულნი და ხაზართა მეფისა ისული თინ წამოვიტანეთ. მოგუეგება წინა ხაზართა მეფე ყოვლითა მისისა დიდებულთა და ლაშქრითა. შეასხეს ქება მზე-კაბუქსა და ეგრე უთხრა ხუასრო ხაზართა მეფემან: შეილო, მე სიძე და მამულისა უხუცესი ეგვით მინდა, ვითარი შენ ხარო. წამოვედით და მოვედით ხაზართს. შემოკრიბა ხუასრო ხაზართა მეფემან ყოველი მისი დიდებული და მცირებული და შერთო ისული მისი ცოლად მზეკაბუქსა, და დაადგა სამეფო გურიგუენი თავსა მისსა, და მისცა სამეფო მისი ყოველი და ეგრე უბრძანა დიდებულთა მისთა: ახა პატრონი თქუენი და მეფე თქუენიო. მათ ყოველმან შეასხეს ქება და დალოცეს მეფედ. საქურქლეთა, ქალაქთა და ლაშქართა არა იყო რიცხუი. დაიქირნა ყმად დორათ დილაში და მოსორო ნადირისძე, დიდად ნამსახურნი იყენეს და დიდადაც გააღიღნა. დაყენა მრავალნი წყლნი და ზოკუნი და იგი ხაზართა მეფე. და მან დაიპყრა ყოველი სამეფო მისი. მზეკაბუქი ნადირობდის, არაჲინ იყო უნებური მისი. მრავალნი სხუანიცა ქუეყანანი შეიმატნა. მისისა სიკეთისა და ლაშქართა სიმრავლისა არა ითქმის ნიშანი. არაჲინ უზნა მტერი, და თუ იყოცა, ვერაჲინ რას ჰკადრებდა. ნინახვან მრავალნი კაბუქნი, მაგრა ჯერეთ არაჲინ ნახულა მისებრი. დაყენა მრავალნი წყლნი და წახუნა მრავალნი სამეფონი და მიეცა შეილი მათ ორთავე მსგავსი მათი. ოდესცა მოკაზმულნი ცოლ-ქმარნი საჯდომთა დასხდიან, კაცისა თულანი მათებრსა ვერასა ნახვიდა. სიხარულისა და ნადირობისა რიცხუი არა იყო.

დღესა ერთსა გუენადირა და კართა ქალაქისათა კაცნი ვინმე დაგუბუდეს ექუსნი შეკაზმულნი. თულად კარგნი ლომნი კაბუქნი იყენეს. გარდადღეს, თაყუანისცეს და ქება შეასხეს. მოიკითხნა მდაბლად, მივედით შინა და უბრძანა: დააყენენითო. აღარცხრა მათ შემოგუიზრახნეს და აღარცა-რა ჩუენ. მრავალნი დღენი დაყენეს და ნადირობისა თანა გაიტანნის. მშვილდოსანნი იყენეს კარგნი და მონადირენი. შინა მოვიდის და პურად უკმნეს. ნადიმსა ზედა არაჲინ გაუშუნის, საბოძეარსა უბოძებდა და დიდად შინაურად და კარგად ექცეოდა, აქებდა: კარგნი ვინმე კაცნი არიანო.

გამოკუდეს დღენი მრავალნი და მათ კაცთა მოციქულნი მიუვხავენეს, ვითა: ჩუენ ლარობნი ვინმე კაცნი ვართ, ამხანაგნი ერთმანერთისანი და ცოტანი ერთგან დახდილნი ვართ, და ვისაცა შეეწყნარებდით, პატრონი ვერაჲინ მოგუწონებია. აწ გუასმია კაბუკობა და სიკეთე შენი. მოესრულეართ წინაშე შენსა, ესდენის ხანი დაგუიყოფიან და მით არა მოგაკენეთ, როჲელ გავიცილით კაბუკობასა შენსა. აწ განახეთ კაბუქი და ეგვთი, როჲელ არცა ვის სხუას უნახავს და არცა ჩუენ დაგუიზახავს. აწ დაგუიკრიგ ყმად და რაცა ჩუენსა გუარსა კაცსა სხუისთუის არა ემსახუროს, ის თქუენ გუიშინახურეთ და თუ საკაბუქო საქმე დაგივარდეს, ესე ბრძანოთ, თუ: ისი კაცნი კაბუქად კმა არიანო. მზეკაბუქი დიდი მეფე იყო და კაბუკობისა მოყუარე. ეგრე უბრძანა, ვითა: მე დიდად გაუმხარებია თქუენი მოსლვა და კაბუკობისათუის მიყუართ. აწ ვითამცა ძმანი ხართ ჩემნი და არა ყმანი, ეგრე დაგიკრიგნო.

მოვიდეს და თაყუანისცეს ყმად. საბოძეარი და საკარგაე უბოძა კიდის კიდე ყოველთა. იყენეს და მსახურებდეს ერთგულად. მზეკაბუქი კარგად ექცეოდა, კარგნი კაბუქნი იყენეს და კარგნი მშვილდოსანნი და მოასპარეზენი, და ყოვლითა ფერთა საკმარნი კაცნი იყენეს. უყუარდეს მზეკაბუქსა, განა ყმისა ყელასა დორათ დილაში და მოსორო ნადირისძე ერჩიენეს და დიდად შინაურად ჰყვეს იგი ექუსნი კაცნი ეგზომ, რომელ საწოლსა ვინა უწყვიან და ერთგულად ხეჯიდიეს.

ალი ვისმე ერქუა სახელად, კაცი ვინმე იყო დიდებული, ხაზართა მეფისა გაზღილი ბერი კაცი, მან ეგრე მოაკსენა მზეკაბუქსა, ვითა: გხედავ, რომელ პირსა მიწისასა კაცსა ყელასა მგობი ხარ და მეფე ხარ ამის ყოვლისა ქუეყანისა და არც ვის ომი შეუძლია. მტერი არაჲინ გიჩინს, მაგრა ვერაჲინ გაენებს და რამცა ვინ გადარა — ყოველსა ქუეყანასა მარტოსა შენი ომი არა შეუძლია პირისპირ, მაგრა მუხთლად სიკუდილოსა შენისაგან მეშინიან. გარეგანნი მეფენი ზოგნი მტერნი არიან შენნი და ზოგთა უბოძის

სიკეთე ზენი. ნუთუ ვინ ღმერთი შეგუარისხოს და კაცნი მოიბირნეს და უბადლოდ მოკლულე ისი ექუსნი ქაბუენი, რომელ დაგიკირეან, მათგან მეშინიან. არა თუ ამას მოგაკსენებ, ვითა: ჟაასხნე, მაგრა შინაურად ნუ დაგიკირეან, ვირე არა სცნა მათი აზბავი. ეგრე უბრძანა: ცრთულობისათუის და ჩემთუის შეკირგებისათუის მადრიელ ვარ, მაგრა ემათ კაცთა ჩენი სიკუდილი არა შეუძლია, თუარა მე გამოგიცადნე, თუ ვითა შეეჭლოს.

მოიყვანა იგი ექუსნი ქაბუენი და ჰქეთხა, ვითა: ვიცო, რომელ კელი თქუენი ქაბუეობა არს. აწ მითხარით თქუენი ნაქმარნი, თუ რა უფრო გამარჯუიათ ომიო. მათ ნოაკსენეს ნაქმარნი მათნი ბრავალნი და კარგნი, ყუელა მართლად და თუ ტუევილად, არა ვიცო. ბოლოსა ეაშა ესე მოაკსენეს, ვითა: ჩუენდა კაცი ვერაიენ შებმულაო. ომისა რომელ გუკიძენე, არაბეთს გაზრდილ ვართ. ომი ყუელა გუმარჯუია, განა ისარი შორს მოქალაქს კაცსა და ქაბუეობა არაუდ გამოჩნდებისა. ეგრე უბრძანა მზემან ქაბუემან: თუ არა დაგიპიძლებდის, ვა-სადმე-გგზავნი საქაბუეოსა აღდილსაო. მათ ეგრე მოაკსენეს: ებტერი ზენი თერკთა შენთა ქუეშე მოვიყვანოთო, ესრეთ გმსახუროთა. მზემან ქაბუემან მადლი უბრძანა და ეგრე უთხრა: ყუმა იყო ჩენი, და ლომი ქაბუეი გაზრდილი ჩენი, გა-რასმე-ჰკრთა ჩემგან. ციხე აქუს მაგარი და შოგან დგას. არა თუ რასმე შემცოდებს, განა ჩემთანა არა მოვალს და ოჯესა მიემართო, ციხეშიგან შევიღებდის, იგი ციხე მაგარი არის და აღებძას ღონე არ არის. ოდეს შორს ვიყო, გამოვია, მოიარებს და ინადირებს. არავისგან ემინიან. მართალი ვითხრა, დრდად ლომი ქაბუეი არს. ჩემგან კიდე მეომარი მისი არაიენ არცს. მაგრა მე გეოთა შევბმისო. აწ წადით, შეიპყართ და ამგულარეთო აწვე გითხრობ, თუცა ექუსნი ხართ, გაგიძნელდების მისი ომიო, ოროლითა იბრძვის იგიცაო. უქადეს მათ კაცთა და ეგრე მოაკსენეს: ცხოვნი, მეფეთ-მეფეთო, უქუნისამდე! აღიელი სამსახური არის ექუსთა კაცთაგან ერთის კაცისა შეპყრობა და თუ გუბრძანოთ, ერთი რომელინე წაიოდეთ, ეგრეცა შევიპყართო.

მზემან ქაბუემან ეგრე უბრძანა: ყუელანი წადით და კაცურად ეცადენითო. მათ მოაკსენეს: კაცი გუბომეთ, რომელ მიგუიყვანენსო. მისცა მზემან ქაბუემან წინამძღუარი კაცი და გავზავნა. და მას კაცსა ეგრე უბრძანა: ვანისა ციხისა ძირსა, რომელ მინდორი არის, მუნ მიიყვანენიო. უბრძანა ალის: წაშოედ, მე გიჩუენო მათ კაცთა ქაბუეობაო. წავილა მზექაბუეი და ალი მარტო თანა წაიტანა და მეც თანა ვიასელ. არაიენ იცოდა ჩემგან და ალისაგან კიდე. მივედით ციხისა ძირსა. შეიქმნა დასაბურველი პირისა მზემან ქაბუემან, რომელ არ მიცნანო. შეეკაშმა და ოროლნი კელთა აიხუნა. მოიყვანა მან კაცმან იგი ექუსნივე ქაბუენი და ეგრე უთხრა: აჰა, იგი კაცი, რომელი მზემან ქაბუემან გიბრძანათა. ანაზღდან მზექაბუესა ექუსთავე შეუტრევეს, კელთა ოროლები ჰქონდათ. ცოტად მზექაბუეი გაექცა და ეგრე შეჰყივლეს წა-ველარ-ხუალაო. შემოიქცა და ეგრე უთხრა: უბადლო, მზექაბუესა თქუენი აწუედლი წარამია, მით გამოუღზავინებართ აქაო. შეუტრევა და თანეან თქუენანა, ვითაჰცა ექუსანი ყენანი ყოფილიყვენეს, ეგრე უკირველად ჩამოყარნა და ეგრე უთხრა: თუით რად არა მოვა მზექაბუეი და იგი არა შემიპყრობსო, ქუეყანა უკაცური გონიანო? მათ განალაძეა დაუშომდათ. ნოვიდა მზექაბუეი და ალის ეგრე უბრძანა: ალი, შეუძლია იმა კაცთა ჩენი სიკუდილიო? მან ეგრე მოაკსენა: პირისპირ ვერა, თავმან თქუენმან, არა იმათ კაცთაგან, ვერცა ვის სხუათაგან, მაგრა მუხთლად სიკუდილისაგან ნემინებანო.

— აწ იმათ, ღმერთო, ვერცა მუხთლად შეუძლიაო.

წამოუდით და ვირე ით კაცნი მოვიდოდეს, ჩუენ შინა მოვედით და იგინიცა მოვიუეს და ეგრე თქუეს: ციხით გარე არა გამოვიდაო. მზემან ქაბუემან ყოლა არა შეიღუა თანეს; კარგად ექცეოდა, მათგან შიში არა ჰქონებია. წავედით ნადირობად ველსა ზედა. დგის მზექაბუეი და იგი კაცი კარაესა შიგან უწვიან. გუენადირა და მოსრულ ვიყვენათ. პური ებრძანა და ძილად წვა. მზექაბუეი და იგი მოსოარ ნადირის-ძე წინა უწვა. ღორათ დილაში მუნ არა იყო. ადგეს იგი ექუსნივე, პერანგითა წწოლსა მზექაბუესა დაშ-

ნები დასცეს გულსა და მოსორ ნადირის-ძესაცა დასცეს დაშნები. ავარდა შვეკაბუკი საკ-
ლაუად დაკოდილი და ივანი გაიქცნეს. მიეწია ერთსა, შეიპყრა, დასცა ქუეყანასა ზედა
და მოკლა. და იგი ხუთნი ტაიკთა ზედან ვასხდეს და წაივდეს. მოსორ ნადირის-ძე კელ
და კელ მოკლეს. ოდეს მივედით, მზისა კაბუკსა ოდენ სული ედგა ჯერეთ. ატირდა კაცი
იგი. პირსა კელნი იკრნა. ატირდა და ამირან დარეჯანის-ძეცა და ჩუენცა ყუელნი ავ-
ტირდით. ძნელად გუიძმძიდა. და დიდი ხანი ეტირეთ.

მერზე ეგრე გუიძმძიდა ამირან დარეჯანის-ძემან: ჯერეთ ვასრულოს ამბავიო. სიტ-
ყუსა ძლივ გამოაგებდა ტირილისაგან. თქუა მან კაცმან: სული ედგა ჯერეთ და ეგრე
ბრძანა: ხედავთ, ვითა მუხთლად მოკუდილო ვითარითა კაცთა კელითაო და ჩემოდნადვე
მოსორ ნადირის-ძისაცა მიძმძიმს სიკუდილიო. ღორათ დილაშა მარტოსა ჩემთა სისხლთა
ძებნა არა შეუძლიაო. ვინცა კარგი კაბუკი იყოს, უთხარით ჩემი ამბავი და კაბუკობა და
რა ესწნეს. ნაქმარნი ჩემნი და კაბუკობა ჩემი სცნას, შევეწყალები და სისხლთა ჩემთა
ვიტბსო.

დიდებულთა, მუნ რომელ იყენეს, ეგრე დაავედრა: ვითა: შეილი ჩემი ცოტა არს,
გაზარდეთა. და შეუთვალა ღორათ დილაშსა, ვითა: შენ კარგი კაცი ხარ და კარგი კა-
ბუკი. ვაშად რომე აქა არა იყავ, თუარა შენცა მოკუდებოდი მუხთლად. აწ მე შენთვის
კარგი ვყოფილვარ და შენ შეილი ჩემი გუედრია. ნუ დაავდებ, გაზარდე, ნუთუ კულავ
კარგი შეიქნას. შენ მარტო ნუ ეცდები სისხლთა ჩემთა ძებნასა. შენ მარტო ხარ და
ივინი მრავალნი. მაგრა თუ ვინ სადა კარგი კაბუკი ჰპოოთ, უთხარით, ნუ წარავლენთ
სისხლთა ჩემთა და მოსორისათა. ეს თქუა და ცოტად ატირდა და ეგრე ბრძანა: არა
სიკუდილი ოდენ მიძმძიმს, მაგრა ავთა კაცთაგან მოკუედო. ამაზედან მოკუდა. ვიტირეთ
დიდი ხანი.

რა ესე ამბავი დაასრულა მან კაცმან, ოდეს დავედენით, დედანი და ნამანი შო-
სანნი სამი ათასი ცხენოსანნი მოვიდოდეს. კაცი მიუგზავნეთ და ვკითხეთ მათ კაცთა, ვინ
ხართო. მათ ეგრე თქუეს: დედა არის მზისა კაბუკისა და შეილი, და ღორათ დილაში
ყმა მისი და დიდებულნი მზისა კაბუკისანი. გაეგება წინა ამირან დარეჯანის-ძე და მო-
ციოთხა დედოფალი, დედა მზისა კაბუკისა და დიდებულნი მისნი და იგი ცოტა ყმა კელითა
აიხუნა, მსგავსა მზისა კაბუკისა, დიდად შეუნიგრი. ბოედით შინა. დაუცლა სახლი
დედოფალსა და თუით სხუასა სახლსა შევიდა. დიდებულნი მისნი თავის თავისად დააყენა.
ესრე პატივითა დაიპირნა, ვითა დედა პატრონისა მისისა. და იგი ღორათ დილაში მე-
ტად დიდად უყუარდა კაბუკობისათვის. დაყენეს დღენი მრავალნი და არა შეეზარბნეს,
მაგრა ძღუენი ტურფანი უძღუნა მრავალნი მზისა კაბუკისა დედამან ამირან დარეჯანის,
ძესა და ეგრევე ამირან დარეჯანის-ძემან მას უძღუნა და ყოველთა დიდებულთა მისთა
კიდის-კიდევ.

გამოკლეს დღენი მრავალნი და მოვიდა დედოფალი ამირან დარეჯანის-ძისასა და
დიდებულნი მისნი და ცოტა ყმა თანა ჰყვეს. ეგრე არქუა დედოფალმან ამირან დარეჯან-
ის-ძესა, ვითა: შენ დიდებული კაცი ხარ და კარგი კაბუკი, რომელ პირსა ყოველისა
ქუეყანისასა კაბუკი შენებრი არა არს. თუ მე უცხო ვარ შენგან და შეილი ჩემი უცხო
იყო შენგან, მაგრა სიკეთითა შენითა უცხოობა ჩუენი არა გავვა. ანდრძი არის შეი-
ლისა ჩემისა, რომელ შენგან კიდევ ვერავინ აღასრულებს. ოდეს მოკუედებოდა, ეგრე თქუა,
ვითა: ვინცა კარგი კაბუკი იყოს ქუეყანასა ზედა, უამბეთ კაბუკობა ჩემი და ესრე მუხთ-
ლად სიკუდილი, შევეწყალები და ეძებს სისხლთა ჩემთაო. გუასმია კაბუკობა და სა-
ხელი შენი და მოვსულვართ წინაშე შენსა. აწ რაცა შეჭავეს სიკეთესა შენსა, იგიცა
ქმნო. ამას ყმასა შენ შემოგუედრებ და ვითაცა გინდა, გაზარდო.

კელი მიჰყო მას ყმასა და უბესა ჩაუდო. ესე ყულა ტირილითა უთხრა. თუით
ადგა და წავიდა, ეგრე თქუა: სხუა ყულა ღორათ და დიდებულთა მოკაცსენონა. დას-
დეს და დაიწყეს მბობა და ვითა მან კაცმან, ეგრე ღორათ დილაშმან უამბო და ამ-

ბავსა ზინა ყუელასა ტირიდა. ჰკითხა ამირან დარეჯანის-ძემან მათ კაცთა: მიზეზი რა იყო, ანუ მო-რად-კლეს იგი პატრონი შენი მზეკაბუკიო.

დორათ ეგრე მოაკენა: ოდეს ხაზარეთს ქალაქისა კართა ზედა ომი იყო, მაშინ ლამარ ლაზნელმან ამირ იამანელი ჩაბალახაყლილი მუხთლად მოკლა და მზეკაბუკსა გუერდით იდგა და დაუმძიმდა ამირ იამანელისა იკუდილი მხესა კაბუკსა და მერმე იგი ლამარ ლაზნელი მზეკაბუკსა შეება. მზემან კაბუკმან ლამარ ლაზნელსა კრმალი ჰკრა ჩაბალახსა ზედა და ორად გაკუეთა. ე'ე ამბავი ლაზნის მივიდა. შეიკრიბნა ძმამან მისმან მახსტო ლაზნელმან კაბუკი ექუსნი, მოვიდა მზეკაბუკთანა, შემოიწყნარნა ოვინი, უმუხთლეს და მძინარე მოკლეს მზეკაბუკი ექუსთა—მახოსტ ლაზნელმა, ფირუზენ ბიერელმა, ალი ნადაბის-ძემან, საბურ მისრელმა, ამირ არაბმა და შავმა კაბუკმა. ამათ ექუსთა დაშენები ლასცეს პერანგითა მწოლსა. წინა ზოსორ უწვა და მასცა დასცეს დაშენები და მოკლეს. მზეკაბუკი ავარდა დაკოდილი და მიეწია შავსა კაბუკსა, აილო, ქუეყანასა ზედა დასცა და მოკლა. სხუანი წაივლეს.

ამაზედა დაასრულა ამბავი მზის კაბუკისა დორათ დილაშმა და ჩუენ ვიტრიეთ ყუელამან. მერმე ადგა ამირან დარეჯანის-ძე, დიდებულნი თანა წაიტანნა და წავიდა დედოფლისასა და ეგრე უთხრა: დედოფალო, მე ამას გიქალებ, რომელ ანუ ვძებნენ სისხლნი მზისა კაბუკისანი და ანუ მოკვლდე შეცა მასკე თანა და ესე შეილი მისი ასრე გაეზარდო, ვითა შეილი პატრონისა ჩემისა.

დედოფალმან მადლი გარდაიკადა და ტირილითა დილოცა და წავიდეს ოვინი. და ჩუენ შეცქენით პემანნი დორათ დილაშსა და წავიდა შინა კაზმად. დაასკუნა წასლგი ამირან დარეჯანის-ძემან და შეეკაზმენით სახელსა ზედა ღმრთისასა.

ჰარო მებათერთვეტი

ხისხლთა ძმანისა ამაზაშ

ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოენდი უკუნისამდე! აღიღნეს ღმერთმან მოყუარენი თქუენნი და არცხუინოს ორგულთა თქუენთა!

გაგზავნა კაცი სეფედაულეს თანა ამირან დარეჯანის-ძემან და წაატანა თანა რაბი ნობადი და ეგრე შეუთულა: «გაკეთებე ესე კაცი და გიამზოს ამბავი მზისა კაბუკისა და სენა სიკეთე და კაბუკობა, სიშუენიერე და ბოლოდ მუხთლად სიკუდილი უბადოთა კაცთაგან და ანბავი დიდად დასამძიმებელი და ნოგაქსენოს ანდერძი მისი. ესე უთქვამს ვითა: «ვინცა კარგი კაბუკი იყო, მან ძებნოს სისხლი ჩემი. რა ცნას კაბუკობა ჩემი და სიკეთე, შეეწყალები და სისხლთა ჩემთა ეძებსო. აწ მოვიდეს სახლსა ჩემსა დედა მზისა კაბუკისა და დიდებულნი მისნი დორათ დილაში, ყმა მისი, და შეილი მზისა კაბუკისა ამისთუის, რომელცა ვძებნეთ სისხლნი მისნი. მოვიდოდეს თქუენთანაცა და მე აღარა გამოუშვენ ამისთუის, რომელ ბერი დიაცი არის და გზანი შორნი და ძნელნი იყენეს. მე შენ მაგიერ და ჩემ მაგიერ მიქალებითა ესე პირი, რომელ ანუ ვძებნეთ სისხლნი მზისა კაბუკისანი და ანუ ჩუენცა დავიკონეთ».

მასკე თანა წავიდეს მოციქულნი სეფედაულესა თანა და შემდგომად მრავალთა დღეთა მივიდეს. ასმოდია ამბავი მზისა კაბუკისა, სიკეთე და მუხთლად სიკუდილი. დამძინებოდა დიდად და ეგრე შემოეთვალა ამირან დარეჯანის-ძესა: ვითა ხუდების კაბუკობასა შენსა, ეგრე გიბრძანებოა, წანოვალ და დაგზულები რომელსამე გზასა ლაზნისასა; არის დიდი და მაგარი ქუეყანა, ლაშქარი დიდი და ძნელი და ჩუენცა ლაშქრითა წავიდეთო. ადგილი დაგისახელა, ვითა: მუნ შევიყარნეთო. შეეკაზმენით და იგი დორათ დილაში ხაზართა ლაშქრითა ოცი ათასთა კაცითა. წავიდით, სადა მოსლვა ეთქუა სეფედაულეს, მას იდგოსა და მოსრულიყო იგიცა და ჩუენცა მივედით ლაშქრითა ორმოცი ათასთა. მერტად გაეზარნეს სეფედაულეს მისლვა ამირან დარეჯანის-ძისა. მოიკითხეს ერთმანერთი.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო! წავედით და ვიარეთ მრავალი დღე. მოვიდეს კაცნი ჯაშუშნი დორათ დილაშისანი. გუთისრეს ღაზნელთა ამბავი, ვითა უცნია მისლვა თქუენი და ჰკრეფენ ლაშქარსა ღაზანსა შიგან და მათად შუელად მოსრულ არიან სორაზან რასელი, უსტარაშან ისურასტნელი, კარგნი კაბუენი და დიდისა ლაშქრისა პატრონნი. მაგრა თქუენ ვინათგან ორნივე მოსულხართ და ყმანი ესე თქუენნი, ომისა თქუენისა გასწორება არ ეგებისო.

წავედით აქათით, ესენი ვიყვნით: ამირან დარეჯანის-ძე, მე სავარსიმის-ძე, აბან ქაზანის-ძე, ალი მოჰამადის-ძე, ასან ბადრის-ძე, ყამარ ყამრელი, ჭაოზ ქოსის-ძე, სეფე-დავლე, ომარ, მისი ყმა, და დორათ დილაში. მუნით იყენეს მოზოსტან ღაზნელი, სორაზან* რასელი, უსტარაშან ასურასტნელი, ფირუსენ ბიერელი, საბურ მისრელი, აბირ არაბი, ალი ნაღაბის-ძე და შეიდნი ყმანი მათნი ღოღნი კაბუენი.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო! დიდსა და ფიცხელსა ომსა ვიამბობ. იყო ლაშქარი ჩუენი ორმოცი ათასი და მათი განდამცეა უფროსი. ვითა მივეწურენით ათისა დღისა საყალსა, მოვიდა მარტო სორაზან რასელი ნახვად და ვნებად ჩუენდა. დიდი ავნო ლაშქართა ჩუენთა. მას დღესა მოგუიკლა ხუთასი ოდენ კაცი და წავიდა.

მეორესა დღესა მოვიდა უსტარაშან ასურასტნელი ენებად ჩუენდა და გუაენო კულაე მან უფროსი. რასალა ვაგრძელებდემ? თავის თავისად იგინი ყუელანი მოვიდეს და ყოველთა დღეთა ავენეს ლაშქართა ჩუენთა დიდი და ჩუენ არა გამოგუიჩნდიან. მივეწურენით ღაზანს დღისა ერთისა სავალსა. დილასა მივედით კართა ქალაქისათა. მას დღესა შეეკაზნეს აბჯრითა ამირი დარეჯანის-ძე და სეფედავლე დარისპანის-ძე და ჩუენცა ყოველთა გუიბრძანეს და დავეკაზმენით. ლაშქარი ყოველი რაზმად დააწყვეს და თუით ორნივე ამირან დარეჯანის-ძე და სეფედავლე დარისპანის-ძე, წინა წაგუიძლეს. მიედით. მას დღესა ომსა მოველოდით. ვითა აგუიჩნდა ქალაქი, ჰკრეს ბუკსა და ზმა შეიკმნის. დაეხედენით, რომელ ეკაზმებოდეს ქალაქსა შიგან იგი ლაშქარნი. მივედით კართა ქალაქისათა და გამოვიდა ლაშქარი დიდად დიდი და ერთიცა მათ კაბუეთაგანი არა გამოვიდა მას დღესა, ლაშქარნი ოდენ გამოუშუეს. რა იგინი არა გამოვიდეს, არცა ამირან და სეფედავლე გავიდეს და არცა ჩუენ მოგუიშუეს, მაგრა ლაშქარსა შეუზახნეს. მივიდა ჩუენი ლაშქარი, დაერივნეს ერთმანერთსა. იგი დღე მწუხრამდისი იბრძოლეს. დაიკოცა ორგნითვე ურცხუი ლაშქარი და სილამემან გაჰყარნა. თაემან თქუენმან, ფიცხლად ომად კმა იყო. დავფეგით ჩუენ კართა მის ქალაქისათა და გარეგანნი ყუელანი მოვარბიენით და დავწუთით. ყოველთა დღეთა ლაშქარი გამოვიდის და თუით იგინი არა გამოვიდიან. დიადი კაცი იკოცებოდა მუნითაცა და ჩუენითაცა. მაშინ ეგრე ბრძანა სეფედავლემ: მიკუირს, რომელ ეგზომ კარგნი კაბუენი არიან და არა გამოვლენ, რა ღონე არსო?

ამირან დარეჯანის-ძემან ეგრე არქუა: არცა ჩუენ გავსრულვართ ომად და ხანგრძლი ჰგონითო ჩუენი აქე დღომად და მართლადცა ჰგონითა. ვირე ქალაქს არა წაულებთ და ანუ არა დავიკოცებით, აქით არა წავალთო, ამით არა გამოვლენ ჯერეთო. ამაზედან ლაშქარი გამოვიდა ქალაქით მეტად დიდი და აქათ ჩუენი ლაშქარი მივიდა. ომი შეიკმნა ფიცხელი. დორათ დილაშმან ეგრე თქუა: ხედავთ მუხთლობასა ამათსა, რომელ თუით არა გამოვლენ და ლაშქარსა გამოუშუებენ. ამას მით იქმენ, რომელმცა ჩუენი ლაშქარი დალიოს და მათი არა დაილევის მით, რომელ მათსა კუეყანასა შინა არიან და რა ჩუენი ლაშქარი დაილევის, ცოტათა კაცთა ზედა დაგუსხმიან, მზისა კაბუენისაგერ ჩუენსაცა ღამიან მუხთლად სიკუდილსა, მაგრა ჩუენ ამასა ნუ მოუსმენთო.

რა ესე თქუა დორათ, ფიცხლად ცხენი შეურტევა. რა იგი ნახეს, ჩუენცა გუიბრძანეს ამირან და სეფედავლემ, ჩუენცა შეურტევეთ, დავკოცენით, რომელ რისხეა ღმრთისა დავეცით და ქალაქსა შევახუეწენით. ეგრე შეჰყიფოა დორათ დილაშმან, ვითა:

* აქედან აკლა D ხელნაწერს.

თქვენ ნუბთლობასა დაჩუქულ ხარო და ესე არა იცით, რომელ ნუბთლობითა ვერასა ავ-
ნებთ და, თუ კაბუენი ხარო, თქუენად ომად მოსრულ არიან, ვამოდით და შევებითო,
ლაშქართა ერთმანერთსა რად აბრძოლებთო. ამას უკანით, როლესცა ლაშქართა გამოვ-
ზანეთ, ამას უზანთ, რაცა აწ გუიყოფიანო. იგინი ავად დაეუზნენს დორათ დილაშსა. *გვრე
ჩანოვილა* ალი ნადიბის-ძემან, ვითა: შენ წამოსძლომიხარ წინა და მოგიცთუნებინ
ეგე კაბუენიო, თუარა ნავათი საქვე რა იყო აქა. აწ თუ დიაცი არა ხარ, ვამოდი ხეაღე,
მე და შენ შევიბნეთო.

გამოსთხოვეს მუქარა ერთმანერთსა და ხეალისა დაასკუნეს ომი. გათენდა ზედა.
გამოვიდა იგი ალი ნადიბის-ძე¹ შეკაზმული და ზედა წამოდგეს იგი კაბუეი და წამოდგა
ყოველი ქალაქი.

ეგრევე გავიდა დორათ დილაში შეკაზმული. ეგრე ჩამოჰყვილა მოხოსტან² ლანგელან
ალი ნადიბის-ძესა: მალე აჯობე და შინა მშუიდობათ შემოველო. ეგრე შეჰყვილა დო-
რათ დილაშმან, ვითა: ძეტრამბეა ჩენი ეგრე შემოვა, ვითა ეს შემო-ლა-ვიდესა. თიცხლალ
შეტუტევს ერთმანერთსა და ზეიბნეს. დიდი ომი გარდაიკადეს. შეეტყობოდა, რომელ
დორათ აჯობებდა. ეგრე თქუა: აბა, აწ გეწყალოდეს პატრონი ჩემი ნზეკაბუეი, რომელ
ვითარათა კაცთა ნუბთლად მოკლესო. შეუტრევა, ჰკრა კრმალი ჩაბალახსა ზედა და შერ-
დამდის ჰაქუეთა და მოკლა. ჩუენ შეტყენით სიხარული და მათ დაუძმძიდა. მოვიდა დო-
რათ და თაყუანისცა ანირანს და სეფედავლეს. მათ მადლი უბრძანეს: ვითა შეუენის სი-
კუთესა და კაბუეობასა შენსა, ეგრე იყო.

მით დლითგან ლაშქარსა აღარა გამოუშუებდეს, ეგრე მოუგზავნეს კაცი სორაზან
რასელმან და უსტარაშან ასურასტნელმან ანირანს და სეფედავლეს, ვითა: აარცა, ღმერთო,
საქმე თქუენია და არცა ჩუენი. აწ ვინათგან მზისა კაბუეისა სისხლის ძებნად მოსრულ-
ხარო და ჩუენ ამათად მესულად, ესე იცოდე, რომელ უომრობა არა ეგების ჩუენგან-
ბრძანეთ და ხეაღე გამოვლითო. ამათ ეგრე არქუეს: ომა, ღმერთო, აღრევე კამდაო, მით
რომელ არა კაბუეტა კელია უომრობა; აწ დილად, ღმერთო, ბრძანეთ და ჩუენ მზანი
ვართო.

დილასა გამოვიდეს იგი სორაზან რასელი და უსტარაშან ასურასტნელი შეკაზმულნი
და წამოდგეს ზედა ყოველი ქალაქი. ეგრევე გავიდეს ამირან დარეჯანის-ძე და სეფედავ-
ლე დარისპანის-ძე. შეუტრევეს და შეიბნეს, ვითა ხუდებოდა კაბუეობასა მათსა. იბრძო-
დეს დილითგან მწუხარამდის და სილაშემან გაჰყარნა. შევიდეს ქალაქსა და შეიქმნა
სიხარული ვერა ჯობინსათუის. ჩუენ მეტრად დაგუიმძიმდა მათგან ომისა გასწორება და
ეგრე ბრძანეს: არა თუ იმათი დაეკოცა არა შეგუძლოს, განა თუცა დაგუეკოცნეს, მზისა
კაბუეისა მკვლელნი აღარა გამოვიდოდესო. ამათი არა ბრალია, მეშუელნი კაცნი
არიანი.

დილასა გამოვიდეს შუიღნი ყვანი მათნი და ჩუენ გამოვუთხოვეს მუქარა. გავედით
ჩუენცა—მე, სავარპიმის-ძე, აბან ქამანის-ძე, ალი მოჰამადის-ძე, ასან ბადრის-ძე, ქაოზ ქო-
სის-ძე, ყამარ ყაზრელი და ომარ, სეფედავლეს ყმა. შევიბნით და დიდი ომი გარდავდა.
ველად დაგუიღვენეს. გაგუექენეს, ქალაქისა კართა მიეწვიენით და შიგნით ლაშქარი გამო-
ვიდა მათად შეეჯად, ოთხნი დაეკოცნით და სხუანი დაგუაყრევენეს. შემოვიქუეცით გა-
ზარულებულნი. მადლი გუიბრძანეს. დავეყენით დღენი მრავალნი და ომი აღარა შეიქმნა.
მერამე მათევე კაცი მოგზავნა, ვითა: ყოუნა ომისა აღარა კამსო. აწ ხეაღე ჩუენევე გამო-
ვალთ. ძოდან ვერა რომელმან დავაჯერეთ ერთმანერთით. ვამოდით და აწ მუნამდის ვებრ-
ძოლოთ, ვირე ერთმანერთსა დავაჯერებდეთ. თქუენი ლაშქარი შორსა უკუყარნით,
რომელ ვერა გიშუელონ და თუ თქვენ მოგუეკრივენთ, კარნი ქალაქისანი დავეშნეთ, რო-
მელ ჩუენ ვერავენი გუიშელოს.

* აქამდის აკლია D ხელნაწერს. ¹ ხელნაწერებში ზოგჯერ: ნადიბის-ძე, ნამადის-ძე, შახუსტა.

დაასუენეს ომი ხვალისა. დორათ დილამმან ეგრე თქუა: მუხთალი არის ისი, რომელ ეგრე თქუეს: ლაშქარი შორს უქუყარეთო. სეფედაულემ ეგრე უთხრა: დორათ დილამო, ნუ შეიკირებებ, ჩემსა მხესა, აწ ნახო კაბუჯობა ჩუენიო.

ვითა ზედა გათენდა, გამოვიდა სორაზან რასელი და უმტარაზან ასურასტენლი. თავჴან თქუენმან, დედად მოგუქუონენს, კაცად კმა იყენს. წამოდგეს ზედა ნეუტუე-მედამ-დაბენი და მოდგა ჩუენი ლაშქარი და ზნა იყო. გავიდეს ამირან დარეჯანის-ძე და სეფე-დაულე დარისპანის-ძე შეკაზმულნი ესაკე, რომელ რაღაცა ინახოდეს კაბუჯნი ზათებრნი! დორათ დილამმან ეგრე თქუა: თულად, ღმერთო, ჩუენნი სჯობან და გამარჯუება ღმრთი-საგან არსო. კაცი მოგზავნეს, ვითა: ვარემდის ლაშქართა ზე არა უქუჴყრით, ჩუენ მანდა არა მოვალთო. გუიბრძანა შორს უქუღგომა და ნახოთ კაბუჯობა ამირანისა და სეფედაუ-ლისიო. შემოუვლეს ნაეარდი ერთმანერთსა და შეუტევეს. შეიბნეს, გარდაკდა დიდი ომი. ნახეთ მუხთლობა მათი! ანაზღად ომსა შიგან კარნი ქალაქისანი გაახუნეს. და იჩქითად გამოუიდეს იგი მოხობტანქი ლაზნელი, საბურ მისრელი, ფირუზენ ბიგრელი და აბირ არაბი. სამნი დარეჯანის-ძისაზედა მივიდეს და სამნი სეფედაულესზედა.

თქუა ამირან დარეჯანის-ძემან: გამო-ღმერთო-ვიდეს, რომელთაცა გამოველოდითო. სეფედაულემ ეგრე თქუა: გამო-ღმერთო-ვიდეს, რომელმანცა უწინ დაეკოცნეთ, იგიცა ესჯობდეთო. ფიცხლა შეუტევეს. დორათ ეგრე თქუა: მე ამას ვიტყოდო, რომელ სიმუხ-თლესა შინა იჯენესო.

წავედით ფიცხლად ჩუენცა შეუღად, და თემან მეუობისა შენისამან, ვიკე ჩუენ ნივისწრებოდით, მათ ორთა იგანი ექუსნიეე დაეკოცნეს. ამაზედა მოვიდა ლაშქარი ჩუენი. რა მოქალაქეთა იგი ნახეს, გაიქცეს. შევედით ქალაქსა შინა, დაეკოცნით და ქალაქი იგი წაუღეთ და რისხუა ღმრთისა დავეციით მათ ზედა. არცა დიაცი დაეარჩინეთ და არცა შამაცი სისხლათუის მხისა კაბუჯისათა. დაეწუთ ქალაქი მათი და წამოვიხუენით საქურქლენი: თული, მარგალიტი და სტაერა, რომლისა არა იყო რიცხუი. ავჴიდეთ აქ-ლეშებსა და გორებსა, წამოვედით გამარჯუებულნი და მხიარულნი.

ესე იყო ძებნა სისხლთა მხისა კაბუჯისათა ამირანისა და სეფედაულესაგან. გაგზავნეს მხარობელი დედოფალს თანა, დედასა მხესა კაბუჯისასა. მან შეასხა კება და წარმოთქუა მადლი ურიცხუი და უბოძა დიადი საბოძეარი დორათ დილამსა, გაეთაყუნა და წაივდა. მოვედით ბაღდადსა და არა გაუშუა სეფედაულე ამირან დარეჯანის-ძემან წელიწადსა ერთსა. ერთგან იყენეს, განისუენეს, ნადირობდეს და ნადირობდეს, ეჯზომ უყუარდა ერთ-მანერთი, რომელ არავის უნახავს ეგრე მოყუარულნი კაცნი. ორნი მთლებრნი ღმერთსა არა დაემაღნეს. ლალოზდიან, იცინოდინან და შეექცეოდინან.

რა წელიწადი ერთი გამოჴდა, დაჴპატრეა დიდად ამირან დარეჯანის-ძემან და სეფედაულემ ეგრა დაიკირა. მერმე მან გუიქმნა მისსა სახლსა დარისპან-შაჴარსა. წავე-დით და დავეჴეენით წელიწადი ერთი ზუნ. პატეისა, ძღუნობისა და განსუენებისა არა იყო რიცხუი, შეიყუარეს ერთმანერთი და რა წელიწადი გამოკდა, წამოვედით ძღუნითა და ნიკითა დიდითა გამდიდრებულნი დარისპან-შაჴრით და მოვედით ბაღდადსა.

აქა დასრულდა კარი სისხლთა ძებნისა. ნუმცა დაესრულების სუფევა მეფობისა თქუენისა უკუნისამდე, ამინ.

ქარი მმართორმმბთ

სალხითოს უხლავისა ამაჴამო

ისმენდი, მეფეთ-მეფეთ, ცხოენდი უკუნისამდე! აღიდნეს ღმერთმან მოყუარენი ბქუ-ენნი და არცხუინოს ორგულთა თქუენთა!

დღესა ერთსა ბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან სიარულად გასლვა მინდორსა ში-გან. გავედით და ვიარებოდით, გავეშორენით ქალაქისაგან. მო-ვინმე-ვიდა კაცი შაკრეიკი,

შავნი ღართნი ტანსა ეცუნეს. ოაყუნანისცა ამირან დარეჯანის ძესა და მისცა ცოტა წიგნი. მერვე უბრძანა მას შიკრიკსა, რა იციო. მან ვერე მოაკსენა: შარტომან გამიკითხო. მე გავულ და მათ დიდი ხანი იუბნეს ორთავე შარტოთა. მერვე მიბრძანა მისლვა, ნიველ და ეგრე მიბრძანა*: თუთი გამოსცან, ისი კაცი ვინ არის, ანუ სით მოვალსო. მოვაქსენე: მე, თქუენმან მზემან, არა ვაცი მეთქი. მერვე მიბრძანა: ისი ბალხთა მეფესა ცოლმან არის და ბალხთა მეფე მოუკლავს ბალხამს ვისმე ყამის-ძესა და წაუღია ყოველი სამეფო მისი. დარჩომია დღეოფალსა ერთიდა ქალაქი და ასული უვის და მას ცოლადი სთხოვს. მოდგომილ არს გარე და მიუწურავს ქალაქი წაღებასა. აწ მე უკმევიარ, ვითა: გაქებენ, ამირან დარეჯანის-ძეო და თუ ეგეთი ქაბუკი ხარ, მოდი და ასული ჩემი ცოლად შეგართო, წაიღე ბალხეთისა ქალაქი, და საქურქლენი ჯერეთ ჩემსა კელსა არისო და მიუწურავს წაღებასა, თუ მალე არა გუიშველიო.

მე დამიმძიმდა დიდად ამით, რომელ საქირო გზა იყო და ბალხამ ყამის-ძე ლომი და გამარჯუებული ქაბუკი იყო და ჩემგან დაშლა არა ეგებოდა, მოვაქსენე: ვითამცა გწაღიან, ეგრევე ქმენითო. ბრძანა: გამომირჩევი და წაიღეთო.

მოაკსენა შიკრიკმან: თუ დიდად არ გაესწრადეები, ვეღარას ვესწრები, წაუღებენ ქალაქსაო. თუთი ბალხამ ყამის-ძე არ არის მუნ, ლაშქარნი ოდენ დგანანო. თუ იგი მიგისწრობს, უღონიოდ წაიღებენო. წამოედით შინა და დაუწყეთ საურაევსა ქმნა. ბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან: არცა ულაშქროდ კამს წასლვა და არცა ლაშქრითაო. მოაკსენა შიკრიკმან: აწვე მოვაქსენო, არა არის რიცხუი ლაშქრისა, ამაზედა ვითამცა კამს, წაღთო. დარჩევა თავისა ლაშქართა შიგან ხუთასი ცხენოსანი, რომელ არა იყო ბაღდადელთა სამეფოსა შინა უკეთესი. წავედით და წაგუიძლვა წინა შიკრიკი. აქათგან ესენი ვოყენით: ამირან დარეჯანის-ძე, მე—საეარსიმის-ძე, აბან ქამანის-ძე, ალი მოჰამადის-ძე**, ასან ბადრის-ძე, ყამარ ყამრელი და ქაოზ ქოსის-ძე და იგი ხუთასი ცხენოსანი. ოდესმცა გენახენით, ანას ბრძანებდი თუ, ქუეყანაზედა კაცად კმარიაო. ეგრე თქუა მან შიკრიკმან: თუცა ცოტანი არა იყენეთ, არა არს კაცი თქუენებრი პირსა მიწისასაო.

უბრძანა ამირან: გვაგუიძელ წინა და ეგე გუარსა ნურას იურეო.

ვითა წავედით და მივედით ბალხეთს, იყო დიდი ბალაღი ქელი. მაზედ წაქადეგით და დაგებდენით, ლაშქარნი გაგუიღიადდეს. თქუა შიკრიკმან: აქა ბალხამ ყამის-ძე არ არს ჯერეთო გაგუეყურად უპატრონოდ მათ ლაშქართა სიდიდე. თქუა ამირან დარეჯანის-ძემან: გამოეარჩიოთ და ეგრე შევიბნეთო. გავედით კიდე ამირან დარეჯანის-ძე და ექუსნი ყმანი მისნი. ეგრე გუიბრძანა: თქუით ყუელამა და ვისიცა სიტყუა სჯობდეს, იგი დავაძტკიცენეთა.

თქუა აბან ქამანის-ძემან: ისი ლაშქარი დიდი არის და პირდაპირი ომი არ ძალგუაქვს. აწ გამოეარჩიოთ ადგილი და დაეღეთ, ზუენ წაიღეთ. შიკრიკმანი კაცნი ვიბეზლნეთ და მოეყუანეთ სიმარჯუესა და რა ღმერთმან გამოარჩიოს, იგი იქმნასო.

თქუა ალი მოჰამადის-ძემან: არ ვარგა გამობეზლება, დიდი ლაშქარი არის. დავესხნეთ დილასა ერთსა კერძსა და ვინ მოკუდეს, მოკუდეს და ვინ დარჩეს, დარჩეს. თქუა ასან ბადრის-ძემან: მე ესე გამომირჩევი, კამონ პური და შეიხუნენ ტაბლა შინა, მათ კაცთა შიში არაგვის იქუსთ გულსა. მივიდეთ, დავესხათ თავსა და რა ღმერთმან გამოარჩიოს, იგი იქმნასო.

თქუა ყამარ ყამრელმან: მომეცით ორასი კაცი და დადქით აქა თქუენ. მე მივიდე: ვიბეზლენ და დაუწყო ომი მუნამდის, ვირე გამოვიდოდეს ყოველი ლაშქარი, დარჩეს კარაენი უკაცურნი. მერვე თქუენ რაღა გინდა, ქმენით. მე თუ უნდა მომქლან და თუ დაერჩე, ღამით შემოვალა. .

* აქედან აქლად D ხელნაწერს.

** აქედან აქლო A ხელნაწერს.

თქუა ქაოზ ქოსის-ძემან: ჩუენ ისი ცხენოსანნი * გეტსა არას გუარგებს ამით, რო-
მელ დავუბმენ ისი ** ჩუენი კაცნი ჩუენე. აწ პატრონი ჩუენი და ჩუენ მივიდეთ ღამით
და რომელი წინა დავუხუდეს, უკუდავად, ღმერთო, ვერა წაგუივო; შინა მშუიღობით
შევიდეთ, თუარა დიდი ლაშქარი არის, რომელთამე მოკლევინ და რომელთამე ჩამოყრიან
და ჩუენგან ესე არა ეგების, რომელ[ლ]მცა არ უშუელეთ. სჯობს ჩუენი მარტოთა მისლუა
ამით, რომელ ჩუენი დამართებითი კაცი იქი არა არის და ჩუენ მშუიღობით შევალთო.

ნერამე მე, საყარ, ვთქუი: ძმანო, რად იტყვიებთ თავსაო. რაცა თუთი მარჯუეა, მას
იქმს პატრონი ჩუენიო.

თქუა ამირან დარეჯანის-ძემან: ვითა თქუენსა ქაბუკობასა მართებს, ყუელა ეგრე
გიტქუამს. მკერა ვინათგან თუთი მე აქმა ვარ, მაგისი ერთისაცა კმნა არ ეგების. აწ რა-
ზომცა დიდი ლაშქარი არის, ომსა ვერსით წაუვალთ. აწ ღღისით მივიდეთ და სადა
უფროსნი ლაშქარნი იყენენ, მუნ შევებნეთა.

დავასკუენით ესე ზიო. უბრძანა მას შიკრიკსა: წაედ და აცნობე მოსლვა ჩუენი
პატრონსა შენსაა. წაედი იგი შიკრიკი: ჩუენ დავეკახშენით და შევსხედით უკეთესთა
ცხენთა და ჩაეიკუთ საქურეელები. [ოღეს გენახეთ], იტყოდი!, თუცა—იმა კაცთა ვერა
დამართებს მტერიო. ვითა მივედით ლაშქართა კიდესა და აცნობეს დედოფალსა ჩუენი
მოსლვა, შეიკმნა ზმა დიდა ქალაქსა შინა, წამოაყენეს ზედა მებუკე-მეფაბდაბენი, დრო-
შანი მრავალნი და სცემდეს ზარსა. ვითა ცნეს მათ გარეგანთა ლაშქართა, რომელ მო-
ვიდა ვინმე მეშუელი მოქალაქეთაო, ფიცხლა დავეახმა ყოველი ლაშქარი და დადგეს. მი-
ვედით ჩუენ და სადა უფროსნი დგეს, მუნ შევებნით. თამან მეფობისა შენისამან, არა
შინახავს ეგზომი ფიცხელი ოპი. მოვიდა ყოველი ლაშქარი ჩუენზედა, დაგუფანჩნეს სიღო-
დითა ლაშქართათა. გაუპენით ლაშქარნი და გავედით ცალკერძ. ოღეს დაეხედნით, აღა-
რა იყო ჩუენთანა ამირან დარეჯანის-ძე. ოღეს კულა დაეხედნით, ცალკე იყო ლაშქართა
შიგან და იბრძოდა. ფიცხლად მოკლა მრავალი კაცი და ცხენი. მოსცემდა თგი ყოველი
ლაშქარი უკანა და მოუკლეს ცხენი და გაუტყდა კრპალი. მაშინ მოსწყუადის ცხენსა
ბარკალი და მით იცემებოდის. ვითა ვნახეთ, უყვირეთ ერთმანერთსა და შევიყარენით
ქუქსნივე ერთად. მოგუეგება წინა ყოველი ლაშქარი და, ზენაარპან ღმრთისამან, ცო-
ტათა კაცთაგან ეგზომ ფიცხელი ოპი არა ნახულა. დაგუიკოცეს ცხენები და სამხრამ-
ღისი იბრძოლეთ და ვერა შევატყვეთი კლება დარეჯანის-ძესა; უფოცებ და უფოცებ
იბრძოდის. და გუხედვით ზედა დედოფალი, ბალხთა მეფისა ცოლი და ასული მისი და
ყოველი ლაშქარი და ვერა შეეძლო შეეღად ჩუენდა. ეგზომ შეეაფენით იგი გარეგანნი
ლაშქარნი, რომელ თანა ველარა მოგუიდგეს, და მშუიღობით შევედით ქალაქსა, ჩამოგუე-
გება დედოფალი, ბალხთა მეფისა ცოლი, და ყოველი ლაშქარი. ესე იყო პირველი გ-
ჩუენება, რომელ გაეზუნა თავისა ცოლისა ამირან დარეჯანის-ძე და შევედით სამეფოთა
სახლთა. არა იყო რიცხუი საქურტლეთა სიმრავლისა და მსუათა ტურდათა. დაეპყავით
იგი დღე მუნ. დაიკოცლ-იყო ჩუენი ცხენნი ყულა და მის ხუთასისა კაცისაგან მოგუევა
სამასილა კაცი. მიმწუხრ მოვიდა კაცი და გუკოთხა, თუ: ამეჯინიბეთა უხუცესი ვინ
არისო? მოვიდეს, რომელ ცხენები მიითუალოს. აღგა ქაოზ ქოსის-ძე და წაპყვა თანა მას
კაცსა. მოვიდა და ეგრე თქუა: ესამნი ცხენნი მიჩუენეს მკლენი და არას ეკლისანიო. ჩუენ
დაგუიმძიმდა და კითხვა ამირან დარეჯანის-ძემან: ჩემსა მზესა, მითხარ მართალიო.

მოაკუნა: შენმან მზემან, ხუთასი ტაიკი ესეთი მიჩუენეს, რომელ მისებრი არა ნა-
ხულა, სამნი ცხენნი სათქუენო, რომელ არა დგანან მათებრნი ქუეყანისა ზედა.

მოგუზაენა დედოფალმან კაცი მისი დიდებული, ვითა: მუნ ხარ მეფე ყოვლისა
ბალხეთისა, მასშიოდა კება შენი და უფროსი კებისაგან გნახეო. აწ შეირთე ასული ჩემი

* აქამდის ავლია D ხელნაწერს. † ხელნაწერებში: სთქუი.

** აქამდის ავლია A ხელნაწერს.

ცოლად და დაიდგი სამეფო გუარგუინი თავსა. ნუთუ კულა მოგცეს შვილი ლმერთმან და ძლევა ამას კაცსა ზედა. სიმაართე ჩუენი და ჰაბუტობა შენი ერთგან შეკრბენ და ლმერთი ძლევასა მოგცემსა.

გასცა დედოფალმან ბრძანება, და შეკრბეს დიდებულნი ყოველნი და გარდაიკადეს ქორწილი. ერთი ყმა და ერთი ქალი მათებრნი არა ნახულა და არცა ვის უნახავს. იყო ყოველი ბალხეთი შავითა შემოსილი მეფისათუის. გასცა ბრძანება დედოფალმან და აჰკადეს შავი ყულასა. დარეჯანის-ძისა ცოლსა ვერა აჰკადეს და ესე თქუა, ვითა: მე თუით ვიცი ეამი შავთა აკდისაო. მას ღამით მიუგზავნა კაცი დედოფალმან, ვითა: თუ ბრძანოთ, უკმენით დიდებულნი და ვაჰარნი, თავნი ქალაქისანი და ხელე ნადიმი დიდევით და გაიხარენით. ყულამან შეუთუალა: დიდად, ლმერთო, კამსო.

დიდნი ბანნი იყვნეს მეფისანი. დილასა მაზედა დაიდევს ნადიმი. დასხნეს საჯდომნი ორნი დედოფლისათუის და ერთი დარეჯანის-ძისათუის. დაჯდა და დაისუა ცოლი მისი. გუერდით დაჯდა დედოფალი და დაისხნა გუერდით ასი დიდებული ცალკერძ და ასი ცალკერძ. დაიდვა ნადიმი ეგეთი, რომელ არა მინახავს მისებრი. დაეიწყეთ სმა და განსტენება. თქუა ამირან დარეჯანის-ძემან: ნუ დაშლით ნადიმსა, სხედით და განისუენებდით, დღეს რამი ჩემი არსო. ითხოვა ცხენი, შეიქურა და გავიდა. ჩუენ ვსხედით ყოველნი, დაუწყო რამი, ვითა ხუდებოდა ჰაბუტობასა მისსა. დაკოცა მრავალი ცხენი მათი და კაცი და შემოვიდა მშუილობით. მოეკლა მაშინ ხუთასი კაცი. მოვიდა და დაჯდა ნადიმიადვე. შეასხეს ქება და უძღუნა დედოფალმან და დიდებულთა ძლუენი დიადი. დაეცხედით ნადიმიადვე, აავსო ქიქა ამირან დარეჯანის-ძემან და მიბოძა მე, საფარსიმის-ძესა და ეგრე მიბრძანა: შესუი ეგე და ხელე შენი არს ომიო. გამოუღე და თაყუანის-ვეც. შეესუი.

ხელისა დღე დაჯდა მეფე ბანთა ზედა, დაისხნეს დიდებულნი. შეეკაზმე და გაველ. თავმან თქუნემან, ნურას სიქადულად შემირაცხავთ, დიდად კარგად ვიყავ. მოეჰკალ მას დღესა სამასი კაცი და ნიელ მასვე ნადიმსა ზედა. მიბრძანა მადლი ამირან დარეჯანის-ძემან და მიბოძა დიადი საბოძვარი. დაესხედით სმადვე.

მერმე უბრძანა აბან ქამანის-ძესა: ხელე შენი არს ომიო. ადგა, თაყუანისცა, შეეკაზმა და გავიდა. კარგად იყო იგიცა მას დღესა. მოეკლა ორას ომროცი კაცი, შემოვიდა შინა მშუილობით, უბრძანეს მადლი და უბოძეს საბოძვარი.

მერმე უბრძანა ალი მოჰამადის-ძესა: ხელე შენი არს ომიო. ადგა, თაყუანისცა და დაჯდა ნადიმიადვე. დილასა შეეკაზმა ალი მოჰამადის-ძე, გავიდა და შეება, მოკლა მას დღესა ორასი კაცი და შემოვიდა შინა მშუილობით. უბრძანეს მადლი და უბოძეს საბოძვარი.

მეოთხესა დღესა უბრძანა ასან ბადრის-ძესა: დღეს შენი არს ომიო. შეეკაზმა და გავიდა. ხელვიდა ყოველი დიდებული და თუით მეფეცა. მოკლა მას დღესა ასსამოცი კაცი. თქუეს ყოველთა: კარგად იყო თავის თავის, რომელ ყოველთა რამი გაგუი-მარჯულა. უყეთესობა აღარ ეკებოდა.

მერმე უბრძანა ყამარ ყამრელსა, ხელე შენი არს ომიო. დაჯდა მეფე ნადიმიადვე. შეეკაზმა ყამარ ყამრელი და გავიდა. შეურტევა და მოკლა ფიცხლად მრავალი კაცი და ცხენი. შემოვიდა, ცოტა წყლული იყო, მადლი უბრძანა და უბოძა საბოძვარი. დარჩა ქაოზ ქოსის-ძე უომრად. მოაკუნა: მიბრძანებ, მეფეო, თუარა, ხელე ჩემი არს ომიო მეფემან მადლი უბრძანა: დაა, ლმერთო, კამსო.

დაჯდა მეფე, დაიდვა ნადიმი. შეეკაზმა ქაოზ ქოსის-ძე და გავიდა. ეგზომ ფიცხლად შეება, რომელ ეგრე თქუეს ყოველთა: იგი სჯობდაო. შინა შემოვიდა მშუილობით, უბრძანა

* ამის შემდეგ აკლია D ხელნაწერს.

მადლი და უბოძა საბოძვარი. თქვეს ყოველთა: არცა ვინ ამირან დარეჯანის-ძესა ჰგავს და არცა ვინ მისთა ყმათა ყოველსა ქუეყანასა ზედა. დაეცა ზარი გარეგანთა ლაშქართა და გაგზავნეს კაცი ბალხამ ყამის-ძესა თანა და შეუთუალეს ყოველი ყოფილი მისი. იტყოდეს მას ბალხამ ყამის-ძისასა: არა არს ერთი კაბუჯი მისებრიო.

შემდგომად მცარდთა დღეთა მოვიდა ბალხამ ყამის-ძე, შეეკაზმა გარეგანი ლაშქარი და დაუწყეს ბუკსა და დაბდაბსა ცემა. გაეკება წინა და დავეფეთ. ჩუენ ზედა მოვიდა ბალხამ ყამის-ძე ლაშქართა კულა ურიცხვითა და მოკაზმულობითა, რომელ მტერი აღარა ეგებოდა. წამოდგა ლაშქართა წინა და დაიდგა ძოწეულნი კარაენი და არა გარდასწუდებოდეს თუალი სიდიდესა ლაშქართასა. შემოგზავნა კაცი ბალხამ ყამის-ძემან და შემოეთუალა ამირან დარეჯანის-ძესთანა: ხარ კარგი კაბუჯი, რომელ მასშია, მაგრა ეგვრა ცა გიკმნია, არა კარგისა კაბუჯისა კელია. ამა ჩემთა ლაშქართა რა შეგცოდეს, რომელ დაჰკოცენ ბედითნი კაცნი. თუ კარგი კაბუჯი იყავ, გამო-მცა-გეგზავნა კაცი და ეგრე გეტქუა: მე მოვედ, ამირან დარეჯანის-ძე, მოდი და შევიბნეთო თუარა, ამითი რა ბრალი იყო. აწ ვინცა ხარ, კელისა ჩემისაგან, ღმერთო, გიწერია სიკუდილი, და ნუღარა იყოვნი, ხვალე ფიცხელი ომი არის შენი და ჩემიო.

გასცა პასუხი ამირან დარეჯანის-ძემან: მოესულეარ და შემიერთეს ბალხთა მეფისა ასული ცოლად და ჩეუე ვარ ყოვლისა ბალხეთისა და ეგრე გიბრძანებია — რად დაჰკოცენ ჩემი ლაშქარიო. არა მიბრძოლია გულითა, თუარა სრულად დაეპკოცი. მე შენ მოგელოდი. აწ ხვალე ომი არს შენი და ჩემიო.

მაშინ გასწყრა იგი ბალხამ ყამის-ძე, ამპარტავენი კაცი იყო. შეეკაზმა ყოველი ლაშქარი. ხვალისა დღე სცემდის ბუკსა და დაბდაბსა, წამოაყენეს დროშანი. ზმა იყო. შეეკაზმა ამირან დარეჯანის-ძე და გავიდა. გავედით ჩუენცა. წამოდგა ზედა ყოველი ქალაქი და დეოდოვალნი. შემოუვლეს ნაეარდი ერთმანერთსა, შეუზახნეს და შეიბნეს. არა ისმოდია ყურთა კმა კეხისაგან კრმალთა. იბრძოლეს დილიდგან წყუხრამდის და ეგრა გარდაიწყუიტეს. შემოვიდა ამირან დარეჯანის-ძე დაღრეჯილი ვერ ჯობისათვის, ვითა გამისწორა ომიო, და ეგრევე წავიდა ბალხამ ყამის-ძეცა დაღრეჯილი ომისა გასწორებისათვის.

მეორესა დღესა კულა მოეგზავნა კაცი, ვითა: ხვალე ომი არს შენი და ჩემიო. აწ თუ კაბუჯი ხარ, ნუ იკლებ, გუშინდელი ყუელა ლალობა იყო და აწ გადაწყვეტა კამსო. მან შეუთუალა, ვითა: დამიწყველია მარჯუენე ჩემი მით, რომელ ჩემთის ომი სხუას ევრაეის გაუსწორებია. მართლა გიბრძანებია, გუშინდელი ომი ლალობა იყო და გაწყვეტა კამსო.

ხვალისა დღე ეგრევე შეეკაზმნეს და გავიდეს. ზმა იყო დიდი. გავიდა ამირან და გაგუიტანა ჩუენ ექუსნივე ყმანი მისნი თანა. შემოუვლეს ნაეარდი ერთმანერთსა და შეიბნეს. ფიცხლად შეუტევა ბალხამ ყამის-ძემან ამირან დარეჯანის-ძესა. უკრა ცხენსა და თავი მოუკუეთა და ლამოდა ჯობნასა. იდგა დარეჯანის-ძე მოუკრა ცხენსა კრმალი და ოთხნივე ფეკნი მოუკუეთნა. შეუტევეს ქუეთად და შეიბნეს. ოდეს ცხენთა სხდეს, ყოლა არა გჯინდეს. ესწრა ლამევე და ეგრა გარდაიწყუიტეს. გაიყარნეს და დაუმძიმდა. მასცა და მასცა. დასწყველა მარჯუენა თვისი დარეჯანის-ძემან. გამოკდეს დღენი და აღარა შეიძრახნეს ერთმანერთსა. მერმე მოეგზავნა კაცი ბალხამ ყამის-ძესა და ეგრე შემოეთუალა, ვითა: შენსა და ჩემსა შუა მცირედო ომი გარდასრულა, მაგრამ დღენი წალმავი სხენან. შევიწო ღმერთი და შეგანანიო შერთვა ცოლისა ჩემისა: აწ გამოგზავნე ექუსნივე შენი ყმანი და ექუსთა მე გამოგზავნი, შეიბნენ და გარდაიწყუიტონო.

გავედით აქათ ექუსნი ჩუენ და გამოვიდეს ექუსნი მისნი. შევიბნეთ და ეიბრძოლეთ დილითგან მწყუხრამდის. გაფეიცხდით ჩუენ: გაგუექუნეს ივინი, მიეწიენით და ბალხამ ყამის-ძისა კარავსა შიგან ჩამოყვარებით და სამნი მათგანი მოვკალით. ლამოდეს შემოტევებასა ლაშქარნი. გაუწყრა ბალხამ ყამის-ძე მათ ლაშქართა, ვითა: ივინი უბადლნი იყვნეს

და ესენი კარგნი, ანათი მადლი კამსო. მადლი გუიბრძანა. შეგუმოსნა და შეუთვალა იმირან დარეჯანის-ძესა თანა, ვითა: შეგირთავს საცოლე ჩემი და დაგიკოციან ლაშქარნი ჩემნი. აწ ხვალე კულა გამოედ, შეეკაზმე და დაიკიდენ პოლოტიკნი რკინისანი სიტკივართა ადგილთა, გარდაწყუტუა არის შენი და ჩემიო. შემოვედით და მოვაკსენე ამირანს შეთულილობა ბალხამ ყამის-ძისა და დაასკუნეს ხვალისა ომი. იტყოდეს ყოველნი, ვითა: დღეს არს სიკუდილი რომლისაჲყო.

ვითა გათენდა, შეიქმნა გარეგანთა ლაშქართა შიგან კაზმა. შეეკაზმულიყო იგი ბალხამ ყამის-ძე და შემოგზავნა კაცი და ესე შემოეთულა, ვითა: თუ კარგი ჭაბუკი ხარ, ნუ დაღებები, გამოედო. შეეკაზმა ამირან დარეჯანის-ძე და გაედა. მიუგზავნა კაცი ცოლსა მისსა და ესე შეუთულა, ვითა: გამოედ ბანთა ზედა, დაჯედ და ჩამოდმა იპურტდლიო. ისა საქმრო იყო შენი, და აწ შენ ცოლი ხარ ჩემიო. დღესა არის გარდაწყუტედა, ანუ არს სიკუდილი ჩემი და ანუ მისიო.

გამოვიდეს დედოფალი და დასხდეს. დედოფალმან ასულსა ივრე უბრძანა, ვითა: შვილო, არა კამს შენგან შავითა ყოფა. მან ივრე მოაკსენა: რა კამს ჩემგან, შე იგი ექმნაო. უბრძანა მონათა და გაპოახმევიანა საჯდომნი ორნი, ერთი ძოწეულისა და ერთი შავი. კულა გამოახმევიანა ორი შესამოსელი, ერთი ძოწეული და ერთი შავი და ბრძანა, ვითა: მკლელი მამისა ჩემისა და ამომწყუტელი სამეფოსა ჩემისა, მესისხლე ჩემი და ქმარი ჩემი დღეს შეიბძიან. მორაულ არს დღე ანუ სიკოცხლისა ჩემისა და ანუ სიკუდილისაო. თუ ქმნას ღმერთმან და აჯობოს დარეჯანის-ძემან, ჩავიკუამ ძოწეულსა და დავედები ოქრო-ქსოვილსა საჯდომთა. და თუ სძლონ ცოლეთა ჩემთა და აჯობოს იმა მესისხლემან, ჩავიკუამ იმე შავთა შესამოსელთა და დავედები საჯდომთა შავთა და ალარა მინდა საწუთრო, თუ ყოვლისაჲა ქუეყანისა დედოფლობა მონხლემოდესო.

მოეწონა ესე სიტყუა დარეჯანის-ძესა და წამოდგა ზედა ყოველი ქალაქი. და გავიდა დარეჯანის-ძე აქათ, გამოვიდა მუნით ბალხამ ყამის-ძე. შეუზახნეს ერთმანერთსა, ფიცხლად შეუტრევეს. თავმან თქვენმან, არცა კაცთა და არცა ცხენთა ეგეთი ომი არა მინახავს. აბჯართა ზედა ცემა გვანდა კეხისა, რომელ არა გაიგონებოდა. გარდაღლევის ოროთი, კრმალი და გამოიწოდეს სხუა. გაიყვანა ცხენი ამირან დარეჯანის-ძემან და აჯინა ორსა თუისსა და თქუა: წყულმც არს მარჯუენა ჩემი* და ჭაბუკობა ჩემიო. ბალხამ ყამის-ძემანცა გაიყვანა ცხენი და ივრეა რასმე ბრდლეუნივიდა. გევანდა, რომელ აჯინებდა თავსა თუისსა. ივრე იყივლა დარეჯანის-ძემან: გაფრთხილდი, ბალხამ ყამის-ძეო, რომელ მოვიდა სიკუდილი შენიო. იილო კელი საკრავად. ჩაშ თუ შეშინდა იგი ბალხამ ყამის-ძე და ველარა გასცა პასუხი. ჰკრა დარეჯანის-ძემან ჩაბალახსა ზედა კრმალი და მკერდამდისი ჩაჭყეთა და მოკლა იგი ბალხამ ყამის-ძე. იზრილა ლაშქარმა სრულად და შესახეს ქება დარეჯანის-ძესა. გარეგანთა ლაშქართა რა ნახეს ბალხამ ყამის-ძე მოკლული, გარდაღდეს და თაყუანისცეს დარეჯანის-ძესა და ივრე მოაკსენეს: აწ მონანი ვართ შენიო. ვითა ცნი დედოფალმან გამარჯუება დარეჯანის-ძისა, ადგა და ღმერთსა მადლი მისცა და შეიმოსა ძოწეული შესამოსელი და შეიქმნა სიხარული.

შემოვიდა ამირან დარეჯანის-ძე გამარჯუებული. შევიდა პალატსა. მოგება დედოფალი წინა და თქუა: მადლი ღმერთსა, რომელ შეიქმენ შევილად ჩემდა, რომელ არა არს ჭაბუკი შენებრიო. და მოაკებეს შესამოსელი და გუირგუინი თუალმარგალიტითა შეკაზმული, რომელ კაცისა თუალსა არა უნახავს ეგრეთი. დიიდგა თავსა გუირგუინი და ჩაიკუა შესამოსელი და დაჯდა თავისა ცოლსა თანა. და გაგზავნა კაცი მათ გარეგანთა ლაშქართა თანა და დიდებული ყულა შემოაყვანინა ქალაქსა და მისცა საბოძვარი დიადი. და იქირანა თენი მუნ და ლაშქარნი გაათავისუფლნა. ავიღეთ ყოველი ბალხეთისა ქუეყანა,

* ამის შემდეგ აკლია A ხელნაწერს.

რომელ არა დარჩა ერთი ქალაქი და ერთი ციხე ჩუენი უნებელი. ვიყენით დიდსა დიდებასა და სიხარულსა შიგან, ვითა ხუდების ბალხთა მეფისა დიდებასა.

და მოვიდეს ყოვლისა ქუეყანა და სამეფო და შესახეს ქება, ვნადირობდით და განვისუნებდით. არავინ იყო მტერი და მეუნებლე პატრონისა ჩემისა ამირანდარეჯანისძისა. თუ რა ვის წაელო, მას შლილობასა შინა, ყუელანი. მოღმა შემოეხუეწენს შიშთა დარეჯანისძისათა.

და იყო მას ქალაქსა მახლობელად დევი საშინელი. ეამითი ეამდ მოვიდის მას ქალაქსა და დაკოცის კაცი მრავალი. დავედრა დელოფალმან ყოველთა, რომელ: ნუშე ვისგან მესმის ამბავი მის დევისაო. ღანესა ერთსა შეიქმნა ქალაქსა შინა თივილი. ჩუენ ვკითხეთ: რა არის ესე? მათ ევრე გუთიხრეს: სიკუდილი შემოსრულ არს და კაცი უქმოდ მოკუდებოსო და ამისთვრას არს ისი თივილიო. ჩუენ დაუჯერეთ. მეორესა დღესა შეიქმნა ეგრევე ტირილი და რა ვკითხეთ, იგივე გუთიხრეს. და ყოველთა ღამეთა ზოგჯერ ძილბირ და ზოგჯერ შუალამე შეიქმნის ტირილი. რა გინდა? ვკითხეთ, ევრევე გუთიხრეს. თქუე ქაოზ ქოსისძემ: არა არს სიკუდილი, თუ არა დღისითაჲ რად არავინ მოკუდებოსო. დილასა მოვიწმევიდოდა დიაცი გზა გზა და შემოტიროდა, პირი დაეხოკა. ნახა ამირან და იყიულა მან დიაცმან, ვითა: ძეფეთ, დელოფალსა დაელოფალსა საქნე ესე შენთუის და ამოწუეტილ არს ესე ქალაქი. ერთი ძე მესუა და წუხელის ღამაზ დეემან მომიკლა. გაწყრა დელოფალი და უბრძანა ვაყენა დიაცისა. ბრძანა ამირან დარეჯანისძემან: მოიყვანეთ ისი დიაციო. აღდა მეფე და წამოვიდა სხუასა სახლსა, და ჰკითხა მას დიაცს: ვინ ღამაზ დევი არსო? მან მოაკენა, ვითა: დევი არის დიდი და ვეშაპსა ზედა ბის, კრმალი მოწუდილი კელთა აქუსო და ვისაცა მიხუდების, ჰკრავს და მოკლავსო. წუხელის ჩემი შეილი კართა გარტო დარჩომილიყო და იგი ზედა შემოკდა, ჰკრა კრმალი, ზღუდე გაკუეუთა სამი მყარი და ჩენი შეილი მოკლა. ამა საქმითა მრავალი კაცი მოკლავს, აწ მე თავი გამიწირავს და ესე საქმე თქუენთუის მომიკნენებია და ესე თუთვე ვიცი, რომელ დელოფალი მშუილობით არა გამიშუებს. ამირან დარეჯანისძემან მას დიაცსა მადლი უბრძანა. დელოფალსა და ყოველსა დიდებულსა ვაუწყრა ამის დევისა მალეხათუის, დელოფალმა ეგრე მოაკენა: ძეფეთ, წყრომასა რას შემართოვებო მით, რომელ ეშუაური საქმე იყო ძნელი და თქუენ შემორობასა ვერ დასთმობდით. აწცა გკადრებთ, დაეკენ მისსა ომსა, რომელნი ომნი გარჯავიდიან, გყოფიან. მეფემან ბრძანა: ჟომრად არა გაუშუებო, მაგრა თქუენ ესე ქმენით, რასაცა ღამესა მოვიდეს იგი ღამაზ დევი, მიცანითა. ვითა ველარა დაუშალეს, დელოფალმან მოასხმეინა სამნი შუენი კაცნი, ვითა კუპრი. უბრძანა დელოფალმან: ძეფე ბრძანებს, წადით და მონახეთ იგი ღამაზ დევი და რომელსა ღამესა მოვიდეს, აცნობეთა.

წავიდეს იგი კაცნი, ტაიკთა ზედა გასდეს მეტად მალეთა და საითაც წავიდეს, ველარ შევიგენით. დაეყენ მენ ოთხი დღე და მეხუთესა დღესა მოვიდა ერთი მათგანი და ფიცხლად ეგრე მოაკენეს. ამას ღამე ულონიოდ მოვალსო. ვაითქუა ქალაქსა შიგან, ვითა: ამირან და ღამაზ დევი შეაბმიანო. შეიქმნა სიხარული და ურვასაცა შინა იყენეს. მოაკენა დელოფალმან: ძეფეთ, ისმინე ჩემი, დაეკენ მაგა ეშუაურსა საქმესა. გაგზავნე კაცი, თუ რა ზომი ქეთიკირი გაუქუეთია. ეგრე უბრძანა მეფემან: თუ მოუა, უომრად არ დავეკნებები, შენ ნურას შეიკირებ. ოდეს ბადრი იამანისძე და ნოსარ ნისრელი ტუუედ იყენეს, მე გამოყვანებად მივი, არა ესდენი დეენი და ვეშაპნი დაეკოცენ. წავიდა ქაოზ ქოსისძე მას ზღუდესა ნახვად, გაუთილასა მის ღამაზ დევისაგან. მოვიდა და ეგრე უთხრა, რომელ: ავთი გაუზომია, თაემან პატრონისა ჩემისამან. ხუთი მყარი ვაუქუეთიაო. გა-რასმე-ვლადობენით ქაოზის სიტყუასა ზედა, ვინა გუიმძიმდა დიდად. შეეკაზმა ამირან დარეჯანისძე და გავიდა კართა ქალაქისათა, სით მოველოდით ღამაზ დევისა. ბინდსა ზედა მოვიდა მეორე კაცი და ეგრე თქუა: დასტურად მოვალსო. შეგუექმნა შიში და წამოდგომილ იყო ყოველი ქალაქი ზედა ზედად. მთუარე იყო. და მოვიდა კულავ ძილის პირ მესამე მონა და ეგრე თქუა: ესე-რა უქანა მომიდგვსო. გაჯდა ამირან ცხენსა უკეთესსა

და აიხუნა ხიშტნი კელთა და მოეშადა. ოდეს დაეხედნენით, მოვიდოდა ლამაზ ღვევი. ვეშაპსა ზედან ჯდა ნეტად დიდსა, უმბაგალითოსა. კელთა მოწულილი კრმალი ჰქონდა. თავმან თქუენმან, საზაროდ კმა იყო.

გუბრძანა [ამირან] ჩუენ ექუსთა: ნიდიო და შეეხენითო. ჩუენმცა მიზეზი რალა ვკადრეთ, განა მართალი ვთქუა, არა გუეწადა ომი მისი. ეგრე მოვაქსენით: რა ჟამი იყოს მისლვისა, გუბრძანეო. ჩუენგან რა ესე გაიგონა, გააციანა და ეგრე გუარქუა: ძმანო, ლნერთმან იცის, არა გწადიანო ომიო, მაგრამ ნახოთ კაბუკობა ჩემია. შეუძახნა ფიცხლად და შეუტიენა. ლამაზ ღვემან რა ნახა შეტევება დარეჯანის-ძისაგან, შემოუტევეა მანცა. თავმან თქუენმან, ცხენსა უმაღე იყო იგი ეეშაბი. დაეშეშო პირი ჩასანთქმელად და ჰკრა აღრენილსა პირსა ხიშტი და მიწაძმდე დაასენა და მოკლა ეეშაბი. ლამაზ ღვემან ჰკრა კრმალი ცხენისა თავსა დარეჯანის-ძისასა და მოკუეთა თავი და ჩასო სამი მეკარი მიწასა. ჩამოიჭრნეს ორსივე და შეუტევე დარეჯანის-ძემან ქუეითად. აასწრა სიფიცხითა, ჰკრა კრმალი და მოკლა იგი ლამაზ ღვევი. გაუკუირდა ყოველსა სულსა ეგზომ დიდი ნაქმარი. ვითა ზედა გათენდა, ნახეს სიდიდე ეეშაბისა და ზარი დაეცათ ყოველთა. შეასხეს კება მეფესა, დალოცეს და ეტყოდეს: კურთხეულმცა არს განზრახუა შენი, რომელ ასეთი კაცი გამოგუიონინე, რომელ მისითა კელითა ვიქსენით ეგზომისა ბოროტისაგან. შეიქმნა სიხარული ყოველსა ბალხეთისა სპაქეთსა შინა, და მოესმა ყოველთა მეფეთა და წამოსცეს ძლუენი და მოულოცეს მეფეშა ბალხეთისა ამირან დარეჯანის-ძესა. და იყო დიდებასა და განსუენებასა შიგან ამისთუის, რომელ სჯობდა ყოველთა კაცთა ყოველთა ფერითა.

აქა დასრულდა ამბავი ამირან დარეჯანის-ძისა და დაუსრულებულ ყენეს ღმერთმან მეფობა თქუენი! ¹



¹ ასე თავდება ამირანდარეჯანისა ცნობილი ძველი წესებები. ამ საბით თხზულება არაა დამთავრებულნი. არ ჩანს, თუ რა გადაბდა საუარსიმიძეს ამირან დარეჯანის-ძის თავგადასავლის მოყოლის ნებდვა. ამირანდარეჯანისის ტრადიციული ტექსტის აქა დასრულდა ამბავი ამირან დარეჯანის-ძისა და დასრულებულ ყენეს ღმერთმან მეფობა თქუენის-ს ნაცვალა Q-310 ხელნაწერში (ფ. 193r—195r) ამირანისა და საუარსიმიძის შესახებ შემდეგი ცნობაა დაკუთვნილი:

„და ყოველთა დიდებთა და მორათმეკლან ძლევნა მრავალსა და მეფეთ-მეფობით უზნობლიან. მაღალნი მეფენი მისსა ტახტისა სიმორცა დასხდებოდენ და სჯობდა ყოველსა კაცსა ყოველთა მეფეთა და ბელაწიფეთა ყოვლისურითა უმაღლეს; იყო მორტმული დიდის დიდებითა და ეშინოდა ჩოველთა მეფეთა და იყო ცხოველასა და განსუენებასა; სმასა, ნადიმობასა, ნადირობასა და ასპარეზობასა შინა. დაიპყრა თორმეტი სასულწიფო დიდრანო, რომე თორმეტივე ხელმწიფენი ხარჯსა და ხარაჯსა აძლევდიან და ვინაზობდიან. როდესაც მაილაშქრებდა თორმეტივე თავის ჯარით, ამირან დარეჯანის-ძეს იახლებოდნენ და წინ გაუძღვებოდნენ. აღარავინ იყო მისებრი კაბუკი ქუეყანასა ზედა და დიდი ხელმწიფე საცა გაპოჩანდის. ანუ ძლიერი კაბუკი, მივიდის, აჯობის, იძმის ანუ თემის ანუ მოკლის და წაულის ქუეყანა და დიდება. დევეშამნი, ნინგნა წაქლსა თუ ქვეყნისა შაის ხმლით იუის ამოუყვეტილი. ხუთსი ქალაქი ხელთა ეკირა საყმეთ ხლმით დატვირთი. მის მეფობასა და ხელმწიფობაში ასეთი დამრეიდებელი იყო პირი ყოველსა ქვეყანისა, რომელ ერთი კაცი ერთმანერთ ზედასპარეზობას ეერ იქმოდა. ღომი და ხარი ერთგანს სოქედნენ. რა დასძლიან, ერთგან დასწიან, ერთმანერთს ღოკვიდიან, მგელი ვერ იკადრებდა ცხოვარისა და თხისა დაფრთხობასა და კრავისა შეტევისა. და სანატრელ იყო მველთათვის, თუმცა ცხვირის მეძალობა ეღრისებოდათ. მის დროს ქურდი ყახაზი და მეკობრენი დაწყნარებით იყუნინა. სამოცი ცოლი ყენდა ხომლით ნაშენი, დიდრთვანის ხელმწიფის ასული. იყო მოტყუასა და სიხარულსა შინა. შეიდას წელ იკაცხლა და ჩვენ მიზნი ყვანი კაბუკნი სიხარულით ვიყვენით. მრავალს გვიბოძებდა და მრავალი გვიკონდა. თითონ და თითონ სამამ და ოთხ-ოთხი ქალაქი გვექირა. თითონ გახელმწიფდა და ჩვენ გავთავადდით. შეიდას წლისა შეიქმა. დაისმა ძებნა და ასულებ და გაუყო შეიდათა სახელმწიფოთ, ქალაქნი და ხახინანი. და დასწა თვისნი შეიდას თეთო-თეთო სახელმწიფოხედ. ერთს მისცა ზეგარაშან ქალის სახელმწიფო ტახტ-ვირევინი და ხახინა და მეორეს ბალხეთის სახელმწიფო, ტახტი და ხახინა. და ორთა-

ამირანდარეჯანიანის დამატებანი

XVIII საუკუნეში ამირანდარეჯანიანს გამოეწიან მიზმაჭელები, რომლებმაც დაუწერიათ მისი, დამატებანი. ამ ნიადაგზე შექნილი ცოცხებთან ჯერჯერობით ცნობილია ს.მი: „ჯიმშერ ხ.სართა მეფისა დილარისა შვილის ანბავი“, „ჯიმშერიშვილის ჯიმშერიის არმოკლავ.კაბუჯისა“ და „ჯიხი ხელმწიფის შვილის გურგენის ანბავი“.

პირველი და მეორე ცოცხი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ჯიმშერიანის“ სახელწოდებით, რომელსაც ხოტი მკვლევარი თვლიდა კლასიკური ხანის, რენესანსე არმოღწეველ, დილარიანისა ნაწილად. ხოტიც, ამირანდარეჯანიანის ორგანულ ნ.წილად. როგორც პ.ოფ. ალ. ბარამიძემ გამოარკვია, ის არის ამირანდარეჯანიანისა დამატება, დაწერილი უნდა იყოს ვიღაც ქრისტიანულად მიერ XVIII საუკუნეში პირველ ნახევარში. რაც შეეხება მესამე ცოცხს, ის „ჯიმშერიანის“ შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

ამირანდარეჯანიანის აღნიშნული დამატებანი დაეკუთვნება XVIII—X საუკუნეებს. ოთხ ხელნაწერს: S-1623 (გადაწერილია 1776 წ.), S-3703, ს.ქ. ლიტ. მუხ. № 012699 (გადაწერილია 1772 წ.) და ლუნიჩვადის საჯარო ბიბლიოთეკის საბინინისეულ ხელნაწერს № 15 (გადაწერილია 1814 წ.). ამ ხელნაწერებიდან გამოირჩევა S-37მ ხელნაწერი, რომელსაც დაეკუთვნება „ჯიმშერიანისა“ გარდა „ჯ.ხ. ხელმწიფის შვილის გურგენის ანბავი“ (აკლია დასაბრუნო ნაწილი), სხვადა, ის, ამირანდარეჯანიანის მეთუთამეტე კარად არის გამოცხადებული „ჯიმშერიან“ კი ჩართულია „ამირანდარეჯანიანის“ XI კარის შემდეგ XII და XIII კარებამდე (ფ. 113v—113r). S-1624 ხელნაწერში კი „ჯიმშერიანის“ XI და XII კარებამდე არის წარმოდგენილი.

„ჯიმშერიანის“ S-1623 ხელნაწერის მიხედვით სამეცნიერო დაბეჭდა ხ. ტიხინაძემ: 1875 წ. („ამირანდარეჯანიანისა, გვ. 259—301); 1897 წ. („დილარიანი. კმბილი XII საუკუნე. სარგის თმოგველის მიერ“) და 1917 წ. („სარგის თმოგველი და მისი დილარიანისა“). თარგმნილია ის რუსულ ენაზე დ. ჯანაშვილის მიერ 1699 წ. („Сборник материалов местностей и племен Кавказа“, XXVI, გვ. 15—70).

ქვემოთხსენილი ტექსტი იხებულება S-3703 ხელნაწერის (XVIII საუკუნე. პირველ ნახევარში) მიხედვით რუსულად ვანაბეჭდება „ჯიმშერიანის“ დანარჩენი ნუსხებიდან.

ლიტერატურა

1. კ. ქვიციანიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1942 წ., გვ. 65—67.
2. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945 წ., გვ. 33—30.
3. თაყაიშვილი, მართლა მალწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწევრება თუ არა? (ტურ. მზაპეზა 1900 წ., № 2, გვ. 41—56).
4. ხ. ტიხინაძე, დილარიანი კმბილი სარგის თმოგველის მიერ, 1897 წ.
5. მისივე, სარგის თმოგველი და მისი დილარიანი, 1917 წ.
6. მისივე, ამირანდარეჯანიანი მოსე ხონელისა, 1896 წ., გვ. 259, 266.
7. А. Х а х а н о в, Черки по истории грузинской словесности, II, გვ. 233—232.
8. М. Д ж а н а ш в и л и, Повесть о Джимшере, царе Хазарском, сыне Дилара, («Сборник Материалов», XXVI, გვ. 96—101).

ჯიმშერ ხაზართა მემბხა დილარიანა შვილხა ანბავი

ისმენდი, მეფეთ-მეფეთ, ცხონდი უკუნისამდე!

ოდესმე მეფესა ხაზართასა დილარსა დაეპყრნეს ყოველნი გარემონი და სიმბნითა და სიქველითა მისითა მონებდეს და უძრწოდეს ყოველნივე გარემონი მეფენი, რომელნიცა თვითოთულად აღწერილი არს სარგის თმოგველისაგან, სიმბნენი და გოლიათობანი სიქაბუჯისა მისისასანი. ანა უსწოროსა და სახელოვანსაქა ხელმწიფისა ეწია სნეულება მძიმე და გარდიცვალა ამიერ სოფლით.

ამ თვის ხელით დაადა გორგენი. ათი სახეწიფო და ხუთასი ქალაქი გაეცო და შერთათ ხელმწიფეთა ასულნი და წლის შვიდასისამან სოფელი ესე დაუტყვა და მიიცივლა.

დასრულდა ამირან დარეჯანის ანბავი, დაუსრულებულდა არს სუფევით ცხოვრება თქენი.

აქა დასრულდა წიგნი ესე საჯარისიძობის მობოთითა, რომე მეფეთ-მეფესა ინდით ხემწიფეს ახესალომს მახსენა ამირან დარეჯანის-მის და თორმეტის კაბუჯის ანბავი. და სიხარული დიდი გულსა მისსა და მწუხარება ვანადო გულისა მისსა, და აპტვისცა საქართველის-ქესა და გააღებინა კარი საუფროკლეთანი და სპალოს უცხო და უცხო თვალთ და მარგალიტი, ფარჩა-კარავი, კერილი და ყოველი უცხო და უცხო ტანისაშობის აკიდა და თითონ იაგუნდის კუბოში შესვა, აკიდა სპალოსა და გამოსტეკქრა მალდათსავე, უბრძანა: დადამგარიყავ, უნ მამა იწებოდო და მე შეილი, სახემწიფეთ შენი იყო. და რახან არ ინებე, წარევედ მწვილობითა. მეფე. ერთს ალაჯს გაეცა და გაუწვა მწვილობითა“.

ჰყვანდა ამა უსწოროსა ხელმწიფესა და დიდად სახელოვნისა მეფესა ძმისწული ერთი, და იყო სახელი მისი ზეასრო. და იყო ესე ზეასრო ფრიად ქმნულ-კეთილი და შემართებული ძნელთა საქმეთა. მოუწოდა ზეასროს და ანდერძობით შევედრა ძე თვისი, მციერ ყრმა ჯიშურ¹ ფრიად ქმნულ-კეთილი და შვენიერი ნაყოფი, და არქვე ესრეთ ამისთვის, რათა ასწავლოს ყოველნი ზნენი სამამაციონი და საფალავნონი ქცეულენიანი ვიღრე თი წლამდი, და მასწავლ მასვე მისცეს მეფობა და დაამტკიცოს სამეფოსა თვისსა ხაზარეთსა. და არქვე მანცა ეგრეთ ყოფა, ვითარცა მან წარმოუთხრა ეგრეთ და წამსავე გარდაიკვალა სიმაღლე დილარისა მიწასა. შავსა თანა. და იყო გლოვა და წუხილი, ტირილი და ზრუნვა დღეთა მრავალთა. და ვითარ სრულ იქმნა გლოვისა მათისა აღსრულება, მოუწოდა ზეასრომ მთავარსა ერთსა დიდად განძლიერებულსა ფალავანსა ლომ-გულსა მერაბს და არქვე ესრეთ, რათა წარიყვანოს ესე დიდისა ხელმწიფისა დილარისა ძე და ციხეში ტყვის მაგიერათ შენახვა ამცნო, და თვით გახელმწიფდა. და იმას² ესრეთ უბრძანა, ყოვლისა სამხედროსა და საფალავნოს[ა] საქმისაგან შორს აუყოფოს ამისთვის, რომე დილარსაც ესეთ ცუო ამისთვის და ამანაც ეგრეთვე ჯიშურზე მოინება. წარიყვანა ციხესა და იყო შეწუხებული მას ციხესა შინა, და სხვისა არასა იგონებდა, მიწყვი იყო შეწუხებული და გულსა შინა მიწყვი რაზმთა წყობასა, ჯართა ქვეთებებსა და გოლიათთა და გმირთა კვეთებასა. ომსა და ბრძოლასა იგონებდა და მისმეტსა არცა-რასა იტყოდის და არცა-რასა სხეასა ათქმევინებდის. რაზმთა წყობისა და საომართა იარაღთა ქვეთებისაგან კიდე, არცა ღვინოსა სმიდის და არცა ორძალსა ჰკერიდის, არცა ქალთა მნათობთა მიხედვიდის. მიწყვი ნადვლიანად იყვის მით, რომელ იყოდა ტყვეობა თავისა თვისისა. რა მცირედსა მიიძინებდის, იჩქითად აიჭრის ესრეთ, ვითა მარტორქა დედის მუცლით გამოიჭრას, ეგრე საგებლით ახლტის.

დღესა ერთსა უხმო მეციხოვნისა ერთსა და უთხრა: წარვედ ჩემ [მ]აგიერ და ესრეთ არქვი მერაბს, ვითა: თუ სიკვდილი უთქვამს ბიძისა³ ჩემსა ზეასროს ჩემი, მო-ცა-შკალ, და თუ სიცოცხლე უბძანებია, და მართლისა სიცოცხლითა მაცოცხლო. ესეთსა ციხესა საპატომროსა შინა გყევარ, თუ გამომიყვანებ ციხიდან, რაცა გმირთა და ბუნებერაზთა წესი არის, მას რიგსა მაქნევ, ხომ კეთილი, თუ არა, ზენა[ა]რმა ლეთისამა და შემან⁴ მალ-ციხესა ხელმწიფისა დილარისა სახელისაგან, ამა მეციხოვნეთაო სულ ყველას დაგიხოც, ციხესაც უპატოთ დაუანგრევ და ანუ შენცა მოგვადე და ანუ თავსა ჩემსა შემოგაკ-ლაო. რა ესე ანბავი მიუვიდა მერაბს, გაგულისდა და მას მეციხოვნისა ფიცხლავ თავი მოჰკეთა. ვითა ანბავი აღარა მიუვიდა, შეიჭირებდა ჯიშურ⁵ დიდად და კვლასხეა კაცი გაუზხანა და იგივე სიტყვა შეუთვალა. განიზრახა გულსა მისსა მერაბ და თქვა: მე რაცა წყალობა მჭირს და დიდება, ყველა მალისა და ძლიერისა შამისა მისისა დილარისაგანა მჭირს და მისგან მბოძებია. ჩემგან მისის შვილის ჯიშურისა არცა სიკვდილი იქნება და არცა ტყვეობა, და ვერცა ხელმწიფესა ზეასროს შეეასწენო. უხმო თავისნი დიდებულნი, წარჩინებულნი და მცირებულნი, და ყოველივე აუწყა ჯიშურისა საქმე და მისგან ვარეთ გამოსვლის წადილი და მუქარის შემოთვლა. უთხრეს ყოველთა: რადგან შამა მისი დიდად გწყალობდა და მრავალი კეთილი დგას შენზედ მისი, ხაშს, რომელ შენცა მაგიერი კარგ საქმე უყო მისსა შეილსაო. ვითა წავიდა მერაბ და თანა იახლნენ მუნებურნი ერთობით თავადნი ლაშქარნი და ბუნებერაზნი, ციხიდან გამოიყვანეს შევნიერი ნაყოფი, უსწორო ფალავანი, მალისა ხელმწიფისა დილარისა შვილი. იტყოდის ყოველნი მნახავნი მისნი: არა არს მგვისა შევნიერობითა ყოველსა პირსა მიწისასა ზედანო დაუდგეს ძვირფასისა ტახტი ოქროსა, დასვეს მას ზედა და დადგეს გვირგვინი სახელმწიფო თავსა და მიულოცეს ყოველთა, და აყრიდინ თავსა დრამასა და დრაჰანასა და დაიდგეს ნადიმი, მოდგეს მგოსანნი და იტყოდინ ამოსა ხმასა და შევნიერა ლექსთა და ახალისა და უსწოროსა ფალავნისა ჯიშურისა ქებასა. სამსა

¹ დედანაჲ; „ჯიშურ“-ის გარდა გვხვდება „ჯიშუდ“ ფორმაც. ² იმისი. ³ ბიძისა. ⁴ მერაბ.

დღესა და ღამესა მეჯლისის და ღბინი იყო. სმა, გახარება და სიმზიარულე ესეთი, რომელ კაცსა თვალისასა ეგეთი არა უხილავს სმა და განსვენება. რა მეოთხე დღისა გათენდა, იხმეს ლაშქარი ორმოციათასი კაცი, მრავალი თეთრი და შწყაზარი¹ ქორი, ავაზა, შვიარდენი და ძაღლისა სიპრავლე ურიცხვი. მთართვეს ცხენი სახელწმიფთად შუკაზმულე, იარაღი ყოველი ფერი: ჯაქვი, ზური, ლახტი, ხმალი. ყველა მერაბ ფულაენისა იყო.

და ვითა გაემართნეს, ვლეს თორმეტი დღე და მრავალი ნადირი და ღომი და ვეფხი დახოცეს. და ვითა მოვიდეს მინდვრისა მკველნი და ნადირისა მნახველნი, და მათ ეგრე მოახსენეს: ერთი დიდი ლაშქარი მოვიდა, აგერ ახლო მოგვჭურვან დადიოთ ბარგითა და მოტკმულობითა და მრავლითა აკაზმულობითა. ჩვენ ვკითხეთ კაცსა ვისმე მათგანსა, ვითა: ესე ლაშქარი ვისი არის, ანუ სადღე მიმავალნი არიანო. მათ ეგრე გვაჩქეს: იგი ღომი ღომთა, უსწორო ფალავანი ქოვლუ² ჩდილოველი არის. ნადირთა სიმრავლე ესმა და მისთვის წამოვიდა და, ქვეყანათა ზედა მრავალ უელთა და მისი სწორი ქაბუჯი არავინ გამოჩენილაო, და სამოციათასი მეტრძოლი ლაშქარი ახლავსო. ჩვენ დავეძქით ერთსა ადგილსა, და ვითა გენახა, ლაშქართა ეგრე უძმანა: აქა დეთ, მე წავალ და ვნახავ, ისი ვისი ლაშქარი არისო. მოგვიხდა, ვითა ხეადი ღომი, ლაშქართა შიგან შემოერია. ბილის კაცი, ოროლითა გასტყორცის და დასცის ლაშქართა ზარი. დახოცა მრავალი კაცი და ცხენი და ასწყვიტა ლაშქარი და გაქაქარენია და ვერა გასცა მერაბ პასუხი. ჯიმშერ ეგრე არქვა მერაბს: ესე რა საქნელი საქმე არის, ერთი უხადო კაცი მასულა, ლაშქარი ამოგვიწყიტა, ჩენი საუელისა გაქარება სწადიანო. ომი, ღმერთო, მწადიან მის კაცისა, და ქვენახე ვითარი ქაბუჯ ვარო.

მოუსდა ჯიმშერ და მექარა გამოსთხოვა. უბრალოს კაცის ხოცა არა ქაბუჯთა ხელი არისო, მე და შენ გამოსცადოთ ერთმანერთით. ვითა შექოხედა, ქოვლე, იუუ-ხოვა და გაუყვინდა. შექოუელეს ერთმანერთსა ნეაჩდი და გაჩდალუენს თვითო ხმალი ერთმანერთსა. მერმე ლახტები დაიწოდეს. მერმე ისრით იბრძოლეს და მერმე ხელდახელ ირკინენ. მათი ძეგრება გვანდა ორთა დიდთა გორათა ძეგრებასა, და ამჯართა ზედა ცემა-ქეხასა. იყო ორთავე ლაშქართა შიგან ზრუნეა და წუხილი და ვერა რომელმან აჯობა. ზმა იყო დიდი ლაშქართა შიგან და შეიქარებდა დიდად მერაბ, განა ვერასა ღონესა ეწეოდა შეელისასა. ახედა, გაიყვანა ცხენი შორს ჯიმშერ და ეგრე უყვილა: აწე გამოგცადო, თუ რაძი ქაბუჯი ხარო. მოუვიდა, უქარა ცხენს ხმალი და თავი გაუგდებინა. ვითა ჩამოიკრებოდა, მიჰყო ხელი, და ვითა ცოტა ყმა უნაგირისაგან მოხხადა, დაქკრა ქვეყანასა და დაბნიდა, მისისავე საგდებლითა მკლავნი შეუქრნა და მერაბთან მოიყვანა. მერაბ თავსა გვიარი ვარდაყარა, ქება შეასხა და გამაჩქება მიულოცა. ესე იყო ომი მისი პირველი, ვითა ქოვლე ჩდილოველი, ჯერეთ უხადლო იყო. ვითა ცნობდ მოვიდა, იკითხა მერაბისაგან: ესე ახალი ჯოპარდი ფალავანი სახელოვანი [და] უსწორო ვინ არის, და ანუ ვისისა გვარისა შვილი არისო. მერაბ ეგრე არქვა: ესე მის მალლისა ჩვენისა ხელმწიფისა დილარისა ძე ჯიმშერ არისა. ვითა შეიტყო მისის მემკვიდრის ბატონის ძეობა, მრავალი იტირია ქოვლე ჩდილოველმა და ცრემლიანი ფეხთა ეხვეოდა და ღმერთსა ახვეწებდა. მერმე ჯიმშერ ჰკითხა მერაბს. მან ყველა მოახსენა მისი ფალავნობა და ხელმწიფის დილარისაგან განაზარდაობა³ და მრავალჯერ სახელოვნად გამარჯვება. რა ანბაეი ყველა შეიტყო, მაშინვე ხელი გაუხსნა და მათი საკადრისი უცხო და ძვირფასი ხალატი უბოძა. უხმო ჩდილოველმა ქოვლემ მისსა ლაშქარსა და უანბო ჯიმშერის ანბაეი, დილარ ხელმწიფის შეილაობა. და მათ ყოველთა ლაშქართა თაყვანისცემნა და ყველანი დაუპოზჩილნა. და ვითა მათსა სიღადესა შეენოდა, ეგრეთი მეჯლისი და ღბინი გამართეს.

¹ დღედნო: ნწყაზარო. ² დეაზნო „ქოვლე“-ს გარდა გეხედება: ქოვლე, ქოვლე, ქოვლე და ქოვლე ფორმებიც. ³ განახლობა.

მიესწა ანბავი¹ ესე ხვასრო ხაზართა მეფესა: ციხით გამოყვანა ჯიმშერისა [და] შეუღდ დასმა, მერაბისა და ქოვლესა და სრულიად ლაშქართაგან თაყვანება და დალოცვა. დაუძძიდა დიდად და მოსწერა წიგნი მერაბს და ქოვლეს ესრეთ: „სრულიად ხაზართათ სპაჰრობელი ხელმწიფე-ხელმწიფეთა, ხვასრო, მოგიწერა ჩვენსა ერთგულსა და მინანდლობელსა კარგთა ჰაბუთა მერაბს და ქოვლეს. გავიგონე, ჩემთვის უარი გვიოფთათ, ჯიმშერ გამოგიყვანათ, გაგიხელმწიფებთ და თქვენსა წასახლენსა საქმესა დაბმულხართ. მე თქვენთვის რამდენი კარგი მიყოფი და ქვეყნები მომიცემია. მერაბ, შენ თვით ავსიცი მუცნიერი ხარ. ბატონმა ხელმწიფემ, ზიძამა ჩემმა, ეამთა მისთა შინა არ კარგი მიყო, ლყვეთაც დიდხანს ვიყო და ჯადეგობისა და მაცთურობისაგან კიდევ არცა-რა უსწავლებია, არცა-რა უბოძებია. მე რომ შენზე ბევრი კარგი მექნა, ეგ ჯიმშერ მისთვის მოგაბარე და როგორც დაგარიგე, ისრე შეგენახა. შენ დაივიწყე ღმერთი დაპაბდებული და ქოვლე, და სხვას ხელმწიფეს მისვამთ და ჩემს ტახტსა და ქვეყანას სხვას აქვრინებთ. მე ეს არის თქვენზე წამოვსულვარ ჩემის ძალითა და მრავლის ლაშქართითა, აღრე ხანში გესტუმრები, ქვეყანისაგან ავხოც თქვენ ორთავე და ჯიმშერს. ვინცა ასაბია გინდათ, უხმევიით და ნზას დამევიით“. რა ესე ხვასრო ხაზართა მეფისა წიგნი და კაცი ნახეს და ანბავი შეიტყვეს, შეყარეს ლაშქარი ასოციათასი კაცი და შეექნათ რჩევა. მერმე მერაბ ეგრე მოახსენა ჯიმშერს: ძვენ იმისი მეპირისპირენი არა ვართ ამისთვის, რომელ დიად მრავლის ლაშქრის პატრონი არის და დევთა და ნიანთ მოპყვანა და ჯადეგობის მცოდნე. ცას ქვეშეთს იმის ომის მეპირისპირე არავენ არის. თუ ნებაქვს, ზჯვასა სრულად ცეცხლითა დასწავას და ტინსა კლდესა ცველი[რ] დაადნობს, თუ სჯობდეს, ავიყარნეთ დედაწულითა ჩვენითა და წავიდეთ სხვასა ადგილსა. მინახავს, პირველსა ეამსა ჰაბუთობის ძალის ცნობად ვიარებოდი; ერთსა ადგილსა ამო წყალი და მინდორი შევნიერი არს, იქ მივიდეთ და დავეშენეთ.

აიყარნეს ერთობით და წავიდეს. ქვეცა არ გაუშვეს, კაცის მოსახმარებელი ყოველივე თან[ა] წაიღეს და დედაწულითა წავიდნეს. და ესრეთ მისწერა წიგნი ჯიმშერს: „დიდი და მაღალი სახელოვანი ხელმწიფე, ღმერთმა მრავალ ეამიერ გყოს. გაგვეყრო-მოდით და მრავალი მუქარა გვბძანათ. მე ხელმწიფის დილარის შვილი ვარ და ქვეყანათაზე შენ ხელმწიფობ, მეც რომ ერთი სათავადო მქონებოდა, არ უნდა გვეყენოდა, არც გამწყრომადი, რადგან გამწყრომხარ, ჩვენ ეს არის წავსულვართ და ეს ადგილი დაგვიტყევიან“. ვითა წავიდა ხვასროს კაცი, წიგნი მიართვა და რაც ენახა, ყველა მოახსენა. ხელმწიფე მრავლის ძალით და ლაშქრით მომავალი მუნვე მიბრუნდა თავისად ქვეყნად და ქალაკად. და ჯიმშერ და მერაბ და ქოვლე წარვიდნენ შორსა ქვეყანასა და მუნ დაეშენნეს მდინარესა შევნიერსა, მინდორსა კეთილსა და განასახევენებელსა ამოსა და ცხოვრებდენ მუნ, ვითა შენდებოდა და განძლიერდებოდა ქვეყანა ჯიმშერისა.

დღესა ერთსა ბძანა ნადირობას გასვლა. წარემართნეს ლაშქართა და მერაბ და ქოვლე გვართსა იქა[ხ]ლენ და წარვიდეს დღისა ოციასა სავალსა. ნადირი მცირედ შეიპყრეს. ნახეს ერთი მაღალი მთა იყო მოხვეწილი. მუნით საჩნი კაცნი ჩამოვიდეს ოქროსა აკაზმულობითა კეთილ-სახილველნი. ჯიმშერ მათგან ანბავი იკითხა და უთხრეს, ნადირთა სიმრავლე მრავალი არის ამა მთათა ზედა და ამხანაგებიც მუნვე გვეყვანანო. უბძანა ჯიმშერს: წამიძვებთ წინა, მანადირთა სანადიროსა კარგსა და მრავალსა მოსაცემელსა მოვაცემო. უსმინო მთა კაცთა, წარემართნეს და აღვიდეს მთასა მას მაღალსა. და მთა კაცთა ამხანაგნიცა ნუნეჟ პოვეს ოქროთა შეკაზმულნი და მრავალი ნადირი შეიპყრეს, დაიდვეს ნადირი და მზიარულნი შეექცეოდეს. თურმე ესე ოქროთა აკაზმულნი კაცნი ხუნსრუჯან დევთა ხელმწიფისა ყმანი იყვნეს და ბძანებითა მისითა მოსრულ იყვნეს ყოველი ნაცთურობა და ტილისმა მათ დიოდეს, ჯიმშერისა სალაღატოთა წარმოვლენ-

¹ დღევანდელ მთავარ გველებს „ანბავი“ და „ბრძანება“.

ნილნი. მას ღამესა სვეს მრავალი სასმელი და დაითერეს ძნელად. უყუეს მათ კაცთა გრძნებისა ბელოვება და დააძინეს იგი ხელმწიფისა დილარისა ძე ჯიმშერ და მასთანა მყოფნი ყველანი და მძინარე ჯიმშერ შეკრეს მათ კაცთა და სადა ყოველთა ღვეთა ხელმწიფე ხუსრუჯან იყო, მუნ მიიყვანეს, და მან უბრძანა მისი მძიმითა რკინისა საყვრელითა და ყოველსა შესაწუხებელისი ბორკილითა შეკრას და დაქუდა. და წარიყენეს საპყრობილესა ღრმასა და ბნელსა, მას შინა პატიმარ ყუეს.

აქა, მთასა შინა, ვითა შეიპყრეს ჯიმშერ, დილასა ადრე მივიდეს ნახუად მერაბ და ჩდილოველი ქოვლე. ძილი ეგრანთ. რა ხანი გამოვიდა, მივიდეს და ნახეს. ჯიმშერ ველარა პოეს. ვინც ვარეშემო სწოლოდენ, ისინიცა გრძნებითა ჯერეთცა რეტად იყუნეს. მათ ანბავი ჰკითხეს და ვერა უუბრეს-რა. გაპოედეს სწრაფით, შესხდეს ცხენითა ნალეთა და გარეშემო მრავალი ძთა და მინდორი მოიბრძინეს და ვერა გაიგეს-რა. შეიქცეს შინა შეწუხებულნი, შემომსენს შავითა და იყუნეს ძგლოფარენი დღეთა მრევალთა. ამას შინა გარდახდეს წელიწადნი შვიდნი. იყო ძგლესა შეწუხებისა შინა ჯიმშერ ასეთსა, რომელ თემცა საქერველი ანუ ხელი ემოვნა, ღლესაცა ერთსა თაესა მისსა ცოცხალსა არა იმყოვებდა. ღლესა ერთსა ნახა ქალაქისა მის დალალი ქალი ერთი შესრული საპყრობილესა. ნახა ჯიმშერ მწარესა ტყუეობასა შიგან შეწუხებული და დაღონებული ძნელად, მოეწონა ჯიმშერ და ჰკითხა ანბავი თაეისი თვისისა და მან ყოველივე უქლისად უანბო, წარვიდა ესე დალალი.

და ჰყვანდა ხუსრუჯან დღეთა ხელმწიფეთა ჩინეთისა ხელმწიფისა ქალი, დიდად შეენიერი, ქეთავან დედოფალი. და უანბო დალალმან ჯიმშერისა ტყუეობისა ანბავი და დილარ ხელმწიფისა შვილობა, გრძნებითა რათამე შეპყრობა და პყრობილობა. შეწუხდა დიდად და ღონესა ხსნისა მისისასა ეძებდა. და ჰყვანდა ამა დევთა ხელმწიფესა ქეთავან დედოფალთან შვილი ქალი ერთი ესრე შეენიერი, რომელ გაბადრული მთოვარე მასთანა ცასა ვერა გაინახათებდა. უსჯერდა დიდად დედოფალი ქეთავან ხუსრუჯან ხელმწიფესა და მისსა სიტყუასა დიდად ემორჩილებოდა. ადგა ქეთავან დედოფალი და მიბძანდა ხელმწიფეს ხუსრუჯანთან. მოეგება წინა და ხელი გამარათვა და დიდითა სიყვარულითა მიიყვანა, ტახტსა ზედან დასვა. მოახსენა დედოფალმან: ემაქეს რამე მცირე სიტყუა და ვიჯაჲ წყალობასა თქვენსა, რათა ისმინოთ მონახსენი ჩემი. ბძანა ხელმწიფემან: ასეთსა სათხოვლესა რასა მიბძანებ, რომე არა აღგისრულო? ესე მოახსენა, ვითა: იგი დიდისა ხელმწიფისა დილარისა შვილი ჯიმშერ რომელ დაგიპირაეს და ტყუეთა გყავს, დამდე პატივი, შეიწყალე და გაუშვი. უბძანა ხელმწიფემან: არა დასთმობს თვისსა დაქერასა და აუგსა და თუ დასთმობს, მიპატივებიაო მოახსენა დედოფალმან: ვინათვან ესეთისა უსწოროსა ხელმწიფისა დილარისა შვილი არის, ყმა კაცი და უსწოროა ფაღავანი, აუშვათ და მიესტეთ ჩენი ქვეყანისა განმანათლებელი ასული როდენ¹ ქალი ცოლად. უბძანა ხუსრუჯან ხელმწიფემან: თუცა და[ი]ქერებ ჯიმშერს, დია მიმიცემიაო გაგზანეს დალალი და უანბო ყოველივე ბძანება მათი. მაშინ იამა ჯიმშერს, გაიცინა და ეგრე არქეა დალალსა, თუ ვითა ეგრეთი შეწყალება იქნება ჩემუდა, ნება დამირთავს, ბძანება მათი აღსრულდესო. მოვიდა დალალი და ჯიმშერისა ნაუბარი და ნების დართვა ყოველივე მოახსენა. გაგზანეს დენი, დაღეწეს ბორკილები და გამოიყვანეს ჯიმშერ. მოუვიდა ქეთავან დედოფლისაგან სახელმწიფო შესამოსელი უცხო და კეკელა. აწვიეს აბანოსა შინა. ვითა იბანა და გამოვიდა და შეიშოსა ტანსა, გაუძღვენეს წინა და შეიყვანეს დევთა მეუესთან და დედოფლის ქეთავანთან. მოეგებნეს ორნივე წინა და ზომისაგან მეტად გაჰვირდნ მისსა შეიშობობასა და სიკვამუკისა პასაკისა მისისასა. შეიქნა სიხარული და განტებრომა. აწვიეს მრავალნი ფალავანნი, დენი და მათნა ცოლნი და ლაშქარი. მისცეს როდენ ქალი ჯიმშერს, მაგრა ყოველთა მისი კერეტა და ნახვა ახარებდა, და თვალი და გული მახუდა²

¹ დედანში ჯად და ქვეითად: რაოდენ¹ ხელწერში ნახუდა.

ჰქონდათ. ვითა მიესმა ესე ანბავი როდენ ქალსა, დაუშობდა მეტათ და შეწუხდა. დაიწყო ტირილი და შეკირავება და იტყოდა ესრეთ, ვითა: ეს როგორ მიყვეს ან მამამ ან დედამ, როჲე ერთსა გამოუკდელსა ტყვესა მიჰქესო. ჰქონდა მას, როდენ ქალსა, ციხე მაგარი და შეუვალი და იყოფებოდა მას შინა. და ჰყვეს ბუნებერაზნი დევნი, მრავალი გვირინი და გოლიათნი. მიესმა ქეთაეან დედოფალსა როდენ ქალისა შეწუხება და ტირილი. წაბძანდა, ნახა ასული თვისი მტირალი და ცრემლიანი. უთხრა ასულსა თვისსა დედოფალმან, ვითა: შეილო, ჩემო, უკეთუ ესე ესმას ხელმწიფესა, მამასა შენსა, წყენისავან უქკოდ გახდების და დიდათაც შეწუხდებისო. ვითა რა არის ესე, რომელ შენ სტირი და ზრუნვასა შინა ხარ, და იგი უსწოროსა დიდისა ხელმწიფისა შეილი, გვირი და გოლიათი არის ესრეთი, რომელ მისთანა შეენიერი ფალავანი კაცისა თვალსა არა უბილავს და შენ მასა სწუნოჯო. ვითა ესე სიტყვა დაასრულა, აღვა დედოფალი და ხელმწიფესთან წამობძანდა. მერამე როდენ ქალმა ქალაქთა უფროსი მოსწივა უჯანა და ეგრე მოახსენა დედოფალსა, ვითა: მე ციხეცა მაქვს და ბუნებერაზნიც ბევრი მყუანან, და მე ვაპოუდელსა ტყვესა ქმარსა არცა შევირთავ და ნურც მიბძანებთო. ნურც ხელმწიფე მიბძახებს და ნურც თქვენაო მიბძანდა დედოფალი და შეილისა ნაუბარი ყოველივე ხუსრუჯან ხელმწიფესა მოახსენა. უხმა ჯიმშერს და ერთი თავისი ხელთ საკერი უცხო და მძიმე ლახტი მისცა, მრავალჯერ ბრძოლასა შიგან დაცდილი, ერთი ხმალი, ჯაჭვი, მუხარადი და შუბი და ერთი გველვეშაპის ზურგის ტყაეის საცდებელი და თავისისა ქალისა ნათქვამი პასუხი ყველა უანბო, ჩემსა ქალსა ფალავნები ჰყავს თავისი და მათ უნდა შეება და იგინი დააჯერო. და მერამე ესე, ვითა: თუ უომრად შეირთავ, აქედამ ის ქალი შენს ქვეყანაში აღარ წამოგყვება. და თუ ფალავნებს მოერევი, სადაც ეპარიანები, შენსა ცოლსა იქ წაიყვანებო. მოახსენა ჯიმშერ: დია კარგად და მართებულად ბძანეთ. ეცა მეცა ვიცი, გამოუკდელსა კაცსა. ქალი მართლა გულსა არ დააჯერებსა და არც უომრათ იქნებისო. თუ ათასიცა ფალავანი ჰყავს, სანამ სულ ყველასა არა შეეპი, არ იქნებისო. დაასკენეს ხელისაღ რამი.

ერთი მაზმურ დევი იყო, ყოველთა პირველად მბრძოლი. იგი განვიდის მოედანსა, პირველად იგი შეების. ვითა გათენდა, მოქაზბეს მოედანი. წამოდგეს ზედა მეტუე-მადანბანნი. ავიდეს მაღალთა სახილაეთა ბანთა ზედა თეთი ხუსრუჯან, იგი მეფე დევთა, და დედოფალი, ჩინთა ხელმწიფისა ქალი ქეთაეან და მრავალთა გვირთა და გოლიათთა დევთა ცოლები და შეილინი და მოქალაქენი. ზმა იყო დიდი და მრავალი სული ტიროდა ჯიმშერის სიკვდილისათვის მით, რომელ ეგონათ სიკვდილი ჯიმშერის. და თეთ დედოფალი ქეთაეან ტიროდა და ახეწებდა ჯიმშერს ღმერთსა. და ყოველნი მოქალაქენი ტიროდეს და ახეწებდეს ღმერთსა. და ვითა განვიდა მოედანსა შიგან ჯიმშერ, დევი მოედანსა შიგან დახვდა, უწინვე მისულიყო. შემოველეს ერთმანერთსა ნაგარდი, შეზახნეს და შეუტრინეს. მოუხდა დევი და შუბნი შემოაღწნა, მაგრამ ვერა აწო და ვერცა აბჯარი გაუკეთო. მერამე ჯიმშერ ღვთისა სახელი ახსენა და მერამე თავისის მამის დილარის შეილობა, მოუხდა დევსა, კინენი შეუყარნა. ახილნა მაზმურ დევსა, და აილო მთისა ოდენი დევი მაღლად და შეჰყოლა მეფესა: ეჲა, დევთა მეფეო, გაიკითხე ესე შენი მაზმურ დევი, თუ ვითარი ქაბუკი ვარა. დაჰკრა ქვეყანასა და ნუნვე დაანარკა და ფიხტლად სულთაგან დაცალა. იამათ ყოველთა ჯიმშერისა წმეილობითა დარჩენა, მაგრამ დევთა მეფესა და დევთა ეწყინათ დევის სიკვდილი და ეგრე ბძინა ხუსრუჯან ხელმწიფემ: მე ვიცი, ამას ვამოცდა არ უნდა, იგი ჩემი ასული ფალავანთა დევთა ამომაწყვეტინებსო. შეასხეს ქება ჯიმშერს და გარდაქარადეს თავსა ოქროსა და გვირსა.

მეორესა დღეს[ა] მოქაზმეს მოედანი, დაბანდა მეფე ღვთა ხუსრუჯან და და-
 ისხნა ბუნებარანი და ფალავინი მრავლნი. აბანდა ღვთაული ქვაკან და დიანანა
 ღვთა ცოლნი, დაიდუეს ნადიმი, მოდგეს მოქალაქენი, ჰკრეს ბუქსა და დაბდაბა, შე-
 იქნა ზმა და სხვა გამოვიდა ბუნებარანი ღვთაგან, რომელსა ერქვა ეყენ ღვთი. ეგრე არა
 გვანდა წინანდელსა დღესა, ვითამც ბედითი ვინმე ყოფილაჲ აქეთ გავიდა ჯიქმე¹. შემო-
 უდღეს [ნუარდი] ერთმანერთსა, შეზახნეს და შეუტრევს. პირველად გარდალქუეს ოროლი
 ხმალი ერთმანერთსა. მერმე შეუბები შეალეწეს. მერჲე ისრითა იბოძოლეს ხანაჲპიპინ.
 მერმე ლახტენი დაიწოდეს: და გაიყვანა ცხენი შორს ჯიმშერ და ეგრეთ შეჭყილა:
 ხუსრუჯან ხელმწიფეო, აჰა, ლახტი შენი და ნახე ფალავანი შენი. ჰკრა თავსა ლახტი.
 ესრეთი ხმა გვესმა, ვითა ქება. ღვეი უნაგირში ჩაქულია და ცხენსა ზურგი მოსწყვიტა
 და ორნივე მიწასთან გაასწორა. იამათ ყოველთა ჯიმშერისა მშვიდობით დაჩენა და
 იტყოდეს კაცნი: არა არის ვახუტი მსგავსი ჯიმშერისა პირსა ყოველისა ქვეყანისასა
 ზედა. მაგრამე მეფესა ღვთასა და ყოველთა ღვთა ფალავნებსა ეწყენათ აღდათ და
 კიდესა დაუმძიდათ. მას ლამესა წაეიდა ჯიმშერ სადგომსა და განისყენა ნებისა მისი-
 სად. მერმე მიიხპო ქალმან აბერ ღვეი. იტყოდეს ამა აბერ ღვეისასა, არა ყოფილარს
 ღვეი ამისებრი, არცა ჰაქმაჯინ ღვეი და არცა იგი ჯიმშერი და არცა ჯუნთიშა ღვეი.
 ყოველთა უფროსად და ფალავნად ამას იტყოდეს. და ეგრე უხზა: ხელქიჲ, ბაქონი
 მამაჩემი, თავსა ჩემსა აპისთვის გაბარებდა, რომელ შენი იპედი ღვეი ჰქონდა და მეცა
 შენისა იმედითა ცალკე ციხე მოვიგონე. და ახლა ერთმან დატყუებულმან² კაცინ რო-
 გორ უნდა წამიყვანოს აქედამე. თქვენი ფალავნობა და სახელი ხომ აიბოლეს ქვეყა-
 ნისაგანაო. აბერ ღვემა ეგრე მოასენნა მას მნათობსა ქალსა: თუ გეპრიანება, მოვლავ
 და თავსა მისსა მოგართმევ აჲ. თუ გინებს, დავიქირავ და ცოცხალსა მოგართმევ³ და
 თუ მიბძანებ, დავიქერ და ამდენსა ვცემ, [სიტუას]: ნუ მაქლავ და აღარ ვიბძვიო.
 ეგრე უბძანა მან როდენ ქალმან: მავა სამშია რომელსაცა უხაჲ, დია კარგი იქნებდსო.
 ვითა გათენდა, მოქაზმეს მოედანი და დაბანდა მეფე იგი ღვთა ხუსრუჯან, დენე
 ფალავინი მრავალნი, დედოფალი და ღვთა დედაწულნი და მოქალაქენი. წამოდგეს
 ზედა მებუტე-მედამბდებენი და შეიქნა ზმა. იტყოდეს მის აბერ ღვეისას: ესრეთ არა
 დაბადებულარს ქვეყანათა ზედა მბრძოლი ამისიო, და ტიროდეს ჯიმშერისა სიყვილი-
 სათვის. ვითა გამოვიდა იგი აბერ ღვეი საოპრისა იარალითა, ესრეთ საშინელი იყო,
 კაცი თვალსა ვერა გაუმართევდა: შავსა რკინისა მთასა ემგზავსებოდა, თვალნი ინითა
 ნალეხსა უგვანდეს, შვიდისა გელახისა ოდენი ლახტი წელთა ეპურა, სამნი პირბასრი
 ხმალნი წელთა ერთცა, მუზარადი დიდსა გუმბათსა უგვანდა, დიდთა ძელთა უსხობისა შუბი
 მხარსა ედვა, სხვაჲა ფალავანთა შუბთა უსხობისა ისარი ქარქამსა შიგან ეწყო, მალა
 მთასავითა ყვიროდა და ეგრე იტყოდა: აშაბედო, აწ გამოვიდა, გუმინდელი ღვთა სისხ-
 ლი გაზღვევინო. აქათ ჯიმშერ შეეკაზმა ჯაქვითა, ხუსრუჯანისა³ მუზარადი, რომელ
 არა გაიკვეთებოდა, იგი თავსა დაიდვა. მისი ვეშისა ტყავისა საგდებელი საღრტილსა
 დაიკიდნა. მისი დიდი საშინელი ლახტი, რომელ ხუსრუჯან ხელმწიფისაგან კიდე ვერა-
 ვინ აიღებდა, იგი ხელთა დაიქირა და გამოვიდა იგიცა მოედანსა შიგან. შეუტრევს საში-
 ნელითა შეტრევებითა ერთმანერთსა. ძვერება მათი გვანდა ორთა დიდთა გორათა ძვერე-
 ბასა და აბჯართა ზედა ცემა გვანდა ცისა ქებასა. უპერეტღეს მეფე და დიდებულნი
 და ქალაქი. აქედან უპერეტღეს იგი შენიერი როდენ ქალი. იყო შიში დიდი და
 შეუფოთებდა საშინელი. მრავალთა ღვთა ფალავანთა დაუწყობლადთ პირები და იყვნენ
 შეჭყებულნი ძნელად. ეტყოდა იგი ხუსრუჯან მეფე ღვთა ბუნებარათა მისთა: აქემგან
 კიდე აბერ ღვესა ვერავინ ებრძვისა. გაიყვანა ცხენი შორს ჯიმშერ, მოუხდა, უკრა
 ცხენს ხმალი და თავი გაუგდებინა. დაქვეითდა აბერ ღვეი. ჯიმშერ შორს უკედლა.
 აბერ ღვეს სხვა ცხენი მოგვარეს, მასცა ხმალი უკრა და თავი გაუგდებინა. სალაჲმო-

¹ დედანში: დატყუებულმან ² ხუსროჯანისა.

დის იბრძოლეს და სილამემან გაჰყარა. მოეწონათ ყოველთა დევთა და დიდებულთა ჯიმშერისა ომი. იტყოდეს ყოველი დაბადებული ჯიმშერისა დიდსა ქებასა. დევი ცხემში ნალეოაწად დაწვა და ჯიმშერ, ვითარცა ენება, ეგრეთ განისვენა.

მეორესა დღესა გმოვიდნენ ყოველნი მკერეტელნი, თავისა ადგილსა დადგეს. წამოდგეს ზედა მებუჟე-მედაბდაბენი. გამოვიდნეს ხარნივე ესე მემუჟარენი, შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა და შეუტრევის. თამან თქვენმან და ზენაარმა ღვთისამა, არცა წინასა ომსა გვანდა და არცა ვის ეგეთი ომი სხვას უნახავს. იბრძოლეს ცხრა ეჟამდის. იყო ბუკისა და დაბდაბის[ა] ცემა, ყურთა ხმა არა იყო. გაიყვანა ცხენი ჯიმშერ და ხუსრუჯანისა ლახტი შეუშალა. ვითა თავსა დაკვრასა უპირებდა, დევმა თავისი ფარი დაიხურა. დაჰკრა, ფარი დაუშტარია; მუზარაღსა ზედა ჩამოუსხლტა, ცხენსა თავი დაუწყა, ჩამოვარდა დევი, ჯიმშერ უკლდა. დაღამდა და სილამემან გაჰყარა. მივიდა დევი ცხენსა. აყუდრსა ქალსა დევმან: ზმენის გულისათვის გულისად ვერა ვერავ, ხვალ ნახავ, თუ რა მოვაწიო მის ზედა. ვითა გათენდა, მოვიდეს გულისათვის მკერეტელნი და დარიგდეს თავის-თავისსა ადგილსა. წამოდგეს ზედა მებუჟე-მედაბდაბენი და ვითა მზე აშალდა გუმბათსა ზედა, გამოვიდა აბერ დევი და აქეთ გავიდა ჯიმშერ. ვითა შემოუვლეს ერთმანერთსა ნავარდი, აბერ დევმან აგინა ჯიმშერს და ეგრე უთხრა: შენ სრულისა დევთა მეფისა მოწონებული სიძე იყავ, შენ, ავგვარო და ავსა ეტლსა ზედან შობილო, ორი დღე მისთვის შეგინახე ახლო. მათგან ფარვანი ამიღია, ამავე წამსა მიწასთან გააგაწორეთო. მერმე ჯიმშერ უბძანა: მე მალლისა ხელმწიფისა დილარისა შვილი ვარ და შენ ერთი ცული საძაგელი¹ ბილწი დევი ხარ. ავგვარიც შენა ხა[რ]ი და ავის თესლისა ცაო. შეწევნითა ღვთისათა, მის მალლისა ხელმწიფისა ავთა ხსენება აწვე შეგანანოო. მოუხდა აბერ დევი, ლახტი შეუშალა, ჯიმშერ თავს ფარი დაიღია. დაჰკრა დევმა, ფარი დაუშხვრია. მუზარაღმან აისხლიტა, ცხენის თავს მოუხვდა. ცხენის თავი სრულ დანაყა. ჯიმშერ დაქვეითდა. აბერ დევიც გარდახდა, მიუხდენ ერთმანერთსა. ვითა მქედელნი გკრდელსა სცემდეს, ეგრე ჩქარა ერთმანერთსა სცემდეს და მუხის ქვიხსაგან უფრო საშინელი ხმა გამოდიოდა. რა ლახტებისა ცემით დაიღალნენ, ლახტები წელში ჩაიპყრეს და ხელდახელ ერთმანერთს ზედა შესცივდენ. მათი ჯახება დიდთა კლდეთა ჯახებასა გვანდა. ეგრე ბძანა დევთა მეფემან მისთა ფლავანთა დევებთა თანა, ვითა: აბერ დევისა ხელდახელ მოკიდარი არც[ა] დევი და არცა კაცი ქვეანათა ზედა არცა დაბადებულა და არცა დაიბადებისო. თუცა ბესთაანისა მთასა ხელი მოჰკრას, მასცა ანასდათ დააქცევსო. ერკინნეს ერთმანერთსა მედგრად და გულმგისხლედ. სახელოვანსა ჯაჰვებსა, ვითა დამპალსა სამოსელსა, ეგრე ერთმანერთს ახევედეს და ფხრეწდენ. მეტესა დევთასა და სრულთა ბუმბერაზთა დევთა ზომის მეტად მოსწონდათ ჯიმშერისა ომი. იყო ბუკისა და დაბდაბის[ა] ცემა და შეწუხება დევთაგან აბერისათვის და სხვათ მკერეტელთაგან ჯიმშერისათვის. ამაზედან ჯიმშერ წყალობისა მომცემელისა ღვთისა სახელი ასხენა და დიდის ხელმწიფის დილარისა. მოუხდა დევსა. ერთი ხელი ბარკალსა ჩავლთა და ერთი კისერსა. მთისა ოდენი დევი მალად აიღო და მიწასა ზედან მედგრად დასცა ესრეთ, რომელ იგი ადგილი სრულად შეიძრა და მრავალთა მხრდალთა კაცთა სული განუტევეს. იქით დევთა მეფე აიქრა ზე ჩქარად და ცხენი თხოვა დევს საშველად. ჯიმშერ მუზარადისა ჯაჰვი წააკცა და პირალმასისა ორბარისა ხანჯლითა თავი ტანისაგან ვააშორა. დევმა ესეთი სისხლის ღვარი გაუშვა, ოთხსა დიდსა დოლაბსა დააბრუნებდა. რა ვერ მოუსწრო, ხელმწიფეს დევისა სიკვდილი დიდთა ეწყინა, მაგრამ [ჯიმშერს] გამარჯვება მიულოცა და თავსა ოქრო და გვარი ვარდაიყარა. მას ლამესა განისვენა ჯიმშერი.

რა ესეთი ჯიმშერისა ქება მოისმინა ამირან დარეჯანიძემ, ეგრე უთხრა სიფუ-დავლას: მზისა კაბუკისა ქება დიდი გვიანბო რაიბ ნობადმა, მაგრამ ეს ჯიმშერ ყველაზე

¹ დუღანში: საგმილია

ნამეტნავი ფალავანი ყოფილა ამისთვის, რომელ მცირე ყრმა ჯერ ხვასრო ხაზართ შეფესა დაუტყვევებია, მერმე დევთ ხელმწიფესა. რა ტყვეობილამ გამოსულა, ცხენისა და იარაღის ხმარება არვისგან უსწავლია, ამათთანა სახელოვანსა ფალავნებსა მორევიან, უცხო და გასაკვირებელი გოლიათი ფალავანი ყოფილაო. სეფედავლი ეგრე უთხრა: კაცისაგან დაუჯერებელი და გასაკვირებელი არის ჯიმშერისა საქმეო. მერმე რაიბ ნობაღმა მოახსენა: ამისი შეილი არმოკლა კვაბუკი და მზეკაბუკიც შეიბნენ და იმათი საქმეც სხვაჲ კარში მოგონებული არის და იქილამ მოგხსენებათო. უბძანეს ამირან და სეფედავლა, იგივე ამბავი გვითხარა ჯიმშერისაო. მოახსენა.

რაიბ ნობაღმა დიწყო ანბობა და თქვა: მერმე მის აბერ დევისა სიკვდილსა უჯან უბძანა ქალმან დევთა და ბუნებრაზთა: თქვენგან მაქეს იმეღი, უნდა ცხე გაანკაროთ და არ შემოუშვათო. მოახსენეს: რაც ჩვენგან გაეწყობის, ვცდებოთ, მაგრამ მისი მებრძოლი არცა დევი, არცა კაცი სახულად ქვეყანათა ზედან არა იპოვოსო, და ვერცა მისსა ბრძოლასა შევიძლებთო. და ვითა ვათენდა დილა, შეეკაზმა ჯიმშერ საქვეითათა აბჯრითა. მივიდა ცისისა სიახლესა. შესტყორცა ერთსა ციხისა ბურჯსა საგდებელი და გარდაცვა. მერმე თავსა ფარი დაიდვა და კისკასად ციხესა ზუან გასელა მოინდოჲ. დასტეს ქვა მრავალი, ვანა ვერა აუნეს. ვითა გავიდა ციხისა წვერსა, დენი მუნე იღუნეს, ამოიწვავდა პირბასრი ხმალი, დახოცნა და აქოსწყეიტა. მოგებნეს ორნი დენი წაწა. ლახტი შესტყორცა. ორნივე მიწასთან გააქარენა. მიიწია¹ თავადსა ციხესა. კართა შესტყორცა ლახტი, კარი შეღეშა ბასრისა ფოლადისა რკინისა, ეგვოდენი დაიქცა, ოთხი ცხენოსანი ერთად შეიარდა. რაჟაც დევმა ესე მოინახა, გარდიბეწენენ. ერთი ბროლის კოშკი იდგა. იგი როდენ ქალი ორმოკისა პირმთვართა მხველითა მას შიგან იყო. ხელი ჰქრა კარსა. კარი გარდო. მხისაგან უბრწყინვალესი შეენიერი ქალი დახვდა. გვერდსა დაუჯდა და პირსა მზიანსა აკოცა და ეგრე უთხრა: ღეწანარმა ღქვისისამ, შენსა სილამაზესა უუროსიკა კრძალვა მართებდა. მასვე წამვე მეფემან დევაჟმან დიდებულნი დენი აგზავნა, ჯიმშერ ჩამოიყვანეს; დედოფალი ქეთავან, მისი პირმთვარე ქალი ჩამოიყვანა. თავმან თქვენმან, მასვე დღესა ქორწილი უყო ერთი ყმა და ერთი ქალი მათდა, დმერთო, არა ჯობნილა. და მერმე უხბო დიდებულთა მეფემან და ორმოც დღემდის ლხინი, მეჯლისი, გაცემა, სმა და სიმხიარულე იყო, ნადირობდეს და ლხინობდეს. ამას შიგან გამობდა თვე ექვსი.

დღესა ერთსა, ნადიშსა ზედა, ჯიმშერ დაბრეჯით იყო. უბძანა დევთა მეფემან: რასათვის დავიღრეჯიანო. მოახსენა ჯიმშერ: მძალადო ხელმწიფეო, მე ესე ექვსი თვე არს ლხინსა და შექცევაში ვარ და ყმათა ჩემთა არა ვიციო. მიუყო ხუსრუჯან ჯიმშერს და უთხრა: თომეცა უწინევე გებძანა, აქამდი ანბავსა მოვალბინებდიო. მოიყვანა გოდნეული ერთი, შავნი მცირენი ლართნი ტანსა ესხნეს. უბძანა: დღეს უნდა ჯიმშერის ქალაქსა შეხვიდეთო. მან მოახსენა: ხეალე ადრე აქა ანბავი მოგართავო. მოიღეს საწერელი და ქალაღდი. მერაბსა და ქოვლეს წიგნი მისწერა ესრეთ: ჯიმშერ, მამისა ჩემისა მსგავსთა მერაბს[ა] და ქოვლეს დიდებულთა პატივითა დიდითა მოგვიცითხე და ტყბილად და საყვარლად გაიღერესბ! ვიცი, ანბავსა ჩემსა იკითხეთ, და რა იგი კაცნი ჩემთანა მოყოლდეს და დენიო ვსეთ, მძინარესა ტილისმი რაიმე შეემზადათ. შემიკრეს ხელნი, წამიღავნეს და დევთა მეფესა ხუსრუჯანს მიმგვარეს. მან ეგრე კრძალვითა მეციხოვნათა შემაძღვრა. თომეცა ხელი მეშოვნა, შევაკედებოდი, მაგრამე საყვრელითა მძიმითა რკინისათა შეკრული ვიყავი შევალა წელსა. მერმე მნახა დილაღმა ერთმა და ეღვოფალსა ქეთავანს მოახსენა: ახელმწიფის შეილი მკავეს ტყვეთაო. რადგან ისიც დიდის ხელმწიფის შეილი იყო, შეეებრაღე. ხელმწიფესთან მიშუამავლა და ამიშვა, ქალი მიბოძეს თავისი. ქალმა შორს დაიქირა გამოლუცდელის კაცის ქრამდ შერთვა. შემავაზმა მეფემან დევთამან საქურველითა თვისითა. პირველსა ომსა შიგან იგი მამშურ დევი შუბითა მოკვალ, მეორესა

¹ დგანში: მიწია.

დღეს იქვეან დღეი ლაბტითა ჩავლენე უნაჯირსა, მესამესა დღესა შთისაგან უდიდესი იგი აბერ დღეი შევამბეს. სამსა დღესა ვებრძოლე. იარაღი ყველა დავლენწით. მერმე რკინით დავეცე და მასცა თაჲი მოუკეთეთ, დევთა ციხე ავიღეთ. იგი პირმოვარე გოდენ ქალი ციხით გამოვიყვანეთ, ცოლად შევირთეთ. ექვსი თვე არის ლხინსა და გამოსვენებასა შიგან ვარ. ამდენი ხანია თვენი არა ვიცი-რა. რა ესე წიგნი წიკითაოთ, ყოველი ბძანებული ჩემი აღასრულეთ. აემზადენით კარვითა მოფენილობითა, ცხენითა, იარაღითა, ქორითა, აუზითა, ყოვლითა სანადირითა შესაქციეთა, მგოსნებითა, სპილენძ-ქურითა, ბუკითა—დაბდაბითა. ვითა ხელმწიფეთა წესი არს, ეგრეთ წარმოდიეთ. დიდი ხელმწიფე არის. ამასთან დიდი გამომწეუნება უნდა, ლაშქარნი სრულად იახელით¹.

რა ესე წიგნი ნისცეს მას გრძნეულსა ზანგსა, მცირე ღართ-წამოსხმული გაფრინდა, ვითა ისარო. მისეუ დღესა ორისა თვისა სავალი გზა გაელო. მივიდა ქალაქსა ჯიშერისასა. იხილა რა სასახლესა ციხესა და კაცთა ყველასა შვი ემოსათ და ყველანი ძნელად დაღრეჯილნი იყვნეს, ერთსა კაცსა ვისმე უთხრა: მერაბ და ქოვლე მიჩვენეთ. აფიკა ზან კაცმან, თუ რა იციო და არა უთხრა რა. წაივინენ. მერაბ და ქოვლე ფლასში ისხდენ, ორნიც საბნელოში. ესე ზანგი თანა მიჰყუა. უთხრა მოსვლა ზანგისა და ქონება წიგნისა. მათ ეგონათ, ვითა მტრეთა დაუმართებიაო. ერთი კაცი გამოუგზანეს და ანბავი იკითხეს. მან ზანგმან ეგრე უთხრა: წიგნი მაქვს თქვენის ხელმწიფის ჯიშერისა, დიდი სასიხარულო ანბავი, თვით მიმიყვანეთო. რა მერაბ და ქოვლე ეს ანბავი მოისმინეს, წიგნი აქვს ჯიშერისაო, ლხინსა და განსვენებაში არისო, ზე [ა]ქირენ და მს ზანგთან მისცივდენ, მუსლსა ეხვეოდენ და ცრემლითა სიხარულიანითა ტიროდენ. გამოულო წიგნი, მისცა, ზეჩნე კითხვაში მრავალი იტირეს. შეექნათ სიხარული დიდო და განცხრომა. შენოკრბეს¹ ყოველნი დიდებულნი და მცირენი. შეექნათ სიხარული და განცხრომა. ფლასი ზე გარდხიხეს, ძოწუელნი შეიშოსეს. ჯიშერისა ნაბძანებსა ნაბდება დაიწყეს. მისწერეს ჯიშერს წიგნი ესრეთ: „ნიწანი სამეფოსა თქვენისანი, მერაბ და ქოვლე, კეთილისა ანბისა თქვენისა სმინებისათვისა, თუ სთქვა, მკვდარნი დაესცოცლდით. თუცა თქვენ ჯაჰეთა ზებორკილეთი იყავით, ჩვენცა ძველსა ქირსა და შეწუხებასა შინა ვიყვენით—ბნელსა ჯურღმელსა შინა, და ახლა, ლეთისა მადლობისა მიმცემენი, ჩვენცა ადრე გიახლებით“. ესე წიგნი მისცეს მას გრძნეულსა. მეორესავე დღესა მიიღო და მიართვა. ჯიშერს ზათი მშვილობით ყოფნა დიდად იაზა და გაიხარა. ყოველი ბძანებული მისი აღასრულა და წარმოემართნეს ჯიშერისა კერძ სამოცი ათასითა კაცითა. წინ კაცი გაუგზანეს და ვითა მიქიხაზლნეს, მოეგება წინა ჯიშერ სამისა დღისა სავალსა. რა მერაბ და ქოვლე ჯიშერ დაინახეს, ცხენიღამე გარდაიქრნენ, დაცივიდენ და პირი მიწას გააერთეს, ავღეს და ეგრე მიეგებნეს. რა ჯიშერ მერაბ და ქოვლე ეგრე მკვითნი დაინახა მიმავალნი და მიახლოდენ, იგიცა გარდახდა და ვითა მამისა წინა მიეგება, იგინი დაცივიდენ და ფერხთა ეხვოლეს. ჯიშერ პირსა ჰკოცნიდა. ააყენა და მოაკითხა საყუარლად. მერმე დევთა დიდებულნი და იგინი ერთმანერთსა მოეშვიდობნენ. მერმე მეფე დევთა იგი ხუსრუჯან სობძანდა, მას მოეგებნენ მერაბ და ქოვლე, თაყუანისცეს და მოემშვიდობნეს. ზობძანდეს სადგომს, დიდად პატივცა მერაბს და ქოვლეს. ვითა დასხდენ, ყოველთა დევთა ფალავანთა ზეით მერაბ დასვა თავის ნხარსა და მეორეს, ჯიშერის მხარს, ქოვლე დასვა. შემოვიდნენ დიდებულნი, დასხდენ ორი თათის ცალკერძ და ორი ათასი ცალკერძ. სხვანი თავადნი ერთმანერთშიგან რევით დაისხდენ. შეიქნა ლხინი და მეჯღიმი ეგრეთი, რომელ კვლავ არა ქმნიყო სამსა დღესა ასრე უბძანა გარიგება. მეოთხესა დღესა შეჰკაიდა მერაბისა და ქოვლესა პირითა, ვითა: მაღალო ხელმწიფეო, განისვენეთ მონისა კარავსა და დამდაბლეთ თაჲიო და თვით დედოფალსა ქეთავანს თავისითა პირითა დაპატივა, და ეწვიენეს ორნივე. მოჰკაზნეს კარავნი და შემოავლეს სარაფარდანი. ესეთი სეჲანი დადგეს, რომ კაცისა ენისაგან მისი ქება არა ითქმის. ცალკერძ დაბძანდა მეფე იგი დევთა ხუსრუჯან ტახტსა ზედა საბელმწიფოსა და მასთანა დედოფალი ქეთავან და მისი პირმოვარე ისულია

¹ დედანთი შეგობრბეს.

ჯიმშერ, დევნი და ჯიმშერისა თავადნი ერთსა კვირასა ამინნი სტუმარნი იყვნეს. მის-
თანა ლხინი და მეჯლიში კაცისა ენისაგან არა თქმულა: იმერედეს ზგოსანნი და მო-
შაითნი და იტყოდიან ჯიმშერისა ქებასა. მერმე უძღვნა მეფესა და დედოფალსა ორასი
ოქროთ შეკაზმული ბედაური ცხენი. ათასი-ათასი სტავრა და ხათაისა ფარჩა. ორი
გვირგვინი, თვითოს ფასის თქნა არ შეიგებოდა, ღამესა შიგან დღესაგით ანათობდა.
მერმე დევთა დიდებულთა უბოძა მრავალი, მერმე შეხვალთა, მერმე ნას დალაღსა
ამდენი უბოძა, ანგარიში არ იაღებოდა. წაბძანდენ მომადლებულნი. ერთსა თვესა ევ-
რევე მეფისა სავარდესა შინა ლხინობდეს. მერმე გამოეთხოვა ჯიმშერ და მოსცა დეე-
თა მეფეზან კერული და უკერავი, თვალი და მარჯალიტი ხუთასი აქლევი, ათასი ჯორი,
სანასა ოქროთ შეკაზმული ცხენი და ათასი სხვა სავჯინიბო ცხენი, ხუთასი შესაშოსე-
ლი. ეგრეთვე მერაბსა და ქოვლეს თავის თავისად და კიდის-კიდე ყოველთა მრავალი
უბოძა. გამოეხალმა დედოფალი ისულსა თვისსა ცრემლითა და ჯიმშერსა შეაფერცა და
დალოცა. გამოჰყვა იგი დევთა მეფე სამისა დღისა სავალსა და გამოეხალმა იგიცა და
წამოვიდა თვისად ქალაქად. და ჯიმშერ წავიდა ნადირთა სრვითა მისად ქვეყანად. დი-
ვითა მიიწიენენ თვისად ქალაქად, წინა მოეგებნეს ყოველნი დიდათა სიხარულითა და
ჰკოცნიდენ ზერხთა და აყრიდენ თავსა დრამასა და დრამკანსა. შეიქნა ასეთი სიხა-
რული, რომელ არა ითქმის კაცისაგან. ერთსა თვესა ქორწილი იყო, სიხარული და გა-
ცემა. ვინცა დევთა დიდებულეზი ახლდენ, მრავალი უბოძა და გაისტუმრა მომადლე-
ბულნი. დაყო ხანი მრავალი სიხარულსა და განსვენებასა შინა. მიეცა ძე ერთი შეენი-
ერო ნაყოფი. რა ერთისა წლისა შეიქნა, მნახეთაგან გასაკვირვებელი იყო: არცა შანასა
გვანდა, არცა სხვასა მისთანა კაცთა ძე არა უბილავს.

დასნეულდა ჯიმშერ და მოკვდა. ესეთი ტირილი და გლოვა და წეწებება იყო, კაცო
შესცთებოდა. ძნელად იგლოვდა როდენ დედოფალი. მერაბ და ქოვლე¹ დაიბეს სამოს-
ლები და იგლეჯდენ თმასა და წვერსა. და დიდი გლოვა იყო წლამდის. მერმე გახსნეს
გლოვა და დაეწყეს ზღა [ძესა ჯიმშერისასა] მერაბ [და] ქოვლე [და] დასდევს სახელი ჯიმშერ
მანასა თუისისა, რომელსა შემდგომად არმოკლა კაბუჯად უწოდეს.

აქა დასრულდა კარი დიდალის შვილის ჯიმშერისა და დაესრულებულჰქ არს სუ-
ფევა ზეფობისა თქვენისა უკუნისამდე, ამინ.

ჯიმშერის შვილის ჯიმშერისა, ანდოქალა ზაბუჯისა [ანახავი]

ისმენდნი მეფეთ-მეფეთ, ცხონდი უკუნისამდე! აღიღწეს ღმერთმან მოყვარენი
თქვენნი და არცხინენეს ორგულთა თქვენთა!

ოღნეს ესე ჯიმშერ შეიქნა შვილისა წლისა, ნადირობა უყვარდი მეტათ. სადაცა
ლომი ანუ ვეფხი ნახის, მან, ცოტამან ყმამან, ვითა კატა, ეგრე მოკლის. და არცა[¹] ვის
ასპია კაცთა ძე მის უშვენიერესი და უტურჟესი. რა მოაწიფა და ათხუთმეტისა წლი-
ა შეიქნა, უხმო მერაბს და ქოვლეს და დიდებულთა უპირკლესთა და არქვე მათ: ცო-
ტასა ხანსა მომინდა სხვათა ქვეყანათა ნახე და სიარული მათთა, მიწდორთა და ქვეყ-
ნებისა ნახეო, თავისა ჩემისა ვაპოცდა და ქალისა შეენიერისა შოვნაო. გმირთა და
გოლიათთა ბრძოლა და მათი ომიო. თქვენ ესე ტახტი ჩემი მინებეს, კარგა შემინახოთო.
მერაბ, ქოვლე და დიდებულთა ესე ჰქადრეს: ჩვენ სამისა სახელმწიფოსა კაცნი ვახლა-
ვართ, დაეკერებულვართ თქვენსა კაბუჯისაო. უბძანა ჯიმშერ, ვითა: თქვენ რომ დას-
ჯერებულხართ, უნდა მეცა დაეკერებულ[¹]ყო თქვენსა თავსა. შენი საჭმე აღარა გახ-
სონს, მერაბ, კაბუჯობისა ეამსა რამდენი ომი გარდაგხბოდა, ქოვლესაცა ეგრევე უქნია.
არა დავიშლი, ზენაარმა ღვთისამა, და ნუღარცა დამიშლით, თორემ დიდად მეწყინე-
ბაო შეშინდენ და ველარც დედამ და ველარც იმით ველარავინ დღუშალეს. თავისის

¹ დედანი: +იგლეჯდენ თმასა და წვერსა.

ზამის იარაღი, რაც იყო, დევთა მეფისა ხუსრუჯანისეული, ისინი ყველანი თან წაიღო. [წაიყვანა] ერთი თავისი ყმა ბებურ ზურადის-მე და კარგი კაბუჯი, დი ერთი მეჯინიბე და ერთი შიკრიკი შვკაზმული ოქროს სალტითა, ეყენებოთა¹ და ჯავიარითა და სარტყლათა ოქროსათა მოკაზმული. ესე შიკრიკი ფრინველისაგანც უნაღე იყო. დაყარნა დედა და დიდებულნი მისნი თვალ-ცრემლიანი და შეწებებულნი და წაიგდა თვით.

და რა მისსა სამეფოსა გასცილდა, ერთი თოვლიანი შთა ნახა. გაუკვირდა და ეგრე თქვა: ესე ჰაერი ზაფხულისა არის და ასეთი სიცივე რისგან არისო. შემართა მას მთასა და აღვიდა ზედა. ესეთი ყინვა გამოუშვა, რომელ კაცისა ენისაგან არა ითქმის. შეშინდენ ბებურ და მასთანა იყოფნი კაცნი და ეგრე მოახსენეს: აღარა ძალგვიც სიარულიო აღარცა ჩვენა და აღარცა ცხენსაო. გარდახდა ჯიშურ და იმათ ცხენებში თავის ცხენებს ვაზაბა, თვითონ წინ გაუძღვა და ისრე აიყვანა. მივიდა ადგილსა ერთსა ლარწომიანსა და ჩალიანსა. ტბა იყო დიდი. ვეშაბი იყო შავი და საზარელი მის ტბისა პატრონი. თურმე იგი თოვლი მისგან იყო ტრლისმითა ნაქნარი. შეიღულარქნა და შემოუტია. აქეთ ჯიშურ შეუტია, ისარი—ბოძალი ამოიღო, შესტყორცა, თავში ჰქრა, ლაში [შიწასა] დაუბა და ფთამდისი ზედან დასვა. ემწვაეა მეტად და ზედ შემოვარდა იგი ვეშაბი. ჰქრა ხმალი წელში და სრულიად გაკვეთა და ხმალი მიწასა შიგან გამოაელო. ესეთი სისხლის ღვარი გაუშვა, კაცი შიგან გაქურდებოდა. იგი თოვლი და ყინვა მასწინე განქარდა². ასეთი სიტყე შეიქნა, უფროსი აღარ იქნებოდა. თურმე მის ბილწისა ვეშაბისაგან იყო იგი სიცივე. და ვითა წარვიდა, ვლო სამი დღე, აღვიდა მთასა ზედა უზომოდ მაღალსა. ვითა გარდახედა, შეიღისა დღისა სავალი სულ კარვითა და კაცითა და ლაშქრითა სავე იყო. თვითონ ჰურის კამად დაბძანდა და შიკრიკსა უბძანა: წადი სწრაფათ და იპოტყე, იგი ლაშქარი ვინ არიანო. შიკრიკი ეგრე ფიცხლად წავიდა, არაბული ცხენი ეგრ მიეწვოდა. რა მივიდა მათში, იხილეს მათთა უფროსთა კაცთა. მოეგებნეს, უსალაშეს და ცნეს, ესე შათირი ანუ ვასმე დიდსა ხელმწიფისა არის და ანუ უსწოროსა კაბუჯისა არისო. რა მისი უცხოთ საკვირელათ ოქროთ მოკაზმულობა იხილეს, ჰკითხეს: ვინ ხარ, ანუ რა საქმე გაქვსო. მან, შიკრიკმან, ეგრე უთხრა: აპატრონისა ჩემისა ანბავი არა თქმის, თუ თვითონ არ გიბძანათ, თქვენ თქვენი ანბავი მითხარითო, რომელ ჩენსა პატრონსა მივართვით. უთხრეს: ჩვენი ანბავი რაღა გეთხრათ, რაც კაცნი ვართ, შეიღი ამღენი მეტი ვიყავით. სრულიად ერთმან მხეცმან აგეწყვიტა, ვინც მოვარჩით, ავიყარენით და აქ მოვედით. თორმეტისა დღისა სავალი აქეთ მხარეს არის გაოხრებული და ყოველს მხარეს თორმეტ-თორმეტ დღისა სულ აოხრებული არისო. ჩვენ თურქეთისა ქვეყნისა კაცნი ვართ, ღმერთსა ამას ვევედრებთ: ანუ ხელმწიფე და ანუ ფალაგანი ვინმე გაგვიჩდეს, ან[უ] მეფესა ებრძოლოს, ანუ აგვეაროს და თავისთვის წაგვიყვანოსო. ამა თვალ-უწილოსა მიხედოსა შიგან ვართ გამოსულიო. ვითა ესე სიტყვა უთხრეს შიკრიკსა მას, წარვიდა შიკრიკი იგი. ჰკადრა ყოველი, რაცა სმენოდა მათგან. და ოთხმოცი ცხენოსანი კაცი უხსდა და წამოვიღეს ჯიშურისა სანახავად. მოვიდეს, დასდომბა უბძანა და ჰკითხა: ვინ ხარ, ანუ რისა მიზეზისათვის გარდემოხეწილნი, ყოველივე მიანბნეთო. მერმე მათ კაცთა ჰკადრეს: ვახლამეა³, ღმერთო, ყოველივე შევედროთ მეფობასა თქვენსა. ვინადგან მობძანებულხართ აქა, ბძანეთ, ჩვენსა ხალხსა და დედაწულში მობძანდით და მუნ მოგასენოთ ყოველიო.

ცხენი ოთხოვა და წარვიდნენ. მათგან ოთხი ცხენიანი კაცი გაჯანეს. სინამდისნი მივიდოდით, მოეკაზმათ, კარავი დაედგათ და ტახტი სახელმწიფო. ორასი ოქროს ჯობიანი კაცი მას წინ დააცვიფეს და თავყანისცეს. შევიდა და დაჯდა ტახტსა ზედა. მოადრეს სუფრა და სანუკარი მრავალი. ვინცა მასთანა დაჯდომისა ღირსნი იყვნეს, გვერდისა ააღო, ლხინი ნახეს, სანამ ენებათ. მერმე სუფრა აიღეს და მოისვენა. კვალად მიიწუხრა ნადიმად დაბძანდა, დასდენ დიდებულნიცა. უბძანა მას ნადიმსა ზედა:

¹ დედანო: გვენებოთა. ² განქარდა. ³ ვახლამეა.

მიზნობრივად მის მხედისა ანბავიო ზე ადგა ერთი დიდებული მათგანი, რომლისა სახელი—ომარ. წამოდგა წინა და ეგრე მოახსენა: ცხონდი მეფეო უკუნისამდე ვითა მის მხედისა მხილველი ცოცხალი აღარავინ არის. ერთსა ეამსა ერთი დიდი ლაშქარი შეიყარა. იგი მხეცი ზედა შეჰხდა, ყველაი დაანთქა. ერთი კაცი გახეთქილსა კლდისა ნაპარალსა შინა შეიძალა. მუნთი თურმე სკერეტდა. მისგან გვასმია: სიდიდითა სამისა სპილოსსა ოდენი არის, თავი ორი აქვს. ორი თვე ერთსა ცეცხლსა გამოუშვებს. თუცა მათსა ესროლოს სამსა ფარსაგსა, მასცა წამსავე თანა დასწვებათ რქა ერთი აქვს ათი მწყურთა, რასაცა შეუყაროს, ყველასა აიღებს. ოთხი ფეხი აქვს, ყველაი სისხლისა მღვრელი. თვითო ჰანგი სამ-სამი მწყურთა. ტყავი ვიგრისა მგზავს აქვს, თვალის მუტი სასისხარი არა ეპოვებინ-რა. კბილი ასრეთი აქვს, ვითა ბასრი რკინა შეჰამოს, მასცა ადვილად გამოსცოხნის. ისეთისა სიმყარალისა სული უდის, კაცი თუ ერთსა მილიონსა მიუდგა, წამსავე ცხენილდამე ჩამოაგდებს. თუ მისსა ნაველსა ნახავ, სადაცა ფეხი დაუდგამს, თვითო მწყურთა მიწა ჩაუდრეკია ადგილია. უბძანა ჯიმშერ: ეგ მხედისაგან არც ერთი არა იგვების, ყველა ტყუილი მგონიაო. ვითა ზედა გათენდა, უბძანა ჯიმშერ: წამოყვეთ ჩემთანა, ვინცა კარგი ცხენოსანი ხართო. ხუთასი კაცი ესეთსა ტაიქსა გასხდეს, ფრინველიცა ვერა მიეწოდათ.

მათსა ქვეყანამდისინ თორმეტი დღე ვიარეთ. მივედით. ენახეთ ქვეყანა სამოთხეთა მსგავსი, რომელ წყალი, ხეხილი, ბაღები, ქალაქი, სოფელი დიდად შევნიერო, განა გაეობრა მხედისა მას. მათ კაცთა მუნებური ლენო მოიღეს, მის უკეთეს ვერას ნახეთდა. ერთსა მის მხედისა ნაწოლსა ადგილსა შევხედით, სამისა კალსა ოდენი ადგილი სკეროდა. ასეთისა სიმყარალისა სული უდიდოდა, კაცი შეზნდებოდა. ეგრე ბძანა ჯიმშერ: ამა სიმყარალისა სულსა მეცა ვემოწებები, და სხვა ანბავი რაცა თქვეს, ყველა ტყუილი არისო. მოახსენეს მათ თურქისტანელთა დიდებულთა: ცხონდი მეფეო უკუნისამდე! ესე დიდი და კეკელა ქვეყანა მის საშინელისა მხედისაგან არის გაობრებულიო.

წარკვედით, ახლოს ყოფილიყო დიდროვანი კოშკები—რქითა ძირითურთ აღმოეფხვრა. ენახეთ ნავალი კვალი. სადაც ფეხი დაედგა, ერთი მწყურთა მიწა ედრეკა. წარკვედით მისსა სამყოფსა. ქედსა წაყადქეთ, ჰკითხა ჯიმშერ: სადა არის სამყოფი მის მხედისაო. მოახსენეს აქათგან წარეალს გზა ოთხი ფარსანგი. ეგრე ჰადარეს მათ კაცთა: ზენაარსა ლეთისასა, სადა იგი მხეცი არის, იქ ნუ მიგვიყვანო ჯიმშერ ეგრე უბძანა: თქვენ ესე ქენით, თვალთ მარეწეთ და, ზენაარსა ლეთისამა, თანა არა წაგიტანო. უსმინეს და ერთი კაცი ვითა ფრინველსა ეგეთსა ტაიქსა გასვეს და წარუძღვა იგი კაცი. თავისი კაცი და იგი ხუთასი კაცი მუნ დაყარნა. ვითა გავლო ერთი ფარსანგი, ვერა ნახა. გავლო მეორე ფარსანგი. უბძანა: რა იქნაო. მოახსენა: ესე არის სამყოფი მისი და არა უწყვი რა იქნაო. ამაზედა ნახა მან კაცმან [იგი მხეცი] და გაიფრინა ცხენი. შეხედა ფილავანმა, ზეჲ იდგა ნამძინარევი ესრეთ, ვითა დიდი მთა მართია. ჰანდრის ოდენი ენა წამოეგდო. იზმორებოდა და დიდად საზარელი იყო. რა ნახა მხედმან, თავსა არცა შეიღვა. ფალავანმან ცხენი გაუქენა. რა ახლოს მივიდა, ასეთი სული ეცა სიმყარალისა, კინლამ ცხენილდამ ჩამოვარდა, მაშინვე ცხენილდამ ჩამოხდა. პირი მიწას გააერთა. ღმერთსა შევედრა. ადგა ქარი და მისი სიმყარავ მასვე პირსა ეცა. გამოიღო ჯირითი, რომელი ცხენზე ეკრა. შესტყორცნა, თვალში მოახვედრა და თვალს გაუხვრიტა, ორი წყურთა ტრინში ჩავსვა, მოიქრა ტოტი, ხე მოსტება, პირი შიგ დარჩა. საშინელი იგრავინა მხედმან. ისეთი ცეცხლი გამოუშვა, თუმცა მოხვედროდა, წამსავე თანა დაიწვებოდა. თავს ვარდაველო, ორი ალაჯი მინდორი გარდიწვა. რა კომლი ვანქარდა, ისარი შესტყორცნა, ვითა ქვითკირისა კედელსა, ეგრეთ არა დაესო, ძირს ჩამოვარდა მეორე შესტყორცნა, ზედ შეაღწვა. მესამე ესროლა, თავსა გარდმოველო. მშვილდი დაავლო, სხვა ჯირითი გამოიღო, შესტყორცნა, ვერა ავნო, ძირს ჩამოვარდა. დასცა მხედმან ფეხი, შემოსტყორცნა იგივე ჯირითი, ცხენისა მტკსა მოუხვედრა, ორივე მტკსი

დაუმტვრია და შიგან გაავლო. ცხენი დაეცა, მიძივთ შექურვილი იყო. ფალავანი მერის სიპურალისაგან დაბნდა. ხანაშლისინ დაბნედილი იყო. თქალთა ხელი. უქვეილო, ზე აიჭრა, შეხედა მხეცსა. მეორე თელიცა სისხლითა ავსოდა. საშინელისა, რასავე და დიდად საზარელისა ხმითა გრგვიანებდა. მიუღდა ფალავანი, ხმალი ამოიწვიდა, ლლიაჲა ჰკრა და ვადაშლისინ ზედან დაასო. მხეცმან ტოტი წამოტანა, ხმალი შიგ გაუშვა უკან. უკუბდა, ვაიილო ხმალი, პირში შეიღვა, შეკეცა. ვითა კვეთ, გვრე გამოკოსნა და გამოყარა. ფალავანმან მის ღვეთა მეთისა ხუსრუჯანისა ლახტი აილო. მიუბდა, შვილი ჰკრა და ვერ შეძრა. მერვე ჰკრა, დაიჭუხა და წაიქცა. მის წაქცევასა ზედან იგი აღდი-ლი შეიძრა. ეგეთი სისხლისა ღვარი გაუშვა მან მხეცმან—ხუთსა დიდსა დოლაბსა და-აბრუნებდა. ლახტი მუნ დაავლო, ჯაპეც მუნვე დაღვა და დაიწყო სიარული. რა ერთი ფარსანგი ვაზა გაიარა, დაილა და დაჯდა. სამი ალაჯი სხვა ჰქონდა გასაველელი. მისი ყმა ბებურ მურადისინ-ძე და შიკრიკი წამოსულიყვნენ, სამი ალაჯი გამოველოთ. მოვიდნენ, ნახეს, ვარდაბხეს, მუხსი აკაუცეს, წყალი მქოილეს, ხელი და პირი დობინა. ხილი იაშა, ლეინო სვა. უბძანა: რა ქნეს მათ კაცთაო. მათ მოახსენეს: რა თქვენთან ნაწყოფი კაცი მოვიდა და მის მხეცისა ნახვის ანბავი მოიტანა, თავმაქ[?] თქვენმან, ასრე გარდახეყვნენ, ნაკვალევიცა მათი აღარ ეტყობისო. უბძანა ბებურსა: შენ წადი და ის კაცები იპოვენ და მოიყვანეო. წაიდა ბებური. კაცი მოაგროვა. მოიყვანა. მოვიდნენ ფალავანთან, დაკვიდნენ და ფეხსა ეხვეოდეს, ჰკადრეს: მაღალო ხელმწიფე, ვინათ-ვან ფალავანობითა თქვენითა იგი უსამართლო და საშინელი მხეცი მოკვდა, რომელს მოუგონებელი იყო კაცისაგან, იმისი რქა უცხო არისო, ტყავი ეიგისა მგზავი აქვს, სახმარი არისო, ნალველი თუ ბრმაჲან იწოთს, თვალნი აუხილებიანო. ქონიცა წამალი არისო. უბძანა: თქვენ წადით ყველანი, ჩემი ფოლადი ჯირითის პირი არის, არ გასტე-ხოთ, ის მომიტანეთ. სხვა რაც გინდათ, ის ქენითო.

წარედეს ესე ხუთასი კაცი. ორი ღლე დაყვეს. აღარ გამოჩნდენ. უბძანა შიკ-რიკსა: წარედ, შეიტყე იგი ჩენი ლაშქარი რა იქნაო. წარვიდა შიკრიკი და ჰარისა-გან უმაღ მოვიდა. ეგრე მოახსენა: ხელმწიფეო, ჩენი ლაშქარი, თუ ბძანო, ვითა-მცა ცოცხალსა ებრძვიან. თაემან თქვენმან, ბეწვიცა ვერა წაუდრეკიათ, ვერცა დაუძრავთ, ვერცა გარდებრუნებიათ და ვერცა ტყავი გაუქრიათ. ფალავანი წაბძანდა. ცოტაა ხანსა მათსა ყოფასა უყურა. მერმე ლახტი აილო, ერთი დაჰკრა, რქა მოსტეხა, თავისა ძვალი ჩააბტვრივა, ფოლადი[ს] ჯირითის პირი ამოიღო, ხანჯლითა ორგან შეკრდი შეუ-ხია, სამგან მუცელი. ხუთასი კაცი ზედ მიახვიო, თეთით სადგომს წაშობანდა, სალა-მომდი დაყვეს. ქონი ამოვლოთ, ტყავი გაეხადათ, ნალველი წამოვლოთ. მას ლამესა იქავე ჭალაქისა სიხალესა ვიყვნით. კარვები დასცეს. მოიღეს ღვინო სანტეკარი და მგონები იტყოდნენ ჯიმშერისა ქებასა და მის მხეცისაგან დახსნასა. ვაგზანეს მათ კაცთა მისთა დედაწულთა-თანა მახარობელი, ჰქონდათ სიხარული და შეება. რა დილა გათენდა, მო-ვიდნენ მის ქვეყანისა დიდბულნი და ყოველი ჭალაქისა კრებული და მოახსენეს: ცხონდი მეფეო უკუნისამდე, მოუგონებელი იყო კაცისაგან, რაცა თქვენა ჰქენით. ამასა ვკად-რებთ მეუობასა თქვენსა და კიბუკობასა თქვენსა, მკლავითა შენითა ვართ ნასყიდნი. რასაცა გვიბძანებთ, იგიცა ვქნათო, წყევანასა ჩვენსა ბძანებთ, თუ აქედამ გვიმსა-ხურებთ, მონებისა თქვენისა მოსურნე და ბძანებისა მორჩილნი ვახლავართო. უბძანა ჯიმშერ: ჩემგან არც ერთი არა ქნილა-რა, ვინათგან თქვენ შეგიწყალათ ღმერთმან და იგი თქვენდ მიოხარი მოკვდა. ეს ალაჯი მას ჩემსა ქვეყანასა, დიდად ღმერთო, სჯობსო, აქვე დეადეით და აქედამ შემსახურებითო, ჩემნი იყვნითო. რა ესე ესმათ, დაკვიდნენ და თაყვანისცეს. ამა ანბისა მახარობელიცა ვაგზანეს. ესე ანბავი მის მხეცის სიკვდი-ლისაგან უფრო იაშათ. მოიყვანეს დედაწულნი მათნი და დეშენენეს. მუნვე უჩინა დიდბული მათივე. მუნებური ყველა ვააგო. წარმოიყვანა თანა ორასი გამორჩეული კაბუცი. მისწერა დედასა და შერაბს და ქოვლეს წიგნი და თავისი მშვიდობით ყოფნა და ქვეყნის დაპირვე შეატყობინა და თავისიცა ადრე მისელა მისწერა. მათცა დიდათ

გახარებოდით და წიგნი მოეწერათ. ერთი წიგნი მზისა ქაბუკისა მისლოდით და იქ გამოეგზავნათ, რომელ დიდით გაუკვირდა ჯიმშერს, რომელსა შინა წერილიყო ესრეთ: ახალსა ფალავანსა, უსწოროსა ქაბუკისა შორით გემრახები და დიდისა სიყვარულითა და სურვილითა მოგოკითხავ ძმა თქვენი ფალავანი მზექაბუკ. სიკეთე თქვენი მესმის და დიდით მიზარის, რადგან ბიძა თქვენი და თქვენი ვერ გარიგებულხართ. ბიძა თქვენი ხეასროცა გარდაიცვალა და დღეს სრული ხაზარეთ და სხვა მრავალი ქვეყანა მიქირავს. რადგან შენისა მკედარისა მამულისაგან კიდევანი ხარ, მობძანდი, შენს მამულს ეპატრონე, ჩვენ ორნივე საყვარულით ვაყენეთ, ყველას ისი სჯობიანო. გაუკვირდა ესე წიგნი დიდად მზექაბუკისაგან და კიდევ იამა. გულით დაეპატიენა, ქვეყანასაც ეპატრონე და შენი საყვარელი დაც ნახეო. ის წიგნის მომტანი მზექაბუკის კაცი დედოფალს გაებრუნებინა და თავისის შვილის ჯიმშერის სხვაგან წასვლა მიეწერა: თუ მშვიდობით მოვალს, თქვენი ნახვა მასცა უნებოს.

წარვიდით. ერთსა მალალსა წვერსა წავადექით. ერთი დიდი მდინარე წყალი ვიხილეთ და ორი ლაშქარი იდგეს—ერთი გაღმით და ერთი გამოღმით. გამოღმართსა ლაშქარსა რა მიეახლოვდით, ესენი სულა ქარავენი იყო დაცრცილი, რომელსა რისხვა ღმთისა მოსწოდათ. მოეგებნენ და ფალავანსა ჯიმშერსა ცხენასა ფერხთა ქვეშე შეუტყიდნენ. ჰკოცნიდნენ და ტირილისაგან სიტყუასა ძლიე გამოაგებულეს და ყველასა ტირილითა მოახსენებდნენ და ეგრე ჰქადრეს: ასახელოვანო და უსწოროუ ხელმწიფე: საფალავნოთ ნაქნარო, გვიხსენ იმა მესისბლეთა არაბთაგან. მოვასენენო ჩვენი საქმე, რომელი მათგან გეწოია: ისი ლაშქარნი არაბნი არიან, ჩვენ ჩდილოთ მპყრობელისა მალისა ყმანი ვართ ხელმწიფისანი. შეიღვი ფალიწადია ინდოეთსა ვართ. დიდისა ღარიბთა გამდიდრებულნი მოვიდილით ქვეყანასა ჩვენსა. დაგვესხნეს ესე არაბნი. ჩვენც ბევრი შეგვექლო. ოთხი დღე და ოთხი ღამე ვებრძოლეთ. ჩვენცა მრავალი კაცი მოუკალით. გაგეტყუეს. ვინცა გარდავროშაღვართ, დაცრცილნი და ფეხშიშველანი ვართ. ერთსა დღისა სავალისა გავლა აღარა ძალგეც. ოთხი ჩვენოდენა დახოცეს, ესდენი განძი წაიღეს ჩვენი, ექვამ დღე არის ალაფსა იყოფენ და ორი წილი კიდევ გასაყოფი აქვსთ. ვართ აქე სიყვდილისა მონატრენი. ჯიმშერ ცხენილამ გარდახდა. ერთსა თავისა კაცსა უბძანა თურქსა: წმენ წადი და ვინცა მათი უფროსი იყოს, მასთან მივედ და ასრე უთხარი: ჩემი საქმე არა იყო, მაგრამა ამა ქარავენსა დაცრცილსა შეეხვდი. მე დიდსა ხაზართა მპყრობელისა დილარისა შვილისშვილი ვარ, პატივი დამღვეით და ამა ქარავენსა თავისი წანართმევი მიეცით და მე პატივემული წარმგზავნეთა.

რა ესე ფალავანისა კაცი წარვიდა, კარავი კარავსა იყო მობმული. თორმეტი თასი დარჩეული ჯაჭვითა შეკაზმული არაბი ახლდენ. ოთხმოცი ოქროსა კობანნი კაცნი თავი ადგნენ. სამნი მათნი უფროსნი კაცნი ოქროსა სელემითა დიდსა კარავსა შიგან სხდეს. ერთი შუა კაცად იყო, მეორე ახალწერბიანი და მესამე უწყვილო. მათ უმუწიერესი არა ინახებოდა. ჯაჭვები ტანსა ეცვათ და მუზარადები მუხლთა ზედან ეწყობთ. ცხენსა და კაცსა ყველასა ჯაჭვები ემოსათ. ათი ბუნბერაზი იქით და ათი აქეთ უსხდათ. მიიყვინეს ესე კაცი და მათთვის თაყვანი აუკინეს. რა მან კაცმა თავისისა პატრონისა ანბავი უანბო და დაასრულა, დიდა გაოცანეს და ეგრე თქვეს: ჩვენ არცა დილაო დამარცხა ხაზართი არცა თუ ანბათ გვასმია, არცა მაგისი მამა და არცა ჯიმშერ არა გაგვიკონიანო, და ჩვენი ანბავი ყოველსა ქვეყანასა ასწავო. შიშითა ჩვენითა შეძრწუნებულნი არის ყოველი ქვეყანაო. თუ მაგისთანა კაცი იყო, უნდა ჩვენს კარხელა მოსულიყო და ჩვენცა მისსა საფერსა პატრესა უზემდიდით. მისართმევსა მივართმევდით, თუ უნდა თვითონ დაგვიბრა, თუ უნდა ნათთვის მიეცა. ვინათგან თავისა მამისა და პაპისა სახელი უთქვამს და თავისი თავი აუმაღლებდა, ქარავენსა საქონლისა სულ მიცენა უთქვამს, მკვახე საუბარო, ვეკობ ჩვენსა ხილვისა ზედა შეინაროს. ეგვცა მაგა ქარავენისა მგზავსათ შეიქნას.

გამობრუნდეს იგი კაცი და ესე ანბავი მოართვა. შეკაზმული იყო და შუბი აიღო, მუზარადი დაირქვა, ცხენსა შეჯდა. ერთსა სხვასა კაცსა უბძანა: წადე, მათ კაცთა უფროსსა

ნახე და უთხარ: რა ესე მკეახე საუბარი ვითაქვამსთ, დაემზადენით, ყოველი კაცი ცხენს შესხედით და ნახავთ, ჩემგან თქვენზედა რა მოიწვევისო. მან კაცმან ეგრე მოახსენა: ჩვენ იმათი ომი არ ძალგვიც, ისინი თორმეტათასნი არიან, სრულ ჯაჭვითა შემოსილნი. ამასა ბძანებ, ყველასა პირსა ცეცხლი მოსცივებათო, იგი სამნი ჰბაბუქნი ეგეთნი არიან, უკუთენსა არსად მინახავანო. ეგრე უბძანა ჯიმშერ: მუნ გვშინიან, შეშინებულნი ხარო. რა ესე კაცი გავიდა, მათთა კარგუთა თანა მივიდა, ესე შეთვლილობა ყოველივე უანბო. მათ არად გაიკვირეს და ეგრე არქვეს: რევვენი ვინმე ყოფილაო. ვითა გავიდა ჯიმშერ, ჩვენც შორს მივდევდით. შეუტრია გამწყარალმა და მრავალი კაცი და ცხენი მიწასა დასცა და აითორაქა. ლაშქარი არაბთა აეროენეს ერთმანერთში. მას დღესა ბებურცა მრავალი კაცი მოკლა. რა შეიტყვეს მათ არაბთა ბუნებრაზთა, კაცი გაუგზანეს: მაგა კაცთა დახოცა რა ჰბაბუქობა გგონია, თუ კაცი ხარ, ჩვენზედ მოხვალო. ჯიმშერ ცხენი მოქუსლა, მათ კარავთა სახელსა მოვიდა. უფროსმა ძმამან ცხენი ითხოვა, საომრად გამოემართა. საშუ-
აღმა და უმცროსმა მოახსენეს: აცალე, ჩვენცა შევსხედთ, თორემ მარტოსა შენ მაგინი ომი არ შეგიძლიაო. მან ეგრე უთხარა: იგიცა ერთი კაცი არის და მეცაო, რაცა განგებანა გაუგია, იგი იქნასო. შეჯდა და მიუხდა. ჰკრა კინენი, ჯიმშერ აიღო და ქვეყანასა დასცა და მუნვე მოკლა. რა მეორე მოვიდა, ხმალი ამოიწვიდა, ჰკრა და შუა გაკვეთა, იგიცა მუნვე დაეცა. მას მესამესა ძმასა უწვერულსა ხელი მიჰყო და ზე აიღო, ხანამდისინ ხელთ ეჭირა, მერმე ჩვენ მოგვაბარა, მკლავნი შეუქართო. ამაზედან შესხედენ ლაშქარ-
ნიცა, შეუტრია და შეება. ჩვენცა შევიბენით, რაცა ძალ გვედია, მაგრამ მასთან კაცი რას გააოჩნდებოდა? ცხენსა და კაცსა აიღებდის და სხვათა შესტყორცნიდის. რა ესეთი ომი მოინახე, გაიქცა სრულად ლაშქარი. გარდახდა ჯიმშერ მათსა კარავსა შინა. გამოვიდეს იგი მოქარავენნი. რაც მათ იჩემეს, ყველა უბოძა და არაბთაცა მრავალი უბოძა. მოიყ-
ვანა იგი უწვერო ჰბაბუქა, ძმა მათი, იგი დანარჩომი ლაშქარი და კარაენი სულ მას უბოძა და ეგრე არქვა: მუნაქარმა ღეთისამა, მე შენთა ძმთა დახოცა არა მდომი, განა თვით მოიკლეს თავი, რომელ ჩემი სიტყვა არა ისმინესა. დაეარდა, მუხლს[ა] აკოცა და ესრეთ გაისტუმრა მომადლებული. ვითა წამოვედით, დღესა ერთსა ჰკითხა მას ქარავანთ უბუტყესსა კაცსა, ზავრად ერქვა, უბძანა ჯიმშერ: ზავრად, მეფე თქვენი ვან არის, ანუ საღაურნი ხართო. მოახსენა: მაღალიო ხელმწიფეთუო, უსწორო გოლიათო, მეფესა ჩენსა თერთა ჩდილოთ სახელ ედების, დიდი ხელმწიფე არის, ზღვათა და ხმელთა მპყრობელი—მქონე-
ბელი, ძე არა უვის, ერთი აჟული ჰყავს ელვისა მსგავსად მოციალე, შენნიერთა კველა და მხისაგან უბრწყინვალესი. ცოსა მნათობნი მისგან ბრწყინვალემა[ს]ა ითხოენ. მისნი ნათ-
ხაზნი თმანი ხატავეთისა მუქსა გულსა სისხლითა უესებენ, შენნიერთობთა მაჰმადიანთ სამოთხისა სძლებსა სპატიურობას ასწავლისა. რა ესეთი ქალსა ქება მოისმინა ჯიმშერ, გულშიგან მისსა მიჯნურობასა იდასტურებდა და, თუ სიტყვა, მისითა სიყვარულითა, ვითა უკამბ მახსა შიგან გაება, ეგრე თქვის გულსა მისა შინა, ვითა: თუ მცა ამისთანა ქალი ქვეყანათა ზედან არის, მისი უნახავან ჩემგან არა იქნებდისო. მათ კაცთა ესე ანბავი და-
დათაე დაუმაღლა და წყალბაცა უიმიდა. მათგანი ოცდა[ა]თი კაცი დაარჩივა და თანა წაიბრანა და სხვათა წყნარა სიარული უბძანა.

წარვედით მხარსა ჩდილოთ კერძსა. თუ რამ მეკობრე იყო, ჯიმშერისა შიშითა ყველა გარდახეწა. მრავალსა ადვილსა კარავთა წუვადქვეით ცეცხლსა მთებარესა. რა მივედით, ყოველიფერი სახპარი მუნ იყვის. კაცი აღარ იყვის, ანუ დაკოვლია, ანუ სნე-
ული იყვის. ვითხით, ზოგთა თქვიან, არაბნი ვიყავითო, ზოგთა თქვიან, თურქნი ვიყავითო. მოგვემა, დედარის ძე ჯიმშერ მოდისო და ყოველნი მეკობრენი გარდახეწენო. ჩვენ წასვლა ირ ძალგვიც და მისთვის დავრჩითო. ვლეთ ორი თვე სხვა. მივედით მდინარესა ერთსა თვალწოდამსა, რომელ იქითი ნაპირი ძლივა ჩნდა, ესეთი მღვრივე და მყარალი იყო, რომელ ერთსა მილიონსა კაცსა მისი სული სცემოდა, შებნეულდა სიმყარალითა. ჰკითხა მათ ჩდილოთა კაცთა: ესე რა მდინარე არისო მათ მოახსენეს: მაღალიო ხელმწიფე, ესე ჩდილოთა ხელმწიფისა მდინარე არის, უკეთესი ყოვლთა მდინარეთა, რომელსა

ედლი ეწოდების. ჩვენ შეიღი წელი არის წავსულვართ, მრავალჯერ კელავ¹ ყყოფილ-
ვართ და აქა ესე მდინარე ამისთანა არა გვიწახავს, არ უწყით, თუ აწე რისაგან არის.
დავლევით კვირ ერთი. ღონესა რასამე ვეძებდით. ვიხილეთ შუა გულსა მდინარისასა
ოცხი კაცი, ნავ-ტოკისაგან შრატებულთ, ჩაღმა ჩაქმანდა. შექენს ჩვენდამო ძახილი—
გვიშველეთო. ფალავანი ფარალაად ბძანდებოდა. ჩქარა გაბიდა, შეკურდა, მიეწია, ხელი
მოჰკრა და მოაბრუნა და იწყო უტურვა და დილიდამ მოკიდებულთ შუადღემით ნაპირს
გამოიტანა. პური ვაქამეთ, ლენო ვასეთ და შობრუნდენ. ვკითხეთ, ვითა: ეინ ხართ,
ანუ წყალმ ესე რატომ ასრე მღვრივე არისო. მათ მოახსენეს: ახელმწიფეთო, ესე ჩდი-
ლოთა მდინარე ედილი არის. ამა წყლისა სათავეზედანი, შეიღი წელიწადი არის, დევი გა-
მოჩნდა, წელიწადში ერთხელ ააზღვრეს² ამა წყალსა. ალარცა ნავი ისაქმებს და არცა
ნავ-ტოკი, ზეთი შექვეებიან და აგი დევი წაქსდენსო. ჩვენ მრავალი ამხანავი ერთად შე-
ვიყარებით. ვდევით ბადე და მრავალი დიდებილიანი თევზი დავიჭირეთ. ჩვენთა ამხანავთა
წყლისა ამღვრელთა შეიტყუეს. ჩვენ სიხარბემ არ დავაკვირვა. ისინი წავიდნენ, შორჩენ.
ჩვენ დავჩაით. ანასდათ გვეცა ზვირთ, თოკა გავვიწყვიტა. ალარცა სარეველი გაქონდა.
ოთხი დღე-ღანე არის თავდაღმა³ შორატებულთ მოვლივართ. წყალში ცურვა კარავთ ვიცით,
მაგრამ დევის სიმყრალით ფიცხლავ მოაშთობს კაცსა. თქვენ ერთი ვინე ღეთისაგან
საუარვლიანი⁴ ბძანდებით, თორემე მას გზობასა ცურვა ალარა იქნებისო. უბძანა ფალა-
ვანან: წამბეხით და მიმოყვანეთ ამს დღესა ზედანი.

წავგიძღვენ იგი კაცი. უბძანა, რაზომ გეამორავს იგი დღეისა სამყოფო. მოახსენეს:
ამა წყლისა სათავე ერთსა კლდესა შუა გაჰყოფს და ისრე განაოვლის. ქვაბი აქეს დიდი
და მას შიგან არისო. ღამე ჩამოვიარეთო, ვიარეთ მრავალი ავი გზა, ჩოლი და ტყიანი.
ქითბა მათ კაცთა: ახლა ხომ მივსწურვილეართო? მათ მოახსენეს: ორი ეგზომი გზა კიდევ
მივაო, უბძანა: წენაარმა ღეთისამა, თუმცა ჩემითა ეკლავთა დახსნილი არა იყენთ,
თავებსა დაგქრიდით. ჰკადრეს მათ კაცთა: პატრონო, დიდად გვეშინიან მის ბილწისა
წითლისა დღეისაგანო. ამაღამ და ხვალ უთუოდ მას ქებათან მივალთო. რა დღეა გათენ-
და, დიდი ჩალა გამოჩნდა. უბძანა: ესე ჩალა რა არისო? მოახსენეს მათ კაცთა: ფგვე
დღეისა სანადირო ჩალა არისო. ის წითელი რომ ჩანს, მისი ქვაბი არის. რნადირებს,
შევა. დეენი აბლავან⁵ მრავალნი. რა ჯიმშერ ესე გაფონა, გაჯაურდა. ჩვენ იქ დავე-
ყარნა. თვითონ ცხენს შეჯდა და წაიდა. დევის ჩალას ცეცხლი მოუდვა. რა ნახა დეენა,
ლახტი აიღო. ორთა სხვათა დევთა თანა ხლება უბძანა. დეენა რა თავისისა სანადიროსი
ისე გაძლიერებული ცეცხლა იხილა, იგინებოდა, თუ სიქეა, გულსა ცეცხლი ეგზებოდა.
თვალთ მიჭედა ქქონდა. ჯიმშერ სხვისა მხრითა გამოუჩნდა. რა შეხედა, თავსა ბრუ და-
ესხა ამისთვის, რომ შინს მსგავსი კაცი არას დროს თვალით არ გაეცადა. აგეთი განწა-
რებული მიუხდა, რა დაუახლოვდა, დეემან ლახტი შეუშალა. ჯიმშერ ჯირითი ჰკრა და
გული გაუხვრიტა და ზურგის ძალი მოსტება და იქით გაავლო. ჰკრა მანცა ლახტი, ცხე-
ნის გაეას მოუხედრა, და ცხენი და კაცი მიწასა ჰკრა ორნივე. ჯიმშერ შეკაბული
იყო. დევი შინისკენ წამოვიდა. თვალთა სისხლი მოსდიოდა და მუხლები ეცეცებოდა.
ფალავანმა თვალთა ხელმ უქუთელო, შეხედა—დევი წყნარად სადგომისაკენ მიეშურე-
ბოდა. მიეწია, ხმალი ჰკრა და მიწვე ჩაიყეცა. ფი ორნი დეენი, იმევე პირველსა ჯიმშერ-
ისა ხილვასა ზედან გაიქნეს. მივიდნენ, სხვათა მათ დღეთა უთხროს. რაჲცა დევი იყო,
მაშინვე გარდხივეწენს. ხელმწიფი⁶ შვილი წყნარად დღეისა სადგომისაკენ წავიდა. იქით
მისთა ლაშქართა დაინახეს. მოეგებნენ, ცხენისა ფერხთა ეხეოდეს, ქება შეასხეს და გა-
მარჯვებას ულოცედეს. შევედით მას ქვაბსა. ორმოკდაათი სახლი იყო, სულ ოქროთა
და ძვირფასითა ჯავაირითა საეყ იყო. მრავალი უცხო იარალი, ჯაჭვი და ჯავანნი იყო-
დაყავით ერთი კვირე და განვისვენეთ. ფი განძი მათ პირველთა თურქთა ლაშქართა უბო-
და. რომელიც უცხო ღარიბი თვალ-მარგალიტი იყო, ისინი ცოლისა მისატანათ დაარჩიეთ,
მათ შეთევზეთა კაცთაცა მრავალი უბოდა: უბძანა, ხმელეთითა სჯობს წასვლა თუ ზღვი-
თათო? მათ მოახსენეს: ხმელეთითა სჯობსო. უსმინეთ და წარყვდით ხმელეთითა. სადაც

1 ხელნაწერში: კულავ. 2 თავდაღმა. 3 საფარულიანი. 4 აბლავან.

მივიდოდით, მოეწონებოდათ, დიდსა პატრიუსა უყოუღეს. მო-ვინმე-ვიდეს კაცნი დიდებულ-თავანნი და ხელწიფითა შეიღმან ჩაილოთა ხელწიფითა ანბავი ჰკითხა. მათ მოახსენეს: ესწროო კაბუკო, მიფე ჩენი მაღალი და ძლიერი ხელწიფე არის. ძე არა უფის. ერთი ასულე ჰყავს, დილისა ვარდისა მგზავსაღ ახლა აყვავებული, მზისა მგზავსად შევნიერი. მისი ბრწყინვალეობა ათხუთმეტისა დღისა შთოვარესა ემგზავსება, შავნი თვალნი—მღვინისა მორვესა, წარბი მშვილდისა ეგზავსად გახილული. რა კაცი ნახავს, ასეთი გულმაგარი კაცი ვითა ეგების, მასვე წაწსა არ დაბნდეს. ქალსა მანისა ტახტი თავისთვის უნდა, მეფესა—ძმანწვლისათვის. იგი ყმაწვილი ცხრას წლისა არის და მისთვის უნდა. მუდამ ბრძოლა და ომი არის. მოვლენ შეიღნი მეფეთანი მის ქალისა მათხოვარნი. ქალსა მას სახელად მუთა-მზე ჰქვინა. ციხე აქვს და ნრავალი გვირნი და გოლიათნი ბუნბერაზნი ჰყვინან. მოსულნი ქალის მათხოვარნი და ამისნი ბუნბერაზნი შეიბნან. ზოგსა მოჰკვლენ, ზოგსა გაატყვან და გაავადებენ. ვეფესა ესე არა უნდა, რომ ქალმა მისი ტახტი დაივიროს და იგი ძმან-წული მისი ან მოკლან ან გაავადონ. რა მან კაცმან ესე უნდაო, დიდად დაუმაღლა, კარგი შესაწოსელი უბოძა. ჰკადრა მან კაცმან: უსწორო კაბუკო, შენი მგზავსი არცა ვინ მოსულა და არცა ვინ მოვალსო. მას დიდებულსა კაცსა დესამოსონ ერქვა, უბძანა: წაბძელ და წამიყვანე შენსა ხელწიფესა თანაო.

წარგიძღვა იგი კაცი. სადაც მივიდოდით, წინ მოგვეგებოდენ. წარვიდა დესამოსონ წინა და მოეხსენებინა ჩენი ანბავი. გამოგვაგება წინა ძმანწული თვისი, რომელ მის უფროსი არა ინახებოდა. რა. გარდახდა იგი ყმა ცხენიდაში, აქეთ ჯიშერ გარდახდა, ნოვხვიენენ ერთმანერთსა, დაჰკადრა ვითა ძმა საყვარელი, მან ხელსა აკოცა. მერამე დადებულნი ნოვხვიენ და ხელწიფის მოხელენი, თავიანთსა და წაგიძღვენ. წაგიძღვენს, ძალატსა მეფისასა დაგვაყენეს. მოიღეს სანუკუარი სასმელ-საქმელი და მგოსანნი. იგი დღე და ღამე ღვინითა გაათენეს. შერკესა დღესა ჯიშერ და ნახა დიდი იგი მეფე ჩდილოთა ხაყან ამირი, მოეგება წინა, მოვხვიეა, ხელი მოჰკადა და აიყვანა. მას დღესა იღირ გაროუშვა. ნადიმი დარდეს და დიდათ მოეწონათ ყოველთა ჯიშერ. და შოართის მრავლისა შესაწოსელი და მოსართმევი. შერკესა დღესა გუგზან ასულსა თვისსა ნუხთანესა, ვითა: შეილო, ევაქება შენთვის ქმარსა ყოველთა გმირთა და ფალავანთა უკეთესსა და, ამა, რომელ ვიპოვენი. არა არის კაბუკი ამისებრი, არცა გვარითა და არცა გოლიათობითა. და ესე უსწორო ხელწიფი[ს] შეილი. ჯიშერ შეირთეო. რა ქალმან ესე შეთვლილობა მოსმინა, დაუძმინდა ძნელად და ატირდა დღად და ეგრე მოახსენა ხელწიფესა, მამასა მისსა, და დედასა დედოფალსა: რა დაუბადებულვარ, ასე მოწყალენი ბძანებულსართ, ჩემსა ნებასა ზედა გიმყოფებოვარ. თუ ვინაჲ ასეთი კაცი იქნების, რომელ ტახტსა თქვენსა ეპატრონების, არცა ომი მინდა და არცა გამოკლეს. და თუ სხვან განმათხოვბო, ასეთი კაბუკი რომე იყოს, სპილასა მუშტითა მოჰკვლევდეს, თვალთა მზესა სჯობდეს, გულთა ღვინსა და ტანთა კვიპაროხსა, მე იმას უომრათ და უძალოთ თან არა გაყევი. თუ ჩემთა ფალავანთა ყველასა აჯობებს და ციხესა აიღებს, მაშინ სადაც უნდა წამიყვანესაო, ქმარი იქნებისო, თუ უნდა წამიყვანოს, თუ უნდა დამატყვევოსო. რა მეფემან მოსმინა, ჯიშერს შემოუთვალა: ღმერთმან იცის, მე შენი გამოკლა არ მინდოდა. თუ ჩემსა ასულსა შეირთავ, მეშვილები და ჩემსა ძმანწულსა კეთილსა უყოფ. მე შენი ომი აღარ მინდა, ქალი მომიცეპიაო. თუ არა, მეციხოვნათა კაბუკთა ომი აჩვენე, მათ აჯობე, ციხე იიღე და ქალა, სკა გინდა, წაყვანიეო. რა ესე შემოთვალა დესამოსონ, მოილო და მოახსენა, ჯიშერს ესე შეუთვალა: აღიღო ხელწიფევი, პირველ მადრაელი ვარ ამით, რომელ ჩემთვის ესდენი წყალობა, თქვენისა ტახტისა ბოძება გებძანათ, ღმერთმან ათას წელ ამყოფოს ნებასა თქვენსა ზედა მეუბოა თქვინი. ქალსა თავისი ქვეყანა არ გაწირას და მე ჩემი ჰყვანა გაეწირო. უომრათ შერთული თავის ტახტზე მჯდომი ქალი ქმრისა დიდად მაყუდრებელი იქნება და არცა უომრათ ჩემგან ცოლისა შერთვა იქნება. თუ ათასიცა კაბუკი გყავთ, თუ ყველასა არა შემაბმი, თუცა თქვენ შემრთვიდეთ, მე არცა ეგრე შევირთო. რა შეთვლილობა მეფესა ესმა, მოაწონა და შერკესა დღესა დაქაყენეს

ომი. და მეორესა დღესა მოჰკახშეს მოედანი, მოვიდეს მკერეტელნი. ავიდეს მეფე და დედოფალი მალალთა ბანთა ზედა. დაისხეს დიდებულნი მათნი, მოდგეს მოქალაქენი და წამოდგეს ზეჲან ვებუე-მედამდაბენი, ზმა იყო. აქეთ შეეკახნა ჯიმშერა, დევთა მეუხისა ჯაჭვი და ზუქი შეიმოსა. მისი ოცდახუთთიანი ლახტი წელში ჩაირჭვა, ცხენი და კაცო ესრეთ შეიჭურა, შავსა რკინისა მთასა გვანდა. თქვეს ყოველთა, არა არის კაბუეი ამისებრი პირისა ყოვლისა ქვეყანისასაო. აქეთ გამოვიდა. ქალსა ერთი ბუმბერაზი ჰქუანდა, სახელად ქეთარ ერქვა. ბძანება იმისა ჰქონდა: რა ძეონარი მივიდის, ყველას უწინ ის განვიდის. ესრეთ წამოვიდა ესე ქეთარ, ვითა ჩალმართსა შიგან ღვრი. შუბი გამოწონა ცხენის ყურთა და ჯიმშერს ნოპართა სწრაფით. ჯიმშერ არად გაიკვირვა და არცა თავსა შეიღწა. ვითა მოახლოვდა და შუბი მოუტანა, ჯინშერს შათრაზი დაუკრა და შუბი ორით გაუტრება. მიჰყო ხელი. უნაგირისაგან მოძახდა და დიღანს ხელთ დაიჭირა. ეხვეწებოდა ქუე არა: ნუ მომყოლო და წყნარად მიწაზე დასვა. ჯიმშერ მემათახე უხმო, ოქროთ შეკახმული ცხენი მოუყვანინა და მიზნდა შესვა და ეგრე უთხრა, თუ გმარჯვია, ჩემთან წამოდი და თუ [არა] გმარჯვია, ციხეში წაეღო. ქეთარ ხელსა აკოცა და ციხეში წაიდა. და მოწონათ ყოველთა ჯინშერის ომი და სადგომს ნობძანდა ჯიმშერ. მას ღამესა განვიცხვენეთ. რა მეორე დილა გათენდა, წარმოდგნენ ხელმწიფე და დიდებულნი და მკერეტელნი მასვე წესითა და ვებუე-მედამდაბენი, და ზმა იყო მათ შიგან. სხვა გამოვიდა ბუნტერაზი, რომელსა ერქვა ათამანი. აქეთ გავიდის ჯიმშერ ნეჭურელი. არა გვანდეს იგი წინა ფაღვანი ამასა. შემოუვლეს ნაყარდი ერთმანერთსა. უკრა ცხენსა ხალო ჯიმშერ და თავი მოუყვითა. ვითა ჩამოეკრებოდა ათამანი, ხელი მიჰყო ჯიმშერ. ვითა ცოტასა ყმასა, ორევე ხელნი ერთისა ხელითა დაუქირნა და ეგრე უბძანა: რათ ირჯებოდნო. ოქროთ შეკახმული ცხენი უბოძა და გაისტუმრა. ხელს აკოცა და წაიდა.

მესამესა დღესა წამოდგეს მკერეტელნი მითვე წესითა. აქეთ განვიდა ჯიმშერ შეჭურვილი და გამოვიდნენ ორნი—ათაქში და ბარამან. ბარამან მალულსა დაუდგა, ათაქშიმ შენოტრეია. ვითა მოახლოვდა, აქეთ ჯიმშერ შეუტრეია. გაექცა, შესტყორცნა ჯირითი და მისი ცხენი წამოჭრით ზედ ჯირითზე წამოაგო. აქეთ ბარამან გამოუხდა, ხმალი შეუმალდა, მიჰყო ხელი და ხელი შეუჰყრა, ხმალი გაავდებინა. შეირკინენ ცხენზედ. ფაღვანი გაგულისდა, მკლავსა მოსწივა, ცხენი ქვეშ გასძვრა, ციხისკენ წაიდა, ბარამან მიწაზე დასცა. მეორე ხმალი ეკიდა ბარამანს. იგიცა ამოწორდა და ცეპაში განრღებოდა. უბძანა ჯიმშერ: ზენაქარა ღეთანანა, შენი სიკელილი არ ძინდა, თორემ მუშტოთაც მოგკლევდი და შათრაზითაცაო, აწე ამოდ იყენითო. მემთრახნეს ორი ოქროთ შეკახმული ცხენი მოახსნეინა, ორნივე ზედ შესხა. და ბარანს მუხლს აკოცა კაცს შენასთანა პატრონი უნდა ჰყუადნესო. ესე ბარამ ჯინშერთან დადგა და ათაქში ციხეში წაიდა. ბძანა ჩლიროთა მეფემან: ამისი სახელა ჯიმშერ არ უნდა იყოს, არმოკლა კაბუეი უნდა იყოსო და მუნიცა უწოდდენ სახელად აზმოკლასა. ვითა მეოთხესა დღესა—გარიგდენ მკერეტელნი და წამოდგეს ზედა ვებუე-მედამდაბენი. გამოვიდა იგი არმოკლა კაბუეი. ერთი ბუმბერაზი გამოვიდა, სახნი თუ-მე მალულსა დაუდგეს. შეუტრეია არმოკლამ, ცხენს შუბი უკრა და ცხენი დაეცა. სახნი მალულთა გამოვიდნენ. შემოუტრეეს ორთა, ერთი ხელი ერთსა ჩაეღო, მეორე-მეორესა: ორნივე ზე აიღო, მიწაზე დასცა. რა მეოთხემ ესე მოინახა, გაიქცა, შესტყორცა ჯირითი. ცხენი დაეცა. კაცი მორჩა, ოთხივე ასე ჩამოყარნა. ოთხი ოქროთ შეკახმული ცხენი მოუყვანინა, შესხა და გაისტურნა შემოვიდა გამარჯვებული. მერამე მეფესა გამოეცხა შესამოსელი და საბოძიარი კვეკდა. მას ღამესა ქალსა იგი მხვევალთ უფროსი გამოეგხანა. არმოკლა კაბუეისათვისა ესრეთ შემოეთვალა: აწე ვცი, არა არის კაბუეი შენებრივ პირსა ყოვლისა ქვეყანისასაო. და მეცა ევთიო ქმაო ძინდა, ვითარი შენა ხარ, და გასრულებულ არს კაბუეობა შენი ყოველთა. ერთი ესე ქენ: აქა სიძარჯვესა კუნძულსა ზღვისასა ვეშაბი არის დიდი და ჩვენ კერძო მომპალთა ქარავანთა მგზავრთა ახდენსო. ნავი მოგივა და ბელადი, ჩაეკე მას შიგან და იგი მოკალ. მაშინ ვალანამცა ბძანებანი შენნი იღვასრულნე. მიუგო არმოკლამ ქალთა უფროსსა:

ამეგვიერ ეგრე ჰყადრე მზესა მას უბინდოსა, სიციკლსისა ნოკვემელსა, რადგან თქვენ სამსახური მიბძანე, ვაღანამცა აღრე ვყო. მას მხვევალთ უფროსსა ეზდენი თვალი და ნარკვალური მიაართვა, წაღება ემშინებოდა. დაეარდა, თაყვანისცა და წარვიდა. რაცა ქალსა ებძანა, თვისთა ლაშქართა და ცხაუკთა უანბო. ბარამ თათსა ხელა შემოიკრა, აგრე მოახსენია: თქვენ არა უწყითა—ქალსა ასრეთი თათისა მამისა ტახტისა წდომა აქეს, რომელ მუბთლოპასა არასა ინაღვლას. თავით ნუ წახელ, და თუ წახვიდე, მე წამიტანე. თუ მართალი იყოს მის ვეშაპისა ანბავი, შეეიტყობდა, ან ერთხელ მოვისმენდიო, კვლავ არავის ასმია და მუბთლობისა საქმე არისო. არპოკლი კაბუქმა ეგრე უბძანა: მადგას ნუ იტყვი, ჩანა ნბესა, წაუქლელობა არა ეგებდს, ერთხელ შეუთუალე და როგორ მოვატყურო. თუ შენ წავიტირო, დიაცისა მიზეზი არა იცი, ჩემსავე ფაღავანსა მოაკვლევინაო და აწ ნურა გაგვა ჩემიო.

რა გათენდა,—მას ქალაქსა დიდი მდინარე ჩამოურდა, რომელ ნავითა გავიდოდა კაცი ექვს ნილიონზედა, და დიდსა უკიანესა ზღეასა მიერთოდა,—ნავი ჩამოუტარეს, ორი ერთად მობმული, იარაღა მაშვიან ჩააწყო, ჩაჯდა და წავიდა. ამ ბარამ ორი ცხენი წაიღვანა და ზღეისა პირსა მივიდა. ნავში ათი მენავე იჯდა. ამ დღეს საღამომღი ზღეაში ატარეს. საღამოს დააკენეს ნავი. უბძანა, რათ დასდევითო. ჰყადრეს: პატრონო, ამას დაჰე აქ ვაქნებითო—რა დილა ვათენდეს, აქა სიმარჯვესა კუნძული ჩალა არის, იქ არის ივი ექნაპი, ზედ მიგაყვანთო. არპოკლა კაბუქსა მათი ნათქვამი მართალი ეგონა. პური ბძანა და გულწარალად დაიძინა. იარაღი სულ დაჰპარეს, ნავში ჩაიწვეს, ნავი გარდახნეს. მისსა ნავსა ზე ჰქანდა გამოწყობილი. იგი ხე გამოაძვრეს. ნავი წყლთ ითისო. ხელმწიფიფივილა რა ეს ნახა, გაკრთა, ტანისაშოსი თავს გარდაიხივა და თვით ტიტველი ზღეაში შეეურდა. ისივ მოსული მხარე დაესწავლა, მუნით წამოვიდა. აქეთ ეს ბარამ ბუნებარეხი დურბინითა წყალსა უჩაქრდა, ბარამ ნახა ზღეაში რალაქ რამ, კარგი მცურავი იყო. ტანთ ვახიხდა და ორავე ცხენები გაატიტველა და, შეწვენითა ღვთისათა, მას წყალში შეეურდა რა ორი ფარსანგი გველო, ნახა პატრონი თვისი არპოკლა. მკლავნი ზოღალოდეს, თუ სთქვა, გველი მთვარისა ჩანთქმასა ლაპოდა. შეუძახა: ხელმწიფი-მელო, ანა ცხენსა გარდაწვეო. რა ხმა იცნა, გათამამდა. მკლავნი ძრიელ მოუესა, ცხენს შეაბლტა. გამოუქტეა ბარამ. რა არპოკლა შეასვენა, ისევე ცურავა შექნა. საღამოს ნახორად გამოვიდა, ტანთ შემოსა, შესვა ცხენსა, ქალაქად წარიყვანა. ჰყადრა ბარამ: რადგან იმ ქალისა მუბთლობისაგან ღმერთმან გიხსნა, შენ ქალი არ დაგვლევია, მას ნულარ შეირთავი. ეგრე უბძანა: მაგა გვარსა ნუ შეტყვი, ჩემსა მზესა, სხვა რაცა გინდა ოურვეო. წასულეყვნენ იგი მენავენი, მიერთმავთ იგი იარაღი ქალისათვის, არპოკლასი სიკვდილი და მომთობა ეთქვათ--შექნილიყო ციხეში ბუკისა და დაბდაბის ცენა. მეფესა და შოქა-ლაქეთ შეეტყუათ. ყოველნი ქალისა მუბთლობასა იტყოდიან. აგეთი უსწორო. კაბუქი ვითა მრამათო, ან ღრედ-გვარობით არ შეიწყალა, ან კაბუქობითაო. მისთანა ყოველსა ექვეანასა არა იყო, ან თვალდობითა ცისკრისა უმჯობე იყო. მრავალსა აყიენებდეს ქალსა და უმარბავდეს. მეორესა დღესა არცა გაუშვით კაცი და არცა-რა ვთქვით.

მეანენსა დღესა აულეს მიბუქეთა და მკლავდაბეთა სული. შეიქნა ცენა და ტარცალი. მოქალაქენი იტყოდენ, თურე მათი დაწესებული ესრეთ ყოფილა: ცხედარსა საკრავითა გაიხტლავენ ბენო. რა მეფემან და დიდებულთა დაიდასტურეს, დღდათ ეწყინათ. ამასობაში გამოვიდა არპოკლა შეკახმელი. ვინცა დაინახა, ღმერთსა მადლი მისცეს. ქალმან რა ხანახანა, აგრე თქვა: მადლი ღმერთსა, რომელ ჩემის ხელთ იგი უსწორო კაბუქი ცოცხალი დარჩა. მეჩქე იხმო მეცობოენენი და უთხრა: თქვენცა იცით, იმა კაბუქზე რაც დანაწეული მე მაქეს. თქვენ ამას ცვაღენით, რომელ ესე ციხე ვერა აიღოს, თორემ ჩემს იმისი ხილვა არა ეგებდს. მათ ჰყადრეს: ამა მალლისა ხელმწიფისა ასულო, ჩვენ წენი საკარგავი ოქრო მიზთეს გვიქამია, ამა დღესა მოველოდით. ანუ, ღმერთო, ჩენი ყოფილნი და ანუ მისი სიკვდილი იყოსო. იგი პირველნი შეპყრობილნი კაბუქნი ვერასა იტყოდეს. მას დღესა განვიდა, ციხესა უარა, არაიენ გამოვიდა. შემოვიდა. ერთი ბურჯი

შეგვეკრა. მას ლაშქარს მათ დანარჩუნებულთა ქაბუკთა კაცი გამოეგზავნათ და შემოეთვალოთ: ჩვენ სიკეთე შენი გვახსონს, არა კარგია, ერთელ კაცმან კაცი შეიპყრას, ის კვლავთა მისად საომრად წავიდეს. ჩვენ ერთსა ბურჯსა წაუღებთ, თქვენცა მოდითა. დალასა შევაგაზმა საქვეითთა აბურჯითა. ქვეითად მოუხდა, ვითა ვეფხი, შვიდთაჲ იყურეს მათ ქაბუკთა არმოკლას თაჲი პატრონათ. შეექნათ ომი შვიდნი. ამან ბურჯისა თაჲსა საგდებელი შესტყორცა, ქვეითი ზედან გავიდა, ვითა ვეფხი. მოვიდენ და დაიწყეს ქვეს სროლა, განა ვერა აენეს. მის მუზარადისა ანაქლეტი მათვე ნოქალაქეთა ჰხოცდა. ზედა კისკასად გაიქრა. ვინცა ნახა, ყველა მიირიდა. მივიდა ნაჩიყალსა კარსა, ლახტი ჰკრა. რკინისა კარი შუა გაიჭეხა, შიგან შევიდა. ტახტსა ზედან ჯდა იგი ენათობი, ორმოცდათი მხევალი გარს უდგენენ. მიიქრა, ყბასა ხელი ამოსდეს და პირსა მზინასა აკოცა. ვერ უთხრა: ზენაარზა ღვთისაჲმ, რადგან ვეფხი შევნიერობა გაქვს, ასი ამღვინი კრძალვა გვართებდაო. დავერნა გულსა და შეიტკბო საყურად. მერმე დედოფალი აბაძანდა, ზე წანოჩქრა, წინ იხევება და ყელსა მოეხეხა. ივევ მიბძანდა, პირს აკოცა, ქება შეასხა და გამარჯვება მიულოცა, ჩამოიყვანეს. მასვე დღესა ქორწილი ქნეს. ერთი ყმა და ერთი ქალი მათდა, ღმერთო, არა ჯობნილა. ორმოცი დღე ესეთი ქორწილი და გაცენა იყო—დაშვრეს საღაროსა საქონლისა ზიდვითა. მერმე გამოეთხოვა და მოსცა ნეფემან კერული და უკერავი, დრაქანი, თვალი და მარგალიტი ხეთასი აქლენი, ათასი ოქრო, ორასი ოქროთ შევაზმელი ცხენი, ოთხასი ოქროს სარტულოსანი მონანი და მხევალნი, წარმოატანა თანა ლაშქარი ოცდაათათასი კაცი და ძმისწული თვისი და გაჰოჯენენ სამისა დღისა საყალსა მეფე და დედოფალი. მას ლაშქარსა თაჲსა ასულთანა იყენენ მეფე და დედოფალი. დილასა გაყრისათვის შექნა ქალმან ტირილი და ტიროდა დედაცა და ვერე ეღჳოდ: შეილო, ჩვენ ვართ სატირალნი მით, რომელ ურეოდ დავრჩით, თორემ შენ ასეცა მამაბუქმან წავიყვანა, ტირილი არა გმართებსო. დაბრუნდენ და არმოკლა ქაბუკი ღანაღდისინ თანა გარეგნა, გარეგნა და წამოვიდა.

ვიარეთ და მოვედით, სადა იგი დევი მოეკლა, ენაზეთ განძი ურიცხვი, რომელ ანგარიში არა შეიგებოდა. დაეყავით სამი დღე. აქიდეს მათ უწინდელთა ლაშქართა საქონელი და წაიღეს. ვლეთ და მოვედით მას აღვიღსა, სადა არააზნი დაებოცა. მცნოთ მოვედით, სადა იგი მხეცი მოეკლა. მოგვეგებნენ წინა თურქნი და შეექნათ დადი სიხარული. არა ეგრელა იყო, ესეთი შენობა შექნილიყო, უკუთესი აღარა ეგებოდა მოიწონეს ჩილოვლთა ქალაქი. ათსა დღესა ქორწილი და ღანა იყო. მუნით წავიდეს და იგი აბრაჰის ძმა ბებურ მახარობლათ გაგზანეს და მივიდა, როდენ დედოფალსა ახარა არმოკლის ანაბეი და მისგან ჩილოვლთა ხელმწიფისა ქალის მხეთაჲვე დედოფლის წამოყვანა მრავლის ქონებით. ზომისმეტად იმათ, და გაახარეს. შეიყარნეს ფალაიანი, ქარეს ბუქსა და ნალარასა და თეთი როდენ დედოფალი, მერაჲ და მოკლენ და ლაშქარნი წავიდენ მისაგებავათ. რა მიქეხსლენ, ჩამოხდენ და თაყვანისცეს, თაჲს ოქრო და გვარი გარდააყარეს. მობძანდა როდენ დედოფალი, შეილ მოეხევა და სიხარული ატირებდა, ეგრე არქვა არმოკლამ: მე დანაშაული ბევრი მაქვს, მაგრამ ჩემსა დანაშაულსა ჩილოვლთა მეფისა ასული, მხეთამხე, გარდაიხდისო.

შეიყარნენ დედოფლები ერთათ. აკოცა როდენ ქალმა მხეთამხესა და ზომის მეტათ მოეწონა. გარდააყარეს ერთმანერთს მრავალი ძვირუფასი გვარი. აგრევე მისელაზე ნოქალაქეთა გარდამოყარეს ოქრო და თვალი და მარგალიტი. სამოცი დღე ქორწილი იყო, რომელ კაცსა თვლისასა ეგვით არა უხილავს. მერმე გამოისტუმრეს იგი ჩილოვლთა მეფისა ძე. მიართვს მრავალი უცხო და ძვირუფასი საქონელი, სრულად მისდა ლაშქართა მისცეს ურიცხვი, და იგი თურქთა ქალაქი მას ბარამს მისცეს სამეფოდ. და იყვნენ სიხარულსა და შეებასა და ნადირობასა და განსვენებასა შინა. და მოვიდა იგი ბებურის ძმა, ხაზართა ჩეფისა ვეზირი, აბრაჰ. მზისა ქაბუკისა წიგნი ჰქონდა და ფეშქაშში, მოელოცა გამარჯვება და მრავალი უცხო გაეფიქრა. წარმოეცა იმა არმოკლა ქაბუკსა, და ეგრე შემოეთვალა მზესა ქაბუკსა: შენ უფრო ყმაწვილი კაცი ხარო და თუ შენ არ

წამოხვალ ჩემ სანახავათ და შენის დის სანახავათ, მე წამოვალ და გნახაო. აქმაზანდენ წასასვლელად უოელთა ფერითა, ჯარი დარჩეული ოცდაათი ათასი კაცი. იახლა დედოფლებმა ორნივე როდენ და მზეთამზე. აბრამ ხაზარეთის თავადი წინა უძღროდა. ვიარყო ორი თვე. რა მზეკაბუქისა სამეფოსა ხაზარეთსა მივიდით, ყოველი სული წინა მოგებოდნად, თავიანსა სცემდნად, ქებასა შეასხმდნად და სძღონობდნად შრავალსა. უბძანა არაოკლამ აბრაისა: აქედამ ხაზარეთი რამდენისა დღისა სავალი არისო. მოახსენა: ოცდაათსა დღესა მივალთო. ვითა ვლეთ ოცი დღე და ყოველი კაცი მოგებოდეს და ფერითა შევერდებოდეს და იტყოდენ დიდისა დილარისა შეილიშვილობასა. ვითა ვლეთ ხუთისა დღისა სავალი, ოცი მზეკაბუქი წინა მოეგება და თავადნი მისნი და ხაზართა მეფისა ასული და დედა მისისა კაბუქისა. ვითა აუჩინდათ ერთმანერთი, დაიწყეს მზეკაბუქა თავადთა და დიდებულთა. ამისნი იმას მიეგებოდენ და იმისნი ანას. თავიანსა სციან და ქება შეასანან. რა ერთმანერთი აუჩინდათ, პირველად არმოკლა კაბუქი გარდახდა და მეგრე მზეკაბუქ გარდახდა. მოუხვიენეს ერთმანერთსა, დაჰკოცნეს საყვარლად და ტკბილად, შესხდენ და წავიდნენ. მერმე დედოფალნი შეიყარნეს, მათთი გაანათლეს ქვეყანა და დიდად ტკბილად უალერესეს ერთმანერთსა და წავიდნენ. მერმე მივიდა არმოკლა ხვასრო ხაზართა მეფისა ასულსა თანა, მოეხვია, დაჰკოცნა და თავს უსასყიდლო გუარა გადააყარა და ჩიულოცა. გარდახდეს დიდსა კარაქსა შინა. მას ლამეია დაიდგეს ნადიმი და გაქციენეს სამსა დღესა და ლამესა. მასუან იყარნენ და წავიდნენ. ვითა მივიწურენთ ხაზარეთისა თავადსა ქალაქსა, დიდად მოგვეწონა, მისი ქება არ გათავებდნის. მივედით სახელწიფოსთა სახლსა უცხოსა და ვასაკვირვებელსა. მას ლამეია განისიხენეს ლხინითა, სმითა და შეტყვეითა. მეორესა დღესა უკეთესსა სახლსა გვაწვივეს და უკეთესი ნადიმი დაგვიდგეს. სამრათასი დიდებული კაცი იჯდა მას სახლსა. იყო მღერა და განცხრომა. უბოძა მზეკაბუქ ყოველთა შრავალი და დედოფალნიცა სძღონდნად ერთმანერთსა. წელიწადსა ერთსა ამა ესეთსა განსვენებასა¹, ძღნობასა და მართმევასა და ნადირობასა შინა იყენეს. მზემან კაბუქმან ეგრე თქვა: ომი, ღწერთო, მწადლან ახლისა ფალანხისა, მაგრამ წუთუ ბძანოს, წასაგებელი ვასლიდებიაო. არმოკლამც უბოძა ნიბათა ყაიბათა, ომი, ღწერთო, მწადლიან მზისა კაბუქისა, მაგრამ არა უწყვი, ვინ მზეკაბასო. სწაღვით ორთავე, მაგრამ ვერა შეეძრანენ ერთმანერთსა. მზემან კაბუქმან უბძანა აბრაისა: ჩენსა მზესა, უსასარ რამეო. ერთსა ხალიმსა ზედა ადგა აბრამ, ორნი ტიქანი აიღო, ერთი მზეკაბუქს ნიართო და ერთი არმოკლასა და მოახსენა: ლომო ლოთათაო, ესე ღწერიო შესვით და ბოლო იგივე არის და გაღანამცა ერთმანერთს უნდა შეტყვეო. გაიციხეს და ეგრე თქვეს: აბრამ დაკლებულსა არა იტყვის, ხაშს თუ რამეო. ღწნო წესეს და დაასკვეთს ონი ხვალისად. რა შეიტყვეს დედოფალთა, იწყეს ტირილად და აბრაის ვაუწყურენ, საგრამ უომრობა არა ეგბოდა.

მეორესა დღესა მოკაზნეს მოედანი უცხოთა შიშითა ფარჩითა. აბძანდენ დედოფალნი, ტიროდენ მწარედ და ეხვეწებოდენ ღწერთსა მათისა მშვიდობითი დარჩენისათვის. მოდგა ლაშქარი, გამოვიდნენ მოკალაქენი, წამოდგეს ზედა მებუქე-მედაბდაბენი ორგნიოვე და ზმა იყო, და ლაშქართა შიგან უმძიმვით ყოველთა მით, რომელ ნუ თუ მოკედეს რომელინეო, ანუ ერთი იჯობნოს და გულკლებული შეიქნასო. გავიდეს ორნივე შიშით შეჯამულნი და გაიტანეს ორმოც-ორმოცი ტაქტი. მას დღესა მშვიდობითა იბრძოდეს. მოკლა ორმოცეო მსაქმან კაბუქმან და არმოკლამ ოცდაათი. დარჩა ჯობნა მას დღესა მზეკაბუქისა. მას დღესა განისიხენეს და მეორესა დღესა გავიდდეს მჭერეტელნი მათვე წესითა. სამოცი ტაქტი სსეკაბუქმან გაიტანა და სამოცი არმოკლამ. მას დღესა მოკლა სამოცივე არმოკლამ² და ორმოცდაათი მოუკლა მზეკაბუქი. დარჩა ჯობნა არმოკლასა და მას ლამესა თავიანთიანად განისიხენეს. შეიქნა ცილება, ზოგნი მას ამჯობინებენ და ზოგნი მას. რადისა ევაძლებდენ, სანამ ოთხისი ტაქტი დედოფლადთ, ხან იმან აჯობის და ხან იმან. ნადიმსა ზედა სასიტყველი შეიქნა და გაფიცდეს ორნივე და დაასკვენს ომი ფიტყელი და წარვიდნენ თავის-თავისად. ვითა გათენდა, გამოვიდეს მჭერეტელნი, წამოდგეს

¹ დედანნი: +ერთისა. ² აღწერის ზოგჯერ: არმოკლამა, არმოკლასა.

მებუყე-მედაბდაბენი. გამოვიდა მუქაბუყ, თეთრსა ტაიქსა იჯდა. დაეკიდნეს შალ-
ტიყნი რკინანი სატიყვიართ ადგილთა. ესრეთ მუქადილი იყო რკინითა, შავს რკინის
დიდს მთას ემგზავსებოდა. სამნი პირბასრი ხმალნი დაეკიდნეს. აქეთ გამოვიდა არმოკ-
ლა კაბუყი, რახსსა ცხენსა იჯდა. მისნი ჯირითნი ცხენზედა ჰქონდა, დევთა მეფისა
ლაბტი წელთა ეყრთა, მისივე მუზარადი თავსა ეჯდა. ეუშპის კანის საგდებელნი საღრი-
ტალსა ევიდა. შექნეს მოსთავე დედოფალთა ხმამალთა ტირილი და შევიქნა ლაშქარაა
შიგან შერწებება. და არმოკლასაც სამნი ხმალნი დაეკიდნეს, მათ უშეგნირესი აღარა
ინახებოდა-რა. შემოუვლეს ერთმანერთსა, შეუხანნეს საწინელითა რათავე ხმითა და
შუტიყეს. პირველად შუბები შეაღწეეს ერთმანერთსა და მერვე ხლები დაიწოდეს და
გარდაღწეეს ერთმანერთსა. მერვე ხელდახელ არკინნეს. ძვერება ნათე ვანდა ორთა
დიდთა კლდეთა ჯახებასა და აბჯართა ზედან ცემა გვანდა ცესა ქებასა. ციცილი იყო
და ლაშქრისა და მკერცტელთა ზრუნვა. იბრძოლეს სამბრძენს. მუქაბუყს მშვიდ-
ისარი თანა ჰქონდა. განიღო ისარი, უკრა ცხენისა შებლსა. საშუღელ გაწვეთა და
კულში გაავლო. ცხენი ათრთოლდა, ფლაფანი შორ გარდაბტა, სხვა ცხენი მოართევს.
შეჯდა, მასცა ისარი უკრა, ფერდა ჯაჭუ გაუტება და შიგან გაავლო ვითა სამოსელსა,
იგიცა დაეცა. კიდევ ფლაფანი გარდაბტა, შეჯდა სხუაქა ცხენსა. ნაცა ესარი უკრა
ვერდას, ფთამდისი დასო. ვითა ათრთოლდა ცხენი, გადგრა და ჯირითა შხსტყორცნა,
ცხენის ბეჭს მოუხვედრა, ორივე ბეჭები დაუმტერივა. სიმჯერ გარდაგორდა და წაიქცა.
ორნივე ქვეითნი მიუხდენ ერთმანერთსა, ხანამდისი ირკინნეს და ვერა ქნეს-რა. მერვე
ცხენებზე გასდეს ორნივე. გაიჯანა ცხენი მზემან კაბუყან და ცკრე შეჭვიოდა, ვითა:
გამიფთხილდი ანალო ჯომარდო, უსწოროვ ფლაფანი! ესე ზემი ლაბტი, რომელ
ბესთანისა მთასა დაეკრა, ვეჭობ იგიცა დავამტერიო. შუტიყია გულმყოვრად. არმოკ-
ლამ თავზე ფარი დაიხურა. დაქრა ფარსა და, თაემან თქვენმან და ზენაარმან ღვთი-
სამან, მეხის ქუხსაგან უფრო საწინელი ხმა გამოვიდა. გაუყვირდა ყოველსა დამადე-
ბულსა. ფარი ზედ დაამსტერია და იგი მიქცეაში გაუტებელი დევთა შეფსა ნაქონი
მუზარადი ასრე დაღწეა, ვითა ხაილი, სულ ჩამოცვივდა. ფლაფანს თაქცრუ დაესხა და
კინაღარ ჩამოვარდა. ხმა არა ამოიღო. იქით ცხენი გაიყვანა და საგდებელი აიქცა
ფარდაგანმა და ეგრე შეჭვიოდა: მრავალჯერ გაძარჯვებულთა სახელოვანო დაღაენო,
თარგად გამიფთხილდი. ესე ჩენი საგდებელი თუმცა არარატისა მთისა წვერსა გა-
ვადლო, მასცა წამოუქცეველსა არა გაუშეებო, ძირიან მოვლევო, მავრანე შენ კი არა
გადრებო და შენს ცხენს კი არ დავერდებო. შესტყორცა იგი ვეშპისა ტყაყისა საგდე-
ბელი და მზისა კაბუყისა თეთრსა ცხენსა თავსა გარდაყვარა და გამოხიდა. რა შეიტყო
მზემან კაბუყმან, რომელ წავეილებსო, გარდიჭრა ფისხლად და ცხენსა მთა დასტაცა
და მავრად შეუაყრა. მან ფეხი მავრა დაადგა ადგილსა ისე, რომელ ბიჯი¹ ვერა წაად-
გმევირა. მან ასეთი გამოზიდა, მას ცხენსა ასე სახმარაში ამოტყრა, კული მუქაბუყს
შერია ხელში და ცხენი ინასდათ თავის შეწითარებებთან მიიტანა. მერვე ჩამოცვივდენ
ოთხნივე დედოფილნი მუქაბუყისანი, არმოკლეს მოებეივნენ მუხლსა და არმოკლასანი—
მუქაბუყსა, ტირილითა და ცრვლის ცხელის ღვრითა [უთხრეს], ვითა: ერთმანერთსა ჩად
დხოსოტ, ლმერთსა ორნივე კარგნი დაუხადებინართო; უსმინეს და გიყარნეს. იმა დღე
ცალკ-ცალკე განისვენეს, მერვე უხმო მუქაბუყ ყოველს დიდებულს, ნადირი დაიქცა
ნადიმზე ადგი არმოკლა; ხელს უნდა ეკონა, ყველას უთარა: მუქაბუყმა მაჯობაო, მუქ-
აბუყ ირც ხელს აკონინდა და [ეგრე თქვა], ირც მე იმხსთისნი მოკლნიაო. არმოკლამ უთარა
არ განსოთო სანი ცხენი ასე მამიკალ, იარაღ არ მხმარებნიო? მუქაბუყ ეგრე უთარა:
ჩემი თოვლის მგზავსი შეწერიერ ტახტი დე მე ორნივე მოგვიტაცეთ. უთარა არმოკლამ:
დედთ ხელმწიფისა მოკლებული მუზარადი და ფარხ თავსა დამალეწეო. მანცა უთარა:
ხემი ცხენი კულმოჭრილი შემამთარახესთან მიიტანე, ზენაარმა ღვთისამა, მე შენზე მეტი არა

¹ ხელდაწერა: ბიჭი.

მიქნა-რა და არცა ჯობნასა ვისმე დავაძახებინებო. აკოცეს ერთმანერთსა პირსა. და ყოველი ლაშქარი და მოქალაქენი ორთავე სწორად რტყოდინ.

და მოახსენა რაიზნობადაჲ ამირანს და სეფედაელას: ესე რაცა მოგახსენე, აბრამის ძმა ბებურ ჯიმშერთან იყო და ეს აბრამ ვეზირი მზეკაბუტთან იყო და რაც საქმე მოუხდებოდა გვიყვარს, ყველას აბრამს მოსწერდა და მზეკაბუტს მოხსენებდობდა და შევიტყობდით. ჯიმშერს ხაზარეთი ორათ, დილარისა წილი ნახევარი არმოგლკა კაბუტს მისცა და ნახევარი მზემან კაბუტმან დაიპირა. და ესე იყო უკლებლად მზისა კაბუტისა და დილარ ხელმწიფის შეილის ანბავიო. რაიზნობადაჲ ამირან და სეფედაელა ორთავე ტანსა შემოსეს და სხეც მრავალი უბოძეს. მერმე დაპატრეა ამირანს სეფედაელამ და წაგვიყვანა ნისსა დარქისპან შაირსა. დავეყვით წელიწადი ერთი. განსვენებისა, ნადირობისა და შეობისა რიცხვი არა იყო. წელიწადს უკან წამოვედით მხიარულნი და მრავლის შუბით აღსავსენი მოვედით ბაღდადას.

აჲ დასრულდა კარი დილარის შეილიშვილის ჯიმშერ ხაზართა მეფისა ძისა, მზისა კაბუტისა, და ნუსკა დაესრულების სუფევა მეფობისა თქვენისა უკუნითი უკუნისამდე და აღსასრულამდენ, ამინ.

ჯიჲი ხელმწიფის ზვილის გუკამენია ანაბავი

ისმინდენ, მეფეთ-მეფეთ, ცხონდი უკუნისამდე! აღიდნეს ღმერთთან მოყვარენი თქვენნი და არცხვინწეს ორგულთა თქვენთა!

ბანა ამირან დარეჯანის-ძეჲნ ველად გასელა და მუნ კეჲანთა შექცევა. და მე მქიბძანა: ეგმსა მზესა, შერანე-მპირღების, გეალე, ველად განვიდეთო. დავიწყებით კაზმა და განედილო. ვითა მივიწურენით ველსა რასამე მშენიერსა, ენახეთ კაცი ერთი მშენიერი და საკაბუტოდ შექმნილი და დიდად სათვალო. ორნი ლომნი შეეპყრნეს და წეპყრობილი მოაჯღანდა. ჩვენ გაგვიკვარდა და კიდეც გა-ცა-გვეხარნეს ეგეთის კარგის კაბუტის ნახვა. საკვირველი კაცი იყო და შორით ზრახვად დაედგით. მერმე რა გენახა მან კაცმან, მოღმართ უბნობა დაგვიწყო! და გუარქვა: თქვე უბადლონ, განა ვინ მოგალორნაო, რომ ამა უკატურს ადვილს მოხვედითო. ლომნი იგი, რომელნი ხელთა ეპყრნეს, ჩვენ მოგვისივია. ერთი დაიხასა ხმითა რათმე საშინელია. მერმე უჩინარ იქმნა და ჯერეთ მისი ხმა ყურთა ჩემთა არის. მერმე მან, ლომებმა, შემოგვიტრევს. ოდესცა ენახეთ, დაიწყო ლაშქარმა მოდენა და მათ ლომებთა ყვირილი. მე დიდად მიმძიმდა და ამირანს, ღმერთო. არა ჰგაოდა-რა. მერმე მოეახსენე: ღმერთო, ძნელსა ფათერაქსა შიგა ვართ მეთქი. მერმე ჩიბძანა: რასა შენ იტყვი, იგი კაბუტთა ხელი არ არისო.

მიგვიქირდა ომი და არა მოხდა ლევა ლაშქართა. ეხოცდით მრავალსა, განა ვერა მოერეულეთყვით. ყვიროდენ იგი ლომნი დ[ა] მოდიოდა ლაშქარი. მერმე მიბძანა: მივედ, სავარსიმიძიო, ლომებზედაო და ლაშქარნი მე შეგაკაზნნეთო. მე ეგრე მოეახსენე: ლაშქარზედ მე მიიშვენე, თუარა ლომებისა ადვილია მეთქი. ოდეს¹ ენახე, ამირან ჩემთანა იღარ იყო და მას ომსა შიგან მოსრულიყო იგივე კაცი, რომელი გაგვექცა და უჩინარ იქნა, და მას სხვა კაცი მოჰყოლოდა ესეთი, ვითა მთა. ეზომ დიდი კაცი, ღმერთო, დღეთა ჩემთა შიგან არაოდეს მინახავს. იგი ლომნი და რგი კაცნი მას მარტოსა ებრძოდეს და მე ლაშქარსა ოდენ ვებძოდი. და წესი იყვის დარეჯანის-ძისა, რა მისპირდეს, დაიძახეს: აბა, ლომო-ლომითაო. როდესაც დაიძახა, ჩაიხიდა მას კაცსა, რომელი მოსრულიყო და მას მეორესა პირსა ჰქრა. ორნივე გალანამყო დახოცნა. მერმე მას ლომებს მიუხდა და ომი ძლიერი და უფიცესი ყოველთა ომთასა ჩუნ იყო, რომ დღეთა ჩემთა შიგან არაოდეს მინახავან საკვირველნი ობნი ეგეთნი და არც სპა და ლაშქარი. თურე რგი ლომნი ყვიროდნენ და არა გასწყდა ნოსელა ლაშქართა. მაშინ ომ-, ღმერთო, არა გვიმძიმდა, განა საომარის იარაღით უკაზმავნი ვიყუენით და მისთვის გვიმძიმდა. მერმე მისწყდა ამირან, მას ერთსა ლომსა ყა-ა შეუპყრა და მეორეს— ჯეზი, და მასოღმა მით ხოცდა

¹ ხელნაწერში: rep. ² ოდესთ.

ლაშქ[ა]რთა. ვირემდის ლომნი ცოცხალნი იყვნენ, მანამდის ლაშქარნი არ გასწყდნენ. და რა იგი ლომნი დაიხოცნენ, ლაშქარიც უჩინარ იქმნა. და იგიც უჩინარ იქნა, რომელიც გვეხოცა. ჩვენც შევიცვენით და გვიკვირდა საქმე იგი ომისა ჩვენისა. ნიძბანა: სავარსიმიძეო, მოკვირს, განა რა უნდა იყოსო. მე მოვახსენე: მიკვირს, თქვენმა ნებმან, განა არა ვიცი რა იყო მეთქი. და ამა გაკვირებამსა და ზრახვასა შიგა ვართ.

ვნახეთ კაცი ერთი მშვენიერი და მხცე შერეული. კარნაცსა ჯორსა უჯდა და მურინველი უჯდა ხელთა. და მას მფრინველს საკვირველი თავი ქქონდა ორი და¹ პირიც ორი². ერთის პირით ცეცხლი სდიოდა და მეორით წყალს ადენდა ზოღზე. და ეგეთი თავი ქქონდა, ვითა კატისა. რა გენახა მან კაცმან, გარდახდა და თაყვანის სცა ამირანს და ეგრე უთხრა: ვაჟად, რომელ განხე ამირან დარჯუანის-ძეო, და დალოცა: კუროხელ არს ლმერთი, რომელ კაბუჯობითა შენითა მათ ემეათავან დარჩიო. ზოღვალი აუო კაც-თაგან მათი დახოცაო. განა შენ ვითარი კაბუჯი ხარ და ყმა ესე შენი სავარსიმიძე, უჯლა ადვილია თქვენთანაო. და კურთხეულ არს იგი ლმერთი, რომელმან მოკცა ეგეთი კაბუჯობაო. ჩვენც მას კაცს მადლი უთხარით და მამოხარონოც ვიყვენით. მერჲვე ვითობა მინ კაცმან: ებძანეთ და ჩენსას მოძმანდით, ნადიმი გარდავიხალოთა. ამირან უძბანა: სად არს, ძმაო, სახლი შენიო. მან კაცმა გერქვა: თქვენ ბრძანეთ და სახლქას ნუ იურვიო. და მიბრძანა: სავარსიმიძეო, აბა, გვალე ვიარებოდეთო. მე მოვახსენე: ემეურა არის და ფათერაკსა დაგვაპყრობს მეთქი, თორემ რატომა სახლის გზა არ გაგცვა მეთქი. მიძბანა: მაგას ნუ ზრუნავ, ჩემსა მზესა, გვალე წაფრდეთ, რა უნდა ქმნასო?

წაგიძღვა კაცი იგი და წავედით ჩვენცა. რა გავეწურნით, ფარსანგსა ერთსა, მივხედით ქვეყანასა ნშვენიერსა და უცხოსა, ეცნებოან-ხილქანსა და სუნღუნებით სესესსა. და მუნ სახლი იყვნეს ქეთიკორისანი შექმნილნი. დღეთა ჩემთა შიგან ეგეთი ნშვენიერი სახლი არაოდეს მინახავან. მერმელა გადახედიით და შევეციყანა—გავციკენა. მშერალნიც ვიყავით და კიდევ მოგვეშენოდა. მათ მრავალთა დღეთა პური არაოდეს გვექაპა. დაესხედით და დაეიდევით ნადიმი, ნადიმად, ლმერთო, ყმა იყო. და მას სახლის კედელსა შეუდან ეწერა კაბუჯი ერთი მშვენიერი და მას გუჯრლით აგრევე სხვა კაცი ეწერა და ზედან ეგრე ეწერა, ვითა: ანუ გურჯენ ჯიზიშვილი და ყმა ესე ჩემი ლამპალიძე. ოღეს ნაქორდან ხელნწიფის ქალის ყამარგუნის გამოსაყვანად მიუვლოდით, მაშინ ამა ალაგსა მოვედით. უქაშმაყსა ყასტარ მეთილისმე ზედან შემომხვდა და გრძნებით უჩინარ ეიქმენ. მერმელა ყმა ესე ჩემი ლამპალიძე ჩემად ძებნად წამოსრულიყო და იგიცა წახდა ძებნასა შუგან ჩემსა, და აწე გრძნებით დაქერილნი ჯილდაბარ ციხესა შუგან ვართ“,—ესრე ეწერა. რა მან ჩვენმა წინამძღომელმა კაცმა ლეინო შესვის, ატირდის, დალოცის გურჯენ, მის სახეს თაყვანისცის და მერმე დაჯდის. რა ესე ვნახეთ, გავკვიკვირდა და ვკითხეთ: ძმაო სოროზონ, რად სტირო ანუ ეგე კაცი შენნი რანი არანი და ანუ სადაურინიო? კვლავ ატირდა კაცი იგი სოროზონ და დაიწყო თქმა ამბასა ესე: აქატირონი ჩემი ჯიზიშვილი იყო დღეთა შიგან მიხდა გამარჯვებული და ყმა მისი ლამპალიძე, რომ ვერაოდეს დაუღვის მტერი წინა. რა ხუთისა წლესა შეიქნა, ესრე ხოცდა ლოქსა, ვითამც მართვეს რასამე მფრინველთქასა. ასრეთი კაბუჯი იყო, და აწე გრძნებით დაუქირავთ და ჰყავთ ციხესა მას, რომელი ძოლანცა ვახსენეთ. და დიდსა შექირებება შუგან არს იგი კაცი, და იგი ლომნი, რომელნი თქვენ გარდაგვიდნეს და დამოციკნით, ისინი³ მათ გრძნეულთანი იყვნეს და ომად მით გარდაგვიდნესთ. და ვითა შენოდა ჯებეკოპასა თქვენსა, თქვენ ეგრე შექვახმეთ საქმე თქვენი. და თუ ამას იქითაც შესცილეთ, კუჯალიც მოგხედებთ შედმართ და შედმართ ტილისმანი არა ერთი და ორი, განა ბრავალნი და, მარცხნი და მოულოც არსს კაცისაგან მუნ-შესვლა. და ვინცადა მუნ შევეა, გამოლმერთო-იცლება, რაძი კაბუჯი არის. ეს ანბაუი მოჰხსენებია და მუნ წასვლას კი ნუ იურავებთ. ამას გივანხირება. მერმე უძბანა ამირანქ: ძმაო სოროზონ, შენ წასვლასა და

¹ ხელნაწერში: და sep. ² + ერთით. ³ ისილც.

ანუ წაუსვლელობას ნუ მოვაზიარებ. განა უწინ ეს ნითხარ, ამ უკაცურს ალაგს რადა ხარ და ანუ ეს კოშკი და სასლები ვისია, ყველა მნებავეს წვრილად მათუწყო და შენი აზმავეცა, კარგი სასაუბარო კაცი ხარ და შემოუვარდითო.

მერმე მან კაცმან დაიწყო ამბის თქმა და მოახსენა: მოგახსენო ყოველი, რომელი თვალთა ჩემითა მინახავს, მეფობასა ბჭევნსა. განა უწინ ეს მოგახსენო: ესე კოშკი და სახლები ყოველი ჩენია და მე აღმიწუნებიაო. იგი პატრონი ჩემი, მისი ყმა ლამპალიძიძე და მე წამოვედით ჯორჯისტანიდამ, და ამა უკაცურსა ალაგსა მოვიდა. მოეწონა ესე ალაგი და დაეყავით დღენი რაოდენიძე. მერმე ამა მინდორს სანადიროდ წავიდა და უკაზმავსა ყასტარ მეთილისმე ზედა შეხედა და გრძნებით დაიჭერა, ჯილდაბარ ციხესა შეიგან ჰყავსო და რა ცნა ლამპალიძიძემაც, ძებნად მისად წავიდა და იგიცა წახდა ძებნასა მისსა. რა დღეთა მისთა ველარაივინ დაუდგის წინა, შეიკირვებდა ამისთვის და მჭუნეწარად იყო. მოვიდა კაცი ერთი და მოახსენა: თუ არა გამიწყრებით, მოგახსენებ და მუნ სტნობ ძალსა ჰაბუგობისასაო. უბრძანა: არა თუ ვაგეწყრები, განა დიდად დავიმადლებო. და მოახსენა მან კაცმან, ნაქორდან ხელმწიფის ქალის ყამარგუნის გამოსაყვანად წადი და მუნ მოგხვდებიან გზანი ძნელნი და საკირონი, ჰაბუგანი და ბუშბერაზნი მრავალი მანებელნი და მარცხნი დიდად შტრისანი. უბრძანა: ღმერთმან იცის, კარგი აზმავე მითხარ და გულისა ჩემისა სახარელიო, განა საით უნდა იყოს, თუ შენ გზა იცი, შენ ვაგვეყო. მოახსენა მან კაცმან: ცოტაი ვიცი და სადამდისცა ვიცი, გაიხალბე, მერმე ნულარ დაშპატრებო. მიბრძანა: ეგე კაცი შემოსეო. გამოუღე ინდორი ოქრო-წისოელი და შეემოსე კაცი იგი. წამოგვიძღვა იგი კაცი და წამოვედით თვით გურჯენ ჯიხიველიო, იგი მისი ყმა ლამპალიძიძე, შე და რგი ჩენი ეტოკი კაცი. ვთა გამოვემართენით და დავგადვეით მზღვარი ჩენი, მივხედით ქვეყანასა უცხოსა და უბადოსა და მუნ იყო მხეტთა სიმრავლე და ქანჭრობი. იყო იგი ადგილი მუნ ჩალა, და წალისა პირსა წყალი დიოდა. ჩაღმართ მოდვა ერთი აქლემოსქანი კაცი და დაიძახა ხმითა რათამე უცხოთი. და ჩვენ კერძ ყვილი. მას კაცსა ვკითხეთ, ჩენსა ეტოკსა, ესე რა უნდა იყოსო. და მან გვითხრა, თქვენმა მზემან, არა ეიცოო. ამა განზრახვასა შეიგანა ვართ. მას აქლემოსანს კაცს გვერდით სხვა კაცი მოდვა მეტად საზარელი და დაიძახა ხმითა რათამე საშინელითა. და მას წამსა ბოვიდნენ ყოვლისა ქვეყანისა მხეტო და დაეიწვეით ომი. იგი ჩენი ეტოკი მდღმა სდგა და იცინოდა და არა მოქდა ლეენა¹. ეხოცდით, განა ვერ მოერეულქვიფენით. ახლტა გურჯენ და მას აქლემოსანსა კაცსა ხმალი ჰკრა და აქლემითურთ წმიდათ გააქვეთა. მერმე მას მეორესა კაცსა მოვიდა, რომელი საზარლად ყიოდა დაჰკრა მიწასა უა ფიცა მუნვე მოკვდა. და რა იგი კაცნი დაიხოცნენ, მათ მხეტთაც მოსელა აღარ დაიწყეს და უკუჰქარდნენ და უჩინარ იქმნენ. მოვიდა ჩვენთან გურჯენ და ჩვენ ქება შეეასხით. და მას ჩვენსა ეტოკსა უკვირდა დიდად საქმე და სინხნე ომისა მისისა. გვიბძანა გურჯენ: ღმერთო, საკვირველი ომი იყოო, მე მოვახსენე: საკვირველი. თქვენმა მებმან, მეთქი.

მუნით წავედით და იგი ჩენი ეტოკი თანა წავითანეთ. რა განვლეთ დღისა ერთისა საეილი და მივეწურენით ხევისა მეტად დიდსა, და მის ხეის თაეს კლდე იყო, მის კლდიდამ მოდვა კაცი ერთი, დაგვიანა და სიცილად იწყო. ჩვენ კიცხევა გვეგონა. ფტრევე მას გვერდით სხვა კაცი მოუდვა და მანცა სიცილად იწყო. რა ჩვენ გვენახა, მათის ენით ჰკითხა ერთმა მეორეს: ესალალესმიქუშო², ფიცხლად წარვიდა მეორე და დაზიდნა ქახრათა, გაახენა კარნი მის კლდისანი და გამოვიდა მის კლდიდამ ყოვლისა ქვეყანისა გველქნი და ჩვენ შეგვიკითხეს. ჩვენ დიდად გაკვირებულთ უკრება ვიწყეთ და მერცელა ომი შეგვექანა ძლიერი. ლამპალიძიძეცა მხოცდა, მაგრამ თუქვა გვენახა პატრონი ჩემი, იას ბძანებდი, ომი, ღმერთო, უკეთესი აღარ ეგებოსო. ეხოცდით და არა მოქდა ლეენა. მერმეღა უყვილენ: რასა იქ, პატრონო, მეტად

¹ ლეენა: ლეენა.

მიგვირდა მეთქი. მაშინლა ითხოვა ბოძალი, ჰკრა მას კლდეზედ მდგომელსა კაცსა და მოკლა.

განქარდა მოხელა გველასა. მოვიდა თაჲისი ანხანავი და რა იგი კაცი მკვდარი ნახა, ეწყინა და ქუირტად უბნობა დიგვიწყო. ჩავიდა იგი კაცი და კელაე სხვა კარნი ვაჲსხელ. გამოვიდეს მის კარისაგან სამნი საშინელნი ეშაშნი, და ერთს ვეშაშზედ დღეი ჯდა ხმალმოწვდილი. რასაც საღს კლდესა სცის, ცხრას მხარს ვააკვეთინებღის. რა იგი ეწახეთ, ჩვენ ზრუნვა შეგვენით და მიველო ძალი, მაგრამ გურგენს არა ჰპაოღის-რა. გვიბძანა: ძნელსა ფატერაკსა შიგანა ვართო, ღმერთი არას და ქაბუეოზა ჩვენი დამარ-ინელიო. რა გეწახეს, მათ ეეშაშთა მოგვეართეს და ჩვენც მივმართეთ, მაგრამ გული გვიჯანდებოდა. იგი ჩვენი ეტაკი მიღმართ დგა და გვიკერტდა. და იგი დღეიანი ვეშაში წინარე მოვიდოდა. რა მოვიდა გურგენ, ჩვენ გვიბძანა: ესე დევი და ვეშაში მე, და რგი ეეშაშნი თქვენაო. ზეემართეთ ჩვენსა. შეუტრევეს და შეაბნეს. თაემან თქვენმან, გეზომ დიხებლი ომი არაოღეს მინახავს. შევიბენით. განა მუნ იყო ომი ძლიერი, სცეს ერთ-მანერთსა მრავალჯერ, განა ვერა აენეს რა. მერმე გაგულისდა იგი პატრონი ჩემი, ხელის-ხელ ერკინენ. მაშინ მისწვდა და ხლპიანი ხელი დაუქირა, გადუგრიხა, ხმალი ვაადღე-ბინა. მისითაე სმალითა სცა და დევი ვეშაშითურთ წმიდად გაჰკვეთა. მე დიდად მივირ-და. რა მოცილილი ენახე, დაჰბაბე: მიშეველე, თუარემ მიშვირდა ომი მეთქი. რა აგრე შე-ქირეებული მნახა, მოხლტა ქარისაგან უძალე და მას ჩქვა მბრძოლელსა ვეშაშსა ყია შეუპყრა. და რომელი ლამპ[ა]ლიპიქს ებრძოდა, მასცა მით ვეშაშით სცა ძლიერი. იგი, რომელი ხელთა ეპყრა, მოკვდა და რომელი ლამპალიპიქს ებრძოდა, უნებულად დარჩა. მანამ ბძალს ზოიწვდიდა, მასწვდა, ლამპალიპიქე, ჩანთქა და გაიქცა. მიეწოვა უკანა, ჰკრა ხმალი და იგი ეეშაში მოკლა და დაიხსნა ლამპალიპიქე. იგი კაცი, რომელ-მან კარნი დაიხვნა, კიოდა ძრიაღსა. მას კაცსა მე ვკარ სმალი და შუა გაეწვიტე. რა იგი კაცი შუა გაკვეთილი ნახა, ჩემგან დაინდალა ეგეთის გრძნეულის კაცის სიკვდილი. და რა იგი კაცი დეცა, უკელი განქარდა და მშვიდობით დავრჩით. უკვირდა ჩვენსა ეტაკსა ჩვენგან ისრე ფიცხელი ომი და ქება შეგვასხა. და დალოცა ჯიზიშვილი: ქუ-რთბეულ. არს ღმერთი, რომელმან მოკცა ეგეთი ქაბუეოზა, რომელ არავინ არს სწორი შენებრიო, და არცაჲის შენებრიო ყმანი ჰყოლიანო. გაეახეენით კარნი მის კლდისანი, შევედით და გარდავენახენით თათაჲისად საქურკლენი მრავალნი უსოფერნი. თაემან თქვენმან, ქვერტისაგან ვერ გაეკბით. რომელ ვიწონეთ, იყო ასოთხმოცი სახლი საქურ-კლე თვალთა და მარგალიტითა. გამოვედით და დაბეჭედეთ და იგი ჩვენი ეტაკი ქებასა შეასხმიდა ჯიზიშვილსა. მერმეღა წაგვიძლეა წინა და წავედით.

ელეთ სამი კვირა სხვა და არა ვიყოღით, თუ სად მივიდოღით. ეელნი იყენეს და მას აღგელთა ნაოძარი ახნდა. დაუმძიბა პატრონსა ჩემსა და გვიბძანა, წინარე-მცა წამოგვეცლო, ამო ომს მოვესწრობოდეთო. და მას ნაომარს ალაგს გაეყვეით და კვალი ახნდა ცხენისა. ოდესცა ენახეთ და ქედს გადავადვეით, კაცი ვინმე ვპოვეთ უსულოდ, რომ ცრტად ოდენ უღდა სული და ცხენი ხელთა ექირა, ხმალიც ხელთა ეპყრა. ლამპა-ლიპიქემ მოახსენა: მივიდე და ენახო თვი კაცისო და ცხენიც წაგვეკაროვო. უბძანა: დიხ ღმერთოვო. ოდესცა მიუღვა მას კაცსა გვერდით, იგი დიდი კაცი გაჰკრთა და ისულთქნი, ზეახლტა და ლამპალიპიქს მომართა. მე ესრე მოვახსენე: ძივილე და უშველენ მეთქი. მიბძანა: აზომცა მასნი ეგ გვარი სიტყვა შენგანაო. მას შეველა რად უნდა, თუ იგივე ლამპალიპიქე არსო. ამას ჩვენსა სიტყვისა ზედა მიმართ მოძართვის ერთმანერთსა და შევექნათ ომი ფიცხელი. ჩვენ უკერტდით. მოვიდა კაცი ერთი და ხელთა ცეცხლისა მათრახი ექირა და სპილენძის ქვევრზედ იჯდა. და მეორე კაცი მას ფეხქვეშ უწეა, თვით ზედ იდგა და მას ქვეწოლელს კაცს უთხრა, ოტპიოპიო. ფიცხლიდ წამოხტა იგი ქვეწო-ლელი კაცი და სწრაფად ბრუნვა შექმნა. ისრე სწრაფად ბრუნვედა, რომ არას ჩარხს არ ძალუეს ისრე სწრაფად ბრუნვა. და იგი დიდი კაცი და ლამპალიპიქე რომ ებრძო-დენ, მისკენ შექნეს კივილი. რომელსაც ცეცხლის მათრახი ექირა, ებღენი ცეცხლი

გამოუწო, რომ იგი ლაპალიძე სულ ცეცხლმა დაჰჯარა. ჩვენ შეგვექნა შეწუხება და იგიც ჩავარდა შექირებვასა დიდსა. რა ჩვენც მისად ზგულად ზიმაველი გენახეს, მათ გრძნულთ ფიცხლები იყილეს და ჩვენ ჩვენმა სიჯანემ და მათგან შინმა მათზედ ახლო აღარ მიგვიშვა, და თვით პატრონი ჩემი ჯიბიშილი გურგენ¹ ლამპალიძისათვის გულ-გაუცხებული შიგან შევარდა მას ცეცხლშია. რა ნახა ლამპალიძე, იგი კაცი ქვეშ ჩადგა და მეორე ცეცხლის მათარაბითა სცემდა. [და] რა თავისმა ყმაბ თავისი მხსნელი ნახა, ფიცხლად მოსწივა თავს და ხელით წმინდათ თავი მოსწევიტა და შეექნათ ომი. იგი კაცი ცეცხლს აღენდა და ესენი მათ გულმესისხლედ ებაროდნენ. სიკაბუჯითა ბატონ-ყმისათა, გრძნებითა და თილისმითა მათითა ესეთი ომი შეიქნა, რომენ ცა დააბნელეს და ჰაერი ცეცხლმან დაჰფარა. ჩვენ შეგვეშინდა. გვეგონა ჯობნისა. როცა მისქირდათ, ჰკრა ჯიბიშილი და იგი ცეცხლ-მდინარე კაცი მოკლა. ლამპალიძემ იგი მეორე მოკლა. რა იგინი დაიხორცენ, ცეცხლიც განქარდა.

და მოვიდა მფრინველი ერთი, თავი ლომს უგვანდა და პირი თევზსა. ფიცხელი და ფიცხელი იყილა. ყოვლისა ქვეყნისა ლაშქარი მოვიდნენ და დავიწყველიათ ომი. მწუხარადღინ ომი იყო. მერვე მას მფრინველს მე ვეკარ ბოძალი და მოვკალ. რა იგი მფრინველი მოკვდა, განქარდა იგი ლაშქარისცა. და იგი ქვეყრი თვით გორვედა და უცხო საკვირველი ხმა ისმოდა მის ქვეყრისაგან. ჩვენ დიდად გაგვიკვირდა. და მივიდა ჯიბა-შვილა და თქვა: ენახე, ვანა რა უნდა იყოსო. მე მოვახსენე: ნუ, თქვენმა მხემმა, ფათერაკი არა წაგვეკიდოს-რა. ენაშური არის მეთქი. არ მისმინა და მივიდა, რა უნდა იყოსო². რა მივახლოვა, მე მოვახსენე: ხელს ნუ მიჰყოფ მეთქი. ჩემსა სიტყუვასა ზედა კობალი ჰკრა და იგი ქვეყრი დაღუწა. მის ქვეყრისაგან კვამლი შედგა დიდი და ხშირანობა შეიქნა. გურგენ ჯიბიშილი კომლმა დამალა. ჩვენ უკვეტდით და ვერას ღონეს ვიყავით. რა კომლი განქარდა, ვნახეთ მრავალი ცხენი და კაცი ხოცილი და აბჯრის ნალეწი მრავალი. გურგენ ჯიბიშილი იქ აღარ იყო. შეგვექნა შეწუხება და ტირილი. მოულოდინეთ და აღარ მოვიდა. და ჩვენ ჩავკვივდით ურვასა დიდსა გურგენისათვის. სივიდა კაცი ერთი და გვითხრა: აგერ მიჰყავთ გრძნებით დაქირული ჯილდაბარ ციხესა ყსტარ მეთილისმისაგანო. ლამპალიძემც მის კვალს გაჰყვა და იგიც წახდა მის შევლასა ზედა. მე დავიჩინე მას უკაცურს მიწლორსა და ვიწყევ სიარული და მოველ აქა. ეს აღავა მომეწონა და აქ დავეყსახლე. აწე მე ესე მომიხსენებია პატრონისა ჩემისა აზბავი და ესეც მოვახსენო, კაცისაგან მუნ მისვლა მოუვალი არის და რა უნდა, ქმენითა.

მძანა ამირან დარეჯანის-ძემან: ჩემგან ესე მოუვალი [არა] არას, თუ ამისთანა კარგი კაბუჯი შექირებვასა შიგან იყოს, და მე იმისთვის საკვდავად თავი ჩემი მათთანა მოვიკლაო. მე დამიმძიმდა და იგი კაცი სოროზონც გვიშლიდა, ვანა არა დანიშალა დარეჯანის-ძემან და გაავალ საქმე სახლისა. გამზავნა მე შინა და უჩინე დიდებული. კაცნი და, რაცა დანევედრა, ვთავე. წამოველ და თანა წამოვიტანე ასან ბადრიძე, ქოსს ქოსიძე და ყამარ ყამრელი; აღო მაამალიძე და აბან ქაბანიძე შინ არ იყვნეს. მოველ ამირანთანა და მუნთ დავიწყვეით სიარული. წავედით და სოროზონ ატირდა ჩვენთვის და მასცა გამოვეთხოვნით და წავედით. ვიარეთ კვირა ერთი. ავედით ქედსა და გადავხედეთ მუნთ. ზღმართ გამოინდა კლდე დიდი და მის კლდისა ძირსა წყალი დიოდა. ჩავდით მუნთ. ვიარეთ ცოტად ხანი. ვნახეთ დიაცი ერთი მტირალი მის წყლის პირსა. ჩვენ შეგებრალდა და ვკითხეთ: რასა საქმისათვის ზი აქა ტირილიდაო. მან ტირილისაგან ძლიე ენა გამოავო და ეგრე გვარქვა: პატრონო, მე აქა დიდის ხანის მოსული ტყუე [ვარ], და ვეყვარ პილწსა და გრძნულსა მას ჯადე ვამილაშქანსაო. უბძანა მძარან: ოდეს დასტყვევდი და რასა საქმესა ზედანო. მან გვითხრა: ოდეს იგი ღოპი გურგენ ჯიბიშილი შეიპყრეს, მეც მას ეამ ტყვედ წამომიყვანეს მისის საბრძანებელიდამაო. ჩვენ

ბელაწარმო: ¹ გურგენ. ² იქოსო

ვარქვით, ვითა: აგერ ჩეენცა შათად შევლად მივალთო და სადი არიან, წაგვიძელ და გეაცნობუო. მან დიაცურმან ეგრე გეითხრა: მე შათი აღგილი არა ვიცი, სადა არიანო, იგინი ყასტარ მეთილისმისაგან დაპირულნი არიან და მე—ჯადუ ამილაშქანისაგანაო. და თუ მიბძანოთ, მუნ მიგაიყვანნო. ჯერედ იგი ამილაშქან შინ არა არისო. მე გგრე მოვახსენე: პატრონო, ეგე დიაცი ქაჯია და მოგეაძუტუნებს საფათგრაკოლოდო. გახსოვსა ბადრი იამანიძის შევლად რომ მივიდლოდით, გზათა დიაციათ დევი დაგვებდა და შოგეაძუ-თუნა მეთქი. ეგრე მიბძანა: ეგე მართლად სთქვი, მაგრამ გვალე ვნახოთ და ესე დიაცი ვ[ი]დითო. თუმცა დამეშალა, კვლა აღარ დაიშლიდა და მეცა დავემოწმე.

წავედით და იგი დიაცი წინარე წაგვიძღვა. ვიარეთ რა ცოტა, მოგვებდა მაღალი რამე გორა. მან დიაცუმან გაიცინა და ეგრე თქვა: აწე ვიხსნა, ბილწო ამილაშქან, თავი ჩემი შენის გრძნებისაგანაო. ჩვენ ვკითხეთ: აქა არს იგი ამილაშქანო? მან დიაცუმან გეითხრა: აქა არსო, და წაგვიძღვა იგი დიაცი. რა მას ცხვესა მივახლოდით, გამოვიდა ერთი კაცი და წინა მოგვეგება. თავუანის სცა ამირანს და ეგრე მოახსენა: აბა, მობძანდით და გაქისხვენიეთო. ჩვენ მოვახსენეთ: ესენი ყველანი ეშმაური არიან და ფათგრაქსა დაკვაპურობუნო. მან გვიბძანა: ნუ გეშისთ, ჩვენ ეშმაური ვერაქსა გვავენებსო. ოღესცა შევედით მას ციხესა, მუნ სახლნი იყვნეს. შევედით და ვნახეთ კვლა სხვა დიაცი ბერი. რა გენახა, უთხრა ამა ჩვენმა წინამძღოლმა დიაცმა: ამირან არს, მობაღდადეო. და ვნახეთ, რომელ სახლი იყო სხვა ერთი და მუნით გამოვიდა დიაცი ყვითლითა მოსილი, ხელთა ოქროსა სწინი ეპურა და ზედან ოქროქსოვილი ეხურა. მოგვეგება წინა და პატრონსა ჩვენსა მოახსენა: ჯაჰნაბ ხათუნმა მოგართეთო. ესე სახელი თურმე მუნ მუდრომისა დიაცისა სახელი იყო. რა სინსა ახადა, ასეთი საქმელები იღვა, ვითა, თავმან თქვენმან, ეგეთი საქმე-ლი თავსა ჩემსა არა სადა უნახავს. დაუხხელით და წინა დავაიღვა. რაჟღენიჟე აალო და ჩვენ გვიბოძა. რა იგი საქმელები ეგრეთ... პატრონსა ჩემსა ეგრე მოვახსენე, ვითა: ნუ თე ესე საკვირველი საქმელი ტრლისმათა რამ ღონე იყოს!... ერთსა არა მაცოცხლებდეს, ჩემგან უქმელობა ყოლა არა ევებისო. რა ჩეენცა მეჭად მოგვეშინოდა, იჩქითად ხელი დავუაყეთ. თურმე ამირან ციხესა სწინა და ჯერეთ მას ხელი არ მივეო. რა მის საქმ-ლისაგან რა მცირედი მივიღეთ, წაშავე ღონე მივეელო, თე[ა]ლთ დავეაბნელდა და უკუ ვსცივიდით. რა ესე ნახა პატრონმან ჩვენმა, ზე ახლტა და მას ბერსა დიაცსა მიმართა. იყოლა მან დიაცუმან და იწყო ლაშქარჰა დენა. თავმან თქვენმან, ეგეთი ომი გარდახდა, რომელ უფრცხვისი არავის უნახავს. მწუხრადღს ესეთსა ომსა შიგან იყო. რა ღიად მისქირდა, თურმე თქვა, ამითი თავი ეს მყოფანი დიაცი არისო, თე ეს არ მოეკალ, ესე ლაშქარი ყოლა არა დაიღვეო. გარდახლტა ფიცხლად, აქრა მას დიაცსა ხმალი და ორად გაჰკვეთა.

ვისრამიანი

ვისრამიანი სატრფიალო-სამოქურთო რომანია. პირველად ის დაწერილი ყოფილა ფადლურ ენაზე არა უფიანეს VII საუკ. პრაზიო. XI საუკუნას შუა (1049 — 1054 წლებში) ვისრამიანი დეკად გაუწყება ხალ სპარსულ ენაზე ტურულუ-ბუჯის მოხელესა და კარის პოეტს დახრუდდინ გორგანელს. რომელსაც კარ-თული ერსია ფაზფურ ჯორჯანელს უწოდებს. XII საუკ. ჯორჯანელის ვისრამიანი გადმოუღიათ კართუ-ლად, რომლის ტექსტი მიწერება სარჯის თმოგველს.

ვისრამიანის ხელნაწერები ცნობილია XVII საუკუნიდან. გამოცემულია ის ორჯერ: პირველად 1884 წ. ი. გუკუაძის, ა. სარაჯიშვილის და პ. უჩიკაშვილის რედაქციით; მეორედ 1935 წ. ა. ხარაბიძის

1 ამის შემდეგ ერთი სტრიქონი ხელნაწერში გამოკრილია.

3. ინგოროფანს და კ. ჯვალის ჩედაქციით, ქართული ვისრამიანი შემოკლებულად ითარგმნა რუსულად ბ. რუდნევის მიერ (Висрамяни, 1933 г.), ხოლო ძვალისურად სრულად თ. უორდროპის მიერ (Oriental Translation fund, ახალი სერია, ტ. XXIII: „Visramiani. The story of the loves of Vis and Pamin. A Romance of ancient Persia, Translated from the georgian version by Oliver Wardrop. London, 1914).

ლიტერატურა

1. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941 წ., გვ. 50—64.
2. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945 წ., გვ. 63—104.
3. იუსტ. აბულაძე, XI საუკ. საერო მწერლობა და ეფესისტაოსანი 1923 წ., გვ. 19—21, შენ.
4. მისივე, ვისრამიანის ტექსტისათვის, (ლიტერატურული შექვიდრებიდან, I, 1925 წ., გვ. 270—297). აგრეთვე, რვეუხია ვისრამიანის ახალ გამოკვებაზე (ურჩივლის შრომები, XXVII, 87—100).
5. ნ. მარი, ქართველი ერის კულტურული შუბლი ვნათმეცნიერების მიხედვით, (მნათობი 1925 წ., № 5—6, გვ. 289—328).
6. ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია I, 1919 წ. გვ. 223—236.
7. გ. იმედაშვილი, ვისრამიანი და ტრისტან-იზოლდას ურთიერთობათვის, (მნათობი 1942 წ. № 1, გვ. 132—149).
7. Н. Марр. К вопросу о влиянии персидской литературы на грузинскую. («Журнал Министерства Народного Просвещения», 1897, III, гв. 223—237).
6. მისივე. Из грузино-персидских литературных связей, («Записки Коллегии Востоковедов» I, 1925, гв. 111—138).
10. А. Хаканов, Очерки по истории грузинской словесности, II, 1897 г., гв. 169—203.

ვისრამიანი

დასაწყისი ვინისა და რამებისა

იყო დიდი და მაღალი სულტანი ტულღურბეგ ქუყყანასა ხორასნიასა და იდრამა-დაგანისა, ლაშქარ-მრავალი, მოვლენილი, მორკმული და აღსრულებული ყოველსა სპარსეთსა ზედა. აკლდა სამეფოსა მისსა ქალაქი ასპანისა.

შეიყარნეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი მისნი, მოაკსენეს: ევინათგან მაღალი და დიდად განთქმული სულტანი ტახტსა და სამეფოსა თქუენსა ზედა მოვლენით და მორკმით დადუმეუდრებინარ [ღმერთსა] და ნება და გამორჩევა მისი ესე არს, რომელ ყოველი მუსულმანობა ბრძანებასა თქუენსა მორჩილობდეს და მზესა თქუენსა ფიცვე-დეს,—აჲ ჩუენ ამას ვკადრებთ მეფობასა თქუენსა, რომელ შეიყარნეთ თქუენითა ლაშქრითა და მიჰმართოთ ასპანისა ქალაქსა. ვინმე იყო არამორჩილი მბრძანებლობისა თქუენისა, რომელჲცა არა ძებნეს მშვიდობა თავისა და არამცა წამისყოფით დაამონნეს თავნი მათნი მბრძანებლობასა თქუენსა?! და უკუეთუ ვინმე იკადროს მბრძანებლობისა თქუენისა ურჩობა, შეუნდობელი რისხვა მივიდეს თქუენგან მას ზედა და აგრეცა იქმნას ნება და წადილი თქუენი.

მოუსმინა მეფემან, უკმო სამსავე სამეფოსა. მერმე განყო ლაშქარი და გაგზავნა ერთი ქირმანს, ერთი მუსლის, ერთი აბეაზს, ერთნი თემნი სომხითს, ერთნი საბერძნეთს, და ყოველნი ყოველგნით შემოიქნეს და მოვიდეს ძღვევა-შემოყრილნი და გამარჯულებულნი. მერმე მოვიდა მოციქული არსლან-ხანისა მზახალთათვის და მოიღო ურიცხვი ძღვენი და მასვე ეამსა მოვიდა ბერძენთა მეფისა მოციქული და მოართო ძღვენი,—ტურეთი შესამოსელი. და მას ძღვენსა შიგან იყო თვალი ერთი, წითელი იაგუნდი, წონა დრამისა ოცდამეუთისა. იგი შესამოსელი, ბერძენთა მეფისა გამოგზავნილი, ტანსა შეიმოსა ასპანს, და თაყუანისცა ყოველმან მუსულმანმან, კელმწიფეთა უცხოთა და თუით მისთა წარჩინებულთა; და ქება შეასხეს ყოველთა ისრე ყოველთა კელმწიფეთაგან შეპოვნებისა, ძღუნობისა და დარბაზობისათვის.

და თუთი სულტნისა მსახურნი და მონანი ესეთნი იყვნეს, რომელ ყოველსა პირს მიწისასა ეგეთნი არა იყვნეს. და მათგანი იყო ერთი სახელოანი, უხუი, გონება-ბრძენი, კაცობა-სრული, გულოანი, ფრთხილი, მხარული, სიტყუა-მიუმცდარი, მკენე და სიმკნისა მოძებარი, ყოვლითა სიკეთითა სრული; ნატიფი; აქიმობისა კარგად მცოდნელი იყო,

ყოვლისა კაცისა მოყუარე, ღმრთის კაცი და დიდისა ქუეყანისა პატრონი იყო. და ამა ზნეთა თანა ვანდამცა მძებნელი იყო უცხოთა ამბავთა და შაირთა.

რა სულტანნად ქალაქი ასპანან აიღო, აიყარა ლაშქრითა, წარმოვიდა და იბღალ-მელიკ-ვაზირი ასპანან დაადგო. მგზავრად მივიდა და ჯარჯანელი ნახა და მოეწონა კაცი და ამბავთა ნახულთა დაუწყუო თქუმი. მას ღამესა მის გუერდოთ იყო და სუქმასა შიგან ჰკითხა:

— ვარა იცია ამბავი ვისისი და რამინისი? დია მინდა ამბებისა მათისა შეტყობა და აღრითვან ვეძებ; მასმია სიკეთე მათია.

ფახფურ პასუხი მიუგო:

მე ყუელა ვიცი და მასმია სიკეთე და სეფისპირობა მათი, რომელ კარგი ჰამო ამბავი ბრძანეთ, მეცნაერთავან თქუმელი და შეწყობილი ფალაურითა ენითა; და ფალაური თუ დიდად არვინ იცის, ვერავინ თარგმნის. აწ თუ შენ მიბრძანო, მე გამოვაცხადო ამბავი მათი და ვთარგმნო სპარსულად.

ესე დაიმაღლა მისგან იბღალ მელიკ-აბუნასარ და იმედი წყალბობისა უთხრა. მერმე ფახფურ ეგრე თქუა: ვინაჲგან ესრეთ არს და ამბავი მათი ბუნებდ უყუარს და მონდომია, მოვაცხენო, სიტყუაშეწყობთ ვაქუა და ვთარგმნო. თუცა სახელი მათი დიდა ქუეყანათა ზედა, ჩემიცა სახელი დარჩეს ამისთა მიზეზითა ქუეყანასა.

ასპანანი ვინისა და რამინისა და უხუცესისა ქმრისა მისისა შავი მოლაბადისი

იყო დიდი და მაღალი კელმწიფე აღრებადაგანასა და ყოველთა თემთა და ქუეყანათა მპყრობელი და დიდთა საკურტლეთა პატრონი. ჰქონდა ხორასანი, თურქისტანი, ერავი, აღრებადაგანი, ქოისტანი, ხუარაზმი; კმელთა და ზღუათა პატრონი იყო და ყოველსა სპარსეთსა ზედა მორქმული. და მრავალნი კელმწიფენი ჰყვეს სუიანნი და შეუფრობელნი და მას ეამა შიგან მისი სიტყუისა უმორილო არვინ იყო. და ცეცხლისა მსახური იყო თუთი მეფე და საჯელმწიფო სრული. ესე კელმწიფე ქრისტეს მოსლევასა წინათ იყო და სახელი მისი შამი მოაბად. ესუა ძმა ერთი, ერქუა სახელად ზარდი, და ვაზირი იყო შამი მოაბადისი.

ვითა წესია სპარსთა, შექმნეს ვაზირობა დიდი და ეგზომ დიდი ნაეროზი ვარდიკადიან, რომელ კაცთა გონებისაგან არ მიიწითმვის... მას ღღესა მოვიდეს მეფენი, რომელნი მისსა მბრძანებლობასა ქუეშე იყენეს, და დიდებულნი დედა-წულითურთ მათითა სიხარულად და სამსახურად... ყოვლისა ქუეყანისა დიდებულნი დედაობითა მოვიდეს შამი მოაბადისისა ხორასანს, მარავს ქალაქსა. გამოვიდეს და უბრძანეს თავის-თავისთა ფარემთა მისთა ველსა დადგმა კარავთა და ოთაღთა: მოკაზმეთ მინდორიო! ამის ყოვლისა სიკეთისა გონება მიუხედლომარე არს. გამოვიდეს მინდორად, შემოვილნეს სარა-ფარდანი, შევაზინეს ფარემთა და სხუთთა მსახურთა წაღკურთნი და აავსნეს საქონლითა და საკურტლეთა. დაამურეს სპილონი და აქლემნი საკურტლეთა ზიდეთა. ვითა თუთი მისსა კელმწიფობასა ჰხედებოდა, ეგეთნი გაემართნეს.

უქმნა კელმწიფენი. და დიდებულნი მისნი; ვინცა ქუე-სღღამასა ღირს იყენეს, ქუე დასხნეს, და სხუანი რომელნიმე—ზეადგნეს თავსა, კელთა არგნისა მქონებელნი. დედოფალნი და ხათუნნი აწუევიენეს, საპატიოდ დასხნეს. მოასხნეს მრავალდერნი და კარგნი მუტრიბნი, ცალკერმ და ცალკერმ იმღერდიან, ვარდისა მიჯნურნი ვარდსა ზედან დასპიე-კიკებდიან და მუტრამთა შეუკობდიან. დასდეს მისსა და მთუარისა მსგავსნი კელმწიფეთა ცოლნი და ხათუნნი. და ჰქონდა დედათა ორი, ღალისა მსგავსი, ფერა, შენორიო: ერთი—პირისა და ერთი ღუნისა. დააკურთხეს ალვა, მუშკი და ამბარი და მათ სურნელთა ეგზომ დიდი კუამლი შეიქმნა, ვითა ღრუბელი, და ფერი—ვითა მათ ხათუნთა თმა. დაეღა და ბედი, ღარი და საკურტლე მათი მთისაგან უმძიმესი იყო, და შეკირვება ბზისაგან უსუბუქე. და ყოვლისა ქუეყანისა დედანი კურტლად მოვიდეს, მათაღლა სძლისა კურტლად. ახალ სძლისაგანცა უკეკლუცენიცა იყენეს, მათისა შოენისათუისცა მრავალი სისხლი დაღურდილ იყო... ყუელა ერთმანერთისაგან უკეკლუცე იყო. მათი ქება არავისგან

მიწითმვის, პირად და ტანად ყოვლითურთ სრულნი და უკლებნი იყვნეს და ყველა სხდა შაჰი ზოაზადის წინაშე.

იყო კელწიფე შაჰი მოაბად ღელათა მოყუარული, უკურეტდა, იხარებდა და გასცემდა, და მეტრიბთა ამღერებდა; ზოგთა ასპარეზთა აცემინებდა, ზოგთა შუბითა ამღერებდა და კეკლუტთა ქალთა შუშპართა აქნეულა.

ქუირასა ერთსა გაიხარა დიდითა სიხარულითა. რაცა მის სუბისა და სიხარულისა მეგლიწიში ლულო, მარგალიტი და საკურტლე იყო, ყველა გასცა. აავსო დიდი და პატარა, არაიენ დარჩა იქი უშოვარი. ამაზედა პირშუენეარემან შაჰრომ მოციინარის პირითა წინა უთხრა შაჰი მოაზადს. რა ესე ესმა შაჰროსაგან შაჰი მოაზადს, ეგრე არქუა:

აჲ ვარლო, მოციინარედ მოუბარო! მიწუითმეა მხიარულად გნახე! რათგან სიბერისა ეამსა ასეთი გულისა წამლდებელი ხარ, ნეტარ სიყრმისა ეამსა ვითარი ყოფილ ხარ? რათგან ვარდისაებრ ნახევარდამქნარი ესეთი ხარ, წინას ნნახეულთა შენთა სიციცხლე ანუ გონება ვით ჰქონებია! აჲ რათგან გული დამიბნელე და უიმელო მყავ, ბარე შენისა გუარისაგან ნუ კიდევან-მიქმ; ასულთა შენი შემრთე, რომელ ნაყოფი თესლისაებრ იქმნას, და ასული შენი ჴენებრეუ არს. ბედი ჩემი და წალმართი მაშინ უფრო სანატრელი იქმნების, რა შენისა გუარესა, შენებრიგე მზე, ჩემსა სრასა შინა ნათობდეს, და თუ ვჰპოვებ მიწისა მზესა, არ ვეძებ ცისა მზესა!

პასუხად ეგრე არქუა შაჰრო შეენეარემან: აჲ კელწიფეთა უკელწიფეთესო! შენისა სიძობისაგან უკეთესი ჩუენ არა წაგუეციდების, თუმცა ღმერთი მწყალობდა და ასული მესცა; გარნა, შენმან ბნეკან, მე ასული არა მივის, და თუმცა მესუა, მოგაკსენებდი. აჲამდინ მე ქალი არა მიშობია და თუ აჲ მომეცეს, უღონიოდ თქუენ მოგაკსენებთ.

მერმე შაჰი მოაბად ათიცა: შემომთეციე, რომელ თუ ასული მოგვეცეს, ჩემგან კიდე არაუვის ჴერთო!.

მათითა საფიცითა ყარანის ცოლმან და ვიროს დედამან მტეციედ ესე შეჰფიცა: თუ ქალი-შვილი მომეცეს, შენ წეგრთო და შენი ცოლი არის შაჰროს ქმარი ყარან იყო. მაგრა შაჰრო უფრო გუარიაინი იყო ყარანისაგან. ჯიმშედ მეუე, რომელ ადამს აქათ მეხუთე კელწიფე ყოულია, შაჰრო მისი ნატამალი იყო. ნუშვი ვარდისა წყლითა შეზიღეს და მით საფიცო წოენი დაწერეს და პემანი შეუქმნეს ერთმანერთსა: შაჰროს ასული მიეცეს, — შაჰი მოაზადის ცოლი იყოს. ნახე-ლა თუ რა კირი ნახეს ორთავე: მან უშობელი შერთო, და დედამან უშობელი გაათხოვა.

ჰუქუ მათი — განგება ღმრთისა და შეგონება:

საწუთროისა საქმე და მუხთლობა დაუთუალაეია; საწუთრო ასრე ნასკუითა შეპკრავს, რომელ ათასი ცნობა და გონება იყოს, ველარ გაქსნის. აგრე გამოიჯნურდა შაჰი მოაბად, რომელ უშობელსა შეერთიდა.

შეგონება: ცნობამან ესე ხუაშადი მისისა გულისაგან [არ] გამოაცხადა რომელ დედისაგან მისი ფათერაჲი იშობებოდა.

რა ორთავე დაასკუნეს, საფიცო წოენი და სიმტეციე მზახობისათვის მისცეს, საწუთრომან დაიწყო მისებურად ხლათეა, საკუირეველებასა ზედა საკუირეველებისა მომატება.

მათსა პემანსა ზედა გარდაიარა მრავალი წელიწადი და ყოველსა კაცსა დაავიწვდა; მათი ამბავი დაძულდა, მათი საქმე აღარავის მოეგონებოდა. ამაზედა მოცნა შაჰი მოაზადს დაორსილება მეოცდაათესა წელსა შაჰროსი მის ძეირფასითა მარგალიტითა. რა ცხრა თუე გარდავიდა, მისგან გამოვიდა ელვარე მთუარე. არ მუტელი იყო, გარნა აღმოსაველი იყო, და მისგან გამოვიდა წნათობი მზე. ესეთი ასული შობა შაჰრომან, რომელ მისითა შობთა ბნელი ღამე ნათლად შეიქმნა. გარდაიკადეს ძეობა და დაარქუეს მას მნათობსა სახელი ვის. და მაშინეუ მიბარეს კაი გუარიაინს გამდელსა გასაზრდელად.

ესუა მოაბად კელწიფეთსა ძმა, სახელად რამინ, ვისისავე ემთა შიგან დაბადებული. უყუარდა მოაბად მეფესა შვილად და წალმართად მას ჰხედვიდა. და საზრდელად ხუზის-

ტანსავე გამოგზავნა პაერისა და ქუეყანისა სიკეთისათვის. ვისი და რგი ერთსა ქუეყანასა შიგან იზრდებოდეს, ვითა ერთსა ბალსა შიგან ორნი ყუაილნი — აღრაგული და ნანსარანი.

ვინ იცოდ, თუ ამითი საქმე საღ ნიაწვეს! რა არს ესე, ანუ ვამი წინა, ანუ რას ნიუღებს!? ვინ მოისმინნეს ესე ამბავნი, ცნეს სოფლისა ამის აუგნი, უხანობა და მუხთლობა, რომელ არცა ჳირსა, არცა ლხინსა არავის გაუსრულებს. მისი ქირი და ლხინი წამერთ არის. ცოტასა ყმასა ჰგავს, სხუითა გაიციენებს და მოგუცემს რასნე; ატირდების, და რაცა ნოეცეს კელთავე, მოგთხოვს. ვეს-რანინს ყუედრება არ უნდა, მით რომელ ღმრთისა განგებისა გზა სიბრძნითა არ შეიკრვის.

ესე რამინ იზრდებოდა და, რა მოიწიფა, ამას იტყოდეს: არა არს პირსა ქუეყანისასა რამინისებრიო. ქება გაგაგონო, რომელ ენა-გონება კეთილ-მტკუმიელი უკლებობათა თანა ცოტა რამე გამოეჩინო: სახე უმსგაეს: აღ ტურდა ჰქონდა ყოვლისა თანა საკანსოდ; პირად მხესა ჰგუნდა, თულა-წარბ შვი, თმანი მიდიარანი და გრუნნი, შავნი წუერნი — მერცხლის ბლო; ტანად საზონიერი, ერთი მისებრი არცა მხატვართაგან დაისახოდა; ძალად და გულად ვითა ლომი, სიფიცხედ ვეფხისაგანცა უფიცხესი; ცუენოსანი, მონადირე, მონაეარდე, მოკადრაკე, მხიარული, საწადისი, ძალისა კმისა ყუელასი უებროდ მცოდნელი იყო; მშუილდა მისსა ვერგინ მოჰზიდვდა, შუბითა და ასპარეზითა მისებრ ვერავინ იმღერდის, ესრე რომელ ქურეტასა მისსა შეეკეთან; მის გუერდით მომღერალნი და მსუმელნი არად გამოჩინდნან; ამას ყუელასა ზედა წყალ-ჯავარი, თუ სთქუა, იმასა აქუს ყოვლისა სოფლისაო. არცა ვინ მათ ეანთა შიგა მისი შემემელი კაცი იპოვებოდა. მისის მნახველისა ჯალაბი ესეთი შეიქმნის, რომელ იგი მიდამო ველი და ფოლორცნი ველარ იტევდიან და ყუელა კელ-აპურობით მისსა მზებრძელობასა ღმრთისაგან ითხოვდიან. რა რამინის ესეთი მოწიფება ესმა შაჰი მოაბადს, ვითა მართალი იყო, იგრე გეხარნეს, ღმერთსა მადლი მისცა და გლახათა ზედა დია გასცა. გამოგზავნა საპატრიონი დიდებულნი ხუზისტანს და წაიყვანეს შაჰი მოაბაღის ძმა რამინ, და მას წინაშე მარავს მივიღეს.

ამა ვინის ძიძისა წინნი შავროს, ვინის ღედას თანა, მიწადილი

მიუწერა, ვითა: ესე მიკუირს, მუცლითგან რომელ რა გიშობია და ჩემდა საზრდოდ მოგიცემია, არცა გინახავს, არცა გიციოხავს და არცა ჩემად რა გიბოძებია. არცა ძიძასა მისსა მოგონებ, არცა საყუარელსა შვილსა ექცევი და არცა უებროსა პირისა მისისაგან იქადიო? ვითა ვეგების ესეთი გულ-ქვიანობა, რომელ ესე დაივიწყეო, რა გიშობია და ჩემად მოგიცემია, მისსა შესაფერსა აღარას ღირსსა ქვეულ ხარ. აწ გაზრდილა მრავლითა ნებერობითა და შავარდნისა მართლესა ამოდლება დაუწყია. აწ ამისა შეშინიან, ესრე ამოდღეს, რომელ ესე ბუღე აღარა მოეწონო, ანუ წაიფიდეს საღე და თავისაებრი ძებნოს. უებრობა და სიბარტოე ძნელია.

მრავლითა ნახობითა გამოზრდი და აწ ჩუენი აღარცა ტანისამოსი მოეწონების, არცა სასუმად-საკამადი, თუმცა ყუელა თანაშეწვენითა ღმრთისათა ჩუენ გუაქუს, გარნა ამის ნებერობასა ჩუენა ძალი ვერ გასძლებს. რაზოჰცა უსწორო ტანისამოსი შეუკერო სამოცსა ფერსა აუგსა დასდებს: ყუთთელი თუ მიეართო, ამას იტყუის, ეგე სნუელთა სა მოსია; თუ წაითელი მოვილო, ესე საბოზოაო; ლურჯი — მგლოვიარეთა ჰფერობსო; თეთრსა — ბერსა სამოსად იტყუის და ორფერსა — მწიგნობართად. რა დილასა გაიდგომოს, მონათა და მკეველთა ითხოვს სამსახურად და ჰარირისა ტანისამოსსა; რა შუადღე იქმნს, ოქრო-ქსოვილსა ითხოვს და საღამოდ ოქსინოსა, წამსა და წამსა თუითოფერსა ითხოვს და ათასსა მანავსა ხარასა. პურისა ქამისა ვამი იყოს, ვამსა და უტამოსსა ოქროისა ჯამ-ტამაკითა მოითხოვს მკეველთა კეკლუტთა და მონათა სამსახურად, ორმოცდაათ-ორმოცდაათსა ოქროისა სარტყელთა და ატლას-ოქსინოთა მოსილსა; ნადიზად ოთხმოცი ქლად გუარიანი კეკლუცი მოუნდების, ამის უმცროსნი არ მინდაო.

მე ამის შეტად ველარ გავსძლებ მისსა ნებიარობასა და ვერცა სით მოვართომ, რა-საცა მთხოვს. მე ვინ ვარ, რომელ კელმწიფისა ასულსა ვზრდიდე, ვითა მას უნდეს? აწუ რა ესე წიგნი წაიკითხო, აღრე თათბირი ქენ და ქუეყანისა დამაშუენებელი შენი ასული წათყუანე.

აოაკი: „ათისა თითისაგან ერთისა თავისა ოდენი საქმრობა არა ვამოვა, არცა ათისსა მასკულაივისაგან ერთისა მზისა სინათლეო“.

მისცა წიგნი თაქსა ფარანდასა და გავზავნა შაპროს თანა. რა წიგნი ძიძისა შვილი ვისისა დედას თანა და ცნა ასულისა ქება და გავზრდა, ნწიგნობარსა ოქროისა თავი მისცა და სხუა საქონელი დიადი და ესარე გაამდიდრა, რომელ საქონელი შეილი-შვილი-თაძდე ეყოფოდა. მერმე გავგზავნა შაპრო ასულსა, ვითა ხელმწიფეთა წესია. ეგრე ხარინაღ, მაჩრანით კუმო ოქროითა, თუალითა და მარგალიტითა შეკაზმული, მრავალნი ხოჯანი, მკეველნი, ესახურნი. ეგზოზნი საქონელი და ოქრო გავგზავნა ძიძისა ცუ, რომელ აქლემნი და ჯორნი საქურკლესა ქუეშე დაშურეს. და ხუზისტანისა ქუეყანით სასულარლად და ნებინარად ეგრე მოიყვანეს ჰამინანს ქალაქს.

აქა ხუზისტანით მოიყვანეს მისი ზამინის ძალაქსა

რა მოყვანეს და შაპრომან ნახა, შეიღობისაგანცა უფრო საყუარელი პირი და ტანი მისი ასულისა გაიკადა. კელ-პურობით მაღლი მისცა დმერთსა და მისითავე სახელითა შეულოცა და პირსა შეგებრა, რომელ თვლი არ ეცესო. მერმე გლახათა ზედა ურიცხუი ოქრო და საქონელი გასცა და თავისა წინა ტახტსა ზედა დასუა. შაპრო უქურტდა, მზესა და მას შუა საცილობელი შეეძქნა, თუ რომელ რომელიაო, და ვითა მოყუარულისა შობლისა წესია, ეგრე დაუწყო კანმა: სცხო მუშე-ამპარი და მრავალფერი სურნელო, და შემოსნა ოქრო-ქსოვილიანნი შესამოსელნი, ალვა და მუშეი უქუმივა და ესრე შეკაზმა, ვითა მანი ჩინელისა სახე; რაზომცა უაფუგო, სრული და კკლუცი იყოს და ვინცა ნახოს, უუელასა მოეწონოს და, რა კანმა დაუწყო ოქროითა და მარგალიტითა, დაშუენდებისო, და ვისის ღერის მიცენისაგან ოქრო გაუთოლდებოს.

რა დედამან ესრე შეუენება-მოკარბებული ნახა ასული, ეგრე არქუა: ჰე ყოვლისა ქუეყანისა დამაშუენებელი! შენი ზამა — კელმწიფე ხუასროვი, და შენი დედა — კელმწიფე დედოფალი გუარანა, — შენ ესეთი უღბრო იყო, და მე შენი შესაფერი ქმარი მიწისა ზედა არა ვიცი; და რათგან შენი სწორი შესაფერი ქუეყანისა ზედა არავინ არის, ჩემგან უღეროსა ზედან შენი გაცემა არ ეგების არა რომელსა ქუეყანისა არის შენნ ჯუფთი და სწორი ჩემისა ძისა ვიროსაგან კიდე. შენ ცულოე მას და ნატანალი გაავთმარაულე და ამა ნუხობისაგან მე გამაზარენ. ვიროს ცოლი იყავ — საქებარი დაი მისი, სძალი. ჩემი იყავ — შენეერი ასული ჩემი. ჩემსა საწუთროსა ჩემთვის სისრულე და სიამე მანინ აქუს, რა ჩემისა გულისა სანლო სანდონსა შეერთო და შეგებედროა.

რა ესე სიტყუა ესმა ვისისა, დიდისა სირცხულისაგან გაწიოლდა და გულსა ცეცხლი ჩაეგზნა ძმისა სიყუარულისათვის და პასუხი აღარა გასცა, მინდა თუ არაო. უგრძნეს სხუათა დედათა და ვისის დედასა არქუეს, შაპროს, ვითა: სულისა დაღება ქალისაგან ნდონისა ნიშანი არისო. დედამანცა შურტყო მით, რომელ ბერი მონახული დიაცი იყო და სიღნესა მისსა იგივე საქმე წაქიდებოდა ქმრისა შერთვისა ეამსა.

რა დაუდასტურდა ქალისაგან ნდონა ვიროსი, მასეე წამსა უქმნა რაცა მისსა ბრძანებასა და ფარანსა ქუეშე მენეჯიმნი და მეცნიერნი იყენეს ჰამინით, გორაბით და ყოველგვით, მათისა ეტლისა და საწუთროსათვის, თუ რა წაეკიდების, ანუ ვით გაიხარებენ ასულს ჩემს და ჰე ჩემი ვირო მათისა კორწილისაგანო? გამოარჩივეს მუნეჯიმთა კარგი დლე და ყოველნი ერთგან დასდეს. ძებნეს და გამოარჩივეს, ნახეს ბედი. და ეტლი მისისა ასულისა ვისისა და ძისა მისისა ვიროსი და სუიანი დლე უპაენეს. და მათსა ეტლსა და პაენანსა ზედა მივიდა შაპრო, და უკვო ჰე თუისი ვირო და ასული ვისი. დარბაზსა მისსა ზედა კოშეი იყო აგებული და მას კოშესა შიგან სხდეს სანნიფე: დედა — სიდედრი, ჰე —

სიძე, ასული — სძალი. დედამან-დედამთილმან გამოულო ვისის კელი და ძმასა ნისას ვიროს კელს ჩაუდღვა და შეჰვედრა, ვითა მათი წესი იყო, დალოცნა და ცოლად შერთო, და ეგრე არქუა:

“თქვენ არცა უცხონი ხართ და არცა უწეცარნი ერთმანერთისანი. არცა სძალსა შეკაზმა უნდა — თუით ღმერთსა შეუკაზმავს; არცა ზითვეი უნდა. თქვენ ორნი ერთნი ხართ, არცა ვინ მოწამე გინდა, არცა შე-მდგომელი, — ღმერთი კმა თქვენად მოწამად და ანგელოზნი მისნია.

შეჰვედრნა მან მარტომან ერთმანერთსა, დალოცნა და ეგრე უთხრა: ღმერთმან დამბადებულმან განგახარნეს ერთმანერთისაგან და მრავალა თქუენი შველი მიჩუნნოს და გამაზრდევინოს, ვითა მე წინდლო!

აბა ძორაწილი ვისიხა და ძიხიხა ვისიხა ვიაროხი და მოაბადის ძიხიხა ზადღის მოცნაშულად მოსლვა

ხე რა მართლად არა დანერგულ იყოს, სიმრულე ნაშინე აჩნია. ბოლოსა ეამსა საქმე რა გაირყუნებოდეს, თავსავე ზედა გამოჩნუების.

არაკი: „რა ავი წელიწადი გუალვისა მოვიდოდეს, ზამთარსა შეეცუეების და დაჩნდების“.

შეგონება: „ისარი რა არმართლად მივიდოდეს, მშვილდისა მოზიდვისა შეეცუეების. რა ხესა ზედა ნაყოფი ცოტა გამოვიდოდეს, გაზაუბულ მისსა აყუაებდასა ზედა გამოჩნდების“.

აგრეთვე ვისის საქმე მასე დღესა გამოჩნდა, სიწარე და არსუიანობა; ანად რომელ, რა დეღამან მათმან შაპრომან კელი ერთმანერთსა ჩაუდღვა და საქორწილოდ კაზმა დაუწყო და ზეკრილ იყენეს ყოელის ქუეყანისა დრდებულნი და ლაშქარნი, და პურისა ქამასა ჰლამოდეს და სუქასა: და სიხარულსა. — ანაზღად მასე წამსა ზღუისაგან შავი ღრუბელი გამოვიდა. ნათელი დღე იყო, მზიანი, ჰამო და მაშინე, თუ სთქუა, შელაშდა, ასრე დაბნულა ქუეყანა, და ქარი დიდი აღვა და მტუერი დიდი შეიქნა, რომელ ერთმანერთსა ველარ ჰხედვიდეს. ნეკორწილენი აიშალნეს და აიყარნეს.

მასე ეამსა გზასა ზედა მოვიდოდა კაცი შავითა შეკაზმული, შავსა ცხენსა ზედა მჯდომი, უნაგირი და აბჯარი მისი შავივე იყო, და სახელი ზარდი იყო. და კუმო მოეტანა ისტრითა შეკაზმული და შაპი მოაბადის წიგნი. თუცა მოციქული იყო, მაგრამ ძმა და ვაზირი იყო მოაბადისა. წამოდგა ვიროს ზედა და შაპროს ცხენიდანა მისცა წიგნი დაბეჭდული ოქრო-ბეჭდითა. და მოციქულმან შენდობა ითხოვა ცხენითა მოდგომისათვის და ეგრე მოაკესნა:

მე ბრძანება შაპი მოაბადისაგან ასრე მაქუს, დღე და ღამე მივლია, არ მძინებია, მრავალი ცხენი დამიყენებია მოსწარაუებისათვისო, და სხუა წიგნმან მოგაკესნოსო.

რა ბეჭედი აიღეს, გაქსნეს წიგნი. თუცა ჰამონი სიტყუენი ეწერნეს, შაპრო ეგრეცა, ვითა მოკართული ვირი ტალასსა შიგან, აგრე სირცხერლისა და შექირეებისაგან თავისა გზა-გაულტებელი დარჩა, ამით რომელ მისგან დაწერილი საფიცი მოაბადის წიგნსა შიგან იქნა, თავისა დაწერილი, და ეგზომი ფიცი, რომელ პირველ სახელე ღმერთისა, სამართლისა მოქმედისა, ეწერა, რომელ: იმიწით სამართალსა იქმს და სამართალსა უბრძანებს კაცთა. ცა და ქუეყანა დაბადა სიმართლედ, ერთსა თმირდენიცა სინერულე არა დაგუატანა. ვითა ქუეყანა სიმართლითა შეამკო, კაცთაგან ვერგეუე მართლისა ქენა და თქუნა ითხოვა. ვინცა სიმართლით მატებასა ეძებს, გამარჯუება მიწყით წინაძღლარ ექნენის. სიმართლისებრი ქუეყანასა ზედა არა არის, მით რომელ სიმართლისა მატებასა დაკლება არა აქუს.

შაპრო, მე შენგან სიმართლესა ვეძებ, რომელ მიწყით სიმართლესა იქმოდე და მართალსა ეძებდე. ჩუენ ორნივე სიყუარულისა პირსა ზედა და მხაზობასა ზედა ვთვითყნით. ღმერთი და ანგელოზნი მისნი შუამდგომლად დაგუიყენებთან, და გუიფიკაცს, წიგნი

დაგუწერია საფიცი, — ან რად დაივიწყე ღმერთი, აღთქემა გამოიტეხე? მე შენი ასული მაშინ შენიერთავს, რონელ გოცდაათესა წელსა გიშობია. ასული ღმერთმან ორით ჩემსა ბედსა ზედა მოგცა, თუარა შენ კულა ასული არა გიშობია. აწ მე დია მხიარულად ვარ, რომელ შენ ქალი შავი. დია საქონელი გამიციემია გლახათათვის, ამით რომელ ღმერთმან შეგაწყუდა და ჩემი იმედი, რომელ მისითა მოწყალებითა გქონდა, გაასრულა.

აწე რათგან ღმერთმან ეგე მთუარე მე ნიბოძა, თუ ჩემი არის, მე მანდა ყუფა აღარ მწაღიან, ანით რომელ თქუენსა ქუცყანასა უფროსნი ბერნი და ყრმანი ყუელანი ღმერთ-მოყუარულნი: თავსა და სულსა გააწირვენ მათზედა; მიწყით თქუენებურნი კაცნი ღმერთა ზალორებელნი და უკანა უდკებინან; ლამაზად კელად უჩსეე ამის კმნა. ღმერთმან ნუ რომელსა დიაცსა უწუენოს მიავითი პირი, რომელ მითივე ავი ზნე არ ასწავლონ. ღმერთი გულ-ნაზუნნი და გულ-ჩივილი არიან და ვითაცა ვინ გაზარდოს და დააჩუიოს, აგრე და-ენუენის, გაიზრდებინან ღმერთი გულ-მართლობითა; მამათა საუბარსა დაიჯერებენ და მამოთა სიტყუითა თავსა მათ მისცემენ. დიაცი რაზომცა ფრთხილი და გონიერი იყოს, ეგრეცა მამოთა კაცისა ენითა ძაბუნი იქმნების. ღმერთა ფათერაკი ამით არის, რომელ ვგრე შეენვარე და კეკლუცი ვიშოვო: „მიჯნურობისა და სიყვარულისაგან ვკუდები, დღე და დამე ეტრი დაღრეჯილი, ვითა შნავი და მტერიანი ვკურავ შენისა გონებისაგან. თუ არ შეგებრალე, მოქუდეები და მას საუკუენესა კალასა მოგვეციდე. რად არ შეგებრალე? შენებრვე ყმა კაცი და ადამის შეილი ვარ“. ამაზედა დიაცი რაზომცა მოღმრთე და პატიოსანი იყოს, ამით, ანა სიტყუითა მოლორდების და ვერ გაიგონებს, თუ უკანა მოვიყიეთო. აწე, რაზომცა ღირსი, წმიდა და პატიოსანი იყოს, ამას საქმისათვის მომიშ ვარ, ნუ დაიკირავ მაგას მანდა და მარავს გამოიგზავნე დაუყოვნებლად დი მხიარულად.

ნუ შეიკირავებ ზითეისა, ოქროსა, თულასა პატიოსანსა და მარგალიტსა, მით რომელ მე ეგე ნინდა არ ზითეთა. მაგას ურცხუენებურად გაეზრდი და დავიკირავ. და ყველასა ჩემისა საკურკლისა კლიტესა კელთა შეეკედრებ და შენცა ეგზომსა თულასა, ოქროსა და მარგალიტსა გამოიგზავნი, რომელ, თუ გწადდეს, ერთი ქალაქი ოქროისა აავო და ზღუდენი თულისანი. შენ თუით განაღამცა საპატიოდ დავიკირავ და თქუენს ქუცყანასა მანულაბათ, მორკმით და ანატად დავიწერ. ვიროს ძმისაებრ დავიკირავ და ჩემის გუარისა ცოლსა მიესციემ და მას ეგრე ვემზახები, რომელ საუკუენმდი თქუენისა სახელისა საესენებელი იყოს.

შაპრომ რა ესე წაიციოთხა და მისი ცოლისა ძებნა ცნა, ათროლოდა და თავს ბრუ დაესხა; თავი ჩამოავდო და ზე აღარა აიხედა სირცხუილისაგან და ყელსა იგრებდა, ვითა დაკოდილი გუელი. შეშინდა ღმერთისაგან და მოაბადისაგანცა და გულსა შიგან ეგრე თქუა: მე ვითა რა მიქნა? პირველ ღმერთი გამიწირავს და ფიცი გამიტეხია, და მერმე ასეთისა დიდისა კელმწიფისათვის ცოლი წამირთმევი და გამითხოვებია! ზენარისა გამტრეხი კაცი ყუელა ასრე გაწიბლებული და ენადამული იქმნების, ვითა აწ მე ვარ დაღრეჯილი და უკუეო!

რა ვისმან შემოხედა და თავისა ღმერთი ნახა ათროლოებელი და გაყუითლებული, გაუწყრა ღმერთსა და ეგრე უთხრა: ენეტარ აგეთი რა წაგეკიდა, რომელ ფერი წაგსღვია და გული აღარ გიცს, ან ღმერთმან ეგრე ცნობა ვითა წარგდო, რომელ წახუედ და უშობელი ასული ვათხოვე? ცნობილსა კაცსა შენი ნაქმარი არ მოეწონების. კანს, რომელ ყოველი კაცი შენ ზედა იცინოდეს.

მერმე ზარდის, მოციქულსა, ძმასა და ვაზირსა შაპი მოაბადისასა, ეგრე არქუა ვითა: შენ სით მოხუალ, სახელი და გუარი შენი რა არსო?

ზარდმან ეგრე უთხრა: მე ნატამალი ვარ შაპი მოაბადისი, მას წინაშე საპატიო ვარ და, სადაცა იგიდოდდეს, წინაშეღმერთი მე ვარ მისთა ლაშქართა; სახელად ზარდი მქცხიანო.

რა ვისმან მოასმინა მისგან პასუხი, გული გაუფიცდა და ეგრე არქუა: ყუითელ-მცა არის, ვის გამოუგზავნებარო, ეგზომ საკუირველი და მავალითი. ეგე თქუენი წესა

არის საძაგელი და მოსაყენებელი, რომელ გათხოვილსა ცოლსა შეირთავთ. ბრმა ხარ, ვერ ჰხედავ მამანსა და სმასა ქორწილისასა, რომელ მუტრიბთა მღერა და კმა ცად გაიწევის და ყოვლისა ქუეყანისა დიდებულნი, აზნაურნი და ლაშქარნი აქა შეჯარილან? დარბაზი ასრე შეკაზმულია, და ყოველი კაცი ამას გულორთავს: სუიანცა არის სე ქორწილი, რომელ სძალი ასული არის და სიძე — ძე. აწ რა სე ზუენი ქორწილი ნახე და მუტრიბთა კმა გესმა, და სიძისა და სძლისა კება მუტრიბთაგან მოსმინე, — რად არა შეიქვე? აწ სით წამოსულ ხარ, მუნვე წაედ და ჩემითა იმედითა კულა ნუ მოხუალ, მით რომელ შენისა იმედისა კელი ჩემისა წაყვანებისათვის დია მოკლე არის. ნუცა წიგნითა და ქადილითა გუაზინებთ; თქუენი ქადილი, წიგნი და ქარი ზუენ სწორად გუიჩს. აქა რაღასა სდგახარ? ასრეა. ჩემი ძმა და ქმარი ვირო აწვე ნადირობით მოეა, ვნახავს და მე დამემდურების და შენ დაგემტერების. აღრე წადი, რომელ არცა მდურვა იყოს და არცა მტერობა. მაგრა ჩეჰაგიერ ვერე მოაკსენე მოაბადს, ვითა შენებრ ფრთხილი არაფინ ვებვის, სიბერისაგან ტუინი წავსლვია და შენისა დარჩომისა დლე გარდასრულა. დამპალო ბერო! თუმცა ყოლა ცნობა გქონდა, სიბერისა ეამსა არ სე გმარებდს, რომელ შენ ბერი გარდასრული ყრძასა ცოლსა ეცილებოდე. თუმცა კაცი იყავ, საუკუნოსა საგზალსამცა იურეოდი სიბერესა, არა ყრმასა ცოლსა. ჩემი ქმარი ვირო არის ლომი ახალმწიფული და შაპრო დედა ჩემი. მე ვირე აქა ამას თანა ვეყო, მარავი და მოაბადი გუიანად მომადონდების. ვირემდი ვირო ჩემი გუერცა მწოლია, ჩემი თავი და პატრონია, მოაბადს და მარავს გუიანად დავწნატრდებია.

ქუქუმათი: ავირე მაქუს ნაძუი ნაყოფიანი, არ ვეძებ ანწლსა მყარლსა, დამპალსა და დამწარსა“.

ღარიბობისა დამთმო მისი გული არის, ვისიცა საქმე შინათ გაუმართავ-მორკმული იყოს. მე, ვითა ჩემი სიცოცხლე, მიყუარს ჩემი ვირო, და ვითა თული, არ გამეშუების ჩემი შაპრო. ამათ დავემოჩილდები, ვითა შაქარი შეეცტებობი, არ მომინდების ღარიბობასა შიგან ბერი მოაბადო“.

რა ესე სიტყუა მოისმინა ზარდმან ვისისაგან, მასე წამსა პირი მარავისაყენ ქმნა და ცხენსა მართავი ჰქრა. ასრე ფიცხლად წაივდა, რომელ მტუერსა მისსა ნიავი ვერ მიეწევიდა. დლე და დამე იარა. ნობად მიელოდა და აგრე თქუის: ნეტარ აწ ჩემი ზარდი სად არის, ნეტარ აწ რა უქმნიო? ჰქონდა თული და ყური ზარდის გზისაყენ. ანაზად მტუერი გამონდა, გამოვიდა ზარდი მტუერისაგან. აღმფოთებული და მაშურალი. გახელბულ იყო, რომელ სიყუშტითა აესა კარვისაგან ვერ გამოარჩევიდა. მასევე წამსა მოვიდა და მოეგება ნობად ზარდსა. ეგრე არქუა: ზარდო, ლომი ხარ ანუ მელიო?

ზარდი ცხენიდალმა გარდაედა, თაყუანისცა და მას წინაშე მიწასა აკოცა; ეგრე მოაკსენა: ღმერთმან ბევრწელ გუოს, ღმრთისაგან და ბედისაგანმ ცა მხიარულნი ხართო და თქუენი მტერნი თქუენითა კრმლითა მოკლულნი და დამონებულნი! და მიწიმიცა მათსა ქუეყანასა პურ-ძვირობა და სეტყუაა; მათიმც ქარი კირისა, და მთუარე ბორორტისა, და მზე მათი სიკუდილისა, და ღრუბელი უწუბო, და მათი მიწა უნაყოფო! მივედ და ვნახე მათი ქუეყანა შემკობილი და შეკაზმული, ვითა სამოთხე, და ყოვლისა ქუეყანისა დიდებულნი ლომნი კაბუენი და მათი ცოლები, ვითა მზე და მთუარე; და სიკელუტითა მათი დარბაზი ვსრე შეკაზმული იყო, ვითა ცა მასკულავითა, და ვისი მათ შუა ჯდა დედოფალი, ვითა მასკულავითა შუა მთუარე გავსლი. ჰქონდა ქორწილი და სიხარული, რომელ ერთიცა კაცი მათსა ქუეყანასა შიგან არა იყო დაღრეჯილი, ყუელა მხიარული და მოციხარე. ამღერებდეს მუტრიბთა და მგოსანთა კმა-მალლად ჰამოითა კმითა. და მე, თქუენმან კეთილმან მზემან, მათი ქორწილი ზაუნეად მიჩნდა და მათი სიმღერა მოთქუმად და ტირილად. მისისა სიძობისაგან თქუენი სახელი და ნატრა ოდენ დაგჩრომი. და ვისის გუერდით სხუა ვინმე ზის და მისგან სხუა ვინმე გაიხარებს. რუ სთხარეთ, კირი თქუენ ნახეთ, მაგრა წყალს სხუანი ვინმე სმენო.

არაკი: „დიდი და მცირე სწორად უნს უმეცარსა, ვითა ბრმისა თუალსა დღე დაღამე სწორად არის“.

ამად უქმნია მათ ესე შეუწონელი საქმე, რომელ თქუენგანცა მათ არა შინებოდა. მაგრა ვირგინდინ მათ თქუენგან. ავი არ წაეციდების და არ გარდააყდევთ, ჩუენ მათგან აუგსა და მოყივნებასა შიგან ვართ, რომელთაცა უხუცესი და უფროსი ვიროა სირეგუნითა და ამპარბუნობითა. ევრე ჰგონია, თუ წუროლინი მთანი მე დამიბადებინარო, და მუნ თავისა სახელი შაპი უქმია, და შაპი კელმწიფესა ჰქუიანო. ზოგნი მუნებურნი თუით თქუენ არ გიცნობენ და ყოვლისა ქუეყანისა პატრონი ვირო ჰგონია, და არცა თუით სხუა კელმწიფე ჰგონია. თქუენ ზოგნი დამპალობით გიყივიან, ზოგნი მოაბადყოფილობითა.

რა ესე ამბავი მოაკესნა შაპი მოაბადს ზარდმან, გაყუითლდა პირი მეფისა და გაყურა. პირსა მისსა, ძოწისა მსგავსსა, ზაფრანის ფერი დაედვა წყრომისა და სიმძიმლისაგან; მტრობისა და ჯავრისაგან ათროლოდა, ვითა ქარისაგან ძეწნი და ვითა წყლისაგან მზისა შუქი. ჰკითხა ძმასა: ესე რომელ შიამზობ, შენ გინახავს შენისა თუალითა, ანუ ყურითა მოგისმენია სხუაგან? იგი მითხარ, რაცა გენახოს, და არ იგი, რაცა გასმოდესო.

ქუქუმათი: „ამბავი დასტურს არა ჰგავს და არცა ნახვა — საექუსა“.

„ნასმენსა ნურას მითხრობ და რაცა ცხადად გინახავს, იგი მიანბნეო“.

ძმაძან ევრე მოაკესნა: „მადლო კელმწიფეო! მე არა იგი ვარ, რომელ რაცა არ მენახოს, ზოგაკესნებდეს და ზეტსა ემოუბარობდეს. ჩემითა თუალითა მინახავს, რაც მომესვენებია, და ყურიგა ჩენითა ნასწენი თქუენგან დია დამიმალავსო. აქამდი შაპრო ჩემდ დედად მიჩნდა, და ავრეთვე ვირო ჩემად ძმად. და თუალი არ მისხენ მათნი შესახადანი, წით რომელ თქუენითა გზითა ემეტერები. თავსა და ტანსა ჩემსა სული არ მოუნდების, თუ გულსა ჩემსა თქუენი სიყუარული და მონობა მოაკლდეს. თუ მიბრძანებ და გწადიან, შემოგფიკავე ღმრთითა და მშითა თქუენითა, რომელ ქორწილი თავისა თუალითა მინახავს; მაგრა მუნ არცა მიკამია და არცა მისუამს, მით რომელ მათი აწინდელი სუმა, სიხარული და სიმღერა მე ჩემად ომად მიჩნდა; და მათი საშოთხისაგებრი შეკანბული დარბაზი მე, თქუენმან მზემან და კეთილმან, ბნელად საკნად მიჩნდა; მუტრბითა კმა წყენისაგან გინებდა უმესმარია. და მე რაცა მინახავს, იგი მომიკესნებია და თქუენ ვითაღა ბრძანოთ და; ვამოარჩოით. ჩუენ მონანი და მიწანი ვართ, მბრძანებლობისა თქუენისა მომსწენელნი და მიმყოლინი.“

რა მეორედ მოდასტურებით ესე ამბავი ესმა შაპი მოაბადს, მოემეტა ზურგსა შეკირეებისა ტუირთი ტუირთსა ზედა. ზოგჯერ, ვითა გუელი თავ-დანაყილი, ილულაქნებოდა და ზოგჯერ ტკბილისა ქურისაებრ გული აულულდებოდა.

დიდებულნი, ვინცა მას წინაშე იყვნეს, შეკირეებითა ყუელანი კბილითა ილკუნდეს და იტყოდეს: „შაპრომან ვით იკადრა ესე, რომელ ეგზომ დიდისა კელმწიფისა ცოლი სხუასა კაცსა შერთო, ანუ თუით ვირო შემართა შერთავო? სჩურჩუნიდეს ერთმანერთსა დიდებულნი.“

შეიქმნა ლაშქართა წიგან საუბრად, ვითა: აქათგან აოკრდების შაპროს, ყარანის და ვაროს სახლი, აქათგან აღარ ნათობს მათსა ქუეყანასა მზე და მთუარე. აწ ასრე მოსძულდეს შაპროს ვირო, რომელ მესისხლედ უჩნდეს, აღარა შვილადო. დაეცა თუალი ყარანისი და შაპროს სახლისა და საყოფელისაო. და ჰქონდაყე ხუაშიადი მოაბადისი დიდებულთა და იტყოდეს: არ მათი ოდენ აოკრდებოდენ სახლი და საცხოვრებელი, მაგრა მრავალი დიაცი სხუაცა დაქუირიდებინს. შაპი მოაბადის წყრომა მათ ესრე დასწუავს, რომელ მტუერი და ნაცარიცა აღარა დარჩეს მათიო. აგეთი ღრუბელი დადგეს მათსა ქუეყანასა ზედა, რომელ მისისა წყრომისა ღუარი სიკუდილი იყოს. მუნ ეტკიბან იყოლა ღმრთისა განგებისაგან მათ ზედა, ვითა: „ვამანის საქონელი — ვამანისა არისო“. ფათერაკისა წუიმა შივა მათსა ქუეყანასა. ნეტარბი ვინცა არ ახლავს მათ! მრავალი სისხლი დულს მათთა ასოთა შიგან და მრავალსა უფეთქს გულიო.

ენგუარსა რასმე უბნობდეს ერთმანერთსა თანა მოაბადის დიდებულნი და ლაშქარნი. და მოაბადის გული საგონებელისა ცეცხლითა იწოდა და ეერ დაიდგმიდა ადგილსა. და უკმნა მასვე წამსა მწიგნობარნი და გულისაგან ნაჯლისაებრი სიტყუა ამოყარა. და მიუწერა ყოვლგან ყოველთა კელმწიფეთა და დიდებულთა წიგნი, და შესჩივლა შაჰროსაგან, ვითა: რაჟღერ დათავდო შაჰრომან და ზენაირი ვატეხო.

და ვაგზაენილი წყვიდეს ქარისაგან უფიცხად ყოველგან [და იტყოდეს], ვითა: შევიყრებით, შევეკაზმებით მათ ზედა მისაელადო ტაბარისტანით, ჯორჯანით, დესტანით, ხუარაზმით, ხორასანით, ქოისტანით, სინდით, ჰინდოეთით, თობითით, ჩინით, ნაჩინით, სულდით და თურანიითაო. ამაზედა მარაგის მინდორი ესრე გაკდა ლაშქარისაგან, რომელ საუკუნოისა განკითხვისა. დღესა ჰგუანდა კაცისა სიმრავლითა და ზარითა.

ვირომ ვაიგო მოაბადის გადაწყვეტილება და რა-ც მოეზადა საომრად. მოაბადმა დიდალი ლაშქარი ვაგზაენა ვიროს წინააღმდეგ.

აჲა ომნი შაჰი მოაბადისი და ვიროსი დიადი

რა აღმოსავლეთით გამოვიდა მზე, რომლისა ვაზირია მთუარე და საჯდომი ცა, დილასა ადრე ორთავე ლაშქართა რაზმი აწყუეს და ორთა კელმწიფეთა წინაშე ორთავე ლაშქართა მოდენა დაიწყეს ომად და გასაჩუენებელად. ორგინთვე დაიწყეს ცემა ქოსა და ყურილი ბუქთა და ყურიოსტურიითა; კმა იყო, თუ სთქუა, ეშმათა კმა არისო, რომელ ვისცა იგი კმა ესმა, ყულა ერთმანერთისა დაემტერა მისითა მოსმენითა. იყო ეგეთი ზარი, რომელ ძუელნი მკუდარნი, მიწა-ქმნილიცა, ათართოდებოდეს მიწასა შიგან მათითა შიშითა.


შეუტევეს ერთმანერთსა და მათი შეტევება ჰგუანდა შემოდგომათა ქართა, რომელ ხეთაგან ფურცელთა ჩანოჰყრის. ორი ეგზომი მათისა შეტევებისაგან შეკაზმული კაცი ჩანოჰყრა და ორგინთვე ქოსი და ბუკი ამას ყურიოდა: ისწრაფეთო, ჰე სულისა წამლებელნო; იცოდა თურე ბუქმან მათი სიკუდილი, წინასევე მათ ზედა მით ტირიოდა, და გელომართა კელთა შიგან მახული კრამლები იცინოდა ელვისაებრ, მათსავე სულსა ზედა. მულოანნი მინდორთა შიგან ლომთაებრ იყენეს და მათთა შიგან ფიქვლისა ვეფხისაებრ იყენეს, და რომელიცა მათ შუა ცნობილი კაცები იყო, ომსა შიგან ივინოდა ვაზელებულ იყენეს, უცილოდ ვზაგნი და მტერიანნი იყენეს, რომელ არცა ცეცხლისაგან ეშინოდა და არცა წყლისაგან; არცა კრმლისა, შუბისა, ლახტისა და ისრისაგან, არცა ლომთა და პილოთაგან. მას ომსა შიგან ეგეთი ქაბუკები იყენეს, რომელ სახელისათვის. ტკბილნი სულნი ვაეწირნეს და სიკუდილისაგან არ ეშინოდა. აუგსა და ვატკევეს ეკრძალოდეს. ჰაერი ტყესა ჰგუანდა შუბისა და დროშისა სიმრავლითა, ქუეყანა ნაძვისა ტყესა ჰგუანდა მრავალფერისა დროშისაგან; ზოგსა ზედან ლომი ზის, ზოგსა ფარშამანგი, ზოგსა არწივი და ზოგსა ორბი. მიწა ერთობით მტერე-ქმნილ იყო, ცად ვასრულ იყო და ლაშქარსავე თაისა ჩამოსდიოდა. მრავალი ყრმა კაცი დაბერებულ იყვის და შაჰი ცხენი ვაჰარნაგებულ იყვის. ჯაბანი და გულოანი ამათ გამოჩნდებოდა, რომელ ჯაბანი დაღრეჯილ იყვის და გულოანი მხიარულ. გულოანსა პირი ბროწეულისა ყუაილსა უგუანდის და ჯაბანსა სიყუთლითა — ღრიანკალსა.

ორთავე ლაშქართა ერთმანერთსა შეუტევეს, თუ სთქუა, ორნი მთანი ბასრისანი ერთმანერთსა შეეტანესო. მათ შუა მოციქულად ქორაჟისა ისრები არწივისა ფრთოსანი, პირ-ბასრნი, მიდიოდდეს და მოდიოდდეს; ეგზომ საყუარელი მოციქულნი იყენიან, რომელ გულსა შიგან დაესობოდინან და თუალთა ზედან, სხუა ადგილი არ მოეწონებოდა, და რომელსაცა სახლსა შიგან ზის თანა მოციქული მივადოდის, მის სახლისა პატრონსა და მასპინძელსა კიდე წაიყუანდის. ასრე ვაძნელდა ომი, რომელ საუკუნო თუალად ნახეს ცხადად. ძმა ძმისაგან აბეზარ იქმნა და მას ეამსა თავისა მკლავისაგან კიდე მწე და მწეული არავინ იყო. ვისცა მკლავი ძლიერი ჰქონდა, მოიკმარა კრამლი თავისა წადილისაებრ. მეომარნი უენოთა ჰგუანდეს, ომისა ქოსისა და ბუკისა კმისაგან სხუა არა

ისმონდა. ზოგჯერ ჯაპკესა შიგან კრმალი შევიდის, ვითა წყალი, ზოგსა თუალთა შიგან ისარი შეეპარის, ვითა ძილი, ზოგსა გულსა შიგან ზუბი შეეპარის, ვითა სიყუარული; ზოგსა თავსა აფთი შევიდის, ვითა ტუჩინი, თუ სთქუა, კრმალმან იცოდა, თუ ღმერთმან სული კაცისა ტანსა შიგან სადა დაამუიდრა; მასვე კუალსა მახული შევიდის და მას კუალსაგანვე სული გამოვიდის. ღრუბელსა ჰგუანდა ლურჯსა ბასრისა კრმალი, მავარ წვიმდა და ლუარა მისი წითელი იყვის. ომსა შიგან ისარი მკერვეალსა ჰგუანდა, მკერვეალსაებრ შეაკერის კორცი უნაგირსა.

სალამომდინ გაუგრძელდა ორთავე ლაშქართა ომი. მას ომისა სიკუშირესა შიგან ერთი აუაზად იქმნა, და ერთი ველურ თხად. საყუარელისა ვისის მამა ყარან მოკლეს მტერთა მისთა და ყარანის მიდამოსა მოკლეს სხუა დიდებული ჰაბუკი ასოცდათი ვიროსი. თუ სთქუა, წუიმიდა, წუიმისა ცუარი სიკუდილი იყო. ეგზომი კაცი მოკლეს, რომელ მკუდრისა გორი გორსა ზედა იღვა და მას გარეშემო დიოდეს სისხლისა ლუარნი.

რა ვირომან ნახა მამა მისი ყარან მოკლული და ეგზომი დიდებული მისსა მიდამოსა სულ-განწირული, არქუა თავისა დიდებულთა:



ევისრამიანია.
XVII საუკუნის ხელნაწერი (S-27).

მმანო! გულთანთაგან ომსა შიგან სიზანტე, დუბჰირობა დია აუვი არის. თქუენ არა გრცხუენიან ეგზომთა ნატამალთა თქუენთაგან, რომელ დაკოცილან და მტერთა გახარებია? ყარანისაგან არა გრცხუენიან, რომელ თეთრი წუერი მისი გაწითლებულა სისხლისაგან? და ასეთი კელმწიფე ბედითად მოკლული ძეს! ეგზომთა ლაშქართა მისთაგან სისხლისა მძებნელი არკინ არის. ჩივისო მზე ჰაბუკობისა და სახელისა ძებნისა, რომელ აღარკინ სახელსა და არცკვირ ჰაბუკობასა იტებთ! მე ჯერეთ მისი სისხლი არ მიძებნია

და მტერთა ზისთა ზედა არა გამიხარებია. აწვე ზედა შეღამებულა და დაბნელები. ლაშქარნი უკუყარებინან. თქუენ დილანდლითგან დია ჰაბუკობა და ომი გარდაგიხდია და აწ შე შეუტრევებ და თქუენი გოლიათობა აწ მოიკმარეთ და მიშუელეთ მამისა ჩენისა სისხლისა ძებნასა. და ყუელა ვეშაბთა დამსგავსენით სისხლისა ძებნითა და სიგულოვნითა. ამით რომელ ჩემსა გუარსა მე არ მოეყყენებ, აწვე ჩემისა კრმლისაგან სიკუდილისა დღენთა. თუალად უზუენებ საწუთროსა და ქუეყანასა. აუგისაგან და მოაბადის დამბალისაგან დაეყსინა და ჩემისა მამისა სულსა გაეახარებ ზისითა სიკუდილითაო!

რა ესე თქუა, ერთობით მისითა დიდებულთა, მონითა და ხასაგიანითა შეუტრევა, ვითა ცეცხლი მოედვა და თავ-უწევარ ქმნა...

ვირომ უკუაქა მოაბადის ლაშქარი, ზაგრამ უკან აღარ დაუდგენა. როდესაც ვირო ბრძოლის ველზე მოსვენებული იყო, პტრის ჯარის ნაწილი უკან დაეხრა თავს. ამით ისარგებლა მოაბადმა და ალექსანდრე შეიარაღდა ვიროს სახლს, რომ ძალით წაეყვანა ვირო. მაგრამ ვერც მუქარამ და ვერც მოფეობამ ვერ გასტკრა ვიროსა და შაჰროს მოაბადის სახელის გაგონებაც არ უნდოდათ. ბოლოს მოაბადმა მიიხმთ თავის ძებნი, რამინი და ზარდი, და თათბირი გამართა, თუ როგორ მოეციკლა.

რამინ სიყნაწულითგან მიჯნური იყო ვისისი: ოდეს ორნივე ხუზისტანს იზრდებოდეს ძიძისასა, მამინ ყმაწულისავე შეყუარებოდა ვისი, მაგრამ ვერ გამოეცხადა და გულსა შინა ჰქონდა. სიყუარული მისი და სურვილი გულავისაგან გამკმარას ყანასა

პუნდა, ნაყოფისა არმოსლვისათვის იმედ-გარდაწყვეტილსა. რა მეორედ ძმისა გუერდით გორაბს მოვიდა. რამინ და ვისის სახელი ესმა, კულა მოიჭრო მისი მიჯნურობა, და ვითა გამკმარი ყანა წყლისაგან, განწყუნდა და რამინ იმედოვნად შეიქმნა ნაყოფისა ქანისათვის. დია გაუყვდა გული და დაბერებული სიყუარული ვისისათვის, გაუახლდა მიჯნურობა რამინს. ვერცაღა ენაზან დაუთმო უთქუმელობა და ფიცხელი სიტყუა მოაკუნა ძმისა მისსა შაჰი მოაბაღს.

არაკი: „ვისსა გულსა შინა სიყუარულისა ცეცხლი ეგზებოდეს, ველარცა ენასა დაბაჰს, წასძლევს სათქუმელად. გამოუცხადა ენაზან საპატიმრობისაგან ზუაშიადი. პატრონისა უნებლიე ღმერთმან ნუეინ ვახადოს, ამით რომელ დიდი აუგი ჰრათაჲს ამას. ენისა შემნახავი გული და საწუნელი სიტყუა უგულოდ არ ითქუმის“.

რა რამინს გული აღუდღა ვისის სიყუარულისაგან, კუშტად ეგრე მოაკუნა ძმისა მოაბაღს: ჰე კელმწიფთო! რად იქირვი ეგზომსა ვისის ძებნისათვის? ნუ წააგებ საკურკლესა უსაქმოდ ცულისა საქმისათვის, ამით რომელ დიღსა ჰირსა ჰნახე და ჰაშტასა საკურკლესა უსაქმოდ გაანკრევო.

არაკი: „რაცა მლაშესა ადგილსა დასთესო, თესლისაგანცა უნაწილო დარჩე და ნაყოფისაგანცა“. ვერცა ოდეს ვისის შენ შეუყუარდე და არცა შენსა საქმესა წაღმართი ჰქონდესო.

შეგონება: „თულსა პატიოსანსა ეძებდე, რაზომცა დიდად სძებნო, ვერ ჰპოებ, თუ ადგილსა მისსა არ მიხუიდე“.

აწ ვითა ეძებ სიყუარულსა და ნზახობასა მისისა შეილისაგან, რომლისა ნამა შენ მოგიკლავს? არცა შემინდების ეისი ლაშქრისა სიმრავლისაგან და არცა მოლორდების თუალითა და მარგალიტითა და სამკაულითა. დიღითა ჰირითა ჰპოო ეისი შენ. მაგრა, მისგან ჰირი რომელ შენ ნახო, ვერ ვასძლო. რა თავისა სხლსა შიგან მტერი გიჯდეს, ვითამცა საეკლესა შიგან გუელი გიზის. წყალი თუ გარეთ შემოგივიდეს, მისი რგება ეგების; მაგრა თუ შინათ აღმოჰკდეს, მისი რგება აღარ არის. უარესი საქმე შენი და ვისისი ესე არის, რომელ შენ ბერი ხარ, და იგი ყრმა. თუ ცოლსა შეირთავ, სხუა ვინმე შეირთე. ყრმისათვის ყრმა თქუმულა და ბერისათვის ბერი. ვითა ბერსა ყრმა მოუდების, აგრევე ყრმასა ყრმა მოუდებისა.

არაკი: „შენ სთუელი ხარ და ვისი გაზაფხული, და თქუენი ერთგან შეყრა ძნელი საქმეა. თუ მისად უნებლად მის გუერდით სჯდე, გულსა ჩაითხარ, რომელ მისგან სიხარულსა ვერა ჰნახე, მიწყე თავისა საქმისაგან ინანდე. თუ გახლვიდეს, ჰირსა და ბოროტსა მისსა ვერ გაუძლებდე, და თუ გზორვიდეს და კიდეგან იყო, არცა მისი ღონე და გაძლება ჰქონდესო“.

შეგონება: „სიყუარულისა არაკი ზღუისა მსგავსია. მისი ძირი და ნაპირი არა ჩანს. თუ გწადდეს, ზღუასა ადვილად შეხუალ. მაგრა თუ აღარა გწადდეს, ძნელად დაეკუნება“.

ჰე ქუმათი-შეგონება: „აწ შენისა თავისათვის შენ ავეთსა სიყუარულსა ეძებ დღეს, რომელ ხვალე შენთვის ფათერაკად მოჰხდების. და თუ იცი, რომელ მე მართალსა ვიტყუი, ამა ჩემისა ნათქუამისაგან შენსა სარგებელსა ვეძებ, — მოისმინე ჩემგან ესე შეგონება. და თუ არა მოისმენ, შენ შენთვის იქმ ზიანსა“.

მოაბაღმან რა რამინისაგან ესე სიტყუა მოისმინა და შეგონება, ემწარა სნულები-საებრ. იყო ხელი მიჯნურობისაგან, რომელ პირსა შიგან შაქარი ემწარებოდა. თუცა რამინის მტნება სიყუარულისა წამლი იყო, შაქანშას მისისა შეგონებისაგან სიყუარული მოემატა. „მიჯნურობითა გატენილი გული შეგონებასა არა მოისმენს, ფათერაკი ღბინად უჩს ნებისა ძებნასა შინა. რა კაცსა უყუარდეს ვინმე, რაზომცა ეინ აძლევდბდეს, უფრო და უფრო შეუყუარდების. ვითა დაბერებითა გუელი ვეშად შეიქმნების, აგრევე მიჯნურობა რა გაზანთერდეს, გაძნელდების. კაცთა ყუედრება თუ მახვილიცა კრმალი იყოს, კაცი მიჯნური ფარად ღუიძლსა მიუპყრობს; თუ მიჯნურობასა ზუდა შევი ღრუბელი

დგეს, თავსა მისსა ყუედრებით ქვა წუთმდეს, არცა მაშინ შეშინდების მიჯნური. ყოველსა საქმესა შიგან კაცსა ზიანი დაუძიმდების, მაჰრა მიჯნურობისაგან გაეხარების. რაზომცა აუვი უთხრან მიჯნურსა მიჯნურისა, მიჯნურობასა მისისა გულისაგან ვერცა ვგრე აღ-წიოლებენ. არ უადა მიჯნურსა კაცსა ყუედრება. ვინცა მიჯნური არაა, არცა კაცია“.

მოაბადის გული ასრე აესილ იყო ვისის სიყუარულითა, რომელ რამინის შეგონება მაშინად უნდა. მაღვით მორგესა ძმისა ზარდსა ჰკითხა: ძებნე, თუ ღონე ჩემი რა არის ვინის მოყვლებისათვის, რა გქმნა, რომელ ჩემი გულისა-ნება ვპოო და სახელიცა ჩემი არ წაქდეს, თუ უვისოც ამა ციხისაგან გარეშევიქცევი, მოყვიენდები ამა ქუეყანასა შიგან და საარაკოდ გაეხდებიო.

ძმაშან ზარდნიან ვგრე მოაკსენა: ჰე კელნწიფეო, ღონე ესეა, რომელ დიადი საქონელი, ოქრო, საქაული და ყუელასთანა შაპროს გაუგზავნე და საქონლითა მოაღორე და სხუადა ურიცხუი უქადე და ენითა ჰამოითა მით საუკუნოითაცა შეაშინე და ვგრე უთხარ: მაპრო, იცოდი, რომელ საუკუნო არის სამეყიდრო კაცისა და მის საუკუნოსა განითხუა ემნებლის, რაცა ვის აქა ავი ემნას. შენ ღმერთსა რას პასუხს გასცემ, თუ შეცოდებული იყო და ზენაარისა გამტებელი? თუ ღმერთთან გკითხოს თუ: ჩემი ღმრთიება შეტვიცე ზაბადს და გაუტეხე ფიცო, — რას პასუხს გასცემ? მაშინ არ გაწბილებული დარჩები ღმრთისა წინაშე? არცაღა შეილი მოგეკარების და არცაეინ სხუა. თქუა: ესეგუარო სიტყუა შეეთუალე! ფრთხილნიცა მოღორდებიან ოქროითა და ტკბილისა სიტყუითა.

იამა საუბარი ზარდისი შაჰინშასა და მასვე წამსა უქმო მწიგნობარი და მიუწერა შაპროს წიგნი. ნრავალდერი ქება შეასხა და საღორებელი სიტყუა მიუწერა... [და] ეგზონის საქონელი გაუკზავნა შაპროს, რომელ თუით კაცისა ენისაგან არ ითქუმის...

რა შაპრო ნახა ეგზომი თუალ-მარგალიტი, ოქრო და ყუელასთანა საკელმწიფო ძღუენი, და ეგზომ ნრავლად კიდებულნი აქლემნი და ჯორნი ღარითა, მარგალისაებრ ცნობა წაუთიდა და დაეფიყდა ძეუა და ასულიცა: რა შეღამდა, ციხისა კარი გააღო და ელვარე მთუარე მოაბადს კელთა მისცა, ღმრთისაგანცა შეეშინდა და ნოაბადისა წიგნი-საგანცა ბუნება მოექცა. მას ციხესა ზედა დაიწყო საწუთროლად ქცევა ჰაერმან. შაპროს ესწავლა ეტლთაგან წამსა და წამსა სხუაებრად ქცევა. რა კარი გააღო ციხისა, ნოაბადს ელი კელთა მისცა, სიბნელითა წეროის ფერად შავი იყო. მოყუარულთა გაყრა დაიწერა. ცასა ზედა მთუარე და მასკულაენი აღარა ჩნდეს, ქუეყანა ღილის ფერად ეწილი იყო, ცა შავსა ფარდაგსა ჰგუნდა, მთუარისა საფარად ამოკრულსა; ჰაერმან, თუ სთქუა, საგლოელი შეინოსა მისისა საქმისაუთის; მხეშან და მთუარემან თავისა ღაშკრითა დასაეღვრათსაჲ ილაშქრეს და მუნვე დაიშალნეს და უჩინო იქნენ...

მოაბადს თრევი გამოყვანა ვსი ცხიდან და

მასვე წამსა წესუა კუბოსა და გამოემართა ესრე ფიცხლა, რომელ ვერცა ქარი ეწეოდა. კუბოისა მიდამო ექირა ხასაგინთა ხოჯათა. სცემდეს ბუქთა და ქოსთა და მიჰმართეს ხორასანს, მარავს ჰალაქსა, სამეყოფსა შაჰი მოაბადისასა. ესრე მხიარულად იყო მოაბად, ვითარ მშინდრმან ღონენ კანჯრისა ჯოგი დანახოს, ანუ ვითარ გლახამან კაც-მან საქურკლე პოოს და სიხარულსა მართალ იყოს; რათგან მისი ნანადირები ქუეყანასა ზედა ციხა მხისაგან უკეკლესე იყო, კამდა მისთვის ღიდის კირის ნახვა, ამით, რომელ ანანდელ შეენებისა საქურკლე პოე და მამიგან მოციხნარე იავუნდი.

რა ვირომან ცნა მოაბადის საქმე და ცოლისა მისისა მისგან წაგურა, საყლონი გარდაივლეზნა, თავსა კელნი იკრნა და უტნობო იქმნა. რა ბუნებად მოვიდა, მასვე წამსა შეპოქცა თერაშით. რა შან მოვიდა, შაჰინშა წარსულ იყო და ღონითა ცოლი მისი მას წაეყვანა, ასი ათასი თუალი პატროსანი დაეგდო და მისად ნატულად ფას-დაუღებელი თუალი წაეყვანა; შაპროს ზენარო გაეტყუა და არა შეებრალემბოდა ვიროის საქმე. და ვიროს ნგზნარე ცეცხლი მოედგა ვულსა, და, თუცა ვერას ჰქადრებდა დედასა, უწყრებოდა, და ემდერეოდა დასცა...

რამინისაბან ვისისთვის ბაიჯუნობა

ზევიდოდეს მოაბად და მისნი ძმანი და ლაშქარნი და ვისის კუბოსა ხოჯანი მძკუებოდეს. ანახლად ღმრთისა განგებისაგან აღგა დიდი ქარი და მოკვლიჯა კუბოსა სახურაჲი ფარდაგი. თუ სთქუა, ღრუბლისაგან ელვა გამოჩნდა ანუ ანახლად მზე ამოვიდა: გამოჩნდა ვისის პირი; და მისისა გამოჩენისაგან დატყუებდა რამინის გული. თუ სთქუა, გრძნულმან ზოწამლა რამან, რომელ ერთითა ნახუითა სულთა წაულო.

რა რამინ ვისის პირი ნახა, ვითამეა გულსა უტევანი ისარი სცემოდა, ცხენისაგან ფურცელის ოდნად სუბუქად ჩამოიქრა. მოედვა მიჯნურობასა ცეცხლი გულსა, დაუწუა ტუინი და გონება წაულო, წაშა თუალისასა დაუშვიდრა მიჯნურობა, წაულო სიყუარულმან სული, გული. ნასისა მიჯნურობისაგან ხე ესეთი გამოვიდა, რომლისა ნაყოფი ველად გაჭრა და გახელება იყო. და რა ცხენისაგან ჩამოიქრა, დაბნდა და დიდხან უკუოდ იდგა. პირი მისი, ვარდისა მსგავსი, ზოფრანად გარდაეჭვა და ბაგი, წითლისა იაუნდისა მსგავსი, ცის-ფერად შეექმნა; სიცოცხლისაგან უიმედო იქმნა. ეინცა დიდებულნი და მოყმენი იაზღნეს, ქუეთინი და ცხენოსანნი, მოეხუივნეს რამინს, ზედაუჭურეტდეს და ვერაჲინ შეატყუა, თუ ესრე უვრძნულოდ რა წაეკიდაო. მისისა ასრე გასლვისათუის ყოველი კაცი ტიროდა და მასისა კირისათუის ყუელა მისგან უძნელე იყო.

რა დიდხან აგრე უსულო-ქმნილი იდგა, არცა ყოილი შეესმოდა, არცა სურნელთა კუმევა და ვარდის წყლის სხმა ერგებოდა. მერზე შეიწყალა ღმერთმან და ცოტად ცნობად მოვიდა, და ენისა კმარებისა ძალი არა ჰქონდა და ცრემლი სდიოლეს. მერმე კელი უუვიელო და კაცთა სირცხულითა კუნესა დაიწყო. მოახლე-მნახავსა ყუელასა ასრე ეგონა, უღონოდ შტეროანი იყო რანინ და აწ მტერმან დასცაო. რა კულა რანინ ცხენსა შეჯდა, შეტისა გონებისაგან ებნელებოდა ნათელი დღე. გზა-გზა მივიდოდა, ხელი ვითა, გული მისი ეშპაკსა ეხუთა და თუალნი მისნი ვისის კუბოსაკენ დაჩრომილ იყვნეს, ვითა შპარაჲი, რომელ მაწუითა უკეთესსა ლარსა უშებრდეს. სულთნით ცრემლიანი ამას იტყოდა: ნეტარაჲი ჩემთვის, თუცა ერთელ კულა ენახე მისი პირი, და ანუმა ღონე იყო, მიკუბობდა მისი ამასა გზასა მე რომაუდებოდა; ამა იქმნებოდაცა და ერთელ ჩემი კუნესა ესმა და წამსა შემოიქრნა თუალნი და შემომხედნამცა; ამა იქმნებოდაცა და მწე ეინ შემექმნებოდა მადლისა შებნელი, და წურილად ჩემი საქმე ვისისა გააგონა და სალამი ჩემი ნას მოაკსენა; ამა იქმნებოდაცა და სიზმრად ვეჩუენე და კალა ჩემი, ჩემისა სისხლისაგან შეღებული, ნახა, ნუთუმეა მავარი გული მისი ჩემთვის მორელება და ჩემისა მიჯნურობისა ცეცხლსა ზედა მორეტუა; ამა იქმნებოდაცა და იგიცა ჩემებრ გამოჯნურდებოდა და ზე, ვითა მისისა სიყუარულისაგან ვარი, იგიცა ნახეერად ჩემთვის იყოს. ნუთუ რა მიჯნურობისა კაშნიგი ნახოს, არ უწყალოდ ამპარტაინ შექმნასო.

ხოჯარ რანინ ვსრუტარსა იგონებდეს და ზოჯარ სულდადებული დაღრუჯით იყვის თავ-ჩამოვდებით, და დათმობა გამოარჩივის და ეგრე თქუის: ევაი, გულა ჩემო, რა წაგეკიდა, რასა მოედები და უსარგებლოსა ნატრისაგან პატრისა იმეტებ? რასა მოელი, ანუ ეგზონსა რას იქარევი მის მთუარისა სიყუარულისათუის, რომელსა ყოლა შენ არ მოგონები? რად მოელი ვისის შეყარასა? მუნით აქამდინ კორკიელი მხესა თანა ვინ შეყრილაო? რად უმეტრულად იმედიანი ხარ მისგან, რომლისაგან ლხინის საეკუთ ყოლა არა გაქუსა?

არაკი: „შენ გწყურიან და წყლისა მძებნელი ხარ, მავრა რას გერგების, რათგან კმელსა ნინდორსა შიგან ხარ. შე-მცა-ებრალები შენსა დამბადებელსა, მით რომელ დიდად ძნელად არის შენი საქმეო.“

რა კარგად მავრად დებდა რამინ მიჯნურობისა ბადესა და გაედა უიმედოდ გულგატებილი და გულწყლული, არცა თავისა ნებისა ძებნა შეეძლო და არცა დათმობისაგან კრე სხუა ღონე იცოდა. უნდოდა თუ არა, გული დადვა და მგზავრობა დაიწყო მათვე ანა უნებლიე, და მუნ ყოფისაგან აპის მეტი სარგებელი არ მიპხედის, რომელ ხანდა-

ხან ვისის კუმბასგან სულნელი სული ეცნოდის, თუცა სული და გული მისი ვისის პირი იყო, და იგი მისისა კუმბისა ქურეთითა დაჯერებულ იყო.

შეგონება: „მიჯნურობისაგან უარესი არა არს საქმე, მიჯნურისაგან უფრო საბრალო არავინ არის! თუ კაცსა გააცხროვებს, მისად ნახვად მივლენ და ვაცხროვებისაგან მისსა სიყუდილსა იმეფიან, და მიჯნურისა გული წელიწადითა წელიწადამდის ცეცხლსა შიგან-იწუნს და მისად კითხვად არაკვიან [მიფა და არაკვიან] გაიკვირვის. ჰე ცნობილო! ამის უფრო უსანარლო რა ეგების, რომელ მიჯნურსა კაცსა მიჯნურობისაგან წაეკილები? სჯობს თუ ყოველსა კაცსა მიჯნური ებრალებოდეს, მით რომელ დაუშრეტელი ცეცხლი ეგების გულსა“.

არაკი: „მიჯნურსა ეჩრად ესე ეყოფის, რომელ მიწვით ქირსა შიგან არის და მოყუარისა ნატრასა; ნიადაგ ხუაშიადსა გულსა შიგან შენახვა უნდა, ვერვის გლახ მიანდობს თავის გულისა სიტყუასა“.

ვითა იყო სიყუარულისა მომპატებელი რამინ, ეგრე ჰგუნდა ქორის ქანგთა შიგან მყოფსა ზურგდაყოლილსა კაკასსა, არცა ცოცხალი იყო და არცა მკუდარი. სახე ოდენ იყო, უსულოდ მიმავალი, მთისა ოდენისა ტანისაგან ნიშანი ოდენლა დარჩომილ იყო და ნაძვისა ნაქუთიანობისაგან — მშუოდლი. ამა ულხინობითა და შეკირეებითა, რომელ მითქუამს, მომგზავრა და ერთობით გზა მისი საყნად უჩნდა.

მოაბადმა ვისი ნარავს მიიყვანა. ქალკი ზემით შევხდა მათ შემოსვლას. მოაბადი ღიდად მხიარულობდა, ვისი კი დიდებრილი იჯდა სადგეოდლოსა შინა და მდულარე ცრემლებით ტიროდა დედისაგან მომორებისა და ვიროს სიყვარულისათვის. მასხე ვერ იმოქმედა შაჰი მოაბადის ალერსმა ვისიმ არცა სიტუა თუით თქვის და არცა პასუხი გასცის, ვინცა რას ეუბნებოდის. თუ სიტუა, წამას გულსა მისსა შიგან შეპირებისა ჰარავანი მოვიდის. სიშკლითა ნემსისაებრ გაწულილდა და შეკირეებითა ზაფრანისებრ გაყუითლდა.

ამ დროს ვისისთან მოვდა მისი აღმზრდელი ძიძა, რომელსაც ვისი განუცხადებ, თუ ის მას არ დანდნის ამ დღეობარეობიდან, თავს მოიკლავს. ძიძა ამზვიდებს და უბნება:

თუ ერთი დრანა დაეკირავეს, ნაცულად ღმერთსა თუალი პატროსანი მოუცემდა. და თუ ვიროსაგან მოწყუეტელი ხარ, ესეთისა დიდისა კელწიფისად შეერთებულ ხარ. ძიძანან თუ ვერ გიშველა, ღმერთი მეშულად გეყოფის და ბედი ძმად. თუ საწუთრომან ერთი ვეცხლისა ვაშლი წაგილო, ნაცულად ოქროისა თურინჯი მოგცა. ცოტა კარი დაგიკეში ღმერთმან, დიდი გაგილო; და ზეთისა ბაზმა თუ წაგილო, ცუილისა სანთელი მოგცა. რა უქმნია შენთვის საწუთროსა ესეთი, რომლისათვის ეგზომი ტირილი გინდეს? ღმერთისაგან უმადლობა არა გვანს, ამით რომელ ვინცა ღმერთსა არ ჰმადლობს, სინანულად შეექმნების. დღესა ეამი შენისა სიხარულისა არს, არა ტირილისა და გლოვისა. აწ თუ მოისმენ, მიწისაგან ზე აღდეგ და სადგეოდლო ტანისამოსი შეიმოსე, და შენი შესაფერი ოქროისა გურიგუინი დაიდგი თავსა და შეკაზმე ნიხისა მსგავსი პირი შენი და შეამკვე დარბაზი შენითა პირითა და სადგეოდლო წალკოტად შექმენ; შაქრისა მსგავსითა ენითა საუბარი დაიწყე და ვარდისა თერიითა ბავითა ნადიმი გარდიკადე; ვიშრისა თერიითა თუალითა გული წაულე შედაეთა და მოაბადს ჰამოითა კოცნითა გული გაუმხიარულე. ელვართითა პირითა შენითა ღამე დღედ შექმენ და გრძნეულნი თავისა შენისა თითთა შეკარნ; ნუ მოშურნედ გაკადე, შენისა სიკულისა შაქრისა სიტუა გაბედიეთე და თითთა შენითა ამბარი უპაიოდ გაკადე; მამათა გული დედათათვის გააკადე და ღონათა პირი შენისა მოჯნურობისათვის გააყუითლ! თავისი ტანისამოსი თუ ტანსა შეიმოსო, ასრე იქმნები, ვითა მოიქცნებები და უკეთეცა. შენ ყოველთა კეკლუტთა გააწბილებ, ყოველთა დაღრჯილთა გაამხიარულებ, რა შეეკაზმა. სიყრმე გაქუს, სიკეთე, სიკეკლუტე და გუარიანობა. ამის მეტი, რომელ ღმერთსა მოუცემა, რასალა ექმენ?

შეგონება: „ღმერთისა განგებასა ნუეინ ემკლავების, ამით რომელ მოწვეწანასა ვერვინ შეაქცევს.“

„არცა შენისა ზახილისაგან შეშინდების განგება და არცა მოწვენადი აკედების. აწ ეგზომისა ბედიძისა რას იზახი და თუალთაგან ცულად შეუშრობელსა ცრემლსა იდენო?“

ძიძამან ესე მრავალგზარად რამე შეაგონა და ექენა ვისის. გარნა მას ძიძისა შეგონება და ქარი სწორად ესმოდა...

დასე საუბარს ხშირად უმართავდა ძიძა ვისის, რაჟი ვისის გული უკვალა, მას

ამა და მთუწონა ველსა შიგან, და აღარცა ძიძისა დაამძიმა მოუსვენლობითა. მშინვე ნაქრისაგან ზე ადგა, აბანოსა შევიდა. ძიძამან კაზმა დაუწყო, დაბანა თავი და ტანნი; პირსა ზედა შეკაზმა, სათნენი შეუყარნა ფას-დაუღებელნი, სამკაულითა თუალითა პატრონისთა შეკაზმული სამისო შესამოსელი შექმნა ტანსა. სურნელნი უკუშა, შეულოცა სათუალენი სიტყუანი და შეხერა. ძიძა ვითარცა კვაზმიდა, ვისი ამაშიგან ტეროდის, მოსთქმედილს...

რა ამა ტირილითა დაშურა და მორეწყენარდა, სული დაილო, ესრე დაშუნდა, რომელ რაზომცა ვინ ბრძენი და გონიერი იყოს, ნასალსაცა ქებასა მისსა ვერ მიჰხუდებინს. ესრე კეკლუცი იყო, რომელ, თუ მლაშითა წყლითა პირი დაიბანის, მასვე წაწსა მას მინდამოსა მიწისაგან საშაქრე ლერწამი ამოვიდის. და თუ ამარტა დაწუთა და ბაგეთა მოსდვის ვინ, მაშინვე წითლად იაგუნდალ შექნის. და თუ მკუდარსა, მიწა-ქმნილსა სამარესა ზედა დაჰყივლის, მანცა პასუხი გასცის. რაზომცა კეკლუცი და საჭებარნი მისად ნახვად მოვიდიან, მთუარესა ჰგუანდის იგი და მოსულნი მას თანა — მასკულავთა. ჰშუნებოდა ყელუჯური სამკაულიანი და თუით შეუნოდა ერთობით უებროდ, ეითა ჩინური სახე ოქსინოსა შიგან.

მოაბადნი ვისი რომ კარგად მორთული ნახა, ნასომოგენაი დარჩა. დიდძალი საბჭრები და მონაძეულები გაუგზავნა, მაგრამ ვისი მინც დაღერეშილი იყო და ძიძის სთხოვა: გააქუე თიღისა, შეულოცე და მოაბადს კაცობა წაართვი, რომ ერთი წლის განმავლობაში, სანამ მამას გამოვიგლოდე, ვერ მომეკაროსო. ძიძამ ვისის სურვილის დასაკმაყოფილებლად

სამილენძი და რეალი მობილო და გრძნებითა რაითმე ტრისში შექენა ორი: მოაბადის სახე და ერთი ვისისი; შეულოცა რამე და რკინითა ერთმანერთსა ზედა ნაგრად შეაქუნდა. ძიძა მაგალითად გრძნეული იყო და ესე ორი ჩხიმი ასრე ვითამე შექენილი იყო, რომელ ვირემცა იგი ერთგან დაჭედილი იყვნენ, მოაბად ვისსა ზედან შეკრული იყოს, და, თუ ვინ გაესნიდა, მასვე წაწსა გაიკსნებოდა.

რა ძიძამან ესე საქმე დაიურვა, წავიდა დილასა ადრე ცისკრისა ენსა და წყლისა პირსა ჩაფლა. შემოიქცა, და ვისის უჩუენა იგი ადგბლი და ასწავლა, თუ სად დაეფლა...

აწ ნახე, ღმრთისა განგებამან ან ქმნა, შექარსა ზედა სამსალა ვითა მოაყარა. ამა მათა პაემანამდის ერთსა დღესა ამოვიდა ზღუისაგან შავი ღრუბელი და ესეთი წუმიბა მოვიდა, რომელ ყოველი მინდორი ღუარითა აივსოდა მარავისა წყალსა გეონისა წყლისა ოდენი მოემატა. და არ დარჩა ერთი ბაღ-ვენახი, არცა სხუა ნაშენები წაუღებელი; და ქალაქისა ნახევარი წაილო, ააოკრა და იგი. ადგილი, რომელ ძიძასა დაესწავლა, დათხარა და წაილო ტრისში მოაბადისა. და დარჩა გლახ უკუნისამდის მოაბად შეკრული!..

ნახე, თუ საწუთრომან ვისსა ზედა რა ქმნა: გაზარდა ნებერად, აუგსა აკრძალა სხელი მისი. ნაკუთად ნაძვისს მსგავსი [იყო], გაესებული მთუარე მისი მსახური იყო, აუყუდა პირსა ზედა ვარდი, მოიწიფა სრულად და უკლებლად; გარნა ბოლოსა რა წაეკიდა შაპი მოაბადს, ძიძასა და რამინს თანა, რომელ, რა მიჯნურმან მისი ამბავი ცნას, თუალთაგან სისხლისა ცრემლსა იღენს! არავის ასმია მიჯნურისა ეგზომი ქარი და სხუდასხუა მიზეზი.

ვისის სიყვარულისაგან რაჟინს მოსვენება არ ჰქონდა.

ზოგჯერ შაპინშას ბალსა შევიდის, ბრუნვიდის, და ყოველნი ხენი მოწამედ დაიყენის და ეგრე უთხრის: ჰე ყოველიო ხენი! მოწამენი იყავით ჩემნი, ასრე მტირალი მნახეთ. რა მზიარული ვისი აქ იყოს, მას მოაკსენეთ, ნუთუ გული მისი უსამართლოისა ქმნისაგან განსწმიდოთ! ზოგჯერ იადონთა ეუბნებოდის და ერჩოდის მრავლითა საყუედურითა და ეგრე უთხრის: თქუენზედა რა მოსრულა ქუეყანასა ზედა ეგზომი ავი, რომლისათვის თქუენ ეგზომსა იზახით? რა წაგკიდებია, თქუენთა მოყუარეთა გუერდით შტოთა ზედა სხედთ, არ ჩემებრ ამორავთ და გამტერებულ ხართ საბრალოდ!

არაკი: „თუ ათასფერი წალკოტი და სიმბარულე გაქუს, მე გულსა ზედა ათასფერი დალი მაქუს. რათგან თქვენ მოყუარეთა გუერდით ისრე იზახით და კუნესით საბრალოდ, მე რაღა ვქნა, რომელ არცა ნახვისა მოლოდნა მაქუს! მე მშუენის ცამსა და უტამოსა კუნესა და ზახალი, ამით რომელ ჩემზან სულისა წამლებელმან ჩემი კირა არცისო.“

ესგუარასა რასმე ეუბნებოდის და იარებოდის მას ეენახსა შიგან თვალცრენლიანბა და გულდადალული.

ერთ დღეს რამინი ბადში ვაიცნობს ვისის ძიძას. გაუმღავენებს მას ყველაფერს და სთხოვს დახმარებას, მაგრამ ცბიერი ძიძა განგებ უარზე არის, რასად შენ მთხოვ და ოცნებობ, მასი აღსრულება შეუძლებელია. „შენ მას მაწინ შეუყუარდე და მოსი ველი მაწინა ქაო, ოდესცა ფიქუსა ხისა შტოსა ხურამა გაქოუსან“. ამიტომ „ეჟე გიჯობს, რომელ გულისაგან კიდევან-ქმნა ევე საქმე ამით, რომელ ცუდიოდენ ნატრა დაგრეების“-ო ჰავრამ რამინის დიდი მუდარის შემდეგ, ძიძა დათანხმდება საქმეში ჩარევას, და უბნება: აქ ბაღში მულოდე ამისა გასჯეზადო. ამის შემდეგ ძიძა ცბიერად ანუგეგმებს თვისს:

თუ ერთი სიბარული და ნება წავიდო საწუთრომან, ათასი უქეთესი გავისრულა. შენ ყმა-კეკლუცი და კელმწიფე ხარ და კელმწიფობითა ყოველსა ქუეყანასა ზედა ბრძანება გაგივა. ნუ გასწირავ ერთობით სხნარულსა და ნუ ჩაიგდებ ცუდსა კირსა შიგან გონებასა. რაცა ქუეყანასა შიგან ყმა კაცი, ყველა თავის თავისა ნებისა და გამოსუნებისა მტებელია: ზოგისა სხუა ფერია და ზოგსა სხუა საქმე სკირს, ამით გაიხარებდენ. ზოგსა ვისმე ლაშქარი უყუარს, ზოგსა ცოლი და სახლი და ზოგსა მონები დაჯაზმულები, ზოგსა მოწიფებული ქალი. აგრევე რანიცა დარდაგსა შიგან მუაფინა, კელმწიფეთა ცოლნი და ასულნი და აგრევე დიდებულთანი, მრავალეგრითა საქმითა თარებენ. რაზომცა კეკლუცი და კელმწიფე ქმრები უეის, მალვით ეგრეცა მიჯნურობენ და სხუანი შეუყუარდებიან. შენ ოდენ დღე და ღამე იჭირვი და თავსა მოიკლავ ცუდად, ვიროსგან კიდე არცათინ მოგეცონების და არცა მოგინდების. იგი თუცა კელმწიფე და კელმწიფისა შვილია, ანგელოზი არაა, სამოთხესა შიგან გაზრდილი... ღმერთმან იცის, მარავს შიგან კეკლუცი მოსმე კაცები, მზისა წსავესი, დიდად მინახავს, რომელ კაცისა თუალსა მათისა კურეთისაგან ვერ ვაძღების... რა შემტყუე კაცი ამით ნახავს, ვიროსაგან ყველა უფრო მოწიფების, და მათ შუა თუთი რომელი ერთი არის ლომი ჰამელი, რომელ კაცისა გონება მისსა ქებასა, ვითა მარტომს, ევრე ვერ მიაგნებს. ვითამცა იგი სხუანი მასკულაენია, და თვი მთუარე; და იგი სხუანი ვითამცა კენქნია, და იგი იავუნდი. ესრე ჩანს მათ თანა გუარად ადამისითგან კელმწიფე მოაბადის საყუარელი ძმა, სუიანი და ბედნიერი, სახელად რამინ ჰქვიან, მიწასა ზედა ანგელოზი და ომსა შიგან დევი. სახედ ვიროს დია ჰვავს. ყოველი კაცი და აქაური დედანი მისნი მიჯნურნი არიან, ყოველი გულთანნი ჰამელი მას აქებს და მოედანსა შიგან მას ეერაზინ აჯობებს. ერანსა შიგან მისებრი ცხნოსანი არ არის შეენებითა. შენითა თმასა ვააპობს. თერკეთს და ხორასანს მისებრი მშულოდოსანი არ არის, მისითა მბრძანებლობითა მრავალი ფრინველი უსლომი იქმნების, ბრძოლითა, ვითა ლომი განწურალი და ვაქეითა, ვითა მისისა წუიმა, ეგზომითა კარკითა ზნითა, რომელ მას სკირს, გულსა ზედა იგავე დალი აზის, რომელ გულჩიულობით შენვე გვავს. ჰე სანატრელო, საყუარელო ყოვლესა კაცისაო, თუ სთქუა, ერთი ვაშლი ორად გაყოფილნი ხართ. ნახე, თუ შენ ვითა ხარ, იგიცა აგრეა. შეჭირვებისაგან თმასა ჰვავს, ოქროთა შედებულსა. მას შენი პირი უნახავს და გაიჯნურებულა შენთუის და შენისა სიყუარულისა იმედსა იმანგან. მისნი შენიერენი ნარგისისა მსგავსნი თუალნი დღე და ღამე ღრუბლისაგებ წუი-მან, პირი მისნი, რომელ მთუარასებრ ელვარე არის, უგულოებისა და კირისაგან მზისფერად შექმნია. გულსა მისსა მიჯნურობისა კირი დიდად უნახავს და სამსალისაგებ სიყუარულისა სასდველი დიდად უსლავს. შენ მებრალგები მიჯნურობისაგან და იგი მით, რომელ კეკლუცი პირა კირსა შიგან ყოველსა კაცსა ეწყალვის. თქვენ ორნივე მინახავთ მიჯნურნი, ნებისაგან მოშორებულნი, ორნივე უგულონი და ორნივე ულხინონია.

რა ვისმან მოისმინა ძიძასაგან ესე ბედითი საუბარი, დიდხან პასუხი არ გამოცა და საწინელითა ცრემლითა ატირდა. ძიძისა სირცხუილისაგან თავი მოიდრიაკა...

და დიდხანს უარზე იყო, გაგონებაც არ უნდოდა ძიძის მაჭანკლობისა, მაგრამ როდესაც ძიძამ უთხრა: ესე კელმწიფეთა და დიდებულთა ცოლები ნახე, ყველა შიარულობს და ყულასა მალვითა მოყვარე უეის, ყველა ცხადად და მალვით გაიხარებს, და შენ მიწყით სტირი და ბედსა უჩივი. ანაზღველად სიხარე მოაქსწრების და სიყმისა სიხარულისაგან უწილო დარჩები. არცა ქუა ხარ და არცა რკინა, ეგზომსა გირსა ვით გაძღვება-ო. გული მოუღბო მის და რამინს მოუწადიარა ის. ერთხელ მოაბადმა წვეულება გამართა სასახლეში. მისი ძმა რამინიც იქ იყო. ძიძ.მ ისარგებლა ამ შემთხვევით, სარკმლიდან დაანახა ვისის რამინი და ეგრე უთხრა:

«ქე თუალთა ჩემთა სინათლეო! ნახეცა ვინ რამინს უკველუცესი ლაშქართა შიგან? მიბრძანე, შენსა შხესა, არ წყლიანი და უმიზეზოა? არ დია ჰგავს რამინის პირი ვიროს პირსა? არ ღმრთისა წყალობაა, რომელ შაძი მოაბადის დარბაზი მისგან ელავს? ეამს თუ ისი უსწორო გიყუარდეს და ერთმანერთისაგან გაიხარნეთო?»

ვისი, ვითაც უქურეცა რამინს, ეგრევე სიყუარული მოემტებოდა. და, რა კარგად გაიცადა რამინ, ვიროსი სიყუარული სრულად დაეიწყა. გულსა შიგან ამისა იტყობდა: ააბ, ნეტარნი მის, ვისცა ესეთი ქმრად მიჰხუდა! ნეტარ რას უბედურობასა მომახედდრებს მისი ნახევა, რომელ ვირო იმან ისრულად დამაიწყა? აწ რათგან ძმისა და დედისაგან მოწყვდილი ვარ, მიწყით რად ვიწუი, რაღა სარგებელია? რად ეზი მარტად ეგზომსა ხანსა? ვირემდის ქირი გაეძლო? არ რკინა ვარ. ამისსა უკეთესსა მოყუარესა ვერა ვაპოვებ. მიჯობს მისი წადილი ავასრულოა.

ესევეარსა რასმე იგონებდა გულსა შინა და მათ დღეთა ცუდად წარკდომისა ინანდა. მის სიყუარული არა გამოუტახადა, თოცა მისისა მიჯნურობისაგან ვახელმებულ იყო და ცუცხლი ეგზებოდა. ძიძისა ეგრე უთხრა:

«ეგეთია რამინ, ვითარსა იტყობი, დია კველუცო და წყლიანი არის. გლარიაზობცა აჩნდა და ჩენსა ძმისა ვიროსცა ჰგავს. მაგრა რასაცა ეძებს, ესეცა იცობი, ვერა პპოებს. თოცა ჩემი პირი მზეცა იყოს, მის ზედა არ ნათობს. და არცა თავსა ჩენსა მისებრ ვაეპყდი და ვაქირებებ, არცა აუგეთა ავიესებე და არცა ქირსა შიგან ჩაეიკრები. მის ღმერთმან ჩემად ნაცულად სხუა ვინმე მისცეს და ჩემი სახელი და სიყუარული დააეიწყოსო.»

რა ვისი სარკმელთაგან ქლე ჩამოვიდა, თავისა დარბაზსა შევიდა, თუალთა აღარ უჩნდა რამინის სიყუარულითა და გონებანი აღარა ჰქონდეს; ფერი კარაგებოდა და გული ერთსა აღავსა ველარ ექირა. ძღლე ეშმა მისად ომად მისულ იყო, მისსა გულსა შიგან ქანგი ჩამეგრა და მითივე ქანგითა წაელო პირისაგან ფერი, ტანისაგან ძალი და გულისაგან თმობა. ვისი თუით ჯადანი იყო და რა საქმე საზომისა ვარდაჰდა, გული წაუვიდა, აღარცა ფერი დაადგა. ზოგჯერ ცნობა მოიკმარის, თმობა და პატიონსება გამოაჩივის. რა კარგადრე იგონა, ღმრთისა შიში ჩაიკოდა გულსა; რა გუნებამან მისმან პატიონსობა გამოურჩია, აუგისაგან იკრძალოდა და სიყუარულისათვის ნანეა დაიწყა. მიჯნურობასა სიწმიდე და მოღმრთეობა გამოაჩივია. დადგა გული, რომელ არაით ღონითა არ იაექცეოს და არ დადვას თავი მისი სასთაულსა, რომელი არა კანდეს; არცა უნდეს რამინ და არცა თავისა კრძალვა დაავდოს.

ესე ძიძამან არ იცოდა, თუ ვისის გული ექცა და მოსძალდა მიჯნურობაო. მივიდა მზიარულად ძიძა და რამინს ეგრე მოაქსენა: «შენისა ქირისა ბოლო მოჰკდა, მგონია: ფრთხილი ვისი ცოტად დაწყნარდა, ქუშტობა დაავდო და დამშუილდა. შენისა შექირვებისა ხემან ნაყოფად სიხარული გამოილოა.»

რამინ ასრე გამზიარულდა, ვითა ნახევარ-მკვდარმან კაცმან რა სიცოცხლე დაიხსუვნას, მეტისა სიხარულისაგან ცრემლინი გარდმოსუიედეს. თავუანი-სცა ძიძისა და მის წინა მიწასა აკოცა...

მადლი დია გარდაიკადა, ათი ათასი ღრაქანი წინადაუდგა და სხუა ერთი საკელმწიფო ზანდუქი თუალითა და მარგალიტითა სავსე, ორასი ოქროსი ბუქვილი თუალადი და მრავალი მუშქისა უბე და ქაფური. ძიძამან ესე ერთიცა რამინისაგან არ აილო, ეგრე მოაქსენა:

ძე ჩემო სიხარულო! მე საქონლისაგან შენ უფრო მიყუარ. მე საქონელი უღევენელო მაქუს. ჩემთა თულთა სინათლე შენ ხარ, ჩემი თულა და მარგალიტი — შენი ნახვია; შენ მომინდებდა, არ ოქროსა.

ერთი ბეჭელი აიღო რამინისაგან იადგრად და სხე არა დაიჭირა.

ვისსა წინაშე მივიდა ძიძა და იგი დაღრუჯილად დახუდა, ცრემლისაგან მიწა დაესოვლა. სარჩელი დაწყო: ვირემდისი ეგე? ანუ აწ რაღა გვირისო? იგი კულაჲ გაუწყრა ძიძასა და ღმრთისა საუკუნოისა შიშისა დაიწყო საუბარი...

ძიძა მანვე განაგრძობდა ვისის დარიგებას და ბოლოს მიხანაც მიადწია. მისი გული მოუნადირა რაჰინსა. ამიერიდან იმას ედილობდა, თუ როგორ შეხვედრებინა ვისი და რამინი ერთმანეთისათვის.

რამინისი და ვისის ერთგან შეყვანა

რა კარგი წელიწადი და კეთილი მოვიდოდეს, გაზაფხულზე შეტყუების, ვითა ვისის და რამინის საქმე თავსავე ზედა მომარჯულებით იქნა. რა ვისმან სიყუარულით შეჰხედა რამინს და საწყთოროისა ზეინკალმან მისისა გულისაგან მტერობისა ჯანგი აღმოჰყოცა, თუცა პირი და გულის ტყივილი დიდად ენახა სიყუარულსა შიგან, ერთგან დიადიცა გაიხარნეს. მასვე კუირასა ერთგან შეიყარნეს, რომელ უნებელი არსად ქარი ეცა.

შაბი მოაბად აიყარა ხორასნით და ნობათსა-კარავსა პირი [გურჯა]ნისაკენ აქნევიანა, გურგანით ჰოსტანს მივიდა და ჰოსტანით რეს მივიდა და ხანსა დაზნიდის. თავისა ქუეყანათა შიგან ირევიოდან და ინადირებდის. დარჩა რამინ ხორასანს, მარავს შიგან, ამით მიზეზითა, რომელ თავი ზოსნეულა. ძმამან თავისა ადგილი, ტახტი და ქუეყანა მას შეავედრა და ნოსამართლეობა და სიმდაბლე დაავედრა. შაჰინშა წაივია მარავით ქალაქით და დარჩეს მარავშიგან ვისი და რამინ და ძიძა.

პირველსა დღესა დაუჯდა ვისი პირ-მზე ნებიერად, ფეროვნად და სურნელიანად სადღეოდლოსა მდლად აგებულსა დარბაზსა შიგან, ზეთი ქუეშემდისი ოქროითა მოხატულსა. იმას დარბაზსა სამნი კარნი ებნეს, ერთი დიდსა დარბაზსა გასავალსა, ერთი წალკოტი-საკე, და ერთი დიდმა გზისაკე. ჯდა ვისი, ვითა მზე, ტახტსა ზედა, სიკეკლუტისა და სიმხიარულობისაგან თაე-დაჯერებული დიდსა გემოზდა. თავით ფერკამდინ თუალითა და მარგალიტითა შეკაზმული იყო, და მისის შეწებებისაგან ყოველი კეკლუტი დაღუბქარებულ იყო. ასი ათასი ვარდი პირსა ზედა უყუაოდა და ოცდა თორმეტი მარგალიტი დაცმული პირსა შიგან უნათობდა. ვისის სული ვისაც ეცემოდა, მკუდარსა გააცოცხლებდა და წყლულსა გაამთელუნდა. წალკოტსა შიგან ვარდი მისისა პირისაებრ აყუაებულ იყო და მუშქისა სული სდიოდა, და ვისისა საუბრისაგან სურნელობისა კუამლი, ვითა პაერსა ზედ ღრუბელც, დადგომილ იყო, თუ სიქუა, ამბარსა და აღევისა აკუშევედეს.

სხდეს მათ წინაშე დიდებულთა ცოლნი და ასულნი, ვითა მზენი, თუცა მას წინაშე არად ჩნდეს, და ვარდის წაღვლა ზედიით აწუმივედეს. სამოთხესა ჰკუანდა მათი დარბაზობა. ძიძა, ვითა სამოთხესა, ზოგჯერ ვისსა ჰკაზმიდის, ზოგჯერ დარბაზსა. რა დარბაზობა გამოიყარა და ხალგათად დასხდეს, ძიძამან ზემოსა გზისაკენ რამინ შემოიყვანა ნობადის საწოლსა შიგან. ვითაჲცა არ იგი საბლი ენახა და არ მისი გულის წამლები ვისი გაეცა და არ იდრითგანი მისი საწაღელი ვასრულებოდა, ასრე სიხარულითა უკუყო იქნა და გულსა ესე ვერ დაეჯერა, თუ ესე შენზედა ეგებისო. მისითა შეყრითა უკუდავებანსა წყალი წუმიდა მას ზედა. რა რამინ ქუეყანისა დამშვენებელსა მზესა გუერდით დაჯდა, მამიზევე მისისა გულისაგან ცუცხლი და კუანლი დაშრტა. სიხარულითა ორნივე დამწინი უყუაოდეს და ეგრე ერქუა:

ძე ყოველისა სიხარულისა დასაბამო! ღმერთსა ყოველითურთ უკლებობა შენდა უბოძებია, გუარად ყოველთა დედოფალთი უფროსი ხარ და საყუარლობასა საქმითა ყოველთა გრძნულთა ოსტიტი. ვარდი ხარ, ჭაფურეული, მუშქ-სული, თმა-ამბარი, მთუარისა სახე და სარო ნაკუთი. შენ სიკეკლუტითა მზე ხარ და ნეტარბი მას, ვისცა ანათობა.

არაკი: „შენ ელვარებითა მნათობი მთუარე ხარ, ჩაგრამ მიჯნურისა გულისა დამანელებელი. ბელსა შენდა ესეთი სინათლე მოუცემია, როველ უბედურსა ბედისაგან ჯანგსა აპოკოუსა“.

რა ესე საუბარი ვისსა ესმა, სირცხვილითა ნელად და ლაშაზად ნახი პასუხი გამოსცა და აგრე არქუა:

*გამოგვაყენა საშეებლისაგან მიგვენა უფსკრულსა უნათლიერსა.
9. 9. *შემართეს მართა, ერჩიდეს მათ მტდართა, სცვალეს კურთხევა, უპოვეს ერსა,
104 უსმინეს მტერსა, სამოთხის გველსა, იმოსდეს ტანსა მადლ-მოსიერსა.
ვინ შექმნა ევა, განწყრომიოთ სწყევა, ქვეშეჰყო კელსა აღამიერსა,
რისხვით უბრძანა: და აწ შენც სცანა— პურსაც შენსა სჰამდ ნაოფლიერსა!*
10. 10. დასწყევა მტერი, საჰმლად სცა მტვერი, სთქვა: ერთი თავსა და გველი ბრქალსა!
105 *უმბირდეს მტერსა, რა გამოუხენეს სამოთხესა მას საშეებიერსა.

მაცთურმანც ომად დაუწყო, ცთომად წამსა ხუთასსა ხუთასიერსა.
ვინ კაცი იწყო, თვით ნანეად იწყო. განზრახვით ის სჯის მოსპოლივიერსა:

11.
106 მისისა მენისა ქმნად კიღობნისა ნოეს უბრძანა ქმნად გონიერსა,
იძია შური, მით მოსრნა მკდური არსნი ურჩებით განდგომიერსა.
წყლით რღენისა შთვილნი, კლვად შექმნეს შვილნი: დაუკლეს მტერსა მანქანიერსა.
მითვე წესითა დაუწყესითა მაცთურთა იწყეს საძებნიერსა.
12.
107 მყოფსა სიტყვითა ტყვიან ვიტყვითა თავითა ყოფად აღნათქმიერსა.
სწყრებოდა თუცა, დავითს ეფუცა მისთა თესლთაგან საშობნი ერსა.
იწყო ნიშისა ქმნად საშიშისა, ში აკრძო მართებს ესნა მიწიერსა:
მკედართა აღმდგენი, ბრმა-კოკლთა მდგენი სრულად უენებლად საწესიერსა.
13.
108 თავს იღუა ენება, ჰყო მიღვენება, მოკლა სიკვდილი, სძლია ძლიერსა.
აღამ პირველსა, შეპირებულსა სუფევასავე ღირსჰყო ციერსა,
ღირსჰყენა წარმართნი, წინასწარ მათნი საქმესა ღირსჰყენა მას მადლიერსა.
ჰყოლა მოზენით, ნობედნა ზენით, თამარ შუქ-მკენით ნათელიერსა.
14.
113 მისცნა დაეალნი, კმელთა დაეალნი, სკიპტრა მჰყრობელჰყო არსთა მიერსა.
სიტყვითა მრჩევისა, ელვათა მრჩევისა, გციცკრობს მოხედუა მონაკმიერსა.
მტკიცედ აქეს სჯული, სჩანს მართლ-მსაჯული, მას რომ უკომბენ ღვთის სახიერსა.
უძრწის ავიარი, სტურფობს ჯავარი მშვიდსა და წრჱულსა და ღმობიერსა.

II

15.
20 სიბრძნით ჰქენა ღმერთმან, სამებით ერთმან, ცა და ქვეყანა—არს მეცნიარი!—
მნათობთა დასი, სხუა ბევრ-ათასი, ჰაერით ეტლი ქართა ქმნიარი,
დასდუა ბრძანება და ამცნო მცნება თვისად და თვისად შესაშინარი:
აღრაბებენ ტომნი, მცთომნი, უცთომნი, უსიტყ-მოსიტყენი და მოუბარი.
16.
21 თამარ შენ გიძნობ! ასულად გიძნობ: მზე დაუეალი, შუქ-მომფინარი.
მხიარულ იქენ! ნაქმარნი გიქენ: გესმნეს ნატიფნი და მშვიდი წუნარი,
ელვა-ეთერი და სიტყვიერი დარმანის ველი ეღუმს მალნარი.
არს ცნობათ მოთხე, ვითა სამოთხე, წყლად წყალი მრწყველი, მუნვე მდინარი.
17.
22 სიუხვედ ზღვებრი, სიმალლით ცებრი, მდამლად მოწყალე, კვრეტად ნარნარი,
მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველი, კედრით კედრამდის მძლედ სასმენარი.
ასეთი ესე არს ეს მოწყვე, ჯვართაღ ღმერთთან მიმომთმინარი.
ღიღსა მსაჯულსა ამტკიცებ სჯულსა, ღმერთმან მით მოგცა მისი საქნარი.
18.
23, 1 კაცები გმონებს და გიპატრონებს, ვეფხთა კდლოვანი, ლომთა შამბნარი.
არსნი ნზედ გაკომბენ, შეიღნი გამკომბენ: ვინცა შეგცოდა თავის საქნარი
ვერ მიგწყედნენ ჰებად, სხდენ თვითვე ვენებად პლატონის ენა, დაეთის ქნარი.
19.
24 თამარ წუნარი, შესაწყნარი, კმა-ნარნარი, პირ-მცინარი.
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მოღინარი.
მისთვის ქნარი რა არს? ქნარი არსით მქნარი უჩინარი.
ვარღ-შამბნარი, შამბ-მალნარი, ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი.

III

20.
81 გულო, აბა მო! დაუსაბამო თამარ ვსთქვა ნათლად და ძედა მისად,
მზეებრ საუანე, სულის საუანე, თანგანმწყოდ ძისა, სწორად შამისად,
ვსძებნეთ ქნა რისთა? დღე ბნელ ქნარისთა მითვე ნათლითა დღე ქნად ღამისად,
უმსგავსო პირი, იესეს ძირი, ასულად ეცნი აბრაჰამისად,
21.
82 ცად ქნად უცადი, არს განუცადი ღვთივ განბრწყინებად და კამკამისად,
მპვრეტელთა ურჩნი—ვარდი ნათურჩნი: გამძღველთა შეიქს მსგავსად ღრამისად,
სამყაროდ ისრის უწყალოდ ისრის ქნადათა მცველია წარბ-წამწამისად.
ზენათ ცხებული, გმირიუ კვებული, ნჯობი ყოვლისა მკნეთა შამისად.
22.
83 ანათობს ის ოს, მით არცხვენს ისოს! შუქის კრთომადა შეუღდაშისად—
ზნელა სკირს ესა, არ ეტყვის ნზესა: ესაჰხარ მულოდე! სჩან მალღაისად!
არ ენა, სული არენ ასული შემწედ ნესიას აღნათქვამისად,
თვით დგას ეტლითა, მსწრაფლ-მომხვეტლითა აგარის ტომთა გულსა შხამისად.
23.
84, 85 უცნი ავითა: უც ნიავითა საუფლო სული ეამის ეამისად.
მწაღღარე ძნობა, ვრცელად განბრძნობა სამუსიკოთა შენასხამისად—
მითვერ, ვეგები: მით ვერ ვეგები—პლატონისაებრ შენასხამი სად?
24.
85 შენ მწუნობი ხარ მნათობთა: არის ასმენ, ლებ, არი დენ.
შენ შუქნი ელვა-ეთერთა, ზხისა მწვერვალთა არი დენ.
შენ სისხლთა შენთა ურჩთასა უზლო-უმსგავსოდ არ იდენ.
აწცა ნათლისა ისარი მპვრეტელთა გულებს არიდენ!
25.
86 გვიან შენებრთა ძებნანი, რკინისა უამლთა შესხმანი.
შენთვის კძდა არისტოტელი, დიონოს წიგნთა შესხმანი,
მსგავსად აქილეე-ტროელთა უმირიოსისგან შესხმანი,
ვერცა დამტვერობს სოფელი, არა თუ ჩემნი შესხმანი.

IV

26.
25 ვინ არსე ბანი,—ვინ არს ებანი? არა არს სათნი საკელოვნებად! —
მან ცათამ არის მან ცა თამარის და ნზე აზნელა მაკისკროვნებად,
იღამეთ ერთა ადამ ეთერთა დასახა სახებრ მსგავსი ქონებად:
არსა ლალადი—რად არსლა ლადი ნზე შენგან მოთმევად უეტლოვნებად.
27.
26 შენ არე მთენი: შენ არე მთენი არ გგვიდღეს შუქთა ჰეროვნებად.
არა თუ ზეესი, არათ უზეესი, არ! შენ ხარ მნათი დაუყოვნებად!
მისმიერ მისად მისში ერმისად—სხვათა მნათობთა მართ შინდ მკდოვნებად.
არს ასულ-ტანი—არსა სულტანი არა თუ შინა სამაროვნებად.
28.
27 არამედ გარე არა მეღვარე თვით და ხალიფას გამიციხოვნებად.
მეტ უვის მით ენოს, მეტყვის: მითენოს, წყუდიად რომელ სჩანს, ვარდი თოვენებად!
არ აქა, მანდა არ აქამანდი არა ნარჯისთა შამბი მოვენებად.
ეგე ნათ, ელი! ეგე ნათელი რა ნახოს, მზესა აქეს ბნელოვნებად.
29.
28 შენსა სადარსა შენსა—სად არსა?—ვერა ვსპვრეტ ცხადად და ნახსოვნებად.

V

30. 37 ჰე ფილოსოფი, დაწყებათ მყოფნი, გონება ვრცელნი რიტორთა წიგვალ, ელენთა შეილნი, ელადს სწავლილნი, ენა-მზეობდენ სიტყვითა რჩევად, ფსალმუნთა შიქმენსა შენსა სასმენსა ათ-ძალი ჰქონდეს ქნარ-სიტყვა რევად, ეგრეთა მსგავსად ვერ გძნობდეს გავსად, ფერო, ეთერსა ელვათა სრევად.
31. 38 ათუ ვისცა უქი შენი ემა შექი, ელე ანუ მზეველ ანუ მთეარეველ. არა გვაეს ბნელი: ხარ საძებნელი ხეუქით და ნდომით შენაშართეველ. მესმა ათ ენით: თქვენ გაათენით—ცუდალ გიქრნეს ლამეთა თეველ! ზენით მნათობნი, ეტლთა მნათობნი არა მთად სვერეტენ მართ ნამთეველ.
32. 39 იტყვიან ფიცით: რაც ოდენ ვიცით თქვენგან ნარბევთა სამყაროს რბევად, ცისკრობს მოხედვა: მოკლის, მო ხედ—ვა!—ალვისა მორჩთა რტოთა მორჩეველ, აშველრდეს ხვავინ რბოდესლა სხვა ვინ ნათლისა სხივთა დაუშალეველ, გაბაონს ისო? რა გნახა, ისო ურჩთა გულბსა მახვილი ლეველ.
33. 40 აჯა და ლოდნა ამით ხელა ლოდნა მისთა გამჯრათა ელვათა ძეველ. უბრძანა აქარს: გაქეს რაცა, აქ არს! სათნოა ლეთისა მით განრისხეველ. რა ქნა ის აჯა, ქოლვით ისაჯა მტნ მოხეუქითა საკმართა ზღვეველ. განატრო ელთა: უნძიშს ტროელთა არ შენთვის კვლარქმნა ელენთ საზნეველ.
34. 41 ივლითის მწყდარი არს შეიდგზის ეცდარი, რომე სჩანს შენგან არ მონაკლევად. სამფსონ პალატად ჩანსეე ლალატად თავი დალიდას განაპარსეველ. თუ ვთქვა რად დარად შენად რად დარად ანუ დებორა გავულ-ქველველ, არ ჰქონდა ნება, არც რა შენება ნათელთა შენთა დასამსგავსეველ.
35. 42 იყო ეთერი, მაგრა ეთერი არა ჰრქვა მასცა სულ ნახუთეველ. რამინს უშენოდ სტკავის: უშენოდ შერებოდა ვისის ნამიჯნურეველ. ოსანოს რეტი არს შენამქვერეტი: გმოს თავის ბელი, თმო ნატანჯეველ. სალქიანის საღმობად უჩნს სეე და ლმობად სხვათათვის ბელქმნა ლხინ-უნახეველ.
36. 43 უგავს შატბიერს გულად ლაყბიერს, ალათისა რად დაშერა მოძეველ. დასტირ კენის ეს ვით კენის ძმის მველელობისა დანაბრალეველ. ამან თავი რად მართ აზეირად შექმნა ლეილის ნამიჯნურეველ, ნებიტრად რა შენ გემუდარა შენ ანუ სამონოუ მოგმართა ძლეველ.
37. 44 წყალთა ირსთასა, ძალთა სპარსთასა უძლოდ გიტყვიან, არ შეუძლეველ. კაფად დაგესხენ. ქრნად რამე გესხენ: აწ ძეალთა მათთა დაჰდეს რა რყეველ, ერანს მფლობელი შეუფლობელი გახადე ნატრად ესრე ნასხმეველ: ლომთა თაველად თქმული ავადალ სხეცა ვინმე სჩანს: ხართ ნამარხეველ.
38. 45 ეიცით შარვანით მყოუნი არ ეანით, გაშას გასული ნავაშპასეველ. სხვანი მრავალნი დაუთვალავნი მდომელ-ტრფილნი შევბისა წვეველ. უცხოთა მაგით ქვერეტითა შმაგით კალიბათა სჩან შეუსახეველ. ფერით ამო მზე, გონებად მომზე, სწორუპოვარი წყალ-ჯავარ ქცეველ.
39. 46 ლალი, მწყაზარი, არად დამზარი, რაცა კამს ურჩთა გარდასახდეველ. ითქმი უღამო, ტკბილ იულ ამო მოწყალეზისა ნაუფსკრულეველ. სიბრძნითა საეის; ყოელ არ მოთავსი, ვინცა იპოვოს ნორგულეველ. არა მაგ ზნითა არამა გზნითა? მქვერეტი ვინ იყოს სხვა დაუწველად?

40.
47 იციკარებთ: იცი სკა რებით შენთა ბროლ-ვარლთა ზრო ნათუნჩეველ.
დრუნგილის ფიკრად მტკიცედ საფიკრად შენი თაეი სჩანს შებლ-ნაეღვეველ.
ატერებუბ თმითა, სულისა თქნითა. ანატრებ, გნახოს, ვინ განაძ ლეველ.
ნებიერს პირსა მზე-დანამქვირსა შენის ნარგისთა განაცისკრეველ.
41.
48 ა გრძელობს ყელი: დაუნაყელი სული ვის შერჩა მახვილ უკრეველ?
თუ გიქო ტანი, მოწმობს სულტანი, არ დამაჩნდების ცულ ნამქვერეველ.
ეთერთა მფენნი თქვენგან ნარცხენნი შენვე გეძებენ ღონისა წვეველ.
ღბინი ითხოვენ: თვით რადლა პოვენ? გაუშვენ ჩინნი ეტლ-წანაგვრეველ.
42.
49 იტყვიან მნახნი კმა-მალლად მზახნი: ივლის ოს ველსა, ჰგავს ნაჯუფ თეველ.
ლაწეთა არესა შუქნი მთვარესა; მელნისა ტბანი ღვანან მორეველ.
ვნახე რა სახე—შამბნარისა ხე პინდოთა ცველ ჰყონ ნამუხთალეველ,
არ ძალ-მიძს ქება: მე დაღუმება მით აღვირჩიენ აღვირ-ნახსმეველ.
43.
50 თუ ძნობდეს ენოს, კვლავ დაიყენოს, პლატონ მუსიკის მწყობრ შენაკმეველ.
უკმნა უმაროს, სამფსონ და კიროს, აწ შენთვის აღძრა გამოსაკეღვეველ,
ამოვნენ მცდარად და ვერ მიმზღდარად შენის მსგავსების ყოვლ-დამსახეველ.
ნათელნი უთქმან, შენვე დაგიტქმან: თვალნი ვერ გსახევენ სხივ-შესაღმეველ.

VI

44.
59 ვიცი, გეწყალი: დამთქამს მე წყალი, ნოეს ნაკადი, მოქცევი ღვარი.
რალა კვლავ მოვკვდე! თუ არა მოვკვდე, ვამაგალითო—მე ოდენ ვარი.
ჩემსა მოყმესა, ღომთა მოძმესა, ვის არად უჩნდის სახლი და კარი,
დამწეტეს მქმნელად: გაიკრეს ველად, საღგურად ჰქონდეს ღომთა შამბნარი.
45.
60,1 მოვლის სპარსეთი, სხვა ქმნის ასეთი, სულტანი ნახის ცათა მცთუნარი:
იგაენი უთხარის, მეფენი უქნის, მათდავე სწორად მათი ლაშქარი.
60,2 არვისად სწორად წავიდის შორად, ინდოეთს იყვის მისი საზღვარი,
ამოვლნის ინდნი, ხანნი და ჩანნი, არა რად უჩნდის მას მათი ზარი.
46.
61,1 ატალას მოჰყვის, ქვეყანა მოსცვის, არ ეისი ჰქონდის შესაუარი,
ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც ჩაჰყვის, ზღვის პირით ჰქროდის ტაროსით ქარი.
62,1 წავიდის კმელსა, იონთა ველსა—მუნ, სადა მეფედ ზის კვისარი,
მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი, სრულად ეგვიპტე, არაბთა მკარი,
47.
62,2 ამანს მივიდის, თავი იდიდის, რა კამდის, მუნცა ქმნის ოგ ნაქნარი,
მოქციის გარე, მოძებნის მთვარე, შიშ-ჰაერ პირი მნათობი დარი.
63,1 მოჰყვანდის ქალი, საჩემო სძალი, მორცხვი, მორიდი, ბრძნად მოუბარი,
63,2 მოყვასთა წინათ პირი ქმნის შინათ: ჩემთვის მოჰქონდის კმელთა ივარი.
48.
61 ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის ფერად ფერადი მრავალი გვარი,
ჰყვანდის მოყმები, მონა-მხეველები, თვალ-მარგალიტი, სუნნელ-ამბარი.
ვერა შეეგნა, მოვიდის წიგნი: (მო—გლახ!—ველოდი: დამეცის ზარი!
დამტყლიან ცანი!) კვლავ განველი ზღვანი. დაერჩი უსულოდ, მართ ვითა მქელაძი.
49.
64,1 რა მას ვიგონებ, ვერას ვიწონებ, ველთა გაქრას ოდენ მზა ვარი.

VII

50.
70 გემობ თამარ ზხესა, უმზესად ზესა მით, რომელ უცხო- ხარ სახილველი.
უკლებად სათნი გციხრობენ ლაწენი, გტურფობს მოხედვა, ბროლ-ვარდობს ყელი.
გაქვს არსთა წყალი—თვით მე გეწყალი!—შშეილი და წრფელი მოსახვექელი.
განციფრდეს არსნი, კმა-მაღლად მზახნი ანას იტყვიან: ჰე საყიერველი!
51.
71 თუ არს მთოვარე, რად მზეობს არე? რად არა ოდეს შეიქმნა ბნელი?
ანუ თუ ელობს, რად დანთქმა გვლულობს? აწ მსწრაფლ გვეწვეის შარაყანდელი?
სამყაროს სრული ედემს ასრული სჩანს შეიღთა მნათთა მანათობელი.
ქსნად აღამისად, შექმნად ჟმისად უწოლა ღმერთმან, თვით აღძრა კელი.
52.
80, 72, 73 სამებად ქსული საუფლო სული მისთვის მოგებრა, არს თქვენი მცველი.
თუ არ ვინ იცის, მისებრ ვინ იცის მიწის ნაყოფი ეტლთა ამსვლელი?
ბნელთა მთენოსა გკადროთ ენოსა ანუ უმირიოს, ყოფადთა მცნელი.
ანუ გთქვათ ისარს: ბრძენთათვის ის არს ასკილობსებრ გონება ვრცელი.
53.
72, 73, 74 არ გვეანუგეს დარი, ხოსრო დადარი, საამ-აქილეე, დებორა ქველი.
არცხვენ მოზეთა და მოსამზღვრეთა, ლეთად ზევისს ნაქსთა ვიეთთა მოხზველი.
მათ თუ ოცნებით, შენ ღვთისა ცნებით ითქმა საწადად ყოველთა მოქმელი.
დადირთა მთოვნი, შენებრთა მცხოვნი და მესულმანთა სიმართლით მსრეველი.
54.
73, 74, 75 უჩიბთა კვლად მკოდი, სულტანთა მგოდი, ხალიფას სეისა ჯგაიბთა მშლელი.
ბობქარ აღარბის დასდევს ღვინსა რბის ოდესმე ღვინთა საზღვარი ბნელი.
სხეთა მძლეუვართა, ხარკთა მძლეუვართა ზელა სხეთა შიში ჰმეტს საშინელი,
რომელ ღლეს ტაოს მოემბათ ოს, ისპირს და შარვანს მოვლათა ძნელი.
55.
75, 80, 74, 80, 75, 80 არს ღვინთა მთობი, მართ ვითა მგობი ეფრემის ძირთა ისართა მთლელი.
იტყვის: ამწევეს მეხებრ, მამცქეფრობს ზე ხებრ დაეით ძლიერა, მენე, უძლეველი!
მათ გულსა აღმით, მით გაგიაღმით ქოსთავე თანა სანიქ-სადღენელი.
თქვენი სთქვა რიტოს—კმა ჰყოს, ვინ სკვრიტოს: აქქესმთა სუფუად ათასი წელი!*
56.
80, 75, 80 წყნარი და მკრძალი, მოყმეთა ძალი, მეფეთა სკიპტრა-პორფირთა მცმელი.
თუ ქებად თქვენა ბრძნად ქმნეს მათ ენა გამოპტყველი რიტორებრ მოქმელი,
მაშა მე, ხელი, მაშა მეხელი, ვით ვანგელობდე და ცა ვსცნა ელი,
ვინ აშენე ბრმათ, ვინა შენებრ მათ თვალთ შეუღვამი—ნათელი ბნელი?

VIII

57.
76 ღვთისაგან ეგე, როს თამარ ეგე ნაკელონებად მისადენალი,
ანუ შუქითა, მსგავსად უქითა, ბნელთა ციხრულად გამათენალი.
არ ავი დია, არ რავი დია, ვიცით ნახული და ნასმენალი—
ყოვლითურთ უკლი, ერთგულთა უკლი, უჩიბთა კვლად ზინდანს შემაყენალი.
58.
77 მეფე მთავართა, მფლობი ჯგაერთა, სოფლისა წყალთა დამაშვენალი.
მიეც ქადილსა, სრულ ყავ წადილსა, ვახტანგს სწორებით შემასმენალი.
ბობქარ მგოდები, მცდრად ნაწოდები, დავითის კრპლითა შემარცხვეალი,
მით გააშვენე მით გააშვენე, რომელ გულითურთ მანაყენალი.
59.
78 მეცა დვინები! მე ცად ვინებო, ვქმნა ნებითა, ვსრნდე მომახსენალი.
მბრძოლთა მხარკემან გძლენას მოხარკემან ელიჯათ ოქრო დასატენალი.

არ ეც ნასარად, არ ეცნას არად ხალიფას, სისხლთა რად სდის ტენალი.
ბრძანად ლამაზ ენით, ვინ ითქმით ზენით სწორუპოვარი მძლედ სახსენალი.

60.

79 მოემან გებით, მოე მანგებით ყვე ბაღდადიცა გასაჩენალი.
არსად არსა რა, არსად არს—არა!—შენებრ უკლები და საჩენალი.
ბრძანად შაქებართა ვეკრეტ მაქ ებართა: მა-შამსსა გავსო, მად გძნობენ, ალი.
ანუ რა გნახო, რასა გასახო ნათლისგან კიდე სხივ განსაცნალი.

IX

61.

55 იგავთ ღამწესი და გზირთა მწესი იესეს ძისა მით გძნობს ებანი.
ერმი რა გნახა, მსწრაფლ დაიზახა შენგან უკუნმან კარის ღებანი.
ზეუსმან მზედ გიცნა, სამყოფნი გიქმნა ლეონის ეტლოა: მოგიბრბევანი.
ნარგიზნი გიც, ნა, ზეცას გზა გიქმნა—თქვენ: აა გწყალობენ შენ ლომ ნებანი.

62.

92 არია კრონოს ენა გარდმკონოს, ვარდთა გიდარნე ნაშენებანი.
არ შენდა შექმნა, რაც ბრძენთა ექმნა თქვენზედ სიბრძნისა კელოგებანი?
მამამან ძე ჰყო, ძემან უკლებ-ყო, სულმან დაგისხა სიწრფოებანი.
წამწამთა ხრანი ვისყენც კმენ ცხრანი, ცხრა ათას ექმენ ნატირებანი.

63.

93 იპოენენ წმიდად, შეგიცვენ ღიდად სწორუპოვარი სიტკობებანი.
გტრფილობს ლომი, აბესალომი, ეფრემის ძირთა ვის გხედეს თებანი.
ნებართოს სჯობს ძალად. ესთქვა შიშით მკრთალად: დებორს ჰმატიან ახოვნებანი.
დანთქა აბირონ, დათან საბიზონ—ორგულთა დანთქამს ძლიერებანი.

64.

94 უკლებობს ლალი, მბრძოლთ გულის მდალი, სპარსთა სისხლისა დანაკლებანი.
ბედლიდობს მრავლად, აქეს სვე დიდ დაელად: პონტოს ზღვისითგან არს უფლებანი;
უძრწის შამალი. მით სთქვა შამ ალი: მისკერძ მისტაცნა მტბიერებანი.
ელტვის ბალიფა, იტყვის შარიფა: ააწ გაგვიცულდა სჯულის დებანი!

65.

95 თარშით და დალბით, იგვიპტ-ალაბით სძლენენ ნიქად თავთა დამონებანი.
მკრობსა აქილევს, ნბრძოლთა აქ ილევს, რა მძლედ ავადის მოკსენებანი,
ახალო ზეასრო, ბაღდადით სპარსო, ააველესო დასვენებანი.
რომელსა მშვიდნი ვერ გსწორეენ შვიდნი, წყალჯავარისა დაშვენებანი.

66.

96 უძლე ძლიერთა, ბევრთა სძლი ერთა, ოს ყვენ ბობაქარს მეოტებანი.
ვახტანგის ტომსა, მას ვეფხებრ მხტომსა, მზისა გშვენნიან გაჩენებანი.
არსად მოსრული შენოდნად სრული არა ყენა თქვენებრ განკაცებანი,
მდიდრად განძებად თქვენ მისგან ძებად გენიშნეს ლაშას აღმორჩებანი.

67.

97 არს უშიშ, ვითა მისითა შვითა დაუკლებილნი სრულნი შეებანი.
რიტორებრიცა ესთქვა, ზენით ვინ ცა სხვათა ისართა დარსე ბანი.
ენოს მწერლობდეს, უშურველობდეს, ვერცა მან სრულ-ყვენეს თქვენნი ქებანი.
ა ფილოსოფთა, გონებად მყოფთა ვერ შეუგნია თქვენ დარებანი.

X

68.

28,1 თქვენ ას ენათა: მზეო ზენათა! თუმცა მზე ეთერს ნამტკიცებარე,
მაგრამ კალ, იბი, რადგან კალიბი შენთა შუქთა სძლევს შუქ-მტაცებარე.
ვინ ნახა სადა, ვინა ხასილა შენებრ ნათელთა ბნელი მცებარე?

69.
29 ანუ ვის ესმის, ან უვის ეს მის და არა იქმნეს განცვიფრებაზე?
მკერეტნი ვიტყვი: აქვე მკერტნი ვიტყვი ანუ თუ სიზმრად ნაოცებაზე?
ანუ ცნა ურად ან უკნაურად სოფლისა წყალთა დანშვნებაზე,
რადგან ცად ახვალ, რა დგან ცადა ხვალ ზოჰალი ეტლი, მთვარე მცებაზე.
70.
30 რომელ ვანება, რომ ელვანება შენ ოდენ გქონდეს მაიხსრებაზე.
— არა გეთნია! — არ აგეთნია მნათობნი, მით ესცენ დაძმნელებაზე!
მნათო ელითა: მნათოელითა დაწმულლაზარობს იგ ვამლებაზე,
ვინა ტრედია? ვინატრე დია ძედ ლეთისა შენდა მიწოდებაზე.
71.
31 ვის აქვს შენებრი—ვიპ! — ნაქვს შენებრი, ქვეყა, გონება, სული ნწლდებაზე?
ვინანი, სადა ვინ ანისადა მისთა მოყმეთა მარცხო ნებაზე?
წუხად ანელმან რა სთქვა ან ელმან: დღეს მუსულმანთა მოსანთებაზე.
აგარის ერთა საღმობიერთა სხეამცა ვან იყოს სრეად შემძლებაზე?
72.
32 არ მით აენება, არ მითაენება, რომე სჩანს ლომებრ შემძებაზე.
ოს დიდმან დავით ოს დიდმან დავით თარუზ შემუსრა წინამგებაზე.
მან გლესპი რითა? მანგლის პირითა ოდენ მუნით ჰყო რეობებაზე.
შენ მისნი ერნი! შენ მისნი ერნი გარნის მანისხმნა, მით მე მქებაზე.
73.
33 შამბთა ვით ისრი შენგან სჩანს ისრი შენობისავე ძრწოლით ებაზე.
გამტრობს ერაკლე: სპარსთა ერ აკლე, მოსწვენ, მოსწველი, ანათე ბარე.
წაულე რანი წა, უღერანი ყელსა დასახენ ჩამომდებაზე:
მიუშვენოდეს! მიუშვენ ოდეს ამბერდად, რად ესთქენ იგი მე ბარე?
74.
34 თულა მე თქვენი თულაზე თქვენი აქილ-ოს ჰპოენ, მამაკლებაზე,
ვინ ეფრემს თვისობს, სიმენითა ისობს, მბრძოლთა სისხლითა კმელთა მლებაზე.
იგი ვარდ გული იგი ვარდ-გული ხე ეფემს რეული ნაშენებაზე.
ჯავარ ზოწყალე: ჯავარ მოწყალე, თერქთა მრისხანედ შემოიახებაზე.
75.
35 აქამანდა ვით აქა მან? დავით, სხეამცა ვინ ჰვენანა მისრე ბარე?!
ბერთა საჩენი, ჰბატუთა მლხენი, ძმათა შეებისა მოულებაზე.
მეჯლიშთა შინა დიდებულთ შინა, ლაშქარა სიუხვით მამთოვლებაზე.
ბევრჯერ ნაყოფად არსმცა ნაყოფად ლაშად თქვენპიერ ნამორჩებაზე.
76.
36 ახალო პირო, მძლეო ნოსრ ვითა, ბრძენმან მასახ ასურმა ისო.
მკნეო და გმირო, ბობქარ ოარვითა ითბრის მგოდუმან ფლასულმა ისო.
ვა გაუზშირო მტერთა მოსერთა, შენი სთქვეს შინა ასურმა ისო.
ესრე ატირო გულსა მოკრვითა: კრპალა მოფხერისა ნასურპა ისო.

XI

77.
98 ისმინეთ არსნო, ირწმუნეთ სპარსნო! პირველითგანე გვესწაეა ღვთებად:
დასაბამით-გან არ იყენეს ცანი, ოდენ ქვეყანა მყოფობდა ზღვებად.
მაშინ მან ერთმან უკლებმან ღმერთმან ერთი ბუნება ქმნა სამად თებად.
არ უცხოთა მით სუფთეთა თვით კელითა იწყო, უწოდა ძებად.
78.
99 გაუწყე საქმე: ნივთთა შესაქმე სიტყვით ყო ხოლო თამარის ცებად:
ნათლითა სრულ ყო, ედემს ასრულ ყო, ღამეთა ნათლად, ბნელისა ცებად.
უკლები ესე არს გულსა მიკსე შიშისა ღვთისა დაუეწყებად.
მალად, დიდო, უკლები, ნშვიდი, წრფელი, უკრუო, სცან უზაკებად.

- 79.
- 100 ჯავარ მოცალე, ტბილი, მოწყალე ყოველთა კაცთა განურისხებად.
ურნთა გვიგოდებს; ცითა ნაწოდებს დაეთს უწოდა მეფეთა ძებად:
ამან ეტლითა, მზის საკურეტლითა, მთვარესა ლეზი ამბა ლებად.
მან ახოვანმან, მძლედ სახოვანმან, კელყო ისლამთა ცეცხლისა დებად.
- 80.
- 101 ჯაკუქურთა მუქველი გამოზნდა ქველი და აქილევთა დაუწყო ძლებად.
ნიწაიე ოპითა დაუშროპითა თურქნი განასხნა დაუყოვნებად.
მან ათაბეგსა, ბეარაზნშას მდეგსა, კეთილგანარჩევით სჯულთ უღვა მცნებად..
კაცი ძლიერი, მკნე, მეცნიერი, შემძლე მელიქსა თვალთა ფერებად.
- 81.
- 102,1 შიშითა მკრძალი, ეახირთა ძალი, მოგზავნა დიდთა ცხენთა ძღვანებად:
ულრი ითხოვა, მზე მოითხოვა ბნელისა კართა ნათელთა ცებად.
- 102,2 თვით ბრძენი სწვართა, მით მოიმართა მისდა დიდებად, გასულტანებად.
მოყნე სვიანი, იესიანი, ლამა აძებნა ლხინად და შევებად.
- 82.
- 103 ვერა დამატონ სოკრატ და პლატონ, გძნობდეს სამნივე ეფერენის წყებად.
*აპეტოსესგან მოპოვნებულ არს ქვეყანის ზომა ქალდეველებად,
*ეარსკვლავთ აღრიცხვა ზორაპსტროსგან, ვერცა მათ კელყვეს შენდა დარებად.
*არისტოტელმან მეძიებელმან თავი თვით ზისცა საძიებელად.

XII

- 83.
- 87,1 ვინ სჩნდა საწმისად, მსგავსად აწ მისად წინასწარმოქმელი მოსწუებულად
ცად, საყდრად, ღრუბლად, ღაწვ-ბროლ-ვარდ-შებლად თამარ შენ გიცნობ
განცხადებულად.
- 90, 3,1 სციკრობ შენ ნათლად, ბრწყინვალედ სანთლად: მთიებნი რად ყვერ განქიკებულად.
3,2 სახედ გსახობდეს, რა მზე ნათობდეს, მაშინცა ეთქმის დაბნელებულად.
- 84.
- 53, 90,1 ვინ გჯობს ბელითა? რად აბელითა მზე შენმან შუქმან დამეტებულად?
მე ვიტყვი ფიციით: რაოდენ ვიციით, რად ვინ მამბრობს, ესთქვა დაკლებულად
შენი სიმუქე, რომელთა უქე? ვითამც ვინ ექმნეს მიბაძვებულად?
53, ვინ მელნის ტებად გთქვეს დასახებად, გიჭირისა სარნო დანატრებულად.
- 85.
- 7, 52,1 ლელწამ ტანისა საროსა ხისა მიმსგავსებულ ხარ განკვირებულად.
მე რომ თქვენ განახე ედემისა ხე მართ სამოთხისა ზიანლებულად,
ლონე ვიცადი, ვერ განვიცადი: შენსა შუქს ეყვის დარიდებულად.
ენახე ინდონი, ვითა რინდონი, რომე სჩნდეს ზანგნი ალალებულად.
- 86.
- 54,1,2 მე გული შენი ჩემად ვიშენი: თულა მივიქცი, ესჩნდი ზარ-ლებულად.
არ დანეტია: მომკლა მე დია—ჩემი სიცოცხლე გაკულდებულად!
- 88, ვამცინი მსწენელთა, მოსათმენელთა ნიკთა ვით მიკედი შენთ კელთ გებულად!
53, ვერვინ გიხილა, ნახვად გიხილა ანუ ვიკვერტდეს ვაირებულად.
- 87.
- 4, თუ ვერვინ განახის, ნით ივაგლახის: შეიქმნებოდის განციფრებულად.
5, მოუბარისა მის მდულარისა დილარგეთისგან აღშფოთებულად.
7,1 თავისა კლვად სღებდეს, ხვევით ეძებდეს შენსა ნახვასა მიახლებულად.
ვინ აშენე, ზღენ: სულთ აშენებდენ, სამონოდ მოგცენ ერთ-უფლებულად.
- 88.
- 88, უკვირდა შენი სიკეთე-შენი, სთნდა ყოვლსა სულსა განკვირებულად,
52, ეჩვენებოდა, მზედ ედებოდა ეჯ თქვენი პირი ვაცისკრებულად.

- 24, მოსეს: ფიცარსა, მთას ნაფიცარსა ეწერნეს თქვენი ძლევა გებულად.
- 27, გიწოდა შენ თვის, როკვიდა შენთვის პირველი დავით განცხადებულად.
- 89.
- 87, თვალად ძე მისი, შენ რა ესმ ისი, სოლომონ გკომბდა სახელდებულად:
- 88, აასულო ჩემო, მკერეტთა შემჩემო, სჩან საყეთთა განშენებულად! თიციოთა სწამა, მისგან იწამა ღამე დღისფერად განბრწყინებულად.
- 54, რომელმან ღამე დღე ჰყო—ვსთქვალა მე: ჰფენს შუქსა მხეებრ გათენებულად.
- 90.
- 89 მონყალე სული, მშვიდ-წრფელ ასული გიცნა გონებით მისა ცხებულად. მოუნდა არსთა, მიდთა და სპარსთა ერთ სამწყსოობა ერთ-უფლებულად. მოჯყვა, მო ნებად—შენდა მონებად აღძრნა ყოველნი თავდადებულად. ესკერეტ ნიშნა ცხადსა: თვით გულითადას მისა სახელსდუა მოწოდებულად.
- 91.
- 87, დავით მკნე, ბრძენი, რომლისა ზენი ზდად ჰყოფენ ზესთა წარჩინებულად— ისერის ისარსა, ვიტყვი: ის არსა ფერემის ძირთა აღმორჩებულად. ვინ კრმლითა ბადრობს, უშიშ-უადრობს შტერთა სერისათვის აღმართებულად.
- 9, რომლისა ძემან, უბინდოდ მზემან, ღამაყე გიმზო წარმართებულად.
- 92.
- 97, ვიტყვი მას მზესა, ვინ განუწყესა ღმერთსა ღეთისაებრ შეყვარებულად, ძესა სანდომსა, ეახტანგის ტომსა, რომელ ენატრა მისად სწარებულად. ვითა იწადა, რა დაიბადა, სპარსთა სიმაღლე დაკადებულად.
- 10, მით ლხინი თქვენი იყენეს სანშენი ალაბს და მუშობეს დასულტნებულად:
- 93.
- 107, მოწონეს თავი, სცნეს მათი ნავი მაშინ დანთქმისა მიახლებულად. სწრაფით მოხარკე: იქმნას მოხარკე თავის მონები მით შეძლებულად. თვით ამან დავით ქნნა, უნდოდა ვით, ურჩქმნილთა ძებნად მოწოდებულად.
- 11, ყარყუმს და არანს, მით ზედა არანს როსტომ ებრძოლა, თვით შეძლებულად.
- 94.
- 117, ყოვლითე მკობენ სძლო დიდ, აჯობენ, ვინ სჩნდეს მას თემსა გამთარებულად. სხვაკა სჩანს მათი შარავანდ-ნნათი მისგან ნაოტი დამონებულად. კმონებდეს ზღვანი, სიტყვაკა-მავნი: არეინ სჩნდა თქვენდა ასწორებულად.
- 17, გამოჩნდა ზეავი, მძლედ ჰქონდა თავი, იბრდლებენდა შეეცებრ განძინებულად.
- 95.
- 127, მდედარნი და ცუდნი, ძალ-შეუზღუნდი კაცი რამე ჰყეეს დატყვევებულად. მათსა ძლევისა და აწ ჩეყვისა გაემაყენეს ილაღებულად.
- 137, ურაცხვი ერი, მოყმე და ბერი, წამოკავილეს ამკედრებულად: არ ზარ-მოსულსა ეთქვა: ამოსულსა ქათურსა ნახაე გაბასრებულად!
- 86.
- 13, იტყოდა: ექადრე—მე შეეკმენ ადრე მათი ქეყანა მორკრებულად: რა გესმა მშვიდსა, საქმესა შეიღსა კელყაე სიბრძნითა, არ შფოთებულად.
- 14, უბრძანე სპათა: აღხინად ელი სჯათა, რომლისაგან ესჩანთ ნათელდებულად.
- 12, უთხარ მთავართა ესე: ჰავართა მათ ზედა განმენდენ განახლებულად.
- 97.
- 147, განამენენ მენები, თავის კვლად მონენი თქვენთა სჯულთათვის სისხლწამებულად. დაასკენეს ომი: წაუძღუა ღომი დავით დავითის მიბაძებულად. მენედ და სვიანად აგარიანად არა გამრი სხდა ვა ზი ვსებულად.
- 15, ელნი ელნობდეს, ვინ სოკრატ ბრძნობდეს, იგა მიწთვის შემსგავსებულად,

98.
 15₁₋₂ გინა უმირიოს, გულსა უგმირიოს, ვის ძალ აქვს ცნობა განმარტებულად, ანუ ენოსა. მე, უენოსა, რად ვინ ნაბრალებს, ესთქვა დაკლებულად?
- 16₁₋₂ მოუქდეს ზედა რა ზეჯის-ზედა ცხენს ლომი მელეებრ დაჯანებულად, მართ-ვითა ნახეს, მით იგვალახეს, თავი მცდრადა ჰქმნეს ცნობა-ენებულად,
59.
 16₁₋₂ მათგანვე ივენეს, მით განიბნიენეს, განდრკეს მეოტნი განდიდებულად, თანა-მყოფნი წარვიდეს მყოფნი, შეიქმნა შიში ზარ-ალეებულად.
- 17₁₋₂ მან იქალაქა: აღსრულდა აქა შენით აღთქმული თვით ქადებულად, თქვენგანმან ოცმან, ბეგრისა მყოცმან, სძლო მათთა სპათა დამატებულად.
100.
 17₁₋₂ არ იცის ერთ მან: ათასი ერთმან მით წარიქციენა მიდევენებულად. მოჰმადის ტომნი უკრავ-უნონი მოსრნეს, მოსწყვიდნეს განქიქებულად.
- 18₁₋₂ აღიგნეს ტყეითა, ლარ-პირუტყვითა: არ დარჩა კაცი არ შოებულად. ეხინას მფლობი, არ შენაფლობი, სეგორს დამქცევი ჰგავს შსწრებულად.
101.
 18₁₋₂ უვარ ჰყვეს თნებით: «არ მოვეთ ნებით! ვიყავთ უვნებელივ» მოყვა ნებულად, გვესმიან, სითგან იქმნეს დღესითგან მოჰმადიანნი მოყვანებულად.
- 19₁₋₂ ჩვენ, ერნი შენნი, შენმიერ შენნი, ერთ-კმობით ვიტყვით განმარტებულად: რა ირს-ქმნა იყოს, ვირე თვით იყოს, ღმერთმან თქვენცა გყენეს ძითურ გებულად!»

ა ბ დ უ ლ მ ს ი ა ნ ი

«აბდულმესიას» საბოტრო ხოხლეგბაა, რომელშიდაც შექმნულია კლასიკური ხანის ქართული მეფეები—თამარი და დავითი. დაწერილია ის იოანე შათელის მიერ თამ.რ მეფის სიკოცხლში, დაახლოებით 1210—1212 წლებში.

ოღის ხელნაწერებს ჩვენამდე მოღწეულია XVIII—XIX საუკუნეებიდან. გამოცემულია ის ექვსჯერ 1838 წ. დაბეკვა პ. იოელიანმა, 1867 წ. დ. ჩუბინაშვილმა (ქრესტომათია, II), 1883 წ. ზ. ჰაჭინაძემ, 1902 წ. ნ. შარბა («Тексты и разысказания», IV), 1913 წ. ს. კაკაბაძემ («ქებანი დავით მეფისა დავით მეფარბს მიერ»), 1922 და 1922 წლებში—მ. ჯანაშვილმა, 1937 წ. ს. კაკაბაძემ.

«აბდულმესიანის» რუსული თარგმანი ეკუთვნის შ. ნუტობოშქს შავთავს, Абрлх-мессия, 1942 წ. № 33—111, ქვემოთ მოყვანილი ტექსტი იხევეება ნ. მარის გამოცემის მიხედვით (ნ. მარს ტრადიციული ტექსტი დაბეკვლილი აქვს ზეთმარცულაიან ოთხ-ოთხ სტრიქონებამ).

ლ ი ბ ი რ ა ბ ტ უ რ ა ბ

1. კ. კეჭელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941 წ., გვ. 233—247.
2. მისივე, კომენტარები აბდულ-მესიანისა ზოგერთი ტაეისა (ლიტერატურული ძიებანი, III, 1947 წ., გვ. 361—374).
3. ა. ხარაშიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945 წ., გვ. 105—254, 353—400.
4. ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, 1919 წ., გვ. 251—259.
5. მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეხოტბენი (გაბ. «ტრიბუნა» 1923 წ., № 462—464).
6. ს. ყუბანეიშვილი, ააბულ მესიანის ახლად აღმოჩენილი სტროფები (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოაშბე. ტ. V, № 8, 1944 წ., გვ. 89—854).
7. Н. Марр, Древне-грузинские оловисцы («Телеса и размыслия», в. IV), გვ. 1—27.
8. Ш. Нудубидзе, Шавтავ, Абрлх-мессия, 1942 წ., გვ. 1—49, 115—133.
9. მისივე, Руставели и восточный ренессанс, 1947 წ., გვ. 170—201.
10. А. Хатаиш, Очерки по истории грузинской словесности, II, 1897 წ. გვ. 232—243.

ა ბ ლ ე მ ე ს ი ა

1. სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა თქვენდა შეგობად! გიძღვენ ქებანი: მწადს აქ ებანი დაეთის, დაეთ ვსჯდე მუსიკობად. მესმა ზეესური: რა ვნახე, ვსური, რომ სიტყვა მეთხზნეს მე მისა ძნობად. მუნ გულის-ხმობით თვით გულის, ხმობათ კარის საბრძანას სულელთა ცნობად.
2. შემოკრებით ბრძენო, ათინელთ ძენო, დავითს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა, კრიტს, ალახს, მალრიბს, ეგვიპტეს, მაშრიუს ჩინ-მაჩინეთსა, თარშის ქებულსა! რომელნი ელნით, რომელნი ელნით თავს სოკრატისებრ სწავლით გებულსა, ვარსკვლავთ-მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკიცხველნო, ვერ ძალ-გოდით ქებად, თავს ჰყოფთ ვნებულსა.
3. ძე აღამისი მსგავსად ამისი ვისცა ეხილონ, მამცნონ სად არი? ღმერთთან სამოთხით მოგეცა სამ-ოთხით ეთურ ბრწყინვალე, შებებრ სადარი. აღმოსაეღეთით და დასაეღეთით სამხრით ჩრდილომდის ჰაოონ სადარი! ზესკენელს ქვესკენელით და გარესკენელით უკანასკნელით უფსკრულს ადარი!
4. ვიწყოლა ქებად, ძლივ შეკადრებად: მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის მპყრობელი, მკნე, ლმობიერი, ქველი, ძლიერი, ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი, შარავანდ-გმირი, ორგულთ გამგმირი, მტერაჲ ქვესკენელად დამამზობელი, რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი, ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი.
5. და ვით ისა-და? დავითისადა ეფუცა უფალს სიტყვა-მტკიცედა: ანაზობნი შენნი, შენი მიერ შენნი, დაესვა მსაჯულად საუდართა ზედა. ესე მისითა: ე სემი სითა—კურთხევით უფლებს ძალთა შემწედა? აქა მით შორჩი. ა ქამით შორჩი სატუხელებრსა, ერთუ არედა.
6. არ იონათან, არიო ნათან, ვინ ქმნა მას ზედან ზეთმცხებელობა. დაცხრა, დაყუდნა, მისგან განკუდნა უგლიშთა ბოკით ზარმცემელობა, დაეთ ძლიერი, მკნედ საშინელი უფლებს და მთაერობს—ურათ შეწეელობა, ვგონებ მაქსიმედ: ჩემთვის მაქს იმედ—მისგან სჯულსა და მბეჭდველობა.
7. კობს ღმერც ხალისად: ა მერცხალისად, კმა ტკბილმკობარედ, იაღრნისად, ნაძვი ლიბანით, სარო ერმონით, ფინიკად ზრდილი ენაგდამისად, ნერგად ვარდისად იერიქოსად—სხვაშე რა ვახსენო მსგავსად ამისად? დასაფიცარი ასა-ფიცარი, დამამტკიცარი წინასწარისად.
8. ბოლუქ-ბოლუქად, მყის სასალუქად ბრძენი რბროტებს მისთვის სამ-ოთხით. მირონ-გუნდრუქად, შტახსად, კასიად, თაჟლად, მანანად, სქედ თქვეს სიპობით, ოქროდ სემურად, ალვად ქამურად, ავად-კინამოდ სარდარ-სარო ხით. ნარგიზ-ლაფროტი, ია-მაკროტი მისთვის ამსგავსეს, რომ არს სამოთხით.
9. გავსილო ამით, ჰგავ სილოამით შეცოდებისა ბიწთა წარმღვნელად. ემოწმობ სულეზსა დასახულეზსა, სამარადისოდ სჩნდე განუბრწყნელად. მკნე ხარ ასური, მკვრეტთა დასური, ალვის ხე ტანი რტო ვანდენილად: გხედვენ რა ღამით, მოსრნეს რაღა მით, მიწვენულ იქნენ თვით სიკვდილ ქმნილად.
10. შრადელ არს მონათა: ზეცით მონათა იელისის მზემან ზედ ლომთა ჯდომით. ტომნი და ერნი, ყრმანი და მღვდელნი აღდებდებიან ზეებით და ხლდომით.

არიან მეცნი, ზიანი და ბორცენი, მალნარნი, ველნი მისთვის შევრდომით.
შემუსრავს, შეფუჯავს, თხემსა ვის ერქვას ჭურად ჩაფხუტი, ორგულთ მიწორომით.

11. დავით მეფესა მტერთ სისხლ-მჩქეფესა, უკედავთ წყაროსა, ცის საშუაროსა, სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა, კისკასად მკეცესა, ტანად საროსა, მხედ სახოვანსა, თვით ახოვანსა, ერთგულთა ხსნილყოფს, მტერთ ება როსა, მუნედ ვისთვის ვეყო. სული გავიყო! უფალსა ჩემსა რამე გამყაროსა?
12. აქვს მას დაბეჭდვით სმენით და ხედვით სიბრძნის დასაბამ—შიში უფლისა, ნათელი წრფელი, უბრწყინელ-ყოფელი, შემწუნარებელი დაერდომილისა. ცუდ ყვის მან მტერნი, ორგულთა ერნი, საკმილმან ვით ქმნის ძალი ცეცხლისა. მოსე და არონ თხემსა დაარონ მას ალაბასტრი ნელსაცხებლისა.
13. უსწრო ხარანით, გაიბა რანით: მით მწიკელის მკლებ არს, არ დამატისა. მსგავსა მანტისა არამანტისა, უფროს მტკიცეობს ანდამატისა. უფალთ მთავარი, მეერ სამთავ არი, სამსაჯულოსა სრულად მათისა, სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ზისა: მთა ვერად სწორავს არარატისა.
14. მადლისა პური, სიბრძნის სადგური, მეედარი ღვთისა სამ-ხატოენისა, უზვერლებითა, სუნნელებითა მსგავსი არს იგი სამ-მირონისა. ყნოსა შრომანთა, მღერა შრომანთა: კმანი ცუდ იქნეს საფირონისა, ქვეყნისა ზღვარი, ჩრდილო და ბღვარი, დავლონ, ვის ძალეუ მისებრ პოენისა?
15. ზირაქს კრონოსით, ზინონს ენოსით სწავლა დაებმის: ბრგენილჰყოფს ენითა: ამით ძალითა რომ ათძალითა ორლანო უძნონ, ებან ებნითა. უთრუთ-სამით ზაალსა ამით განქიჯებულჰყოფს ძლიერებითა.. საღიმ და თური, ძალთ უკეთური, როსტომ, ვერა ვსცან, სწორავს თუ რითა?
16. ძირით მისისა იესესისა შეილი მართალი იშვის ცხორებად, ქალწულ-წმიდისა წილხდომილისა საქართველოსა მეფედ წოდებად. სვეტად სჯულისად, ზღუდედ სულისად, აგარის ერთა ცეცხლთა მოდებად: ა ხალიფასი ახალი ფასი მრავლად მოერთმის თავთა მონებად.
17. იკითხვენ, სწორენ, თაყუშსა სხბრეკენ, რამელს ჰკვრენ, არჩევენ ბედთა მათთავან: აჩვენ რომ გვესმისა, წყაროდ გვესმისა სამოთხით წყლისა ცხოველისაგანა ვსთქვა მე აწ ვითა, რომ იქმნეს წვითა მნათობნი მძაფრად სხივთა მისთავან? ხედვენ მხერთა: სწორად მზე რითა—ჰფიცვენ—მჩირიდა თვისთა სხივთაგანა
18. დოვლათ-სეიანად სუფეს, მზიანად შეილთა მნათობთა გარმო ზღუდეითა: განათლდა არე მისთვის ვით მთვარე, როს განხმულ იყოს ცანი კომითა. ხილუა მეფისა მქერეტელთ ვეთისა—თვალნი მალნიტზედ ფოლადობითა. ლხინად გვეყოფის არ გავეყოფის: არს მიწყვი შევებით და განცხრომითა:
19. მეედრად ქველობით, უძლეველობით, სახედ უსწორო ანაგებითა. უფლად სპასპეტთა, თვით ქალაქეტთა: აქვსლა გოდოლნი ანაგებითა. მწვილთა მარბაქა უქმნა მტერთ რაქა გულსა უწყალოდ ანაგებითა. ცუდჰყოფს მისანსა ტრისმისანსა ხრიზმოსთ კითხვითა ანა გებითა.

20. აღესძრა ბაგენი ბრგენილად მაგენი გულისხმის ყოფით შესხმად ქებისა მალღისა, მკნისა, ბრძენთა სეზნისა: აღმოთქმად ვიწყო ნეტა რებისა? გოლეზბრ მწოთოღვარე, არად მკმოლვარე, სამართლიდ ღირსი ნეტარებისა. არა სთნაეს რისხევა. გესმის? არი სხევა: ნამდვილ ჩვეული მოწყალეობისა.
21. ესა მართალი: ე სამართალი ხეს შეიქმს კმელსა წყალმომდინარედ. აქეს მას ტრიონი სანატრიონი საწმისისაგან სამოსად გარედ. აწ ესე ლომი: თვით ე სელოში მისთვის აღეგო კეთილ სახმარედ. წყლად არს გეონი, ვინ ლეგეონი პირდაყოფილ პუო უქმად, მედგარედ.
22. აქს სასოება მას, სათნოება, სარწმუნოება სიყვარულითა. მაღლთა ტალანტი საესედ ბალანტი შეუკრებიეს თვით სურვილითა. ქველის საქმითა ვკვირობ აქ მითა, რაც ოდენ მესმის იღუშალითა. უსხეულონი ზეცისა ძალნი მისთვის იშვებენ სიხარულითა.
23. აფთონს ჰბრძაეს ითენს: ესრეთ გაათენს წყვდიადსა ნათლად სხენი მზისანი. კაცმან სულელმან და უსულელმან ვერ გულისხმა ყოს მისი მისანი. ფშვის და სუნნელობს, თვით მომცემლობს ჩვენდა სიბრძენსა: მაღლნი ღვთისანი! კაცსა შერისხდა, ნამდვილეუ მიხედა მას საღმობანი სიკვდილისანი.
24. ჰბრძანონ სამალად, ართუ სამალად: ელი ამო სით, ეს რომ არა მით? მასთანა შო რად—ართუა შორად—! ელია-მოსით, ესრომ-არამით. ქველად ქერიოთა, რისხევით ქერიოთა ელი ამ-ოსით, ეს რომ-არამით. მას არა რითა! მასარაართა ელია მოსით ესრონარამით.
25. ვით უძლოთ ქებად, შესხმად, დიდებად თქვენდა, მსაჯულო სამართლისაო! მთავრობ და ჯუფუვე, ათავისუფლებ პურობილთა, ბრძმედო სიწმიდისაო. შენანდარ გიენობს, ოქრო-კმად გიძნობს, სამუსიკოო ზირაქისაო. არსება გმზეობს: მის მიერ გმზეობს წიაღი გულის აბრაზისაო.
26. ხარ უკვდავება! ვით უკვ დაეება, რაც ძალმის, ქებად ვიწყო მწადენი: ტურფი სახითა, ცხოვლადსა ხითა მოყმე, მენეა უხვი დაიბადენი. სიბრძნის ასირად, სწაელისა სირად გარეთ მოგეთხზნეს რიტორთ ბადენი. აწ ამე თავსა! აწამე თავსა ლეაწლი, ვინ უწყის, თუ რაოდენი?
27. ზეცით ხარ ნათლად, ბრწყინვალედ სანთლად: ჩვენ თქვენდა ქებად სიტყვა რად ურთით? მსრველ ბარბაროზთა, მძლედ სარკინოზთა ჩაფხუტ-ჯაკე-კურით ჰოროლითურთით. ისაკებრ პირმშობ, კურთხევით ნიშობ, მეღქმისედეკის ლოცვით ზედა მთითა. ესავისითა. ეს ავი სითა? მაუწყონ მთქმელთა თუცა რათურთით.
28. ვისცა უგმირეს, მისთვის უგმირეს არს ეს ყოველთა თვით-მკყობელთასა, ღვთისა სამ-მზისა, ვინ ზესთ სამ ზისა—ეთერთ, სამყაროთ და ღრუბელთასა. ზღუდეთა კარი, მაღლთა ფურტარი უტკმესად სძისა გოლეულთასა, შემუსრავს ბაალს, მოლოქს და ქამალს, ასტარტის კერპსა საძაგელთასა.
29. მკედრობს ჰუნესა: გულად უნესა სათნოებისა კური რჩეული. ე საც ერია, მეხებრ ერია, რაზმნი შეიქმნეს სულდალეული.

ქმნის რა წაეარდი მყის განაეარდი, ფერობს ვით ვარდი თვით დაცვარული, იხმარნის მკლავნი, კაფად მომკლავნი, აღმტაცებელნი, გრიგალქარული.

30. მტერთა მახვილნი იქმნეს ვით ცვილნი მახითა მითვე, რომელ დაარწყვეს. ექმნა წარმართსა და ერსა მართსა განსახრწენელ, რომელ სრულ პყრობილ იყვნეს. რა მარჯაანთა და სპათა მათთა შერისხდა ლომი, თვით ნანუად იწყეს. მაშინ დაეით მათ: მაშინ დაეით მათ მრჩობლად სხეულთა სული განიყვეს.
31. იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა გულის მდებელად თვისთა სპათათვის, გორგასლიანი, დავითიანი დროშა იახლის მსრველად მტერთათვის. არ ვეკვ, ვგზომი ბრძოლა და ომი სხვასმცა ძალუდვის მისგან გამართ ვის. მებრძოლთა გუნდნი ყოვლად ყვნის ცუდნი: ვჰა როსტომითა უმენე ძალთათვის.
32. ვკობ ვამყვივისსა, ართუ მეყვისსა, როს იავარ პყო იმან ქვეყნით, აღმოფხვრა სული—ქე და ასული: რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უძს ენით? ვნახეთ ო სერი: მახედა სერა—მკეცნი, მფრინველნი უწყულად მისეენით! ექმნა უწყალოდ, თვით ქმნა უძალოდ, მეფე გლახაკებრ ძონძთა მოფენით.
33. თვით სულ იმონა კიდე ლიმონა¹, მით გამოსცდიდა ლომისა მკლავთა: ალაგა მითა—ა ლავამითა ცქაფად იხმარნეს იტლთა მბრუნავთა. ვის რისხვით უკმო, უტყვ იქმნეს, უკმო შიშით და ძრწოლით მომართმევად თავთა. ბნელ პყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა ვით მზე დაფარავს სხვათა ვარსკვლავთა.
34. ახჯარ-კრმალითა ვეფხებრ მკრჩხალითა მეხ² ექმნა მტერთა ცით-მოსალოდნი. მიხედეს სიბრძმესა, დაკდეს სიღრმესა ორგულთა ერნი, ვითარცა ლოდნი. ო კარავანი! აქ არა ვანი მეგობართავან მათთვის საწოლნი. ვადიღებ კელსა ბრძენსა, არ ხელსა, რომ სცა მათ ნიშნად ბოლოდ საცოდნი.
35. ვიტყვი ხვისროსა იმას—სხვას როსა!—, ირეკლესავან ტყვედ შეპყრობილსა, პირველმყოფისა მის მეუფისა სპარსეთად ძელის წარმეყენებელსა. სთქულთა ესეცა: მსგავსად ეს ცეა უღმრთოთა, შეიქმს თვით ოტებულსა: ამით ხე მისთვის! ამა თხემისთვის ნათანით ვძღნობდეთ ნელსაცხებელსა!
36. ხარ კეისარი! ხარკე ისარი სიძლიდრით ლალი ჯიშმდე³ მფლობელი. მოსიმაზოსა—მოს იმაზოსა მახვილი თქვენი მტერთა მწყობელი. ჯალა ცას ერკვევ, მოსრვით ასე ფუქვევ, ბრქალი ჰქმენ მათნედ მერტ-მპყრობელი. ვამომამენდ მეხი—აეად რა მეხი, ორგულთა ექმენ დასიმაზობელი.
37. კვერთხი მეფეთა, დიდ კელმწიფეთა, თვით გაქვს გებალით: სხვამც რად ეკეთოს? ჯაკვ-საქურველნი, ძნელ სასურველნი, მით საარკინოზნი მყის დაეკვეთოს. კრმალი ლესული, მახედ მენე სული, ბარბაროზთ მსრველად მყის წარგემართოს! მკლავნი ძლიერნი, ვმართა მძღბი ერნი, რისხვით მათ ზედა რომ მოვემართოს.
38. შესამოსელნი, შესამკობელნი გმოსიან ტანსა ოკრონემუსულნი, ვეირგვინ-სეპტრანი, ბისონ-მიტრანი, ძოწეულითა თანა შექსულნი. გაქვსლა პორფირთა შთაცმა, პოდირთა სამარავდლონი ერთვან ექსულნი. დიაღმითა: დიაღი მითა ზეგარდამო გაქვს წმიდად ექ სულნი.
39. თუ უქო სრანი მე ამას, რანი? ვალავანისა შემეულობანი. მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთ ხენი, ზედ ავაზანთა შექმნულობანი,

¹ ნ. შაბათ: თვით სული მონა კიდელი მონა ² ჯიშმუდს.

კართა სტოვანი, ერთა სტოლანი, იპოდრომისა განხმულობანი,
სახმრად ლანკანთა, თანად პინაკთა ბადახზნით კელუვეს შექმნულობანი.

40. ტახტ-საჯდომელნი მკამკამებელნი, სარდიონითა ხურუმს შექმულნი,
მისაყრდნობელნი—ძნელსაცნობელნი სამოთხით ნაძენი, თვით უღნობელნი.
ოქრო-ვერცხლებრივ, ბრწყინავს ცეცხლებრივ კედელ-ყურენი ფიქლით ძერწილნი,
ბივრილიონი, ლივგრილიონი ურთიერთობით შორის შთათხილნი.
41. გვირგვინოსანსა, პორფიროსანსა უკედების პურობა სკიპტრისა კელსა.
ეამი დილისა განასდილისა განბრწყინებულ ჰყოფს წყუდიადსა ბნელსა.
მიხედვს მისრულნი, მისთვის მისრულნი, თვისთვის მისრულნი საქმესა ძნელსა.
მე თუ კვლავ გაქო, ვიცი, კვლად გაქო სხივთა ნათელი გვაშსა უხრწნელსა.
42. წყლად გთქვა ნილოსად, უსასყიდლოსად სამოთხით ჩვენდა ქანდაკებულად.
ოქროდ ოფასად, ძნიად საფასად, ყოვლად ყოვლითურთ ბიწმეუხებლად.
სიწმიდის ბრძმედსა თვით განსაწმედსა გამოდნობილხარ ბიწმეუხებლად,
თვალად აღმასად—გავნოს აღმა სად?—, საფუძველ-ზღუდვდ წახნაგებულად.
43. ვინმც იწყოს რიცხვი, იყოს ურიცხვი გოარი მათგან დანათვალითა:
როყე თვალისა წინ ნათალისა, წყალნი მგზებარობს შიგან აღიფა,
სჩანს მარგალიტი—ართუა ლიტი!—ოდენ ბურთისა საბურთალითა.
აქვს ზარდახჩანი მას, ხე-ბალჩანი ლუსკემებრ მათთვის დასაქრძალითა.
44. იაგუნდისა—სხვა რად უნდისა?!—ჯამები იყვის, ლალ-ფირუზისა.
იყვის კურკერთა სხვათ უცხოფერთა სიმრავლით დება თვით ურიცხვისა.
ბეკრად ძეს გორი ერთა საგორი ზოდი ოქროსა მისგან თლილისა.
ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა, კმანი ებნისა და წინწილისა.
45. ეგრეთ ინახის შორის ინახის, ვით მზე სამყარო მანათობელი,
მთვარის მშვენობით, ცისკრის მთენობით სხივ-მკრთოლუგარებით მკამკამებელი,
ელემს დარგული სამოთხის გული, ციერთ უმალე, ქვეყნის-მყარობელი,
გვაშენებს სრულებით ღვთისას რულეებით ჩვენთვის მარტივად სჯულის-მდებელი.
46. გუნდ-მწყობრჩ დასი მას ბევრ-ათასი ყავს დიდებულთა, დიდგვარ თავადთა.
იოსებს თვალად დიდ სამფსონს ძალად, სჯობს ნებროთს გულად ნაყოფი მსთვიდთა.
კულ ჰყოფს ვით ცვილთა ლიქნა-სიციბლთა, მზირთ სიბორგლით,
საბრკით მშაცვადთა-
მისთვის მოვსწყდები, შევირაცხები მსხვერპლად: ვეშგავსო ცხოვართა კვადთა!
47. მზე მთოვართთა! ცა ვარსკვლავითა! შუქნი მიუხეან მას ელვისითა.
მამის ძედ არი საზგზის ნეტარი, მეტრფე საქმეთა სახელისათა.
თვით ბქეთა ბქელი, მტკიცე ბქელი, მეწდე სიტყვათა სიმართლისითა,
ერთა შემცველი, მტერთა შემწველი თანად ზიშითა სასჯელისათა.
48. სახედ ველისა: სახედველისა მკერგტთა ვერ უძღეს განცდად სხივისა.
მო, ე კალმითა მოეკალ მითა, რომ უქმად სდევით ხატვად სახისა.
მისთვის წამალნი სჯობს, რომ წა მალნი თვარ იქნეთ თვისთვის მზახნი ახისა.
მან იოსებსა—არ იოსებსა!—სიტურფე ართო, თვით მსგავსი მისა.

49. ალვის ხე ტანი, მსგავსად შემტანი აქვს კოწოლ-დაყრით კვიპაროზისა.
დასწავეს სრულობით ჯაეარ-სრულობით მზეთა: საკმილად ემუი ეგზისა.
სტავრა და ნახლი, არ ბილწ-ხელ-ნახლი, მოსიეს ტანსა მკვერსა ზეზისა,
ვით მზე ლალიად, ეგრეთ მალიად მორბედად შავსა ტაიქს ზე ზისა.
50. არ გასტებს ფიცსა, თვით დანამტკიცსა: მე მედ იყოსა ანუ თუ არად.
ძლევა მარჯვენით მოიმარჯვენით უფლისა მიერ კურად და ფარად.
ექმნა ქუხილად, თვალთა წუხილად რაზმთა ურიცხვთა მეტ. გრიგალ-ქარად.
ერი რჩეული, ნიჭთა ჩვეული, მისგანვე იქმნეს კეთილ-სახმარად.
51. ვარღო ფურჩენილო, ცვართ განბანილო, ნერგო სვიანო, დავითიანო,
ვინ ხიკასია, სუნნელ-კასიო, ბალანსად კმოლავ და ვით იანო,
ვინ ხარ? ან თრაკი? ქვეყნად ანთრაკი უცხოდ აგებულ ანაქესიანო,
გონება ვრცელო, კვლად ცნობა გრძელო მოთმინებაო იობიანო.
52. ბანაკად საღმრთოდ, ერ-საზეპუროდ ხარ ღვთის-მეტყველთა მით კურვილთაგან.
ექმენ საკმილად იყვენს ახშილად მზირნი ფარულად შორს ქალაქთაგან.
მწარედ ლმობილნი, ეგრეთ ცნობილნი უღონო იქმნეს თვისთა სულთაგან.
გულდრკუ-ხენენნი, განმრყენელნი ეშენი, აქიტოფედ ყვენს განზრახეთაგან.
53. ატიკულისა, პატრიკულისა ხედვის უფალ ხარ სიწლოთ სიხშოსა.
უთქვამს ებელთა მეძიებელთა შენთვის პროკლე და დიადოხოსა:
ღარვე თავს დებით ღრ ვეთავსდებით სიბრძნისა ზღვასა დავით პირმშოსა.
ზინონ ზენანი, მოგვთა ზენანი მეუფედ გემობენ პერიპატოსა.
54. იმ ალვისა ხედ—იმაღვი სახედ, მკერგთა შემწველყოფ მით მოტყინარედ.
კვლავ ეს ხეული არე სხეული ლმობით პატივად ექმნების მწარედ.
ეგე ენიად: ე გიენიად ექმნა და მით იქმს სულ ქვემდებარედ.
მწირი და მსხემი, ეგრეთ დამსხემი, ქებისა ვიქმენ თქვენთვის შემკადრედ.
55. მოხვედ განრომით, მტერთაგან რომით სიშენითა აზნობ მძლედ მორკინალი.
სწაელის მოძღვარი, საშვებლის ღვარი, სიწმიდისა ცხოვრების თვალი.
ჰყოფს ანეულსა მყოფს ან ეულსა არ ოდეს ბიკად ერქენისა ძალი.
ხედავ: გაქვს მოხშო. ვაი თუ მოხშო წყალობის კარი ტკბილად მზრახვალი.
56. რა მოიხარდე, თვით მოიბლარდე ნათლითა ყოვლის მპყრობელისათა,
იროკი, ბორრატ, პარმენიდ, სოკრატ უფლად გთქვეს ზღვისა და კმელისათა,
ფილოსოფთ რვისა გარდატვირთვისა მხედველ ხარ მსგავსად ებელისათა.
ექმენ ედლად ყრმთა ე დილად განმბანელ შვილთა ემბაზისათა.
57. გიკომბ მანასებრ, გიწოდ მეუფებრ, სიტყვით შეგიბნეავ ქებას ჯეროვნად.
ნათლად მნთებარე, წინამდებარე, სხივ-მომცემელობ ელვა-ცისკროვნად.
ძალ-გულად მენეო, სვე ბედით ქვეო ასპიტთ ცემულ ჰყოფ მტერთა ახოვნად,
მყის მოამდოვრებ, მყის შეიქმ ცხოვრებ უჯეროდ მზახთა მდელითა ძონად.
58. ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალეობა, მუშეს სუნნელება შენგან მიეცა.
ყნდაპარს შაჰარ, მალრიბისა ზარქან, ბარანს მარგალიტ-სადაფი ეცა.
ქვეყნის მნათენი, მოკამათენი ბაზიყად გექმნეს სურვილით რეცა.
წმიდათ მემწყობრე, მათთან მოსავრე, ზეცისა ძალთა ხარ მოდასეცა.

59. ვხედავ მი რტოსა გაშლით მართოსა გვართბ მთაფრობით ზესთ საჩინოსა, კაცთა მკოდვისა და მამკოდვისა შეიწრებისა არ მომთმინოსა. სწავლის ებგური, უცხოთ სადგური, ნავთ საუუდელთა სწორავ ნილოსა, სიბრძნის უფსკრული, ენა რიტორი, მსგავს ხარ მთისა მის ეტონეოსა.
60. თქვენ ინდოეთი, კვირინ-გუთეთი, არიელ-ფოტელ გერგესეველი, შიშველ-მართალი, ციდა-მტკაველი, აბაშ-შაბაში, ღვედვეუ ნეველი, ბასრი. ბარანი, ვრაბშან, ერანი გაქებს, გადიდებს ძნობით ყოველი — არღამი ეარდა. გლახ! დამივარდა ენა მართლის თქმად ველარ მგებელი.
61. ძირმტკიცედ გოდლადა, ზედ კართა ზღრუბლად ცის კამართა სჩან ხარ ზესთ მდეგად, ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოსხლავ, ერთგულთ ექმნები ფარად და ზურგად. ურჩთა ედომით ცეცხლად ედო მით შერისხვა თქვენი სრულ დასადაგად, საეპილთ არმური სწეავს მათ, არ მური გუნდრუჟად ერთმის ოქროსა რიგად.
62. გვრიტთა მართვისა თვარ, აქვს მართ ვისა თქვენებრ სურვილი შეუღლობისა? წარ თუ წირულ ვართ, არ განწირულ ვართ, რადგან თქვენ კპოვეთ მზედ უუღობისა. მადლის მუშაკთა ექმენ ხორშაკთა მაგრილობელად სხეულებისა. მათ შეუძერელი, კლდე შემმესრველი ლოდი ხარ მტერთა დებრკალებისა.
63. თვალი ხარ ბრძნთა, თვით მზრდელი ყრმთა, შშიერთა ჰური, უსახლთ სართული, მამა ობოლთა, მსაჯული ქერიეთა, შიშველთ სამოსლად მონიკებული, მოხუცებულთა, შრომით რებულთა სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი, მოგვეფნ სიბრძნესა, წვრილთ სიღრმესა თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი.
64. მან უკოდველმან, ყოველთ მხედველმან, ზესთამან არსმან თვითებისამან, მიუწდომელმან, დაუწყებელმან, ნათელმან ერთმან სამებისამან, მამისა ნიქმან, სოფლისა ნიშმან, მის თანასწორად განსაზღერებულმან, გქმნა ცისკრად დლისა, მთიებად მზისა, ვარსკვლავად ცისა თვით უბინდომან.
65. ჰფუცე მონამა: ზეცით მონამა მანანად ჩვენთვის მწყერ-მარხილებით. გეცა სრა სრულეებით, საესედ სრულეებით, თვალ-გოფარებით, ოქროს მილებით. მისგან ბოძება—ართუ მოძება!—მრავლად ვახილეთ ტკბილის გულებით. ჩვენთვის მთმობელად, დასათმობელად სანუკრად ეპოვეთ ესმარ-ხილებით.
66. აწყა რომითა ა წყარო მითა ეს მოგვენიკა ქრისტეს მიერად: იტყვის იგავსა, ართუ იგ ავსა, ზირაქის მსგავსსა გულისხმიერად. მტკიცედ და მკვეთრად მისგან უკეთრად ნეტარ ვინმე იქმნეს ანუ თუ დარად? მისრულ მისრულა, მისრულ მისრულა, გული როს მქონდა საღმობიერად.
67. სკერეტენ შეფერიწეთ მნათობნი ვინ ვით ხევეით და ნდომით—სულწასულეებით. ეტყოდეს გულსა მისთვის დაგულსა: 'რადგან დაებით, ბარემ სულ ებით!' თავს აბრალებენ, არ აბრალებენ, მყის გლოკად იწყეს ალვა-რგულეებით. წამწამ ისროდის, ვერ განიქროდის, მზენი ლახვართა მისთა სრულეებით.
68. არს შეენიერად, არ ქვეყნიერად—ანგელოზთ სახედ დასახებული, მეფედ გებული, ლალი, შეებული, თვით მხიარული, სამ-დიდებული, ნორჩი ალვათა, აკრთობს ჰალვათა, არეთა მთენი, ცისკრის ქებული: მართებს, რომ ცამცა-ქქონდეს მასცამცა სახლად, სამყოფად განიწინებულა.
69. სჯულისა ლარი, ქვეყნის საღარი, გამდიდრებული ფრთად ყოვლითა! უწყის ყოველნი ეამნდ და წილნი, შეყინვა ნიფთთა ცით მომგვრგვლებულთა.


ქვეყნის უფალი, მკერეთ სატურფალი, საყნოსლად მათთვის სუნნელებითა.
თვით ლომი გმირა: ნუთუ ეგ მირი თქვენ ჰგონოთ მისებრ ძლიერებითა?


70. მტერთა რე წყალი და ნაბერწყალი მიჰფინის კმათა მისთა აღმურმან.
გაძმონვებული ცნობაუნებული მეხდატეხილ ყვის მკლავმან ძლიერმან.
სრბით სლუა უჯროდ, ძნელგასამრჯელოდ უქმნის რისხვამან კვლავ მის შიერმან.
ეცის ვის ის რა, გულსა თვით სისრა მყის განაწონის მან სახიერმან.
71. საფარველ ერთა, საძლეველ მტერთა მარტივად პბრწყინაეს თვალი სოფლისა,
გონება ერცელი უოვგან მხედველი ქრისტესთვის მთხვევი თვისა ოფლისა,
ნიჭთა მთხრობელი, წინა მსწრობელი, მადლით სპეტაკი უფროს ნათლისა.
მისთვისვე ქმნილი, თვით განკეთუნალი, უფლადცა მხედი ნიეთთა ყოვლისა.
72. ცნობისა ნესტვი, ხვეკით საპკრეტი სიმალლედ, სიერცედ, სიგრძედ და სიღრმედ,
სჯულის ფიცარი ძნელ საფიცარი, მადლთა ბარძიმი ერთა განსაწმედ,
მზე დაუვალი მყის დაუვალი არს შვიდი მნათი მას ზედ მოწამედ:
წმილად აქეს სული დასთა დასული სამყაროს ნათლად, არათუ ლამედ.
73. მისგან ვითხოვო — ართუ ვითხოვო —, რათა სცეს სწავლა თბესა მცონაზსა.
თვით აუარო: არა უარო ქვეყანათ ყოვლთა უფალ-მთავარსა:
სამ-სახეობით სამ-სახეობით ხადი უფალსა და მაცხოვარსა.
დაბანაკებით, აბანაკებით მკვირცხლად გვახილვებ მეზბრძოლთა ერსა.
74. ვხედავთ სფეროთა — სამას ფეროთა საქმეთა მქმნელად ეალს სიფიცხენით.
ცის საქანელნი გარომოდენელნი მადლისა ცვართა ექანეს მას ზენით.
თვით მის აქაზის ნაცვლად აქა ზის ახოვნებისა სვეტნი მტიკიენით.
ონორის დუქსა პირს აეად უქსა მყის შერისხეთა, მსწრაფლ სიმკვირცხენით.
75. დრო შამოიგლო: დროშა მოიგლო, მტერნი დაკონის აობრებითა,
ბუკტაბლაკობით სააჰაკობით მედგრად ობრძოლის განწყაზრებითა,
განცბუნვებულნი, განწბილებულნი ულონოდ შექმნის აბჯართ აკდითა,
გამეხებული, გამარჯვებული იყო, იშვებდა ფუფუნებითა.
76. ვაქებდეთ ერრო, ყრმანო და ბერნო საუჯედ ჩვენთვის მონიკებულსა
ქრისტეს მკედარსა მენე-ახოვანსა, პირად პირადად განშვენებულსა,
ნათლად ბნელისა გარდმოფენისა, ეთერთა ელვად დასახებულსა,
სიწმინდის ბაზმად არ ბილწად, კაზმად, ნათლის ემბაზად დაარსებულსა.
77. ლმერთმან და ძემან, ღეთისა სიბრძნემან, ჰყოს ეს უაღრეს სულთა ყოველთა,
ნათლად ცხორებად, არ განშორებად ზეცისა ძალთა, გუნდთა ცხოველთა.
მნედ ტარიგისად, ვითარ იგი სად ცხორებდა ჩვენთვის ქვეყნად ქვე-ველთა,
აღაგოს ახლად, სწავლის თან სახლად — ასურეა ენა მისი მსქენელთა.
78. ვსთქვა ფინიკელი, არ აფრიკელი — მათ ჰქმნეს წერილთა მოგონებანი.
კატამანეთო იამანეთო მისდა მყის ცუდპყვეს მოგონებანი.
გიკმობ რომელთა, გიცნობ რომელთა, ყურნი მომიპყართ — მო, გონებანი!
მისთვისლა ქებით ხარ განქიქებით, ბიწი ვინ ჰპოონ მოგონებანი.
79. ანდობან მოგვმან, გრძნებითა მმოგვმან, მისნობით კელპყო ზაკვით ზღაპრობა.
ემპაკს ევედრა, სული შევედრა: მით ექმნა სრულად მათთან საჯრობა.
თქვენგან ქურუმთა მყის აქ ურუმთა მოლიდთა ცუდპყვეს ბომონთ მოთხრობა.
ძეგლად სჯულისად მართლ-მსაჯულისად დავით გიწოდა თვისად მკვიდრობა.

80. დაწერა ქვითა და წერაქვითა, ანდამატისა ცვილ-მყოფელითა.
მკნედ ჰასაკისა პავისაკისა წმიდათა თანა მომწერელითა.
ტუარცა ისრისა მიკვირს: ისრისა მერკვირისაებრ უსრულთ ჰკლენითა.
სარკინოზთ ერთა სხეულთ აერთა ჰოროლნი მორთესა შიგან წეწინითა.
81. არაბ აშია! არ აბაშია—მეფე მორწმუნე კმელთა ნათელი,
გულთა და სულთა თვით მათ დასულთა ებრ ბრწყინვალე ჰყოფს მადლთა სანთელი,
აღუა მოზარდი: სოკრატ, მოზარდი ქებისა პოენად ვითა სულელი!
საბას რომისა საპასრო მისა: გემობარნი თაუთა ღრკუ განმსწავლელი.
82. მაჰმადის სჯულსა გარდალაჯულსა, ბილწად საქიქელ-საბასრობელსა,
სიძვა-მრუშებით, არა წმიდებით, ჩუქნა-ლირწებით სჯულთა მპყრობელსა,
თვით მეზღაპრესა, ცუდ ფელამბერსა, ღვთისა არ მართლად მქადაგებელსა,
ეც მოსეს ხითა არმო სესხითა, მას ღვთისა შიერ მოსაძაგელსა.
83. სთქვის სიტყვა მწვერნი, ართუ დუხპირნი, მოსაქცეველ ყვის წარმართთა ერნი.
მათ სატუხელნი, ძნელ საწუხელნი, სჯულნი შეუქმნის თავისა მტერნი.
მისცის ყოველთა, ვინც იყო ველთა, აღიდებდიან კრმანი და ბერნი.
მისთვის უგბილად, განსალიგებლად შეიქმნეს მღვდრად სხიენი ძლიერნი.
84. შვიდ წვალებითა, შეცვალებითა იყვნეს ძველთაგან შობის დღის მგზელნი,
სადუქვევლნი, ფარისეველნი, მცნებათა სჯულსა არ კმა ყოველნი,
წერილთ მომპოენნი, თვისით მოგონნი, სხვანი დღითი დღე ნათლის მღებელნი.
ნაზარეველნი, ხუთოსინელნი მისგან შეიქმნეს პირდაყოფილნი.
85. მაკედონოს, ღრკუ საბელიოს შეტომით ჰგომობდეს სულსა წმიდასა,
მანი ვინმე ცით ეტყუდა რეცით გარდმოტანასა კორცთა მისთასა,
სამუსატელსა და მომფსვეტელსა პირს დაუყოფდა წვალებათასა,
სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლთ მჩქეფენი ღმერთმან არ ღირს ჰყო უფლებათასა.
86. ვით ქვიშა ზღვისა, ცვარი წვიმისა ვერვინ აღრიცხოს თვითოეულად,
ეგრეთვე ქება, მსგავსად კსენება მისი ვერ უძღონ თვითოეულად,
სიმკნითა ბრძნობა და გულონობა მისი ვერ უძღონ თვითოეულად.
აღმოსავალი და დასავალი, მთანი და ბორცენი კმობს უფლელად.
87. მაშინვე ნახი თვით ეს ვენახი კეთილგანსხლული სორგეთ მომრთმელი,
ლელვისა ღვისა კუროს თავისა წილად მურტისა გამომღებელი,
ნამისა ცვართა გამომბუტკვართა ნორჩთ ქანდაკებით მსთვად სასთვლებელი,
კეთილ-ნუერობით, ცუდ რიე-რეობით მკვრეტთ სატრფილოდ დასალბობელი.
88. უცხოთ მოყვარე, გლახაკთ მოწყალე, მსჯელი მსჯაერისა და სამართლისა,
აღბორგებითა, აღფოთებითა ძმაკუათა შორად წარმდევნელისა,
შვიდის კრებისა დამტკიცებისა დამბეჭდველ გვექმნა—მათგან თქმულისა.
მან ჰყო არიოზ და ენომიოზ საბელიოზით შორს კეებულსა.
89. სთქვა შემოქმედმან, ყოველთ მოქმედმან: ვექმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა!
ღმერთმან ღმერთთამან ძველმან დღეთამან, ვინ თანასწორად სულსა აელენდა,
არვისგან არსმან, თვით დამაარსმან, სამეზით სრულმან თვით იმოქმედა,
ნამძღვლ ღვთაებით, საბათობით, ნივთთ შექმნულობით წარმოადგენდა.

90. მისცა ყოველი — ერთუ ყო ველი? — თვით მისმიერვე დაემონოდეს.
 უბრძანა ხისა კეთილ სახისა დაცვად ნაყოფი, ჰამად არ ოდეს.
 უწყოდა ღმერთმან, მან სახიერმან, თუ სჯამდეს, თვალნი ავხილვოდეს.
 ურჩ ექმნეს ღმერთსა, უსმინეს მტერსა: მით მზე წყედიადად შეიცვალოდეს.
91. როს ენა შვიდი, მათთვის დამშეიდი, საზრახელ იყო სულთა ყოველთა —
 ასურთა, შინდთა, რომთა და სინდთა, ბერძენთა, სპარსთა, გოგ-მაგოგელთა,
 მაშინლა ნებროთ კვეით სამისებროთ გოდოლი კელ ჰყო შენებად ველთა,
 თვით გარდმოჰკრა, სული გაიჰკრა, სატანჯველთ მიხვდა სასტიკად ძნელთა.
92. მცხინვარებითა ლეთაებისითა ფერი იცვალა თაბორს დიდებით:
 ელია მოასით ნათელ-შემოსით იახლნეს, სხვაცა სიმტკიცის კლდებით.
 ძრწოლით ზედვიდეს, განიზრახვიდეს, ვითარცა შეჰგაგეს მონათ რიდებით.
 კმა ზეგარდამო მყის ყოვლად ამო მამისგან ესმათ ძედ საწოდებით.
93. ერთ აღიფრტვინეს, თვით დაიდრტვინეს, უმაღლოდ ექმნეს ქველის მოქმედსა.
 აღბორგნეს ჯერკელად, აღშფოთნეს ჯერ კელად, კიცხვით ბასრობდეს მას შემოქმედსა:
 ვინ იბანს კელსა — მე გვონებ ხელსა —, ღვთის სისხლსა წყლითა ვინ განიწმედსა:
 სულისა აღსრად დასული სახსრად ღეაწლს აღასრულებებს წინასწარედსა.
94. როს შესა მესით, თვით მესამე სით, დაჯდეს განკითხვად სულთა ყოველთა.
 ოხერიდენ ზღვანი, გრგვინვიდენ ცანი, ზარი გამონდეს ცეცხლთა შემწველთა,
 მსწრაფლადლა სტვირი ძნელ-დასაყვირი წარმოადგენდეს სულთა ყოველთა,
 მაშინ გალხინოს, თვით მიგავლინოს თქვენ უოხვნოთა მით საშვებელთა.
95. ქრისტეს სასძლოსა ვინმცაა სძლოსა, განწმედით ქმნილსა, განბრწყინებულსა?
 თვით მას ედემსა, ნათლად მიმდემსა, პირველვე შენთვის სახლად გებულსა,
 სასუფეველსა ყოვლად ცხოველსა საფუფუნებლად შენთვის დასხმულსა
 ვქედავ ჯეროვნად მარად სიმოვნად შენდა განკუთვნით განმზადებულსა.
96. თუცა ვიტყოდი, ეუწყი: ვიტყოდი, ენამცა ბრგვნილად დამეცებდოსა.
 ვის უთხრნე პირნი ძნელ დანამჰვირნი ანუ სხვა ვინმცა შეიმედოსა?
 შეგაფერდა, გმირო ქველო-და, სულ კმელთა ფლობა სამეუფოსა.
 მა ლეგეონსა მალე გეონსა დაანთქმედ უყსა საუფსკრულოსა.
97. შენ, გონიერო, გულის ხმიერო, თვით მეცნიერო მეფევე ძლიერო,
 მიუდლომელო, მიუწდლომელო, მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო,
 განათლებულო, განახლებულო, განბრწყინებულო მზეო ციერო,
 გალადებულო, გალომებულო, კელაე გოლიათო გულლმობიერო!
98. მე-შანაშენი — მე, მონა შენი, ვგონებ — ყოველნი შენთვის შექმნულად.
 ნეტარ ხარ ყოვლად წმიდად და ცხოვლად ძალად და გულად, თვით არ დაგულად.
 ნეტორად მძლეობ, არა თუ ლეობ, დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდელიად:
 აწე რისხვითა აწ ერო სხვითა გზით წარუელინოს უკუნ-საქცევლად.
223. როსტომს ზურაბ რა დაეხსნა, მოუბრუნდა მკვდარსა სული.
თქვა თუ: ამოვრი, ახლა ვჰპოვე მე სიცოცხლე დაკარგული!
იგ შეიქნა, ვათა გვრდემლი,—მასრი კრმალი გამაბული,
და მერმე წყალსა მო-ცა-მართა, გაჰკომბოდა სიცხით გული.
224. სვა წყალი, პირი მიწასა დასდვა, ილოცავს ნებასა,
ღმერთს რა გაეგო, არ იცის, იაჯდა გამარჯვებასა,
ეტლი უქულმა მბრუნავი ისწრაფდა გამწარებასა,
და მათ უპირებდა გვირგვინსა მოკდასა, გამტერებებასა.
225. ლაშქართა შიგან მოვიდა როსტომ პირ-გაყვითლებული,
წინ მოეგებნეს თავადნი, ნახუდ იმისთვის რებული,
მათ უთხრა მისი ამბავი, ვარ დღითა შევიწრებული,
და კელმწიფეს წინა მოვიდა პირ-კმუნვით, გამწარებული.

226. მოაკუნა: აწ სიციცხლე დღეთა ჩემთა გარდაჰკლებს!
როც მინახავს, მეომარო სხვა მისებრიუ არ იქნების,
ნაინგი და დევ-პილონი ძალად არას ედარების,
და რა ვინდა რა გრძლად ვიბრალოთ, ვით უკოცო, არ დაშერების!
227. სხვა მეომარი მის მეტი, იცნო, ვერ გამმავრებია?!
• ამისგან კიდევ სიკვდილი ჩემი არ მიაზრებია,
თუ მამერეის, ისრევე დღეთაგან გარდაეჰკლებია,
და საამს მივართვამ ამბავსა, ნარამანს ვესტუმრებია!»
228. ნაღვლითა ცოტა რამ კამა როსტომ გულითა ქველითა,
მას ლამე ღმერთსა ევედრა სიტყვითა საკვირველითა:
«ნუ ამოაგდებ ჭეჭაოზს, ერანსა საძირკველითა,
და ნურც გათავდების ჩემი დღე ამ ფალაუნისა კელითა!
229. ინადირებს ერანელთა უაღვილეს ჩიტისაგან,
უიმედოდ დაკლებიან ტახტისა და ციხისაგან,
ბანოვანნი უპატიოდ ითრევიან თურქისაგან,
და ბევრი სული ამოწყვდების, წაირღვნების სისხლისაგანა.
230. რა გათენდა, ზურაბ შეჯდა, იგ სამანღსა მოირბედა.
«დღეს რკენითა გავიჩინოთ, ფალავენო!»—მაღლად ჰყეფდა.
შეენება და ჯომარდობა მისი როსტომს აკვირებდა,
და საუბარი ომანისი ზურაბს ჯაერით აღელვებდა.

**ამა როსტომისა და ზურაბის ჩამან და მამისაგან შვილის
ხიკმდილი**

231. როსტომ უთხრა: «ლომის ომსა რადგან დაჰკრთი; გიჯობს ზავი!
აწ მოდი და ერთმანერთსა ჩვენ უჩვენოთ კვლავუა მკლავი!»
როსტომ ყოლე არა თქვა რა, რაშსა შეჯდა გმირთა თავი,
და კლა სარკენლად დაეკაზნეს, უბრუნედა ეტლი ივი.
232. ვითა ლომთა შეუტეეს, გააპობდეს კლდესა ტინსა,
რკენასშიგან იგ მკერდებსა იძგერებდეს გმირი გმირსა,
მაგრა ეტლი უკუღმართი ვაუპირებს ვისცა ძვირსა,
და მან შეუტრა მკარი ზურაბს, კლდეს დაადნობს ვითა ცვილსა.
233. მას ნიანგთა მეომარსა მკერდ-კისერსა კელი დასცა,
ლომმან როსტომ დაიძახნა, აიყვანა ზურაბ, დასცა,
მან კელ-ფეკნი გაიქნივა, ასადგომლად თავის ვზასცა,
და ფიცხლად დანა გამოილო, მოსაკლავად გულსა დასცა.
234. როსტომ ვერ დაიმაგრებდა ზურაბს, გავსილსა მთვარესა,
ვით ეტლი, აუდგებოდა, ჰგავს მზისა მეჯუფთარესა,
მამამან დასცა ხანჯარი გლახ სისხლთა საღინარესა,
და გული და დეიძლი გაუპო ყმაწვილსა გულ-მღვიძარესა.

235. ზურაბ თქვა: *ეეს ფათერაკი თავს უყავ ანაზღუელი!*
 სისხლისა ღვარი გაუწვა, უკუ წვა გულ-მტკივნეული,
 ამე მქონდა საწუთროს კლიტი, შენ მოგეც განასრეული,
 და შენ უბრალო ხარ, მოვსტყუედი, სირეგენით ცნობა-რეული!
236. საძებარად მანისათვის ჩეჰი გული გამოჰკრილა,
 დედაჩემმან გამამგზავნა, საქმე იმან მამილბილა,
 სული დავსთმე ძებნისაგან, დღეს სანთელი დაშრეტილა,
 და აწ იტყვიან: „საწუთრონი ჩემნი ეტლით ჩამოჰკრილა“.
237. შენ, ბერო კაცო, მუხთლობით,—საუბრად პირი აიღო,—
 რად მამკალ, გიჯობს, ზღვაშიგან თევზთაგან ცნობა აიღო,
 ჰაერთა შიგან გახვიდე, ზეცის ძალთ ქკუა აიღო,
 და მასკვლავთა თანა საჯდომლად მიწათ სურვილი აიღო.
238. ამ ლაშქართაგან ერთიცა მორჩების სახელ-დებული,
 როსტომს მიაართვამს ანბავსა მტირალი შეჰირვებული,
 ზურაბ მოგვიკლეს ღალატად, ძე, შენად ძებნად რებული,
 და მან ჩემი თავი იძებნოს ღრუბელთა შესწორებული!»
239. როსტომს რა ესმა, გაჰკვირდა, დადგა უშტოსა ხე ვითა,
 ვითა ფურცელი, ათრთოლდა, დაეცა მკედარი ძე ვითა,
 სულად მოვიდა, ჰკითხვედა ნიშანსა ცნობა-რევითა,
 და აწ შენი საქმე მიანბე, აწ დაეიკარგე მე ვითა!»
240. ზურაბ უახრა: *თუ როსტომ ხარ, რისთვის მომკალ, შენ გეძებდი,*
 აე-ცნობობით არ მოვეკალ, ცეცსლსა წყლითა გინელებდი,
 არ შეგეძრას სიყვარული, ყოვლგნით გზასა გიჩვენებდი,
 და აწ ჯაეშნისა ნასკვი გაკენ, თუ ტყუილად გიჩემებდი.
241. აჰა წამოსვლად ბუქსა ვკარ, ტაბლაკსა რა ეგვანების?
 მუნ დედაჩემი მოვიდა, ტირს, მკვდართა დეიდარების,
 მან ესე მძივი მიბომა, რომელი მკლავსა არ ების,
 და დაზედრა, მამისეულმა, ნახე, სად მოგვემარების?!
242. როდეს ვნახე, მუნეე ვიცან, გიჩვენებდი გზასა დია,
 მძივი თქვენგან ნაბოძები ამაღ ჩემთვის უემარია,
 ბედი ავი გამიმლაშდა, შავი ეტლი მამერიო,
 და მამის კვლით დალახრული უპატიოდ მკედარი ვძია.
243. მერმე გაუქსნა ხეფთანია, ელვა გამოჰკრთა, მზე ვითა,
 მძივი იცნა და იტირდა როსტომ, ყვიროდა, მთა ვითა,
 გარდაიხივა საყელო, გრგვინავს, მღლეფარე ზღვა ვითა,
 და ფეა, შეილო, ჩემგან მოკლულაო,—ტირს, ამას მოსთქვამს ვაითო!
244. ევაე უებროვ ფალავანია,—ტირილით როსტომ ყვიროდა,
 შეილობით მოსთქვამს საბრალოდ, თავს მიწა გარდასცვიოდა,
 მინდორთა ჰფრეწდა კელითა, სისხლი და ოფლი სდიოდა,
 და ცრემლისა ნაცვლად თვალთაგან ძოწისა წყარო სცვიოდა.

245. ზურაბ თქვა: *ყვამად კმა არის, ჩვენ ავი რაცა ვქენითა, უარესია მოიკლავ თავსა თავისა კელითა, ეს მოსაველი მოვიდა, სირვეგნით რაცა ვქენითა, და გარდაჰკდა ჩემი სოფელი, არ მოსალოდნი ლხენითა!*

აძა ცნობა ერანელთაგან ზურაბისა როსტომის შვილთაის და როსტომისაგან ზურაბის მოკვლა. ვაი ყუთულო სოფელო!

246. მზე ამოდლდა გუბადზედა, კმელთა იწყეს სარაჯობად, არ მოვიდა ლაშქარს შიგან კელშიფეთა როსტომ კმობად, თქვეს თუ: *მოკვდა ბილოტანი, ლმერთს მოუნდით ჩვენ დამკობად, და ოცი კარგი ცხენოსანი წამოვიდა ამბეის ცნობად.*

247. მინდორშიგან ორნი ცხენნი ებნეს, როსტომ ველარ ნახეს, თქვეს თუ: *მოკვდა უსაცილოდა,—მათ ლახვარი გულსა ახეს, თავსა ტენინი დაუბარუნდა, თავადებმან ივაგლახეს, და იგ მოვიდეს ქაოზს წინა, ტირილითა სულ-თქმით ახეს.*

248. ქაოზს ჰკადრეს: *როსტომისგან ტახტ-გვირგვინი დაიძალა, ლაშქართაგან ტირილითა ჩანგ-ბარბითი მოიშალა, • საწუთროსა აღუღებდა, სპათა რაზნი აიშალა!* და ერანელნი ფალავანნი ქაოზ წინა შეიყარა.

249. უბრძანა ქოსთა შებერვა, —*ლაშქარნი დაჰკავშენითა!* საფადი ტუსი მოვიდა, უმძიმს, ჩიოდა ენითა: *ღაეკაზმენით საომრად, მინდორთა გაეწყვენითა, და ორთა ლომ-კაცთა აშბაევი აწ მართლა შეიგენითა!*

250. ტუსიმ თქვა: *ყრანს მიწათა ჟამია დატირებისა!* დიდებულნი და თავადნი, დღე ჩვენი აოკრდებისა! თუ როსტომ მოკვდა, უცილოდ აწ ჩვენი გარდაგვკვდებისა, და ერანელთაგან საომრად ზურაბს ეინ დაუდგებისა?!

251. ზურაბ ნახა—*ლაშქარშიგან აშლილობა, წყობით არა, როსტომს უთხრა: ემამაჩემო, ჩემმან საქმემ ჩაიარა, თურქთა საქმე სხვარიგ იქნა. ლმერთმან რისხვა დაამყარა, და აწ ამითა შემიწყალე, მათ კექაოზ აენოს არა.*

252. ჩემად საშველად მოსულან, აქ ჩემგან იმედუელნი, გზაშიგ არ წაკედენ ლალატად შეშინებულნი, ძლეულნი, წავიდნენ უზურაბონი, მტირალნი ცრემლ-დათხეულნი, და დედაჩემს წინა მივიდნენ საყულო-გარდახეულნი!

253. ფალავანი რაშსა შეჰდა, კელშიფეთს წინ წამოვიდა, ჯაქვ-ჯავშანი გარდებივა, ვით ღრუბელი მოგრგვინვიდა, თავსა მიწა გარდუყარა, ეელთა სისხლით შეღებვიდა, და თმა და წვერი დაეგლიჯა, მელნის ტბათა ცრემლსა ღერიდა.

254. როსტომ ნახეს მამავალი, სადავესა ა-ცა-ზიდნეს,
პირ-ღამკობით ერანელთა მლთისა მადლი გადიდნეს,
ნახეს როსტომ გავლუჯილი, საყულონი ვარდებხინეს,
და გაკვირვებით წიღებნეს, სპანი კელსა მოეკიდნეს.
255. ჰკითხეს თუ: «ლომო, რა მოკდა, გვიბრძანეთ, რაცა ჰქენითა!»
როსტომ თქვა გულ-მდუღარემან ძნელად სამბობი ენითა:
«ეიამე, ლხინის მამლოდნე აწუჭირით ავიესენითა!
და რისხუა: მოვიდა ზეგარდმო, თავი მოვიკალ კელითა!»
256. არ მეგონა, ზურაბ მოვკალ, იავლახ მია, ჩემი შვილი!
ჯომარდი და გულოვანი, სასახელო ალვა-ზრდილია.
ერანელთა გაუკვირდა, გრგვინვა შექნეს მათ, ტირილი,
და უკვოდ გაკდა სევდისაგან როსტომ, იღვა დაბნედილი.
257. კეუათ მოდგა პილოტანი, მოუბრუნდა სული გემსა,
დავედრულსა იგონებდა ზურაბისგან თუ რა ზომსა:
«ეუად ვაკდა ჩემი საქმე, გარდავასხი სისხლი კუმსა»,
და ერანელთა შეეხვეწა,—«ნუ აპირებთ თურქთა ომსა!»
258. ჩენზედა რისხვით მოვიდა კორონოზ ანაზდეული,
რადგან ვარგვიარ საცოცხლოდ, ეშმაკისაგან ძლეულია.
ამაზედ ზავარ მოვიდა, მტირალი, გულ-მტკიენეული,
და გაგლუჯილყო, მოსთქემდა საყულო-გარდახეული.

ამა როსტომისაგან ომანთან მოციქულობის შემთხვევა
და ვაზირის განჯანება და მისი პატივით თურანისაგან
მშვიდობით განჯანება

259. როსტომ ბრძანა: «მეო ზავარ, ფალავანო სულ-წმინდაო!
შენ წაასხი იგ ლაშქარნი, თურანისკენ მიეც გზაო,
წყლის პირამდინ თანა მიჰყევ, მდინარია, სადა სანო,
და ნუ უსწრათებ, დაცვივიან, ბრალი არის, არ წახდენო!»
260. შინაურთ მიეც სამანდი მტირალთა დასამკობელთა,
მათ სისხლიანი ზეფთთან მიართვიან შავსა მშობელთა,
ზურაბის დედას უანბონ, რა უყავ ცათა მფლობელთა,
და თვალ-გუარითა აავსებს, ვით მართებს მახარობელთა!»
261. ომანს ესე შეუთვალა: «მე რა მიყო ეტლმან დღესა!
აწუ ჩავაგე ჩემი კრძალი, რადგან ვაქო, ვინცა ლესა,
თურანელთა თავი შენ ხარ, თაყვანის გცეს, ვინცა დგესა,
და ვირემ წყალსა არ გახვიდე, თავს ნუ მისცემ სილაფლესა!»
262. ზავარს ესე დაავდრა, ეწვებოდა როსტომს გული,
ზურაბისკენ წამოვიდა, საცა იწვა-დაკოდილი,
ტუსი თანა მოჰყვებოდა, სხვა მრავალი დიდებული,
და როამ, გვიო,—კაცნი მკენნი,—ტირს გოდერამ ჯავშან-სრული.

263. უფალმან დაგდვას წამალი, ზურაბს ლოცვედეს ენითა, როსტომ შეიტყო საკვდილი, ატირდა სისხლის ცრემლითა, გამოიწვავდა ხანჯარი, შეიღისა მკვლელი ვენებითა, და გულსა დაეცემა გაჰპირა, სიკვდილი თავის კელითა.
264. სპანი კელსა მოეკიდნეს, ჰპირობს სისხლი დაღვაროსა, ატირდეს და არ მოეშენეს, მათ შეუწყვეს ბაგე როსა, გოდერძიმ თქვა: რა დააესებ დღეს კვამლითა საწუთროსა, და თავი სტანჯო ათას წელსა, ზურაბს წყლულსა ვერ არგო სა!
265. თუ სული შერჩა, მრავალ-წელ წაელოთ ლხინითა ნადიმნი, მოკვდების, მაშინც კმა არის, იტირო, ცრემლთა აღინი, ხანგრძლად ვის მიხედა სოფელი, სალხინო ევლნი ან დინი, და ყოველნი დაეიკოცებით, ვართ სიკვდილისა ნადირნი.
266. ტახტისა ნაცვლად ტაგრუცი კაცსა მიხედების ნაელი, მოკლეა ჩვენი სოფელი, განცხრომა, ზღერა, ტირილი, შეუქირეები არ არის არცა მზე, შუქთა მფენელი, და ყოველნი დაეიკოცებით მცირენი_თავ-გაჩენილი.

როსტომისაჲან კელმწიფის ნოშთაროს მძივის თხოვნა

267. თამთან ჰკადრა გოდერძისა ზადლი სიტყვითა, ენითა: ფიცხლავ წა კელმწიფეს წინა, ამით შემიწყალენითა!.. ჰკადრე თუ: სიბერის უამსა თავსა რა წაუკიდენითა, და გული და ღვიძლი გაუჟე შეიღსა ჩემისა კელითა!
268. ვახსოვს ჩემი ნამსახური, გნუკავ, რომე თქვენც გეწყინოს, მძიე-ნოშტარო გამიღესე, დაკოდიღსა მოუღბინოს, თქვენის ტახტის სამსახურად ბედღან თქვენმან დამარჩინოს, და კელმწიფეთა სასურველი ერანს შუქი მოაფინოს!
269. საფადმან ჰკადრა ქექაოზს როსტომის მოიკიულობა: კელმწიფის საქმე სხვა არის, კაცზედან გაგულ-მგირობაა. ბრძანა თუ: აჟა. არა მაქვს მძიე და ბუღე-სკიერობა, და ეს გონიარად ისმინე, არა გაქვს ჰკვისა მცირობა.
270. თუ ფალავანი ახალი მორჩების, მრთელი ადგების, როსტომს შეიღისა ცნობითა ძალ-ზურგი გაუმაგრდების, დიდი და მცირე ყველაი მათის კელითა წაედების, და არვის დაარჩენს_სულდგმულსა, მათ ეტლი გაუმადლდების.
271. ვახსოვს, საფადო, რა გითხრა როსტომ აქ წამოსვლაშია, თქვენი კელმწიფე რა არის, ტუსის ვახსენებ რაშია?! ეს სახსოვენელი საქმეა, საღები ზარდახაშია, და აჟა არა მაქვს ნოშთარო, რას ვაქნეე ლაშქრობაშია.
272. შეჯდა გოდერძი, წავიდა, მალე ქართაცა სწრობითა, უთხრა თუ: როსტომ, კელმწიფე ხე არის აე-ცნობობითა,

თვითან შენ წადი წინაშე, სააჯოდ, კელმოკდობითა,
და შეხვეწით ნოგცეს წამალი, ბნელნი განათლდეს ცნობითა!*

273. როსტომ ზურაბს მოუკაზმა საგებელი მრავალ-გვარი,
წყლისა პირსა დააწვინა, სულთ ამოსვლად იგ მზა არი,
რამსა შეჯდა, წამოვიდა ქაოზისკენ, ვითა ქარი,
და უკან კაცი მოეწვია, ნახეყარ-გზა წაყლად არი.
274. ჰკადრეს: რად გინდა წამალი? ზურაბ ამ სოფლით წავიდა!
თაბუთსა ვნუკავს, არ ტახტსა, საწუთროსაგან გავიდა!*
- როსტომ სულთქნა და ატირდა, კმა მისი ზეცას ავიდა,
და მოსთქვემიდა უცხოდ საბრალოდ, ცრენლისა ლეარი გავიდა.
275. ცენენისაგან ჩამოიჭრა, დაბნედილი სულთქმით ახავს,
ჟულაგანთა ნათესაო, შეილო, მოგკალ!—ამას ზრახავს.—
ანდამატო მკერდ-მკლავითა, მთვარე-მზისა შუქი გასხავს!
და ნუზარადი, ტახტ გვირგვინი სტვას შენებრსა ვისდა ნახავს?!
276. სხვასა ვის წაჰკიდებია, მე მოგკალ, შეილო, აწ რადო?
კელმწიფის ნათესაობით, საამის თესლო გვარადო,
ორთავე კელთა დავიჭრი, ფრინველთა მოსაკემარადო,
და ნაცართა ზედან დაეჯდები, მტვერთა გავერთვი ქარადო.
277. მიწათა ჰგლეჯდა კელითა, არ ჰირთა სასუბუქოთა,
პილოზედ ტახტი ოქროსი, ბრძანა, მოკაზმა კუბოთა,
სტავრა კაქბითა მოკაზმა, მან ქრელი სარანუბოთა,
და ტირან და ზღვასა შეიქმან ცრემლითა დასაგუბოთა.
278. ზაულისტანს გაემართნეს შკარ-დაკდილნი, დაპარსულნი,
ორსა დღესა თანა გაჰყენეს ერანელნი—სპანი სრულნი,
გოდერძი და გივი, ტუსი, როსტომ—სისხლით გაბასრულნი,
და ესე როსტომ დააბრუნვა ქაოზსთანა მოციკულნი.
279. შეუთვალა კელმწიფესა საუბარი როსტომ სრული:
ღამსახური არ მიკლია, რა ძალ-მედვა სიარული,
ჩემი რაში დაგებერე, შეილი მოგკალ აღვა-რგული,
და შენ წამალი არ მიბოძე,—არ დაგეწვა ჩემთვის გული!..
280. საწუთროსა შემოქმედსა დღესა ვფიცავ ჩემად მესნელად,
რომ გაგაძოს აფრასიობ, მიგცეს მკეცთა შესაქმელად,
ტახტისაგან ჩამოგაგდოს, მტვერთა შოგან გასათრველად,
და მე და რამმან აღარ დაედგათ ერანს ფერკი შენად შევლად!*
281. იგ თავადნი დააბრუნვა, წაიტანა გივი შინა,
ზაულისტანს მიეწურნეს, ვინც ვერ იცნობს, მათც ეწყინა,
ზალდასტან და ცოლი მისი მოეგებნეს როსტომს წინა,
და შკარ-ჩაკდილნი ქვაბულელნი,—უით ქვიზასა—დასთვლის ვინა?!
282. ზალ მოვიდა მტერალი, მოსთქმიდა ვა-ვაგლახითა,
თაბუთის კარი გააღო, მან ზურაბ ნახა ახითა,

მამასა საამს იმგზავსა, თქვა: ნარიშინის სახითა,
და ვაიმე ვმირო, ვით მოჰქვე ფათერაკითა მახითა!

283. ზაალ ტირის, იზახოდა, ვით ღრუბელი სასწრაფონი,
საყელონი. გარდნიხენა, სისხლი სწვეთდა, ვით ბისონი,
ტანი ძოწად შეღებული, ვარდი დაჰკნა დანაზრონი,
და მერმე მოთქვნა ტირილითა მან სიტყუანი საბრალონი.
284. როსტომ ააგო გუბადი ღრუბელთა შესწორებელი,
თავი მოქედა ოქროთა, ბალასად გაბრწყინებული,
ჩა მზე შეადგის, ბრწყინედის სამყარო განათლებული,
და მნახავთა თქვიან: მზე არის, მასთანა დაბადებულნი!
285. აჯის ტახტი მოუკაზმა, გუნბათშიგან დაასვენა,
პირს დალია ჩაუყარა, ყური მუშუით გაუტუნა,
გვერცა უჯდის მამა მათი, ღამე ბერო გაათენა,
და ვირ არ დაწმდეს პილოს ძვალნი, როსტომ ვერვინ ააყენა.
286. აიკვნა ზურაბის ძვალნი მჭერივალნი ჯავარ-ელეთა,
საროსა მგზავსნი ღუსკუმსა ჩასხნა თავისა კელითა,
გამოვიდა და წავიდა შვილის მამკელელი ველითა,
და თვალს სოფელსაჲ მიუვო, ვითა ყვავილი ველითა.
287. მიღგეს გივი და გოდერძი, მათია მოწიფულობა,
ქეჟოზს ჰკადრეს ორთავე როსტომის მოციქულობა,
მას სინანული შეეკნა, ცნობისა არეულობა,
და თავსა აბრალა ძველთაგან მან მისი ქუა-შლილობა.

**აქა ზურაბის შამ-დედისაგან მის ღომ-კაცის შმიღის
სიკვდილის ცნობა**

288. ზურაბის გვერცა ნახლნი ლაშქარნი გულ დადაღულნი
სამანქნის ქალაქს მივიდეს, იმაღოდიან ნაბულნი,
ღღეს ერთსა ჰყვანდა სამანდი, საძოვრად ბალსა დაბმულნი;
და თუმიან იცნა, გაჰკვირდა, ცეცხლნი მოედენეს დაგულნი.
289. მიმევანნი მიასხმეინა, მათ მოაკენეს ყოველი,
ხვაფთანი სისხლით გასერალი მიართევს კელა უხოველი,
ჰკადრეს: მობრუნდა რისხვითა ცა წყალობისა მხოველი,
და მუხთლად მოგვიკლეს პატრონი, ზურაბს ნულარა მოელთა.
290. გარეტდა და ამას გვანდა, ქვაა, კლდისა მონაკეთი,
შეიდთ ქიშეართა გაიგონეს, დაიკვილა მან ასეთი,
ორსა დღესა მკვდარი იღვა, სულ ამოსვლად დანაკვეთი,
და მან დაიწყო მერმე მოთქმა, წამოიქრა, ვითა შეთა.
291. იტყოდა თუ: ლეძლეველო, ჰე, ღომ-კაცო, აჰა, შეიღო!
მზის მოყვასო, საწუთროსა სიამითა ვარდო ჩვილო,

- ჯერ უნდილო, შესაქნელო, ალვის ხეო, ედემს ზრდილო,
და ვაჲ ნაყოფო უბრალოო, მამის კელით დალახრულო!
292. მერჲე იკრა პირსა კელი, ძოწას წყარო ითხეოდა,
რაცა ეცეა სასალუქო, უპატიოდ იხეოდა,
ტანი ბროლი, საროს ნზგავსი, შეძრწუნდების, ილეოდა,
და ქარაისაგან მორეული, ვითა ვერხვი, ირხეოდა.
293. კელაე დაიწყო ზახილითა უცხო ფერად ნან მოთქმანი.
იგ ჩაიქრას ცეცხლთა შიგან, ეკილიან კელთა სხეანი,
მერტანა სიხალი ჩაზდიოდა, ზეკას ისმას მისნი კმანი,
და ნათხენთაგან დაიგლიჯნას ელკარენა შავნი თმანი.
294. კორცთა იქამდა კბილითა, ვით ლონი გაფიცებულნი,
ნაცარი გარდაიყარის, ტირის ღონე-გაცულებული,
რაც დარჩონოდა თმათაგან ნაგლეჯი, ვაგლახებულნი,
და იგ წოიტუხა ცეცხლითა, იწოდა დავალებული.
295. აღედისა თვალთა ნათელო, რასა ვიქ ნზე-დაეცებულნი?
ნეტარ, ვინ განახა მიწათა გარევეთ ტალახებულნი,
სად დაგიტრევა სოუელმან, ღრუბელთა შესწორებულნი?
და ვაჲ წაკლა შენი სახელო, ყოველგან მოწონებულნი!..
296. ბანთა ვჯდი, ზენ მოგელოდი, დამე ვერ გაეძლი ძილითა,
როსტონის შეყრა მეგონა, შეილობის სიყვარულითა,
ჩემთანა ზოსვლა ორთავე გულითა მხიარულითა,
და შავ-დღედა რას იაზრებდა სხეას ამის მეტსა სულითა?!
297. მე მოგელოდი დღე ყოელ, ვიკერეტი ბანის-ბანითა,
ჩუქების ნაცვლად მამამან ღვიძლი გაგიპო დანითა,
ვაი, არ შეუბრალებიარ პირი-შზე, საროს ტანითა,
და თვალნო, გასაქებით ტირილით, დაწენო,—ცრემლისა ბანითა!..
298. ნაკვით ტანისა შენისა, ლამაზად მოკდომილობა,
თმა შავი, ბროლის ბურჯითა სწორობით მოკეცილობა,
უჯრეკთა მკლავთა სიმავრე, შუქისა მოფენილობა,
და არა იაზრა მან ბრძენჲან, ვაჲ, ხზეო, შენი-შვილობა.
299. მაღალი ტანი, უკლები, გაგზარდე დიდის ქირითა,
ვითა გფერობდა, ჯომარდო, ამოდ და სათუთობითა,
წიტყუვა დღემან მოკლემან, გამკვდა ასეთობითა,
და ხეჲეო შენ შიგან დამალა სულარა ხარისობითა.
300. წეილო, დამნელდა განგებით, უფალსა თურჲე ენება!
წმინდათა თანა მოგხე იების საშობხეს გამოსვენება,
სანამდის ვიყო ცოცხალი, გაეძლო ღამისა თენება,
და ვინ მკაცრ გულისა დამღები, მე მმართებს მისი ჩვენება.
301. ვინ არს ჩენი მოხოიშენ, ვის გავანდობ გულის წეასა,
სად არიან შენნი თვალნი, უმშვენესი მელნის ტბასა,

საძებარად მამისათვის, შეილო, წახველ შორსა გზასა,
და ნაცვლად ჰპოვე შენ სამარე, დაამყარებ ჩემთვის ვასა.

302. გაჰტე, შეილო, უღონოდ მამისა იმედული,
ჩასწევი სამარეშიგან, ხანჯლითა ღვიძლ-დახეული,
ქვეიანო შეილო, გნახაა შენ როსტომ ლაზვარ-ხეული,
და რად არ უჩვენე მანაჲლს ეგ მძივი იმათეული?!
303. ნაკეთი ტანი, შეენიარი, გაეცადა მზიარულსა,
ბრძენმან აჯერ მართლად მითბრა, ვითა მართუბს მოციქულსა,
მოლოდინით დედას მოჰკლავს და მოყვასთა დასწეავს გულსა,
და ტყვედ მტირალი დედაშენი დაერჩი, ვამე, დაქარგულ სა?
304. თანა რად არა წამოგყევე, შეილო, მშვიდობით გარუბდი,
როსტომს მე შორით ვიცნობდი, შეგყრიდი, გაგახარებდი,
ვით ვარდსა, აგაყვავებდი, მამა-ძედ დაგამყარებდი,
და აწ ესე არ მოკლებოდა, მტერს გულსა შევაზარებდი:~
305. ამას მოსთქვამდა, იგლოვდა, მტირალი ცრქელ-დათხეული:
ჰე, შეილო, ზურაბ, მანდ დასწეე, ვა წულული ღვიძლ-დახეული
მე ლაპარაკად აქა ვზი, მზეს უკვრეტ ცნობა-რეული.
და ორნივე კელნი თავს იყრა, დაბნდა მიწათა რეული.
306. თქვეს: ამოკედა, აჰა, უცილოდ, შეილისა გზასა წავიდა.
სისხლი არ შერჩა, სიწითლე უფესკრელთა თანა ჩაეიდა,
ღამისა ორ-ნაწილამდის ოდენ სულადვე მოვიდა.
და ჰპატიეეს ბრძენთა თუმინს, ეზის კერეტად არ წამოვიდა.
307. ოთხნივე ფერკნი გარდუკოცნა, გლახ სამანდსა თვალნი არო,
ჰე ზურაბის წამედენელო, ფათურაკთა მოსაკმარო,
თვალთ აკოცა,—საუკუნოს პატრონისა ვერ მიმხედარო,
და ვინღა შენის კელის მქნელი, ბედ-მლაშეო, საფადარო!
308. აგვანდათა ჩამქირები, ვინ არს შენი მომეკდენელი?!
- სადავეთა მამზიდავი, ნადირთ უჯან მიმწეველი,
საისპაოდ, სამანაცოდ კაცი, ზნეთა მასწავლეული?!
- და სრულად სისხლით იღებოდა, ამას მოსთქვამს, ვითა ხელი.
309. ცნობა წასვლოდა, რასა იქს, მას არა შეეგებოდა,
პირსა აიღევა ლაგამი, ტირს, ცრემლი არ შუშრებოდა,
ზურაგს უნაგირი დაიდგა, სამანდსა ემზავსებოდა:
და—ჰე წამეყვანა თუ ზურაბ, დედას არ მოუკვდებოდა.
310. კრმალი, შუბი, მშვილდ-ისარი გარდილეწა მისი თავსა,
საკელმწიფო სამოსელი, რომ ემოსის ზურაბს ტანსა,
მოჰკაზმა და ტირილითა მოეხვია, ვით ცოცხალსა,
და მერმე გასცემს გლახაკთზედა სამკაულსა წასატანსა.



დიდაქტიკური ებოსი

მეშეთა სალარო

მეშეთა სალარო დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის თხზულებაა. შესაძლებელია ის ნათარქვნი იყოს სპარსულიდან ქართულ ენაზე არა უგვიანეს XVII საუკუნისა. მთარგმნელი უცნობია. თხზულება ცნობილია ერთადერთი ხელნაწერით A-617 (XVII სუკ.). აქვია მას დანაწესი ნაწილი, ამიტომ შინაარსისა და ხასიათის მიხედვით მას სამეცნიერო ლიტერატურაში მეშეთა სალაროს (ან ძიბარძნის სალაროს) უწოდებენ. ტექსტი იხედავება A-617 ხელნაწერის ორთოჯრაფიის მიხედვით (ფ. 1 რ-48 ვ).

ლი ბ ე რ ა ბ ო რ ა

1. ბ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941 წ., გვ. 399-425.
2. დ. კობიძე, მეშეთა სალაროს წყაროს საკითხისათვის (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 5, 1945 წ., ავ. 391-393).
3. მისივე, ერთი ლიტერატურული ძეგლის ისტორიისათვის (გაზ. ლიტერატურული საქართველო 1943 წ., № 16).

მეშეთა სალარო

თავი 3^ე

ლეთის ხანისათვის *

და ის არის ლეთის წინაშე ლოკით ხეყუნა-თხოვნა გულის საწადელისა. და რომ ლმანცო კელმწიფემან, გინა მდიდარმან, გულის მართლით ილოკოს და სთხოოს და დაწნეკოს, რაყო უნდოდეს, ჰეშმარიტად მისკეს მას ლმერთმან. ლეთის ხეყუნა ან იქნების სასარგებლოს საქმეზედა, და ან ყოველთა შევირებებათა და ენებათგან დახსნაზედა. და ამ

* ხელნაწერში მეორე თავიდან შემდეგი ბოლო ნაწილია დაიწერა: „...მაგინა მამინ მწვედ. გაეჯერადი; მინდოდა მეგრთ ავიო... რადგან ლეთის სიამოვნე შუა იყო, იქმა უჯარი მას არ შუა. იქმი გინება დაესთმე და გაუშეიო ვინც ლეთის სიამოვნეს გაუო... თავის სიამოვნეს არჩეს, მაგას ბრძენნი ლეთქსი მისაკ-ქმ და მორწმუნედ ირ. იტყუანო.“

ორსავე ზედა კელმწიფეთა ღონე არა აქუსთ, რომ არ ილოცოდ და არ შეებეწუნენ ღმერთსა ამისათვის. და სასარგებლოთაგან ერთი ეს არის, რომე ქუეყანასა ზედა ყოველი მოსავალი ბევრი მოვიდეს. მდიდარნი და გლახაკნი მით რჩებიან და კელმწიფეთ მადიდებელნი ესენი არიან. მას კელმწიფესა მართებს, პირველ [ღმერთს] ესევეწმობდეს, მოასვენოს თემი და თუითანც განისვენოს. ამა სარგებლით იკელმწიფოს ტახტებდა[...], ძლევა და მოშორება მათის ძლიერებისა და მრავალ რიგისს] წყრომა არის კაცზედა და არ ასცილდება, თუ არ სამართლიანის კ[ელმწიფის] ლოცვით ქეშმარიტად.

1. ერთსა ქუეყანას მრავალს დღესა და ღამეს წვიმდა ასრე, რომე იმა ქალაქს გაუქირდა და ყოველგნით გზა შეიკრა, და ქუითყირის სახლებმან ქცევა დაიწყო, და გული გაუტყდა დიდსა და წურილსა ამ ქალაქშივა მყოფელსა. მუნაჯიშთა და მერამლეთა თქუეს, ვითა: ესე ქალაქი წვიმით უნდა გაოკრდესო. ქალაქისა კაცთა ტირილი და ჩივილი დაიწყეს. რა საქმე გაძნელდა და ღონე აღარსადით დაედგათ, კელმწიფეზედ მივიდეს. იმა ქუეყნის კელმწიფე ერთომ ქკუიანი და განიერი და სამართლიანი იყო. ერთობლით მოქალაქეთ დაუწოქეს და შეებეწუნენ. კელმწიფემან მოქალაქეთა გული დაუდგა. და რა დაღამდა, შევიდა კელმწიფე ეკლესიასა შინა და გულ-მწუხარედ შეებეწა ღმერთსა, თუ: ღმერთო, ყოელისა მპყრობელო, შემოქმედო ცისა და ქუეყანისისაო, ყოველი ერს ამ ქალაქისა აოკრებასა იუპოზენ, შენ შევიძლ[ია], ყოელად ძლიერო, გაუცუდება მათის ეკვი-სა და აიყვნო ყოველთავე ძლიერება შენი და არ უყო მერამლეთა და მუნაჯიშთ გულისა აქ ქალაქისა კაცთა. რა კელმწიფემან ლოცვა გაათავა, ფიცხლაე წვიმა გარდაილო.

და ეს მაართალია, რომე თუ კელმწიფე გული სამართლით ღმერთს შეებეწუების, გაუგონებს და გაუსრულებს საწადელსა მისსა ქეშმარიტებითა მისითა და წყალობითა.

[თავი ღ]

მადლობა ღმერთისა წააღოზანსა მისისათვის

და არ უნდა დასწყნარდეს კაცისა ენა ამისგან, ვითა: „კურთხეულ არს ღმერთი, მამა ყოელისა მპყრობელი“. და რადგან კელმწიფეთა ზედა მრავალ არიან წყალობანი ღმერთისანი, ასრე უნდა: კელმწიფემან ყოელის კაცისაგან უფროსი მადლი მისცეს ღმერთსა. მადლობა გულისთა და თვალთა და ყოელითა ასოთა იქნების. გულით მადლობა ეს არის, რომე რაცა კარგი სკირს, ვისგან არის, შეიტყოს, მას აქებდეს და აღი-ღებდეს. ენით მადლობა ეს არის, რომე ამას ამბობდეს—დიდება და მადლი ღმერთსა და კურთხეულ არს ღმერთი. ტანის მადლობა ეს არის, რომე რაც ღმერთისაგან მიცემული ძალი მას შიგან იყოს, ღმერთს წინაშე ლოცუაზედ მოხუპაროს, და რაც ასო რომე რომლისაყო მოსალოცავის მოსაკუპარი იყოს, მას მოაკუპაროს. თვალთ მადლობა და ლოც-ვა და დიდება ღმერთსა. ეს არის, რომე ყოველსა მლოცავსა და ღმერთს-მოსავსა კაცსა კარ-გის თვალთ შეხედოს და გლახაკეთა და საბრალოთა წყალობისს თვალისთ უქერეტდეს. ყურით მადლობა და ლოცვა და დიდება ეს [არის], რომე მოასმინოს ლოცვა და სახა-რება და საწინასწარმეტყუელო და რაოდენიცა საღვთო გასაგონარი იყოს. კელით მად-ლობა ეს არის, რომე გლახაკთა და საბრალოთა მისცეს და შეიწყალებდეს. და ფერკით მადლობა ეს არის, რომე საღვთო ლოცვა იყოს, წაიგოდდეს და ილოცუდეს. რომელიყო კელმწიფე ამას იქს, რაცა ამა წიგნშივა სწერია, მისცემს მას ღმერთი მამულსა, საქო-ნელსა და სიძლიდრესა ყოველსა კაცზედა ნამეტნავად.

2. ერთსა კელმწიფესა სულთან სანჯარ ერქუა. დღესა ერთსა ცხენზედ იჯდა და მივიდოდა სადმე. წინ ერთი ჩოკიანი გლახა შემოეყარა და სალაში მისცა. კელმწიფემან პასუხი არ მისცა. გლახამ უთხრა: „ველმწიფეო, სალამის მიცემა მადლია და პასუხის მიუცემლობა ცოდვა. რასთვის პასუხი არ მომცა კელმწიფემან? მიუბრუნდა კელმწიფე და ასე უთხრა: ღმერთსა ვადიდებდიო და მისთვის ვერ მოგეც პასუხიო. ჰქითხა მან

კელმწიფესა, ვითა: «რაგვირად აქებ დი დიდებ ღმერთანა: უბრძანა კელმწიფემა, ვითა: არ დეაყუნებ ენასა ჩემსა ღეთის ქებისა და დიდებისაგანა. მოახსენა მას გლახაკმა: არა კამს კელმწიფეთაგან ბარტო წნით დიდებო ღმრთსა იმად, რომე ვერ გაჯეა კელმწიფე და ვერცა გარდ[ის]ქლის ვალსა წყალობისა ღეთისაჲა ენითა».

ასრე უნდა, კელმწიფემან, რაც [ო]დენ ღეთისაგან წყალობა სვირდეს, მისი დიდება მისსავე წყალობასა შეადაროს. და ეს ენით არ ეკების კელმწიფისაგან დიდება ღეთისა. პირველად—ადალათი და შერაათი არის; მეორედ—წყალობით შეხედვა ყოელისა კაცისა; მესამედ—გლახაკთა შეწყალება; მეოთხედ—რომე ყოელის კაცის საქონელი თავისთვის არ მონდომოს და თავისის საქონლისაგან ყუელას არგოს; მეხუთედ—მღდელთა და ყოველთავე მღდელ-ძონაზონთა და ებისკოპოზთა და წართლჲადიდებულთა პატრიის-ცემი; მეექვსედ—ცოდვათა შენდობა, მეშვიდედ—რომე თავისი მოხუცებება არ არიოს სხვათა მოხუცებებასა იმად, რომე ვერ მოხუცებებს ქუყანა, თუცა კელმწიფემან მოიხუცნოს. კელმწიფე ცხენიდალმან გარდამოკდა და ასრე უნდოდა, ვითა კელსა მთხვევოდა. და იგი გლახაკი თვალთაგან დაჟარულ იქნა. მაშინ უბრძანა კელმწიფემან მწერალთა და დაწერეს და ამა საქმითა ადიღებდის ღმერთსა სიკუდილაჲის.

თავი ე'

საბარისათვის

საბრი ეს არის, რომე საქმესა შინა არ აჩქარდეს და დაღუწვარდეს. და რაცა ჳირი და ღეთის ბრძანებით განსაცდელი კაცებდა მოვიდეს, დასთმოს და ზოპირეოს იმად, რომე მომთმინო კაცი ქუყანასა ზედა ყოველთა კაცთაგან უპატრონესი იჯნება და მას საიქიოს ანგელოზთა თანა ზიარ იქმნას. ღმერთმან უბრძანა დავით წინასწა: შემტყუელსა: ჰე დავით, გაპირჩიე ყოველსა საქმესა შოგან იგი, რომელი მიყუარს მე საქმე იგი და მოქმედა მისია. მიუგო მან, ვითარმედ: რემოქმედა ცისა და ქუყანისაო, არ უწყვი უგუნურმან იმან, რომელი არს ბრძანება შენი ჩემად სასარგებლოა. ჰრქუა მას მეუფემან ესრეთ: ესაბრია.

და მოთმინება და სულგრძელება ესე წაჰკიდებს ყოველთა ძეთა ადამისთა კეთილთა და განაჰორეებს ბოროტთა მათგან. აფრასიობისაგან ნათქვამი არის, რომე შეილსა უთხრა: «ნუ გეშინიან კაცთა და ლაშქართა სიპრავლიაგან, არაჲედ გეპინოდენ კაცთა მათგან, რომელნი მომთმინო არიან და სულგრძელ. შენცა ეგრეთვე მომთმინო და სულგრძელი უნდა იყო, რომე ყოველსა კაცსა ზედა თამაჲად იქნებია».

8. დღესა ერთსა ერთი კელმწიფე თავის სპასალარს ელაპარაკებოდა რასქე და თურმე ტანზედა მორიელი ჰქებნდა იმა ლაპარაკსა შინა. მანადის არ დაიძრა, საღამდის მორიელს, რაც შხამი ჰქონდა რომე, სრულად არ ასიქმა, და მაშინც არ გაუშვა კელმწიფის ლაპარაკი. რა მავიდა შინა, მაშინღა გამოაყუანა მოჩიელი¹. ტანისამოსიდაჲ და მოკდა. მაშინ ღმერთმან ძლიერება მისცა სპასალარსა და არა ეწრო რა მორიელისაგან.

მოახსენეს კელმწიფესა, რაცა სპასალარსა დამართებოდა. ბრძანა კელმწიფემა და მიიყუანეს იგი. უბრძანა, ვითა: სპასალარო, რათ მოიკალ თავი და არ გაამედანე, თუცა მორიელი გებნდაჲ მოახსენა: «კელმწიფეო, მე თქვენგან მრავალი წყალობა მჳირს და თქვენთანა კელმწიფემან მე რომ მიბ[რ]ძანოს რამე, მე რა მაგასთანა კაცო ვარ, რომე ჳირს კებნამან გამაშეზინოს ცამდის იმადღებულის კელმწიფის ბრძანება და მისი კებნა ვერ მოვითმინოა. კელმწიფესა მოეწონა სპასალარის მოხსენება,

¹ ბელაწერში: მორიალა.

მოუტანა მას პატივი და სიმდიდრე იშოლენის საბრისათვის და დაანება მას სრულად თავისი საკელმწიფო.

თავი 3¹

დაჯიბრებისათვის ღვთის წარჩინება

დაჯერება ღვთის ბრძანებისა ის არის, რომე რაცა ღვთისაგან ბრძანება და წერილი კაცის თავს იყოს და ანუ მოვიდეს, ავი იყოს თუ კარგი, მას დასჯერდეს, და ორთავე შინა მადლი მისცეს ღმერთსა ანად, რომე ორისავე გააჩენი ის არის და ვერვის ძალუკ მოზლა წერილისა მისისა მისგან კიდე, რომელი დასჯერდეს ბრძანებასა და წერილსა ღვთისასა, მას მისცეს სიმდიდრე და მოემატოს პატივი მეუფისაგან ყოველთა კაცთა ნამეტნავეად.

4. ერთმან წინასწარმეტყუელმა ილაკა და შეეხევეუა ღმერთსა, რომე ის მაქნეინე, რომელიც რომ შენი წადილი იყოს და შენ ვიამებოდეს. უბრძანა მას ღმერთმან: ჩემი სიამოვნე შენს სიამოვნეზე ჰკიდია. შენ თუ ბრძანებასა და წერილსა ჩემსა სჯერხარ და სათნოება გაქუს, მე შენგან მადლიერი ვიქნები.

და რომელი მიენდოს ღვთის წერილსა და რაცა ღვთის ბრძანება კაცის თავს მოვიდეს, სიამოვნით მიანდოს თავი, და ავი და კარგი ერთგვარად სიხარულით მოითმინოს, არაოდეს არა დაუშობდეს რა და სიკუდილაშდის ნიშატითა და სიხარულით იყოს.

თავი 4²

ღვთის მინდობისათვის

ღვთის მინდობა ეს არის, რომე ყოველი თავისი საქმე კაცმან ღმერთზედ შეაგდოს და მიანდოს. და რომელმანცა თავისი საქმე ღმერთზედ შეაგდოს და მიენდოს ღვთის ძალესა, წარემართოს ყოველი საქმე მისი ბრძანებითა ღვთისათა. და კელმწიფესა ყოველთა კაცთა ნამეტნავეად მართებს, რომე თვისი საქმე ღმერთზედ შეაგდოს და მიენდოს ღმერთსა; რომე მეუფემან, რაც კელმწიფეს უნდოდეს, ყოველი მისი საქმე ისრე წარმართოს.

5. დღესა ერთსა ერთმან კელმწიფემან ბრძენს ვისზე ჰკითხა, ვითა: ძმართლმადიდებელმან¹ კელმწიფემან რა უნდა ქნას; რომე მუდამ მტერზედა გამარჯვებული იყოს? მოახსენა...²

[თავი 5³

უხარობისა და გაფიქრობისათვის]

...ცისა და ქუეყანისაო, შენ ვით დაგემოლის ქუეყანასა ზედა სულდგმულიო, მაგარამ მე ჩემის დანაშაულისაგან მრცხვენთან და ვიშაღვიო.

აგრევე, უხვობა და გამცემობაც სირცხვილისაგან იქნების ანად, რომე გამცემს მრცხვენთან, რომე მთხოვარი კელცარიელი გაუშვას. აგრევე კელმწიფემან, და ანუ ვინ გინდა ღირსმან კაცმან, რომ ილოცოს ღვთის წინაშე და მართლის გულით სათხოვარი სთხოოს, ჰეშმარიტად კელცარიელს არ გაუშვებს მათ ღმერთი და ყოველს გულის წადილს აღუსრულებს. გამცემობა ამას მრცხვენთან, რომე მთხოვარი კელცარიელი არ უკუაბრუნვოს, ვითა:

¹ ხელნაწერში: მართლმადიდებელმან. ² ამის შემდეგ ხელნაწერს აქლავი VII თავის ბოლო და VIII თავის დასაწყისთ ნაწილები.

6. დღესა ერთსა, მამულ ბაღდადის ხალიფას დროს, ერთი ზოღში გაზრდილი არაბი იყო, რომე თავის ეიმში მლაშეს წყლის მეტი სხვა წყალი არ ენახა და არც ესეა. ერთს წელიწადს იმათს ალაგში შიმშილობა შეიქნა. უღონობისათვის ცოტაოდენი ფასი წამოიღო და საზრდოს სასყიდლათ სხვას ქუეყანას წარვიდა. იმა ზოლიდაღმე გავიდა და ერთი ალაგი გაიარა. ყანა იდგა და ყანის სიახლოვეს ერთი ნათხარი ნახა, რომე შიგ წვიმის წყალი ჩამდგარიყო და საჩვენავით დაწმენილიყო. ვითაც არაბს, იმის მეტი მისთანა წყალი სხვა არ ენახა, იმა ნახვა იმ წყლისა ამაღ, რომე მდინარე წყალი არსად ენახა, გაუჟიღრა და ცოტაოდენი დალია. პირში ეტკობ და თავის თავს უთხრა: მე გამიგონიაო, რომე ღმერთს სამოთხეშივა წყალი გაუჩენია ტკბილი და სურნელი, თურმე ჩემის სიგლახაკისათვის შემობრაღა ღმერთმან და წელს შიმშილის მაგიერად და ჩემის უღონობისათვის სამოთხიდაღმე გამოგზავნა ქუეყანასა ზედა. ამას ვარჩევ, რომე ამ წყლისაგან ცოტაოდენი წავიღო და ხალიფას მივიართვა. ვეკობ, რომ ამ სამსახურის მაგიერი იმანც მრავალი წყალობა მიყოს და მე და ჩემის სახლის კაცით შიმშილობიდაღმე დაგვიხსნასა. ერთი ტივი თან იახლა, წყლით აავსო და ბაღდადის გზა იკითხა და წარვიდა ხალიფასაჲყენ.

არაბი იგი ჯერ ბაღდადის ქუეყანას არ მისულიყო, რომე კელმწიფე სანადიროთ მივიდოდა. არაბმა შეიტყო, რომე ხალიფა არისო, წადგა და კელმწიფე დალოცა. ხალიფამ შეიტყო, რომე ამ არაბსა საქმე აქუსო. უბრძანა კელმწიფემან: ეზა, კაცი, სადაური ხარო? მან მოახსენა: კელმწიფეო, მე იმა ალაგისა ვარ, რომე წლებანდელს წელიწადს შიმშილობა ამოწყურებას უღამისა. უბრძანა: სად მიხვალო. მოახსენა: შენს წინაშე მოვალო, მაგრამ კელცარიელი არც მე მოქვსულეიარო, კელმწიფეს წინაშე ასეთი რამ მომეკეს, რომე ქუეყანაზედ არცა ვის უნახავს თვალითა და არცა ვინ ღირსა მის ნახესაა. ხალიფას გაუჟიღრა და უბრძანა: მოიტანე, რაცაღა გაქუსო. არაბმა კელმწიფეს წყალი მიართვა გუდითა და მოახსენა: კელმწიფეო, ეს არის სამოთხის წყალია. უბრძანა მერიქიფეთა და ოქროს ჯანში გამოასხეს. ნახა კელმწიფემა და დილაღ აჯი და უგემური წყალი იყო. შეიტყო კელმწიფემან, რომე იმ არაბს იმის მეტი ტკბილი წყალი არ ენახა და უჟიღრა მისი სიტკობ და ეს არ იყოღა, რომე ამისგან უტკბოსი წყალი სხვაე იქნებო, სიკეთისათვის არმადანად ჩემს წინაშე მოუტანიარო. კელმწიფემან არაბსა მრავალი მადლი უბრძანა და ჰკითხა: ამისად სამუქაფოდ რა გინდა, მითხარ, და მოგეცმო. მოახსენა არაბმა: კელმწიფეო, წელს ჩენს ქუეყანას შიმშილობა არის და ჯალაბნი დაკოცან მიღამიან. რასაც ხალიფა მიბოძებს, მისი წყალობა ყუღა კარგი არისო. უბრძანა მოღარესა და, რაც წაღება შეეძლო, თერთი მისცა ექავ ცხენზედა და ასრე უთხრა: დაბრუნდი, მალე მიემეულე შენს ჯალაბათო. ამისთვის უბრძანა, რომე არამც სხვა უტკბოსი და უკეთესი წყალი ნახოს და უქუწბილდესო. თავის უბეობასა და გამცემობას არა ჰკადრა, რომე არაბს ეს შეეტყო, ქუეყანასა ზედა იმის უკეთესი წყალი ყოფილიყოს. იმავე ცხენზედა უბოძა საბოძეარი და გაისტუმრა.

აგრე არის, ყოველი უბი კაცი ვინგინდა ვინ იყოს, პრცხენიან, რომე კარზედ კაცი მიდგავს და კელცარიელი გაუშვას. მაშ, შეიტყობის, რომე ყოველივე ამსოფლიერი და მას საუკუნოს საქმე კარგი და ავი სირცხელიზედ ჰქიდა.

7. ნუშრევეან ერქუა კელმწიფესა ვისმე, რომელი შეიღთა იულიმთა ეპატრონებოდა იმას სკირდა, რომე რასაც სახლში ნარგისი იყუს, იქ დედაკაცთან არ დაწვის ამისთვის, რომე ხილულ თვალსა ჰგავსო და მრცხენიანო.

აგრევე, რაცა ავი ვისმე ამ სოფელსა და მას საუკუნოს დაემართების, ურცხობით დაემართების და ურცხვი კაცი ღვთისაგან და კაცთაგან დაწყველილი იქნების კემარიტად.

თავი 0'

ძალწულმბინსათვის

ქალწულება ეს არის, რომე კაცი ავსა საქმესა და ყოველსა არამსა და ლეთის საწყინარსა საქმესა ევრძალოდეს და ერილდებოდეს და ამათგან უფრო ბოზობასა. ბრძენთაგან ნათქუაში არის, ვითა: კაცი ორსა საქმესა ემსგავსება. ერთად—ანგელოზსა, ამისთვის, რომე ილოკავს და იმარხავს და მეორედ—პირუტყუსა, რადგან ქამისა და სმისა, და რაც ავი საქმეა, ამით კერძათ არის. მაშ, ასრე უნდა: სანამდინ შეეძლოს, ანგელოზსა შეუდგეს და პირუტყუს არა მიჰყუეს. თუცა კაცი მეტის-მეტსა ქამისა და სმას გაჰყუება, ვეღარ შეიტყობს, ალალი რომელი არის და არამი რომელი. აგრევე, რა მეტსა ბოზობასა გაჰყუება კაცი, ვეღარ შეიტყობს ალალი რომელი არის და არამი რომელი. ქალწულება იმას ჰრქვიან, რომე რა კაცის ნდობა გადაეცდეს, საავკაცოდ თავი არ დაანებოს და ანგელოზი მორიოს ეშვასა. საკანონოს საქმეს არ გასდევდეს და ლეთის ბრძანებას ათავებდეს, მაშინლ[ა] ღმერთი ორთავე სოფელთა შინა მისცემს სიმბიდრესა ყოველთა კაცთა ნამეტნავად. აგრევე, თუცა კელმწიფეცა ქალწული არის, მის დროშიგან ბოზობა და ეშვაკური სანქნე ყუელა ამოვარდების და კელმწიფესა წარუშარბებს ღმერთი ყოველსა საწადელსა მისსა.

თავი 0'

სამსიხმდისათვის

და ის არის საქციელი, რომე კაცმან თავი თვისი პატიოსნად შეინახოს და ყოველი კაცი პატიოსნად მოიხსენოს და ესათნოგოს და რჯულზედა მაგრად და მტკიცედ იდგეს. კარგი საქციელი ყოველს კაცს ეფერების და უფროსად კელმწიფესა ამაღ, რომე ყმა ბატონისაგან ისწავლის საქციელსა, მაშინლა ჰუეყანა დასწყნარდეს და გარიგდეს. ბრძენთა და ჰქუეს მქონეთაგან ნათქუაში არის, ვითა: რაცა ღმერთსა კაცთათვის ზნობა მიუტემა, ყოველსავე კარგი საქციელი უჯობს, მეტადრე ჰუეყნის მპყრობელს კელმწიფესა.

8. მისრეთის კელმწიფე და კეისარი დამოყურდენ და მისრეთის კელმწიფემ ქალი მისცა კეისარის შვილს. და ყოველთვის ერთმანერთთან ელჩი იარებოდა და ერთმანერთის უკობხავს არას იქმოდინ. და ამ საქმით გაარგეს მათ მათი მამული. დღესა ერთსა მისრეთის კელმწიფემან კეისარს შეუთვალა, რომე: რადგან შვილი ამ სოფელსა ცხოვნება და დღეგრძელობა არისო, მაშ, ასრე უნდა, რომე კელმწიფემან თავის სიცოცხლეშიგა ასეთი რამე დაუგდოს, მამას უკან აღარას გაისაჯოს. აგრევე მე ჩემის შვილისათვის მრავალი საღარო თვალთა და მარგალიტთა და სხვითა საქონლითა დამიგდია, კულავე მანდით ცათა სწორმან კელმწიფემ გვიბძანოს თავის შვილისა, რას დაუგდებს ასეთსა, რომე კელმწიფეთათვის ამა უხანოსა სოფელსა შინა სასარგებლო და სასახელო იყოს. რა ესე ამბავი ესა კეისარს, გაეცინა და ესრეთ ბრძანა, ვითა: საქონელი და კეკლუტობა მსგავსნი არიან ერთმანერთისანი. რავეარადაც კაცსა შეგნეირობა არ გაუთავდებინ, აგრევე საქონელი მიუნდობარი არის. მაშ, ბრძენა უნდა, რომ არც ერთს მიენდოს და არც მოტყუედეს საქონლითა. მე ჩემის შვილისათვის საქციელი და სიმშვიდისა და ღმობიერების ადამიანთის ხაზინა დამიგდია და საუნჯე ამაღ, რომე საქონელი ბეგრს პატრონს გამოიცილოს და კარგი საქციელი უყუნისამდე კაცს არ შეეცვლებინ და ყოველი კაცი მას აქებს და ადიდებს იმ კარგის საქციელისათვისა. რა ესე მასუხი მისრეთის კელმწიფემ გაიგონა, თქუა: კელმწიფეთათვის ეს უპრიანი არისო, რაც კეისარს უბრძანებო.

და, ჰემბარტად, ყოველნი ბრძენნი და ჰქუეს მქონენიც ამას ემოწმებინ.

თავი 17

იალმფიფთბან დიდალ ძიმიხა და დიდის ხაჟის გააკძილბინბთის

ბრძენთაგან ნათქუამი არის, ვითა: კელმწიფე დიდალ მქცევი და დიდის საქმან მოქმელი ღმერთს უყუარს ეზიდ, რომე კელმწიფობანა და სიმდიდრესა დიდალ ქცევაჲ უნდა გვერთს ახლდეს. თეარემ უერთბანერთისოდ არ ვარგა კელმწიფეთაგან, რომელიც უფრო დიდგული არის და დიდალ მქცევი, ის უპატიონსენსი იენება და ზაეთიანი და ყოველის საქმის გამრიგებელი და მან აჯობოს სხეთა სიმდიდრითა.

9. ერთს კელმწიფეს იაყუბ ლეის ერქუა. ვაგი-კაცი იყო და ცოლი არ ედგა. კელმწიფეს ვაზირმან მოახსენა, ვითა: კელმწიფეო, ვაგი-კაცი ხარ და მარტო ყოფნა არა თქვენი შესაფერი არის აჰად, რომე ვაგის კაცის აგებულობა შსგავსი არის ცეცხლისა უშრეტისა. ყოველთა კელმწიფეთაგან და ყოველთა ქუის მქონეთაგან საჰწიელია ზიავაკე და ბოზობა და საწყენი ღეთისა. დაშრიტენ, ვითარცა შევისაგან კმელისა, ცეცხლი ვაგე-ცობისა შენისა ბრძანებითა ღეთისათა. და ბრძანე, ვისიცა ქალი გეპრანებოდეს, რომე ვთხოოთ და შეირთოთ და განვიხაროთ ყოველთა ერთგულთა შენთა. უბრძანა კელმწიფემან, ვითა: ამე ჩემი კრმალი მაქუს ჩემდა ჯუფთად და სალხინოდ მტერთა სისხლთა ღურა, ყოველი ქუეყანა ღეთის წინამე სათხოვრად მცუჟა, მე სხვა სათხოვარი არა მინდა-რა ღეთისა და კაცთ წინამე.

10. აგრევე, ბრძენთაგან ნათქუამი არის, რომე: ალექსანდრე მაკადონელი რა ქუეყნის დასაპურობელად აენზადა, არისტოტელმან მოახსენა, ვითა: ეს არის ღრო და ეამი თქვენი ცხენს შეჯდომისა. უნდა გაემართოს კელმწიფე ეამსა ამას ქუეყნის დასაპურობლად. ალექსანდრეს მოეყენა და ფიქრში ჩავარდა. არისტოტელმან მოახსენა: კელმწიფეო, ყოველს ქუეყანას კელი აღუპურია და მიგელიან კელაჟუკობილნი ღეთად და კელმწიფედ და მოგცა ღმერთმა კლიტე ყოვლისა ქუეყანისა და გაუჟლა ყოველთა ძეთა ზედა ადამისთა, არღარა ჰპართებს კელმწიფესა დაღონება ამ ბედნიერსა საქმესა ზედა. უბრძანა ალექსანდრე, ვითა: ესე უხანო და მიუნდობელი ქუეყანა ამაღ არა ღირს, რომე ვაგისარჯო და ფურკი აეყანდაში შევდგა, მაგრამ რადგან ღეთის ბრძანება არის, ღონე არა მაქუს. არისტოტელმა ჰჰადრა კელმწიფესა. ვითა: ეყამის აჰალბებულმან კელმწიფემან როგორიც მის სიბრძნესა და გონიერებას შეეფერებოდა, ეგრეთი ქართული ბრძანა, მაგრა რა კელმწიფე ქუეყანასა დიპურობს, დააშენებს სამართლისა ნათლითა ყოველთა ძეთა ადამისათა და დაამტკიცებს რჯულსა კრისტეანობისასა და განაქარებებს რჯულსა ყოველთა ურჯულთასა, აგრევე ორსავე სოფელსაცა მისცემს ღმერთი წართლ-მადიდებელსა მასა კელმწიფესა და რაცა ამ სოფელსა შინა კარგი უქნია, მაგიერს მას საუქუნოს მისცემს კემპარიტად.

თავი 18

[გაბაელ]ვისათვის. და ის ყოველის ხაჟის მუჟინაჲ გაბაელა აკის

ბრძენთაგან [ნათქუამი] არის, რომე კელმწიფე გაუბედელე ქუეყანას ვერ დაიპურობს. მართალი [გა]ბედელე უნ არის, რომე კელმწიფემან რა ერთი საქმე გაბედოს და ამოიღოს გულიდალმე, ასრე ესნა, რომე ის საქმე არას სულდგმულისაგან არ დაიშალოს. ბრძენთა ჰკითხეს: კელმწიფეთაგან გაბედელე რას საქმეში უპრიაენ არისო. ბრძანა გონიერმან, ვითა: მტერი რომე ქუეყნის მაოკრებელი იყოს, იმაზედ კამს ყოვლის ავის გაბედელა, რა კელმწიფემან მართლის გულით გაბედოს რამე და თავისი საქმე ღმერთზედ შეგადოს, უსათუოდ გამარჯვება მიუკდების ყოველს საქმეშიგან კემპარიტად.

11. ერთსა კელმწიფესა მიწის ქამა დაეცინებინა. ვაზირთა და დიდებულთა და აქიმთა მოახსენეს და სწვართეს. და ირვისგან არ იწვართა. დღესა ერთსა ერთი ღეთიანი კაცი

ნავიდა კელმწიფის სანახავად. ნახა, რომე კელმწიფესა ფერი ზაფრისფერად გარდაჰქცეოდა და დიალაც მკლედ და უსუსურად იყო, ჰკითხა ბრძენმან უსუსურსა მას კელმწიფესა, ვითა: *ეცმდის ანაღლებული კელმწიფე რასათვის არის უფერულად და უსუსურად?* კელმწიფემან თავისი საქმე უამბო და იგი მლოცავი კაცი გაჰკვირდა და ჰკადრა: *ეჰა, რად არ დაიფიწყებ მიწის ქამასაო, ვინათგან აგრე მაწყინარიაა. უბრძანა [კელმწიფემან და ჰრქვა: ვითაც გულისათვის ვერ დამიჯვრებიანეზია, რომე უმისოდ] დასთოსო. მოახსენა გონიერმან: სხად არის კელმწიფეთ გაბედვა, რომე არას სულდგმულის კაცის ქართულით არ დაიშლის. ეს ქართული დიალაც ეწყინა კელმწიფესა, მაგრამ გაბედა და მიწა აღარა ქამა და მორჩა იმ გაბედვითა.*

მაშ, შეიტყობას, რომე გაუბედავად არა საქმე არ გარიგდება, არც რომელიმე კელმწიფე გაუბედავად ქუეყნის მპყრობელი შექნილა და არც გამოვა ქეშმარიტად.

თავი 17

საქმის მოწინავეობისა და ძალის მიცემისათვის

რაც რომე მოინდომოს კელმწიფემან, თუ ან ვინ გინდა იყოს, იმ საქმეს თუ ძალს არ მისცემს და არ მოიძიკვებს, ვერაოდეს ვერ მიხედების საწადელსა გულისასა. მაშ, უოჯლის ქუეყნის მპყრობელის კელმწიფეთ წესი არის საქმეშიგან მოქირვება და ძალის მიცემა. ასრე ჰმართებს კელმწიფესა, რომ თავისის გარჯის გულისათვის საქმეს არ უსუსტოს, რომელმანცა საქმეს არ უსუსტა, მიხედა საწადელსა გულისასა. რომელი ძალი მიუცემელი არის საქმესა შინა, მას არა მიხედების საწადელი გულისა. ასრე უნდა, საქმესა ცდა არ დააქლოს, თუ გაემარჯვა, სახელი არის და სარგებელი; და თუ არა, და კულავ კიდევ ცდას ნუ დააქლებს და გამმარჯვე ღმერთი არის.

12. დღე ერთ ერთსა უძღურსა და უგუნურსა ჯინკველსა ერთი დიდი გორა შენოვდა წინა და სო[ხრიდა], რასაც ოდენ ერეოდა, და სხვაენით ჰყრიდა. მივიდა მუნ მფრინველი რომელიმე და [უთხრა] უძღურსა მას: *ჴი. უძღურო და საწყალო ჯინკველო, რად შესქიდებიხარ ასეის საქმესა, რომ ვერ ძალგიც გათავება მისი?* უთხრა მას ჯინკველმან, ვითა: *ერთსა ჩემსა მგზობელსა ქალი ვთხოვეო და ეს მამიდეს, თუ შენ ამ გორას მოსთხრიო და გარდაჰყრიო, მე ამას მოგცემო. რადგან იმათ ეს შემაოკუეთეს, მე ცდას არ დავაქლებ და, თუ შევიძლე, მივხედებო ჩემის გულის საწადელსა და თუ არა, და მე მზინც ცდა არ დამოკლია, ამისთვის არას ავს მეპართლებიანა.*

რადგან ერთმან უძღურმან ჯინკველმანც იცის, რომე საქმე უცდელად და ძალმიუცემლად არ გაკეთდების, მაშ, კაცბან რად არ უნდა იცოდეს!

13. ფრიდონ კელმწიფე რომ ტახტზედან დაჯდა და კელმწიფობა დაუშკვიდრა, რაც ქუეყანა მის საბრძანებელს ქვეშ არ იყო, მისი დაპყრობაც მოინდომა. უბრძანა და მოაწვიენეს ვაზირნი და დიდებულნი და ჰკითხა მათ, რაც მას ეწადა. ზოგთა მოუწონეს და დაემოწმენ და ზოგთა ჰკადრეს, ვითა: *კელმწიფეო, ქუეყანა აშენებული და დაუძრავი გაქუს და უცილებელი ყოვლის კაცისაგან და განსვენება კელმწიფური. და ჯარი დიდებულთაგან უთვალავი გყუანან და სალარო გონება მიუწოდომელი დაუქირებლად[...]* აშლი ქუეყანასა და გაიმწარებ შენს ტკიბლს ყოფასა და განსვენებასა. [მეთქ] მოესხენების, ვითა: *ადამიანის სიცოცხლე დიდაა მისი საყოფი საკელმწიფო სასანამდის ცოცხალ იყოს, კელმწიფე ნურას ნალველს გულში ნუ ჩაუშვებს და ნურც გაირჯების დაუქირებლად. ფრიდონ უბრძანა, ვითა: ესე სოფელი უხანო არის და ვითარცა მდინარე წყალი წამავალ. სადამდის კელმწიფეს ტაროსი ჰქონდეს, უნდა სახელი ძენოს და არ შეზინდეს სიკუდილისაგან და არც მოსვენება არჩიოს სარჯელსა, ვისაცა სარჯელი არ უნახავს, ის, კეშმარიტად, მოსვენებას ვერ შეიტყობს.*

14. ერთმან კელმწიფემან თავისი შვილი მტერთა ზედა საომრად გაგზავნა. ამბავი მოუტანეს კელმწიფესა, რომე თქუენი შვილი გზაზე ორ-ორს ღამეს ერთს ალაგს დაღებისო და ჯაქესაც გაიხდის ტანიდაღმაო. მიუწერა კელმწიფემან შვილსა, ვითა: შვილო, ღმერთს პატივი დაუბადებია და სასჯელიც მას თან ახლავს. ღარიბობა დაბადა და მოსვენებაც მას უამხანავა. პატივი კელმწიფეთ მასცა და ღარიბობა გლენთა. კელმწიფეს პატივი ამაღ დასდვა, რომე ქუეყნის მტველი არის ყოველი კელმწიფე და გლენთ ხომსვენებელი და შემნახავი. იცოდე, ეს ორიე ერთს ალაგს არ შეიყრებინა.

ასრე უნდა: კელმწიფემან მოსვენება გლენს დაანებოს და თვითონ სასჯელი დაიმკუიდროს. თუ ამას არა იქს, ვერც სახელს ეცდების და ვერც მამულს დაიკუიდრებს.

15. იაყუბ ლეის ერკუა ერთსა კელმწიფესა. საღამდის კელმწიფობას იშობებდა, ბევრს ასეთს საქმეში და განსაცდელში ჩაიგდია თავი, რომე მისი სიცოცხლე იღარა-ის ვგონის. რა მორჩის, კულა სხვა უძნელეს საქმეს იიღებდის კელად და არაოდეს ან მოისვენა. უთხრეს: შენ ერთი მღადარი კაცი ხარო, რასთვის ირჯები მაგდენსაო. იაყუბ ლეის უთხრა მათ, ვითა: ემებრალემა, რომე ჩემი ღლენი ასრე ცუდად ჩაუაროინო, რომე ქუეყანაზედ ჩემი სახელი არა დაეავდო-რა. ამას ვიჭირვი, რომე ყოველს ჩემს ამხანავს ვაჯობო, ვითა ჩემი სწორი სხვა ჩემისთანა ვერავინ იყოს. მოახსენეს: ეგ საქმე დიდაც ძნელი არის შენგან საქნელადო. მან უბრძანა, ვითა: ემე ვიცო, რომე სიყუდილი ყოველის კაცის თავს გარდუეალი არის და რადგან კაცს ეს არ ასცილდების, მაშ, ისი სჯობს, რომე კაცი სახელოვნად მოკუდეს სირცხვილეულს სიკუდილსაო. მანობამდის მისცა ძალი საქმესა შინა, საღამდის კელმწიფობას მიხედა. და გაიყუანა მისი ბრძანება ქუეყანასა ზედა.

და ვინცა საქმეზედა გამბედავი და ძალას მიმკვი არ არის, ალექსანდრე მაკედონელიც რომ იყოს, მაშინც ვერ გააწყობს კელმწიფობასა.

16. ერთსა გაღარიბებულს კელმწიფეთ გვარქანს კაცს ჰკითხეს, ვითა: რას საქმით წახდითო და კელმწიფობა წაგერთვითო. მან თქუა, ვითა: ბევრის ლხინისაგან და ძილისაგან დაგვემართა, რაც ავი გვეკირს. დღიე და ღამე ვლხინობდით და როდესაც ლხინს მოვრჩებოდით, გვეძინის, მოსვენებაში ვიყუენით და სხვა აღარა ვინაღვლეთ-რა ლხინისა და განსვენების მტეო. და ამაზედან მტერმან ძლევა დაგვიწყო და წაგვაკლენა.

აგრევე, თავისის დოვლათის წამკდენელი იგი არის, რომელმან ლხინი და განსვენება არჩია გაბედვისა და სასჯელსა ქემშარტად.

თაზი 07

სიმამკლანათვის ყოვოდესა საქმესა ზინა

ვითა რაცა საქმე რომე აილოს კელთა, ისი საქმე მაგრა დაიჭიროს და მტედრე კელმწიფეთ უფრო მმართვებს სიმამრე ზეთუედან და ყოველიქს საქმეზედა. არა საქმე კელმწიფეთათვის სიმამრეს არა სჯობს, გინა თუ მტერთ დასამამრავად და გულს გასატეხელად და გინა თემის კაცთათვის. ყოველთათვისვე სიმამრე კარგი არის საქმესა ზინა ამაღ, რომე ყოველი ავის მოქმედი ველარ გამომჩნდების კაცთ თვალთ წინა და მტერნი ფერკთ ქუემ მოექცევიან და ყოველნი ცოდვისა და სიბოროტის მქნელნი აეს საქმესა და საკციელს დაივიწყებენ. ბრძენთა და ფილასოფოსთაც ასრე უთქუავენ, რომე: რომელსაიც კელმწიფეს უნდოდეს სიკუდილაშდის მისის კელმწიფობის გათაევა, სიმამრეს უნდა ძალი მისცეს და ამითვე გაუთავდების წადილი. გულისა სიმამრე ეს არის რომე, რაც რომ საქციელი და საქმე კელმწიფეს არა მართებს, არას კაცის პასუხით არა ქნას ამაღ, რომე კელმწიფეს მრავალგვარი ყმა ეყოლებინს, ზოგი თავის სიმდიდრისათვის მოახსენებს რასმე, ზოგი ერთგულობისათვის. ასრე უნდა, კელმწიფემან გასინჯოს და რომელიც საქნელად უჯობდეს, და ანუ მის დოვლათს ვეადრებოდეს, ისი ქნას. ნიშანი სიმამრისა ორი არის: ერთი ესე, რომე რაც საქმე კელთ აილოს, გაუთავებლად არ და-

აგდოს. და მეორე ეს არის, რომე რაც არ მართებდეს კელმწიფესა, ირას კაცის სიტყუით არა ქნას.

17. კვისარმან ჰითბა ნუშრევიან კელმწიფესა, ვითა: კელმწიფეთ დამკუიდრება რით ექნებინო. ნუშრევიან ჰრქუა: მე ჩემ ეამში ეცდეს საქმეს არ ავყოლივარ და ირც მიქნია და რაც რომ საქმე გულიდალმე ამოშილია, კადლეუ გამითავებია. კვისარმან ჰრქუა: იუნანელთ ბრძენთა და ფილასოფოსთაც აგრე უთქუანსთო, ვითა: რაცა საქმე კელად ილო, მის გათავებას ეცადეო. კაცმან რომე დროშა ანართოს, თავქუე აღარ უნდა წაიქციოს.

კულა სხუა ნიშანი სიმაჯარისა ეს არის, რომე სიტყუა რომ ბრძანოს კელმწიფემან, თავის სიტყუას მოუდგეს და არაოდეს არ გაამტყუენოს ქთავისი ბრძანება, როგორაც ბრძენთა და მწიგნობართავან ნათქუამი არის, ვითა:

18. ყახნისა ქუეყანაა ერთი კელმწიფე იყო, სულთან რაზი ერქუა. დღესა ერისა, მოედანში საერნობდა და ნახა, რომე ერთსა ჰამალსა საოცარი დიდი ქუა მოქონდა. შეებრალნეს და უბრძანა: დადუე იგ ქუაო. ჰქაქალში შუა მოედანში დადეს ის ქუა. გა-მოვიდა ხანი და დიდებულთავან ეინცა ვინ ცხენს იგაქენებდის, ქუაზედ შემობრთის. მოახსენეს კელმწიფესა, ვითა: მოედანს შუა დიდი ქუა ძესო და ცხენებს გვიბრთობსო, თუ კელმწიფე გვიბრძანებს, ავალბინებთო. კელმწიფემან უბრძანა მათ, ვითა: ერთხელ ჩემის ბრძანებით ის ქუა იქ დადებულა, ახლა აღარ ავალბინებ, იდეას ის ქუა იქო. სადაძღის ცოცხალიყო, ის ქუა ისრე იდეა და რა მოკუდა, მისმან შეიღმან და შეილისმვიღმან, მისის ბრძანების გაუტეხლობისათვის, მათს ეამში აღარ ავალბინეს.

აგრევე, კელმწიფეთ ბრძანება ყოვლის სიტყუის კელმწიფე არის და უნდა კაცი პატივსცემდეს და ეკრძალოდეს ჭეშმარიტად.

თავი 17

სამართლისა და ადალათისათვის

სამართალი ქუეყნის მამვენებელი არის და ბნელთა გულთა განმანათლებელი. ამას იტყუის ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, ვითა: სამართალი ამას ჰრქუიან, რომე კაცს რომ უსამართლო სჭირდეს ვისგანმე, ის გაიკითხოს და ადალათის მალამა წყლულზედ დაადვას და გაუმრთელოს. ბრძენთავან და წინასწარმეტყუელთავან ნათქუამი არის, ვითა: ერთს ეამს კელმწიფე რომ სამართალს იქს, სამოციის წლის ლოცვისა და ვედრებისთან შედარებული არის ამად, რომე ლოცვა მართო მლოცავის სარგებელი არის და სამართალი ყოვლის თემისა, დიდისა და წვრილისა, მდიდართა და გლახაკთა და ყოველი სჯულდი და ქრისტიანობა და თემის შენობა სამართალზედ[ა]ნ დვას.

19. ერთსა კელმწიფესა გუნებაშივან იერუსალიმს წასვლა ჩაუვიარდა და აემზადა. ვახირთა და დიდებულთა მოახსენეს, ვითა: კელმწიფის იერუსალიმს წასვლა დიდალც კარგი იქნების, მაგრა კელმწიფეთ ბევრი მტერი ჰყავს, თუ მართო წარბრძანდება, მტერთავან საშიში არის და თუ ლაშქრით წავა, ერთობ შორი გზა არის და არ გაეწყობა. მერმე კელმწიფე მსგავსი არის სულისა და ქუეყანა მსგავსი გვამისა. თუ(ა) კელმწიფის ჩრდილი თემის თავზედ განშორდების, სული რომ კორცს გაეყაროს მისი მსგავსი იქნება და თემი და ქუეყანა იირევის და ქუეყანის გარიგება მოიშლების. ბრძანა კელმწიფემ, ვითა: ღლეთის წინაშე შეეუფთილი მიქუსო, რა უნდა ვქნაო, რომე იერუსალიმს წასვლისოდენი მაღლი იყოს. მოახსენეს, ვითა: ერთი ღვთიანი კაცი არის ამ ქუეყანასა, მრავალჯერ ყოფილა იერუსალიმს, იმისგან იყიდე ერთხელ მისვლის მაღლი. კელმწიფეს დიდალც მოეწონა ვახირთა რჩევა.

და დღესა ერთსა მიბრძანდა კელმწიფე იგი ღვთიანსა მას კაცსა წინა და ჰქაღრა, ვითა: ღმერთს იერუსალიმს წასვლა ილუთქუი და ჩემთა დარბაზის ერთა დამიშა-ლეს და ვეღარ წაიფლ. აწე შენ მრავალჯერ სადმე ყოფილხარ და ამის მოგელი, რომე

ერთხელ მისვლის მაღლი მე მომცე და რაც გეპრიანებოდეს, მაგიერი მიბრძანე და მოვართმეე. მოახსენა: კელმწიფეო, რამდენჯერც მე იერუსალიმს წავსულვარ, იმის მაღლს ყუელას მოგვიდია. კელმწიფემან უბრძანა: არა იქნების ყუელას ფასი? მოახსენა, ვითა: თვითო ნაბიჯი რომ წამიდგამს სრულად ქუეყანად, და რაც მას შიგან არის, იმად ღირსო. კელმწიფემან უბრძანა, ვითა: ქუეყანისაგან მე ერთის საკელმწიფოს მეტი არა მაქუს. შენ თვითოს ნაბიჯს თვითოს ქუეყნად აუხსებ, ან ერთს რაგვირად აუვალ თავსა, არამც თუ სრულად სვიდვა შეგეძლოს. ბრძენმან ჰქადრა კელმწიფესა, ვითა: თქუენგან ადვილი არის ამ ყუელას მოცემაო. უბრძანა კელმწიფემან, ვითა: რაგვირად ადვილი არისო. ბრძენმან ჰქადრა: როდისცა კელმწიფე სამართალს იქმოდეს და ძალ დამართებულს კაცს ზალუზხედ გაუელინოს, მე იმ ერთის წამის მაღლი მომცეს და მე რაც იერუსალიმს წასვლის მაღლი მაქუს, ყუელას კელმწიფეს მივართმეე, ჯერ სარგებელი კიდევ ჩემკენ წამოვაო.

მაშ შეიტყობის, რომე კელმწიფისათვის ყოველს ლოცვასა და საღვთოს საქმესა სამართალი სჯობს და არა ლოცვა და მარხვა. ხელწიფეთათვის სამართალს არ დაედრების ამაღ, რომე თუცა სამართალი არ იყოს, მძლავრნი უძღურთ ამაგადებენ. როდეს უძღურნი ამოვარდებიან, ძლიერნიც ელარ დარჩებიან. ორთავესი საქმე სამართალზედ ჰქილია, რომე თავ-თავისის წესით მდიდარნი და ვლახაქნა ორნივე დარჩენ. ამაზედ შეიტყობის სიკეთე სამართლისა და სიადე-უსამართლობისა, ვითა ერთსა ქუეყანისა რომ სამართლიანი კელმწიფე იყოს, უცხოს ქუეყნის კაცმაკ რომ გაიგონოს მისი სამართალი, რაგინდ იმათთვის უსარგებლო იყოს, მაშინც მისი მაქებარნი და მიადიდებულნი იქნებიან. აგრევე, რომელიცა უსამართლო იყოს, თუცა ზიანი არავის სცემოდეს მისგან, მაგრა მაშინც ყოველი კაცი მისი ზაკინებელი იქნება.

20. ორნი კელმწიფენი იყუნენ, ერთსა ნუშოვეან ერქუა და ერთსა ჰაჯაჯ. ჰაჯაჯ ქრისტტანი იყო და ნუშოვეან ცუცხლის მოსავი. ნუშოვეან დიაღაც სამართლიანი იყო და ჰაჯაჯ უსამართლო. აწყა, როდესცა მოიგონებენ ნუშოვეანს, სამართლისათვის აქებენ და ადიდებენ და ჰაჯაჯს უსამართლობისათვის აგინებენ და სწყველიან.

რომელმანცა ხელმწიფემან სამართალი ქნა, დაიპყიდრა ორივე სოფელი—სააქიო და საიქიო.

21. აბდულაჰი თაჰირ ერქუა. ერთსა კელმწიფესა. შეილსა ჰქითხა: ნეტარ, ჩენი კელმწიფობა რამდენს თაობამდის იქნებისო. მან მოახსენა: სადამდის იდალათისა და სამართლის ნათელი ათქს ჩენის გვარის კაცსა, მანობამდისო.

ბრძენთაგან თქმულია, ვითა: კელმწიფე სადამდის სამართალს არ გარდავა, მანობამდის კელმწიფური გურიგუნი მის თავს არ მოეკლებს. ასრეც არის ნათქუამი, ვითა: სამართლიანი კელმწიფე ღვთის ჩრდილი არისო. და ყოველნი მისნი მორჩილნი მისის სამართლის საფარველს ქუეშ უნდა იყუნენ. კაცს, რომ დასცხეს მზის შუქისაგან, წავა და კედელს ამოფარება, რომე მოივრილოს აგრევე უსამართლო დამართებული კაცი ზულუმის ცუცხლით რომ გული დაეწყის, კელმწიფის სამართალს მიმართავს, რომე იმით მოისვენებს და დაეხსნების ყოველსა უსამართლობასა. სამართალი ის არის, რომე კელმწიფემან ყოველი კაცი თავ-თავის წესით შეინახოს, ვითა ერთმანერთზედ არ აუშვას.

კელმწიფეთ მოსამსახურენი ოთხნი რიგნი აოიან: ერთი—ლაშქრის კაცნი, მდიდარნი და გლახბაკნი, კრმლის მკერელები, ისინი ცუცხლის მსგავსნი არიან. მეორე—მწერალნი, ვაზირნი და ვაჭილნი და ყოველი მწერალი, ისინი ქარის მსგავსნი არიან. მესამე—გამსყიდველ-გამომოსყიდველი ბაზირგანი და სავდაგარი, ისინი წყლის მსგავსნი არიან. მეოთხე—მკუნენნი და მთესველნი, ისინი მიწის მსგავსნი არიან. მაშ ავ ოთხთ გვარში, რომელიც ერთი მეორეს ზოერევის, ქუეყანა წაკდების და გარიგება და ქუეყნის მოწყობლობა მოიზღებინ. და კელმწიფეს ეს მართებს, რომე ოთხივე გვარი თავის წესზედ დააყენოს და თვითანც მოისვენოს და ისინიც მოასვენოს. და კიდევ ერთი სამართლის

ხასიათი ეს არის, რომე სამართლიანის კელმწიფის კორცსა სიკუდილს უკან მიწა ვერას აენებს.

69. ქელა კიდევ ერთს ხორასნისაგ კელმწიფეს აბლულამო-თაირ ერქუა. დღესა ერთსა ნიჲაბურს მივიდა და ყოველმან იმ ქალაქის კაცმან ნახეს და რაც შეეძლოთ, ფეშქში მართვეს. იკითხა კელმწიფემან, ვითარ: ამ ქუეყანას სხვა არაეინ არისო, რომე ჩემს წინაშე არ მოსულაიყოსო? მოახსენეს, ვითარ: ზორნი ღვთიანი კაცნი არიან, ისინი არა ხლებიან კელმწიფესა და სხვა ჯუელა ხლებია. ბრძანა: სახელად რა ჰრქვიან იმათაო. მოახსენეს: ეგ ზოს აჰმადი ჰარაბ ჰრქვიანო და ნეოკესა მამადი ასლამი თუსი. არაოდეს კელმწიფეს არა ხლებიან. ბრძანა კელმწიფემან: თუ ისანი ჩემთან არ მოვლენო, მე იმათთან მივალ და ენახაო. შეედა ცხენა და წარვიდა სანახავად. რა მივიდა აჰმადისას, მიუვიდა კაცი აჰმადს [და უთხრა], ვითარ: კელმწიფე შენად სანახავად მოვიდაო. ბრძენმან გარეთ გამოსლვა ველარ დაასწრა და კელმწიფე მისას შევიდა. ბრძენი ფეხედ ადგა და დიდხანს თაქამოვდებით იდგა და კელმწიფეც ისევ იდგა. უთხრა ბრძენმან კელმწიფესა, ვითარ: ფამეკონა შენი სიკეთე, სილამაზე და შეენიერობა და რა გნახე, გავონილსაგან უეკეთესი ყოფილხარ. მაგ შენს სიკეთეს ღვთის უკარასჲყოფლობაზედ ნუ შესცვლა და მაგისთანას დამაზს ტნ ნუ დასწვა ჯოჯობეთისა ცუცხლშეგა, და სხვა არა ჰკადრა რა. კელმწიფეს გულმწუხარად აეტირეჲ და კელა მეორის სანაჲკუად წ. მოვიდა. რა კელმწიფე ივიდა, ბრძენმან არა ნახა. კელმწიფეჲს კაცი დაყენა მის კარზედა ამაღ, რაჲე როდესცა საყდარში წაივიდესო, მითხარითა და მაშინ ენახაო. რა ბრძენი გამოვიდა და სალოცავად წაივიდა, კელმწიფე მიეწია და ცხენიდალმა გადამოვდა და ბრძენს ესალამა. კელმწიფეს ჰკითხა ბრძენმან: ვინ ხარო და ანუ რა საქმე გაქუსო. უბრძანა კელმწიფემან, ვითარ: მე ვარ აბდულამო თაირ და მოველ წინაშე შენსა, რომე შემახვეწო ღმერთსა და შემინდოს ჩემნი ცოდვანია. უთხრა ბრძენმან კელმწიფესა, რომე: ჩემთან საქმე არა გაქუსო და არც შენი ცოდვა შეგენდობისო. ესოდენ უთხრა და პირი კედლისაკენ შეაქცია. რა კელმწიფემან

მისგან ეს გაუწყობელი პასუხი გაიგონა, ერთობ გული შეუწუხდა და გულმწუხარემ პირი მიწაზედ მოათრია და შეეხვეწა ლმერთსა, ვითარ: დამბადებელი ცისა და ქუეყანისაო და ჩამდგმელი სულისა ჩენისაო, შენ უწყი ყოვლისა კაცისა საქმე და შენ გმონებთ და შენგან მოველთ ცოდვინი შენდობასა ცოდვითა ჩვენთასა. მიველ უგუნურებით და შევეხვეწე ჩემებრ კაცსა და არ შემხვეწე და მიიქცია პირა მისა ჩემგან. აწ მოველ წინაშე შენსა გულითა მწუხარითა და თვლითა ცრემლიანითა, და შენ შემიწყალე და შემიბრალე მე ცოდვილი ფარისეველთაგან შეუწყალბელი და გამოგდებული წინაშე შენსა უფალო. რა კელმწიფემან აიხედა, კმა გაიგონა ზეცით, ვითარ: აშეგიწყალა და მისცა ცოდვა შენი ამა ბრძენსა, და ამა ბრძენისა მადლი ნოვობობა შენ, და დაუშეუიღრა ფარისეველთა ტანჯვა ჯოჯოხეთს და მას მიერ შენ განსვენება დაიმკურდრა სამოთხეს შინა. რა ფარისეველმან ეს კმა გაიგონა, დაიხანხა კნითა საზარცლითა მწარეთ და სული აღმოჰკდა, და შთაქდა სული მისი ჯოჯოხეთს შინა და ცხონდა კელმწიფეთ იგი.

69. ელვაკა ერთი კელმწიფე ერთის ღვთიანის კაცის სანახავად მივიდა, ადგა ფეხზედ ბრძენი იგი და სამჯერ თქუა: კურთხეულ არს ღმერთიო. ვაზარმან ჰკითხა ბრძენსა, ვითარ: არა იყო სამჯერ ღვთის კსენება? მან თქუა: ამაღ მივეც მადლი ღმერთსა, რომე კელმწიფე ჩემთან მოაყუნა და მე კელმწიფესთან არ მიმიყუნა ამაღ, რომე კელმწიფის მისლვა ჩვენებრ კაცთან ლოცვად ჩაადების, და ჩვენი მისლვა კელმწიფეთ წინაშე ჩვენთვის დიდი კანონი არის, რადგან კელმწიფეს ჩვენის ნაჯეთ მადლი მიხვდა და მე კელმწიფის მობძანებით ცოდვა ამცილდა. მზარებებს, რომე ღმერთს მადლი მიესცე, სადმანს ცუცხალეყო, ვაქებდე და ვადიდებდე.

თავი 17

ამანათისა და ღვთათისათვის

ბრძენთა და ყოველთა. ჰკუის მქონეთა თქუეს, ვითარ: ამანათი შენახვასა ჰრქუიან, რაჟინდა რა იყოს. და პირეღად სჯული ამანათზედ ჰკილია და ღვთის შერათითცა იმისგან გამაგრდების. რაც რომ კაცშიგ არის, რასაცა იქს, ანუ ხელავს, ანუ თუ ყურით გაიგონებს, შენახვაზედა და მუხანათობაზედ ჰკილია. თუცა კაცმან კაცთ მიბარებელი არ შეინახა, გინა სიტყუა იყოს, გინა თუ სხვა მისაბარებელი, ანუ გააშეღაუნა და ანუ გაუცა, მუხანათობა არის. რაც რომ ღმერს კაცისათვის მიუტემა, მიბარებელი არის, იმაში მუხანათობა არ გაეწყობის ამაღ, რომე ღმერთმან კაცს თვალი ამისთვის მისცა, რომე მისი ძლიერება და დიდება დაინახოს. ყური ამისთვის მისცა, რომე ბრძანება ღვთისა გაიგონოს. და ენა ამაღ მისცა, რომე აქებდეს და ადილებდეს შემოქმედსა ცისა და ქუეყანისასა. კელი ამაღ მიუბობა, რომე მით გლახავთა მისცემდე, საღვთო საბოძეკრასა. რომესცა კაცმან თვალთ საკანონოს რასამე შეხედოს და ყურმან აეს საქმეს ყური მიუგდოს, ენით ტყუილი თქვას და კელით ქრისტეანეთ სტანჯიდეს, ღვთის ამანათშიგ მუხანათობა არის. და არცა მაგისტანას კაცს ღვთისაგან ეშინიან და ჰრცხენიან. ამას გარდა, კელმწიფეთათვის თვის კაცი მიბარებელი არას. თუცა თემის კაცს არ შეინახავს და ძალის მწეწელს საძალოდ დაანებებს, ეგვეც ღვთის მუხანათობა არის.

მაშ, რა უნდა კელმწიფემან თავის ქუეყანაში მოძალე და მეზულუმე მოსაქმე ასაქმოს, თვარა ამისი მსგავსი იქნება, რომ მწყენსმა ცხვარი მეგლს მისცეს შესაქმელად. კული ერთი ამანათი ეს არას, რომე რაგინდა რა ვინამე გაანდოს, არ გააშეღაუნოს და გულშიგა დაფარულად ჰქონდეს. ღვთის წინაშე და კაცთ წინაშე დიდი ჰატივი დიდების მას კაცსა კელმწიფეთად.

70. ნუშრეგან კელმწიფე რომ ახალი გაბატონებული იყო და ღვთისაგან ჯერ ქუეყანის გარდებდა არ დასცალბებოდა, იმის ქალაქში ერთი უხვი და უშურველი კაცი იყო, რომე ყოვლის კაცისათვის სუფრა განლლი ჰქონდა, კელმწიფემან მისი ქება გაიგონა და დღესა ერთსა ვაჭრულად ტანთ შეიწოსა და იმა უხვის კაცის სანახავად წავიდა. რა მი-

ვიდა, წინ განოუგება კაცი იგი და რაგვარადც მისი წესი იყო, იმგვარად დახვდა. მოეწონა კელმწიფეს მისი ტბილად დახლომა. ერთს ასეთს სასახლეში იხსდენ, რომე მისი ფანჯარა ვენაკში გაიხიებოდა და მრაველი ყურძენი ეხსა. იქ ნახეს ლხინი და ჰრავალიც ახუტა. კელმწიფემან უთხრა: ამე ვაპური ვარ და შენი უხმა გემეგონა, რა ვნახე—უყეთის ყოფილხარ ვაგონილისაგან. აწ წავალ და მიბრძანე, რომე რა გამოგვიგზავნო. მასპინძელმან უთხრა: თქვენის ბედნიერობით ყულა ბევრი მაქუს, თუ სადმე ვენახში შეხვილდე, ცოტა ყურძენი გამოგიგზავნეო. კელმწიფემან უბრძანა, ვითარ: შენს ვენაკში მრავალი არისო, რატომ არა სკამო. უთხრა მასპინძელმან, ვითარ: ჩენი კელმწიფე ზალეში არისო და ლადალი გლეხის კაცისას არას ნალელობს. მესთულეს არ დააყენება და მოკრეფის დრო გარდასულა. მანამდის საკელმწიფოთ მესამედა არ აიღებენ, მე არ შევალ და არცა ვის სხვათ შეუშეებ. არა კაცი არას ნალელობს, სკამენ და ჰყიდიან. მაგრამ მე კი ვერ უზუხანათებ კელმწიფის ამანათისა და მისთვის არა ვკამა.

რა ნუშრევან კელმწიფემან ეს პასუხი გაიგონა, ატირდა და უბრძანა მასპინძელსა, ვითარ: ამე ვარ ის ლადალი და უსამართლო კელმწიფე და აწ შენის ნახვით და კარგაკობით დაევიწყე უსამართლობა და გამოველ ლაფლოზიდალდე. წარვიდა და მას აქეთ სამართალი დაიწყო და იმ კაცს დიდი პატივი დაედო კელმწიფისაგან.

71. დღესა ერთსა ბალხეთის კელმწიფის შვილი საერნობდა და ერთს დაბალს კედელს გაუარა. გარდახედა და დაინახა, რომე ერთი ბერი კაცი მოდრავილა და ბალს აკეთებს და ხესა ჰყრის, ჰკითხა კელმწიფის შვილმან: ბერო კაცო, რასა იყო. მოახსენა: ბალს ეპყროო. უბრძანა: რადეს მოგესწრობისო. მოახსენა ბერმან კაცმან, ვითარ: ამამამან ჩემმან დარგო და ჩვენ ეკამეთ, და აწ ჩვენ დაერგავთ, ჩვენი შვილი ჰამს და ვგების მეცა ეკამო ამისი ხილია. ბალხის კელმწიფის შვილმან უბრძანა: ცოლიმც დამიგდიო, თუ შენ მაგ ბალის ხილი სკამოო. გამოვიდა მრაველი წყლიწაფი და ბალხის კელმწიფე მოკუდა და შვილი გაბატონდა.

დღესა ერთსა კელმწიფე სასიერნოდ გავიდა და ერთი პატიოსანი ბალი ნახა. მოეწონა კელმწიფესა და ჩამოკდა. ბერმა კაცმა ერთი ტაბაკი კარგი ხილი მოუტანა. ჰამა კელმწიფემან და ცოტაოდენი ბერს კაცს მიართვა. ბერმა კაცმა კელმწიფე ვერ იცნა და არა ჰამა. კელმწიფემ უბრძანა: რასთვის არა სკამეო. მოახსენა ბერმა კაცმა, ვითარ: დღესა ერთსა ბალხის კელმწიფის შვილი გარდაჰდა ამ ბალის კუფელსა. ახლა ვაშენებდი ამ ბალსა. მიბრძანა: ბერო კაცო, რას ირჯებოო. მე მოვახსენე: ბალს ვაშენებ მეთქი. და მან მიბრძანა: შენნი დღენი დაგილევიან და სიკუდილი მოგახლოვებია, რადეს მოგესწრობაო. მე მოვახსენე, ვითარ: მამათა და პამათა ჩვენთა დარგეს და ჩვენ ეკამეთ და აწ ჩვენ დაერგავთ და ჩვენმან შვილმან ჰამოს. კელმწიფის შვილმან ასრე მიბრძანა: ცოლიმც დამიგდიო, თუ შენ მაგისი ხილი სკამოო. აწ ეს ხილი ამ ბალისა არის და ამისთვის არა ვკამ. და დიად დიდი ფიცი არის და არამც კელმწიფეს ფიცი გაუტყდესა (მას ჟამსა დიდი ფიცი იყო ცოლის გაშეების ფიცი). რა ბალხეთის კელმწიფემან ბერის კაცისაგან ეს სიტყუა გაიგონა, უბრძანა, ვითარ: ბერო კაცო, მე ვარ იგი კელმწიფის შვილი, რომე დაეფიცე. რადგან ფიცი არ გამიტეხე და დღეს აქამდის არა სკამე ამ ბალის ხილი, სამუქაფოდ ჩემი ვაზირობა შენთვის მომიტევიან. აკლავ ფეკსა ბერმა[5] კაცმან და გაეაზირდა იმდენის ამანათითა.

თავი 72

სოფლის პირობის გათავისებობის

ყოველის კაცისაგან მართებული არის გათავება პირობისა. ბრძენთაგან და წინასწარმეტყუელთაგან ნათქვამი არის, ვითარ: ყოველი პირობის გათავებელი კაცი ღმერთს უყუარს ამაღ, რომე ესრეთ ბრძანა შეუფემან: რომელმან გაათავოს პირობა ჩემი, გაუთავ-

1 ხელნაწერში: სამუქოდ.

გო შას სააქოს ყრველი წადილი და ნება გულისა, და დაუმეუიდრო საუკუნოს სამეუიდი-
რებელი მისი და ვაცხოვნო იგი.

70. დღესა ერთსა აბრაჰამ წინასწარმეტყუელის შვილი ისმაილ ერთს მუსაიბს
კაცს შეეყარა და ერთად იარეს ორთავე. რა იმ კაცის კარზედ მივიდნენ, უთხრა იმ
კაცმა ისმაილს: ამხანაგო, ვითარ ცოტა საქმე მაქუს, ჩემსა შეველო და ისრეე მალე გაიხ-
ლებოდა, დამიხადეო. დაჯდა ისმაილ ამხანაგის სახლის კარზედა. რა ამხანაგი სახლში
შვილია, დიდი რამ საქმე შემოუკარდა და ისმაილ დაავიწყდა, და მის სახლსა სხვა კარი
ჭკონდა, გავიდა და ისაქმა. შესაქმნის დღეს იმავე კარით გავიდა და ნახა, რომ ისმაილ
იქვე იჯდა. უთხრა, ვითარ: ეჭა ძეო აბრაჰამისო, რათ ზიხარ კარსა ჩემსა? უთხრა
ისმაილ, ვითარ: როდეს იგი შენ შეხველ და მე აქ დამსვი, მას აქეთ აქა ვზივარ და შენ
მოგეღიო. უთხრა მან, ვითარ: როდეს მე აღარ მოველ, რასთვის არ წახველო? უბრძანა
ისმაილ: ჰიბრობა მოგეც და გავითავე, თუ შენ არ მოსულყოც, სრულაც არ წავიდოდი
აქადაღმეო.

აგრევე, რომელი კაცი პირობის გამთავებელი იყოს, მას დარჩების უკეთესობა
ყოველთა ადამიანთა ნაშეტნავად.

72. ერთი დიდი ვაჰარი იყო და მას ერთი ღვთის შლოცავი ნასყიდი ყმა ჰყუნდა.
დღესა ერთსა ავად გაკდა დიდვაჰარი იგი და შეუთქუა ღმერთსა და დაჰპირდა, რომე:
უკეთუ მიქნას ღმერთმან ამა ავადმყოფობისაგან, ამ ნასყიდს ყმას ვააზატებო. მაშინ
ღმერთმან მოარჩინა იგი ავადყოფასა და რა გამთელდა, აღარ უყო აზატი მას ნასყიდს ყმასა
და გაუტეხა პირობა შეუთესა. კულა გაკდა ავად დიდვაჰარი და უბრძანა ნასყიდსა მას
ყმასა, ვითარ: წადი აქიმი მოიყუანეო. გავიდა კარში იგი ყმა და ისრეე მალე შემოვიდა.
ჰკითხა ვაჰარმან: რა იქნა აქიმიო. მობახსენა ნასყიდმა ყმამა, ვითარ: აქიმიმა თქუაო, დიდ-
ვაჰარი დამპირდა რასმეო და პირობა არ გამითაუაო. მე იმას აღარ უწყამლებო. დიდ-
ვაჰარმა შეიტყო, რომე პირველად ღმერთს რომ დაჰპირდა ნასყიდის ყმის აზატობასა
და აღარ გაუთავა პირობა, იმისთვის გამკდარიყო შეორედ ავად. ფიცხლა ქალადი და
საწერელი შოატინინა და დაუწერა აზატობის წიგნი და ააზატა იგი ნასყიდი ყმა, და
დიდვაჰარი მასვე წამსა გმობრთელდა.

78. კულაცა: ერთს კელმწიფეს ძნელი რამ საქმე დაეკირა და ღმერთს შეუთქუა და
დაჰპირდა, ვითარ: თუ ღმერთი ამ ძნელს საქმეს გამიადილებსო და მიხედედნი ჩემს
ნებასა და გულის წადილსაო, რაც ჩემს სალაროში საქონელი არისო, ყველას ღვთის
სახელზედ გლახაკზედ გავსცემო. ღმერთმან ფიცხლა იგი ძნელი საქმე გაუადილა და
მიხედა მეფე საწადელსა მისსა. უბრძანა, მოლარე მოიყუანეს და ანგარიში ქნეს, რაც
რომ სალაროში ნაღდი თეთრი იყო, კაცთაგან უთვალავი და ანგარიშმიუხდომელი. ვა-
ზირთა და დიდებულთა მოახსენეს, ვითარ: ამდენი თეთრი გლახაკთ არ მიეცემისო ამაღ,
რომე ლაშქარი გალარობდებიან და ბრალნი არიან. კელმწიფემან ბრძანა: ღვთისათვის
შემითქუამისო და ვერ უტყუებო. რჯულის თავთა და ყადთა მოახსენეს, ვითარ: ლაშქართ
მიცემა უბრძანა არის გლახაკთ მიცემისაგან ამაღ, რომე ქუეყანა ამითგან შეინახვისო.
კელმწიფე დაღონდა და სახლში მარტო დაჯდა. ორი-სამი ვაზირი ახლდა. საგონებელ-
შიგ ჩავარდა. ერთმან შემცდარმან კაცმან გაიარა, დაინახა კელმწიფემან და უბრძანა
და მოიყუანეს. მაშინ ჰკითხა შემცდარსა მას კაცსა, ვითა: როდეს საქმე ჩემ გუნებად
გამიკეთოს ღმერთმან, მე რაც რომ სალაროშიგ ნაღდი თეთრი მქონდეს, მის სახელზედ
გლახაკთ ნისაცემლად აღმეთქუას, ჯერ არს მიცემა თუ არა? შემცდარმან მოახ-
სენა: ჯერ არსო. კელმწიფემან უბრძანა: ამაღ, ვაზირნი და დიდებულნი ამას შეუბნებინა,
რომე მაგდენი თეთრი გლახაკზედ არ გაიციენისო და რჯულსათვის იმათ ემოწმე-
ბიან და შენ რას იტყუე? შემცდარმან მოახსენა, ვითარ: უკელმწიფეო, როდესცა შენ
ღმერთსა გულის წადილსა სთხოვდი და მან აღგისრულა სათხოვარი შენი, მაშინ თან
გახლდენ დიდებულნი და ვაზირნი თუ არა? უბრძანა კელმწიფემან: არაიენ მხლებიაო.
მოახსენა შემცდარმან: ნურც ახლა დაუჯერებო და ნურც გარდახვალ პირობასაო ვა-

ზირთ უთბრეს, ვითარ: შემცდარო, საქონელი მრავალი არისო, ლაშქარნი ღარიბად არიანო. შემცდარმან მოახსენა კელმწიფესა, ვითარ: ზენ, რომლისათვისცა რომ პირობა მივიცემია, იმასთან საქმე გაქუსდა, თუ აღარა? თუ საქმე გქონდეს, რასაც დაპირებოდლე, გაუთავე. თუ აღარა დაგვეპირებოდეს-რა იმისგან, როგორაც გერჩივოს, ისრე ქენო. კელმწიფემ მრავალი იტირა და, რაცა ჰქონდა, ყუელა გასცა გლახაჯზედ ღვთის სახელზედა.

აგრევე პირის გცთაება ყოველს კაცს მმართველს და ნამეტნავად კელმწიფეთ უფრო შეპყრობის ამაღ, რომე ყოველი კაცი კელმწიფეთ საქმეს იკითხავს და გაიგონებს და მას მბაძვენ ყოველნივე.

74. ერთს კელმწიფეს ჰაშანგ ერქუა. ანდერძი დაუდლო შეილსა, ვითარ: შეილო, პირობის გაუთავებლობას ეკრძაღეო ამაღ, რომე კელმწიფეთათვის იხისი უარესი არა არის რა, რომე პირობის გათაება ირ იცოდესო.

75. კულა აფრასიომ კელმწიფემან ბრძანა, ვითარ: ჩემს ეაშში მოჩივართ გაკთხეისაგან არაოდეს მოვისვენე. დღესა ერთსა ვაზირთა და დიდებულთა მკადრეს, ვითარ: კელმწიფე ერთობ ირჯებდისო და ამ სოფლის სიმხიარულისაგან განშორებულაო. მე უთხარ: ღმერთსა დაეხირდი, რომე ჩემს კელმწიფობაში გაკითხვის მეტი არა ექნარა, და ვერ უტყუებ ღმერთსა.

ყოველს კელმწიფეს მართველს, რომე პირობის გამთავებელი იყოს.

76. ერთმან კელმწიფემან ერთს ბრძენს ჰკითხა, ვითარ: კაცს რა გააპატროსნებსო. მოახსენა ბრძენმან, ვითარ: პირობის გათაებაა. და ქუეყანაც პირობის გათაებითა დგას ამაღ, რომე ქუეყანა უკელმწიფოდ არ ვარგა და კელმწიფე ულაშქროდ. კელმწიფე მისთვის აძლევს ჯამაგირსა ლაშქართა, რომე როდეს დაეპიროს, მოეკმარნენ და გაუთავენ პირობა და მტერს არ დაანებოს ქუეყანა წასაკდენლად.

77. ერთს ხორასნის კელმწიფეს იაუბლების ერქუა. მივიდა და მაჰმად თაირ ნიშაბურის ბატონი უყუდღა და ციხე გაუმგრა. და მისმან დარბაზის ერმან ყულამან სპირებელი წიგნი მისწერეს იაუბლების. მაშინ ერთმან მათგანმან, სახელით იბრაჰიმ, არც წიგნი მიუწერა და არც ახსენა. როდეს კელმწიფემან ციხე აიღო, იბრაჰიმ მოიყუანეს და კელმწიფემან უბრძანა, ვითარ: ყოველმან მისმან დარბაზის ერმან წიგნი მომწერეს შენგან კიდე და შენ რასთვის ჰქენო, რომ არ მომწერეო. მოახსენა მან, ვითარ: კელმწიფეო, მე შენი ჯამაგირი არა მქონია და არც პირობა და ფიცო მომიცემია შენთვისა, და არცა რას ჩემს ბატონს უჩივოდი. და მისთვის ეერა ექენ, რომე ჩემის გამზრდელ-გაჰკაცებელის ფიცო და პირობა გამეტეხა და ჩემის ორის დღის სიცოცხლისათვის შენ გზირებოდი. კელმწიფემ მას მრავალი წყალობა უყო და რომელთა საბირებელი წიგნი გამოუგზავნეს, მრავალი ავი უყო.

თავი 78

სიმაართლისათვის, მართლის საძმის ძმისა და მართლის თმისათვის

სიმაართლე მკნელი არის ყოვლისა პირისაგან. ბრძენთ უთქუამს, ვითარ: სიმაართლე ბალი არის ყოვლისა კეთილისა და სიმტყუენე მინდორი ეკლანნი საესე გველითა და მუურელითა, რომელმან მართალი თქუას და ქნას, მან დაიმკიდროს წალკოტი ყოვლისა კეთილისა, რომელმან ტყუოს კაცთა ზედა, მან დაიმკიდროს იგი მინდორი ეკლანნი და კრიფოს ეკალი მისევი მინდორისა უკუნისამდე. ბრძენთა თქუეს, ვითარ: სიმაართლისათვის რომე კაცი კარგს არას მოელოდეს და სიმტყუენისათვის აესა, მაშინც უნდა, რომ ჰქუიანმან კაცმან ტყუილი არა თქუას და ტყუილს არ მიუდგეს და მართალი არ გაუშუას ამაღ, რომე კაცსა ტყუილის თქუმა ერთობ პატივს აქედის.

76. ერთს კელმწიფეს შესთარშიდ ერქუა. სიკუდილი[ი]ს დროს შერღს ანდერძი დაუგ-
დო, რომე თუ გინდოდესო, რომ შენს ყმას შენგან ვზინოდესო, ტყუელს ნუ იტყუიო, რო-
მე შტყუენი კაცი ყოველს კაცს წინაშე უპატიური იქნების. ყმას შტყუენის ბატონი-
საგან შიში აღარ ექნების.

78. ერთს კელმწიფეს პაჯაჯ ერქუა, და დღესა ერთსა ორი დამნაშავე კაცი მიგვარეს
და ორისაგ უბრძანა: მოკალითო. მაშინ ერთმან მათგანმან მოახსენა, ვითარ: მე შენგან
მოსაკლავი არა ვარო ამად. რომელ[ი] ნამსახური კაცი ვარ შენო. კელმწიფემან უბრძანა:
რა სამსახური გიქნია ჩენზედაო. უთხრა: ერთი შენი შტერი გაგინებდაო და მე დავტუქ-
სეო და შენი ავი შენს შტერს აღარ ვაძქმეინეო. კელმწიფემან უბრძანა: მაგ საქმეზედ
ვინ დავენოწმებაო. იმ სხვას ამხანაგისა უთხრა: ესეც იქ იყოო. დავმოწმა, რომე მართლად
აპბობო. მე დავებდიო, რომე შენთვის ავის მოქმელი დატუქსა. კელმწიფემან უბრძანა.
ვითარ: შენც თუ იქ იყავო, რასთვის არ უშველე ამ კაცსაო და ორთავ ერთად არ უშუდ-
ლეთ ჩემს შტერსაო. მოახსენა მან, ვითარ: მეც შენი შტერი ვიყავო, რა მრჯიდა, რომ
მე შევლაო. მაშინ უბრძანა კელმწიფემან და ორივე გაუშვეს—ერთი ნამსახურობისათვის
და ერთი—სიზართლისათვის. და ყოველსა ქუეყანასა გაითქუა ნისი სახელი.

აგრევე, წინასწარმეტყველთაგან ნათქუამი არის, ღმერთი თავს სიზართლით იქებს
და ყოველნი მართალნი უყურან კემშარიტად. როგორცა კელმწიფეს ტყუილი არ ეკად-
რების, აგრევე ლხინისა და ბოზობის გაყოლა არა მართებს ამად, რომე ყოველი მისი
საქმე გაურიგოვდების. ყოველგნით მტერნი ძლევეს დაუწყებენ. ბოლო ავად მოუვა. აგ-
რევე კელმწიფემან ძრახვი არ უნდა ხიცოდეს ამად, რომე თავის ყმათ რაც უნდა პირს
ეტყუის. მაშ, რასთვის უნდა უძრახოს კაცსა? ძმრახვი კაცი ღუთისა და კაცთ შტერი არის
და ყურის მიმდებნი კაცი მოქმელთაგან უარესი არის.

თავი 73

აღსრულმბიხათვის ზულის წადილისა

ვისცა უნდოდეს, რომე ღმერთმან მისი გულის წადილი აღუსრულოს, რაც ოდენ
კელიდამან გამოუვიდოდეს, მანც აღუსრულოს კაცთა წადილი გულისა. წინასწარმეტ-
ყველთაგან ნათქუამი არის, ვითარ: რომელმანცა კაცმან უშველოს კაცსა, უშველის მას
ღმერთი კემშარიტად. ბრძენთაგან ნათქუამი არის, ვითარ: რომელსაცა რომე სიძლიდრე
და ქონება უფროსი აქუს, მას უფრო მართებს კაცთ გულის წადილის აღსრულება და
ამათგან ნაძენავად ცაშდის ამალეზულთ კელმწიფეთ მართებს, რომე ყოველს კაცსა
გლახაკთა და მდიდართა გული აღუსრულოს ყოველისფერის წყალობითა და დიდად
სახელად მიაჩნდეს გლახაკთ გულის აღსრულება. წინასწარმეტყველთაგან ნათქუამი არის,
ვითარ: რომელმანცა ქრისტიანის კაცის გული გაამხიარულოს, ყოველთა წმიდათა და
წამებულთ მადლი მას მიხედეს. მაშ, კელმწიფეთ მართებს, რომე თვალი ევიროს გზაზედ,
რომელიც რომ მოხივარი შვიდეს, აღუსრულოს გულის წადილი და გაახაროს იგი წყა-
ლობითა მისითა.

80. დღესა ერთსა აღექსანდრე მაკედონელი საღამომდის იჯდა და მას დღეს მო-
ჩივარი არავინ მივიდა მასთანა. როდესაცა კელმწიფე ადგა, არისტოტელს უბრძანა, ვი-
თარ: მე დღევანდელს დღეს სიცოცხლეში არ ჩავიგდებო. მოახსენა, ვითარ: დღეს დია-
ლაც მოსვენებით იყო კელმწიფე და ყოველივე საამო განმზადებული არის. საღარო საესე
არის და ჯარი უმრავლესი ჰყავს ზღვის ქუიშისაგან, თუ დღევანდელს დღეს სიცოცხლე-
ში არ ჩავიგდებს, მაშ, რომელი დღე ჩავიგდების სიცოცხლეში? უბრძანა აღექსანდრე, ვი-
თარ: რომელსაცა დღეს რომ კელმწიფისაგან მოჩივარს მოსვენება არ მიხედება, ის დღე
დღეთ როგორ ჩავიგდებო. სიცოცხლე ამისთვის არის კარგი, რომე ყოველს დღეთ
მისგან ერგოს ვისზე-რამე, თვითა უსარგებლოს სიცოცხლეს სიცოცხლე არა ჰრქუიანო.

ოლექსანდრე ზაქე ღონელის ცხოვრებაშია სწერია, ვითარ: ჩინეთის კელმწიფემ ჰკითხა ოლექსანდრე მაკედონელსა, ვითარ: კელმწიფობაში სიტკბოება რას საქმეში ჰპოვეო. უბრძანა ოლექსანდრე, ვითარ: რამსა საქმესა შინა ვპოვე სიამოვნე კელმწიფობასა ზინა. პირველად, მტერზედ გამარჯვებითა და ჯაურის იპოურისაგან. მეორედ, მოყუარეთა და თესტომთ მოღვომისა და პატრიუს მოშატებისაგან. მესამედ, გლახათ საჩიურის გავრენებასა და გულის წადილის აღსრულებისაგან. ამას გარეთ სიტკბოება უეღლა ცუდი არის.

თავი 17

სიწყნარისა და აუჩიარალომისათვის

წინასწარმეტყუელთა თქუეს, ვითარ: სიწყნარე ღმერთს უყუარს და სიჩქარე ემზასა. სიწყნარემა უოველი საქმე დააშენოს და სიჩქარემა მრავალი საქმე დაამარცხოს. რომელსაც საქმეს თაუი სიწყნარით აელტების, უთუოღ ია საქმე გაკეთლების. და რომელიც საქმე სიჩქარით დაიწყოს კაცმან, რომე კიდევ იმ ხანად გაკეთდეს, ის საქმე საბოლოოდ არ ევარდება. უფროსი ერთი ებ იქნების, რომე არ გაკეთდეს იგი საქმე.

81. ბრძენთაგან ნათქუამი არის, ვითარ: ხოსროვი ფარეზ ერქუა ერთს კელმწიფესა და სიკუდილის დროს შვილს ანდერძი დაუდლო, რომე როგორაც შენ შენის ყმის პატრონი ხარ, ისრევე კუა შენი პატრონი არის, როგორაც შენს ყმას შენს ნებას აქნევიან, აგრევე შენის კუესის ნება შენა ქენ და ერთი საქმე, რომ საქნულად გინდოდეს, დაუწყნარდი და ნუ აუჩქარლები. ვაზირთა და გამოცდილთა კაცთა ჰკითხედი, მეტადრე ამისთანას საქმესა, რომე ყმათ დაზიანებას მოელოდე.

82. ერთს კელმწიფეს ჰუშანგ ერქუა და შვილს ანდერძი დაუდლო, ვითარ: შვილო, ქუეყნის გარიგებაში არ უნდა აჩქარდე და ჯაურს დაუწყნარდე. თაუი კელთ არ მისიკე და კუეთთა და სიწყნარითა საბოლოო საქმე რომ დაინახო, არამე საქმის გათაუებას უნდა სინანულში ჩავარდე, და სინანული აღარას წაიარს ამაღ, რომე ათასის კაცის სისხლი ერთს წამს დაიღვედნა, მაგრამ ერთი მკუდარი არ გაცოცხლებს. სიჩქარე ისარსა ჰგავს, რომე სადამდის არ დაეცემის, მანამდის აღარ დაბრუნდება. და სიწყნარე კრმალსა ჰგავს, კელთა გაქუს და თუ გინდა ასაქმებ და თუ არა, არას დააშავებს. როდისცა გაჯავრდეს კაცი, მართებს რომ ჯაურს სადავე დაუქიროს და ბოლო გაუსინჯოს საქმესა.

83. არღაშირ ბაბექ დილაღ დღემ და სამართლიანი კელმწიფე იყო. ვაზირთ უბრძანა, სამი წიგნი დაწერეს და ერთის ერთგულის შინაყმის კელით მისიკეს. ასრე დარიგა, რომე როდისცა გაჯაყრება შეიტყო ჩემით, სადამდის უბრძანებდე, ერთი წიგნი კელთ მიმეტყო. თუ იმან არ დამაწყნაროს, მასუკან მეორე წიგნი მაჩვენე, თუ აღარც იმით იქნას, მესამე წიგნი მაჩვენე. პირველს წიგნში ეს ეწერა: ყაცის სიკუდილს ნუ აღჩქარდები და ნუცა გაუთამამდები! მეფობასა ამაღ, რომე შენ დაბადებულხარ დაღონებული და დამბადებული ძლიერი და დაუღონებელი[ა]. სხუაც არის, რომე კელმწიფობა შენთვის იმას მოუცემია და წართმევაღ იმას შეუძლია. მეორეს წიგნში ეწერა, ვითარ: ფაიციხე შენგან უქუდაეისი კაცი და განკითხილში არ აჩქარდე, რომელსაც მოერიო, შეიბრადე იგი, რომე რომელიც შენ მოგერეის, მის მაგიერად მას სიიქიოს შენ იმან შეგიბრალოს. მესამეს წიგნში ეს ეწერა, ვითარ: ამ ჰოქმს რომ იქ, უსამართლო არის და უსამართლოს ნუ იქ და ღმერთს ნუ გაიწყრომება.

84. ერანის ცხოვრებაშია სწერია, ვითარ: ერთს კელმწიფეს აწმად სამარო ერქუა. რვის წლისა დარჩა და დიდებულთა და დარბაზის ერთა ტაატზედ დასეეს და დილაღ სამართლიანი კელმწიფე შეიქნა, უსამართლოს არას იქმოდა, ლხინობდა და უბობდა და ვაპკუეზობდა, მაგრა ვითაც გამოუცდიელი იყო, ანასღათ გაჯაურდის, აჩქარდის და გაუკითხავად კაცს მოჰკლევდის და გააბეიბრებდის. დღესა ერთსა ვაზირსა ჰკითხა, ვითარ: ჩენში

1 ხელნაწერი: გაუთამამდები.

რა წუნი იმოებოსო. მოახსენა ვაზირმან: დღეს კელმწიფეს არას საქმეში წუნი არ დაედების და არც ვინ შენი სწორი და ამხანაგი შენისთანა არის ვინმე, და ყოველს დღეს სუფრა გავდებულნი არის, ყოველს კაცისათვის საქმელი მრავალი არის, მაგრა ამ საქმელზედა მარლი არ აყრია და უმარლო საქმელი უგებური ექნებია. კელმწიფემან უბრძანა: ვითამ როგორ არა აქუს მარლილო? ვაზირმა ჰკადრა, ვითარ: აელმწიფეობის მარლიო სიწყნარე არის და თქვენ დაილაქ აჩქარდებით, გაუეთხავად და უბრალოდ კაცს მოჰკლავ და გაახეობრება. კელმწიფემა ბრძანა: მეც შევიტყვე, რომე ეგე საქმე მჭირს, მაგრამე დაეჩვეულვარ და რა წამალი ექნების ჩეულებასა? ვაზირმან მოახსენა: აროდისცა გაჯავრების დრო იყოს, მაშინ დააწყნარე გული და ნუ აჩქარდები. ორისამი დიდებულთაგანი მუსაიბათ გვერდს იახელ, რომე შუა შემოსვლა შეეძლოს და ის ექნების მაგისი წამალი. კელმწიფემა მოახსენა ვაზირის ნავაზირები. ამოარჩია დიდებული და მუსაიბობა უბოძა, და უბრძანა: რომელსაც რომ გაუწყყრო, სამს დღემდის ნუ მოჰკლავთო და სამჯერ მომხსენეთ მისი საქმეო. მუსაიბთ უბრძანა: რომელიც რომ შუა შემოსასვლელი იყოს, თქვენ შუა შემოდითო. როდის კელმწიფემან თავისი საქმე ასრე გააბრია, გაითქუა სახელი კელმწიფისა ქუეყანაზედ ყოველსა სიკეთეზედა.

თადი კ'ს

კითხვისა გამოკრძმვისა და თათბირისათვის

წინასწარმეტყუელთაგან რომელმე ერთობ კეჟიანი და გონიერი იყო, მაშინც რაც საქმე შენოუვარდის, ყმათა ჰკითხვედის და ისრელა იქმოდის იმ საქმესა. კითხვასა და გამოკრძმვისა მრავალი სასარგებელი აქუს. ერთი ესე, რომე ვისცა ჰკითხავს, ისინი მადლიერს და რჩეობან. თვითან რომელიც ეპრიანების, იმასა იქს. თუ უკითხავად რასნე იქმს და ის საქმე ავად მოვა, ყოველი კაცი ძრახვას დაუწყებს და ბრალდებასა, რომე ჩვენთვის გკითხა, უკეთ მოვიდოდა საქმეო. აგრევე, ერთის კაცის კეჟა და მრავალთა ერთი არ არის ამაღ, რომე ერთი კაცი ყუელგან კეჟასა და გულისყურს ვერ მიატანს. ბევრი კაცი ზოგი ზოგს მიხედება და ზოგი ერთსა და შეორესა. იაშინლა კელმწიფეს ჰმართებს, რომე ჰკითხოს დარბაზის ერთა და თვითან ყური მიუგდოს, რომელიც იმის დოვლათს უჯობდეს, ისი ქნას. ერთი ფილასოფოსი სჯულის მამტიკებელი ებისკოპოსი გვერთ იახლოს და რაც რომე საღვთო საქმე იყოს, იმის უკითხავს ნურას იქს.

მწ. ერთს კელმწიფეს ბაპრამი გურქ ერქუა და შეიღს უბრძანა: შენს კელმწიფობაში ბრძენთა და ჰკურს მყოფელთ უკითხავს ნურასა იქ ამაღ, რომე კეჟიანის კაცის გამოკრძმვა უპოვარი არის. რაინდ ძნელი საქმე იყოს, გამოკრძმვა და თათბირი გაგიადვილებს, რასაც საქმეს კეჟითა და თათბირით გააბრეგებს, კრმლითა და შუბით ვერ გააბრეგებს კაცი.

მწ. ბრძენთაგან ნათქუამი არის, ვითარ: ურუმის კელმწიფემან და აზიზი მისრიმა ერთმანერთს მუქარა შეუთვალეს. ორთავ ლაშქარი შეიყარეს და დაახლოდენ ერთმანერთსა. ურუმის კელმწიფეს ერთი ყმა ჰყუნდა, რასაც კელმწიფისაგან და მისთა ჯართაგან გაიგონებდა, ყუელას მისრეთის აზიზს შეუთვლიდის, რადგან რასაც შეუთვლიდის, ყუელა მართალი იყოს, ყუელა დაიჯერის. მისი საქმე ურუმის კელმწიფის მოახსენეს. კელმწიფემან არა ბძანა-რა და არცა-რა იმ კაცს უწყობა. გამაჰკლა ბანი, რაში რაჰმს მიახლოვდა. უბრძანა და დარბაზის ერნი მოაწვიენეს. ის ამბვის შემთვლელი კაცი იქ მიაყუნინა. უბრძანა კელმწიფემან ერთობილთ ჯართა, ვითარ: მიხრეთის აზიზის დარბაზის ერთ ერთობილთ წიგნი მოეწერათ, რომე როდესცა რაშიმ გარეიდებისო, ჩვენ აზიზი მისრის კელმწიფეს მოგვერითო, ნურა გენალვლებისთ-რა, ლეთის შეწვენით საქმე ჩვენკენ რჩებოსო. რა ამბავის შემთვლელმან კაცმან გაიგონა, გაუკუირდა, წარვიდა და ფიცლავ აზიზი მისრისთ-რა კაცი გაგზავნა. კელმწიფისაგან გავგონილი ყუელა მიუწერა. რა ეს

ამბავი მისრეთის აზიზმან გაიგონა, ბჩქარდა და უკრავ-უგინებლად მასვე ღამეს გაიქცა. მერმე გოუძახა ლაშქარი ურუმის კელმწიფემან და იმათი საქონელი ყულა კელთ დარჩა და მრავალი ავი უუყეს. კარგის თათბირითა იმისთანა მძლავრი ლაშქარი უომრად გააქცია.

ვინც რომე უთათბიროდ ძალსა და ლაშქარს მიენდობის, უთუოდ დაუმარცხდების. დასტურად ძალი და ლაშქარი კარგი არის, მაგრა უთათბიროდ არც ერთ ვარგა.

87. ერთმან კელმწიფემან ჰქითხა ბრძენსა რომელსამე, ვითარ: თათბირი სჯობსო თუ მოწიფულობაო. ბრძენმან მოახსენა: მოწიფულობა კრძალსა ჰგავსო და თათბირი ძალიანს ჰქლავსა და კელსა, რომე კრძალი ასაქმოს. რომელსაც კელი აქუს და კრძალი არა აქუს, ისაქმებს. უკელო კრძალი ვერას ისაქმებს, ცუდია. ბრძენსა ჰქითხეს: თათბირში რომელი თათბირი სჯობსო. ბრძენმან თქუა: ისი სჯობს, რომელიც რომ ჩხუბს დააწყნარებს.

კელმწიფეთ მართებსთ, რომე შეროგება და ჩხუბის დაწყნარება მოიქირონ, როგორც რომ ხორასნის კელმწიფემან ქნა.

88. მელიქ ჰაიათილა ერთს ხორასნის კელმწიფესა და დიდძალი მტერი მოუქდა, და შეიყარა ლაშქარი ხორასნელმან და წინ მიეგება. ხორასნელთა: დარბაზის ერთ საბოლოო საქმე გასინჯეს და სრულად უფროსმან კაცებმან მამკლმს მტერს საბრე-ბელი წაგნი მისწერეს. იმას დილაღ იამა, პარკში ჩადეა და დაბეჭდა და მოლარეს მი-ბარა. ამასობაში შეიბნენ. და მელიქ ჰაიათილს გაემარჯვა მტერზედა და სალარო და მოლარე ყულა კელთ დარჩა. როდესცა სალარო გასინჯა, ის დაბეჭდული პარკი ნახა. ჰქითხა კელმწიფემან მოლარესა, ვითარ: ამ პარკში რა ძესო. მოლარემ ჩუნად მოახსენა: თქუენის დარბაზის ერთ საბრებელი წიგნები ძესო. კელმწიფემან გულში თქუა: თუ ამ წიგნებს წავიკითხო, უნდა რაინე ჩემს დარბაზის ერთ გუაველე, როდისცა ისინი შეიტყო-ბენ ჩემგან, შეშინდებიან და თავის მორჩენისათვის მე მილატებენ და ჩხუბი გადილ-დების და მისი დამშვიდება დილაღ მნელი არის. თიცხლა დარბაზის ერთი მოაწვიენა, და ის პარკი იმათ აჩვენა და უბრძანა: ეგ წიგნები არისო, რომე ჩვენს უფროს-უფროს კაცებს მიუწერია ჩენის მტერისათვის, და იმას ამ პარკში ჩაუდებია და თავისი ბეჭედი დაუს-ვამს. აწე ესე დაბეჭდული კელთ ჩამივარდა და არ მინახავს და არც ვიცი, ვისგან ძრის მიწერილით. იმათ თვალს წინ ცეცხლში ჩაყარა და დაწვა. როდესცა დარბაზის ერთ ის წყალობა კელმწიფისაგან დაინახეს, გული დაეძვათ. და რომელსაც გულში ორგულობა ჰქონდა, გაუეროთგულდენ, სიკუდილამდის მსახურეს და ჩხუბი დასწყნარდა.

აგარევი, ნათქუამი არის, რომე კელმწიფეთ ისე მართებს, რომელიც ერთგული ყმა გვერც იახლოს, დიდი იყოს თუ წვრილი, ყულას ჰქითხოს. ეგება ყმაწვილს ასეთი რამ მოაგონდეს, რომე დიდკაცს ის არ მოაგონდეს. გამორჩევით არა კაცი არ დაბანებულა.

89. მარგი შაჰიჯანს ერთი ყადი იყო და ერთი ქალი ჰყუანდა, დილაღ ტურფა და შეენიერი. და ყოველნი იმ ქალაქის კაცი სთხოვდენ და ყადი დალონებულ იყო და ვერავისთვის მიეცა. მის სიახლოვეს ერთი ურჯულო კაცი ესახლა და ყადმა კაცი გაუგ-ზავნა და მოაყუანინა და უთხრა: ერთი ქალი მყავსო და მრავალი კაცი მთხოვს ამ ქალაქშიგა და გამომირჩივე, რომელიც კაცს მივსცეო. უთხრა ყადსა, ვითარ: მე ერთი ურჯულო კაცი ვარო, თქუენი საქმე მე რა მეცოდინებო. უბრძანა ყადმან: შენს გამორჩეულსა ვაერარო. მოახსენა მან, ვითარ: თუ თქუენ ჩემი გამორჩევა გეპრიანე-ბაო, მოგახსენებ: ქუეყანაზედ საბრევი კაცი არის: ერთი რივი ღვთის მოსავე და რჯუ-ლის მიმდევრი, მეორე—გვარიანი და სახელის მძებნელი და მესამე—საქონლადანი. აწ გა-მთარჩიე გულში და რომელიც ამ სამში გიჯობდეს, იმას მიეცე შენი ქალიო. მშინ მოუ-წონა ყადმან გამორჩეული მისი, და შინათ ერთი ნასყიდი ყმა ჰყუანდა, დილაღ მლო-კაევი იყო და თქუა ყადმა გელსა შინა, ვითა: ამისგან უფრო რჯულის მიმდევრი არავან არისო. მას ყმას ბუმბარაქა ერქუა. თავისი ქალი იმას მისცა. მერმე ღმერთმან შჯდო მისცა ბუმბარაქს და იმას აბულაჰი მამამდ დაარქუეს და როდისცა გაიზარდა, სიბრ-ძნით პლატონს ვარდაემბატა.

ესოპეს იგავ-არაკები

ესოპე, გადმოცემით, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა VI საუკ. ჰენს წელთაღრიცხვამდე. მას მიეწერება ავტორობა იგავ-არაკებისა, რომელთა რაოდენობა საჩასამდე აღწევს. ესოპეს სახელით 4) იგავ-არაკი ქართულად ნათარგმნი არის ბერძნულიდან, დაახლოებით XVIII საუკე პირველ ნახევარში. მთარგმნელი უცნობია. ქართულ ენაზე მოიპოვება იტალიურიდან ნათარგმნი ესოპეს 95 იგავ-არაკი (გამოცემულია 1895 წ. კენჯიანში).

ესოპეს 40 იგავ-არაკის რამდენიმე ხელნაწერია ცნობილი. ყველა XVIII-XIX საუკუნეებისა. გამოცემულია ის ს. იორდანიშვილის მიერ 1944 წ. (ესოპე, იგავნი, გვ. 7-24 აქვეა გადმოთქვნილი, დამტკიცებულია, 1859 წ. გამოცემული იტალიურიდან ნათარგმნი იგავებით, გვ. 25-83).

ქვემოთ მოყვანილი ტექსტა იბეჭდება H-180 (ფ. 40r-47v), S-2409 (გვ. 125-156) და S-1536 (გვ. 111-124) ხელნაწერების მიხედვით.

ლიტერატურა

1. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941 წ., გვ. 422-423.
2. ს. იორდანიშვილი, ესოპე, იგავნი, 1944 წ., 3-6, 87-88.
3. H. M a r p, Сборники притч Вардана I, 1899 წ., გვ. 429-527.

იგავნი ესოპესნი

1. მელისა და ჩივირისათვის

უკუურეთ ესოპეს:

აღვიდა ოდესმე მელი ერთი ღობესა ზედა. და დაუსხლტეს მას ფერხნი მისნი ჩა-მსხავარდნელად. ხოლო დამოეკიდა იგი მსწრაფლ ჩივისა რასამე ზედა ვარდისასა. რომელმანცა ეკლითა შით თვისითა ესრეთ დაჩხვლიტნა, რომელ სისხლნი სდიოდეს. და ელმობა მას მწარედ. მაშინ ჰრქეა მელმან ჩივისა: «ვაჲ ჩემდა; რამეთუ მე შეწეწისათვის შემოგავედრე და შენ უძვირესი ბოროტი შემამთხვიე მე!» მიუგო მას ჩივირმან და ჰრქეა: «შენ თით უკვე სცოდე, ვინათგან შემიპყარ მე ხელითა, რომელსაცა ეკვეითარი ჩვეულება მაქვს შეწყნარებად ყოველთა».

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: უკუნურ არიან; რომელთაცა ჰნებავს მათგან შეწეწვა, რომელნიცა ბუნებით დაუნდობელობასა და შევირეებასა სხვათასა ჩვეულ არიან.

2. მელისათვის

შევიდა ოდესმე მელი ერთი სახლსა რასამე შინა სამღერესა. და მოვლო მან ყოველნივე იგი კუთხენი სახლისა მის და საქმენი სრულიად განიხილნა. და პოვა მუნ საფრთხობი რამე მსგავსა პირისა და თავისა კაცთასა, ფრიალ კუთილად და შეენიერად შექმნული. და მეყსეულად აღიღო იგი ფერხითა თვისითა და განიცადა და თქვა: «ჲჲ, რაბამ შეენიერ არს თავი ესე, გარნა ტვინი არა არს ამას შინა».

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს კაცთა მათთვის, რომელნიცა არიან ფრიალ შეენიერ და ახოვან ტანითა, არამედ გონებითა უკუნურ არიან.

3. ღორისა და ძაღლისათვის

იქნა უკვე ოდესმე ცილობა შორის ღორისა და ძაღლისა მრავლისათვის შეიღირებისა მათისა. ხოლო ძაღლმან თქვა: «არა-რა არს უნაყოფიერესი ჩემსა ქვეყანასა ზედა. მიუგო მას ღორმან და ჰრქეა: «რაოდენ იდილო შენ თავი შენი შეილთა სხმისა ზემარეღითა; ეგრეცა მოიხსენე შენ იგი, რამეთუ შოპ'შენ ლეკვთა შენთა ბრმათა».

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: არა ხოლო თუ სისწრაფითა, არამედ ყოველთავე სისრულითა.

4. ხმარის ძაცისა და სიკვდილისათვის

კაცმან ვინმე ბერმან დაქრა ოდესმე შეშა და აღიკიდა იგი და წარიღო შორთა გზათა. ხოლო დაშვრა იგი გზისა სივრცისაგან და დადგა შეშა იგი ერთსა ადვილსა და ინატრიდა და უწოდდა სიკვდილსა: და მეყსეულად წარმოუდგა მას სიკვდილი და ეტყოდა მას, ვითარმედ: «რასა მიწოდ მე?» მაშინ მოხუცებულთა იგი შეძრწუნდა და ჰრქვა მას: «ამისთვის გიწოდდი შენ, რათა შემწე მეყო მე შეშისა ამის სახლსა ჩემსა მიტანასა».

თარგმანი: იგავი ესე აცხადებს, ვითარმედ: ესრეთ საყვარელ არს ყოველთა კაცთა ცხოვრება სოფელსა ამას შინა, გინა თუ გლახაკი იყოს, გინა თუ უბედური და აბედოროტი.

5. ჯოჯობისა და მშლინათვის

პოვა უკვე ოდესმე ჯოჯობან ტყავი ღომისა და აღიღო იგი და შთაიკცა და ვიდოდა და აშინებდა ეგრეთ ყოველთა მხეტთა. მაშინ იხილა მელი ერთი, დაემართა მისდაცა შეშინებდა. ხოლო მელსა მას პირველად ესმა ხმა მისი და ცნა, რამეთუ ჯოჯობა იყო და ჰრქვა მას: «ისმინე ჩემი, ჯოჯობა, ჰეშმარიტად შემწინოდა-მეცა მე შენი, უკეთუმეცა არა მესმინა მე ხმა შენია».

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს კაცთა უსწავლელთა, რომელნიცა ეჩვენებიან სხვათა ბრძნად და მრავლის მეტყველებითა მათთა იპილებიან.

6. მფრინველისა მპირველისა ძაცისა და გველისათვის

კაცმან ვინმე მფრინველის მპირველმან აღიღო ბადე თვისი და წარვიდა მონადირებად მფრინველთა. და მეყსეულად იხილა მფრინველი ერთი მჯდომარე ხესა ზედა მაღალსა და ინება შთამოუყვანება და შეპყრობა მისი საქითა. და იხედვიდა იგი თვალთა მაღლად და არა უწყოდა მან, რამეთუ მწოლარე იყო გველი ერთი ფერხთა ქვეშე მისითა. და დაადგა მან ფერხი თვისი გველსა მას. ხოლო გველი იგი განრისხნა და უცა მას ფერხსა და მეყსეულად კაცი იგი მიხადა სიკვდილად. მაშინ იტყოდა მომავლადვი იგი: «ვაჲ ჩემდა საწყალობელსა, რამეთუ მენება მე სხვათა შეპყრობა და თვით შეპყრობილი ვიქმენ სხვათაგან სიკვდილისა მიერ».

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს მათთვის, რომელნიცა უშწინიან მრსატყებლად მახლობელთა თვისთა და მეგობართა და არა უწყიან, რამეთუ მრავალგზის სხვათა მიერ თვით შეიპყრობიან ვიდრე სიკვდილადმდე.

7. ძაღლისა და მზაპარულისათვის

შევიდა ოდესმე ძაღლი ერთი სახლსა შინა საშვარეულთა, სადაცა უკვე ამზადებდა მზვარეული ვინმე საქმელთა. და წარიტაცა მისგან ძაღლმან გული ერთი ცხერისა და იელტოდა. და მიხედა რა მზვარეულმან მან და იხილა ძაღლი იგი მლტოღვარე, შესძახა მას და ჰრქვა: «გპოებ უკვე, ძაღლო, სადაცა იქმნები! შენ ესე უწყოდე, რამეთუ არა თუ გული მოგიპარავს შენ ჩემთვის, არამედ შემოგიძინებებს შენ ჩემთვის გული»¹.

8. დედაძაცისა და ძათთვისათვის

დედაკაცსა ვისმე ქერივსა ჰყვანდა ქათამი ერთი კვერცხის მდებელი ყოველსა დღესა, და განიზრახვიდა იგი, ვითარმედ: «უკეთუმეცა ესეცა მე ამას უფროსი საქმელი, ამანცა უკვე უფროს ამისა კვერცხი დამიღვის». და დაუწყო ქათამსა მას მიყრა ქერისა მრავლისა. ხოლო მრავლისა მისგან ქამისა ეგრეთ უწომოდ გასუქდა ქათამი იგი, რომელ დაღა კვერცხისა მის დებისაგან.

თარგმანი: იგავი ესე აცხადებს: მათ, რომელნიცა სურვილითა აღნადგინებისათა განხურდებიან, რაჟამს იხებებენ უმეტესისა მოძიებასა და თვისსაცა წარსწყმედენ.

¹ ამ იგავის თარგმანი ყველა ხელნაწერში არაა, H-1224 და 5-1039 ხელნაწერებში კი ასე დამატებულიად იკითხება: იგავი ესე გამოაცხადებს (ამას), ვითარმედ: მრავალგზის ბოროტარიან კაცთა ბოროტთა მიიღებათა (მხილებითა) მათ ბოროტთა (ბოროტთათა).

9. მათემატიკის ობიექტის კვადრატის მნიშვნელობა

დედაქალაქის ვისში ჰყვანდა ქათამი ერთი, რომელი სდებდა კვერცხსა ოქროსასა. და ესრეთ ჰგონებდა იგი, რამეთუ საესე იყო სრულად ოქროთა ქათამი იგი, და ამისთვის ცუტლებოდა დაკვლა მისი. ხოლო უკანასკნელ დაკვლა იგი და იხილვა შინაგანად მისი მსგავსი სხვისა ქათმისა, რომელსა შინა ჰგონებდა მრავლისა სიმდიდრისა კონანასა. და განეშორა მცირედსა უგუნური იგი.

თარგმანი: იგავი ესე აცხადებს, ვითარმედ: ჯერ არს კაცისა, რათა ცხოვრებდეს ჯერისაებრ და არა გარდამატებულისა სიმდიდრისა ნდომად ივლტოდეს.

10. ქათმისა და თავმათის

სახლსა შინა ერთსა გამრავლდენ თავნი ფრიად. და ესმა ესე კატასა და მივიდა მუნ და დაკრობდა და სქამდა იგი დღე ყოველ თავეთა მათ. ხოლო იხილეს რა თავეთა, რამეთუ შთაკლდებოდენ დღე ყოველ რიცხეთა მათთა, იტყოდენ ურთიერთთა: წარვიდეთ ჩვენ იმეროდგან, რათა არა წარესწყმდეთ სრულიად.

ხოლო ცნა რა ესე კატამან, იხმარა ესეითარი ხელოვნება მოსატყუებელად თავეთა: ოდეს არღარა იყენენ მუნ თავნი, აღვიდა უკვე საბელსა ზედა დამოკვიდა იგი მას ზედა, ვითარცა მკვდარი. მაშინ ერთი რომელიმე თავი შთამოვიდა საბელსა ზედა და იხილა კატა იგი მოკიდებული და ხმა უყო მას: იხმინე შენ, მ, კატავ, უკეთუმცა იყო შენ ტონარაკიცა, მაშინც უკვე არა მოვიდეთ შენდა.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს გონიერთა კაცთათვის, რომელნიცა განიცდიდნენ არა იმედაცა კაცთა სიბოროტისაგან და არღარა ოდენ მიენდობიან და მოტყუებებიან მათ მიერ.

11. მელისათვის და მამიშინისა

ოდესმე შესაკრებელსა ზედა მხეტასა ესრეთ კეთილად იშუშრა მაიმუნმან, რომელ ყოველთავე მხეტა გამოირჩიეს იგი მეფედ თვისად. ხოლო მელსა შეშურდა იგი და ენება ბოროტის ყოფად მისდა. მაშინ იხილა ადგილსა რომელსამე ბადე ერთი და ბადესა მას შინა ხორცი მოკიდებული და მიიყვანა მუნ მაიმუნი იგი და ეტყოდა, ვითარმედ: ეპოვე საუხუჯე რომელიმე დიდი, რომლისასაცა არა ღირს ვარ. ჩემდა წამოვლებად, ვინათგან არს იგი სამეფოთა რამე ნიჭი. ხოლო მაიმუნი იგი უგუნურებითა თვისითა წარვიდა მის თანა და შთავარდა ბადესა მას შინა. და დაუწყო მელასა მას ბრალობა, ვითარმედ: რასათვის უკვე მომიყვანე შენ აქა მოტყუებითა? ჰრქვა მას მელამან: ჰენ უკვე გნებავს, მ, უგუნურო, მაიმუნი, ყოველთა მათ მხეტა ზედა მეფობა, რომელი ცხრეთ გონიერ ხარ?!

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს მათ, რომელნიცა თანა განმზრახველობითა საქმეთა იწყებენ, ამისთვის მრავალ გზის წარწყმდებიან.

12. კუსა და ობიხათის

ევდორებოდა ოდესმე კუხ ერთი ობიხათსა, რათა ასწავოს მას ფრენა. ხოლო ობიხათ ეტყოდა მას, რათა დაუტეროს მან ამაო იგი განზრახვა მისი, ვინათგან არა აქენდა მას ბუნება ფრენისა. არამედ კუ[ა] იგი უფროსად ავირეებდა მას და ევედრებოდა სწავლისათვის ფრენისა. დაიპყრა ობიხათმან მან კუხ იგი ბრკეპილითა თვისითა და აღიტაცა იგი მალლიად ჰერსა შინა და გარდმოუტევა იგი და ჰრქვა მას: აჰა, ესე-რა მისწავებოდა, უკეთუმცა გნებავს შენ სწავლა. და შთამოვარდა და დაეცა იგი ქვასა ზედა და შეიშურა სრულიად.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს მათთვის, რომელნიცა გონიერთა კაცთა არს მენენ და უგუნურებითა თვისითა წარწყმდებიან.

12. კაცინა მისთვის, რომელმაცა იხილა შავი არაბი

კაცმან ვინმე მოიყიდა არაბი ერთი შავი. და ჰგონებდა მისთვის, რათამცა მკონარე-
ბითა მით პირის უბანელობისათა იყოს იგი ეგრეთ შავი. და მიიყენა ფეი სახლსა შინა
თვისსა და დაუწყო მას გულსმოდგინედ ბანა ყოველთა საბანელითა, არამედ ეერ შეუძლო
რომლითაჲმე საქმითა ვანსპეტაკება მისი და თავსა თვისსა ეფევითარი. შრომა შეამთხვივა.
თ არ გ მ ა ნ ი: იგავი ესე აცხადებს, ვითარმედ: ბუნებით მოდგამი თვისი დასაბამით-
გან დასასრულადმდე არა რას ვანეშორებებს.

13. მათმისათვის და მისცხლისა

პოვა ოდესმე ქათამმან ერთმან კვერცხნი გველსანი და დააჯდა ფეი გულსმოდგინედ
მას ზედა და გამოსტენხა იგინი და დაუწყო მათ ზრდა. ხოლო იხილა ესე მერცხალმან
და პრქვა მას: *ფე, უგუნურო ქათამო, რასათვის უკვე ზრდი შენ მაგათ? არა უწყია,*
ვითარმედ: რაემს აღიზრდებიან ეგვნი, პირველად შენზედა. წარმოსთხვევნი გესლსა
თვისსა?!

თ არ გ მ ა ნ ი: იგავი ესე აცხადებს, ვითარმედ: არა აღმოიფხვრების უკეთურთა-
გან ბოროტი, რაოდენცა ფრიად სძლენიდე მათ.

14. ლომისათვის და ჯორისა და მელისა

შეამხანაგდენ ოდესმე მელი, ლომი და ჯორი ერთად და წარვიდენ ნადირობად. და
რაემს მოინადირეს მათ ფრიად მრავალნი ნადირნი, უპრძანა ლომმან ჯორსა გაყოფა
მონადირებულისა მის. ხოლო ჯორმან გაყო იგი სამ წილად და დადვა სწორი ნაწილი
თვითვეულისათვის და პრქვა მათ წარღება წილისა მათისა. მაშინ განრისხნა ლომი ფეი
ესრეთ სწორად განყოფისათვის და მოკლა ჯორი იგი და მერმე უბრძანა მელასა მას გაყო-
ფა. ხოლო მელამან განყო იგი და თვით მცირე რამე წილი იყრა და სხვა ყოველთვე
ლომისა მისთვის დაუტევა. იხილა რა ესე ლომმან, პრქვა მელასა მას: *ფენ ვასწავა შენ, სა-
კვარელო ჩემო, ესრეთ კეთილად განყოფა? ხოლო მელამან მიუგო: ასევედომან ჯო-
რისმანა..*

თ არ გ მ ა ნ ი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: აქვსთ ესე კაცთა სწავლად, რათა
მოიგონებდენ პირველ წარსრულთა სიკვდილთა და წარწყმედლთა.

15. ლომისა და მათმისათვის

პოვეს ოდესმე ლომმან და მათემან კიცვი ერთი და იწყეს მის ზედა ურთიერთას
ბრძოლა ესევეითარი, ვიდრემდე არღარა ეძლოთ ფერხთა ზედა ღვოჳა. ხოლო დაშერენ-რა
ფრიად, დაეცნენ გარემო კიცვისა მის. მაშინ რბიოდა მუნ გარემო მათსა მელი ერთი და
იხილნა-რა იგინი დამაშვრალნი და დაცემულნი გარემო კიცვისა მის, მეყსეულად მო-
ვიდა და წარიტაცა მათგან კიცვი იგი. ხოლო იგინი ხედიდენ მელასა მას, წარმტაცებელსა
და არღარა ეძლოთ ზეადღვომად, რათამცა წარელოთ მისგან და იტყოდენ: *ფეა ჩვენდა*
საწყალობელთა ამათ, რამეთუ მელისა მისათვის დაუშვერით ჩვენს!

თ არ გ მ ა ნ ი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: რომელნიმე ესრეთ უგუნუროდ
შვრებიან და სხვანი ნაშრომთა მათთა უშრომელად მოაპოებენ.

17. შოკნისათვის

ყორანსა ერთსა დაუსწავლდა ზართვე თვისი და ტირიდა იგი მისთვის. ხოლო მან
პრქვა დედასა თვისსა, ვითარმედ: *ანუ სტირ, დედაო ჩემო, ჩემთვის, არამედ ევედრე*
ღმერთსაჲ. მიუგო მას დედამან მისმან: აჲო ჩემო, რომელი ღმერთი შეგეწივის შენ,
ანუ არა რომელიმე ხორცი მოგიპარავსა შენ?

თ არ გ მ ა ნ ი: იგავი ესე აცხადებს, ვითარმედ: რომელნიცა ცხოვრებასა შინა თვისსა
მრავალსა ჰყოფენ შტერად თვისად, იგინი ეამსა შინა პირისასა ფერცა ერთსა ჰყოფენ
მეგობრად.

18. მთლიანობის და ღირსის

იყო ერთი მელი, რომელსა არა სადა ეხილება ღომი. ხოლო ოდესმე შეეშთხვია მას ღომი და ეგოდენ შეძრწუნდა მელი იგი, რომელ კნინლა და მკედარ იქმნა ხილვითა მით მისითა. და კვალად ხილად შორედ და შეეშინდავე ფრიად, გარნა არა ეგრეთ, ვითარცა იგი ქარველ. ხოლო იხილა-რა იგი შესამედცა, მესესულად კადნიერად მივიდა იგი მისა მიმართ და თანამზრახველობდა მისა. მიმართ.

თარგმანი: იგავი ესე აცხადებს, ვითარმედ: რაოდენიცა რამე ფრიად საშინელ აყოს, მრავალ გზის ხილვითა მიახლება მისი გაადვილებების.

19. დედაკაცისა და მკურნალისა

დედაკაცსა ვისმე მოხუცებულსა სტკიოდა თვალნი. და მოუწოდა მკურნალსა ერთსა და აღუთქვა სასყიდელი, უკეთუ განკურნოს იგი. და უკეთუ არა განკურნოს, არა-რა სცეს მას. ხოლო მკურნალი იგი ვიოდდა დღე ყოველ მისა მიმართ და სცხებდა თვალთა მისთა წამალთა. და დედაკაცი იგი ოდეს ვერლარა მხედველ იქმნებოდა წამლისა მის ცხებისაგან, აღიღის მკურნალმან ჭურჭელი რამე ერთი სახლისა მისისაგან და წარიღის მისთანა და ესრეთ იქმნა იგი ყოველთა დღეთა. ხოლო დედაკაცი იგი ხედვიდა რა, რამეთუ აკლდებოდა დღე ყოველ ჭურჭელთა მისთა, ფრიად მჭუხარე იქმნებოდა. და შემდგომად რაოდენისამე ეამისა განიკურნა ცა იგი სენისა მისგან. გარნა არლარა რამე დაუშთა სახლსა შინა მისსა. მაშინ იწყო მკურნალმან მან თხოვად მისა აღთქმულისა მისგან სასყიდლისა, ვინაითგან მხედველობდა იგი კეთილად. და მოიყვანა მოწამენიცა. ხოლო იგი ეტყოდა მას: ჟეშმარიტად, აწ უფროსად ჯერა-რას ვხედაე მე, რამეთუ ოდეს მტკიოდა მე თვალნი, მაშინ მრავალთა რათმე ეხედვიდი სახლთა შინა ჩემთა, ხოლო აწ თვალთა ეხედაე კეთილად, არამედ სახლსა ამას შინა ჩემსა ჭურჭელსა ჩემსა ვერლარა სადა ვხედაე.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს ბოროტთა კაცთათვის, რომელთაცა არა ნებაესთ, რათა სხვანი ხედვიდენ ბოროტისა ყოუათა მათთა, და არა ექმნას ესე წინააღმდეგომად.

20. მტლისათვის და ქუშასა

ოდესმე ეტლმან ერთმან ქმნა ქორწილი და მოაწვივნა ქორწილსა მას ზედა ყოველნი ცხოველნი. მას ეამსა დაეყოვნა კუსა მისელად და მერმე მივიდა იგიცა. მაშინ განკვირდა ეტლი იგი დაეყოვნებასა მის ზედა კუსასა, გარნა ჰკითხა მას მიზეზი, უკეთუ რასათვის დაეყოვნა მას მუნ მისელად. ხოლო მან მიუგო, ვითარმედ: სახლი საყვარელი და სახლი¹ რჩეული თვითცა მიღვს. ესმა რა ესე ეტლსა, განრისხნა ფრიად და დასწყევლა იგი და სახლიცა მისი, რათა მიმოაქვენდეს ზურგით.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: მრავალთა კაცთა უმჯობესად უჩნსთ თვისთა სახლთა შინა სიკლახაკით ცხოვრება, ვიდრე სხვათა სახლთა შინა სიმდიდრითა ცხოვრებასა.

21. ცხინისა და ჯორისა[თვის]

კაცსა ვისმე ჰყვიანდა ერთი ცხენი და ერთი ჯორი. ხოლო სლვასა ოდენ მათსა გზასა ზედა რაქვა ცხენსა მას ჯორმან: აღმისუბუქე მე ტვირთისა ამის ჩემისაგან და წარიღე მან, უკეთუ გინდეს ცხოვრება ჩემი, და არა უსმინა ვედრება იგი მისი ცხენმან მან. მაშინ დაეცა ჯორი იგი სიმძიმისა მისგან ტვირთისა და მოკვდა. და შემდგომად პატრონმან მისმან ყოველივე იგი ტვირთი მისი, რაოდენიცა ეკიდა ჯორსა მას, და

¹ სახლი] რძალი S-2409.

ტყაეცა მისი აპკიდა ცხენსა მას. ხოლო ცხენმან მან ლაღატყო და თქვა: ვაჟმე საწყალო-ბელსა, რა შემგომხედა მე ესე, რომე მცირისა ეტლისა და ტვირთისა აკიდება არ ვინებე, მოკლებულისა მისგან ჯორისა და აწ ეს-რა ყოველივე ვიტვირთე მისი და ტყაეცა მისი მოკიდავს მე სრულიადა.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: უკეთუ ღიდთა მცირეთა თანა შეწყენა შეაერთონ, მათ ღაცივან ცხოვრება თვისი.

22. შაჰაჰმთათვის და შაჰლინსა

შევიდენ ოდესმე შაჰარენი სახლსა ვისსამე და ვერა-რა პოეს თეინიერ მამლისა ერთისა. და შეიპკრეს იგი და წავიდენ. ხოლო ინებეს რა დაეყლა მისი, ევედრებოდა მათ შამალი იგი, რათა განუტონ იგი ცოცხალი. და კვალად ეტყოდა მათ, თუ ვითარ სახმარ არს იგი ერთა, ვინათგან აღვიძებს მათ იგი ღამე მოქმედებად. ხოლო მათ მიუგეს მას და ჰრქვეს: ანისთვის უფროსად დაგვლაგზ-შენ, რამეთუ აღვიძებ მათ და ჩვენ პარვად არ გეიტევება.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: რომელნიცა კეთილთა კაცთათვის სარგებელ ირან, იგინივე ბოროტთა კაცთათვის საზნებელ არიან.

23. შაჰაჰმთა კაცთათვის

კაცი ვინმე ორნი ვიღოდენ ერთად გზასა ზედა. ხოლო ერთმან მათგანმან პოვა ცული ერთი და თქვა, ვითარმედ: ევოვე მე ცულია. ჰრქვა მას მეორემან: თქვი ესრეთ. რამეთუ ეპოეთ და არა ეპოევა. ამისა შემდგომად მოვიდა მათდა მიმართ დამკარგავი ცულისა მის და სთხოვა მას, რათამცა მისცეს. ხოლო მან მიუგო: ევოვეთ და დავკარგეთ ჩვენცა. მიუგო მოუვასმან მისმან და ჰრქვა: ნუ იტყვი ამას, რამეთუ დავკარგეთ ჩვენცა, არამედ თუი ესრეთ, ვითარმედ: დავკარგე მე, ვინათგან რაემს პოვე შენ ცული, მაშინ ესრეთ იტყვი: ევოვე ცულია და არა თუ ევოვეთოა.

თარგმანი: იგავი ესე ეცხადებს: რომელნიცა არა ყოველიან თანაზიარნი კეთილსა შინა, იგინი კირსაცა შინა არა იქმნებიან სარწმუნოდ მეგობრად.

24. მონათათვის და შაჰაჰმუნისა

ორნი მონანი სხდენ სამზარეულოსა შინა. ხოლო ერთმან მათგანმან მოპარა მზვარეულსა მას ხორცი ერთი ნაჭერი და მეორესა მას მთელდა ტომარაქსა შინა. მაშინ ძიება ყო მზვარეულმან და ვერ პოვა ხორცი იგი და შერამე ჰკითხა მომპარავსა მას. და მან მიუგო, ვითარმედ: არა მაქეს მე. და რომელსაცა აქენდა, იგიცა იტყოდა ფიცით, ვითარმედ: არა მომიპარავს მე. ხოლო მზვარეულმან ცნა სრულიად სიმბოროტე მათი, ჰრქვა მათ: თუ წინაშე ჩემსა ფუცაეთ და ჰფარავთ, წინაშე ღეთისა ვერასადა დაფაროთ თქვენ.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: უკეთუ ვინმე ცრუ ფიცით წინაშე კაცთა დაეფაროთ ჩვენ, არამედ წინაშე ყოველთა მხილველისა ღეთისა დაფარვიდ ვერა სიდა შეუძლოთ.

25. მსოფლიოსა კაცისა და მითა მისთა

კაცმან ვინმე მსოფლიომან ჟამსა სიკვდილისა თვისისასა ინება ძეთა თვისთა მიწის-მოქმედისა სწავლება. და მოუწოდა მათ და ჰრქვა ძეთა თვისთა: ძენო ჩემო, ამა ესე-რა მე მოკვდები და თქვენ ეძიებდით მას, რომელიცა დავმარხე ვენახსა ჩემსა და უკეთუ იძიოთ, პპოვებთ ყოველსავეჟ.

ხოლო გონებდენ იგინი, ვითარმედ დაეფლა მას საუნჯე რაჟმე. და შემდგომად სიკვდილისა მამისა მათისა, გარდაბარეს მათ ვენახი იგი სრულიად და ვერა-რა პოვეს მათ. გარნა ვენახმან მან, დაბარულმან, კეთილად გამოსცა შრაველი ნაყოფი თვისი.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: შრომა არს საუნჯე კეთილთა.

26. პატარინისათვის და ძალისხ

კაცი ვინმე დიდებული შეპყრობილ იქმნა სასახლესა შინა თვისსა ავტაროსობისა მიერ და მოკლებულ იქმნა საზრდელისაგან. დაკლნა მან პირველად ცხოვარნი თვისნი და მერმე თხანიცა. ხოლო კვალად განფიცნა-რა ავტაროსობა იგი, უკანასკნელ დაკლნა ხარნიცა იგი მხენელი და შეკამნა. მაშინ იხილეს-რა ესე ძალთა მისთა, იტყოდეს ურთიერთს, ვითარმედ: ჟივლტოდეთ ჩვენ სახლისაგან ამისა; უკეთუ მხენელნი ხარნი არ შეიწყალნა უშუაღან ჩვენმან, ჩვენ ვითარ შეგვიწყალდეს?

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: ჯერ არს დაცვა თავისა თვისისა უპუროს ადრე მათგან, რომელნიცა თავსა თვისსა არ დაინდობენ.

27. მალისათვის

მელი ერთი შეპყრობილი ბადესა შინა და კუდისა მოწყვედითა განთავისუფლებული ნატრობდა სიკვდელსა სირცხვილისათვის. და განიზრახვიდა იგი სხვათა მელათა თვისცა ეგრეთვე ყოფასა, რათა საყოველთაოდა სირცხვილითა თვისი იგი სირცხვილი დაფაროს. და მოუწოდა ყოველთა მათ მელთა და მერმე ჰყოფდა თანამზრახველობასა მათ თანა, რათა დაიქრან მათა კუდები, ვინათგან ასო იგი არს უპატო, მძიმე და უსარგებლო. ხოლო ერთმან მათგანძან მიუგო მას და ჰრქვა: თუშეცა არა ყოფილიყავ შენ უკუდო, არა თანაგვეზრახებოდე ჩვენ ამისთვისა.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: ბოროტი კაცი ღონისძიებასა ჰყოფს, რათა სხვანიცა ბოროტი ჰყოს.

28. მარკაპინისა მინა მარკისა და მელუსკუშისათვის

ენება უკვე მერკვირის, ვითარ დააფასონ იგი კაცთა. ხოლო იცვალა სახითა კაცი-სათა და მივიდა სახლსა ვისმე მელუსკუშისასა. და იხილა ლუსკუშა იოვიშისი გინა დიოსი და ჰკითხა, ვითარმედ: რა არს უკვე ფასი მისი? მიუგო მელუსკუშემან და ჰრქვა: როდენ ფული არს ფასი მისი. ხოლო მან განიციანა და ჰრქვა მას: რა ერთისა არს? და მიუგო მას. ვითარმედ: როდენიცა გამსყიდველი იტყვის დიდ ფასად. და იხილა ეგრეთვე თვისსა ლუსკუშსა ზედა და განიზრახვიდა, ვინათგან იყო იგი წარმოვლენილი ღმერთთაგან და სიბილწეთა მთავარი ჰკითხა თვისცა. მიუგო მან: უკეთუ იყილო ესეცა, მოგცე მამას ნაქალა.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: რომელიცა არს მტყვან და ადიდებს თავსა თვისსა და არარად ჰყოფს სხვასა.

29. მგელისა და წარკობათვის

ოდესმე მგელსა ერთსა ძვალი დაეხირა ყელსა ზედა. და აღუთქვა მან სასყიდელი წეროსა, უკეთუშეცა შთაუყოს თავი ყელსა შინა და აღმოუღოს ძვალი იგი. ხოლო ვინათგან აყო იგი კისერ-გრძელი, აღმოართვა მას ძვალი იგი და დაუწყო თხოვნა აღნათქვამისა მის. მაშინ განიციანა მგელმან მან და განილესნა კბილნი თვისნი და ჰრქვა მას: კმა არს იგი შენდა ესეცა, რამეთუ აღმოიღე პირისაგან მგელისა მშვიდობით თავი შენი.

თარგმანი: ესე არს კაცთა, რომელნიცა პირთაგან დაიხსნებთან თვისითა კეთილის მოქმედთაგან და ეგრეთ მისცე შენ.

30. კაცისათვის მათმავარისა

მდინარესა ერთსა იქერდა ვინმე მეთევზური თევზსა, ხოლო მოსდვა ბადე და მოაბა ქვა თოქსა. და დაუწყო მღერევა წყალსა. და აიძვრა-რა, უფროსად შთაცვიდენ თევზნი ბადესა მას შინა. ხოლო იხილა ესე ერთმან ვინმე მუნ მყოფთაგანმან, შეუღბა მას და აღამღერედა წყალსა მას და არა სცემდა წმიდასა წყალსა სმად. ხოლო მან მიუგო, ვითარმედ: უკეთუ მდინარე ესე აღიმღერეოდეს, გავემედები მე შიმშილითა.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: ქალაქთ მთავართა მაშინ უფროსად მქონან მწუხარებანი თავისა თვისისათვის, ოდეს მოქალაქენი შფოთსა ჰყოფენ.

31. მხლინათვის და ღიდაკაცისა

ოღესმე შეემშია მგელსა ერთსა და წარვიდა, რათამცა მოიპოვა საზრდელი. ხოლო მივიდა ერთსა რომელსამე ადგილსა და შემოესმა მას ყრმისა ტირილი. მაშინ ღედა იგი მისი აჩუმებდა მას და ეტყოდა: «უკეთუ არ დასცხრე შენ ტირილისა მაგისაგან, მიგცე შენ მგელსა». ხოლო მგელსა მას ეგონა, უკეთუცა მართლიად იტყოდა ღედაკაცი იგი და ელოდა ფრიადსა ხანსა. და ოღეს მოიწია მწუხრი, ესმა მგელსა მას ალერსი ღედისა მისგან ესრეთ, ვითარმედ: რაემს მოვიდეს აქ მგელი, მოკლათ ჩვენ იგი, შეილო საყვარელთა. ესმა რა მგელსა, წარვიდა და თქვა: სოფელსა ამას შინა სხეისა იტყვიან და სხეისა ჰყოფენ კაცთა.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს კაცთა მათთვის, რომელთაცა საქმენი და სიტყუანი არა შემოწმდებიან.

32. ძალღათათვის

კაცსა ვისმე ჰყუა ორნი ძალღნი. ხოლო ერთსა მას ასწავი ნადირობა და მეორესა სიფრთხილე სახლსა შინა. და რაემს მოინადირებდა ერთი იგი, ორთავეს ზოგად აქმევდა პატრონი მათი ნადირეცა მას. და ამისთვის ფრიად მრისხანე იყო მონადირე იგი ძალღი, ვინათგან დღე ყოველ შრომასა შინა იყო, და მეორე განსვენებით იზრდებოდა. მიუგო შინამყოფმან ძალღმან: «მე ნუ მთავედრებ ამას, არამედ აუუედრე პატრონსა ჩემსა, რომელმანცა მიბრძანა მე არა შრომა და სხეისა ნაშრომითა გამოზრდა მასწავა».

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: ყრმათა მათთვის, რომელნიცა უსწავლელ არიან. ხოლო არა ჯერ არს მხილება მათი, ვინათგან ესრეთ გაზარდნეს იგინი შრომებლთა.

33. კაცი-ა მისთვის ლუჯაჟისა, მხი იგი კმპის შემოხსამილისათვის

კაცსა ვისმე აქენდა ლუჯაჟი ერთი და თვით იყო გლახაკი და ეყვდრებოდა მას დღე ყოველ, რათამცა კეთილი რამე უყოს მას. ხოლო დალაკათუ მარადის ამას ჰყოფდა, გეროფე გლახაკადვე ეგებოდა. და დღესა ერთსა განარისხნა კაცი იგი და აღიტაცა და მოეკიდა ფერხსა ხელითა და დააკეთა მიწასა ზედა და შემუსრა იგი, და დასცვივდა მისგან ოქრო მრავალი. მაშინ აკრიფა ოქრო იგი კაცმან მან და ლალატყო: «გეროფე ეგონებ მე, რამეთუ ეშმაკი ხარ შენ და უმადლო, ვინათგან, ოღეს მე პატრესა გყოფდი შენ, არ იყავ ჩემდ მარგებელ, ხოლო მგვემელსა შენსა, მრავალი სიმდიდრე მომანიჭე».

თარგმანი: იგავი ესე აცხადებს, ვითარმედ: არაოდეს იქმნების ბოროტი კაცი მარგებელ, ეიდრემლის არ განისწავლოს ტანჯვითა და მაშინ იქმნება მარგებელ კაცთა.

34. ღიდაკაცისა და მისთა მავალღათათვის

ღედაკაცი ვინმე ერთი ქვრივი იყო, ფრიად შრომის მოყვარე. და ესევეთარი იქეულება აქენდა, რომელ აღვიძებდა იგი მარადის მოქმედებდა მხეულთა მისთა ეამსა მამლის ყვილისასა. ხოლო მხეეღნი იგი მრავალთა მათ შრომითა მათთვის განიზრახვიდენ სიკვდილსა შინაურისა მის მამლისასა, რამეთუ ყვილისა მისგან განალიძებდა მათ ღედოფალი იგი მათი. და რაემს ჰყვეს გერეთ, უბოროტესსა სიმწარესა შთაცვიდენ, ვინათგან არღარა ესმოდა ხმა მამლისა ღედოფულსა მათსა, უფროსად აღრე განალიძებდა მათ იგი.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: რომელნიცა ვანიშორებენ კვილსა კაცსა, უძმძმესა კირსა შთაცვიდებიან¹.

¹ რომელნიცა... შთაცვიდებიან მრავალთა კეთთა თანა მზარბელობა მიზეზი არს ყვილისა სიბოროტისა (ბოროტისა) S-2409, 1536.

32. კაცისათვის ტყველის მთხოვლია

კაცი ვინმე იყო უცხოისა ქვეყანასა, და რაემს მოიქცა თვისსავე ქვეყანასა, იტყოდა იგი ტყვილთა წინაშე ყოველთასა, ვითარმედ სიძნით მოველო ყოველი ქვეყანა. ხოლო როდოსისა¹ ქალაქსა შინა კეთილთა და ფიქსელსა ხლტოვასა თვისსა, ვითარმედ არაის ეძლო ეგვეთარი ხლტონა. და იტყოდა ფიქით და მოწამედ ხადოდა, რომელნიცა მუნ ყოფილიყვნეს. ხოლო ერთმან მისთანა მღვობარეთამან მიუგო მას და ჰრქვა: ისინი შენ ჩემი. უკეთუ სიძნენი შენნი კუშმარით არიან, რასა გიხმან შენ მოწამენი? აჲ ესე-რა, იჲ არს როდოს ქალაქი და სახლ-ტომიცა შენია.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: უკეთუ არა არს საქმისა გამოჩენა, სიტყვანი უმ არიან.

33. კაცისა ბოროტისათვის

კაცი ვინმე იყო ბოროტის მყოფელი და მივიდა იგი აპოლონის მიმართ დელფი-ნელისა² და ენება გამოცდა მისი. ხოლო ეპყრა ხელითა ქიქვიე ერთი და დაჯარა იგი საძოსლითა თვისითა და დადგა მახლობელ სამსხვერპლოსა³ მის და ჰკითხვიდა ერასა⁴ და ეტყოდა აპოლონს: რაჲ მიპყრიეს მე ხელთა ჩემთა, ცხოველ არს ანუ არა? და უკეთუ ეთქვა აშკადარა, იგი ცოცხალსა უჩვენებდა მას, და უკეთუ ეთქვა ცხოველად, მყისეუ მოაშობდა და მიართევდა მას. ხოლო აპოლონ გულისხმა ყო რა ეშმაკულსო იგი განზრახუა მისი, ჰრქვა მას: რომლისაცა გნებავს ყოფად, ჰყავ ნება, უკეთუ ცხოველი რაინე გიპყრიეს ხელითა ანუ მკედრისა, ჩვენება გიხმსა.

თარგმანი: იგავი ესე აცხადებს, ვითარმედ: არა მოტყუვდების ღმერთი და არცა რა არს წინაშე მისისა დაფარულ.

37. შარხისათვის და დედისა შინისა

ყრმამან ვინმე ერთმან სასწავლოსა შინა მომძესა თვისისა მოჰპარა წიგნი ერთი მისი და მოართვა დედასა თვისსა. ხოლო იგი არა განურისხნა მას, არამედ გამოართვა წიგნი იგი. და ვითარცა აღიზარდა ყრმა იგი, იწყო მპარაობა ჩვეულებისაებრ. ხოლო ოდესმე შეიპყრეს იგი პარასა ზედა და წარიყენეს იგი შეკრული სიკვდილად. მაშინ დედა მისი მიჰყე-ბოდა მას და ტირიდა მის ზედა. იხილა რა ყრმამან დედა თვისი, ევედრებოდა მტარ-ვალსა მას თვისსა მკირედრე დაცადებად, რათა უთხრას დედასა თვისსა სიტყვა რამე საიღუმლო. ხოლო ოდეს დედამან მისმან მიუტყრა ყური, მეუსეულად მიჰპურინდა კბი-ლითა და მოჰკენიტა ყური მისი. ხოლო დედამან მისმან და სხვათაცა იწყეს წყევად მისა და იტყოდეს: აჲა მხოლოდ იპარა აშან; არამედ დედისაცა თვისისა ძვირის მყოფელად გამოჩნდა. ხოლო ყრმამან ჰრქვა მათ: აჲა უწყით თქვენ, რავეთუ ეკვ არს მიზეზი წარწყ-მედისა ჩემისა. უკეთუცა ვეწყუოენ, ოდეს მოვიპარე წიგნი, არამცა მოსრულ ვიყავ მე ამას აღდგისა და არცა გამოვიყვანებოდი სიკვდილადა.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: რომელთაცა პირველად არა ემტენების რისხვით, ივინი განამრავლებენ ბოროტისა საქმეთა.

38. მელისა და კაცისათვის

ოდესმე მოსწყურებოდათ ერთბაშად მელასა და კაცსა. და მიემთხვიენენ ჯურღ-მულსა ერთასა ღრმასა და შთახლენ მას შინა. ხოლო სვეს-რა წყალი და განძლენ, უკა-ნასკენელ იწყო კაცმან მან, უკეთუ ვითარ აღმოვიდეს ჯურღმულისა მისგან. ჰრქვა მას მელამ: კადნიერ იქმენ, შენ აღემართე და მე შენზე აუვალ და აღმიპყარ ხელითა, რათა აღვიდე და მუნით აღვზიდო შენ. და უსმინა კაცმან მან და აღვიდა მელი იგი და რბილად გარემოს ჯურღმულისა მის. მაშინ განურისხნა მას კაცი იგი და აყვედრებდა ილტვისა განტეხისათვის. ჰრქვა მელამ: ესე ოდენი სიბრძნე ვითარ არა გაქენდა შენ, უკეთუ ვერ აღმოვდილოდი, რასათვის შთახველ შენ?

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს. ვითარმედ: გონიერი კაცი ვიდრე არა განიზრახავს, საქმეს ხელად არ იიდებსა.

¹ როდეს S-2409, 1526, როფონის H-180. ² აპოლონისა მიმართ დელფინელისა ერთისა წმინდისა ბერისა შინართ H-180, S-1536. ³ სამსხვერპლოსა ბერისა H-180, S-1536. ⁴ ერასა, შემდეგ გასწორებუ-ლია აქრასა S-2409.

39. ქაცინათვის და ძალღისა

კაცმან ვინმე ყო სერი დილი და აწვიენა მეგობარნი თვისნი, მაშინ ძალღმანცა მისმან ხადა სხვასა ერთსა ძალღსა და ჰრქვა მას: მოვედ, საყვარელო ჩემო, ჩემთანა და ზოგად ვისერათ ჩვენცა. ხოლო მოვიდა იგი სიხარულით და მოელოდა დიდსა რასამე განცხრომასა. ხოლო დგა და ელოდა განცხრომასა გულსა შინა თვისსა და ესრეთ იტყოდა: ააბ ესე-რა შევემთხვიე მე სიხარულსა დიდსა;¹ დავიწყებ კამასა და ესრეთ განვძლები, რათა ბეალისა დღესა არღარა მინდოდეს საქმელი. ხოლო ამას-რა განიზრახვიდა გულსა შინა თვისსა და აქნედა კუდსაჲსა სიტყვისაგებ მეგობრისა თვისისა მქონე სასოებისა, იხილა იგი მზარეულმან, რამეთუ განცხრების ძალღი იგი და აქნევს კუდითა თვისითა, მესესულად მოეკიდა ფერხსა ხელითა, ალიტაცა და გარდაცვლო საკმლით კერძო. და დაეცა იგი მიწასა ზედა. დიდითა ტკივილითა და წუწარებითა ძლით უკვე აღდგა და წარვიდა. ხოლო შეემთხვია მას სხვა ძალღი ერთი გზასა ზედა და ჰრქვა მას: ვითარ უკვე განცხრებ და ეხარე შენ დღესა? ხოლო მან მიუგო და 'ჰრქვა: ამრავლითა სასმლითა უზომოდ დავითერ და გზა ველარა მიცნობიეს, რომლითა აღმოვედ აქა.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: არა უკერ არს მათგან სასოებისა ქონება, რომელნიცა სხვათაგან კეთილის ყოფასა აღგვითქმენ.

40. ზმარსახისათვის მინა მარხისა და ხუროსა მის

ხუროსა ეისმე ერთსა წარუწყმდა ცული თვისი მდინარესა შინა და არა უწყოდა, უკეთურ-ა ყოს. და დაჯდა კიდესა ზედა და ტიროდა. ხოლო მერკვირიმ უწყოდა მიზეზი მისი და შეეწყალა იგი, და შთავიდა სიღრმესა მის წყლისასა და აღმოიღო ცული ოქროსი და ჰკითხა მას: ესე არსა ცული იგი, რომელი წარწყმიდე შენ? ხოლო მან მიუყო, ვითარმედ: არა არს ესე. კვალად შთავიდა სიღრმესავე მისსა და აღმოიღო ვეცხლსა და იგიცა უარყო მან. და კვალად მესამედ შთავიდა სიღრმედ და აღმოიღო ჭეშმარიტი იგი, რომელიცა წარწყმიდა მას, და მერმე ჰრქვა მას: აჲ, ვერეთ არს, რომელიცა წარწყმიდე მე.

ხოლო კაცი იგი აქო მერკვირიმ და სამივე იგი ცული უძღვნა მას. და წარვიდა ხურო იგი და აუწყა მოძმეთა თვისთა ყოველივე ყოფილისი ხოლო განიზრახა ერთმან ვინმე მუნ მისთანა მდგომარემან და მანცა ყო ეგრეთ. და შთავდო ცული მდინარესა და იწყო ტირილად. და ეჩვენა მასცა მერკვირი და იწყო კითხვა. და მან მიუგო მიზეზი ცულის წარწყმედისა. და შთავიდა მდინარესა მას მერკვირი და აღმოიღო ცული ოქროსი და ჰკითხა, ვითარმედ: ესე არსა ცული შენი? და მან ფრხად განიზრახა და ჰრქვა: ესე არს ჭეშმარიტად! მაშინ მოიძაგა ესეითარისა სიტყვისათვის, არცა ოქროსა და არცა თვისი ცული მისცა მას.

თარგმანი: იგავი ესე გამოაცხადებს, ვითარმედ: როდესაცა ღმერთი მისცემს მართალთა შეწყენასა, ეგვოდენსავე ცოდვილთაცა წინააღმდეგების.

მ ე ლ ი ს წ ი გ ნ ი

მელის წიგნი წარმოდგენს იგავ-არაკთა კრებულს, რომელიც ჩამოყალიბდა სომხურ ენაზე XVIII საუკუნეში ვარდან აიგუელის (XII ს.) იგავ-არაკთა საფუძველზე.

სომხურიდან მელის წიგნი კართულად უთარგმნა იოანე პენტელაშვილს 1796 წ. თბილესის ხელნაწერები ცნობილია A-1786, S-2966, A-549 და საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდი 233 (8) № 467 ა, ბ. ამ ხელნაწერებიდან S-1786 ავტოგრაფულია. აქლია მან დასაწყისი ოთხი გვერდი (5 არაკი) და 111-ე არაკი S-2966 ხელნაწერის აქლია ბილო ნაწილი, ტექსტი მთავრდება 157 არაკის ნაწყვეტით. არქივის № 467 და A-549 ხელნაწერები ერთიმეორის ზეგარელებას წარმოადგენს, ერთი და იგივე ხელით გადაწერილი, რომელსაც საფუძველად უდევს S-2966 ხელნაწერი.

¹ H-100, S-1536: დილასა.

მელის წიგნი „კმათათის სწავლა“ გადაკეთებია მ. ყორღანოვს 1816 წელს. A-1786 ხელნაწერიდან მას შეურჩევია 73 არაქი და ერთი სხვაც დაუმატებია. არაქები უფრო გაუფრთხილებია და ისე წესდებოდა თავის თხზულებათა კრებულში (H-59 ფ. 142 r-181 r).

მელის წიგნი-S-2966 ხელნაწერის მიხედვით დაბეჭდა ე. თაყაიშვილმა 1899 წ. (მელის წიგნი ანუ ოჯახარაქების კრებული ვარდანისაჲ) ამ გამოცემის დანაკლისი არაქები გამოაქვეყნა აღ. ბარამიძემ 1937 წ. (თბილისის უნივერსიტეტის შრომები VI, გვ. 165—168).

ქვეტრიათაში მოთავსებული ტექსტი იბეჭდება აღნიშნული ხელნაწერების მიხედვით. ძირითადად გამოყენებულა ავტოგრაფული ნუსხა. იგუთა სათაურები ამოღებულა A-1786 ხელნაწერის სარჩევიდან (ფ. 77r-80v).

ლიტერატურა

1. კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941 წ., გვ. 424—425.
2. ა. ბაოაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940 წ., გვ. 432—437.
3. ე. თაყაიშვილი, მელის წიგნი, ანუ ოჯახარაქების კრებული ვარდანისაჲ, 1899 წ., გვ. 143—150
4. ს. ყუბანეიშვილი, მელის წიგნის ქართული ვერსია (ლიტერატურული ძიებანი, V).
5. Н. М. В. Р. Сборника притч Вардана I, Исследование, 1899 წ.

მელის წიგნი

1. გაუფრთხილება მხარეზე გაყოფით, დაქმნა და ღალატით

ერთმა მეფემ შესაკლავეს ტყავი გამოართო, დაქმნა და ბაზარში დადო. შუალამისას მოვიდნენ სიმარავე ღალატისა, იმ ტყავსა სჭამდნენ. ერთი იმთავანი, რომელიც უფროსი და მეცნიერი იყო, იმან უთხრა: აჩრველათ სისველე გაულოკოთ, მერე ტყავი შევქაწოთა. დაუწყეს იმ ტყავს ლოკვა და სიმლაშით დასქდნენ. აღარ დასცალდალ ტყავის შებმა.

მაგავს ამის მოვიდეს სიკვდილი ჩვენზედ და დრო აღარა გვცეს და ვეღარა ვეწიფეთ საუქუნოს დიდებასა.

2. ხელმწიფე წაღის პირს იხადილა, ღალატით წაღის პირს იხადილა

იყო ხელმწიფე ერთი კეთილი. დღესა ერთსა წყლის პირს ისადილა. მოვიდა ქმნიერი ძალი ერთი, ერთი წმიდა პური მისცა. წაიღო ის პური. წყლის პირს მოვიდოდა. იმ წყალში თავის ჩრდილი ნახა, სხვა ძალი ეგონა. პირში პური ექირა. სიხარბით თავისი პური პირიდან გაავლო, მითამ იმ ძალს გამოუდგა, ის პურიც წაერთმევირა. თითონ რომ პირში პური ექირა, ისიც წყალმა მოსტაცა. დარჩა თავის პურისაგანაც ცარიელი და მშრერი.

თარგმანი: ხელმწიფე ქრისტეა. მშვიერი ძალი—ადამიანი. წმიდა პური—შნო და მცნება არის და თავის წმიდა გვამი არის. ეშმაკი მარად თავის მაცდურობით გენადირობს; ქვეყნის სიყვარულით, სიხარბით, ვერცხლის მოყვარებით გვახურობს. სიკვდილი აღარ გვასრამს. დავრჩებით საუქუნოს ცხოვრებლად ცარიელნი, როგორც ის ძალი დარჩა იმ წმიდა პურისაგანაც ცარიელი.

3. ხელმწიფე წაღის პირს იხადილა, ღალატით წაღის პირს იხადილა

ხელმწიფე დასაყვითისა. დაბძანდა თავის სამეფოს ტახტსა, და შემოკრბნენ დიდებულნი თვისნი, ნახეს ხელმწიფის წვერში მცირე ჩალა. მსახურთ მოახსენეს: ეხედეთ, ოქროს მშენი ოქროს ხის რტოზედა ზისა. ხელმწიფე ამ სიტყვას ვერ მიუხედა. [მსახური] წაღდა ერთი და წვერიდან ის ჩალა აართო. ხელმწიფემ მოსაკლავათ მოინდომა. მოსანახურეთ დააყენეს, მოახსენეს: ჩვენ ასე გვგონია, ღვთის მაგიერი ხელმწიფე ბძანდები, შენ დათვავით გინდა დაგვოცოვო.

მეფეს მძარბებს მშვიდობით დაამწყსოს თავისი მსახურნი, ართუ დაუნაშავებელს გაუწყეს.

1 A-1786: ზღის 1 S-2966: მისცა. წაიღო] ისადილა. მოვიდა.

4. წარმართი ხელმწიფის შვილი გალარიბდა

ერთი წარმართი ხელმწიფის შვილი გალარიბდა. თავის მამის სალოცავს კერას მსახურებდა: სანთელს უნთებდა, საკმელს უკმედა, მაგრამ უფრო გალარიბდა. ერთს დღეს გაჯივრდა, აიღო ცული, კერას თავში დაჰკრა. გასქდა ის კერა, გადმოსცივდა მრავალი თვალი, მარგალიტი და ოქრო. იმის მამას თავის საცხოვრებელი იმ კერაში შეენახა, ჭი შვილო, ვაიმე ცოდვილსა!

თარგმანი: რაზომც მსახურს შენს ხორცსა იღვილობით და განსვენებით, ცოდვამ უფრო გაგაგლახაკოს სულითა და შესაბრალისი შეიქმნა. აჰა, თუ ხორცი გასარჯო და ხორცი მოიკლა ყოვლის კეთილის მოქმედებით, მაშინ გაფუფუნდე სულითა და მორჩე ჯოჯოხეთსა.

5. ხელმწიფე მრწამსზე შეაწუხა

ერთი ხელმწიფე გრწყილმა მეტათ შეაწუხა. ის გრწყილი დაიკირა. შეეხვეწა გრწყილი: გვეედრები, ნუ მამკლავ, პატარა ვარ, მცირე დანაშაული მაქვსო. მიუგო: რაც შენ შეგეძლო, შემაწუხე, ახლა ჩემის ხელით უნდა მოჰქუდეო.

თარგმანი: ჰმართებდს მეფეთა და დიდებულთ მცირეს დამნაშავეთ გარდაახლებინონ, რომ სხუთ დიდ დამნაშავეთ შეეშინდესთ და აღარავენ რა დააშაოს.

6. ხელმწიფის ღოღი მუხანდა

ერთს მეცნიერს ხელმწიფეს ერთი ღოღი ჰყვანდა¹ ლამაზი, და უყვარდა. ამას უწოდებდა და ცხვირში ძვირფასის საყურები ვაყუარა და ძვირფასის ოქრო-ქსოვილი წამოასხა და თავისთან იმყოფებდა. ნახა, ერთს დიღაზედ გაჰპარვია, ლაფსა და წვიმპეში ეთრევა.

თარგმანი: ყოველნი ცოდვილნი სცოდვენ და ცოდვაში ფუფუნებენ, როგორც [C] ღორმან შემოიძარცვა ის თავისი სამკაული და ლაფში აღერია, მის მსგავს შემოუძარცვეთ სამღთოს მადლი და ზიდიან საუკუნეს გენიასა.

7. ხელმწიფისაგან მთუღანროის ნახვა

კოსტანდიპოლის ხელმწიფემ დიად სასოებით მოინდომა, ერთი მეუღლანოე იყო მართალი, იმისი ნახვა. დღესა ერთსა წარვიდა თავის დიდებულთ. ერთი მსახური უპირველესს წარვიდა, მეუღლანოეს ამცნო ხელმწიფის მისელა. რა მეუღლანოემ შეიტყო მეფის მისელა, სენაკი დაგავა; ერთად შეაჯროვა [ნეხეთ]. თითონ გატიტვლდა; პატარა ბალახის ქსოვილი ბეჭებზედ დაიფარა; დაჯდა სენაკის კარზედ, ერთი ფეხი გარეთ დადვა, ერთი ფეხი შეგინთა; ცალი ხელი პირზედ დაიღო და ცალი ხელი სასირცხოზედ. რა მოვიდა, ხელმწიფემ ნახა, სწრაფათ გამობრუნდა. ჰკითხეს თავის დიდებულთ: რატომ ხმა არ გაეცით, ან სწრაფად რათ დაბრუნდიო. უბძანა: ათი წელიწადი რომ იმასთან ვყოფილიყავ, იმდონს მცნებას ვერ მივიღებდი, რაც ამ ერთის ეამის შეხედვით შე მივიღე იმის მცნებაო. ის რომ გატიტვლებულყო, იმას მოასწავებდა: ტიტველანი მოვსულვართ, ტიტველანი წაეალთო. სახლი რომ დაეგავა, იმას მოასწავებს: ქვეყნის საქონელი ეს ნეხეთ არისო. ის რომ ცალი ხელი პირზედ დაედო და ცალი ხელი სასირცხოზედ, იმას მოასწავებს: კაცმა ეს ორი კარი რომ დაიცვას, პირნათლათ წავა ღვერთთანყო.

8. კაცი აკიდებულნი აღმართს აღიოდა

კაცი ერთი სიცხეში აღმართს აღიოდა, ბევრს გაისარჯა, ადამ და ვვა გაჰკიცხა, თქვენის მოუთმენობით სამოთხილამ გამოსცივდიოთო. ეჩვენა ანგელოზი და უთხრა: თუ მოითმენ და ხმას არ ამოიღებ, წაგიყვან სამოთხეშიაო. აღუთქვა, ხმას არ ამოვიღებო. უეცრათ დაეძინა, ნახა თავისი თავი სამოთხეში; ფრიალ გაიხარა. ნახა კაცნი

¹ აქამდის აკლია A-1786 ხელნაწარს, იხედება S-2966 ხელნაწარს ზიხელით.

ახალ ნერგს ხ[ე]ვებს[ა] სკრიდნენ¹. ამ კაცმა ვერ მოითმინა და უთხრა: რა უწყალო კაცნი ხართო, რომ ხნელსა და დამპალს უშვებთ და ახალ ნერგს ხეებსა სკრითო (რომ ყმარ-წვილთ სიკვდილს მოასწავებს). თვალნი გაალო, ნახა ისევე აღმართში აკიდებული კენესით აღის. დაიწყო ტირილი. კიდევ ეჩვენა ანგელოზი და შეეხვეწა: იქავ წამიყვანე და სმას აღარ ამოვიღებო. მიიყვანა სამოთხეში. ნახა, ეკალს და ხის შტოებს იკიდებდნენ და სინძიმით ვერ აუწიოთ. კიდევ და კიდევ უმატებდნენ (რომ ცოდვასა ნიშნავს: რამ-ღონსაც კაცი სტოდვედეს, უფრო და უფრო უმატებდეს). ვერ მოითმინა და უთხრა: თქვენ უგონებო. შეინსუბუქეთ, რომ შეიძლოთ წაღება! კიდევ ნახა სამოთხეში ერთი ლოდი დიდი, გარშემო თორმეტი უღელი ხარი აბია და ოთხ კუთხივ ეწვევიან და ვერ დაუძრავსთ. ვერ მოითმინა და უთხრა: თქვენ უგონებო, ერთს მხარეს მოაბით და სწრაფად წილდებთ! ის ლოდი იყო თვით ქრისტე, ის [თ]ორმეტი უღელი ხარი მართალმადიდებელთ სარწმუნოება არის, თორმეტის გვარის ქრისტიანისა, რომ თვითვეულად ეწვევიან. თვალ-ლი გაალო ამ კაცმა, ნახა, ისევე საპალნე აკიდებული აღმართს აღიოდა კენესით.

9. დედაკაცი იმკუსალივს მიდიოდა

დედაკაცი ერთი მიდიოდა იერუსალიმს წაველის დიდებით. გზაზედ ნახა ერთი საყდარი იმ საყდრის კარზედ ორი ხე იღვა მარჯვნივ და მარცხნივ. უეცრათ ამ ხეთ ერთმანერთს ანბორი სცეს. იმ საყდარში მღვდელი სწირედა და ყრმანიც ერთმანერთს ეამბორნენ. დედაკაცმა უთხრა მღვდელსა: ერთს ჯორის საპალნეს ოქროს შოკცემ, ხვალ ჩემთვის სწირეო. მეორეს დღეს სწირა, და იმ ხეთ ერთმანერთს აღარ ეამბორნენ. შეწუხდა დედაკაცი და მღვდელს უთხრა: რატომ ხეები ერთმანერთს აღარ ეამბორნენო? მღვდელმა უთხრა: ჩენს გულში ვიფიქრეო, ნეტარ ჯორსა მამცემს, თუ არაო? დედაკაცმა ჯორის მოქემაც აღუთქვა. მღვდელმა მეორეს დღესაც სწირა და იმ ხეთ ერთმანერთს ამბორი სცეს. კეშმარიტად ქმნილა და არ არის ტყვილი.

10. მუღდაბნოე ლოღუდ იჯდა

მუღდაბნოე ერთი იჯდა ერთს ლოღუდ. იმის წინ ერთი წყარო იყო. იმ წყაროზედ ერთი ცხენოსანი დიდებული მოვიდა, ჭამოსდა, პური კემა, წყალი დალია, წავიდა და ხუთასი ვერცხლი დაჩჩა. ერთი სხვა კაცი მოვიდა, წყარო დალია, ის ვერცხლი აიღო და წავიდა. ვერცხლის პატრონი, დიუბებული, მობრუნდა, თავის ვერცხლს ეძებდა, ვერ იპოვნა. ერთი კაციც სხვა მოსულიყო წყალზედ. იმ კაცს უთხრა: ჩემი ვერცხლი აქ დამჩჩა, წენ ავიღია, მამეო. იმ კაცს არც აიღო და კიდევ შეჰფიცა. არ დაუჯერა, დაჰჭრა და მოკლა. ის მუღდაბნოე შეწუხდა: თეთრი სხვამ წაიღო და უბრალო კაცი რათ მოკლაო? დაფიქრებულს მიქძინა. ანგელოზი ღვთისა ეჩვენა და უთხრა: იმ თეთრის პატრონის მამას, თეთრი რომ წაიღო, იმის მამისა ხუთასი ვერცხლი ემართაო, თავისი ვალი წაიღოო. იმ კაცმა რომ ის კაცი მოკლა, მკვდრის მამას იმისი მამა მოკვლაო. იმანაც თავისი მამის სისხლი აიღოო. ქრისტეს სამართალი კეშმარიტი არის სააქაოს თუ საიქიოს.

11. დიდებულს შვილი მოუჰკვდა

ერთს დიდებულს შვილი მოუკვდა. ახლო უდაბნო იყო. [ი]ქიდამ მეუღდაბნოეს ჯვარი მოატანინეს, მეუღდაბნოემ ჯვარი მკედარს გულზედ დაადო, და აღდგა ის მკედარი. ეამ ვითარებით ერთს დიდებულსაც შვილი მოუკვდა. წაეიდნენ, ის ჯვარი მოიტანეს, მკედარს გულზედ დააღვეს, და არ აღდგა. იტირეს და თქვეს: ღმერთი ისივ ღმერთი არისო, და ჯვარი ისივ ჯვარი არის, რატომ ჩემი შვილი არ აღდგაო? მოვიდა ზეცით ხმა: მოიტა ის მარჯვენა, რომ დიკირსო ეგ ჯვარიო.

¹ A-1786: სტირნენ.

12. საცა იუმს საუნჯე თჳმინი, ჟვილა ხახარებაში სჳმირა

წმიდას სახარებაში სწერია: „საცა იუმს საუნჯე თჳენი, მუნ იუმს გული თჳენი-ერთი დიდებული კაცი მოკვდა და ჰქონდა მრავალი საუნჯე, ოქრო და ვერცხლი და თვალი; არ უთხრა თავის მოძღვარსა. მკედრის ბანებანი იპოეს ერთი გასაღები მკედრის მხარკვეშ. მიუტანეს ბერსა, ვააღეს იმისი ზანდუკი, ნახეს, გული სისხლიანი იყო იმის საუნჯეზედ. ეს მართალია.

13. კაცი¹ მღვდელს² აღსარება უთხრა

კაცი¹ ერთი წავიდა, მღვდელს² აღსარება უთხრა. ნახა³ მოძღვარმა—აღსარების ნიშნების გეგამი ცეცხლის ისრით სავსე იყო. რამდონსაც თავის ცოდვას ამბობდა, ანგელოზი მარწუხით თითო თითოს იღებდა. სულ ამოიღო⁴. ერთილა დარჩა. მღვდელმა⁵ უთხრა, ერთილა დაგრჩა, არა სთქვიო! მოაღსარებელმა უთხრა: დღეს ერთი ბრმა მოდიოდა, მშრალი გზა არ ვასწავლე, ტალახში ჩავარდო.

14. კაცი გაგლახა[ვ]და

კაცი ერთი გაგლახავდა. ერთის დღის ყანა ჰქონდა და ერთს კაცს მიჰყიდა. მიჰყიდელი წავიდა, იმ ყანაში სამი ქვეერი ოქრო იპოვა და კაცა გაუგზავნა ყანის მომსყიდველს და შეუთვალა: მოდი, შენს მოსყიდულს ყანაში სამი ქვეერი ოქრო ვიპოე, შენი არისო. იმან შემოუთვალა: თუ ღმერთს ჩემთვის სდომებოდა, სამკვიდრო ჩემი მანული იყო, მუდამ ვხნევი და ეთესდი, მე ვიპოე, ღმერთს შენთვის მოუციაო. ანან შეუთვალა: მე მარტო ყანის ფასი მომიციაო, ეს შენი არისო. იქაურმა მეგატრონემ შეიტყო. ის ოქროც მიიტანინა, ის კაცნიც მიასხმევინა, ელჩიპოზნი და დიდებულნი შეჰყარა, სამართალი გაბრკეს. ერთი ქვეერი სამეფო აიღეს, ერთი ქვეერი ეკლესიის და გლახავთ გაუყვეს და ერთი ქვეერი იმ ორს კაცს მისცეს, და ის ნაყანობიც იმ ორთავ კაცთ მისცეს. მოხნეს, პური დათესეს და თაეთსკვის ნაცვალ ზარგალიტი დაისხა. ერთი ტომარა აავსეს, მეფეს მიართვეს და სხვა თითონ აიღეს, და ორნივე ეწივნენ დიდს ღვთის წყალობასა, სულითა და ხორციით გამდიდრდნენ.

15. ხელმწიფის სამი ზვილი მჳანდა

იყო ხელმწიფე. ჰყვანდა სამი ზვილი და ერთი ძვირფასის თვალი ჰქონდა. ხელმწიფე ავით გახდა. ანდრძი თქვა: ვისაც წილში ის თვალი ერგოს, მეუფობა მანა ქნასო. მოკვდა ხელმწიფე და ის თვალი უმცროსმა ძმამ მოიპარა. ამ თვალს დაუწყეს ძებნა. ვეღარ იპოვნეს. თქვეს დიდებულთ: ამა და ამ ქვეყანას ერთი მეცნიერი ხელმწიფე არის, იმასთან მიდით, ის აპოენისო. წავიდნენ სამი ძმანი. გზაზედ ერთი მეაქლემე შეეყარათ, ჰკითხა: აქლემი დაგვარგე, ხომ არ გინახავსთო? ამათ უთხრეს: წადი მაგ გზაზედ, იპოვნიო. უფროსმა ძმამ უთხრა: შენი აქლემი კოკლი არისო. მეორე ძმამ უთხრა: ცალ-თვალი არისო. მესამემ უთხრა: შენი აქლემს[ს] ცალ მხარეს კბილები აქლიაო. გაჰკვირდა მეაქლემე, აქლემი არ გინახავსო და აქლემის ნიშნები როგორ მითხარიო? ერთმა ძმამ თქო: კოკლი ფეხი აკავშირებული ჰქონია, სამის ფეხით უვლიაო. მეორეთ უთხრეს: ცალ მხარეს უძოვნია ბალახი, სწორეთ ვერ მოუძოვნია, თანასწორეთ არ არის მოძოვნილიო. მეაქლემე გაჰკვირდა ამათ მეცნიერობასა. მეაქლემემ აქლემი იპოვნა და წავიდა. ხელმწიფეს ამათ მეცნიერობა მოახსენა. ის ხელმწიფის ზვილები შევიდნენ ქალაქს და ხელმწიფემ ამ[ათ] ერთი შეწყვარი თიკანი, პური და ღვინო გამოუგზავნა. ერთმა ძმამა თქვა: ამ თიკანს ძაღლის ძუძუ უწოდებიაო. ერთმა ძმამა თქვა: აქაური ხელმწიფე ხაბაზის ზვილი არისო. მესამე ძმამა თქვა: ამ ღვინოში ადამიანის სისხლი ურევიაო. მივიდნენ, ხელმწიფეს მოახსენეს. დიდად გაჰკვირდა. ჰკითხა ამათ: ერთი შეიტყუებით? იმათ მოახსენეს: ძაღლის ხორცი რომ შეიწოს, ზინზლის სული აე-

A-1786: ¹ მამამ. ² მამა. ³ მამას. ⁴ + მამამ. ⁵ გამართო.

დინებაო. ღვინოში რომ ადანიანის სისხლი ერიოს, პირზედ ჭაფს მოიგდებსო და პური ხაბაზისა არისო¹. დაუძახა ხელმწიფემ მემცხეარესა და თიკნის ამბავი ჰკითხა. მოახსენა: იმ თიკანს დედა მოუკვდა, ძუ ძალმა შეიჩვია და იმან გაზარდაო. მეზერეს ღვინის ამბავი ჰკითხა. მოახსენა: საწნახელში დანა დაგვრჩაო, ყურძნის წურვაში წყურავს იმ დანამ თუბი შექარაო, სისხლი ტკბილი გავრიაო. მერე თავის დედასა ჰკითხა: მე ვისი შვილი ვარო? უთხრა: ხაბაზი ჩვენსა შებრძოლებული იყო, იმასთან ვედი და შენ იმისანა ხარო. მეორეს დღეს ხელმწიფემ სანნიე ძმები მიასხა, და ამათ თავიანთ თვალის დაკარგვის საჩივარი მოახსენეს. ბძანა ხელმწიფემ: ფრთმა ჭალმა ერთს ახალაზნადს ცოლქრობის პირობა დაუდო, შენს მეტი კმარი მე არ მიხდაო, ნიშანიც მისცეს ერთმანერთსა. ეს ვაგი მოეზადა. ქორწილის ღამეს ერთმა უძრვილესმა ჭაბუკმა ძალით მოიტაცა ის ქალი და ჯვარი დაიწვრა. დაწოლის ცამს ჭალმა იმასთან დაწოლა არ იხება: მე იმ ჩემს პირველს დანიშნულთან ღვინის ფიცი მაქვს, იმისგან კიდე მე სხვა კმარი არ მიხდაო ამ ჭაბუკმა ის ქალი მორთო თვალთა, მარგალიტთა და ოქროთი და პირველს დანიშნულს მიჰგვარა. იმ ყმარწვილმა რა ნახა, ღმერთს მაღლობა შესწირა, იმის მიტანილი არც თვალი იხდობა, არც მარგალიტი და არც ოქროსა. ჰკითხა ხელმწიფემ: რომელი უფრო ნი-საფით ყოფილაო? უფროსმა ძმამა თქვა: პირველი დანიშნული უფრო ნისაფით ყოფილა, რომ თავისი დანიშნული დაანებაო. მეორე ძმამა თქვა: ეს მეორე კმარი უფრო ნისაფით ყოფილა, რომ ქალს არ მიუდგაო, პირველს დანიშნულს მიჰგვარაო უმცროსმა ძმამა თქვა: პირველი უფრო ნისაფით ყოფილა, რომ იმდონი თვალი, მარგალიტი და ოქრო არ იხდობაო.

ნახა ხელმწიფემ, ეს უფრო სახარბის მქონებელია. უბძანა: თვალი შენა გაქვსო! აპოვნა და ის საინი ძმანი მშვიდობით გააშველა და გაისტუმრა.

16. აღმძხანდამ ყოველგან თითონ წავიდოდა

ალექსანდრე ყოველგან თითონ წავიდოდა ელჩათ. ერთს დღეს პოპლია ხელმწიფესთან წავიდა. ხელმწიფემ იაყუთის თასით სასმელი მისცა. სასმელი პოპლია და ის თასი უბეში ჩაიღო. უბძანა: რატომა ჰქმენო? მოახსენა: ჩემის ხელმწიფის ბძანება და განწყობება ესე არისო. პოპლია დაემორჩილა. პოპლიას² დაჲ მეცნიერი იყო. იცნა, რომ ეს ალექსანდრე არისო. უთხრა ჭალმან: გაიქეც, თორემ ამ ცაშში დაგვიტყერენო! შეჯდა თავის მსწრაფლს ცხენსა და გაიქცა.

17. აღმძხანდამ კვდებოდა

როდეს ალექსანდრე კვდებოდა, ანდერძი ენა: ფე ჩემს სახლში მიმიტანეთო; ჩემის საკაცის წინ ათასი კაცი გამიმძღვარეთ; ოქროს სინები თავს დაადგით და თვალ-მარგალიტით ააყსეთ; ათასს კაცს გატიტულებულს ძაძა ჩააცვით; ათასს ცხენს ფაფარი დაჰქროთ, უკვლამა შეკმაზეთ; ჭაბუკი მშვილდოსანი ასი ათასი და ხლმოსანი წინ გამიმძღვარეთო! სწორით ესე იღუსრულეს და წინ გაუძღვარეს. დედამ და ცოლმა რომ ნახეს, არც იტირეს და არც იგლოვეს. დიდებულთ ჰკითხეს დედას, რათ არ იგლოვითო. მიუგო: ჩემს შვილს უანდერძინა, ნუ იტირებთო, თუ მშველემოდა და სიკვდილისაგან დახსნებოდა, ეს ყოველი წინ გაემძღოლე, არ მოკვცდებოდიო, ტირილს უნდა შეეპუოსო!

18. აღმძხანდამ ნადირობდა

ალექსანდრე ნადირობდა ერთს ჰალაკში. ნახა, მეუღადნოე-მარტომყოფნი რძესა და ბრინჯის სკამდნენ, უბძანა ალექსანდრემ: მოდით, მოგცე მრავალი რამა. ამათ მოახსენეს: ერთი რამ სათხოვარი გვაქვს, თუ იმას მოგვცემ, თან გიხსნებთო. რაო? იმთ უთხრეს: უკვდავების მოცემა შეგიძლიაო? უბძანა მეფემ: როგორნი მეცნიერნი ხართო, მე კაცი ვარ მოსაკდომი, მე სად შემძლია უკვდავების მოცემა, კაცს რაცა იქვს,

¹ A-1786: იყო. ² პოპლიოს.

იმის მიცემა შეუძლიაო. თუ მართლა იცი, სასიკვდილე ხარ, რათ ახდენ ჭეყანასაო? უბანა მეფემ: ან არ ვახდენ ჭეყანასა, ღმერთმან ნახა, რომ ყოველი კაცი ქვემარტი-ბისაგან ვაგიდნენ, ავი და კარგი აღარ იციან, ღმერთი სამართლად სჯისთ, რომ ქეშ-მარტიებან ეგნენა. მოუწონეს მეუდაბნოეთ და დაღუმდნენ.

19. აღმცხანდრე მართხ ძმუხანას ჯარით მივიდა

აღექსანდრე ერთს ქეყანას მივიდა ჯარით. მოართვეს ბროწეული. ერთი ბროწე-ული გამოწურეს, იმის წვენმა ერთი კოკა იავსო. ჰკითხა აღექსანდრემ: ეს ადგილი ვისი არისო? მოახსენეს: აღექსანდრესი არისო. ამათხედ ბოროტი განიზრახა. კეთილი ბოროტად შეიცვალა. რამდონიე ხუთი-ექისი ბროწეული გამოწურეს, მაშინ არ იავსო ერთი კოკა. ჰკითხეს: ერთი ბროწეული აესებდა კოკას, ახლა ხუთმა-ექისმა რატომ აღარ აავსო? ნოახსენეს: ჩვენს ხელწიფეს ჩვენზედ გული შესცვლია და იწიტომიაო.

აღექსანდრე ერთ ზღვის კუნძულში ჩამოხდა. ქალა იყო. ყოველთ ცეცხლი აანთეს. ეს ქალა იძრა. ნახეს, კურია თურჰე იყო, რომ გათბა, დაიძრა. შეიტყვეს, რომ კურია იყო. თქვეს შეცნიერთ: ქეყანაზედ სამი ცხოველი არის, რამდონიე ბევრი იცოცხლოს, იმდონი გადიდდეს: ერთი კურია, მეორე გველი, მესამე თევზი, რომ ეშაში შეიქნება.

20. აღმცხანდრე მართხ ალაგს დამაფხვდა, თოვლი მოუვიდა

აღექსანდრე მრავლის დიდებულთ ერთს ალაგს შეემთხვია. დიდი თოვლი მოუვიდათ, ყოველთ მოშედათ, იხოცებოდნენ. ბძანა მეფემ: ხვალ ერთი რამ უნდა ვიზრუნოთო. დილაზედ უბძანა: დახოცეთ ცხენები და ქამეთო. ზოგთა თქვეს: მაჰმადს უბძანებთა, ამისთვის სქამენ ცხენის ხორცს მაჰმადიანნი.

21. კაცი დანიხირხს ძურდოგაჰმედ

კაცი ერთი დანიხირეს ქურდობაზედ. ორი კვირა დიდად გასარჯეს. არ გატყდა. მერე ამისი შვილი მოიყვანეს. ერთი ჯოხი რომ დაჰკრეს, დაიყვირა ამ ქურდმა და გატყდა. უთხრეს: ორი კვირა შენ გტანჯეთ, არ გასტყდი და შენს შვილს ერთი ჯოხი დაჰკარით და მაშინვე გასტყდიო. იმან უთხრა: ჩემი გვაჰი ჩემთ ნშობლისა იყო, არა მტკიოდაო, და როდეს ჩემს შვილსა სცემეთო, იმისი გვაჰი ჩემი იყო, გული დამეწო და გაეტყდიო. შვილი ლეილი არის, ტანში მცემდით, არა მტკიოდა, როდესაც ლეილში დამეკარით, მტკინა და ვთქვიო.

22. მართი კაცი ხაზლავის მთხარეი იყო

ერთი კაცი საფლავის მთხრელი იყო. დღესა ერთსა დიდებულთ ქალი დამარხეს დიდის სამკაულით. შეღამისას მივიდა ის მესაფლავე, მოთხარა ის მკედარი, გაატიტელა. იმ მკედარმა მჯიღევი შემოჰკრა პირში და უთხრა: შეიღის ვაჟის დედა ვარ, ნზე და შთუარე სახლის ბანიდამ მინახამს, კარზედ გასული არავის უნახვიარ, და შენ არ გეშინიან ლეთისა, რომ ასე მათუნაშუსებ და მტკიცვიო? მან უთხრა: გლახა ვარ, საქონელი არა მაქვსო. ქალმა უთხრა: ამ ჩემს საფლავში სამი ადამიანის ხელი თავი არის, წაიღე, ის გაყიდე და თეთრი იიღო! იიღო, წაიღო გასასყიდლად, იყიდა ზარადმა. გააკეთა ოქროს შამფური, ჩაურქო ერთს ყურში, მეორეს ყურში გავიდა. მეორეს ჩაურქო, ნახევრამდინ მივიდა და დაღდა, მესამეს ჩაურქო, სულობით არ ჩავიდა და გაადლო. ჰკითხეს: რა იყო, რომ ეგენი იყიდეთ? უთხრა: შამფური იქით ყურში რომ გავიდაო, სამლოთ სიტყვა ყურში არ შეუნახავს, აქეთ ყურიდამ გაუგონია, იქით ყურში გაუწელიაო. მეორეს ფასი არ დაედებო, ყოვლისფრის წამალი არისო, ამისთვის [რომ] რაც კეთილი რამა სმენია, ყურში შეუნახავსო. მესამე სულ არათ ვარგა: რაც კეთილი რამ გაუგონია, სულობით ყურში არ შეუშვია.

23. ძვირანაზოდ ხუთი კამე არის რომ არაინ იცის

ქვეყანაზედ ხუთი საქმე არის, რომ არაინ იცის, ერთი ეს რომ კაცმა კაცის განხრახნა არ იცის, არც ანგელოზთ, არც ეშმაკთ. მეორე—არ ვიცით, თუ ხვალ რა არის ჩვენს თავს მოსასვლელი. მესამე—რაც საქმე დაევიწროთ, არ ვიცით კეთილი მოგუიბდება თუ ბოროტი. მეოთხე—სიკვდილის ეამი არ ვიცით, როლის მოვკვდებით. მეხუთე—ქვეყნის დასრულების ეამი არ ვიცით. სამი რამ არის რომ კაცს ბოროტისაგან დაიცვავეს: მშვიდობით იყოს, პირის წყალი ჰქონდეს და სრული ჰქუა.

24. მათხ ხელმწიფის ხაზინაში ასი თვალი ჰქონდა

ერთს ხელმწიფეს თავის ხაზინაში ასი თვალი ჰქონდა, მაგრამ ერთი თვალი უფრო დიდ ფასისა იყო. მოლარეთ-ხუცესმა ეს ძვირფასის თვალი გამოკვალა. მოვიდა ხელმწიფე სალაროში, ნახა, რომ ის თვალი გამოკვლილია. მოლარეთ-ხუცესი მრავალი გასარჯა და არ გატყდა, მოსაკლავათაც არ ემეტებოდა და ვერც იმ თვალსა სთმობდა. იყო წყუხარებამი. ერთმა ძეგნიერმა კაცმა მოახსენა: ნუ სწუხარ, თვალს შე განოვაჩენინებო. მოლარეთ-ხუცესი წაიყვანა ერთს უნეცარს კაცთან, ბორკლში დააბა. უთხრა იმ უმეცარმა კაცმა: ერთის თვალისათვის რათა კვდებო? იმას გაუტყდა—ერთს ბეზირგანს მივეციო. წაივდა იმ ბეზირგანთან და უთხრა: ათასი ვერცხლი მასესხეო. არ მისცა. წავიდა, ყადთან უჩივლა: იმ ხოჯას ათი ათასი ვერცხლ[ი] მართებს, არც წიგნი მაქვს და არც მოწამე მყავსო, სამართალი ამეციო. დაუძახა ის ხოჯა. ხოჯამ მოახსენა: პირის წყლის ფასი რა არისო? ყადმა ბძანა: ათი ათასი ვერცხლიო. მოახსენა: სამი რაგი ჩემი პირის წყალი წასულაო. უბძანა ყადიმ: მიეცი ათი ათასი ვერცხლიო!

25. მათ[მა] ბიჭირბანმა საპალნე[ში] დაჰქარაბა

ერთს ბეზირგანს საპალნე[ები] დაეკარგა, გაღარიბდა და გლახაკობდა, შინ აღარ წავიდა. ერთს ღამეს ერთს ალაგს დადგა, ნათხოვნი პურიც გვერდს დაიდო. მოვიდა ერთი კამბეჩი და პური შეუჭამა. წამოღვა, ის კამბეჩი დაკაფა. მეორეს დღეს მოვიდა იმისი პატრონი და ზქვა: ეს კამბეჩი ვინ დაკაფაო? ამან უთხრა: მეო და თავისი გლახაკობის მიზეზიც უთხრა: როდესაც გლახაკობით ჩემი ნათხოვნი პური ამან მუცელში ჩაიდო, ის იქ არ უნდა დამდგარიყო, ალალი მოგება უნდა ჩაედო მუცელშიაო, როგორც შე ველარ წაველ ჩენს სახლშიაო.

26. მათი კაცი იმრუსხალისხ მიდიოდა

კაცი ერთი იერუსალიმს მიდიოდა. ასი ოქრო ერთს კაცს ამანათათ მიაბარა და წაიდა. როცა მოვიდა, უთხრა: მოვუც ჩემი ამანათიო! იმან იუარა: ზომიციო. წაიყვანა საფიკრათ. ის ოქრო ყავარჯენში შეენახა. მივიდნენ ეკლესიაში. ორი ჯვარი ესვენა: ერთი დიდი, ერთი პატარა. ყავარჯენი ოქროს პატრონს მისცა ხელში და დიდს ჯვარს ხელი დაადო: ამისმა მადლმა შენთვის მომიციო. ამ ოქროს პატრონმა ჩვენება ნახა, პატარა ჯვარი დიდს ჯვარს ეუბნებოდა: ტყუილადა რომ შენზედ დაიფიცა, რატომ არ გახტეო? დიდმა ჯვარმა უთხრა: იმათ სამართალი ღმერთზედ მივაფელიო. პატარა ჯვარმა უთხრა: ოქროს პატრონს სასო წარეკვებოდა, მართალია, სამართალი არ მიეცაო. ამ ოქროს პატრონს გაზოფიდა, უთხრა იმ კაცსა: გუშინდელს ფიცს არა ვეჯვარო, ზოდი პატარა ჯვარზედ შემომფიცეო. მოვიდა პატარას ჯვარზედ შეფიცეო. ხელი დაეზღუნა და ცეცხლი მოეკიდა. დაიწყო კივილი: შენი ოქრო ამ ყავარჯენშია, ამოიღეო! ამოიღო ოქრო და გაეხარდა და ადიდებდა ღვთის ჰეშმარიტს სამართალსა.

...27. მკთრი ხელმწიფე თავის ძველანას დაიარაგოდა

ერთი ხელმწიფე თავის ქვეყანას დაიარაგებდა. ნახა, ერთს ქალაქის ნაპირს ათს კაცსა და დედაკაცს ჰქონდათ პური, ღვინო და რძე. ეს საქმელები გაეშოთ, ფინთსა სკამდნენ და ფსელსა სვედნენ. რა ნახა ხელმწიფემ, გაწყრა და დაახოცინა.

თარგმანი: ხელმწიფე ღმერთთა. იმათ რომ პური, ღვინო და რძე გაეშოთ, ფინთს სკამდნენ და [ფსელს] სწიდნენ, ისინი არიან, რომელნიც თავიანთ გვირგვინის ცოლს უშეებენ და უცხოთ დედაკაცთან ისიძვენ და ბოზობენ, რომელნიც თავიანთ შეუგინებელს საწოლს და ცოლს უშეებენ, ისინი იმ ათს კაცსა და დედაკაცს ემსგავსებიან—ფინთსა სკამდნენ და ფსელსა სვედნენ. ხელმწიფე ღმერთთა, განკითხვის დღეს მეგობარს, კაცის მკვლელს და სისხლის დამქცევს ერთად სტანჯავსთ, თუ არ მოიქცეს და არ დასთმოს და შეინანოს; როგორც იტყვის პაულე: „ძალსა და მეგობარს ერთად დასჯის ღმერთი“.

28. ერთმა ხელმწიფემ სვეტზედ მარგალიტი დადო

ერთმა ხელმწიფემ ერთს მალალს სვეტზედ ერთი უფასო მარგალიტი დადო და ბძანა: ვინც აქ ავიდეს და ჩაშრილოს, იმისთვის მიმიცია მარგალიტიო. შეიყარნენ მრავალნი კაცი და ვერაინი ავიდა იმ სვეტზედ, რომ ის მარგალიტი ჩამოვლო. მოვიდა კი ერთი მალალი, ხორცი დაივლიოჯა, სისხლი იღინა, იმის სისხლი იქმნა კიბუთ, დაიღლია იმ სვეტი და ჩაშრილო ის მარგალიტი. ხელმწიფემ აქო ის კაცი და მისცა მარგალიტი.

თარგმანი: ხელმწიფე არის ღმერთი, ეს სვეტი არის თავისი მცნება. კაცი ცოტანი ინახვენ ღვთის მცნებას, როგორც კაცი ისინი, რომ ვერ ავიდნენ იმ სვეტზედ. მარგალიტი ეს არის, ღმერთთან მიანიჭა კაცთა, რომ მრავალნი ეტრფილებიან იპოვნონ, მაგრამ ვერ უპოვნიათ. აბა, იმათ მიიღონ ის მარგალიტი, რომელთ თავიანთ გვაში მოკლან სასუფეველისათვის, მოკაქულთ და წამებულთ, რომ სისხლი დანთხიეს, როგორც იმ კაცმა სისხლი დააქცია და ავიდა სვეტზედ, და აიღო ის მარგალიტი, და მიეცა საუკუნოს შეებასა.

29. ერთს ხელმწიფეს ვენახი მოეწადა. გარჯემო თხრილი მალო

იყო ხელმწიფე ერთი. კარგი ვენახი ჰქონდა. გარჯემო ღრმა თხრილი ჰქონდა. იმაზედ ერთი ხისა და ფიცრის ხიდი ვადო, და ლამით იმ ხიდს იღებდნენ. ვინც ლამით მიდიოდნენ, თხრილში ცვივდებოდნენ. ვინც დღისით მიდიოდნენ, მშვიდობით ხიდს გაივიდიდნენ და ვენახში შედიოდნენ.

[თარგმანი]: ვენახი სამოთხე არის. თხრილი ჯოჯოხეთია. ხიდი კეთილმოქმედება არის. დღე—ეს სოფელია, ღამე—სიკვდილია. ვისაც აქვს კეთილმოქმედება, ის გაივლის ხიდს, და შევა სასუფეველში. ვისაც არა აქვს კეთილმოქმედება, ის ჩავარდება ჯოჯოხეთში.

30. ხელმწიფემ ნახა ჩვენება

ხელმწიფემ ნახა ჩვენება: ზეცილამ წვიმასავეთ მელა ჩამოვლიდა. ბძანა ხელმწიფემ: ვინც ამას შეიტყობს, რა არისო, ათას დრაჰმას მიეცემო. ერთმა გლახამ შეიტყო, მივიდა, მოახსენა: თუ სამს დღეს დამაწყლით, მე გამოგიცხადებო. წავიდა მონასტერში, დაიარაგებოდა მოწყვნით. ნახა ერთი ევშაპი, იმან უთხრა: რას მამცემ, რაც ხელმწიფეს უნახავს, გამოგიცხადლო? ამან უთხრა: რა[საც] ხელმწიფე მიბოძებს, ნახევარს შენ მოგცემო. უთხრა: მიდი, ხელმწიფეს მოახსენე ასე: „ღრო და კაცი მოვლენო, შური და მატყუარნი იქნებიან, მაჯავსი მელისა“. მივიდა, მოახსენა, მოუწონა და უბოძა ათასი დრაჰმანი. ის კაცი გაუმტყუნდა ევშაპს და იმასთან აღარ მივიდა.

კიდევ მეორედ ხელმწიფემ ნახა ჩვენება: როგორც წვიმა ზეცილამ ცხვარსა სწვიძლა. ისიე კაცი დაუძახა და ჰკითხა: ეს სიზმარიც ამიტხადლო. კიდევ ორიოდ დღის მულა-

თა სთხოვა. სცხენოდა, რომ იმავ ვეშაპთან მისულიყო. თავის ბრალეობით მივიდა და მოახსენა: გცოდნე და მაქვს დანაშაულოო, გამომიცხადე ეს ხელმწიფის მეორე სანახავო! ვეშაპმა იმისი დანაშაული აღარ მოიხსენა და გამოუცხადა: ძმიდი, ხელმწიფეს მოახსენე: კაცნი მოვიდნენ კეთილნი და მშვიდობიანნი, ვითარცა ცხვარნია. მოვიდა, ხელმწიფეს მოახსენა. მოიწონა და კიდევ უბოძა ათასი დრაჰკანი. აილო, წაილო, ვეშაპს წინ დაუდო ხუთასი დრაჰკანი.

მესამეთ ნახა ხელმწიფემ ჩვენება: როგორც წვიმა ისე მოდიოდა ზეცით კაცნი, ხელთ მახვილი ეჭირათ. უბძანა იმ კაცს: ეს ჩვენებაც გამომიცხადეო! მოვიდა ვეშაპთან. იმან უთხრა: აწადი, მოახსენე: კაცნი მოვლენ ბოროტნი, ხელთ მახვილი ეჭირათო. ეს რომ შეიტყო ამ კაცმა, თქვა: ეს ვეშაპი აქამდის რათ გაუშვი და არ მოვკალიო და ის ხუთასი დრაჰკანი ამას მოუტანეო? დააკირა მახვილი, უნდა მოეკლა, მაგრამ ხელი არ მოეშარათა და ვერ მოკლა. ამ კაცმა შეინანა და შენდობას ითხოვდა. ვეშაპმა ამ კაცს მონის მგზავსად უთხრა: კაცო, შენ ნუ შესწუხდები, შენის თავეთ შენ არაფერი ჰქენო, ეამი ასეთა მოვიდაო, მახვილის ხმარებისა და ტყვილის თქმის ეამი არისო. ის რომ ხუთასი დრაჰკანი მომიტანე, ცხვარი რომ ენახა ზეცით ჩამოსული, მშვიდობაა მოასწავებდა, იმ მშვიდობის წელიწადს მომიტანეო. ახლა რომ მახვილის ხმარებისა და უსამართლობის ეამი არის, ეამმა მოგანდომა ჩემი სიკვდილიო. ეამი მრავალს რიგს საქმეებს მოიტანს, მაგრა კაცი მოთმინებით უნდა იყოს.

31. იკოხ ხელმწიფის ძე არა ჰყვანდა

ერთს ხელმწიფეს ძე არა ჰყვანდა: არც ვაჟი, არც ქალი. ერთი დისწული ჰყვანდა, ეს თავისთვის შვილად უნდოდა, შექმდეგ თვისა იმას ემეფა. ხელმწიფეს დიდათ უყვარდა. იყო მეცნიერი და ღვთის ბლოკავი. და პირველი ვეზირი დაუმტერდა ამ ყმარწვილსა, უნდოდა რისამე მიზნით ხელმწიფე გაეწყრომებინა ამ ყმარწვილისათვის, მოეკლევინებინა და შემდეგ მეფისა თითონ გახელქმნივებულყო. ერთს დღეს მეფის დისწულს უთხრა: შენი პირი ყარს, მიხვალ და ხელმწიფეთთან ჯდებო, შენი პირის სიმერალე ხელმწიფეს მისდისო, ვიცი, ვაგონებო. იმან უთხრა: მაშ, რა ვქნაო? ვეზირმა უთხრა: ხელმწიფესთან რომ დასჯდე, პირი მოაქციე, სული არ მიედიწოსო, იმანა თქვა: აგრე ვიქო. მერე ვეზირი მივიდა, ხელმწიფეს მოახსენა: შენი დისწული შენთვის ძვირს იძარახავსო. უბძანა: როგორ იციო? მოახსენა: თქვენთან რომა ჯდება, პირს გაქცევსო; მანამ ცოცხალი ხარ, შენს სიცოცხლეშივე ხელმწიფობა უნდა წაგართოსო [იმის განზრახვა ეს არისო]. ხელმწიფემ თავისი დისწული დაიბარა. არ წავიდა ამის მიზნით, პირი რომ მიყარს, არამც გამიწყრესო. მერე გარისხდა ხელმწიფე, დაიბარა. წავიდა, დაჯდა და პირი მოაქცია. ხელმწიფე ამაზედ გარისხდა და ვეზირის მოსუნებულს მართლად მიიღო. უნდა მოეკლა, მაგრამ რადგან დისწული იყო, გამოცხადებით ვერ მოკლა. ერთი წიგნი დაწერა რკინის დამდნობელთ თანა: ხელ მანდ ვინც აღრე მოვიდეს, ცეცხლში ჩააგდე, დაწვით, ნუ იტყვით, თუ ხელმწიფის დისწული არის, ან ვეზირიო. ვინც პირველი მოვიდეს, დაწვითო! თავის დისწულს უთხრა: წადი რკინის დამდნობელთან და უთხარ: ხელმწიფის ბძანება აღასრულეთო! წავიდა. საღამო ეამი იყო, ზარების დარეკა ესმა. თქვა: პირველად ღვთის სამსახური აღვასრულე და მერე ბძანებებსაო—წავიდეო. და ლოცვაზედ იმ ღამეს გათენებამდინ ილოცა. დილაზედ მანამ ეს ყმარწვილი წავიდეო, პირველად ამის ბოროტის მძარხველი ვეზირი წავიდა რკინის დამდნობელთან: თუ ის ყმარწვილი ჯერ არ ჩაუგდიათ ცეცხლში, ჩავაგდებინო[ო]. რომ მივიდა, ვეზირი დაიპირეს და ცეცხლში ჩააგდეს. მერე ხელმწიფის დისწული მივიდა. უთხრეს: ხელმწიფის ბძანება წელანვე აღვასრულეთო. მოვიდა ხელმწიფესთან და ყოველი ყოფილი მოახსენა. ხელმწიფემ მადლობა მისცა ღმერთსა.

თარგმანი: ლოცვით დაიხსნება ყოველი კაცი ბოროტსა, როგორც სამნი ყრმანი განერწენ ცეცხლსა. დანიელ მორჩა ლოცვით ლომსა, ერეზია მორჩა ლოცვით ლატსა, წმიდა გრიგოლ ღრმას ჯურღმულსა, გველითა და ხელყოთ სავსესა. მლოცავს კაცი თანამზრახველია ღვთისა. მლოცავს კაცს ორსავე სოფელს მიეცემა კეთილი ღვთისაგან, ამინ.

32. იპო ხელმწიფე ბოროტი, შვილი ახვანდა კეთილი

იყო ხელმწიფე ბოროტი. ჰქვანდა შვილი ერთი კეთილი და სათნო ღვთისა. მარადის მამას ვერცოდის: დასცხერ ბოროტისაგან, ღვთისა შეიკიდიჱ, უსამართლობას დაეხსენ. სახარებისაგან ხომ ვსმენია: რასაც სამართალს მისცემთ, თქვენც იმ სამართლით განიკეთებთითო. ყოველნი სამღეთო წერილნი ამას ემოწმებია. დღესა ერთსა გაუწყრა შეილსა. ეოლშვილით ექსორია კმნა. წავიდა შვილი უცხოს ქვეყანას. ნახა ერთმა მეცნიერმა კაცმა და თქვა თავის გულში: ეს ან ხელმწიფე არის, ან ხელმწიფის შვილიო. წადგა და დიდის პატივით თავის სახლში მიიწვია. მოახსენა: «საიღამ მობძანდები, ან სად წიბძანდები?» იმან მართალი უთხრა. იმას მისცა სახლი დიდეს იღვას იქ, მანამდინ თავისმა მამამ მოიკითხოსო. სახლში არა ჰქონდა რა სასმელ-საქმელი. წავიდა სამუშაოთ და მუშათ არავინ დაიკირა. წავიდა მიცვალებულთ ეკლესიაში და საღამომდინ ილოცა. ცარიელი თავის სახლში წავიდა. ეოლმა ჰკითხა: საიღამ მოხვალო? ასე ეგანა, საქმელი მოაქვსო. კელმწიფის შვილმა უთხრა: ერთს კაცისათვის ვმუშაობდი და მითხრა: ხვალაც მოდი, იმუშავეო და ორის დღისას ერთად მოგცემო. ეოლმა უთხრა: კარგი არისო. მეორეს დღესაც წავიდა და მუშით არავინ დაიკირა. კიდევ წავიდა ეკლესიაში, საღამომდინ ილოცა და ცარიელი წავიდა შინა. ეოლს ეგონა, საქმელი მოაქვსო ორი დღე უზმო იყო. კიდევ უთხრა ქანამა: იმ კაცმა ანაღანაც არ მომცა სამუშაო, მითხრა: ხვალაც მოდი, იმუშავე და სამის დღის სამუშაოს ერთად მოგცემო. ეოლმა უთხრა: კეთილი არისო. მესამეს დღეს წავიდა, კიდევ არ დაიკირეს მუშათ. წავიდა ეკლესიაში, ილოცა. სადილობის ფანს მოვიდა ერთი ნათლიათ-მოსელი კაცი და სამი თვალის მისცა ძვირფასი სამის დღის საწმუშაოში იმას და თავას ეოლსა, უთხრა: ერთი გაყიდე, შენს სახლში მომხმარეო და ორი შეინახეო, რომ თნათო თვალი ორას დრაჰანათა დირსო. ისე ჰქენა, როგორც დაარიგა იმ ნათლიათ-მოსილმა კაცმა. შინ რომ მოვიდა მეფის შვილი, ორი თვალი მისცა ეოლსა. ეოლმა უთხრა: ეს რა არისო? იმან უთხრა: ნათლიათ-მოსილი კაცი, შენ რომ გამოგეგზავნა, იმასა ჰქონდა სამი თვალი, სამის დღის სამუშაოში, როგორც დამარიგე შენ, მე ისე ვქენ, ისრე იქმნა. მაშინ შეიტყუე მეფის შვილმა სასწაული და მადლობა მისცა ღმერთსა.

თარგმანი: თუ ღმერთი კაცის კერა არის და კაცი მოითმენს, ღმერთმან არ დაადოს ის. როგორც აბრაჰამ და ისაკ და იაკობ და სხუა წმიდანნი, რომ მოითმინეს სახელისა ღვთისათვის, გვირგვინი მიიღეს იმათსავით სხვათაც.

33. [მრ]თი ახვანი იჯდა მალალს ძედზედ, პირში ახალი ხეირა

ერთი ყვაი იჯდა მალალს წვერზედ. იჯდა და პირში ყველი ექირა. მივიდა მელა: ეგების პირიღამ ყველი გაეგადებინოო. ახლოს დაუჯდა და უთხრა: შეე საყდარზედ წჯღომელო და საღამოს ყვარწვილო, ერთი შენი ხმა ააყვავეო! შეიძრა ყვაი და იმ ქებაზედ გაამპარჯავანდა. დიდის ხმით პირი გაალო და შესძახა. ყველი პირიღამ გაეგარდა და მელამ აილო, შექამა. დარჩა ყვაი ცარიელი. უთხრა: ყვაეო, სულელი ხარო, ტყვილის ქებისათვის რათ დააღე პირი და ყველი გააგდე და მშვიერი დარჩი? ტყვილის ენით კაცი როდი უნდა მოტყუედესო.

34. [არწივი კაპაბს ნაშობიდა

არწივი კაპაბს ვაუმტერდა, მულამ აწუხებდა. კაპაბმა რაც ფრინველები იყვნენ, მონახა, შუა შეუყენა: ამღონს ნუ მაცოდვილებ, შემირიგდიო. არწივმა არა ქნა, არც შეურაგდა. ტირიდა კაპაბი და წუხდა. მოვიდა ნეხვის კია შავი. კაპაბმა თავის მწუხარება უთხრა. ეს კია მივიდა არწივთან, შუა შემოვიდა. არწივმა არც იმას უსმინა ვედრება. დაღონდა კია, არწივზედ. ავი გული ჩაიღო. რამღონიც არწივი კვერცხს დასდებდა, წაყიდლოდა ეს კია, დააგორებდა და დაუმტერედა. დიდს ხანს დარჩა არწივი უშვილოთ. საქმე რომ გაუქირდა არწივს, თვით ხელმწიფის კალთაში დადვა კვერცხი. შეიტყო კიამ. ხელმწიფეს ფეხის ბარკალში შეუძვრა და უკბინა. წამოხტა ხელმწიფე, კვერცხები კალთიდან გასცივდა და დაიმტერა.

თარგმანი: ეცადე, არავინ დაიმტერო, ნურც დიდი და ნურც მცირე, ნურც გლაბაკი!

35. [მონაღირამ კაპაბი ღანიჩირა

ერთმა მონადირემ ერთი კაპაბი დაიჭირა. უნდა დაეკლა. უთხრა კაპაბმა: ნუ ნოქლაე, მრავალს კაპაბს მოვასხამ შენს აკანათში და დაგაქვრინებო. მონადირემ უთხრა: არ იქნება, ჩემის ხელით უნდა მოჰკვდეო! შენ შენი მოყვარენი, ნათესაენი და მეზობლები უნდა მოატყუო და დახოცო?

თარგმანი: შენს მოყვარეს, ნათესავს და მეზობლებს ნუ შერ ექმნები, ღმერთი არ მოგიწონებს, ვიზებაც შურს იძიებ, ღმერთი შენვე გაგებს.

36. [მალაშ მართი ნაჭამი ყინული იოვინა

მელას ნოშიდა. ერთი ნაჭერი ყინული იპოვნა. უნდა ეჭამა, თქვა: ვაი ჩემს თავს! ეს რომ შევეპო, არც თავში ამივა და არც მუცელში ჩამიგაო.

თარგმანი: დიდება და პატივი ქვეყნისა სიზმარსავეთ არისო, მარტო წამისა, როგორც [სიზმარში] ბაღში იყო, გამომგლევიება, ალარა იქნება-რა. წარმავალი და მაცლურა არის [წუთისოფელი].

37. [მელას] ჰაითხის, ჩაგღონი ოსტატობა გაძახო

მელასა ჰაითხის: რამღონი რიგი ოსტატობა გაქვსო? უთხრა: ათასი რიგო, ოცდაათი მარტო ძაღლისა ვიცო, მაგრამ ჩემი დიდი ოსტატობა ის არის, არც შე ძაღლი ვნახო და არც ჩემი თავი ძაღლს უჩვენო.

თარგმანი: მრავალნი არიან, რომ შეინანონ ცოდვანი, ღეთის სათნო შეიქმნან, მაგრამ ყველაზედ კარგი ის არის, რომ არა სცოდნოს.

38. მართხ ღვდააპს მართი შვილი ჰუპანდა, შვილი ძუბლი იყო

ერთს ღვდაკაცს ერთი შვილი ჰყვანდა. შვილს ბაზარში ხილსა და მხალს აპარენებდა, და ღვდა სქამდა, და ღეთის მცნებას არ ასწავლიდა. შვილმა ქურდობა გაამრავლა, მრავალს საქონელს და პირუტყუს იპარედა. შეიქნა ქურდების მთავარი. ქურდობაზედ დაიჭირეს და დაჰკიდეს. თქვა: ღვდა მომგვარებო, რომ გამოვესალმოვო. რომ მოაყვანეს, წასწუდა და კბილით ცხირი მოაგლიჯა. უბძანა ხელმწიფემ: ღვდაშენს ცხირი რათ მოაგლიჯეო?—ამისთვის მოვაგლიჯეო, რომ შანამ ყმარწვილი ვიყავი რატომ არ მასწავლა მცნება ღეთისა, რომ ამ სასჯელში არ ჩაეარდნილეყავიო, სამართლით მოვაგლიჯე ცხირიო. ხელმწიფემ ბძანა: შვილი ჩამოუშვით და ღვდა დაჰკიდეთო! შვილი მორჩა, ღვდა დაჰკიდეს.

თარგმანი: რომელთაც მშობელთ შვილთ არ ასწავლონ მცნება ღეთისა, შვილთ შეცოდებას მშობელთა ჰაითხავს ღმერთი დღესა განკითხვისასა.

39. მელა და მორიელი დამშობილდენ¹, ყანა დათესეს, მომკეს, გაღეწეს და ხეავი და-

აყენეს. მელამ უთხრა: მოდი ამ წვერზედ ავიდეთ, იქიდან ჩამოვირბინოთ, ვინც ხეავს-თან აღრე მოვიდეთ, ხორბალი სულ იმისი იყოსო. მორიელმა უთხრა: როიცა არბენას აპირობდე, შენი შეილი გამომიგზავნე და ერთად გავივინოთო. მელამ შეილი გაუგზავნა. მაშინვე მორიელი გაიქცა და ხეავსთან მივიდა. ბოლოს მელა მივიდა. ნახა, მორიელი იქ დახვდა, დააწვა ხეავს: პირობისა შენისაებრ ეს ხორბალი მთლად ჩენი არისო. დარჩა მელა გაწბილებული.

თარგმანი: რომელინც თავის თავის მოქადულნი არიან, ისინი დაჰკარგვენ თავიანთ თავსა, და უღონონი და ღეთას მიჰღონი ეწევიან სამღთოს საუკუნოს პურსა.

40. ლომმა თავის მოხაზაბახუკან მელას უთხრა, როიცა ჩემს თვალში სისხლი იხსნი ნახო, [მანინუმო]

ლომმა უთხრა თავის მოხაზაბახურეს ზელას: როდეს ნახო ჩემს თვალში სისხლი, მანიშნეო, რომ ჩემი სანადიროს ეპი მამინ არისო. ლომი და მელა ხარობდნენ. მელა გამბარტანდა, ლომისაგან გამოვიდა, მგელთან წივიდა. მგელმა უთხრა: როიცა ჩემს თვალში სისხლი იყოს, თუნდა არ იყო[ქ], როდესაცა გკითხო, შეთხარ, ავრე არისო. ერთ დღეს მგელმა უთხრა მელას: შენ თვალში სისხლი არისო. გაიხარა, დაჯდა კუჭზე. მგელმა უთხრა: აბა, მეც შემომხედე, მეც თვალში სისხლი მაქვსო. მელამ ყური აღარ უგდო: სანადიროთ გაიქცა. არწივმა ნახა, ფიჩილები გაუყარა და დაარჩო მელა. მგელმა თქვა, იწართლა სისხლი მოგვივიდა თვალებში, რომ შეიძუსრეს!

თარგმანი: არა სჯობს წინ წავარდნა, თუ კაცს ძალი არა აქვს.

41. მაიმუნმა ხაგოცი წაღიწადი ხალაქიწოთა ძნა

მაიმუნმა ქნა ხელმწიფობა სამოცი წელიწადი. რომ დაბერდა, ის გარდაქაყენეს და ყბარწილი კაცი დასვეს ხელმწიფეთა. მაიმუნი ტირილით წავიდა ზღვის პირზედ: ნახა იქ ერთი ლელვის ხე დიად მსხმოიარე; იმ ხეზედ ავიდა და იქ დამგვიდრა. ლელვსა სკამდა, იმითი იზრდებოდა და ღმერთს მადლობდა. მოვიდა ერთი დიდი კურია. იქ დაეჩია, მოვიდოდა იმ ხის ძირში, აპუნა ლელვს უყრიდა, სკამდა და აპუნას მადლობდა. მერე უთხრა კურიამ აპუნას: მოდი, წაგიყვანო ქალას, საცა ჩემი ნათესაენი და მოყვრები არიან, რომ ჩემზედ სიკეთის მაგიერი იმით გარდიხადონ შენზედაო! მაიმუნმა დაუჯერა. ჩემის სიკეთის მაგიერს მაგებენო. მაიმუნი ხიდან ჩამოვიდა, კურიას ზურგზედ შეაჯდა და წაეიდნენ. კურიამ ზღვაში შეიყვანა. მშრალს რომ მოშორდნენ, უთხრა კურიამ: ჩემო საყვარელო ძმაო მაიმუნო, ჩემი ცოლი ავთ არის, აქიმებმა მითხრეს: აპუნას გული და ნაწლევია იმისი წამალიო, ის უნდა მოხარშოთო და იმისი წყალი დააღევიანოთო, შენ იმისთვის მიმყებარო. რა მაიმუნმა შეიტყო, დიდად დაიყვირა: ვაი ჩემს თავსა, რომ ჩემი გული და წელი იმ ლელვის ხეზედ გაუშვიო, თან ვერ მოვიტანეო! დაბრუნდი, ძმაო, რომ შენი მოსისხლე არ შევიქნაო, ჩემი გული და წელი ავიღო, ჩვენი ჩვეულება არის, ხეზედ დაჰკიდებთ და ჩვენ გზას წავალთო. მრავალს კაცისათვის ურგიაო ღეთითაო! კურიამ დაუჯერა, მაიმუნი გამოაბრუნა, მივიდა იმ ლელვის ძირში, შეირბინა ხეზედ, ავიდა. კურიამ დაუძახა: მალე ქენ, წაეიღოთ, ავანტყაფი მორჩესო! აპუნამ უთხრა: შენ უნდა დაგიჯერო და ამ ხიდან ჩამოვიდეო, ვირზედ უღუნური უნდა ვიყოო, რომ ლომს მორჩა, კიდევ მოტყუედა, დაბრუნდა, ლომისავე ხელით მოკვდაო! კურიამ უთხრა: ღმერთი განგიკითხავს, რომ ტყვილი სთქვიო. უთხრა აპუნამ: შენ განგიკითხავს ღმერთი, რომ შენ მე ტყვილი მასწავლეო. უთხრა: უმადლი არისო, რომ ტყვილით მოგორიო, როგორც კაკაბმა და ჩიტმა რომ მოატყუეს და მორჩინენ.

თარგმანი: კეთილის დამეიწებელს ღმერთიც დავიწებია. კაცს რომ სიკეთე უყოს და ის ცდილობდეს შენ ბოროტი მოგავოს, შენ მოშორდი იმას.

43. მართი მხმცი არის უადამიანოს ადგილს, რძეში ხმანიჟიჟა აძვს

ერთი მხეცი არის უადამიანოს ადგილსა. იმის რქები ხერხსავით არის. მაყვალში ზევა, იქ თამაშობას დაიწყებს და იმისი რქები მაყვლის შტოს მოედება და რქები დაემის, ველარ გამოილვებს, დაიწყებს ყვირილსა. ზონადირე[ე]ში იმის ხმას გაიგონებენ, მიელენ და მოჰყვლენ.

თარგმანი: თუ შევიყვართ სოფელი და გავიადვილოთ ცოდვა და ბილწი გულისთქმა, მალე გვიპოვნის ბილწი მონადირე ეშმაკი და სულით მოგვეკლავს.

44. მართი მხმცი არის ზღვაში, ცეცხლსა სხამს

ერთი მხეცი არის ზღვაში, რომ ცეცხლსა სხამს. მოვლენ იმისი მონადირე[ე]ში, ზღვის პირზედ ცეცხლს დაანთებენ და თითონ დაიმალებიან. მხეცი გამოვა ზღვიდამ დიდის ნდობით და ცეცხლს შეჰკამს. იმისგან დაბუქდება, დაიჯრობა და დაეცემა. მოვლენ მონადირე[ე]ში, მოჰყვლენ რომ იტყვიან: იმის ტყავი რომ ცეცხლში ჩააგდო, არ დაიწვისო.

თარგმანი: თუ კაცი დამკვიდრებულია და ანთებულია ცოდვის სიყვარულით, და ცოდვა გაუადვილებია, და ცოდვით მთვრალი არის, იმის მონადირე ეშმაკი არის, მოვა და მოკლავს ჩვენს სულსა.

45. მართი მხმცი არის, იმის კეჩრცხი წამალი არის

ერთი მფრინველა არის, რომ იმისი კეჩრცხი წამალი არის, და მონადირე[ე]ში კეჩრცხისათვის იმ ფრინველსა სდევენ და აწუხებენ. ის ფრინველი, რომცა მონადირეს ნახეს, იმ თავის კეჩრცხებს დაამტრევს და გარდმოჰყრის და თითონ გაიქცევა.

თარგმანი: რაც ეშმაკს უყვარს, რომ იმითი გდევს, შენ ის მოიკეთე და შენგან გააგდე, და გაეჰცი, და კეთილ [ი]მოქმედე!

46. მართი მხმცი არის, რომცა მოშივდება, პირს გააღებს ზღვაში

ერთი მხეცი არის ზღვაში, რომცა მოშივდება, პირს დააღებს და ერთი გემოვანი სული ჩაუვა პირში. მოვლენ თევზნი იმ სულის ნეტყობით, მხეცს პირში ჩაუვლენს. ის მხეცი პირს მომუქავს, თევზნი პირში დარჩებიან და ის არის იმისი საზრდო და საკმელი.

თარგმანი: იმის მგზავსად ეშმაკს პირი დაუღა, რაგორც ლომი და ვეშაპი. სული კარგი და ტკბილი ცოდვისაგან მოვა, პირში სასიამოვნე, და ცხვირში კარგი სული მიედანება, ჩვენ მივალთ ჩვენის ნებით და ჩვეცივით ლომისა და ვეშაპის პირში და მუცელში, ის პირს მომუქავს ჩვენზედ, და ჩვეცივით საუკუნის გენიასა.

47. მართი მარტომყოფელი სოფელში სიძვის ცოდვაში ჩაპარდა

იყო მარტომყოფელი ერთ სოფელში, ჩაეარდა სიძვის ცოდვაში. მამასახლისმა მოიყვანა ერთი ძალი ანჩხლი და ძალიანი, რომ ღამე სულ გარს უვლიდა, სოფელს ინახევდა ნადირისაგან. ერთს ღამეს მოვიდა ის მარტომყოფელი სოფელიდამ, ესიძვა. ის ძალი დახვდა სოფლის ნაპირს, იმ მარტომყოფელს დაჰკეფა, მივარდა და დაგლიჯა. გაიქცა, თავის სენაკში მივიდა და დიდად შეაწუხა. სენაკის კარი დაკეტა, შეინანა და ტიროდა მწარეთ: ღვი ჩემს თავსა, ღმერთო, ამ ფრიად ჟამს არ მოვიქეც და არც შევიზინე წენგან და, ჯოჯობეთში დარჯისათვის, დღეს ერთის ქათვარის ძალისაგან ამ მწუხარებაში ეარ, გავექეც და ვერ მოურჩი, აწ შემიპარალე ქრისტე, და წაართვი ჩემი თავი ეშმაკსა, მაშინ გაუშო ეშმაკმა, ბოზობისაგან დასცხრა და შეინანა.

თარგმანი: მრავალთ კაცთ დალაშქვს ცოდვაში—მეფეთ, დიდებულთ, წინამძღვართ, მოსამართლეთ, და რომცა განებას მოეგნენ, და ცოდვა მოიკვეთეს, და ჰინანულეთ გაწმენდნენ, შეიქნენ სათნო ღვთისა, იპონეს სასუფეველო.

47. მართი მარტომკრთველი სიძვის ცოდვაში ჩაპარდა

იყო ერთი მარტომკრთველი. ცოდვაში ჩაეარდა, ისიძვა. მოიქცა. იტორა მრავალი, მუხლი იყარა და დავითნს კითხულობდა, წვერზედ იფურთხევედა, თავის თავს არცხვენდა. ეშმაკი შეწუხდა იმის ლოცვისაგან. ერთს ლამეს მოვიდა ეშმაკი და უთხრა: მაგდენის ლოცვით რათ გვაწუხებო? ისი სჯობია, მოხვიდე ჩენი ნება ქანო, მერე შეინახე და ღვთის სათნო შეიქენო! მარტომკრთვემა უთხრა: შე დაწყველილო ძალლო, რომ ამ სენაკში ჩემს მოსატყუებლად მოზღდხარო და ჯობითა მცემ თავშიაო, უნდა გამაუშეცნიერო და ცოდვაში ჩამავლო? ვაეილვიდე და გონებას მოველ, ახლა მე გცემ რკინის ჯობით თავშიაო, ღმერთი ჩემი მოწყალე არისო, თქვენცენ არ გამოიშვებო! იმ ქამს განქარდა ის ბილწი ეშმაკი.

48. მართი მთუღანთა ხანი წმლიწადი სიძვის ცოდვაში იყო

ერთი მეუღლებოც საში წელიწადი სიძვის ცოდვაში იყო, მამამ არ იცოდა. დღესა ერთსა მამამ შეუტყო, დაუძახა და უთხრა: ამდონი ღამე არის, სადა ხარო და რათ იწყრომებ ღმერთსაო? დავარდა მიწაზედ და მამას ფეხთ მოეხებია და თქვა: ვცოდე ღმერთსაო, ეს საში წელიწადია, რომ სიძვის ცოდვაში ვარო. უთხრა მამამ: რას მოქმედობდი, რომ ამდონს ხანს ღმერთმან დაგიუარაო? მოახსენა: ჩემი ჩვეულება ეს იყო: წავიდოდი, ცოდვას აღვასრულებდი, მოვიდოდი, მთლად დავითნს ტირილით წავიკითხვედი და სინანულის ლოცვებს წავიკითხვედიო. ამაღამ ეშმაკმა გამამცონარა, ვერც დავითნი და ვერც სინანულის ლოცვები წავიკითხე, და არც სულობით ღმერთი ვახსენეო. მამან მამამ: კურთხეულ არს ღმერთიო, რომ არ დაჰკარგავეს კაცსაო, რადგან ამაღამ ღმერთმან მოგხედა და მოხველ სინანულად, ღვთის მადლით, მეც მომიტყეებია შენი ცოდვაო. ის შეიქნა ღვთის სათნო, შევიდა დიდს სინანულში და კეთილმოქმედებაში.

49. კატამ წმლიწადი წამოიხსა

კატამ წამოიხსა ფილანი, უთხრა თავებეს: ილარ შევალ თქვენს ხოცასა და სისხლშიაო, შეველ სინანულშიაო თავებებმა უთხრეს: არ დაგიუკრებთ, შე ორგულო, თუნდა მამა ანტონის რიგიც დაიქირო. მერე წავიდა წისქვილში, ფქვილი წაიყარა და თქვა: მეწისქვილე ვარო. მივიდნენ თავებები და უთხრეს: შე ორგულო, არ დაგიუკრებთ, შენ მეწისქვილე არა ხარო. მერე კატა ტყვილად მოკვდა და თავებების მხარეს დაწვა. მოვიდნენ თავებები და უთხრეს: შე ბოროტო, თუნდა შენი ტყავი გუდათ გახდილი ვნახოთ, მაშინც შენს სიკვდილს არ დაგიუკრებთო, შენი ჩვეულება სიბოროტე არის, და არ გაუშვებ შენ ეშმაკობასაო.

თარგმანი: რომელიც კაცი თავის ჩვეულობრივს სიბოროტეს არ გაუშვებს, იმ ბოროტობით თითონ იენებს და სხვათ ვერას აენებს.

50. კატა ხელწვივის მისაწოდით დააპინეს

კატა¹ ხელწვივის მისაწოდით დააყენეს და ოქროს სასთაულზედ დასვეს, და სახელწვივო საქმელები მიართვეს და უთხრეს: შენს ჩვეულობას—ქცევას დაეხსენო! კატამ უთხრა: თუნდა ოქროშიაც წამსოთ და მარგალიტშიაც, ვერ დავთმობ ჩემს ჩვეულობასაო. კატამ რომ თავი ნახოს, თავის ბუტბუტს არ მოიშლის.

თარგმანი: ბოროტის მქმნელს რაზომც კეთილი აწვიო, ის არ გისმენს, ნურც დაიუკრებ, დიად შეცნიერო: და კეთილი კაცი უნდა იყოს, რომ ბოროტისაგან მოიქცეს და კეთილი გისმინოს.

¹ კატა კოდვ კატა A-1786.

51. დასავლეთის მონადირე ერთი კურია ნახა

ერთი მონადირე დასავლეთის მხარეს ნადირობდა. ნახა ერთი კურია. მონადირე მძიმეთ მოიქცა. შაგირდებმა უთხრეს: აეჩქარდეთ, კურია არსად წაგვივიდესო! მონადირემ უთხრა: ნუ ჩქარობო, ეგ კურია უგონო არის, არსად წაგვივიაო: ვერც გაგვექცევაო, როცა გვინდა, ჩვენია, დავიკერათო.

თარგმანი: ის მონადირე ეშმაკი არისო, კურია ცოდელინი არიანო. უთხრა ეშმაკმა დღეთ: ნუ ცდილობთ, თუ წაივით კუდიანის სახლში, ან კაცის მკვლელთან, ან ნებოზართან, ან მკონართან, ან ამპარტაევანთან, ან მამბეზლართან და სხვა ცოდვის მკნელებთან, ისინი ჩვენნი არიან, ნუპით თავიანთ თავი ჩვენთვის მოუციათო. თქვენ წადით, საცა წმიდა კაცები არიან, იმათ შეუდექით, პირით ერთი რამ გმობა ათქმევინეთ, რომ ქალაქი იმათი პირი არისო; ქალაქში ხომ არ გაივლიან, პირიდან ამოსულის სიტყვით და გმობით უნდა მოინადიროთო.

52. სამი აქლემი და სამი მელა დამშობილდნენ

სამი აქლემი და სამი მელა დამშობილდნენ და ერთს გზას მიდიოდნენ. სამი წმიდა პური იპოვნეს. აქლემებმა აიღეს და შეკამეს. მელები ღერბთ ეხვეოდნენ ტირილით. აქლემებმა ფეხი დააკარეს და ის მელები დაოცეს.

თარგმანი: დიდგვარნი და დიდებულნი სწოვენ დაბალის კაცის ტყინსა. როცა დააკლდებათ რამ მეფეთა, თავათა და დიდებულთა, უქონლობით დიხოცებიან [ისინი].

53. მათი დედაკაცი იმარხუხალივს მიდიოდა

დედაკაცი ერთი მიდიოდა იერუსალიმს და შეიღს უთხრა: კრუხსა და წიწილებს უური უგდე, ან არს დიხოცენენ, ან არ დიკარგენენ, მანამ მე მოვიდოდეო! შეიღმა ის წიწილები და დედა იმათი ერთად ბაწრით შეკრა და დაადგო. მოვიდა მალე დამ ძეგრა: ერთს წიწილას დასწვდა, აიყვანა. იმდრონი წიწილა და დედა თან გააჰყენენ.

თარგმანი: ქრისტე რომ ამოიღდა ზეათ, გაამპარტავანდნენ ერნი. მეფეთ, დიდებულთ და წინამძღვართ მიეცათ მწუხარება და ზრუნვა სოფლისა, აღარ მოინდომეს თავიანთ მწყემსის ქრისტეს მფარელობა. ეშმაკმან აავსო ცოდვით, ერთობით ჩაყარა ჯოჯოხეთში ზელმწიფენი, დიდებულნი, წინამძღვარნი. და ერნი სცთნენ. ერნი მაკურბებულნი არიან მეფისა და წინამძღვრისა.

54. მათი ნოვინი რძალი იყო

ერთი რძალი იყო მშვიდი და მდაბალი. დედამთილმა და მამამთილმა თქვეს: ჩვენს რძალი ვყადოთო. ერთმა უთხრა: რძალი, კარი მიუგდო! მეორემ უთხრა: კარი გააღეო! რძალმა კიდევ გაალო, კიდევ მიუგდო მრავალჯერ, არ გაჯავრდა.

თარგმანი: მოციქულთ, წინასწარმეტყველთ და მამამთავართ მოთმინებით და მდაბლობით უქადაგეს ქვეყანას.

55. მათი მღაზა მიდიოდა, გზაზედ ავათ გახდა

ერთი გლახა მიდიოდა, გზაზედ ავათ გახდა და დაეგდო. ღმერთს ეხვეწებოდა: ერთი იდამიანი გაჩნდეს, რომ ამიქიდოს და შენობაში მიმიყვანოსო. ერთი კაცი მივიდა, ერთი კვიციანი ვირი პყვანდა, უთხრა: იმ ავანტუოვს: ადექ, ეს კვიცი აიკიდე, დალალულიაო და ჩენს სახლამდინ წაიყვანეო! სცემდა¹ და ეუბნებოდა: მალე ადექ, აიკიდეო! ავანტუოვი ტირიდა, ფეხზედ დგომა არ შეეძლო. კაცი არ ეშვებოდა, სცემდა. ის გლახა ტირიდა: ვაი ჩემს თავს! მე გებეწვევადი, ღმერთო, იყოს ვინმე, ამიქიდოს, შენობამდინ მიმიყვანოსო, და ჩემის შემსუფუქების მავიერად საპაღნე დამიმძიძადო, უმეტეს მწუხარება მომემატაო!

თ ა რ გ მ ა ნ ი: მრავალნი არიან სათნო ღვთისა, ღმერთს ევედრებიან. იმით მიადგებათ ზრუნვა, რომელნიც მოითმენენ, მიიღებენ გვირგვინსა, როგორცა სწერენ სამლოთონი: მრავალ არიან ქირინი მართალთანიო!

86. ქაცი წავიდა თავის მძახალთან

კაცი ერთი წავიდა თავის- მძახალთან ქალის სათხოვნელად. როგორც ჩვეულება არის კაცისა, რომ მივიდა, ის თავისი სარძლო მოვიდა, გვერდს დაუჯდა, მოახსენა: მშვიდობით მოხველ, მამაო, თუ მობძანდები, ჯერ წავიდეთ საბერძნეთს, იქიდან წავიდეთ იერუსალიმს, მერე წავიდეთ დაეყუდნეთო. უთხრა იმ კაცმა: ვაიმე, შვილო, მე მინდოდა ჩემსა წამეყვანეო, და შენ მალეზინებ ხელს ჩემის სახლიდამაო!

თ ა რ გ მ ა ნ ი: ქრისტე მოვიდა ძიებად კაცისა, მაგრამ ცნება აკ დაიპარხეს ქრისტისი. ბერი მიდის საქადაგებლად, მაგრამ არაუინ მიდის გამგონი.

87. მელამ ნახა აქლემი კვდიამოდა

მელამ ნახა, აქლემი გდია [და] კვდება. აქლემს გვერდ[თ] დაუჯდა. უთხრა აქლემმა: რათ დამ[ი]ჯექ[ე] გვერ[დ]თ, მელაო? მელამ უთხრა: როცა მოჰკვდები, შენს ხორცსა ვჭამო. უთხრა აქლემმა: მანამ ვერ მოითმენ, საბელი ჩემი გრძელი არის, გვიან მოგკვდებიო. უთხრა მელამ: დიად მომთმინე ვარო, თუნდა ორმოც დღეს კიდევ გასძლო, აქ მოვიტლიო.

თ ა რ გ მ ა ნ ი: ბერს და ეპისკოპოსთ მართებსთ მშვიდობით და ღმობიერათ დამწყსონ ერი თვისი და ტკბილად მიიხმონ ცოდვილნი. მოთმინებისაგან უდიდესი კაცს არაფერი ეპირება-რა. მოციქულთ, წინასწარმეტყველთ და მოწამეთ მშვიდობით დამწყსეს ერნი და გაანათლეს სახლი ღვთისა.

88. მღვდელმა დედაკაცს ფური მოჰპარა და წაიყვანა

ერთმა მღვდელმა ერთს ქერივს დედაკაც[ს] ფური მოჰპარა და წაიყვანა, თავის ახურში დააბა. დედაკაცმა შეუტყო, უთხრა მღვდელსა: შენს ახურში აღსარება მათქმევინეო. მღვდელმა ის ფური გააპარა, საყდარში შეაგდო. დედაკაცმა ნახა და უთხრა: სიკვდილის ჟამი მაქვს, საყდარში მათქმევინე აღსარებაო. მღვდელმა ის ფური საკურთხეველში შეაგდო. დედაკაცმა ფარდა მოსწია, ნახა თავისი ფური და [უთხრა:] შენ უკეთურო, ვინ გაგხადა შენ მწირველად, რომ მანდა ხარ, მითხარო!

თ ა რ გ მ ა ნ ი: მოთმინებით და მეცნიერებით მართებსთ წინამძღვართ გამოძიება, კეშმარიტებით შეტყობა მღვდლისა, და შეიტყონ იმათ ქცევა, რომ არ იყვნენ ღირსი წირვისა, ფარულად უნდა აზხილონ, არ უნდა გაუშონ, რომ სწირონ, უღირსის წირვით არაუინ აზიარონ.

89. მართმა კაცმა ქაცი მოკლა

ერთმა კაცმა კაცი მოკლა. კაცის მკვლელი გაიქცა, ერთს წყალს გავიდა. წყალს ერქო ნიღოს. წყლის პირს ნახა ერთი ლომი, იმისგან გაიქცა და ერთს დედს ხეზედ ავიდა. იმ ხეზედაც იყო ვეშაპი, იმის შიშით ძირს ჩამოვიარდა. იმ ვეშაპის ის კაცი ჩაყლაპა.

თ ა რ გ მ ა ნ ი: ცოდვილი ვერსად გაეშეკვა ღმერთსა. თუ არ მოიქცა, ცოდვაუდ ხელი არ აიღო და არ შეინანა, საპაოს და საიჭიოს დაისჯება, როგორც იმბ თავის მოთმინების ნაცვალ მიიღო ღვთისაგან ბეგრეულად. კაცის მკვლელთ და კაცის შემაწყხებელთ ვერ ნახონ დიდება სასუფეველსა.

90. დამთულებმა ხარბი ხასატილოთ აიგდის

დეკულები სასაცილოთ იგდებდნენ ხარბებს და ეუბნებოდნენ: თქვენ მღვდამ მოუსვენლობაში ხართო, არ ისვენებთ მუშაკობისაგანაო. ხელმწიფემ მეჯლისი მიონ-

დღმა. მოასტეს ღვეულები და დახოცეს სადილისათვის. ხარებმა უთხრეს: შეიღებო, თქვენ ხომ მოსვენებით იყავით და ეგრე სწრაფათ დაიხოცებითო!

თარგმანი: უთხრან ყოველთ წმინდანთ მარცხნივ მხარეს ცოდვილთ: აჰა შეიღებო, ეგ იყო თქვენთვის გამზადებული, რომ ცეცხლში იწვიო, წუთისსოფელში განსვენებაში ანუყოფთ თქვენი გვაში, ცოდვით გაბრწყინებული სჯილით მართალთ და ახლა თქვენ ირუებთო.

61. ლოკი კბილვამ ილესდა

ლოკი ილესდა კბილვამა ძალიან. უთხრა მელამ: რათ ილეს აგრე ძალზედ კბილვამა, საომარი ხომ არავისთანა გაქვსო? უთხრა: შე უკეთურო, მე მზათა ვარ საომრათაო, მოდი, მეომეო! მელას რა შეეძლო იმისი ომი.

თარგმანი: თუ ამ სოფელში კაცმა ცოდვა არ შეინანა სინანულით, დღესა განკითხვისასა აღარ არის შეეღა და არც არავინ შეიბრალვებს, როგორც ბძანებს წმიდა სახარება დიდებულთათვის, როგორც სულელ ქალწულთა.

62. ოკბი რიოცა დაბერდება, ამაღლდება ჰაერსა, მზის სიხესთან შივა, ძალიან გაცხელდება, ზეიღამ ჩამოვა დუმილით, ჩამოვა ცივ წყალზედ, იმ წყალში გაიბანება, გამოვა, გაიბერტყება, ბურტყლი გასციელება და გაახლდება, გაქაბულება ყოვლისფრით.

თარგმანი: ვინც დაბერდეს და დაძველდეს, უნდა უსამართლობისაგან და ცოდვისაგან ტელი აიღოს, და ქრისტეს სიყვარულით ცეცხლისაგან აღენთოს, და თავისას ცრემლით მოინათლოს, მოღვაწეობით და მოწყალებით განწმენდეს და ცოდვის ბურტყლი გაიყრდინოს, და დაიხსნას ჯოჯობეთისაგან, ეწიოს ღვთის წყალობასა, როგორც იტყვის წინასწარტყველი ღვთის: „ადასრულე კეთილი გულისტქმა შენი, განახლდი, როგორც ოკბი!“

63. ოკბი მალა ჰაერში დადიოდა. იმას ისარი მოხვდა. გაუკვირდა: მე ისარი სადილამ რომხვდაო? დახედა ისარში—თავისი ფრთა იყო. [თქვა]: ვაი, ჩემს თავს, ჩემგანვე იქნა სიკვდილი ჩემო!

თარგმანი: კაცის ნივთი თავისგანვე არის, რომ ჰკლავს ეშმაკი, ის აგვალეუებს, ჩვენ ჩვენს ნებით მივალთ ეშმაკის ნებასა.

64. მათხ კაცს აცოვებდა

ერთს კაცს აცივებდა დიდი ხანი. ამას უთხრეს: წადი შენ ქალაქის კარზედ, ვინც პარველად შემოგეყაროს, უთხარ იმას: ჩემი შენ და შენი შივა. შემოგეყარა ერთი ათეშავიანი კაცი. ამას შეეშინდა და უთხრა: ჩემი მე და შენი შენაო!

თარგმანი: ეშმაკი ცდილობს, რომ გავგაუსასროს და ღმერთს დაგვაშოროს, როგორც თითონ იქმნა. როცა ეშმაკი გერკინებოდეს, მაშინ უნდა უთხრა: შენი შენ და ჩენი შივა, მე ერთი ცოდვილი [კაცი] ვარ, მაგრამ მე ჩემს ღმერთს ვერა ვგმობო, მაინადას მიხმობს სიყვარულით, ცოდვას გაეგდებ და მივალ ღმერთთან სასოებითაო!

65. მავლი და მელა დაქობილდნენ

მგელი და მელა დაქობილდნენ. წავიდნენ თევზის სახადიროთ. უთხრა მელამ: ამ წყალში თევზი ბევრი არის, სამთხვეელი ესროლეო. იყო ზამთარი, მგელმა სამთხვეელი ესროლა. სამთხვეელი შიგ გაიყინა. მელამ უთხრა: ღვთის მადლით, სამთხვეელი იმისთვის დამძიმდა, თევზი ბევრი ჩავიდა, გამოსწივეო. რომ გამოსწივა, ყინული იყო და გაწყდა სამთხველის თოკი, და სამთხვეელი წყალში წაიღო. ტიროდა მგელი მწარეთ: ვერც თევზი დავიპირეო და სამთხვეელიც წამივიდაო!

თარგმანი: ამასავით შეჰკრავს ეშმაკი ცოდვით, მან დაიხოცნენ, აქაც დაიკარგებიან და საიქიოსაცა.

66. მელამ მართი ძალადმი იპოვნა

მელამ ერთი ქალადმი იპოვნა დაწერილი. წაიღო მგელთან და უთხრა: ამდღინ ხანი ვივირნახებულე და ბატონს კაცები შეუყენე. ბატონისაგან ეს ოქმი ავიღე, რომ საცა სოფელში მიხვიდეთ, თითო ცხვარი უნდა მოგცენო და ყოველმა სახლმა თითო ქათამი მოგცენო. ვერც კაცმა და ვერც ძაღლმა შენ ვერ შეგაწუხებო! ზგელი ისე მოატყუა, და გაჰყვა მგელი მელას. როცა წაიღენ, მელა ერთს სერზედ ავიდა და მგელი გაგზავნა სოფელში: შენი ულუფა აიღეთ, მე ამ ოქმს შევინახებო, ვინც არ მოგცემს, მე უჭენებ ოქმსაო, რომ მოგცენო. მგელი წაიდა სოფლის ნაპირს. მაშინვე კაცებმა და ძაღლებმა ეს მკელი შუა ჩაიგდეს, უნდა მოეკლათ. მგელმა დაიფურია: მოიტანე ეგ ბატონის ოქმიო, რომ ნახონ ამ კაცთაო, რომ დაიჯერონო ბატონის ბძანებით მოსულვარო! მელამ დაუძახა: ჭი, მგელო, მგ სოფელში წაშქითხავი არაფერ არისო, გამგონი არაფერ არის, რომ ოქმი მოვიტანო! ისე მოატყუა და შემუსრეს მგელი.

67. მელამ მგელი მოატყუა, მართი ძალადმი მისცა

მელამ მოატყუა მგელი. ერთი ქალადმი მისცა: წაიღე ეს წიგნი სოფელში, მამასახლისს უჩვენეო და საკმელს მოგცემსო. როცა მგელმა ის წიგნი წაიღო სოფელში, სოფლის კაცნი და ძაღლები დაეხვიენენ, დაგლიჯეს. რის ყოფით ცოცხალ-მკვდარმა გამოასწრო. უთხრა მელამ: რატომ წიგნი არ უჩვენეო? მგელმა უთხრა: ათასი ძაღლი იყოო, მაგრამ არც ერთმა წიგნი არ იცოდაო.

თარგმანი: მრავალს უმეტარში ნუ შეხვალ და მტრის სიტყვას ნუ დაიჯერებო, უმეტარს კაცს ნუ გაჰყვებიო, მეცნიერობით გაეჭეცო ეშმაკსა და იმით მიწყობსაო.

68. მელამ ნახა, მონადირის მახვილ შველი ახვო

ნახა მელამ, მონადირეს მახვილ ყველი აუგია. მოვიდა, მგელს უთხრა: ერთს ალაგს ყველი მიპოვნია, ჩემი მარხო არის, ის ყველი ჯამეო. მგელმა დაუჯერა. მიიყვანა მახვილ, ის ყველი უჩვენა. მგელმა იმ ყველს პირი დააყოლო. ყველი აქეთ გადმოჰარდა, თითონ კისერი მახვილი ჩაუვარდა. ის ყველი მელამ შექამა. მგელმა უთხრა: დღეს ხომ პარასკევია, რათ¹ შექამე? ღმერთი გაგიწყრებაო! მელამ უთხრა: მახე კისერზედ გარდავეცო, ღმერთი შენ გაგიწყრაო! მგელმა წუწუნი დაიწყო და აქეთ-იქით იწყოდა. მელამ უთხრა: მე რომ მახეში ჩაუვარდი, მეც აქეთ-იქით ბეერი ვიწვიო! მგელმა უთხრა: ვაი შენ, მეტად შეეწუხდიო! მელამ უთხრა: ჭი, ძაო, ჯერ არაფერი ვიკირსო, ვაი მაშინ დაგემართება, როცა ყველის პატრონი მოვაო.

თარგმანი: უფთხილდი, რომ არ მოსტყუებდე ეშმაკისაგან. შეგკრავს შენ ცოდვაში ეშმაკი, ცოდვას გაიხადვილებს. მაშინ დაიყრი ვაისა, როდეს მოვიდეს ქრისტე მეორედ მოსვლასა.

69. ხელმწიფის მონობარი მგელი მხანდა

ერთს ხელმწიფეს ერთი მეგობარი გველი ჰყვანდა. ყოველს დღეს ხელმწიფისათვის ერთს ოქროს მოჰქონდა. ამ ხელმწიფეს ვაჟი ეყოლა. გველმა მეტად გაიხარა. მოვიდა ვეელი, ამ ყმარწვილს შეეჩვივა. ყმარწვილი გაველი მუღად ერთად თამაშობდნენ. ეს ყმარწვილი რომ გაიხარდა, აიღო ხმალი, დაჰკრა გველსა და კულა მოსწყვიტა. ვეელიც გაჯვარდა. უცა ყმარწვილსა და მოკლა. გაიქცა გველი, დაიმალა. ხელმწიფემ გველის სიყვარული ვერ დასთმო, კაცი მიუგზავნა: მოდი ისევ ჩემთანაო. გველმა შემოუთვალა: არ იქნებალა ჩემგან უნთან მოსვლაო: რამდონსაც შენ შენის შეიღის საფლავსა ნახავო, იმდენი ჩემზედ გულძვირათ შეიქნებიო, და რამდონსაც მე ჩემს კულზედ დაიხებდე, შენზედ გულძვირათ შეიქნებიო, ერთმანერთზედ შორს ვიყვენითო!

¹ A-1786: რაო.

თარგმანი: კაცხედ რომ შური ჩაგედვას და გულძვირათ შეიქნა, მოშორდი, მანამ შენი გული დამშვიდდეს. აგრევე თუ სხვის გული შენზედ შურად შეიქნას, კიდევ მოშორდი, მანამ შენზედ გული მიუბრუნდეს. თუ კაცს დაუშაო რამ, გაეცალე, მანამ იმ კაცმა შენზედ გული მოიბრუნოს, რომ ახლოს ყოფნით უფრო დიდი შფოთი არ მოგხდესთ.

70. მათს სულელს აბაზი ჰქონდა, პირი უნდა მჟიდნა

ერთს კაცს ერთი აბაზი ჰქონდა. კაცი ესე უგონო და უმეცარი იყო. თქვა: წავალ აბაზით ერთს ვირს ვიყიდო. აილო აბაზი, ქალაქს მოვიდა. აქა-იქ იკითხა: აბაზი მაქვს, ვირი მინდა ვიყიდო. აბაზათ ვირს ვინ მისცემდა? მოვიდა ბაზარში, ნახა, ერთს ღიღს საზამთროსა ჰყიდიან. ამ კაცმა რომ ნახა, არ ენახა და გაიკვირა. ჰკითხა: რა არის ესაო? ნახეს, რომ ეს კაცი უმეცარი იყო, უთხრეს: ეს ინდოური ვირის კვერცხი არისო, რომ ინდოურს ძვირფასის ვირს მოიგებსო. ამ კაცმა გაიხარა, მისცა აბაზი და ის საზამთრო იყიდა. გამსყიდველმა უთარა: ფრთხილად და კარგად წაიღე, რომ ხელიდამ არ ვაგვარდესო. გამსყიდველი დაიშალა: არ შემიტყოს და არ მომიბრუნოსო. ამ კაცს სიხარულით ნიაქეს. ერთს ალაგს ჰქვას ფეხი წამოჰკრა, წაიქცა, დაღმართი იყო, დაუგორდა საზამთრო. ბუჯკემ კურდღელი იწეა, წამოხტა. ამ კაცს ეგონა, ჩემმა კვერცხმა მუტრუკი მოიგოო. უსვირის კურდღელს: ქერი, ქერი, სად მირბი, ინდოური ვირის კვიცო? ვაი ჩემს თავს, მოდი ჩემთანო! გაიქცა, წავიდა კურდღელი.

თარგმანი: ამის მსგავს[ს] გაუმეცრდნენ მღვდელნი და ერნი¹ ამ მაცთურის სოფლის სიყვარულით. როგორც ქარმან წამოჰქროლოს და კაცმან სიზმარი ნახოს, იმასა ჰგავს სოფელი. ვცდილობთ დევიპიროთ ცოდვა ჭეყნისა და შევიქმნათ საწყალობელი.

71. გველი მათს კაცს გაუმეგობრდა

გველი ერთს კაცს გაუმეგობრდა. მიდიოდნენ გზასა. ერთი მდინარე წყალი ნახეს გასასვლელი. კაცმა ის გველი უბეში ჩაისო და წყალს გაიყვანა, და ის გველი უბიდამ აღარ გამოვიდა, უნდოდა ის კაცი თავის გესლით მოეკლა. კაცმა უთხრა: რა ჩემის სიკეთის მაგიერია, წავიდეთ სამართალშიო. მოვიდნენ სამართალში. წინ მელა შემოეყარათ. კაცმა უთხრა: უბეში გველი მიზის, მკლავს, სამართალ მოგვეცო. მელამ მიზეზი შეიტყო. გველს უთხრა: შენც მაგის უბიდან გამოდი, ორთავ ერთად დაიჩოქეთ, თქვენს საჩივარი გავიგონო და სამართალი მოგვეცო! გამოვიდა გველი. უთხრა ამ კაცსა: რაღას უყურებ, ხელში რომ რკინა გიჭირავს, დაჰკარ, მოკალო! დაჰკრა და ის გველი მოკლა.

თარგმანი: გაფთხილდი მზაკვარის კაცისაგან, ნურას გზით ნუ გაეწყობი. კიდევ ამის გეტყვი: დადი, ძნელი და ღვთის წინამდევნი ეს არის, რომ ცილისმწამებელი კაცი მოსამართლემ გაამართლოს.

72. მათს ღმრთაქაცხ მათი ფური ჰჰჰანდა

ერთს ღმრთაქაცხ ერთი ფური ჰყვანდა და ამ ღმრთაქაცხს გერსაც ერთი ვირი ჰყვანდა. ფურის საქმელს იპარედა ვერი და თავის ვირს უყრიდა. ღმრთაქაცი ღმერთს ეხვეწებოდა: ეს [იმის] ვირი მოკვდესო. ვირი კი არ მოკვდა—[თავისი] ფური მოკვდა. ტიროდა ღმრთაქაცი და აჰბობდა: ფაი მე, თუ ჩემი ლოცვა შეიცვალა და ღმერთმან ვერ გაარჩია ვირი და ჩემი ფური მოკვდა.

თარგმანი: შენის ამხანაგის და მეზობლის ძვირს² ნუ იძრახავ, თორემ ბოროტო შენ მოგველინება. შენ ილოცე: ღმერთო, ჩემს შურის მაძიებელს შენ მიაგე კეთილი-თქო და ღმერთი სწორი მოსამართლე არის, საქმისაებრ თავისთა ყოველს მიანიჭებს.

¹ A-1786: +გაუმეცრდნენ. ² ხირს.

73. ლომმა ნახა, მოდიოდნენ უოველნი ცხოველნი დიად შეშინებულნი, ჰკითხა: აგრე ვისგან შეგშინებიათო? იმათ უთხრეს: ეყაცისაგან, რომ იმან განგვედუნა. მოვიდა ერთი კაცი. ჰკითხა ლომმა ამ კაცსა: შენა ხარ ის კაცი, რომ ამდონი კაცნი და მხეცნი შეგიშინებია და შენგან ივლტვიანო? კაცმა უთხრა: მე ვარო უთხრა ლომმა: თუ ის კაცი შენა ხარ, მოდი, მე და შენ ვიომოთო, შენ გელოდვიო. უთხრა კაცმა: საომარი იარაღი აქ არა მაქვს, თუ მომიტდი და არ გამეჭკევი, ლომი მკეცხარი გამიგონიაო, იარაღს შემოვირტყამ და მოვალო. მოუწონა ლომმა. კაცმა თქვა: არ გამეჭკევი! ლომი ხეზედ მიაკრა, მუხის ჯოხები დასკრა და დაუწყო ცემა. თქვა ლომმა: ჩემისთანას უმეცარს ეს დღე შეშენისო!

თარგმანი: შემძლებელთ და ძალიან კაცთ აცთუნონ მდაბალი და საწყალი კაცნი, გატანჯონ და აწუხონ. მგზავს მისა დღესა განკითხვისასა დასთ მოუქცეველთ, ცოდველთა და კაცთ მაქირებელთ მიაგოს ღმერთმან და წარგზავნოს ცეცხლსა მას დაუშრეტელსა, და თქვან: ეს შეგვეშენის ჩვენ, რომ არ ვისმინეთ მცნება ლეთისა, და არა ექნინთ ნება მისია.

74. ლომი ავად გახდა

ლომი გახდა ავათ. მინდვრის ნადირნი მოდიოდნენ სანახაუთო. მელამ დაიფიანა. დათემა დააბეზლა მელა. როდეს მელა მოვიდა, თავის მეგობართ უთხრეს: დათემა შენ დაგაბეზლაო. ლომმა რომ ნახა მელა, გაუწყრა და უთხრა: შე საძაგელო, რათ დაიფიანეო? მელამ მოახსენა: კეთილო ხელმწიფეე, ნუ მიწყრები, ვფიცავ თავსა შენსა, დიდათ გავისარჯე და მრავალი ალაგი მოვიარე, თქვენთვის აქიმს ვეჭებდიო! დაუმაძღლო ლომმა და უბძამა: მშვიდობით მოხველ მელაო, რა უყავ ჩემი წამალიო? მოახსენა: მრავალს პირველს აქიმებთან მივედი და მითხრეს: დათეს ტყავი გახადეთ და თბილ-თბილი იმის ტყავში ჩააწვინეთ, იმაში ოფლი ადინეთ და შორჩებო! ბძანა ლომმა: დათეს ტყავი გახადეთო! დაიქირეს, დათეს ტყავსა ხდიდნენ. ის ყვიროდა. მელამ უთხრა: ეგრე ტყავს გახდიან, ეინც ხელმწიფესთან კაცს დააბეზლებსო! შეიმუსერა დათვი.

თარგმანი: არა ჯერარს, რომ კაცმა ან მეფის, ან დიდებულის კარზედ დააბეზლოს ვინმე, რომ მრავალნი დაემტერებიანო. ყოველმა კაცმა თავისი საქმე უნდა ნახოს, ასეთი ბოროტი არა ქნას-რა, რომ თითონვე მოეგოს თავისი ბოროტი, როგორც იმ დათესა.

75. აძლემი, მგელი და მელა დამომბილდნენ

ერთი აქლემი, ერთი მგელი და ერთი მელა დამომბილდნენ და გზას მიდიოდნენ. ერთს გზაზედ - ერთი: პურის კვერი იპოვნეს და უთხრეს ერთმანერთსა: რა უყოთ ამ კვერსა, ყველას ხომ არ გვეყოფაო? მელამა თქვა: ვინც ხნით უფროსნი ვიყუნეთ ეს კვერი იმან შეკამოსო. მგელსა ჰკითხეს: გვითხარ შენი რიტხვი, რა ერთის ხნისა ხარო? ამან უთხრა: ნოემ რომ კიდობანი გააკეთა, მე იმ კიდობანში ვიყავიო. მელამა თქვა: კურთხეულ არს ღმერთიო! მე ის მელა ვარო, ღმერთმან [რომ] ადამ დაძაბდა, იმას ადამ დაარქო, მეც მაშინ იქ მელა დამარქო. პირი მიიტანა აქლემმა, ის კვერი აიღო და ჰაერში შეამალა, დაუწყო ჰამა: თქვენ რომ მაგას ამბობთ, ჯერ ცა არ იყო, რომ მე ბივი ვიყავო! მგელმა აიწია, უნდოდა აქლემისათვის კვერი წაერთმევიდა. აქლემმა მგელს მუხლი დააკიბა, დააწყებინა წუწუნი, და მელა გარს ურბენდა, ეგების ნამცეცი გაეარდესო.¹

თარგმანი: არ შეშენის გლაბაკს დიდ კაცთან გაიქიმოს. თუ წავეიდოს, თავს ვერ გაიტანს, როგორც უთქმის: კიანყელა გველთან როგორ გაიქიმებო, შუა ნაწყულებო. თუ

¹ A-1786 დათეს ტყავსა. ² *მარტე რეგისი, ჭბჭბაე შარქია, ვიქტ ახუნტ ჩხვიფიო.* [მალაღია ბაგოსი, იტინება მარკოსი, გარს უვლის თეოდოროსი].

ცხენს ჰკონებოდა საპალნეს ამკილებენო, ყმარწვილ კაცს ხელში არ ჩაუვარდებოდა. ბოლოს იქნება ჰკეშმარტი სამართალი.

76. ზამიუნს ჩვილუბა აძნა, რასაც კაცისაგან ნახავს, თითონაცა იქს

მაიმუნს ჩვეულება აქვს, რასაც კაცისაგან ნახავს, თითონაცა იქს. ერთმა თევზის მონადირემ წყალზედ თევზს ბადე ესროლა. მაიმუნმა ნახა, წავიდა, თითონაც თევზი უნდა დაეჭირა, და თითონ დაიჭირეს. თქვა ტირილით: სამართლად დამიჭირესო, რომ არ ვიყავი ამის ჩვეული, რათ შოვინდომეო!

თარგმანი: ნუ დახარბდები იმ საქმეს, რომელიც არ იცი, რომ არც სულიერად გარგებს, არც ხორციელად.

77. [გ]ვრიტი დიდის შოჟით შოიშყვა

გვრიტი დიდის ყოფით შოიქცევა კვერცხის დასადებათ, რომ გამარავლდნენ. თუ ამ გვრიტს ცალი მოუყვება, თავის დღეში მწეან ხეზედ აღარ დაჯდება.

თარგმანი: ჭი, კაცო, შეიყვარეთ სიწმინდე, შეილის შემატებას ეცადენით ღვთისაგან მოკემულს თქვენს ცოლთან.

78. [შ]ვაჰა ნაშისი ბარტუში შოშქარ[ი]ბა

ყვავმა თავისი ბარტუები შემოკრიბა და უთხრა: შეილებო, ნუ ურცხოთ, ფთხილად იყავით კაცისაგან, როცა დაიდრიკონ რისამე ასალებლად. შეილთ უთხრეს: კაცს რომ აღრეე ქვა აედოს? მაშ როდესაც ჩვენს სიახლოეს მომავალს კაცსა ვნახათ, ჩვენ გაუფრინდებითო. დედამ უთხრა: თუ მავასა იქთ, ვიცით, რომ იცოცხლებთო.

თარგმანი: რივი არის გაუფრინება [უნდა] ძველის მოღვარძლის მთესველის ეშმაკისაგან, საცთურისაგან და ზვავეარისაგან.

79. ზვინისა, შოკანს და ოფოფს მამიბი დაუშავრათ

გვრიტისა, ყორნისა და ოფოფის მამა დაბერდნენ. იმათთვის შეილები წაშლებს აყეთებდნენ: ან მორჩნენ, ან დაიხოცნენო.

თარგმანი: მართებთ შეილთ მორჩილება და მსახურება მშობელთა, როგორც ღმერთმან ბძანა: მათივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა. რომელთაც შეურაცხყოფენ, ღმერთს შეურაცხყოფენ, რაც მშობელთ პატივსა სცემენ, ღვთის პატივისცემა არის.

80. მელას მოშვიდა

მელას მოშვიდა. ნახა, ერთს ორმოში ერთი ბუთის ქვა ეგდო. ასე ეგონა, ყველი არისო. ჩაეარდა ორმოში, დაუწყო ქვა, თქვა: ვაი ჩემს თავსა, არც სული აქვს და არც გემო!

თარგმანი: ჭი, კაცო, ნუ ჩაეარდები ცოდვის ორმოში! უსარგებლო რამ არის ცოდვა, მერე მრავალს დაინანებთ.

81. მელა წყალში ჩავარდა

მელა წყალში ჩაეარდა, იჩიზობდა და ღმერთს აღუთქვა: ერთს ჩაფს საკმელს მოგართმევ, აქიდამ დაზისხენო. განვივიდა იმ წყალსა და საკმელი რომ ღმერთს აღუთქვა, დაავიწყდა, და ზღვის ნაპირს თამაშობდა და თქვა: ღმერთო, შენ საკმელი რათ გუქირება, აქ რომ დევაქმო, კომლი ხომ ჰაერში ავა და ტყვილად საკმელი დამეხარჯებთო! ზღვა აღელდა, მელა ისევ წყალმა წაიღო, და დაიწყო ტირილი, და თქვა: ღმერთო, ვერ შევიტყე და ახლა გამოვიცადე, ახლა, რომელიც აღგიტყვი საკმელი, მოგართმევო.

თარგმანი: არ არის რიგი, კაცმა რაც ღმერთს აღუთქვას და არ უთაოს, აღარც ღმერთთან მიაგოს კეთილი. ძნელია აღთქმა და აღარ აღსრულება.

82. მართვა ზილამ ზინული იპოვნა

ერთმა შვიერმა მელამ ყინული იპოვნა, დაუწყო ჰაჰა. თქვა: თავეც გამიყინა, კბილებიც დამაყრევიანა და მუცელში კი არა ჩამივიდა-რა.

თარგმანი: დიდობა და პატივი ქვეყნისა ამოა არის და სიზმარი და მატყუარი.

83. ზილამ ბაინის ჩასატყობი ჯაბი იპოვნა

მელამ ერთი რკინის ჩასატყობი ჯაბი იპოვნა. ზამთარი იყო, გაიხარა, ააღო და ჩაიკო. ის ჯაბი ზედ შეჰყინა. რომ შესცივდა, გაიხარა და შიგ წყალი ჩაასხა. წყალიც სულ გაედინა. გაჯაურდა და ზღვაში ჩააგდო: წადი, დაიკარგეო, არასფერში გაპოსა-ყენებელი იყავო, არც ზაფხულის გამოსაყენებელი იყავი, არც ზამთრისა, და არც წყლის ჩასასხმელი იყავო. მგზავის იყავ მუცლისა ნაყროვნისა და მემთერალისა, რომ გაუძლომელი არიანო!

თარგმანი: ასეთ წუთის სოფელი. არც აქ გამოადგება კაცსა და არც საიქოსა. აქ სიბრძნე მობრძნებებს კაცსა და საიქიოს ყველა კეთილება და გარდახლება.

84. მართი ძვირძინი ვირი იპო

ერთი ვირი იყო კვიციანი. წაეიდნენ დედა-შვილი ერთს უაღმარესო კალამი, იქ დასადგურდნენ. ერთი სხვა ხედი ვირი მოუღდა, ამ ჰაკს ვირს სასიციხოს დასუნა. იმან წიხლი ჰკრა და უქბინა. ის ხედი ვირი გაიქცა. ეს დედა-შვილი დარჩნენ. კვიცმა უთხრა: ვაიმე, დედაც, იქ მარტო შეწუხებაში ვიქნებიოთო ნადირისაგანაო! რათ დაჰკარ და შემოიწყარომე ის ხედი ვირიო? დედამ უთხრა: ჭი, შვილო, ნუ გეზინიან, იქ ვირმა რომ მისუნა, იმისი სული არსად გაუშვებსო, თუნდა ინდოეთსაც წაეიდეს, იმან ის სული რომ ცხვირში² მიიღო, ის სული აქვე მოიყვანსო და ჩვენთანვე მოვაო.

თარგმანი: კაცი რომ ცოდვას დაეჩვევაო, ქურდობას, ბოზობას, კაცის კვლასა თუ სხვა ცოდვებს ვეღარ მოშორდებაო, ურვა და ცოდვის სული შეჰკრავს და გასწევს, როგორც ძალი საბელსა. გველია ცოდვა, ნახერცს მალე შევა და უკან ვეღარ გამობრუნდება ღრმა ორმოსაგან.

85. ვირი ზვალში ჩაბარდა

ვირი წყალში ჩაეარდა. რომ ირჩობოდა, წყალში მოჩინორკია. წყლის პირს მოექცა, ვირს წინ გაუსწრო. თქვა ვირმა: შე ბორბო, მუცლიდამ ახლა გამოხველ და ცურვა როგორ ისწავლეო, რომ ჩემზედ წინ მირბიო?

თარგმანი: უმეცრობით როდეს ყმარწვილთ ასწავლონ მოხუცებულთ და სულელთ მეცნიერთა.

86. ვირს პატივი დასდევს

ვირს პატივი დასდევს. ბელმწიფის შვილის ქორწილში დაჰპატივეს. ვირმა თქვა: არც შექანარე ვარო და არც მოთამაშეო, ვიციო, ან შეშას უნდა მაზიდვანონ, ან წვალიო, ჩემი საპალნე ის ირისო.

თარგმანი: როცა დაგიძახონ, საქმეზედ რომ დაგპატიონ უშეერად და უმგზავსად, რომ შენგან შეუძლებელი არის, შეიტყე, რომ საცინლად აუგდისარ.

87. ვირს უთხარს, მამხარიადული ზვილხისვილი გაყოლაო

ვირს უთხარს: გამხიარულდი, ითამაშეო და მოგვეც სამახარობლო, შვილის შვილი გვეყოლაო! ვირმა უთხრა: ვაი არის ჩემთვის, მეგობარო, თუნდა ასი შვილის შვილიცა მყუანდესო, ჩემს მძიმე საპალნეს არავინ შემომსუბუქებსო!

¹ A-1786: შვილი. ² †რამ.

თარგმანი: ყოველმა კაცმა თავისი ვალი უნდა გარდინადოსო, თავის ცოდვის საპაუნე თითონ უნდა აიკიდოსო. მეორე ეს: შეილი ნუ გიხარიან, შენს ცოდვას ისინი ჰერ ახოცენ, შენვე ეცადე, რაოდენიც შეგიძლია, შეინანე ტირილით.

88. მართვა მგზავრამ წყაროზედ მოიხმონა

ერთმა მგზავრმა ერთს წყაროზედ მოიხენა, იქ ასი დრაჰკანი დარჩა, წავიდა. მოვიდა ერთი სხვა კაცი, იმ წყაროზედ წყალი დალია, ის ასი დრაჰკანი აიღო და წავიდა. იმ პირველს ის თავის ასი დრაჰკანი მოაგონდა და იმისთვის დაბრუნდა, იქვე წყაროზედ მოვიდა, ნახა, ერთი სხვა კაცი მოსულა და წყალსა სომს. ამ კაცს უთხრა: აქ თეირი დამრჩა, შენ აგილია, მამეუკო! ეს დიდის ფიცით ეფიცებოდა: არც ამილია და არც შინახამსო. წაიყვანა შეფესთან სამართალში, ეს კაცი მრავალ რიგათ ვატანჯეს. რომ არც ენახა და არც აიღო, რა უნდა მიეცა? არც შეძლება ჰქონოდა, რომ თავისი მიეცა, სატაჯველში მოკლეს.

89. მართვა მგზავრამ მართს ძალაძუი მოიხმონა

კიდევ ერთმა ვაჟარმა ერთს ქალაქში მოიხენა. იქ ახლო წყალზედ ერთი სახლი იყო. ეს ვაჟარი და იმ ქალაქის ვაჟრებიც მივიდნენ და ივაჟრეს, და ერთი ქურდი ახლოდამ უყურებდა. ქალაქის ვაჟრები რომ გამოვიდნენ და ეს უცხო ვაჟარი მარტოვან დარჩა, შევიდა ის ქურდი, იმ ვაჟარს თავი მოსჭრა და იმის საქონელი წაიღო, არაფერ შეიტყო და, რამდონმ[ა]მე დღემ გაიარა. ერთს ყასაბს სასყიდლადად საქონელი მოუწოდა, მივიდა იმ ვაჟართან, ნახა, აღარც საქონელი იყო და ის ვაჟარიც თავმოჭრილი ეგდო. დაიყვირა და გამოვარდა: მოდი, ნახეთ, ეს კაცი ვის მოუკლავსო! შეცვიდნენ კაცნი, ნახეს. ეს ყასაბი დაიპირეს: შენ მოგკლავსო. ნახეს, დანა სისხლიანი ჰქონდა, ტანი-სამოსი სისხლში გასვრილი ჰქონდა. უთუოთ ამას დასწამეს.

ამ ორს არაკს ერთი ძალი აქვთ. მრავილნი სტონენ, სხვადასხვა ეგონათ, მაგრამ ეს არის სწორე, მრავალი მართალი კაცი ტყვილად გასარჯონ და მოკლან. მოსამართლე[მ] უნდა იცოდეს, რომ სწორი სამართალი საჯოს, რომ ღმერთთან შეიყვაროს ისი. მოსამართლე არც არის ანგელოზი და არც წინასწარმეტყველი, რომ დაფარული შეიტყოს. აბა, დიდი გამოძიება უნდა მოსამართლეს, რომ მოთმინობით მრავალი დღე უნდა გამოატაროს და გამოძიოს, და ცოტ-ცოტათ გამოჩნდება სიმართლე. სწრაფად სამართლის ქნაში ბეერი საცოდობა მოხდება. ქრთამით არ უნდა სამართალი იქნას, რომ დიდი ცოდვა არის წინაშე ლეთისა.

90. მთვარეს ხინათლი დააკლდა

მთვარე დაბნელდება და დააკლდება ნათელი, მოვა მზის პირდაპირ და მზისაგან აილებს ნათელსა.

თარგმანი: სახედ შენდა, ზი, კაცო ცოდვილო, დაგიბნელდა ნათელი წმიდის ნათლისღებისა, რომ არის შენი სული და შნო იმისი უფასო. შენ ნუ შეორავულდები და ექვენი ნუ შეხვალ. კიდევ ისასო[ვ] ქრისტე მტკიცის სასოებით და სარწმუნოებით. პირი იმისკენა ქენ სინანულით და ცრემლით, იმან გაანათლოს სული შენი თავის ნათლით და ახოცოს უსჯულრება შენი თავის მრავლის მოწყალებით.

91. ზამთარში გახმება ფოთოლი ხისა და გაზაფხულზედ მეორეთ გაბრწყინდებიან და დაშნოვდებიან.

ზამთარში გახმება ფოთოლი ხისა და გაზაფხულზედ მეორეთ გაბრწყინდებიან და დაშნოვდებიან.

თარგმანი: კეთილი ესე მაგალითი. თუ ცოდვის ზამთარი მოვიდა შენზედ და გაკაბმო შენ ზორატმა ჯარმა, ვშმაქმა ფერი შეგცვალა და ფოთოლი გაგიხმო, ამაზედ ნუ შეორავულდები. წადი გულმბურვალეთ და შეუვარდი ქრისტესა, რომ ნახოს მხურ-

ვალემა შენი და გიხმოს ტკბილად. ის გაჰბანს თავის დიდის მოწყალებით ცოდვისა შენსა, და გაგა[ი]ხლოს, და პირველსაიეთ გაგაბრწყინოს.

მ2. ღორქნი და ნახვის ბია

ღორნი და ნახვის კია და სხვანი ცხოველნი რომ ნახესა სკამენ და იმიოი იზრდებან, და იმ სიმყარლის საკმლითა სცხოვრებენ, ვაი ჩემდა!

თარგმანი ამისი: ყოველი ცოდვილი უსინანულო ნახესა და სიმყარლეს ცოდვიანსა სკამს, განიპოხება, ის ეტკბილება თავის პირსა და ცხვირსა[.]

მ3. უაღამიანო აღვილს მართი ჯიანბავლა იყო

უაღამიანო აღვილს ერთი ჯიანბეკლა იყო ერთი ცხვირის ოდენი. მოვა ლომი, იმის აღერევა, იმათ ეყოლება შეილი. ის შეილი ნახევარ მხარე ლომია და ნახევარ მხარე ჯიანბეკლა. დედა საკენკს მოუტანს, ვერა სკამს; ლომი რომ ნამაა, ხორცს მოუტანს, ვერც იმასა სკამს. დედა ხორბლის მკამელია და მამა ხორცისა. შიმშილით მოუყვებიათ შეილი.

ვაი ჩემს საბრალოს თავსა, შეილო ჩემო! ასრე შეიტყუე; დასნი მოუტყვევლნი, ცოდვილნი, წმიდის ემბაზისაგან ამოყვანილნი ღვთის შეილნი, ცოდვის აჩემებით ეშმაკსა შობენ, და არ მიმართეს ღმერთსა. სარწმუნოება და სჯული ღმერთთა. იციან, სპართალი არის, მაგრამ არა სკამენ იმ საკმელსა. სიწმინდე, სინანული და ქცევა ერთილი არ დაინახეს და შეისმინეს. ეშმაკისაგან შეკრულნი არიან, და ვერ უარს ჰყოფენ. დამტკიცებით იციან, რომ ღმერთი არის და აღდგომა, მაგრამ შეკრულნი არიან ღვთის სარწმუნოებისაგან, და ეშმაკისაგან შეკრულნი არიან ბოროტის ქცევით. ვერც ეშმაკისაგან მიიღებენ წილსა და ვერც ღვთისაგან. ასე წაიდნენ ღმერთთან ეშმაკობის საქმის მიდევნით, ცოდვით სავსენი. მოვა სწრაფათ სიყვდილი და ახლცა ამ სოფლიდამ წილნი ჯოჯოხეთისანი. აღარ ეყოლებათ იქ შემეწე.

მ4. მართმა მიწის მთხარელმა კაცმა აქანათი გააკეთა

ერთმა მიწის მთხარელმა კაცმა მრავალი აქანათი გააკეთა. თავის საცხოვრებელი ფრინველებდ გარდაქცო. მოდიოდნენ ფრინველნი და წერო, სკამდნენ იმის დათესილსა ბაკლასა და სისირსა. ერთს დღეს მივიდა, ნახა, მრავალი ფრინველნი და წერონი აქანათში ჩაცვივნილ იყვნენ. დაიქორა ეს ფრინველები, უნდა დაეხოცა. ერთი ლაკლავი იყო, ერთი იმ ფრინველებში, ისიც ამოიყვანა. უთხრა ლაკლავმან: ღვთის გულისათვის ნუ მაშკლავო, არა ვარ მე წერო და არც ფრინველი, არც სისირსა ვეამ და არც ბაკლასა, შენი მეგობარი ვარ, რომ შენს აქანათებს კიანბეკელი არ ასვენებს, იმათა ეკამო. არ დაუჯერა: რადგან შენც ამაში ვაიოვნეო; მტერი ხარ ჩემიო. ისიც მოკლა.

თარგმანი: თუნდა შენი მოყვარე და მეგობარიც იყოს და ბოროტმოქმედს კაცთან გაერთებულყოფის, ისიც იმათთან დასასჯელია, ცეცხლს ჩააგდეთ, როგორც დაუწერიათ: ქურდა, ქურდის შემეწე, ბოზი, მარტაკალი და კუდიანი ერთად დასაჯოს ღმერთმან ჯოჯოხეთში.

მ5. მართმა კაცმა შარულად თავის მეზობლის ხბოს ინა მოსხტა

ერთმა კაცმა ფარულად თავის მეზობლის ხბოს ნახევარ ენა მოსტრა. იმის პატრონმა ვერ შეიტყო. ის ხბო გაიხარდა, დახარდა. მერე იმის ენის მომჭრელმა კაცმა მეფესთან უჩივლა: ჩემმა მეზობელმა ხბო მომპარაო, გახარდაო, ახლა ჩემი ნიშანი ენახე, რომ ჩემი არისო. პატრონი იფიცავს: ჩემის ფურის ხბო არის და მე გამიზრდაო. ჰკითხეს ენის მომჭრელს: შენს ხბოს რა ნიშანი ჰქონდაო? უთხრა: ენის ნახევარი მოჭრილი აქესო. გაამართლეს ეს კაცი და ხარი მოსცეს ამას. დილა გათენდა, ამ კაცმა სიხარულით გუთანში შეაბა ეს ხარი. წაიქცა, სახნისა მუცელში იფეო, ფაშები გამოაყრეინა, მოკვდა და სხვა ხარებიც დაფთხნენ. გარდიქარგნენ.

მრავალნი ეუბნებოდნენ: როგორც თესლი დასთესე, ისე[თი] მოიძვეო. ერთი ხარც ტყუილად წაართვი, ისიც ხომ მოგიკვდა, სხვანიც დაგეკარგნენო!

თარგმანი: ღმერთი დიდი მოსამართლე არისო. დიდს სამართლამდისინ თუ კაცი შეიტყობდეს, აქვე მიეცემა უსამართლობის მაგიერი და საიქიოს ხომ სულით წაწყმდება.

08. გლახა კაცი ხორცსა სწევდა

ერთი გლახა კაცი ცოტას ხორცსა სწევდა. ჰაერიდაჲ არწივი მოვიდა, მოიტაცა ეს ხორცი და წაიღო. რაიკა კაცმა ნახა, ხორცი აღარ იყო, წაიქცა და დაიწყო ტირილი: ხორცი ვინ მომპარაო! კაცთ უთხრეს: არწივმა მოიტაცა და წაიღოო. თურმე იმ ხორცს ცეცხლი მიჰყვა თანა, არწივის ბუდეს ცეცხლი მოეკიდა, ბუდეც დაეწო და ბარტყებიც დაეწვნენ.

თარგმანი: ღმერთი მართალი მოსამართლე არის, კაცმა რომ კაცი დაჩაგროს, დაიბრყოს, თითონვე მიეგება თავის ნაქნარი უსამართლობა, როგორც იტყვის სოლომონ: ეკაცმა რომ უსამართლობით კაცი დაწოს, თითონ ჩავარდება ცეცხლში, ღმერთი მიაგებს კაცის დამჩაგრელსა.

07. ზინძვილთა ინდოური ქათამი ხელმწიფეთ დახვას

ფრინველნი შემოკრბნენ და ინდოური ქათამი დასვეს თავიანთ ხელმწიფეთ, რადგან ლამაზი იყო. მოვიდა ტრედი და თქვა: ზი, კეთილო ხელმწიფე, ჩვენ რომ არწივებმა შეგვაწუხონ, რას გვიშველიო?

თარგმანი: ხელმწიფეს მარტო შვენიერება არ ეყოფაო, სიმართლე და მხნეობა მპართებსო.

08. დიდმავლესა კაცმა მხინჯული შვილად აიხვანა

დიდებული კაცი იყო, შვილი არა ჰყვანდა. ერთი ძმისწული ჰყვანდა თავისთვის შვილათ. ავით გახდა ის თავის ძმისწული, დაიბარა¹, გვერ[დთ] დაისო, თავი აიღო, კალთაში ჩაუღო. უთხრა დიდებულმა: ზი, შვილო, ეცადე, რომ კეთილი საქმე ჰქნაო, ეს სოფელი წარმავალი არის, ფულის მოყვარობას ნუ მიხედავ, ცოდვას ნურასა იქ, დღე სიკვდილისა მუდამ ვახსომდესს ამ სწავლებას შეუწუხდა ბიძის შვილი. უთხრა: შვილო, რაც გამეცნ, დაისწავლე თუ არაო? უთხრა ძმისწულმა: რაცა ბძანე, აბა, შენ შეიტყე, როგორ გითარგმნოო საკვირველიო—ჩემს მუცელში არის ძარღვი თორმეტო, ყველა კიბთან მოდისო, ერთად შეიკრბებიანო, მივლენ ჩემს სასიცხოსთანაო. უთხრა ბიძამ: ვაი შენ, შვილო, გამოუყენებლო, მამულის დამკარგველო! მე შენ ღვთის მცნებას გასწავლი და შენ ძარღვების და კიბის სათვალავს ამბობო! დღეის იქით გამიგდინხარ ჩემის შვილობისაგან.

თარგმანი: ასე გაუგუნრდით ყოველი კაცი, გაუშვით სწავლა ღვთისა და შვირისხენათ ჯოჯოხეთში. ჩვენს გულში დავინერგეთ ცოდვანი, უბე ცოდვილისას ჩადევით თავი და კიბში მოიკრიფეთ ფულის მოყვარობა, ბოზობა, მემოურალობა და სხვა ცოდვები. მუდამ ამას ვიძრახავთ, თუ როგორ დავჩაგროთ მდაბალნი და დავითროთ, და სხვა ცოდვები აღვასრულოთ. ეს არის ძარღვები კიბთან, ამან გამოგვიყვანოს ღვთის შვილობილად, საწყალობლად დაერჩეთ.

08. ძალწული ძალი გაამპარტავანდა

ქალწული ერთი სჯულიერი იყო ქალაქში. გაამპარტავანდა თავის გულში ეშმიკის ძალით, დადგა ბაზარში, ყვიროდა და ამბობდა: შეიტყეთ, გვარის შვილნო, მხოლოდ ღმერთთა ზეცათ უბიწო და წმიდა და მე ქვეყანაზედა ვარო, და სხვანი შეიმუსრენ[ით] ღვთისაგანაო! 'ეს ქალი ჩავარდა სიძვის ცოდვაში და დაორსულდა. ავიდა ერთს მა-

¹ ძმისწული დაიბარა] ბიძის შვილი დაუბაზა A-1786.

ღალს ადგილს, დაიყვირა დიდის ხმით: ყველამ გაიგონეთ, თვით ღმერთი არის უკოდ-
ველი და უმანკო! კედელი წამოეჭვა და გახეთქა ისი ქვეიდან ძეშუმდინ.

თარგმანი: რომელიც გაამპარტავანდეს, ეშმაკმა ამისთანა საჭმე უყოსო. თუ
ნახო, რომ კაცი გაამპარტავანდეს და ამპარტავნობა ილაპარაკოს, და თავის თავი წმი-
დათ გამოაჩინოს, შენ ეს არაყო უთხარ.

100. ორნი კაცნი ზუას შავილენი, მათმა უღალატა

ორ[ნი] კაცნი წაიდინენ ზუასა. ერთი კაცი იმ შეორეს ლელატობის თვლით უყურებ-
და. ერთს ალაგს მიეიდინენ, რომ იქ არ თუ ადამიანი, და ამ მართალს კაცს ეშინოდა
იშისგან. რომ დაიძინეს, ამ მართალმა იშის შალეით თავის ლოგინში ხე ჩადო და ერთი
გოგრაყ ჩაიდო ლოგინში. თავით დაიდო, თითონ ადგა და ფარდაგი დახურა, და თი-
თონ შორს დაიშალა. შუილამისას ადგა ის ავი კაცი, აილო ერთი დიდი ქვა, გოგრა იმ
კაცის თავი ეგონა, დაარტყა. გასქდა გოგრა და მრავალ ნაქრათ ექცა. დაუძახა ამან:
შენი რჯული ეგ იყოო, გცადეო, გოგრა გასქდა და მე მოვჩიო! ეს უთხრა და გაექცა.

თარგმანი: თუ ყოველს ეშის ღმერთი შემწე არის, მაგრამ სიფრთხილით ყოფნა
კარგი არის. ღმერთთან ყოველს კაცს შეცნობა მისცა. შე, კაცო, ცოტა რამ ხომ
ეჭვენც გიცდიათ შუაკვარის კაცისაგან ვნება, თქვენ ნუ მიენდობით იშისთანა კაცსა.

101. ხელმწიფემ მათს კაცს ასი ღამიანი უგომა

ერთი კაცი შევიდა ხელმწიფესთან და ასი ღამიანი უბოძა: გაიტა, მინდ გლა-
ხები არიან, იმთ სახარჯოთ მიეცო. ეს კაცი გარეთ გამოვიდა, ნახა ერთი კაცი თავ-
შიშველა, ცალ-თვალი, უცხვირო, ყრუ, ხელ-ნაქი და ცალი ფეხი მოჭრილი. შევიდა,
მოახსენა ხელმწიფესა: ყოვლის ქვეყნის საკიცხველი აქ ვიპოვნეო. ბძანა ხელმწიფემ: აქ
მომგვარეთო. რომ ნახა, გაიყვირა და ბძანა: მადლობა ღმერთსაო.

თარგმანი: თუ იქვს მწუხარება სულსა, რომ ცოდვა იმას უყიდნა ეშმაკისაგან,
თავის ხარჯის მიმცემთ გაუხდია მორტუებით, რომ მრავალი ცოდვა აქვს, თავისი გუამს
გაინადებია, კაცის ძრახვით, ბოზობით, კაცის დაჩაყრით, სიმთვრალით და სხვა ცოდ-
ვებით ავისილა და პირს ქრისტესაკენ აღარა იქს, არც სინანულშია, დამტკიცებით მონა-
შექნილა ეშმაკისა, რომ მტეი საყვარელია ეშმაკისაო.

102. ლომი, მგელი და მელა დამშობილენი, ხაში ცხვარი იპოვნეს

ლომი, მგელი და მელა დამშობილენი, წაიდინენ სანადიროთ, სამი ცხვარი იპოვ-
ნეს. ლომმა უთხრა მგელსა საცდელათ: ცხვარი გაყავო. თქვა მგელმა: ერკემალი შენაო,
დედლი ცხვარი მე და ბატკანი მელასაო. ლომმა დაჰკრა ტოტი მგელსა, რომ ორივე
თვალეში გამოსცივიდა, ზედ დააჯდა. მელას უთხრა: შენ გაყავ ეს ცხვრებო. მელამ
მოახსენა: კეთილო მეფეო, ერკემალი საუზმეთ მიირთვი, დედალი ცხვარი სადილათ და
ბატკანი ვახშმათაო. მელას უთხრა ლომმა: ეგ მართალი სამართალი ვინ გასწავლაო?
მოახსენა: მგელს რომ დაჰკარ და თვალეში წააყრევირე, იმან გასწავლაო.

თარგმანი: მრავალნი უქადაგებენ ბოროტსა, და გაუშონ ბოროტი, როდეს მე-
ფენი და დიდებულნი დაჰკიდებენ ქურდსა და კაცის მკვლელთა, და ასწავლიან, იშის
მსგავსად მრავალნი ცოდვილნი შეინანებენ და საკანონოში შევლენ. რომცა შეიტყონ
დიდებულთ, ჩააგდებენ ცეცხლში. სულელ ქალწულთ იტირეს უსარგებლოთ. ცეცხლს
დაუყოვნებლად შევიდნენ.

103. მგელიმ მსუბანი ვირი იპოვნა

მგელმა იპოვნა ერთი მსუბანი ვირი, უნდა შეეჭამა. ვირმა უთხრა: გვედრები,
ღვთის სიყვარულისათვის, ერთი მწუწკი მაქვს, ის ჩემის გულიდამ ამოიღეო და მერე

1 A-1786; + მოახსენა.

შემკამეო, ღმერთმან ჩემი თავი შენ მოგცაო. ლურსმანი გამეკო ფეხში და დიად მტანჯავს, გამოშართვი და მერე შემკამეო! მგელმა კბილით მოინდომა ლურსმნის ამოღება, რომ კბილი მოჰკიდა, რაც შეეძლო ვირს, ორის ფეხით წიხლი ჰკრა მგელსა, ყბა მოსტეხა და გაიქცა. დაჯდა მგელი და ტიროდა მწარეთ! ღირსი ვარ ამისი, რომ ჩემს თავს მოვიდა, მე ხომ არც შევდელი ვიყავი და არც ბეითალი, მე ლურსმნის ამოღება რა ვიცოდი და ან რა ჩემი საქმე იყო!

თარგმანი: მრავალნი ტირიან, რომ თავიანთ საქმე არ იყო და ნდომით და სიხარბით გაუმტეც[ა]რდნენ, და ბოლოს სინანული აღარას ეწვეათ.

109. შილაშ კაპაზი დაიჭირა

მელამ დაიჭირა კაპაზი, უნდა შეეკამა. უთხრა კაპაზმა: ყურთხეულ არს ღმერთი, რომ მიგვიწოდა სასუფეველსა და გამოგვიყვანა ამ ბოროტს ღროსა! აბა, შენ, მელავ, მადლობა მოახსენე ღმერთსა და მერე შემკამეო! მელამ პირი გააღო, აიხედა ზეცას და თქვა: ფმადლობ შენ, ღმერთო, რომ შეგვიმზადე ჩვენ ტაბლა კეთილი! კაპაზი პირიდან გამოუფრინდა და წავიდა. დაუძახა კაპაზმა მელას: შე უგონოვ, ჯერ კამა უნდა, მერე მადლობის მიცემა ღვთისაო!

თარგმანი: თუ გითხრას რომ დაუჯერებელი, ნუ დაუჯერებ. მრავალს აღგიტქმენ და არ აღგისრულებენ. ნუ დაუჯერებ, მანამ არ გითაონ. თუ ვინმემ წყალი მოგცეს, შენ კალთა მიუშვირე.

108. შილაშ ჩიტი დაიჭირა

მელამ ჩიტი დაიჭირა, პირში ჩაიდო, უნდა შეეკამა. ჩიტმა უთხრა: მე ხომ შემკამო, მაგრამ დაშაღალე, ასეთს კევრცხს დაედებო, ქათმის კევრცხის ოდენი მარგალტო იქნებო. გამიშვი, დავდლო და, გეფიცები, რომ შენსავე ნებაზედ მოვიდგო. გაუშო ჩიტი, და გაფრინდა და დაჯდა მალალს ხის რტოზედ. დაუძახა მელამ: რაც აღმითქვი, მითავეო და მოდი ჩემთანაო! ჩიტმა უთხრა მელას: მუნსავით უგონო ვიქნები, თუ შენს ნებაზედვე მოვიდგო. შენ რატომ დაიჯერე, მე ეს პატარა ჩიტი იმისთანას დიდს მარგალტს დაედებდი? თუ დამიჯერებ შენ, მცნებას გამცნებ, რომ ბევრს გარგებს: ამისთანა სიტყვას ნუ დიჯერებ, ხახუტს კედელს ქვეშ ნუ დაიძინებ, მებოზარს ბერკაცთან, ამპარტავანს გლახასთან, ტყუილის მოქმელს ხელმწიფესთან * და წინამძღვართან ნუ გაივლი, იმათგან გაიქეცი! უთხრა მელამ: ღმერთი გაგიკითხავსო, რომ შემომთიცი და განიმტყუნდიო! უთხრა ჩიტმა: რომ ტყუილი არის, რომ ტყუილით მადლს მოიგებსო. კაცმა რომ ტყუილის თქმით კაცი ცოდვისაგან მოაქციოსო, ან კაცსა ჰკლევდნენ, ან აურჯულაობდნენო, ისინი რომ ტყუილით მოარჩინოს, მადლი არისო. თუმცა ტყუილით დაიჭირებულს კაცს დაიხსნის, მადლი არისო, მაგრამ ის ტყუილი თავის მოძღვარს უნდა აღუაროს და საკანონოთი გაწმედოს. მელამ უთხრა: მამ, რათა სწერს დავით: დაკარგოს უფალმან ისინი, რომელთ ილაპარაკონ ტყუილი? უთხრა ჩიტმან თუ, რამმან იცის და მიზეზმან, თუ ილაპარაკო ტყუილი ცოდვის მიზეზისათვის, რომ კაცი განიკითხო, მაშინ გაიწვრომებ ღმერთსა. თუ ტყუილის თქმით კაცს ცოდვისაგან დააბრუნებ და სიკვდილისაგან კაცს დაიხსნი, ღმერთს უამებო. მაშ, დავით რომ ხელეტი ძირს დააწყო, გაოთფებდა, ისე ითამაშა, ტანისამოსიც დაიხია და თქვეს, გაქაჯიანდაო, და იმ ტყუილით მოარჩა სიკვდილისაო!

108. ანხორის მღვდელი იყო მეცნიერი და კარგი. ერთი სომეხი კაცი და ის ჩხუბობდნენ სათვალავზედ. კაცმა უთხრა: იის ქვა და შენი პირი და შენი ოცდათორმეტი კბილი... მღვდელი გაჰყვირდა, სწრაფათ თავის სახლში მივიდა და თავის ცოლს უთხრა: ღვთის მადლსა, ² სანთელი აანთე და პირში ჩაბხედე, ნახე, რამდონი კბილი მაქვსო? დედაკაცმა

პირში ჩახედდა და კბილები დაუთვალა: მართლა ოცდათორშეტი კბილი გაქვსო. მოვიდა მღვდელი იმ კაცთან და უთხრა: როგორ იცოდი, თუ ოცდათორშეტი კბილი გაქვსო, ან ვინ გითხრა შენ? უთხრა: ჟღალო ჩემო, ჩემის კბილებისა ვიცი და შენც იმისთვის გითხრა, თუ კაცთან მეგობრათ შეიქნა, თუ ჩემის გვაიმისა ვიცი, ისე თქვენიო. შეგლო, ერთობით არის ეშმაკის ბრძოლა ძვირი, ერთობით დაჰკარგოს ჩვენი თავი და წაიყვანოს შეუსვენებელს გენიის!

107. ლომი ავამთ ხახდა

ლომი ავამთ გახდა. გაგზავნა აქიმებთან, ეგების ერთი რამ წამალი მიეონო. მოვიდნენ აქიმები და უთხრეს: შენი წამალი ის არის; ვირი მოაყვანინო, იმის ყურები და გული სკამოო, და მორჩებიო. ლომმა უთხრა მელას: შეგიძლია ერთი ვირი მიშოვნო? მელამ მოახსენა: მალე აღეასრულებ შენს ბძანებასაო. ერთი ძმობილი ვირი მყავს, დიად მსუქანი, ასერ ახლო ველში სძოვსო. მივიდა მელა ვირთან და უთხრა: საყვარელო და მორჩილო ძმაო, მინდა ერთს დიდობასა და პატივში მიგაწვეინოო. ლომი რომ მხეცთ მეფე არის, ის ავამთ არის, კვდება, შენ დაგიბარა, რომ თავის შემდეგ მეფეთ შენ დაგხლოსო! ეს მაცთური სიტყვა დაუჯგრა მელას და გაჰყვა. მივიდნენ ლომთან, ლომს რომ ემთხვია, ლომთან პირი გაალო, უნდა ვირი დაერჩო. ვირი გაექცა. მოეწია მელა და უთხრა ვირსა: შენ უგონოვ, რათ გამოიქცეო? ვირმა უთხრა: რომ ვემთხვიე, დამწოო. მელამ უთხრა: შენის მეტის სიყვარულით გიყოო, დაბრუნდი, შენს ბედნიერობას ნუ ჰკარგაო! დაბრუნდა ვირი, მოვიდა ლომთან. მელამ ვირს მეტელი გაუპო და გული ამოართო, ყურები მოსკრა და ლომს მიართო, და ლომმა შექაშა. მივიდა მელა აქიმებთან: მოდიო; ერთი საკვირველი რამ გიჩვენოო. მოასხა აქიმები და უთხრა: არ გიყვარსო, ამ ვირს არც გული აქვს და არც ყურიო! იმათ უთხრეს: ეგ რა საკურველი არის, თუ მეგას გული და ან ყური ჰქონებოდა, ვირი ლომს როგორ მიენდა და მოვიდაო? თუ მოვიდა, ერთხელ ხომ მოურჩა, მეორეთ რაღათ მოვიდაო? გაამართლეს საქმე მელისა.

ვაი, ჩვენ, ყური გვაქვს და არ გვესმის დაუსრულებდა ჯოჯოხეთისა, გული გვაქვს და ვერ შეგვიტყვია მაცთურობა ეშმაკისა! რომელმაც ცოდვა გაუშოს და ხელახლა მივიდეს იმავე ცოდვაში, ის ეშმაკის ხელით მოკვდება, როგორც მოკვდა ის ვირი ლომისაგან. ლომი და მელა ეშმაკნი არიან, ვირი მოუქცეველი, ეშმაკის მიმყოლი ცოდვილი არის, რომ ცოდვისაგან არ მოიქცეს.

108. აძიშმაძი შმაკანენ, მართხ ძალაძხ მოვიდენენ

აქიმები შეკრბნენ, ქალაქს მოვიდნენ: ჩვენ დიდი აქიმები ვართ, ყოველს ავანტყოფს მოვარჩენთო. ერთმა კაცმა საცინლათ აიგდო, ერთი გამხმარი ვირის თავი აიღო და ტანისამოსში დიმიძა, და აქიშს უთხრა: ჩემი ვირი მგელმა დაგლიჯა, ვერ მოარჩენო? აქიმ[მა] უთხრა: კარგათაო, ერთი დრაჰკანი მომიტანე, რომ შეუსა და თეთრს მალა-მოში მიიტეო. მერე იმ კაცმა ის გამხმარი ვირის თავი უჩვენა: ამას ვერ უწამლებო? აქიმ[მა] უთხრა: მეგას ლეთის მეტი ვერაფერ უწამლებსო.

ვაი ჩვენდა, ნიშნათ დარჩომილა ჩვენზედ ქრისტიანობა, როგორც ის ხმელი ვირის თავი. მართო სახელითა ვარ[თ] ქრისტიანნი და საქმით კი არა ვართ. როგორც სარწმუნოება უსაქმით მკვდარია და საქმე უსარწმუნოებოთ მკვდარია, გვაში უსულოთ მკვდარია, ეგრეთვე სარწმუნოება და სჯული უსაქმით მკვდარია.

109. ჯაცხა ხახაფლადამ ხაში ალაშინანს ხშილი თავი აიღო

ერთი კაცი წავიდა სასაფლაოზედ, სამი გამხმარი ადამიანის თავი წამოიღო და შინ ლავანში დააწყო. წავიდა ბაზარში: ვინ იყიდის გამხმარს ადამიანის თავსაო? ყველანი სასაცილოთ იგდებდნენ. ერთმა ვაჭარმა უთხრა: მოიტა ენახოო. ვაჭარმა აიღო მახათი, ერთს თავს ყურში გაუყარა და ყურში არ ჩავიდა. გარდაავდო. მეორეს თავს გაუყარა და მეორეს ყურში გაირბინა. მესამეს თავს გაუყარა, მახათი შუაში დღდა. ის

ორი თავი გარდა[ი]გლო და ის მესამე თავი შეიყვარა და მისცა მრავალი ოქრო, და ის ერთი თავი იყიდა, და ის თავი მრავალს სწეულს არჩენდა.

თარგმანი ვაქარმა და თქვა: ის რომ მახათი არ ჩუიდა, ის არის, რომ არასფრით ღვთის მცნება ყურში არ ჩაუშეიარ და არც კეთილი უღეაწინაო. ქრისტემ რომა თქვა წმიდას სახარებაში: თესლი დაეარდა გზაზედ და ფრინველთ აკრიფეს, მახათი რომ მეორეს ყურში ჩაუყარე და მეორეს მხარეს გაეარდა, ის ის კაცი ყოფილა, ღვთის მცნება ერთს ყურში გაუგონია და მეორეს ყურში ცუდად გაუვლია. ის თესლია, რომ ჩაეარდა ეკლესიაში, ამოვიდა, მაგრამ ნაყოფი არ მისცა. ამ მესამე თავში, მახათი რომ ჩავიდა და იქით აღარ გაჩიდა, ის-ის კაცი არის, რომ ღვთის მცნება, რაც გაიგონა, დაიმარხა. ის თესლია, რომ ჩაეარდა ქვეყანასა კეთილსა და გამოიღო ნაყოფი კეთილი, და მოიგო სასუფეველი. თუმცა მკვდარი არიან, მაგრამ არა ცოცხალნი არიან კეთილის მოქმედნი, შექცეულნი ბნელი ნათლათ და წუთის სოფელი საუკუნით სიხარულით და შეებით.

110. ლომი ტყვილათ ავით გახდა

ლომი ტყვილათ ავით გახდა და ერთს ქვის ქვაბში შევიდა და ბძანება გასცა: ყოველნი მხეცნი მოვიდნენ ჩემს სანახავათაო! დათვი მეკარეთ დააყენა. რამდენიც მხეცი და ხდირი მივიდნენ სანახავათ, ვინც შევიდა, მნახავი შევამა, კარში ვეღარავინ გამოვიდა. ბოლოს ლომი მივიდა და კარზედ დადგა. დათვა უთხრა: შედი, ნახე! ლომმა უთხრა: ვინც შედის, ვეღარ გამოდისო! მეკარემ ლორს დაჰკრა: შედიო! ლორს ჯაჯი მოუვიდა: ფაფარი დაუჭირა, აიყვანა, დასცა და მოკლა.

თარგმანი: ის კლდის ქვაბი ჯოჯოხეთია, ლომი ეშმაკი არისო, დათვი თავის ძლიერება არის. ცოდელინი, რომელნიც არ მოქცეულან, ისინი არიან, შედიან, ვეღარ გამოდიან. ლომი რომ დაბრუნდა და არ შევიდა, ის ცოდვილი არის, ცოდვა გაუშო, დაბრუნდა, აღარ შევიდა ჯოჯოხეთში. როგორც ლომი, ის აღარ შევიდა. შეინანა ცოდვილმა, იტორა და აღარა სცოდა, შეარცხენია ეშმაკი, როგორც ლომმა უყო დათვსა.

111. ერთმა მგელმა ორი დეკუელი იპოვნა, უნდა შეეკამა¹

ერთმა მგელმა ორი დეკუელი იპოვნა. უნდა შეეკამა. დეკუელეებმა უთხრეს: მაინც ხომ შეგვკამ, მაღლი ჩვენ შუაში დადგე და გაგვხინჯე, თუ რომელი უფრო მსუქანი ვართ, წინაწინ ის შევამო! მგელმა დაუჯერა, მივიდა და შუაში დადგა, და შინჯამდა, თუ რომელი უფრო მსუქანი არისო. დეკუელეებმა ერთმა აქედამ და მეორემ იქადა მოაწვინენ ამ მგელსა და ეს მგელი გაქუღაიტეს. მგელმა რის ყოფით ცოცხალ-მკვდარმა გამოასწრო და გაიქცა. მივიდა, ნახა, ერთი თხა სძოდა. მგელმა იმის შექვა მოინდომა. თხამ უთხრა: მაინც ხომ შევკამ, ერთს გორახედ ადი, შენ რომ ერთი კარგი მუხამბაზი იცი, ერთი ის მუხამბაზი ბძანე, რომ ამ ჯაჯრიან გულზე მიიშოს, მერე ჩამობძანდი და შემკამო! მგელმა დაუჯერა, იქ ერთი მაღალი გორა იყო, იქ ავიდა და დიდის ხმით დაიყვირა. ეს თხა ადგა და გაიქცა. მგელმა რომ დაინახა, ჩამოვიდა იმ გორიდან. მანამ ეს მგელი ჩამოვიდოდა, ეს თხა გაიქცა და წავიდა. მგელიც უკან გაზოლდა თხას. ვეღარ მივიწია. ნახა, ერთი მსუქანი ვირი სძოდა. მივიდა და იმის შექვა მოინდომა. ვირმა უთხრა: მაინც ხომ შევკამ, ღმერთს ჩემი თავი შენთვის მოუცილა, ღვთის გულისათვის, ერთი მუწუცი მაქვს ფეხში, ერთი მუწუცი შემერკო, მოდი, ჯერ ის ლურსმანი ამოიღე და მერე შევკამო! მგელმა კბილით მოინდომა ლურსმნის ამოღება. რაც შეეძლო, წყვილი ფეხით წიხლი ჰკრა ვირმა მგელს, რომ ყბები და კბილები სულ ამაბანჯერია. მგელმა ღმუილით და ყვირლით გაიქცა და შევიდა თავის სორაში, და ამბობდა ტირილით: ახათ მიყვეს! მამა ჩემი როლი ყოფილა ყახაბი, რომ ყახაბსავით დეკუელეებსა ვმინჯამდი, რომ კინაღამ მამკულს! კიდევ, მამა ჩემი

¹ A-1786: აიყვანდა. ² ეს არაკი იხტვება S-2966 ხელნაწერის მიხედვით.

როდი ყოფილა საზანდარი, რომ თხას დაუჯერე და მალა გორაზედ გავედი, და მუხამბაზს ვამბობდი, და იმ თხიღამაც დაერხი ცარიელი და მშიერი! ან რა ნაღანდი ვიყავ, რომ ვირს ნალებს ვაძრობდი და ესე კბილები ჩამამტურია! ერთი კაცი იყოს, ერთი კაც კერი აილოს და თავი გაზიტებს[ო!] თურმე ერთს კაცს ერთი კერი ხელში ვიპირა და ყურს უგადებდა, მივიდა და ამ მგელს თავი და პირი ზედ დაამტურია. ამ მგელმა ტირილითა თქვა: ჩემს სახლში ერთი სიტყვა როგორ არ უნდა ვთქვაო!

თარგმანი: რაც რომ შენი საქმე არ იყოს, შენ წინ ნუ წავარდები და მაცურს სიტყვას ნუ დაიჯერებ და ნურც უსმენ.

112. მათი თეთრი ძათაჲ იყო ხელმწიფის სასახლეში

ერთი თეთრი ქათამი იყო ხელმწიფის სასახლეში. როცა ავათ გახდებოდა ვინმე, იმ ქათამს ავანტყოფთან წაეყვანდნენ. თუ მოსარჩენი იყო, ის ქათამი სიყვარულით შეხედვდა და ავანტყოფს კალთაზედ შეაჯდებოდა. იმით შეიტყობდნენ, მორჩებო. თუ სასიკვდილო იყო, ქათამი ავანტყოფს არც შეხედვდა, კიდეც გამოიქცეოდა. ამით შეიტყობდნენ, ავანტყოფი მოკვდებო.

თარგმანი: ის ქათამი ღვთის მომასწავებელია, ავანტყოფი ცოდვილისა, თეღმერთი მიხედვს ცოდვილსა, როგორც ქათამი შეხედვდა, ის ცოდვილი მოიქცევა, შეინანებს და შეიქნება სათნა ღვთისა. ტყბილათ მიხედვს, არა ნებაჲს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევას ელის და სინანულსა.

113. მათს დიდებულსა მკაპალი ოძროს და მისხლის ზოდი ძმონდა

ერთს დიდებულსა ჰქონდა მრავალი ზოდი ოქროსი და ვერცხლისა. წაიღო და დაფლა მიწაში. მსახურთ შეუტყვეს, საცა დაფლა, ღამით ფარულათ მივიდნენ, ის ოქრო და ვერცხლი ამოიღეს და წაიღეს. დილაზედ მივიდა ის დიდებული კაცი, ნახა, ის თავისი ოქრო და ვერცხლი იქ აღარ იყო. დაიწყო ტირილი, წვერს იგლეჯდა, უნდოდა საბლით დამრჩვალყო. ერთმა მეცნიერმა კაცმა ნახა, უთხრა: რათ ირჩობიო? უთხრა: ჩემმა მსახურებმა ვერცხლი და ოქრო მამტაცეს და წაიღესო. ჰკითხა მეცნიერმა: რა ერთი იყო შენი ოქრო და ვერცხლიო? იქ რიყის ქვები ყვარა, უჩვენა: ამოდენა და ამოდენა იყოო. მეცნიერმა კაცმა ის ქვები აკრიფა და მიწაში დაფლა: აი შენი ოქრო და ვერცხლიო, მაშინც ხომ შენს სიტყბლეში ვერ მოიბარებდი, როგორც ამ ქვასა! ამ მეცნიერმა გაამხიარულა ის კაცი, დაიხსნა, თავი აღარ დაარჩობინა.

თარგმანი: რომელნიც კაცი ოქროსა და ვერცხლსა ჰყვარობენ, ის იმ კაცსა ჰგავსო, რომ იმდონი ოქრო და ვერცხლი ვერც სულზედ გამოიყენა და ვერც ხორცზედა. ნაცვალ გამოყენებისა უნდა კიდეც დამრჩვალყო, თავის გვამის მკვლელო ხდებოდა. ასე იტყვიან: ვერცხლის მოყვარება მშობელია ყოვლის ცოდვისაო.

114. ინდოეთს მათი ლაგაზი ხმ იყო

ინდოეთის ქვეყანას ერთი ხე იყო, ჰქონდა მარცვალი ღამაზი და ტყბილი ფოთლით სახეს. იმას მრავალი გველი და ხელიკი ახვევია. თუ კაცი იმ ხის ძირში ნახეს, არას ერჩიან, და თუ იმ ხის იქით ნახეს, უქებენ.

თარგმანი: ის ხე ღმერთთა. ნაყოფი და სილამაზე ღვთის მცნება არის. გველნი ეშმაკნი არიან. თუ იმ მცნებას გარეთ იპოვნიან კაცს, იმას წასწყენდნენ, როგორც ის გველნი ჰქებენ ხის ქვეშ არამყოფთ კაცთა.

115. მათს ალაგას ათი ვაპარნი შემოქრბნენ

ერთს ალაგას ათი ვაპარნი. შემოქრბნენ, წავიდნენ ერთს უცხოს ქვეყანაში. იმ ქვეყანაში იყო შიმშილი და მრავალი გველი და ხელიკი იყო. ეს ვაპარნი მეტად შეწუხდნენ. მერე ერთი ცუცხლის გალავანი შემოეწოთ, ველარსად წავიდნენ, ველარც უკან დაბრუნდნენ. ერთს ვიწროს გზაზედ მიდიოდნენ: ეგების ერთს ქალაქს

მივიდეთ, ვივაქროთო. დიდის სასჯელით იარეს და შენობა ვერ იპოვნეს. ტირილით თავში იცემდნენ. ერთი არწივის ფრთა იპოვნეს. იმათ იმდონი იცოდვილეს, რომ ერთი ფრთაც გააკეთეს. ხუთი იმათგანნი დაიკარგნენ, ხუთნი გაფრინდნენ. ავიდნენ, ნახეს ერთი ქალაქი ნათლისა. იქ ჩამოხდნენ. იმ ქალაქის მეფემ თავის დიდებულნი მიუგზავნა და შეუთვალა: მშვილობით მოხედითო, ეს ქალაქი თქვენი არის, საცა გინდათ, იქ მოხსვენეთო. კელმწიფემ აკოცა იმ ვაქართ, აქო და უბძანა: ნეტარ თქვენ, რომ იმ ვიწროს გზას გამოიარეთ და მოხედითო. იმ ქალაქში ნახეს მრავალნი ვაქარნი, რომ დიდი ხანია სურდათ იმ ვაქარების ნახვა და იპოეს იქ საუნჯენი, დიბა და ოქრო-ქსოილები, რომელიც სავაქროთ უნდოდათ. გაიხარეს დიდის სიხარულით.

თარგმანი: ის ათნი ვაქარნი ადამ არის და თავისი ძენი. ის უცხო ქვეყანა რომ იყო, მიმშობლობა, უკვდავის საშობილად რომ გამოეცვივდით ამ ქვეყანაში, რომ საესვა ხელითი და გველით, რომ არიან ემბეკნი, რომ გვაცოდვილებენ სულითა და ხორციით. ის რომ ფრთა არწივისა აპოვნეს, ის რჯულია, რომ ღმერთი ზეით ქვეყნად მოვიდა, რომ სჯული მოგვცა. ის რომ ამდონს ეცადნენ, ცალი ფრთაც იმათ გაკეთეს, ისინი არიან, რომ კეთილი იმოქმედეს: ერთი სჯული და მეორე ეს, რომ სჯულს კეთილმოქმედობაც შეუერთეს. ის ხუთნი რომ დაიკარგნენ, ისინი არიან, რომა სცოდეს, დაიკარგნენ და ემბათ მიეცნენ, რომ არიან მარცხნივ კერძო, რომ ითქმის სულელ ქალწულათ. ის ხუთნი ისინა არიან, რომ იტირეს და იგლოეს, თავიანთ გვაში გასარჯეს სასუფეველის ნდობით, რომ არიან მარჯვენა დასისანი, რომ არიან ხუთნი იგ მეციერი ქალწულნი. ის ნათლით საესე ქალაქი ზეციერი სასუფეველი რომ არის, ზეგარდამო იერუსალიმი. ხელმწიფე ღმერთია და დიდებულნი ანგელოზნი არიან, რომ ღმერთი მრავალს ანგელოზთ გაუგზავნის, მადლიანი რომ მოკვდება, აქონ მადლიანნი, რომ წუთის-სოფელი არა რათ ჩაადგეს. ღმერთი ემთხვევა მადლიანთა და უბძანებს: ნეტარ თქვენ, რომ ამ ვიწროს გზას გამოიარეთო. როგორცა ჰბძანებს: მრავალნი არიან ჩინებულნი. და მცირენი რჩეულა. ვიწრო გზის სასჯელი ის არის, რომ იწროობა მოითმინოს. ის რომ იპოეს საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ოქრო, დიბა და ოქრო-ქსოილი, ის რომ კეთილად იცხოვრეს, მარხვით, სინანულით, ცრემლით და მოწყალებით განწმდნენ, ის არის. ის რომ სხვა ვაქარნიც იპოეს, ისინი არიან მოციქულნი, წინასწარმეტყველნი, მამანი და კეთილ-მოღვაწენი, რომ დიდი ხანი სურდათ იმათი ნახვა და ჰპოეს ისინი. ათნი ვაქარნი ათნი ქალწულნი არიან. რომ ხუთნი დაიკარგნენ, ისინი სულელნი იყვნენ. ის ხუთნი რომ გააფრინდნენ, ისინი მეციერი ქალწულნი არიან, რომ სიმაართლით გაფრინდნენ.

116. მათხ ძალაძხ მრავალი შესაპალი მზა ჰქონდა

იყო ქალაქი ერთი, მრავალი შესავალი გზა ჰქონდა იმ ქალაქსა. მრავალნი მიდიოდნენ. ერთმა კაცმა შეიკრა თოკები. ჩაეშვა, მაგრამ ვერ ჩაწვდა. ქალაქის კარი დაიკლიტა და ვერ შევიდა.

თარგმანი: მცირე მოღვაწეობა და თუ დიდი მოღვაწეობა კაცს სასუფეველში [შეიყვანს], როგორც იმ ქალაქს მრავალი გზა ჰქონდა, დიდი და მცირე მიდიოდა. რომელნიც ქვეყანაზედ აბანოში თუ ბაღში განცხრომასა და ცოდვაში არიან, ისინი ვერ ეწევიან მართალ მოღვაწეთა. როგორც ის კაცი თოკებით ჩაეკიდა ქალაქში და ვერ ჩასწვდა, და კარები დაიკლიტა, იმის მსგავსად დაიხშოს კარი უმოწყალოს კაცისათვის და მოუქცეველის კაცისათვის, როგორც დაეხშოთ კარი სულელთ ქალწულთ.

117. თავგები შიხარნი

თავგები შეიყარნენ: კატა რომ ასე ჩენი მტერია; ჩვენც ერთი რამ მოვიგონოთო. ჩვენ ხომ არც მშვილდ-ისარი გვაქვსო და არც რქო. გაღესეს ხეები და თავგებულ დაეკრეს: კატა რომა ენახოთ, შეუტოთ და მუცელი გაუხიოთო. როცა თავგებმა კატა ნახეს, თავიანთ იარაღი ველარ მოიხმარეს, გაეკენენ თავიანთ სოროსაკენ. თავ-

ზედ რომ ხეები დაეკრათ, ის ხეები მოედოთ, სოროში ველარ შეტუენენ. კატამ დაიპირა და დაკვამა ისინი.

თარგმანი: თავებმა რომ თავზედ ჩხირები დაიკრეს, ისინი ის დედაკაციანი არიან, ტანისამოსით რომ მოირთვებიან, თვალებს გამოისურშენ, პირს გაითეთრებენ და ვალამაზდებიან, ის რომ ღმერთს გაუჩენია, არ მოსწონსთ, და თითონ ლამაზდებიან, ისინი მიუცემიან ეშმაკთა, როგორც თავენი მიუცენ კატსა.

118. გველი ორიცა თავის ნახერტიდამ გამოვა და საცა უნდა წავა, ხუთათ მოიკეცება და ისე წავა, და როდესაც თავის ნახერტის კარზედ მოვა, მერე გასწორდება და ისე შევა ნახერტში.

გველი ორიცა თავის ნახერტიდამ გამოვა და საცა უნდა წავა, ხუთათ მოიკეცება და ისე წავა, და როდესაც თავის ნახერტის კარზედ მოვა, მერე გასწორდება და ისე შევა ნახერტში.

თარგმანი: კაცს ხუთი საგრძნობელი აქვს: თვალა, ყური, პირი, ხელი და ფეხი. როცა კაცი წავა ცოდვებზედ, ამ ხუთს საგრძნობელს გაიძრუდებს. თვლით ბოროტს შეხედავს, ყურით ბოროტი გაიგონოს, პირით ბოროტი ილაპარაკოს, ხელით უღმრთობა იხმაროს და ფეხით ბოროტს გზაზედ წავიდეს. როდეს კაცი წავიდეს ეკლესიის კარზედ სალოცავათ, იმას მართებს ხუთი საგრძნობელი მართლად შეინახოს, ორატისაგან დასცხრეს, მერე შევიდეს ეკლესიაში და ილოცოს, რომ არის დედა ჩენი და განსასვენებელი, რომ ღვთის შესაწყნარებელი იყოს ლოცვა. როგორც გველი თავის ხუთ კეცს თუ არ გაისწორებს, თავის ნახერტში ვერ შევა და ვერ განისვენებს, ისრევე კაცი, თუ თავის ხუთს საგრძნობელს სიმართლით არ დაიცავს, ვერ შევა სასუფეველში. იმისთანა კაცს არ მართებს ეკლესიაში შესვლა.

119. გველი წავა მინდორში მწვანეს და ყვავილიანს ადგილს დადგება და ნახავს. ქარი რომლის მხრიდამ მოდის, იმ ქარის მხარეს შიიღებს პირსა. ერთი ყვავილი არის, რომცა იმის სული ეცემა იმ გველს, ერთი სინათლის მიმკეში მარგალიტი აუჯა თავში, ღამე, საცა ის გველი წავა, იმ მარგალიტის სინათლით ივლას და დღე კი ბნელა.

გველი წავა მინდორში, მწვანეს და ყვავილიანს ადგილს დადგება და ნახავს. ქარი რომლის მხრიდამ მოდის, იმ ქარის მხარეს შიიღებს პირსა. ერთი ყვავილი არის, რომცა იმის სული ეცემა იმ გველს, ერთი სინათლის მიმკეში მარგალიტი აუჯა თავში, ღამე, საცა ის გველი წავა, იმ მარგალიტის სინათლით ივლას და დღე კი ბნელა.

თარგმანი: მინდორი მწვანე საყდარია ღვთასა, მოციქულთა და წინასწარმეტყველთა. ის დიდი ყვავილი, რომ სინათლის მიმცემა, რომ მარგალიტს მისცემს, ის სახარება არის ქრისტესი. ის ქარი სული წმიდა არის. როგორც მეცნიერობით წავა ეკლესიაში და სარწმუნოებით უყურავს ღვთის ბძანებას, სულმა წმიდამ ტყბილი გვერვანი ასოს გაავონსა. თუ სახარების სიტყვა გულს მოადგინეთ მიიღოს, ის ნათლის მიმცემი მარგალიტი იქნება უუხისო, და სულის სიბნელე, რომელიც არის ცოდვა, დაადნობს, და ს[ა]ქაოს ცხოვრება რომ არის, ტყვილი ნათელი, ზი, მეცნიარო, ნათელი კი არ არის, ბნელია.

120. მართა თუკლმა საზამთრო მოიპარა

ერთმა ქურდმა ერთი საზამთრო მოიპარა. უნდოდა გაეკრა. საზამთრომ უთხრა: ნუ გამჭერი მე, ჩემს მუცელში ხორასნის ვირი არისო, სანამ მოვიგო, დამაქა და მერე გამჭერო. დაიჯერა იმ კაცმა, წაიღო შინ და საქათმეში შეინახა, მანამ დალა და გასქდა, თესლი გამოსცივდა, დაიხსნა ის ტყუეობიდა.

თარგმანი: როდეს კაცი ჩავარდეს იმისთანა ალაგს, უნდა თქოს თუ: ხელმწიფის შევილი ვარ, ან დიდებულისა, რომ არ მოკლან, კიდევ შეცნახან, იქნება დიდი ფასი მისცენ და გაყიდონ. მონა ან სიკვდილით მორჩება, ან გაპარვით.

121. მართი ხო იარ [დიად მალადი]

ერთმა ხე იყო, დიად მალადი. იმის ფოთლებიდამ თაფლი სწვეთდა. ერთი კაცი იმ თაფლსა ლოკდა ფოთლიდამ. ორი თაგვი სჭრიდნენ იმ ხესა. იმ ხის წინ გუბე იყო,

ერთი დიდი და საშინელი, შიგ იყო ერთი საზარელი ვეშაპი. კაცს იმისგან არ ეშინოდა და არც თაფლის ლოკისაგან ისვენებდა.

თარგმანი: ხე ეამი და დრო არის. თაფლი ცოდვა არის, ადვილათა ვშერებით. ის ორი თავგანი დღე და ღამე არის, აკლებენ ეამსა კაცისასა. გუბე საფლაფია. ვეშაპი სიკვდილია. ვაი ჩვენ, არ მოველით სიკვდილსა!

12. მართი კაცი იყო, ანხლი ცოლი ჰყვანდა

ერთი კაცი იყო, ანხლი ცოლი ჰყვანდა. მუდამ ქმარს ავით ეპყრობოდა. რომ ის კაცი მეტად შეწუხდა ამ დედაკაცისაგან, ერთს დღეს მოიგონა, რომ სოლომონ იტყვის: სჯობს დედაკაცს ასპიტსა და ენოვანსაგან გაცლა და უდაბნოში დამკვიდრებაო. უთხრა ცოლსა: მამეც საბელი, წაივდე ტყეში, საშინაოთ შეშა მოიტანო. გამოართო საბელი და წაიდა. ერთს მინდორში ნახა ერთი ორმო. შეშა მოიტანა შინ და უთხრა დედაკაცსა: მინდორში ერთი ორმო ენახე საუნჯით: საესე, თვალი, მარგალიტი, ქალის სამკაული, მრავალი არის იმაშიო. დედაკაცმა აღარ მოუსვენა: წაივდეთ, მოიტანოთ. წაივდიდნენ იმ ორმოსთან. კაცმა თქვა: ჩამიშვი, ამოვიტანო. დედაკაცმა უთხრა: შენ რა იცი, მე ჩამიშვი, რიგინად ამოვიტან, არას წაეახდენო. ჩაუშო დედაკაცი, საბელი მოსჭრა და ჩააგდო, თავს დიდი ქვა დაადო ორმოსა და წამოვიდა. ერთს კვირას უკან ეს კაცი წაიდა, ენახო ის დედაკაცი, ორმოში მოკვდა, თუ ისეც ცოცხალიაო. ორმოს პირზედ რომ მივიდა, ორმოს პირიდან ერთმა დაუძახა: ვინ ხარ მადლიანი, მიშველეო! ამ კაცმა უთხრა: ვინა ხარო? იმან უთხრა: ეშმაკი ვარო, ჩემი სამკვიდრებელი ეს იყო, მაგრამ ერთი ანხლი დედაკაცი ჩამოვარდაო, აღარ დამაყენა; აქ ორმოს პირზედა ვდგევარ, თუ ქვას აიღებ და ამომიშვებ დოვლათს შეგყრიო, ხელმწიფის ქალი ავით არის, ეშმაკული არის, მოგცემ ნიშანსა, რომ წაიღებ, იმ ქალს უჩვენებ, იმას ეშმაკი გაეცლება და მორჩებაო, იმ ქალსაც შენ მოგცემენო და დიდებასაც იშოვნო. მაგრამ საცა მე მივალ და დაგიკერო ვისმე. თუ კიდევ მოხვალ იქაო; მერე იმას გაუშვებ და შენ დაგიკერო! გამოართო ნიშანი და ამოუშო ეშმაკი. მოვიდა [ეს კაცი] ხელმწიფესთან და მოახსენა: ვინც შენი ქალი მოარჩინოს, რას მისცემო? უბძანა: ჩემს ქალს მიეცემო. შევიდა ეს კაცი ხელმწიფის ქალთან, ნიშანი უჩვენა, ეშმაკი მოშორდა და მორჩა. ის ქალი მისცეს ამას და დიდს ხარისხში შეიყვანეს. ის ეშმაკი ერთს სხვას ხელმწიფის ქალში შევიდა და ის ქალი დიდად იტანჯებოდა. აქიმებით ვერ მორჩა. უთხრეს, იმ ხელმწიფის სიძემ რომ¹ ხელმწიფის ქალი მოარჩინა, ის მოიყვანეთ, ის მოარჩინსო. იმ ხელმწიფემ დიდის ვედრებით ამ ხელმწიფეს წიგნი მოსწერა და დიდებულნი მოუგზავნა: შენი სიძე გამომიგზავნე, ჩემი ქალი მოარჩინოსო. ხელმწიფემ წასვლა უბძანა. შეწუხდა ეს კაცი. არა-რა იცოდა, მაგრამ ხელმწიფის ბძანება ვერ გატეხა. წაიდა, კართან რომ მივიდა, ეშმაკი გამოვიდა და უთხრა: მე შენ არ გითხარ, საცა მე ვიყო, იქ ნულარ მოხვალო, თორემ შენ დაგიკერო?² ამ კაცმა უთხრა: შენის ერთგულობისათვის მოველ, ის დედაკაცი ორმოდამ ამოსულა, გემებსო, აქ კართანა დგასო. ეშმაკმა დაუმაღლა და უთხრა: ღვთის გულისათვის მაცა, კარი მაგრა დაკლიტე, ბანიდამ გავეპარო, იმ დედაკაცმა აღარა მხანბოსო! გაიბარა ბანიდამ და წაიდა. მორჩა ის ქალი. მისცა ხელმწიფემ მრავალი [საჩუქარი] და ეს კაცი გაისტუმრა.

თარგმანი: თუ კაცს ასპიტი და ენოვანი ცოლი ჰყავს, როგორც იტყვის სოლომონ: სჯობს მოშორება, გაცლა და უდაბნოში დამკვიდრებაო.

123. მართი კეთილშობილური კაცი იყო

ერთი კეთილშობილური კაცი იყო. ქარავანს გაჰყუდა, საეპკროთ წაიდა. ქარავანი დიდი იყო. მივიდნენ ერთს უწყლოს მინდორში. მეტად შეწუხდნენ. იქ ახლო ერთი ჯურღმული იყო წყლიანი, შიგ ეშმაკი ბუღობს, ვინც იქიდან წყალს ამოიტანს, ვეღარ ამოვაო. თქვეს ქარავნის კაცთა: ვინა ხართ ავთი კაცნი, თქვენნი სისხლი მოგცეთ, ჩახვიდეთ, წყალი

¹ A-1786+ რომ, ² +თუ გითხარ.

მოგვეცეთ იმ კეთილ-მოღვაწე კაცმა თქვა: მაშვეით ჩემი სისხლის ფასი, მე ჩავალ-
 აღუთქვეს მიცემა. ჩავიდა, რაერთი უნდოდათ, სამის დღის სამყოფი წყალი მოსცა, ის
 კეთი დაიჭირა ეშმაკმა და ის ეშმაკი დიად საძაგლად ეჩვენა და უთხრა: მოგწონვარო?
 უთხრა ამ კაცმა: მაღლობა ღმერთსა, რომა განახე მაგისთანა მშვენიერის სახისაო, რომ არ
 მინახავს შენი მსგავსი მშვენიერო, რომ ვაქო ყოველდა შენი სიმშენიარეო! იქ კიდევ იყო
 ერთი მყარა და უშვერი ბაყაყი. ახლა ისი ჰკითხა: ბაყაყი რაგვარი არისო? ამ
 კაცმა დაუწყო ჭება, რომ იმის ამხანაგი ქვეყანაზედ სიმშვენიერე აღარა დაადარა-რა.
 მერე ის ეშმაკი და ის ბაყაყი ერთს სხ[ე]ას გამოთხრილში [შვეიდენენ] და სხვა სახეთ შე-
 იცვალნენ. ნათლოვნათ მოვიდნენ იმ კაცთან და უთხრეს: ახლა როგორნი ვართო? ერთი
 კაცის სახით იყო და ერთი ქალის სახეთ. ამ კაცმა უთხრა: აღრვეე ვიცოდი ეგ
 თქვენი მშვენიერება, იმისთვის გაქეთო. ეს კაცი შეიყვანეს სხვას გამოთხრილში, უჩვე-
 ნეს მრავალი დახოცილი კაცი და უთხრეს: ვინც აქ ჩამოვიდნენ, ჩვენი თავი უჩვენეთ,
 არაეინ მოგვიწონა და იმისთვის დაეხოცეთო. ახლა რადგან შენ მოგვიწონე, [არ მოგ-
 კლავეთო]. ერთი სხვა გამოთხრილი უჩვენა თვალთ, მარგალიტით, ოქროთი და ვერცხ-
 ლით და სხვას საუნჯით სავსე და უთხრა: რა ერთი გინდა წაიღე და წადი მშვიდობი-
 თაო. უთხრა კაცმა: როგორ წავილოო, გურღმული ესე ღრმა არის, ვერ ავიტანო,
 ჩემი ამხანაგებიც წავიდნენო. მაშინ აიღო იმ ეშმაკან ერთი ტომარა, აავსო თვალითა,
 მარგალიტითა, ოქროთი და ვერცხლით და სხვა საუნჯე[თ] და გურღმულიდამ მალდა
 აუტანა, მისცა და უთხრა: წადი მშვიდობითაო. აიღო, წაიღო და თავის ამხანაგებს მო-
 ეწია. იმათ ნახეს და გაიკვირეს, თუ როგორ მორჩა იმ ეშმაკსაო!

თ ა რ გ მ ა ნ ი: კეთილსა და კეთილის მოქმედის კაცის შემწე ღმერთი არისო, ემ-
 ბაკი იმას ვერას ავნებსო. როგორც იტყვის სოლომონ: მადლიანი ბოროტს მონადირეს
 მოურჩებაო და იმის ნაცვალ უღთონი ჩაეარდებიან.

124. მესენიარი დეკანოზი იყო, შვილი უნდოდა მღვდლად მასრთხა

მეცნიერი დეკანოზი იყო ქალაქსა ერთსა. ამ დეკანოზმა შოინდომა თავის შვილის
 მღვდლად კურთხევა. შეიყარნენ ეპიტკოპოზი და მღვდელნი საეურობაგათ. აჰ დიკანანს
 სწრაფათ მიეძინა და სიზმარში ეს დიკანანი მიიყვანეს ერთს ადგილს. ერთი მალალი
 კიბე იდგე, კიბის თავში ერთი ნათელი მოსილი დიდი სახლი იყო, იქ ერთი ხელმწიფე
 იჯდა და მღვდლებს ანგარიშს აართმევდა. მოიყვანეს იმ დიკანენს მამა რომ იყო, მოხუ-
 ცეული, ბელები შეუქრეს და მძიმე საპალნე აჰკიდეს და უთხრეს: მაგ კიბეზედ ადი და
 იქ ხელმწიფეს ანგარიში მიეცო! იმას ის საპალნე ვერ აეტანა და ანგელოზნი ცეცხლის
 მახათით ჩხელეტდნენ: ჩქარა ადი; ანგარიშიც მიეცო და საპალნეც აიტანეო! იმას
 ვერ[ც] საპალნე დაეძრა და ვერ[ც] ადიოდა. ერთმა ნათლით მოსილმა ანგელოზმა თქვა:
 მაგას არ შეუძლია, მაგისი საპალნე. მაგის შვილს აიტანინეთო! ვერც შვილმა დაძრა
 ის საპალნე და ვერც იქ ატანა შეიძლო და ანგელოზნი სცემდენ უწყალოთ. რომ ძალიან
 ეტკინა, გამოეღვიძა დიკანანს და გაიქცა, აღარ ეკურთხა. უბძანა ეპიტკოპოზმა: რა
 დაგმართა; რომ აღარ ეკურთხეთო? დიკანანმა უთხრა: ის რომ მე ვნახე და და-
 მემართა, თუ შენ დაგმართებოდა, უწინ შენ გაიქცეოდი! ეპიტკოპოზობიდიამაო? ყოველივე
 თავის ნახული უთხრა.

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვინცა სქამს, ისევე ზღავსო. ვინცა სქამს და არა ზღავსო, თითონ
 უნდა მისცეს ანგარიში წინაშე ზეციერის ხელმწიფისა, რომ მომავალია განსჯათ.

125. მართი მესენიარი კაცი იყო, შამიკრდებს ანწავლიდა

იყო ერთი მეცნიერი, და რაც მეცნიერობა ჰქონდა, ასწავლიდა თავის შავირდსა.
 და სამი რამ არ ასწავლა ამისთვის, ვისაც სრულებით ასწავლიდა, აღარ დევბოდნენ
 იმასთან. და ამ ერთს შავირდს უთხრა: მანამ მოვკვდე, ჩემთან იყავი და სიკვდილის
 ემს იმ სამს მცნებასაც გასწავლო. როცა ამ ოსტატის სიკვდილის ემსი რამ მოვიდა,

1 გაიქცეოდი უნდა გაიქცე A-1786. 1 + რომ A-1786.

უთხრა შვირდის: მოდი, ის სამი მცნებაც გასწავლოო: ერთი ეს, რომ შენს კარგს დღეს ავთ ნუ გაატარებო, მეორე ეს, გზაზედ უკან და წინ ნუ წახვალ, შუაში იარეო, მესამე ეს, რაც თვალთ ნახო, იმას ნურავის ეტყუიო მოკვდა ოსტატი, დამარხა და თითონ წავიდა ქალაქს. იქ ნახა ერთი კარი ლამაზი და მაღალი. დილაზედ იმ კარის წინ დაგაო და მორწყო ორს დღეს ისე ქნა, მესამეს დღეს რომ კიდევ უნდა დაეგაო, მოვიდნენ, და-იქირეს და იმ სახლის პატრონთან მიიყვანეს; პატრონმა ჰკითხა: «სადაური ხარ?» იმან თავისი უთხრა. ბატონმა რომ ის ყმაწვილი ნახა, დიად ლამაზიც იყო და მეცნიერიც კარგი იყო, უთხრა: შეილო, ჩვენს ხელმწიფეს შეილი არა ჰყავს, გინდა იმასთან წავიყვანო, იმის შვილი შეიქნაო? ამან უთხრა: შენ იცი, უფალო ჩემოო. აიყვანა და ხელმწიფესთან მიიყვანა, და ხელმწიფემ შეილაღ აიყვანა. შეიქნა შვილი ხელმწიფისა. ერთს დღეს ხელმწიფე სანადიროთ წავიდა. ხელმწიფეს ჰქონდა ბეჭედი ერთი, რომ გამარჯვების ტილისა ეწერა იმაზედ და ის ბეჭედი დაეწყებოდა და ქვემო სასთაულზედ დარჩომოდა. უთხრა შეილაღ აყვანილსა: წადი, შინ, ქვემო სასთაულზედ, ბეჭედი დამჩნა, მომიტანეო! წავიდა ის ყმარწვილი, ნახა, დიდი ვეზირი ხელმწიფის ლოგინში წევს დედოფალთან. ის ბეჭედი აიღო, წამოვიდა და თავისი ნახული არავის უთხრა. დედოფალმა და ვეზირმა პიროსა შეკრეს: ხელმწიფე რომ მოვიდეს, ის თავის შვილაღ აყვანილი მოვაკვლევინოთო. ხელმწიფე რომ მობძანდა, დედოფალი მივიდა და ის უხრალო ყმარწვილი დააბეზლა: შენ რომ ბეჭდისათვის გამოგეზახენა, მოვიდა, ავთ მომეპყრა, აავკაცოთ მომინდომა! თუ ის არ მოქალ, სირცხვილით თავს კარში ვეღარ გაეყოუთო! იმ ხელმწიფემ ის ყმარწვილი სხვას ხელმწიფესთან გაგზავნა, რომ იმის ხელქვეშ იყო, წიგნი მისწერა: რას წამს ეს კაცი მოვიდეს, თავი მოსჭერიო და აქ გამომიგზავნეთო! ეს წიგნი მისცა იმ ყმარწვილს და გაისტუმრა. იმ წიგნში კიდევ ასე ეწერა: ვინც ეს წიგნი მოიტანოს, თუნდა ჩემი შვილი იყოს, თუნდა პირველი ვეზირი იყოს, თავი მოსჭერიო! წავიდა. შუა გზას რომ წივიდა, მოაგონდა თავის ოსტატის მცნება. ბოლოს გზას ნუ მიხვალაო. სალაპო შეიქნა და დოლი დაჰკრეს. ადგა ის ვეზირი, რომელიც იწუა დედოფალთან, დაიქირა ეს ყმარწვილი, თავის სახლში მიიყვანა. ვეზირს ასე ეგონა, ეს ყმარწვილი კარგს საქმეზედ გაგზავნაო, უთხრა ყმარწვილს: შენ აქ მოისვენე, ეგ წიგნი მაპეც, მე წავიღებო და შენ ამბავს მოგიტანიო. მისცა იმ წიგნი და წავიდა. ის წიგნი რომ მიიტანა, რომ წაიკითხეს, ზამინვე თავი მოსჭრეს. ვეზირს რომ თავისი მსახური გაჰყვა, მძას რომ თავი მოსჭრეს, ეს მსახური მობრუნდა. ყმარწვილმა რომ ეს ამბავი შეიტყო, ხელმწიფესთან მივიდა. რა ხელმწიფემ ნახა, დიდად გაიკვირა და მამინვე შეიტყო, რომ ამ ყმარწვილის საქმე ღმერთს წარემართა. ხელმწიფემ უძმანა: «შვილო, რა მიზეზი იყო, რომ შენი თავი დამაბეზლესო, მაგრამ შენ სიძმართლით ღმერთთან დაგიცო?» ყმარწვილი პირქვე დაეცა და მოახსენა: «იცივის დავით: დამძალეს მე მტერთა ამოხოცათ და თვითვე გარდახდათ».

თარგმანი: კაცმა რომ კაცს უმტეროს, თითონვე უნდა გარდახდეს. ავი კაცე უნდა შეყაროს ავისი, როგორც იტყვის დავით: ამოთხარეს ჩემს წინ ორმო და თვითვე ჩავარდნენა. კეთილი ჰქმენით და მორატი მოგშორდესთ, როგორც იტყვის სოლომონი: მართალი [ბოროტი] მონადირეს მორჩება და იმის ნაცვლათ ჩავარდეს ულთოო. ვინც კაცის სირცხვილი დაფაროს, ღმერთიც იმისას დაჰფარავს, როგორც ხელმწიფის შვილმა, ისე ღმერთთან მრავალი კეთილი მიანიჭა. ბძანებს წმიდა სახარება: «ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ. ნურავის დასჯით, რომ არც თქვენ დაისჯნეთ».

128. მართი მლოცავი ყმარწვილი იყო

ერთი ყმარწვილი იყო მლოცავი. ეკლესიაში ილოცედა და სხვას ლოცვას იღუმიღო ილოცედა და ჰმადლოდა ღმერთსა. ეშმაკმა მოინდომა ის ყმარწვილი განსაცდელში ჩაეგდო. ერთს დღეს ერთმა კუდიანმა უთხრა [ამ] ყმარწვილს: ჩვენსა მოდი, რასაცა მთხოვ, მოგცემო. ყმარწვილი გულის სიძმართლით გაჰყვა იმას. კუდიანმა შინ მიიყვანა, კარი დაეკრა და შვიდით სახლში შეიყვანა. ყმარწვილს უთხრა: შენ აქ იყავ, მანამ მე მოვიდეო.

იქ მოიცადა. კუდიანი წავიდა, დაიგვიანა იმ დღეს და ემარწვილი სულ ილოცედა, ლოცვისაგან არ დამცხრალა. როდეს ის კუდიანი მოვიდა, ღამე იყო, თუბი მისწუნარებოდა, ორი ცხენი მოიყვანა, უთხრა: ერთზედ შენ ზეჯუქო და ერთზედ ბო. შესხდნენ. წავიდნენ. ემარწვილმა არ იყოლა, სად მიჰყუარო. მივიდნენ ერთს დიდს შინდორსა. შინდორი იყო სიმყარალით სავსე. [იმ] შინდორში იდგა მალალი ციხე ზაფი და ჩარდახი იყო შავი, იმ ციხეზედ ერთი შავი ტახტი იდგა, შავი (ელმწიფე იჯდა იმაზედ). წავიდა კუდიანი, იმ შავს ხელმწიფეს უთხრა: გიახელო. იმანს უთხრა: ჩემო ბეჯითო მუშავე, დღეს რა გიმუშავნიაო, ან რა მოგიგიაო? კუდიანმა უთხრა: ეს ემარწვილი მომიყვანია, რომ შენ თაყვანი გცესო. ხელმწიფემ უთხრა ემარწვილს: თუ თაყვანსა მცემო, ჩემს მსახურებზედ მეტს დიდობას მოგცემო. მაშინ ემარწვილს ლოცვა მოაგონდა. უთხრა ემარწვილმა: ეამი არის ჩემის ლოცვისაო, თაყვანისცე ქრისტესაო, რომ დაგიხსნა ჯოჯორეთიდან და ეშმაკის ხელიდანაო. დაეცა აღმოსავლეთისაკენ და თაყვანისცე ქრისტესა. მაშინ ეშმაკმა კეა და ქუხილი საშინელი, და ემარწვილი მისუსტდა. რომცა მოსურვილდა, ველარა ნახა. რა იმის მეტი, რომ იყო დიდა შინდორში. მოვიდნენ ანჯელოზნი, გზა უჩვენეს. და წავიდა ქალაქსა, და ის ამბავი უთხრა ყველასა. შეიტყო ხელმწიფემ და იმ ემარწვილს¹ [დაუძახა] და უბძანა: ჰი, კეთილო ყრბო, მე მიგალ იერუსალიმს, მომევე თანაო, რომ თაყვანისცე ქრისტეს საფლავსაო და ყოველს წმიდას ალაგებსაო ქრისტეს ღვთისა ჩვენისასაო! წავიდნენ. როდეს თაყვანისცეს ქრისტეს საფლავსა და ყოველს წმიდას ადგილსა, ქრისტემ უბძანა ემარწვილს: ჰი, ემარწვილო, მეორედ მოსვლას შენს გარჯილობის ნაცვალად ათასეულად და ბერეულად მოგაგო, რომ იმდონს ეშმაკებში მე თაყვანისმცეო უშიშრად და მე ქრისტე ღმერთად აღმოაჩეო!

თარგმანი: მლოცავს კაცს ღმერთი ყოველის ბოროტისაგან იხსნის და განსაცდელს ეშმაკისაგან, როგორცა ჰბძანებს წმიდა სახარება: ერთისათვის ასეულად, ათასეულად და ბერეულად მიიღებს. რომელსა ჰქონდეს ყური, ისმინოს.

127. მელა და არწივი დაჰმოვიდნენ

მელა და არწივი დაჰმოვიდნენ, უმეცნიერობით ფიცი და პირბა დადეეს, რომ რაც ნადირი დაიჭირონ, ერთად ჰპაონ. როდეს მელა ინადირებდა, ისი და არწივი ერთად სკამდნენ. და როდეს არწივი ინადირებდა, წაიღებდა ნადირს, აიტანდა ერთს მალალს ადგილსა. მელა იქ ვერ ავიდოდა. ნახა მელამ, რომ უმლოთობს. დაუძახა მელამ: ანუ უღმთო და ხარბო და ავაზაკო.

თარგმანი: თუ კაცი თავის ამხანაგთან მრუდია, ის ემგზავება ქერდსა და ავაზაკსა, იუდას და კაცის მკვლელსა.

128. მათმა ქასმა ნიგვზის ძვეო გონხანი ნაამთა

ერთს კაცს ნიგვზის ქვეშ ბოსტანი გაეკეთებინა, საზამთრო დაეთესა. მოვიდა დამთესი და ნახა, დიდზონი საზამთრო მოესხა და აიხედა მალა, ნახა, ნიგვზს წყრილთ კაკალი ესხა. თქვა: უფალო ღმერთო, ყოველი რიგზედ გააჩინე, მაგრამ ეს ორი ზარცული რათ არის უმგზავსო? ამ სიტყვაში ძილი მოუვიდა, ნიგვზიდან ერთი კაკალი ჩამოვარდა, შებლზედ დაეცა, დიად გტკინა, შებლიც გაუტეხა, სისხლი გარდმოედინა. წამოდგა და ევედრებოდა ღმერთსა და თქვა: უფალო ღმერთო, შენი ყოველი გარიგება კარგია, ვინც ნაკლებათა თქვას, ჩემს უარესად იმას გაუტყვედს თავიო. თუ ეს საზამთრო ყოფილიყო და ნიგვზსა ჰბოლოდა, მომკლევდაო!

თარგმანი: ყოველმა კაცმა უნდა თქვას: რაც ღმერთთან გააჩინა, ყველა რიგით და სამართლითაო! კაცმა ღვთის გაჩენილსა და განწყისებასა არ უნდა დაიწუნოს. ვაი ჩემს თავსა და ვაი!

1. 1766: ' ემარწვილი.

129. ერთი კაცი იყო, თავის დღეში კეთილი არ ექნა, სულ ცოდვაში დაელაპებინა და თავის დღეში ავით არ გამზდარიყო. ერთს დღეს წავიდა სასაფლაოში, იქ ეკლესიის კარზედ ძელი მოუვიდა. ადგა და სინანულად მოეგო, ეკლესიის აშენებას ხელი მიჰყო. როცა დაასრულა ეკლესია, ავით გახდა სასიკვდილოთ. თქვა: უფალო ღმერთო, რამდონი ვამი იყო, ცოდვაში ვიყავო და ბოროტშიაო და ავით არ გაეხდო, და როცა ეკლესია ავაშენე, ახლა ავით გაეხდი და ვკვდებიო. ნუ თუ ჩემი ეკლესიის აშენება ღმერთმან არ შეიწყნარაო! მაშინ ეჩვენა თავისი კეთილი ანგელოზი და უთხრა: ანუ წინ აღუდგები, ღმერთმან შეგიბრალო, შენი ეკლესიის აშენება ყოველს საქმეზედ უფრო მოგიწონა.

თარგმანი: რომელნიც შეინანებენ და ცოდვისაგან ხელს აიღებენ, ღმერთი იმით ცოდვას აღარ მოიხსენებს. ღმერთს უნდა, კაცმა კეთილი იმოქმედოს და მერე მოკვდეს, რომ ეღირსოს სასუფეველი. ღმერთი მოწყალეა.

130. მალხანაზ დანიჰანა, ვი ვშიდა ვააკო

ეკლესიამ დაიკვხა: მე წმიდა ვარ და ტაძარი ჩემი ღვთის სახლიაო, მოვლენ ჩემსა ეპიკოპოსნი, მღვდელნი, ილოცვენ, სწირვენ, ღმერთი მოწყალებას მოიღებს ქვეყანაზედ და ცოდვილნი მოიქცევიანო. მაშინ მოეა წისქვილი და ეტყვის საყდარსა: რაცა სთქვი, ქვეშარტი არისო და მართალიაო, მაგრამ შენ ჩემს სიკეთეს ნუ დაიფიწყებო, რომ დღე-ღამ ვირჯები, ვიგებ, რომა ქაშონ მღვდელთა და ერთა, მერე მოვლენ შენთან და ილოცვენ, და თაყვანისცენ ღმერთსა.

თარგმანი: არიან ქვეყანაზედ კაცნი, რომ მუდამ ირჯებოდნენ და იგებდნენ, როგორც განბრკველული მეფენი, დიდებულნი, მღვდელნი და ერნი, აბა, სკამენ მოგებულსა, მერე წავლენ ეკლესიას და აღიდებენ ღმერთსა.

131. ხარისა და ცხენის ბაასი

ხარმა და ცხენმა იზაასეს. ცხენმა უთხრა ხარსა: აშენ ვინა ხარ, ან რის მარგებელი ხარო ჩემზედ? ოკროთი და ვერცხლით გაკეთებულს უნაგირს დამადებენ, მეფენი, თავადნი და ჩინებულნი შემსხდებიან! ხარმა უთხრა: ყოველის ქვეყნის სიჭადული მე ვარ, რომ გავირჯები, მოვიგებ, მდაბალი ვარ, მაგრამ მეფენი და ერნი და თქვენა სკამთ ჩემს ოფლით ნამუშაჲარსა. თუ ჩემი მოგება არ იყოს, თქვენცა და თქვენი მეფენიც დაიხოცებით, შენ რათა ხარ სიკეთის დაუნახავი!

თარგმანი: კაცი არის, იმუშაებს ხარს უკეთ, კაციც არის, რომ მუდამ ცხენზედ ჯდება ქვეყნის დასაქცეველად. თუ კაცმა არ იმუშაოს, როგორც ხარი, ცხენიც მოკვდება და ზედა მჯდომიცა.

132. მართი მხმირ არის საპალნის ამკიდებელი

ერთი მხეცი არის საპალნის ამკიდებელი. საპალნე ეკიდა: ერთი ცალი სასიკვდიინე წამალი იყო და ცალი კაცის მკვლელი მახვილი იყო. წავიდა, ერთს ეიწროს გზას მიადგა. იქ გაელა ვერ შეიძლო. როცა საპალნემ შეაწუხა, ერთს მხარეს მახვილი დაერკვენენ, ერთს მხარეს სასიკვდიინე წამალი ჩაეყარა პირში და მოკვდა.

თარგმანი: საპალნის ამკიდებელმა კაცმა უნდა კეთილი აიკიდოს მარადის ზურგზე, და კაცნიც ვასულელებულან ეშმაკისაგან, კეთილის მაგიერ ცოდვის იკიდებენ, როგორც მახვილსა და სასიკვდიინე წამალს.

133. ჯოჯოს მართი ბუნება აძხ

ჯოჯოს ერთი ბუნება აქვს, რომ მუდამ თავის ბუდეს ვერ აძოვნის. დედამიწას მოსთხრის, ერთს ალაგს ვერ მოისვენებს. იმას ავი სული უღის თითონ, თავისის ავის

სულით სხვა და სხვას ადგილს იცვლის, ასე ჰგონია, ავი სული ადგილს უდისო. აქა-იქ მიწას მოსთხრის, მაგრამ ავი სული თითონ არის.

თარგმანი: არიან კაცნი ქვეყანაზედ, რომ მუდამ ადგილიდამ ადგილი იცვლიონ; მოუსვენელნი არიან. ავი სული მოუსვენლობიდან არის. თუ ბუნებით კეთილი არის, ყოველს კეთილს შეიძინებს.

134. მართი ცხოველი არის ზღვაში უვნებელი

ერთი ცხოველი არის ზღვაში, დიალ კარგი და ადამიანისა და მხეცის უვნები, ბალახსა სძოვს, ერთი რქა აქვს შუბლზედა და წვერი ქვეითა აქვს. წაყა, ზღვაში ჯვარის სახეთ რქას გამოაფლებს, წყალი გატკბება, თითონ დაღვეს, რაც ცხოველნი არიან, იმას უუფრებენ, ის რომ რქას გამოაფლებს, მივლენ და ყველანი დაღვეენ.

თარგმანი: თუ ყოველს კაცს ავკაცობა არა აქვს, როგორც ის ცხოველი, კეთილი კაცი ბერნი და მეუღდანოენი არიან, და რჩეულნი კაცნი, რომ არა-აქვსთ ბოროტი, იმათ შეუძლიათ მწარე გაატკბილონ და ბოროტი კეთილად შესცვალან.

135. ჰირს წენ აძვს, ხატა გაუპირდება, ლაფში ჩაეფლოვა, იმ აღარ გაივლინ

ვირს ერთი ზენ აქვს: საღაც სჯემე გაუპირდება, ან ლაფში დაეფლობა, იმ ზაზად აღარ გაივლის. ყოველთ ცხოველთ და პირუტყვზედ ვირზედ უმეცარი არაინ არის. აბაბი ვირს სულელს ეძახის. კაცი კაცსა ხომ ერყვის, ვირზედ უფრო უმეცარი ხარო.

თარგმანი: კაცი რომ გიციღია ერთხელ, ისიე არის, რომ გინახავს. კაცი თავის საქმეზედ ნამუსინანათ უნდა იყოს. ის საქმე რომ უციღია ერთხელ, იმან აღარ უნდა ქნას, თუ ქნას, ვირზედ უფრო უმეცარი იქნება.

136. მართს კაცს უფუნური ცოლი გუვანდა

ერთი კაცი იყო, ცოლი ჰყვანდა ერთი უფუნური. ერთხელ მეცნიართაგან გაიგონა: თუ სიკეთე ქენიო, ზღვაში ჩააგდე, უხმარი ნუ დარჩებო. კაცმა განიწყნა და დაეჩეია, ყოველს დღეს ერთს პურს ზღვაში აგდებდა. ზღვიდან ერთი [კაცი] გამოდიოდა, ის პური ხელმწიფესთან მიჰქონდა. დღესა ერთსა ზღვის ხელმწიფემ ბძანა: ის კაცი მოიყვანეთ, რომელიც ზღვაში პურს აგდებსო, რომ მეც იმისი სიკეთე გარდვიხადო! რომელსაც პური მიჰქონდა ხელმწიფისათვის, მოვიდა ის და პურის ჩამგდებს უთხრა: ხელმწიფემ ბძანა: ის პურის ჩამამგდები კაცი მოგვარეთო, რომ იმისი სიკეთე გარდავიხადო! იმ ზღვის კაცმა დაარიგა: რაც მოგცეს, შენ ნუ გამოართმეე, შენ უთხარ, ჩემი ენა ერთი შენს პირში გამომაულებინეო. პირზედ ბადე შემოავლო და ზღვაში შეიყვანა, ხელმწიფესთან მიიყვანა. უბძანა: ფი, კაცო, რაც გინდა, მთხოვე, მოგცე! მოახსენა: ჩემი ენა შენს პირში გამომაულებინეო. მიიტანა ენა და ხელმწიფეს პირში გამოავლო. მაშინეე ისწავლა ყოველის მხეცის და ფრინველის ენა. როცა გამოვიდა ზღვიდან, წავიდა, ერთის კლდის ქვეშ დაჯდა. მოვიდა ერთი ფრინველი და დაჯდა კლდის თავზედ და თქვა: ამ კაცმა არ იცის, თუ რა მარხია ამ კლდის ქვეშა. ზღვის ხელმწიფემ დაარიგა: შენს საქმეს კაცს ნუ ერყვიო, თუ უთხარ ვისმე, მოჰკვდებიო. ფრინველისაგან რომ შეიტყო, რაც ეფლა კლდის ძირში, ამოიღო და თავის სახლში მიიტანა. ცოლმა შეაწუხა კაცი თუ, ეს ვინ მოგცაო?! იმას სიკვდილისა ეწინოდა და ვერ ეუბნებოდა. როდეს იმ სულელმა ცოლმა აგინა ქმარსა: მითხარ, ვინ მოგცაო, მაშინ მოინდომა ქმრის სიკვდილი. წავიდა კაცი, აღსარება თქვა, ეხიარა, უნდა ეთქო და კიდევ მომკვდარიყო. იმ ლამეს მამალმა სამუჯერ ფრთა შემოჰქარა და დაიძახა. ძაღლმა დაიყუფა და უთხრა: რას ეხიარიან, რომ ფრთა შემოჰქარო, ხეალ ჩეენი პატრონი უნდა მოკვდესო და ჩეენ უპატრონოთ დაერჩეთო! მამალმა თქვა: ან რა ვქნა, თუ მოკვდებო! მე ორმოცი ცოლი მყავს და ჩემის ბძანების მორჩილნი არიან! ძაღლმა თქო: თუ დიალ სულელი და ანხლიაი? მამალმა უთხრა: ეგ საქმე ადვილი არისო, როცა გათენდეს, წავიდეს ტყეში, ორმოცი მუხის უჯობი მოსქრას, მოიტანოს. ცოლმა რომ ჰკითხოს ვინ მოგცა, მითხარო, კაცმა უთხრას:


1 დარჩებოლ ჩაადგებო S-2966.

ამ ორმოცს სახრეს ზედ დავამტკრებ, უთხრას, ამ სახარებმა მომცაო. ამ კაცმა სწორეთ ისე ქნა: ცოლს აპლონი. სცემა, რომ იხვეწებოდა დედაკაცი და ღიღად ეფიცებოდა: ოლონდ ნუ მომკლავ, აღარა გკითხავო, თუ ვინ მოგკაცაო.

თარგმანი: ბევრი კაცი არის, რომ თავის საიდუმლო ცოლს უთხრას. ცოლი უთქმელობას ვერ მოითმენს. კაცი წახლება, იქნება, კიდევ მოკვდეს. მართებს კაცსა, მრავალი კეთილი უყოს ცოლსა, რომ ერთ-გვამნი არიან, მაგრამ თავის საიდუმლო განზრახვა არ უნდა უთხრას.

137. მართხ კაპხ მართი ლამაზი მამობარი ჰჰჰანდა

ერთი კაცი იყო, ჰყვანდა ერთი კარგი და ლამაზი მოყვარე. წავიდა ეს კაცი ღვინის სასმელათ, მეჯლისი ქნა და თავისი მოყვარე იქ არ იყო. როცა შუალამ[ე] შეიქნა, მოიკითხა თავისი მოყვარე და წავიდა იმ თავის მოყვარესთან. მეჯლისში გამართა, ღიღად მიიღო. ორმოცი კაცი მიჰყვა, ისინიც შეასხა, დასხა. მაგრამ ის თავისი მოყვარე მთერალი იყო, ვერა გაიგო რა. როცა ღვინო ცოტათ გამონეღდა, აიკიდა ამ მოყვარემ და თავის სახლში მიიყვანა. გზაზედა ჰკითხა: ვინა ხარო? უთხრა: ვერ მიცნობ, შენი ძმა ვარო. მაშინ იცნა და უთხრა: არც ერთმა ყური არ მიგდო, ყველანი თავიანთ სახლებში წავიდნენ და შენ კი მიპატრონეო! ეს მთერალი თავში იცემს და სტებენიან. შინ მიიყვანა, ლოგინი დაუგო, დააწვინა, დაბუსრა და მოასვენა. როცა გათენდა, შეიტყო ყოველი ყოფილი. სტებენოდა. უთხრა ცოლსა: მოიყვანე ის ზეარაკი, დავკლათ და ჩვენი მოყვარე დავჰპატიოთო.



მეჯლისი წიგნი
ავტორადი (A-1786)

თარგმანი: მემთერალე კაცი წაუხდენელი არ დარჩება. რა გინდ რომ კარგი მეგობარი და ძმაცაი ჰყვანდეს, ორჯელ და სამჯერ იმისი სირცხვილი დაძვარონ, ბოლოს, თუ არ მოიშალა მემთერალობა, სულითაც დაიკარგება და ხორციითაც, და მრავალნიც დაქარგულან.

138. ბროწეულის ხემს და ზეთის-ხილის ხემს ლამაზი მამობადო

ბროწეულის ხემს უთხრა ზეთის-ხილის ხესა: მე წითელი ბროწეული მაქვსო, ლამაზი ვარ შენზედო. ზეთის-ხილის ხე ეტყვის: მე მარცვალი ზეთისა [მაქვს], რომ კაცს გაანათლებს[ო].

თარგმანი: ბროწეულის ხე ხელმწიფება არიან და ზეთის-ხილის ხე მღვდლები არიან. თუმცა ხელმწიფება მშვენიერნი არიან, მაგრამ მღვდლებთან ვერ არიან. მღვდელი სჯობია ხელმწიფესა. მღვდელი ბნელს განმანათლებლია, ცოდვილის სულს გაანათლებს.

139. და წამს თევზი წაუღდა მამობა, მოკვდებო

რა წამს თევზი წაუღდა მამობა, მაშინვე მოკვდება. თარგმანი: კაცი რომ ღვთის მცნებას გარდავა, მოუკვდება სული. სიკვდილს უკან სულითა და ხორციით დაისუდება.

140. ჩანგლით რომ თივზი დაიხრისა, მოკვდება

როდესაც ჩანგლით თევზი დაიჭარება, ის მოკვდება.

თარგმანი: როდესაც კაცი ცოდვაში შევა, ის ეშმაკის ხელით მოკვდება, როგორც მოკვდა თევზი ჩანგალში.

141. მისნიერი კაცი ბაზლახავდა

ერთი მესნიერი კაცი გაგლახავდა. ერთი ბედოვლათი შვილი ჰყვანდა. თავის სიყვდილის ეანს დაუძახა შვილს და უთხრა: ჩვენს ვენახში აღრევე საუნჯე შემინახავს კაის ალაგს. არ გიჩვენებ, წადი, გაისარჯე, ღრმით მოთხარე და იპოვნეო. მამას უკან შვილი გაისარჯა დიდის გარჯით და ღრმითა სთხრიდა, ეგების ვიპოვნოო. იმ თხრით ვენახმა იმატა და მერე შრავალი ნაყოფი მოიხსნა. შეიქნა იმასთვის საუნჯე.

თარგმანი: დიდი კეთილია მუშაობა. დიდად მარგებელია სა[ა]ქაოსაცა [და საიქიოსაცა], მაგრამ მცონარნი არც აქ კეთილად იცხოვრებენ და არც საიქიოსა. როგორცა სწერენ: მცონარისა და დაშარებლისათვის დაკტილია კარი სასუფეველისა და არაოდეს გაეღებათ.

142. კაცმა ვხელი დაიხრია

ერთმა კაცმა მგელი დაიჭირა, ფეხები შეუჭრა, ძალს აჰკიდა და შინ მიჰყვანდა. კაცებმა ნახეს და უთხრეს: ეგ რა გიქნიაო? უთხრა: შინ მიმყავს, ამას ჩემს შვილებს მოუწვევ ხოლმეო და ვაქმეო. კაცთ უთხრეს: მაგს ქვეყნს მწველელი ამოუგდია და შენ შენთვის მწველელად მიგყავსო!

143. მათი ვხელი მალა ავიდა

ერთი მგელი მალა ავიდა. ნახა, ქვეით ერთი პირი ცხვარი სძოვს, მივიდა დაუთხრა: მშვიდობა, მშვიდობა თქვენთანა! ერთი ბერი ერკემალი ერია, იმან უთხრა ცხვართა: მართალია, მშვიდობა გეითხრა მგელმა, მაგრამ ყველამ თქვენს თავს უშეუღეთო.

144. მათხ კაცს ვირი დაჰაარგოდა

ერთს კაცს ვირი დაჰკარგოდა და დიად მწუხარებით დაეძებდა. მგელი შემოეყარა და ჰკითხა: რათა ხარ მწუხარეთაო? კაცმა უთხრა: ვირი დაეკარგე და ველარ მიპოვნიაო. მგელმა უთხრა: ჭი, კაცო, შენი ვირი მე ვიპოვნეო. კაცმა უთხრა: მომეც, საპოვნელას მოგეცეო. მგელმა უთხრა: შენი ვირი ტალახში ჩაფლულიყო, სამი დღე გავისარჯე, ძლიე გამოვიყვანე და ჩემს გასამრჯელოში შევჭამეო, ვიცოდი, საბარლო კაცი იყავი და ჩემის გასამრჯელოს მოცემა არ შეგეძლოო.

145. ძვირი ღიდაკაცს ათი თხა მყვანდა

ქვირე ღედაკაცს ათი თხა ჰყვანდა, და ჰყვანდა ერთი შვილი. ყოველ დღე შვილს მიჰყვანდა და თხებს აძობდა, და ღედა¹ სწველდა და ერთს ციცხეს წყალს ურედა რძემი, და ისე ჰყიდდა. შვილი ეუბნებოდა: დედა, წყალს ნუ ურეე, ცოდვა არის, წყალს რძის ალაგს ნუ ჰყიდი, თორემ ერთხელ ინანებო! დედამ უთხრა: ვილო, რძე ცოტა არის, წყალს იბირემ ურეე, რომ მოემატოსო. დღესა ერთსა ყმარწვილი აძობდა. მოიღრუბლა, წვიმა დაიწყო, მოეარდა ღვარი, ის თხები მოიტაცა და წყალში ჩაყარა. შვილი ტირილით მოვიდა დედასთან. დედამ უთხრა: ცარიელი რათ მოხველ, სად არიან ჩვენი თხებიო? შვილმა უთხრა: რძეში რო თითოს ციცხეს წყალს ურედი, ის წყალს ღვარად იქცა, ჩვენი თხები იმ ღვარმა მოიტაცა და წყალში ჩაყარაო!

თარგმანი: ღვთის სამართალი ქეშმარიტი არის. თუ რომელიც კაცი უსამართლობას იხმარებს, მეტობით მიეგება, აქაც გვითხება და მეორედ მოსულას სამართალშიაცა.

¹ A-1786 + ამის.

146. ბაღდალს ერთი კარგი ხელფუნჯი ღურგალი ოსტატი იყო.

ბაღდალის ქალაქში ერთი კარგი ხელფუნჯი ღურგალი ოსტატი იყო. სამი წელიწადი იმოქმედდა, ამბრის მარცელის საკურთხეველი გააკეთა, მრავალი სახე ჩაყარა, რომ იქსთანა კაცის თვალს არ ენახა-რა. წაიღო, მეტეს ზიართო, ასე ეკონა, ან ერთს: ქალაქს და ან კარგს სოფელს მიბოძებდა. ხელმწიფემ რომ ნახა, ღიღად გაიკვირე და აქო, ათასი ვერცხლი უბოძა. აიღო ის ვერცხლი და გარეთ კარზედ დაჯდა მწუხარეთ. უნდოდა ის ათასი ვერცხლი ისევ მეფისათვის შეებრუნებინა. მოვიდა ერთი კაცი, ერთის ლანგრით ვარდი ეჭირა. ის რომ ნახა ისრე მწუხარეთ, უთხრა: კაცო, რათა ხარ ეგრე მწუხარეთათო, რა მიზეზი არისო? იმან უთხრა: სამი წელიწადია, რომ ემუშაობ, ამბრის კურკილამ რის წვალებით ერთი საკურთხეველი გააკეთე, რომ ათას ოსტატში ერთი ვერ გააკეთებს იმისთანასაო, მოვიტანე, მეფეს მივართვი, ან ქალაქს მაჩუქებს, ან კარგს სოფელსა მეთქი. იმან ეს ათასი დრამი მომცაო, უნდა უკუ-უბრუნოო. იმ კაცს რომ ვარდი ეჭირა, იმან უთხრა: შენ მართალი ხარ, ამ ხელმწიფემ ხელოსნის* ყადრი არ იცისო. მეც ხელოსანი ვარ, ამდონი წელიწადია, მე ამ კარზედა ვარ და იმას ერთხელ ჩემთვის არაფერი მოუტოო. ამ ღურგალმა უთხრა იმ ვარდის მომტანს: შენ რა ხელობა იციო? იმან უთხრა: ამ სარაიის მე ვწმენდო. ღურგალმა სარტყლილამ ხელეჩო ამოიღო და იმ სარაიის მწმენდელს ცალ ნებარეს წერზედ დაადო. ასე ზოგბარსა, რომ საზარტებელს უკეთესათ. ისე შევიდა მეფესთან, ისე მასხარათ შეიტანა ის ვარდი. უბძანა ხელმწიფემ: ჭო, კაცო, აგრე შერცხენილი როგორ შენოხველ აქაო? მოახსენა: ჩემო ხელმწიფევე, კარზედ ერთი კაცი ზის ნალელიანათ, ვკითხვ: რათა ხარ აგრე შეწუხებული? მითხრა: სამი წელიწადი ვიმუშავე, ამბრის კურკილამ ერთი საკურთხეველი გააკეთე, ხელმწიფეს მოვართვი, მეგონა, ან ქალაქს მაჩუქებს, ან სოფელსა-მეთქი, და ათასი ვერცხლი მაჩუქაო, იმაზედა ვარ შეწუხებულიო. მინდა ეს თეთრიც ისევ შეუბრუნოო. მე უთხარ: ჩვენმა მეფემ ხელოსნის პატრი არ იცის-მეთქი. მეც ამდონი ხანია ევმოსხურები და არც არაფერი ჩემთვის მოუტოო? მკითხა: რა ხელობა იციო? მე უთხარ: სარაიის უკლი და კარგს გოდორს დაეწავო. ის ეჯავრა, სარტყლილამ ხელეჩო ამოიღო, წვერზედ დამადო და ასე მომეპარსაო. დაუძახა ის ღურგალი და უბძანა: მართლა შენ უყავ ესაო? მოახსენა: მე უყავო. გაფიცებო, რომ მეორეს წვერსაც ისე უყავო, რომ ვნახოო. ამოიღო ღურგალმა ხელეჩო, დაადო მეორეს წვერზედ, რომელიც მხარე მოუპარსავე იყო, ისიც სწრაფად მოუპარსა. უბძანა ხელმწიფემ მწერალს: რომელიც სოფელი მაგ ღურგალს უნდა, დაუწერეთო, შეილის შეილამდინ გვიბოძებთაო. ეს წიგნი გამოართო, სოფელი იმოვნა და თავის სახლში წავიდა.

თარგმანი: როგორც ვარსკვლავზედ მზე ბრწყინვალეა, ისრე მცირე ხელოსანი არაერთ ჩავარდება პირველს ოსტატთან. ღიღრონის ხელოსნისაგან მიიღებენ მცირენი სწავლასა.

147. ერთი თხა მალაღს კედელზედ იწვა.

ერთი თხა იწვა მალაღს კედელზედ და იმ კედლის ქვეშ მგელი იწვა. თხამა თქვა: გული მითქომს, ჩავიდე, ჩემის რკით მუცელი გაუხეთქოო. მგალმა თქვა: ნეტავი იქნება ჩემთვის, რომ ჩამოხვიდე და შენის რკით მუცელი გამიხიოო!

თარგმანი: უმეტარი კაცი იტყვის, შემძლებლს კაცს მოვერევიო, და როცა შემძლებელს კაცის ხელში ჩავარდება, მაშინ გამოჩნდება იმის უღონობა.

148. ღმელაქაცს სამი პირის წყალი აქვს: ერთი ეს, რომ მანამ ქმარს შეერთავს, მრუშე-

ბით თავის ქანწულუებას გახსნის, ერთი მაშინ ახლდება; მეორე ეს, როდესაც შეიღო ეყო-

* ამ იგუვის ქვემო ნაწილი აკლია A-1786 ხელნაწერს. იბეჭდება S-2966 ხელნაწერის მიხედვით.

ლებდა და`ის იმ უმარწვილს დაიქერს, და გამოვა გარეთ და ურცხვთა დაჯდება, და უმარწვილს ძუძუს აწოებს, მაშინ აეხდება პირის წყალი; შესამე, როდესაც თავის გვირგვინის ქმარს გაუშვებს და სხვასთან მივა, მაშინ აეხდება პირის წყალი. ეს სამი პირის წყალი რომ აეხდება, იმას პირის წყალი აღარა აქვს, რაც რომა ქნას, აღარას შეირცხვენს. ღმერთმან ნუ ქნას იმისთანა ღელაკცი!

თარგმანი: თუ კაცი თავის ბუნებით ჩვეულებას არ დაიმეგრებს და ცოდვას მიჰყვება, ის აღარას შეირცხვენს, და მეორედ მოსვლას წინაშე ქრისტესა სირცხვილულ შეიქნება.

149. მართი კაცი იყო, წელიწადში ასი ფუთი პური მოუვიდოდა და წლანდინ ეყოფოდა.

ერთი კაცი იყო, წელიწადში ასი ფუთი პური მოუვიდოდა და წლანდინ ეყოფოდა. ერთს წელიწადს ოთხმოცი ფუთი მოუვიდა. იმისთვისა წუხდა: „ოცი ფუთი რომ დამაკლდა, ჩემს ხიზანს ხომ არ ეყოფა, რა ვქნაო! ამ კაცს ღმერთმან ანგელოზი მოუვლინა და უთხრა: ერთი ჯერი დედაკაცი არის, ერთი ქალი ჰყავს, ორი ფუთი პური აჰკიდე და იმას მიუტანეო. აჰკიდა ამ კაცმა ორი ფუთი პური, იმ ჯერივე დედაკაცს მიუტანა. დედაკაცმა თავის ქალს დაუბაძა: ეს პური უფიქრად გამოუგზავნია, მოდი, შეიტანეო. ქალმა უთხრა დედას: სადილათ ხომ პური გვიკამიაო, ორი კვირა კიდევ გვაქვს, იმასაც რომ შევკვამთ, ხვალ ღმერთი სხვას გვიბოძებსო. დედა-შვილთ უთხრეს იმ პურის მომტანს კაცსა: შეილო, ეგ პური წაიღე, ვისაც პური არ აქვსთ, იმათ მიეცო, ჩვენ მომატებული არ გვინდაო. გაიკვირა ამ კაცმა ამათი ღვთის მინდობილი სასოება, შერცხვა ამ კაცსა, რომ ოთხმოცი ფუთი პური ჰქონდა და კიდევ წუხდა, ცოტა არისო.

თარგმანი: რომელთაც მრავალი აქვსთ, მარადის იმის ფიქრში არიან, როგორ უნდა დავრჩეთო და ზოგი, ერთის დღის პური რომა აქვსთ, ხვალისათვის არა წუხან [და ღვთის მადლობით არიან, არ უსასოებენ].

150. მართი ღარიბი მღვდელი ყასაბთან და უთხრა: პატარა ხორცი მამეცი, შეილები შვიერი მყავს, იმათ მოუხარშოო.

ერთი ღარიბი მღვდელი იყო, მივიდა ყასაბთან და უთხრა: პატარა ხორცი მამეცი, შეილები შვიერი მყავს, იმათ მოუხარშოო. ყასაბმა საციხლად აიგდო და ერთი ლიტრა ხორცი ნისცა და უთხრა: მამის ჩემისათვის სწირაო. მღვდელმა სიშარბლის გულითა ჰკითხა: მამაშენს რა ერქოა? უთხრა ყასაბმა: სათულის-ტარი ჰქეიანო. ის ხორცი წაიღო მღვდელმა, მოხარშა, შეილებს აჰმა. მეორეს დღეს მღვდელმა სწირა, სათულის-ტარი მოიხსენია გულის სიშარბლით, მართლა იმის მამის სახელი ეგონა. ის სათულის-ტარი განედლდა, ამოდლდა, აყვავდა, მრავალფერი ყვავილი დაიხსა, რომ კაცის თვალს იმისთანა შეგნიერო არა ენახა რა. ასეთი სული სდიოდა, რომ კაცს იმის უკეთესი არა ენახებოდა-რა. ყა ყასაბმა ნახა, განკვიფრდა, მივიდა, მღვდელს მუხლთ მოეხვია, და წირვის სასწაული ნახეს ყოველთა. ყასაბმა ხელახლა აწირვინა მამისათვის და მართლა თავის მამის სახელი უთხრა.

თარგმანი: ნუ მოატყუებთ, ძალი ღვთისა არ უგულვებელ ექმნას! არ შესუსტდება ყოველითურთ: ძრიელი და სასწაულთ-მოქმედი ღმერთი.

151. ორამ კაცმა მღახის ტანისამოსი ჩაიკცეს და ქვეყნებს დაიკებოდნენ.

ორნი კაცი გაამხანაგდნენ, გლახის ტანისამოსი ჩაიკცეს და ქვეყნებს დაიკებოდნენ. მივიდნენ ერთს ქალაქს; ნახეს, ციხის კარზედ ერთი ადამიანის თავი ეკიდა. იმ კარიდამ არ შევიდნენ, თქვეს: სხუა კარიდამ შევიდეთო. მივიდნენ სხვას კარზედ, იქაც ეკიდა ადამიანის თავი. არც იქილამ შევიდნენ. იმ ქალაქს რამდონიც კარი ჰქონდა, სულ მოიარეს და ყველგან ეკიდა [ადამიანის თავი]. რომ აღარ იქნა, ერთის კარიდამ შევიდნენ. ნახეს ქალაქის კაცთ[ა], რომ უცხო ქვეყნის კაცნი არიან. მივიდნენ, შეფეს მოახსენეს. მეფემ ეს კაცნი მიასხმევინა, კარგი სადილი გაუყუთა და თავისთან დაიხსა. ქამაში რომ შევიდნენ, იმ ორის კაციდამ ერთი კარზედ გავიდა. მეფემ—მეორე კაცი რომ გვერ[დ]თ უჯდა, იმას უბძანა: ეგ

შენი ამხანაგი რომ ისეთი ავი კაცი არის და მაგისი ავკაცობა რომ მრავლისაგან მესმის, მაგას როგორ ვამხანაგებინებო და მაგაზედ რატომ ხელს არ იღებო? ამ კაცმა მოახსენა: მაგას ნუ ბძანებ, მტრისაგან შემოგსმენიაო, ეს თვით ხელმწიფის შვილი არის და ყოვლის კეთილის ზნეობით სრულიაო, რომ უკანასკნელს მონათაც არ მიკადრებსო. ის რომ შემოვიდა, ახლა ეს გავიდა. ის რომ შემოვიდა, ახლა ამას უბძანა: შენ რომ ხელმწიფის შვილი ხარ და უკულის კეთილის ზნეობით სრული ხარ, მაგისთანს ავკაცს რათ გამეგობრებობხარ, რომ მრავალნი მაგის ავკაცობას ლაპარაკობენო! ამან მოახსენა: მაგას ნუ ბძანებ, მტრის სიტყვა მოგხსენებიათო. ეგ ასეთი დიდებულის კაცის შვილია, რომ მაგისის მამისაგან ჩემი ოჯახი დადგინებულია, რომ დღესაც მაგისის მცნებისაგან დაჰკუთისაგან ერთს ლუქმას პურსა ეშოულობ. და თუ მაგას საქმეში გამოსცდით, ნახავთ, რა კაცი არისო. ის კაციც შემოვიდა, ამათ უბძანა: ციხის კარზედ რომ აღაშინანს თავები ჰკიდია, ნახეთო? მოახსენეს: ვნახეთო. აბა, ის თავები სულ უცხო ხამი კაცის თავები არისო. ვისაცა ვკითხვ ერთმანერთის ამბავი, ერთმანერთი ამაგესო და იმისთვის ვბოძდი, და თქვენ რომ ერთმანერთი აქვთ, ამისთვის არ დაგზოცეთო. მრავალი უბოძა და გაისტუმრა. სიხარულით წავიდნენ.

თარგმანი: რომელმაც თავისი ამხანაგი ავთ ახსენოს და დასძაბოს, თითონვე ჩაეარდება და თითონვე დაიძრახება და ავთ იხსენება. და კაცმა რომ თავისი ამხანაგის კეთილი მონღღმოს და თქოს, კვეყანაში თითონ შეიქნება კარგი კაცი და თითონ შიიღებს სიკეთესა ღვთისაგანაც და კაცისაგანაც, და ორსავე სოფელს კეთილი მიეცემა.

152. მართი ქატი დიად მოვალე იყო

ერთი კაცი დიად მოვალე იყო, და მოვალე ბისაგან მოსვენება არა ჰქონდა. ერთს დღეს ერთმა მოვალემ უთხრა: მე ერთს რასმე ვასწავლი, რომ შენს მოვალეებს მორჩე, თუ ჩემს ვალს მომკეპო. ამ მოვალემ ღვთის ფიცი მისცა: ოღონდ ერთი რამ მასწავლე, სხვას მოვალეებს მოვრჩე და შენს ვალს კი მოგკეპო. ამან უთხრა: ვინც შენ ვალი გთხოროს, შენ უთხარ: „ხამო!“ თუ გიჩივლონ, მოსამართლესაც უთხარ: „ხამო!“ ვინც ვალსა სთხოვდა, ეუბნებოდა: „ხამ!“ თუ სადმე უჩიოდნენ, იძახდა: „ხამ!“ ყველამა თქვეს: გიგია, რასა სთხოეთო. და ყველამ ხელი იიღეს. ვინც ეს ჰქუა ასწავლა, იმან უთხრა: მოვალეებს ხომ ყველას მოვარჩინე და მე შემომფიცე შენს ვალს კი მოგკეპო, აბა, მომეცია. იმასაც უთხრა: „ხამო!“ წავიდა ეს კაცი, იმ ქალაქის მოსამართლესთან უჩივლა. მოსამართლემ უთხრა იმ მოვალეს: ორმოცდაათი [თოფი] სამოსელი მივეც გასათეთრებლად და არ მაძლევესო, აბა, რას ეუბნებიო? უნდა მისცე თუ არაო? იმან თქვა: „ხამ!“ სამოსლის პატრონმა უთხრა: თუ გაუთეთრებელია, ხამი მომეცია. ამისთანის ოსტატობით და ჰკუთით გამართო თავისი ჰახი.

თარგმანი: უსამართლობით გამართმეული არ შერჩება კაცსა, სამართალში შერცხვება. რომ უსამართლობით შეირჩინოს, სულით მოვალე დარჩება და კაცთან სირცხვილელად იქნება.

153. მართი ქატი გუას წავიდნენ

ორნი კაცნი წავიდეს გუასა, რამდონიმე ხანი დაჰყვეს. ერთი კაცი სიმართლით მოიქცა. მრავალი მოვო. მეორემ ვერა რა იშოვნა და ისევ ერთად მოდიან. თავიანთ კვეყანასა რომ დაახლოდნენ, უქონელმა კაცმა უთხრა საქონლის პატრონს კაცსა: ხომ იცი, არა მაქვს-რა, ათასი ვერცხლი მასესხე, ერთი წელიწადი ჩემი ცოლ-შვილი შევიანხო, მოვიგებ და წლის თავზედ მოვართმევო, შენის სულის გულისათვის ეს სიკეთე მიყავო. ამან გულის სიმართლით დაუთვალა ათასი დრამი და მისცა. მოვიდნენ სიხარულით თავიანთ სახლებში. ერთმა წელიწადმა გაიარა. ფულის პატრონმა უთხრა: წელიწადმა ხომ გაიარა, მეკირება, ჩემი თეთრი მამეცო. ამ კაცმა იცოდა, არც წიგნი ჰქონდა, არც ბაწიმი მყვანდა, იუარა: შენი არაფერი მმართებსო. წავიდნენ მოსამართლესთან. ფუ-

ლის პატრონი გულის სიშარტლით ამბოპს, ეპირებოდა, ვასესხეო, ახლა მე შევირება და არ მადღევსო. ეს კაცი უარობდა, არა მშართებსო. მოსამართლემ ჰკითხა ფულის პატრონს: რომ ასესხე, წიგნი არ გამოართვი, ან მოწამე არ დაისწარო? ამან მოახსენა: მარტოკა ორნი ვიყავითო, შემეხვეწა და ვასესხეო, ჩვენი მოწამე ღმერთი არისო. ჰკითხა მოსამართლემ: იქ, თქვენთან ან ცხენი, ან ძროხა, ან ხე, ან ქვა არ იყო? მოახსენა ფულის პატრონმა: არა იყო-რა, ერთი დიდი ქვა იყო, იმაზედ დავსხედით, დაუთვალე და მივეცო. უთხრა მოსამართლემ: წადი, თუ შეიძლო, ის ქვა აიკიდე; თუ არა, ხარები შეაბი, ისე მოიტანეო. თუ არა, მოსტეხე ის ქვა და ნიშანი მომიტანეო! სწრაფათ გაიქცა. მოვალე იქავ დარჩა. ჰკითხა მოსამართლემ: შეუძლია იმას იმ ქვის მოტანაო? მოახსენა: ათასი უღელი ხარიც რომ შეაბას, იმას ვერ დასძვრენო. ფულის პატრონი ისევე დააბრუნა და იმ მოვალეს უთხრა: წადი, თავის ფული მიეცო. შენვე უმოწმე, რომ გმართებს მაგისი ფულიო! გამტყუნდა და შერცხვა და მისცა თავისი თერთო.

თ ა რ გ მ ა ნ ი : მოსამართლე იმისთანა უნდა იყოს, რომ სამართალი გამოძიებით და სიშარტლითა ქნას, რომ ღმერთიც ხელს მოუპართავს, როგორც სოლომონ იტყვის: მეცნიერი უნდა დაადგინონ მოსამართლეთაო.

184. შატრქოფილმა მშაპას აღთქმა დაუდო

ერთმა მარტომყოფელმა ეშმაკს აღთქმა დაუდო: ერთს წელიწადს მარხოს შეეინახამ, თუ დიდობას მიწვეო. ეშმაკმან იკისრა, იმას ვედრება აღნიშნოს. რომცა ერთი წელიწადი მარხოს შეეინახა, აქაური ეპისკოპოზი ავით გახდა. ეს ეშმაკის მოსავი დააყენეს საყდრის მკველად. მეორეს წელიწადს მოკვდა ის ეპისკოპოზი და ეს ეშმაკის მოსავი დააყენეს ეპისკოპოზათ. როდეს ეს შეიმოსა, უნდა ეწირა, მივიდა ეშმაკი და ოთხი პატარა წელი მისცა და უთხრა: შენი სიკეთის მაგიერი ეს იყო, რომ შავ დიდობას გაწიე. ეს ოთხი პატარა წელი უბეში ჩაიდე, რომცა საკურთხეველში დასდგი, ერთის თითთ ამ ერთს წელს დაჰქარაო! რომცა ერთს წელს დაჰქარა, ის ოთხი წელი ათად იქცა, ათასი, ათი ათასი და ასი ათასი საქრავის ხმა გამოვიდა: ზოგნი ზურნას უყურენ, ზოგნი დაირასა, ზოგნი დპოლსა, ზოგნი ჩანგსა. შეიქნა დიდი ხმიანობა. მეფე და ერნი განცვიფრდნენ და ვერა ხედვედნენ, ვინ უკრედა. მძანა ხელმწიფემ: საყდრის კარი დაიქირეთო! ყველანი გაატრეტლეს და ეძებდნენ, მაგრამ ვერავისში იპოეს. რომ დარჩნენ მეფე და ეპისკოპოზი, თითო მეფეც გატრეტლდა. არცა-რა იმაში იყო. რომცა ეპისკოპოზი გაატრეტლეს ნახეს, უბეში ოთხი პატარა წელი ედვა. რომ ნახეს, იმისგან იყო, ყოველი ყოფილი ათქმეინეს, როგორც ეშმაკისათვის პირობა მიეცა, მერე მოაბეს ცხენის ძუასა და მინდორი მოარბენინეს და ლუქმა-ლუქმა დაწყვიტეს, სულთ და ხორკით დაიქარვა.

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვინც ეშმაკს პირობას დაუდებს, ბოლო ასე მოუვათ ქვეშარბიტად.

185. მართი ცხოველი არის, მუცელს გამოირცხს ზაფხულის დღესა და წაეა, კლდის ნახერტში დაჯდება. თუ მუცელში ცოტა რამ საკმელი დარჩა, მუცელს გაუხერტეს და მოკვდება.

ერთი ცხოველი არის, მუცელს გამოირცხს ზაფხულის დღესა და წაეა, კლდის ნახერტში დაჯდება. თუ მუცელში ცოტა რამ საკმელი დარჩა, მუცელს გაუხერტეს და მოკვდება.

თ ა რ გ მ ა ნ ი : თუ კაცს ცოტა ცოდვა დარჩა, მკვდეულს არ აღუარა და არ შეინანა, და საფლავში თან ჩაჰყვა, დღესა განეთხვისასა ცეცხლში წარგზავნის ის მცირე ცოდვა.

186. შინაწამებმა ჩიბი მუხუთ დასაპს

შემოკრბნენ ფრინველები. ჩიბი თავიანთ მეფეთ დასვეს. ერთს დღეს გააიარა მეფემ, ნახა, ყმარწვილებს აკანათი დაედოთ ჩიბის დასაპერათ. იმ აკანათის მარცვალი რომ თეთრათა ჩნდა, ამ მეფეს დიად მოუნდა, ჩამოხდა აკანათზედ, ის მარცვალი უნდა აელო და აკანათში გაემა. მივიდნენ, თავის დიდებულთ ნახეს, აკანათში შებნედილიყო. დიად შე-

წუხდნენ და მოახსენეს: ეგ რა არის შენ. თავზედაო? უთხრა: სიხარბემ ჰქუა წამართო, მინდოდა ჩუმათ შევება ხორბალი და ეს მომივიდაო.

თარგმანი: მრავალთ წმიდათ და წინამძღვართ დაკარგეს თავიანთ თავი სიხარბით და ვერცხლის-მოყვარებით. იმისთვის ჩაცვიფდნენ ეშმაკის მახეში, შეიქმნენ საწყალობლად.

157. ქაცვა მოსამართლე მოატყუა

ერთი კაცი წავიდა, მოსამართლეს მოახსენა: ერთს ქილას ერბოს მოგართმევ, ხელ შე და ჩემი მოდავე რომ მოვიდეთ შენთან საჩივრელად, მე გამამართლო. შეროგეს დღეს სამართალში რომ მივიდნენ, მოსამართლემ ერბოს მიმართმევი კაცი გაამართლა და გასამართლებელი წიგნი მისცა. წავიდა ის კაცი, ქილა ყელში მდინ დოთი ააგისო და ორიოდ კოვზი ერბო ქოთანს პირზედ დაადო, პირი მოჰკრა და მოსამართლეს მიუტანა და თითონ წამოვიდა. ორსაოდ დღეს უკან მოსამართლემ თავის მზარეულს უთხრა: გულით მინდა, იმ კაცის მოტანილის ერბოთი ფლავი მომიხარშეო! ბრინჯი მოხარშა, ერბო მოიტანა, უნდა დაედო, ნახა, პირზედ ცოტა ერბო იდო და ქოთანი დოთი იყრა სავე. მაშინა თქვა მოსამართლემ: იმ კაცმა ხომ მომბატუა, მეც მაგიერს უხამო.

ერთს დღეს იმ კაცმა მოსამართლის კარზედ გაიარა. მოსამართლემ დაუძახა: ძმაო, შენ რომ სამართლის წიგნი მოგეცი, იმაში ერთი სიტყვა აკლია, მონიჭანე. გავასწორო, რომ შენი მოდავე აღარას შემოგივიდესო. ამ კაცმა უთხრა: შენს ქოთანს თუ აკლია ერბო, თორემ ჩემს წიგნს არა აკლია-რაო. ასე შერცხვა მოსამართლეს, რომ ქრთამით საპართალი გაამრუდა.

თარგმანი: რომელიც ქრთამით სამართალსა იქს, ან საქაო-ს შერცხება და ან საიქიოს.

158. ხელმწიფემ კოშკის აშენება მოინდომა

ერთმა ხელმწიფემ მოინდომა კოშკის აშენება დღისით. დიდის ღვაწლით დღისით აწეებდნენ და ღამით ვი იქცეოდა. ხელმწიფემ შეკრიბა მეცნიერი კაცნი და ჰკითხა: ეს რა მიზეზი არის, რომ დღისით ვაშენებთ და ღამით იქცევაო? მოახსენეს: ერთი უმეცარი კაცი იპოვე, ცრუხალი კედელში ჩადევი და ზედ კედელი ააშენე, აღარ დაიქცევა, დადგებაო. ხელმწიფემ უბძანა: ერთი უმეცარი კაცი იპოეთო, რომ კედელს ჩავატანოთო.

დასხდნენ, იფიქრეს. ზოგმა თქვა: მეთევზე იქნება უმეცარიო, რომ კაცთან არ გაივლის. სხვა აღებ-მიცემა არა აქვს რაო, რომ ჰქუა ჰქონდესო. იმის ჰქუა და გონება თევზსა და წყალში არისო. ზოგთა თქვეს: ვინც ძალლით მონადირე არის, ის არის უმეცარი, რომ მუდამ მინდორში დაიარება, ძალღებსა სდევს და ნადირობსო. ზოგთ ზღვაში მენავენი თქვეს; ზოგთ მეცხვარე თქვეს, რომ მუდამ ცხვარშია და მინდორში, არც ქალაქს ნახავს და არც კაცსა: ეს მოიწონეს—მეცხვარის მოყვანა.

ათი ცხენოსანი გაგზავნეს მეცხვარის მოსაყვანათ. მივიდნენ, ნახეს, მინდორში ერთი მეცხვარე ცხვარსა სწევს, იმას გამარჯვება უთხრეს, და უთხრეს, ხელმწიფე გიბძანებსო! იმან უთხრა: ჩემს დღეში არც ქალაქში გამოვილია და ხელმწიფე რათ მიბძანებს, რა უნდაო? ამათ უთხრეს: არ ვიცით მიზეზიო.

ამ მეცხვარემ კარგი ბატკანი დაუკლა, სადილი აქამა, ხელმწიფის კაცნი გაამხიარულა და ყიდევა ჰკითხა თავის დაძახების მიზეზი. იმათ უთხრეს: მეცნიერი კაცნი შეიყარნენ და მოახსენეს: შენი კოშკი რომ არა დგება, იქცევაო,—ერთი უმეცარი კაცი იპოვე, კედელში დაატანე და აღარ დაიქცევაო. შენ ამისათვის გეინდინხარ, რომ ციხეში დაგატანოთო. ამან გაიცინა და თქო: ვაი, თქვენ დიდათ უმეცარნო, აბა, მე გიჩვენებ ჩემს მეცნიერობასაო. მოიყვანა ერთი მკეცხვარი და თქო: ამ ცხვარს ტყუბი ბატკანი ჰქავს, ერთი მამალია და ერთი დედალიაო, ერთს თავი თეთრი აქვსო და ერთს შავიო. დაკლა ის ცხვარი. როგორც მეცხვარემა თქვა, სწორეთ ის იყო. კიდევ ერთი

მაკე ცხვარი მოიყენა და თქვა: ამას ერთი ბატანი ჰყავს, ტანი შავი აქვს და თავი თეთრი და თითონ ვერძი არისო*. ისიც გააპეს, სწორეთ ისე იყო. უთხრა მეცხვარემ: მე ვიცი, ვინც არის უმეტარიო. ჰკითხეს დიდებულთ: ვინ არის უმეტარიო?—რომელიც უმეტარი კაცი არის, მე ის უმეტარი არა ვარ, თუ გინდათ, მე გიჩვენებთ უმეტარს, კაცსაო. უთხრეს: გვიჩვენეთ. უთხრა: ხელმწიფემ თავისი პირველი ევზირი დაიჭიროს, შუა ბაზარში დაჰკიდოს, მრავალი სცემოს და რაცა აქვს, აიკლოს, და მერე დამალოს და გზირი დააძახოს „მოეჰკალითო“. სამი დღე დამალული ჰყუანდეს, მერე ბძანოს: ვინ მონვალთ და ევზირის ალაგს დასდგებითო. ვინც მუიედეს და თქვას: „იმის ალაგას მე დაუდგები ევზირათ“, ის არის უმეტარიო, ამისთვის, რომ ის ევზირი რომა ნახა, დაუნაშაუბლად გაუწურა, მრავალი სცა, კიდევ აიკლო და იმისი მოკვლა ბძანა, ის ხომ ნახა, იმან რაღათ მოინდომა ის სახელო? ის არის უმეტარი. დაიჭირეთ, კოშკში დაატანეთ და აღარ დაიჭეთო.

მეცხვარის სიტყვა ხელმწიფეს მოუტანეს, მოიწონა და მეცხვარის ნათქვამი აღასრულა. ერთმა მეწყლე კაცმა თქვა: მე ვიქ ევზირიოპასაო. დაიჭირეს და კედელში ჩადვეს და აღარ დაიქცა.

თარგმანი: შენ რომ ნახო ანგვარი საქმე ხელმწიფისა და შენ მოინდომო მსახურობა, იმ მეწყლეზედ უფრო უმეტარი იქნები, საქაქოსაყ დაიკარგები და საიჭიოსაყო.

150. ორი მამალი ჩხუბობდნენ

ორნი მამალნი ჩხუბობდნენ ბაზარში. ერთი მოერია და მომრევი გაამპარტავანდა, წაეიდა, ერთს მალღას ადგილს დადგა და იწყო კასკასი და მალღას ხმით ყვილი; რომ თავის ამხანაგს მოერია, გა[ა]მპარტავანდა. ერთმა არწიფმა დაუქროლა და აიყენა პაერში, და შექამა.

თარგმანი: რომელიც გაამპარტავანდება—ჩემს ამხანაგს მოვერევიო—და გაიხაროს, იმაზედ მოვა უეტარი მქიდროება, რომ თავის-თავს ვაა დაიყაროს. როგორც იტყვის დავით, ხნარტვი თხარა. კიდევ უჟალი ბძანებს: რისაც საწყაულით მიურწყავთ, თქვენც მოგერწყოსთო.

151. მამალი ხაზიდ შომოჯდა

მამალი შემოჯდა ერთს ხეზედ და შუალამისას დაიწყო ყვილი და ღმერთს ადიდებდა. შეიტყო მელამ, მოვიდა მამალთან და უთხრა: წმიდავ მღვდელი, ხილამ ჩამოდი, დღესასწაულია იოანე ნათლისმცემლისაო; ფილასოფოსი არა გუყავს, რომ დღესასწაულოვანა ნახოსო. მამალმა უთხრა: ცოტა მოიცადე, მანამ ბიძაჩემი მოვიდესო, კარგათ გარდევინადოთ დღესასწაულიო, კრებით ვიკანანახოთო. მელამ მოიცადა.

განთიადზედ ძალდი მოვიდა. რა მელა ნახა, გამოუდგა, დაიჭირა და აყვირა. მამალმა უთხრა: ვაი, შენ მაგ საძაგლის ხმით უნდა გუკანანანათ?

თარგმანი: რომელიც ამხანაგის ზაკვარი არის; თითონ ჩაუარდეს ორმოში, როგორცა ბძანებს ქრისტე და სოლომონ, ვინც ორმო გათხაროსო.

161. კურდღლები შემოკრბნენ

შემოკრბნენ კურდღლები და თქვეს: წავიდეთ, ერთიან წყალში ჩაეცვივდეთ და მოკრჩეთ ამ მწარის ცხოვრებიდამო, რომ ყოველზედ უძლური გაუჩენივართ ღმერთსაო, ნადირია თუ ფრინველი, ჩვენ გვერევიან და გუქამენო; კარგი ის არის, რომ დავიხოცნეთ ამ სიოცხლეზედო.

წავიდნენ წყალზედ, ნახეს მრავალი ბაყაყი. კურდღლები რომ ნახეს, დაიყვირეს, შეეშინდათ და წყალში ჩაეცვიდნენ და დაემალნენ. კურდღლებმა ღმერთს მადლობა მისცეს ამისათვის, რომ თავიანთზედ უღონოები ნახეს. თავები აღარ დაიხოცეს.

* აქ. თავდება S: 296. ხელნაწერი. . .

თარგმანი: შენზედ შალას ნუ მიხედაე! ცოდვილო, ნურც ცოდვილს მიხედაე, მაღლიანს მიხედე და დაიპირე ლეთის მცნება და ნოიპოვე სასუფთვეელი.

162. აღდგომის დღეს უკინწმელაბა აღსარება თვამს

აღდგომას დღეს შებოკბენენ ფრინველები და მღვდელს აღსარებას ეუბნებოდნენ. მოვიდნენ მცორაეებიც, მღვდელს მოახსენეს: ჩვენც აღსარება გვათქმევინეო. მღვდელმა შერისხა: წადით თქვენ, ბილწნო! იმათ მოახსენეს: ამის მეტი ცოდვა არა გვაქვს რაო, თავსა და ბაყუსა ეკამოო. მღვდელმა რომ არა ქნა, წავიდნენ მცორაეები¹ და მოუტანეს მრავალი საუნჯე; მღვდელს მოართვეს. შერე მღვდელმა უღირსნი ღირსად გახადა და ის მცორაენი აზაარა.

თარგმანი: ეპისკოპოსნი და მღვდელნი ქრთამის აღებით ბოხსა და ცოდვილს უშვებენ ცკლესიაში.

163. ბუმ არწივის მახლობა მოინდოვა

ერთმა ბუმ ანგელოზი მიუგზავნა არწივს მოციქულათ: შენ დღისით მხნე და ძალიანი ხარო და მე ღამითაო², და შეგეშეენის რომ დავმძახლდეთ: შენი ქალი ჩემს შვილს მისცეო. არწივმაც ნება დართო. ქორწილის ეამს დღისით ბუ ვერასა ხედვედა და ქორები სასაცილოთ იგდებდნენ, და მოეშალათ ქორწილობა.

თარგმანი: თუ კაცმა მორწმუნემ მისცეს თავისი ქალი სხვას თესლსა, დაიბნეოს თვალის ნათელი.

164. მათჳა კაცჳა მართი დიდი ღოღი ნახა, თორგმტხ მხადის მფოღენა

ერთი კაცი მიდიოდა. ნახა, ერთი დიდის ლოდისათვის კაცთ მგრგვლიე თორგმტ მხარეს კაპნები მოებათ და სწევდნენ, და ის ლოდი ვერ დაძრათ. ამ კაცჳა უთხრა: ცალს მხარეს მოაბით და წაიღებთ მაგ ქეასაო. იმათ არა ქნეს. კიდევ ისრე თორგმტის მხრით ევიდებოდნენ, მაგრამ ის ქვა ვერ დაძრეს.

თარგმანი: ის დიდი ლოდი ქრისტეა, თორგმტის მხრით რომ ექალებიან, ისინი ქრისტიანენი არიან: ერთმანერთის შერით ქრისტე უნდა საკუთრათ მიიწიონ. მაგრამ ქრისტე არცერთს მხარეს წიიწევა, მანამდღას ერთმანერთში სიყვარული არ ჩამოუვარდებათ. რა იცა ერთმანერთში სიყვარული ჩამოვარდება, ამა, მაშინ დაიძვრის ქრისტე იმათკენ³.

ქილილა და დამანა

ქილილა და დამანა იგ: ვ არაკთა კრებული¹. შეჯგება ის, შესაელის გარდა, თოთხმეტი კარისაგან. ქილილა და დამანა პირველად დაუწერიათ ძველ ინდურ (სანსკრიტულ) ენაზე. VI საუკუნეში, ზოსრო ანუშირვანის (531 — 579 წ.) დროს, ის ფალაურ ენაზე უთარგმნა ბარხუდეს. ამავე საუკუნეში ტექსტი ფალაურთან ასურულ ენაზე გადავიდა ბერ-მონახონ ზოდს, ხოლო VIII საუკუნეში ირანელ რახობის (გარდ. 757 წ.), მწეულობაში იბნ-ალ მუყაფას სახელით ცნაზილს, უთარგმნა არაბულ ენაზე. მუყაფას ტექსტი საფუძვლად დაუდებია მრავალ როგორც ლექსითს (ჩუდუგის, ყანის და სხვ.), ისე პროზულ ევასიოებს. ერთ დროს გაერელებდელი იყო ნასარალაჰის პროზული ვერსია, რომელიც ჩამოვარდებულა 1114 წ. მახლობლად XV საუკუნის გასულს, ამირ ამეტ ას-სოჰაილის სურვილით, ვის ქაშოფის (გარდ. 1547 წ.) სპარსულ ენაზე დაუთარგმნებია ქილილა და დამანას ახალი ვერსია და მიუძ-

A-1786: ¹ მოვადეები, ² ღამისაო, ³ ქილილა და დამანა ტურების სახელუბია. ისინი მოქმედებენ თხზულების პირველ რა კარში. აუდან მიიღო თხზულებამ სახელწოდება ქილილა და დამანა.

დენია თავისი მფარველისათვის, ანუარი სოპალიისათვის. ამიტომაც ამ ვერსიას უწოდებენ ანუარი სოპალიის ვერსიას. ჯამიფის ქილილა და დამანაჲ ფართო პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოში. ის მრავალგვანე იქნა გადათარგმნილი.

ქართულად ქილილა და დამანა პირველად XII საუკუნეში უთარგმნიათ. ამ თარგმანს ზენგაშდის არ მოუღწევია. XVI საუკუნეში კახეთის მეფეს დავითს (გარფ. 1602 წ.) დაუწყო თხზულების თარგმანა, მაგრამ მხოლოდ დეუსა და მოთულის არაკანდის მიუყვანია. შემდეგში დავითის თარგმანი ხელნაწერადნა ვახტანგ VI. უკანასკნელს ქართულის მეორე მცოდნე ვილად სპარსელისათვის დაუკლებია თარგმანის დასრულება. ქილილა და დამანას ტექსტზე სპარსელი შემოზამდა ვახტანგის ირანში გაწვევამდე. ამ ხნის განმავლობაში მას მოუწერია მხოლოდ მტერი გველისა და მოყვასის იგაეაზე თარგმანა. 1712 წ. ვახტანგი ირანში გაიწვიეს. ირანში ვახტანგს ვილად სომხისათვის დაუკლებია ქილილა და დამანას თარგმანის დასრულება. ეს დეკალეხა სოჯეს შევსრულებია. 1714 — 1716 წწ. ვახტანგ VI ქირმანში მოუხდა ყოფნა. აქ ვახტანგს ქართული თარგმანი შეუდარებია დედისათვის, რედაქციულად ნაწილობრივ გაუმართავს, მაგრამ საბოლოოდ ის მაინც ვერ დაუმეაფიცილებია ქილილა და დამანას თარგმანს ამიტომაც სწავლულ მეფეს პირადად დაუწყო ხელახალი თარგმანა, რაც კიდევაც შევსრულებია. 1716 წლიდან ვახტანგი ქირმანიდან ისპანში გადმოთქვენეს. მოვეტლლობის გამო, ვახტანგმა ვერ მოახერხა თავისი თარგმანის საბოლოო გამართვა, რისთვისაც, დაახლოებით 1716 — 1718 წ., ტექსტი გასაჩაღბად გამოუზავნია ქართლში ჯერ თანა მდივნისათვის, ხოლო შემდეგ სულხან-საბა ორბელიანისათვის. თანა მდივანს ვახტანგის ნათარგმნ პროზისათვის ხელი არ უხლია. მას მხოლოდ გავლესავს ორიგინალის ის ლექსითი ადგილები, რომლებიც ვახტანგს პროზით ჰქონდა გადმოღებულა. სულხან-საბა ორბელიანს კი საფუძვლიანად გაუმეაღბაჲს როგორც პროზები, ისე ლექსითი ნაწილი. სულხან-საბას რედაქტირებული ტექსტი უკეთესი გამოდგა და ფართო გავრცელება მოიპოვა. დაიბეჭდა ის 1856 წ. ილ. ტუოაას რედაქციით.

ქვემოთ ვებეჭდეთ ქილილა და დამანას ქართულ მთარგმნელ-გამსაღებულთა ანდერძებს და თხზულების პირველ კარს. დავით მეუფის ანდერძი იხებუება შემოკლებით აღ. ბარკიძის გამოცემის მიხედვით (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან I, 1945 წ., გვ. 354 — 356). ვახტანგ VI და თანა მდივონს ანდერძები — ქილილა და დამანას ორნაწევლი ხელნაწერიდან (ფ. 6r—9v), სულხან-საბა ორბელიანის ანდერძი იხებუება ავტორგრაფული ხელნაწერიდან (პ-31, გვ. 8—9), ამავე ხელნაწერიდან იხებუება:ქილილა და დამანას პირველი კარი (გვ. 42 — 65), რომლის ხარეუბას შეეატებად გამეყნებულია S-2650 (ფ. 106r — 116r) ხელნაწერი.

ლო ბ ი მ რ ა ტ შ რ ა

1. კ კ მ ე ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 1941 წ., გვ. 405 — 414.
2. ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან I, 1945 წ., გვ. 227 — 372.
3. მ. ჯ ა ნ ა შ ე ი ლ ი, ქილილა და დამანა (გაზ. თეზი 1912 წ., № 88).
4. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ბიბლიოგრაფიული ცნობა (გაზ. თეზი 1886 წ., № 27).
5. ი. თ ქ რ ი მ ქ ე დ ლ ი შ ე ი ლ ი, წერილი დ. ხ. ბაქრაძის მიმართ [ქილილა და დამანას 1856 წ. გამოცემის გამო] (გაზ. ივერია 1886 წ., № 167).
6. S i l v a, ქილილა და დამანა (გაზ. ივერია 1883 წ., № 91).
7. ა. ხ ა ნ ა ნ ა შ ე ი ლ ი, ქართული სიტყვარების ისტორია I, 1919 წ., გვ. 375 — 380.
8. А. Х а в т а н о в, Очерки по истории грузинской словесности III, 1931 წ., გვ. 137 — 146.
9. მ. ი. ბ. გ. Г р у з и н с к и й о т р ы в о к «Книжылы и Динны» (Древности Восточных III, вып. I, 1893 წ).
10. Е. Б е р т е л ь с, Очерки по истории персидской литературы, 1928 წ., გვ. 29, 71 — 73.

ანდერძი დავით მეფისა

შესავალ ნაწილში ავტორი თვითგვიჩინო მალაღვირდოვანი ტონით მიმართავს მოციქულებს, წმ. ბაშებს, მუუდაბნოებს და სხვა, რის შემდეგ ამბობს:

ამათთა შეწვენითა, მეოხებითა და თანადგომითა ჩვენ მოწყალეებითა და შეწვენათა ამათთა მოქენემან და ურცხვენელთა სასოებითა ცვა-ფარევათა ამათმან, ფრიალ ცოდვილმან. და ყოველთა კაცთა უმცირესმან (ვითარცა იტყვის წმიდათა შორის დიდი ანდრია, ვითარმედ: არა არს სოფელსა შინა ცოდვა, არცა დაცემა, რომელი მე არა მიტედავს) გვანებთ და სიტყვით ნებებით ქმნით და ჯერინებით ძეჲს მეფესა ანტქსიანდრესმან, ხოლო მონებისაჲს უღირსმან ცხებულთა ტრამებით მე თქვენმან, ხოლო შინაგან დამალ და აყროლებულმან, ძეგლმან ყოელისა არაწმიდებისამან დავით კვლავეც გამოთქმად წიგნისა ამის ათ (sic) კარი სოქაილისა სპარსულისაგან ქართულად; რომე მძინედ ურნს თვით მათ სპარსთაცა აქიითა და ფილასოფოსთაცა კითხვად და გამორკვევად სიტყვისა.

ხოლო მე თავს ვიღვე ტვირთი ესე ძნიად სატვირთაფი სულელობითა და გაზრდილობითა ამით ჩემითა. ოდენ ძალ-შეცემს ყოველთა ცოდვილთა და უღონოთა მამართლებელი დედა-ღვთისა ვეშაროელისი, რამეთუ დამიც სასოვება ყოველთა სასოსა მის დედოფლისა ჩემისა; რამეთუ ვინ სადა მოუხდის ამას სამკურნალოსა და არა განიკურნის, ანუ ვინ სახლად იდგის სახელისა დიდებითა მისითა და არა ჭარებმართის? ხოლო შესაბამისი საქმისა ვითა იქმნა და ან ვის მიერ, ქუეშორე ცხად ყოს სიტყუებამან.

ეაშსა წას, ოდენ მღვთისმკურანესა მეფესა აღექსანდრე დაეზერა ყოველი ქუეყანა ჩრდილოეთისა და უფროსა ქუეყანა ესე კახეთისა, და ერთისა და მის მიერ განეგებოდა და ნათობდა შარავანდელი მისი უფროსი ნიხითვალისა, და განძლიერდებოდა ქუეყანასა მას დაყუდებდა შფოთთა და განსაცდელთა, არა იყო აგარიანთა და მწვანელებლთა მიერ შერყევა ეკლესიათა და განრყუნა საღმთოთა სწავლათა, და არცა ვის ძალედვა მიღებად თუკანი ერთი თხათა მკლავრობით, გინა გულისწყრომით, არამედ ყოველნივე განმგვინი საქმეთა განეგებოდა, მღრღელი მღრღელობითა სიმართლით, ეკლესიისა განმგვინი განძეგრობით, მხედარაშთაქარნი მხედართაფრობით, მოასპარეუენი მოასპარეუობით, განცხრომელნი განცხრობით, მაშენებელნი მაშენებლობით, ყოველნი ყოველით კერძო, ვითარცა ვის შეგვანდის და ძალი მის ეამისა მსცემდის, ჰყოფიან.

არამედ თვით იგი კელმწიფე იყო სწავლულ ყოველსა საქმესა შინა, მეცნიერ სპარსთასა, და თვით ჩვენ ქართველთასა საღმთონი წიგნენი საფილასოფოსონი თვით ზეპირით ესწავლენს. და ჟყოფდის კეთილსა ყოველთა აქიმთა და მეცნიერთა. და ვითაცა შეატყუეს სიყვარული საღმთოთა წერილთა, წერილნი მრავალნი მიანიჭის და შეიღებოსა ნუგეშინის ცემისა მიანიჭის. ხოლო სიმბნე და ახოვნება მისი ვითარ შეუძლო გამოთქმად, ანუ ბრძოლასა შინა სიქველენი მისნი? არამედ არა სრულიად დაეწყება მივსყუ თავსა. იყო ომთა მისთა ერთგულთა ნიხსაგბრ განმანათლებულად თვალად-შესახედავად, ტკბილად, მოწყალედ და მისამართლედ, რომე მისსა კელმწიფეობასა შინა შველი და ცხვირი დამოყუარებულ იყუნეს.

და ჰქუეს თვით კელმწიფესა საღმთონი მღრღელთმოდვარნი თავისა თვისისანი, ერთი საკედმპყრობლად ეკლესიისა მის მოწამეთ შორის უძღვეელისა გიორგისა, სამთავროსა მას ალაყარდისასა, და სახელი მისი ფილიპე; და მეორე იგი სამთავროსა მას ბოდბისასა, სამარხოსა და ლარნაკსა მას ზედა მეორისა მოციქულისა პავლესა, დედანსა ჩვენ ქართველთასა ნინოსა, და სახელი მისი ზაქარია. ხოლო რა ვით რამე ვთქუნე კაცთა ამათა და ვითარა შეუქლო შესხვად ამათა? და შეეგმოყო სიტყუად ჩემ მიერთა თქმულთანი: გრიგოლი და ბასილი, ორი გვამი ორთა სულთანი და ორი სული ორთა გვამთანი. ხოლო სიმბნე და ახოვნება ამით მამათანი ვითარ თანა წარებდე! იყუნეს ზეცისა და ქუეყანისასა სრულიერთად სწავლულ და მისწვთეს სიღრმესა ზღვისასა და აგრთა თანა წარკდეს, იქმნეს ბუნებით მეტყუელნი და მართალ მეკეთელ სიტყუასა კენმართებნისასა, იყუნეს კაცნი გულის-სათქმელნი სულისანი. და ამით მიერ ბრწყინვიდა ყოველი ქუეყანა ჩრდილოეთისა, ვითარცა ეარსკვალათა მიერ ცა. ესე ღირსნი და წარჩინებულნი და წარმატებულნი იყუნეს წიგნთა სამეცნიეროთა სულადქვით მოყვარე, გარნა მრავალნი წიგნნი საფილასოფოსო ჰქონდა წმინდათა მამათა მიერ თარგმნილნი. ხოლო ესე ვითარი არა იყო საწეცნიერო და სატრფიელ, ვითარ ქუეშორე ცხადყოფს სიტყუა, თუ ღმერთასა უნდეს. ესე ღირსნი უკე იყუნეს მეცნიერ და სრულ ყოველითა კეთილთა, ვითარცა საუწავნი მრავალნი. გარნა არაბულთა და სპარსულთა ენათა უმეტარ იყუნენ, და მე უღირსსა მანვედეს მძიმისა ამის საქმისა შესაბამსა. გარნა მიწოდებულან ლოცვათა ამათა მამათამან კელკვავე, ვითარმედ ესენივე ღირსნი არა დამიტვობდეს, განმანხრობდეს და განმძლიერებულ მექმნებოდეს ოდესმე სიტყუითა კეთილითა და შვენიერითა, ოდესმე ლოცვათა შინა და ფსალმუნებათა მოხსენებითა, და ოდესმე მსხვერპლთა უსისხლოთა შეწირვასა შინა. არაოდეს დამაგდებდეს ობლად, ოდესმე დღისი

და ოდესმე ლამე შათ შიერ იქმნებოდა...¹ ესე ფასდაუდებელი გამოღებათ, არა თუ ჩემ მიერ.

აწ გვევდრები ყოველთა, ვინცა შეიმთხვიენთ წიგნთა ამით სამეცნიეროთი ყოველთა საქმითა შემკობილთა საღუთოდ ვიდრე საკაცობმდე საეკლემწიფოთა წესთა, ქუეყანათა მმართველთა, სათამაშო საწყლიანოთა, ჩემთვის ლოცვა ყაეთ და ნუ ვინ მამრალობთ, ლეთისათვის, გვევდრები...

ანდოჲკი დიდს ბირსა შინა მართვის მათხმს მახტანჯანა

ეამსა ნას პატრონისა ამაღლებულისა, დედათ შეენიერებისა და თვითმპყრობელისა ლეთივ გვირგვინოსნისა, მეფეთ-მეფისა თამარისა, ესე წიგნი ეთარგმანათ, რომელი აცხოვრებდასა ქართლისასაცა წერილ არს. ამითიუ საცნაურ არს, რაოდენსაცა საქართველოში ანუ არაქსა და ანუ ივანესა, ანუ ზეპირს მენდასიბს[ა] ლექსს[ა] ახლა იტყვიან, უფროსი-ერთი ამაში სწერის. მაშინდელი ნათარგნი ეამთა ვითარებით[ა] დაკარგულიყო, და შემდგომად ბატონს დავითს, ბატონის თეიმურაზის მამას, ქუსა და მორიელის არაქაქედის[ა] ეთარგმნა. მაგრამ არც ლექსი გამოეღო, და ზოგი სიტყუაჲ დაეკლო, და არც გასრულება დასცალებოდა. მე ის წიგნი კელად შემომივარდა, ვნახე რომ იყო სიტყობით და სარგოთი სრული რაოდენნი ზღაპრის წიგნია, და ანუ მსოფლიონი სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და საამოდ საკითხავი არ იპოვებოდა. ერთს სპარსსა, რომ შიკრედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, იმისი შესრულება უთხარით. მან თარგმნა იყო, მაგრამ ენის უცოდინრობით ვერც კარგა გამოიღო, და გასრულებამდი მეც ისპაანს წასელა მომეძაღ. ისპაანს რომ ჩაველ, მუნ ერთს სომეხს უთხარ, რომ სპარსული ესწავლა, ნიკოელის შესრულება, და მან შესარულა, მაგრამ ლექსი², სიტყუა და გაწყობა ბეჯერი დააკლდა, არათუ ჩემის რასმე დანაშაულისათვის, არამედ სული უმჯობეა საზრდელისა და გვანძი — სამოსლისა. ამისთვის მომიძულეს მე უსამართლოდ, და შემდგომედ ამისსა, თვისთაცა ჩემთა, ნაცულად კეთილისა, მომეგეს ბოროტი, და აღმიდგნენ შურად, და ამის მიზეზისათვის ტყუე მყვეს. და შემდგომად ამისად ქირმანს წარმოგზავნეს.

შეტყვიან ხვალნე: რასთვის გაქვს კირნი, ვმუნვა და წყინება? ქუხექ[ა]ს[ა] სახლსა ვსწყინობდი, როგორ ნუ მოქეწყინებამ ახლა კირმანსად დაქარავს, დაჭეიწყვა ამას წინება, და არ ვეკობ შერჩეს ლუთისაგან. ვინც ჩემთვის ასე ინება.

რა მიველ მუნ, წიგნი სარგონი არ მახლდა, და ცუდათ ყოფნა სულისაც მახიანებულად ვნახე და კორცისაც. საწუხარად, სხვა საქმე არა მქონდა-რა და ამის შექცევის გამოვკვიდე.

ცუდად ყოფნისა წამალად ესეი ცული მარბათებიო. მზე აღმოვიდა, ღიადგა ბარი იყო, თუ შთებიო, მაგრამ მე მისი მწვერვალი არსით არ მომნთებო, და ამისთვის სვედა-ნაღველი გლახ-გულსა გამეერთებო.

კიდევ ვნახე, რომ კაცისათვის მრავალი სარგებელი ჰქონდა, სასმენლათაც მწვეტიკბილი და საამო იყო, და გარჯას აღარ ვრიდებ ამის მიზეზისათვის.

ეს ობოლი მარგალიტი დაეკვი და დაეშადე. კირნი ჩემნი უსახლო ამ საქმითა გაეშადე. სიბრძნე ჩემი რიტორება, მოეაწვიე, მო-ცა-ვხადე. და მაგრამ ჩემთვის ამართული, ვერ დაეშადე კირთა ხადე.

თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამემოპთ: ჩემი კირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა, და თუცა ვინმე უკეთ იტყვით, არ გიშლიეთ, და კარგსა იქეთ.

¹ ხელნაწერში აქ ორი სიტყვა არ იკითხება, ხამოქრილია აკინძვისას. ² ლექსთა.

შ ა ო რ ა

ვინც უკვე იტყვიო, არ გიშლი, არც არას მეწყინებოხა.
მე ბეშა ბედმა არ მომეცა წამი ბემისა ნებისა,
რაც ჯავრისაგან შევიძელ ვსთქი, რამე მელხინებისა,
და სხვა მუტი ვერა გავაწყვე თქვა ქების, გინდ ვინებისა.

მე კაცის შეუტყობრობისა და მოუშაგებლობის გულისათვის ადვილისა და მსო-
ფლიოს სიტყვით დაესწერე, რომ მკითხველთ სამძულეაროდ არ უჩნდესთ, და ეს სწავლა
გაუგონებელი არ ღარჩეს.

[შ ა ო რ ე]

არ ვყავ სრულად უუოდნი, ვიყოდი ენა მძიმები,
მუკითხა წიგნი სამდთო და საერო ამს წინები,
ესთქვი ვაით მეტად ადვილთ, რომ იყოს მოუწყინები,
და არ ვიმ გაბეადით ამისთვის საციხხარ-მოსაყიფები.

არეის გმართებთ, ვისცა კელად შემოგივარდესთ, ამასი შეუტყობარნი ღარჩეთ, და
ან მე რა ქირი შინახავს ამის თარგმანზე, ისიც არ შეიტყუოთ და არ გასინჯოთ.

შ ა ო რ ა

კაცი გემოს მაშინ იცნობს, ოდეს ენა დააწოხა.
ღამესა ვარ უნათლოსა, მივეშგავსე მე მას წოსა;
ალბა ვხივარ ცეცხლისასა, სანამ გაქრეს, უნდა მწოსა,
და კაცსა ბელი ვერას არგებს, თუცა ღმერთი არ ემწოსა.

სპარსთ ენაში მტრად ტყბილად და კარგად უთქვამსთ. ამასაც ნახათ, ლექსი ლექ-
სად გარდმოვსთქვი უკლებელად, რომელი ოთხ-მუკლი იყო, ან[უ] ორ-მუკლი, ანუ ერთ

სპარსთ ენაში მტრად ტყბილად და კარგად უთქვამსთ. ამასაც ნახათ, ლექსი ლექ-
სად გარდმოვსთქვი უკლებელად, რომელი ოთხ-მუკლი იყო, ან[უ] ორ-მუკლი, ანუ ერთ

ქილილა და დამანა
სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფი (S-31)

მუკლი, ანუ ათ-მუკლი, მეტი თუ ნაკლები, და ამბავი — ამბად. მაგრამ ლექსი სპარსულ
ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმანება, ამბად მოვა, და მე ამავე აშპის გალექსვა მო-
ვინდოვე, და სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისრე ველარ იტყვის, იგება ამით
ლექსი არ მოგეწონოსთ. სპარსის ლექსის იგავნი ამის უკეთ ქართულად ვერ მოვიყვანე,
თვარემ სპარსულ ენაში ღიად გაწყობილია.

შ ა ო რ ა

ეს ქილილა და დამანა ბრძენთაგან გამოთქმულენი,
სპარსთა ენისა სიტყბითი და შატრულ-ღამბას(რ)ულენი,
ჟივე და ჩვენად გარდმოსთქვი, ყვეილინი ტურფად რგულენი,
და ლქსი — ლქსად და ამბავი არც ვაითი დაკლებულენი.

როგორც მათში იყო, ამბავი თავის ადგალსა და ლექსი თავის ადგილს დაესწერე.
ინთონის ჩემის ქირის ეკლასად ლოცვა და შენჯობა რომ წესია, ავენობის პირს მა-
შინც ნურავინ გახსნიოთ.

შ ა ო რ ა

ეს წიგნი ბრძენთა ნათელი, სხივით და შუქით შიანი,
ყურითა ტყბილად სისმეო. სულით ვარდი და იანი,
მკითხველთა სარგო, მრავალი არათო, არა ზიანი,
და ვაწარ მამე ვაბრძე ქართულთა, თესლ-ტომად დავითიანი.

მას ემენა ოდეს ბრძენთაგან საწეცნიეროდ ამდღებულნი სწავლანი სპარსულის ენისა-
გან ქართულს ენაზედ გადმოვსთარგმნეთ ისრევე სპარსულის ლექსის კვალად გალექსვა

ამ წიგნისა ერთის რიგით შოენდომეთ, რომე ლექსის განწყობის რიგები ისრევ სპარსული მოგვეცა. ჩვენ ეამთა ვითარებისაგან და ერთა ნოუტულეობით ველიარ შეეასრულეთ და მდივანს ონანას უბძანეთ, რომე ამ ტურფას წალკოტს ყვაილინი ფეროვანებით შექკრას და კელოვანთ გახალასებული დრაპკანი კაეშერით შეასრულოს.

შ ა რ ა

ბერძე უბძ.წეთ მდივანს ჩვენსა კარისა მონასა,
სპარსულის რიგით გალექსეა, მანცა არ ცუდად მონასა.
შეკრავს და ტურფად შეაწყობს წალკოტის ვარდის კონასა
და გააკეშირებს კელოვანთ შექმნელსა ოზროს წინასა.

ანდერძი ონანა მდივანისა

ოდეს მოიწია ბრძანებანი დილისა მის და დიდებულისა, ძლიერისა და სიმდაბლით ამაღლებულისა, მოწყალისა და მოსამართლისა, ძირთავან იესესთა იღმოცენებით ყვაილ-ფურკლოვან ქენისა, მეფეთ-მეფისა პატრონისა ჩვენისა ჩვენ ნონათა მითთა ზედან.

შ ა რ ა

ჩვენზე გამოსცა ბრძანება დიდმან ქართულთა მეფემა,
ნალღმან, უბეზან, მუხალღმან, ხეჯბარ შექოთეფემა,
მოსამართლემ და მოწყალემ მტერთა სისხლისა ნქეფემა,
და აზად შემართოს მონაზმან შორით ჭებისა მუეფემა.

ეს ძლიერი და ამაღლებული მეფე დროსა და ეანთა იწროებისაგან უცალოდ იქნა და თვისის სიბრძნით გახალასებული სამეცნიერო წიგნი თვით აღარ გალექსა და მათის უფსკრულის სიბრძნისაგან მეორედ აღარ აავსო. და ჩვენ გვიბძანა ეს ძნაღ მისხდრომ სამსახური და, თუცა ძალგვიძეს, შემართვა გვენება[ეს].

შ ა რ ა ე

მას მისცა ცრუემან სოუელმან საქმისა მოველეობა,
მით არ ინება, ამ წიგნზე რომ მოგვზარა კელოსა;
ჩვენზედ მოილო წყალობით ტკბილთა სიტყუათა მხრდელობა,
და რადგან შეგვესმა მონასა, კაშს ჩვენგან ზახე ზელობა.

პირველ ამის ნუსხის წერაში შიგადაშიგ ლექსები ჩაერთო და მუნით იგივე დაესწერეთ, რომე მათის რჩეულის სიბრძანისაგან შორს საცნაურ არს და საცხადოდ იკნობის, ვითარცა ბნელსა შიგან ნათელი, სამყართა ზედან მზე და ვარსკვლავთა შორის შოთავარე. და მეცა მოკლისა და უსწავლელის ენით უგბილობასა ჩემსა აღვასრულებ და ვიტყვი მის გამოსწავლულებითა.

შ ა რ ა ე

თვით სრულ არ დაშვრა კელწიფე, არ იქნა ღამე თუღად,
მაგრამ შიგ შერათო ლექსები სხეებშიგან გამოჩრეულად,
გასინჯავთ მისნი მკითხველნი, იცნობის იმათეულად,
და მეც რასმე ვაბზობ უგბილი, რადგან მეო მასთან ჩეუღლად.

ამ პატრონისა და უფასოს თვალ-მარგალიტის იგავის ფასება და კეალად აღება იმად არ ძალმედება, თავად რა ძნელად გამოსცა[ლები და გასიბრძნებულო იგავნი გასარკვევი სიბრძნენი იყო; და მერმე სპარსულის ლექსების კემები და ნრავალრიგავ შეწყობილი შიირნი ქართულის ენით დაგვარიანებული სიტყუა არ მოვიდოდა და ჩვენის ლექსის გაწყობა და სიკეთე ბევრი დააკლდებოდა. და არც სპარსულის ლექსის რიგი ვიცოდით, ამის მეტი ვერ მოვიყუანე და ვერცა პატრონისა ჩვენისა ბძანებასა უარეჟუაე. და ესწერ მე კახეთის მდივნის შეილი და თვით მდივანი ონანა ბრძანებითა უფლისა მეფის ვახტანგისათა. მრავალმცა არიან წელი და ეამნი ცხოვრებისა მათისანი

რადგან მიბძანებს მაღალი იგი კელწიფე ქებულა,
მტერთა მძლე, თვით უძლეული, მოყვასთა ძედებუელი,
ამად გავლექსავ ონანა, სიბრძნე კაშს გადიდებულა,
და ესწერ კახი ვინმე მაღლესე მდ-ვნობით სახელდებულა.

ეს ანდერძი უსათაუროდ მიყვება ვახტანგის ანდერძს.

ანდომადი სულხან-საბა ორბელიანისა, დიდად შობიჩვიბულ ზედონებულნსა *

ეს წიგნი ქირაანსა და ისპაანს შეკირებებაში მყოფსა და უსაქმო მზრუნეის, გონების ურვის წამლად მოემუშავა, ქართველთასა მეფე ვახტანგს სპარსულისაგან ქართულად ეთარგმნინა.

ღ ე ქ ს ი *

მცონარს სოდომონ აძაგებს, ჯინვეელი მოსწონს კებითა, მუზაიჩი სამუშაოთა ვერ აღასრულებს დებითა.

ამისთვის მრავალს გარჯილიყო და დიდის პირით ქართულად გამოელო, და თვითან ზედმიწევნით სპარსული არ იცოდა, და მთარგმნელებიც თავის გუნებისა ვერ ეშოვნა და ზირვე-მორვეით გარდმოეთარგნათ. სხეის ენის წიგნი სხეის ენაზედ, თუ არ კაის მკოდინარისაგან, გამოთარგმნა ძნელია. ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს, და ზოგან ართრონი ან მოუმატოს, ან დააკლოს, თუარამ სწორად ისე უგემური მოეა. რა გაეთაებინა, ქართლში სულხან-საბა ორბელიანისათვის გამოეგზანა, და მოეწერა მალალსა მდაბალი ბოდრეში.

ღ ე ქ ს ი *

აწ მოიგონე შენ ჩემი პირველი სიყვარულია, ეს საქვე კარგად მისაქვი, თვალთ ნუ მოგეა რულია.

და ებრძანა: ეს ჩემი ქირანახული გაჩაღზე გემოანად, და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრვე ქართულად ლექსები ჩაურთეო. ეს სულხან-საბა ორბელიანი გიორგი მეფის დიდის ძნის წული იყო, და მისგანვე შეიღურად გაზრდილი და გასწავლებული, და ვახტანგ მეფისა ბიძად და განზრდელად წოდებულ, და დიდად საყვარელი. ამ სოფლის სიმუხთლემ ერთმანეთს მოამოკრა, და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი დახეიქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ მწყრომელი შექნეს, და მერმე ეს ბძანება მოუვიდა, უარი აღარ იქნებოდა, თუარამ მონაზუნისაგან ამისთანა ამბავი უწყსოა და ურიგო.

ღ ე ქ ს ი *

ნონახონი საღმრთო წერილს მართებს წერდეს, გინდა ბერი, ამისთანა სამს.ხურსა მეფისასა მყოფდეს ბერი.

ბერი-მონაზანი რომ მოსეს წიგნის ნაცულად ქელილა [და] დამანას აკეთებდეს, ვეკობ, მედესაც გაეცინოს, და ბიბლიას უცხო-უცხო ამბების დაქარავის ცუცხლის კვამლი რა გონებას შემოეხეიოს, სადღა დარჩება ცნობა, რომ ეს წიგნი გვიარიან და ტკბილად გააკეთოს.

თქვა არაკი

1. იყო წალკოტსა შინა ვარდი ერთი მრავალ ყვავილთა შინა და შეიყვარა ვარდი იგი მზემან, და თვისსა სხივთა ზედა-ზედ მიაცენებდა, და ცის ცეარით ნიდაგ რწყვიდა, აფერხიანებდა და ასუნელიბდა, და წყალნი მისნი მრავალთა სნეულთა ჰკურნებდა. მისგანვე განკურნებულნი კაცნი აღუშურდენ ვარდსა მის და აღაკუამლეს ჰაერი ძნელად და შერათეს ღრუბელთა, და განფინეს ღისლი შავი ცათა შინა, რათა.ვერღარა იხილოს მზემან მან ვარდი იგი. და მოაკლდა ნათელი მზისა, და დაქნეს ყვავილნი ვარდისანი და განკარდეს სუნელება მისნი.

შ ა ა რ ი

შრომანს და კლას ნიდაგ მზე მძვენს მისთა შექებას, შრომანს სჯინთა აყნოსებს, კლას მიწის პოხად უქებას. მეფე განს სჩხრეკდეს საქმეთა თვისთა და სხვის საჩუქებას, და ოაგულს შენდობა ეყოფა, ერთგულთ ურჯს მიუქუბებას.

* ეს ანდომადი საბასეულ ნუსხაში უსათაუროდ მიყვება ქაშიფის ანდომადი აღნიშნული სათარად საბას უფრ დაუწერია, ზემოდმოყვანილ მესამე ლექსის (მონახონი საღმრთო წერილს მართებს წერდეს) შემდეგ, მაგრამ მერმე წაუშლია. * დედანში ლექსის ნაცულადი ძმობითა.

რადგან მზე თავის შარავანდელს სწორად მიაყენებს ყოველსავე, მაგრამ ნიშატსა ძალსა და სიქმეს ყვალაკასა სხვადასხვას მისცემს. კაცმან ეს წიგნი ბოლომდე გაჩხრკით უნდა წაიკითხოს. რამდენი რიგი კაცია და რამდენი რიგი საქმე უნდა, ესევე ასწავლის.

თქვა არაჲ

2. იყო უკიანესა ზღვასა შინა თეუზი ერთი დელუფინი, და უყუარდა ზღვასა მას დელუფინი იგი, და ზრდიდა ყოვლითა საზრდელითა, და ესეთი უძობა ჰქონდა ზღვასა მასთანა, მისის ვედრებით მეთევზეურთა თევზითა ბადეთა ილუესებდის, მენავეთა წინა-უძლოდის და ნაე-საყულდლად მიუძღვის, და ყოველთა კეთილთა უზმიდის. აუმტურდენ მისგან გამოზრდილნი კაცნი და სხუანიცა, და ჰოეს ჯადუკა ვანზე და აღმოუწოდეს ქარსა ჩრდილოსასა. აღაქოდეს ზღვა იგი ლუღვათა¹, და ლადომან გაიტაცა დელუფინი კმელად და დარჩა მუნ.

ღ ე ქ ს ო *

მტერჲან ლოფი მომახვედრა, მოყვარენან ვარდის კონა;
ეგრე მტერჲან ვერ მატინა, მოყვარისმან ვემ.ლონა.

ზღვა რა დასწყნარდა, მოიკითხა თვისი² დელუფინი. ყვალა შეიტყო, მაგრამ დელუფინს რაღა[ს] არაგებდა. გონება კაცისა, და მეთადრე მძლავრთა, ზღვისაგან უძნელესად აღელდებთან აეთა ენათაგან, მაგრამ კაცი თავისუფლად შექმნა ღმერთმან, რაც უნდა თვით ამის მეტს არასა იქს. და ესეთი უნდა ქნას, თვითანვე თავი არ შეეწყინოს.

შ ა ო რ ო

ერთგული იღწის მეუისგან შენდობას ორგულისასა,
ორგული ცდალობს მასთანვე განძებას ერთგულისასა.
ცნობა კამს ამა საქმისა, მომღებელია რისასა,
და ღვთის მიერ დადგინებული ბაძიდეს კვალსა ღვთისასა.

თუ არა, ენა ნეკოვანსა და ბრძენსაც აღრე მოატყუებს, თუ არ გასინჯა. თუ-რა გამოუტდელისა რა დასაბრალებია.

თქვა არაჲ

3. იყო მეფე ერთი და ჰყვა მეძებარი ერთი კვალთა მკეცლე ღიდად საყვარელი, რომელსა წამსა არა განიშორებდა. ჰყეფდა კარ-მიდამოთა მისთა და დარაჯობდა ღამე ყოველ, ნადირთა კვალთა უკულებდის და გემოანთა ნადირთა ანადირებდა. ზრდიდა მეფე ტაბლისაგან მისისა და ანებობარებდა კეთილად, და ძალლი იგი მეფის ტაბლისაგან წაიღებდა საქმელთა და სხვათა ძალლთა ზრდიოთა მით, და თავს აწყინებდა მეფესა სხვათა მათ ძალლთათვის ესოდენ მრავალგზის, მეფეცა განარისხის.

ღ ე ქ ს ო *

ვინცა განვეკრნე დამოდა, წყლულებე დამადეა ხონდრონი,
ბოროტნი ბორატუს ეჭუბენ, ბოროტად მიწაბუნდ დრონი!

აღბორგედენ ძალლნი სხვანი ნაკეთვარსა მათსა ზედა! ყოველივე შურიოთა ცოფიან იქმნეს. მეფისა იგი საყვარელი ძალლი განიოტეს, და მერმე მეფეცა იგი დაღრღღეს, და თვითანცა მოისრინეს. მეფესა მისის მეძებრისა სახელიცა დაეაწყდა. გამოკდა ხანი და ერთი უცხო ნადირი გამოანდა, საწადელი მეფისა, და აღარ სად იყო მკეცლე ესეთი, რათა ნადირი იგი მოენადირა და მისისა გემოთაგან გამაძლარიყო. მაშინ მოაგონდა მეძებარი თვისი მეფესა, ნადირისა მის შესაპყრობელად უწოდდა, და უშტვენდა მეფე ძალლსა მას. მოვიდა ძალლი იგი ყინვისაგან ფრჩხილ-დაცვეთილი, შიმშილით თვალ-დაკლებული, და კმელის ძვლის ღრღინით კბილ-შემშუსრვილი და სიბერითა დღემოკლებული.

თქვა ძალლმან ღექსი *

მეფისთვის მოვკუდი, ვერა სცნა, არც ვინ აუწყა შორითა,
ბემნი ერთგულნი საჩუკლნი ბოროტად უთხრეს კირითა!

¹ ხელნაწერში: ლუღვითა. ² თავისი. * შარბი.

ჩითლა უნდა შესძლებოდა ძალსა მას შეპყრობა მის ნადირისა? მანამდე უნდა მოსამსახურე მეპატრონემ არ მოიძულოს, თუარა რა მოკუდება, ტირილი ვეღარ გაიქცობს. არც წყენა წასულს საქმესლა მოაბრუნებს.

ღ ე ქ ხ ბ *
მეფეს თუ ყმანი არ ახლავს, რითა სენან მისი მეფობა?
ბატონის ანდერძს ქვეითურ ამისთვის ვკენ უფლობა.

ქ ი ც ი დ ე ბ დ ა მ ა ნ ა

ქარბი პირმელი

ორამა კაცისა და მიუნდოგელინაგან

ჩაი-ღამინლიმ ფილდია¹ ბრძენს უბრძანა: პირველის ანდერძის წერილი ეს იყო, რომე თუკა კაცი ვინმე თვისისა მეპატრონისა წინ სამსახურით წაღგეს და მისის წყალობით თავჩენილი შეიქნას, შურიითა და სიქიშპით მისნი ამხანაგნი აღმტერდებიან და მის წახდენას ეცდებიან, და ხერხით მის ზე ხელმწიფის გულს გამოსცვლიან. მეფეთაგან წესია, შენამენელსა და ეშმაკთ მოყვარეს კაცს ყური არ მიუბყრას, გასინჯოს, მოიკადოს და გულისხმა ყოს, ბეზღება სიბოროტის კიდე არა არის რა, რომე მათს სიტყვას არ ესვენდეს და არც დაიჯეროს.

შ ა ა რ ა

აგენა კაცა შენს წინა ნუ მისცემ გზასა მარებლად:
სამსალას ზრთავს შაქარსა, საკედავად გასაშვარებლად,
პირად ტკბილს გეტყვის, გავონოს მოყვრისა დასადარებლად,
და გასინჯავს დახვრის უმწარე დაგასო არ საკმარებლად!

აწ ბარამანთან ესე სავედრებელი მაქვს, რომე ამისი შემსგზავსებულნი იგავნი ნიბრას, რომე ერთა კაცის სიტყუა რა ხელმწიფეს წინ სათნო იყოს, მას შურიითა და შესმენით ერთგულის სიდიდის საფუძვლის შერყევა, მტრისა და მოავისაგან მისი დაშორების საქმე რაგვარად აღენბისო. ბარამან მოახსენა: მეფეთ საფუძველთ სიმტკიცე ნაგა ანდერძითა დამყარებულა: თუკა ხელმწიფემან მამბეღართა და ნეშურნეთა და აგენა კაცთა მისი სიბოროტე, შესმენა და აე-სიტყობა არ მოაკეთინა, ბედნიერობის მარიგებელთა და ერთგულთა სამსახურისაგან ხელს ააღებინებენ და წახდენენ, და რა ისინი სამსახურს დაშორდებიან, ხელმწიფისაცა და ქვეყნის დასაკლისი იქნება. ჩხუბიანმა და მეშურნემ რა ორს მოყვარეთ შუა სამდურავისა და გულსკლების გზა პოოს, მათში სამდურავე და დაშორებმა გავრძელდების, როგორაც ლომსა და ხარს მოუხეჯო. რაიმ ჰქითხა, რაგვარ ყოფილაო?

ბარამან თქვა: არაკო

4. ერთი დიდ-ვაჟარი იყო, რომელსა ზღვა და ხმელეთი მოველო, აღმოსავლეთი დასავლამდე ყოელივე ენახა, რამთა და დროთა სიტხე და სიტყვე მრავალი შემთხვეოდა, ამ სოფლის სიტკბოსა და სიმწარის გემოვნება ენახა.

ჩაბრუხაფლო

ბრძნულად ქვიანი, საქნით გზიანი, მწეიდი და წყნარი, მეტყველი ტკბილად,
მცროხელი თვ-ლთა გაპოხათალთა, ღართა სვიდაში არ ვამდის წიბილად.

სიკედლის ლაშქარი უსუსურება და სიბერე არის, რა მისის ბუნების თემთ რბევა დაიწყონ, მეომართ რაშმთა წარმოდგინება მსცოვანებაა, და მისის გვამის გარემოს დაიპყრობს.

შ ა ა რ ა

სიბერის სენმა დაფლავსა რა დაჰყრას სმენად ყვარისა,
მხტო მოციქული საკედ-ვი, ვის მოსვლად არა სურისა,

ბუნაწერში: * შირი. 1 ფილდია. 2 ბუნაწერის. 3 შ. კ. ა და 0 შეცვლილია: ვი, ე, ხ, ი, ე, ქ-თა.

ძალის მოკლება, ლხინთ წარელა, რა ნახო უსუსერისა,
და ხურგისა მონრა, საღამო, სიკვდილს რა მიეჭურისა.

ლოდ-ვაკარმა სცნა, დღითი-დღე მისის წაისვლის ზუსესა და დაფლადესა უცემდენ, და მისი სიციოცხლის სათაენოს ერთი საუნჯე, რომელიც გვაშის ზარდახშათა შინა ელვა, მისი თხვია დაუწყეს. მოუწოდებდა ძეთა თვისთა სამთა. დია ქვეიანისა და ხელ-გამომავალნი ყრმა კაცნი იყვნენ. მაგრამ კაბუჯობის ამაპარტაენებითა და უგვანის შედიდურობითა მართებულის რიგისაგან გარდასრულ იყვნენ, და საფორიაქო ხელი მამის ქონებისათვის მეტად აეხარათ, მოგებისა და მომპირნეობის სარკებელი დავიწყებოდათ, მათს კეთილს სიციოცხლეს უქმობით და უგუნურებით აღამებდეს. მამამან მათმან—მოწყალებითა და შებრალების გზით, ვითა მამათ წესია, ქუასა ასწერითიდა და სიბრძნისა კართა უღებდა, თვალ უხვავად შინსა და იმეღსა წინა უღებდა, უთარა: ურმანო ჩემო, თქვენ საქონლის პატივი არ იცით, ამაღ რომე მის წეკრებახედ ეჯზომსა არა გარჯილხართ. რადგან არ გამოგოდით, ამისთვის კქუის გზით ბოღმისა თქვენთან მოვითხოვ, რადა შეიტყოთ, რომე საქონელი სააქასა და საიქიოსათვის სეღინაობის ძირია. რადა თქვენი საწაღელია, ორისავ სოფლის დიდებეს შოენა საქონლის მეშუალობით იქნება და ხელთ მოსცემს. ყოველი ქვეყნიერი კაცი. სამთა აღსაფალთა მძებნელი არიან: პირველად, სიციოცხლის სიგრძე და მისი სახმარა და მისი მართულობის სიადვილე მრავლის შემოკრებით იქნების, რომე მათი კანა-სმა, ჩაცმა, დაბურვა, ხორცთა-პატევი და სიუხვე მით არს; მეორე, მეპატრონობა და მალალთა ხარისხთა აღსლება, რომელთა ნებავს საწნეო და სიდიდე და უფლობა და პატრონობა, ესე ორნი აღსაფალნი უსაქონლოდ იშოენილთ; მესამე, მას საუკუნოს პოქნა და განსაზღვრებელთა ადგილთა მცნენა. რომელთაცა თვალთა მიწვიე მას-ზედა უქირავესთ, ცოდვათაგან ხელი აუღლიათ და მადლი მოუგიათ, მათი რიგიანი ზოსავალი და უცოდველი საქონელი მათთვისაც მადლია, რაქე საღთოსა გზაზედ დახარჯოს და შევირგებულთა მიანეკოს, როგორათაქ მას იგავის მცოდინარეს ორ-მულსსა წიგნსა შინა უთქვანს.

ჟა ლექსი

უნჯი ოღესმე მჯუღათათვის, ჰე, თქმელა მოსახმარისად:
მაღლის საქნელად, ქაროთა და ობოლთა შეაწყნარისად.

ერთსა მეცნიერსა ვისმე უთქვამს: აწ შეგეაგენო, საქონლის ქურთხევით მრავალი საწადელი ხელთ მოგეცემისთ, და საქონლის შოენა მოუქირებლად და დაუშრონელად შორად დარჩებისო; და თუ ვინმე საქონელი გაურჯელად იშოენაო და მრავალი ქირა არა თავს იღვაო, არც მისი პატივი და ფასიკ ეცოდინებაო, და სწრაფად ხელთაგანაც გასციიანო. აწ უქმობისა პირი დაივიწყეთ და ხელ-საქმართა და მოქირებბასა შეებენით, რაცა ვაქრობისა საქმე და გზები ჩემგან გინახეთ და გასმით, მას ეცადნეთო.

უხუცესმა ძემან უთხრა: ჰე, ნამო! თქვენი ბრძანება ჩვენის ხელსაქმრისა და მომპირნეობისათვის თქმული, ყოველივე კეთილ არს, მაგრამ, მე ესე დაჯერებით ვიცი, რაც ჩემთვის მდღეგარი განწესებულა, მისსა შოენასა განაღო არ ვეცადო და არ მოვიღვაწო, ეგრეცა მომეცემისო, და რაღი ჩენთვის განწესებული არ არის, რაოდენცა ვეცადო, გარჯიდა და მოქირებებით არ მომეცემისო.

თქა შაირა

დღითი-დღე სახრლო მიეცეს ბეღისგან განწეუბელი.
რაცა არა აქეს, არ იქნ-ს, აგრევე ეგოს გეტულო.
მაშა, რაღათ ვსდგეთ, ვერ ვპოოთ, წინარე გეკინდეს დებული,
და ცუდია, შოომით არ მიხედეს მას თვისი იმეღებულა.

მე მესმა ვისგანმე, ბრძენს ვისმე უთქვამს, რომელიც ჩემი ბედისაგანა იყო, ოღესცა გავექეცე, კალთას მომეკიდაო, და რომელიც ჩემი ბედისა არ იყო, რაოდენც ეღივე, ვერ მივეწიო. მაშა, აწვე რომ მოქირებება დავიწყოთ, და ან უქმად ვიყოთ, არც ერთთ არა

იქნება რა; რაც პირველ ჩვენთვის ბედად არ განწყებულა, მის მეტი არა მოგვეცემა რაო, როგორც მათ მეფის ორთა ძეთა არაკი ჩემს სიტყვას ემოწმება, რომ ერთს გაურჯელად თავისის მამის საუნჯე ხელთ ჩაუარდა და მეორემ მის საუნჯის ხალისითა ხელწიფობაჲდა მანული ხელით გაუშვა და ყვაილაჲ დაჲკარგი. მაჲმან ჰკითბა, როგორ ყოფილაო?

შვილია თჳა არაკი

მ. პალაბის ქვეყანას ერთი ხელმწიფე იყო ამაღლებული და სვიანი, ბრძანება გაეღენილი, მრავალ-ყამიერი და ბრძოლათა და ომსა შინა გამოცდილი, და დღე-ღამეთა ფერქვეულობა მრავალგზის ენახა. ორნი ძენი ჰყვეს, ქაბუკობის სილაღის მორევთა შინა მტურაენი, გამარჯვების ლენით შებრუებულნი; ნიადაგ განცხრომასა, ლხინსა და საკრავთა შექცეოდენ, ამ ხმის სიმღერას ჩანგითა და ჩალანის პირით ისმენდენ.

ღ ე ქ ს ე

ლხინსა და შვებას ვეცადოთ, ვირემ თვალს დაიხუტვედეთ, სთველი ზოდის და არე ჩბის, ვიყარათ, ვერ დავიზრუვედეთ.

ხელმწიფე დიდად გამოცდილი იყო და მრავალთა საუნჯეთა უფალი, და თვალმარგალიტთა და სამკაულთა რიცხვი არ იცოდა. შეიღთა რა უმართებულოდ ქცევიით ხელდიდა, დაღონდა, ამისთვის რომე, მისა შემდგომად მისი სიმღიდრე გაიბნეოდა და უადგილოს ალაგს დაუპირებლად ქარის სატაცებელად შეიქნებოდა. მის ქალაქის ახლოს ერთი მარტომყოფი განშორებულ იყო, ამ სოფლის დიდებისათვის ზურგს შეიკრეპია და პირი მის სოფლის გზისაკენ საგზლიანად მიეპყრა.

ღ ე ქ ს ე

გული შესწოდა სურვილის ბრწყინვალეობისა აღითა, ტაფიალქითა მოწყვლული უდაბნოს მყოფთა ძალითა.

ხელმწიფე იცნობდა და დიდი სასოება ქონდა მისგან, და თვისი საგანძერი ყოველივე სხვათაგან უცნაურად შემოკრბდა, რომელ არა რა კაცთაგანმან არა უწყყოდა, და მას მარტო მყოფსა მიანდო და მისსა ქებათა შინა დამარხვა უბრძანა და ანდერძად ესე დაუგდო: სვე-ცუდობამან და დიდობისა ბედ-ძნელობამან ჩემთა შეილებთაგან საკეთილონი პირნი მოიტაცეს. აწე ჩემის სვე-სვიანობის წყაროს სათავე, რომელ წყლის სათავის მსგავსად, მოჩვენების კიდე არა არის-რა, რა მიწათა სიღნოღეთა დაზრეს, შეიღნი ჩემნი უქონელნი თუცა შეიქნენ და დაქირება მიადგეს, მაშინ მათ ეს საუნჯე საქონელი გამოუჩინეო. ნუთუ შეწუხებისა და გაპირების ნახვას უკან კეჳა მოიპოონო, და მერმე ეს უნჯი რიგიან მოიხმარონო, უმსგავსოდ არ წარაგონო და ცუდად არ განაბნონო. მან მარტომყოფმა მეფის ბრძანება აღასრულა. და მეფემა არავისგან ცნობისათვის თვის საწოლს შიგნით ერთი იდგილი შემზადა, ყვალაკას ასე ეგონა, თვისი სალარო მამი დაუმარხავსო, და მისი ძენიც გულ-დაჯერებულნი იხარებდეს და იტყოდენ გონებათა შინა: თუცა დაქირება რამე შეგვემზავსა, რაცა შენ შეკრებულთა, ჩვენთა სიკოცხლეთა საზრდოდ გვეყოფათა. რა მკირემან ხანმა გამოვლო, მეფე და იგი მარტომყოფი, ორნივე სიკვდილის მასპინძლობისა წვეულად წავიდენ და, სოფლის მოსთვლების ლენით მთვრალნი, შებნედილნი დაეცენ.

ჩახრუხაულა

ვინც დაიბადოს, ვერ დაიქადოს, რომე არ შესვას ესე სასმელი; ამ სოფლის წესი, გვართ დანაწესო, ლახვარი ეცეს გულთა სასმელი!

და საუნჯე იგი, რომელი მას მარტომყოფსა თვის სენაკში დაემარხა, ყოვლის კაცისაგან შეუგნებელი დარჩა და არავინ უწყობდა. მეფისა იგი ძენი, მამისა სიკვდილის უკან, გამულისა და საქონლის გაყოფაზედ აიშალნენ და მათ შუა ბრძოლა შეიქნა. უხუცესმა ძმამ ძალითა და უფროსობის გზით უმცროს ძმას სძლია, რაც მამის დანარჩონი იყო, სრულობით თვითან დაიპყრა და დაეპატრონა, და უმარწყემის ძმა სრულობით ცალიერი გააძო. ხელმწიფობისა და საქონლისაგან უიმედო და უნაწილო დარჩა, თვის

გონებათა შინა თქვა: რადგან სიღღისა და სიმაღლის მზემან პერი დასაეალს ჩასვლისაკენ გაიბრუნა, და ჩაღხისა ბრუნვებან, გატანჯვათა კულოსანშა, ჩემზედ ორგულობა და მტერობა გამოიჩინა, აწ კიდევ ამ სოფლის ნღოშასა და ხელის კიღებას რაღა ხელი ეყრებინო?

თქვა შირი

სოფელი სოჴით, სიბერით, კაცთ ახლავ მოუხმარებლად. დღეს შენია და ხელ სხვისა, დავალს ყვ:ლასთან სარებლად! ქრთილად მნას ესე საწუთო, ქრთილათუ შესადარებლად... და სჯობს, ცათა სახლი ვიშენო თავისა შესაფარებლად.

ამის უკეთეს რაღასა ვიქ, რაღვან ბედნიერობის საუელო ნებნიერობის ხელიდამ დამვარდა, აწ სიმაართლის დაჯერების კალთა ხელთ-ვიგდო, და მარტომყოფობის ხარისხი, რადგან გაურჯელი ნეფობა არის, ეგი ხელად ავიღოო.

თქვა შირი

უღაბნის მყოფთა სარწმუნო რაცა აქვსთ, უიოდევლია: არა აჯვსთ რა და ყვალა აქვსთ, ახალთა თუ ძველთა. მერიო ჭკვიათ და მათა აქვს ჭკვიანის მეფობა ვრცელია, და მსოფლიო ზრუნეას ველტიან, მას ესაგვ, ვინცა მიველია.

მერმე ამა აღთქმისა გონებითა ქალაქი გამოელო და გონებათა შინა იტყოდა მარტომყოფელი იგი: როზელი მაშისა ჩემისა მეცნიერი იყო, მივიდე მასთანა, და მის სენაკს დავდგე, და მისსა ფერხბთა თანა ვიღეაწო, და მასთან მოცვისა გზებსა ვიწვრთოდეო. რა მუნ მივიდა, სენა მისის სულის ზორაყი გვაშის გალიათაგან გასულიყო და სამოთხის წალკოტისაკენ გაფრენილიყო, და მისი სენაკი გულ-განათლებულის მარტომყოფელსაგან დაცარიელებულიყო. მცარე ხანს მესმან ნაველემან შეაწუხა, და მერმე მას აუღილს დასადგომელად გული დააჯერა, და დიდისა წადილთა მას სენაკში დამეკვიდრა. მის ადგილის სიბალოეს ერთი ქა იყო, მას უღაბნოდამ ჩათებაართ და მისი გზა უღაბნოში გამოეღოთ, რომე მის ქის წყალი უღაბნოში მოვიდოდა, და მუნ მყოფნი მას ჰხზარობდეს. ხელმწიფის შეილმან ერთს დღეს ქაში თოკი ჩაუშვა, სხვა რამე ხმა გამოიხზდა. ჩაიხედა ქათა შინა, წყალი არა იდგა. ეწყანა და თქვა: რა დამართებია ქანა ამას, რომე წყალი არა დისო? ნუთუ, ჩამოაზელა ორმო და მის გაშო სადინარა წყლისა წაიფარაო? ამის საცნობელად ქათა შიგან ჩავიდა და ორნოთა გარემოთა სინჯვიდა. მუნ შინა ერთი ხერელი ნახა, იქილამ ერთი რამ მის წყლის გზათა ჩაუარდნილიყო, და მის გამო წყალი აღარ ზოდ[ი]ოდა. რა ნახა, თქვა: ამისი წყალი სად უნდა დიოდესო, და ან ეს ხერელი სადა გაეაო? რა ის ხერელი ვასაგანიერებლად თხარა, ფერხი რა ჩადგა, მაშინვე საუნჯე იგი პოვა. ხელმწიფის შეილმან რა უამრავი * საფასე და განიხ ნახა, ღმერთს მადლობა შესწირა, და თქვა: თუცა ურიცხვი საფასე და თეად-მარგალიტა, ამისთვის ღვთის მონობილამ და ამ მარტოყოფისაგან ხელს რა ავიღებოდა არას დაქირებობთა არ გაეალო, და ამას მის გზაზე წარევაგება.

ღ ა ე მ

ამ დღეარულით ვნახითა, რასა შობს, რას ვასაბოთა.

მის უხუცეს ძმისა გულ-დაწყნარებით მოსვენება ჰქონდა: ლაშქართა ჯამგარისა აღარ აძლევდა, გლეხისას ** არას ზრუნედა. მამის საღარო აგრევე დამარბული ეგონა და მისი იმედნული, რას[ი]კ შო[ი]ებდა—ცუდად წარაგებდა. ამპარტავენობისა და მედიდურობისაგან ძმა გაეძო და მისი არა იამებოდა რა. ამასობაში, ერთი მტერი აღჩნდა, ბუმბერაზნი მოიმხრო და მისის თემის დასაპყრობელად ხრმლის კრეად წამოვიდა. ხელმწიფე ესე საფასე-უქონელი, ლაშქარ-მოშლილი მოვიდა, სადაც მამის საუნჯე დამარბული ეგონა — მით ლაშქარი მოემრავლა—ჩაზომცა ძებნა, ვერა პოვა. ცდილობდა და მრავალს მიზეზს-ეძებდა — საწადლის მოსაველისაგან სრულობით უნაყოფო დარჩა.

ხელნაწერი: * უამრავი. ** გლეხასა

შ ა ა რ ა

ჩასაგა გეტყვი. ეს რჩევა შენდა დაიდევ წინარე:
 გულთაგან ზოუნვა გააძღ ნაულელი მოსაწყინარე.
 სისხლის სპა არას ურკებად, თავი შრომანხედ ვინ არე.
 და რაც შენი ბედი არ არის, ვერ ჰპოო შესაძინარე!

რა მის საუნჯის პოვნის სრულიად უიმედო შეიქნა, სხვა ხერხებით ესოდენ ილ-
 ნისძია, ლაშქარი რამ შეიყარა და საბრძოლად პირი მტერს შეაქცია, ქალაქით გამო-
 ვიდა, და საომრად რა მიდგნენ, ორსავე მხარეს რაზმი გააწყვეს, და სასიკუდილო
 ცეცხლი აღაგზნეს. მის მტრის ლაშქრიდამ გამონატყორცი ერთი ისარი მეფეს საკუ-
 დათა აღგიოს ეცა, და იქივე სული წარხდა; აგრევე აქადამ ნანროლმა ისარმა მის
 მხრის ზეფე ზოკლა. ორნივე ლაშქარნი დარჩენ უპატრონონი. ახლოს-ახლორე იყვნეს,
 რომე ბრძოლისა ცეცხლსა შინა შეტკეცილნი, ორთავე მხართა იწეებოდეს; მერმე ორ-
 თავე ლაშქართა სპასაბეტთა ჯარი დაამშვიდეს და შეიგრთნენ, და არჩიეს და დაასკვნეს—
 სამეფო ნათესაეთაგან ერთი გუნება-უხვი, საქციელ-პატიოსანი მოონ ვინმე და იგი გა-
 იმეფონ, და ორთავე ქვეყანათა საქმე და საურაფი მაზედ მიაგდონ. ყოველთა კაცთა
 ჰკუა ამა საქმესა მიემოწმა და თქვეს: თუცა ქვეყნის-მპყრობელობა და მისის ბედნი-
 ერობის ამალღება სამეფოსა გვირგვინთა თაეს დადგმა მისთვის მოხდებოდეს, და ქვეყ-
 ნისა გარიგებ:სა ბეკუდი მას ეფერებოდეს, ჩვენის მეფის უმრწემის¹ ძმა არის და მას
 მივანდოთო. შეითქვეს წარჩინებულნი და მის უდაბნოს კარს მიადგეს, და ხელმწიფის
 ძე ამალღებულის დიდებითა სოროს მოწყინებიდამ და მარტომყოფობისაგან აღმატე-
 ბულს სრას მოიყვიენს და სვიანობისა სნაღთა ზედა დასვეს, და, ლეთის წყალობითა,
 ის საფასეცა და მამის სამეფოცა მას დარჩა.

ეს არაკი ამისთვის მოგახსენე, არას საცადლითა და არას მოჭირვენითა საშოვარი
 არ იშოვების, ლეთის მოწყალებას უნდა მიენდოს და მისგან კეთილის მონიქებას [უნდა]
 მოელოდეს და ზურგი მის მიერს სასიკვამისს მიაყრდნასო.

თქვა შეწყობილი

ღმრთის მინდობა სჯოპს ყოელსა ეპკრობა-მუშაკობასა,
 რა უკეთა, რაც მოგცა მის სილაპაზე გოგბასა?
 გული მას მტკიელდ მიანდევ. ნუ მისდევ ეშააკობასა,
 შენი მღლეფარი მოგეცეს, ვით ხელი აშოკობასა.
 თუცა მოიუშენ, მოგივა, დაეხსენ არაკობასა,
 და შენმა ტრფილმან გამოვლოს კლდოანი, ვით ვაკობასა.

შვილმან ეს არაკი გაათავა. უთხრა მამამან: რაცა მითხარ, გზიანი და კეთილი
 იყო, მაგრამ სოფელი ესე საზოგადოდ შემწედ დაუცს ბრძანებასა ლეთისასა, და უფ-
 როსი ერთი საწუთროს საქმე, რაცა ჩანს, მიზეზზედ ჰკილია, ამისთვის მოცალეობისაგან
 ხელოსნობისა და მუშაკობის სარგებელი უკეთეს მოცალეობის სარგებელი მოცალეობით
 მინდობილსა ოდენ მიეცემის, და მუშაკობისა და ხელთსაქმრის სარგებელი თვითანცა და
 სხვათაცა სარგოდ მიხედების. ესე საჩინოა კეთილი საქმე და კაცის სიყეთე ესე არს, მი-
 სის სიკეთისაგან სხვათაც ერგოს. რომელსაცა სხვათა რგება ძალუცს, უღებებით არ
 შეეწიოს და მარტო თვისს[ქ]ა რგებასა ცდილობდეს, ბოროტს იქს. არა გასმია მის კაცისა
 ჰანბავი ქორისა და ყვავის საქმეს უკან, კეთილი მიზეზი დაუტყევა და ამ მიზეზით ლეთის
 რისხებას მიხედა? შვილმა ჰკითხა, ვითარ ყოფილაო?

შამაჰან თქვა არაკი

6. თქმულა: ერთი მწირი ტყეთა შინა ვილოდა, ცხონებისა ნიშატთა და ლეთის სა-
 კურველებათა საქმეთა იგონებდა. ანაზღეულად, ერთი წერვალო სწრაფი ქორი ნახა,
 ცლტა რამ ზორცი კლანჭითა ეკირა და ერთსა ხესა დაბრუნედა მოჭირვებულის ფრინ-

¹ ხელნაწერში: უმრწამისი.

ვითა, ბუდისა ახლო მოსლევასა ცდილობდა. მწირმან მას გაცდით კერეცა დაუწყო. ნახა ყვაი ერთი, უფროთა და ბოლო-დაცვინული ბუდითა ჯდა, და ქორი მას ყვაეთა მის საკმლითა ზრდიდა. მწირმა ღმერთს მადლობა შესწირა და თქვა: შენიმცა ხელმწიუობა და მაცხოვარება იქებისო, რომე უნაქრტენოსა ყვაესა, რომელსა ფრენა არ ძალუც და სლვისა ღონე არა აქეს, ერთსა ბუდეთა მრეპარე, უსაზრდელოდ და უწყოოდ არცა ესე დაუტყვებიო.

თქვა ჩაზრუბაულე

მიწისა პირი, ღვთიე განაპირი, ტაბლად გვიშლია, სრულად ცხოვლთა, მოფევერ მტერთა, ჩვილთა და ბერთა გვზრდის და გვალბინებს უბედ ყოველთა: კაცთა, ფრინველთა, ვინ დარბის ჯელთა, თეხთა და მჭრამთა. აგრეე მხოვლთაჲ და ფასკუნჯით, ბუთით, ნაღიმად უხით, საზრდელჲ არ გვაკლვბ, საშეშლთა სველთა.

აწე მე რადგან ჩემსა მდღეუარსა არ დაჯერებულეარ, და თავი სიხარბის ზრუნ- ვითა უდაბურთა და უგზოთა აღგილთა ჩამაგდია, და რას ხერხით თითო ლუქმა პურს აქა-იქ მოვიშოვებ და სარწმუნოებასა და სიმართლეს ვასუსტებ.

თქვა შაირი 1

მღღერის თავსმდები მდღეუარად არს მომცემელი სენითა, მაშა, აქა-იქ რასა ვალ ვითა გლახაკი რბენითაჲ მოთმენით გული დავსცალო, სულთქმისა ამოდენითა, და დღითი-ღღე ხედრსა დავსჯერდე, ვიკნოთ ესოდენითა!

აწ ეს მიჯობს, ანას იქით მოცალეების თავი მარტოობის მეხლთა ზედა დავსდვა და კალამი მოღვაწებისა წერილისა პარსა გაეკრა, ხელი ქვეყნიერის ლიქნისაგან დავი- ბანო და ერთსა კუთხეთა დავსჯდე და უდაბნოთ მყოფთა წესითა გული უზაკველის რიცხვის მიზეზითა ღმერთსა შეეაქარო.

ღ ე კ ს 0

სასოღ ღმერთი სჯობს, ვიდრეღა მთავართ შეწვენა-გებასა, რა მათგან სულნი ჯანვიდენ, განზრწნად იწყებენ გდებას.

რა სამსაოდე ღღე და ღამე მარტოდ სენაკთა დაეყუდა და ვერა რა მოსაელის პირი ვერ გაიცადა, უწმელობით დამქლდა და დასუსტდა. მისი სიმხნე და ღონე ესრე მოელო, ველარც ილოცა და ვერა რა მეუღაბნოის რიგი ველარა ქნა, ველარც ნარტობას დაადგრა და ველარც მოყესიანობასა. ამისთვის ღვთის რისხეა მოველინა, რადგან ამ სოფ- ლის მიზეზი, გზა და რიგი მეწალობითა და შენიწობით გარიგებულა. ღვთის ძლიერე- ბისაგან შესაძლებელია, რომე უმიზეზოდ საქმე იქნნას, მაგრამე ბრძანებაა: შრომითა და პირის ოფლითა სქამდენ პურსა, და ერთმანეთს სარგებელს და შეწვენას მისცემდენ ქვეყანისა საქმისა გასანართველად. და ესე უმჯობესია, შენ სხუას არგებდე, ვირემ შენ სხვისაგან რგებას ცდილობდეო 2.

თქვა ლექსი

ჭორულად მოინადირე, შენგან საზრდოთა ეუაოდენ, სხვისა ნაღაწი ნუ გინდა, ვითა ჭორისგან გუაე ოდენ.

ესე არაკი ავაზედ მოვიყვანე, რომ სცნათ უნიზეზოდ არა საქმე არ იქნება. საუკე- თესო მინდობა ეს არის, მიზეზისა რასამე გზით გარჯილობის მცდელი იყოს და ღვთის მინდობასა და მადლობაზე იდგეს, და იწედის საქმით მსოფლიო სარგებელს იპარეოდეს. ერთს ბრძენს უთქვამს: მუშაობდე და შერებოდე, რათა წკონარება არ გეუფლოსო. მდღეეარცნათვის ღმერთს მადლობდე, კერპი არ შეიქნაო!

1 დედანა: ლექსი. 2 ამ ადგილს ხელნაწერის ამაზე საბას ხელით მიწერილია: დადაე რჯუ- ლის წინააღმდეგად ჩნდა, ცოტა რამ ჩაღში ვყარა.

თქვა ზაირო

მიწოდებას ნუ შეუდრკები, შენწე გიყვარდეს მცნებითა,
მემაქნი ღმერთსა უყვარან სიმტკიცით, არ ოცნებითა,
მიწოდ თუცა ხარ, ცდაცა ყაფ შეშაკობისა თნებითა,
და ხაჭბე ქენ, მაგრამ იმედი ღმერთსა მიანდრე ნებითა.

მერმელა შეიღმან სიტყვა შეჰკადრა და ჰ[რ]ქვა: ზამო, ჩვენ არცალა ლეთისა მინდობილ ვართ, არცა მოშოებისა ღონე გვაქვან, რომე შემოკრებასა ხელი მივჰყოთო, და მრავალ მოწყალეზა ღმერთმან თვისი უბეის საუნჯით რაიცი ენებოს ჩუენად ბედად იგი ქნასო. მაშამან უთხრა: საქონელი შოენა ადვილია, და შენახე და მოხმარება ძნელი. რა საქონელი კაცმან იშოვნოს, ორი რიგი განკრძალე¹ უხამს: პირველად, ესრეთ შეინახოს, არ განაბნოს და სხვაეა შემატოს; მეორედ, მუცტებელსა და მპარავთა და მეკობრეთაგან დაიდაროს: საფასეთა მიყვარენი მრავალი უვის, და მას საფასისა უფალსა მტერი უამრავი ჰყავსო.

თქვა ჩახრუბაული

ცათ ველსა ჰქუეა, მალ-მალ მოჰცუეა, ჩვენთა ნიდაგ არ გვტარებს ღართა,
მაგრამ მრავალ ზნით, მთვართა და მზით, მეფეთ ვაბარნი გამარცხეს მჯდართა.

მესამედ², მისის სარგებლის მოსავალი რიცხვით შეიგნას და იცოდეს, და სათაგნოსა არა მოაქლოს, და თუცა მისი სარგებელი არ იქმნა და თავნისაგან წარგება დაიწყოს, მკიცრესა ხანთა დასრულდება და ოქროსა ნაცულად მტკერი გამრავლდება.

უთხრა ღეშმა

თუ ხლესა წვალი არ შესდის — იგიც დაშრება, ვიცითა,
კლდეს ძირს უაფდე ნიდაგ, ვერ დადგეს იგ სიმტკიცითა.

ვისცა მოსავალი არა ჰქონდეს და ხარჯსა არ ეკრძალებოდეს, გინა მოსაგებელთაგან წარსაგებელი მეტი აქენდეს — იგი მთხოვარებისა მორევთა ჩაეარდეს, და საქეე სოკვდილის ნატრად გაუხდეს, რაგვიარადაც საქმე გაცულებულმან ჯავრით თავი მოიკლაო. შეიღმან ჰკითხა, ეგე საქმე რაგვიარად ყოფილაო?

მაშამან თქვა არაყო

7. უთქვამთ: ერთს მხენელსა თვისი საზრდო ხვარბალი შეენახა და მისი მოგონების კარი მაგრად დაეხშაო. ვირემ ერთ ეამ დაქირების დღე მოხდეს, და მის შეზარების დროს ვისარგებლოო. მაშინ ერთი თავგი, ყოველთა მეკობრეთაგან უჩქარესად, მთვარის კალოდამ მარცვალთა და ცისაგან ვარსკვლავსა მრისხანეს ქანგითა მოიტაცებდა. მის ზვარბლის ორმოს ახლოვრ სორო ჰქონდა და დღე და ღამე მის მიწის ქვე ხვრელთა სთხრიდა. მის მთხრელობასა შინა, ანაზად, მის ორმოში გამოხვრიტა და ხვარბალმან წეიმასავით ზეიდამ დენა დაიწყო. თავესა საზრდელი მოაქლდა. რა ხვარბალი დანაცუენი ნახა, ღმერთს ზადლობა დაუწყო, რადგან უსასყიდლო თვალი მან იმედად იშოვნა. რა მრავალი მოსავალი ნახა, ფარაოს სიდიდე და ფრიდონის მასპინძლობა დაიწყო. რა თავეთა ეს ამბავი მიესმით, ყოველნი წელ-შერტყმულნი მის წინაშე მონურად წარმოდგეს.

ღ ე ქ ს ო

მაფრებელნი მოყვანნი შოვლენ და გედასებიან,
მწერავით სიტყვის მოსდევენ, შენთანა არ მოყვდებიან.

სიმამლის მღველნი და სირჩათა მსმელნი თავენი მოვიდენ და გარ შემოუგროვდენ, და რაც ზათის წესით საფრებელი და საქებარი სიტყვა მას იამებოდა, მას მოხსენებდენ, ენას მისის ლოცვისა და შესხმის კლდე არას აუბნებდეს. იგი თავგიცა უგუნურებით ამპარტაენობდა და ცვისის თავის ქებისა და კვენის მეტს არას იტყოდა. მათ აძლევდა, ხარჯედა და აფორთაქებდა: ესე იმედი ჰქონდა, რომ ეს ხვარბალი მრავალი და ნიდაგ ესრე მოიღინებო. დღე-ყოველ თვის მეგობართ ხვარბლით დატვირთულს წარავლენდის, საბოლოოსას არას სინჯვიდა და სახვალ-ზეგიოსას არ იგონებდა.

ხელნაწერში: ¹ განკრძალვა. ² მესამედ მეთრედ.

ატყობის ტაძრის

მწდგ, ფლეს დამათვერ, ხელ ვიციდი მათ ვერ.

რა თავგნი ამი ლხინსა და განცხრომითა იყუნეს, მაშინ სიუმილის ვიწროვებამან ხელ-ფერხთა ლონე მოშალა, და შიმშილობის ცეცხლი ლვილდამწვეართ გულთა შინა უშეშორდ აღაგზნა. ყოველთა ადგილთა ერთისა პურისათვის ერთისა სულსა აძლევდეს, და არაეინ სიიღულობდა; სისხლისა სათავენოსა ხეარბალთა ზედა მისცემდეს, და არაეინ იღებდა.

შ ა ბ ა

სიუმილისგან მოყვარე მოყვართ ვერ იცნობდიან, მავედრებელთა ვედრება მსმუნელთა არ ესმოდიან, კბილნი ბაგეთა მოკმასა სტომაქნა ვითა სცნობდიან, და მშიერთა ცრემლნი შიძლართა გულ-ქვთა ვერ აღბაზნდიან.

მას თავესა შედიღურობის სიუხებითა ტაბლა კეთალისა საქმლით აეცსო, და ძენ-წაობის სახელი მიღმა გაეშორებინა, და არცა მის წელიწადის ნაკულუევენება სმენოდა. სამი-ოთხი დღე რა გამოვიდა, მხნეულსა სულის დანა ძეაღთა მიაღდა, მას ორმოს მოპ-ტადა, ნახა მრავალი მოპკლებოდა. ამისთვის საოაინ სულთქმა მდელარისა გულიდამ აღმოადინა და მისი მოკლებსათვის მრავალი იზრუნედა. ვერმე თქვა: ვარდასულის საქ-ნისათვის ტირილი ჭკუიანის კაცისაგან სელთ მიმზავსება ირისო. ესე სჯობს, ესე ხეარ-ბალი აქადამ სხვასა ადგილისა ვარდაესცეალოო. მიჰყო სელი და დანარჩონს ამოღება დაუწყო და სხვაგან წაიღო. მას თავესა, სოროსა მყოფსა, სილაღით ვერა შეეგნა-რა, და გასვენებით ეძინა. სხვა მასთან მყოფნი თავენიცა მის მხენელისა ფერხის ხმას ამპარ-ტაენებით ყურს არ უპყრობდეს და არცა რას ფრთხილობდენ. მათში ერთი მრანახული ააგვი იყო, რა ფერხის ხმის ალლო აიღო, ერდოთა ამოვიდა და ერთის ხერელიდამ კვირეა დაიწყო. მხენელი ნახა, ჩაირბინა და თვის ამხანაგთ აცნობა, და თვით გაძერა და წავიდა, და სხვა თავენიც ყოველნივე თეთო ხერელით გაიპარენ და მასამძელით თავი მარტო დაუტყვეს.

ჩაბრუხული

ცვალას ამისთვის, ერთის გამისთვის, ვითამ უყარდი ზენ სასურველად, სახრდელსა ხმირსა, ვითა ნაზირსა, უხვად ფყრიდი ახალსა ძეგლად. რა საქონელი შეგვექნა ბნელი, მათცა მოყსობა ვერ გიყვეს გრძელად, შენი მოკლება, მათდა სარგებლად, მისთვის უნდოდით სარგოსა მქნელად. ესრეთს შეგობარს, ბორატად მცნობარს, მადურებელსა, რად იღებ ხელად? და სჯობს მოიძაგო, ან სამ წააგო, არ გიჩნდეს მათი გაყარანი ძნელად!

რა მეორეს დღეს თავეი განსვენებდამ ადგა, რა მიმოიხედა, თვისი საყვარელთა-განი ვერაეინ დაინახა. რაოდენც იკვირბა, მისის მოყვარეთეგან არაეინ პოეა, ტირილით ესრე იტყოდა, და

თქა ლექსი

ჰე, საჯარელნი მოყვასნი ხად გამეცალნეს, სად არად, რად მოპიტულეს, რა იქნეს, ვინ ეპოთ მათდა სადარად!

რა მათი ამბავი ველარა შეიგნა-რა, მისას საწოლით გამოვიდა, შინშილობა და პურის სიძვირე შეიტყო, ჩქარად მობრუნდა და თვისა სოროთა შევიდა, რომე თვისი საზრდო შეიკრიბოს და შეინახოს. რა ორბოდ მივიდა, მარცვალცი ველარ ბაოეა, რომე ერთ-ჯერად გამაძლარაყო. მეტის დალონებისა და შეკირვევისაგან სული ყიათა მზადდა ესოდენ, მიწათა თავი აწყვიტა, ტვინი ზედ დაანთხია, და ზრუნვისა იღბორგვებითა სიკვდილის ფონში დაიღუპა და მიწათა გაერია.

ამა არაეის სარგებელი ეს არის, რომე კაცმან ხარჯი და მოსავეალი უნდა შეასწოროს და რაც თავნი ჰქონდეს, მისი სარგებლით საზრდო გაირიგოს, და სათავენოს დაუკლებე-ლად მართებულად მოუაროს.

თქვა ლექსი

თუ მოსავალი არ გქონდეს, სარეაგით ხარჯე, ეწესითა,
მოსავლისა და ხარჯისა რიცხვს მალ ნახედე, წესითა.

მანამან რა არაკი დაასრულა, უმრწემესი შეილი ზე აღდგა[!] და სიტყუა საქმე-
ლის თვალ-მარგალიტითა მოოპვილად შემზადა და თქვა: ჰე, მამაო, რომელმანც კაცთა-
განმა თვისი ქონება კეთილად ავგზავროს და მისგან სარგებელი გაუმრავლდეს, მან კაცმა
რაგვარად უნდა დახარჯოს? მანამან უთხრა: მართებული რიგი ყოველს საქმეთა შინა
ქებულა, და უფროვე რომ ინყოფინოს საქონლის უფალმან, უნდა მოსავალთან სარგე-
ბელი ორ-რიგად დასდეს: ერთად რომე, უადგილოს ხარჯსა და მეტს წარსაგებელს
გაკრძალოს, რომე ბოლოდ სასინანულოდ არ გაუხუცეს და გმობა და ძვირის ზრახვა არ
დაუწყონ, და საიციხელი ენა მანედ არ აუბნან. ეს დაიჯერე, საქონლის ცუდს საქმე-
ზედ ჭარდაგება ეწეაური საქმე არისო.

თქვა შიარი

მოხევა და წარსაგები, არ ქებულა შენაბედი,
უბობა მოსაწონი, ვისაც მისეცე შენა ბედი.
ძუნწობა სჯობს გარკეთნას, აფრიწოლა შენაბედი,
და უსარება ხარჯი მას ჰგავს, ცეცხლს მიუპყრა შენ აბედი!

შეორე, ავსა და სიძუნწის სახელს მოერიდოს. სიძუნწე რჯულშიაც კოვდა და
თემზედაც სასიკაცხო. ქვეყანათა მპყრობელი თუცა იყოს და თუცა ავის მოქმედია,
მტკრთ გულსად გახდების. ძუნწის საქონელი ბოლოდ მარბიელთა და მტაცებელთა-
გან იავარ იქმნების, რაგვარადაც ერთს ავაზანს ხუთი-ექვსი რუ შესდიოდეს, და მას
ავაზანს წყლის შედენის ოდენი ეასადენი არა ჰქონდეს, გზის სიმპიდროობისაგან ყოველ-
გან ძალას დაატანს, და კეულთა შინა წყნარად ეონებასა და დენას დაიწყებს და, ბო-
ლოდ, ის ავაზანი ძირიან მოიშლება და სრულობით დაინგრევა, და მისი წყალი ცუდად
ქვეყანას მოიცავსო.

თქვა შიარი

რა ძუნწმა თვისი ქონება სიძვირით ვერ იხმაროსა,
მტაცებელთაგან დაიბნას, ვითა ბზე ქარმან აროსა.
თუ ტრამთა დარჩეს, სწყყელიდეს, გინება არ აკმაროსა,
და აქ შერცხვებს, მერმე კი წაწყმდეს, ჩავარდეს, ბნელსა ხაროსა.

რა შეილთა მამისა სწავლა მოისმინეს, მისი სიტყუა ასარგებლიანეს, და თითოვან
თითო საქმისა ხელ-ყოფად გული აღიძრეს. უხუცესი ძმა ვაქრობად გაემზადა შორთა
გზათა და ხელი მოიწყოს და წაივინა. თანა ორნი აზავერნი ჰყვეს, ერთისა თურისა ნა-
შობნი, რომელნი მბრუნავისა ეტლისა კუროსა მათი კიდებისა ღონე არა ჰქონდა; ზო-
ლიაქოსა ღონე მათის ძლიერებისა შიშითა, მშიერის კატასავით, ძლიერს კანგსა უსუსუ-
რობის ნუნათა შინა დამალვიდა.

ღ ე ქ ს ი

ტანად პილოსა ოდენი, მებრძოლად ღონის სახენი,
საწვრეტლად ტურფად ღამაზი, სლით მსგავსი ვერა ენახენი.

ერთსა სახელად შუთურბა ერქვა, და ღეორეკა — მანდაბა. ვაქარი იგი რი:ეედა
აზავერთა მათ და დიდად ხელს უწყობდა, მაგრამ გზის სიგრძემ და თემით-თემ სი-
არულმან მიავიწი და სიმკლე ეეფულათ. გზათა ზედა ლიამპალი დახედათ და გასლავსა
შინა შუთურბა დაეფლა და ევარა ამოვიდა. ვაქარმა მრავლის ღონის ძიებით ამოიყ-
ვანა, და რა სლითა ღონე აღარა ჰქონდა, ერთსა მოჯამაგირეს მინაბარა და მისი მოვ-
ლისათვის ევედრა, და რა მომართოს და შეიძლოს, მასევე მოჯამაგირთან მიყვანა ამცნო.
მოჯამაგირეს ორსიოდ ღლეს მარტობა მოეწყინა, შუთურბა მუნ გაუშვა, პატრონს
დაკარგვის იმბავი მიუტანა, მას მეორეს სავანესა მანდაბაც მეტად დაშვრა, და შუ-
თურბას გაყრის ნაეღელიც გაუმძლავრდა და მოკვდა. შუთურბამ მცირეს ხანთა შინა

ლონე მოიცა და დაძვრა შეიძლო. აქა-იქ საძოვარს ძებნა დაუწყო, ერთს შეენიერს სა-
თიბს შეხედა, შაშპარა-რეული მრავალფერი ყვავილი მოჰყვნოდა, სამოთხის მეწალ-
კოტესა მას მისის შეენიერობისაგან გაოცებითა თითსა ზედა ეკბინა, ცას მისად სამ-
ზერლად გონება აეხილებინა:

ჩახრუსულე

ყვავილოანი, ჩერო-შხონი, მოლხედა წყლნი ხშირად დიოდეს,
მის შემკობასა, ბანაკობასა, სამოთხის მცურნი მეტად ზიოდეს.

შუთურბას ადგილი იგი დიდად მოეწონა და დასადგომელი ბარგო მუნ ჩამოჰხანდა,
ერთ ხანად უაეშროდ და თავისუფლად იარა, მის წალკოტისა მსგავსს მინდორთა სძოვდა,
მას სულთ-მომაბრუნებელთა აერთა და გულის საწადელს საწყოფთა აქა-იქ ეტარებოდა,
მეტად პოხილად გასუქდა. მუნ მოსვენებამა და სიხარულითა გემოვნებამან მაღალი ყვირილი
მოანდომა. მას ადგილს თურე ერთი ლომი გვარობდა, მოშოა და უზაბარის მსგავსი;
ყოველნი მხეცენი მის სასამსახუროდ წელ-მორტყმულნი დვენ და სხვათა ნადირთა სა-
მონოდ ხელით-წერილით თავი დაედევთ. ლომსა თვისის სიმზნითა და ძლიერებითა, ყმათ
სიმრავლითა და ადგილის სიდიდითა ამპარტაენება შესლოდა, და მისი უფროსი ალა-
რაიენ ევონა, კისკასს ჯიქსა და ტან-დიდს პილოს არად მიიჩნევდა. მას არც აზავგერი
ენახა, არც ხარის ხმა ასმოდა. შუთურბას ყვირილი რა შეესმა, დიდად შეეშინა და მის
განკრძაღვასა იყო. მისი შიში სხვა ნადირთ არ შეეტყო, და ამისთვის აღარსად წაეი-
დის, არცალა ერთის ადგილით მიმოივლიდის. მის სიახლოეს ორი ეშმაკი ტურა იყუ-
ნეს, ერთისა სახელი ქილილა იყო, და მეორასა — დამანა; ხერხიანნი და საქაჯოთა საქ-
მეთა შინა სრულნი, მაგრამ დამანა უახოვნესი იყო და მედიდურობისა¹ და სახელის მძებ-
ნელი. დამანამა იაზრა, რომე ლომსა შიშისა რამე საქმე გულთა ჩავარდნიოთ, და ქი-
ლილასა უთხრა: ნადირთ ხელმწიფის მოწყენისას შენ რას ამბობო, რომე ლხინი და
შეება გაუშვია და ერთს ადგილს მარტოებით არისო?

აქვა ლექსი

შუბლთა აჩნია ნიშანად მისის გულისა ურვანი,
ივის, ვერ უთქვამს საქმენი, რაცა აქვს შიგან ზრუნვანი.

ქილილამ უთხრა: შენ, მაგის გამოძიებასა რასა სდეე, ანუ რა მართებულია შენი
მაგა საქმისა კითხვაო?

უთხრა ტაემა

რა ბარ შენ, ვანა, რომ გაცოდინა, თემთ საიდუმლო ხედ მოციხდინა.

ჩვენ ხელმწიფის კარზედ მცირედსა საზრდოსა ეშობოთ, და მათის ბედნიერის ჩრდილს
ქვეშ განსვენებით დღესა ლა ლამეს უატარებოთ, ესე კმაა ჩვენთვის. შეფეთ ზვაშიაღთა
ცნობასა და მისთა საქმეთა გამოწველილუასა ნუ ეძებო, ჩვენ სახელმწიფოთა შინა ამაღ-
ლებული არა ვართ, არცა მათა სამსახური გვითავევია. ჩვენი სიტყვა ხელმწიფეს რო-
დის მოუხსენების, მათი სიტყვის თქმა თავისა თვისისა ქებასა წადილია, და რომელიც
ქებასა ცდილობდეს და თვისსა საქმესა არ დასჯერდებოდეს, მას ევკრე მოუხდება, რა-
გვარადაც ერთს მაიმუნს მოუვიდაო. დამანამა ჰვითხა, როგორ ყოფილაო?

ქილილამ თქვა არაჟი

მ. ნათქვამია: ერთმან მაიმუნმა ერთი მხერხავი ნახა, ერთს ძელზედ იჯდა და მას ხერ-
ხევდა. ორი სოლო ჰქონდა მას ძელის ნახერხში, ხან ერთს ჩაარქმოდის და ხან მეორესა,
რათა მისი გაცვეთა გაიადვილოს და ხერხის ტარებას გზა ხსნილად ჰქონდეს, რა
ხერხსა ძელის ნაკვეთი მოუჭირებდა, წინა სოლს ამოიღებდის და უკან დაარქმოდის.
მაიმუნი ამას გულს მოღვინედ სინჯვია. ხეროს საქმე რამ გამოუარდა, ალგა და წაეიდა.

¹ ხელნაწერში: მედიდურობისა.

მაიმუნმა რა სამუშაო უკაცური ნახა, ჩავიდა და ნახერხის მხარეს დაჯდა, და სასირცხო ასო ნახერხში ჩაეკიდა. მას ნარკობს სოლს, ხუროს ბაძით, კიდემა დაუწყეო, სხვაგან დარქობა უნდოდა. რა სოლი მოვლიჯა, ძელის ნაპობმ[ა]ნ პირი პირს მოუქირა და მაიმუნის სასირცხო შიგ დაჰყუა. მაიმუნი, ტკივილისაგან შეიწრებული, ტირილით იტყოდა

და თქვა ლექსი

ამ სოფელს ვინცა მუშაკობს, კეთილ არს დაუშრომელად.
მისს არ დასუჯრდეს, სხვისა ქნას, დაუგზომან განუზომელად.

ჩემი საქმე ხილის ქაშა იყო, არა თუ ხერხის ხმარება; ჩემი მუშაკობა ქერქთა შეძრობა იყო, არა თუ სოლთა დარქვა და ცულთა კვეთებაო.

თქვა ტაეტი

ვინც უქნელი ქნას, ჩემებრ შეიქნას.

მაიმუნი რა ამ გაქირებასა შინა იყო, ხურო მობრუნებული მოვიდა, მოხმარების ნაცვლად სიკვდილსა მისწვია.

ამისთვის უთქვამთ ტაეტი

ქია რად ბაძავს ხუროსა, ხამს ხილი წაიბჯროსა.

ესე არაკი ამისთვის ვთქვი, შეიტყოთ, რომე ყოველჴან სულიერმა მისი შემსგავსებული საქმე უნდა ქნას და თვისი ფერხი მაგალითიდამ არ გარდადგას.

შენიერად უთქვამთ ფიხოქარი

ერთი იგავი მახსოვს მოყრისა, ცნობილთა ბრძენთა ტკბილად ნათქმისა:
საქმე ყოველი კაცისა არის, არა თუ კაცი ყოვლის საქმისა!

საქმე ეგე შენგან საქნელი არ არის და დაეხსენ, მცირედი საზრდო და ცოტათი გასაძლებელი მოგცემია, იყოფინე, შენი საფერი საქმე სცანო. დამანამ უთხრა: რომელსაცა ხელმწიფეთაგან დიდყოფა უნდა, მცირედი საზრდოთი არ იქნების, ცოტათი მუცელს ყოელთა აღვილთა მოაძოებს, მაგრამ მეუფეთ წინ სამსახურის სარგებელი შალის სახელისა და სახელოს მოპოვნებისათვის ქნილა, რომე მით შეიძლებს მოყვარეთ მოყრობასა, მათს არძანგთა და მტერთა მტრობასა და მათს შურის-გებასა. რომელიცა მცირესა საზრდოსა დასჯერებია, იგი კაის კაცად არავეს შეურაცხია. ძალსავეთ ერთს ძვალზე სხაოული და, მსუბავს კატასაებრ, თავისს შეპყრობაზედ ვანცხრომა რა სახელია, მე შინახავს ლამაზ ყურდგელი შეეპყრას და, რა კანჯარი ენახოს, ყურდგელი გაეშეას და კანჯარს მისტივებოდეს.

თქვა ლექსი

მ:დალს საქმესა ეძებდე, ღმერთმან ეგრეთვე გიყოსა,
მის იმედისებრ გიბოძოს და პირი არ დაგიყოსა.

ვინცა სიშალის ხარისხთა პპოებსა, ვარდივით რავინდ დღე მოკლე იყოს, ბრძენთაგან შევნიერის შესხმითა დღეგრძელი შეიქნება. რომელმანცა სიავესა სიძუნწეთა შინა თავა ჩაავლოს, ძეწხისა ფურცელეებრ რავინდ მრავალი გასძლოს, საქებლად არ დასწერენ და არც სახელდიდთა თანა არევენ და მათთან აღრიცხვენო.

თქვა ლექსი

კაცი სახელის მძებნელი, უკვდავად შემირაცხია,
მკვდრად იგი თემულა, ღის კაი სახელი ზედ არ ატხია!

ქილილამ თქვა: სადიდე და სიშალის ნდომა ესეთის გვარ-ქებულის კაცისაგან მართებულია. ჩვენ მის დიდგვართაგანი არა ვართ, რომ სიშალის ხარისხზედ აღსვლას ვეირნახებოდეთ და მახედ საცადლის ფერხნი დადგმად შევიძლოთო.

თქვა ლექსი

გულის ზრახვანი უზომო, ზღვაებრი გულთა წყობილი,
მცირე ასოა, ვით იტყვს — ვერას შეიგებს ცნობილი.

დამანამ თქვა: დიდობის მოპოვნებელი კჴუა და სიკეთე არის, ვისცა რჩეულ ცნობა აქვს, თვისის კეთილის მყოფელის ცნობა უწყის და თავსა თვისსა დაცემულობი-

საგან¹ მაღალს და კებულსა და პატიოსანს ხარისხზედ აიყვანს, და ვისიცი კჳა და მეცნიერება მოკლე და უსუსური² აქვს, ამალღებულის ხარისხით თავს სიმდაბლისა და სიგაღაბაკის უბეთა ჩამოაქრუნებს.

თქვა შიორი

წინასწარ მცნობი უქიათ, სიბრძნითა სწორი და სრული, ძალ-უცს თავისა დაპყრობა, თუ ცით აქვს თავი დასრული, თუ გულის თვალი ღია აქვს, არ ეყვს მისის დასრული³, და იგავით მიზედვა ვერ უძლოს, ტარებით დაწერეს დასრული.

ღიდად მეცნიერთ უთქვამსთ: სიმაღლისა და სიღიღის ხარისხზედ აღსლგასა დიდი ცდა და გარჯა უნდა, და დაბლის პატივის ხარისხთა ჩაუარდნა ანაზღგულად იქმნება, ამაღ, რომე რომელიც მსიმესა ლოდსა შპართა ზედა დადებად მოინებებს, ხერხითა და მრავლის სარჯლით ზღება გაუქირდება, გაურჯულად რა გაუმეფას, მიწათა დაეცემა. ხამს, რომე ამალღებულს და სიკეთით სრულს კაცს ნაღლისა და კიარის მოთმენა შეეძლოს, და სხვანი მის მსგავსად მას მაღალს სამნეოს ვერ განაგებდენ.

თქვა ჩახრუხული

ულონო კაცთა, ჭართ სახარხაცთა, ტრფილთ აღერსი ვით შეუძლია? კახუტთა ლომთა, მიმართონ ომთა, თუ არ სიმშნითა, მტერთ რთმე სძლდა.

ეინც მოსვენების მდომელია ნიადაგ, უპირის-წყლოდ სიძუნწისა და ურცხოების კუთხეთა დაენარცხება; რომელიცა ცოტა ტკენითა ეკლიდამ ვარდის მოკრეფას არ ეცადოს, მან პატივის წალკოტთა შინა საღბინოდ ნატა ვერ გაიფინოს.

შ ა ო რ

ვითა მომეცს პატივი, შეედრკე კირთა მაღალბს? ვირე სისხლისფრად არ იქცეს, ფას ვინ დაერთავს მაღალბს, საწადლის გზათა დამარბა ფრად დამაჩნეს მაღალბს. და ბლოდ, ვით ეიო მოღბენა, პირველ არ გარჯა მაღალბს.

ნეთუ შენ მათ ორთ ამხანაგთა⁴ არაკი არ ვასპოდესო, რომე ერთმა მოქირვებითა და ცდით ხელმწიფობა იშოვა, და მეორე ულონობითა და მცონარებითა მთხოურად და მკლოვანად შეიქნა? ქილილამ ჰკითხა, როგორ უოფილაო?

დამანაშ უთბრა არაკი

მ. იყენენ ორნი ამხანაგნი, სახელი მის ერთისა სალიმ, და მეორისა—ყანიმ. ორნივე ერთს გზასა მავალ იყენეს, ერთსა საყანესა დაისადგურებდენ; აგრევე გზათა ვლიდენ. ერთსა მთის ძირთა მივიდენ, რომე თავი მის მთისა — ლურჯის ცის ცხენისათვის სადავე გაესწორებინა, მისი გარე მოსართაჲი ცის ბურჯთ გრკალთან ავეყანდა ავეყანდას ხედებოდა; მის მთისა ძირთა ერთი წყარო დიოდა, შეენიერებითა აბალს გაშლილის ვარდის პირთაებრ და სიტკბოთი ბაგე-ტკბილ და ენა-შაქრიანებრ მწვეთარე; მის წყაროს წინ ერთი ავაზანი იყო, გარეშემო შემოროგებულნი ხენი, მარდილობელნი, რტო-რტოთა გარადიდებულნი.

შ ა ო რ

ხენი დარგულნი გაწყობით, ზე აღმართებით მდგარენი, სარო და ნაფი დამხერით, ნარდთა მოცქვა გარენი, შაშპრა შროშანთა ნარჯი, სუნვით აყვსთ არენი, და ია თავ-მოხრით, მონურად, მათ აძლდა, არ უდარენი.

რა იგი ორნი საყვარელნი ამხანაგნი, მის საშინელის მინდერიო დამაშვრალნი, მას განსასვენებელს სიავეთა მოვიდნენ, ნახეს მეტად შეენიერი და სიკეთით გულის საწა-

ხელნაწერში: ¹ დავემუღებმისაგან. ² უსუსურია. ³ S-31 ხელნაწერს და აგრეთვე S-31B3 და S-5004 ხელნაწერებს ამის შემდეგ აკლია იბეღლება S:2650, ფ. 106 r—110 r. ⁴ ამხანაგთა.

დელი ადგილი, მუნ დაისადგურეს და განისვენეს. მერმე ადგეს და მის წყაროს გარემოსელა და ტარება დაიწყეს და მიმოსინჯილდეს. ავაზანს იქით ერთი თეთრი თიქალი ნახეს, ძლიერების კალამთაგან შწუნანისა ასოთა, ვითა დიდისა სიბრძნითა ქარტათა ზელა დაწერილისა უმჯობესი აღმოიქითხეს, და ესრეთ ეწყრა: ჰე, მგზავრონო! რომელნიცა ამას საუანესა გარდახლეთ, ბედნიერობისა იმედნულნი იყენითო ამისთვის, რომე სასტუმრო საუანე კეთილად განგვიწყნებიაო. სასარგებლო ჩახვი-რიგიანის საქმით გამოგვიბერტყია, ამა საქმითა და პირობითა, რომელმანცა თავი თვისი გაწიროს და ამა მორეთა ჩაბდეს, და დალუკათაგან არ შეიშინოს და საცადლით იქით კიდეს გავიდეს, მუნ ერთი ქვისაგან გამოთლილი ლომი კლდისა მის ძირთა მდებარეა, იგი მხართა აღილოს, და უსვენებელი და დაუყოვნებლად ეს მთა წვერამდე შეიძინოსო. მთაზედ ესრეთ აიტანოს, რაზომცა სულთა მომნადირებელნი მხეცნი და ქვეწარმავალნი წინარე ბრძოლად დახუდნო, ანუ ღვიძლთ განგვკრემელნი ქაცენი კალათათა ეკიდებოდენ, ამათით სირბილი მისი არ მოშალოსო, და ესრეთ რა მთის თხემთა აღვიდეს, მაშინ მისის საწადლის ხემ მისი სანდომელი ნაყოფი მოსცესო.

• • • • •

თუ კაცი გზათა არა ვალს, ვანად ვერ მიიწყვისა.
 ვგრეუ თუ სულს არ დაღვეს, ზეცად არ აღიწყვისა.
 თმთა დაპყრობის სასოთა ნათლად ჩანს გარდაწყვისა.
 და მან დანახოს ცოცხათი, ვის სიბრძნე შეწყვისა.

იგი წერილი რა წაიკითხეს, ყანიმა მოიქცა სალიმისაყენ და უთხრა: ძმაო, მოდი, საწადლის ფერხითა შიშის ასპარეზი გავზომოთო, და ამა ტილისმისა ცნობისათვის გავისარჯოთ და ვეცადნეთ რასმეო!

• ჭვა ლექსი •

ან საწადლისა ღრუბელთა ავალ და აფერინდებია,
 ანუ კაცურად სიმზნითა სიკვდილი თაეს მიღებია!

სალიმ უთხრა: საყვარელო მოყვისო, ამა წერილისა რადგან არცა მწერალი ვიციოთ და არცა სიმართლე დაგვიმტკიცებია, ამ რიგი საექვე რამ დიდად საფრთხილოა, რომე უმეტრებითა თავი განსაცდელში და სიკვდილის გზათა ჩაგდება უგუნურებისა შესწორებულნი არიან. არა მე უნთერი სამსალას და თერიაყსა ერთად არა სკამს, და არცა კუვის მყოფელი ხელთ საქონს ვეცხლსა საექეს საუაქროზედ მისცემს.

• ჭვა ლექსი •

რადმე უჩნდეს კაცსა ბრძენსა და კეთილად მცოდინარესა,
 ათას წელ მოსვენებულსა, ერთს წამ შეწყენით მარესა?

ყანიმამ უთხრა ტბილად: საყვარელო, მოსვენების წადილი უღონობად და მცონარებად ითქმის, და საშიშართა შინა ყოფა ბედნიერობისა და სიმალის ნიშანია.

• ჭვა შიარი •

მოსვენებისა მდომელმან თავი ვერ ოდეს იქისა,
 მცონარმა ბედნორობა უბიგეთა ვერ ჩაიქისა;
 ნებართობისა მოშიშმან ღვინო ვერ შესვას ტიქისა.
 და საწადელს სად მიემთხვიონ უსარჯლოად ავა-იქ ისა!

სახელ მაღალი კაცი მცირე ლუკმათა და უგვანის კუთხეთათვის არ დაბადებულა, ვირემ სიდიდეს არა ჰპოებს, წადილის ფერხი სელისაგან არ დაეცადება; სიმზიარულის ვარდი უეკლოდ არ მოიკრიფება. სურვილის საუნჯის კარი უცდელად კლიტით არ გაეხმის. მე სახელოვნობის სადავე, ჩემი შემპყრობელი, მის მთის თავზედ მიმწყეს, და მოკეთეთ მორეთსა და ქირის ტვირთვასა აღარა ვზრუნავ.

თქვა შიარსი

თუცა მისითა ძებნითა ტირნი მრავალნი მოვიგნე,
უცოდველია სურვილი, თვალნიცა მასხედ მოვიგნე;
უღაბურთ გზანი საჭირო მის ნახვათათვის მოვიგნე,
და ჩემისა სატრფიალოსა ლახვარნი გულთა მოვიგნე.

სალიმ თქვა: რადგან სიციცხლე ბედნიერობის გაზაფხული სულისა ამისის მოლო-
დინით გაიძღების და ღნიოშის შემოდგომის გაწყობაცა იქნებას, მაგრამ ესე ერთს ესეთს
გზახედ სიარულია, დასასრული არა აქვს, როგორც უკიანე ზღვათა შინა ვლა, რომელსა
კიდენი შორად აქვან. ამისებრნი კეუის გზათავან უცხო არიან, ვინცა ერთი რამ ხელად
აილოს, განიწჯოს და რაცა მოსაველი რგებია, წარსაგებელიც აგრეე წარაგოს, და საქმის
გაგების რიგი იცოდეს, და მისი შესამატი და დასაკლისი კეუის სასწოროთ ასწონოს,
რომე ცუდად და უბადოდ მიიხი საქმე არ წაუხდეს და სიციცხლის სიტკბოს ხვაეი გა-
საბნეველად ქარს არ მისცეს.

უიხრა მახრუხაულა

ოდეს ხე-ღ ფერხით, დაადგი ბერხით, რა დაამტკიცო, სხუცა გარდადგი;
სადაც შესრულმან, მონახე სრულმან, სად ზეველი იყოს, გასძერი, გარდასდგი!

ნთუ, ეს წერალი ჯადეგობა რამე იყო, ან ეს დასახელი საცინელად და სა-
თამაშოდ მოერთოსთ? ანუ წყაროსა ამის მორევი ნაპირად მცოდნეთავან არ გაი-
სვლებოდეს? ანუ რა მისგან მორჩეს, მან კაცმან ნთუ სიმძიმით ქვის ლომი ეზართა ვერ
იტერითოს? და ესე ყოველი თუცა აღასრულა, ერთისა რბენითა, უსვენებელი, მის
მთის თავსა ვით ააწივოს? და თუცა იგიცა შეიძლოს და მას აღგიღს ნივიდეს, და მუნცა
არა-რა თვისის ნებისა დახედეს, სცან, რომე მე ამა მგზავრობის მოზიარე არა ვარ, და
შენცა დიდად გიშლი ფერხთა შედგამისა მაგა საქმეთა შინა. ყანიმამ უთხრა: მაგას ნულარ
მეტყვი! იცოდეთ, ამ საქმიდამ არ გამოვბრუნდები. ეს ქორწილი რომე მიქნია, ეშ-
მაკის ცთუნებით ამას არ მოვწლი. მე ვიცი, რომე შენ ჩემსა ამხანაგობასა ვერ ილო-
ნისძიებ, და რადგან წასვლაში ვერ მიამბანავდები, აქაღამე ლოცვით მაშინე შემეწიეო.

თქვა ღექსი

ჩანს, რომ ვერ შესვამ ღვიონსა: ძალი არ გიჩანს ღონისად,
მთურალად შეაქვენ, მაშინცა სჩნდე მოყვასთ მოსაწონისად.

სალიმ რა შეატყო, რომ წასვლა არ მოიშალა, უთხრა: ძმაო, ჩანს ჩემი ვერა შე-
გასმინე-რა, და ამა უქნელისა საქმისა ქნა ვერ მოგაშლევიენ... მე ამისთანას საქნელის
ქვრეტას ვერ თავს ვიდებ. ერთსა საქმესა რომე ჩემი გული სწორად ვერ ხედვიდეს, მზე-
რასა ვერ დაუწყებ. უბეჯობესად ეს მინახავსო.

თქვა ტაემა

აქათ უნდა ავიპარგო, რადგან სწავლით ვერა ვარგო.

მერმე თვისი ტვირთი აქიდა და საყვარელსა ამხანაგსა დაესალმა, და პირი გზას
ნიიპყრა. და ყანიმამ თვისი სული და ხორცი გაწირა, წყაროსა პირსა მოვიდა

და თქვა ღექსი

ჩავიჭრა უკიანესა, ზღვის ფსევრმა სწრაფად მიტა,
ანუ სრულად დავინთქა, ან ვითო მარგალიტა.

მერმე წასასვლელი კალთა წელთა ჩაირქო და ფერხი წყაროსა მას შივა ჩადგა.

ტაემა

წყარო არ იყო მდენარე, ზღვა წყაროდ გამოჩვენარე.

და შეიტყო ყანიმამ, რომ წყარო იგი კირის მორევი იყო, მაგრამე გაგულოვნდა
და ცურვით ნაპირს გავიდა, წყალთა კიდეთა აღგა და მცირედ შეისვენა და ლომი იგი

ქვისა სიმხნითა და ხეჩხითა მხართა შეიღვა, და თთასნი ქირნი სხვანი იტვირთნა, და უსვენებელის რბენითა მის მთის წვერზედ აიტანა. მის მთის უკან ერთი დიდი ქალაქი დაიხაზა, კეთილ-ჰაეროვანი და გულის საწაღელი.

ტაქსი

ქალაქი ვნახე სამოთხის სახე, ერმის წალკოტებრ, გული შევახე.

ყანიმა მის მთის თავს დაჯდა და ქალაქისაკენ იქერიტებოდა. ანაზღად, მის ქვის ლომიდამ ხმა გამოხდა. ესეთი ყვირილი შეიქნა, გარემოს აღვიღსა ზარი დაეცა. რა მოქალაქეთ ხმა მიესმა, ყოვლით კერძო მუნ მყოფნი კაცნი გამოვიდნენ და მთას მომართეს, ყანიმას გარ მოერტყნენ. ყანიმა გაკვირვებული უმზერდა და მათ კაცთა მოსვლასა გაეცვიფრებინა, რომე ანაზღეულად ესოდენმა ჯარმა მოიცვა. მათ კაცთა დალოცეს და საქებარი ენა აუბნეს, და დიდის ვედრებითა კეთილად აკაზმულს ცხენს შესეგეს და მის ქალაქისაკენ წაიყვანეს. თავი და ტანი ვარდის წყლით დაბანეს, სამეფო სამოსელი შემოსეს, ამაღლებულის პატივითა მის ქვეყნის ხელმწიფობა ხელთ მიიბარეს. ყანიმამ ეს საქმე მათგან გამოიკითხა. მათ მოახსენეს: მას წყაროსა შინა ბრძენთა ესეთი ტილისმა შეუმზადებიათ, და იგი ქვის ლომი ცის ეტლების ხარისხების ჩხრეკით და ვარსკვლავთა სინჯვით შეუქნიათ. რახანცა კეთილ გონებიანი კაცი მოინებებს და მას მორევს განუღის, მას ლომსა აიხვამს და ამა მთასა ზედა აღმოიტანს, თუცა ამ ქალაქსა შინა ხელმწიფე მომკვდარა, ის ლომი ყვირობს შეიქს, და რა აქ მისი ხმა მოისმის, გავლენ და ვისცა ამოკურტანაა, მას გაახელმწიფებენ და მისის მოწყვლების ჩრდილს ქვეშ განისვენებენო, ვიდრემდის მასცა დრო იგი მოუვიდესო.

ოქვის ტაქსი

ერთი წავა და სხვა მოვა სოფლის საძლოსა წვეულად.

ოღესცა ღვთის ბრძანებით ხელმწიფის სიცოცხლის მზე ტატანთა ჩავა, მას იამთა ახლორე დიდების და ბედნიერობის ვარსკვლავის პატრონი მის მთისა თავსა ზედა აღმობრწყინდებდა. მრავალი დამი არს, რომ ეს ესრეთ განუწყესებიათ და ამ გვარად დაუტო, და აწ თქვენ დღეს ამ ქალაქის უფალი და თავად ბრძანებული ხარო.

მოახხვენე ტაქსი

თენი შენა, ბრძანება გავ და ღნერთთან განება!

ყანიმამ სენა, რომ ეზომი ქირნი სრულობით მის ბედნიერობისათვის ყოჯილიყო.

ოქვა ლექსი

რა ბედი კაცზედ სვიანად მივა და მიეცემისა, თხოვე მოურთავს საგვსა, რაც უჯობს გარდაცემისა!

ეს არაჲი ამისთვის მოვიყვანე, რომ შეიტყო, მოსავალ გავურჯელად არ იქნების, და ვისაც სიმალღის საეპქრო გამოუჩნდეს, მაშინ ყოელის ცუდისა და უგვაროს კაცის ფერხს ქვეშ თავი არ მოიმწყვდიოს, და ულონობის ხარესხზედ არ უნდა დაჯდეს. მე სანამღისინ ლომისაგან დიდების ხარისხსა არ ვეზოვნი და მის წარჩინებულთა შიგა არ ვავერევი, თავსა განსვენებისა სასთუნალზედ არ დავსდებო, და თერბთა შევებისა საგებელთა ვერ გავიწყვდიო. ქილილამ უთხრა: მაგ კართა გასახმელი სად გიპოვინაო, ანუ მაგა საქმეთა ხელად აღება ვით მოვიგონიაო?

დამანამ უთხრა: ესე დრო დავიეცე, რადგან ლომსა ესე გულთა ასაჩქარებელი რამ შესენია, მისი რამ მოვახსენო, ნუთუ ჩემისა სწავლებისა ნოშთარო მაჯუნმა მისი სიმხიარულის მოსაეალი მოგვაროს, და ამა მიზეზითა ჩემისა ყუმობისა სიმალღე მომეცესო. ქილილამ უთხრა: ლომისაგან შენი ამაღლება ვით იქნება, და რომ კიდევ იქნას, შენ მეფეთ სამსახური არა გარდაგხდინაო-რა, და მათი რიგის მოკრძალვა არ იცი; და

მცირითა საქმითა თუცა რამე მოგივიდეს, ყოველივე ადრე წარეგოს, და ბერზე ვეღარც მისი მოვლა შეიძლო.

დამანამ უთხრა: თუცა კაცა შეძლება და ხელთ გამომაჯალობა აქვს, დიდებულთა ღვინთა შინა მის შესლვასა დასაშვებია არა აქვს-რა, ვისცა თვისის ცოდნის სისრულის იმედი აქვს, რასაცა [საქმეს] ხელს მიჰყოფს, მისის რიგით შეუძლია, რომ განსაცდელი-დამ თავე დაიხსნას. ესეცა არის, რომე რა ბედნიერობა კაცს მიაღვეს, რაცა საქმე-ლად უხმს, მისსა გზასა იგივე აჩვენებს, რაგვარადაც არაკთა შინა უთქვამსთ: ერთსა დუქანთა მჯდომელსა კაცსა სვიანი ნზე აღმოუბრწყინდა და მეფობის ტურთხევა ეღირსა, და მისი სახელი ყოველსა ადგილსა გაითქვა. მას ერთმა მემკვიდრემ ხელმწიფემ რაარ-ტავი მისწერა, შენი ხელობა ხურობა არისო, ხელმწიფობისა და ჭყეყნის მოვლის რჩევა და ჰქუა ვისით ისწავლეო? მან პასუხად მოსწერა: ვინცა ბედ-სვიანობა ჰომცა, ჭყეყნისა და ხელმწიფობის რიგიცა და მოვლაცა და წესი მანვე მასწავლაო.

ბოწწერა შიარ

ბრძენთა სასწავლო საქმენი შეჰყარო ცნობად ამხად,
ჩემნივე რჩევა აჯობებს არისტოტელსა ეძისად.
ვის სვე ღამაჰარი უნაღლებს დუმრეტლად ღამისად
და ყოველი ცოდნა მას დაჩრქს, ათასად უქონ წამისად.

ქლილამ უთხრა: ხელმწიფენი სახელოვანთა კაცთა მათისა სიკეთითა არ გააძლიერებენ. ვინცა მათი ნათესავი, ანუ მახლობელი, ანუ სამსახურათა მათთან სიმამლუ ეშოვნოს და მეფეთ ნიჭთა ჩვეულებით, მათაც საქმე გასაქირი აქვსთ. შენ ხოცე ღომთანა არც ნათესაობა გაქვს და არც მოხელობა რისამე, და არც მომხმარო გყავს. მე ესრეთ მგონია, შენ მისის წყალობისაგან შორს დარჩე და მტერთ გულისათ გაჰხდუო.

დამანამ უთხრა: ხელმწიფის სამსახურთა შინა ცლა და გარჯა ქებულა, რომე რიგთან ქნას. უცდელად და უმიზეზოდ მათის გადიდების ნიშნად სახელმწიფოს ხარისხთა ძირი არავისთვის უჩვენებიაო, მეც ამას ვეძებ და ამისთვის ვუცდები, შრავლის სარჯლის თავსდებითა უმართებულო შარბათის ჰამნიე მისეჰამს. ესე ვიცი, რომე მეფეთ კართა მოსამსახურეთა ხუთნი საქმენი უნდა სკირდეს: პირველად—მრისხანების ცუცხლი სინშეოდის წყლითა დაშრიტოს. მეორედ—შაკვარისა და ბორორტის მოქმედისა კაცისა მომრიდალი იყოს. მესამედ—სიცრუე და შუღლი და სიხარბე ჰქუისა მისისაგან განაძოს. მეოთხედ—რაცა დასაქმონ, მისი საფუძველი სიმართლითა და სასარგებლოდ დადვას. მეხუთედ—რაცა ძნელი, თუ ადვილი შეეშთხვას, აუჩქარებლად და სიმდოვრით ჰქუის რჩევით გზა მოუნახოს. ვინცა ესეთისა ჰქევითა დაჰყოფს, მისი საწადელი კეთილად მოეცემაო.

ქლილამ უთხრა: მე ესრეთ მგონიეს, შენ ხელმწიფესა ვერ მიიხატო. შენ რომელითა ხელოვნებითა მიაწე მეფეთა სახელდელთა წინაშე, და რომლითა შეძლებითა და ცდითა იპოვებ სიმამლისა ხარისხთა?

[დამანამ თქვა:] თუცა ხელმწიფეთა მახლობელი შევიქნები, ხუთისა ზნეობითა მის წინარე წარედგებო ერთით—რომე ერთგულად ვემსახურები. მეორე—რასაც მიზრძანებს, არ დაეუტრეები. მესამე—აე არა-რა ვთქვა და ვისცა შეეცდეს, ავი კეთილად უთხრა. მეოთხე—რაც სამადლო და ჰყეყნის სასარგებლო მოიგონოს ვინმე, იგი ნოუ-წონო და ურჩიო და მოვანდო, და მისი სარგებლის ნაყოფი დაეანახო და მოეწაფინო. მეხუთე—თუ რამ ავი და ჰყეყნის საზიანო მოინდომოს, რომ საბოლოოდ არ ვარ-გიყოს, ტკბილის სიტყვით იგი დაეშალო და საბოლოოდ, სამჯობინარო და დასაკლისი გარჩევით ვაჩვენო. როსცა ხელმწიფე ჩენსა ესოდენსა ცოდნასა ნახავს, პატივისცემს და წყალობას გამიმრავლებსო, ნიდაგ ღვინთა მარვეს და ჩემგან ჰქუათა წერათსა მოინდომებსო. ესე არა დეც, სიკეთე არ დაიმალვის? რაგინდ მცოდინარემ კაცმან თვისის სიბრძნის დაფარვა მოინდომოს, ყოვლის გზით უსარგებლოდ მაშინც არ დარჩებისო.

თქვა შიში

მუში და კაცის ჭველობა, ორნივე ერთად დარია.
 ნათმან უნსამა ჭვეფნისა პირთა სრულობით დარია.
 წადი, სახულო ქებულთი შენთვის ჩანს დართა დარია,
 და მიწა გაჭებს და მცენარე, აგრეე ნაქმარი დარია!

ქილილამ უთხრა: გავს, შენი ჰქუა დაგიმტკიცებია, და შენი სწავლა და რჩევა ამ საქმეზედ შეუცდომელი მგონია. ეს მაშინც დამიჯერე, გაკრძალვით იყავ: ხელმწიფეთ სამსახური ძნელი და საფრთხილოა! ბრძენნი იტყვიან სამთა საქმეთა უქნელობასა, რომე კაცი თუცა ესრეთ უქ[უ]ო არ იყოსო, რომელსა ჰქუისა სუნიცა არა სცემოდეს, ამა სამთა საქმეთა ნუ იქმს [პირველად] — ხელმწიფის მსახურად შესვლასა; მეორედ — ცოდნით სამსახლის შესწასა, და შესამედ — თავის ხეაშიადისა დიაცთან თქმასა. მეფენი მალლის მთისათვის შეუღარებიათ. თუცა მათზეა ოქრო-ვეცხლთა და თელთა პატროსანთა ლითონი იპოების, მხეცნი და გესლოვანიცა მძრომნი მუნ იპოებიან. მას ზედა ასულა ამისთვის საქირთა, დასადგურება შეუძლებელი. კიდევ უთქვამთ: ხელმწიფეთ მეგობრობა ზღვასა ჰგავს. ვაჟარი რა ზღვასა შინა შევალს, ანუ ისარგებლებს და ანუ დაინთქმისო.

თქვა ჩაბრუნაული

თუ გინდეს უნჯნი თეთრ-წითელ-ლურჯნი, ზღუათა მიმართე ნავთ მავალმან.
 გინდეს დღეთ სიგრძე? წინარე გიძე: ხმელთა იარე, შრომა მრავალმან.

დამანამ უთხრა: რომელიც მიბრძანე, ყოველივე კეთილიყო. მეც ვიცი, დიდსთანა შესვლა ცეცხლსა ჰგავს დამწველსა, და ვინც მიიახლოება, უფრორე საშიშია.

თქვა შიში

ხამს მეფესთან სამეგობროდ არ შეიქნა, გჳონდეს კრძალვა!
 ვითა ცეცხლსა ზეშა ხმელი მიეკაროს, იწყოს ალვა.
 მაგრამ საშიშს ვინც შეუდრკეს, ცუდი არის ბოლოდ მალვა,
 და მას მაჯალსა აღსავალსა ვერ აღვიდეს, იწყოს მალ ჟვა
 მაგრამ ვინც საშიშრისაგან შეშინდების, სიმალლის ზარისხზედ ვერ ავა.

თქვა ლეჩხი

საშიშართაგან ეოშვინით სიდიდეს გარ მონაპარსა,
 თვარ ათით ასი ვით მიხედეს მას მოშიშარსა ვაჟარსა?

სამთა საქმეთა არ უნდა შეეხას კაცი, თუცა ბედნიერობის ძალი არ შესწივდეს:
 პირველად — ხელმწიფეთა სამსახურთა, მეორედ — ზღვის გზაჯერობასა. შესამედ — მტერზედ გამარჯვებასა. მე ჩემსა თაქსა უბედურად ვერა ვხედავ, მაშა მეთეთა გამოზრდისაგან რად ვიშოვოდე?

თქვა შეწუბილი

ჩემისა სიუხვის მკლავი ასრეა დარიგებული:
 რაღა მწადია, მომივა, სახლეთა მიძე გებული.
 ეისაც რომ უნდეს სიდიდე, პატროსნობა გებული,
 მას ბედს ეცადოს, რაც ჰქონდეს, უჭებელი თუ ქებული,
 რისაც აწითობა შეეძლოს, მას შეეწოდოს რებული,
 და თუ უბობა აქვს ძლიერი — ყველასა შესწევდეს დებული!

ქილილამ უთხრა: მაგ წასვლის მრჩეველად მე ვერ დაგიდგები, და რადგან შენი ჰქუა ამა საქმისა შეძლებელია, და შენსა გონებასა მაგისა ქნისა საფუძველი დაუმტკიცებია, ლმერთმან გიბედნიეროსო.

უთხრა ტაბო

გზა წინა გიყ წასავალი, სადა სვენან წარგიმართოს

დამანა წამოვიდა და ლომსა თაყვანისცა. ლომმან იკითხა ვინაობა მისი. მოახსენეს, თქვენის ამალმებულის კარის მოსამსახურის შეილი არასო. ლომმა. ბრძანა, ვიცნობო,

ახლორე მიუწოდა და ჰკითხა: საღ ყოველიხარო? მან მოახსენა: აწ ქვეყანისა მაჩდილო-
ბელთა ხელმწიფისა კართა, მსგავსად შამისა ჩემისა, მსახურად ეარო, და ჩემთა ნატრათა
თქვენის ბქისა ლოცუითა მოვიპოვებო და მის მომლოდნე ვარ, ერთი რამ სამსახური მიბრ-
ძანო, რომ გემსახუროო. დიდებულთ სამსახურთა უღირსი, ნუთუ, მდაბალთა ოდენი
რამე მეც რამ შევიძლოო.

შოახნა 6 ებ

ფარშამანისა ფრენა ფრ ზესძლო, ბუზებრ მაშინცა გაეხზიალდეპი.

რაც საქმე წელილის ენით გამოეა, ეგოდენი გამარჯვებულისა შეუბისაგან არ იქ-
ნება. ერთი რამე რომ მცირისა ღინწისა მიერ გაეყთდების, მოლესილი ხრმალი მას ვერ
შეიძლებს. მოსამსახურე რაგინდ მდაბალი და საბრალო იყოს, დასაკლისხედ წყენა და
შესამატხედ შეწვენა არა ჰქონდეს, არ იქნებაო. ხმელი შეშა და ცუდი ჩხირი გზითა ნაგ-
დები, ღრო მოეა, რაგინდ არაში ვარგიყოს, სხედ რომ ვერად გამოიყენოს, ტანტრამე-
ხად ზაშენც მოიხზარს.

შოახენა დეჰი

თუ ვარდის კონად არ ვარგვარ, მეფეთ ზელისა საქერად.
ქვბთ სადულართა შეშათა მაშინცა ემა ვარ საქერად!

ლომნა რა დამანას გაწყობილი სიტყუანი მოიხიზნა, გაუკვირდა, და პირი მსახურთა
შიაპყრა და უთხრა: მცოდინარე კაცო რაგინდ გამოუჩენლად და მისი კჳა და ცოდნა
შეუტყობრად იყოს, მისი კეთილი ზნეობა და რჩევა მაშინც ვანოჩენს, როგორადაც ილი
ცუცხლისა, რაგინდ დაბლად ანთებად უნდეს, მაშინც მალლად შეიზესო.

ოქა დეჰი

ვის საყვარლისა სატრფოსა გულთა აქვს ნიჰი დეზისა,
მას ღაწუთა: ზედა ახნდება ცეცხლი წვად მად-მოდებისა.

დამანა ამ ლომის ნათქვამს სიტყუაზედ გამხიარულდა და სცნა: რომე მისი სიტყუები
წინარე წადგა. სწუელათა ენა აუბნა და თქვა: მართებს¹ ყოველთა მსახურთა და სპათა,
რომე ხელმწიფეთა რაცა საქმე აუჩნდეს, მათის მცოდინარობის მსგავსად, მის საქმეს
ეცადნენ, და რომელმაც უმჯობესი ნოიგონოს, მოახსენოს, და რჩევის გზები ხელთაგან
არ დაადღონ, რომე ხელწიფემ მისთ მსახურთ ერთგულობა სცნას, თითოში კჳა—რჩევა,
სიზარტლედ და ვასინჯუა შეიტყოს, და რა მათის სამსახურის სარგებელი ნახოს, და ყვე-
ლაკასი გამომიძოს და მათის ვარჯირობის საუერო წყალობა მიანიჭოს. როგორადაც მარ-
ცვალი მიწათა დაეთესების—არა ჩანს, და რა მიწასა დასძრავს და ზურმუხტის ფერად
ამოვია, მწვანით შემოსილი თავსა მიწის პირათ ამოჰყოუს, მაშინ სცნობენ, რა გვარად
სარგებლიანი ხე იქნება! მერმელა ხელთა შიაპყრობენ და მისთა ნაყოფთაგან ისარგებლე-
ბენ. ყოველთა შემასრულებელი—ხელმწიფეთ წყალობის კარია, რომელსაცა სატებელს
კაცსა მოწყალებისა თვალითა შეხედდენ და ნიჰთა მიმადლებენ, მის წყალობისა შემსგავ-
სებულსა სამსახურის სარგებელსაც ნახენ.

ოქა დეჰი

მე მიწა ვარ და კაალი, შენ — მზე და წყარო ბრწყველო.
ვარლთა და უნლთა მოვისხამ, თუ მეფე შემომხდვლაო.

ლომმან უბრძანა, კჳათა მყოფელთა კაცთა წყალობა რაგვარად უნდა, რომე მისის
მიზეზითა მისის ნაყოფისა ხილი კამონო? დამანამ მოახსენა: ამა წესითა, რომე მეფენი
სიკეთესა უნდა უზმიდენ არა თუ გვარსა, რომე უღონო კაცნი შამა-პაპათა ნამსახურთა
რა იქადდენ, და თვით ვერა შეიძლონ რა, რა სარგებელი არის? თვით უნდა ხელით გა-
მოსვლა ჰქონდეს, და მის რიგით წყალობა უყონ, არა თუ შამათა შეილობითა: თქვენ
ხელმწიფე ბძანდებთი და ღმერთსა ხედავთ, თვალნი უბოძებია. ამისთვის გმართებს,
თქვენი მოსამსახურენი იცნათ, რომელი კჳუის² ახლო არს და რომელი კჳუსისაგან შორს.

¹ ხელნაწერში: მართებან. ² აქამდე აკლია S-31 ხელნაწერს.

თქვა შეწყობილი

ჩაცა ძალ-გედვას, ციადე, სინზე მოიგე, შრომანი.
და დიდთა გეილობას რად მოაკვებ? ელთა ვაკათა ზომანი!
ელახალი მექლარსა ჰბადვიდე, კიდევ ზოიგო წყრომანი,
და რა მცედარი განაცხოველო, მაშინ გაქებდენ რომანი.
მვლდის მამის შენის სახელით შენი არ გაწოდეს ეთომანი,
და ძალთა ვაჩემოთ მსგავეუბა, ძვალთ სიყვარულის წითმანი.

თავი კაცთან სადგურობს და ერთ მოსახლენი არიან, მაგრამ, რადგან მისგან კაცთა დასაკლისი და ზიანი გამოვა, ამისთვისცა სასიკვდილოდ სდევნენ. ქორი რომ ველურია და კაცთა ფრთხის და ევლტის, რადგან სარგებელი აქვს — მას პატვიით მოიყვანებენ და ნებოერად ვაზრდიან და შეფეთა ხელთა შეუსმენ. მაშა, ხელმწიფემან, რაგინდ გვარიანი იყოს, უკოდინარსა და შეუგებელს კაცსა ყური არ მიუპყრას, მეცნიერი და კჳუიანი უნდა ვაიშინაუროს, საქმით მღვიმარე კაცი და სიმხნეში შემძლე, დაუზარებელნი იახლოს. ხელმწიფემ ხელ-გამომავალს კაცს გულს არ უნდა შეაკლოს ამით, რომე შეუძლებელს კაცსა რა მისი უფერი სამსახური უბრძანო, მას ემსგავსების — ქუდი ფერხს ჩააცვას. და მაშა თავს დაახტროს. სადაც კჳუის მყოფელსა. და ხელ-გამომავალს კაცს წაახლენენ, და უკჳუთოსა. და ხელ-გამომავალთა და ყმაწულთა საქმისა და ნების სადავეს ხელთ მიანებებდენ, მას ქვეყანასა ყოველი ავი საქმე გზას იპოებს, და მათის ავკაცობის ზიანი მეფეთა და გლეხთა ზედა მოველინება.

თქვა ლექსი

ბოლოკარკახეს ჩრდილს ქვეშე დადგომამე ნუ ელირსების,
სადა ზორაყი ვილუვეთა უარესობით ძირს ეგის.

რა დამანამ სიტყვანი დაასრულნა, ლომმა მრავალი წყალობის იმედი უბრძანა და მის საჩინო მსახურთა თანა მოდარე ყო, და მისი სიტყვანი მოეწონა, გული გააწყო და თვისი საქმის საფუძველი მის სწავლასა და რჩევაზედ დადგა. და დამანამაცა თვისი კჳუისა და მეცნიერობის სანთელს უფრო და უფრო წინა უნთებდა. ცოტა ხანს უკან თავის წინაობა შეიქნა, ჳეყენსა და სეე ვიანიობათა რჩევა დაიწყეს. მათში საკითხავი და დიდი კაცი შეიქნა, და მას დღეს ბედნიერი და შემსგავსებელი ეამი შეხედა. სხვა კაცნი დაითხოვა და ხელმწიფეს თავის წინა მოახსენა: მრავალი ხანია ხელმწიფე ერთს ადგილს ბრძანდებდა, მივლა-მოვლისა და ნადირობის გემო გაუშვია, და მინდა, რომ მე ამისი მიზეზი შევიტყო, რომე მის კარის გასაღები, რითაც კლით იყოს, ვაგაქეთოო. ლომმა სხვა რიგი პასუხი იწყო. უნდოდა დამანასათვის მისი შეშინება არ გაეცხადებინა. ამაზედ შეთურბას ყვირილის ესრე ძლიერი ხმა მოვიდა, რომე ლომი შიშით თვის ადგილიდამ გარდახლტა და კჳუის სახედველი დაუბნელდა. მაშინლა შექირეებულმან თვისი მოწყენა დამანას გაანდო: ჩემისა შიშისა მიზეზი ესე ხმა არის, რომ ვეცსმისო, და მე არა ქიცი რა, რისა ესე ხმაო, და ესრე მგონია, ტანი და ძლიერება თვისის ხმის სადარო ჳქონდეს. და თუცა მისი შემსგავსებელი ტანოანება და ძლიერება აქვს, მე ჩემსა ექ მკვიდრობას გაურჯელად ვერა ეხედაო. დამანამ მოახსენა: რადგან ხელმწიფის გულთა ამა ხმისა კიდე სხუად საზრუნავი არა არის რა, არა ხამს ამით ესოდენთა სამკვიდრებელთა დატევება და მამულთა სამყოფთა დაცლო. ერთსა ხმასა რაი ძალუცს და ყვირილსა რა საზომი აქვს, რომე ამით ვინმე გარდიხვეწოსო! ხელმწიფე კლდეთაებრ ფერხ — შტკიცე უნდა იყოს, რომე ყოველთა ქართაგან არ შეირყიოს და სხვადასხვა ხმისაგან უბრავი იყოსო.

მოახსენა ლექსი

ფერხი მთებო დაჯგი ქვეყანად, ტინურად დაპტიკებული,
გითა კარქვეტი, კართაგან არ იქნა მოტაცებული.

ბრძენთ ნათქვამია: ხმათა სიმალღესა და ტანთა სიდიდესა ნუ სჳკრეტ, რომე ვერა რა სახე ამ სახით ვერას შეიძლებსო, და არცა ყოველი გამოჩენილი დაფარულის

გამომჩინებელი იქნება. ლერწამი რაზომც სხვილი იყოს, წერბილი ჯობია ვატყდება, და მწეროს სიგრძეობა შევარდნის კლანჭთა შინა დამოკლებზე. რომელიც ტანად დიდობისათვის შერაცხს რასმე, მას ეგრე მოუვი, როგორაც ერთს მელს მოუვიდაო. ლომში პკითხა, ეგე რაგვარად ყოფილაო?

დამანაბა თქვა არაიო

10. ერთი მელი ერთსა ტყეთა შინა იარებოდა, მშობრა პოენისათვის ყოვლგნით დაცანცალვებდა. მენ ერთი ხე იღვა, და მას ხეზედა ტაბლი ვისმე ჩამოეკიდა და დარჩომოდ[ა]. ესრე ეკიდა, რომე რა ქარი ზოვიდის, ხის შრო შექრის, ტაბლს მოხედის და დიდი ხმა გამოვიდის. მის ხის ძირს ქათამი ნახა, რომე საყქეთა კენკა. მას პარვა დაუწყო, მონადირებას ცდილობდა. ანაზღად, ტაბლას ხმა შენოესმა, მიხედა — ერთი დიდ-ტანოანი, მეტად მსუქნის მსგავსი და საზარელ-ხნიანი ხეზედ ნახა. მელმა სიზარბით აღარა გასინჯა რა, და თქვა: მისი ხორცი და ტყავი მისის ხმის ოდენი იქნებოა, ქათამი იგი გაუშევა და პირი ხეს მიჰაყრა. ქათამმა შეუტყუა და გაეჭყა. მელი ათასის ხრიკით მას ხეზედ გავიდა, ტაბლი გახია, ნახა: ხისა და ცოტა ხმელი ტყავის მეტი არა იყო-რა. ქათმის მოშორებვის ცეცხლი გულთა მოეგზნა და თქვა: ეაიზე, რომ იმ დიდ ტანოანისაგან უკოდინრად მოქსტყუელი, და ჩემი უკოდელი ნადირი უვნებლად გაუშვი და მისი შეენიერის სახისაგან სარგებელი ეტრა რა ვნახეო!

სარხუბაულო

მალა ხმობს დაუი, ყვირის დაუდაუი, მოსაუდად გვიძენის არას სარგვალად, ვაქებ მრიგავთა, მებნელ იგავთა, სახეს არ ახყეს შესახარებლად.

ეს არაიო ანისთვის მოვიყვანე, ღელწიფე საშინელის ხმისაგან და დიდის გვიანსა გამოჩენითა მიმოსელასა, ნადირობასა, შეეცევისა და სიზარულს ნუ მოიშლისო. მას ხმასა და ტანსა არა შეუძლია-რა, არცა რა არის რაო. თუცა ხელმწიფე მიბრძანებს, მის ახლორე მივალ და მის საქმესა და ამბავსა ყვალაყას შევიტყობო.

ლომსა დამანას სიტყვა მოეწონა, და დამანა ლომის ბრძანებითა მისად ძებნად წავიდა. რა ხანმა გამოიარა, ლომი საგონებელსა ჩაეარდა, და მისი გაგზავნა სასიხანულოდ შეექნა. გონებით იტყოდა: დავაშავე, რად ესრე ვყო! არამე ჩემზედ შეითქვან? ბრძენთ უთქვამს: ხელმწიფემ გაუსინჯავად თვისი გულის პასუხი არავის უნდა ანდოს, და არც შეატყობინოს თვისი საიდუმლო საქმე, რომე მას მრავალი საქმე მოსდევს და ცოტა საქმით შუაში არ ჩამოთვდოს. პირველად — არ უნდა ენდოს მას, რომე დაუნაშაებლად მის კარზედ ვარჯა და წყენი ენახოს და მრავალგზის ჳირო და მწუხარება გამოეცდოს; მეორედ — მას, რომ მისი პატივი და საქონელი ხელმწიფისაგან ქარს მისცემოდეს და დაერდომოდ იყოს; მესამედ — მას, რომელი მისი სახელო და სიმადლისაგან გამოეცდოს და წყალობის იმედი აღარა ჳქონდეს; მეოთხედ — დაუნდობელსა და მოჩხუბარსა, ავინასა და ჳეყენის აშლის მდომს და არა მშვიდობისმყოფელს; მეხუთედ — მას, რომელ მოყვრისაგან დიდი სიყვით და კარგ-კაცობა სჳირდეს, და მას იგი წაუბღინონ და მისი ურვა ჳქონდეს; მეექვსედ — ორგული რა გარდაქმნდვიდეს, და მისის მორჩენისათვის მრავალს ცდილ იყოს და გარდადგომოდ იყოს; მეშვიდედ — მას, რომელსა კეთილად ემსახუროს და მას ყური არ მიჰაყრას, და ვისცა არ ენსახუროს, იგინი უფრორე წყალობით ჳყვენ; მერვედ — მას, ვისთვისაც სიდიდე წაერთმობის და სხვისათვის მიეცეს, იგი მეფეთ წინაშე წინარე დგეს. და იგი ჳეორე — დაჩაგრული; მეცხრედ — ხელმწიფის დასაკლისი რომ თავისი შემატება ეგონოს; მეათედ — რომე მას ხელმწიფის კარზედ კეთილი არა სჳირდეს-რა, და მისის მტრის ვაკეთებით კეთილს მოელოდეს. ხელმწიფენი ვანერკაღენენ, ამა ათთა რიგთა კაცთა შუა გაუსინჯავად თვისი საიდუმლო არა

თქვას, ვირემდისი კაცისა ღეთის შიში და პირის სისწორე, მოწყალეობა და სიკეთე არ ნახოს და არ გამოიკვლიოს. თვისი ხეაშიადი არ გაანდოს და არ აცნობოსო.

თქვა დეჰსი

ხეაშიადი თქვასა მრავალთან დაკომბენ ბრძენთა დასებჲ,
სადღე უღჲ ვერსად ! ვერ ვნახე საიდუმლოთა მფასებო.

ამა საქმისა დამანას ბრძანება გამოუცდელად, აჩქარებით არ ვარგოყო, მტერთან მისი გავზავნა ჰქუათა საცნობელთა შინა შორს იყო. დამანა მცოდინარე კაცსა ჰგავს, ერთხანად ჩემს კარზედ გარჯილთა და საბრალოდ იყო. ღმერთმან ნუ ქნას, რომე მას ეგ-ზომის ქირის ეკალი გულთა დასობოდეს, აწე რომე მუხთლობა იხმაროს, ერთი რამ შფოთი შეშადოს, ანუ მტერი იგი ჩვენზედა ძლიერად და მძლედ ნახოს, და მისი სამსახური მოინებოს, და ჩემი გულის ხეაშიადები იცის — მას უთხრას, და მისის საცადლისა რჩევისა და სამჯობინაროს ხარისხთა აღხედეს! რასათვის ამ სიტყვის ჩხრეკასა და ბრძენთ ნათქვამს ლექსს არ დაეადგერ?

ლ ე ქ ს ი

ღვინოჲ, შმაგობას ველტოდე, იქვი გვტვირთოს გულთთა,
მხუზსა და ხაჱვას მოშორდი, არ დაიკარგო სულთა!

თუცა მე ამა მოკიქულობითა ავი რამე მომიხდეს, ათასიკა დამეტდეს, ჩემთვის ცოტაი იქნება! ამა საგონებელით ადგის და დაჯდის, და ბორგვედა და თვალი გზისაკენ ჰქონდა. ამასობაში დამანა გამოჩნდა, და ლომმა გული დაიწყუნარა და თვის ადგილს დაჯდა. დამანასა ამბავი ჰკითხა. თაყვანისცემას უქან მოახსენა:

ლ ე ქ ს ი

ვირე ცა ეგოს მბრუნავად, მეფის მზე მზობდეს მზიანათ,
მისი სეუ მისთა მონათა ზეჲ ბრწყინვიდეს გზიანათ.

ჰე, თემთა და ქვეყანათა მპყრობელო! ხმა იგი, რომელ გასმიათ, ერთი ხარია ამა ტყისა სიახლოესა. იგი სძოვს, სქამს და სძინავს; მას სხვა საგონებელი არა რაი აქვს. მისი სიძოხე კაცთა სარგოა. თვისა მუცელსა ვერ განერება. ლომმა [უბრძანა,] მისი ძლიერება რაზომი იქნება? დამანამ მოახსენა: ძლიერების გამოჩენა არა მინახავს რა, რომე მისი ძალი რამ შემეტყოს და სწორად მოგახსენო, მაგრამ გუნებათა შინა არას შეგარნა, რომე შიშით მისთვის მეტი პატივი რამ მეცაო. ლომმან უთხრა: მაგითა მას სუსტად ნუ დაინახავ, რომე არა მოსტყუედ. ქარი ძლიერი რა წვრილს ბალახს ეცეს, ვერ მოსტესს, მაგრამ მალალთა და სხვილთა ხეთა ძირითურთ ამოფხერის. მტერი ვირემდე მტერს დასაცემელად არა ნახავს, მანობამდის ძლიერს ძალს არ გაპოიჩენს.

თქვა დეჰსი

ქორი ჰყვარს არა იკადრებს, არცა სდევს საკმლად ნდომითა,
სონღული მუმლთა შეჱყრობად ფრთესა არ გაშლის ზომითა.

დამანამ მოახსენა: ხელმწიფემ მისი საქმე არად უნდა მიიჩნიოს და არცა იგი ყოლე რადმე შერაცხოსო. მე იგი რაცა ესინჯე, მრავალი რამე შევიგენ, და მისი საქმე ყოველივე გავსინჯე, და თუცა ხელმწიფისა მალალსა საწადელსა ნებავს და ბრძანებს, მას აქ მოვიყვანებო, რომე წადილის სურვილი სასამსახუროდ დადევას, მონურად კალთა კადრების მხართა გარდაიკვოსო. ლომსა ესე საქმე ღიდად იამა და მისი მოყვანება უბრძანა, და დამანა შუთურბასთან მივიდა.

უთხრა ტაგმა

კვლა ჰკითხა: თვალო, საღით მოხუალო?

და ეტყოდა: აჰა საღით ჩამოვარდნილხარ, და ამ ადგილს მოსვლის მიზეზი; და აჰა დგომისა და ბარგთა მოხდისა საფენთა ვაშლა რით მოვიხდომო? შუთურბამ თვისი საქმე და ამბავი ყოველივე უკლებელად უამბო. რა დამანამა მისი ამბავი სცნა; უთხრა: აჰა

1 ხელნაწერში: ვერცად.

ერთი ლომი პატრონობს, ყოელთა მხეცთა და ნადირთა ბრძანებით მორჩილ-მყოფელი, და მე გამოგზანა შენთანა, უნდა მისთან გამოჰყვეო და წიგნიცა გამომატანა, და თუ რამე შეუკადება გაქვს, მასცა შეგინდობს, და მისთან წამოღოო. და თუცა არ მისმენ და აუ წამოხვალ, აწვე გაერ შევიტყვეი და ლომსა ესრე მოვახსენებო. შუთურბამ რა ლომისა და მხეცთა სახელი მოისმინა, შეშინდა და უთხრა: თუცა პირობას მომცემ, რომე სიკვდილისა არა მეშინოდეს, თან წამოგყვები და შენის შეამდგომლობითა მისი სამსახური რამე მიშოვნეო. დამანამ ამისი პირობა და ფიცი მისცა. რა გულს დააჯერა, ორთავე ლომსა მიმართეს. დამანა დასწინაურდა და მისი მისცლა აცნობა, და კოტას ხანს უკან ხარიც მოვიდა, და სასამსახურო რაგები მისის რიგით მოიხენა. ლომმან ტკბილად მოკითხა და უბრძანა: მას აღგიღს როდეს მოსულხარო და ან შენის მოსვლის მიზეზი რა იყოო? ხარმან ყველა თვისი გარდასავალი მოახსენა. ლომმა უბრძანა: აქ დანსადგურე და ჩემის წყალობისა და პატივისა და საბოძერის უხვად მონიკება გექენებისო, აწ წყალობის კარს ჩემთა წარჩინებულებთა თანა შენთვის გამიღია და ჩემთა დიდებულთა თანა შემეირთვებისარო.

უთხრა წყობილო
 რახომ ხველეთი იარო,
 ჩემს მდურავს ვერ ეხიარო,
 არა ვუნა საუღიარო,
 და გლეხთ არსად მოვაშვი:რო.

ხარმა დალოცა, და სამსახურად სარტყელი წელთა შეირტყა, და ლომმაცა მისის ამდლებულის ხარისხით წყალობა უყო, და დღე და ღამე მის სიახლოეს წა და წადგინა, წყალობისა და პატივის მატება დაუყო. და გონება მისსა სამსახურსა და საქმის გამოწვლილვას მიიპყრა. მეტად მყოდინარედ და გამოშველველად და კჳუს მყოფელად იცნა, რომელი ესრეთი ვინმე იყოს სიბრძნითა სრულითა და შემძლებელი ყოელითა მეცნიერებითა და ყოელითა შეგონებითა, რომელ მისი კჳევა და კველობა მეტ იყო, და დააჯერა გული მისი ყოველთა მეცნიერებათა მისთა.

შ ა რ ა

რა ნაბა მი'ი საეთე, სიმაართლე, გასიწულობა.
 სიტყუისა გზები, რჩევაი, სიბრძნისა ცოდნის სრულობა,
 კჳეანის მიმოვლა და სწავლა. ნახუთა გამოცდილობა,
 და ლხინთა და კირთა აწონა, საქმეთა გამოწვლილობა.

ლომმან მრავალს საქმესა და გამოძიებასა და გამოცდას უკან ხარი თვის მესაიდუმლოდ და გულითადთა საკითხავად გაიშინაურა, და ყოელთა ემთა მისსა სვებედთა ხარისხთა სიმაღლეს მატა, და მისი ბრძანების მორჩილად სხეანი შექნა, რომე ყოელთა ბედნიერობის მაროგებულთა და ლომის წარჩინებულთა წინა წაასწრა. რა ესე დამანამა ნახა, რომე ლომმა ზროხის დიდება სიმაღლის საზღვარს გარდარია, და წყალობასა და ნიკთა დღითი-დღე უმატებდა, და დამანას აღარა ეკითხებოდა რა: და აღარც რჩევათა შინა უხშიან, ვაძებისა და დაშორებების საოლაფი გულისა თვალთა ეოლა, მოწყენისა და შურის ცეცხლის აღი გონებთა საცნობელთა მოეკიდა.

ღ ე ზ ე

მეწურე შურისა ცეცხლთა სადაე აღავლებს კიდებით,
 თვითვე უმაღლე დიწვის სრულად, არ თუ კიდებით.

თვალთა მისთავან ძილი განქარდა, ველარ დაწუნარდა, მოთმენის გასაძლისი სა-მოსელი გულისაგან შემოქმადრცეა, და ქილილასთან მოჩივარი მივიდა და უთხრა: ძმ[ა]ო, ჩემს კჳათა უსუსურობასა და ვაზრახვის სისუსტესა მიხედვ. სრულობით ჩემი სვე-ბედი ლომის საბედნიეროდ მოსვენებაზე წარვაგე და ხარი მისად მოსამსახურედ მოვიყვანე, აწ იგი ესრე გაადიდა, ყოელთა წარჩინებულთა გარდამატა, და მე ჩემის პატივისა და ხარისხთაგან ჩამოვარდი.

ქილილამ უთხრა ტყეში

ჰე. ჩემო სულა, ჰკავთ გარდასულა! შენუ ნაღუწი თვით დაისულა!

• ესე ეწო ფერხთა შენთა თვით შენ იკარ, და ამა ჩხუბისა მტვერი შენ ალაფქერიე. აწე შენ იგი მოკივა, რაცა მას ერთსა შეუღაბნოეს დაემართაო. დამანამ ჰკითხა, ვითარ უყოფილაო?

ქილილამ თქვა არაყო

11. თქმულა: ერთმან ხელმწიფემა ერთს შეუღაბნოეს ძვირუჟასი სამოსელი მისცა. ერთმა მპარავმა ესე რა სცნა, შეხარბდა, და მისის ნდომისათვის მოვიდა და მას შეუღაბნოეს ეუმო და კრძალეთ ემსახურებოდა. რა გაუშინაურდა, დრო პოვა და იგი კაბა მოიპარა და წავიდა. მეორეს დღეს შეუღაბნოემ კაბა ვერა პოვა, და ვერცალა თვისი ახალი მსახური სცნა, რომე მას მოეპარა. მისს საძებრად ქალაქით გამოვიდა, უკან გაუდგა. გზაზედ ნახა. ორნი მხეცნი იბრძოდეს, ერთმანეთისათვის კანგ-მახვილობითა თავი და ტანი დაებალთათ, ლომებრივ ძლიერად იცემებოდენ და დაკოდლის ტანით სისხლი სდიოდათ. ერთი მელი მოსულიყო და მათს ნაწვეთს სისხლთა ლოკდა. ანაზღად, შუა შეზოიგდეს, და მათი გაკეცხლებული¹ ტოტი მელს მოხვდა და სიკვდილის მახეთა შიგა გაება. მინ განშორებულმან ესე გაიკვირვა, გასცილდა და წავიდა. სალამოს, რა ქალაქის კარზედ მივიდა, ნახა — კარნა დახშულნი იყო, აქა-იქი სადგომისათვის სლეა დაიწყო. ერთი ვინმე დიაცი ერდოდამ შუკათა დახშურდა. რა ეგრე შეღონებული ნახა განშორებული, შეებრალა, და აწვიდა და სახლად შეიყვანა, და ერთს კეთხეს დადგა და ილოცვიდა. დიაცი იგი, თურე, როსკიმი იყო და ბოროტად იქცეოდა, და რაცა მხეველნი ჰყვეს, მათცა ამაკეკლებდა. ერთი მათგანი კეკლუტობითა მოჰმადინათ სამოთხის სძლებს სავატიურობასა ასწაველიდა. მისი ტურფა პირის სიციხე ქვეყნისა სინათლესა შორცხობის ცეცხლსა შინა სწევდა, მართალთა თვალთა მისის წამწმის ისარი გ[ა]ლთა საგანსავეთ გახვრეტდა, სულთა წანღებულთა ბაგეთა სიმცირე შაქრისა სიტკბოსა სწევთა.

შეწყობილი

ვით მთვარე იარებოდა, ტანი უკანდა საროსა,
თმათა ნათხაბი საბლური სათსა ვინ შეფდაროსა?
ნიკაპთა ვეცხლისა ბურთსა ვერ ეხვდა მონაშროსა,
ღაწეთა გიშრისა ზოგანი უჯდა, რად გაეყაროსა?
ახალი მთვარე მოხრილი შავად ჩენილა აროსა,
და ვთქვი: კაცი მთვარეს მოსტაცა, ბურთი მზით მოეპაროსა!

და [იყო] კაბული [ვინმე] შენიერი, პირი მისი მუშეებრი სუნელი, წერწეტი ტანად, საროს მსგავსი, პირ-მთვარე, ენა-ტკბილი, სიტყვა-წყელიანი, თურქთა მხატვართაგან გამოხბიტული, თმა-ხუტუქი, სუმბულივით მიგრებნილ-მოვრებილი, მისნი ბალახნი ბაგენი შაქრითა დატიტულნი, საკუთრად მხიარული, ტრფიალივით სწრაფი.

ღ ე ქ ს •

პირნი მხისებრ ნათელი, მიმგენი მგელთა შექისა,
თჳნი ხუტუბად ნაწყობი, სქროლელი შტახსთა ბეჭისა.

მათ ერთმანეთთხ სიყვარული გამოჩენითა ჰქონდათ, ნიადავ ერთგან იყენიან, მზესა და მთვარესავეთ ერთ სამყოფსა იყოფებოდენ. ათროლიტსა და მუშთარსავეთ ერთსა ბურჯთა ზედა შეიყვებოდეს. იგი კაბული სციიდა მას მხეველსა, რომე სხვათა მოყვარე-მან მისი სილამაზის ჰაშნიკი არ ნახოს. შინდორთა მწყურვალთა მონატრეთა ათასთა გარჯას უკან ყინტორთა წყაროთა მისწდომოდეს.

ღ ე ქ ს •

თეცა ჩემგან საყვარულსა შენავედ გსრე შევიძლებდე.
სხვის კაცისა გულსი გავლით, შენსას მასცა ვერ გავსძლებდე.

იგი როსკიმი დიაცი მის მხეველისაგან ამას დია წყინობდა და მეშურნებდა. რა ელარ გახსდლო, მის მხეველის სირცხვილიან ფიარდაგი დახია, და მას სული თვისი საყვარ-

¹ ხელწერაში: გაკეცხულა.

ლის სულის ნდომის ხელთა დაეცა და წუთსაც არ მოშორდებოდა, და მან დიაცმან მის კაბუქის სიკედილი მოინება. იგი მეუღაბნოე მის სახლთა იყო და სინჯვიდა. დიაცმა დრო დაიცა, და ტრფიალსა და სატრფილოსა, ორთავე მრავალი ლენო ასვა, და რა მუნ მყოფთა დაეძინათ, მოილო საკედინებელი სამსალა, დაგალა და მასრათა შინა ჩაყარა, და მასრისა წვერი კაბუქსა ცხვირთა ჩაუყო, და მეორე წვერით ენება შეებერვა და ცხვირთა სასალის შებნევა. მას კაბუქს ცხვირს დააცხიკვა, და მისმა ორთქლისა ძალმა სასალა მასეე დიაცსა პირთა შეაბნია და ყიათა ეცა და წამსავე მოკვდა.

ბ ა ე ბ

რას თავსა თვისსა უყოფდუ, სავათაცა ვერე უყოფდუ.

რა განშორებული ამა ზ ბედიდა, მის ლამის სიგრძე გათენებამდე მეორედ მოსულის დღე იყო. რა გათენდა, მის ლამის სიბნელის კირებს მორჩა, ლოცვა დაიწყო და დიდი დროა ნათლისა ქვეყნისა კაცთა აღმოუბრწყინდა.

ღ ი ქ ბ

ააეღუარა კანარა იახად, შაგანად სარკისა, განაძო ყოვლგანთ სიშაფე, განგათა მომკრეფი ხარკისა.

მაშინეე მან განშორებულმან თვისი თავი საბოზართა სიბნელისაგან გააშორა, და ავის მოქმედის მესადგომისაგან თავი მოიჩინა, და სხვა სადგომს ეცადა. ერთი ხარაზი იყო ღვთის მოშიში და გზიანი. მან ნახა მეუღაბნოე, იგი აწვია და თვის სახლად შეიყვანა, სახლეულთ მისი სამსახური უბრძანა და თვითან მოყვრისას წვეულად წაეკიდა. მისქსა ცოლსა კურო ვინმე ჰყვა, გუნებაკეთილი, შენეირი და პირკეკლუცი, კისკისი, თმა-ხუქუქი, სიტყვა-წყლიანი, ნახად მქცეველი, ჩაუჭი, თვალოა წამწმითა დამშრეტელი, ტურფად მწყუზარი და სიციცხლის წამლები. მათ შუამაველი ერთი მეკოტომის ცოლი იყო, გრძნებათა მოქმედებითა ცეცხლსა და წყალთა შეაერთებდის, ენა-ტკბილობითა ქვათა ცვილებერ გაჰსდიდის.

შეწოხილი

ესეთს ტყუილსა იტყოდა, წაუხვნი სკასა ენობანი, დასკუნჯას მღელსა შეყრიდა. შეუქმნი აშოკობანი; კრიალესკანი ხელთ ჰქონდა, იწებო მლოცობანი, მისი ზობარი ყელთ ება, იბლოთა ჰქონდა მკობანი, ლოკისებერ ბაგეს იბრუნდა, გულთ ეღვა მცეთრობანი, და გარეთ ერთგრად ზნდა, შიგ ეღვა ას-ფერი ჯადევობანი.

ხარაზის ცოლიან რა სახლი მოცალედ ნახა, თავის კურ[ო]სთან მატყუად გაგზავნა და შეუთუალა: ხმა ღამე შაქარი ბუნისა შუთომისაგან მოსვენებით არს, და საღბინო უკერკეტონო და უმორუარო.

შესთავადა ბაბო

ადგე და მოდი, მაღიად რბოდი

მან დიაცმა კურო კართა მოგვარა, და კარი დაუკრეკა. ამასზედა ხარაზი ანაზღად, სნებასავით, მოუვიდათ. თავად უწინაჲ მას კაცზე ექვი ჰქონდა, და რა თვისის სახლის კართა ნახა, ცოლის ბოზობას გული დააჯერა. გარისხებული შევიდა, ცოლს მრავალი სცა და სვეტთა ზედა ნიბა, და თვით ლოგინთა გაასვენა. განშორებულნი მას კაცსა გულშია გმობდა: უმიზნოდ და შეუცოდრად რად ვალახა ეს ღედაკაციო, და მან უსამართლო ქნა დაშე რასათვის არ მიეგშეგლეო და არ ვიპატიეო. ამას რა ინანდა, ნახა, რომე მეკოტომის ცოლი შემოვიდა, და უთხრა: დიო, ამა კაბუქსა ესოდენსა რად აქირებუბო, ანუ რას ჰყოვნი? ადრე ვადი, მოსულს ლხინს ნუ უკუაბრუნებო.

უხრა ღვიშო

ბოყვარე ბოყკრის სოკითხვად რადგან ხნეულსა უნდესა, მანამდის მართებს მიესწრას, ვორ სული შეუძრწუნდესა.

ხარაზის ცოლმა ჩუმის ხმით ახლო მიუწოდა და უთხრა

მოდებულის გულსა მტრისა ვერ ჰგონია ასევა,
ღერძ-დაკოდისა აწიკთა სისხლი ტრფილთა ასევა,
გეროტმა ხე-და-ხე მაულამან, ვითა სენას კიზნი ასევა,
და სირთა პურობილთა რა იცი, თუ რა ლახვარი ასევა?

მოდო, საყვარელო ტბილო, და ჩემნი ჩაეილ-ტირილი მისმინე, ჩემი დამწველი
ამბაეი სენა: ჩენსა უწყალო ქმარსა კაცი იგი კართა ენახა, შმაგებრ შემოიჭრა, პირ-
ელად მრავალი მცა, და მერმე სეეტსა ამას ამაკრა. აწ თუ შენ ჩემი მოწყალე და კე-
თილის მყოფელი ხარ, ანუ მის ჩემისა საყვარლისა თავი არ გაგიწირავს, მეწიე, აქად-
გან მე ამხსენ და შენ ჩემ მაგიერ დაები. წამზე გავალ, ჩემს საყვარელთან ბოღმსა მო-
ვხბი, მოვალ: შენ გაგიშვებ, მე ისრუე დავებმო, და ჩემსა და ჩემს საყვარელს დიდად
ესე დაგვაველო. მეკოტროვის ცოლმა იგი შეხსნა და თვით. დაგება, და იგი დიაცი გარეთ
გაწოვიდა. რა მეუდაბნოემ ესეები ნახა, ცოლ-ქმართ შულღზე ქმარი ამართლა. ამას ზედა
ხარახსა გამოვლენდა და ცოლსა საუბარა რამე დაუწყო. მეკოტროვის ცოლმა, ხმის ცნო-
ბის შიშით, სიტყვა ეერა მიუვო. რამდენსაც ელაპარაკა, დიაცმა ხმა ვერ გასცა. ხარახი
ჯავრით ცეცხლისაებრ აეგზნა, დანა აიტაცა, წამოიჭრა, მოუხდა და საწყალს მეკოტრო-
ვის ცოლს ცხვირი მოსჭრა და ხელთ მისცა: ეს ძღვენი შენს კუროს მიუძღვენო. მან
ცხვირ-მოკვეთილმან შიშისაგან ვერც დაიცივლა და ვერცა ამოიხენებო. გულში ესრე თქვა:
საოცარი ეს მომეღვინაო, საწადელი ნი აუსრულდა და პატრე ვინ გარდიხადაო! რა
ხარახის ცოლი მობრუნდა, თვისი დიბილი ცხვირ-მოჭრილი დახედა. ნამეტნავად შეს-
კირდა და ბოღში მოითხოვა. იგი აუშვა, და თვით აგრეე დაება. მეკოტროვის ცოლმა
ცხვირი ხელთ დაიპყრა და თვისის სახლისაკენ წაივდა.

გზად ნიმაგალი ტიროდა, უკვირდა, ხან იცნოდა.

მან მეუდაბნოემა ესე ყოველივე ნახა და მოისმინა. ესეთსა უცხოთა საქმეთა რა
შეესწრებოდის, გაკვირებმა გაკვირებმასა ემატებოდის. რა ხარახის ცოლმა მცირედ შე-
ისვენა, სატურისა ხელი მოიმარჯვა და თქვა: მაღალო ღმერთო, ყოელთა ხელმწიფეო!
შენ უწყე ქრმისა ჩემისა უსამართლობა, რა მიყო! ნაცილად შეკოვება და დანაშაული
თავსა ზედა დამადვა, რომელთა შინა უბრალო ვარ. აწ წყალობა ყუე ჩემზედა და უბრა-
ლოდ მოკვეთილი ცხვირი აგრეე გამომაბიო. ამისთანათა რა ილოცვიდა, მისსა ქმარსა
გაეღვიდა და მისი ტირილი სიწმიდის ამხოცელი, და მისი ლოცვანი საეშმაკონი მოის-
მინა. ხმა უყო: შენი საქმენი აღსრულებულა, მაგა ლოცვასა ცუდად ნუ ირჯებიო. ეგე
რაი სათხოელა, რომე აწ შენ მოგიგონია? ბოზთა ლოცვანი მის კართა ვერ წადგებიან
და აე-საქციელთა წადილი მისსა გზათა ვერ იპოვებნო.

უხარა ღებო

თუვა გინდეს მის წინაშე დაფარულთა შესმენანი,
ყოლე გული განაწმიდე, კელა სიმართლით ყუე ეწანი.

ანახდად დიაციმან დიძახა: ნიადგ უსამართლოთა მოქმედო, ადგე და ღეთის სას-
წაული და ძლიერება იხილე! რადგან ამა სიბილწისაგან ჩემი კალთა წმიდა იყო, მოწყალე
ღმერთმან მე საბრალოსა ცხვირიცა გამიკურნა და ქვეყანათა ზედა სირცხელისა და საყ-
ვედურისაგან მასახელაო. მისი ქმარი გულითა წრფელითა ადგა და სანთელი აანთო,
მეღვა, დიაცი ვასინჯა, — უვნებელად იყო და ცხვირიცა მისეე ადგოლსა ება, და წყლული
და დაკოდლობა არა სადა აჩნდა. მაშინვე თავი დამნაშავედ დადგა და შენდობის თხოვა
დაიწყო; და ხელ-ფერხთა შეკრულობა პატრეითა გაუსსნა და პირობა დაუღვა: ვირემდის
ერთი რამ შენცოდარი თვალთ არა ენახო-რა, ესეთსა საქმეთა ხელი აღარა მიეყო,
ცილითა და ჩხუბიანთთა ენათა ესეთსა მლოცვასა პატრიოსანსა თავი აღარ ვაწყენო, და
მის დანარჩომს სიციცხლეთა შინა, ესეთსა წმიდასა დიაცსა, რომლისა თხოვასა ღეთის

წინაშე დამაყენებელი ფარდაგი არა უბია, მისის სიტყვიდამ აღარ გავიდვო. იქით მეკოტოშის ცოლი ცხვირმოკვეთილი მივიღოდა, დაღონებული თვისის მისულის საქმეს არ ჩედა: ანუ საქმე ესე თვი[ს]ა ქმარსა ვით მოუხრიოს, ანუ მეზობელთა და მოყვარეთა თანა რა მისაგანით თავი გამოამართლოს, მცნობთა და მოკიდებულთა, რომლისა პირითა ეუბნას? ამა საგონებელსა შინა რა იყო, მეკოტოშის ძილისაგან გაეღვიძა და ცოლს დაუძახა: ჩემი იარაღი მომეც, ერთის ვაჭრის სახლში მავალ: ცოლმა მოგვიანოდ მოუსმინა და იარაღისაგან მარტო საწართებელი ხელი მისცა. მეკოტოშემ ჯავრით ბნელეში საწართებელი ცოლს შემოსტყორცა და გინება დაუწყო. დიაცნა დაიკიეღა და დაეცა და დიძახა: ვაიმე, ცხვირიო. მეკოტოშე შესწრფა, და ქვილის ხმაზედ მეზობელნი და მოყვარენი შემოცვივდნენ. მისი ცოლი ცხვირმოკრილი და სისხლით გასერილი ნახეს, ჰგომოდნენ მეკოტოშესა და ჰყვიდრიდნენ. საბრალო მეკოტოშე წყალწოდებულეფით შეიქნა, რა ქვეყნის მანათობელმა დილაშან კედარის ფარდაგი წინადამ ახადა და ქვეყნისა მარეებელმა მზის სარკვემა ჯიშმედის ჯაშისათე ელეა დაიწყო.

ფსოთაქურა

აღმართა დროშა აღმოსავლსა დაშქართ [კ]ატროშა დასარანელად, დასავლის მეფე და მათი სუფე ზღვათა დაწოქა ხანდაუხუელად.

მის ქალის სამშობლონი შეითქვეს და მეკოტოშე ყადთან წაიყვანეს. მას ცამსა განზორებულადა ხარახის სახლით გამოვიდა, — ყადის მეგობარი იყო და მისდა ნახეად მივიდა. რა ერთჟანეთი მოიკითხეს და მოიაღერეს, მეკოტოშის ცოლიც მოყვანეს და მასთან იჩიულეს, და მათის სისხლისა აღებასა ცდილობდნენ. ყადმა უბრძანა: ოსტატო, დაუნაშებლად და შეუცოდრად რომე ამა ქალისათვის [ეს] გიქნა, რომლისა რჯულისა წესი გგონიო? მეკოტოშემ [მ] გაწბილებულმა ვერა რა პასუხი გასცა, და ყადმა მისი ხელის მოკეთა გააჩინა. მეუღაბნოე ზე იდგა და ყადს მოახსენა: ამა საქმესა გაჩხრეკა უხამსო, მპარესა ჩემი კახა არ წაუღია, მეღი მხეტია არ მოუკვლინებიათ, მას ავის მოქმედისა დააციასთვის სასიკვდილენ წაძალი არაიის შეუსმევიათ, ხარახსა ცხვირი უბრალოდ არ მოუქრია, მას მეკოტოშესა თეისის ცოლის ცხვირი არ მოუკვეთია. მე ეს საქმეები ყველაკა გამომიცდიწო. ყადმა მეკოტოშე ახაჯა, და განზორებულსა პირი მიაყრა და ამა საქმეთა კითხვა დაუწყო, რომე ესე დაფარული ცხადად გამოგვაჩინეო. მეუღაბნოეს რაც ენახა, და ანუ სმენოდა, თავით ბოლომდე ყველა უამბო. თუცა მე ხელმწიფისათვის თავი არ შემესწავლებინა და ოგი კაცი არ მეყმო, ის ეშმაგი და მოძალე დროს ვერ დაიციუნდა და ჩემს კახას ვერ წაიღებდარო. თუცა მელსა თვისისა მსუნაგობითა სისხლის ჰამა არ დაეწყო და გაშორებოდა, მხეტითაგან არ მოიკლოდაო. თუცა მას ავის მოქმედს დიაცსა მის ჰაბუქისა სიკვდილი არ მოეწადა, თვის ტუბალსა სულსა არ გააქარებდარო. თუცა მეკოტოშის ცოლი მას ბილწების საქმეში იო გარეოდა, ეს სასარცხო საქმე არ დაემართებოდაო, რომე ცხვირი მოჰკვეთესო. ვინცა ავის მოქმედა, კეთილსა ნუ მოეღოს, და ვისცა შაქრის ლერწმის მოსვლა უნდეს, ჯიქურას ნუ დასთესავსო.

ჰქა ლექი

ბრძენთ უთქავს: მასვე მოიქო შეკრებად შეუს დათესულსა; ავის ზოქმედი ავის მიხედეს, ხორცსა რაჲ აზრობ, ჰე, სულსა.

ესე არაიკი ამაღ მოვიუბნე, რომე სცნა შენისა გარჯისათვის გზა შენ გა[ი]კახზე, და შენი ქირის კარი შე[ნ] გაახვენ.

უთხრა ტაქი

ვისლა შესრივი? რაღა გვირს, შენმა ნაქმარმან გიქია.

დამანამ უთხრა: მართალს ამბობ, ესე საქმე მე მოვაწიე ჩემს თავსა ზედა! მაგრამე ამის საშველად შენ რასა მირჩეო და ამა ზვანჯისა ხერხით გახსნასა რომელის გზით მოგონებო? ქილიდამ უთხრა: მე პირველადვე ამა საქმესა ზედა არ ვაგვიერთდი, არცა ამის

ქნასა შინა მოგვცე, და აწცა მათსა კართა შორე ვარ, და ჩემი გარევა არას გზით არ იქნებას. და თუცა შენ შენსა თავსა ეწვევი, შენ იციო.

უთხრა ტაბია

ვინცა სიბრძნითა მეტია, რად ჰკითხავს ვინცა რეტია?

დამანამ უთხრა: ჩემი რჩევა ეს არის, ხერხითა და ხრიკითა შინავე შეგეტყუო, და რაცა ძალმედღის [ვეცადლო], რომე ხარი იგი ანუ ამა სიმაღლითგან დავსცე, და ანუ ჰქე-
ყანისა ამისგან გავაძრო, ამისთვის რომ, ესეთსა შეტოდებასა და ცთომასა საუკადრისოსა წესად ვხედავ, და ამისი ყურის მიუპყრობელობა ჰქუევისა მოსწაეღეთაგან შორედ განაკი-
დია. მე ჩემისა დიდებისა მომატებისათვის არ ვეძებ: რაცა ჩემი საფერიც, მის მეტი არა მინდა-რა, მაგრამე დიდთა ბრძენთაგან აქმულა, ხუთთა საქმეთა უტდელიობა არა კეთილ
არსო, პირველად—სიდიდე და რასაცა მქონებელ იყოს მისი უპატიოსნობა. მეორედ—
კრძალვა, ვითარცა სამსალათაგან, დარიღება ბოროტთა საქმეთაგან, რაიცა აუგად დაუტო.
მესამედ—რისაცა მქონებელი იყოს, მისის მოზარებასა და მისსაცა არ დაქარავასა.
მეოთხედ—სულისა განოხსნასა და გამოყვანასა, რომელსაცა ბოროტთა შინა ჩავარდნილ
იყოს. მეხუთედ—სასარგებლოსა და სასიკეთოსა თავისა თვისისაკენ მოწვევასა და მოზიდ-
ვასა და დასაკლისისა და ზიანის გაშორებასა და მორიდებასა. მე ამა გზით ვეცდები,
რომე კიდევ ჩემი ადგილი ვიშოვნო, შენ მიეაწიო, და იგივე ჩემისა საქმისა პირი გა-
ვახსლო. საქმე ეს არის, ხარსა ხერხითა შევადგე და მიწისა პირსა გამოვასალმო, და ანუ
ამა სოფლით ბარგი აიკიდოსო. მე მის მკლეს პაექავისა უდარესი არა ვარ, რომე მიმი-
ნოსა თვისი ჯაერი არ შეაჩინაო. ქიდილაჲა ჰკითხა, როგორ ყოფილაო?

დამანას თქვა¹ არაკი

12. მასმია: ორთა პაექავთა ერთსა ხისა შტოთა ზედა ბუდე ედგა. ქვეყანათა ნაყოფ-
თაგან საკენკათა და წყალთა დაჯერებულ იყენეს. ხე იგი კლდისა რასმე ძირთა მდგო-
მარე იყო, რომლისა თავსა ზედა ბუდეობდა მიმინო, და რა შორს ნადირობით მოიცილის,
მებებარბოდის, და, ცეცხლებარ, საბრალოთ პაექავთ სულთა კალოთა სრულობით დას-
წევდის.

ტ ა ე ჰ *

რა კლანჭი გახსნის სირასად, ოცდათს იძღვნიდის პირისად.

რა პაექავნი ბარტყთა დააფრენდენ, უმზირდენ იგი მიმინონი და სრულობით დას-
ტაციონ, და მათთა ქულათა მით ზრდილიან. პაექავნი ვერცა სამკვიდროსა სთმობდეს, და
მიმინოსაგანცა ამა გაუსაძლისსა პირთა იყვნეს.

ტ ა ე ჰ *

დგომა და წასვლა ორივე, მით ჰქონდათ ძველ სანდომივე.

ერთხელ, რა მართვეთა მათთა ზრდა აღუორძნდათ და ფრთე მოეცათ, რა ხლტო-
მისა ღონე მოეცათ, მათი მამა-დედანი ჰაფის პირის ჰკრეტით იხარებდენ, მათდა სას-
წავლელად განცხრომით მიმოფრინვიდენ. ანაზდათ მიმინოს მტერობა მოაგონდათ და
სიხარულსა ტაბლა აეკცათ, და გულითა მწუხარითა ტირილი და წივილი შექნეს. მათთა
ბარტყებთა შინა ერთსა სისრულე და სიყეთე პირთა აჩნდა, მან მის მხიარულობის მოწ-
ყნად შეცელის მიზეზი იკითხა

და უთხრეს ლექსი

შვილო, არ იცი რაზომცა გულთა საზშილი მდებია?
ცრემლი ჩენი გყავს მოამბედ, გითხრას, რაც წაგვიდებია!

და ნათხედ მიმინოსაგან უწყალოება და აოხრება და შვილთ დატაცება უამბეს. მათ
უთხრეს: ზეგარდამო მოსვლის რისხვისა და განსაცდელის გაქცევა მონათაგან უხამსია,
მაგრა დამბადებელს ღმერთსა ყოველთა შეპირებულთათვის მიზეზითა რათამე წამალიც
გაუჩრებებია და ყოვლის სენისათვის თითო საკურნებელი საარგო მიუტევიო. თუცა

ხელნაწერი: ¹ თუჲა.

თქვენ ამა საქმისაგან განრომა და ამა ნასკეისა გახსნასა ეცადოთ, ესე ჰირი თავთა ჩვენთა მოსცილდებისო, და ევე ნავლელი გულისა თქვენისაგან განქარდებისო. ჰუეჟეთა ესე სიტყუა მოეწონათ, და ერთი მითგანი ბარტყთა საზრდელად დადგა, და მეორე მათის შეელის საცდელად წაივია. რა ცოტა გზა გავლო, იტყოდა: სადა და ვისთანმე მივიღე და ესე გულისა ჩემისა შექირებუა ვისა გავანდოო?

• ჭა ლეჩი •

გულთა მკირს ჰირნი უღბენი, უწამლო, უჯრინებელი,
გულთა მწუავს დაღი ჰერეალი, წამთა მოუსვენებელი.

და შერმე ესე თქვა: რომელიცა პირუტყვი პირველად შემემთხვევის, ჩემსა ზრუნვასა მას უამბობო, და ამა გულთა წრტიალთა ღონესა მისგან ვითხოო. რა წაელო, ნახა — სალამანდრა ცეცხლისა ღითონით გამოსრული და ველთა ზედა შოართული. ქაჯავემა რა მისი საკვირველი და გასაცოფრებელი სახე თვალთ გაიცადა, მოინება და გულთა [შინა] თქვა: ჩემთა შექირებუბათა მას უცხოსა პირუტყუსა ვკითხაო, ნუთუ, ჩემთა დახვანჯულთა საქმეთა გამოგება მას შეეძლოსო და ერთი რამ მიღონისძიოსო. დიდითა კრძალვითა სალამანდრასა თანა მივიდა და ქება შეასხა, მონებრივი საქმენი აჩვენა. სალამანდრამანცა უცხოთა შეწუნარებისა მსგავსად პარტივით მოიკითხა, ტკბილად უაღერსა და უბრძანა: დარგევილობისა რასმე ნიშანთა შენთა გულისა საჩკეთა შიგან ვხედაო. თუცა გზისაგან დამაშვარაღბარ, აქა სახლსა ჩემსა ახლორე ხანი რამე დაყავ და ვანისყენო, და თუცა სხეთი რამე გავრეებს, მითხარი, და მისის ღონის გზასაც ვეცდებო. ჩიტმა ენა ააუბნა და მისის საიდუმლოთა საქმენი ესრე რიგად აუწყა: თუცა ქეთა სმენოდა, ნწუხარებთ იგიც დაიდუმებოდეს! ესეთისა საუბრითა თავსა აწყინებდა.

• ჭა ლეჩი •

ვიმცა ცნა ჩემნი ამბავი, საბრალოდ შესწყალისა,
მასცა მოედგას სახილი გულთა უწყალა აღოსა.

და რა სიტყუა დაასრულა, სალამანდრამან წყალობისა ცეცხლისა აღნი ზე აუმაღლა და უბრძანა: ნუ სწუხ, მე არა განსაცდელით თავსა შენსა ვიხსნი, და ღამესა აჰას ესრეთსა საქმესა მოერთავ, რომე მისი სახლი და სამყოფი, და მუნ შინა მსხდომელნი. სრულობით დაესწვა, ოღონცა შენ შენი სადგომი მიჩენო. და შენ შენთა შეილთა თანა იყოფებოდეო, ვირემ მე შენთან მოვიადდეო. ჩიტმან მან თვისი ბუღე სალამანდრას ასწავლა და სწორედ ანიშნა, და ნავლისაგან თავისუფალმა, გულმზიარულად, ბუღეს მიმართა. რა დაღამდა, სალამანდრამ თვისი ნათესაენი და ტომნი შემოკრიბნა, და ყვალაქამ ცო[ტ]-ცოტა წუნწუბა და ნავთი აღიღეს და მის ჩიტის ბუღესთან მოვიდნ. და ჩიტი წაიძღვანეს და მიმინოს ბუღეს მიმართეს. მიმინომა და მისთა ქულათა ესე არც ერთი იცოდეს და, საქმლით მაღარანი მძინარე იყვნეს. სალამანდრათა მოღებულთა წუნწუბა და ნავთი მის ბუღეს მოსცხეს და წამოვიდნ. აუტროლდათ ღეთის რისხვისა ქარი: ცეცხლისა აღი მის მტაცებელისა ბუღესა მოეკადა. ესრე უცებად გაეღვიძათ, რომე საშველი ხელი მის ქარისაგან უღონო ქნილიყო, და ერთობილ სახლით, ბუღით, შეილებით ნაცრად შეიცვალნეს.

• ჭა ლეჩი •

ენ მძლავრმან ცეცხლი აღაგზნას სხეთ დასაწველად ცნებითა,
თავსაქვე დასწავას საქმითა, სხეთა—უახროს ნებითა.

ესე არაკი ამისთვის წარმოგუსტქევი, სცნა, რომე რომელიცა მტერთა მოშორებებსა ეცდების, თეთი რაგინდ მტირე და უსუსური იყოს, და მტერი ახლანი და ძლიერა, გამარჯვების იმედიო. ქილილამ უთხრა: ღომსა მისთვის სადიღისა პირი მუცემია, და მისი სვიანობისა ბავრაცი აუშართავს და აწ ღომის გულიდამ მისას სიკვარულის გასელა და გუნების გზის გამოცვლა დიხ ძნელად დასანახავია. მეფენი ვისაც ააპალღებენ და გაადიდებენ, უმიზნოდ აღარ დასცემენ, და ვისაც ხარისხზე აიყვანებენ, ვირემ დიდსა დანაშაულს არ უნახვენ, თვალდამ აღარ გააძებნენ.

• ჭ ვა ლე ქ ს •

ძელი რა წყალთა ჩაადრო, იცოდე, არ დასძირავსა,
რადღან მის რწყევითა აღზდილა, ამისთვის ვერ გასწირავსა.

დამანამ უთხრა: ამის უარესი რაი მიზეზი იქნების? რა მისთვის ხელმწიფესა წყალთა უქნია, სხვათა ქვეიანთა და ერთგულთა კაცთაგან ხელი აუღა, და მისის სამსახურისაგან დაშორებულან, მათის მონაობის სწავლის საარგებელი მოჰკეთითო, ამ გზით მათაც ხელმწიფის დასაკლისის საქმე შესვლიათ. ბრძენთ უთქუამსთ, ქვეყნის ზიანი და შეფეთ წახდენის საქმე ექვისის საქმით იქნებისო: პირველა დ—ერთგულნი გააძონ და უიმედოდ შექნან, და კვიანსა და მეცივირსა არა ჰკითხონ—რა, და წახდინონ. მეორე—მოჩუბდართა და მზაკვართა ჩხუბა არ დაუშალონ, მოუვონარი რამ მომხდების, და შტრეთა ჭარკავით ხრმალი ამომღერდების. მესამე — დიაცთა დევნა და აღერსნი და ენათა სიყვარული, და ხშირად ნადირობა, სიმთვრალე, მღერა და საკრავნი. მეოთხე — თავისისა ძალისა და სიცრუის მინდობა და არა ღვთისა, რომე ამისგან მოიწვევის სრუენი და ძრუენი, ზღვათა დანტმანი და ყოველნივე ჭირნი. მეხუთე — მრისხანება და წყრობა, და უსამართლობა და გაუთითხაობა, შეპყრობა და გახეობრება. მეექვსე — სიკბუე და გამოუცდელიობა, რომე დაწყობის ემსა აშლა მოახდინოს, და აშლის დროს — ზავი და წყალობის დროს რახხვა ყოს, და რისხვის დროს — წყალობა. რისხვისა ბჳე უხამს შეკრას, რომე წყალობასა კარნი აღახენას.

• ჭ ვა ლე ქ ს •

ბრძოლა გინდეს თუ შვიდობა, უგამოდ არ საკებია:
ვარდთან ვარდობა იჩებე, გკალთან — გკლის ჩკებია.

ქილილამ უთხრა: გავს რომე, შენ შურის ზოსტერი შემოგირტყამს, და შუთურბასათვის საზიანოსა შემზადებასა ცდილობ, და [გნებავს] ბოროტი რამე შეამთხვიო. მაგრამ მე ვიცი, მისთვის ავის ქნა კარგი არ არის: ყოველსა ავის მოქმელსა კაცსა თავსავე თვისა მიექცევაო.

• უთხრა ლე ქ ს •

ავის მოქმედმან მოიგოს მისნო ნაქმარნი აევბო,
ნაცვლად მიეტეს საჭიროდ თვისივე დანაშაუბნი.

რომელმანც ამისთვის თვალნი აღიხილოს, კეთილს არა და ბოროტის მოსაგებელსა სკერიტოს. არა სათუოა, მას სიკეთე და წყალობა არ შეხედება, თუცა ხელი და ენა კაცთა საზიანოსა და დასაკლისსა არ არიდა, როგორცა მას სამართლიანს ხელმწიფესა უბრძანებია. დამანამა ჰკითხა, როგორ ყოფილაო?

• ჭ ვა ლე ქ ს •

12. უწინარეს ერთი ხელმწიფე ყოფილა, უსამართლობა და უდიერი ძალა და ცოდვა ხელწყარით იცოდა, და სახელოვნებისა და მოწყალეებისაგან ფერხი ვარ გაედგა.

• ლ ე ქ ს •

უსამართლო და უწყალო, თემთა დამწყველი ძალითა,
სიტყბოსი მწარედ შემტლელი, უგებურობის ძალითა.

შუთურბა ამა სიტყვასა ზედა შეკრთა და მიუგო: საწადლო მოყვარე და ტყბილო ამაზნაგო! ამა აზმუასა საქმე მალე მიცნობეო და ჩემსა მწეობასა და ერთგულებასა ნუ დაუტყებო¹, დამანამ უთხრა: ერთმან მოსამსახურეთაგანმან მათხრა, რომე ლომსა ბედნიერს სიტყვაში მოუყვანია: შუთურბა მეტად გასუქებულაო და კართა ჩვენთა აღარად საქირთა, და მისი ტანოანი სიცოცხლე ცუდად ვლის, და მინდა ნადირთა მისისა სიპოხისაგან ნადიმი დაუდუა, და ერთსა დღესა დიდნა და მცირენი მისის ხორცის გემოვანებითა გაეხაროო. რა მე ესე ზესმა, მაშინვე წამოველ მოსახსენებელად, და ჩემისა პირობისა მიუდრეკელობა დაგაჯერო, და რაიცა მეგობრობისა და სიყვარულის წესია, ივა აღვისრულო.

უთხრა ლექსი

სწორესა გითხრობ მეცხებასა, რაცა მოყვასთა წესია,
გინდა ირწოუნე, გინდა ნუ, ჩემი სათქმელი ესია.

აწუ ანისა რჩევასა ამას ვაჯობივებ, თავსა შენსა ეწიო და სწრაფად პირი საქმიანობასა მიაპყრა. ნუთუ ხერხისა რასამე მოგვარებითა ამა საქმისა მორჩენისა გნა ეი პოვნოთ, და ლონისძიებითა მწარისა სიკვდილისაგან ვანდშოროო. შუთურბამ რა დამანას სიტყვა მოისმინა, ლომისა პირობა მოაგონდა და საგონებელთა ჩავარდა და უთხრა: დამანავ, ლომსა, ჩემ-ზედა არა დაუშვებია-რა, და მე მისი ორგულეა არა მიქნია რა. ჩემი ფერხი მის საწადელს სამსახურზედ არ დამიბრკოლებთა, და შენსა სიტყვასაცა მართლობითა და სიკეთის ნდობითა ეხედე. ესე ესრე ჰგავს, ჩემთვისა ტყუილი რაზე შეეშაბდებია ვისზე, და იგი უშმაურისა სრიკითა მოლტუნებითა, და საწყრომლად და სარისხველად გაუხდიათ. მისთა მსახურთაგანი ავთა ჩვეულებათაგანი მრავალნი არიან, და საეშმაკო სიტყვანი შეუშუქვებიათ, და საორგულოდ ხელნი წაუყრიათ და გაგულოვნებულან. რამდენჯერაც ივინი გამოუცდია, ცხადად ორგულობა შემცნევიით, და ამაზე რა მოიხმენდა და სხვისასაც მათებრ დაიჯერებდა. ამის გამო ეგონება, ავთაკაცთა მსგავსად, ერთგულნი და დაუნაშავებელნიცა ავის მოქმედნი იყვნენ. და ესე ვითარისა საგონებლობითა მართალთა გზანი დაიფარვიან, როგორაც იხვის ამბავი და მისი შიში და ცთენა და გამოცდა ამა იგაკის მსგავსის სახისა მანიშნებელიაო. დამანამა ჰკითხა, ევე როგორ ყოფილაო?

შუთურბამ თქვა არაკო

20. ერთმან იხვან კამკამსა წყალსა შინა მთვარისა სახე და შუქი ნახა, თეგზსა ამს-გავსა და შეპყრობა მოინება. რა ჩაიყუნთა, ვერღარა ნახა-რა. მრავალჯერ ეცადა და ვერ შეიპყრა. რა ნახა, რომე მისი მოსავალი ამა ნადირობითა მწყურვალე დარჩომილ-იყო, და წყლის სიმამღრითა და მრუდის გონებითა მოსავლისათვის დაქცეულსა მორავსა სინჯვიდა, თეგზისა ნადირობისაგან ერთობით ხელი აიღო, თვისი საქმე ყოველივე გაუწეო. რას[ა]ც ლამესა თეგზთა ნახვიდა, მთვარისა შუქი ეგონის და არღარა სდევდა შეპყრობად, და მისა დაპირვისა აღარა ცდილობდა და იტყუა: ამა საცადლისა ხილი ესე იყო, ნიადვ ჩემთა დღეთა შინა მშიერი და უმღღევარო დაეარდია.

რადგან ლომსა ჩემი ევე გეარო უთქვამს, ამისთანას საქმის გამო, მას გულთა წყენა შესვლია და მათი სიტყვა დაუჯერებია და ჩემიცა სხედასავით ჰგონია: მაგრამე ჩემსა და მათში ესოდენი ვანყოფილება არის, ვითარ ნათელსა და ბნელსა, გინა მალლად მყოფთა თასკუნჯთა და მიწათა შინა თხუნველთა.

უთხრა შეწოხილი

მათს საქმესა და შენს გონებასი, ესე იყოღე, სხვა რამ ამესა,
ნწერალ დასწერს ლომსა და რქესა, ლომსა და რქეში სხეობა ძესა,
ორნივე ფურცართა მიემსგავსებით. ერთად მოსჰამენ მას მოსაძესა,
ერთს თაფლსა მისცემს, სხვას საწერტელსა მტერთა საკრავად და გასაძესა.

¹ ხელნაწერში: დაუტყებო.

ორნი ქურციკნი მოლთა მძორანი ვრთსა წყალთა სვენ დღეთა სიკრძესა,
და ერთი მემუსა ყნოსს, სავისა სისხლთა, გვაწაუე მოაქვს დასაბრანქესა.

დამანამ თქვა: ნუთუ ლომისა გულთა ხერხი ამის გამო იყოს? დიდებულთა წესთა,
უცნობელად და გაუსინჯავად ერთსა ცუდსა და უგვაროსა მალათა ხარისხთა აღიყვან-
ნებს, და რომელიც გასაღიღებელი და მართებული კაცი იყოს, მას უმიზეზოდ გააცუ-
დებს და ოხერ-ჰყოფს.

უთხრა შინაი

ურგუზის მეფემ არ მნახა, მრავლად მიბოძა ნიჭთა,
იხუდის მეფეს გვერდს ვახლდი, არცა თუ მამცა ბიჭთა.
მეფეთ გაგება ასრეა — ორს დღეილის აღენს ფიჭეთა,
და ღვთისა მდღეევარა უმაღლი პატრონსა, ვითა ბიჭთა.

შეთურბამა თქვა: ესე საქვე ლომსა ჩემთვისა დაუსკენსა, საეკვი აღარ არის. საქ-
მობის მყოფებელის ფერხი სასიარულოს შარათა ზედა დაკოჲლდებინ. საწადლის თელთ
ნდომის პირის სახესა ეფარა გაიციღის; რისხეასა თუცა მიზეზი აქწედეს, იგი ვედრებითა
მოიცილებინ, და ღმერთმან ნუ ქნას, და თეცა უმიზეზოდ ამიზეზებულა და მოგონე-
ბის საქმითა მისი გუნება გამოკვლილა — მოელის ხელი მისგან დამოკლებულა. და მისის
მოვლის საგონებელი უღონისძიებთა კმნილა. მაგარანე ტყვილსა და საცოთურსა სიმტკიცე
არა აქეს, ხერხისა და ეშმაქობისა ბოლო არ გავრძელებულა. რაცა ლონსა და ჩემს
შუა მომხდარა, მე შეცოდება და დანაშაული არა მაქვს.რა. განალა ესე რჩევისა და
ქვეუსი გზათა გამოძიებათა შინა, ნუთუ, მისი უწადლობა რამე მეთქვას? ანუ წყალ-
ბასა და გასაარგებელთა საქმეთა ხანდისხან სილის სამგობინაროსათვის, მისი უნ-
დომი რამე მომესხენებინოს? ანისთანანი, ნუთუ, შეუპოვრობით და ყიფობით, გინა და-
უმორჩილობად ჩამომართვა? მაგრამ ამათგანიცა არცეთი ნახსოან. ჩემგან მრავალგზის
უსარგებლოდ არ დარჩომილა: სამსახური, მოწიწება, პატივი და ერთგულობა არ მო-
მიკლია, ერთსა რომელსამე ზედა მართებულის ნაკლებობა არ მექნას, და სიკეთე და რიგი
გარდამატებით მის ადგილს მომეყვანოს. რად უნდა ერთგულობისა და წვრთისათვის
გამამძის, სწორისა და მართლის სამსახურისათვის გამოიწერეს?

უთხრა ლექსი

რა წამალი სნულთათვის მავნებლად შეიქნებოს,
ავადპყფთის მოჩხენისა კვლა იმკლი ვით იქნებოს?

თუც ამის გამო მიზეზთა მიკრეფს, რომე ხელმწიფობისა სიდილისა და ქვეყანისა
სიმდიდრისათვის მიწყრებინ,—დიდთა წესთაგან ესე შორს არის, რომე ქუთიანსა გამბრაახსა
არ მოუსმინოს, და ორგულნი და მათერებელნი გაიშინაუროს. ამისთვის უთქვამსთ ბრძენთა
და მეცნიერთა: „ზღვათა პელაგონთა ცურება და ბოლო-განყოფილთა გველთა გესლთა
წოვნა და მეფეთა სამსახურთა შინა სიკვდილი სიციცხლისაგან უმაწარაფლესია“. თუცა
მეფეთა პატივი და განსვენება ჩეზედ უანგარიშოდ მრავლობს, ესეცა ვიცი, რომე მათს
სამსახურსა შინა შიში უამრავია და მწუხარება დიდი საღიზნისაგან უმრავლესია. ვიეთთა
ფილასოფოსთა მეფენი ცეცხლისათვის შეუმსგავსებიათ, ამისთვისცა, თუცა მოწყალეებისა
შექითა მსასოებელთა ბნელსა გაუნათლებს, აგრევე რისხეისა აღისა მიერ მოსამსახუ-
რისა სამსახურისა და ჰირანახულის კალოსა ამაქვხლად დასწევს. სრული ქუთიანი ამის ამ-
ტყეებს, რომე ტეცელისა ახლორე მეოფასა ზიანი უფარისა არს. ვინცა ცეცხლისა ნა-
თელსა შორით ხედვენ, კაის ყოფასა ოჯინი არიან, მაგრამ ამა საქმეთა შინა გამოუსდელნი
არიან. ესრე გონით ყე. ხელმწიფეთაგან ამალღებასა და წყალობასა მრავალი გემო და
სარგებელი ჰქონდეს. სწორე ეს არის, თუცა მათ ხელმწიფეთა რისხეისა და ზაონისა გამოც-
დილება ჰქონდეს, და მის სამსახურთა მიაწეედენ და გასინჯეედენ, ათასისა წელთა წყა-
ლობასა ერთისა ქამისა რისხეთა არ შეუღარებენ. ამა ამბევისა სახე ქორისა და შინაუ-
რის ქათმის საუბართა ჰგავსო. დამანამ ჰქითხა, დოგორ ყოფილათ?

ჩემი სიკეთე სირცხვილით შეაქნა გაბზარული,
და თავთა გვირგვანი სხეულთა შეღვა, არ მიწა სრულია.

მართალია, შეუძლებელია უპირაღეს არიან შექმნებელთაგან, ბუნებით ნააკარნი მრავლის გზით ეცდებიან შემძლებელნი უუწყბილევასა და წახდენასა და სირცხვილით ჩაეღებასა, და თვისსა ამას შეკადინობენ, მათი ყოფა-ცხოვრება სიმრუდის სამოსლიდამ გაწოიყვანოს, და მისანუბელნი მიუწინააღმდეგის პირობითა და ერთგულნი ორგულოზის სამოსლით შემოსონ, და რომელიც შემძლებელი ბეუსვიანობათა მარცხებელი და მიზეზი და იხზარია, ავ-კაცად და უნამუსოდ სახმარად გაჰხადონ.

ოქვა ლექსი

გულ-ღრტეთა თვალნი დაბნულდეს ამოთხრათ, ამოგებითა,
სიკეთე კდვად შეგწენს, რომ ნაბიხ მალ-მოღებითა.

ერთსა მეცნიერსა ამისთვის უთქვამს:

შ ა ო რ ი

ეყოილმან ადგილს რა თავი ანაჟას, ანუადღწა,
ბოროტმა ყია შეუყრას ზას ჩისა წასკიდესა.
ფერე სულთანს მიჰხადოს. ვერ გააწიოს კიდესა,
და ვირფობი არ გააცუღოს, ესრე მაგრიად სევიდესა.

ესეცა კვალად წყალობის წესით სირცხვილის მძებნელთათვის უთქვამთ

შეწყობილი

ვის მოწყობების თვალთ უნანს, დამნაზღვრია ყოელთა,
სინდიყის თვალთი ევარნეს. გამოსცნობს ჭეა და ცხოველთა,
მათ ეწყველთა, უმინათა. დვითსაგან შეუპოვლთა:
ახრეშუმს მატყლად სახელდეს, ხმელსა დაარქვამს სოელთა.
დიდთა წესისა სიქველუ, ყოელთა ყოილთა მოვლთა,
და ბოროტთა კაცთა სიახლუ — მსვავს არს ეკალთა მძოვლთა.

დამანამ უთხრა: ვეც გგრდა, აგისა და ორ-ენა კაციისა წესი და სანდობი ეგე არს, მაგრამე თქვენისა თავისა მოვლასა ვცითა აპირებთო? შეუთრბამ უთხრა: თუცა ღმერთისა არ გაუწიარავეარ, არა რა დასაკლისა შექმნებევეაო, და თუცა ღვთის ღიშეგება მათსა ხროცსა და ხერხთა შეეწყება და არას საცადლითა მისი მოცილდება არა იქნებაო.

უთხრა ტყეში

თუცა ღმერთსა გაუჯია, არ მოწინააღმდეგს არაჲ ჩაჲ!

დამანამ უთხრა: ქუთის მყოფელმა კაცმან თვისი შოკით ვასინჯვა მტრთებს წინ წინმძღვაროსო, თვირა, რომელიცა თვისისა საქვისა საფუძველი ქუთათა ზედი არ დაამტკიცა, ვერასა საშარჯოსა ვერ მოიმარჯვებნო. შეუთრბამ უთხრა: ქუთა ესეთსა საქმეთა შინა მოიხმარების, თუცა მოსავალისა მოვლენისა ბრძანება არა განგებულ არს; ესეთსა უამსა ხერხისა მოვლა იქნება, რომე მისი პატიოსნობა სიმტყუენითა არ იავარ-ყოს, თვირა, ღვთის ბრძანებასა არცა ხრიკი და არცა ღონის-ძიება არა შეემართება-რა, არცა სარგებელი აქვს; არცა ვინ შეგარდამო საბრზე დარწყმულსა ჩივითა და ხერხით განკროძიოო.

ოქვა ლექსი

რა გამგებელისა მიერ ცეცხლი აღვეზოს, ალები,
ყოველს ცდასა და თქვეასა გონი დასწვას და თვალეზი.

ნუთუ ცისა და ქვეყანისა შემოქმედმა ღმერთმან ერთი ესეთი რამ მოახდინოს, ანაზღვეულითა მოწყალებითა ბოროტად მხედველთა თვალნი დააბრმოს და დააბნელოს, რომე მორჩენის გზაში ესე ნწუხარებნს თქმულობა ვაატაროსო.

ოქვა ლექსი

რა რომ განვება მოვიდეს ღვთისაგან მოვლინებულად.
ყოველი შევინიერება დაბრმავდეს დ.ყრუებულად.

არამც შენ მეწალოკრისა და ბულბულისა ამბავი არა გასმოდესო? დამანამ ჰქითხა,
როგორ ყოფილათ?

შუთსრბამ ოქვა არაკო

22. სახედ დაუტო: ერთსა მეწალოკრესა წალოკოტი ჰქონდა ფრიად შევინიერი, ერმისა
საშროშნესა გვანდა. მისი აერი გაზაფხულისა ნიაგსა მაშენობასა მისცემდა, შაშპრათა
სუნნელობა სრულობით ვარდამატებით საყნოსელთა ფშვათა ნიუძლნობდა.

შ ა ო რ ო

საშროშნე, ახალ კაბუებერ, ბრწყინვალედ აყუებული,
ვარდი ვამსგავსო ბავთა, წყლად უკედ-ვაბ ცხებული,
მახედ ბულბული მყვფარე, სალობინოდ გაშმაგებული,
და ვარჯთა ნიაგნი სუნნელობა მომღებად არ მოკლებული.

ერთსა მისსა მწვანანისა კუთხეთა ერთი ახალი ვარდი იდგა, გულის სანდომის შემ-
წის ნერგის სიახლე, და მის აღმატებული სიხარულის ხის უმდიდრე [იყო]. დილითი-დი-
ლად ფერად-ფერადად ყვარდა, გულის მომტაცებელს სათუთის შევინიერს პირთაებრ და
ვეცხლის გვამოვნად იასამანის სუნნელებათა ფშოდის. მეწალოკრე მას ორთა ფერდთა
ვარდთა ზედს იხარებდა და

ძეჟოდა ჩაბრუხაულსა

ვარდი ბავთა გულთ სადაგითა არ ვიცი, ჩურჩინთ რასმე უბნობდა,
ბულბულსა ხელსა, კირ არ ერთხელსა, ვითა შემლიდა, ვითა აწნობდა.

მებაღე ერთსა დღესა პირველის წესისაებერ ვარდის ნახვად მოვიდა. მაზე მჯდომი ერთი
მტირალი ბულბული ნახა, ვარდისა პირთა პირსა აკონებდა, და ოქსინოიანთა ფურ-
ცელთა მომახულითა ნიკარტითა ჰკრეფდა.

ღ ე ქ ხ ო

ვით ღვინო, ვარდი ბულბულსა დაათრობს, გაახელებსა,
ჭვასა და ცნობას მოსტატებს, აროტკებს ვით ნაცხელებსა.

მეწალოკრემ რა ვარდის ფურცელთა დაძვირება იხილა, სიწყნარისა საყელო სიჩქა-
რისა ხელითა დაიპო, და გულისა კალთა ღვიძლისა მკერაუვისა ულონობასა ზედა გარდაპ-
კიდა, და ვარდისა მოშორებებისა ალითა მეორეს დღეს ეგრევე ნახა.

ტ ა ე ბ ო

დალი დაღებდა დაისუა, გლახ გული დაიდაგა მანი

მეორეს დღეს[ა]ც ნახა, ბულბულსა ნიკარტითა ვარდი დაეკოდა.

ტ ა ე ბ ო

ვარდის ფურცელი ეკალი, გაზშირებოდა ეკალი.

ბულბულმა მეწალოკრესა მკერდისა ქავილი აუჩინა, და მებაღემან ბულბულსა საც-
თურის მახე გაუჩინა, ხრიკისა საყენითა მოინადირა, და გალიათა დილეგთა შეაწყვიდა.
უგულო ბულბულმა ზორაყისაებერ სალაპარაკოდ ენა ააუბნა და უთხრა: ეპა, პატროსანო!
საპერობილესა რომლისა მიზეზისათვის შემსვი? რომლისა შტკოდებისათვის ესეთისა
ტანჯითა დაგობამვარ? თუცა ჩემისა ტკბილისა სტვენისა სმენა გსუროდა, არა ჩემი ბუდე
შენთა წალოკრთა მედგა და დღე-ყოელ ჩემთა სახლთა ელხინობდი? შენთა საეარდეთა
მიდანო ყოფისათვის მიყავი ანუ სხვაი რამე იგავი დაგიცს? რაცა გულითა ვაგიზრახავს,
მიცოლინეო.

მებაღემ უთხრა ლექსი

ვირეულის მაწყენ, მოყვასო, ნუშცა გაქვს დღეთ სიგრძენია,
მანამდის პირთა დაგბურავ, ცხვირთა წავგაოდეს რძენია.

არა იცი, ჩემთა სარგოთა დღისათვის რაი შეგომთხვევია? მე საწყალობელი ჩემის საყვარლისა გაყრითა რამდენჯერ დაგიწვავარ! ეგვთისა საქმისა მოქმედსა ესეთი საძა-სუხე უნდა, რომე შენცა შენს სახლსა და საყვარელთა მოვაშორე, და შექცევისა შე-ბისა და მხედვარეობისაგან გასულხართ და დოლეგთა კუთხეთა სტირ. მეცა გაყრისა მწუ-ხარებნასა მრავალ-გზის შეუპყრევიარ, და საყვარლისა მოშორებებისა სირჩისა ნაეური და-მიკაშნიკავს, და უნახაობის ბნელთა სადგომთა შინა ცრემლი მდენიაო.

უთხრა ლექსი

ბულბულო, გვრინთა მეტყობე შენსა მოყვასსა მწარეთა,
ოართუ სატრფოსა შორს მყოფნი ცრემლით მოურწყვიდეო არეთა.

ბულბულმა უთხრა: ჰაი, ჰაი!, ამა ზაირობასა გაეყენე და ესე განიგულე, რომე რაე-დენი სულნი შეგიწუხებოვიართ და ესოდენსა ჯურუმთა გვახდევ ერთისა შენისა ყვაეი-ლის გამო, აწე შენისა თავისასა რასა იგონებო?

უთხრა შაირი

სოფელი ბრუნავს, იცოდე, დაელს სახითა ჭრელითა,
მაშა, ხაშს ცნობა აე-არათა, ივაჭრო საეპურელითა.
კეთილთა მიხედვს კეთილი გულთი ველს გაუჭრელითა,
და ბორატის მქეფი არ დაჩრეს, ლახერითა: დაუჭრელიოა.

ესე გვარამა სიტყუამან მეწალოტისა გული მოაღბო, და ბულბული გაათავისუფლა. ნააზატევეა ბულბულმა უთხრა: რადგან შენ ჩენზე სიკეთე მყავ, მისი სანაცლო მეცა მმართებსო, და ასწავლა: რომლისა ხისა ქვეზე სდგაბარ, ერთისა ქერკლითა ვეცხლი მთლავს, მოთხარე, ამოილე და ნებისაებრ იხმარეო. მებალემ თხარა, პოვა და სცნა ბულ-ბულისა სიტყვისა ქეშმარიტება; და უთხრა ბულბულსა: ესე გასაოცებელი არსო: მი-წააა ქვეზე გურკელთა დანინახავ, და მიწათა ზედა მახესა ევრაო! ბულბულმა უთხრა: თურე შენ ესე არ იცი და არცა გასნაო:

ბ ა ე ბ

განგებთ მოსუოს საქმესა კაცი ვით შეეხედისა?!

თუცა ლეთის რისხვისა ბრძანება ქვეყნად მოიწიოს, ყოველთა მხნეთა მხედართა თვალთა ჩენანი გაურეტდეს, და ვერაზან ბრძენმა და მეცნიერმან რჩევისა საარგებელი ვერა პოონო.

თქვა შაირი

განგებთ შენაწმასარი — ხელით ვით შექნა ნაყარი?
სადალა ევლტი, ყოვლგან ლეთის განგება ნაყარი,
სხვასმცა რასა იქ ინანდე თავსა დაისა ნაყარი.
და მაა მწყულა და მანუე გაჯურნოზ მისთა შაშართა ნაყარი.

ესე არაკი ამისთვის წარმოეთქვი, რომე ესე გამოჩენით დანახო. მე ზეგარდამო მო-მავალისა მეპირისპირე არა ვარ, და არცა ამის მეტი შეძლება მაქვს. ყოელი ლეთისა ნებასა ზედა მიმინებებია, და თავი ლეთისა ბრძანებათა ზედა დამიქს, და არცა სხვაი ღონე რამე მაქვსო.

თქვა ლექსი

ჩემი წადილი მისგან არს, მე მიწა ვარ და მტყვირა.
რაცა გაეგოს ჩემხელა მისის ნებისად — მუჯროა.

დამანამ უთხრა: შუთხარბავ, რაცა მე შემიტყვია, მართლობით ესე არის: რაიცა ღოშსა შენთვის საგონებელთა მოულდა, არცა მტერთაგან შესმენით არის, და არცა შენისა მრავალ შეძლებელობის გამო. ანუ მისი საწყენი გექნას რამე? მაგრა ზე მისი საქმე ესე არს, ერთისა პირთა ზედა არა დადგეჩის, შეუცოდებელსა შეცოდებასა შესწამებს. იგი ერთი უწყალო და უსამართლო, ავ-გული და ეშმაურობის მოყვარეა. პირველად თვისისა

ხელნაწერში: 1 ამი, ამი. 1 რახერითა.

ლხინას აღერსთა სიტკბოებისა სიციცხლესა მისცემს, და პოლოდ, მის ნამსახურთა საკედლისა სიმწარეთა შეაბამს, მის[სა] მსგავსად, რომელი გველი არს გარეგან კრული და შეენიერი, და შინაგან უკურნებელისა ვესლითა საცეს: რომლისა ნაქმენსა ვერა თერაიყი ვერასა მარგებელ ექნება.

უთხრა ჩხრუხულე

მსკაჟია დევის, ქანან ბადე ვის, ზურხია სრული, ტყელით საესე,
სიმშვიდის მოცდა არ გაუცდა, წალობა, საწრფო, სრულად და საესე

სუთურბამ უთხრა: წყალობისა მოწყალებისა და სიტკბოების კანონი მანახავს, აწ წაწართა კრვისა და უდიერის ფაში მოწყვენულა. ერთხანად ლხინითა და განსვენებითა მოშვილთა. და აწ კარისა, უკვისა და მოწყვენის დროაო.

თქვა ლექსი

ჰე, გული. ერთხანს სიხალის მოსაოვ გემოვანება,
აწ გაყრის კირსა დასაჯერდე, სოფელს ეს შეეგვენება.

თურე, მართლა სიკედლისა ჩემი საყვლო შეეპყრა, რა რომე მე ამა ტყეთა მოემართე, თერა ნე ვინა და ლომთან ლხინი! რა ერთხა ვისმე ჩემზედა ძლიერება მეტი ქვოდეს, და ხორცი ჩემი საკმელად ერგებოდეს, ხაზდა ვასთან ათას თოჯ-მოშპული თრეუთადა არ ნოჯოლოდი, და მრავალი ხერხი მეცადა მისსა დილეგთა არ შევარდნილეუაჲ.

თქვა ლექსი

დაბადმა ვითარ შექადრა მალალა კირის ნ.ხენი?
ზორაც დიდ იყო, გაბუჯლო გონებად მისი ზრახვანი.

ნაგრამე ლეთის განგებამან და, დამანაჲ, შენმა მაცოთრობამა მე ამა სასიკედლოს მორეთა შემაცურეა. აწე ამა საქმისაგან გამოსარკვევი რჩევის ხელი მოსავლელად დამოკლებულა. ამა საუბრისა მხიარულობის ბოლო მოწყენა არის. გულ-ხარბთ საწადლისა ხმინობასა, მომზუბართ აღებ-მიცემასა, ესეთი ცეცხლი ჩემთვის აუგზიათ, და ყერეთ მისი კვამლი ვერა მოწოდომია, და ზრუნვისა და ნაფლის სიციხითა დამწვარ ვარ.

თქვა ტაჲა

მეუე უყუე თაჲა ჩეჲა, ჩემი ბრალი ვის გამბრალო?

ბრძენთ უთქვამს ქვეყანათა ზედა რომელიცა მისის საზომის წესსა არ დასაჯერდეს, და ნამეტნავი მოინდომოს, მის კაცსა ჰგავს, რომელი აღმასისა მთასა შებედეს, და აღმასთა დიდ-დიდნი ნაკეფთნი მას მთის პირსა ეყაროს, და მან კაცმან მრავალი საგონებელი შემოიკრიბოს და აღლორე რა მივიდეს საწადელისა აღსასრულეებელთა ძღვლითა, და გარე შექცევა გაუძნელდეს აღმასთა ნატეხთაგან თერხთა დაქრითა, იგი განოთქვლეველის მოვონებასა შინა დაფლეთთა რა რომე უწინეუ არა გამართია, რომე გამობრუნებების გზა საქირო იყო; და ესე ვითარისა სიხარბითა მუნეე მოკელაო.

თქვა ლექსი

უხრის ნქვამს საქმესა წახლენს, გაატულებსა;
ზამოგებება საწუთროს ედუჲსა ხე დაუღებსა.

დაჲანამ უთხრა: თქვენ სიტყუანი მეტად მოსაწონა: რაცა აერ კაცსა დაემართება, ყრეელივე სიხარბისაგან იქნების.

უთხრა ლექსი

ზორს დაყრის, სულსა დაუწვავს, სიხარბე-ანგარბანი,
მთათ მოაქულებს, საყოლთა, რაცა ჰყავს ან გარ ებანი.

ვისიცა ქედს სიხარბისა საქმითა გაზრქვლდების, ბოლოდ შერცხვენისა ხრმლითა ნოკვეთების; ვისაცა თაჲსა შინა სიავე და უგუნურება დაემკვიდრების და დაიადგილებს, მერმე გაცულებულს მიწითა ზედა დაითრგუნების, მრავალი კაცი სიხარბის ნდომითა და უბადოსა ემედითა დაგალახავებულა, საარგებლის ხალისითა სულისა გამწირაჲი სიყ-

1 ხელნაწერში: შირი.

დილის მახესა გაბშია, რაგვარადღე მას¹ მონადირეს მელის შეკერობის სიხარბითა ვეფხის კანგითა ძარღვი საყნოსლით აღშროსოდაო. შუთურბამ ჰკითხა, როგორ ყოფილაო?

დამანამ თქვა არაჲს

შპ. ერთსა დღესა ერთი დია ცქეტი მელი მინდორთა შიგა ჩქარად ვილოდა, ხლტოდა და ყოვლგნით ცაქცაქებდა. ნახა მონადირემან ვინჲ, და მისი ბეწვი დია მოეწონა, და ძვირად გასყიდვას იგონებდა. სიხარბის ძალმა ამა იქედზე დააყენა, რომე იგი შეეპყრა. რა ნელმა კაცი ნახა, სოროთა შიგა შეიკრა. მონადირე უკან მიჰყვა, მისი სორო პოვა და სოროთა პირსა ერთი ორმო ჩაუთხარა და ზედ კაქაქი წააბურა და ზედან მძორი რამე დაუდვა, და იგი შორი-ახლო მოუარებით დაუდვა. მის მელის ამ საქმით დაქერას ელოდა. მელი სოროთ გამოვრდა და მის მძორის ნათრევს სუნვით მოჰყვა, ორმოსა პირსა მოადგა. რა მძორი ნახა, თქვა: აჲა მძორისა სუნის ნდომა საყნოსელთა ესუნელებმა, მავრამე ჳირისა სუნის ჩემთა ცხვირთა ეცემა! რა ჳკუვათა უფალნი ერთისა რისამე ახლორე შიშსა გულობდეს, არა მივლენ მუნ; მცოდინარეთა, რომელსაჲცა საქმეთა შინა საჩხუბარი რამე გულელებათ, აღარა უქნიათ.

ტ ა ე მ ი

სად ევლას ძნელი წრენია, შიგა ნე შეესწრენია!

აზრი იკრა და თქვა: იქნების აჲა ნადირი რამე მოკვდიარ იფოსო, და ესეცა ქნილა, მის ქვეშე საფრხე რამე შეეწხადოსო? ყოველთა საქმეთა ზედა სიფრთხილე უმჯობესიაო.

თქვა შაირა

რა ორი საქმე მოვადგეს საჭირო, მოსაყებელი.
არა იცოდე, რა ხანდეს საწნელად შეუგებელი:
რომელსაც კერი და შიში მთხედვდეს გაუგებელი,
და იგი განაძე, შენ დარჩე ლხეპართა დაჯიჯბელი.

მელი ამა რჩევაზედ დაეცქეცა, და მის მძორისაგან ხელი აიღო, და სიციცხლის გზაზედ გაიბრძინა. ამაზე ერთი მძიერი ვეფხი მითთ ქვე ჩამოვიდოდა, მძორისა სიწყრალე ესუნა, მიიკრა და მას ორმოსა ჩავარდა. რა მონადირეს ორმოს საუარის ჩაქცევისა და შიგა ჩავარდნის ხნა ესმა. მასა მელის ჩაქრა ეგონა, მეტის ნდომითა სირბილში ფეჩრხი შეუცთა და თვითაც ორმოთა ჩავარდა. ვეფხსა მძორისა მიცილებელი ეგონა, შეება და უპე გაუპო. მონადირე სიხარბითა და მეტის ნდომითა სიციცილის საფრთხეთა გაება. თვისის სიხარბის მოკვეთითა და ცოჴას მოთმენითა მელი ჳირისა და ვაებისაგან გარდარჩა. ამა არაკისა სარგებელი ესე არს, რომე კაცმა უნდა იცოდეს, სიხარბე და შური და ქიშპობა, თავისუფალსა მონად და ნასყიდად შეიქს.

თქვა ლეჴი

რა ქუდი თავსა დარჩეა, ნაბუტერი და მძინერი,
უცილოდ თავსა გატყინებ, შეგეჴნას დასამძიმეი.

შუთურბამ უთხრა: დაეაშავე, რადგან რომე პირველად ლომისა სამსახურთა შინა შეველ და უწინვე არა გამოვიკითხე, რომელ მას სამსახურისა პატივი არა სცოდნია. ნათქვამია, ესეთსა კაცსა თანა ლხინი, რა შენი არძანგი არა იცოდეს და ესეთასა შეპატარონისა სამსახური, რომე ვერა ვეიტყოს და არ გასინჯოს, მასა ჳვაეს, მოსავლის იმედნეულმან კაცმა თესლი მლაშეთა აღგილთა და კლდეთა ზედა დათესოს; გინა შობითგან ყრუსა სამხიარულო და კია ამბავი უწურჩულო, გინა მდინარესა ზედა ლეჴსები დასწერო, ანუ ხზელისა ქარისაგან წვიმა მოინდომო.

თქვა შაირა

მეფეთ პირობის მოკენე, ვაიმე, ცუდად შერბიან:
სოჴისგან ხილს ვინ მოისთლოს, სარდლილოდ ეპოყურებ.იან!
ძეწნი არ იქცეს ლერწმად. ვისგან შაჴარი დნებიარ,
და გურნით რყვიოდე ნიადგა, ნურა გეიმედებიახ.

¹ ხელწაწერაში: + მან.

დამანამ უთხრა: ყოელი საუბარი დაუტევე, და შენისა საქმისა სარჩევი წინა დაიდევო. შუთურბამან უთხრა: რაი ვიღონო და რაი ვიხერხო? შენ უბნობ, მე ლომისა გუნება შევიგნოა, შენის ცოდნისა და ხელ-გამომავლობისათვის შენს გატულებას ცდილობსო. აწე, რადგან ესრეა, ჩემისა სიციხელისა სასწორისა უღელი გატულებისა პერსა სკვრეტს და ლოლაროისა საკიდებელსა. ესოდენთა უწყალთა და ხერხინთა და უსამართლობისა მოქმედთა ზურგი ზურგისათვის მიუყრდენიათ, და ხელი-ხელთ გაუბამთ, რომელსაჲა შეებმიან, ყოველსავე ზედა მრე იქმნებიან, და მტერთა ფერხით დაადგებენ, რავვარადაც მგელი, მელი და შაღრანი ერთისა აქლემისა სიკედელზედ შეითქვენეს, და თვით მათსა წაიღისა და ნებას ეწიენენო. დამანამ ჰკითხა, როგორ ყოფილაო?

შუთურბამან თქვა არაკო

21. უთქვამთ: ერთი შაღრანი თეალ-გიშერი, და ერთი მგელი ქანგ-შახვილი, და ერთი მელი, ხერხინთა სრული სამნივე, ერთისა მონადირისა ლომისათანა იყოფებოდეს. მათი საბუნაგო ტყერი ერთსა შარათა ახლორე იყო. ერთსა მოგზაურსა აქლემი დეაირდნობდა, და მას გზასა ზედა დაეტყვებინა. მან აქლემმა აქა-იქ ძოვინთ მის ტყეთა შინა მიაწივა. რა ლონე მოიკა, მოლთა ძოვინად ვლიდა, ესეთსა გზათა მიხვდა, მას ლომსა თავსა წაადგა. სამსახურისა და შორჩილებისა კიდე რაღასა გააწყობდა! გამწყრალმა ლომმა მუნ მისლვა გამოჰკიოთხა, და რა ყოველი შეიტყო, ჰკითხა: დასდგები, თუ აგრევე წახვალო? აქლემმა თქვა:

ლ ე კ ხ ი

თუ ანას წინათ ჩემს ხელთა იყო ჩემივე ნებანი,
რა თქვენა გნახე, დამუადთა თქვენს წინა აქვან დებანი.

რასაცა ხელმწიფე ბრძანებს, მისისა მონისა რჩევა ის დამტკიცდებისო.

თქვა ბაუბი

თქვენ უკეთ იცით ყოელი აწ ჩემგან უკეთესები.

ლომმა უბრძანა: თუკა გნებავს ჩემთა საბრძანებელთა შინა ყოფა, უშიშ[რ]ად და შვიდობით იყაო. აქლემსა დიდად იამა და მას ტყეს შინა დადგა, და რა მოისვენა და უამი გამოხდა, დია გასუქდა.

ერთსა დღესა ლომი ნადირობად განეიდა, და სლვასა შინა ერთსა აღბორკვებულსა პილოსა შეხვდა და ბრძოლა შეეკნათ. ლომი მრავალს ადგილსა დაიკოდა და მისსავე სამყოფთა გამობრუნდა, მტირალთ და მძიმედ დაკოდილი ერთსა კუთხეთა დეაირდა. მგელი, მელი და შაღრანი, რომელნი მისის ნასუფრალითა გამოიზრდებოდეს, უმდღევრო დარჩნენ. ლომსა მათ ზედა რა ხელმწიფური წყალობა და მოწყურება უზომოდ მეტრე ჰქონდა, რა იგინი ეგრე შეწყუბებულნი ნახნა, შეწუხდა და უბრძანა: თქვენი ესოდენი ნაუღელი, ჩემისა ჰირისაგან უმწარესიაო. ამა ახლო-მახლოსა ტყეთა ერთი ნადირი მომიდარაგეთ და მითხარო. მე მივალ და თქვენ სადილს გაეარებებო. იგინი ლომის სამსახურით გამოვიდეს და ერთსა ადგილსა დასხდენ, და ერთი მეორეს ეტყოდა: ამა აქლემისა ყოფა ამა ტყერთა შინა ჩვენთვის რა სარგებელიაო? არკა რას ხელმწიფეს რასმე ემატებისო არკა ჩვენი საარშოო რამე არისო. ამას ვეცადობ, რომე ლომი ამა ზედა დადგეს, და სამსაოდ დღესა ხელმწიფემა მძორთა ძებნისა და საცოხნელთა ნდომათაგან¹ გაისვენოს, და ჩვენსა ჩვენ გვარად ვისარგებლოთო. მელმა თქვა: შაგა საქმესა ნუ განიზრახავთ, რადგან ლომსა მისთვის პირობა დაუეს და მისსა სამსახურსა ქვეშე დაუდგინებოა. ვინცა ხელმწიფეთა მისსა მინდობილსა ზედა გაარისხებს და პირობისა შეცვლასა ზედა შეაგულიანებს, ორგულობა არის, და ორგულობა ყოველსავე საქმესა ზედა შორიკტი და წასაწყემდელია, და ლმერთი და კაცნი მისთვისა კეთილსა აღარას იქმანო.

თქვა შაირი

მუხთაღსა მისი სიმუხთლე უფროსად მასვე ავებია,
გულითა რჯულზედ არა დგას, რა მიჰყლიდა აე ნებას.

¹ ხელნაწერში: ნდომათაგან.

პირობის პირობით დაბეჭდა ცუდსა არ გააჩველავნებსა,
და კაცთა რიოში გონება სრულიდურად ააქუნებსა.

მალრანმა თქვა; ესე საქმე ერთისა ზერხისაგან კიდე არა იქნების, რომე ლომისა პირობისა ვატება არ მოჰხდესო, თქვენ აქა შელოდოთ, ვირემ მოვიდოდლო. მივიდა ლომთანა და წინარე წაუღება, ლომმა ჰკითხა: ნადირი დაზვერეთ სადმეო. მალრანმა მოახსენა: არც ერთსა შიმშილითი თელთა არ გვიჩანს და დამერის ღონე არა გვაქვსო. ერთი სხვა საქმე მოგვიგონია და თუკა ხელმწიფე ბრძანებს, ყოველივე მოვისვენებთ და საზრდელიცა გავვიმრავლებდისო. ლომმა უბრძანა: სიტყუა გამომიცხადე, რათა მისი სახე გარჩევით შევიტყუო. მალრანმა მოახსენა: ესე აქლემი ჩვენი უხმარია და არც არად სხვად გამოსადევია. ესეთსა ვაკირების დღესა კი ნადირი გაურჯულად ხელთა გვეყავს და მახესა შინა გვიბოიაო. ლომმა უწყინა და თქვა: ამა დროსა მიწასა რაი მოაქვს, ამხანაგთა ზედა ავისა და ბოროტისა მეტი არა უნდათ-რა და კაცობის რიგსა და მოწყალებისა გზასა ანაზღვეულად ერთობათ ხელით გაუშვებნო.

თქვა შაირი

ამ ეამად კაცთა მინდობა ამხანაგთაგან მწელია,
საწადლის პირთა გამთავე საქმით არა ჩანს მქნელია.
რომელიც მშვიდი გგონია, იგ ზერხთა მომწუნელია,
და მუცლის ღებინად და ნადიმად უჩანს საქმენი ბნელია!¹

პირობის ვატება რომელსა რუჯულსა შინა ვანწყებულა: და შეხვეწებულისა კაცისა სიკვდილი რომელს ქვეყანასა, და რომელსა ტომსა შინა ქნილო?

თქვა შაირი

რა ნერგი დარგო მოქმედმა, შენით ამაღლდეს, იხაროს,
ნაყოფი მოტყუეს კეთილი, მღილით არ ოფს იხაროს,
რტოთ მოსატებად შენგანვე მოზიდვით ნუმცა იხაროს,
და მაშენებელი მარბრე ხნარცსა შოაჯარდეს, იხაროს.

მალრანმა მოახსენა: მე ეგოლენი ცოდნა არა მაქვს, მაგრამ მასმია: ბრძენთა ნათქვამია, ერთისა სახლის ჯალაბის დახოცასა ერთისა კაცისა სიკვდილი უმჯობესიაო, და ერთისა უბნისა მოწყვედასა — ერთისა სახლისა სჯობსო, და ერთისა ქალაქისა მოსრავასა — ერთისა უბნისა უმჯობეაო, და ხელმწიფისა უახდენასა — ერთისა ქალაქის მოხრება უფრო დაუსაკლისიაო, ამისათვის, რომე თუკა მეფე კეთილად ცხოვრობს, იყლიმისა მოვლა ძალ-უცსო. და პირობის ვაუტეხელობისა საქმე რამე მოგვარდების, რომ მისს მძებნისაგან უბრალო იყოთ, და თუის თაეი მანეე მოგვარდოსო. ლომმა თაეი დაჰკიდა, და მალრანი თვისა ამხანაგებსა თანა მოვრდა და უთხრა: ესე ყოველი ლომსა მოვახსენე. პირველად მიწყინა და მერისა აღარა თქვა რაო, აწე ამას ვარჩევე: ყველაკანი აქლემთან მივიდეთ, და ლომისა დაკოდილობა და შიმშილი უამბოთ, და ვარჩიოთ, რადგან ამა ხელმწიფისა სვე-სვიანობითა ჩუენი ეამი და დრო მზიარულად მიგვეყავს და დღეს ესეთი ვაკირება აქვს, ნაშა, ჩვენთა ნამუსთა რაი საკადრისა, ჩვენი თაეი და სული და ხორცი მას არ ვანაცვალოთ, და ესეთი სასირცხო საქმე თავს დაეიდევთ და პირის წყალსა განვეყენოთ? ესე გემართებან-ყე: ყველანი ლომსა ვიახლოთ, და მისგან მრავლის წყალობისა და საბოძერის მადლი მოვახსენოთ, და სხვა არა რა შეგვიძლია, და ჩვენი სული და ხორცი ხელმწიფისათვის გვინაცვალებდიაო და თითომან ესე მოვახსენოთ: ღღეს სადილი ხელმწიფემ ჩემთ იამოსო². სამთა ამათ რა დავასრულოთ, და რა აქლემმა მოახსენოს, მისი საქმე ვაეაგოთო.

ესე პირი დაასკვნეს, და სამნივე აქლემთან მივიდნენ და ესე საქმე ყოველივე ზაკვით უთხრეს. მას რადგან გული წრფელი ჰქონდა, ეშმაპურობისა ხრიკითა შეატუნეს³, და რა მათი სახერხო წერილას ამოკითხვა დაასრულეს, ლომსა-თანა მივიდნენ. მალრანმა საქმელები ენა ააუბნა და თქვა

¹ ბედნაწერში აშიაზე სხვა ხელით მიწერილი არის: მეფის თქმული.

² ბედნაწერში: შეატუნეს.

ლ ე კ ს ო

მეფეო, ღმერთთან ვაბოძოს მშვიდობა, დღეთა გველობა,
სიმართლედ მოქალაქეობი, ემთა და სანთა ღველობა!

ჩენი მყოფელობა ხელწივისა სიკოცხლეთა რტოთა დამოკიდებულა. აწ ესეთი
საქარო თაჲ მოხდენთა, ევეჯდრები ხელწივისა, თუცა ჩენისა ხორციოთა ძალისა ღონე
მოეცემის, მე თაჲ გამიწირავს და ჩემთა ხორცთაგან ივემოსო. მათ სხეთა ამხანაგთა
დაასწრე! და უთბრეს: შენისა შექმნითა რა სარკველი გამოვავ, და შენისა ხორციოთა ეინ
გაძღვებო!

ბ ა ე კ ო

ამასეა რადლა ჭგინთა სხათა ნაწილთა ქონება?

მალრანსა რა ესე ესმა, თაჲი დაადრეკა და უქუღვკა. მელი წადვა და მოახსენა:

ლ ე კ ს ო

ჲე მეფეო! ნე მოცნხოს სიკვილითა მოქალაქეთან.
შენთა დრწილთა მთარძოს ემთ ნაწერთა დასასრულმან!

მრავალი ხანი არს ჩენთა მკოცხლელთა ჩრდილთა ქვეშე თქვენსა მზისა სიკ-
ხისაგან განსვენებრთ და მშვიდობით ვიმყოფებრთ. აწე ამა ეამსა თქვენთა მეფობისა
მზესა, რა მთორე მრავალბელად აღუარებია, რამე სეთთა აღმორჩინებელმან ვარსე-
ლავმან ჩენისა საქმისა ცისაგან იქუხოს, მე ერთ ლექმად მიკმოს, და საუზნის საგონე-
ბელი ანით დაუტეოსო.

სხეთი ამხანაგნი წადვენ, უთბრეს: რაცა მოახსენე, ყოველივე სახმარე და მართ-
ლისა თვალთ კეთილად სახილავთ, მაგრამ შენს ხორცსა სიმკრალეცა და მადყინრობა
ორივე აქვსო, და ანით არ იქნება, არამე ხელწივისს აწყინოსო და სნეულობისა მ-
ტოსო. მელი ღადღემა და მგელი წინარე წადვა, და ენა დაძრა და მოახსენა:

ჩაბრუბული

ეჲ, მეფეო, კადრებ მეფეთ, ღმერთთან ყოვლის ეზოთ ნება მოგაყრას,
მტერთა ომისად, მქოლ საზოხსად, ვითა ნადირი მელთა დაგაყრას.

მეცა ჩემი თაჲი ხელმწიფისა ქართათვის შემიწირავს. ჩემი საწადელი ესე არს: ხელ-
მწიფემ ჩენს ხორცთა ზელა მზიარულად და ვანცბრობით თვისი კბილი გაძრასო! მათ
სხეთ ამხანაგთ თქვენს: ევე მოხსენება ერთგულობის გზაა, მაგრამ შენი ხორცი ხუნდაგისა
ამშლელია და მაქინარი და მოუწლებელი: და ასპიტისა გესლითაგანცა უძნელსინო. და
მგელმა-ფურხი უყურადგა. ყელ-გრძელმან აქლექმა თაჲებდობათა გონების აღეარის გაწ-
ყვითა და სიტყვა დიწყო და ქებისა შესხმასა უჯან ესე თქვა:

ლ ე კ ს ო

რომელმან ცანი კარავად მალაჲ: დაძრანა მზინო,
კარნი განვიხვას, მეფეო, განამარჯვებლად გხიან!

მე ხელმწიფისა წინაშე ვიყოფები, მათის სევესიანობისათვის მომიძრთავს, თუცა
თქვენისა სამხარეულოთა ევეჯდრები და თქვენთა ტაბლითა მოვიტანები, სულიცა საყ-
დავად არა მიწყალვისო!

მოახსენა ლექსი

ერთე ცოცხალ ვარ, შენს კარსა არ მოვშორებდი მეთითა,
სულიც არა მშრის საყდავად მოცემად, ნიუჭავს ცნებათა.

სენათ მათ მოყვასთა უთხრეს: სიტყვა ევე შენა ტრეიოლებისა და ერთგულობისა
ჯანო არს, და შენი ხორცი ყოველთა მეგობრნი და მეტად გემრაველი და მაშენე და ხელ-
მწიფისა ქრილობისა მარგე. შენიცა უხობა გაძლიერდების, რადგან შენი დიდა სული
არ ზეიწყალე, და ამით რაოდენი სახელი და ქება ხმელეთთა მოქმენიო!

უთბრეს ჩაბრუბული

შენთა და ლართა, ვეცხლისა ძალთა გამცემნი კაცნი პეერ ათასობენ,
შენ სჯობობარ სრულთა, რომ გვიძღვი სულთა, ყოელნი ნაქერნი შენთან ნასობენ!

1 ხელა წერნი: ჩაბრუბული.

და ამა სიტყვისა დასრულებასა ზედა აქლემი სასიკვდილოდ მოიციეს, და ფეო რაღას იტყოდა, და უწყალოდ დაბალთეს.

ესე არაკი ამად მოვითხარ, სცნა: რა შურისა და ხერხის ქურქელი ვასრულდება, არ იქნების მის გამო ერთი არა მოხდეს რაო. დამანამ უთხრა: მეცა მაგის მორჩენისათვის გეტყვი, შენცა გონებად ჩაპხეო. შუთურბამ უთხრა: აწე ჩემი გონება საარგებლისაგან უნაყოფო კნილა. აწ ბრძოლისა, ომისა და რკინებისა და სიკვდილის მეტი გზა აღარ არის! ვინცა უბრალად წახდენის სიფრთხილისათვის მოკვდების, სამოთხეს ეღირსების. და, ესეცა იცოდე, თუცა ლომისა ხელითა სიკვდილი თავსა მაცს, ბარემ სახელოვნად მაშინც მოკვდდე, — ნამუსსა შინა ჩამომერთმევისო.

ოქვა უთხრა

სახელოანად სიკვდილი სიკაცის უზგობისა,
სული განათლდეს, თუცა სხეულთა მატლი გვესია.

დამანამ უთხრა: კეუთა მყოფელთა კაცთაგან ბრძოლისა პირველად გამართვა უხამსია, გინა ბრძოლისა უამსა უწინარეს მან იწყოს ომისა აშლა. ამისთვის, რომელიცა ბრძოლასა თავსა აუღებს, უსამართლობისა სახელი მას ხედება; რომელიცა თვისა თავსა დიდსა პირთა შინა შერთავს, მეცნიერობათა გზათა გარდახდება. კეუთა და ხერხითა და რიგით შებმა ხამს, რომე ხრიკითა და სიტკბოთი მტერი დასცე, იგი უმჯობესია.

უთხრა შინა

სჯობს რიგიანი ტუფილი რისხვასა გ:უზომელსა,
მოფენ წყალთა ანიღლებს, ცეცხლი სწავს, მზებდა რომელსა.
თუ საწადელი სიმშვიდით მოუხდა მისა მღომელსა,
და რადაღა სწყრების რისხვითა, ცნობა უმს სიბრძნის მზომელსა.

და არცა დაბალი მტერი მკირედ შერაცხოს, ამისთვის, თუცა ძალი და შეძლება ეგოდენი არა შესდგამს, მაგრამე ხერხიანობისა საქმითა ესეთსა ცეცხლსა ალაგზნებს, რომე მისი ალი რჩევისა წყლითა აღარ დაშრტეს. თქვენ ლომისა ამბავი ხომე ყოველივე შეგიტყვიათ, და მისისა გაგებისა საქმენი იცინი. მაშ, მისსა მტერობასა რაცა შეენოდეს, ეგრე აღრაცხე, და ომისა უამსა გაქრძალვით იყავი, რომე ვინცა მტერსა სუბუქად მიიჩნევს, და ბრძოლათა შინა საგონებელითა და ცლითა არა იქნების, სანანურად შეექნების, როგორათაც ზღვის უფროსს დაემართაო. შუთურბამ ჰკითხა, ეგე რაგვართ ყოფილაო?

დამანამ თქვა არაკი

25. მოუყვანიათ: ინდოეთისა ზღვის პირთა ერთი რიგი ფრინველი მკვიდრობენ, რომე სახელად ზორაყსა უწოდენ. ერთსა წვეილთა მამალ-დედალთა ზის ზღვის პირსა ადგილი დაემკვიდრათ და მუნ იყოფოდენ. რაი კვერცხთა დებისა დრო მოუვიდათ, დედალმა ზორაყმა უთხრა მამალსა: ესეთსა ადგილსა დაეიბუდოთ, რომე არა რას მანენებლთაგან გვეშინოდეს, და ჩენთვის გასვენებით ვიყოთო. მამალმა უთხრა: ამისი უმჯობესი ადგილი სადა არს, საამოვნო და მისაველე-მოსაველე და გულთა საწადელი, და აქავე დაეიბუდოთ, და კვერცხიცა აქავე დაჩეკეო. დედალმა უთხრა: აქა ჩენი დაბუდება ძნელია, ამისთვის, რომე თუცა ზღვა აღელდა, ლაღოსა გვერაავს და მართეთა ჩვენთა წარიტაცებს, და ჩენი ესოდენი შრომა ცუდად ჩაგვიარს, მისი რამე გამოარჩივეო. მამალმა უთხრა: არა ვეკე ზღვის უფროსმა ესეთი საქმე მოაწიოს ჩვენზედა და გვიმტეროს რამე. და თუცა ქნა და მტერობად ხელ-ყო, ჩემი მართვენი დალუბა, მეცა დიდსა შიანსა შევამთხვეო.

ოქვა ლექსი

მბრუნავთა გტლთაც კვე დავთხვე, თუ ჩემს წადილზედ არ დეამ.
ცა ვერ დამხაგრავს მოძრაუი, სხვათ ვინ რა გაიკვლადიანა.

დედალმა უთხრა: კაცთაგან თვისი საზღერის გარდასლვა არა კეთილია, შეუძლე-ბელის საქმით თავის ქება საგმობარია, ნამეტნაეის თქმა კეუის პატრონისაგან უხამსია.

შენ რაი ძალ-გიცს ზღვისა უფროსსა ექადოდე, და დიდურად და ამხანაგსავეთ მაზედ საბრძოლელსა სიტყვასა იტყოდეო?!

უთხრა ლექსი

არ ძალ-გიცს მისი მტერობა, რასთვისღა მოჰყვებ ნინთა?
მაშინუ ვერას იქ უთოლოდ, ორბი შეიქნა ფრენითა!

შენა ეგეთი სიტყვა დაუტევე, და ბუღისა დასადგმელად ერთი სამშვიდობო მოსასვენებელი ადგილი ჰპოვე. ესე ჩემი სწავლება დამიჯერე. ვინცა მასწავლელსა სიტყვასა არა უსმენს, მოყვრისა შეგონებასა არა დაიჯერებს, მას ეგრე მოუვა, რაიცა მას ერთს კუს მოუხდაო. მაშალმა ჰკითხა, როგორ ყოფილაო?

დედალმან უთხრა არაჲო

მე. უთქვამთ: ერთსა ადგილსა მცირე რამე ტბა იყო. მისი წყალი სარკესავეთ ელქარეობდა, ჩამხედთა პირთა აჩვენებდა, სიკეთით უკვდაებისა წყაროსა გვანდა, და სამოთხის მდინარე[სა]ვეთ, სახელი გაჰფენოდა. ორნი იხვი და ერთი კუ მას შინა იყოფოდეს ტყბილითა აღერსითა, და მათს წესზე მეგობრობითა ერთად მყოფობდენ, და ეგრე მოსახლებოდენ, და ერთმანე[რ]ითისა პირის ჰერეტითა იხარებდენ, და მათი ცხორება განსვენებითა ჰქონდათ.

ღ ე ქ ს ო

მას რამეა შედარება მოყვრისა პირის შერასა,
რა საყვარელსა ხედივდეს, მთარე რად უნდა, მზე რასა?

იჩქითმა, უსამართლო დროისა და ეამის ხელმან, მოხდომის ფრჩხილითა მათის საქმისა პირთა ხოჯა დაუწყუო, და სარკისა მსგავსება ცამა მათის ერთობის გაყრის საქმე მიჰკრიტანაში მოაჩვენა.

შ ა ო რ ო

საწუთროს ჯამით ღვინის სმა ტრფიალთან სანატრელია,
მაგრამე ხვ:ლ გამოყოლა ჭყუისა ხელ-ამბრელია:
სოფლის ნადიმთა მჯღომელი სოფელსავეთვე ტრელია,
და რა გემოთ ჰამდეს, თან ახლავს კბილისა მონაჭრელია.

წყალი იგი, მათისა სიცოცხლისა ღონეთა შემკრებელი და სიხარულისა საზრდოთა მომცემელი¹, მოდა-მოაკლდებოდა და დაშრობისა ნიშანი აჩნდებოდა. იხუთა რა ესე ესრე ნახეს, გული სამკვიდროზედ გაერყვნათ და სხვათა ადგილთა წასვლა გააპირეს.

შ ა ო რ ო

გაილა ხამს სამკვიდროსაგან, თუ დგომა არ ეგებოდეს,
გული რა ნაულის მორევსა არ ოდეს გაესვლებოდეს.
თუცა მგზავრობა მწელია, რახომა კაცი კვდებოდეს,
და მაგრამ შინ ჰირსა ისი სჯობს, გარ აღი მოუდებოდეს.

და კუსთან მოვიდნენ გულ-წყულუნნი და ცრემლ-მდინარენი, გაყრისა და გამოთხოვისა სიტყვანი უთხრეს,

და თქვის ლექსი

ამა სოფელმა მუხთალმა ჩვენ შენსა ძმობას გაგყვარა,
დრომა და ეამამ სამკვიდროთ ვსრე უწყალოდ გაგყვარა.

რა კუმე მათი გაშროება მოისმინა; ტირილითა და ვაებით ვალადება დაიწყუო და ეგრე უთხრა: ეგე რა სიტყვაა, მე უთქვენოდ ცოცხალი სადმე ვიყო, და უმოყროდ და უმეგობროდ აქა ვიყოფებოდეო?!

¹ ხელნაწერში: მომცემელი.

უთხრა შაბრი

უთქვენოდ ჩემი სიციცხლე რით გაიძღვება, მითხარით?
მე გული ცეცხლით შემწვარი, თქვენ წვებით მხარი მითხარით.
გული, გლახ გული უწყალოდ აწე გალრჯნითა მითხარით,
და ვითა მოყვდაგსა, საფლავი თქვენის ხელითა მითხარით.

თქვენის გამოსალმების ღონე როდის მაქვს, რომე გაყრისა ტვირთისა ზიდვა შე-
ვიძლო?

თქვა ლექსი .

ჯერეთ ჩემსა კვიაროსსა თვალთ ვხედდე ნაშუქარსა,
გული მითრთის გაყრისათვის, ვითა ვერხვსა ნაბუქარსა.

იხეთა პასუხი აგეს: ჩვენცა შენსა გაყრისათვის გული დაგვკოლია, და მუცელი
გაყრის ცეცხლითა მწარედ გვეტყვიან. მაგრამე უწყალოებისა ქირნი მოგვეახლოვა,
ჩვენთა გვაშთა მიწანი სიკედლისა ქართაგან სატაცებლად განშაღებულა. ამა უღონო-
ბისათვის სამკვიდროსა და საყვარლის მოყვისს დატევებასა ვაპირებთ და უცხოობისა
ქირთა თავს ვიღებთო.

უთხრეს ლექსი

მტრული თვისის ნებითა სატრფოსა არ მოსცილდები:
სულსა სამოთხე სამყოფად წადილით ვით მოსწყინდები

კუმ უთხრა: მოყვანსო, თქვენ უკეთ იცით, უწყალოება თქვენგან: ჩემთვის უძნელე-
სია და ჩემთვის საპირო, და არცა ჩემი სიციცხლე უწყალოდ გაიძღვება. აწე გულის
სიყვარული და სიყვარულისა სისწორე ამასა მოქვენობს, რომე მეცა თანა წამიტიანთ
და თქვენისა გაყრილობისა სიმწუხარე არა აღმოჩინოთო.

უთხრა ლექსი

თქვენ ჩემთა გვაშთა სული ხართ წასაგლად განშაღებული,
სული რა გაუა უსულოდ,—გვაში მიწა დებული.

ტებილნო ამხანაგნო და რჩეულნო საყვარელნო! თქვენისა მოშორებებისა სიმწარე
სამკვიდრებელის დატევების უძნელესია, თქვენისა უნახაობისა ქირი გულისა ჩემისა
ურგისა გარდამშატებელია! სადა უნდა წავიდე, რა გინდ ყოელი განსვენება მქონდეს,
და მის დროს ჟამიერი ღებინა—მოუკლებელი, უთქვენოდ ბნელი მდინარე შექნება, და
ჩემისა ბედისა თვალნი გამირტდებინანო. იხეებმა უთხრეს: ჩვენ შენს კიდე ამხანაგისა
და საყვარელისა შეთვისება არა გეწადიან, მაგრამე ჩვენი შორს ვხას სიარული ხმელ-
ზედ სლვით გაგრძელდება, და შენი აერთა შინა ფრინვა მოკლე და უქნელია, და
ამა მგზავრობით ამხანაგობა ვით მოთავსდებო? კუმ უთხრა: ამა საქმისა ღონისძიება
თქვენისა რჩევისაგან მოიპოვების, და ამისი ხერხი თქვენისა მოგონებით მოიხარებინო.
მე გაყრისა გონებისაგან სულის ამოსვლად მიწურვილვარ, და გული საყვარელთაგან
გაწირვისათვის გამტეხია. მე რისაღა მოგონება შემიძლიაო?

უთხრა ლექსი .

გული საქმისა მოქმედ მოკლე უნდა მრჩეველად,
გული ნაღლითა აღვსილი, ვით იქნს გამოხველველად?

იხეთ უთხრეს: შენისა პირისა დაუქირველობა ჩვენ აღრიდვან ვიცით. შენშიგა
სიმჩატისა ღონი გვიპოვნია და, ნუთუ, რაცა ვითხარა, არა გვისმინო? ამის გამო
მტკიცე პირობა მოგვეცი, რაიცა გამცნოთ, დაგვიყვარო. კუმ უთხრა: ვით იქნების
ჩემი სამჯობინაროს თქვენგან თქმა, და ჩემგან მისი გარდასლვა, და გინა თქვენისა
პაემნისა და ჩემისა აღთქმისა გატეხაო?!

უთხრა ლექსი

პირობას მოგვცე ვსეთსა უტყუართა პირითა,
რად მითხრათ, არას გარდავხლე არა რას ვასპირითა.

იხვთ უთხარეს: პირობა ჩვენ ესე გვინდა შენგნით, რომე ჩვენ შენი [კ]აერთა ზედა აღება გვწაღია, და შენშიერ ხმისა ამოღება არა ეგების, თუარა ერთისა სიტყვისა თქმითა გვე ჩამოიწრები. რომელმანცა გვიხილოს, ან გაკვირვებული სიტყვა რამე თქვან, გინება თუ ლოცვა, ყვედრება თუ ქება, ანუ ზახილი და კიჟინი გესმას, ანუ ერთი რამ ნახო ავი, ანუ კაი,—სიტყვისა გზანი ესრე შეკარ, არა რასა ზედა ხმა არ ამოიღოო. კუმ უთხრა: თქვენთა ბრძანებათა აღვასრულებ. ეგრე დუმილისა ბეჭედთა ბაგეთა ზედა დავისუა. და არას მოუბარსა პასუხსა არ გაესცემ, და არცალა მე მათ უამბობო.

შ ა ო რ

ინთ ბრძენთა მოვეწივე. გზათა შემხვდა მასთან რება,
 უთხარ: ღირსო, მე კა ვიცი, სწავლით ვერვინ ვეღარება.
 ვითხებ კაცსა: რამეა უჯობს, ანუ რამეა ექმარება?
 და მითხრა — ყოვლითა უმჯობეა დუმილი და მდუმარებაა.

ამა პირისა უკანის მათ იხვთა ერთი ჯოხი რამე მოიღეს, და მას კუსა საშუალ პირი მოაკიდებინეს, და იხვთა მათ აქათ-იქით წვერნი ნიკარტითა შეუპყრეს და აფრინდენ. კუ ესრე წაიყვანეს. რა სოფლისა სინაღლესა გარდაელეს, რომელი მათსა გზასა ქვეშე ეღვია, რა სოფლისა მის კაცთა დაინახეს, ცოველნი კერეტად გამოვიდენ და გაკვირვებამან შეიპყრა, და ყველაკანი იზახდენ: იხილეთ, იხილეთ! იხვთა კუ აუყვანიათ და პაერთა შინა რა გვარად ნიჭავსთო! ესეთი გასაოცარი ამ რამად არა ნახულა რაო! ესეთი ზახილი ემატებოდა და უფროსად გაზშირდებოდა. კუმა მციერეს ხანს უპასუხოზა მოთმინა, და რა მათ კვილი გაამრაველეს, გულის წყრომისა კოვობი აუღუღდა, და ველარ დათმინა და თქვა:

ბ ა გ პ ო

ბოროტი თვალი, ცეცხლს მინათვალი!

რა ამის თქმისდა პირი აალო, თქმისავე უმაღ ქვე ჩამოიქრა. იხვთა მათ დაპყიელეს: მოყვარეთაგან სწავლება ხამსო, მაგრამ ბედი დამჯერებელს შეხვდებინსო.

უთხარეს შაიო

კეთილის მდომნი კეთილსა კაცს კუჯას ასწავლიდინა,
 მაგრამე კაცთა შეგება ხამს, რომ მახედა ვლიდინა.
 ჩვე რაუ გვეფრობდა, გასწავეთ, ბრძენნი რას გზათა მიდინა,
 და უბედურნი და უცებნი სწავლასა დაეროდინა.

ესე არაკი ამას გამცნებს, რომელიცა კეთილის მდომელისა სწავლასა არ დაიჯერებს, და ყურით არა შეისმენს, თავისა თვისის სიკვედილისა ნომატყუებელად გამოჩნდების, და ბოროტის საქნის სირცხვილის ფარდაგსა პირით თვისით აიხდის.

ღ ე ქ ს ო

ვინცა მოყვრისა სწავლასა ყურს არ მოუპყრობს მიდებთ,
 სინ. ნულითა მრავალჯერ თითს ექნას კბილ-მოიკიდებით.

მამალმა ზორაყმა უთხრა: ეგე არაკი გაესინჯე და იგავსაცა მიეხვდი, მაგრამე შენ მაგით ნუ ინიშვი! აღგილი დაიცივე: ავ-გული და მოშიშარი კაცი საწადელსა ვერ აღასრულებს. გულ-დაჯერებით იყავ, რომე ზღვის უფროსი თუცა არ შევეწვევია, მიენებელად არ იგვიდგებიისო. დედალმა გული დააჯერა, დაქრუნდა, და მართეთა რა კვერცხთა ქაფურის დერი პერანგი დაფრიწეს, და თავი მათი სიტკობის საყვლოთა შიგა ამოჴვის, ზღუ. აღელდა, პკრა ღაღო და იგინი კალთასა ქვეშე ამოიფარა.

დედალმა რა ესე ნახა, გულ-[მ]ტკიენეულმა მამალს უთხრა: ნიწადამც იქციევი! არა გიძხარა, ზღვისა თანა ღაღობა ჩვენდა არა სარგებელ იყო? აწ რა ვქნა, შეილნი ჩემნი ესრე განმიქარევენ და ცუცხლი გულთა ჩემთა ააგზენ! აწე ერთი რამე მოიგონე, ნუთუ, მით გულსა ჩემსა დამწვართა საღბუნე რამე დასდევო? მამალმა უთხრა: ნუ სწყურები,

პატიოსნად იტყოდე. მე რაიცა ძოდან მითქვამს, მასვე პირობასა ვდგავარ, და რაიცა გითხარ, მის გასრულებასა ვეცლები, და რაც ხელით გამომივა, ამის სამასუბოსა ზღვის უფროსსა შეეზღაო.

მაშინვე წავიდა და ყოველთა ფრინველთა უფროსთა მოუწოდა და ერთსა ადგილსა შემოკრიბა, და ესე ყოველივე შესჩივლა, შეწყვენასა და მოხმარებისა შეკლა იაჯა, და ნათ ვედრებითა და მწუხართა ენითა ესრე უთხრა:

ღ ი ქ ი

ჩემის გულისა ურვანი ყოვლს მწუხარებე მტრია,
თქვენის შეწყვენის მთხოველსა გლახ თუდი დამიბლუტია.

თუცა ესოდენი პატიოსანნი ამა ჩენზედა მოსულსა საქმეთა ზედა ერთ შეოქმელობათა არა იქთ, და ჩემსა სისხლსა და აობრებასა ზღვის უფროსსა შეარჩენთ, იგი გალადღება, მერმე თქვენისა შეილებისა დატაცებასაც ეცულების, და ე'ე ბეგარად დაგვეუბნის, და შეილთა სიყვარული უნდა გაუშუათ და სამკვიდროდამე ხელი აკალოთა.

თქა ლექსი

ან გვიხამს ამის გაგება ათასის ძნელს კირითა,
ანუ თაუების დახოცა სკმითა გასაჟორითა.

ფრინველთა მათ რა ესე ესმათ, მწუხარება შექენათ და მხარ-მოტეხილებ ვახდენ, ფრთა ფრთასა შემოჰკერს და ფასკუნჯისა კართა შეკრბენ- ამა საქინისა აღსასრული გაასინჯვეს, და ეაჯენს და მოახსენეს: რადგან ჩვენი ხელმწიფე ბრძანდებით, გლახთა და ულონოთა საქმე იურვე და, ვიცით, ქნაცა შევიძლია და კენ. თუარა, თუცა საბრალოთა ტირილთა და ცრემლთა არა შეისმენ, ხელმწიფობისა ხელით წერილი ბედნიერის პირითა აღიხოცება და ჩვენისა მოვლისა სიგელი სხვას მიეცემაო.

უბრახ ლექსი

ხელ ქვეშეთათვის იზრუნე ზრუნვისა საურავითა,
უფროსისაგან შემიწდი, დრო გამად გამართებს რა ვითა.

ფასკუნჯმა მათი აღშფოთებმა დააცხრო, და თვისი ყმანი და ლაშქარნი შემოიკრიბა და მისად სამტეროდ გამოეჟმართა. მათ ფრინველთა მისის მოშეულებითა გული გაუმაგრდათ და ზღვისაკენ იარეს. ფასკუნჯისა ლაშქრისა წილიდესა თავი და ბოლო არცა ერთი უჩნდა, არცა მათი რიცხვი არაა სკნირაარის მატრანესა შინა დაეტეოდა, მათი ლაშქრისა დგომისა საზომი არას შეცამეარის საწონითა არ შეთებოდა.

შ ა ა რ ი

ბუზბერახთა, გაჰწყო რახმთა, გულ-სრულთა და სისხლის მსმელთა,
ზურ-დ ბურტყლი, ფარად ფრთენი ძოჭურათ ომის მამელთა,
ლ-ბერად ჩარბი, შაგად კლ-ნტი აეხენა მათ, ვით რომელთა,
და ბრძოლის გამთა სწრაფი ხერხი უსყავლთა მათგან მელთა.

რა ზღვისა ახლორე მოვიდნენ, დილისა ქარმან ზღვას ნქერევა დაუწყო. ესე ამბავი ზღვის უფროსსა მოესმა, და მას თვისითა ღონითა ფასკუნჯისა და მისის ლაშქრისა ომი არ ძალ-ედდა. ულონობითა ზავი ჩამოაგდო და ზორაყისა მართენი აგარევე მისცა. ამა სახითა საცნაური, მტერა ზაგინდ ულონო იყო, შეუპოვრად არ მართებს ყოფა. წერილი ნეფსი მის ადგილს ასეთ რასზე იქს, რომე გრძელ ბუნოანის შუბასაგან არ შეიძლებოდეს; ცეცხლისა ნაბერწყალი, რომელი თეალთა წინაშე მციკრა, თუცა კაცსა ეცა—დასწვავს. ბრძენთ უთქვამს: ათასისა კაცისა ერთგულობა ერთისა კაცისა მტერობასა ვერ წაეპარებოდაო.

ლექსი

მოყვრად ათასი ერთგული მიენინა, არ მომეწონა,
სამტეროდ ერთი მეხარნა, მისი გავსინჯე შე წონა.

შუთურბამ თქვა: მე პირველად საჩხუბართა არა რასა ვეცხვი, რომე შემცოდელ და ორგულად ჩემი საქმე ითქვას. მაგრამე, თუცა ლომმა სასიკვდილოდ მომინდომა, მეცა ვეცდები თავი ნაშუიან მოვიკლაო. დამანამ უთხრა: რა ლომისა სიახლოესა მიხვიდე, და ნახო რისხეთა კულსა მიწათა სცემდეს, და თვალთა ფაკლასავით წყრომისა ცეცხლთა ანთებდეს, მაშინ სცან, რომე შენი სიკვდილი გაუპირებიაო. შუთურბამ უთხრა: თუცა ერთი რამე ეგეთი ნიშანი ვნახე, მას უკან გვაშთა ფარდაგსა ერთგულობისა პირისაგან ავიხდი, და ლომსა და მის განზრახულსა საქმეთა თაეთა უხეტქო. დამანამა რა ესე მოისმინა, მიხარულითა პირითა ქილილასაქენ იარა.

ლ ე ქ ს ე

უკო იხარებს ხხვისსა შეწუხებასა დიდებსა,
მისგან კეთილსა ნუ ელი, თუ არ ავს დასარიდებსა.

ქილილამ უთხრა: შენი საქმე სადა მიაწვდინე, ანუ რაგვარიად მოახდინეო? დამანამ უპასუხა და უთხრა:

ტ ა ე პ ე

ბედსა უმაღლი ნიადგა, ამ დროსა ეაქებ ეამთა.

დიდებასა ვკადრებ ღმერთსა, რომელმა პირი ჩემი გაასვენა და ესეთი ძნელი საქმე აღვილად გამარვიებინა. დამანა მის დროს ნაქმარზე ხარობდა, და ამა ლექსსა გულის უურიანთა სასმენელთა უკითხვედა:

ლ ე ქ ს ე

მაგრად დაიპყრეს არიფთა მელეინის ზილფი წინაშო,
თუცა დაწყნარდა საფელი, ანუ ცა გიძის წინ აშო.

აღგენ ორნივე და ლომთან წავიდნენ. რა ესენი მივიდნენ, იქილამ ხარი მოვიდა. რა ლომმა ხარი დაინახა, დამანას საქმე მოაგონდა, რომე მისმა წამ-და-წუთ შესმენამა ისაქმა. ლომმა ყვირილი შექნა, ჯავრით მიწაზე კუდს ცემა დაუწყო და, მეტის აღბორგებითა, კბილისა ღრქენა დაიწყო. ამაზე შუთურბა გულ-დაჯერებით შეიქნა ლომისაგან მისის სიკვდილისა, და მისსა გუნებასა შინა იტყოდა: ხელმწიფეთა სამსახური შიში და ვაება ყოფილა! მორიდება და კრძალვა გველისა სოროთა შინა ყოფასა მიჰვაეს, და ლომისა სიახლოეცა ეგრეთევა. თუცა გველსა ეძინოს და ლომსა ეღვიძოს, ბოლოდ ერთი იგი თავსა აიღებს, და მეორე იგი პირთა აალებსო.

თქვა ჩახრუხაულთ

მევეთ მსახურთა, ჰქუა ნახურთა, ფათერაკი სდევს ხშირად წამისად.
ვითა ჭიჭათა, მოყვასთა ჭვათა, ერთად მოძრაეთა ეამით ეამისად.

ამას იგონებდა და საომრად ემზადებოდა. ორთათვისეც რაცა დამანას ენიშნებინა, იგი ნიშანი აჩნდათ, და მტერობისა გული დააჯერეს და ბრძოლა შეექნათ. მათი ყვირილი მიწათა სძრედა და ზახილი ცად გაიწეოდა.

შ ა ო რ ე

მათის ბრძოლისა შიშითა მხეცნი ტყეთ იმალოდიან,
ნადირნი გელთა შირბოლდეს, გუნებაშია ძრწოდიან,
კლდეთ მიმართიან, სოროთა, რომელნიც შეესწროდიან,
და ბრწამლთა და ბარდთა ეძებდეს, ზინძი რა იახროდიან.

რა ქილილამ ესე მოინახა, პირი დამანას მიაპყრა და უთხრა:

შ ა ო რ ე

ათასი ზაკვა შეგითხავს სიკრუეთი შემკვერებული,
თვით გამომძვრალხარ ეშმაკი, ეშმაკად აღსარებული¹.
ორის წლის წვიმაც ვერ გარცხის შენს გესლსა ზე ცვარებულთი,
და შინაწყის შენვე მოგვიწყენ, ხანი არა ჩანს რებულიო!

¹ ხელნაწერში: აარებულთ.

ჰე, უგუნურო და უგბილო! ამას იქით იცნობს შენი კუჟა შენსავე ნაქმარსა! დამანამ უთხრა: უგბილობა ამას იქითი რაიაო? ქილილამ უთხრა: ესე საქმე როჯელ ჰყავ, არა იცია, რომე შვიდნი ზიანნი ჰქონან: პირველად, შენი საქმე საგმობართა წიგთა ჩასწერე და ძლიერი კირი ლომსა ზედა მოაწიე; მეორედ, შენსა ხელმწიფესა სააუგო საქმე აქნე- ვინე და პირი და პაემანი გაატეხინე და ქვეყანასა ზედა მოაქიფინე, და ესეთი სირცხვილი თემთა გაჰყინე; მესამედ, უბრალოდ ხარისა სიკედილსა მოკირავებით ეცადე, და საბრალო სიკედილის მორავსა ჩააგდე; მეოთხედ, ერთგული და დაუნაშავებელისა სისხლი შენის მზაკვარებით დასთხიე და თავსა დაიდევ; მეხუთედ, ყოცხელი ამისი ყმანი გაავ- გულე, რომე ამა შიშით სამკვიდრებელს მოიძულებენ და სხვათა აღდილთა მონახევენ, თვისსა სახლ-კართი გაეშორებინ და უცხოობისა ჰირთა და თვისთა საშყოფთა დატე- ვების ზრუნვათა შინა ჩაცვივიან; მეექვსედ, მხეტთა და ნადირთა ლაშქრისა თუი მოავ- გევიწინე, რომე ამას იქით მათი შეკრებისა და ერთობისა ნასკვი აღარ შეიკრვის; მე- შვიდედ, შენი უმეტრება და ავენაობა საცხადო ჰყავ. ერთი სასარჯლო საქმე [ჰყავ], რომელი სიკეთითა და სიქველთი გარიგდებოდა, შენს თავსა არ აღიძრე. კაცის სიძრუე მაშინ გამოჩნდების, რომე მძინარსა შულლით აღვიძებდეს და ერთს საქმეს შვიდად და წუნარად გარიგდებოდეს და მას შულლითა და ბრძოლით რიგებასა ცდილობდესო. დამანამ უთხრა: შენ ხომე გასმია, რა იგი უთქვამსთ?

ღ ა ე ბ ა

რაცა ჰკუთთა არ იქმნას, შმაგობით გარიგდებისა

ქილილამ უთხრა: აწე რაიცა ჰქმენ, მის გამო რაი კუჟა გამობერტყე, და გამოჩ- ჩევისა საცადლისა ხელის საზოგადო სახე რაი დასდევ, რომე წინა ვერ წაიძღუნე, რომე აწ ცხვირთა დასაშვები და სიტყვა ფიცხელი და უჰკოური რამე დაგვიტებოდეს. ესე არა უწყვი, სწორი კუჟა და სიბართლის გონება ჰებუთა სიმხნისაგან უკეთესიაო!

ოქა დგჳა

სიბრძნე ვააგებს სიტყვითა საქმესა დია მხელვას,
 რახმმა და რახმმა ვერ პოოს, სტენილეს სატენელვას.

მე ნიადავ შენსა საქმესა გაუკვირვებია: შენში ტყველისა და ხერხის მეტი არა ძეს რა! ამა მუხთლისა სოფლისა სიდიდისათვის, რომელი წყლის ციმციმისაებრ მოგჩე- ნება, მისთვის შერები, და ესოდენსა ბოროტთა აღასრულებ. შენგან სიკეთეს ველოდი, ნუთუ, მოიტკეს მეთქი, და ამპარტაენებისა და უგუნურებისა ძილისა და ყმაწვილობის ბანგ-ნარევის ღვინის სიმთვრალიდამ გამოაფხიზლებს მეთქი, და არ იქნა! უფრო და უფრო გარდამატებითა საზღვართა გარდაჰხედ, და ყოვლისა სულიერისა საენებელად ეკლო- ვანთა ველთა და უწყლოთა უდაბნოთა გზა გაუგებელი, საბრალოდ დარჩომილი შეიქენ. აწ დროა, რათა შენი უგუნურება და გულის სინეწე, კაცთა გასაოცებელი საქმე გქაშ- ხილო, რადგან შენი უნამუსობა და ურცხობა თითო-თითო რომ აღრიცხო, ზღვა რა წყეთ-წყეთად დასთვალი — იგი უმრავლესია და წონითა შენი ცოდვა მათა უმძიმესქიო.

უთხრა შაირა

თუცა იცოდე, რაცა ჰქენ მზუბო და გშაკობანი,
 ღვთის შუღლისაგან გადგომა, ქაჯს-თანა ბანაკობანი,
 ვის შეუძლია წარმოთქმა ამისი არაკობანი,
 და მაშინდა იცნობ შენს თავსა, რა შეხლევ მორთვა-მკობამო.

დამანამ უთხრა: ძმაო, ჩემის შობის დღით იქამომდე არ ვეკობ, ჩემგან მუხთლობა ქნილიყოს, ან რასც კაცზე მე ავი რამე მექნას. თუცა შენ ჩემში ერთი რამე აუგი განახავ, წვრთა და პირს თქმა გმართებსო. ქილილამ უთხრა: მრავალი აუგი გვირანს პირველი ესე, შენი თავი წმიდად მოვაქეს, და შენი სიტყვა შენთა საქმეთა ზედა ნაკლე- ბია. უთქვამს ვისმე, მეფეთა ამის ლარესი არა ეტორება რაო, მისის ვეზირის სიტყვა მისის სიტყვის უკეთესი იყოსო. ყოვლისა კაცისა პირობასა და საქმესა შინა ოთხნი განყოფი-

ლება სხენან: ერთი ესე, თქვან და არა ქნან. ესე უქკუოსა და უმეცართ წესია. მეორე ესე, არა თქვან და ქნან. ესე სიკეთით ქებულისა და სახელოანის წესია. მესამე ესე, რომე თქვან და ქნან. ესე ყოვლს საქმეზე ნაშუსიანის კაცის წესია. მეოთხე ესე, არცა თქვან და არცა ქნან. ესე ძუნწისა და უგვაროს წესია. შენ მისი მსგავსი ხარ, რომელმანც თქვას და მართებულად თვისი სიტყვა ველარ ვამართოს. მე შენის საქმისაგან სიტყვა ნამეტნავი მრავალგზას მინახავს. ლომი შენის ლაშ-ლაშით მოაკთუნე, და ესეთსა საშინელსა საქმეში გარიგე. ღმერთან ნუ ყოს, და თუცა ერთი რამე დამარცხდა, და ამა ქვეყნის არევა და ბრძოლა მოჰხდა, ესოდენნი გლეხნი აღიძვირან და საზღვართა გავლიან. სიოცხლე რავდენსა დაშამდება, საქონელი რამდენს წაუხდება, და როგორსა შეზარებასა ჩაცევიან! ამა ყოველთა ცოდვა შენთა კისერთა მოკრებებო.

უთხრა შაირა

ვინცა ბოროტი გონებად მთიგოს ბოროტეულად,
მასვე მიეცეს ბოროტი ცნობისა ვერ დატეულად.
რაც ნერგუ დარგოს სხვისათვის სამუხთლო ღალატეულად,
და ნაყოფი მანვე მოითლოს საცბადოდ, განმარტეულად.

დამანამ უთხრა: მე ნიადავ ხელმწიფეთა ეგზირი და მრჩეველი ვყოფილვარ, მისის საქმის წალკოტა შინა სწავლებისა ნერგის მეტი არა დამირგავს რა. ქილოლამ უთხრა: ანა ერთისა ნერგისა ნაყოფი, რაცა ესე ჰყავ, რომელსა მე ვხედავ, ძირითამც აღმოიფხვრის; რომელმაცა სწავლამა ესეთი შეილი შევს, რომელი ჩანს, მისიმცა სახსენებელი აზოსწყდება! არცა ითქვას და არცა ისმას—იგი უმჯობეა. შენსა საუბარსა რიგი არა აქვს, და არცა ქნისა სამოსლითა შეგიძკვია. უქნელად სწავლა თათლია უცვილო და უგემური, და გაუსინჯავი სიტყვა ხეა უნაყოფო, რომელი, თუ არ საწვავად, არად სახმარ იყოს.

თქვა შეწყობილ

ცოდნას თუ საქმე არა აქვს, მისი რიგისა მგებარე,
ვით გვაში სულის გაყრილი, ცუდად ძეს უქმად მდებარე
ცოდნა ხეა და საქმენი ხილი, მას ესნა ზე ბარე.
ხეს ბილისათვის დანერგვეს, ამისთვის შერგება მგებარე,
ხეს თუ ნაყოფი არა აქვს, რისადა მომგებარე?
და თვარა, მოქვეითონ, დაურთონ სადა ცეცხლია მგებარე.

დიდსა მატანეთა პირთა სახელოანის კალმით ესრე აღუწერიათ, ექვსთა საქმეთაგან სარგებელი არა მოგვეცემა რაო: სიტყვისა თქმა და ეერა ქნა; საქონლის უქკუოდ სიყვარული, ერთგულთა გამოუცდელად და ცოდნა უხმარად, ლოცვა უთქმელად, რომელსა ნათელი ღვთისა ჰქვიან და მსხვერპლი უსასოდ, სიოცხლე უმშვიდობოდ. ხელმწიფე რომე ბუნებით გაუსინჯავი და უდიერი იყოს, და ავი ეგზირი ჰყვეს, გლეხთა და ყმათზე მოწყალების სარგებლის გუნება გაურყენას, სიქიშითა მათი საჩივარი ხელმწიფისა არ გაასინჯოს, მას წყალსა გვანდეს, რომელსა შინა ვეშისა სახე მოჩნდეს, და შიშითა ვერცა მწყურვალნი სასმლად მიუდგეს, და ვერცა მცურავმა ხელ-ფეხი საამურად გაძრასო.

ღ ე ჰ ს •

ვინ პოოს მეტად მწყურვალმან, ცხელოფეს ცივი წყარონი,
იგ თუ ვერა სვამს, რას არავებს, შიგა სხვა ცურავით ნარონი.

დამანამ უთხრა: მე ეგეთი რამე არა მიქნია რა, ხელმწიფისა სამსახურის გაძლიერებისაგან კიდევ. ქილოლამ უთხრა: რაჯანნი გამრიგენი და შეცნოერნი მსახური მეფეთა კართა სამკაულნი არიან, მაგრამე რადგან ესე მოინებე, რომე სხვანი ლომისა სამსახურთა ვაჰყარო და შენ მისის კარისა ამირა და გამრიგე შეიქნა, და ხელმწიფისა ნიჭი მარტოკა შენხედ იყოს, ესეთი საგონებელი მეტად უმეცრობისა და უქკუობისა გზაა. არა უწყია, ხელმწიფენი ოდენ ერთსა კაცსა ზედა არ მოიცილიან? ხელმწიფისა საქმე კეკლუტობისა სახესა ჰგავს: რავვართაც შევნიერისა მტრთიალი გული, რაზომცა ტრფია-

ლება მეტობს, ეზოპა უფრო და უფრო ტურფად ეჩვენება. ზგრვეე ხელმწიფეთა -- რა-
 ზომცა ყმა და ლაშქარნი მეტი ჰყვეს, აგრვეე უმეტესი მოუნდებათო. ესე გამ-
 აუცდელი-
 ბისა საწადელი, რომელი შენ გაქვეს-ყე, ერთი სარწმუნოდ დასაჯერებელი შენისა ტრი-
 გობისა იგი არის, რომელიცა მას ბრძენთა უაქვამსთ: უკოდინრობის ნიშანი ხუთნი
 არიანო: თვისი სარგებლისა და სხვის ზიანის ცვა; ულოცავად და გაურჯვლად ცოდვის
 მონანების გონება; გინებიითა და წყაროითა ქალისა აშვიობა; მოსუენებითა და უშრომე-
 ლად ცოდნისა სწავლების ნდობა; ამაანაგის პირის ტეხობა, და სიკეთის დაუსწავლო-
 ბითა და აე-კაცობითა სხვა კაცთაგან ერთაგულობისა და სიკეთის მოგების იმედის
 ქონება. მე რადგან შენთვის სიკეთე მინდა, მისთვის გამცნებ, მაგრამე მზესავით ჩანს,
 შენისა სიბოროტისა ბნელი ღამე ჩემისა სწაელის ლამპრითა არ განათლდები.

უთხრა ლექსი

რა ზვის მატყლის ფარდაგი ბეღმა უქსოის გებული,
 სამოთხის წყლითაც გარტებო, ჯრ გაათუთრა ღებული.

ჩემი შეგონება შენთანა მას ჰვავს, რომე ერთი კაცი ერთს მფრინველს ეტყოდა:
 ცულად ნუ შერები, ვისგანაც სიტყვის დაჯერებასა არა ეკვდე, ნურას ეტყვი! იგი არ
 გასმია, ბოლოდ მისი მაგიერი მას მიეცა? დამანამ ჰკითხა, რაგორ ყოფილათ?

ქილილაშ თქვა არაკო

მე. მოუსახავთ: ყაბუხუნათა ერთსა ადგილთა სამყოფი რამე ჰქონდათ, ხილითა და მდე-
 ლოთი თვისთა დღეთა აღანებდენ. ერთსა ღამესა ცოდვის მოქმედისა გულისა უშავესი და
 და ბოროტის¹ მკნელისაგან უდღე-მოკლესი სიცივის ლაშქარი ზედა დაესხა. სიცივის
 ყინვითა სისხლისა მიმოდენა შეაშრაო.

შ ა ო რ ა

თხის რქისა ყინვით ცის ღომის კუდისა სოცხს ნატრობდენ,
 თვის ტყავთა გახდით ბეწვიკეა ჩაქმითა მოიმატეობდენ,
 შამეურანე აცმას ცდილობდენ, თავის-თავს ესრე დამტრობდენ,
 და იტყოდენ: «ღეცხლზედ დაიწვათ, ძვალნიღა ჩენი დამტრობდენ»

იგი საწყალნი სიციემე შეტად შეაქირვა, და თავისა შესაფარებელთა რასმე ეძებდენ,
 და მისთვის მიმოიარებოდენ. ერთსა ადგილსა ხისა ფეტუროსა სიბრწყინვალე ნახეს.
 რა კანთარო იგი იხილეს, მათ გულისა დაჯერებათ ცეცხლად ჰგონეს კანთარო იგი, და
 მოზიდეს შემა, და დაურათეს მას ზედა და იწყეს ბერეად. მათსა პირის-პირ ერთი ფრინ-
 ველი ჯდა, მან უხმო: რასა ზამთ, ცულად შერებით, ეგე ცეცხლო არა არს! და მათ არავე
 უსმინეს, მის უსარგებლო შრომისაგან იგინი არა დასცხრენ. ერთი ვინმე მოგზაური მუნ
 გზათა წარვლიდა, მას ფრინველსა ეგრე უთხრა: ცულად რად შერები, შენსა რჩევასა
 ეგენი არა ისმენენო, და ზიანის კიდე არცა რას თავს არგებენო.

უთხრა ლექსი

ბუნებით უგზო, უგვანი კაცი, უგვაროდ შობილი,
 რაგინდ ვცადო სწაღასა, არ შეიქნების ცნობილი!

ეგეთისა კაცისა წერათა და შეგონება ბრძლისა ქათა ზედა ცემას ვავს, და იქედ-
 ნეს გესლისა თერიაყითა კურნებისა ნდომასა.

თქვა შაირი

არ ძალ-უცს ხესა ხენეშა ნაყოფთა მოსშმა ტკბილისა!
 მოდგმითა მქივე გვარისამ სიბრძნე ქნას მან ცნობილისა?
 ეც დო, არ გაიმართვის სიბრძნე მის გმობილია,
 და ყვავისაგან ვითარ გამოუა ქარი გვარ-შემკობილისა?!

რა მან ფრინველმა შეიგნო, რომე მას არა რა უსმინეს, მეტის სიბრალუღითა
 გულმა აღარა მოუქირავა და ხით ჩამოფრინდა. ენება, რომე სწორე დაენახებინა, და მათი

¹ ხელნაწერში: ბორიტის.

ცული შრომა მათთვისვე ტყვეებანა. რა ყაბუზუნათა თანა ახლო მივიდა, შესტკრენ და თავი წასწყვიტეს. აწ ჩემი საქმეცა მას მიემსგაესება, და ჩემსა ცხორებასა კუდალ ვალა-მებ, რომე მედალ გუბნები და შენ ჩემსა არას შეისმენ, და მე ზიანი მხელდება.

უთხრა წუობილი

თუცა მსმენელი სწავლასა ყურს არა უპურობს, სმენასა, მძიძესა რათა იტვირთავ, თავსა რად უზამ შენასა? წესია, უთხრა შეჯდომა ბედის ტაიჭთა რბენასა, გზის შრომისაგან განერას, ვანად მივიდეს მენასა. თუ არ გისმინოს, მიუფვი კლდებედა გარდაურენასა, და მაშინდა იტნობს შეტყობით მისსა გულსა და ენასა!

დამანამ უთხრა: ჰე, ძმაო! უღარესმან მსწავლებელმან უღარესსა სწავლა და შეგონება არა ხამს მოაკლოს. მეცნიერთაგან სხვათა ქადაგება, და შემეცნება და გზის პოეზის თქმა მართებული არის და უნდათ ეისმე — უსმინონ, და თუ უნდათ — ნურავინ უსმენს.

უთხრა შაირი

სწავლას ნურავის მოგვაკლებ, სხვათა და მეცა მითხარო, უსმისა გული არ გისმენს, მაგრამ სიტყვითა მითხარო, ღრუბელიცა წვიმს, ყოელგან მთანი აღაუფოს მით ხარო, და ძვის გულის შქონის გონება მისით მომიღბო, მითხარო!

ქილილამ უთხრა: მე სიყეთის სწავლის პირსა შენთვის არ შეეიკრავ, მაგრამ ამისი მეშინია, რადგან შენი საფუძველი ხერხსა და ეშმაურობისა საქმეთა ზედა დავიმყარებია, და შენისა გულის წადილისა მიყოლა ვერა მოგიშლია, ესე საქმე ესეთსა დროსა შევასწრებს, რომე დაინანო, და სინანულმა სარგებლის მოსავალი ველარ მოგცეს, და შენთა მაჯათა ხორცთა იკბენდე, და მეყრდისცა იგლეჯდე, — ველარა გარგოს რა. რომელსა ც სახერხო კედელი უშენებია, ბოლოდ მასე სინწართ თავს დაჰქცევია, რაგვართაც მას ხერხისა მკოდინარესა კაცსა მოსვლია და თვისი ხრიკის კირის მახის თვალი მასე ყელთა გარდასცმია, და სხვა იგი სიმართლის მოქმედი მისი ამხანაგი, მისის სიმართლითა და გულის სიწმიდით თვისსა წადილსა მიხვდაო. დამანამ ჰკითხა, ეგე როგორ ყოფილაო?

ქილილამ თქვა არაიო

28. ორნი ამხანაგნი იყვნეს: ერთი იგი ბრიყვი და მეორე მზაკეარი და მეტად ხერხიანი, რომელი ას რიგითა მღერითა წყალზედაც გაირბინის, რომელსა სახელად თისგუშა ერქვა, და მეორესა, რომელი თავხედი იყო, რომელსა სარგებლისა და ზიანისა ეგოდენი გამოწელილვა არა ჰქონდა, ხურმადილი ეწოდა. მათ ორთავე მგზავრობა მოინებეს, და ერთად საამხანაგოდ საეპკროდ გაემგზავრნენ, და გზისა და საეანისა შემოკლებასა სწრაფობდნენ. ამა სელათა შინა გზათა ზედა ერთი გულდა ვეცხლი ჰპოეს, და სარგებელად მას დასჯერდნენ. მან მზაკეარმა ამხანაგმა უთხრა: ძმაო, სარგებლისათვის მრავალნი ვაჭარნი დადიან, და, თუცა შენცა გნებავს, ამ ხელად ჩვენ ამა ერთს გულდა თეთრს დაესჯერდეთ, შინასავე შევიტყეთ და შევბითა განვისვენოთო.

o a m m e k o

მრავალთა ტამთა მოგებად თქმთა იარო, ეგოდენ ზრუნვა უმეტეს გაიზიარო, ანგარის თვალი აღესებად ვერ აღიარო, სადაფთ მუცელი, თუცა არ მოამშობარო, ¹ და მარგალიტს ვერა აიხვამს, რაზომცა მოიმტებარო. ²

შელანწერსო: ¹ მოამშობარო, ² მოიმტებარო.

ამაზე შეიქცენ და ქალაქთა მიეწურნენ. ერთსა საეანეთა გარდახდნენ. მან ბრციყმა მოყვისმა უთხრა: ძმაო, ესე ვეცხლი გაეყოთ და ეკვისაგან გამოვიდეთ, და ჩვენ ჩვენი წილო, ვითა გეინდეს, ვიხმაროთო. მან მზაკვარმა უთხრა: აწ გაყოფა რა სარგებელია, ესოდენი ამოვილოთ, რაიცა აწ სახარჯოდ გეინა, და სხვაი გაკრძალვით ერთსა აღვიღსა შევიინახოთ, და როდესცა დაგვეკიროს, რა ერთიც გეინდეს, ამოვიღებდეთ, და სხუას აგრევე დავემარხებდეთ, რომე ქიარს რიღება სიცოცხლის მოწვევა არისო. თავხელი იგი ამა საუბრითა მოტყუე[ვ]და, და ესე პირი დაასკენეს. რავედენიცა ენებათ, ამოიღეს და სხუა იგი ერთისა ხისა ძირთა დაფლეს, და იგინი ქალაქად შევიდეს და დაისადგურეს.

ღ ე ქ ს ე

ხულისა დღესა თვალთ-მაქტმა ჩაღი მოიწყო მღწრისა,
ბრიკისა მახესა პირს მოხსნა მოსახუნებლად ვრისა!

წამოვიდა იგი მოხერხე ამხანაგი, მის ხის ძირიდან თეთრი მოთხარა, ამოიღო და წაიღო. იგი თავხელი ამახანაგი, ამისი უპეცარი რაიცა თეთრი ხელთ ევლო, მას გამოზოგებით ხარჯედა. რა დაელოა, მივიდა მას მზაკვარს მოყვისსა თანა და ეტყოდა: წამოდი, მის ჩეინისა დამარხვლიდგან ცოტა რამ ამოვილოთ, რომე აღარა მაქქეს რა საზარდელადო. მან პ[რ]ქვე: ვეთილად მითხარ, ცგრე ექნათო! რა ორნივე მას ხესა თანა მივიდეს, თხარეს, ეძიეს და ვერა რა პოეს. მან მზაკვარმა ხურმადილს ხელით საყულო სტაცა და ცგრე უთხრა: ესე საქმე შენგან კიდე არაეინ იცოდა, მაშა, შენ მოვიპარავსო! მან უბრალომ, რომელი არა რა იცოდა, ფიციდა, და მან არა უსმინა. მათ შუღლი გამოერიოთ. მზაკვარმა უთხრა: ვეყო, რად ვიბრძვით, ბრტვე გვისამართლოსო! ამა საქმითა დაზაედენ და ბრტვისა თანა მივიდნენ, და მან მზაკვარმან ყოველივე ბრტვისა რიგინ გაასინჯუა. ხურმადილ იგი ივარძმა. ბრტვე მოწამე ითხოვა. თიშგუშიმ უთხრა ბრტვისა:

ღ ე ქ ს ე

შენი სიცოცხლე ვაგრძელდე, საუკუნემდე ბჭეოდა,
მოწივართ-ლია ეღირსოს თქენის გუღია ბჭეო და!

მე ზის ხის კიდე, რომლისა ძირსა ეცხლი დამარხულ იყო, სხვაი მოწამე არა მივის. მაქქეს იმედი მალღისა ღეთისაგან, თვისის ძლიერებითა ამა ხესა სწორე ათქმეინოს. რომელსაცა უხენაროსა და ორგულსა მპარავსა ვეცხლი იგი წარუხეამს, მას ხესა ამთხრობლებინოსო. ბრტვისა ესე საქმე დიდად გაუკვირდა, და მრავალი რამ მოიუბნეს, და ესე პირი დაასკენეს: მეორესა დღესა მას ხესა თანა მივიდნენ და მას მართალი მოწამობა გამოჰკითხონ, და რაიცა მან ხემან სამოწამებელი თქვას, მისდა გვართ ისამართლონ. მას დამესა მზაკვარი იგი კაცი სახლად თვიაად მივიდა, და ყოველივე მამასა თვისსა უამბო, და სირცხვილის საბურველი პირიდან აიხადა და უთხრა: მამაო, შენითა მინდობითა და საქმითა იგი ხე დავიმოწმე, და შენისა ზურგისა სიპაგრითა ბრიკისა ნერგი ბრტვისა სამართალსა შინა დამიბრავს, და ესე საქმე შენსა მოწყალეებათა ზედა მიმიგლია. თუცა შენ შემეწვევი, თერთი იგი ჩვენ დავკრების, და იმოდენსა სხვასაცა გამოვართავო, და ჩვენი დანარჩომი სიცოცხლე შევებით და განცხრობით წარელოთო. მამამან უთხრა: რასა მნუკავ, რაი გიყო ანუ რა ვქნა, მითხარო. შეიღმა უთხრა, მის ხისა გული ფულურა არს, მას შინა ორი კაციცა დაიფარება, რომე ვარეგნით არა იხილევბოდეს. აწე ესე ქენ: ამა ღამე წადი და მას შიგან შევედ, და ხუალე რა ბრტვე მოვიდეს და რა ხესა სიტყვა კითხონ, მის მაგიერ, ვითარ ხამდეს, იმოწმეო. მამამან უთხრა: შეილო ხერხსა და ეშმარსა საქმესა გაეშორევე, თუცა კაცი მოატყუო, ღმერთი არ მოტყუედმისო.

უთხრა შაირა

კაით დაფარულთა საქმითა ღმერთი სცნობს ცათა მყრობელი,
ვინ თმათა აღარატს, ძალს სრნჯავს, შეგანთა ძარღითა მფლობელი
ვთქვით, ხერხით კაცი მოტყუედეს ხაკვისა შემასწრობელი,
და მას რაღას ეტყვი, რომელი უწყის და არის მცნობელი?

რომელიც ხერხი საყოფადია, მისი მუქაუა მისა მოქმედსა მალე მიეგების, და სირცხვილი საქვეყნოდ დაედების. მე შეშინს, შენი ხრიკი მის მყვარისა ხერხებრ არ შეიქნასო. შეილმა ჰკითხა, როგორ ყოფილაო?

მამამ უთხრა არაკი

29. უთქვამსთ, ერთსა მყვარსა გველისა სიხლოესა სორო გამოეთხარა, და მის უწყალოსა და სისხლისა მსმელისა მეზობლად დიბუნაგებულოყო. რა მყვარი შეილთა დაზრდიდა, გველი დაუქამდა და შეილთა სიპწარისა დალითა გულსა დაუდაღვევდის. მყვარსა მას ერთი კიბორჩხალი მეგობრად ჰყვა. ერთსა დღესა მას კიბორჩხალთან მივიდა და შესჩვილა და ეტყოდა: სუსურველო მოყვასო, ერთსა რჩევისა მოქენე ვარ, რომე ერთი ესეთი მტერი ამიწნდა, არცა მისი ახლორე ყოფა ძალ-მიცს, და არცა მის აღგილისა დატეება. რადგან მუნ დავეშენე, მისი გაშეება მივირდება: დია შენიერი აღგილი და გულის საამოვნოა! ესეთი წალკოტია, მისი მწეანვილი სამოთხისა [წალკოტის] მწეანვილსავით სიხარულსა მატებს: გულისა კართა გამლები, სუნნელებითა აღსაესე და მუშეთა და ამბართა მაყნოსებელი.

უთხრა შაირა

ასი ათასი ფურცელი კოკობთა ვარდთა სადარო.
ყაყაოს ხელთა მჭირო, მწდუო, ეგ ტანი სად არი?
ჩოდილოს ნიაგი ამბართა მალე მომიძღვნის, სად არი.
და ჰისთანა მუშესა მომიტანს, დართა ვიყოფი სადარო.

ესეთსა საყოფელსა თვისითა ნებითა ვინ დააგდებს, გულსა სამოთხისა ნიშთა ვინ მოაშორებსო?

თქვა ჩახრუხაულა

ჩემი სამყოფი, ცნობის დამყოფი, უსწორო აღგი, უებრო ბალი,
მამ, დიდთა ბრძენთა, მით ვასაქენთა, გულსა დაიხან ცეცხლისა დალი.

კიბორჩხალმა უთხრა: ნუ ზრუნავ, ძლიერი მტერი ხრიკისა საბლითა შეიკრვის და ეშაურობისა მახეთა შიგან ვაიბმისო.

თქვა ლექსი

ვინცა დაასხს ხერხისა მარცვალი ველთა მა ხესა,
მრავალ ბრძენი ფრინველი ადრე გააბას მახესა.

მყვარმა უთხრა: ხერხთა წერილთაგან ამა საქმისა სახისა კართა ვითარ ვაახეამ, და ამა მტერისა მოშორებებისა რომლითა მიღონის-ძიებო? კიბორჩხალმა უთხრა: აქა ახლოს ერთი ძლარბი არის, დია მოჩხუბარი და მძეინვარი. შენა თეუთა შეიპყრობდე და მის სოროთა პირთა დასდებდე, და რა მის ჰამასა შეეჩვიოს, მერმე მის ძლარბის სოროლამ გველის სორომდე თეუზი დააწყევე, ძლარბი მის თეუზის ჰამითა გველისა სოროსა თანა მივა, და იგი მისსა საქმესა ვააგებს, და შენ მის გველისა შიშსა და ჰირსა მორჩებო. მყვარმა გასინჯა ესე სწავლა—სიბრძნისა ყლითა შექინძელი იყო. ეგრე ქნა; გველი იგი მოკლა. რა ორი სიმე დღე გამოჰხდა, ძლარბსა თეუზის ჰამა მოაგონდა და ძებნად გამოვიდა. სადაცა ჩეუული იყო, მასვე გზასი მომართა, რომელი პირველ საწადლით ვაეზომა, მასვე მიედევნა. თეუზი ვერა პოვა, მყვარისა კართა მივიდა, მყვარი ლლაპებით დაქამა.

ღ ე ჰ ს ო

ვიღანაე მორჩა მხეთთაგან, და ჰირი მას დაელი,
ბოლოდ იგივე შექნა მისი შენძელი შეელია!

ესე არაკი იმისთვის მოვაწყვე: ხერხისა ბოლო მახეთა თვისისა თავისა დასაქერა, საცთური ბოროტი დღეა, კლდეთა გადამაპრუნებელი.

უთხრა ლექსი

ნუ წარსდგამ საცურის ფერხთა, სახერხოდ გამზადებულსა,
თვარა, ჳირისა საბრხესა შენცა დაეხმი დგებულსა.

შვილმა უთხრა: მამაო, სიტყვა მოამოკლე და გამოძიებათა გავრძელება¹ მოპკვეთე. ამა საქმესა ცოტა ჳირი და მრავალი სარგებელი მოაქვს ბოლოდო. საბრალო ბერი კაცი იგი, შეილისა სიყვარულმა და საქონლისა დრომამმა, რჯულისა და სასოგებისა პატიოსნის სადგომით უწყალობისა და სიხარბის მინდორთა გაიყვანა. მოთმინებისა სიმტკიცე მოუსუსტდა, უსესობისა და ანგარებისა ქარტა მოჩხაბა, ლეთის საწყენი და კაცთა დასაშორებელი საქმე კისერთა დაიდვა, და მას ბნელთა ღამეთა მშვიფრეულითა გულთთა სლედ იწყო და მის ხისა ფულურთა შინა შეძერა. რა გათენდა და დილის სინათლის ბრკებმა თვისი ცოდნა ქვეყნად მოჰფინა, და მზე ცისა სიშეყვას მოადგა და ღამისა წყვილიადი თემათთვის დღედ გარდიქცა, მან ბრკემანცა თვისი საქებურნი მოხუცებულნი და თვისი მსახურნი წაიყვანდა და მის ხის ძირსა მივიდა. მრავალი ჯარი ჳერეტად გამოვდიდენ და გარ ყოლბად მოადგენ. ბრკემა პირი ხისაყენ ქნა, მათი სარჩელი მოსმინა. მერმე მათი საქმე და გაჩენა მას ხესა ჳითხა. რა ბრკე დადუმდა, მის ხილამ ხმა გამოისმა: ვეცხლი ხურმადილმა წაიღოო. თიხქეში მის ამხანაგს უსამართლო სჳირანო. ბრკე დიდად გაჳკვირდა; გონებათა შინა იტყოდა: ნუთუ ამა ხესა შინა კაცი ვინმე ჯდესო, და მის გამოჩენას რჩევა უნ[დ]აო.

ღ ე ქ ს ი

ყოელი ხვანჯი ხერხისა, ფარული კაცთა შორისა,
გაიხივევის სარკეს ჩაზღვევა რჩევითა გაასწორისა.

მას უკან მრავლისა შეშისა მოღება ბრძანა, და მის ხის გარ მოწყობა და ცეცხლისა შედება. რა ესე ქნეს და ცეცხლი აღედვა, მისი უგუნურებისა და უმეცრებისა კვამლი მისის სახლის კარიდამ გამოადინეს. საბრალო ბერმა კაცმა რა მცირე მოითინა, სულთ ამოსლვას მიეწურა, მაშინვე ხმა ყო. ბრკემ მისი გამოყვანება ბრძანა, და მისგან ყოველი გამოიკითხა. ცეცხლით შეხრუსტილმა კაცმა ყველივე გარჩევით მოახსენა. ბრკემა იგი საქმე სწორად შეიგნა. ხურმადილისა ხელმოკლობა, სიწირფევე, და თისგუშის შზაყვრობა და სიბოროტე ყოველსა კაცთა ცხადად დაანახვა. მაშინვე საბრალო იგი ბერი კაცი ამ უხანოს ს[ა]წუთროს სიკოცხლის სამოსელსა საიქიოს ზიდვა დაუწყო, და ამ სოფლის ცეცხლის სიმხურვალითა საუკუნოს ცეცხლისაყენ პირი ქნა და ჩაყვდა. მისმა შვილმა, სირცხვილეულმა, უკუწმობებულმა, მკედარი მამა აიკიდა და ქალაქისა-კენ წავიდა. და ხურმადილმა, თვისის სიმართლის მინდობილმა, სწორისა სიტყვითა ვეცხლი იგი შემოიქცია, და თვისის საქმის გაგებდად გაემართა.

ამა არაკისა სარგებელმა ესე არს, რომე ყოველმა კაცმან სცნას, ხერხი და საცთური თუცა პირველ მოსაწონია, ბოლოდ კაცისა დამწყველი და დამდაველიაო.

თქვა შაირი

ვინ ხერხი მოიფერავს ეშაურითა წესითა,
ბოლოდ განჳარდეს უწყალოდ, ვაებითა და კენესითა,
ხერხი ორთაუი გველია საქმენლად კბილთა ლესითა,
და ერთი მტერს უკუშს, მეორე მის მოქმედს ფრუხითა.

დამანამ უთხრა: შენ ქვეა ეშმაკობად შეგირაყხია, და კეთილსა რჩევასა ხერხად სახელ-სადებ. მე საქმე ესე ჳეუთია და რჩევითა მიმოქმედებია და მართებულად მომიხდენიაო. ქილილამ უთხრა: ესე საქმე ესეთის ხეყნითა და მუდარობითა შევიწხადებია, კაცთა ენათა მისი გამართქმა არ ძალ-უც. სიდილისა და სიმდიდრისათვის ესეთი ანგარება მოგინდომებია, მოამბენი მისს ღამპარაკს დაღონდებთან. რაცა ხერხი და ეშმაკ-

¹ ხელნაწერშია: ვავრძელება.

რობა შენ ხელშეწყობედ იხმარე, შენვე სცნობ, ბოლოდ მის ცოდვისა სანაცლო შენ-ზედ რაი მოხდება. ორ-პირობისა და ორ-გულობისაგან რაცა ბოროტი შეგემთხვევა, აღრე სცნობა. დამანამ უთხრა: ორ-პირობას რომე ჰგომბ და ზიანად მიგანია, ვარდსა ორ-პირობისათვის წალკოტის მაშუენებელად დარგვენ, ორ-ენაობას აძაგებ. მწერალთა კალამი ორ-ენაობით თემთა და საქონელთა მოურნეა. ხრმალი რომ ერთ პირია, სისხლის სმისა და ხორცის ქრის მეტს ვერასა იქს; საეარცხალი რომ ორპირია, შეენიერთა და კეკლუტთა თავთა თმათა ზედა იარების.

უთხრა შაირა

ამა სოფელსა ერთგულნი ხრმალსავეთ სისხლის მსმელია, რადგან საწუთროს მიწოდებით მისდევს და მისი მველთა. ვინ საეარცხლურად ორ-პირობს, ათ ენაობის მცდელია, და ყოველი კაცი თავს იღებს, ტურფათ თმას ზედა მველთა.

ქილილამ უთხრა: დამანამ, ენამკვერობა დაუტევე! შენ იგი ორ-პირი ვარდი არა ხარ, წალკოტთა მაშუენებელი; თუცა შენსა თავსა გასინჯავ და ნუცა თავსა მართლობ. შენ იგი ეკალი ხარ, რომელი კაცისა გულსა მოსწყლავს და დაკლების მეტს არას შესძინებს, და არცა იგი კალამი ხარ, რომე ქვეყანისა და სიმდიდრისა მოელასა ცდილობდე. შენ ორ-ენა გველი ხარ, რომლისა ენისაგან სიტკბოს ნაცულად მაკვლინებელი შხამი გდის. გველი შენსა უმჯობესიცა და უფროვე მარგებელიცა არის, ამისთვის, თუცა მისი ენა შხამსა სწყვეთს,—მისვე გველისაგან თერიაცი შეიმზადება. შენ ორ რიგად გესმოდეს და თერიაციისა ნიშატი არსადა გაქვს. კაცის ენისაგან ხამს ნიადაგ თერიაცი დიოდეს, თუცა ფათერაკად მოუხდეს, რაგვარადაც ერთსა ბრძენსა უთქვამს:

ღ ე ქ ს ე

სამსალა და თერიაცი ჩემს ენასა ორნივ სდიან,
ერთი მოყურის სიხარულად, ერთი მტერთა არ გახრდიან.

დამანამ უთხრა: ესოდენი ჩემის მოყიენებასაგან დაცხერ, ნუთუ კვალად ლომსა და ხარსა შუა შერიგება მოვახდინო, და სიყვარულისა და ნდომისა საფუძველი დაე-სხნა. ქილილამ უთხრა: ეგეცა კვალად უგვანი და უარესი სიტყვა სთქვი. შენ, თურე, ხერხიცა არა გცოდნია! სამი საქმეა, რაი სამთა საქმეთა მიემთხვიოს: პირველი გემო აღარ ექნების, პირველად ესე წყარო, მდინარე და ღრულო მანობამდე გემრთილია, ვირე ზღვასა შეერთოდეს, და რა აღრთვის, იგივე გემო და ფერი აღარ ექნების; მეორე, მოყვარეთ სიყვარული მანობამდე მტკიცეა, ვირემდე ავ-ენა, მოჩხუბარი და მეშურნე შუა არ ჩამოიგდონ. თუცა ესეთნი კაცნი მათ შიგა გზასა იპოვნინან, პირველებრი სიყვარული აღარ იქნება. მესამე, მეგობართა და მახლობელთა შუა მანამდეს მოკეთობა და ერთობაა, ვირემდე ქიშობა [და] შუოთი შეიჭნებოდეს. თუცა ესე შემოერიათ, მერმელა მათს მეგობრობასა და მახლობლობასა მიწოდება გაუცდებათ. ამას იქით რომე ხარი ლომსა კიდევ გარდარჩეს, და ლომმა იგივე პატივი და დიდება მიანიჭოს, იგი ერთგულობასა და სამსახურსა აღარ მოიპირებებს. თუცა ნდომისა კარი არ დაკლი-ტოს, თითოთა საქმეთა შინა შიში მაშინც ექნებისო.

უთხრა დემა

რა თოკი გაწყდა, საბელი აღარა მოემტნასების,
თუცა გარდაბმას ეცადო, ნასკვი დარჩების, მას ების.

დამანამ უთხრა: მე რომე ლომისა სამსახურისაგან ხელი ავიღო, და ერთსა სენაკსა შინა განსვენებით დაეჯდე, შენისა მეგობრობისა კალთა დავიბერტყო, სიმარტოისა საყულო თავსა გარდავიცვა, მაშინ რალას იტყვიო? ქილილამ უთხრა: მე დია მიამება.

მე შენისა მეგობრობითა და გაერთებითა, და შენთანა ყოფითა მრავალი შიში გამონიღ-
ლია, და შენისა გაწყობისა სინანული ნიდავგ გულსა მდებია. ბრძენთა და გონიერთა
კაცთა უთქვამთ, უგუნურისა და მეშუათისა მეგობრობასა და სიახლეს ერიდეთ, მოღე-
წისა და ბრძნისა სასახურთა ეცადეთ. ამისთვის, რომე უგუნურისა და მოჩუბარისა
მეგობრობა გველთა წერათასა მივაესო. გველი რა შეიპყრა და ტკბილად სწვართო,
რაზომცა მისის სწავლებისათვის დაშვრე, ბოლოდ თვისის კბილისა ძირთავან კაშნიცსა
ასმევს. მოღეაწისა და ბრძნისა სასახური ათარისა დუქანსა ჰგავს. თუცა კაცსა მუნით
არა ერგოს-რა, მისის სუნნელებისაგან მისი საყნოსელი იცესებაო.

უთხრა შაირი

ათართან მიდი ზედიზედ, სადა ძეს-ყვ სუნელია,
სამოსელს გაგიხუნილებს — ესე არაჲი ძველია, —
სამჭედლოს მისლეს დაგიშლოს, მუნ არს საჭენი ძნელია,
და კვაზლი თვალსა მანებნი წანთთა ბერჯულუი მწყელია.

დამანავ, მე შენგან რა პაემნისა და პირობის იმედი მაქენდეს, რადგან ერთმან
ხელმწიფემა სახელდებით გამოვიჩრჩივა და შინა-ყმად სათუთად ვაგზარდა, და ესრე
გამოგაჩინა, მისის ბედნიერობისა წყალობითა მწესა ბრწყინვალეობასა უწუნებ, და მისის
ცებრ მალლის კართა ყოფისა ნიჭუნითა სიმდიდრის ფერხითა ამაღლებულთა თავთა
ლახავ, — მას ესე საქმე უქენ, და მისის ნიჭისა სიუხვისა ბოძება ეერ გულისხმა ჰყავ და
ესრე ჩაატარე, თუცა არა გენახოსო.

უთხრა ლექსი

არცა ღვთისაგან შეშინდი, არც შეგარკება შენის თავისა,
არცა კაცთაგან შექედმი, კნანას უმატე ავისა.

თუცა მე ესეთსა კაცსა ათასითა ეჯითა ირა განვეშორო, დიდნი ბრძენნი ირა
კაცად ჩამავდებენ, და თუცა ამისთანას მოყვისსა ვავეყარო, საქმის დამნახველი კკუა
და მალლის გზა მეცნიერობისა სისრულესა მაპოვნივებსო.

ექვა შაირი

ყაყაო აღრე დაცვივის, მიწათა მოფინება.
ორ-დღე გამწყოსა მოყვისსა გაყრა რად მომწყინება?
შუგებულთან გოფასა შორს მირჩვენია გინება,
და მოღეარე გულსა მატყენდეს, მტრისაგან რა მეტყინება!

რა ერთიცა ძმითა და მოყვარეთ აღერსით სარკებელი მეტია, ეგოდენ ავისა და
ჩუბიანის კაცის აღერსის წიანი ვარდამეტია. ბოროტსა კაცთანა აღერსიც მალე გათა-
ვდების და დასაკლისიც აღრე ვამოწნდების. მაშა, რადგან ესრე არს, რომელსაცა
კაცსა კკუა და ცნობა აქვს, გემართებს მოყრობა, ერთობა და მეგობრობა, მეცნიერსა
და ქებულსა და რიგიანთა და მართლის შთქმელთან და მხნეს კაცთანა ექნათ, და
მტყუარათა, ორგულთა, აე-გულთა და უგვანთა კაცთა ვერიდოთ და ვავეკრძალნეთ.

წ უ ბ ი ლ ი

რადგან არ ძალ-გიცს კრებულთა პირის. პირ დახშვა კარისა,
მართოსა უდობა სჯობია, ერთს კაცთან მონაკარისა,
გულ-ჭირთან ღბინი არ ვარგა, კულის სმა საკარკარისა,
ესე ბრძენთაგან ვისწავლე, ეშმა ნუმც მოეკარისა,
ვინ ავსა კაცთან მეგობრობს, ნიდავგ ჯობთ საკარისა,
და ბოლოდ მახუთა დაეხმის, ნადირთა ჩასაკარისა.

რომელიცა უგვანსა კაცსა ვაეწყობა, და უმეკარსა მოყვად შეექნება,
მას ეგრე მოუფა, როგორათაც მას მებაღეს მოუვიდაო. დამანამ ჰკითხა, როგორ
ყოფილაო?

ქილილამ თქვა არაკო

30. უთქვამსთ: ერთი მებაღე იყო, მი[ს]სი ცხოვრებათა შინა ნერგვისა და თესვისა ზედა შერებოდა. თვისსა საწადელსა სიცოცხლესა მას ბაღისა-ბაღთა შინა აღაშებდა. ესეთი წალკოტი ჰქონდა, მისი კორდი სამოთხეს გვანდა, ხე-ხეობათა გამართვით გაწყობილობასა ნაეღლისა მტვერი ერმის ბალისათვის თვალთა ჩაებნია; მისის სიტურფის სახისა შურის დაღი აფროდიტისა ბოსტნისა გულთა დაესვა; სხვა-და-სხვა ფერსა ხილ-ნარსა ფარშამანგივით კარაგი გაედგა; მრავალ ფერი ყვაილი ქვეპაოზის გვირგვინსაგით მაზედ ელვიდა; მისი იატაკი კეკელა და ტანითა და პირითა განშვენებული, აერი მისი მანათობელი, და მისი ნიავი ათრისა დუქანისებერ ამბართა გამსუიდეელი, კეთილ სუნ-ნელებათა მამბენიერებელი; ხენი ხილ მსხონი, ბერსაგით წელ-მო[ხ]კრილნი; მისინი ხილნი სიტკბოთა ქაჯთაგან უმხურვალესისა სიცხითა დამწიფებული, ფერად-ფერადი; ხილნი საზაფხულა და საშემოდგომო; მეტად წყლიანი და გემრიელი მისი ვაშლი უკეროდ მომატუეებელის სპეტაკის ვეცხლის ბურთი, გულისა გამაველურებელი, შვენიერი და ფეროვანი, მოსვენებისა მომმატებელი და ქვეყანათა აღმაშენებელი!

შ ა ო რ ა

ტურფანო სიკველუკითა ბროლ-ლაღად, ღაწენი მივაშლით,
წალკოტსა პირი მიაყრა ნიო შენებისა მივაშლით
ხეზე ვარსკვლავნი მივირან, გულსა მივაშენს მივაშლით,
და ღლისით ღამპრობის მნახეულნი თვალთა ჩენასა მივაშლით.

ქება ვითა ვთქვა, არ ძალ მიც, თუცა ვამკობდე რა სხალის.
მებაღე მახე იხარებს, შეწვრთის, აღზარდის რა სხალის;
შაქრულად დაკიდებელი, მნახველთა მისცემს რას ხალის,
და წალკოტთა მაშენებელი, ვით კველუტთ პირი რას ხალის.

კომშსა, მოღვაწის მსგავსად, მტყელისა სამოსლითა, ღამიან ამდგარსა, პირ გაყვით-
ლებულსა, თავი ფურცლისა სარკმლითა გამოეყო, პირისა მტვერთგან შეწუხებულს
ტრფიალის გულისათვის მთვარული ნიში დაესვა.

შ ა ო რ ა

ღერ-ზიხდით ხილთა უმჯობე უდგანან კომში, უბია,
მას მზე აყვითლებს ყვითელი, გლა-გული ტრფიალს უბია,
მას საყვარლისგან ყვითელსა ბაღთა საესე აქეს უბია,
და ცრემლ შემრობილსა წინა უდგს ცრემლითა სავსე გუბია.

ნარინჯი, მონახველი ბურთი, ხავისის ფერს ფოთელთა თანა, ვითა ნზე მალალთა
ცათა, ბრწყინედეა; თურინჯი ოქროსა წყლითა მოფერილი, მოწყენილისა გულისა გამა-
ხარებელი, სუნითა და გემოთა გემოთა სულსა გაუახლებდა, წალკოტთა შინა კრთომით
ელვარებდა.

რ ვ უ ლ ე

პირ-ამჟმული იცინოდა, საყვარლულად ბროწეული,
ქარვა შიგან ჩაწვობილი, იაგუნდი მოწეული,
ქანდაქარად შეწვობილი, არ აშლილი, მროწეული,
და წითელ-მწვანედ აშვეებდა. ბალსა კოწლეტ კოწეული.

ქებად თუცა 1 მოვიცალე, ატამი ჰყავს მოწეული,
წითელ, ყვითელ, თეთრი, მწვანე, ნოტიობა მოწეული,
დიიგვიო ცვ-რ-წვეთი, ბაგე-ბაგეს მოწეული,
და საყრფელად რტო ხელთა აქეს, აჰა, მისად მოწეული!

ცალგნით ლელი, რომელი მალლისა ხელსა მისი სახე და სიკეთე სამოთხის ლელი-
სათვის მიემსგავსებინა, რომელსა შაქრის ტკბილი პუნგია ხაშხაშის თესლითა შეემზად;

1 ხელნაწერშია: თუცა.

ერთ კერძო მოვლევარე ყურძენი, რომელი სიბრძნისა კალამსა მისი მრავალ-ფერად შეენიერებით შემკობა წმიდას წიგნის პირთა დაეხატა, ცუაროანს ყვაელივით, ფურცლოთ საშუალ ჩნდა; კორდთა ზედა მიწყობით ეყარა ზარნიშანი ნესენი, ბურთ-ბურთად, მწვანედ ლებული, ვითა მთვარე კიქის მსგავსს სინათლეში, გამორჩენით გორვიდა.

შ ა ა რ ა

მელოთა ნესვი ნათესი მუნ მრავალ ფერად შეწოდა,
ედემის ხილთა ცილებით სადაროდ გამოსჩნოდა,
მწვანე შრე-და შრე ყვითელზე საოცად გაიჩვიდა,
და ამბართა სუნთა ყნოსანი მიღობით წარმოსჩენოდა.

მას შებაღესა ყოველთა ხეთა ზედა ესოდენი ნამყენი მოემყნა, რომე შეილისათვის ზრუნვით სამუშაიკო აღარა დეეტევებინა-რა. მისსა ეამთ სიჯრძეთა მას წალკოტსა შინა მარტოობით იყოფებოდა, და სიმარტოეისა შიში აქირებდა, უამხანაგობისაგან მოწყენა შესლოდა

და იტყოდა ხსრუზაუღისა

ვარდი დანი ყუაის შხიანი, მასთან უწყოდ რამეა ფიხარო?
ჩემი ბაგენი, შაქრად ვაგენი, მზე თუ არ შივის, ვისზედ ეობ-აო?

ამისთვის გულნავლიანი ველთა საარებლად გამოვიდა, ერთისა კლდისა ძირთა მივიდა, რომელი სულ-მოკლისა კაცისა გულისა სივიწროესა გეანდა. მის გარემო სღვა არად სასარგებლო იყო და გონებისა გართეთა მუნ აარებოდა. თურე, ერთი საზარელი, ბილწი, უშვერი დათვიცა, სიმარტოისა გაძლება დატყეპული, მის შალის კლდისაგან ჩამოვიდა. რა ერთმანეთი ნახეს, ორთავე ერთმანეთის სიყვარულისა ცეცხლი აღეგზნათ, და შათი გული გასაწყობელად შეერთდათ.

რ ვ უ ლ ე

ციერთა, ან მივიერთა, თვითო გუარობა სტანობენ,
ეთ კარუა ბზესა მიიქრავს. მის სატრფოს თანა ვაჟობენ,
ეთერი ცეცხლსა მიხიდავს, და თანა მიდთანობენ,
და ნათლისაგანნი — ნათელსა, ბნელნი ბნელთში ბანობენ.

წმიდასა უყვარს სიწმიდე, ავი ავთანა განობენ,
თხლე თხლესა შეუვამს, ცუდი ცუდს, სიუღით შეიჯანობენ,¹
ბრტენი კვიანსა შეიტკბობს ან ფესე სჯობსთა, ანობენ,
და მელეინე მელეინისაგან მიბრუვეთ მოცონარობენ.

დათემა რა მისი გლებობა შეიტყო, მისსა აღერსსა და გაერთებასა უმატა და მებაღეს ეგოდენი ანიშნა, თან გამოჰყუა. რა მის ედემის მსგავსსა წალკოტთა შინა შევიდნენ და იგი ხილ-მრავლობა ნახა, მათში მოყრობა აღმატებით გამრავლდა და სიყვარულის ნერვი ერთმანერთში აღუორქიქნდათ.

ტ ა ე ჰ ე

ბალში იშვებდნ ნანებსა, ერთი მეროის ნანებსა.

როდესაც მებაღე დამაშვრალი ჩრდილსა ქვეშე თავსა განსევენებისა სასთუმალთა დასდებდა, დათვი ხელ-მოკლობილი სასამსახუროდ თავით მოუკლებოდის, ხან ბუზთა უმწერობდა.

თქვის ტაეპო

თავით ამისთვის უზოა, ტუთ არ დააჯღეს ბუზია!

ერთსა დღესა ამავე წესითა მებაღეს ეძინა და პირთა მრავალი ბუზნი ეხვეოდეს. დათვი ბუზთა მომწერებასა ცდილობდა, და რომელსაც მხარსა მოუძწერის, [ისინი]

¹ ხელნაწერში: შეიგუანობენ.

მეორეს მხარსა დაასხდიან, და ვერა იღონა-რა. შეწუხებულმა ბუზთა ზედა მრისხანება დიდი ლოდი აიღო, ეგონა, ამით ბუზთა ყოველთავე მოესრაო. ბუზთა ნატყორცი დასცა საწყალს მებაღესა, და ტინი მიწათა გარივა. ამისთვის უთქვამთ: ამოღინარი მტერი უტოღინარს მოყვარეს გიჯობსო.

ლ ე ქ ს ბ

რაზომთა ბრძენი მოავე გაენებდეს მტრისა წესითა, უცებს მოყვარეს იგი სჯობს უკეთეს უარესითა.

ესე არაკი ამისთვის მოვიყვანე, შენსა მოყრობასა ესეთი მოქმედება აქეს, რომე თავსა კირსა და ტანსა ისრის წყლულუბასა გაუმრავლებსო.

ლ ე ქ ს ბ

ქებასა ჰგავს უბთა აღერსი კაცისა უგუნურისა, შიგა რომ არა იღვას რა, გარ სისქე ვერას მტრისა.

დამანამ უთხრა: მე მაგ გვარი უგვანი არა ვარ, მოყვრის სარგებელი და მტრის ზიანი ვერ გაეარჩიო, მისი სიკეთე და სხვისა სიბოროტეთა გაგება არ ძალ-შედვასო. ქილილამ უთხრა: მე კეთილად გიცნობ, შენ არათუ სიბრძივეთა ვერსა გაეხარ, მაგრამ ეშმაკობისა შურსა გორვასა შინა ესეთსა მტვერსა ალაფქერევე, თვალთა მხედველობასა დააბნელებ; გულ-მოუდრეკელისა სიბოროტითა წამსა ზედა მოყვრისა სათნოსა დაადებ, და ათას რიგსა მისსა საწყინარსა უმართებულოდ შენზადებ, რაგვარადცა ლომსა და შუთურბაზედ ესოდენი საქმე ჰყავ. და კიდევ შენის კალთისა შეუსერელობასა იტყვი და თავსა მართლობ! შენ მოყრობასა შინა, თურე, მის დიდვაჭრისა არაკი არ ვასმია, რომ უთხრა — თავგმა ასი ლიტრა ტყვია შეკამაო, რა საკვირველია, თავგის მკირავმა ერთი ყმაწვილი მოიტაცოსო? დამანამ ჰკითხა, ეგე არაკი როგორ ყოფილაო?

ქილილამ თქვა არაკი

31. უთქვამთ: ერთმა დიდვაჭარმა, ცოტას ხანს მგზავრად წამაეალმა, საბოლოოს საქმის საგონებლად ასი ლიტრა რკინა ერთისა მეცნიერისა სახლთა ანაბარად მიაბარა: ვინ იცის, გამოიკირდეს—ამით რამ კიდევ ვათავნო, და სიციოტლისათვის საზრდო რამე მოვიგოო, და თვით გზად გაემართა. იგაქრა, აგრევე შემოიქცა და მუნვე მოვიდა. მას კაცსა რკინა იგი გაეყიდა და ფასი წარეგო. რა პატრონმა რკინა სთხოვა, რომელსაც ებარა, მან შინ შეიწვია, ადგილი აჩვენა—აჰა, პატრონო ჩემო, აქა უშიშართა ადგილთა დავმარხე, და არა ვიციდი, მას ადგილის, თურე, თავგისა სორო იყო [და] ვერა შევიგენ-რა, და მას შეეკამაო. მან დიდვაჭარმან უთხრა: ჰე, ეგრე არს: თავგი რკინისა მოყვარულია და მისი კბილნი მისს სიღბოსა და სიმსუქნეს საკმლად დია გაეწყო-ბოლადო.

უთხრა ლექი

თავთა საზრდო რკინა არის, განალამა იყოს ბასრი, ფალუსიტაკსაც ურჩენია, წინა ედვას თხილთა კასრი

რა ესეთი სიტყვა მოისმინა, მას კაცსა დიდად იამა და ეგრე თქვა გულთა თვისთა: ესე ვაჭარი უგუნური ვინმე ყოფილა, რადგან ესეთითა სიტყვითა მოტყუედაო და მის რკინისაგან ხელი აიღოო. აწე ესე მიჯობს, ვაწვიო იგი და შეეიტკბო. რა ეამმა წარკვლოს, კიდევ ვირგო რამეო. მოუწოდა ვაჭარსა მას

და უთხრა ლექი

განუყვი სტუმრად წვევასა, ჩემს სახლთა მობძანებასა, წყალბის ფერხის დადგმასა ჩემის გულისა ნებასა.

ვაჭარმა უთხრა: დღესა არა მცალს, პაემანი სხვაგან მაქეს, და ხვალე გიახლებიო. მისის სახლით გამოეგლო, და ერთი მისი ყრმა შვილი გაიტყუა და თვისსა სახლთა შინა

დამალა. მეორეს დღესა მასპინძელსა კართა მოადგა. კაცი იგი მეტად მოწყენით დახვდა. ბოდიშის ენა ააუბნა და უთხრა: პატროსან[ო] სტუმარო! შემინდვე, გუშინ შვილი დაეკარგე, ქალაქსა შინა სამ-ოთხჯერ ქადაგი ვაყიველ და სოფლებთა ვეძიე, და ვერა-რა ვსცან მისიო.

ოქვა ლექსი

ვითა აკობ მწუხარე, მტირალი, თვალ ცრემლიანი,
ვიხახი: ესად დამგვარგა ჩემი იოსებ მზიანისა?

ვაპარმა უთხრა: გუშინ რა შენის სახლით გამოველ, ერთი ყრმა ძერას აეტაცა და აერთა შინა ფრინეილა, ნუთუ, იგი იყოს ძე შენისო? მან კაცმა იწყინა და ჰ[რ]ქვე: ესეთსა ჭკუათაგან შორსა სიტყუასა რად იტყვი, და სიცრუედ პირთა ააღებ: ძერას თვით ნახვეარ ლიტრა არა არის და ათორმეტი ლიტრა ყრმა ვითარ აიტაცაო? ვაპარსა გაეცინა და უთხრა: თუცა ერთსა ქალაქსა შინა ერთმან თაგვმა ასი ლიტრა რკინა შექამა, თაგვისა მქამელი ათორმეტსა ლიტრასა ყრმასა ვითა ვერ აიტაცებდო! მან მასპინძელმა სცნა რაიცა იყო ღმ უთხრა: ნუ ზრუნავ, თაგვისა შენი რკინა არ შეუქამაო! მან ვაპარმაცა უთხრა: ნურცა შენი გული შეკირვებულა, არცა შენი ძე ძერასა წარუტაციო! ჩემი რკინა მომე და შენი ყრმა წაიყვანეო.

ესე არაიკ ამისთვის მოვიუბნე, ერთმა კაცმან რომე თვისსა ხელშწიფებედ ესეთი რამე ქნას, სხვისათვის რაღასა იბოქმედებს? რადგან შენსა პატრონსა ესე ჰკადრე, სხვათა შენისა პირობისა იმედი ვისლა ექნება? მე ესე დაჯერებით ვიცი, შენისა ავ-ნაქმრის სიბნელე შიშით აღივსება, და შენის ხერხის საცთურის სიფრთხილე გმართებსო.

უთხრა ლექსი

ბედის რტოსა დამეწონა ვინც გაგრიდებს, გაგვყოფა,
სვეს ალადგენს, ვინც ვერ ვნახავს, მტერთა პირი დაგვყოფა.

ვირე ქილილა და დამანას საუბარი ამაზედ მოკრებოდა, ლომსა ხარისა საქმე გარდაეწყვიდა: მიწათა და სისხლთა შიგა გაესვრა. და რა ლომმა რისხვისა ჰანგი შუთურბას სიკვდილითა დაამშვიდა, და ტვერთა და ტყეთა ადგილები მისის სიმხნისაგან დაცალა, რისხეის ალი დაუშრტა და საგონებელთა ჩავარდა, და გულთა შინა იტყოდა: ვაი, საწყალობლო შუთურბავ, რომე ეგეთი ჭკუიანი და გონიერი და მხნე კაცი შემომავციდი! კეთილად ვყავ თუ ბოროტად, არა ვიცი. ესეთი საქმე, რაიც მე მომიხნა, პირობისა და დანდობისა და სიმართლის დაგდებითა და დაუნდობლობისა წესითა მოვა. მე თავი ჩემი საგლოელსა შევაწყვიდივე, ჩემსა საყვარელსა მეგობარსა ჩემითა ხელითა სასიკვდილო სასმელი შევასვი.

ოქვა ლექსი

ბოლოდ მოყვასი ვინ ვუბნას მოყვასსა ბრძენსა ცნობილსა,
არცა უმჯულოთ იკადრებს უმუხთლოს მისსა ძმობილსა.

ლომმა სინანულის თავი დახარა და თვისისა თავისა საგმობრად ენა ააუბნა, თვისსა გულ-ფიცხელობასა და აჩქარებასა ჰყვედრიდა. ხარისა საგონებელი ამა შაირსა უერთა შინა უკითხველა:

[შ ა ი რ ი]

ვინ მოყვარესა უბრალოდ მოკლავს მოკლეთა ჩქარითა,
მეტადრე ჩემებრ მარგვას რგებითა შინათ, გართათ,
ვითამ მოყვარე არ ვიყავ. მტერი გვგონე გართათ,
და მტრსად არ მოკვლენ უწყალოდ, ესრე ტანჯვითა მწართათ!

ლომსა სიცილი შუთურბას ნაეღლითა სამუდმოდ სატირლად შეეცვალა, მისი გაფურჩინილი სიხარული ამა ზრუნვისა სიმხურვალითა დაუქნა.

თქვა დღეჲს

შენი გაყრა გულსა ჩემსა ნაეღლის ქაცვად გამეცემის,
აწ გაესინჯო, ამ ეკლისგან თუ რა ვარდი მამეცემის.

რა დამანამ მიღმით ლომისა პირთა მოწყენის ნიშანი • შეატყო და ნაეღლისაგან
დალურჯებული დაწვი გაიტადა, ქილილას ლაპარაკი დაიდუმდა, და წინარე წადგა

და მოახსენა • შაირა

მეფეო, სვე-სვიანობით ტახტიმცა თქენი დიდობენ,
ყოვლი ხელმწიფე შენისა ხარის შიშითა რიდობენ,
შენ წემფაფრფინვენი იგიცა, ვინცა შორს კიდის კიდობენ,
და შენთა მტერთა და ორგულთა დღენი შენგანვე ბინდობენ!

ურვისა საგონებელთა რად შეუპყრიხართ, ამა ეამთა უფროსად სასიხარულო დროი
რალა იქნება? ამა დღისა უბედნიერესი ოდესლა გათენდება: ხელმწიფე გამარჯვებული
სამხიარულოთა წესითა ბრძანდება და მტერი სისხლთა და მიწათა ზედა გორავს!

მოახსენა ჩახრუხაულა

სასოს დილამან, ხრამლ მოწვილილამან, გამარჯვებანი წინა დაგისხნა:

დღენი მტერთან, ურთთა ერთანი, სოკვილის ღამის ბნელთა შეგისხნა.

ლომმა უბრძანა: ოდესცა შეთურბას გაკრძალული საშსახური, მეცნიერობის ნიში
და ალერსის სიტკბო მომზგონდების, სამშინარის კვამლი მოშობოლავსო ამისთვის, რომე
იგი ჩემთა სპათა ზურგი და მთარველი იყო, ჩემთა ყმათა და კაბუჯთა ყოველთავე ძლიერ
რებისა შემძინებელიო!

თქვა ჩახრუხაულა

წარვიდა იგი მშვიდობის რიგი, ვინცა ხმელეთს დააწუნარებდა,

მომშორდა აღრე ჩემ სახელ საკადრე, ვინ თემთა წესთა მომარებდა.

დამანამ მოახსენა: არა გმართებსთ მის უზენაროსათვის ეგე ვითარისა სიტყვისა
ბრძანება. ესეთი გამარჯვება რადგან მოგნიკებია, დიდი მადლობა გიხმს ღეთისად შე-
წირვად. რადგან შენთვის ძლევა მოუცემია, სიხარულისა გულისა კარი უნდა გააღოთ.

მოახსენა დღეჲს

გამარჯვებისა დილაჲს სასოდ იმედი გვიანმა.

ბოროტმა მოსაწყინამან გაგვირია გარდამდინამა.

ესე კურთხევის წერილი, რომელსა ზედა ბედ-სვიანობა გაუწყვია, ესე ხელმწიფური
ძლევა სახელ-განთქმულობისა წიგნთა ბედნიერობით წარწერილი მით გაიმართვის, და
ეამთა და დროთაგან ქარტათა ზედა ამალღების, და ზემთა და დიდობისა რიგთა შინა
აღირიცხვის.

მოახსენა შაირა

ესე დღე არის ჩვენისა სიყვითის მამარობელი,

გამარჯვებისა საქმითა ქნართა ას რიგად მშობელი,

ესე დღე გულთა საღებნი, განსაცრობელთა მშობელი,

და ესე დღე დღე-გარეღობისა მტერთა ნადაგ მგლობელი!

ხელმწიფემა რა ერთსა კაცსა მრავალს დიდება მიანიჭოს, და ეგრეთვე შფოთვე-
ღეს და არა ოდეს დამშვიდდეს, საშიშია. და ქვეყნისა მტრისა საფლავს საპყრობი-
ლეში შეგდება კუუიანთაგან საქნელია. თითი რომ ხელთა სამკაულია და გუამთა ასონი,
თუცა გველმა მასზედა უცა, ტანისა სიმრთელისათვის მასცა მოსკრიან, და თით-მოკვეთი-
ლიცა მოიღვენს და მორჩენად ჩაიდგებს.

მოახსენა დღეჲს

მიბძანე, იგი რა იყო, ანუ რა გარგო მონებით,

რადლა იგონებ ურეთა, ზრუნვას რად შეეწონებით?

• ხელნაწერში: + მოახსენა.

ლომმა მცირედ ამა საუბრით უკუ-იყარა; მაგრამე რამმა და დრომა ხარისა ნაცვა-
ლი მასცა აზღვევინა, და ბოლოდ დამანას სიცრუე მისავე თავსა აუხდა, და მისის
სიტყვის თესლი სიმტყუენის ქერქისაგან გამოსძვრა, და ხარის სანაცლოდ იგოცა
მოკლეს. და ხერხისა და საცთურის და მატყუერობის აღსასრული უბედური და ურგე-
ბია, და ბოროტი განზრახვა—უსეიანო და მოსაოხრებელი.

შ ა ა რ ა

ავის მოკმედის ბოლოსა ჭკვიანი ავსა ევლითა,
ფუტკარი სხვისა მცემელი თავსა მოიკლავს ხელითა;
ღვარძლის მთესელი ვერ მომკის იფქლას ბასრისა ცელითა,
და ანწლი არ მოგემს ყურძენსა,—ეს არაჲი შაქს ძველითა.



თ ბ ა რ ი ა ნ ი

აკად. ნ. შარის მიერ ყალბად მიჩნეული ტაყებები¹

- 1
- 4₁ (83₁) ვინ სჩნდა ეგმისად, მსგავსად აწ მისად წინასწარმთქმელი მისთა მთქმებულად,
4₃₋₄ (83₃₋₃) ვერ მრაულებისა გატვერებისა, თამარ, შენ გიცნობ განცხადებულად,
ჩვენ ვსთქვათ: ეს რა ღვაგ? ზეციერად ჰგავ შეილთა მნათობთა დაშვენებულად.
- 2
- 5₃₋₄ (85₃) ბროლისა ველსა, თვალ-უცთომელსა, ინდონი ეყვნის დამონებულად.
(84₂₋₃) შუქნი ჰკრთებიან, ემუქმებიან, ზოალი ინებს დაქადებულად.
ე გულსინებო, მზეო ინებო, თამარ სჩანს შენდა რუსხა მკლებულად.
- 3
- 6₁₋₄ (84₁) თუ მოვანება, გწადდეს თუ ნება, ვისგან უფრო აქვს დამატებულად?
(85₁₋₃) ვის ძოწეული ვარდ-გაწეული დაწვი უმწაზრობს განბრწყინებულად.
ვის სჩნდეს საშეაროს, ალვა აყაროს ან თამარ სჩნდების გამთავრებულად.
(87₃) მეშურნობდეს, რად ამყვანობდეს, რომე ვინ იყოს მოშორებულად?
- 4
- 7₁ (84₁) ბნელი თუ უყო, ელვა გაუყო, მაშინ არ ითქმის დაბნელებულად.
- 5
- 8₁ (86₁) მე თუ ვსტირ ოღე, ვისლა ვსტიროდე თუ არ შენ, გკვრეტდე დადუმებულად.
- 6
- 15₁ მათ რომე წიგნი, ჟამისად მცნობნი, მით იქმნან ესრეთ განცვიფრებულად.
- 7
- 19₃₋₄ საულს მეფობა ართო მეფობა, დაეითს მიმადლა შეფიცებულად.
შენგან იშვების, პირველ შიშვლდების სამოთხესავე კვალად შევებულად.
- 8
- 23₁ წმინდას ოქროსებრ, სიყვარულისებრ ორგულთ ეწეეის სიყმილი მძაფრი.
- 9
- 51₁₋₄ (44₁₋₄) ასრე წყალთაგან, რომე თვალთაგან ცრემლთა ნაკადი ღვარულად მოდის.
ვითა მოჰკედებო, კირით განჰკედებო, მავალითებო აღარ ითქმოდის.
შენთა მოყმეთა რა ქნან, მოძმეთა? დედა და მამა აღარა სმოდის:
მუნ დაიკოცნეს, სადა ეოცნეს, ქვეყნის სახელი არ ასმოოდის.

¹ დიდი ციფრები აღნიშნავს ტრადიციული ტექსტის სტროფების ნუმერაციას, პატარები—ტაყებს. მრგვალ ფრჩხილებში მოთავსებული დიდი ციფრები აღნიშნავს ჩვენი გამოცემის სტროფებს, პატარები—ტაყებს, რომელთა პარალელურადაც აქვს ნ. შარის დაბეჭდილი ცალბად ცნობილი ეს ტაყები. კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული დიდი ციფრები აღნიშნავს ჩვენი გამოცემის პარალელურ სტროფს, პატარა—ტაყებს.

10

- 56₁₋₄ (45₂₋₄) შენ გულსა ესე იმედად უთხარ, ვითამცა შორით კვლავ მოვიდოდის.
 მალრიბს დაყენენ ეამნი მრავალნი, აქეაზს, მოსულსა ქვა ოქროდ ჰქონდის.
 (46₁₋₂) ანუ ხაზარეთს ჩინით და ხანთა გზა მოემოკლოს, მოისწრაფოდის.
 კოსტანტინპოლის ნაენი ააგენ, ზღვა წუნარად იყოს, ტაროსი ჰქროდის.

11

- 57₁₋₄ (47₁) მობალდადენი ბარდაეს მოვიდეს, მახარებელი ჩვენთანა რბოდის,
 (48₁₋₂) ათი ათასი მართ ვაკეთილი ბიბი მოჰყვანდის, მოეზოდის,
 აქლეშთა ტურფათ მძიმედ ტვირთითა მონა-მკედელები წინა უძლოდის.
 შენ გაეგებო სუნნელთა კმევად, მუჯაზრი გქონდეს, ალვა იწოდის.

12

- 58₁₋₂ (45₁₋₂) მარამ არმანმან მკლანეი მოგზოიენეს, სიხარულითა სული იწოდის.
 მას გაუმთელდეს გული მოკლული: აღარა ოდეს ლახვარს ისობდის,
 (46₁) ქაბასა მფლობი დიდი ემირი მას შოგან მთხრებლსა თვისად ისობდის.
 (47₁) მაჰმადის ხმობად, მიზგიტისა შესულად, თაყვანის ცემად მას შინა გცადის.

13

- 64₂₋₄ ძეს სადმე საქმლად ფრინველთა, ასრე გამიკდა ჩემი აჰა, მთავარი.
 ცუდ მაშერალია ესე სოფელი, ყოველთა თვისვე ესრეთ მზა არი,
 ყოველთა გვიჯობს ღმრთის მიღვენება, მოშაირთა ცუდი თქმა არი.

14

- 84₁ მით არ აჩნია, რა მიაჩნია, ენა ვით სძლებდეს საქებარისად.

15

- 90₁ (91₂) აღმოშენებსა, ვინ აშენებსა მორჩსა ახალსა აღმორჩებულად.

16

- 91₁₋₄ (83₁) ნათელი დიდი, რადგან დაბინდი, ვიცი, არ ითქმი დაბნელებულად.
 (91₂) ედემურია, ვისცა სურია ანუ სხევევ ხედეს შეძინებულად.
 (92₂) მე ვიცი, რომე დაეამცირო მე: ეერვინა გბადრობს გასწორებულად.
 (92₃) ვინა შობილი ანუ სწრობილი: შენგან სჩანს მთეარე დასაწყულებულად.

17

- 109₁ [29₁] შენსა სადარსა შენსა—სად არსა?—ვერა ვსჰკერტ ცხადად და ხსოუნებარად.
 (68₁₋₂) თქვენსა ზენათა, მზეო, ზე ნათა, თუმცა მზე ვთურს ნამტვიცებარად.
 მაგრამ ჰკალ, იბი, რადგან კალიბი შენთა შუქთა სძლეეს შუქ-მტაცებარად.
 ვინ ნაბა სად ვინ, ნასახად სად ვინ, შენებრ ნათელთა ბნელი მცებარად!

18

- 110₁₋₄ [69₁₋₄] ანუ ვის ესმის, ან უვის ეს მის და არა იქმნეს განცვიფრებარე!
 მკერეტნი ვიტყვითა: მკერეტნი ვიტყვითა ანუ თუ სიზმრად ნაოცებარე?
 ანუ ცნა ურად ან უცნაურად სოფლისი წყალთა დამშვენებარე.
 რადგან ცად ახვალ, რა დგან ცადა ხვალ ზოჰალი ვტლი, მთეარე მცებარე.

19

- 111₁₋₄ [70₁₋₄] რომელ ვანება, რომ ელევანება შენ ოდენ გქონდეს მაცისკრებარე,
 —არა გეთნია!—არ აგეთნია მნათობნი, მით ვსცნენ დამბნელებარე!
 მანათო ვლითა: მანათოელითა ლაწემულაზარობს იგ გამლეებარე.
 ვინა ტრედია? ვინატრე დოა ძედ ღმრთისა შენდა ძედ მწოდებარე.

20


112₁₋₄ [71₁₋₄] ვის აქვს შენებრივ ღამაშეწებრივ ქცევა, გონება, სული მწლფებარე!
 ეინ ანი, სადა ეინ ანისადა მისთა მოყმეთა მარცხო მზეზარე?
 წუზად ანელმან რა სთქვა ან ელმან: დღეს მუსულმანთა მოსანთებარე.
 აგარის ერთა საღმობიერთა სხვამცა ეინ იყოს სრვად შემძლეზარე?

21

114₁₋₄ თუ ქება გიქო, სხვა რალა გიქო, ამაღ ვერ ვიტყვი შენდ მსუბუქარსა!
 აწ ყა დავიწყებ, თულა რას ვიწყებ სასაქებოსა შენს საშუქარსა.
 მე რომ ვხედვიდი წარბ-წაშწამთაგან თქვენგან სუნნელსა მონაბუქარსა,
 აჰა, აწ რა ვჰქნა თქვენმან განყრილმან, შენით სიცოცხლე მქონდა მჩუქარსა.

22

115₁₋₄ მოხევეს ძეთა ჩაბრუხაძეთა ექო თამარი მეფე წყლიანი,
 მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე, თინათინ ვაქო ბალი წყლიანი,
 ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულადიანი,
 ჯერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი, სამოთხის ეარდი პირად მზიანი.





ლექსიკონი

შეადგინა ივანე ქავთარაძემ

5

ბ (ან-ი)=1.

ა კოთხეთი ნწილაკა — იცია ვ ზ ა? 12.

აველეს აველესი დასვენების 194.

აზატებს შაატე 269 გამოავსუფლუ.

ააღნებს მიაღნე 269 გამოავსუფლუ, მბატე.

აარებს შაარე 160 მარონე.

აბეღთებს აბეღთა 196 იტღებს, აგლახა-ვებს, ატულმარტებს.

აბეზარს აბეზარ-ქმნილ ვარ 175 სძულ-ველი გავმხდარვარ, განზე დერჩენილვარ.

აბორია დ ი მ ბ ა ა: „ა ბ ო რ ი ა“ 233.

აბრალებს თავს აბრალებენ, არ აბრა-ლებენ 205 თავს აცობდენ, არ უსაყვედურებენ; არ გაბრალებო 79 არ ვისაყვედურებ.

აბჯარი 21 ჯკუშანი, რკინის ან ფოლადის ტან-საფარი ომში.

აგარი. აგარის ტომი 190 არაბების სახელ-წოდება.

აგარიანი 338 აგარის შიამოშავალი. არაბი, შამალიანი.

აგებს ლმერთი შენეე გაგებს 300 ლმერ-თი შენეე მოვიზღავე, მოვაგებს.

აღაღათი 247 მართლშაჯულება, სამართლიანობა. იღალათის ბაბანა 250.

აღიმი უქნიაა: იღიმი 230 ნიმიკი გაღულ-გამს, წინ წასულა.

აღლი 263 სიგრძის საზომი (16 გოჯა).

აგად ავად გაგისუენებიაო 67 ცუდად მოგისუენებიაო. ავად მიშეუღეთო 18 ცუ-დად, უსაზთოდ მომეხმარეთო.

1. ავად 191 საზრისი წინამძღოლი.

2. ავად ავად-კინამოდ 199 ავღის ხელ და კინამოდ (5).

ავაზა 2 სანადირო ძალი ვეფხის ჯიშისა.

ავაზანი 202 აბაზანი, აუზი.

ავარი 189 ნაალაფევი, დავლა.

ავი ავი ქნი 46 ცუდად ზაიდინა.

ავფანდა 77 უზნავი.

ავტარობა 286 ავღარი, უამინდობა.

ავაგარი 191 ტერმინული ხარი.

ავატი .146 თავისუფალი.

აზღენი 22 აზღენი, ცსოღენი.

აზნაური 38 თავისუფალი. წარჩინებული, დიდ-გვარიანი.

აზნობს 204 ფიქრობს.

აიაბევი 196 უფლისწულის გამზრდელი.

ათარი 415 მეწერიშანზე, ნელაქებების გამე-დველი.

ათეშანგანი 306 ათაშანგით, სიფილისით, და-აუადებულ.

ათქს პირი კაცისა ათქს 84 პირი კაცისა აქვს, აბია.

აიგებს ღონე ვერა ივი გეთ 19 ვერა ვილო-ნეთ რა, ვერაფერი ღონე ვისეთ.

აიკმირებულს აიკეებულს, ზევით აწევულს: კოქლი უფხი, აკეემირებულს აქო-ნია 293.

აკაწულლობა 46 აბჯარი, ცხენისა და შხედრის მორთულობა.

აკანთი 300 ფრინველის მხე.

აკრახლებს აუგსა აკრძალა 155 აუგს (5) მოკრიდა.

აკუში მუქისა აკუში 178 სურნელოვანი ნივთიერების და თვალმარჯალიტის ხევი (საბა).

ალა ალაბი, ლმერთი: რას იზახი, თუქქო, ალა? 216.

ალაბასტრი 290 ქურკელი მარმარილოსებრი ქვისაგან.

ალალი 250 მარაალი, კინიკი, ნებადართული.

ალაღებს გარჯა შალაღებს 355 გარჯა მარქენინებს. საუველურს გამოამოქვეყინებს.

ალაფი 26 ხაკი. ნაღველი, ნამარცვი.

ალადებულს 197 თავგასული; გაკანინებულს.

ალფა სახლი ილივისა 55 სახლი ალფის ხის-გან. დიაკუმეის ალფა 141 ალფის ხისგან დამზადებულ საკმეველი აქმეის.

ალი 194 მაღალი.

ალმახა 176 ძირითვის ქვა, მგარი და მბრწყინავი.

ალმუჯად 77 მხარილოვი, დიაგონალურად.

ალში ალში გარდაეცადეთ 53: ლხინი გადავიხადეთ, გართობა მოვაწყეთ.

ალშით 193 ატკინეთ. შდრ. ლმახა.

ამანათი 272 ჩასაბარებელი, შესანახი, ბრუნვის საგანი.
 ამარტი 155 ქარვა.
 ამბარი 154 სურნელოვანი ნივთიერება ფისისაგან.
 ამბარი ამბარი სეცეს 292 აკოცეს, ემზოვნენ.
 ამბარტი 64 შენეს, მიმიდეს, ჩამთვალეს: უცხო კაცად ამბარეს 64.
 ამბრა 61 მბრანებელი, უფროსი.
 ამბრ-მული 56 არახთა ბაღოფის ტიტულია, ნიშნავს: მორწმუნეთა მბრანებელი — ამბრალ-მული.
 ამოთაშხ ამოიხუნა 34 ამოიღო (მრავალი).
 ამბარტავანი 84 ქედმალალ, შედიდური, მზეაობარი.
 ამცნებს ამცნო 291 თუყვა, გააგებინა, შეტყობინა.
 ანახლ 223 ნ. ანახლად.
 ანახლად 70 მოვლადნელად, უცუბ, შეუძნეველად.
 ანახლდუმი 236 უეცარი, მოვლდნელი.
 ანახლდო 277 ნ. ანახლად
 ანაქვხიანი 204 ჩამოქნისი, გაფორმებულს. შდრ. ნაქვისი.
 ანხარი 212 ნ. ამბარი.
 ანდამატი 200 აღმასი.
 ანდერძობა 112 დაბარება სიყვდილის წინ, დატრევა, მითითება.
 ანუელი 204 გაზაფხულზე ნახნაი, შემოდგომაზე დასათესის მომზადებულს.
 ანორაკი 204 ძვირფასი ქვა.
 ანო თუ: მშვილდისა იძლეებ ანუ არაო 41; ან: ანუ შენი და ანუ ჩემი 26.
 ანკრებს ანკრავთ 70 ანკრავთ, ბურავთ.
 ანხლი 302 ავი, აპასი.
 ანო თუ 291 თუ, უკეთუ.
 აპუხა 301 შიმშილი (შდრ. ყაბუხენა).
 აპაკობა 184 საბრაკო, უმეგალითო ამბების თქმა.
 აპამანტი 200 არომპტი, სურნელოვნება.
 არამი 232 უკანონო, დუშგებელი, ტუღი.
 არგავი 13 კვერთხი, ხელჯობი.
 არგანი 209 ოლარი, მღვდლის შესამოსელი.
 აწელს ქვევით მოსაფარი* (სახა).
 არღამი 205 ყვავილა.
 1. არე 199 მხე კაც, მამაცი.
 2. არე მას თურქ არესა ირ იყო 85 იმ არეპარეს, მიდამოში არ იყო. აღარა ჩანს მზისი არე 229 მზის იყო არ ჩანს.
 3. არე ცოთმილი (არეი?). შენ მწუნობი ბარ მნათობთა: არის... 190.
 არემა თვალნი არანეს 211 თვალები მმოთვლეს, მოათვლიერეს.
 არევი 204 ფარა, თხისა და ცხვრის ჯოგი.
 არზა 258 მოხსენებითი ბარათი, თხოვნა.
 არი 221 გმსახურებს დასთა ირი ნ. არე 3.
 არიფი 183 რამეში თანმობარე, მეგობარი, ტოლო, ძმაბივი.

არჩილანი 249 „შორით მოსულისაგან მოღებულ მის თემის ძველი“ (სახა).
 არმო არმო სეცესთა 207 არამი ვახადა სესხით (?)
 არხური 205 აღმური, აღი.
 არხე 190 დაარსე, დაფუძნე.
 არხულინობა 145 უმბერება, უიბლობა.
 არტამი 165 შესაყარი ფართო ღვედი მატერიისა. არქუა 5 უთხრა.
 არვი 168 არვის ხე, წითელი ფერის ხე.
 არმანვი 354 ღირსება, პატივი.
 ასა 199 ჯობი, კვერთხი.
 ასახია 114 თანამებრძოლი, ბრძოლაში შემწე, თანამონაწილი.
 ასერი 317 აგერი, აი აქ.
 ასერა ჩუენ ასერა მითად მითად მითად 79 იო აგერი ჩუენ მით საზარად მივდივართ.
 ასეკი 84 ფრინველი.
 ასმოდა 85 სმნოდა.
 ასპარესი მოვლანი, სარბიელი. ასპარესსა სეცემლის 21. მოვლანს შემოუვლიდა.
 ასპარესობი ასპარესობადი 7 მოვლანზე თამაშობდა, ჯიბითობდა.
 ასბივი 160 მხამანი გველი.
 აბავრებს იტეკრებ თმითა 192 პოეტ. ხშირ ტყეს აქნ თმით.
 აფუგებს რასა დონესა ამივებ 162 რა სეშუალებას გამოიხსნავ, რა დონისძიებას მისმარებ.
 აფვი 9 ნაკლი, სირცხვილი, საძახხისი საქმე.
 აფღებს აუღლო... სულე 77 ალლო ბუღო, წინასწარ შეისწავლა.
 აფინდების ქვეყანა უცხოელ იურნდით 3 ქვეყანა უცხოელ ეჩვენათ.
 აფთა 150 გრამელტარაინი მახვილი, ბრტყელი ტულისობი.
 აფროდიტი 366 ცისკრის ვარსკვლავი.
 აქამანდებს აქამანდა 190 ქამანდალ, სასროლ ბადელ, საზადე აქთა. პოეტ. აფულოსმება თამბა. აქიში 256 ექში.
 აქნეებს რასა გაქნეე 236 რა შესაქმება, რამე გამოადგება, რას ვეძებ.
 აღბორანებს აღბორანებთა 389 გამოზრდი, გამისარებთა.
 აღკოდებს ზღვა 343 აქოთღეს ზღვა? აღაჯი 123 სიგრძის საზომი, დაახლ. 3 აასის ნიბოჯი.
 აღბორავება 207 გაკოფება, გახელება, განწინება.
 აღერევა 313 ნაწყობიერება.
 აღთქმული 284 დანაბრება.
 აღფრტვევებს აღფრტვევენს 208 ატრენს, ათამაშდენს.
 აღმორჩება 194 მორჩის გიღვიძება, ყლორტის გაშლვა.
 აღმორჩეული 197 ყლორტნაყარი, მორჩებვაშლილი.
 აღნაფენებს 281 პროცენტი, სარგებელი.
 აღნაოქმირა 189 აღნაოქმირა, დანაბრება.

ახარება 293 შეტოლების, დანაშაულის განდობა, საკუთარი ნამოკმედარის თქმა.

ახარად სულისა აღსრად 208 სულის აღსარებად.

ახარულეზული აღსრულეზული ყოველსა სპარსეთისა ზედი 140 სრულ ზელსუფლების მქონე, ყოველმხრით უფლებამოსილი მთელსპარსეთში.

აღუაროს 316 გაანდოს, უთხრას, გუტყუდეს. აღუთქვამს იღუთქვე 284 დაშირდა.

აუფედრებს აყუედრებდი 288 უსაყუედურებდა.

აზნე 196 შენად, თვისად გახადე.

აში 262 თხევალი საქმელი, სუთი.

აშქობილი 57 დაღებულ, დაფინილი ზირი.

აშენა 173 მოსწონს, შეეფერება.

აინდვას იში უფრო დიდი აჩნდებასო 40 თში უფრო დიდი აღმოჩნდებაო.

აე ბა... სითარეკელი 218 საფარეული გოდეს, ვიქვს.

აფე 40 ახლავე, ამ წუთას.

აწვებს პურად აწყეაეიან 5 ნადიშე მოიწეის, დასპატეის ხოლმე. აწეი 35 დასპატეა.

აწხვან აწისგან ეიღე 79 ახლანდელს ვარდა, ამ დროს მერად.

აწა 15 ახლა, კიდევ. აწყა 68 ნ. აწლა.

აწყედობს აწყედელი სამეფო შენი 23 ამწყედებლა, ახრებულა შენი სამეფო.

აჭირვებს აჭირვებდა 282 აწუხებდა. ახვს 240 ახს იძახის, იხრავს.

ახვს ლახეარო გულსა ახვს 237 ლახარი გულს შეახეს.

ახვს სულთქმით ახვს 237 ქოშინით ამოხრავს, „ახ“ თქვეს.

ახი ახათ მიყევეს 318 სპართლიანად, ღირსეულად მიყევეს.

ახლტმის ახლტა 10 იხტა.

ახშილი 204 ახსილი, გაღებული, აშეხული.

ახოვანი 200 მოსელი ვაჟაკი, რანდი, გოლათი.

ახოვება 338 ვაჟაკობა, რანდიობა.

ახონ 385 იხვია, ვაი-ვაგლაბი თქენ, სინანული გამოხატონ.

ახურა 305 თავა, საჯინებო.

აყდებს აქელა კმა 23 ხმა ვაჯარდა. აჯა 191 სათხოვარი; თხოვნი, ხეწმა.

აჯახი 53 სასწაულთმოქმედება, საყიბრელება. აჯახი 40 სათხოვნა.

აჯი 215 სპილოს ძვალი.

ბ

ბ (ბან-ე)=2.

ბარაბი 227 ვეფხის ტყაის ვაჟმანი. ბადახშანი 203 წითელი ფერის ძვირფასი ქვა ბადახშნიდან.

ბადრობა ბადრობს 197 ბადროს (საკუთ. სას.) თვისებას იჩენს.

ბაგრაეი 371 ბაიარლი, საეკლესიო დროშა.

ბაზიარი 53 ქორ-შიშინოს მგეშავი და მონადირე.

ბაზირვანი 255 ნ. ბეზირვანი.

ბაზმა 206 სინათი, ზეთის ლამპარი.

ბაღახში 53 ნ. ბაღახშანი.

ბაკლა 313 ცერკვი.

ბაღანტი 201 ტომსია, ქისი ან პატარა გულა.

ბაღახანი 204 ბაღახანი, მალაო.

ბანება 293 ბანა, დახანა.

ბანი 20 ერლო, სხვენი.

ბარბითი 237 სიმებთან საკრავი.

ბარჯი 113 წასაღები ტერთი, ქონება.

ბარჯისტანი 233 ტანის სახელო ნაწილებს დსაკეი ვაჟმანი (მღრ. პოლოტიყი).

ბარე 165 ბარემ; შაშინ.

ბარბიში 206 საეკლესიო ქურჭელი, დიდი თასი.

ბასრი 170 საუკეთესო ფოლადი ქალ. ბასრიდან (სირიში), ვადატ. შქრელი.

ბახტა ბახტანი 87 ნ ბახტი.

ბახტი 75 მუსიკოსი.

ბაკლა 373 ბარტყი.

ბადე 196 ნ. დაბედების.

ბიდურტი 267 გამოჩრეული, საუცხოო ცხენი (ბედუნიებისა).

ბეღბროტი 281 ავებდა, ცუდი ბედისა. ბეღდლოხს ბეღდილოხს შრაველი 194 ნაბერავად თაერმოწინაობს, შედიდუროხს, კლნივარობს.

ბეღითი 3 ფუკვი, უსარგებლო, უხამსი, უჯიანი, უმისწო. ბეღითნი კაცნი 4 ცუდი ხალხი.

ბელ-შლაშე 243 შწარე ბედისა.

ბედნარობა 227 ბედნიერება.

ბედოვლოთი უღბლო, უხეირო, ბეჩაეი. 329 უქნარა.

ბედ-ხუანი 159 ბედნიერი, სეე-ბედნიერი.

ბეგრი თოი ათასი. ბეგრი-ათასი 203 ათას-ჯერ თოი ათასი.

ბეზირვანი 296 დიდუქარი.

ბეთაღი 316 სკონლის ექსი, ევტერიწარი.

ბერი 51 მოხუცი, ბეხერი. ბერი დეიცი 52 დედამერი.

ბიბი 423 ცნობილი, კეთილშობილი ქალი.

ბიგრილონი 203 ძვირფასი ქვა შუქი ცისფერი.

ბილქი 227 უწინდელი, საძაველი.

ბიჩეი 181 დაბალი მცენარე მსხვეტევი ბურთულეთით (იბერი, ბერკ-ბიჩეა).

ბიჩინი 202 ძვირფასი ბურთია, ფარეული.

ბიცი 204 უნაყოფო ნადავლი.

ბიცი 199 ნაკლი, ლეჩა, კეუყე.

ბოლოკარკაი 362 ასე ფრინველი, შიშინოს უწყობის; ბურში მფრინავა, ქვე ვერ დაჯდება ბუზის ქამით ცხონდება... ნიკარტი და კინჯი. არა წიბის მსგავსი აქვს წადი უწყობისა, წყლით თუხს ამოიღებს და სქამს, ხესა შეჯდება ფოცხვიდო (საბა).

ბილქი ბილქ-ბილქად 199 ვუნდ-
გუნდლ, რაზეხლ.
ბიჭონი 206 რამეღე კერპის სახელზე აღმარ-
თული სეუაი, ნიში.
ბიარა 199 შეგობა, ბრაზობა, სიციფე.
ბიადლი 18 რაზირიანი ისარი.
ბიარა დანაშაული. ბარლინი არიან 274 ს-
ბრალინი, ცოდონი არიან.
ბარლობა 46 საუვედური, ბრალდება.
ბარჯენილი 208 ენადამულად, ენაბლუობით.
ბარჯენილი ბარჯენილ-ქეოფს 200 ენას დაუ-
ბასი, ენაბლუს ვახლია.
ბარდვიანი 216. ბარდღვიანად 108 ბო-
ბოქოზადა, ღრიალუბდა მრისხანებდა.
ბარძედი 201 ღემელი, დიდი მადალი ქერა.
ბარწილი 406 ეკალბარდი, შამბარაი .
ბარკალი 188 ქულერი, ტერფი, ბარკალი
ქქმენ 202 ჩანჩიხული.

ბ

ბ (გან-ი)=3.
გაამბარაფებს გაშაბარაინე 182 ამბროანი
გამბადე (ნ. ამბარი).
გამბადიფებს 154 გაუფუქებს, გაუმშავისოებს,
გაუბედურებს.
გაფებს გააგო... საქმე 45, 68 საქმე შოა-
წირიგა, შოაგარი.
გამათლებს 68 განქრანს, გააჯანმრთლებს.
გამაშარტაფებს გაამშარტავენდა 299 გ-
კანდირდა, გაამაუდა.
გამაღონარებს გაამაშციონარა 303 დამაზანტა,
გამაზარაყო.
გამაქრებს 151 გაფლანჯავს, შიშობანებს.
გამარებს გაასრავა 219 გაისროლა, ფიგურ.
გააქცია, ელით შვა ისროლიან.
გაატინებს გაატინეს 228 გასაჯლდევის.
გაუხახოებს გაგუაუსასოროს 306 იმელი
დაგვიარავს, სასო წარგვიცეთოს.
გაფიცებს ცხენი გაფიცხენა 85 ცხენი
გახურა.
გაფცხოებს 154 ციებ-ციფლებიანს ვახდის, გო-
ციხელიან ან გააციფებს.
გააქებს ვინ როსტომ გააქენითა 220
ვინც როსტომი გააქეეთ. გააქო 346 გააქევა,
გააგლა.
გაახაფაფებს გაახალვათეს აღვლი 186
გათაფისუფლეს, გაამარტოეს აღვლი.
გაახეობარებს 277 ხეობარად, იწვლიდად აქიფეს,
დააშეებს.
გახაუაჩს გაახუნა 34 გააღო, გახსნა (მრ-
ვლი).
გახახრული 214 შერტხენილი, განაციხული, ვაწ-
ხილბული.
გაბრლიფბული 177 გაუბრბული, ვაწბილბული,
გაბობარბული.
გაბრღების 382 დამხნევა, ვაშტერდება.
გაბტობა 36 რჩევა, აზრის გაზარებზე ფიჭრის
გუნდობა.

ბარკობს სამართალი ბარკობს 258 სამარ-
თალ სინჯავს, კანონიერებას ირყევს.
ბაუა 221 ხანიშო, სამიზნებელი. ბუთის ქვა
310 კერპი, თაყვანის საყუბად აღმართული ქვის
სეკტი.
ბუაი 206 საყვირი.
ბუმხერაზა 9 უძღვერესი ვიბო, ვოლიათი.
ბუნება ბუნება მოექცა 152 ხასითო, ნარი,
განწყობა გამოუცვალა; ბუნებად მოვიდა იქ.
ხასიათზე, გუნებაზე მოვიდა.
ბუნობანი 405 ბუნიაი, წყერაინი.
ბურჯი 130 დიდი კოშკი, სეკტი. ბარლინი
ბურჯითა 242 პოტ. ცხვირით.
ბურჯული 228 დიდი ნაბერწყალი.
ბურჯი 308 ბურჯი.
ბუჯარი 200 სამხრეთი.
1. ბეე ბრეე, მისამართლე.
2. ბეე გულისა ბეევი 411 გულს კარა.

გახარკობს სამართალი გაბარკებს 293 სა-
მართალი განსჯავს, გამოიძებს.
გაგვა 130 ნ. გაგუა
გაგლახავდობს 293 გაღატაკდება, გაკორტდება.
გაგვა რა გაგუა შენაო 68 შენ რა გე-
ნალდება, რა გელარდებაო.
გაგულ-ქვიფიფა 191 გულთ მოწყალედ, შე-
მბარულედ.
გავითაუანების გავითაუანენეს თავი დაუ-
რეს, მიესაღწენს.
გავს ქავს 3 ჩანს, ეტობა, შეეფერება.
გავრუნებს გაგუენუნენო 40 დაგვიწახეო,
გამოგვიცხადო.
გავრახებს სიტანას გავერახოს 220
ბორტ სულ დაელამარკოს.
გავწურვის რა გავეწურენით თარსანგსა
ერთსა 135 ერთ თარსანგზე (ნ). რომ დეუბა-
ლოვით.
გავწერვის კითხა გავეწერე 65 კაცებს
გაუწურვი, გაუწურისხი.
გავგე 269 ნ. გავდების
გაიკობანს 26 განსჯის, შეამოწმებს, გაიკითხ-
ბე, 104 გამოკითხე.
გაინადებია 315 ვიდაუხრა, წასული.
გაიარტების საქმე რა გაიარტებობდეს
145 საქმე რომ ვაფუქდებობდეს.
გაიღებს გაეღებ გზასა 45 გზას ვაეგნებ,
კვალს ვაოვენ.
გაიკდის სიმრავლე ლაშქართა გაიკო-
და 72 ჯარის რიცხობრივი შემადგენლობა დაათო-
ღებია, გაიკნო.
გაიწრობს გაიწერო გული 13 ვაეიერდა.
გული გაიწერეკით 84 ფულლოთი.
გაიქობს ამირანამან გელი გაიქონა ხელი-
დან სისხლი გამოუშვა, გადატ. მგლოვარება გამოა-
ცხადე?

გაისუენებს ნაღობდის და გაისუენებდის 2 ნადირობდა და ისეენებდა, შუება-განსტრო-ვაში აყო.

გაიკიხავს 64 საქციელს დაუნუნებს; 84 გაიქრდავს.

გაქმედების გაქმედებები [ვაი გაქმედები] 89 შემედილითი 286 დათლებები, გაილევი შემედილით.

